მარინე ბერიძე

# პირდაპირი რეპორტაჟები წარსულიდან

*მესხეთი და მესხები, 1918-1944 წწ.*



მარინე ბერიძე
პირდაპირი რეპორტაჟები წარსულიდან

**Marine Beridze**
**Direct Reporting from the Past**

ყდაზე: ფარავნის ტბა ფოტო ნანა დათაშვილისა

ყდის დიზაინი და დაკაბადონება: გიორგი ტაბლიაშვილი
სერიის ლოგო: მხატვარი ნანა ჭურღულია

რედაქტორი: გიორგი ცოცანიძე

წიგნი მომზადდა და გამოიცა
ფონდის „ღია საზოგადოება – საქართველო“ მხარდაჭერით
Supported bv Open Society - Georgia Foundation

© 2005 ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“
© 2005 Open Society - Georgia Foundation

ISBN 99928-953-7-3

გამომცემლობა „დიოგენე“
თბილისი 0179, კეკელიძის ქ. 6
ტელეფონი: 95 63 94. ტელ./ფაქსი: 96 79 71
www.diogene.ge

## სარჩევი


რედაქტორისაგან ..... 5

წინასიტყვაობა ..... 11

„რეიზე“ – რატომ? ..... 15

ცოტა რამ ისტორიიდან
(გადაგვარების ტექნოლოგია) ..... 18

ტრაგედიის „წინადღე“ ..... 27

მოკლე ქრონიკა ..... 32

რამდენიმე პორტრეტი მსხვილი პლანით ..... 35

„ხალხური ისტორიოგრაფია“ ..... 38

გაქცევა (ჩაუქრობელი ლამპები) ..... 40

ომი... ..... 51

აი, ჩვენი ცხოვრება! ..... 63

კოლექტიური „ავტოპორტრეტი“ ..... 79

... და მშვიდობა
(დაბრუნების შემდეგ) ..... 94

„მშვიდობის გეშინოდეთ!“ – ანუ
ახალი „დემოგრაფიული პულსაცია“ ..... 99

მშვიდობის წახნაგები ..... 103

გასახლებამდე ..... 109

გასახლება ..... 119

ახალმოსახლეები ..... 125

P.S. ..... 129

გამოყენებული ლიტერატურა ..... 132

ტექსტები ..... 133

მთხრობელები ..... 500

რეზიუმე ..... 503

ვუძღვნი დაუვიწყარი ადამიანების,
მასწავლებლის – **ბესარიონ ჯორბენაძის**
და
მამის – **მიხეილ ბერიძის** ნათელ ხსოვნას

# რედაქტორისაგან

წინამდებარე გამოცემა მეოთხე წიგნია, რომელიც იბეჭდება სერიით „ქალთა მეხსიერება", ღია საზოგადოების ინსტიტუტის ქალთა ქსელური პროგრამისა და ფონდის „ღია საზოგადოება – საქართველო" მხარდაჭერით.

წიგნი ორი ნაწილისაგან შედგება: ძირითადი და მოცულობითაც უდიდესი ნაწილი ამ წიგნისა არის ველზე მომუშავე მეცნიერი დიალექტოლოგის მიერ ჩაწერილი ტექსტობრივი მასალა მოცემული იმ სახით, როგორც ასახა ის ხმის ჩამწერმა ტექნიკამ – დიქტოფონმა თუ მაგნიტოფონმა. იგი უცვლელად, ყოველგვარი სტილებრივი თუ ფონეტიკური სწორების გარეშეა გადმოტანილი ქაღალდზე და ასევე უცვლელადაა ამ წიგნშიც წარმოდგენილი, ტექსტები თემატურად მრავალფეროვანია და საგულისხმოა რამდენიმე თვალსაზრისით: ლინგვისტი დიალექტოლოგისათვის ესაა უმნიშვნელოვანესი და საიმედო წყარო ქართული ენის მესხური დიალექტის ენობრივ თავისებურებათა წარმოსაჩენად, ამ ტერიტორიაზე თანამედროვე ქართული ენის სივრცითი განფენილობის ამსახველი დიასისტემის ელემენტების დასაფიქსირებლად; ეთნოლოგიას იგი აწვდის უძვირფასეს მასალას ამ კუთხის ხალხური ყოფიერების – სოციალური მიმართებების, საქორწინო ტრადიციების, სამეურნეო შრომა-საქმიანობის, სახალხო რელიგიური დღესასწაულების, გენეტიკური და ხელოვნური ნათესაური კავშირების (რაც განსაკუთრებით აქტუალური გახდა აქ ხალხის სარწმუნეობრივი ერთიანობის დარღვევის შემდეგ), სახალხო ზნე-ჩვეულებების და სხვათა შესახებ, არანაკლებ საინტერესო მასალას ნახავს ამ ტექსტებში ფოლკლორისტი – ხალხური ზეპირსიტყვიერებით დაინტერესებული მკვლევარი და, ბოლოს, ისტორიკოსისათვის ეს ის წყაროა, რომელსაც იგი ისტორიოგრაფიულ ლიტერატურასა და დოკუმენტებში ვერსად ჰპოვებს. ესაა თვითმხილველი და თვითგანმცდელი პიროვნების მეხსიერება, რომელშიც დაუნჯებულია ფაქტობრივი ცოდნა იმ ამბებისა, რაც მას უნახავს, რასაც შესწრებია, რაც განუცდია. ეს წყარო იმდენად უფრო ცხოველი და კოლორიტულია, რამდენადაც მწვავე იყო ის ისტორიული კატაკლიზმები, რომელთა მოწმე და მონაწილეც ყოფილა ესა თუ ის პიროვნება. ამ წყაროს – „ხალხის მეხსიერება" – ერთი საგულისხმო ხიფათი ახლავს თან: იგი პიროვნების სიკვდილთან ერთად კვდება და სამუდამოდ იკარგება ისტორიისათვის, თუ ვინმემ თავს არ იდვა და არ მოასწრო მისი

ჩაწერა-დაფიქსირება. ვფიქრობთ, რომ ამ ჩანაწერების მოპოვება და, მით უფრო, გამოცემა ამ ხიფათის თავიდან აცილების წარმატებულ ცდად უნდა ჩაითვალოს.

„ზეპირ ისტორიებში" ასახულია მოვლენები, რომლებიც ხდებოდა ამ ისტორიათა „ავტორების", ე.ი. მთხრობელების, სიცოცხლის მანძილზე. ამდენად, მათი ხნოვანება 7-8 ათწლეულით განისაზღვრება. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ისტორიათა „დასაბამი", ანუ ქვედა ქრონოლოგიური დონე, მთხრობელთა ბავშვობის პერიოდია, დაახლოებით გასული საუკუნის 10-20-იანი წლები, ზედა კი – მკვლევარისაგან, ამ შემთხვევაში, დიალექტოლოგისაგან, მათი ჩაწერის დრო – გასული საუკუნის 80-90-იანი წლები და მდგომარე საუკუნის დასაწყისი.

მეორე, მოცულობით შედარებით პატარა, მაგრამ აგრეთვე უაღრესად მნიშვნელოვანი ნაწილი ამ წიგნისა, არის შემდგენელის გამოკვლევა, რომელიც შესავლად უძღვის მას. გამოკვლევის თემად ავტორს ერთი აურჩევია (და სამართლიანადაც – ტექსტებში წარმოდგენილი თემებიდან ყველაზე უფრო შთამბეჭდავი სწორედ ესაა): „მიგრაციები XX ს-ის I ნახევარის სამცხე-ჯავახეთში". ესაა მიზანმიმართული და, როგორც თვითონ ამბობს, „გააქტიურებული" ურთიერთშეჯერება დოკუმენტური მასალისა, რომელიც მკითხველს აწვდის ამ მოვლენათა ამსახველ ცხად სურათებს. ავტორი ამ მასალების მოწოდებისას მაქსიმალურად ნეიტრალურია, თავს იკავებს სუბიექტური დასკვნებისგან, განსჯის პრიორიტეტს მკითხველს აკუთვნებს (თუმც მის მდგომარეობაში ამის გაკეთება ადვილი არ უნდა ყოფილიყო, რადგან მთელმა უბედურებამ თავისი უდიდესი სიმწვავით მის ოჯახზეც გადაიარა).

მკითხველს აქ წარმოდგენილი მოვლენები გარეგნულად რელიგიურ საბურველში გახვეულ ეთნოკონფლიქტებად მოეჩვენება, მაგრამ გვიან-შუასაუკუნეების საქართველოსა და, კერძოდ, მისი ერთი მნიშვნელოვანი პროვინციის – სამცხე-ჯავახეთის – ისტორიაში რამდენადმე ჩახედული პირი ადვილად დაინახავს, რომ აქ საქმე გვაქვს ისტორიის სიღრმისეულ შრეებში მიმდინარე ფარული დინებებისა და, აგრეთვე, ფარული ნელი მოქმედების ნაღმების დროდადრო გააქტიურების კონკრეტულ გამოვლინებებთან. მათს ამოქმედებას კი ადვილად ახერხებდნენ და ახერხებენ იმ ფარულ დინებათა აღმძვრელი თუ ნაღმების ჩამდები ძალები მათთვის ხელსაყრელ ყველა საჭირო მომენტში.

სულ ცოტა XV ს-დან დაწყებული, სამცხე-ჯავახეთი წარმოადგენდა ისტორიული და პოლიტიკური მოვლენების ისეთ ასპარეზს, რომლის ავანსცენაზეც მუდმივად მოჩანდა სამი მთავარი იმპერიული ძალა. ისინი ცდილობდნენ, თავიანთი გლობალური მიზნების შესაბამისად გამოეყენებინათ საქართველოსა და ზოგადად, ამიერკავკასიის სამეფო-სამთავროები. ამ სამიდან ორი – ირანი და ოსმალეთი – თითქმის მუდმივი იყო,

მესამე კი დროდადრო იცვლებოდა და რიგრიგობით ჩნდებოდა ბიზანტია, დასავლეთი ევროპა, რუსეთი. ამისდაკვალად სამცხე-ჯავახეთიც პერიოდულად გადადიოდა ერთი გავლენის სფეროდან მეორეში. მე-18 ს-დან იმპერიულად გაძლიერებულმა რუსეთმა აქტიური მოქმედება დაიწყო ამ ავანსცენაზე და, შესაბამისად, მესხეთ-ჯავახეთის ისტორიის მსვლელობამაც შეუქცევადი ხასიათი მიიღო. ამ დროისთვის ირანი თითქოს ჩამოსცილდა ამ რეგიონში ჰეგემონიისათვის ურთიერთმოცილე მხარეებს. დარჩა ორი – თურქეთი და რუსეთი, რომელიც ყველა ხელსაყრელ მომენტში თავის სასარგებლოდ იყენებდა ამ ტერიტორიების დაბრუნებისათვის მებრძოლ ქართულ ძალებს. ყველა, რამდენადმე ანალიტიკურად მოაზროვნე პირი, სულ იოლად შეამჩნევს, რომ მე-20 საუკუნის სამცხე-ჯავახეთში განვითარებული დრამატული მოვლენები ზემოხსენებული ფარული დინებების კონკრეტულ სიტუაციაში გააქტიურების შედეგია.

შეიძლება ითქვას, რომ სამცხე-ჯავახეთის ბოლო საუკუნეების ისტორია ამ ტერიტორიების ფლობისათვის რუსეთისა და თურქეთის ბრძოლის ისტორიაა, რაც მე-20 საუკუნეშიც გრძელდება და იგი წინა საუკუნეებთან შედარებით ფორმაშეცვლილია: მოვლენების ნამდვილი საფუძველი – თითოეული ამათგანის იმპერიული ინტერესები მიჩქმალულია. ზედაპირზე ჩანს ხალხი განსხვავებული კონფესიებით და იმის მტკიცე შეგნებით, რომ შენი მეზობელი გებრძვის იმიტომ, რომ „თათარია" და უნდა მოგსპოს, გაგანადგუროს როგორც ქრისტიანი, თვითონ კი შენს მიწა-მამულს დაეპატრონოს. რა თქმა უნდა, მოსახლეობა ვერ შევა იმის განსჯაში, თუ რატომაა ის „თათარი" განსაკუთრებით აგრესიული მართლმადიდებელი ქრისტიანის მიმართ და ნაკლებად – კათოლიკესა და გრიგორიანის მიმართ. ამ წიგნის „ისტორიები" მშვენიერ მასალას იძლევა ამ საკითხებზე მსჯელობისათვის და წიგნის ავტორის გამოკვლევითი ნაწილი მოვლენებს მართებულად აანალიზებს, ხსნის მათ სიღრმისეულ ისტორიულ საფუძვლებს.

XX საუკუნის კატაკლიზმების წინმსწრები ისტორიული მოვლენები დაახლოებით ასე გამოიყურება:

XV – XVI საუკუნეებიდან XVIII საუკუნის მეორე ნახევრამდის, ვიდრე რუსეთის აქტიურად გამოჩნდება ამიერკავკასიაში და, შესაბამისად, სამცხე-ჯავახეთშიც, თურქეთმა მოახერხა ამ ტერიტორიის არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ რელიგიური დაპყრობაც. ისე რომ, 1768 წელს დაწყებულ რუსეთ-თურქეთის ომში რუსეთის მხარეს მებრძოლი საქართველს მხედრობის პირისპირ დგას თურქეთის ჯარი, რომლის მეომართა ძირითად ნაწილს შეადგენენ რელიგია და ცნობიერებაშეცვლილი მესხები. ამ ომში რუსეთს აინტერესებს არა თურქეთისათვის საქართველოს ყოფილი ტერიტორიების წართმევა, არამედ ის, რომ აიძულოს იგი თავისი სამხედრო ძალის ნაწილი დააბანდოს აღმოსავლეთის ფრონტზე,

რათა მას დასავლეთში სამხედრო მოქმედებები გაუადვილდეს. ამიტომ ენერგიული ერეკლე II-ის მიზანი, რომ რუსეთთან მოკავშირეობით დაუბრუნოს საქართველს მესხეთ-ჯავახეთი, განუხორციელებელი რჩება. ომის დასაწყისში მიცემულ პირობას, რომ ქართველთა მიერ დაკავებულ ტერიტორიებს ზავის შემთხვევაში მათ შემოუმტკიცებს, რუსული დიპლომატია მუდმივად არღვევს და აიძულებს ერეკლეს, რომ მის მიერ აღებული ციხე-ქალაქებიდან და ტერიტორიებიდან უკან გაბრუნდეს. ასე გრძელდება XVIII საუკუნის ბოლომდის, რუსეთსა და თურქეთს შორის ომებისა და დაზავებების გაუთავებელი მონაცვლეობის პერიოდში.

მაგრამ აი, დგება XIX საუკუნე. რუსეთი უკვე თავისი იმპერიის ფარგლებში აქცევს ამიერკავკასიის პოლიტიკურ ფლაგმანს, საქართველოს, და იწყებს ბრძოლას იმპერიის საზღვრების სამხრეთით გადაწევისათვის. მიმდინარეობს რუსეთ-თურქეთისა და რუსეთ-სპარსეთის ომები, რომლის დროსაც რუსეთის არმიის მინიშვნელოვან დამრტყმელ ძალას წარმოადგენენ ქართველი მეომრებისაგან შემდგარი სახალხო ლაშქრის ნაწილები ეროვნებით ქართველი ოფიცრების მეთაურობით.

გადამწყვეტი ეტაპი სამცხე-ჯავახეთის ისტორიაში აღმოჩნდა რუსეთ-თურქეთის 1828–1829 წლების ომი. ამ ომის შედეგად სამცხე-ჯავახეთი, ამ კუთხის პოლიტიკური ცენტრით, ახალციხით, კვლავ საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნდა (1828 წლის აგვისტოს ანდრიანოპოლის ზავი), მაგრამ დაბრუნდა შეცვლილი სარწმუნოებით და, რაც მთავარია, შეცვლილი ეროვნული ცნობიერებით. შეიქმნა პირობები 200 წლის განმავლობაში ინტენსიური თურქიზაციით ეროვნებაშეცვლილი მოსახლეობის კვლავ გაქართველებისა, მაგრამ რუსეთის იმპერიის პოლიტიკური მიზნები ამას არ ითვალისწინებდა – მას აინტერესებდა ტერიტორია და არა ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხი. ნიშანდობლივია რუსული ხელისუფლების ერთი დიდმოხელის პასუხი ახალციხის, ქვაბლიანის, აბასთუმნის, ფოცხოვის, სანჯაყების ბეგების თხოვნაზე, როცა 1840 წელს ისინი გამოცხადდნენ მასთან წინადადებით, რომ მთელი კუთხის მოსახლეობასთან ერთად დაუბრუნდებოდნენ ქრისტიანობას, თუ მთავრობა მათაც ისეთსავე პირობებს შეუქმნიდა, როგორიც ქართველ თავად-აზნაურობას ჰქონდა. პასუხი პეტერბურგიდან ასეთი იყო: „ჩვენ გვჭირდება არა მაჰმადიანთა გაქრისტიანება, არამედ რაც შეიძლება ბევრი თავისუფალი სახაზინო მიწა."

„რაც შეიძლება ბევრი თავისუფალი სახაზინო მიწა" – ესაა ის უმთავრესი ნიშანსვეტი, რომელიც განსაზღვრავს რუსეთის იმპერიის მოქმედებას ამიერკავკასიაში. აღწევს კიდევაც ამას იგი სამხედრო ძალისა და ვერაგული პოლიტიკის გამოყენებით: იმპერიის საზღვრებს სამხრეთით გადასწევს და თავისი მიზნების შესაბამისად არეგულირებს ამ ტერიტორიებზე დემოგრაფიულ სიტუაციას. ამ გეგმის ნაწილია XIX ს-ის 70-იანი

წლების კიდევ ერთი, კავკასიის ხალხებისათვის ტრაგიკული, მოვლენა – მუჰაჯირობა: რუსეთის პოლიტიკამ მოახერხა, რომ ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობის ნაკადები დაიძრა წინა აზიის ქვეყნებისაკენ, რასაც შემდეგ ზოგი ეთნიკური ჯგუფის გაქრობაც მოჰყვა (გავიხსენოთ დღევანდელი სოჭის მიდამოებში მოსახლე ადიღური მოდგმის ხალხის, უბიხების, ბედი). სამაგიეროდ რუსეთმა მიიღო რაც მისთვის უმთავრესი იყო: „ბევრი თავისუფალი სახაზინო მიწა". ამ პროცესებმა მტკივნეული დაღი დაასვა მესხეთ-ჯავახეთსაც და, როგორც სამართლიანად შენიშნავს ამ წიგნის ავტორი, „XX საუკუნის დასაწყისს ოდესღაც დიდებული და გამოჩინებული სამცხე-საათაბაგო დაშლილ-დაფლეთლი ტერიტორიით და უმძიმესი დემოგრაფიული და სოციალური ვითარებით შეხვდა."

XX ს-ის პირველმა ოცწლეულმა კიდევ ერთი ტრაგიკული ფურცელი გადაშალა მესხეთ-ჯავახეთის ისტორიაში: რუსეთის რევოლუციამ, იმპერიისაგან განთავისუფლებული საქართველოს მთავრობის სისუსტემ, თურქეთს კვლავ გამოუღვიძა XIX საუკუნის განმავლობაში დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების იმედი. ტერიტორიის დასაბრუნებლად კი საჭიროდ მიიჩნევს, რომ ეს კუთხე გაიწმინდოს ქართველებისაგან, უფრო სწორად, მართმადიდებელი ქრისტიანი მოსახლეობისაგან. გადმოისვრის ლოზუნგს: აწყურამდის ან მხოლოდ ჩვენ (თურქები) უნდა ვიყოთ, ან მხოლოდ ეგენი (ქართველები). ფარული დიპლომატია კარგად ფლობს ხალხის ბრბოდ გადაქცევისა და ამ ბრბოს ეგზალტირების ტექნოლოგიას. ეგზალტირებული ბრბო რომ მხოლოდ იმპულსურად მოქმედებს, ცნობილი ფაქტია და ეს კარგად დაგვანახა, თუნდაც, ჩვენი ქვეყნის უახლოესმა ისტორიამ. თურქეთის აგენტურა სულ იოლად ახერხებს, რომ ამ ტერიტორიაზე აამოძრაოს პროთურქული ძალები და ადგილობრივ ქართველობას 1918-1919 წლებში თავს დაატეხოს ორი გამანადგურებელი გენოციდი, რის თავიდან აცილებასაც ვერ ახერხებს იმდროინდელი სუსტი მენშევიკური მთავრობა.

ბოლო ტრაგედია ამ ტერიტორიაზე ისტორიის ბორბალმა 1944 წელს დაატრიალა. ახლა უკვე მსოფლიო გლობალურ პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაბმულმა რუსეთის წითელი იმპერიის ინტერესებმა მოუშალა მესხეთის მაჰმადიანურ მოსახლეობას საცხოვრისი და გაუყენა გზას შორეული შუაზიისაკენ. ეს ბოლო ტრაგედია, როგორც ცნობილია, დღემდე გრძელდება: XX ს-ის 80-90-იანი წლების გასაყარზე უკვე სულთმობრძავმა იმპერიამ გაიხსენა ფერღანის ხეობაში თითქოს მკვიდრად მოსახლე „თურქი მესხები", თავს დაატეხა მათ უმწვავესი ეთნოკონფლიქტი და მიუთითა მამა-პაპათა ოდინდელი საცხოვრისისკენ. მიზანი ყრუსთვისაც ცხადია: საქართველოში „თურქი მესხების" უმტკივნეულო დაბრუნება დიდ სიძნელეებს უკავშირდება – აქ მათი კვლავ ჩამოსახლება შექმნის კონფლიქტურ სიტუაციებს მათსა და მათს ოდინდელ ნაცხოვრებ ადგილებზე

ამჟამად მცხოვრებ მოსახლეობას შორის. ამიერკავკასიის ტერიტორიაზე შექმნილ და დაკონსერვებულ არეულობის კერებს მიემატება კიდევ ერთი, რაც რუსული იმპერიული ძალებისათვის აქ ყოფნის გახანგრძლივების იმედად გამოიყურება.

პოლიტიკა პოლიტიკაა, მაგრამ ამ პოლიტიკით აღძრული კატაკლიზმები ხალხის ტრაგედიაა. იგი არასდროს იშლება მათი თვითმხილველი და თვითგანმცდელი პიროვნებების მეხსიერებიდან. ამიტომ გასდევს ასე ტკივილიან ზოლად მესხი ქალების ნაამბობ „ისტორიებს" მათი ტერმინოლოგიით, „თათრობის" ამბები და მათ ნაამბობში თითქოს კვლავაც გამოკრთის შიში გარდასულისა და მომავლის წინაშე.

ერთი რამ კი უეჭველად საგულისხმოა აქ წარმოდგენილ ტექსტებში: საკმარისია სულ ცოტა ხნით სიტუაციის ჩაწყნარება და, თუნდაც ერთიორი ათეულწლიანი სიმშვიდე, რომ მოსახლეობაში მყარდება კეთილმეზობლური ურთიერთობები და განწყობილებები, რასაც ხელს ვერ უშლის ვერც ეროვნული და ვერც კონფესიური სხვადასხვაობები, თუ რაიმე ძალებმა გარედან კვლავ არ აურიეს მათი დამოკიდებულებები. ამ მხრივ აქ წარმოდგენილი მასალები ბევრ საგულისხმოს შეიცავს მომსვლელისთვისაც და დამხვედრისთვისაც.

ამ წიგნის გამოცემით მისი გამომცემელი უეჭველად დიდ საქმეს აკეთებს თუნდაც იმიტომ, რომ მეცნიერული მიმოქცევისკენ გზას უხსნის ისტორიის უძვირფასეს წყაროს, რომელიც მანამდის უხმარად იდო დიალექტოლოგიური ტექსტების არქივში და ზოგიც – დაუფიქსირებლად, ადამიანთა მეხსიერებაში. წიგნის ავტორმა იგი უეჭველი გაქრობის საფრთხეს გადაარჩინა.

*გიორგი ცოცანიძე*
*11.05.2005.*

# წინასიტყვაობა

წარმოდგენილი ინტერვიუები მოპოვებულია გასული საუკუნის 80-90-იან წლებში, სამცხე-ჯავახეთში – დიალექტოლოგიური კვლევის მიზნით. ეს მასალა, უპირველეს ყოვლისა, ლინგვისტური თვალსაზრისით არის ღირებული, რადგან აქ დაფიქსირებულია XX საუკუნის სამცხე-ჯავახეთის მკვიდრთა რამდენიმე თაობის მეტყველების თავისებურებანი.

მასალა გადმოწერილია აუდიოფირებიდან (30-მდე კასეტა, 50-ზე მეტი მთხრობელი) ზედმიწევნითი ლინგვისტური სიზუსტით, დაცულია თხრობის სტილური თავისებურებანი, ფორმათა ვარიანტული სახესხვაობები, შეძლებისდაგვარად ვცადეთ აგვესახა დიალექტის ზოგიერთი ინტონაციური თავისებურებაც. ტექსტები არ არის გასწორებული „დიალექტური ნორმის" მიხედვით, გადმოწერის დროს დაცულია თხრობის თანმიმდევრობა და ტექსტი მთლიანად ემთხვევა აუდიოფირზე ჩანაწერს. ჩვენი მთავარი მიზანი, როცა საკონკურსო პროექტზე ვმუშაობდით, იყო ამ მასალების აუდიოფირებიდან გადმოწერა და სამეცნიერო მიმოქცევაში მათი შეტანა. გამოსაცემად მომზადდა დიალექტური ტექსტების ლინგვისტურად სანდო და საკმაოდ მოცულობითი კრებული, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მრავალმხრივი კვლევისათვის.

საველე მუშაობისას ჩემი მთავარი მეცნიერული ინტერესი იყო, რაც შეიძლება ხანგრძლივი გაბმული მეტყველების მონაკვეთების დაფიქსირება, საუბრის თემა წინასწარ განსაზღვრული არ ყოფილა, ხშირად მოგზაურობისას თან მახლდა მამაჩემი ან სხვა ახლობელი პირი, რომელსაც, როგორც წესი, კარგად იცნობდა რესპონდენტი, ამის გამო ეს საუბრები იყო უშუალო და შინაურული, ხშირად მასში ერთვებოდა რამდენიმე პირი – ესეც დაფიქსირებულია და ტექსტებში უცვლელად გადმოტანილი.

– მიამბეთ თქვენს ცხოვრებაზე! – ასე ვიწყებდი საუბარს და არც კი მიფიქრია, რომ სამცხურ-ჯავახურის ენობრივ თავისებურებებთან ერთად აუდიოფირზე ვაფიქსირებდი ამ ადამიანების ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან მომენტებს. მათი პირადი თავგადასავლებისა და განცდების პარალელურად „ვინახავდი" საერთო მეხსიერებაში შემორჩენილ „კოლექტიურ ხსოვნას" საერთო წარსულზე, საერთო ტკივილზე, საერთო საფიქრალზე...

- შვილები და შვილიშვილები.
- ქორწინება.

- გაზაფხულიდან შემოდგომამდე (მეურნეობა) რწმენა, ეკლესია, ნათელ-მირონობა.
- სიკვდილი.
- ხელსაქმე.
- კოლექტივიზაცია, კოლმეურნეობაში მუშაობა.
- II მსოფლიო ომი.
- პოლიტიკა.
- იუმორი...

აი, ის ძირითადი თემები, რომლის ირგვლივაც წარიმართებოდა ხოლმე დაწყებული საუბარი, და თითქმის არცერთ მათგანს არ აუვლია გვერდი თემისთვის: თათრობა და თათრების გასახლება (საქართველოში დამკვიდრებული ტრადიციისამებრ მესხეთში „თათარს" უწოდებდნენ სხვადასხვა ერის მაჰმადიან მოსახლეობასაც და გამუსლიმებულ მესხებსაც. რასაკვირველია, ჩვენ კარგად გვესმის ამ ტერმინთა მნიშვნელობა და ისტორიული შეუსაბამობა, მაგრამ არ ვცვლით ტექსტებისეულ ტერმინოლოგიას, რადგან ვფიქრობთ, რომ ისინი ზუსტად ასახავენ ეროვნული, კონფესიური და ტომობრივი იდენტიფიკაციის იმ კონკრეტულ სისტემას, რომელზეც წიგნშია მოთხრობილი).

როცა ვცდილობდი ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს" ქალთა პროგრამის მიერ გამოცხადებული კონკურსის – „ქალთა ზეპირი ისტორიები – დოკუმენტირება და კვლევა" და ჩემი სამეცნიერო ინტერესის „ურთიერთმორიგებას", მივხვდი, რომ ათეული წლების წინ დაფიქსირებული ეს „ცხოვრებები" დრომ უნიკალურ ისტორიულ დოკუმენტებად აქცია, რომ ამ ფირებზე აღბეჭდილი XX საუკუნე აღარ განმეორდება არსად და არასდროს, რომ თითოეული ამ ადამიანის ცხოვრება ჩვენი ქვეყნის ახალი ისტორიის თითო ძალიან ცოცხალი, ძალიან მეტყველი ფურცელია.

მრავალმხრივი თემატიკიდან ჩვენ გამოვყავით ერთი – მიგრაციები XX საუკუნის I ნახევრის სამცხე-ჯავახეთში. ბუნებრივია, ტექსტებში ასახულია ამ თემასთან უშუალოდ დაკავშირებული სხვა პრობლემებიც, როგორიცაა: ერთა შორის ურთიერთობის, სახელმწიფო ეროვნული და ენობრივი პოლიტიკის, დემოგრაფიული სიტუაციის ჩამოყალიბებისა და განვითარების, სამცხე-ჯავახეთის მაშინდელი მოსახლეობის ეროვნული იდენტობის და სხვა საკითხები.

ვფიქრობთ, ამ კუთხით წარმოდგენილი და გააქტიურებული ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტური მასალები მრავალმხრივ საინტერესო უნდა იყოს მკითხველისთვის. XX საუკუნის 20-იან წლებში სამცხე-ჯავახეთში დატრიალებული სისხლიანი ტრაგედიები და საბჭოთა მთავრობის მიერ 1944წ. განხორციელებული მასობრივი იძულებითი მიგრაციები ათეული წლების მანძილზე ტაბუდადებული თემა იყო და მხოლოდ საუკუნის მიწურულს გახდა ამ საკითხებზე წერა შესაძლებელი.

ჩვენმა „მშობლიურმა" XX საუკუნემ გაცილებისას კიდევ ერთხელ შეგვახსენა, რომ ყალბად ნაწერი ისტორია აუცილებლად ხელახლა „გადაიწერება" ხოლმე, სიმართლისა და ობიექტურობის ძებნისას კი ყველაზე საიმედო დასაყრდენი თვითმხილველია. აქ წარმოდგენილი მასალა სწორედ თვითმხილველთა ჩვენებებია ჩვენი ქვეყნის ახლო წარსულის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო და საზოგადოებისთვის შედარებით ნაკლებად ნაცნობ მონაკვეთზე: ეს არის ხალხის მეხსიერებაში შემორჩენილი უნიკალური დოკუმენტური კადრები, მაგრამ ყველაზე ობიექტური დოკუმენტური კადრიც კი სუბიექტურობის ნიშნით არის აღბეჭდილი, როცა „კამერა", თუნდაც ძალიან მგრძნობიარე, მხოლოდ ერთი კუთხიდან აფიქსირებს მოვლენებს. ჩვენი „ისტორიები" ძირითადად ადგილობრივი ქრისტიანი ქართველი მოსახლეობის მონათხრობს წარმოადგენს, თუმცა რამდენიმე მაჰმადიანი მოქალაქის „ჩვენებაც" მოვიძიეთ საარქივო დოკუმენტებში. ვფიქრობთ, რომ აქ წარმოდგენილი მასალა ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც თითოეულმა მესხურმა ოჯახმა შემოინახა თავის მეხსიერებაში. ყველა ასეთი „ისტორია" მხოლოდ სასიკეთოდ წაადგება და სრულყოფს ჩვენი წარსულის დოკუმენტირებული კვლევის საქმეს. საკითხის აქტუალურობისა და მასალის სპეციფიკურობის გამო, ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო, სამეცნიერო მიმოქცევისთვის მოგვემზადებინა მთელი მასალა, ხოლო საკონკურსო კვლევისთვის გაგვეთვალისწინებინა ქალთა ისტორიები, როგორც ამას საკონკურსო პროგრამა მოითხოვდა.. მუშაობის პროცესში დავრწმუნდით, რომ ჩვენთვის საინტერესო ისტორიული მოვლენების შესახებ სრულყოფილი წარმოდგენის შესაქმნელად აუცილებელი გახდებოდა „მამაკაცთა მეხსიერების" გათვალისწინებაც, თუნდაც იმიტომ, რომ თავისი სოციალური მდგომარეობის გამო ამ პერიოდის უამრავი საინტერესო ეპიზოდის თვითმხილველი მხოლოდ მამაკაცი შეძლება ყოფილიყო. გაგვიჭირდა საომარი ოპერაციების, თათრების გასახლების, ჩეჩნებისა და ყირიმელი თათრების გასახლების უშუალო მონაწილეთა მონათხრობის უგულებელყოფა. მამაკაცთა ისტორიები ვერ გამოვტოვეთ იმის გამოც, რომ ისინი ხშირად მოგვითხრობენ ქალების მიმართ გამოჩენილ სისატიკეზე, გვიამბობენ „თათრობის" პერიოდის გამოჩენილ ქალებზე.

თუმცა ჩვენი კვლევა ძირითადად ეყრდნობა მოვლენათა ეპიცენტრში მოხვედრილი რამდენიმე მანდილოსნის „ისტორიას". სხვა მთხრობელები ერთგვარად ავსებენ და აზუსტებენ მათ ნაამბობს.

მესხი ქალები პირველად ლაპარაკობენ ასე ხმამაღლა გადატანილ ტკივილზე, დამცირებაზე, შიშზე... ისე გაიარა ბევრმა ათეულმა წელმა, რომ საქართველოს ეს ტკივილი არ გაუგია, არ გაუზიარებია, საერთო ქართულ ტკივილად არ აღუნუსხავს საერთო ქართულ მეხსიერებაში – არც წიგნით, არც ფილმით, არც ლექსით, არც ცრემლით!

ამ ისტორიების მთხრობელთაგან ზოგი ბებიად მეკუთვნის, ზოგი მამიდად, ზოგი ბიძად, პაპად... მეც ერთგვარად ვარ ჩართული „ოჯახური ტრაგედიების" ამ „არქივარიუსთა" დინასტიურ ჯაჭვში.

***

აქ წარმოდგენილია ზეპირი ისტორიების მხოლოდ ერთი კერძო კოლექცია, ისიც არამიზნობრივად შეკრებილი, თუმცა ერთი მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთება ამ მასალის საფუძველზეც ხერხდება: სხვადასხვა პირების მიერ მოთხრობილ ამ ისტორიებს საოცარი შინაგანი ერთიანობა ახასიათებს. ეს გახლავთ „ხალხური ისტორიოგრაფიის" ერთგვარი ნიმუში. კოლექტიური მეხსიერების „დიაპაზონი" საუკუნეზე მეტ ხანს სწვდება, „ჩემი პაპის პაპის" ამბავი აქ ისეთივე ობიექტურობით აღჭურვილი „დოკუმენტია", როგორც საკუთარი თავგადასავალი. „თათრობა" ამ ერთიანი მეხსიერების ერთ-ერთი მთავარი სიუჟეტია, მასთან დაკავშირებული ისტორიები სხვადასვა ხასიათისაა: 1. თათრებისაგან შევიწროება, დევნა, დამცირება. 2. „რევანშისტული" ისტორიები, სადაც მოთხრობილია ქართველთა შურისძიების, მათი ძლიერების, მათი საბრძოლო ან სპორტული გამარჯვებების ეპიზოდები, ქრისტიანული სასწაულები. 3. თათრებთან კეთილმეზობლობის ამსახველი ამბები, შიშიანობის დროს თათრებისგან გამოვლენილი თანაგრძნობის ფაქტები და სხვ.

„ხალხური ისტორიოგრაფია" ისეა „შედგენილი", რომ შთამომავლობას ახსოვდეს საფრთხე, თვალწინ ჰქონდეს ისტორიის „მწარე გაკვეთილები", რეალურად შეაფასოს მოვლენები, განსაზღვროს შესაძლო და დასაშვები კომპრომისები. აქ თანაბარზომიერად არის მოწოდებული სინამდვილის ობიექტური სურათიც, ფაქტების პოლიტიკური შეფასებაც, პრობლემის გადაწყვეტის ხალხური ვერსიაც. უნდა ითქვას ისიც, რომ ეს მოთხრობები გამსჭვალულია შიშით და დრო ჯერჯერობით ვერ ხსნის ამ შიშს.

იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ნაშრომის კვალდაკვალ აუცილებლად გამოჩნდება პირად არქივებში დაცული ბევრი ზეპირი ისტორია, რომელიც „ხალხური ისტორიოგრაფიის" ახალ სანდო დოკუმენტად იქცევა.

დიდ მადლობას მოვახსენებ ბატონებს: დავით ზედგინიძეს, მერაბ ბერიძეს, ავთანდილ ბერიძეს, ზურაბ ქუქჩიშვილს და ლევან ისაკაძეს წიგნზე მუშაობისას გაწეული დახმარებისათვის.

მადლობა ჩემს ყველა რესპონდენტს, ძვირფას და დაუვიწყარ ადამიანებს – მათ, ვინც ჩემთან ერთად წერდა ამ წიგნს.

მადლობას ვუხდი ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოს" ქალთა პროგრამას ფინანსური დახმარებისათვის.

## „რეიზე" – რატომ?

ჩვენს ოჯახში ცხოვრობდა და ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა მამაჩემის დედინაცვალი თამარ გიორგის ასული მელიქიძე, მეტსახელად „რეიზე".

„რეიზ ბაბო" – ასე ვეძახდით მე და ჩემი და-ძმა. ფაშფაშა, ენერგიული ქალი იყო, უთვისტომო, უშვილძირო – ამქვეყნად ჩვენს მეტი არავინ გააჩნდა. ბავშვობაშივე ნახევრად დაყრუებულს, სიბერეში თვალსაც დააკლდა და ჩემს მახსოვრობაში უკვე ასეთი დარჩა: გარე სამყაროსგან თითქმის მოწყვეტილი, უხილავ თანამოსაუბრესთან თუ თავის თავთან ხმამაღლა მოლაპარაკე. ხანდახან თითქოს რაღაცა ფიქრი გააშეშებდა, ნახევრად დაშრეტილ თვალებს მაღლა აღაპყრობდა, ერთხანს იყო ასე გარინდებული, მერე კი ხელს უმწეოდ ჩაიქნევდა და რაღაცნაირი საყვედურით შესტირებდა ზეცას: – ჰაი, უარაია, უარაია! დაიწვი, უარაია! მე სისხლი მეყინებოდა ძარღვებში – შიშისგან და სიბრალულისგან!

ვინც იცის, რას ნიშნავს ოჯახში სმენადაქვეითებულ ადამიანთან ერთად ცხოვრება, ის კარგად გაიგებს ჩემი და რეიზეს განსაკუთრებულ ურთიერთობას. მასთან დიდხანს ყოფნა და საუბარი, რა თქმა უნდა, ყველას უჭირდა. თანდათან ვიქეცი მის „თარჯიმნად" და ერთგულ მსმენელად. მისი მოყოლილი ამბები საშინელი და მძიმე იყო. ხშირად მესიზმრებოდა და ძილში ვყვიროდი ხოლმე. რეიზესგან გავიგე პირველად სიტყვა „მოსისხლე" და ამ „მოსისხლის" ზმანება – საშინელი, მგლისთავა, ცეცხლისფერთვალებიანი ადამიანი, მეც ისევე მდევდა ღამის კოშმარებში, როგორც რეიზეს და მის უბედურ და-ძმებს გაზაფხულის იმ ავადმოსაგონარ ღამეს.

რეიზე ახალქალაქის მაზრის სოფელ აფნიაში დაიბადა, გიორგი მელიქიძის ოჯახში, 1901 წელს (ასე ეწერა მის პასპორტში). როცა „მოსისხლე" მოვიდა, დედ-მამამ ხელი დაავლო თავის თორმეტ შვილს, მიატოვა სახლ-კარი, სარჩო-საბადებელი და ოჯახის სხვა წევრებთან და თანასოფლელებთან ერთად ბაკურიანის ტყეებს შეაფარა თავი. ბავშვები ფეხით, უქალამნოდ მიჰყვებოდნენ ურმებს. საკოჭავში კოკისპირულმა წვიმამ და სეტყვამ მოუსწრო. ის საშინელი ღამე, ეტყობა, მთელი ცხოვრება კოშმარად სდევდა – ყველაზე ხშირად ამ ამბავს იგონებდა. წარღვნას და შიმშილს გადარჩენილი ოჯახი სხვებთან ერთად უარაიაში გადავიდა: – ჰაი, უარაია, უარაია! დაიწვი, უარაია! (უარაია, იგივე უარაიაზი, – ახლანდელი გარდაბანი). აქ მთელი ოჯახი შავმა ჭირმა იმსხვერპლა.

დაეხოცა მშობლები, თერთმეტივე და-ძმა, ბიძები, ახლობლები... (ამ ამბების შესახებ თხრობისას სიტყვაძუნწობდა, ეტყობა, ძალიან პატარა რომ ვიყავი, მზოგავდა).

უპატრონო და ობოლი სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩა. ღმერთმა ლანჩხუთში, და-ძმის – ცუნუ და პაჭუ ჟორდანიების – ოჯახში გაუჩინა ლუკმა და თავშესაფარი. საკოჭავის ტყეების აპოკალიფსური სურათების შემდეგ ჩემს მეხსიერებაში აღიბეჭდა მისი სიყმაწვილისდროინდელი კიდევ ერთი ძალიან მკაფიო კადრი: იმ წელს იმხელა თოვლი მოვიდა გურიაში, ეზოში გვირაბები გააკეთეს და იმ გვირაბებით მივდიოდით ჭასთან, ბოსელთან, მეზობელთანო...

ჟორდანიების ოჯახი მისი ცხოვრების ერთადერთი ნათელი წერტილი იყო (სიკვდილამდე იფიცებდა პაჭუს სულს და მის ვაჟიშვილ ლევანს, რომელსაც ბავშვობაში ძიძობას უწევდა).

მალე ბოლშევიკები შემოვიდნენ. ნოე ჟორდანია და მისი მთავრობა საქართველოდან გარბოდა. რეიზეს ლანჩხუთელი პატრონები ნოე ჟორდანიას ბიძაშვილები იყვნენ. „– ბათუმში ფეხით ჩავედი, ჟორდანიასთან ლანჩხუთის მიწა მე გამატანესო," – საიდუმლოდ ჩამჩურჩულებდა ყურში – ისევ დაჭერის ეშინოდა.

...სკამზე ფეხებაკეცილი, შიშით, მაგრამ დიდი გულისყურით ვისმენდი რეიზეს ისტორიებს. რა თემაზეც არ უნდა ელაპარაკა, ბოლოს მაინც უმწეოდ შესტირებდა ხოლმე ცას: „– ჰაი, ყარაია!"

მისი ნამდვილი სახელი, – თამარი, თითქმის აღარავის ახსოვდა. „რეიზე" გურიიდან დაბრუნების შემდეგ შეარქვეს. ახალგაზრდობაში უცხო სამეტყველო გარემოში მოხვედრილს, მშობლიური დიალექტი თითქმის დავიწყებული ჰქონდა, გურულად უქცევდა და: – რეიზა? – კითხულობდა (რეიზა – რატომ; გურ.)

– დაიწვი, ყარაია, როგორც დაიწვა ჩემი ყისმათი! – სასოწარკვეთილი შეძახილი და მისი სახელი – უპასუხოდ დარჩენილი კითხვა: რეიზა? – რატომ?

***

რატომ და როგორ მივიდა ჩვენი ქვეყანა ამ სამარცხვინო სამოქალაქო ომამდე, რომელიც წელიწადნახევარზე მეტ ხანს მძვინვარებდა სამცხე-ჯავახეთში?

1917-19 წლებში სამხრეთ საქართველოში განვითარებული მოვლენების კვლევა და ფართო საზოგადოებისთვის ამ კვლევის შედეგების გაცნობა საბჭოთა იმპერიის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა, ამიტომ მხოლოდ გასული საუკუნის ბოლოს გახდა შესაძლებელი ამ საკითხებზე დაუფარავად წერა. XX საუკუნის ქართულმა საზოგადოებამ ამ მოვლენებს სათანადო ადგილი ვერ მიუჩინა თავის ისტორიულ მეხსიერებაში, შესა-

*რეიზე – თამარ მელიქიძე. „– დაიწვი, ყარაია, როგორც დაიწვა ჩემი ყისმათი!“ – სასოწარკვეთილი შეძახილი და მისი სახელი – უპასუხოდ დარჩენილი კითხვა: რეიზა? – რატომ?*

ბამისად, ვერც იმ ავადმოსაგონარი წლების მსხვერპლთ მიაგო სათანადო პატივი, ვერც მაშინ განცდილი დანაკარგი შეაფასა ჯეროვნად და ვერც ის შეცდომები გააანალიზა სათანადოდ, რამაც ქვეყანა ამ ტრაგედიამდე მიიყვანა. საუკუნის მიწურულს მესხეთის „დიდმა ქრონოგრაფმა“, აწ გარდაცვლილმა შოთა ლომსაძემ, ქართველობას შეახსენა ჩვენთვის საინტერესო პერიოდის სამცხე-ჯავახეთის „მწარე გაკვეთილები“ (ლომსაძე, 1995, გვ. 238-307). გაჩნდა სხვა ავტორთა რამდენიმე გამოკვლევა და პუბლიკაციაც, რომლებმაც რამდენადმე შეავსო ამ საკითხების ირგვლივ არსებული საინფორმაციო ვაკუუმი.

თარიღების, ფაქტების, ისტორიული პირების გრძელ ჩამონათვალში იშვიათად ჰპოვებს ხოლმე ადგილს ხალხის მეხსიერებაში შემორჩენილი უამრავი დეტალი. მეცნიერული კვლევის ჩარჩოები ვერ იტევს ინფორმაციას უამრავი უსახელო გმირისა და პერსონაჟის შესახებ. სტატისტიკის ენა უძლურია უბრალო ადამიანების ტკივილებისა და განცდების გადმოსაცემად. ჩვენი „ისტორიები“ იმ „მწარე გაკვეთილების“ ნაწილია, XX საუკუნის „გარიჟრაჟზე“ სამცხე-ჯავახეთში რომ განვითარდა.

# ცოტა რამ ისტორიიდან

## (გადაგვარების ტექნოლოგია)

თურქეთის სამასწლიანი ბატონობისა და რუსეთის საუკუნოვანი მიზანდასახული პოლიტიკის შედეგად XX საუკუნის დასაწყისს ოდესღაც დიდებული და გამოჩინებული სამცხე-საათაბაგო დაშლილ-დაფლეთილი ტერიტორიით და უმძიმესი დემოგრაფიული და სოციალური ვითარებით შეხვდა.

ამ დროს კუთხის ძირითად მოსახლეობას შეადგენდნენ ქართველები, სომხები, თარაქმები (თურქული წარმოშობის ტომები), ქურთები, დუხობორი რუსები, მცირე რაოდენობით ბერძნები და ებრაელები. გენეტური ქართველებიდან მაშინ მიღებული ტერმინოლოგიით ქართველად ითვლებოდნენ მხოლოდ მართლმადიდებელი ქართველები. კათოლიკეები, თუ ისინი სომხური რიტით (ტიპიკონით) მსახურებდნენ, – სომხებად იწოდებოდნენ, ლათინური რიტის მქონეები კი – ფრანგებად. რაც შეეხება მაჰმადიან ქართველებს, ისინი თავიანთ თავს თათარს უწოდებდნენ და სხვებისგანაც ასე იწოდებოდნენ, თვითიდენტიფიკაციას რელიგიური ნიშნით ახდენდნენ თურქული წარმოშობის მოსახლეობასთან და არა მართლმადიდებელ ან კათოლიკე ქართველებთან. ქართველი მაჰმადიანები ახალციხის მაზრაში მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ და ახალქალაქის მაზრაშიც საკმაოდ სახლობდნენ. ისინი, როგორც ვთქვით, თავს მოსახლეობის სხვა მაჰმადიან ჯგუფებთან აიგივებდნენ, მაგრამ, მათგან განსხვავებით, ჰქონდათ ისტორიული სამშობლოს განცდაც და მიწა-წყალზე საკუთარი ისტორიული უფლებების ხაზგასასმელად და სხვა, მოსული მაჰმადიანური ტომებისგან გასამიჯნად თავის თავს უწოდებდნენ „იერლის“ ან „ბინალის“, რაც „ადგილობრივს“ ნიშნავს.

საუკუნოვანმა დანაშაულებრივმა ტრადიციამ, ეწოდებინათ მაჰმადიანი ქართველისთვის „თურქი“ და გაემიჯნათ იგი დანარჩენი ქართველობისგან, ასეთი შედეგი გამოიღო. ამ ტრადიციას XIX ს-ს დასაწყისში, პასკევიჩის შემოსვლისთანავე დაედო საფუძველი.

XX ს-ის დასაწყისისთვის კუთხის ისტორიული მკვიდრი ქართული მოსახლეობა აღარ წარმოადგენდა ეთნიკური ერთობით გამთლიანებულ მონოლითურ საზოგადოებას. ენობრივი სიტუაცია ამ დროისთვის ასეთი იყო: გაბატონებული ენა იყო თურქული; ქართულად ლაპარაკობდნენ და

ერთმანეთთან ქართულად ურთიერთობდნენ ქრისტიანი ქართველები (მართლმადიდებელი და კათოლიკე). მაჰმადიან ქართველთა დიდმა ნაწილმა იცოდა ქართული, თუმცა მათი დედაენა თურქული იყო. კუთხის სხვადასხვა ეროვნების მოსახლეობა ერთმანეთს თურქულად ეკონტაქტებოდა, მათ შორის სომხებიც, რომლებიც ერზრუმიდან იყვნენ ჩამოსახლებულები და ფლობდნენ ამ ენას.

ეროვნული და რელიგიური მრავალფეროვნების ასეთი ფართო სპექტრით სამცხე-ჯავახეთი ერთგვარ „ლაბორატორიად" იქცა, სადაც თურქეთის მიერ დაწყებული ექსპერიმენტი რუსული და სომხური ძალების ხელშეწყობით წარმატებით უნდა დაგვირგვინებულიყო. ამ ლაბორატორიაში ეს, თითქოსდა ერთმანეთის მტერი ძალები, არაჩვეულებრივად „ხმაშეწყობილად", ზედმიწევნითი სიზუსტით, ურთიერთშეთანხმებით და ხელშეწყობით ამუშავებდნენ გლობალური ეროვნული გადაგვარების ტექნოლოგიებს.

ამ ტექნოლოგიის საფუძველჩამყრელი, როგორც ვთქვით, ოსმალეთი იყო. მისმა მოღვაწეობამ ამ მხრივ XIX ს-ის დასაწყისისთვის – რუსეთის მმართველობის შემოღების დროისთვის – უკვე საკმაოდ შთამბეჭდავი შედეგი გამოიღო. მაჰმადიანი ქართველების სამშობლოდან ჩამოშორების პროცესის მიმართულება და ტემპები ასეთი გახლდათ:

რელიგიური ეტაპი (სარწმუნოების შეცვლა).

• გადაგვარება რელიგიაზე შეტევით დაიწყო. XVI საუკუნის 80-იანი წლებიდან ეს შეტევა განსაკუთრებით გააქტიურდა. დაახლოებით 40 წელი (!) გახდა საჭირო იმისთვის, რომ ჯაყელთა სახლის პირველი წარმომადგენელი (ბექა – იგივე საფარ-ფაშა) გამაჰმადიანებულიყო. (ლომსაძე, 1975, გვ. 285), თუმცა მისი ოჯახი კვლავ მართლმადიდებელი იყო და კარის მოძღვარიც ისევ ჰყავდათ.

• აქედან კიდევ ნახევარი საუკუნე დასჭირდა იმას, რომ ოსმალეთის კატეგორიული მოთხოვნით დიდებულთა ოჯახის წევრებსაც შეეცვალათ სარწმუნოება.

• XVII — XVIII ს. სარწმუნოების დაკარგვის პერიოდად შეიძლება ჩაითვალოს. გამაჰმადიანების მექანიზმი ასეთი იყო: ის, ვინც მიწას ფლობდა, სამხედრო ვალდებული უნდა ყოფილიყო, ხოლო სამხედრო ვალდებული – აუცილებლად მუსულმანი. ამ გზით ინტენსიურად მაჰმა დიანდებოდა არა მარტო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ფეოდალთა კლასი, არამედ საქართველოს სხვა კუთხეებიდან აქ მამულების შესაძენად გადასული თავად-აზნაურობაც. (ასე გადასულა ახალციხეში და გამაჰმადიანებულა მამისთვალ ყიფიანი – დიმიტრი ყიფიანის მამის, ქოჩო ყიფიანის, ძმა თუ ბიძაშვილი, იქ ის სელიმ-აღა ყიფიანის სახელით მოღვაწეობდა და სალახორის (დიპლომატის) მაღალ ტიტულს ატარებდა).

• XVII საუკუნის ბოლოსთვის მაღალი ფენა უკვე გამაჰმადიანდა,

გლეხობაში იგივე პროცესი შედარებით ნელა, თითქმის საუკუნის დაგვიანებით იკვლევდა გზას და XIX საუკუნის დასაწყისისთვის სამცხე-ჯავახეთი ოფიციალურად უკვე გამაჰმადიანებული იყო. თუმცა, XVIII — XIX საუკუნეებშიც ისლამი მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის მხოლოდ სოციალური იმუნიტეტის გარანტი იყო და ისინი ფარულად კვლავ იცავდნენ ქრისტეს რჯულს. „ფარული ქრისტიანები" ზეიმობდნენ მართლმადიდებლურ დღესასწაულებს, ძველი ტრადიციით პატრონობდნენ ქრისტიანულ სიწმინდეებს, იცავდნენ მარხვას, იწერდნენ ჯვარს და ჩუმად ნათლავდნენ შვილებს. პლატონ იოსელიანის ცნობით, 1778 წელს გიორგი ბატონიშვილი თავფარავანზე ჩასულა სააგარაკოდ, მას ხლებია ჯავახეთის ფაშა თავისი დიდებულებით, დასწრებია წირვა-ლოცვას უფლისწულთან ერთად, „ძველი სამესხოისა ქალნი და კაცნი დიდისა ლმობიერებითა ისმენდნენ ლოცვასა და ვედრებას სიტყვათა მათსა ენასა ზედა, მათგან არ დავიწყებულთა" (ლომსაძე, 1975. გვ. 297). როგორც ვხედავთ, თვით უმაღლეს ფეოდალთა შორისაც კი კვლავ შენარჩუნებული იყო მართლმადიდებლობისადმი, როგორც მშობლიური აღმსარებლობისადმი „ლმობიერი" შემწყნარებლობა და სიყვარული. XIX საუკუნის 30-იან წლებში, პასკევიჩის შემოსვლისთანავე დაიწყო „ფარულ ქრისტიანთა" მასობრივი ნათლობები.

• XX საუკუნის დასაწყისში ალ. ფრონელს (ყიფშიძეს), რომელიც 1900 წლიდან მომრიგებელ შუამავლად იყო გამწესებული სამცხე-ჯავახეთში, თანამედროვე მესხთაგან ჩაუწერია რამდენიმე ზეპირი ისტორია, რომლებიც მოგვითხრობენ ფარულ ქრისტიანთა მძიმე ცხოვრებაზე XIX საუკუნეში. ამ დროს ბევრი ყოფილა მესხთა შორის ისეთი, ვინც გადასახადებისგან გათავისუფლების მიზნით „სვინათდებოდა" (წინადაცვეთას იღებდა), მაგრამ ფარულად ქრისტიანული წესით ცხოვრებას არ თმობდა. ასეთი „დასვინათებულები" თავიანთ შვილებს ისევ მართლმადიდებლურად ნათლავდნენ და ზრდიდნენ. (ყიფშიძე, 1991, გვ.64). მაგალითად, სოფელ აბში დასვინათებულა ერთი ქართველი, მაჰმადიანურ სახელად სულია უწოდებიათ. ის რეგულარულად დადიოდა ახალციხეში მოძღვართან, დეკანოზ გამრეკელთან, აღსარებას ამბობდა და, ალბათ, ეზიარებოდა კიდეც. გარდაცვალების შემდეგ სულიას მოლა მაჰმადიანურად აპატიოსნებდა, როცა მოვიდა მიცვალებულის მოძღვარი, გააცხადა თავისი სულიერი შვილის ნამდვილი აღმსარებლობა და დიაკვან ანდრია ჯვარიძესთან ერთად წესი აუგო. დიაკვან ანდრია ჯვარიძის მონათხრობის მიხედვით ირკვევა, რომ დასვინათებული ქართველები ტყეებსა და მიუვალ ადგილებში მალულად ნათლავდნენ ბავშვებს. სოფ. ზველის მახლობლად, ტყეში, ისევ შემორჩენილი ყოფილა წყარო, სადაც მღვდლები, მამა-შვილი პავლე და ქრისტეფორე ზედგინიძეები, წლების მანძილზე ნათლავდნენ კუთხის ფარულ ქრისტიანებს. ანდრია ჯვარიძისავე ცნობით, მიუხედავად

ქრისტიანობის დევნისა, მთელ სამცხე-ჯავახეთში ჯვარდაუწერელი არავინ ქორწინდებოდა და რაკი ცხადად ჯვრისწერა არ შეიძლებოდა, ამას მალულად აკეთებდნენ. მამა ანდრია თავისი ძალუას ნათქამს იმოწმებს: მეც სხვებივით „უჩუმად" წამომიყვანეს ჯავახეთიდან, სოფელ ჩუნჩხიდან, ვაჟურად გადაცმული, ზველში ერთ „შიგნი-შიგან მივარდნილსა და ბნელ სახლში" მიმიყვანეს, სადაც ჩემ გარდა ექვსი-შვიდი პატარძალი იწერდა ჯვარს ერთი ლურჯი კაბითო. ფარული ქრისტიანების ხვედრი მძიმე იყო. ისინი წმინდა საიდუმლოებას ღამ-ღამობით, მალულად იღებდნენ ერისკაცად გადაცმული მღვდლისგან, შობის ბრწყინვალე დღესასწაულზე კი ასევე გადაცმულ მოძღვარს სოფლიდან სოფელში ხურჯინით გადაჰქონდა ღორის ხორცის ნაჭერი, რომლითაც უხსნილებდა თავის მრევლს. (ფრონელი, 1991, გვ. 37).

რელიგიურ დევნასა და გაუსაძლის სოციალურ შეჭირვებას ქრისტიანთა ნაწილი დიდი მოთმინებით იტანდა, მაგრამ ძალდატანება დიდი იყო და ბოლოს და ბოლოს ძალა აღმართს ხნავდა.

შეუძლებელია გულგრილი დარჩე მამა ანდრია ჯვარიძის გადმოცემული კიდევ ერთი ამბის მიმართ: მამაჩემი ალექსი და ბიძაჩემი პავლე დასვინათებულან თათრების მოსაჩვენებლად. ეს ასე მოხდა: ძმებმა, ვიდრე შეძლეს, იხადეს თათრის ხარაჯა, – 35 ყურუში. როცა გაუჭირდათ, ერთი წლის გადასახადი სოფლის მღვდელმა, პავლე ზედგინიძემ მისცა. მეორე წელს ახალციხელი კათოლიკე მოძღვარი დაეხმარა. მესამე წელს ძმებმა საკირეში დაიწყეს მუშაობა – 28 ვერსზე ეზიდებოდნენ კირს. ორივეს ტყავი გადასძვრა ზურგზე და ერთი წლის ხარაჯა ძლივს იშოვეს. მეოთხე წელი კიდევ უფრო მძიმე გამოდგა და ორივემ ერთი კაცის გადასახადი ძლივს შეაგროვა. დიდი ყოყმანისა და ურთიერთთავაზის შემდეგ ერთ-ერთი ძმა მივიდა ყადისთან და დასვინათდა. ერთი წელი კიდევ იარა მეორე ძმამ ხილულ ქრისტიანად. მეორე წელს მასაც ძმის ბედი ეწია. ალექსის მურადა დაარქვეს, პავლეს – ბადალა. (ფრონელი, 1991, გვ. 63).

• ამ ისტორიებიდან კარგად ჩანს, რომ მხარის ქრისტიანი და ფარული ქრისტიანი მოსახლეობა ფაქტიურად შეთქმულისა და დაუმორჩილებლის ცხოვრებით ცხოვრობდა. ეს მათ ძალასა და მხნეობას მატებდა, მათ ცხოვრებას აზრს აძლევდა ფიქრი წინაპართა გზის გადარჩენაზე. როგორც ცნობილი მოგზაური დიუბუა აღნიშნავდა, ქართველ მაჰმადიანებს ოსმალების შიში რომ არ ჰქონოდათ, ყველანი გაქრისტიანდებოდნენ და დაუბრუნდებოდნენ წინაპართა რელიგიას (ლომსაძე, 1975, გვ. 306).

• 1840 წელს ახალციხის, ქვაბლიანის, აბასთუმნის, ფოცხოვის სინჯაყების ბეგები, ძველი თავადური გვარების წარმომადგენლები, გამოცხადდნენ რუსეთის სახელმწიფო მოხელესთან და განაცხადეს, რომ მთელი კუთხის მოსახლეობასთან ერთად დაუბრუნდებოდნენ ქრისტიანობას, თუკი მთავრობა მათ ისეთსავე პირობებს შეუქმნიდა, როგორიც ქართველ

თავადაზნაურობას ჰქონდა (!!!). რუსეთის მთავრობის პასუხი ასეთი იყო: ჩვენ გვჭირდება არ მაჰმადიანთა გაქრისტიანება, არამედ რაც შეიძლება ბეკრი თავისუფალი სახაზინო მიწებიო. ქართველ დიდგვაროვანთა შთამომავლებს უარი ეთქვათ ისტორიული სამშობლოს სახელმწიფოებრივ წიაღში თავისი წოდების შესაბამისი სტატუსით ინტეგრაციაზე. ეს კი ყველაფერთან ერთად მათ შვილებს სწავლისა და წინსვლის პერსპექტივას უსპობდა (ლომსაძე, 1995, გვ. 240). ასეთმა ულმობელმა ხელის კვრამ ქართველ ბეგებს საბოლოოდ გააკეთებინა საბედისწერო არჩევანი და მათი გული და გონება სამშობლოს კიდევ უფრო დააშორა.

• უფსკრული მაჰმადიან და ქრისტიან ქართველობას შორის კიდევ უფრო გააღრმავა მაჰმადიანთა მასობრივმა გასახლებამ თურქეთში. რუსეთი სახაზინო მიწების ფონდს ზრდიდა და ათასობით ქართველს სამშობლოდან ერეკებოდა.

• ქრისტიანობასთან ბრძოლა ენერგიულად გრძელდებოდა. ამისთვის ყველაზე ეფექტური გზები ასეთი იყო: გამაჰმადიანება განსაკუთრებული პატივით აღინიშნებოდა, გლეხები გადასახადებისგან თავისუფლდებოდნენ, მაჰმადიანი ქრისტიანთან შედარებით ბევრი პრივილეგიით სარგებლობდა. ქრისტიანებს არ ჰქონდათ იარაღის ტარების უფლება, გულდენჭეტის ცნობით, ქრისტიანებს არ ჰქონდათ ზარების დარეკვის უფლება და სხვ. (ლომსაძე, 1995, გვ. 293).

• XIX საუკუნის 70-იანი წლებისთვის რელიგიური აღმსარებლობის ასეთი სურათი იკვეთება: დიდი ნაწილი მოსახლეობისა უკვე მაჰმადიანია, მხოლოდ მცირე ნაწილი აღიარებს ქრისტეს რჯულს, დანარჩენები – ფარული ქრისტიანები ირიან. 1874წ. გ. ყაზბეგი სოფ. ფარხლის (ალბათ იგულისხმება პარხალი, მ.ბ.) შესახებ ასეთ ცნობას გვაწვდის: 200 კომლიდან მხოლოდ ოთხი აცხადებს თავს მართლმადიდებლად, 80 კომლი ფარული ქრისტიანია, დანარჩენები კი მაჰმადიანები. (ლომსაძე, 1995, გვ. 304; გ. ყაზბეგი, 1875, გვ. 121). (სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის გამუსლიმების მტკივნეულ პროცესზე და იქაურ ფარულ ქრისტიანთა თიოქმის მოწამეობრივ ღვაწლზე ძვირფასი მასალა შემოგვინახა ზაქარია ჭიჭინაძემ –ზ. ჭიჭინაძე, 2004).

• ქრისტიანებისა და „ფარული ქრისტიანების" რიცხვი თანდათან იკლებს. XIX საუკუნის 70-იანი წლებისთვის იკვეთება მორწმუნე ქართველი მაჰმადიანის ფსიქოლოგიური პორტრეტის ზოგიერთი შტრიხი, ერთობ საინტერესო მეცნიერების იმ დარგისთვის, რომელსაც შეიძლება „გადაგვარების ფსიქოლოგია" უწოდო. გ. ყაზბეგის თქმით ეს ადამიანები „დაღვრემილ-დაღრუბლულნი" დადიოდნენ, აღარ მღეროდნენ, აღარ ცეკვავდნენ (გ. ყაზბეგი, 1875, გვ. 33), ისინი მტკივნეულად განიცდიდნენ წინაპართა გზის უარყოფის სიმძიმეს, გაურბოდნენ ქრისტიანობას და ამდენად, ქრისტიანობის მატარებელ ქართველებსაც (ლომსაძე,

1975, გვ. 306). მათი ეს სულიერი მდგომარეობა და განკერძოება უცხო თვალისთვისაც არ დარჩენილა შეუმჩნეველი. ცნობილი მოგზაური ზაგურსკი წერდა: „მათ არ უყვართ კითხვები თავისი წარმომავლობის შესახებ, განსაკუთრებით, მინიშნება იმაზე, რომ მათი წინაპრები ოდესღაც მართლმადიდებლები იყვნენ. ასეთ მინიშნებებს რომ თავი აარიდონ, ისინი ხშირად, და ამაში მე თავად დავრწმუნდი, იმიზეზებენ ქართული ენის არცოდნას." სირცხვილის და დანაშაულის ასეთი შეგრძნებით ცხოვრობდნენ, ხოლო სიკვდილის წინ, როგორც დიუბუა წერს, ბევრი მათგანი ტოვებდა ანდერძს, ქრისტიანულად დაემარხათ მამა-პაპათა გვერდით (ლომსაძე, 1975, გვ. 306).

გადაგვარების შემდეგი ეტაპი ქართულ ენაზე შეტევა იყო.

• როგორც პლატონ იოსელიანის ზემოთ მოყვანილი ციტატიდანაც ჩანს (გვ. 12), XVIII საუკუნის ბოლოს სამცხე-ჯავახეთის გამაჰმადიანებულ დიდებულებს არამცთუ კარგად ახსოვდათ მშობლიური ენა, არამედ დიდი სიყვარულით ისმენდნენ ამ ენაზე აღსრულებულ წირვა-ლოცვასაც. საფიქრებელია, რომ მათი დიდი ნაწილი აძ დროს მხოლოდ ნომინალური მაჰმადიანი იყო.

• XIX საუკუნის დასაწყისისთვის სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის ორენოვნება არაერთგვაროვანია: ფეოდალები მაჰმადიანები არიან, ლაპარაკობენ ქართულად, ფლობენ თურქულს. გლეხები – ნაწილი მაჰმადიანია, ნაწილი ქრისტიანი, ლაპარაკობენ ძირითადად ქართულად.

• ქართული ენა ყველაზე ადრე იქ იდევნებოდა, სადაც პირველად აღწევდა ისლამი (ლომსაძე, 1975, გვ. 298), უფრო ადრე მკვიდრდებოდა უცხო ენა გზასთან ახლოს მდებარე სოფლებში, ქალები უფრო დიდხანს ინახავდნენ მშობლიურ ქართულს...

• ქართულ-თურქული ორენოვნების განვითარების ტენდენცია ასეთი იყო: თუ ისლამის მიღებიდან მესამე თაობა წმინდა ქართულით საუბრობდა, მეხუთე თაობა უკვე ფიქრობდა და აზროვნებდა თურქულად და ქართულს შინაურობაშიღა იყენებდა (ლომსაძე, 1975, გვ. 298).

• XIX-ს შუა წლებშიც კი გლეხობა ძირითადად ქართულად ლაპარაკობდა და მათი თურქული „დამახინჯებული" იყო (Кавказ, 1846, §39, 28. IX).

• გარდა ქართულ-თურქული ორენოვნებისა, თანდათან მკვიდრდება ქართულ-სომხური ორენოვნება. ქართველი კათოლიკეები, რომლებმაც ოსმალეთისგან თავდასაცავად, ქრისტიანობისა და ქართველობის შესანარჩუნებლად მიიღეს ეს სარწმუნოება, სომხური კათოლიკური ეკლესიის გავლენის ქვეშ მოექცნენ. მალე ე.წ. სომხური რიტით მლოცველ კათოლიკე ქართველთა ბედი სავალალო შეიქნა, – მათი დიდი ნაწილი აივწყებდა ენას, იცვლიდა გვარს და ეროვნებასაც კარგავდა.

• არტაანის სოფელ ველის მცხოვრებთა ისტორია საუკეთესო მაგალითია იმისა, რა ძნელი და ფაქტობრივად შეუძლებელი შეიქნა ეროვ-

ნული, რელიგიური, ენობრივი ორიენტირების ძალდატანებით ცვლისა და უმძიმესი პოლიტიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლის პირობებში ეროვნული თვითშეგნების გადარჩენა. მაჰმადიანურ გარემოში მარტოდ-მარტო დარჩენილი ველელების ნაწილი 1737 წელს გაკათოლიკდა. სოფლის მცხოვრებთა სულიერ წინამძღვრობაში ერთმანეთს ეცილებოდ-ნენ ანტიოქიის პატრიარქი, სომხური კათოლიკური, სომხური გრიგორი-ანული და ლათინური ეკლესიები. კათოლიკე მრევლი დიდხანს იბრძოდა ქართული ტიპიკონისთვის, მაგრამ ამაოდ. ამის შედეგად დაივიწყეს ენა და ჯავახეთში გადმოსახლების შემდეგ საბოლოოდ გასომხდნენ. დღეს ველელ ქართველთა შთამომავლები ცხოვრობენ ახალქალაქის სოფლებში: ხულგუმო, ბავრა, კარტიკამი (ლომსაძე, 1975, გვ. 363). თუმცა, არც იმ ველელთა ბედი აღმოჩნდა სახარბიელო, ვინც „გაფრანგება" არ ისურვა და მართლმადიდებლად დარჩენა ირჩია. მათ სოფელ რეხას (ახლანდელი წალკის რ-ნი) შეაფარეს თავი. XIX-ს დასასრულს აქ 160 კომლი ველელი მართლმადიდებელი ცხოვრობდა, რომელიც ქართულად ძლივსღა ლაპა-რაკობდა: ეკლესიაში ისინი ბერძნულად ისმენდნენ წირვა-ლოცვას, აღ-სარებას კი თათრულად (თურქულად) აბარებდნენ. რაც შეეხება სკოლას, მეზობელ სომხურენოვან ბერძენთა სოფელში დადიოდნენ, სადაც ბერძენი მასწავლებელი რუსულ ენაზე ასწავლიდა. ველელთა ამ ნაწილმა მართლმადიდებლობა კი შეინარჩუნა, მაგრამ ენა დაკარგა. ლოცულობ-დნენ ბერძნულად, თათრული (თურქული) განმარტებით, აღდგომას კი ერთმანეთს ასე ულოცავდნენ: ხრისტოს დირილდი! – ჰაი, ჰაი, დირილდი! (ალხაზიშვილი, 1978, გვ. 100-101).

• თურქულენოვან გარემოში მოხვედრილი ქრისტიანი ქართველები-სთვის თურქული ენა იქცა არა მარტო ერთადერთ საურთიერთო ენად არზრუმელ სომხებთან და მაჰმადიან მეზობლებთან, არამედ უცხოენოვან გარემოში კულტურული ინტეგრაციის ერთადერთ საშუალებადაც. XIX საუკუნის მესხეთი განთქმული იყო აშუღებით – მოხეტიალე პოეტ — იმპროვიზატორებით. ისინი მთელი ოსმალეთის ტერიტორიაზე დახეტი-ალობდნენ და მონაწილეობას იღებდნენ ერთგვარ საშემსრულებლო კონკურსებში – მეჯლისებში. აუდიტორიის შესაბამისად მათი შემოქმე-დება ორენოვანი იყო, თუმცა თანდათან თურქულენოვანი შესრულება მკვიდრდებოდა.

• ქართულ ენაზე მთავარი და გადამწყვეტი დარტყმა იყო XIX საუკუნის ბოლოს თურქეთიდან ხოჯა-მოლების, როგორც პოლიტიკური ემისრების მრავლად შემოყვანა, თურქულენოვანი სკოლების გახსნა, რუსეთის მხრიდან ქართული ენის სრული იგნორირება და დევნა.

• XX საუკუნის დასაწყისისთვის ენობრივი სიტუაცია უკვე ძირეუ-ლად შეიცვალა. თურქული მაჰმადიანი მოსახლეობის ძირითად ენად იქცა. ქართველ მაჰმადიანთა ნაწილი თუმცა ფლობდა ქართულს, მაგრამ

თითქმის აღარ იყენებდა მას შინაურობაშიც კი. ალ. ფრონელი საუკუნის დასაწყისში გულისტკივილით წერდა: „თითით დაითვლება იმათი სახელი და გვარი, ვინც ამხანად ლაპარაკობს სუფთა ქართულს. ესენი არიან: ჰამიდ ბეგ ავალიშვილი, რომელმაც ქართული წერა-კითხვაც იცის, ორიოდე თულაშვილი, ორიოდე წერეთელი, მორჩა და გათავდა! ერისთავიანთ, მაჩაბლიანთ, ხადირბეგიანთ სრულებით აღარ იციან ქართული" (ფრონელი, 1991, გვ. 134). ნიშანდობლივია, რომ ამ დროსაც გლეხკაცობას უკეთ სცოდნია ქართული, კიდევ უფრო კარგად – დედაკაცებს. ალ. ფრონელი აღნიშნავდა, – ჩამოთვლილ ბეგებს კარგად ესმით, რომ ქართველები არიან, აღარ უარობენ და აღარ სწყინთ ქართველობა, მაგრამ სამშობლოსთან დაახლოებაში ენის უცოდინარობა უშლით ხელსო. აწყურის, იდუმალისა და კლდის სამამასახლისოებში სუფთად სცოდნიათ ქართული, სხვაგან – „ნარევ-ნარევად" (იქვე, გვ. 135).

• რწმენისა და ენის დაკარგვის პარალელურად მიზანდასახულად ხდებოდა ქართული გვარების გადაკეთება-გადავიწყებაც. უკვე XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან სამცხე-ჯავახეთის გამაჰმადიანებულ ქართველთა ერთ ნაწილს საკუთარი გვარის გახსენება უჭირდა (ლომსაძე, 1995, გვ. 40), დანარჩენებსაც ოფიციალურად თურქული გვარები ჰქონდათ. რაც შეეხება კათოლიკე ქართველთა გვარებს, მათ თავისი სურვილისამებრ ცვლიდნენ ლათინი და სომეხი სასულიერო პირები. ამ უკუღმართი დამოკიდებულების გამო დიდ მოღვაწეს, ივანე გვარამაძეს (ვინმე მესხი), რომლის ოჯახიც სრულიად აბსურდული მიზეზის გამო მესარკოვის გვარს ატარებდა, უზარმაზარი ძალისხმევა დასჭირდა, თავისი ნამდვილი გვარის დასაბრუნებლად.

• ადამიანის გვარ-სახელი ეროვნული იდენტიფიკაციისთვის ისეთივე მყარი მახასიათებელი იყო, როგორც ეროვნული და რელიგიური მიკუთვნებულობა ან დედაენა. ამიტომაც, ბუნებრივია, რომ ქართველობის ამ ნიშანსვეტსაც მიზანდასახულად და მონდომებით უტევდნენ.

• XIXს. 80-იან წლებში უკვე ოფიციალურად გაჩაღდა დავა ქართველ კათოლიკეთა გვარ-ტომობრივი მიკუთვნებულობის შესახებ. 1886 წელს რუსეთის მთავრობამ ისინი ოფიციალურად გამოაცხადა ქართულ ენაზე მოლაპარაკე სომხებად, აიკრძალა ქართველ კათოლიკეთა ეკლესიებში ქართულ ენაზე წირვა. ღმრთისმსახურების ერთადერთ ენად დაკანონდა სომხური. გარდა ამისა, სკოლებში შემოიღეს სწავლება რუსულ ენაზე (კოჟორიძე, 1986, გვ. 25-26).

• ამგვარი ძალადობის პირობებში სრულიად მოიშალა პიროვნების ეროვნულ (გენეტურ), ენობრივ და სარწმუნოებრივ მახასიათებლებს შორის კავშირი. ახალი საუკუნის დასაწყისში კათოლიკე ქართველი ისეთივე დაბნეული ჩანს, როგორც რამდენიმე ათეული წლის წინ მისი მაჰმადიანი თანამემამულე (იხ. გვ. 11). „მდაბიო ქართველ კათოლიკეს რომ ჰკითხავ, ვინ ხარო?

გიპასუხებთ – სომეხი კათოლიკეო. თუ წყრომის ან გაკიცხვის კილოთი ჰკითხავ, რას მიედ-მოედები, მამა-პაპით ქართველი იყავ და სომხად როგორ გადაკეთდიო? მოიცხვი პატარძალივით თავს ჩაღუნავს და მოკრძალებით გიპასუხებს: დიახ, აქბობენ, რომ ჩვენი მამა-პაპანი წინათ ქართველები ყოფილანო" (ფრანელი, 1991, გვ. 43). მტკიცე პასუხს კითხვაზე, – „ვინ ხარო?" ამ პერიოდისთვის მხოლოდ მართლმადიდებელი ქართველი იძლევა – „ქართველი".

• „ქართველობა" ამ დროისთვის მართლმადიდებლობის სინონიმი იყო სამცხე-ჯავახეთში. საბოლოოდ კუთხეში რელიგიურ - ნაციონალური მიკუთვნებულობის ასეთი „საწყაო" ჩამოყალიბდა:

მართლმადიდებელი – ქართველი
კათოლიკე – ფრანგი ან სომეხი
გრიგორიანელი – სომეხი
მაჰმადიანი – თათარი

• XX ს. დასაწყისისთვის სამცხე-ჯავახეთის ქართველთა გადა-გვარება თავისი სიტყვასიტყვითი და გადატანითი მნიშვნელობით, გადამწყვეტ ფაზაში შედიოდა.

# ტრაგედიის „ფინალი"

როგორც ვნახეთ, მაჰმადიანი ქართველობის ეროვნული გაუცხოება XIX საუკუნის ბოლოსთვის უკვე ძალზე შორს იყო წასული. უმრავლესობამ ქართული აღარ იცოდა. მესხეთის „იერლი" თათრების პოლიტიკური ორიენტაცია ერთგვაროვანი არ იყო. მათი ერთი ნაწილი კვლავ ინახავდა გაერთიანებული მესხეთის იდეას, მაგრამ ქრისტიან თანამოძმეებთან დასაახლოებლად და მათთან გასაერთიანებლად რელიგიური და ენობრივი ჯებირი უშლიდათ ხელს. მეორე ნაწილი უფრო აგრესიული იყო და ეს აგრესია საშიშად ძლიერდებოდა გააქტიურებული პანთურქისტული მოძრაობის გავლენით. ამ მოძრაობას თურქეთშივე ბევრი „ნაქართველარი" იდეოლოგი ჰყავდა. სამცხე-ჯავახეთშიც თანდათან ღვივდებოდა „ერთიანი თურქული სახელმწიფოს" შექმნის იდეა. ამ მოძრაობაში, რომლის დევიზიც იყო: „ყველა თურქულად მოლაპარაკე მაჰმადიანი თურქია", არანაირად აღარ მოიაზრებოდა სამხრეთ საქართველო ერთიანი ქართული სახელმწიფოებრივი სხეულის ორგანულ ნაწილად. ამ იდეოლოგიაში არანაირი გზა ქართველ მაჰმადიანებში ქართველობის და მაჰმადიანობის მორიგებისა აღარ რჩებოდა.

ქვეყანა ირეოდა. მაჰმადიანი მოსახლეობის დიდი ნაწილი მოსალოდნელი კატაკლიზმების შიშით, აგრეთვე მძიმე სოციალური პირობების გამო, სასწრაფოდ ტოვებდა სამშობლოს და თურქეთში მიედინებოდა. ალ. ფრონელი ასეთ სურათს აღწერს: „ბორჯომის ვაგზალი სავსე იყო ქართველი მაჰმადიანებით... ბავშვები და დედაკაცნი ჭერეხივით ეყარნენ ცივ იატაკზე... კაცებს არ ეძინათ. ერთ-ერთში ნაცნობი გლეხი შევიცანი, მითხრა, მივყიდ-მოვყიდე ყველაფერი და მივდივარო..." (ფრონელი, გვ. 53). ემიგრაციას ფართო მასშტაბები ჰქონდა. „..ბევრი ოჯახი დღეესაც იყრება და მიდის მცირე აზიის ან ევროპის ოსმალეთში. მე ჩემი თვალით მინახავს ბაწარაღებით ბათუმისკენ მიმავალი ფურონები, დატვირთულნი გადასახლებულთა ბარგი-ბარხანით და ცოლ-შვილით... ვინც ხელს უმართავს ამ საცოდავების აბარგვას და გახიზვნას, ის სწორედ მტერია ქვეყნისა, პირშავი და შეჩვენებული" (ფრონელი, გვ. 130).

აეე რომ, ქართველ მაჰმდიანთა ქართულის მცირედმცოდნე, კეთილგონიერი, მაგრამ არცთუ მრავალრიცხოვანი, არცთუ ძლიერი ნაწილის გვერდით უმრავლესობას შეადგენდნენ ადამიანები, რომლებმაც თავისი (და შესაბამისად მშობლიური კუთხის) ბედი მთლიანად ოსმალეთს დაუკავ-

შირეს. მათი ერთი ნაწილი „ბაწარაღებით" მიილტვოდა „სულიერი სამშობლოსაკენ", ნაწილი კი აქ მოღვაწეობდა და გამალებით ამზადებდა ნიადაგს დიდი ოსმალური სახელმწიფოს შესაქმნელად. ოსმალური „გლობალიზაციის" ნაქართველარი კონსტრუქტორები ისეთივე შემართებით, ისეთივე ფანატიზმით, ისეთივე ერთგულებითა და სამშობლოს ისეთივე გამეტებით იბრძოდნენ, როგორც მათი სისხლისმიერი ნაქართველარი ძმები რუსული ინტერნაციონალიზმის დროშის ქვეშ. XX საუკუნის ამ მოდერნიზებულმა მამელუქებმა დაუნდობლად ფლითეს თავიანთი სამშობლოს მოქანცული სხეული და ერთიანი, განუყოფელი, თავისუფალი საქართველოს იდეა უსულგულოდ, კიდევ ერთხელ, ვინ იცის, რამდენი ხნით დაასამარეს.

სამცხე-ჯავახეთის ქართველ მაჰმადიანებს არ გამოუჩნდა ძლიერი და ბეჯითი ქომაგი, ვინც მათ გულებს საქართველოსკენ შემოაბრუნებდა. ქართული საზოგადოება, რომელიც იმავე წლებში უდიდესი სინაზითა და სიყვარულით ეხმიანებოდა აჭარელი მუსლიმანების პრობლემებს (ჰეიდარ აბაშიძე, 1963), მთლიანად მოწყვეტილი იყო სამცხე-ჯავახეთის ტკივილებს. თითო-ოროლა ნუგეშის სიტყვა და ერთიანობისკენ მოწოდება კი გაისმოდა აქა-იქ, მაგრამ უკვე გაუცხოებულ „იერლის" გულს და ყურს ის ვეღარ სწვდებოდა.

საუკუნის დასაწყისისთვის სამცხე-ჯავახეთისა და აჭარის პრობლემები დიდად არ განსხვავდებოდა. აჭარის მოსახლეობაც დიდი ხანია უკვე გამაჰმადიანებული იყო. ოფიციალურ ენად 900-იანი წლებიდან აქ უკვე თურქული იყო გამოცხადებული. ბათუმის ქართული ინტელიგენციის დიდმა გავლენამ და ავტორიტეტმა, მთელი ქართული საზოგადოების უდიდესმა ყურადღებამ და გულშემატკივრობამ საშუალებაც კი არ მისცა აჭარის მოსახლეობას ეჭვქვეშ დაეყენებინა თავისი ეროვნული იდენტობის საკითხი. აჭარას ქართული ეროვნული ძალების ყურადღება არც XIX საუკუნეში მოჰკლებია. რაც შეეხება მესხ მაჰმადიანებს, მათთვის „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდმა ტალღამ... თითქმის შეუმჩნეველად და უხმაუროდ ჩაიარა. მაშინ მათი გულისყური უკვე ერთმორწმუნე თურქეთის მაჯისცემისკენ იყო მიპყრობილი"... (ლომსაძე, 1995, გვ. 81). სამცხე-ჯავახეთმა, დედა-საქართველოსთან პოლიტიკურად და კულტურულად უკვე დიდი ხნის მოწყვეტილმა, XIX საუკუნეშიც ვერ შეძლო სამშობლოსთან თუნდაც კულტურული კავშირის აღდგენა. აქ არ შემოუღწევია განმათავისუფლებელი მოძრაობის საერთო ქართულ იდეას, აქაურობაზე არავითარი გავლენა არ მოუხდენია ილია ჭავჭავაძის ნახევარსაუკუნოვან დაუცხრომელ გამამთლიანებელ მოღვაწეობას.

სამცხე-ჯავახეთის ქართული მოსახლეობა მთლიანად იზოლირებული იყო ქართული სამყაროდან და XIX ს-შიც და ახალი საუკუნის დამდეგსაც მარტოდმარტო ებრძოდა თავსდატეხილ პრობლემებს. გადარჩენის

ერთადერთი გზა იყო საერთო ეროვნული იდეით მაჰმადიანთა თვითიდენ-ტიფიკაციის ქართველობისკენ გადმოხრა. რიცხვით მცირე და სოციალურად დაკნინებული ქრისტიანი ქართველობა აბსოლუტურად უძლური იყო ამ საქმეში. კუთხის პოლიტიკური ცენტრი – ახალციხე –.სავსე იყო ანტიქართული ძალებით.

სასურველი დაახლოებისა და საერთო ეროვნული თვითგანცდის ჩამოყალიბების ნაცვლად უფრო და უფრო ძლიერდებოდა ქართველებს შორის რელიგიური ნიშნით პოლარიზაცია:

ქრისტიანი ქართველობა, რომელმაც საუკუნეების მანძილზე დათმო ყველა ადამიანური უფლება, იცხოვრა გაუსაძლის დამცირებასა და სიმდაბლეში, დაკნინდა, დაბეჩავდა, დაკარგა ცეკვისა და სიმღერის ხალისი, ბუნებითი სილაღე და სიმკვირცხლე..., თავისი დაბეჩავებული ყოფის რეაბილიტაციას რწმენის, დედაენისა და გვარის შენარჩუნებაში ხედავდა, ეს იყო მისი მთავარი სასიცოცხლო ძალა, გავლილი გზის გამართლება და ერთადერთი სამომავლო ორიენტაცია.

მაჰმადიანმა ქართველმა ასევე საუკუნეების მანძილზე თანდათან, იძულებით დათმო: სარწმუნოება, დედაენა, გვარი... თაობების მანძილზე იარა „დაღვრემილ-დაღრუბვლილმა" თავისი დანაშაულის ფარული შეგრძნებით (იხ. გვ. 11), საბოლოოდ, თურქი ემისრებისა და ხოჯა-მოლების დიდი მეცადინეობის შედეგად მოიპოვა ფანატიკური რწმენა, „გათავისუფლდა" მრავალწლიანი სინდისის ქენჯნისგან, დაიჯერა, რომ „თუ თურქულად ლაპარაკობ და თან მაჰმადიანი ხარ, ესე იგი, თურქი ხარ". იმ მძიმე წლებში, სამწუხაროდ, ძმებმა ერთმანეთისკენ მისასვლელი გზა ვერ იპოვეს.

რუსეთის მთავრობა და ოსმალეთის აგენტურა ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ არ მომხდარიყო მაჰმადიან ქართველთა თვითგამორკვევა, მათი ქრისტიან თანამემამულეებთან დაკავშირება და საბოლოოდ ქართველად მოქცევა. მათ კარგად ესმოდათ, რომ ასეთი „მოქცევა" სავსებით შესაძლებელი და რეალური იყო. 20-იან წლებში ახალციხეში „მოღვაწე" ერთი რუსი სახელმწიფო მოხელე წუხდა: განა ამიტომ შევწირე ამ საქმეს ჩემი ცხოვრების მრავალი წელი, რომ მაჰმადიანები ქართველობას მობრუნებოდნენ? – 15 წელიც არ დასჭირდება მათ გაქართველებას, თუკი ისინი ქართულად ილაპარაკებენ და ისწავლიანო.

ყველა სახელმწიფო მოხელე, რომელიც XIX საუკუნის 20-იან წლებში სამცხე-ჯავახეთში მოღვაწეობდა, ყოველივე ქართულის სასტიკი მტერი იყო.

• ახალციხის ცხენოსანი რაზმი, რომელსაც ქალაქში და მხარეში უსაფრთხოება და წესრიგი უნდა უზრუნველეყო, მთლიანად აზერბაიჯანელებისგან იყო დაკომპლექტებული.

• მაზრის უფროსი იყო როტმისტრი გუდიევი, ეროვნებით ინგუში,

ფანატიკოსი მუსულმანი, პანთურქისტი. სომხების მოძულე, ქრისტიანების დაუძინებელი მტერი.

• ბოქაული – ზურხან მუსკიევი, ეროვნებით ინგუში, თურქოფილი, ქართველთმოძულე.

• ქალაქის თავი ზორი ზორიანი, სომეხი, დაშნაკი.

• მერვე პოლკის მეთაური პოლკოვნიკი ყაჯარი, ირანის სამეფო დინასტიის შთამომავალი, რუსეთის ქვეშევრდომი და მაჰმადიანთა გულშემატკივარი.

• აზერბაიჯანიდან ჩამოსული პანთურქი აგენტები: ბადირ-ხანი – მასწავლებელი, აზიზბეკ კადიმბეგოვი – ექიმი და სხვები.

• უცხოტომელ „მოღვაწეთა" გვერდით ქრისტიანობისა და ქართველობის ამოსაგდებად მხარეში დაუღალავ საქმიანობას ეწეოდნენ ნაქართველარი თურქოფილი მესხები. ამ დროს აქაურ მაჰმადიანთა უმაღლესი სასულიერო პირი – ყაზი, მუხრან ბატონთა სახლის შთამომავალი, ბაგრატიონთა სამეფო გვარის წარმომადგენელი, – ალი ეფენდი ეფენდიევი იყო. მას უდიდესი გავლენა ჰქონდა, ქართული კარგად იცოდა და კუთხის ქრისტიან ქართველობას, თვით გენერალ-გუბერნატორსა და მის გარემოცვასაც კი, მაჰმადიანობაზე „ეპატიჟებოდა". მხარეში დამანგრეველ ანტიქართულ მოღვაწეობას ეწეოდა თურქეთის გენერალური შტაბის მზვერავი „ექიმი" ლორთქიფანიძე. ადგილობრივი დიდებული, სამაზრო აგრონომი, წრეგადასული თურქოფილი, „კაცი რუსული განათლებით, მაგრამ მთელი არსებით თურქი" (მაღლაკელიძე, 1939, გვ. 342) – ზია ბეგ ავალიშვილი, ომარ-ფაიკ ნამუნზადე-ყიფიანი (სელიმ-აღა ყიფიანის შთამომავალი, იხ. გვ. 8) – აგარის ბეგი, პირველი სისხლისღვრის ორგანიზატორი (1917წ), ქართველების და ქრისტიანობის მტერი... და სხვები. (შ. მაღლაკელიძე, 1939; ივანიძეები, 2002.)

• 1917წ. 15 ნოემბერს ჩამოყალიბდა ახალი მთავრობა, ამიერკავკასიის კომისარიატი და შეიქმნა ახალციხის საგენერალ-გუბერნატორო. გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა ახალგაზრდა შალვა მაღლაკელიძე (1894 – 1976). სამაზრო კომისარიატი, რომელსაც მთელი მხარის ბედი ებარა, ასე გამოიყურებოდა:

მაზრის უფროსი – როტმისტრი გუდიევი.

სკოლების ინსპექტორი – მიტროფანოვი.

აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე – ომარ-ფაიკ ნამუნზადე (ყიფიანი).

აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე – ახმედ-ბეგ ფეფინოვი (ომარ-ფაიკის დისწული).

სრულიად ახალგაზრდა, გამოუცდელი და, რაც მთავარია, საკუთარი მთავრობის აქტიურ და ჭკვიან თანადგომას მოკლებული შალვა მაღლაკელიძე მარტოდმარტო, პირისპირ დარჩა მომზადებულ, შეიარაღებულ, უც-

*„რეიზე“ – თამარ მელიქიძე და მარინე ბერიძე.*
*„ვინც იცის, რას ნიშნავს ოჯახში სმენადაქვეითებულ ადამიანთან ერთად ცხოვრება, ის კარგად გაიგებს ჩემი და რეიზეს განსაკუთრებულ ურთიერთობას.“*

ხო ქვეყნებთან დაკავშირებულ და მათგან ზურგგამაგრებულ ანტიქართულ ძალებთან, რომლებსაც არანაირად არ უნდოდათ დაეშვათ მაჰმადიანი ქართველობის სამშობლოსკენ შემობრუნება.

სამოქალაქო ომი კარს იყო მომდგარი. შ. მაღლაკელიძე – ჭკვიანი, გაბედული, პატრიოტი გენერალ-გუბერნატორი, გრძნობდა გარდაუვალ საშიშროებას და არაფრის შეცვლა არ შეეძლო. ის ხვდებოდა, რომ ქართველ ბეგებთან, ყოველ შემთხვევაში მათ დიდ ნაწილთან საერთო ენის გამონახვა შეიძლებოდა. საჭირო იყო განსაკუთრებული პოლიტიკის გატარება, ფრთხილი მოპყრობა, აგრარული რეფორმის დროს ბეგების ინტერესის გათვალისწინება, მაგრამ სამწუხაროდ, ვერ ხედავდა ამ საკითხებისადმი მთავრობის სათანადო ყურადღებას (მაღლაკელიძე, 1939, გვ. 27).

# მოკლე ქრონიკა

ამასობაში კი „სხვის ბეღელზე წაკიდებული ბეღურები" უქმად არ იყვნენ. როგორც ყველა ტერიტორიული და პოლიტიკური აგრესიის დროს ხდება ხოლმე, დაიწყო ტოპონიმიკური „ანექსია": სომხები „ნეოერზრუმად" ნათლავენ ახალციხეს, მაჰმადიანები „ახისხას" არქმევენ და ამტკიცებენ, ეს ქალაქის ისტორიული სახელი იყო და მერე გადაარქვეს ქართველებმაო. დაიწყეს სოფლების სახელების შეცვლაც. ახალქალაქის კომისარიატის აღმასკომის სხდომაზე კი მიიღეს თავხედური გადაწყვეტილება ახალქალაქის მაზრის ერევანთან მიერთების შესახებ.

1917 წ. ნოემბერში დაიწყო მაჰმადიანთა I აჯანყება ომარ ფაიკის (ყიფიანის) მეთაურობით. აჯანყებულები თავის ნამდვილ მიზნებს ნიღბავდნენ ვითომდა მხარის სომხებისაგან გათავისუფლების სურვილით. ომარ-ფაიკი გენერალ-გუბერნატორს არწმუნებდა, შეგვიშვით ახალციხეში, ჩვენ მხოლოდ სომხებს ამოვხოცავთ, ქრისტიან ქართველებს არაფერს დავუშავებთო. მალე აჯანყება მთელ მხარეს მოედო და ბევრი ქრისტიანული ქართული სოფელი ცეცხლის ალში გაეხვია. გამალებით იქმნებოდა „ჩათების" რაზმები ადგილობრივ მოსახლეობაში, ვითომდა მათ უნდა „ეხსნათ" ისლამი ქრისტიანი მოძალადეებისგან. მუსლიმანისთვის რწმენა და სამშობლო ერთია! – ასეთი იყო მათი დევიზი. „ჩათებს" გიაურებისგან უნდა გადაერჩინათ თავიანთი „სამშობლო". ისინი დამარცხდნენ, მაგრამ ამით არ დამთავრებულა სამცხე-ჯავახეთის სისხლიანი ტრაგედია.

1918 წ. გაზაფხულზე თურქეთის ჯარი კავკასიისკენ დაიძრა ვითომდა მუსულმანი მოსახლეობის სომეხთა აგრესიისაგან დასაცავად. ამ დროს ის საქართველოს მთავრობასთან გამალებულ მოლაპარაკებას აწარმოებდა ბათუმში. მოლაპარაკების დამთავრებამდე სასურველი „დე ფაქტოს" შესაქმნელად ის შეტევაზე გადმოვიდა და მთელი მოლაპარაკების მანძილზე საომარი მოქმედებები არ შეუწყვეტია. ადგილობრივი „ჩათების" რაზმებს თურქი ოფიცრები ხელმძღვანელობდნენ. ომის ულმობელი კანონებით მალე ორივე მხარეს (ქრისტიანებისა და მაჰმადიანების) გაჩნდნენ დარბევის, მოროდიორობის, სისასტიკის მსხვერპლი უბრალო ადამიანები. მალე მთელი მესხეთის ქრისტიანი და მაჰმადიანი მოსახლეობა მოსისხლე მტრად ექცა ერთმანეთს.

სახელმწიფო მოხელეთა უმრავლესობამ ქართველთა საწინააღმდეგო პოზიცია დაიკავა და ეს ასეც იყო მოსალოდნელი. პოლკოვნიკი ყაჯარი,

რომელიც საქართველოს მთავრობის საგანგებო ნდობით იყო აღჭურვილი და შინაგან ჯარს მეთაურობდა, მტრის მხარეზე გადავიდა. დაიწყო ქრისტიანთა უმოწყალო ხოცვა-ჟლეტა. მოწოდება ნათელი და ლაკონური იყო, – მხარე გიაურებისგან უნდა გაეწმინდათ!

1918-1919 წლების სისხლიანი ქრონიკა ასეთია:

• 28 მარტს დაარბიეს ჯავახეთ-ერუშეთის სოფლები, ზედა თმოგვი და აგარა.

• აპრილში შეუტიეს ახალციხეს და უდეს.

• 7 მაისს ბრძოლები დაიწყო საროსთან და ხიზაბავრასთან.

• 10 მაისს თავს დაესხნენ მუსხსა და ანდრიაწმინდას.

• 1 ივლისისთვის ჯავახეთის სოფლები: სარო, ქილდა და გოგაშენი ისევ იბრძოდნენ.

• მაისის პირველ რიცხვებში ამოხოცეს მართლმადიდებელი სომხური სოფლების მცხოვრებნი (კათოლიკე სომხებისთვის ხელი არ უხლიათ).

• 3 ივნისს მთელი ჯავახეთი თურქების ხელში აღმოჩნდა, ქართული ჯარი მხარეს ტოვებდა. მოსახლეობა პანიკურად გარბოდა.

• 1918 წლის 4 ივნისის ბათუმის დროებითი ზავით სამცხე-ჯავახეთი თურქეთის ხელში გადავიდა. სანატრელი „დე ფაქტო" მოპოვებული იყო, – აწყურს იქითა საქართველოს ოსმალეთი დაეპატრონა.

• 1918 წ. 30 ოქტომბერს მუდროსში ოსმალეთსა და დიდ ბრიტანეთს შორის დადებული საზავო ხელშეკრულებით თურქეთს დაკავებული ტერიტორიის დაცლა დაევალა.

• 1919 წ. 20 იანვარს ომითა და ლტოლვილობით გატანჯულ მხარეს ახალ უბედურებად დაატყდა თავს მაჰმადიანთა II აჯანყება სერვერ ბეგ ჯაყელის მეთაურობით. სერვერ ბეგი სამცხის ათაბაგთა სახლის უკანასკნელი შთამომავალი იყო, განათლება პეტერბურგის, ფრაიბურგის, ბრესლავის უნივერსიტეტებში ჰქონდა მიღებული, ფლობდა რუსულ, გერმანულ, ფრანგულ ენებს (მაღლაკელიძე, 1939, ყავრელიშვილი, 2002, გვ. 5). სერვერ ბეგის მოღალატური ავანტურა, რა თქმა უნდა, თურქეთის მიერ იყო ინსპირირებული და კოორდინირებული. შ. მაღლაკელიძე შესაძლებლად თვლიდა ამ განსაცდელის თავიდან არიდებას, თუკი მთავრობა გონივრულ კურსს აირჩევდა ბეგებთან ურთიერთობაში. მათი პოლიტიკა მარტივი იყო და, როგორც ადრე, ვიწრო მემამულურ ინტერესებს ახლაც ვერ სცილდებოდა (მაღლაკელიძე, 1939, გვ. 27). სერვერ ბეგის აჯანყებას და „სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის სახელმწიფოს" შექმნას დაუპირისპირდნენ ქართული ორიენტაციის მუსლიმი ბეგები და მხარის მოსახლეობის უმრავლესობა (ყავრელიშვილი, 2002, გვ. 5), მაგრამ ამან ვერ შეაჩერა „ჩათების" რაზმების სისხლიანი თარეში. დამოუკიდებელი მუსლიმანური სახელმწიფოს შექმნის სურვილს ყველა არსებულ პირობასთან ერთად აძლიერებდა სოციალისტური იდეების სწრაფი ექსპორტი

მხარეში. ამ ხალხმა საუკუნეების მანძილზე ძალზე ძვირი საფასურის ფასად შეინარჩუნა თავისი უფლებები საკუთრ მიწა-წყალზე, თანდათან დათმო სარწმუნოება, ენა, გვარი, ეროვნება... ახლა კი ამ მამულების ერთი ხელის მოსმით დაკარგვა ემუქრებოდათ. 1919 წლის მაჰმადიანთა აჯანყება თავისი არსით უფრო სოციალური ხასიათის მოძრაობა იყო, რომელშიც ბეგებმა მოტყუებით ჩაითრიეს მოსახლეობის ნაწილი. ამ აჯანყების მთავარი მსხვერპლი კი ისევ და ისევ კუთხის ქრისტიანი ქართველობა აღმოჩნდა.

• ქართული ჯარის მთავარსარდლობა არაფერს ზოგავდა ქართული მიწის თითოეული გოჯის შესანარჩუნებლად. ეს ბრძოლა ინგლისელთა სრულიად გაუმართლებელი ზეწოლის ქვეშ მიმდინარეობდა. მიუხედავად ამისა, 1919 წლის 7 მარტს გენერალი კვინიტაძე, რომელმაც გ. მაზნიაშვილი შეცვალა გენერალ-გუბერნატორის პოსტზე, ახალციხეში შევიდა. მასთან ერთად მანქანაში იჯდა მაჰმადიანი ბეგი ბაღში ბეგ მაჩაბელი, რომელიც სერვერ ბეგს არ მიემხრო. „ქრისტე აღდგა! საქართველო აღდგა!" – ისმოდა შეძახილები. ორი სხვადასხვა აღმსარებლობის ქართველის ერთად დგომა კი შუაზე გახლეჩილი მხარის სისხლისმიერი ნათესაობით გამთლიანების დიდ იმედს აღვივებდა!

• გენერალმა კვინიტაძემ არტაანამდე სდია მტერს. მას წინ არაფერი ედგა არდაგანის ასაღებადაც, მაგრამ ინგლისელების კატეგორიული მოთხოვნები, რომლებიც მას არტაანში გადასვლას უკრძალავდა, მუქარამ შეცვალა. ქართულმა ჯარმა შეტევა შეწყვიტა.

• 1919 წ. სამცხე-ჯავახეთმა ნანატრი მშვიდობა მოიპოვა. ეს იყო შიმშილისა და სიღატაკის წლები. მხარე მკვდრეთით აღდგომას ლამობდა.

• 1921 წელს საქართველოს წითელმა ანექსიამ მთლიანად განსაზღვრა ამ კუთხის ეთნიკურ-რელიგიური ურთიერთობანი.

• სხვადასხვაგვარად წარიმართა ჩვენთვის ნაცნობი პერსონაჟების ცხოვრება:

შ. მაღლაკელიძე ემიგრაციაში წავიდა.

გ. მაზნიაშვილი დახვრიტეს.

გ. კვინიტაძე ემიგრაციაში წავიდა.

სერვერ ბეგი ემიგრაციაში წავიდა თურქეთში და იქ დაასრულა ცხოვრება რენეგატის ჩვეული დასასრულით: „სინანულით ჩადენილის გამო და უცხო ტომელთა ათვალწუნებით" (ივანიძე, 2002, გვ. 66).

რაც შეეხება მესხეთის ნამდვილ დამაქცევლებს – ომარ ფაიკსა და ზორი ზორიანს – ისინი სწრაფად მოერგნენ ახალ ცხოვრებას, პანთურქული და დაშნაკური იდეები კარგად მოარიგეს წითელ რეჟიმთან და ორივენი ბოლშევიკური მთავრობის რიგებში აღმოჩნდნენ „რევკომის" წევრებად, ომარ ფაიკი – ბაქოში, ზორი ზორიანი ახალციხეში.

1919 წლის 7 მარტს ორი გამარჯვებული ქართველის ერთად დგომა და ახალციხელთა შეძახილები: „ქრისტე აღდგა, საქართველო აღდგაო!", სულ ტყუილად აღვივებდა საუკუნოვანი ნაიარევის გამრთელების იმედს.

# რამდენიმე პორტრეტი მსხვილი პლანით

ასეთი იყო XX საუკუნის ოციანი წლების სისხლიან შეტაკებებთან დაკავშირებული საბედისწერო ფაქტები და თარიღები. ასეთები იყვნენ პერსონაჟები, რომლებიც თავიანთი რწმენით, შეცდომებით, ერთგულებით, ღალატით, ანგარებით, ვაჟკაცობით, სილაჩრით... ქმნიდნენ ჩვენი ქვეყნის ახალ ისტორიას. მეტი სიზუსტისთვის მოვლენათა და პერსონაჟთა ამ პანორამას უკომენტაროდ ვუმატებთ რამდენიმე, ჩვენთვის მეტად საცნაურ და მნიშვნელოვან შტრიხს.

**• მესხი მაჰმადიანი ქართველი, სერვერ ბეგ ჯაყელი (ქობლიანსკი).**

სერვერ-ბეგს ახალციხეში სახლები ჩამოართვა ამიერკავკასიის კომისარიატმა, თვითონ ის თურქეთის აგენტად ჩათვალა. ქობლიანელი პრინცი, რომლის მამასაც რუსეთის ტახტის მემკვიდრის კუბოს ქვეშ გაუსკდა გული, არტაანში გაიქცა და იქიდან იმუქრებოდა: „არც ერთი ქართველის ფეხი არ იქნება ჩემს ბაღშიო, რამე დიდ პოლიტიკაზე კი არ ამბობს, ჩემი ბენარისთვისო, ბაღისთვისო!...“ – წერდა შ. მაღლაკელიძე. (მაღლაკელიძე, 1939, გვ. 27). ამ ბენარის ბაღში თავად ათევდა ღამეს, ყმებს არ ენდობოდა, მერე თითოეულ ვაშლს ქაღალდში ახვევდა და ხულოს გზით, ბათუმის გავლით მარსელში აგზავნიდა. ვაშლის ბაღების შენარჩუნებისათვის ბრძოლა მალე „სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიის“ დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის „მაღალი“ იდეით „შეიმოსა“. სერვერ ბეგმა აიყოლია ქართველ მაჰმადიანთა დიდი ნაწილი და კუთხის ქრისტიანი მოსახლეობა გენოციდისთვის გაიმეტა.

**• მესხი მაჰმადიანი ქართველი, ოსმან შავყი ეფენდი მიქელაძე. (საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომაზე გამოსვლიდან. 1919 წ. 4 აპრილი)**

„... თქვენ იცით, ბატონებო, რომ სამუსლიმანო საქართველოს გათავისუფლების საქმეს ბევრი ხელის შემშლელი ჰყავს. არტაანი, ყარსი, დენიკინი – ყველა სცდილობენ, რომ ბათუმი და ახალციხე ჩვენ ჩამოგვწყვიტონ. თვით ხალხი ახალციხისა და აჭარისა კი ამბობს, რომ ის საქართველოს ვერ დაშორდება და დღეს ან ხვალ მაინც შესძლებს

საქართველოსთან შეერთებას, ის მზადაა, გინდა მისთვის სისხლი დაღვაროს იარაღით ხელში.

მე დავალება მაქვს, გიძღვნათ ამ ხალხის სალამი და დღეგრძელობა!

გაუმარჯოს საქართველოს!

გაუმარჯოს საქართველოს რესპუბლიკას!

ცოტა ბოდიშს ვიხდი მისთვის, რომ ქართველი მუსულმანი ვარ და არ ვიცი წმინდა ქართული, რომ მოგახსენოთ, რაც ნამდვილად გულში მაქვს, მაგრამ მე მაქვს დიდი იმედი და დარწმუნებული ვარ, რომ ჩემისთანა ბნელ ადამიანს საქართველოს რესპუბლიკა და მთავრობა გაანათლებს და შეიზრდის, როგორც მკვიდრ შვილს".

• **აჭარელი მაჰმადიანი ქართველი, ცნობილი ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე ჰეიდარ აბაშიძე.**

(1915 წ. 28 ივნისი):

...როცა ბათუმის ქართულ სასწავლებელში მიმბარეს, მასწავლებელმა მეც, სხვა მაჰმადიან მოწაფეთა მსგავსად, „თათარხანი" დამიძახა. ოთხი წლის შემდეგ საქალაქო სასწავლებელში რუსი მასწავლებლები „ტუროკს" მეძახდნენ და ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა სწავლის გასაგრძელებლად თურქეთში წასულს „გურჯი" მიწოდეს. „ჩავფიქრდი, ეს რა ამბავია, ხან თათარი ვარ, ხან „თათარხანი", ხან კი „გურჯი"-მეთქი? ...რუსულ, თურქულ წიგნებში გატაცებით ვკითხულობდი სამშობლოს შესახებ ლექსებს და მოთხრობებს. მაშინ აზრადაც არ მომდიოდა, თუ მეც მქონდა სამშობლო." (ჰეიდარ აბაშიძე, 1963, გვ. 48-49).

(1913წ. 17 თებერვალი):

...ეხლა თქვენ, ქრისტიანი ქართველები უნდა დაეხმაროთ ჩამორჩენილ ძმებს. ნუ შეგიშლით ხელს ნურავითარი დაბრკოლებანი, მოგვეპყარით, როგორც ძმებს, წაგვიძეხით წინ, გვასწავლეთ წერა-კითხვა და ამოგვიყენეთ თქვენს გვერდით. ჩვენი ჩამორჩენა თქვენთვისაც მავნებელია, ჩვენი უმეცრება, როგორც ჩვენი, ისე თქვენი სირცხვილიცაა, რადგან ჩვენ ერთნი ვართ (ჰეიდარ აბაშიძე, 1963, გვ. 53-54).

• **აჭარელი ბეგი, ჯემალ ხიმშიაშვილი.**

ჯემალ ფაშას ერთი ძმა, თემურ ბეგი, რუსების სამსახურში იყო, მეორე, – თურქეთში გადავიდა. თურქების მხარეზე გადასული ძმა მოუწოდებდა თემურ ბეგს – ოზურგეთის „უეზდის ნაჩალნიკს", ხელი შეეწყო ოსმალეთის მთავრობისთვის რუსთა განდევნაში და „აღორძინებული და გაერთიანებული საქართველოს სამეფოს" ხონთქარი გამხდარიყო.

ჯემალ ბეგს ორივე ძმისგან განსხვავებული პოზიცია ჰქონდა: „ვაცალოთ, ბატონო, რუსისა და თურქის ჯარს, იქნებ ორივე დაიღუპოს და მაშინ გვმართებს ჭკუა და საქმიანობა, რომ ქართველი ხალხის ბედი

სასურველად გამოვჭედოთ". (მაღლაკელიძე, 1939, გვ. 343).

- **ქართველი ქრისტიანი გლეხი.**

„... უნახავი და მოუვლელი არ დამრჩენია საქართველოს თითქმის არც ერთი კუთხე და ისე დაჩაგრული ერი, როგორც მესხეთშია, არსად მინახავს. მონობის, შიშის, მოკრძალებისა და უიმედობის ბეჭედია გამოხატული მათს შუბლსა და სახეზე. არ იქნა, ვერ შევეჩვიე აქაური მკვიდრის სიტყვა-პასუხსა და სალამს. „გამარჯვების" მაგიერ მძიმედ დაგიკრავს თავს და დაიხრება დედამიწამდე. თუ სათხოვარი, ან საქმე აქვს რაიმე, ისე გთხოვს, როგორც შეჰფერის ჰარამხანაში აღზრდილ საჭურისს, ან მონას, რომელსაც თავის სიცოცხლეში მზე და მთვარე არ უნახავს... ვინც კი ევროპული განათლება იგემა, ან ასცილდა ნეტარხსენებულ ბატონყმურ ატმოსფეროს, სწორედ ტანში იშლება, როცა ისმენს: „ხელს გიკოცნი ბატონოო", ან „აქ თქვენა და მაღლა ღმერთიო". (ფრონელი, 1991 წ. გვ. 65).

ერთი ეროვნული პრობლემის ეს სხვადასხვა შტო-შენაკადები ისტორიის აღმართ-დაღმართებში სულ სხვადასხვა გზით ცდილობდნენ გზის გაკვლევას...

# „ხალხური ისტორიოგრაფია“

ოფიციალური ისტორიოგრაფიის პარალელურად ყოველთვის არსებობდა გაცილებით ობიექტური, მართალი, უცთომელი, კონიუნქტურისაგან თავისუფალი აღნუსხვა ისტორიული მოვლენებისა და ფაქტებისა, რომელსაც თამამად შეიძლება ვუწოდოთ „ხალხური ისტორიოგრაფია“. ჩვენი „ისტორიები“ სწორედ ამგვარი „ხალხური ისტორიოგრაფიის“ მონაკვეთებია. ეს მოთხრობები წარმოადგენს კონკრეტული ისტორიული ეპოქის შესახებ ხალხის კოლექტიურ მეხსიერებაში დაგროვილ ცოდნას, რომლის დამახსოვრება, შენახვა, არგუმენტირებული გადაცემა მომდევნო თაობისთვის უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა როგორც პიროვნული, ისე ტომობრივ-ეროვნული თვითაღქმის შენარჩუნებისათვის. ზეპირი ისტორიების დამატებითი დოკუმენტური კომპეტენცია ისტორიულ მოვლენათა კვლევისას უცხო და ახალი არ არის, მაგრამ ერთი ისტორიული მოვლენის შესახებ სხვადასხვა თაობის მთხრობელთა მიერ მოწოდებული ინფორმაციის დინამიური კვლევა რომ ჩატარებულიყოს, არ გვსმენია, ყოველ შემთხვევაში ჩვენთან. ახალი ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილმა XX საუკუნემ განსაკუთრებული შესაძლებლობები გააჩინა ამგვარი კვლევის თვალსაზრისით. ჩვენი მიზანი არ არის ზოგადთეორიული საკითხის კვლევა, თუმცა, როგორც ყოველგვარ შემოქმედებას, ისტორიის ამგვარ კოლექტიურ „აღწერასაც“ თავისი კანონზომიერებები გააჩნია, თავისი შინაგანი ცენზურა, ეტიკეტი, მოვლენებისა და ფაქტების ერთმანეთთან კავშირში წარმოდგენის უნარი, პრობლემათა მასშტაბური ხედვა და სხვა.

„ხალხური ისტორიების“ მთხრობელთა ორი კატეგორია არსებობს: ის, ვინც უშუალო მონაწილე და თვითმხილველია აღსაწერი მოვლენებისა და ის, ვინც ამ მოვლენათა შესახებ გადმოცემით იცის. თხრობის ეტიკეტი აუცილებლად მოითხოვს მთქმელისგან მისი მონათხრობის ინფორმაციული სანდოობის დადასტურებას. ამიტომ ის, როგორც წესი, რამდენჯერმე აფიქსირებს თავის დამოკიდებულებას მონათხრობთან: „მე ამას ჩემი თვალით ნანახს გიამბობ“, ან „ამას ნალაპარაკევს გელაპარაკები“!

როგორც წესი, თვითმხილველთა და „ნალაპარაკევით“ მთხრობელთა ისტორიები ნაკლებად განსხვავდება ერთმანეთისგან. ჩანს, რომ ერთი ადამიანის პიროვნული გამოცდილება და ცხოვრების გზა უკვე საერთო, კოლექტიური მეხსიერების საკუთრება გამხდარა. ზოგჯერ „მეორეული“

ტექსტი უფრო მდიდარია დეტალებით და მოიცავს უფრო მეტ საინტერესო ნიუანსს, რომელიც ამ ამბის უშუალო მონაწილეს და განმცდელს ხელახალი თხრობისას შეიძლება აღარც გაახსენდეს, ან არ მიიჩნიოს მნიშვნელოვნად, მისი შვილი ან შვილიშვილი კი, რომელმაც ეს ამბავი დიდი ხნის წინ მოისმინა, „ბეჯითად“ ინახავს პირველადმოსმენილი და განცდილი ტექსტის ყველა დეტალს.

XXს. პირველი ნახევრის (40-იან წლებამდე) მესხეთის ისტორია ამ მოთხრობებში წინა საუკუნეებში განვითარებულ მოვლენებთან მჭიდრო ქრონოლოგიურ ჯაჭვში განიხილება და ცალკე პერიოდად არ მოიაზრება. მთლიანად ამ პერიოდს მესხები „თათრობას“ ან „თათრების ხელში ცხოვრებას“ უწოდებენ.

ცენტრალური თემა „თათრობის“ შესახებ საუბრისას არის ქრისტიანი მოსახლეობის დარბევა და 1918 წლის გაზაფხულის დიდი ლტოლვილობა, რომელსაც მოსახლეობა „გაქცევას“ უწოდებს.

„გაქცევა“ მესხისთვის ერთგვარ ქრონოლოგიურ ორიენტირად, ახალი „წელთაღრიცხვის“ მაჩვენებლად იქცა („გაქცევამდე მოხდა“, „გაქცევის დროს პატარა ვიყავი“... ).

# გაქცევა
## (ჩაუქრობელი ლამფები)

1918 წლის გაზაფხულზე თურქეთის ჯარი და ადგილობრივ მაჰმადიანთა მოთარეშე რაზმები სამცხე-ჯავახეთის სოფლებს შეესივნენ. 1919 წლის 4 აპრილს საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომას ახალციხის ამბების გამოსაკვლევი კომისიის წევრი გ. ჯაფარიძე მოახსენებდა: „წარმოიდგინეთ, რომ ზოგიერთ სახლებში ანთებული ლამფები ჩაუქრობელი დარჩათ, ისე სწრაფი შეიქნა გამოქცევა".

მთელი გაზაფხული ჯავახეთ-ერუშეთის სოფლების ქრისტიანული მოსახლეობა ქართული ჯარის ნაწილებთან ერთად იგერიებდა მტრის შემოტევებს. მაისის ბოლოს მათი წინააღმდეგობა უშედეგო გახდა. ქართული სოფლების მოსახლეობამ პანიკურად დატოვა საცხოვრებელი ადგილები და თავის გადასარჩენად ბაკურიანის ტყეებს მიაშურა.

*მარუსა თოთაძე-ბერიძე, სოფ. ჩუნჩხა (გამოთხოვილია საროში): თათრები რო შემოვიდნენ, შვილო, თორმეტი წლისა ვიყავი. მეხრედ ვიდექი და არ გავჩერდი, გამოვექეცი ჩემს ბიძაშვილს. ორ-სამ დღეში თქვეს, თათრები უნდა შემოვიდნენო და მოვემზადეთ, ურმები მოვამზადეთ. სახლში ჩემი ობოლი დიშვილები გვყავდა – ჩემ დას ქმარი მოუკვდა და ბიძებმა შემოგვითვალეს, ორი ბავშვი ჩვენ და ორი თქვენაო! წავიდა მამაჩემი და ურმით ჩამოიყვანა ბავშვები. გზაში ერთ-ერთი ურმიდან გადმოვარდნილიყო და თავი გაეტეხა. გაქცევის დროს ბავშვები ჩვენ გვყავდა. მამამ უთხრა ჩემს ძმას, – ურემზე ადგილი მოამზადე, რო მალაქაი და გიოი წავიყვანოთო. ჩემი ძმა გაჯავრდა: მე პური და სურსათი უნდა წავიღო ურმით, ბავშვებისთვის ადგილს ვერ მოვაცდენო. შემოვარდა დედაჩემი ტირილით: – სამსონამ თქვა, ბავშვებს ურემზე არ დავსვამო! მე დავამშვიდე: – დედაჯან, ნუ ტირიხარ, მალაქას მე ავიკიდებ, გიოს და ელენას (ელენა ჩემი ხუთი წლის და იყო), ხელი ჩავკიდოთ და წავიყვანოთ-მეთქი.*

თათრების შიში ჯერ მხოლოდ ფეხდაფეხ მოსდევდა თოთაძეების ოჯახს. ლტოლვილობის პირველი სიმწარე უახლოესი ადამიანის – ძმისა და შვილის გაუგებარი და მიუღებელი ანგარიშიანობა იყო.

დაადგნენ ფეხით გრძელსა და შიშიან გზას. გზაში პატარა მალაქიას ხან ჩაეძინება, ჩამოცურდება და თორმეტი წლის დეიდას კისერში წაუშერს ხელებს: *„მალაქჯან, აიწიე მაღლა! – წამოვახორწიენდი კისერ ბავშ*

*– აიწევდა მაღლა".*

ჩუნჩხიდან ახალქალაქში, ახალქალაქიდან თოთხამში... ურემი ურემს მიუყვებოდა, მთელი ჯავახეთი ერთი მიმართულებით დაძრულიყო. კოთელიაში გადავიდნენ. ხალხი დიდი კაკლის ქვეშ იყო თავმოყრილი. დედამ გზიდან გადაიყვანა დაქანცული ბავშვები და ცოტა ხნით ხნულში მიაძინა. სანამ გოგონას ეძინა, ლტოლვილებს ბავშვების დედა წამოეწია და შვილები თან წაიყვანა.

***მარუსა თოთაძე:***

*...ბავშვების წაყვანის ამბავი რომ გავიგე, ვიტირე, ვიტირე, – ქვეყანა შევყარე. დედამ ბარალეთში გადამიყვანა დიშვილების სანახავად. ჩემი და ახალი დაქვრივებული იყო და ტანსაცმელი უკუღმა ეცვა, რუბაშკაც, კაბაც (ადრე ასე გლოვობდნენ, შავის ჩაცმა ხო არ იცოდნენ).*

იმდენად პატარა იყო, დედას ჰკითხა: რათ აცვია აგრეო. დედამ აუხსნა: – ზაქარაი რო მოკვდა, იმიტომო. დიშვილებს დაემშვიდობა და კვლავ გზას დაადგნენ. ბარალეთიდან კოთელიაში გადავიდნენ, კოთელიიდან – წითელ საყდარზე. აქაურმა სომხებმა შეიფარეს, ღამე გაათევინეს, ორ-ორი ლეიბი დაუგეს... ვიღაცამ ამბავი მოიტანა, მოღალატე სომეხი მოკლეს თურქეთში ჯაშუშობისთვისო. განრისხებულმა თანასოფლელებმა ახალმოყვანილ ცოლს ქმრის გვამი არ დაანებეს და დაწვეს.

დილით ლტოლვილთა ნაწილი რეხისკენ დაიძრა, ნაწილმა კი მიტარბისკენ აიღო გეზი. თოთაძეებიც მიტარბისკენ გაუდგნენ გზას. გზაში დიდმა წვიმამ მოუსწრო.

*დედაჩემი ძალიან ცუდად გახდა. ჩემ უფროს დას ეუბნება, – შვილო, ეს რო ტირისო, რატო შენც არ ტირიხარო? ჩემმა დამ უპასუხა: ეგ პირად ტირის, დედა, მე კი გულში ვტირივარო. გვითხრეს, ადექით აქედან და მიტარბში ჩადითო. გააკეთეს რაღაც კარვის მსგავსი, დედა იქ დავტოვეთ და წავედით.*

შემოიხვიეს საბნები და წვიმასა და უამინდობაში დაადგნენ გზას სხვებთან ერთად. ფქვილი კი ჰქონდათ, მაგრამ სად უნდა გამოეცხოთ. მოზვერი დაკლეს, მარილი დავიწყებოდათ და უმარილო ხორცს ჭამდნენ. ამ დროს უპატრონო დაუღლული ხარი მოადგათ, ტენილი ყველით გატენილი ხურჯინი ეკიდა. ის ყველი მიატანეს მარილის ნაცვლად, ივახშმეს და დაიძინეს. უფროს დას, საწყალ გაიანეს, ისე ღრმად ჩასძინებოდა ცეცხლის პირას, რომ ნახევარი საბანი დასწვოდა და ვერ გაეგო. მეორე დღეს ოჯახის სხვა წევრებიც წამოეწივნენ.

მიტარბში ოსები ცხოვრობდნენ. დამშეული, რამდენიმე დღის განმავლობაში ტყეში ნახეტიალები ადამიანები სოფელს მიადგნენ. ოსებთან წისქვილი ტრიალებდა და სიმინდი იფქვოდა. მიესივნენ ამ ფქვილს, იყრიდნენ პირში და ჭამდნენ. გაოგნებული მასპინძლები უსიტყვოდ უცქერდნენენ ამ საცოდაობას. უცებ ხმაური ატყდა, ვიღაცას ჩვილი

ბავშვი გადაეგდო, პატარას ღორები დასეოდნენ და წიწკნიდნენ. გამოეკიდნენ, მონახეს დედ-მამა (სომხები იყვნენ) და აიძულეს ბავშვის წაყვანა. მიტარბიდან ბაკურიანში ჩავიდნენ. დაახლოებით ერთი თვე აქ იყვნენ. ერთი თვის შემდეგ დაიწყეს ლტოლვილთა განაწილება სხვადასხვა რაიონში. ძირითადად ყარაიაზში (ახლანდელი გარდაბანი) და საგარეჯოში ანაწილებდნენ. როგორც ჩანს, საგარეჯო უფრო სასურველი იყო საცხოვრებლად. თოთაძეებს დიდი ოჯახი ჰქონდათ: მამა, ოთხი ვაჟი და კიდევ ერთი ძმაშვილი ჰყავდათ სახლში მამაკაცი. ვიღაცას ეთქვა, თამალაანთ ევგენას ბევრი შვილები ჰყავს, მაგათ მთელი კახეთი არ ეყოფათო და გაუშვეს ყარაიაზში.

შიმშილს, სიშიშვლეს, ელემენტარული საარსებო პირობების უქონლობას თან დაერთო ავადმყოფობაც. ლტოლვილთა დროებით ბარაკებში ტიფი მძვინვარებდა და თათრების ტყვიას გადარჩენილ მოსახლეობას მუსრს ავლებდა.

***სოფიო დავლაშერიძე, სოფ. როკეთი (გამოთხოვილია ნაქალაქევში):***

*გავიქეცით, შვილო, ექვსი თვე ტყეში ვიყავით. გავიქეცით და მოგვყვა თათარი ტყვიით, თოფით... გავედით საკოჭავში, იქიდან – მიტარბში და ბაკურიანში. ექვსი თვე იქ გავატარეთ, ჩხირ-ჩხურით, კაწა-კუწით წამოხურულ ბარაკებში. გაჩნდა ტიფი. დღეში ოცი-ოცდაათი ადამიანი გაჰყავდათ მკვდარი. იყო ოჯახები, რო წავიდა ათი სული, თერთმეტი სული და მარტო ერთი ადამიანი მოვიდა შინ.*

***რიფსიმე მურადაშვილი-თედორაძე, სოფ. ხიზაბავრა:*** *თხუთმეტი სული ხიზანი წავედით და ოთხნი ჩამოვედით. სულ იქ გაწყდნენ: ბაკურიანსა და საგარეჯოში.*

როგორც ყველა ლტოლვილობისა და სტიქიური უბედურების დროს, მაშინაც იძალა თავის გადარჩენის ინსტინქტმა. ყველამ ერთნაირად ვერ გაუძლო გამოცდას. ბიძამ ობოლი დიშვილები ურემზე არ დასვა... მშობლები შვილებს ტოვებდნენ და გარბოდნენ. ბებიაჩემმა, მამაჩემის მამიდამ, ორი თვის ჩვილი ხეზე, ტოტებშუა შემოდო, მხეცებს რომ არ შეეჭამათ და ერთი დღე გაუჩერებლად ირბინა ტყეში. გონს რომ მოეგო, – ქალო, სად მიხვალ, რიღასთვის მიხვალო! – თავის თავს თვითონვე შეუყვირა, უკან მობრუნდა, მთელი დღე ირბინა გაუჩერებლად, ბავშვი ცოცხალი დახვდა, აიყვანა და ისევ საკოჭავის ტყის უღრან ბილიკებს მიანდო საკუთარი და შვილის ხელახლა „ნაპოვნი" სიცოცხლე. ხშირად ტოვებდნენ მოხუცებსაც, რომლებსაც გაქცევის ძალა არ შესწევდათ, იმედი ჰქონდათ, რომ ხანში შესულ ადამიანს ხელს არ ახლებდნენ, თუმცა, თათრები უმწეობის გამო არავის ინდობდნენ. სოფელში დარჩენილი მოხუცები მომხდურთა მხეცური სისასტიკის მსხვერპლი ხდებოდნენ.

***რიფსიმე მურადაშვილი:*** *დედამ ხელჩაკიდებული გადამიყვანა*

*ბაკურიანში. გზაში ზოგმა ბავშვი გადააგდო, ზოგმა გაა შვილა. ჩვენ შვიდნი ვიყავით. დედამ ერთი არსად არ გაუშვა. როგორც წაგვიყვანა, ისე მოგვიყვანა. ალასტნის გავლით წავედით. ბაკურიანის გზას გავუდექით. გაწვიმდა, გაწვიმდა, გაწვიმდა, რო – ქვეყანა წაიღო. ბაკურიანში ერთ ნაქირავებ ბოსელში ვცხოვრობდით ოცი სული, მერე ზოგი საგარეჯოში წავიდა, ჩვენ ერთ ხანს ცხრამუხასა და ქვიშხეთში ვიყავით, მერე დავბრუნდით და „თალანიც" (თალანი — დარბევა, იგულისხმება 1919 წ. აჯანყება, მ.ბ.) ვნახეთ.*

*ერთი იყო, ასი წლის იქნებოდა ბერიკაცი, ის არ წამოიყვანეს გაქცევისას, სოფელში დატოვეს. პოსოანთი იყო, პოსოშვილი, წიწილაი რო არი კახეთში, იმის პაპა იყო. როგორ მოკლეს და სად გადააგდეს, არავინ იცის.*

***სონა ზედგენიძე, სოფ. ზველი (გამოთხოვილია გოგაშენში):*** *დედაჩემის პაპა მოკლეს მაშინ ანდრიაწმინდაში. თათრები მოსულან, ქონება უძებნიათ, ვერაფერი რომ ვერ უპოვიათ, ამდგარან და შუბლი გაუხვრეტიათ მოხუცისთვის. ას ოც წელს ყოფილა გადაცილებული. სამოთხჯერ უნდა წამოწეულიყო, რო ამდგარიყოო. კბილები მეორედ ამოსვლია თურმე. დედაჩემი ამბობდა, რო ვკითხავდით, – პაპა, რა ნახე ცხოვრებაშიო? – რასაც ახლა ვხედავ, შვილო, ჩემს მოსწრებაში, ხუთჯერ დაინგრა ქართველობაო.*

***შუშანა ტაბატაძე-ინასარიძე, სოფ. ანდრიაწმინდა:*** *დედაჩემი იტყოდა, მოეკლათ ჩვენი მეზობელი მოხუცი კაციო, ამ სახლის ძაღლიც მოეკლათ და თავთით დაედოთო.*

*გაქცევის დროს ერთი მოხუცი ჩამორჩენილა, იცოდა, თუ დატოვებდნენ, განწირული იყო. – დამიცადეთ, თორემ დავიყვირებ და თათრები მოგაგნებენო, – ემუქრებოდა თანასოფლელებს (და ალბათ ოჯახის წევრებსაც). სხვა რა გზა ჰქონდათ, უცდიდნენ. რის ვაი-ვაგლახით გააღწიეს სამშვიდობოს.*

*ლტოლვილი მოსახლეობის ნაწილი მთავრობამ, როგორც ვთქვით, ყარაიაზსა და საგარეჯოში გაამწესა. დამშეული და დასნეულებული ადამიანების უმრავლესობას აქ სიკვდილი ელოდა, მშობლიური კუთხიდან „პირჯვრის წერისთვის" გამოდევნილებს აქ, უცხო მხარეში, უჯვროდ, უმღვდლოდ, ნაჩქარევად ყრიდნენ სახელდახელოდ გათხრილ მიწაში.*

***ვასო ასპანიძე, სოფ. სარო:*** *ლტოლვილებმა ზაფხული კი გაატარეს ბაკურიანში, სახელდახელოდ მოღობილ ქოხებში, ზამთარში კი ყარაიაზს მიაშურეს. ყარაიაზი თათრული სიტყვაა და „შავ საწერელს" ნიშნავს. ის ზამთარი იქაურმა თათრებმა შეინახეს, მაგრამ გაჩნდა ეპიდემია. მასპინძლებმა გამოუცხადეს, – წადით, ჩვენს ხიზანს თქვენ გამო ვერ დავხოცავთო. წამოვიდა ეს საწყალი ხალხი. გზადაგზა მარხეს დახოცილები. ჩვენი სოფლიდან ლონდარიძეები იყვნენ, ჭიჭიკაანთ ეტყვიან, –*

*ოცდახუთი კაცი წავიდა და ხუთი სული დაბრუნდა. ნახევრის ნახევარს არ ჩამოუღწევია უკან!*

*საბედა ველიჯანაშვილი, ხიზაბავრა: თოთხმეტი წლისა ვიყავი, აქედან რო წავედით, თვრამეტ წელში. ბაკურიანში სადგომი ვიქირავეთ. ერთ ბოსელში თოთხმეტი კომლი ვიდექით. თოთხმეტი სული ხიზანი წავედით და ოთხნი დავბრუნდით. ბაკურიანში ავადმყოფობა გაჩნდა და „კაჭკეებით" ყრიდნენ დახოცილებს. წავიდეს და ნუღარ მოვა ისეთი დრო! თვალწინ მიდგას ეხლაც. საგარეჯოში ერთხანს ვიყავით. მერე მოაყენეს მატარებელი და გვითხრეს: თქვენი ადგილები ცარიელია და უნდა დაბრუნდეთო. მამაჩემი მაშინ დაიღუპა. სად დამარხეს, არ ვიცი. შეგვყარეს ვაგონებში, საქონელს რო შეყრიან ხოლმე, ისე და მოვლაგდით, დავბრუნდით.*

*მარგალიტა ქომოშვილი, არალი: დიდი დღე გვაქ შვილო, გამოვლილი! ჩვენ რო ახალციხეს გავქცეულვართ, ჩემი თავი ქორფა წაუყვანია მამაჩემს. დედაჩემი ახალი მშობიარე ყოფილა ჩემზე. ახალციხიდან რო ამოსულან, გაცივებულა და გარდაცვლილა. მამაჩემს ამის დედისთვის უთქვამს, – გზირიანთ ქალო, რა იქნება, ჩემი ქრისტინე გამიზარდეო! – მოიყვა, ლექსო ძიაო, უთქვამს და ერთი ძუძუ ჩემი ყოფილა და ერთი ამისი. იმან გამზარდა, ბიცოლაჩემმა.*

*უფროსები ყვებოდნენ, უდე ახალციხეში გაიქცა და ორი ძმანი დარჩნენო – ვერ გაასწრეს მოხუცებულებმა და ორი ძმა დაკლეს თავისსავე ეზოში.*

*ახალციხიდან რო დაბრუნდნენ, ნახეს, რო ორივე ძმა ერთად თაკრიან, – ოსეფას მამა და პეტათი. იქვე გაჭრეს სამარე, ეზოში და ზევიდან დიდი ქვები დაადეს. გინახავს შენ ის დიდრონი ქვები, პეტათ კარზე რო აწყვია!*

წალკა-ბაკურიან-ბორჯომის ხაზზე თავმოყრილი ლტოლვილები უკიდურეს გასაჭირში იყვნენ და თხოვნას თხოვნაზე აგზავნიდნენ სხვადასხვა ინსტანციაში. მთავრობა აბსოლუტურად უსუსური იყო და ვერანაირ შემწეობას მისგან მოსახლეობა ვერ იღებდა. გატანჯული ადამიანები სიკვდილის შიშსაც აღარაფრად აგდებდნენ და შინ დაბრუნებას მოითხოვდნენ, მაგრამ თურქებმა საზღვრის დაცვა გააძლიერეს და გაძევებულების უკან შემოშვებას აღარ აპირებდნენ. როგორც ეს ხშირად ხდება ასეთი კრიზისული სიტუაციების დროს, გამოჩნდნენ „მოხერხებული" ადამიანები, მათ შორის სახელმწიფო მოხელენი, ვინც ამ ადამიანების უბედურებაზე ითბობდნენ ხელს. ადამიანებს, რომელთაც ხვალ შიმშილით, ავადმყოფობით სიკვდილი ელოდათ, გზაზე ხვდებოდნენ ათასი ჯურის ნაძირალები და ჩალის ფასად ართმევდნენ შემორჩენილ საქონელს (ლომსაძე, 1995, გვ. 278-280), ხოლო ლტოლვილთა კომიტეტის დახმარება იმაში გამოიხატებოდა, რომ ამ გაუბედურებულ ხალხს კუბოს ფიცრებსა და ლურსმნებს აძლევდა მიცვალებულთა დასამარხად. სიკვდი-

ლი და უბედურება ფეხდაფეხ სდევდა ლტოლვილებს. თათრებისგან გამოქცეულებს შემწე და გულშემატკივარი არც „საქრისტიანო საქართველოში" გამოუჩნდათ. არაადამიანური ყოფა მათ ახლობლების გლოვისა და მწუხარების საშუალებასაც არ აძლევდა. რამდენიმე დღეში დაბერდნენ. პატარა გოგონამ თორმეტი წლის ასაკში ახლობელი ადამიანის სისასტიკეც ნახა, მოყვასისთვის თავგანწირვაც შეძლო, სიცოცხლის გადასარჩენად გაქცეულმა გზაში სიკვდილის არსებობა გაკვირვებულმა „აღმოაჩინა" და გააცნობიერა: – მის დაქვრივებულ დას გლოვის ნიშნად გადმობრუნებული ეცვა ტანსაცმელი. რაღაც ერთ ღღეში, ტყის ბილიკებზე დამდგარი და უხილავი მტრისგან პატარა მხეცივით დევნილი უკვე სულ ახლოს გრძნობდა სიკვდილის სუნთქვას. ხოლო შუა გზაზე თავსდატეხილმა ყოვლისმომსვრელმა წარღვნამ, მასშიც გააღვიძა სიცოცხლის კანონებისადმი მორჩილება, – შეიშრო ცრემლი, მომაკვდავი დედა ტყეში დატოვა და უსიტყვოდ დათანხმდა, სხვებთან ერთად მიტარბისკენ გაეგრძელებინა გზა. ბაკურიანში ჩასულს ერთი ცხოვრება უკვე გავლილი ჰქონდა და ღრმა მოხუცივით ალბათ ძალიან შორეულ მოგონებადღა ახსოვდა, რამდენიმე დღის წინ უდარდელად რომ იჯდა კოფოზე მეხრედ. მისი „ახალი ცხოვრების" – ტანჯვისა და წამების გზის დასაწყისად სწორედ მშვიდობიანობის დროინდელი ეს ბოლო ეპიზოდი იქცა: „მეხრედ ვიჯექი და გამოვექეცი ჩემ ბიძაშვილს..." ადრე დაბერებულსა და დაბრძენებულს, თავის ბედსა თუ უბედობას მინდობილ პატარა გოგოს ბაკურიანში უკვე ხვდებოდა ახალ პირობებს სასწრაფოდ მორგებული, მოხერხებული და მარჯვე „ბიძია". მას და მისნაირებს ლტოლვილთა უბედურებაზე კიდევ ერთი „საქმე" აეწყოთ: უპატრონო ან ღარიბი ოჯახის ბავშვები, მცირე გასამრჯელოს ფასად, ან სულაც უსასყიდლოდ – ტანსაცმლისა და საკვების გარანტიით მიჰყავდათ და შეძლებულ ოჯახებში ხელზე მოსამსახურეებად ჰყიდდნენ.

*მარუსა თოთაძე: ყარაიაში გაგვამწესეს, წასასვლელად ვემზადებოდით უკვე და ერთი კაცი მოვიდა: – მოსამსახურეები მინდაო! ჩემმა ძმამ თქვა, თხუთმეტი სული ხი ზანი ვართ და რა იქნება, ეს ერთი მოსამსახურეთ მივცეთო. წამიყვანეს სამეგრელოში. კიდევ ერთი, ჩემზე უფროსი გოგო იყო, ვანიჩკაი ხო გახსოვს, წითლანაძე, იმის სიდედრი (იწერს ეგ მაგნიტოფონი? – ჩაიწეროს, სულ ჩაიწეროს, რა გულის ტანჯვაც მაწუხებს!). წაგვიყვანეს ეს მშიერ-ტიტველი ბავშვები და ცხრა დღე პური არ გვაჭამეს. ლეღვით გავიტანეთ თავი. დღისით ლეღვს ვჭამდით, ღამით დავწვებოდით. ძირს, იატაკზე გვეგო ლოგინი. დაგვესეოდა ბაღლინჯო. ჩვენ კიდე ერთმანეთს მუჯლუგუნს ვცემდით: – რატო შენ არ თქვი, რო პური მინდა, რატო შენ არ თქვი, რო პური მინდა!*

*დილით რო ავდგებოდით, გვკითხავდნენ: – პური გშიათ? ჩვენ ისევ ვერ ვბედავდით და ვპასუხობდით: – არა! და ისევ მთელი დღე მარტო ლეღვს ვჭამდით. ასე ვიყავით ცხრა დღე. მერე ერთ საღამოს გამოვიდა*

ილია – ჩვენი ახალი პატრონი და: მარუსო, მითხრა, სხვაგან უნდა წაგიყვანოო. – რისთვის უნდა წამიყვანო-მეთქი, – ვკითხე. – ხურჯინი მაქვს წამოსაღები და იმისთვისო. ანიჩკა თავისთან დაიტოვა – ის ჩემზე უფროსი იყო და მეტი მუშაობა შეეძლო, მე კი წამიყვანა. მივდევ და თან ვბრაზობ, გულში ვეჩხუბები და ვაგინებ, მგონია, სადღაც უნდა გადამაგდოს. მატარა, მატარა და ერთ კარგ ოჯახში მიმიყვანა. როგორც ჩანს, იქ უკვე გველოდებოდნენ. მეორე სართულზე რო ავდიოდით, კიბეზე წავიბორძიკე და: – ნელა, მარუსაო, ნელა, არ წაიქცეო! – ამ ილიამ. შიგნიდან გახარებული დიასახლისი გამოვიდა: – ჩემი სეხნია ყოფილაო, – ხელი მომხვია, მომეფერა, ოთახში შემიყვანა. იმ ოთახში იწვნენ, იქ ჰქონდა ბავშვის აკვანი. ის კაცი შესასვლელში დატოვა, სახლში არ შემოუყვანია. ვფიქრობ: – წავიდეს, მოშორდეს, მალე დამანებოს თავი! მერე გვიან გავიგე, მაშინ არ ვიცოდი, რო იმ კაცმა გაგვყიდა ჩვენ, უფრო სწორედ, მე გამყიდა, ანიჩკა კი თავისთან დაიტოვა.

ძალიან კარგ ხალხში მოვხვდი. დატრიალდნენ, სულგუნი, ხაჭაპური, ბადრიჯანი შეწვეს. მეორე დილით ქალბატონმა მითხრა, მარუს, ნესტორაი ქუთაისში უნდა წავიდეს და ტანთი მოგიტანოსო, – ქალამნები და ძველი ტანსაცმელი მეცვა. მომიტანეს, ჩამაცვეს. ბატონსაც და ქალბატონსაც ძალიან ვუყვარდი. მეც მივეჩვიე. ვამბობდი, ორი წყვილი მშობლები მყავს-მეთქი. ჩემმა ბატონმა თურმე იცოდა ჩემი დედ-მამის დახოცვის ამბავი, მე არ მეუბნებოდნენ. ერთხელ გოგოებმა მკითხეს, შენი ძმა რო ჩამოვიდეს, გაგეხარდებაო? – როგორ არ გამეხარდება, მაგრამ არ წავყვები-მეთქი. მართლაც, ერთ დღეს ქალბატონი მეუბნება: – შენი ძმა ჩამოვიდა მარუსაო. – არ მინდა, არ გავყვები, არ ვეჩვენები-მეთქი. მერე „ზალაში" ფანჯარასთან ვიჯექი, ის კი აივანზე დგას და დიასახლისს ეუბნება: რა ვქნა, აღარც დედა მყავს, აღარც მამა, მზე მაგაზე ამოგვდის, უნდა წავიყვანოო! დედ-მამის სიკვდილის ამბავი ასე მოულოდნელად გავიგე. მაინც არ მინდოდა წამოსვლა, თონეში ვიმალებოდი, მაგრამ არ გამივიდა უარი, მომკიდა ხელი და წამომიყვანა. უკანა გზაზე ღამე ხერთვისელ თათრებთან გავათენეთ. ამ დროს თათარი მეორედ იყო უკვე შემოსული (გულისხმობს 1919 წლის ხელახალ თავდასხმას. მიუხედავად იმისა, რომ ხერთვისელი თათრებიც მონაწილეობდნენ ამ დარბევებში, პირადი ნაცნობობა და ახლობლობა ცალკეულ პირებს კვლავ ჰქონდათ ერთმანეთთან და საერთო მტრობაში ქართველებისა და თათრების ურთიერთობა არ გადაზრდილა. ხერთვისი მთლიანად „იერლით", ანუ ადგილობრივი თათრებით იყო დასახლებული მ. ბ.). ხერთვისში ღამე გაგვათევინეს, ისეთი ლოგინი გაგვიშალეს, რო...

დილით სოფელში ამოვედით, ერთი აურზაური ავტეხე, – იმისთანა სახლ-კარი დავტოვე და აქ ვერ დავდგები-მეთქი. საქმე იქამდე მივიდა, ჩემმა ძმამ კინაღამ უკან წამიყვანა, მაგრამ ბიძაჩემი ჩაერია საქმეში: – ხალხი

*რას იტყვის, ერთ დას ვერ მოუარესო! – და დამტოვეს. მატარეს ისევ ნახირში, ხბორში, ცხვარში. მერეც, ამწიეს და გამათხოვეს!*

ახალგაზრდებისა და მოზარდების იაფ მუშახელად დაქირავება ან ლტოლვილთა დროებით ბანაკებში ხდებოდა, ან პოულობდნენ უპატრონო და ობოლ ბავშვებს და თავშესაფრის გაჩენას ჰპირდებოდნენ, ან „სამადლოებიდან" – სახელმწიფო თავშესაფრიდან გამოჰყავდათ ისინი. ასე მოხვდა რეიზე ლანჩხუთში, ჟორდანიებთან. მისი ოჯახის არცერთი წევრი ცოცხალი არ გადარჩა. მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ აღმოვაჩინე, რომ ჩემი კოლეგის, ქ-ნ კლარა გაგუას დედობილი, რეიზეს ბიძაშვილი, აფნიიდან ლტოლვილი და სამეგრელოში მოხვედრილი რუსუდან მელიქიძე იყო. ისე წავიდნენ ამ ქვეყნიდან, ერთმანეთის გადარჩენა არ გაუგიათ. იქნებ ულმობელმა დრომ მეხსიერებიდან ვერ გაუქრო აფნიის ქარაფების პირას გატარებული ბავშვობის წლები და ერთმანეთი ისევ ახსოვდათ?! – ჰაი, ყარაია, ყარაია! – ტკივილითა და დარდით შესთხოვდნენ ყარაიაზის მიწას ბავშვობისდროინდელ ვალს, – ერთმანეთიც იმ უპატრონო საფლავებში ეგულებოდათ, მათ „პირჯვრისმწერელ" მამაბიძებს, შიმშილით, სიცივით და ტიფით მოწყვეტილებს, უჯვროდ და უმღვდლოდ, სახელდახელოდ რომ უთხრიდნენ უცხო მიწის გზისპირებზე. ასე იყო თუ ისე, ყიდდნენ თუ აშვილებდნენ, ღია ცის ქვეშ დარჩენილი ბავშვებისთვის დიდი ბედნიერება იყო კეთილშობილ ადამიანებთან, ოჯახურ გარემოში მოხვედრა.

*ვლადიმერ ზაზაძე, სოფ. თმოგვი:* ზოგი სამადლოდან გაჰყავდათ. *სამადლო სახლი იყო თბილისში, როგორც ახლა ინტერნატია. ჩვენი სოფლიდან, აგარიდან ოცდაერთი ბავშვი იყო. მდიდარი, შეძლებული ხალხი მოდიოდა და ხელზე მოსამსახურედ მიჰყავდათ ათი-თოთხმეტი წლის ბავშვები, ბიჭებიც და გოგონებიც. ჩემი დები და ბიძაშვილი წაიყვანეს ასე, სამტრედიაში, იქიდან სენაკში, აბაშაში... გეგეჭკორთან იყო ერთი ჩემი და. ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ თავიანთ პატრონებთან. აღარ გვაძლევდნენ, მაგრამ გასათხოვრები რო გახდნენ, წამოვიყვანეთ. მეგრული ისე იცოდა ჩემმა დამ, მეგრელისგან ვერ გაარჩევდი.*

*... ერთი ძმა ჭობისხევში მივაბარეთ ხელზე მოსამსახურედ. სიმინდი იყო იქ საშმელი, პური არ ჰქონდათ. აქაურმა კაცმა ვერ აიტანა სიმინდის ჭამა და მოკვდა.*

ბევრი ბავშვი გაქცევისას დაიკარგა. გადარჩენილი და შინ დაბრუნებული ოჯახის წევრები წლების მანძილზე არ კარგავდნენ მათი პოვნის იმედს. ასე დაიკარგნენ ჩვენი მთხრობელის, მარუსა თოთაძის დისწულები, სწორედ ის გიორგი და მალაქია, ბიძამ, მარუსას ძმამ, ურემზე რომ არ დასვა. ბავშვები დედამ თავისთან წაიყვანა და დანარჩენი ლტოლვილობა მათ მამისეულ ოჯახთან (გოგაშნელი ნათენაძეები იყვნენ) ერთად გაიარეს.

*მოხდა ისე, რომ ამ ბავშვების კვალს მრავალი წელი უშედეგოდ ეძებდა სწორედ ის ბიძა, ასე უგულოდ რომ მოექცა ერთ დროს. არავინ იცის, რა შინაგანი ტანჯვის და სინანულის ფასად გამოისყიდა ამ ადამიანმა მძიმე წუთებში გამოჩენილი თავისი სისუსტე, მაგრამ ამბის სასწაულებრივი განვითარება და ზღაპრული დასასრული ალბათ მანაც ნამდვილ ღვთიურ ჯილდოდ და შენდობის უტყუარ ნიშნად მიიღო.*

*მარუსა თოთაძე: მოხდა ისე, რომ ბავშვები დაიკარგნენ. ახალციხეში, უკვე დაბრუნებისას, ალბათ 1919 წელს. მარტო დარჩენილმა ძმებმა უცხო კაცი დაინახეს, ორი მოზრდილი პური ამოეჩარა იღლიაში და მიჰქონდა. ერთ-ერთმა გაბედა, მიუახლოვდა და შეეხვეწა, ძია, ერთი ლუკმა პური მოგვეციო. უცნობმა სახლში გაიტყუა პატარები, მოგვიანებით კი ცალ-ცალკე დაყიდა. დიდხანს იყვნენ დაკარგულები. მერე ჩემმა ძმამ ოპერაცია გაიკეთა ბრმა ნაწლავის. თბილისში იწვა. საავადმყოფოში საუბრობდნენ, ვის ვინ ჰყავს დაკარგული... ჩემს ძმას უთქვამს, მე დიშვილები მყავს დაკარგულიო. ერთი მოხისელი კაცი ყოფილა იქ და იმას უთქვამს, ჩვენთან არის ერთი ჯავახელი ბიჭი, მაგრამ არავინ არ ჰყავს, უპატრონოდ არის წამოსულიო.*

*წავიდა ჩემი ძმა მოხისში. გზაზე ორი გოგო შეხვდა, იმათ ჰკითხა, აბუქაძე გოგია სად ცხოვრობსო? – რისთვის გინდა, ბიძიაო, და: ჩემი დიშვილიაო! – არა, მაგას არავინ არა ჰყავს, ჯავახეთიდან არის მოსულიო, – უპასუხეს. მიაყვანინა მაინც თავი. ფანჯრიდან დაეხმაურა, კარი გააღე, ბიძა ვარ შენიო. – არც ბიძა მყავს და არც არავინო, – ეს ბიჭი ეუბნება. კაცო, გააღე კარიო!*

*გააღებინა, შევიდა: – აბა, ვინა ხარ, საიდან ხარ?!" – გოგია მქვია, გოგა შ-ნიდან ვარ, ოჯახი, გვარი არაფერი არ ვიცი, არ მახსოვს, აქ ვარ და აბუქაძედ ვიწერებიო. – ბიჭო, ჩემი დიშვილი ხარ, მალაქაი რო გყავდათ, გახსოვს თუ არაო? – როგორ არ მახსოვსო, – ძმა გაიხსენა! – ისიც დაკარგული გვყავს, ახლა ის უნდა ვეძებოთო.*

*ხუთი შვილი ჰყავდა უკვე გოგიას, როცა იპოვა. მერე მეორე ძმის ძებნა დაიწყო, ისიც კითხვა-კითხვით იპოვა კარგა ხნის შემდეგ. იმასაც ხუთი შვილი ჰყავს, ჯავახი შვილად იწერება. ვაგონებზე უმუშავია, ვიღაცას ვაგონი გადაუხსნია და ეს დაუჭერიათ. გაუშვეს სასამართლოზე. მოსამარ-თლე მისი ბიძაშვილი აღმოჩნდა, მისი თანასოფლელი, ახლა კახეთში ცხოვრობს. მივიდა ეს მოსამართლე და: – ბიჭოო, საიდანა ხარ, ჯავახი-შვილად რო იწერებიო? – რა შენი საქმეაო, – შეუტევს. – მაინც მითხარი, საიდან ხარო, – ადგება და თავს გაუსინჯავს. მამაჩემმა რო ჩამოიყვანა დაობლებულები, მაშინ გადმოუვარდა ურმიდან და თავი ჰქონდა გატეხი-ლი. რო ნახა ამ მოსამართლემ, ნესტორაი ერქვა: ბიჭო, ბიძაშვილები ვარ-თო! და გადაეხვივნენ ერთმანეთს.*

მოსახლეობის ერთ ნაწილს, განსაკუთრებით ახალციხის მაზრაში,

შორი ლტოლვილობა არ მოუწია. შესაბამისად, მათ არც ბაკურიანისა და ყარაიაზის ჯოჯოხეთი გაუვლიათ, თუმცა, ამის გამო მათი ხვედრი ოდნავადაც არ შემსუბუქებულა. ურაველის საზოგადოება, სადაც ქართველების გვერდით ცხოვრობდა „იერლიც", ქურთიც და თარაქამაც, ერთ-ერთი ყველაზე რთული რეგიონი იყო სამცხე-ჯავახეთში (ლომსაძე, 1995, გვ. 284). აქური „ჩათები" სისასტიკით გამოირჩეოდნენ და არაერთხელ მოუწყვეს თავის ქრისტიან მეზობლებს სისხლიანი სასაკლაო. ამ მხარის დარბეული ქართველობა შიშიანობის დროს ახალციხისკენ ან საფარისკენ დაიძვრებოდა ხოლმე. ზოგჯერ მას საფრთხეს უქმნიდნენ თათრებს მიმხრობილი ჭაჭარაქელი სომხებიც.

ურავლის საზოგადოების ქრისტიანი ქართველობა დარბეულა და გაქცეულა 1918 წლის გაზაფხულზე. როგორც ითქვა, გაქცევას თავისი „ცოდვა-ბრალი" ჰქონდა. დაბნეულობის და პანიკის წუთებში ბევრმა დაკარგა საკუთარ თავზე კონტროლი, ბევრისთვის კი ეს „გაქცევა" სულიერი ზრდის და სრულყოფის გზად იქცა. ისინი, ვინც პირჯვრისწერისთვის იდევნებოდნენ, ხშირად თავისი მოთმინებით და სიკეთით ლამის მოწამეებს უტოლდებოდნენ.

*სონა ზედგენიძე: გაქცევის დროს დედაჩემი ნაწვევად ყოფილა თავის სოფელში, ანდრიაწმინდაში. სოფელს რომ თათარი შემოესია, სხვებთან ერთად დედაჩემიც გაქცეულა, ორი ბავშვით. მაშინ ხო ჩანთა და რამე არ იყო, – ერთი ბავშვი თავშალში შებურული მკიდია ზურგზე, მეორე ხელში მყავს აყვანილიო. პატარები არიან ბავშვები, – უფროსი სამი წლისა არიო. ჩამოვრჩი, ყველამ გამასწრო, ძმამაც, რძალმაცო.*

*ლამაზი იყო დედაჩემი, ყველა დედა ლამაზია, მაგრამ ის მართლა ძალიან ლამაზი იყო. – პირი შემურული მაქვს, თვალში რომ არავის მოვუვიდეო. გარბის საცოდავი ქალი და უცებ თათარი შემოეფეთა. – ვიფიქრე, ხორთლაღია (მოჩვენებაა) თუ რა არიო. თეთრი ხალათი, თეთრი შარვალი, ზედ პატრონტაჟი აქვს გადაჭერილიო. მე თვალები მოვიწმინდე, ისევ მოჩვენება მგონიაო. ეტყობა ამ თათარს შეეცოდა გატანჯული ქალი და: კორხ მაინ! კორხ მაინ! – ნუ გეშინიაო, და გასცილდა მშვიდობიანად. ცოტა გაიარა და რას ხედავს, პატარა ბავშვი გდია გზაზე, აუშვერია ფეხები და ტირის. დიდხანს არ უფიქრია, აიყვანა ბავშვი. სამი ბავშვით სიარული გაუჭირდა. ძლივსღა მიათრევდა ფეხებს. უცებ უკნიდან რაღაც ჩხაკაჩხუკი ესმის. მოხედვის ეშინია, მდევარი ჰგონია. ბოლოს გაბედა, მოიხედა და რას ხედავს! – უპატრონო ვირი მოდის, ზედ ხურჯინი ჰკიდია! ჩასვა პატარები აქეთ-იქით, უფროსი ვირზე შესვა, თვითონაც თითქმის ზედ ჩამოეკიდა: – მეც ასე მიჭირავს თოკი და ვირს მივყვებიო. გზაში ისევ თათრები წამოეწივნენ, ატყდა შამათა, ყვირილი. ოქროს სთხოვდნენ, ვერაფერი რომ ვერ უნახეს, წავიდნენ. რაღაც სასწაულმა გადაარჩინა სიკვდილს. რის ვაი-ვაგლახით ჩააღწია ახალციხემდე. ლტოლვილებს*

*ეკლესიაში მოეყარათ თავი. დედაჩემი მღვდლის მონათლული იყო. ძლივს მიუწვდენია ხმა ნათლიისთვის:– მარიამი ვარ, აქა ვარო! ხალხი გაიყო და გაატარეს. ბიძაჩემები თავისი ოჯახებით უკვე იქ იყვნენ. მღვდელი ჯავრობდა – ქალს როგორ გამოასწარით, ორი ბავშვით მარტო როგორ დატოვეთო. მესამე ბავშვი რომ დაინახა, გაუკვირდა.*

გადაგდებული ბავშვის ამბავმა მღვდელი აღაშფოთა. ეტყობა ასეთი ფაქტები ხშირი იყო და  მოძღვარმა სასტიკად დაგმო ნაპოვნი ბავშვის დედ-მამა: „ – კრულ იყოს ასეთი მშობელი, შვილს რომ ასე გაწირავს, ამისგან ხომ ერთი კარგი ქართველი გაიზრდებოდაო!" დღეს ვერავინ იტყვის, რას ფიქრობდნენ ჯოჯოხეთგამოვლილი ადამიანები იმ დროს. მარტო ის ვიცით, რომ ტაძარში ჩამოვარდნილი სამარისებური სიჩუმე არავის დაურღვევია. არც მარიამს ამოუღია ხმა. იქ შეკრებილებს სიკვდილ-სიცოცხლის ერთი და იგივე შემზარავი გზა ჰქონდათ გამოვლილი და ამ გზაზე უკვე მოესწროთ საკუთარი სულის ყველა კუნჭულის შეცნობა. მარიამსაც კარგად ახსოვდა, უცხო პატარა რომ აიყვანა, ცოტა იმის იმედიც ჰქონდა, სამი ბავშვით უფრო დამინდობენ, არ მომკლავენო. მღვდელი ძალიან მკაცრი იყო. ის იმ გზაზე არ ყოფილა და მომხდარს სხვა, ჩვეულებრივი ადამიანური საზომით აფასებდა. – კრულ იყოსო! – იმეორებდა და მისი სიტყვები კვლავ უპასუხოდ რჩებოდა ხალხით გაჭედილ ტაძარში. გაკვირვებულმა „მამაომ" თვალი მოავლო მდუმარე მრევლს და იკითხა: რატომ არავინ ამბობს „კრულ იყოსო?" პასუხი ასეთი იყო: ამ ქალმა რომ წყევლა შეუთვალოს ბავშვის მშობლებს, მის გაკეთებულ სიკეთეს რაღა მადლი ექნებაო?

ხმა ნაპოვნ ბავშვზე მალე გავრცელდა. მისი მშობლებიც იქვე ყოფილან ეკლესიაში. მარიამი მერე იგონებდა ხოლმე: „ისეთი ლამაზები იყვნენ, ნახატები გეგონებოდა, ისინი რომ თათრებს ჩავარდნოდნენ ხელში, სიკვდილი არ ასცდებოდათო". – არც სიკვდილი ასცდებოდათ და არც სირცხვილი, სილამაზე მაშინ ქართველისთვის ნებადართული არ იყო. ეს ბავშვი პირველი შვილი იყო. ძალიან ახალგაზრდები იყვნენ, თვითონაც თითქმის ბავშვები. ვერ გაუძლეს მძიმე გამოცდას. ერთმანეთის სიყვარული და ერთმანეთის სიცოცხლე ამჯობინეს. ეკლესიაში შეკრებილი ჯოჯოხეთგამოვლილი ხალხი მდუმარებით გამოხატავდა თანაგრძნობას, თანაზიარობას. არავის არ აღმოაჩნდა „დამნაშავეთათვის" სასროლი „პირველი ქვა". ეკლესიაში ახალი საზრუნავი და საფუსფუსო გაჩნდა: ვიღაცას აკვანი მოჰქონდა, ვიღაცას ჩვარი. სასწაულით გადარჩენილ პატარას ანგელოზივით დედ-მამა დასცქეროდა თავზე.

# ომი...

„გაქცევა" 1918-1919 წლის მოვლენების ერთ-ერთი უმძიმესი ეპიზოდი იყო, მაგრამ კიდევ უფრო საშინელი იყო ამ ადამიანების განცდილი და გადატანილი მშობლიურ კუთხეში, საკუთარ სახლში ყოფნისას. სამოქალაქო ომმა ყველა სოფელს თავისი წილი ტკივილი არგუნა.

სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის დიდ ნაწილს მიმდინარე საომარ მოქმედებებში მონაწილეობა არ მიუღია. ახალციხის მაზრაში იარაღით იბრძოდა სოფ. უდე, ახალქალაქში კი ფრონტის ხაზი გადიოდა სოფლებზე: სარო, ხიზაბავრა, ბარალეთი, ქილდა, გოგაშენი. შესაბამისად, ამ სოფლების მოსახლეობა ჩართული იყო საომარ მოქმედებებში. როგორც ვთქვით, ეს ომი წამოწყებული იყო თურქეთის მიერ და მიზნად ისახავდა საქართველო-თურქეთის მიმდინარე მოლაპარაკების პარალელურად სასურველი „დე ფაქტოს" შექმნას. ომის მიზეზად თურქეთი ქრისტიანებისგან, კერძოდ სომხებისგან მუსლიმანთა შევიწროებას ასახელებდა. ამაზე თურქეთის წარმომადგენელი ჯერ კიდევ იანვარში „ჩიოდა" (ლომსაძე, 1995, გვ. 264).

როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, პროვოკაციამაც არ დაახანა. მარტის თვეში უკვე მომხდარა შეტაკება სოფ. გოკიოს თათრებსა და სომეხ მოსახლეობას შორის. ამ დროს მხარეში განვითარებულ მოვლენებს დაწვრილებით აღწერს ახალქალაქის სამხარეო კომისარი. თავის რუსულად შედგენილ მოხსენებით ბარათში თბილისის საგუბერნიო კომისარისადმი ის წერს: *მუსლიმანები ძარცვავდნენ ქრისტიანებს, ართმევდნენ იარაღს, არბევდნენ მათ სოფლებს. აღმაშფოთებელი იყო მათი საქციელი ქართული სოფლების: ერკოტის, ტოლოშის, როკეთის, დადეშის და სხვათა აოხრებისას. მუსულმანები ძალადობდნენ მოსახლეობაზე, გადაკეტეს გზები არდაგანისკენ. ამას მოჰყვა ახალციხის ამბები, არდაგანის როტის განიარაღება, ლტოლვილები ართვინ-არტანუჯის ოლქიდან და მათი ხოცვა-ჟლეტა. ყოველივე ამან აავსო ქრისტიანი მოსახლეობის მოთმინების ფიალა. ბოლოს სოფ. გოკიოს თავდასხმამ ჯარის ნაწილებზე და ჩილდირელი მუსულმანების თავდასხმამ სომეხთა სოფელ კარწახზე უკვე გამოიწვია საპასუხო რეაქცია. გოკიოს (75 კომლი) თავს დაესხა ქრისტიანი მოსახლეობის რაზმი. დარბევაში მონაწილეობას იღებდნენ ბაკურიანელი ოსებიც. სოფლის მოსახლეობა მეზობელ ალასტანს შეეფარა. მამაკაცები ჩილდირის ოლქში გაიქცნენ და იქიდან გააფთრებით*

*იბრძოდნენ ქრისტიანების წინააღმდეგ. გოკიოს დარბევას მოჰყვა მაჰმადიანთა სხვა სოფლებზე: ალჯვა (8 კომლი), ხოსპიო (42 კომლი), ყულალისი (22 კომლი) თავდასხმა (ЦГАОР. Гр. СССР, ф. 28. с .75).*

ეს პროვოკაციული მოვლენები პირდაპირ თურქეთის წისქვილზე ასხამდა წყალს. ჯარი უკვე დაძრული იყო მხარის „ქრისტიან მოძალადეთაგან" გასათავისუფლებლად.

ჯავახეთის ფრონტის დასაცავად იქმნებოდა ადგილობრივი რაზმები, ცალკე სომხების, ცალკე ქართველების. სეიმის მიერ გამოგზავნილი უმნიშვნელო სამხედრო ძალა აქ დაგვიანებით გამოცხადდა. სოფლის მოსახლეობა აქტიურად ებმებოდა საომარ მოქმედებაში.

*მალაქია მურჯიკნელი, სოფ. ბარალეთი: სომხების სამხედრო პოსტი კუმურდოში იყო, ჩვენი – სოროში. ჩვენ იარაღი არ გვქონდა. სომხებმა ნიკოლოზის იარაღის საწყობი გატეხეს, იარაღი გამოიტანეს და დაარიგეს. შეიძლება, რუსებმაც შეუწყვეს ხელი (როგორც ეხლა ეხმარება გარბაჩოვი აფხაზებს და ოსებს). მერე ჩვენები წავიდნენ, ბიძაჩემი ლავრენტი, – მზეკალას მამა. კოთელიელებიც ბევრნი იყვნენ, წავიდნენ თბილისში და იქიდან მოიტანეს იარაღი. ჯერ საკოჰავამდე მოიტანეს, ადიგენის იქით სადგურია ერთი, ასე აბანოებზე ჩავიდნენ, ციხისჯვარზე გადავიდნენ და ისე ამოიტანეს იარაღი. ვინც ჯარში იყო ნამსახური, ხუთსასროლიანი ვინტოვკები დაურიგეს, ვინც არა, – „ბერდენკები" მისცეს. ზოგმა სამი-ოთხი წამოიღო, ვისაც რამდენი შეეძლო. ტყვია-წამალი კურტნის ცხენებით ამოიტანეს, – ურნაშეთელები ამუშავებდნენ კურტნიან ცხენებს, იმათი ცხენები დაიქირავეს.*

*მამულაანთ ლესი ხო იცი, როგორ არ იცი, – გვილინაზას ქმარი, ეგ იყო ნიკოლოზის ოფიცერი და ეგ ხელმძღვანელობდა, კამანდას ეგ აძლევდა. ისეთი ხმა ჰქონდა, ზევიდან რო ბრძანებას გასცემდა, ღელეს გუგუნი გაჰქონდა. მსახურად თავისი ბიძაშვილი, გარექილაი ჰყავდა. გოკიოში და ფრანგტურცხში მოიტანეს ზარბაზნები და დადგეს. ჩვენ ბავშვები ვიყავით, ცხონებული მამაშენიც იყო. თურმე ზარბაზანი მიწაში უნდა გაამგრონ, არ იცოდნენ. სროლისას მაღლა ხტებოდა. მერე ბაგდანოვკიდან მღვდლის შვილი იყო ერთი, ის მოიყვანეს და ჩვენი ვანოიც, ხო გახსოვს, ტყვია-წამლისთვის იყო და ეგეც ამოვიდა. ამ ორმა საქმე იცოდა. – ეს რა უქნიათ, კაკოო! — დატრიალდნენ, ეს ზარბაზნები გაამგრეს. ხალხი დააყენეს, რო სროლის ზუსტი ორიენტაცია განესაზღვრათ. აქედან მე ვეუბნები: მარჯვნივ! მამაშენმაც დაიწყო იქიდან: მარჯვნივ! მარჯვნივ არიენტირი! – ამ მითითების მიხედვით ასწორებდნენ მიზანს. საღამომდე იბრძოდნენ თათრები, მერე წამოისხეს თეთრი ზეწრები. „ხარჯი" თოვლი იყო – მაგარი, შეყინული, რო არ ტყდება. ეგრე თოვლზე აიარეს და ტყეს მისცეს თავი. ტამალაზე გადაიარეს და გაიქცნენ. ბევრი დაიხოცა მაშინ თათრებისგან.*

*ცოტა ხანს დაისვენა ჯარმა. აღდგომა დღეს ჩვენმა ხალხმა იქეიფა, თათრები ჩუმად ამოვიდნენ, საროს ზევით, თოკისკენ მიმავალ გზაზე დაბინავდნენ. საფარი გაიკეთეს, წყალი, საჭმელი მოიმარაგეს და თავს დაესხნენ სოფელს. საროს აგუდინესს ეძახდნენ. აგუდინესის აღება ჰქონდათ დავალებული. იმ დღეს ორი კაცი დაიღუპა ჩვენი, – ერთი ქართველი, ესვევას ძმა, გვადეი. მეორე სომეხი იყო, ვართაღინას ქმარი.*

*მამიდაჩემის შვილიშვილი, მაზმიშვილი ონისიმე იყო, ნასწავლი კაცი. მეკავშირე იყო ტელეფონზე. ხერთვისში ზაზაძეები იყვნენ თათრები. იმათ სახლში ჰყავდათ ქართველი ტყვეები დამწყვდეული. სახლის კარი გადაკეტილი იყო. დიდი, განიერი ფანჯარა კი მტკვარს გადაჰყურებდა. ტყვეების გათავისუფლება უნდოდათ და ჩავიდა ეს ონისიმე. გაღმიდან, კლდეებიდან დაუშინეს თათრებმა ტყვია და კარებთან მოკლეს. მერე ჩვენი ნიკო, აი, ბოთოი იქნებ გაგეგონოთ, – მაგისი მამა ჩავიდა ხოხვით. გამოაბა ქამარი ფეხზე და სკოლამდე ასე ჩამოიყვანა მკვდარი. მერე შეეშველნენ ბიჭები და საკაცით ამოიყვანეს. საროზე შეტევა ქართველების გამარჯვებით დამთავრდა. ერთი არჯევანიძე იყო, გენერალი. კეტზე ბაწარი გადაუკიდია და ფაშას ხლებია. ფაშას ქრთამი მიუცია და გენერალს ბრძოლა მიუტოვებია. ვილისით ჩასულა ხაშურში. იქ გეგეჭკორი, რამიშვილი და ჟორდანია დახვედრიათ. მოღალატე გენერალი სასტიკად დაუსჯიათ, ოქრო დაუდნიათ და პირში ჩაუსხიათ (აქ მთხრობელი თვითონვე ეჭვობს, – ეგ ტყუილი იქნება, ჩემი აზრით! თანამოსაუბრე კვერს უკრავს: –ხო, მეც გამიგია, ოქროთი დაახრჩო კაციო).*

ამ მონათხრობში ორი ისტორიული თარიღია აღრეული, – 1918 წლის გაზაფხულის ბრძოლები და 1919 წლის გაზაფხულზე განვითარებული მოვლენები, როცა არდაგანისკენ გენერალ კვინიტაძის ტრიუმფალური სვლა იძულებით იქნა შეწყვეტილი და ქართულ ჯარს დამსახურებულ გამარჯვებაზე უარის თქმა მოუწია. პირველი ბრძოლების შემდეგ მოსახლეობა გაიქცა და ამ ლტოლვილობის მძიმე შედეგებზე უკვე ვისაუბრეთ. ამ პერიოდში სამცხე-ჯავახეთში მართლაც მოღვაწეობდა გენერალი არჯევანიძე. 1918 წლის აპრილის დასაწყისში სწორედ ის ატყობინებდა სეიმს მუსულმანური ბანდების გააქტიურების შესახებ (ლომსაძე, 1995, გვ. 273). 1919 წლის გაზაფხულზე კი მტკვრის მარჯვენა ნაპირიდან (ჯავახეთიდან) მტერს გენერალი ართმელიძე უტევდა. ამ ამბებს უნდა შეეხებოდეს ჩვენი მთხრობელის ისტორიის ბოლო მონაკვეთი. ის ლაპარაკობს ხაშურში ჩასულ მთავრობის წევრებზე. 1919 წლის 11 თებერვალს მესხეთში შექმნილი მდგომარეობის გამო ბორჯომში (და არა ხაშურში) მართლაც ჩავიდა მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია და სამხედრო მინისტრი გრიგოლ გიორგაძე. მათ იქ შეხვდა გენერალი მაზნიაშვილი და მოახსენა შექმნილი ვითარების შესახებ. ცოტა ხანში მაზნიაშვილი გაათავისუფლეს ახალციხეში განცდილი მარცხის გამო და გენერალ-გუბერნატორად გ.

კვინიტაძე დანიშნეს. ართმელიძე და კვინიტაძე ბრძოლებით მიიწევდნენ არტაანისკენ და ზედიზედ ათავისუფლებდნენ ქართულ მიწებს. ქართული ჯარის წარმატება თვალნათელი იყო. ინგლისელები კატეგორიულად მოითხოვდნენ მთავარსარდლობისგან და მთავრობისგან, რომ ახალქალაქში გარნიზონი არ შეეყვანათ და არ გაებედათ გადასვლა არტაანის ოლქში. მიუხედავად ამისა, 20 აპრილს ქართველები უკვე არტაანში იყვნენ და კოლის მიმართულებით უტევდნენ მტერს. ინგლისმა ყარსში ჯარი შეიყვანა და გაუგონარი მოთხოვნები წამოაყენა: მტკვრის მარჯვენა მხარე და მარჯვენა მხარის არტაანიც სომხებს უნდა დარჩეთო. ძალა ქართველთა მხარეს იყო. არტაანი საქართველოს დაუბრუნდა, მაგრამ მთავრობის დაჟინებული მოთხოვნით ის იძულებული გახდა, აღარ გაეგრძელებინა შეტევა. წელიწადნახევრიანი სამოქალაქო ომი სამცხე-ჯავახეთში დამთავრდა გამარჯვებით, რომელმაც იმედგაცრუების მეტი არაფერი მოუტანა მხარის ქრისტიან მოსახლეობას. გენერალი კვინიტაძე ვერ ეგუებოდა აზრს, რომ ბრძოლების შედეგად გათავისუფლებული მარჯვენა არტაანი სრულიად არალოგიკურად, ყოველგვარი ეთნიკური, ისტორიული, იურიდიული მოტივაციის გარეშე გადაეცა სომხეთს.

რასაკვირველია, ასეთი დასასრულით უკმაყოფილო დარჩა ქართული მოსახლეობა, რომელმაც ამ ომში უდიდესი მსხვერპლი გაიღო. ომის შედეგი მან მარცხად და უკანდახევად შეაფასა. აქ მოხმობილი ისტორიის ბოლო ფრაგმენტი გულუბრყვილო „ხალხური პოლიტიკური მიმოხილვის" საინტერესო ნიმუშია: იმაში, რომ ქართული ჯარი არდაგანში არ შევიდა და ქართველობამ დამსახურებული გამარჯვება ვერ იზეიმა, დანაშაული გენერალ არჯევანიძეს მიუძღვის (ალბათ ართმელიძეს, რადგან მაშინ ამ უბანზე ართმელიძე იბრძოდა, მ. ბ.), ხალხმა მოღალატე გენერლის სამაგალითო დასჯის ლეგენდა შექმნა, – რახან ოქროსთვის უღალატა თავის ხალხს, ადუღებული ოქრო ჩაასხეს პირში. მთავრობა სანიმუშოდ სჯის მოღალატეებს, ასეთი მთავრობის იმედი კიდე შეიძლება გქონდეს! ის რა იცოდნენ, რომ კვინიტაძემ მხოლოდ მთავრობის დანაშაულებრივი ბრძანებების უგულებელყოფითა და ურჩობით შეძლო არტაანის აღება. მოსახლეობა მისგან უფრო მეტს ელოდა და ითხოვდა.

„– კვინიტაძეს თავი გაუხმა, ერთი პატარა კაცი იყო, გამქრალი. მაგას რომ ჩხუბი არ აეტეხა, ახლა არდაგანში ჩვენი ჯარი იდგებოდა" – ამბობს ერთ-ერთი მონაწილე და თვითმხილველი იმ ამბებისა (ბერიძე, 1992, გვ. 249).

1918 წლის საომარ მოქმედებებში მონაწილეობას იღებდა ხიზაბავრის და ვარგავის მოსახლეობაც. ალბათ ამიტომაც იყო, რომ მომდევნო წელს ზამთრის მოვლენების დროს (სერვერ ბეგის აჯანყება) კათოლიკეთა არც ერთი სოფელი არ დაურბევიათ ამ ორი სოფლის გარდა. ხიზაბავრაში შეუქმნიათ მოხალისეთა ათასეული, რომელშიც მეზობელი სოფლის მცხოვრებნიც გაერთიანებულან (ქუქჩიშვილი, 1998, გვ. 24.)

*საბედა ველიჯანაშვილი: თვრამეტ წელში აქ იჩხუბეს. ჩვენები მარჯვე ხალხი იყო და ბევრი ჩახოცეს თათრები. ჩვენგან ერთი ოთხი კაცი მოკვდა, ხუთი – მეტი არა! ახალციხიდან გზა შეკრული იყო და ბაკურიანიდან გადმოჰქონდათ იარაღი. მღვდელი გვყავდა ერთი და კიდევ ხუციშვილი სანდრეი იყო, – იმათ მოჰქონდათ ხოლმე ტყვია-წამალი. რო ველარ გავუმკლავდით, გადავლაგდით ბაკურიანში. იქ ერთი დიდი ბოსელი ვიქირავეთ. თხუთმეტი სული წავედით და ოთხი დავბრუნდით. ხუთასი მოკვამური მაინც იქნებოდა – ექვსასი, ჩვენს სოფელში. ნახევარზე მეტი ან გზაში გაწყდა, ან აქეთ-იქით გაიფანტა. რო დავბრუნდით, თათრების ნაწილი გაქცეული იყო, ზოგი კი დარჩა. სოფელში რო ამოვედით, მე და ჩემმა ბიძაშვილმა პურის ცომი მოვაგროვეთ, პურის ცომი ხო იცი, ერკოტელი ხარ, გეცოდინება – პურის მოსაზელი, მეორე ცომი – ის მოვაგროვეთ, რკინაზე გამოვაცხეთ და ვჭამეთ. ჩვენ სახლში ოთხი „სომინი“ (გამომცხვარი პურის სახეობაა, მ.ბ.) პური ვნახეთ, თურმე ჯარს უცხობდნენ ჩვენთან პურს, წყაროსთან ახლოს ვცხოვრობდით. პაპამ დაგვიშალა, – არ ჭამოთ, ვაითუ თათრებმა მოწამლესო.*

*გავიდა ერთი კვირა ჩვენი დაბრუნებიდან და თათრები შემოგვესივნენ, ჯერ თოფები მოკრიფეს, სამხედრო ტანსაცმელი იყო დარიგებული, – ის მოკრიფეს. მშიერ-მწყურვალ ხალხს რა წინააღმდეგობა უნდა გაეწია.*

*როგორც უკვე ითქვა, სხვადასხვა სოფლის ბედი სხვადასხვაგვარად წარიმართა იმ წლებში. ახალციხის ახლოს მდებარე კათოლიკურ სოფლებს უდეს, ვალეს და არალს შორი და ხანგრძლივი ლტოლვილობა არ მოსწევია. 1919 წელს აქ წარმოებული საომარი მოქმედებების შემდეგ მოსახლეობის ნაწილი ახალციხეში გაიქცა.*

*არტემ აკოფაშვილი, სოფ. არალი: უდეს და ვალეს თავისი თათარი ჰყავდა და შემოსევის დროს იმათმა შეიფარეს. ჩვენთან თათარს არასოდეს არ უცხოვრია, რა გვექნა, გავიქეცით ახალციხეში. აკოფაშვილები დიდი ოჯახი ვიყავით, ხუთ-ექვს ფურ-კამეჩს ვწველიდით. ათი ძროხა გვყავდა. გავირეკეთ საქონელი და წავედით. მე თორმეტი წლისა ვიყავი, საქონელს მივდევდი. ოცხელას წყალს რო მივადექით, საქონელი გაღმა ბაღებში გავიდა და გაიფანტა. თათარი ფეხდაფეხ მოგვყვებოდა. საქონლის ძებნის დრო აღარ იყო. ჩავედით ახალციხეში. ოთხი წყვილი ხარიღა შეგვრჩა. წყალზე მე მატანდა ხოლმე მამაჩემი, ბავშვი ხარ და არაფერს გეტყვიანო. ზამთარი ახალციხეში გავატარეთ. გაზაფხულზე რო ამოვედით, სამი სახლი აღარ იდგა სოფელში, მიწასთან იყო გასწორებული ყველაფერი. თათრები ყველაფერს სპობდნენ, რომ ამ მხარეში ქართველი აღარ დარჩენილიყო, თავის მიწას არ დაბრუნებოდა. თათრების რწმენა ასეთია – რაც მეტ ქრისტიანს მოკლავს, მით მეტი ცხონება აქვს საიქიოში. ასე იყო თუ ისე, დავბრუნდით. ჩგაზაფხულზე ხელახლა შემოვიდა თურქის ჯარი. მთელი სოფელი საკუთარ სახლებში შერეკეს, გარედან კლიტე*

*დაადეს და ბრძანებას ელოდებოდნენ, რომ ერთიანად ამოეხოცათ.*

*მაგათი მეთაური ბათუმში იჯდა, იმის თანხმობას ელოდებოდნენ. ალბათ ის ჭკვიანი კაცი იყო, ის მამაცხონებული: „ – ამდენი კაცი რო გავწყვიტო, ადვილი არ არიო," – და ასე გადავრჩით".*

მთხრობელი ამ გაქცევას 1918 წლით ათარიღებს, მაგრამ, როგორც ვიცით, ამ დროს ახალციხის კათოლიკური სოფლების მოსახლეობა არ დარბეულა. ახალციხისა და უდის მცხოვრებლები აიყარნენ 1919 წლის ზამთარში, 31 იანვარს. ისინი ქართული ჯარის უკანდახეულ ნაწილებს გამოჰყვნენ მოსალოდნელი დარბევის შიშით. (20 იანვარს დაიწყო აჯანყება, ამ დროს ოსმალეთის ჯარი ოფიციალურად გაყვანილი იყო 1918 წ. 30 ოქტომბრის ინგლის-თურქეთის შეთანხმების თანახმად, მაგრამ თავგასულ ბეგებს ისევ თურქეთი და ინგლისი უმაგრებდა ზურგს და აქეზებდა საომარი მოქმედებებისკენ. ადგილობრივი ბეგების მოთარეშე რაზმები ქრისტიანულ სოფლებს გაუგონარი სისასტიკით ანადგურებდნენ). ცნობილი საზოგადო მოღვაწე ზაქარია დიდიმამიშვილი თავის დღიურში ასე აღწერს ამ ამბავს: *დილის ოთხ საათზე ურმების ჭრიალმა, ქალების მოთქმით ტირილმა და ბავშვების წივილ-კივილმა გამოაღვიძა რაბათის მცხოვრებლები. საშინელ ყინვაში ქალაქს მოადგნენ უდისა და არალის ქრისტიანი გლეხები. ორასკომლიან რაბათს, რომელიც შიმშილს განიცდის, ერთი საათის განმავლობაში დაემატა გაძვალტყავებული უდე-არალის ხუთასზე მეტი კომლიც. გლეხობამ ვერაფრის წამოღება ვერ მოასწრო... მათ საქონლის გამოსაკვები თივა-ბზე არ გააჩნდათ, ამიტომ იწყეს მსხვილფეხა საქონლის ოხერ ფასში გაყიდვა.*

ზაქარია დიდიმამიშვილი თვლის, რომ სოფლების აყრა და მათთვის მიყენებული უზარმაზარი მატერიალური ზარალი მხოლოდ სარდლობის არასწორი მოქმედებით იყო გამოწვეული. ჯარის უკან დახევა არ იყო რეალური მდგომარეობით გამართლებული. თურმე, როცა ჩვენი ჯარი უკან იხევდა და მოსახლეობა პანიკურად ტოვებდა სოფელს, მაჰმადიანებს უფრო ადრე დაეხიათ უკან და აღარ აპირებდნენ შეტევის გაგრძელებას. ისინი მეორე დღესღა შევიდნენ სოფლებში, გაძარცვეს და გაანადგურეს.

არლელები ადრე გაზაფხულზე დაბრუნდნენ სოფელში. ამ დროს აჯანყებულთა მოძრაობა უკანასკნელ დღეებსღა ითვლიდა. სწორედ მაშინ გამოკეტეს ისინი საკუთარ სახლებში. როგორც ჩანს, რაღაც ფარული ბრძანება ქრისტიანების ამოხოცვისა მართლაც იყო გაცემული. ქართული ჯარის სწრაფმა წარმატებამ და წინსვლამ, აგრეთვე, შესაძლოა, ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობის ნაწილის წინააღმდეგობამ ამ სისხლიან აქციას ხელი შეუშალა. ასეთი რამდენიმედღიანი ტყვეობის შესახებ ცნობები თითქმის ყველა სოფლის მცხოვრებთა მონათხრობში დასტურდება.

ამ პერიოდს უნდა ეხებოდეს სწორედ სოფ. გოგაშენში რამდენიმე

პირისგან ჩაწერილი ერთი და იგივე ამბავი (**სალომე ივანიძე-ნათენაძე, ნინა ნათენაძე, ვაჟა ბერიძე**).

*მოვლენები ვითარდება ზამთარში, „დიდი გაქცევის", ლტოლვილობისა და უკან დაბრუნების შემდეგ. ამ ამბების მომსწრე და თვითმხილველი სალომე ივანიძე-ნათენაძისა 1918 წელს სოფ. ქუნციდან გაიქცა თავის ოჯახთან ერთად: დავირბენით, ბაკურიანში გადავედით და სამი თვე იქ დავრჩით. იქ მომიტაცა ბერიკაცმა („ბერიკაცი" – მისი მეუღლე, გიო ნათენაძე, გოგა შნის მკვიდრი, იმხანად ისიც ლტოლვილობაში იყო. მ.ბ.). „ქვეყანა რო დადგა და დაწყნარდა", უკან დაბრუნდნენ, რა თქმა უნდა, უკვე ქმრის სოფელში, გოგა შენში. მალე დაიწყო „თალანი" – ასე უწოდებენ მესხები თათრებისგან დარბევას. სოფლის ნაწილი კვლავ გაიხიზნა, მაგრამ ახლა შორს არ წასულან. ჭაჭკარში, ვარძიასთან ახლოს, მტკვრის ნაპირებზე გოგა შნელებს დღესაც აქვთ ბაღები. მოხუცები, ქალ-რძალი და ბავშვები სწორედ ჭაჭკრის ბაღებში გადამალეს, კაცებმა კი სოფელში დარჩენა არჩიეს, იფიქრეს, გაქცევით ჩვენს ოჯახებს რას ვარგებთ, მოდი, ჩვენი ვაჟკაცობით დავხვდეთ, პურ-მარილი გადავაგებოთ, თუ პური აიტეხა (თუ პურმარილი მიიღო, მ.ბ.), არაფერს გვერჩის და თუ არა, ისედაც წასულია ჩვენი ქალ-რძალის საქმე და ასედაც, ყველას დაგვიხოცავენო. თათრების რაზმმა გადმოიარა სომხის სოფლებზე, სულ ცოცხლად მარხა ხალხი პურის ორმოებში, „ჭუჭული აღარ დატოვა". გზად, თათრის სოფლებში, სიებს უდგენდნენ, ვინ უნდა დაეხოცათ პირველ რიგში ქართველებიდან. გოგა შენში ერთი ვაჟკაცი კაცი ცხოვრობდა, ბერიძე აზიზა, „ლეკოანთ აზიზაი, სიმი ზარას ბიძა". დასასჯელთა სიაში პირველი სწორედ ეს აზიზა ჩაეწერათ დანკლელ თათრებს. შემოვიდნენ თათრები, აზიზამ სუფრა გადააგება. რაზმის მეთაური აზიზას ნაცნობი აღმოჩნდა, ერთად უმუშავიათ არდაგანში, ის ციხის უფროსი ყოფილა, აზიზა კი ზედამხედველი. მაშინვე იცნო: – აზიზ, საე სარო? – აზიზ, შენა ხარო? აზიზამაც „სახელი მისცა" – გამოეცნაურა. მეთაურმა პურმარილი გატეხა და დაჰპირდა, ჩიტი არ აფრინდება ამ სოფლიდანო. მიუხედავად ამისა, ბრძანა ჭაჭკარში გახიზნული ხალხის სასწრაფოდ სოფელში ამოყვანა, ვითომდა მათი უსაფრთხოების დაცვის მიზნით. ბაღებში დასამალად გაქცეულ სალომე ბებოს ფეხდაფეხ მიჰყვნენ თათრები. დედამთილ-მამამთილი, ქმარი და სხვა თანასოფლელებიც იქ იყვნენ. – ეს აქ იყო თუ ახლა მოვიდაო? – გაკვირვებით შეათვალიერა თათარმა უჩვეულო სილამაზის გლეხის ქალი. – აქ იყო, გენაცალე, ჩემი რძალიაო, უპასუხა მოხუცმა მეზობელმა, „თუთა ბებემ, ერეკლე ძიას დედამ". – თუ აქ იყო, ფეხები თოვლიანი რადა აქვსო? – დაეჭვდა, მაგრამ ნაბრძანები ჰქონდა, „ჭაჭკრის ხალხს არაფერი დაუშაოთ, თორემ ზოპოს ქვეშ გაგატარებთო!" და თავი დაანება.*

*მოხვიეს ამ ხალხს ხელი და იმ თოვლსა და ყინვაში ისევ გოგა შენში არეკეს ფეხით. მიუხედავად მკაცრი გაფრთხილებისა, გზაში თათრები*

*თვალს არ აცილებდნენ ახალგაზრდა ქალს, – „ძალიან ლამაზი იყო, თმები ბეჭებზე არ მეტეოდაო, – იტყოდა ხოლმე". – ეს ქალიაო თუ რძალიაო? – იკითხა ერთმა.*

*– რძალია, რძალი, გენაცვალე, ჩემი რძალიაო. – უპასუხა შეშინებულმა მეზობელმა.*

*„უკან ჩემი კაცი მომყვებოდა, აიტანა კანკალმა, რო ცოლი უნდა წამართვანო". – მაგისი ქმარი აქ არისო? – იკითხეს. – არა, მაღლა არის ქმარიო, – უპასუხეს მოატყუეს,– შეეშინდათ, არ მოუბრუნდნენ და არ მოკლანო. იმ ღამეს ლეკოანთსა, ამ აზიზას ოჯახში მიიყვანეს მთელი სოფელი და ჩაკეტეს ქალ-რძალი. თათრების მეთაური ხელშეუხებლობას და უსაფრთხოებას დაჰპირდა. იმ ღამეს ერთი ქალისთვის ვიღაცას შეურაცხყოფა მიუყენებია, ადგა, ყელი გამოჭრა დამნაშავე თათარს და ქარაფიდან გადააგდო.*

*ოთხი-ხუთი დღე ჰყავდათ ხალხი ასეთ „საპატიო ტყვეობაში", მერე ხმა მოვიდა, ბაკურიანიდან ქართული ჯარი წამოვიდაო, „გაქრნენ და წავიდნენ სათათრეთში".*

არა გვგონია, თათრების რაზმის მეთაურის „გულმოწყალება" მხოლოდ აზიზასთან მისი ნაცნობობის შედეგი ყოფილიყო. სამოქალაქო ომის ბედი სასწორზე იდო. ახლადგამომცხვარი „სამხრეთ-დასავლეთ ამიერკავკასიის დროებითი მთავრობა", რომლის თავმჯდომარეც სერვერ ბეგ ჯაყელი იყო, როგორც ჩანს, ქრისტიან ქართველობასთან დიდ სისხლიან ანგარიშსწორებას ამზადებდა, მაგრამ საომარი მოქმედებების განვითარებას ელოდებოდა გადამწყვეტი ნაბიჯის გადასადგმელად. ვფიქრობთ, იმ დღეებში მძევლად აყვანილი, თათრების გულმოწყალებას მინდობილი გოგაშნელები ისევე იყვნენ განწირულები, როგორც საკუთარ სახლებში გამომწყვდეული არლელები. საბედნიეროდ, ბრძანება, რომელსაც მეთაურები ეტყობა, მართლაც ელოდნენ, არ გაიცა.

ქრისტიანი ქართველების ასეთი გენოციდი რომ მართლაც იგეგმებოდა, ამას აღწერილი ამბების თანამედროვე, ახალციხის მკვიდრი ზ. დიდიმამიშვილიც ადასტურებს თავის დღიურებში. 1919 წლის 9 მარტის ჩანაწერში ვკითხულობთ: „ამ ერთი წლის განმავლობაში ოსმალეთის აგენტები სისტემატურად ღუპავდნენ ქართველებს და გლეხებს, ამ უკანასკნელ ერთ თვეში კი მთლად გადაბუგეს და ააოხრეს ქართველობა და მათი სოფლები. ისინი გაიძახოდნენ, რომ აწყურამდის ან სულ ჩვენ უნდა ვიყოთ, ან სულ ქართველებიო და ამ მიზნით თავისი ამოძახილი სისრულეში მოჰყავდათ". (ლომსაძე, 1995, გვ. 478). ამ გეგმის შესრულება არც ისე ძნელი იყო: ჯერ კიდევ ცხრაასიანი წლების დასაწყისში წუხდა ალ. ფრონელი: მთელი მესხეთის მართლმადიდებელი ქართველობა რაოდენობით გარე კახეთის ორი-სამი სოფლის მოსახლეობასაც ძლივს უტოლდებაო (ფრონელი, 1991, გვ. 47). 1919 წლის გაზაფხულისთვის კი ეს რიცხვი იმდენად იყო

*სალომე ნათენაძე. „სამი დღე და ღამე თათრის საცხვარეში ვიყავით დანწყვრეული და გარედან კლიტე გვედო, თათრები რო მოვიდნენ, იმ მეზობელმა თათარმა შეგვინახა. შუახნის კაცი იყო, ბითაი ერქვა. საჭმელ-სასმელს გვიზიდავდა და ასე გადაგვარჩინა“.*

შემცირებული, რომ ქრისტიანი ქართველების გამომწყვდევა რამდენიმე ბოსელში შეიძლებოდა.

***

სამოქალაქო ომის პანორამას თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ რამდენადაც მრავალსახოვანი იყო მტერი, რომელიც ამ დროს სამცხე-ჯავახეთისა და, შესაბამისად საქართველოს მომავალ ბედს განაგებდა და წყვეტდა, იმდენად დაქსაქსული, დაბნეული, ერთმანეთს მოწყვეტილი, დანაწევრებული და ხშირად ერთმანეთისგან გაუცხოებული იყო ქართული მხარე:

– საქართველოს მთავრობა, რომელიც ბათუმში უიმედო და უპერსპექტივო მოლაპარაკებას აწარმოებდა თურქეთთან;

– ადგილობრივი მმართველობა, – გენერალ-გუბერნატორი (ოთხი გენერალ-გუბერნატორი გამოცვალა აქ ხელისუფლებამ: მაღლაკელიძე, მაყაშვილი, მაზნიაშვილი, კვინიტაძე), რომელიც მთელი ომის მანძილზე

ფაქტობრივად მოკლებული იყო ცენტრიდან შემწეობას;

– ჯარი, რომლის რიგებშიც უკვე აღწევდა სოციალისტური იდეები;

– მოსახლეობა, რომლის ერთი ნაწილი ტყე-ტყე გაურბოდა სიკვდილს, მეორე კი ახალციხეში თავშეფარებული, კიდევ უფრო ამძიმებდა ქალაქის ისედაც მძიმე ეკონომიკურ ყოფას;

– ქალაქის მოსახლეობა, რომელიც თვალს ადევნებდა მიმდინარე მოვლენებს, თხრიდა სანგრებს და ღამით ზარბაზნებთან მორიგეობდა (ზ. დიდიმამიშვილი).

უნდა ითქვას, რომ ამ ომის დროს ახალციხე თვეობით იყო ხოლმე მთლიანად მოწყვეტილი საქართველოს. არ მუშაობდა ტელეგრაფი, არ მოდიოდა ფოსტა, განსაკუთრებით ჩაიკეტა ქალაქი 1918 წ. გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში. ქალაქის მმართველობის ყველა ცდა, რამენაირად დაკავშირებოდნენ თბილისს, მარცხით მთავრდებოდა, – წარგზავნილებს აწყურში იჭერდნენ, კლავდნენ, ან ატყვევებდნენ.. საქმე იქამდე მისულა, რომ ერთ მღვდელს ტივით გადაუწყვეტია ბორჯომში ჩაღწევა. ასეთ პირობებში ახალციხის მოსახლეობას წარმოდგენა არ ჰქონდა, რა ბედი ეწია ჯავახეთ-ერუშეთის ქრისტიან ქართველობას. ისინი ხედავდნენ მხოლოდ ახლომდებარე სოფლების პრობლემებს. უდე და არალი იმდენად ახლოს იყო, რომ იქიდან თოფის ხმაც კი ისმოდა ქალაქში. 1918 წ. გაზაფხულზე თურქებმა მათ ხელშეუხებლობა აღუთქვეს, თუკი ბრძოლას შეწყვეტდნენ. სოფლელები დათანხმდნენ, მაგრამ იარაღი არ ჩაუბარებიათ. თავის მხრივ, თურქებმა ალყა არ მოხსნეს, თუმცა ხელშეუხებლობის პირობა არ დაურღვევიათ. რაც შეეხება ახალციხის მაზრის სხვა ქართულ სოფლებს (ზველი, ჭობარეთი, მუსხი, ანდრიაწმინდა), ისინი ურავლის საზოგადოების თათრების მეტად აგრესიულ გარემოცვაში იყვნენ მოქცეული და არავითარი რელიგიური იმუნიტეტი არ გააჩნდათ. როგორც ჩანს, მოსახლეობის დიდი ნაწილი ომის პირველსავე დღეებში გაიქცა. ამ მხარეს დიდი ზიანი მიაყენა ახალქალაქის მაზრის სოფ. გოკიოს მაჰმადიანმა მოსახლეობამ, რომელიც გამორჩეული იყო თავისი სისასტიკითა და დაუნდობლობით (იხ. ზემოთ).

ზ. დიდიმამიშვილის დღიურში ერთ ასეთ ჩანაწერს ვხვდებით: „სხვათა შორის, ამ სამოქალაქო ომის ატეხვაში ბრალი მიუძღვის ჩვენ სოფლებსაც: ზველს, ჭობარეთს, მუსხს და ანდრიაწმინდას, რომლის გლეხობაც მიჩვეულია, ერთი აქციოს ასად და აი, სწორედ ამ ერთის ასად გადაქცევამ და ტყუილმა ცნობებმა ატეხა ომი იმ დროს, როდესაც ქართველებსა და ოსმალებს შორის სამშვიდობო მოლაპარაკება დაიწყო" (ლომსაძე, 1995 წ. გვ. 362).

ჩვენ უკვე ვნახეთ, რაც იყო ეს „სამშვიდობო მოლაპარაკება" და არც თავად ზ. დიდიმამიშვილს დასჭირვებია დიდი დრო, ოსმალეთის ნამდვილი ზრახვების ამოსაცნობად და იმის მისახვედრად, ვინ იყვნენ

სამცხე-ჯავახეთში დატრიალებული სისხლიანი დრამის ნამდვილი „რეჟისორები." დასახელებული სოფლების მკვიდრთა „დანაშაული" კი მხოლოდ ის იყო, სიკვდილს რომ თავი გამოარიდეს და სამშვიდობოს გამოღწეულებმა გადატანილ უბედურებაზე ილაპარაკეს.

ახალციხეშიც კი, კუთხის დედაქალაქში და იმდროინდელ მოვლენათა ეპიცენტრში, ადამიანებს წარმოდგენა არ შეეძლოთ იმ ჯოჯოხეთური ტანჯვისა და დამცირებისა, რაც ქრისტიანმა ქართველმა გლეხობამ გადაიტანა.

ზ. დიდიმამიშვილი ეროვნული მთლიანობის დამცველი და მომხრე იყო და ომის პირველივე დღეებიდან წუხდა ჯარის ნაწილებისა და უცხოტომელი „თანამებრძოლების" გამო, რომელთა უმსგავსო და უდისციპლინო, ხან კი აშკარად პროვოკაციული მოქმედება (მოროდიორობისა და ძარცვის ფაქტები მომრავლდა. იყო მაჰმადიანთა სოფლებზე შურისძიების და მათი გადაწვის შემთხვევები), მაჰმადიანი მოსახლეობის კიდევ უფრო დიდ ნაწილში აღვივებდა ქრისტიანებისადმი აგრესიას.

ეს გულშემატკივარი კაცის წუხილი იყო, რომელმაც იცოდა, რომ თუკი ეს კონფლიქტი დიდ მასშტაბებს მიიღებდა და რელიგიურ დაპირისპირებაში გადაიზრდებოდა, ათეული წლები ვეღარ ამოავსებდა გაჩენილ უფსკრულს. ეს უსამართლო საყვედურიც ქართველი გლეხობის მიმართ ამ კონფლიქტის თავიდან აცილების სურვილით იყო ნაკარნახევი.

მრავალეროვანი ქალაქი თავისი ცხოვრებით ცხოვრობდა. მან ვერ შეძლო თავისი სოფლელი თანამოძმეების დაცვა, ვერც მათი უბედურების, დამცირების, ტანჯვის გააზრება და გაზიარება მოახერხა. ამ წელიწადნახევრის მანძილზე ქალაქის მოსახლეობას მრავალი სხვადასხვა მმართველობის მიღება და გაცილება მოუხდა. საგანგებოდ ასუფთავებდნენ ქუჩებს, ხიდზე გამართულ, ყვავილებით მორთულ სადღესასწაულო თაღზე სხვადასხვა დროს ერთმანეთს ცვლიდა თურქული, ქართული, რუსული დროშები. მხოლოდ წარწერა იყო მუდმივად ერთი: Добро пожаловать! (ლომსაძე, 1995, გვ. 408; 464).

მთავრობების, ჯარების, მმართველების, სარდლების ამ მიღება-გაცილებაში ახალციხის ქართველობას არც კი სმენია ბაკურიანის, ყარაიაზის, საგარეჯოსა თუ საქართველოს სხვა კუთხეებში გაფანტული მესხი ლტოლვილების გასაჭირზე. ნიშანდობლივია ერთი ფაქტი: ამ პერიოდში ახალციხეში ფუნქციონირებდა რამდენიმე წლის წინ ზ. დიდიმამიშვილის მიერ დაარსებული საქველმოქმედო თავშესაფარი, სადაც პირველი მსოფლიო ომის დროს უპატრონოდ დარჩენილი მაჰმადიანი ბავშვები იზრდებოდნენ (ამ თავშესაფარს თბილისის საქველმოქმედო საზოგადოება ინახავდა).

1918 წ. ზაფხულში ოსმალეთის შემოსვლის შემდეგ ქალაქის ახალმა კომენდანტმა ბავშვები სამშობლოში, – თურქეთში გააგზავნა. ზ. დიდი-

მამიშვილი დანანებით წერდა: „ახლა მაინც ქართველები უნდა მოვიდეთ გონს, ჯერ ჩვენ თავს უნდა მოვუაროთ, მერე სხვასო" (ლომსაძე, 1995, გვ. 432). როცა ამ სტრიქონებს წერდა, მან არაფერი იცოდა ჯავახეთიდან ლტოლვილ ასეულობით ბავშვზე, მთელ საქართველოში მოსამსახურეებად რომ ყიდდნენ ან აშვილებდნენ.

როგორც ჩანს, ქართველებს შორის სანატრელი ერთობის განცდა უმძიმესმა განსაცდელმაც ვერ წარმოშვა და ამ საყოველთაო უბედურების დროს ყველას მაინც საკუთარი ტკივილი უფრო სტკიოდა.

ქართველი გლეხისთვის, რომლის თავმდაბლობა და მორჩილება უკვე სიბეჩავემდე მისულიყო და რომლის მოთმინება და შემწყნარებლობა კარგად ჩანდა მის მისალმებაში: „დაბლა შენა და მაღლა ღმერთიო!" ომის „ატეხვაში" ბრალის დადება ისტორიული უსამართლობა იქნებოდა.

ჩვენს „რეპორტაჟებში" კარგად იკვეთება წელიწადნახევრიანი ამ ომის ბევრი სხვა დეტალი, რომელიც თვალსაჩინოს ხდის ქრისტიანი ქართველობის უმძიმეს მდგომარეობას.

# აი, ჩვენი ცხოვრება!

ყველა მესხურმა სოფელმა თავისი „გოლგოთა" გაიარა, ყველას თავისი აქვს მოსაგონებელი და სათქმელი.

ჩვენი მთხრობელები ყვებიან, რომ დარბევებსა და ძარცვაში ძირითადად ადგილობრივი თათრები იღებდნენ მონაწილეობას. 1918 წელს ოსმალეთის ჯარი მხოლოდ სომარ მოქმედებებს აწარმოებდა. მისი შემოსვლისას მოსახლეობა უკვე ლტოლვილობაში იმყოფებოდა. ოსმალეთის მთავრობამ მთლიანად ააღებინა იმ წლის პურის მოსავალი (დაახლოებით ორი მილიონი ფუთი) და მთელი კუთხე ულუკმაპუროდ დატოვა. მოსავლის აღებაში მონაწილეობდა ჯარი და ადგილობრივი მოსახლეობა – თათრები და შინ დარჩენილი ქართველები, რომლებიც იძულებით წაიყვანეს ახალციხის მაზრიდან, რადგან ჯავახეთი მთლიანად დაცლილი იყო.

ლტოლვილობიდან დაბრუნებული მოსახლეობა უკიდურეს შეჭირვებაში მოექცა. გაქცევის დროს დარჩენილი ქონება და მეურნეობა გაპარტახებული იყო. ზოგს გაუმართლა და პურის ორმოები გაუხსნელი დახვდა, ზოგმა გაქცევისას მოიფიქრა და მიწაში არეული ხორბალი ძირს მიფანტ-მოფანტა, დაბრუნებისას მოკრიფეს, გადაარჩიეს და იმით გაიტანეს ერთხანს თავი. იმ დროს უცხო არ იყო მიტოვებულ თათრის სახლებში „თალანზე" სიარულიც. ოჯახების უმრავლესობას მათხოვრობით გაჰქონდა თავი. მთელ საქართველოში შეხვდებოდით აქაურ გლეხებს, ჩამოხეულ-ჩამოფლეთილებს, მათხოვრობდნენ და იმ მცირეოდენ გასაკითხს, რასაც შოულობდნენ, ოჯახებს აწვდიდნენ.

მეორე დარბევის დროის (1919 წ.) ამებში ჩვენი მთხრობელები განსაკუთრებით აღნიშნავენ ადგილობრივ მაჰმადიანთა სისასტიკეს, გაკვირვებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ მათ დამარბევლებში ბევრი იყო ნაცნობი, მეზობელი, ახლობელი. ასევე განსაკუთრებულად, დიდი მადლიერებით და სიყვარულით იგონებენ ისინი იმ მაჰმადიან მეზობლებს, რომელთა თავგანწირვამ ასეულობით ქართველს სიცოცხლე შეუნარჩუნა.

ამ და სხვა ამებზე მოგვითხრობენ ისტორიები, რომელთა მცირე, შემოკლებულ ნაწილს გთავაზობთ. ჩვენი მთხრობელები ამ ამებს თავისი არსებობის მთავარ ტკივილად თვლიან. „აჰა, ჩვენი ცხოვრება!", – ასე ასრულებენ ისინი თავიანთ სევდიან ისტორიებს.

***გიორგი ჯინჭველაძე, სოფ. მუსხი:*** *ნიკოლოზი რო ჩამოაგდეს, ყორდანია გამეფდა საქართველოში, მაგრამ იმდენი ძალა არ ჰქონდა,*

ყველა კუთხეს რომ მისწვდომოდა და ეს ჩვენი მხარე უპატრონოდ დარჩა. შემოგვესივნენ თათრები, – ეს ადგილობრივი თათრები. სამი თვე ალყაში იყო ჩვენი სოფელი. ახალციხეს ერთადერთი ლეგიონი იცავდა, მეტი ძალა არ ჰქონდათ, რო მოგვშველებოდნენ. გენერალმა მაკაიოვმა (მაყაშვილმა მ.ბ.) ერთი ოცეული გამოგვიგზავნა. მოიტანეს ქვემეხი. დადგეს საფარის გორაზე, მანდედან ესროლეს თათრებს, გაგვიხსნეს გზა და გავიქეცით. მე შვიდი წლისა ვიყავი. დავყარეთ თითო ურემზე ყველაფერი, – რას წაიღებდი ერთი ურმით! გავირეკეთ საქონელი, ცხვარი და წავედით. საფარის ტყეში დღე და ღამე მარტო ვუდექი ცხვარს, – ბევრი გვყავდა ცხვარი და საქონელი. მამაჩემი და პაპაჩემი ანდრიაწმინდაში გავიდნენ, ეს ერთი ურემი იქ დაცალეს და სოფელში მიბრუნდნენ, – სანამ დრო გვაქვს, კიდე რამე წამოვიღოთო. წისქვილებთან თათრები ჰყოლიათ ჩასაფრებული. ესროლეს და მოკლეს პაპაჩემი. ამოვიყვანეთ და ანდრიაწმინდაში დავმარხეთ.

ოსმალეთის ჯარი რო შემოვიდა, აქედან წაიყვანა ხალხი, – ქართველებიც, თათრებიც, – ჯავახეთში წაიყვანა. იქ ათიბინა, გაალეწინა პური, ააღებინა მოსავალი, წაიღო და წავიდა. ნებით გავიდა თათარი, მიჰყვა ჟორდანია და ძველ საზღვრამდე მისდია, მაგრამ ისევ აირია ქვეყანა და ჟორდანიამ ვეღარ მოგვხედა. მეორედ შემოვიდა თათარი. კიდე ერთხელ გავიქეცით და ლენგიქვევი იყო სოფელი, თათრები ცხოვრობდნენ. იმათთან ნაცნობობა გვქონდა და შეგვიფარეს. მამაჩემი ავად იყო. ერთ დღეს მასპინძელმა უთხრა, ფოცხოვი შემოდის, – ფოცხოვის თათარიო და აქ ვეღარ გაგაჩერებ, ქალაქში გაგაპარებ და წადიო. გაიყვანა, დაბლობამდე გააცილა და მერე ზურგში ესროლა, მაგრამ სიბნელეში ააცილა...

*არჩილ ივანიძე, სოფ. მუსხი:* თათრების დროს გარეთ სამგზავროდ ვერ გავიდოდით, წისქვილში ვერ წავიდოდით... პაპაჩემმა ცხვარი გამორეკა საბალახოდ და მაღლა, მთის ფერდობზე არეკა. მამაჩემი არ უშვებდა: – მოგკლავენ, მამა, ნუ წახვალო! დიე, ეყაროს ცხვრები, არ დაიხოცებიან მშიერი, როგორც იქნება, გამოვკვებავთო.

– არა, შვილო, ვის რას ვერჩი, რატო უნდა დამიშაონ რამე, ნუ გეშინიათ, ცხვრის ასე დატოვება არ იქნებაო, – და წავიდა პაპაჩემი. თათრებმა მიიპატიჟეს: – მოდი, ბერიკაცო, პაპიროზი მოგაწევინოთ, მოდი, ნუ გეშინია, არ გერჩით, ჩვენ შინაური თათრები ვართო. მივიდა პაპაჩემი, დაიწყეს თათრულად ლაპარაკი. აქედან, – იქიდან! ამასობაში კარგა დრო გავიდა. ამათ უთხრეს: – მიდი, სოფლელებს გადასძახე, ყველა გარეთ გამოვიდესო. პაპაჩემი გადმომდგარა და დაუძახია: – შინ შედით, შინ შედითო! რო დაამთავრა ამათთან საუბარი და ცხვრისკენ წამოვიდა, დაახალეს თოფი და მოკლეს.

თოფის ხმა რო გაიგეს სოფელში, – აჰაო, ბერიკაცი მოკლესო, – თქვეს. ვერავინ გაბედა მიცვალებულის ჩამოყვანა, მერე ერთი ჩვენი გვარის კაცი იყო, ივანიძეებიდან. ზედმეტ სახელს ქინქლა-ბებერს ვეძახდით. იმან

*გააკეთა საკაცე, ორი ჯოხი გახლართ-გამოხლართა თოკებით და ეს მიცვალებული თრევა-თრევით თავქვე ში ღელემდე ჩამოიყვანა. მერე ახალგაზრდები ჩაე შველნენ და ამოიყვანეს.*

***

*მამაკაცები ვერ ბედავდნენ წისქვილში წასვლას თათრების თავდასხმის შიშით. მოხუცმა ქალებმა აიღეს თავის თავზე, დადე შლიანთ ბებერი იყო ერთი. საკიდებზე (სახედრებზე) აჰკიდეს ხორბალი და წავიდნენ წისქვილში. ორივე გზაში მოეკლათ თათრებს. ზამთარი იყო, თოვლი იდო და ვერავინ გაბედა იმათი მოძებნა და ამოყვანა. გაზაფხულზე ჯეჯილი ამოვიდა იმ ადგილზე, სადაც ისინი დახოცეს.*

***

*ტროფინე იყო, ჩვენი გვარის კაცი. ინტერესიანი, ჯიბრიანი კაცი. თათრებს უმკლავდებოდა, ვერავინ ბედავდა იმის დაჩაგვრას. შემოსევის დროს ვერსაით თავი ვერ დააღწია ტროფინემ, შემთხვევით შერჩა სახლში. თათრები ეკლესიის წინ იყვნენ შეგროვილი. იქ დაუძახეს. რას იზამდა? ხელმკლავი გაუყარეს, გაიარ-გამოიარეს, – ვითომ არ ერჩიან. ერთიც, მუცელში დაახალეს ტყვია და მოკლეს.*

***

*ეკლესიის წინ გამოიყვანეს ხალხი, ქართველები. დაამწკრივეს. მოილაპარაკეს, მოდი, დავწკიპოთო და ერთი სროლით, ვნახოთ, რამდენს მოვკლავთო. რატო არ დაამწკრივეს ერთი ორმოცდაათი კაცი! ის იყო, ცეცხლი უნდა გაეხსნათ და დაეხოცათ ეს ხალხი, რო ერთი ღვთისნიერი კაცი, აქაური თათარი, ხეოთელი ნაჯიფაი გამოვიდა და: – თქვე უღმერთოებოო, რას აკეთებთ, რას ერჩით, ამდენ ხალხს უდანაშაულოდ რად ხოცავთ! ახლა რო ქართველი ჯარი შემოვიდეს, რას შვრებითო. ავტორიტეტი დიდი ჰქონდა და დაუჯერეს. იმან, იმ ნაჯიფამ გადაარჩინა ეს ამდენი ქართველები.*

***მარო ზაზაძე, სოფ. გოგაშენი:*** *დედაჩემი ზველელი ქალი იყო, – ზედგინიძის ქალი. გაქცევის ამბავს გვიყვებოდა ხოლმე. თათრები რო შემოგვესივნენ, ავიკიდე ჩემი დიშვილი და გავიქეცი ღობიეთშიო. თორმეტი წლისაც არა, – უფრო პატარა იყო. ხოდა, ავიკიდე, წავიყვანე, იქაურ თათრებს შევაფარე თავიო. ეს სონა, სომხის გოგიას მამიდაც იქ არის თურმე. შეგვრეკეს ერთ თათრის სახლში. ვინც ლამაზი ქალია, გაჰყავთ. ერთი საცოდაობა უდგათ ქალებს, ტირიან. ზოგი მურს ისვამს*

*სახეზე, თათრებს რო არ მოეწონოთ, გული არ მიუვიდეთ. ერთმა თათრის ქალმა შეგვიბრალა და მე და სონაი, სომხის გოგიას მამიდა, ქულქში (ცხვრის ნაკელში) წაგვფლა, ზევიდანაც ნაკელი დაგვაყარა, იმდენი, რო გვესუნთქა, არ დავხოცილიყავითო. ისიც იმიტომ შეგვინახა ამ ქალმა, რომ ორი ვაჟი შვილი ჰყავდა და იფიქრა, ამათ ჩემ შვილებს გავურიგებო. ამითი გადავრჩით, თორემ თორმეტი წლის ზევით ვინც იყო, ისინი გაჰყავდათ, არავის არ ინდობდნენო.*

*ერთიც, განთიადისას, ალიონზე შეიქნა ჭექა, ვინც კარგი ვაჟკაცი იყო არჩევდნენ და: – ეს ამათი კაი ბიჭია, ეს ამათი კაი ბიჭია! და გაჰყავდათ და ხოცავდნენო. (თათრები კარგად იცნობდნენ სოფელს და შერჩევით კლავდნენ ახალგაზრდებს. ხშირად მათ წინასწარ შედგენილი სიებით ანადგურებდნენ). დილით ვნახეთ, რო მთელი სოფლის ვაჟკაცობა გაეწყვიტათო .*

*გაქცევის დროს გზაში აწყვიტელებთან მოხვედრილან. სალოიც იქ იყოო. მაროს დედაც იქ ყოფილა. შალიკოი და კიმაი რო არი, მაგათი ოჯახი და ჩვენ ერთად ვიყავითო. მერე ქათმის ჭირი შემოვიდა, გაწყდა ხალხი, ხის ძირებზე ვასაფლავებდითო. ჩემ მამიდას, სესაძეებშია გათხოვილი, ბავშვი დაუკარგია გზაში, ბიჭი. ურემზე დაკარგეს და მერე ჩვრით იცნეს თურმე.*

***ვასო ასპანიძე, სოფ. სარო:*** *გოკიო სოფელია ჯავახეთში. თარაქმები ცხოვრობდნენ. აქურებს დაუნდობლობის და სისასტიკის გამო კაცჭამიებს ეძახდნენ. იმ წლებში გოკიოს თათარმა ბევრი სიავე მოუვლინა ქრისტიანულ სოფლებს. საროს გამოვლით გადმოვიდა, ააოხრა ზველი და ჭობარეთი. ბოდეში მომითხოვია, ამის თქმა არ შეიძლება მაგრამ ერთ-ერთმა თათარმა დაატიტვლა მთელი სოფლის ქალები, სუყველა! ორი სოფლის ქალ-რძალი გაატიტვლა, დამკვრელები მოიყვანა და ფერხული ათამაშა! ასეთივე სისასტიკით ააოხრეს დადეში. ახლა ვერანა დადეში ჰქვია. ერთი კედელი არ დატოვა მთელი, ამ ერთმა გოკიომ, ერთმა თარაქამამ! გოკიოს თათარი რო ზველში შევიდა, მამაკაცები გაიხიზნენ. ერთი ახალგაზრდა ბიჭი არ გაჰყვა, სოფელში დარჩა, საცოლე ჰყავდა დანიშნული და არ მიატოვა. ერთ ძველებურ ოდაში ბუხარში დაიმალა. ადგილობრივმა თათარმა, მეზობელმა დაასმინა, აქ იმალებაო. ჩამოიყვანეს და ნაჯახით მოჭრეს თავი.*

***

*ეს გოკიოს თათარი რო გალაგდა და გაეცალა სოფელს, ხეოთის საბჭოში შედიოდა ზველი და ჭობარეთი. იქდან კაცი ამოგზავნეს, ოჯახიდან თითო კაცი დაიბარეს ხეოთში, მეზობელ სოფელში. გზაში დახვდნენ თათრები, ჯერ ტანსაცმელი გახადეს, რომ არ გაფუჭებულიყო*

*და ისე დახოცეს. ტყვიით კი არა, – თავები დააჭრეს ხანჯლებითა და ნაჯახებით. სისხლი დაგროვდა და იმ ადგილს მორევა შეარქვეს.*

*სონა ზედგინიძე, სოფ. გოგაშენი: დედაჩემი ნაწვევად იყო თავის სოფელში, ანდრიაწმინდაში. მამაჩემი ზველში დარჩენილა. თათრების შემოსვლის დროს სახლის ბუხარში დამალულა მეზობლის პატარა ბიჭთან ერთად. ჩვენ ძველებური ხის დარბაზი გვქონდა სოფელში, ამოსულან ეს თათრები და გვირგვინს ანგრევენ. მეზობელი თათარი იცნეს თურმე. მამაჩემი გაქაჩულა: – მაინც უნდა მომკლან და მაინცაო! – გასვლა უნდოდა. ეს ბავშვი შემოხვევია წელზე – მაღალი კაცი იყო მამაჩემი – შემოხვევია და ხვეწნა დაუწყია: – ბიძა, დაგვხოცავენ, არ გახვიდეო. მერე ამბობდა ხოლმე ეს კაცი, ეს გრიშა: – ის თათარი ჩვენი ნაცნობი იყო, ჩვენთან სახლში დადიოდა და როგორ არ შერცხვა, ჩვენთან დასარბევად როგორ მოვიდაო.*

*სიცოცხლე შეუნარჩუნა ამ გრიშამ მამაჩემს.*

*შიო ზედგინიძე, სოფ. ზველი: თათრობა იყო. ხალხი გაიყვანეს, ვიცი, უნდა დახოცონ. მეც მომიკითხეს გასაყვანად. ავდექი და ერთი თათრის სახლში ბუხარში ავედი, გავილაჯე. სამი დღე იქ ვიყავი. ღამ-ღამ ჩამოვდიოდი ჰაერის ჩასაყლაპად და სულის მოსაბრუნებლად.*

*რო მობრუნდა საქმე და შემოვიდა ყორდანია, დასცხო და იმ თათრებს თავი გავუხმეთ, ვკარით წიხლი და გავრეკეთ. კვინიტაძეს გაუხმა თავი, მაგას რო ჩხუბი არ დაეწყო, ახლა არდაგანში ჩვენი ჯარი იქნებოდა. (ერთი პატარა კაცი იყო, გამქრალი).*

*... რა ვართ, ერთი მუჭა ვართ ქართველები, შვილო, „პოვრად" არ ვეყოფით რუსეთს, რუსეთი მძლავრია. (მ.ბერიძე, 1992, გვ. 243).*

*ანდრო ბერიძე, სოფ. ერკოტა (ასპინძა): ცხრამეტ წელში რო ქამალისტები შემოვიდნენ, მთელი მესხეთის ქრისტიანობა ამოხოცეს, უნდოდათ, რომ ამ კუთხეში პირჯვრისმწერელი არავინ დარჩენილიყო...*

*ბევრი გათათრებული ქართველი იყო. თოკში აბაშიძეები იყვნენ, ბეგები; ხერთვისში ვაჩნაძეები, შალოშეთში – ბერიძეები, ინდუსაში – გელაშვილები. ძველში და ჭობარეთში ბევრი იყო ძალით გათათრებული. ეგენი გულში ინახავდნენ ქართველობას, მე ჩემი თვალით მინახავს ზველელ თათარს მარხვაში სუფრაზე ყველი ედო და არ ჭამდა, მარხულობდა, თავის ჩვეულებასა და რჯულს ინახავდა. ვინმე რომ შემოსულიყო, იმის დასანახად ყველი იდო მაგიდაზე.*

***

*თოკში ლეკი შვილების ოჯახის ქალები შეიმწყვდიეს თათრებმა, აი, ჩვენი მეზობელი ლონგოს ძმები, ბიძები და ბიძაშვილები. ლამაზი ქალები ჰყავდათ მაგათ, იმათი წართმევა უნდოდათ. ამ შურას და ვაჟას მამამ –*

ლონგოს ძმამ და მაქსომ – ლეკიშვილები იყვნენ ორივე – სახლის კარები გადაკეტეს, ქალებს უთხრეს, სანამ ცოცხლები ვართ, თქვენს თავს არავის დავანებებთო! თათრები გარედან ესროდნენ და ერდოებს უნგრევდნენ. ვერ გატეხეს ეს ხალხი. ისევ თათარი მოვიდა, მაგათი მორჯულე და ამ მაქსოს შეჰფიცა: – მაქსო, მე პურ-მარილზე დავიფიცებ, რომ აქედან გაგიყვანო! ღამე გამოიყვანა ეს ლეკიშვილები, როგორც ძმა, ისე დაეხმარა, გადაიყვანა ბაკურიანის მთაზე და გაუშვა. აი, ცოცხალი ფაქტი! აბაშიძე იყო თოკში და ის ახოცინებდა ამ ხალხს.

... ასეთი, შვილო, ბევრი იყო. მაგათ მინდობა არა აქვთ. არა! არა! არა! არა!

ზურაბაი არი აგერ, მაგის მამა იწვა, ავად იყო და ეს გალას მამა, კოტოი ერქვა, კოსტალაი. დააწვინეს ამ ავადმყოფ კაცს ბავშვები გულზე, – ეს ზურაბა და კოტო და ნახო, ერთი ტყვია სამივეს გაივლის თუ არაო. ამ კაცმა შეიფერთხა და ბავშვები აქეთ-იქით გადაყარა. თვითონ მოხვდა გულში და მოკვდა. აი, ჩვენი ცხოვრება!

მერე მაგის ბიძა იყო კიდე, გიორგაი ერქვა. ცოლი მოუკვდა და თათრის ქალი შეირთო. მოვიდნენ, ქმარიც მოკლეს, ცოლიც და სამი-ოთხი წლის ბავშვიც ზედ დააკლეს, იმ ქალის ძმამ მოკლა, თათარმა, რო რატომ წაჰყევი ქართველსო!

***

წართმევა იყო. არაფერს არ არჩენდნენ, ყველაფერს ართმევდნენ. ბებია შენსა, დევანოზას დედას, ერთი კაბა ეცვა და ერთიც ჟაკეტი, თავზეც რაღაცა ეხურა. გაეხადათ და საცვლის ამარა გამოეშვათ ქალი. ლოგინებს ართმევდნენ, ყველაფერი მიჰქონდათ.

ვარნეთში, ვარნეთში! – იანვრის დღეს ქართველი ქალები ჩამოიყვანეს, გააატიტვლეს და დედი შობილა ქალებს ფერხული დააბმევინეს. დაუზურნაზე ათამაშეს და თან, ბოდიშს ვიხდი, შენს წინაშე, შვილო, მამაშვილურად გეუბნები, უკანალზე მათრახით სცემდნენ, რო: – შენ ვერ აჰყოლიხარ ყაიდასაო! აი, ქალებს რას უშვებოდნენ! მე რასაც გეუბნები, ჩემი თვალით ნანახს გეუბნები!.

***

აბანოზე, აქ, ასპინძაში, პარასკეობით მოდიოდნენ და ჭიდაობას მართავდნენ აქაური ბეგები. თავისი ოჯახებიც მოჰყავდათ, ფარდას ჩამოაფარებდნენ და იქიდან იცქირებოდნენ იმათი ქალები. ტოლოშისა და ოშორის ბეგებმა გამართეს ერთ დღეს ჭიდაობა. ერთი რაჟდენა იყო, ზველელი, ტროფიმეს შვილი. ის შეგვეხვეწა, რო მეც მაჭიდავეთო.

*ტოლოშის ბეგი იყო, ასან ბეგი. იმან უთხრა, გაჭიდავებ, თუ წააქცევო.*

*ამ ზედგინიძემ: – რო წავაქციო, ეგენი მცემენ, არ მაპატიებენ – მოკვლა კი არ უთხრა – მცემენო! – ნუ გეშინია, აქ არა ვარ, რა უნდა გცემონო! – ამ ასან ბეგმა.*

*ჩამოვიდა ეს ოშორელი ფალავანი. მივიდა ეს პატარა კაცი, შეუვიდა და გადიტრიალა, წააქცია. გამოეკიდნენ საწყალს, სდიეს. მაშინ ეს აბანოები ასე კი არ იყო გაკეთებული, გუბეები იყო ცხელი წყლის და იქ ბანაობდა ხალხი. გუბეში შიშველი ქალები ისხდნენ. ამ ქალებში ჩავარდა ეს კაცი. ჩაახალეს და შიშველ ქალებში მოკლეს კაცი! იმ ბეგმა ფეხებზეც არ დაიკიდა – თუ მოკლა, ერთი გიაური მოკლაო, რა!*

*მათე ბერიძე, სოფ. ერკოტა (ასპინძა): ზველში თვრამეტი კაცი გადააბეს ერთად, თვრამეტი კაცი! – ვნახოთ, ტყვია რამდენ კაცს გაუვლისო, აი, თუ გინდათ, ალაპარაკეთ ზველელი გრიშაი, აბეშჩიკი იყო, ის ალაპარაკეთ!*

*ავიღოთ ვარნეთი. მაგათ, ვარნეთელებმა იცი რა ქნეს, დაიჭირეს ჩვენი ხალხი. ზოგი შეინახეს, ზოგი – დახოცეს. დაიჭირეს ეს როსტომას შვილები. ერთს ლევანაი ერქვა, მეორეს ჩახალი. დაიჭირეს ეს ძმები ვარნეთში, მიშაჯან, და აწამეს ძლიერ. ჯერ ტუჩები დააჭრეს, მერე ყურები დააჭრეს, მერე გახურებულ ფეჩში შეაყოფინეს ხელები... ბოლოს დახოცეს, ამათი ქალები კი თათრებმა წაიყვანეს ცოლად, – აქვე, ჩვენებურმა თათრებმა, შენ გეცოდინება, მიშა!*

*– მამუდაი, როგორ არ ვიცი!*

*– მამუდამ თვითონ კი არა, იმისმა შვილებმა, – რე შიდამ და ურუშანამ. ურუშანაი ერქვა, თურქეთში გაიქცა მაშინვე.*

*მამაჩემს კონდახი ჩასცხეს ბეჭებში და ჩაჩეხეს. ზურაბაი ხო იცი, ფაროს მამა. მაგ ზურაბას მამა, ფილოი, ლოგინში მოკლეს. გიგოი იყო ერთი, ქურჩიენთი, ეხლა იმის სონაი იდუმალას არის გათხოვილი. ხოდა, ამ გიგოს, ამ სონას მამას, აღვირი მისცეს პირში, ცხენის აღვირი, ზედ შეჯდნენ და ისე დადიოდნენ: – აი, ცხენიო, აი ცხენიო! – ხალისობდნენ. დადეშიდან ერთი ქალი გამოიყვანეს, ჩვენი ხართ, ბოდიშს მოვიხდი, ქალი არ დანებდა და მოკლეს. პატარა ბავშვი ჰყავდა, მოიყვანეს და ისიც ზედ დაკლეს! აი, ჩვენმა თათრებმა, ჩვენი პურით, ჩვენი წყლით გაზრდილებმა! ჩვენი ხალხი, ერკოტელები, გარეკეს, ერთიან უნდა ამოეწყვიტათ. რო ავიდნენ სოფლის კიდურზე, გამოვიდა, ერთი იყო ყარაი ერქვა (თათარი): – ბიჭო, ლავრენტ, სად მიდიხართო?! – ედვარდაი რო არი, იმის მამას ეკითხება, ჭელოს.*

*– რა ვუყოთ, ყარაჯანო, გამოგვრეკეს, ამაღამ სულ უნდა ამოგვხოცონო.*

*მოაბრუნა ამ ყარამ ეს ამდენი ხალხი, სამოცი სული დიდ-პატარიანად, დააბრუნა და თავის სახლში შეიყვანა. დედამისს უთხრა, ამ ხალხს ხინკლით დაადღებო! მთელ ღამეს ერთ მხარეს წყალი დუღდა და მეორე მხარეს ხინკალი კეთდებოდა. იმ ღამეს გადაარჩინა, სულ უნდა ამოეხოცათ*

*თათრებს – ბავშვი, დიდი და პატარა. მეორე დღეს თავს დაესხნენ ყამზელი (ყამზა და ოშორა ადგილობრივი თათრების სოფლები იყო. ახლომახლო სოფლების ქრისტიანების დარბევაში ყველაზე მეტად ესენი აქტიურობდნენ) ამ ყარასიმს. სახლი სოფლის ზედა თავში ჰქონდათ. ერთი ძმა ერთ მხარეს დადგა კარებში, თვითონ ყარაი – მეორე მხარეს: – მოდით, თუ ბიჭები ხართ, თქვენ ვის ხოცავთ, ვინა ხართო!*

*ეხლა რატო შეინახა ამ ყარამ ეს ქართველები: თურმე შვილი დიდხანს არ რჩებოდა. გაუჩნდებოდა, – მოუკვდებოდა, გაუჩნდებოდა, – მოუკვდებოდა! ვიღაცამ მონათვლა ურჩია. ამ კაცმაც აიღო და უჩუმად მონათლა ბავშვი. არავინ არაფერი არ იცოდა, მალავდნენ ამ ამბავს. შერჩა ყარას ეს შვილი. იმიტომაც იყო, რომ ეს ქართველები შეინახა და არ დაახოცინა თათრებს.*

სოფელ ერკოტაში თათარი გვიან ჩასახლებულა, მენახირედ მისულა ერთი, მერე გამრავლებულა და იმ დროისთვის უკვე რამდენიმე ოჯახი ყოფილა. ერკოტისა და დადეშის მოსახლეობის დიდი ნაწილი სწორედ ერკოტელ თათრებს გადაურჩენიათ.

1920 წლის 23 მარტს ურავლის საზოგადოების კომისარს, ვინმე ჯინჭველაძეს 1918-919 წლების მოვლენებთან დაკავშირებით დაუკითხავს რამდენიმე სოფლის მცხოვრები. საყურადღებოა ერკოტელთა ჩვენებები, რომლებიც ამ დაკითხვის ოქმშია წარმოდგენილი. (შდრ. ანდრო და მათე ბერიძეების ისტორიები).

მცირე შემოკლებით წარმოვადგენთ ამ ჩვენებათა ნაწილს:

***სამსონ ნიკოლოზის ძე ბერიძე, 31 წლის, ცოლიანი; ერკოტა (1923 წ):*** *1918 წლის მარტში ადგილობრივმა თათრებმა ურავლის და იდუმალის საზოგადოებიდან იძულებული გაგვხადეს დაგვეტოვებინა სახლ-კარი და გავქცეულიყავით საქართველოსკენ. რისი წაღებაც მოვასწარით, წავიღეთ, რაც არა – გაიტაცეს ადგილობრივმა თათრებმა. ჩვენი გაქცევის დროს ოსმალეთის ჯარი ჯერ არ იყო შემოსული, მხოლოდ ბაკურიანში გავიგეთ მათი შემოსვლის შესახებ. ოსმალეთმა მომკო და წაიღო გაზაფხულისა და შემოდგომის ნათესი ხორბალი. მთელი დანარჩენი ქონება, ცხვარი, ძროხა და სახლოსნობა, რაც გვებადა, წაიღეს ადგილობრივმა თათრებმა. მათვე დაგვიხოცეს ბევრი ხალხი. იმგაზაფხულზე მოგვიკლეს ორი კაცი – შიო ხატიძე და ეგნატე ტივაძე, დაგვიწვეს სახლ-კარი. სოფელ საროდან ვხედავდით, როგორ იწვოდა ჩვენი სახლები ერკოტაში. ამ დარბევაში მონაწილეობდა ჩვენი მეზობელი სოფელი ვარნეთი, რომელსაც უნდოდა ჩვენი საბოლოოდ ამოგდება და სოფლის განადგურება. მათ უნდოდათ, რომ ჩვენ უკან დასაბრუნებელი აღარ გვქონოდა. მოგვაყენეს ენით აუწერელი ზარალი, რომელსაც „ჩვენი მოკლე ჭკუით ვერ ვასახელებთ“.*

***ალექსანდრე ბერიძე, 45 წლის; ერკოტა (1923 წ):*** *როცა ოსმა-*

*ლეთი გავიდა ახალციხის მაზრიდან 1918წ. გიორგობის თვეს, დავბრუნ-დით და დავბინავდით ჩვენს სოფელში. გავიდა ორი თვე და ახალციხეში შემოვიდნენ „ფოცხოვის ბრბონი". ჩვენ მეორედ დაგვესხა თავს ურავლისა და ოშორის საზოგადოების თათრები. რაც გვებადა, წაგვართვეს. დაიწყეს ადამიანების ხოცვა-ჟლეტა და ქალების შეურაცხყოფა. პიროვნებების დასახელება კი შემიძლია, მაგრამ რომელი ერთი დავასახელო? თითო სოფ-ლიდან ათი-თხუთმეტი კაცი მაინც იქნებოდა. ყველაზე დიდი ზარალი მეზობელმა ვარნეთელებმა მოგვაყენეს. მოგვაგროვეს ვარნეთში იმ საბა-ბით, რომ შეგინახავთო, მაგრამ მოგვატყუეს. დაგვიხოცეს ხალხი, ორი ძმა, ბართლომე და ლევან ბერიძეები, გამოიყვანეს რუფათ შერიფ-ოღლის სახ-ლიდან და დახოცეს. მერე ხალხი სახლში გაუშვეს, მაგრამ იქ ისევ თავს დაგვესხნენ, მოგვიკლეს ცხრა სული, წაგვართვეს, რაც გვებადა და დაგვ-ტოვეს მშიერ-მწყურვალი.*

***მახმუდ ასლან ოღლი, ერკოტა:*** *ბაკურიანში გაქცეული ერკოტე-ლების ქონება დაიტაცეს და გაძარცვეს ადგილობრივმა თათრებმა ურავლისა და ლებისის საზოგადოებიდან. მათ შორის ოსკერიის, ქუნცის, აძგვიტისა და როკეთის თათრებმა. ქართველების გაქცევის შემდეგ ერკო-ტაში მოვიდნენ და დასახლდნენ სომხებისგან დარბეული გოკიოს თათ-რები, რომლებიც აქ აპრილსა და მაისში დარჩნენ. მე აქ ვერ გავჩერდი, წავედი აგარაში, რადგან მეშინოდა ვარნეთელი თათრების, რომლებიც ქართველების მომხრეობის გამო მერჩოდნენ.ჭოსმალებმა ერკოტიდან მხოლოდ ზაფხულისა და შემოდგომის ნათესი პური წაიღეს. დანარჩენი გაძარცვეს ადგილობრივმა თათრებმა, რომლებსაც მეთაურობდნენ: ოშორელი მოლა მურთაზ მუსტაფა-ოღლი, ყამზელი რეშიტაი, ვარნე-თიდან ჰასან ბაში-ოღლი და რეშიდ ოღლი. მაგალითად, ფილო ბერიძე ვარნეთელმა ალი ისკანდერ-ოღლიმ მოკლა.*

***ჰეიდარ ასლან ოღლი, ერკოტა:*** *შემოგვეხიზნენ ქართველები. ჩვენ, ძმები ვყარაულობდით და არავის ვანებებდით. ყოველ დღე და ყოველ ღამე მოდიოდნენ და გვთხოვდნენ ქართველების ჩაბარებას. განსაკუთრებით გვატანდნენ ძალას ვარნეთელები. ბოლოს ვეღარ გავუმკლავდით აჯანყე-ბულებს, შემოცვივდნენ და ყველაფერი გაძარცვეს და დაარბიეს. (საქ. ცსსა. ფონ.11. საქ. 217; გვ. 16-17).*

ერკოტელი მაჰმადიანების ოჯახს გადაურჩენია სოფელ დადეშიდან ლტოლვილი რამდენიმე ოჯახიც, რომლებიც შემდეგ ვარნეთელი თათრე-ბის ტყვეობაში მოხვედრილან.

***ლადო ივანიძე, აწყვიტა (დადეში):*** *დადეშში ვცხოვრობდით. 1918 წლის გაზაფხულზე რო გავიქეცით, ბნელაში (ბნელა – ამჟამად ნასოფლარი, სოფ. ხიზაბავრის ბაღებია. მ.ბ.) ველიჯანაშვილი ვასოი იყო ერთი, იმის მამამ ორი ჭადარი მოჭრა, ხიდი გააკეთა და წვრილფეხი იმაზე გადავედით. გავედით ხიზაბავრაში, მერე ერთი-ორი კვირა ვარგავში*

*გავჩერდით. გაზაფხულის პირი იყო. წამოვიდა, დედაჯან, თოვლი, წვიმა, ჟყაპი! ზოგი ფეხით მოდის, ზოგი ურმით. უკნიდან ტყვია მოგვდევს. გაიქე, თუ გაიქე! ბაკურიანში ხის ძირებზე გააკეთეს ქოხები, შემოკრეს ხალხმები და შერეკეს საქონელი. იქიდან წამოვედით, ჭობიხევზე ჩამოვიარეთ. აწყურს რო მოვადექით, – სტოპ! აღარ წახვიდეთ, – გვითხრეს. მანდ ზოვრეთია სოფელი. იქ ერთი ბატონის საცხვარეში შევიდა ხალხი, ვინც მოასწრო, ვინც არა, – ისევ ხეების ძირებზე დაბინავდნენ. ერთი გენერალი იყო, მაკაევს უძახდნენ (ბალო მაყა შვილი, მ.ბ.), შტაბი ჰქონდა ბორჯომში. გადაუდგებოდა ხოლმე ხალხი: – ბატონო, გვიშველე!*

*– ჰო, შვილებო, ცოტა მოიცათ, ცოტა მოიცათ! – მოხუცებული კაცი იყო, წვერი ასე ჰქონდა, მკერდამდე!*

*რო დავბრუნდით, ორმოში პური დაგვხვდა – ვერ მიეგნოთ თათრებს. თექვსმეტი კოდი პური გვქონდა დატოვებული, ორმოში ჩაყარეს და ზევიდან დააზღვიეს – ქვის ფილებით გადახურეს და მიწა დააყარეს. იმ დაზღვეულზე ცხენი ებათ. თათრები მიწას სცემდნენ და ისე ეძებდნენ ორმოებს. ეს, რაკი დაზღვეული იყო, ხმას არ გამოსცემდა და ვერ იპოვეს.*

*1919 წელში მეორედ რო მოგვირბინეს, ყველაფერი წაგვართვეს. ვარნეთში რო მოვიდნენ თათრები, ვარნეთელებმა უთხრეს, ესა და ეს ხალხია დასახოციო. ზურაბას პაპა იყო ერთი, ერთი კოჭლი ვასოი რო იყო, მაგის პაპა იყო, ერთი ელიბარას პაპა იყო და კიდე ვინ იყო, არ მახსოვს, სულ ოთხი კაცი იყო. ეს კარლოს ბიძა დათიკოი, გზაში მოკლეს. ძალიან ლამაზი ცოლი ჰყავდა და იმის გულისთვის მოკლეს, ცოლის თვალწინ. ქალმა თავი ჩამოიხრჩო, არ დანებდა თათრებს.*

*ჩვენ გავიხიზნეთ ზევით კლდეებში, მაღაროებში. თებერვალია, თოვლი დევს. ჭამა არ გინდა? ღამე იპარებოდნენ, ერკოტა მოფარებული იყო და იქ მიდიოდნენ, ბაზლამას ან ფათირს გამოაცხობდნენ, თუ მოასწრებდნენ და ამოგვიტანდნენ. ერთი კვირა ასე ვიმალებოდით. მერე ტყვია დაგვიშინეს ამ კლდეებში. დედაჩემი იქით იწვა, ეს ბარესათ პაპაი კიდე აქეთ იწვა, ეს იოკას პაპა. მე და ვახტანგაი პატარები ვართ. კაცები დამალულები არიან, რო არ დახოცონ. წამოვა ეს ტყვია, მოხვდება მაღაროს: – ბიჭო, დაწექი! ბიჭო, დაწექი! – გვაფრთხილებენ. ერთი კვირის შემდეგ ერკოტაში გადავედით. იქ სამი-ოთხი კვამლი იყო თათრებისა. ჩემი ბიძაშვილი მაგ თათრებმა წაართვეს, გადაარჩინეს. დედაჩემი მაშინ მოკვდა ერკოტაში, თქვენი ჭირი წაუღია და უჭირომც ყოფილხართ! ვარნეთში ჩაგვიყვანეს. იქ ერთმა ნაცნობმა კაცმა შეგვიფარა. სამი დღე და ღამე კარებში იდგა, შვილები ჰყავდა, გააფრთხილა, ვინც „ფეხს შემოჰკიდანს, თოფი მიეციო“ – ესროლეო. სამი დღე და ღამე ასე იყო, მეოთხე დღეს გვითხრა: – რა ვქნა, აღარ შემიძლია, უნდა წახვიდეთ, ღობეებში სადღაც-სადღაც დაიმალეთ, მე პურ-წყალს მოგაშველებთო.*

*გავიდა ორი დღე და დაიძახეს, ქართველი შემოვიდაო!*

*სახუდაბლის მხრიდან გზა რო ჩამოდის, გორის ძირში მოქუჩებულან ეს თათრები და ლაპარაკობენ. ერთი კაცი მოდის ცხენით, ჭენებით. ისეთი გაუხდია ეს ცხენი – თეთრი ქაფი!*

*– რა ამბავია, რა ამბავი! – მისცივდა ხალხი.*

*– ორი სიტყვაო: – თქვენი გამარჯვებაო! – შემოგვძახა. – დილით გავიხედეთო და ცაში ვარსკვლავი დაითვლება და ქართული ჯარი არ დაითვლება აწყურის მინდვრებზეო. მოდის და აბნელებსო! – ეს თქვა, მოახტა ცხენს და გაიქცა.*

*შემოვიდა ქართველი. დავხვდით ცოცხლები, მაგრამ ცარიელი: ერთი დეკეული, ერთი ვერძი, ერთი თხა! დანარჩენი სულ წაგვართვეს და წაასხეს თათრებმა.*

*ჩვენ რაც დღე ვნახეთ, თქვენ არცერთმა არ უნდა ნახოთ! შიმშილიც გამოვიარეთ, სიშიშვლეც, გარეთ ყოფნაცა და შინ ყოფნაცა...*

*ვლადიმერ ზაზაძე, თმოგვი (აგარა): თათრებმა შეაგროვეს სოფლის მამაკაცები, შერეკეს საბძელში და დახოცვას უპირებდნენ. ერთმა აქაურმა თათარმა, მეზობელმა აიღო თოფი და უთხრა: – დედას გიტირებთ, ერთი ვერ წახვალთ აქედან ცოცხალი, თქვენ ვის ხოცავთო! აქ სისხლი არ უნდა დაიღვაროს, თქვენ წახვალთ და მე აქ უნდა დავრჩე და ამათთან ერთად უნდა ვიცხოვრო. ეს საქართველოს მიწაა და არა თურქეთისაო. აქაური თათარი იყო. ადგილობრივი ქართველი – გადაგვარებული. აქ მეტწილად ასეთები იყვნენ...*

*ანუსა ივანიძე, აწყვიტა (აგარა): ჩვენთან, აგარაში, ერთი ბავშვიც არ მოუკლავთ თათრებს, პირიქით, იმათ გვიპატრონეს და გაგვისტუმრეს, მოგვეხმარნენ გაქცევაში.*

*მალაქია მურჯიკნელი, სოფ. ბარალეთი: დაბრუნების შემდეგ კიდევ იყო მეორე თავდასხმა. ხალხს ხოცავდნენ. სომხები გააფრთხილეს: – „სომხებო, ფლაგები დაარჭვეთ კარზე, ბაირაღები!" სომხებს არ ერჩოდნენ ამ მეორე შემოსევის დროს. მაშინ სომხის ოჯახებმა ბევრი ქართველი ქალი და ბავშვი გადაარჩინეს. არუთაი იყო ერთი, სალოგინეში მალავდა ქართველ ქალს, წალდიენთ ოლიჩკას, ეგ – ერთი! ნესროფაი იყო, კოციენთ ნესროფაი, მთელი უბნის ქალები მაგან შეინახა თავის სახლში; ერთიც იყო ქიციენთ გაბრიელაი იყო ქვეით, აი, ამ სამმა ადამიანმა შეინახა ქართველები იმ წლებში. ვინც შორს ცხოვრობდა და ასეთი მფარველი არ გამოუჩნდა, იმათი არც ქალი დარჩა და არც ბავშვი.*

*სოფლელთა დიდი ნაწილი, ვინც ვერსად შეაფარა თავი, ჩვენი მარინეს ბოსელში შერეკეს. გაატიტვლეს ქალი, კაცი. გაიკითხეს, ერთმანეთის რძალი და მაზლი ვინ იყო, შემდეგ ეს გამორჩეული რძალ-მაზლი „ბრუდედ", ერთმანეთისკენ ზურგმიქცეული ჩააბეს – „კაკპარს" უძახდნენ ამას თათრები, ფერხული იყო ერთგვარი. მათრახი ეჭირათ და ვინც ვერ აუყოლიებდა, ტიტველ სხეულზე ურტყამდნენ. ამ ქალის ბოსელი ყველაზე*

*დიდი იყო. ამიტომ შეარჩიეს თათრებმა. სომხებს ჩუმად გამოჰყავდათ ქალები და მალავდნენ.*

*თათრები (ზაზაძეები და თოკელი აბაშიძეები) სწავლობდნენ აქ (ბარალეთში). მოწაფეობის დროს აქაურ ოჯახებში ცხოვრობდნენ. ნესიროფას ოჯახში (ქართველები რო შეიფარა, ბაღდასაროვი), გვარამაძე არჩილასთან და ქვიმჩიანებთან, ახლა ცახუნაანთ ჰამოს სახლი რო დგას, იქ. ეს აბაშიძეები ბეგები იყვნენ, თათრისგან მიცემული ბეგობა ჰქონდათ. თავდასხმის დროს აჯანყებულებს შემოჰყვნენ სოფელში. ერთი შეითან ახო იყო, სომეხი, იმას დაუბეზღებია ზედგინიძე შოთას მამა, აი, ასპინძაში თქვენი მეზობელი რო არის. ეშმაკათ, ამ დევანოზას ბიძაშვილს ადრე თათრის მამასახლისი მოუკლავს. ის კაცი ადრევე მოკლეს, ციხესთან მიიყვანეს და ნიჩბით დაჩეხეს. შეითან ახომ დააბეზღა ეს დევანოზა ზედგინიძე, იმ მკვლელის ნათესავიო. დაიჭირეს და უწყალოდ სცემეს. ეს აბაშიძე ღრიალზე შევიდა და რომ ნახა, მის თანაკლასელს სცემდნენ, აიღო მათრახი და დაერია თათრებს, გადაარჩინა ეს კაცი – მეგობრები იყვნენ. ზამთარში სკოლიდან გამოსულები თოვლზე თამაშობდნენ, ყინულზე... კაკლაობდნენ, ქუდებით ყრიდნენ ხოლმე კაკლებს...*

*ველიჯანაშვილი საბედა, სოფ. ხიზაბავრა: დაბრუნებულებს ისევ თავს დაგვესხნენ. ხუთი დღე გაგრძელდა თალანი. ძირითადად ქვეშა მხრის თათრები იყვნენ. ერთი ნაცნობი თათარი გვყავდა, წინუბნელი. კოკები დაჰქონდა ხოლმე გასაყიდად. იმან უთხრა დედას, – სალო ბაჯიო, ნუ გეშინია, შენთან არავინ შემოვაო. ხუთი დღე მართლაც არავინ მოსულა. ეკლესიასთან იყო ჩვენი სახლი. მშივრები ვართ. ერთი ტომარა დიკა გვქონდა, გაქცევისას თან წაღებული, შეინახეს საწყალმა კაცებმა, რო დაებრუნდებით და მოვმძლავრდებით, დავთესოთ ისევო. ის დიკა შედგა დედაჩემმა მოსახარშად (ოთხი სული ჩვენ ვიყავით, ერთიც ბერიკაცის ბიჭი გვყავდა, – ბიძაშვილი). მეზობლის ქალი შემოვიდა, კარტოფილი შემოიტანა: – მშია, ვჭამოთო, – და ატყდა კარებზე ბრაგუნი. ეფრემას, პაპას ძმიშვილს, შეეშინდა კარის გაღება და დედაჩემი გავიდა. მე თოთხმეტი წლისა ვარ, ჩემი და, – თერთმეტისა. გააღო დედაჩემმა კარები და გაიშალა ტყვია. თხუთმეტი-ოცი კაცი მომდგარიყო კარებზე. დედაჩემს გული წაუვიდა. დავესიეთ, ვტირივართ, – დედაი მოკვდა, დედაი მოკვდა! ერთი დაბალი ტანის კაცი იყო, იმან წამოაყენა და უთხრა: – ადე, ჩემო დაო, ადე, შენმა საცოდაობამ დაგვწვაო! – თათრებშიც იყო სინდისიერი კაცი და ყველა რჯულშიც არი! წადიო, უთხრა, სადაც თქვენი მეზობლები არიან, იქ მიდიო (მეზობლები სხვაგან იყვნენ დამწყვდეულები). გამოეკიდნენ იმ მეზობლის ქალს, ახორში შეიყვანეს, ძირის ძირში სდიეს და დაიჭირეს... დედაჩემს დაადგა ერთი თათარი და: – ჩქარა, ნიკალას ფულიო! ერთი ჩვენებური კაცი დაყვებოდათ და აჩვენებდა, ვინ გაეძარცვათ. პაპაჩემის ძმა დაიჭირეს, იცნო მომხდური თათარი და თავის*

*ნათენაძე ვასილი. „პირველათ ხო ჩეჩნები და ინგუშები გაასახლეს, ჯერ ისინი გაასახლეს. ჩვენ წავედით, იმ ჩეჩნების და ინგუშების მოსავალი ჩვენმა ნაწილმა აიღო."*

*შვილს გადაულაპარაკა, ყამზელი ბეშირაიაო. შეკრეს და დიდ ხანდოში (ორმოში) ჩააყენეს იმხელა თოვლში. სამჯერ ესროლეს, მაგრამ ააცილეს. შვილმა მიაგნო და გადაარჩინა. სიცოცხლის ბოლომდე ხელები და ტუჩები უკანკალებდა გადატანილი შიშისაგან.*

*მთელი სოფელი დედაჩემის დედის სახლში იყო შელაგებული. იქაც შეცვივდნენ. მღვდელს კარის ამყოლზე დაადებინეს თავი, ხანჯლით უნდა მოეჭრათ და ერთი ბალთიხეველი მოლა იყო, იმან გადაარჩინა. გადაეფარა ზედ და: – მე მომკალით და ამას ნურაფერს დაუშავებთო. – მღვდელი არ დააკვლევინა. ავზრიალდით ხალხი! (ღმერთო, როგორ მოჰყავთ თათრები აქა?! – ჩემი მამა-ბიძა მაგათ გაწყვიტეს!) რო დაიძახეს, ქართველი ჯარი შემოვიდაო, გამოგვიშვეს. ვისაც ბავშვი ჰყავდა, ხმას არ სცემდნენ, ცოდვას ვერ ვიტყვი, რაც მინახავს, ის უნდა ვილაპარაკო! – ბავშვიანს არ ერჩოდნენ. სხვა ქალებს აუწევდნენ თავს და თუ ლამაზი იყო, არ უშვებდნენ.*

1919 წლის მოვლენები თითქმის ყველა სოფელში ერთი სცენარით წარიმართა: სოფლის თავკაცებისა და გამორჩეული ვაჟკაცების წინასწარ

შედგენილი სიის მიხედვით განადგურება ან დევნა; დარჩენილი მოსახლეობის ერთად მოგროვება და რამდენიმე დღით დატყვევება; ადამიანების შეურაცხყოფა, აბუჩად აგდება; ძარცვა, სახლების გადაწვა. როგორც ითქვა, ამ მოვლენებში ადგილობრივი თათრები მონაწილეობდნენ. მათი სისასტიკე და დაუნდობლობა „წახალისებული" იყო აჯანყების ბოლო თვის ლოზუნგით – „აწყურამდე ან მხოლოდ ჩვენ უნდა ვიყოთ, ან მხოლოდ ქართველები!". მოსახლეობის თავმოყრა და ჩაკეტვაც იმ მიზნით ხდებოდა, რომ მათთვის ახალი ლტოლვილობის საშუალება არ მიეცათ და ბრძანების შემთხვევაში გაენადგურებინათ. ამ ისტორიებში აშკარად იკვეთება მაჰმადიანი მოსახლეობის გონიერი ნაწილის ავტორიტეტული ჩარევა და კეთილი ზეგავლენა ამ მოვლენებზე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მათი პირადი თავგანწირვის და პროტესტის წყალობით სამცხე-ჯავახეთში არ განხორციელდა ეს სამარცხვინო სისხლიანი აქცია. ღმერთმა თითქმის ყველა სოფელში გამოუჩინა ქართველებს ქომაგი და ნუგეშისმცემელი. მოტივაცია ამ ქომაგობისა სხვადასხვა იყო:

ერკოტაში, ქართველების დამცველმა თათარმა შვილი საიდუმლოდ მოანათლინა, ამიტომაც გაწირა თავი ქრისტიანების გადასარჩენად; გოგაშენში მომხდური რაზმის მეთაური იქაური აზიზას მეგობარი აღმოჩნდა და აღუთქვა, შენს სოფელს ჩიტს არ ავუფრენო; თოკელი აბაშიძე თანაკლასელს გამოესარჩლა, არა იმიტომ, რომ თვითონაც ქართველი იყო მამაპაპით და რაიმე ვალდებულებას გრძნობდა – იმიტომ, რომ ბავშვობა ერთად ჰქონდათ გატარებული და გაკვეთილების შემდეგ ხშირად უთამაშიათ კაკლაობა და რიკ-ტაფელა... ასეთი ისტორიებიდან მაინც გამორჩეულია ერთი, როკეთელი ქართველების გადარჩენის ამბავი.

*სოფიო დავლაშერიძე, სოფ. ნაქალაქევი (როკეთი): გაქცევის შემდეგ რო დაბრუნდით, ახალი წლები იყო. კიდე კარგი, სახლები არ დაენგრიათ, არ დაეწვათ. ცოტა ხანში ისევ მოგვიბრუნდა ეს ურჯულო თათარი. ბავშვებს ხიშტებზე აცმევდნენ, სადაც ნახავდნენ. ქალ-რძალის საქმე წასული იყო.*

*მამაჩემს ბიძაშვილი ჰყავდა, თათრებმა მოიტაცეს ადრე. სოფელშივე იყო გათხოვილი, აშიდ ნიკოი თუ გაგიგია, იმის ცოლი იყო. გაუქციეს ეს ქალი ამ კაცს, გაუქციეს და წაიყვანეს. ბოდიში სიტყვაზე და ორსული გაქციეს. ეს ბავშვი იქ დაიბადა. მერე ეს ქმარიც მოუკლეს – ძმამ მოკლა, ეს ქალი შეირთო და გადმოვიდნენ აქეთ, თარაქმებისკენ დასახლდნენ (ამ ქალს ელე ერქვა. ელე ბაჯის ეძახდნენ. მოიდოღში ცხოვრობდნენ და იქ ბოლო დრომდე ყოფილა „ელე ბაჯის წყარო" მ.ბ.).*

*ეს მუცლით წაყვანილი ბავშვი გაიზარდა, დავაუკაცდა და როცა ჩვენს სოფელს თათარი შემოესია და „შეურაცხყოფა შეუყენა", როგორც უბეში, ისე შეგვინახა მთელი როკეთი. ერთ დღეს დაგვტოვა და ტოლოშში წამოვიდა ბიძასთან: – ერთი ბიძასთან გადავიდეო, ან თავი დავიბანო, ან ტანი დავი-*

*ბანოო. ხალხი ბოსელში დატოვა კარდაკეტილი. მოცვივდა თათარი. კანუზაი ერქვა, ქოქგასახმობელი, – სისხლს უწურავდა ქალს და კაცს.*

*კაცები გაიქცნენ, კლდეებში დაიმალნენ. ქალებს საცოდაობა უდგიათ, ტირიან. მაგ შენი დედობილის დედა, პელაი, ძალიან ლამაზი ქალი იყო, ნაბადში შეახვიეს და კედელზე მიაყუდეს, – დამალეს. მამიდაჩემმა გამოიხედა გარეთ და მე და ჩემი ამხანაგი ვსხედვართ და ვთამაშობთ, გვერდით ტყვიას ისვრიან, ერთი ამბავია! მამიდამ დაგვიძახა: – შემოდით, შემოდით! — ათი წლის ბავშვსაც ერჩოდნენ, მიჰყავდათ. შევედით, – ტირიან ქალები, თავს იკლავენ. გავიდა ცოტა ხანი და, ეკლესიას ვენაცვალე, ცხენმა დაიჭიხვინა ეკლესიის მხრიდან. ქალებმა გაიხარეს. – შავყი ბეგი მოდის, ნუღა გეშინიათო!, – მამიდაჩემმა დაიძახა.*

*მოვიდა შავყი ბეგი და ეს ამდენი თათრები გადმოდგნენ ერდოდან. ეთოონთსაც ქალები არიან მოგროვილი. სახლი დიდია, საცხვარე-რამე, გადაბმული და ეს ქალობა სულ იქ არი. მოვიდა შავყი ბეგი და: – ეს რა ძაღლები დაგროვილან ამ ეზოშიო. სანამ ჩემი თავი არ გაგორდება დედამიწაზეო, სანამ ცოცხალი ვარ, თქვენ აქედან ვერაფერს გაიტანთო.*

*– რას ქვია ვერ გავიტანთო!*

*– ზოგი დეიდაა, ზოგი დეიდაშვილი, ზოგი ბებიად მეკუთვნის, ზოგი ტაიაშვილია (ბიძაშვილი), როგორ უნდა გაგატანოთო!*

*ისინი მაინც ევაჭრებოდნენ: – ერთი სხვა, უცხო არავინ გყავს, ერთი ათი წლისა მაინც, ის რო მოგვცეო?*

*შავყი ბეგმა იმ საღამოს მოიშორა მომხდურები, მერე ეთოს მამას უთხრა, ბიძამისს (ეთო დავლაშერიძე, ერთ-ერთი უკანასკნელი აშუღი, შავყი ბეგის ბიძაშვილი იყო), – აკოფ ტაიაო, ერთი ცხვარი დავკლათ, მაგათ ჩავახეთქოთ, თავიდან მოვიშორო, თორემ მე ერთი კაცი ვარ და ესენი ამდენი დამეხვნენო, ერთი ჭუჭულიც არ მინდა მაგათ ხელში ჩავუგდოო.*

*ღამით თათრები მობრუნდნენ და სხვა სახლებში შეფარებული ქალების აწიოკება დაიწყეს. სამი ქალი გაიტაცეს იმ ღამეს. ერთი ზველელი ქალი იყო შემოხიზნული, გაექცათ ეს ქალი, გადავარდა კედლიდან, ირბინა, ირბინა და ერთ კარტოფილის ორმოში ჩავარდა. ტიტველა ქალი, საცვლიანი! დანარჩენები კი შეგვინახა შავყი ბეგმა, გადაგვარჩინა.*

ქართველი ბეგების ერთი ნაწილი რომ აჯანყებას არ თანაუგრძნობდა, ეს 1919 წ. 4 აპრილს დამფუძნებელი კრების სხდომაზე ოსმან შავყი ეფენდი მიქელაძის გამოსვლიდანაც ჩანს. (ეს იგივე ოსმან მიქელაძე უნდა იყოს, რომლის თანარედაქტორობითაც 1919წ. 2 თებერვალს გამოვიდა გაზეთი „განახლებული მესხეთი"). როკეთლების მფარველი შავყი-ბეგის ვინაობა მთლად გარკვეული არ არის. ის ბეგის წოდებით მოიხსენიება. ბეგობა მას მამინაცვლისგან მიუღია და რა თქმა უნდა, გვარიც მისი ექნებოდა (თავად, როგორც ითქვა, „მუცლით წაყვანილი" როკეთელი გლეხის, ადგილობრივი პოეტ-შემსრულებლის ნიკო დავლაშერიძისა და სილამა-

ზით განთქმული ელე-ბაჯის, გვარად ასევე დავლაშერიძის შვილი იყო).

საკითხი, რა თქმა უნდა, საკვლევია, მაგრამ ბუნებრივი კითხვა, – ხომ არ არის ოსმან შავყი ეფენდი მიქელაძე და როკეთლების „უბეში შემნახავი" შავყი ბეგი ერთი და იგივე პირი, ბუნებრივად დაისმის. ქართულ სამეცნიერო სივრცეში ორიოდე წლის წინ გამოჩნდა სერვერ ბეგ ჯაყელის უცნობი ნაშრომი „სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის სახელმწიფოს" შესახებ. საიდანაც ჩანს, რომ „ქობლიანელ პრინცს" ჰყავდა ძლიერი ოპოზიცია მუსლიმი ბეგებისა და მხარის მუსლიმანური მოსახლეობის უმრავლესობის სახით, რიმლებისთვისაც მისაღები იყო ცხოვრება მხოლოდ ერთიან ქართულ სახელმწიფოში. (ყავრელიშვილი, 2002, გვ. 5).

ზ. დიდიმამიშვილს თავის დღიურში ჩაურთავს საუბარი ახალგაზრდა ქართველ მაჰმადიანთან, რომელიც დიდ შეცდომად თვლის „ბეგების ფერხულში" ჩაბმას და ოსმალების სამსახურში ჩადგომას. (1918 წლის გაზაფხულ-ზაფხულში). სასოწარკვეთილი ახალგაზრდა ტირილით მიმართავს ავტორს: „ეხლა გვასწავლეთ, რომელი გზით დავაღწიოთ თავი ოსმალეთის მტარვალობას და ჩვენს დაღუპვას. დავიღუპენით, დაგვღუპეს, შველა კი არსაიდან არის". ზ. დიდიმამიშვილი გაკვირვებით აღნიშნავს, რომ მისმა მოსაუბრემ „გინებით მოიხსენია ოსმალოების მოსული გზა და მათი რჯული და სარწმუნოება", მაჰმადიანისაგან რჯულის გინება გაუგონარი ამბავი იყო, მაგრამ ოსმალოებისგან მოტყუებული ადამიანები უკვე რჯულსაც აშკარად აგინებდნენ ხოლმეო (ლომსაძე, 1995, გვ. 429).

ამგვარი მოტყუებული, იმედგაცრუებული, მონანიე მაჰმადიანები ბევრი იყვნენ. სწორედ მათი სახელით მოახსენებდა ოსმან შავყი ეფენდი მიქელაძე დამფუძნებელ კრებას: ახალციხისა და აჭარის მოსახლეობა საქართველოს ვერ დაშორდება, დღეს თუ ხვალ შემოუერთდება მას და თუ საჭირო იქნება, სისხლსაც დაღვრის მისთვისო!

## „კოლექტიური ავტოპორტრეტი"

როგორც ზემოთაც ვთქვით, „თათრობა" მესხი მოსახლეობისთვის რამდენიმესაუკუნოვანი ისტორიული ეპოქაა და ის 1944 წლამდე გრძელდება. მთელ ამ პერიოდს მესხები „თათრების ხელში" ცხოვრებას უწოდებენ. ერთ-ერთ ისტორიაში მოხსენიებული იყო 120 წლის ანდრიაწმინდელი ბერიკაცის ნათქვამი 1918 წლის დარბევის წინ: – რასაც ახლა ვხედავ, ჩემ სიცოცხლეში უკვე ხუთჯერ გადავიტანეთო! როცა მესხები „თათრების ხელში" ყოფნის ამბავს ჰყვებიან, დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებენ მოვლენათა ქრონოლოგიურ თანამიმდევრობას. „რიები ვნახეთ, რიები გამოვიარეთ!", ამბობენ ისინი და პაპის მამის, პაპის, მამის და საკუთარ ისტორიებს ერთნაირი ტკივილით გვიამბობენ. ამ ისტორიათა უმრავლესობა მათი დაბეჩავების, დათრგუნვის, მათ მიმართ გამოჩენილი უზომო სიძულვილისა და სისასტიკის მაგალითია. არ შეიძლება არ გაგახსენდეს XX საუკუნის დასაწყისში ალ. ფრონელის მიერ აღწერილი „მიწამდე თავდახრილი", დამცირებული, სახედაკარგული მართლმადიდებელი მესხის პორტრეტი.

მაგრამ ეს  მაინც სინამდვილის „სხვის" მიერ დანახული და აღქმული მხარეა. საინტერესოა, თვითონ როგორ ხედავს და თვითშეფასების რა მახასიათებლებით აფასებს თავის თავს საკუთარ მიწაზე ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობაში მოხვედრილი, დევნილი, შევიწროებული და დაბეჩავებული ერთი მუჭა ქართველობა? რით ახდენს შელახული მოქალაქეობრივი ღირსების რეაბილიტაციას, როგორია მისი თვითგანცდა ჩამოყალიბებულ სოციალურ და ეთნიკურ გარემოში. რა კრიტერიუმით აფასებს თავის მდგომარეობას და რა არის ის მორალური და ეთიკური საყრდენი, რაც მას უკიდურესი სოციალური, რელიგიური და ეთნიკური დევნის პირობებში აძლევს ძალას და იმედს, დარჩეს არჩეულ პოზიციაზე, გააააქტიუროს თვითგამიჯვნის, თვითშენახვის, „თვითიმუნიზაციის" პარამეტრები.

ამ დათრგუნული და დაბეჩავებული, ერთი შეხედვით, მონური ფსიქოლოგიის ადამიანების ცხოვრებაში იკითხება გაუტეხავი სიჯიუტე და შეულახავი თავისუფლება!!! – დიახ, პარადოქსული თავისუფლება ყველა ადამიანურ და მოქალაქეობრივ უფლებას მოკლებული ადამიანისა. პირველი, რაც მათ ცხოვრებას აზრს აძლევდა და ახდენდა ყველა დაკარგული უფლების კომპენსაციას, არჩევანის ეს თავისუფლება გახლდათ.

კოლექტიური ავტოპორტრეტის პირველი კონტურიც ამ მახასიათებლით იკვეთება: – მე ვიცხოვრე იმ გზით, რომელიც თვითონ ავირჩიე ( ჩემმა წინაპრებმა აირჩიეს). რელიგიური მრწამსის ერთგულება მათთვის ისტორიული მოვალეობის ერთგულებაა. უამრავი ისტორია ფარული ჯვრისწერების, ფარული ნათლობის, ყოველ შობას ფარული ზიარების, გადაცმული მღვდლების საიდუმლო ღვთისმსახურების შესახებ, ფაქტობრივად გვიამბობს დაუმორჩილებლობის უწყვეტ აქციაზე, რომელმაც თითოეული მართლმადიდებელი მოქალაქე ფარული შეთქმულების მონაწილედ აქცია. (წარმოიდგინეთ, გადაცმული მღვდელი ხურჯინში ღორის ხორცის ნაჭრით და მისი ფარულად ნამარხულევი მრევლი საშობაო გახსნილებისა და ზიარების მოლოდინში. მარხვაც, – საგანგებო, მკაცრი და საზეიმო რიტუალი: ხორციელის შაბათს ჯამ-ჭურჭლის საგანგებო გახეხვა, ცხიმის ყველანაირი კვალის მოცილება, ჭერში ჩამოკიდებული „ბობოლი", – კარტოფილში ან ვაშლში გარჭობილი იმდენი ბუმბული, რამდენდღიანიცაა მარხვა. ყოველდღე თითო ბუმბული აკლდება. ბავშვები შიშით ვერ მიეკარებიან ყველს, ერბოს, ნაღებს... – ბობოლი დაინახავს და დაასმენს!)

ამ ავტოპორტრეტის არანაკლებ მნიშვნელოვანი შტრიხია ისიც, რომ აწყურიდან არტაანამდე „მართლმადიდებელი" „ქართველის" სინონიმია.

თავისი დაბეჩავებული ყოფა რომ ახსნან, მათი მეხსიერება ინახავს და თაობებს გადასცემს ძალადობისა და სისასტიკის უამრავ ფაქტს.

გაუსაძლის პირობებში აძლებინებთ ასევე მეხსიერებაში შემონახული ისტორიები დაუმორჩილებელ, ვაჟკაც, ძლიერ, შურისმაძიებელ თვისტომებზე.

საკუთრი სიმართლის განცდა არის ერთ-ერთი მთავარი საყრდენი მათი ფსიქოლოგიური პორტრეტის. საკუთარი უფლებების შეუვალობა და უეჭველობა ამ მიწა-წყალზე, რომლის საუკეთესო ნაწილიდანაც მთებში, კლდეებში განდევნეს, აძლევს მათ დაბეჩავებულ ყოფას სიმტკიცეს, ჰმატებს გამძლეობასა და მოთმინებას.

ცოცხალი რწმენა და საგანგებო პირობები მათ ცხოვრებას ერთ მთლიან ღვთისმსახურებად აქცევს. ამ ადამიანებს გამუდმებით ეძლევათ სასწაულები, რომლებიც მათ თავისი არჩევანის სისწორეში არწმუნებს. ამ სასწაულებს ხშირად თვით მაჰმადიანებიც კი აღიარებენ.

... დაბეჩავებული და „მიწამდე თავდახრილი" ქრისტიანი მესხის ჩვენთვის უკვე ნაცნობი პორტრეტის გვერდით მათ ნაამბობში თანამიმდევრულად იკვეთება საუკუნოვანი დაუმორჩილებლისა და „შეფიცულის" ისტორიული ავტოპორტრეტი.

ამ ხატის შესაქმნელად აუცილებელი კომენტარი: „– რიები ვნახეთ, რიები გამოვიარეთ!"

ვნახოთ, რამდენიმე ნიმუში ზოგადად „თათრობის" ამსახველი და „რევანშისტული" ხასიათის ისტორიებისა.

*ასპანიძე ვასო, სარო:*

*როგორ ათათრებდნენ. ძველად, როცა აჭარა გაათათრეს, ჩვენს სოფელში, ნიჯგორში, ხერთვისიდან გამოაგზავნეს მოლა. წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია გვაქვს, დაუკეტა ხალხს ეს ეკლესია და მეჩეთში ლოცვა დაავალა (ჩემ საკუთარ ბაღშია ახლა ეს მეჩეთი). ვერ შეეგუვნენ ქართველები, მოლა რო ლოცულობდა, გაამასხარავეს, ამან თავისი კალოში გადაარტყა, გლეხმა თავისი ქალამანი გადაარტყა... გაბრაზებული მოლა გაიქცა და ფაშასთან იჩივლა, არ მემორჩილებიანო. დაიბარეს ოჯახიდან თითო კაცი მთავარ საფაშოში. წავიდა ორმოცი კაცი. აჭარას მაჰმადიანობას აღებინებენ და ამათ აყურებინებენ. დიდი ფაშა ზის და ეკითხება: მიიღებ ჩვენს რჯულს თუ არა?! – თუ უარს ეტყოდა აჭარელი, ჭრიდნენ თავს და ტანს წყალში აგდებდნენ, თავს გვერდზე დებდნენ დასათვლელად. მოდგა ჯერი ჩვენებზე. წამოდგა ერთი მოხუცი კაცი და ეუბნება: – დიდებულო ფაშა, რათ გინდა ჩვენი მყრალი სისხლი მიწაზე დააქციო? გაგვიშვი, ჩვენ, მოხუცებმა, ჩვენს ეკლესიაში ვილოცოთ, ჩვენი მომავალი თაობა კი მეჩეთში მივიყვანოთო. პატარა აზრის ხალხი ხო არა ვართ, კარგად გვესმის, დღესაც თურქეთისა ვართ და ხვალაც. დაეთანხმა ფაშა. რამდენი წელი გავიდა, არ ვიცი, უცებ დაიძახეს, აწყურში ქართველი შემოვიდაო. დაანება მოლამ თავი ჩვენს ხალხს. გადავრჩით გათათრებას.*

*შურისძიება. შურისძიებას ვერ ბედავდნენ, თვალწინ კაცს მოუკლავდნენ და სიტყვას ვერ ეუბნეოდნენ. ვისაც ვაჟკაცობა ჰქონდა, მაინც ახერხებდა თათრებისთვის პასუხის გაცემას.*

*1918 წელს რომ დაარბიეს ძველ-ჭობარეთი და იქაური ქალ-რძალი დაატიტვლეს და ათამაშეს, ამ საქმის მოთავე ერთი ხეოთელი თათარი იყო. ჭობარელი კაცი იყო ერთი, ვანო ერქვა, ჟოტოს ეძახდნენ ზედმეტსახელად. ეს ამბავი რომ მოხდა, ნიკოლოზის ჯარში მსახურობდა და თვითონ არ შესწრებია. ჯარიდან რომ დაბრუნდა, ცხენის დოღში წასულა ახალციხეში. ეს ხეოთელი თათარი ზის, ხელში თასმას ატრიალებს – კრიალოსანს – და ყვება ქართველების აოხრების ამბავს, ტრაბახობს. გამოიარა ცხენით ამ ჟოტომ, მოუქნია ამ თათარს ხანჯალი და თავი ისე წააცალა, კაცი ჯერ ისევ ფეხზე იდგა. წამოცვივდნენ თათრები და წაელალნენ ვანოს მოსაკლავად. ერთი მოხუცი, თეთრწვერა ბერიკაცი ადგა და წინ გადაუდგა: – არავინ ხელი არ ახლოთო, –„ით იგ, ით ქიმა გელდი" – „ძაღლია და ძაღლურად მოკვდა, მაგას ეგ სიკვდილი ეკუთვნოდაო!" – ნუ გეშინია, შვილო, ადგა და მაჭახეთამდე (იქ წისქვილები ჰქონდა ჭობარეთს) გამოაცილა: – ვინც ძუძუ გაწოვა, იმ დედას ვენაცვალეო!*

*აკოფა შვილი არტემ, არალი.*

*უწინ შემძლე ხალხი იყო. უწინ ძალიან შემძლე ხალხი იყო, არ ვიცი, რათ დავწვრილდით ასე. ჩვენი მამა-პაპა ძალიან დიდრონები იყვნენ, ძალიან, ძალიან! ეს წყლის პირები სულ დაუმუშავებელი ადგილები იყო, ძეწნით, ეკლით დაფარული – ფიჩხნარი ტყე. ხოდა, ისეთი შემძლე ხალხი იყო, აგერ ამხელა ხეებს ასე მიაბამდნენ ხოლმე. ჯაჭვი არ იყო წინათ, წნელით წვალობდნენ, – წნელით მიაბამდნენ ჯვარედინად, მერე მოქაჩავდნენ, მხარს მისცემდნენ (მხრით მიაწვებოდნენ) და ამხელა ხეებს ძირიანად გლეჯდნენ. წარმოიდგინე, რა ძლიერი ხალხი იყო.*

*ერთმა კვარის ჯირკი აიკიდა და მთიდან – ოცდაათი კილომეტრია ჩვენ სოფლიდან მთამდე – კვარის ჯირკი აიკიდა და წამოიღო: – ბარემ მივდივარ და თან ამასაც წავიღებო. აიღო, მხარზე დაიდო ჯირკი – ლაპარაკ-ლაპარაკით წამოვიდა. ხან ერთ მხარზე დაიგდებდა, ხან მეორეს შეაშველებდა. ასე ატარა ოცდაათი კილომეტრი. აქ რო მოვიდნენ და აწონეს, ასი კილო გამოვიდა.*

*მთაში მთელ კვირას მუშაობდნენ. შაბათს წამოვიდოდნენ: – წირვა ვნახოთ, ვილოცოთო. კვირას, შუადღის შემდეგ ისევ უკან წავიდოდნენ. წირვა-ლოცვის გარეშე არც ერთი არ დარჩებოდა, ისეთი მორწმუნე ხალხი იყო.*

***

*შემძლე იყო ქალიც, კაციც! ჩემს ახალგაზრდობაზე ადრე, ერთი ორმოცდაათი წლის წინ, ყველიერში (მგონი, თქვენი დღეობაც არის ყველიერი, – მართლმადიდებლების) ჩამოდიოდნენ სხვადასხვა რაიონიდან. თურქეთი ხო გახსნილი იყო და არდაგანამდე ჩვენი მიწა იყო. ჩამოდიოდნენ მოჭიდავეები, მაგრამ ჩვენ სოფელში ისეთი მძლავრი ხალხი იყო, ვერავინ ამარცხებდა. როგორც გითხარი, ამ არემარეში სამოცდაათი სოფელი თათარი იყო, მარტო ჩვენ ვიყავით ქართველი, ორი სოფელი.*

*ბენარაში ერთი ბეგი ყოფილა, წასულა, თურქეთიდან ჩამოუყვანია ერთი მოჭიდავე, ძლიერი, დიდი. ას კილოს იწონიდა, ისეთი იყოო.*

*სოფელს გაუჭირდა ამ მოჭიდავეების და მათი მხლებლების შენახვა. ხალხი გაბეზრდა. ჩვენი სოფლის ცენტრში ერთი კაცი ცხოვრობდა, ეზო ჰქონდა მოღობილი და ერთი სამი-ოთხი მეწველი კამეჩი გაშვებული. რძალი ჰყავდა ამ კაცს, ლამაზი, ტანადი ქალი. ერთ საღამოს კამეჩებს წველის ეს ქალი. ერთი სახარე კამეჩი გადახტა მოღობილში და ხელს უშლის. გააგდებს ჭიშკრიდან – კიდე გადმოხტება. კიდე! – კიდე. – წადი, შეოხერო, ხელს მიშლიო! – და ასე რო ამოჭკრა მუცელში ეს ხელები, ეს სამასკილოიანი კამეჩი ერთმეტრიან ღობეზე გადააგდო, გადააკოტრიალა. შემთხვევით მეზობელმა შეასწრო თვალი ამ ამბავს: – ვაი, დედა, ამ ქალმა რა ქნა, კაცო!*

*ეს ის დროა, როცა სოფელი შეწუხებულია ქურთი მოჭიდავისგან. ადგა ეს მეზობელი და ამ ქალის მამამთილთან მივიდა. – პეტრე, შენი რძალი უნდა დავაჭიდოთ ამ მოჭიდავეს, აუცილებლად დაამარცხებს და ამ ჭირს მოგვაშორებსო. მამამთილმა შორს დაიჭირა: – არ თქვა, არ თქვა, გენაცვალეთ! ქალმა როგორ გაიხადოს ტანზე, საჭიდაოდ როგორ გავიდესო. ასე იყო თუ ისე, გაანდეს რძალს ფარული ჩანაფიქრი. – მე ეგ სურვილი რახანია გულში მაქვს, მაგრამ თქმა ვერ გამიბედია, მე მაგას დავამარცხებ, ოღონდ არ გამაქვეყნოთ, სოფელში არ გამომიყვანოთო. – თქვა რძალმა.*

*როგორც გითხარი, ეს მოჭიდავე ათ-ათი დღე აქ რჩება. ხალხი შეკრებილა, წვრილ-წვრილი მოჭიდავეები ჭიდაობენ. ზოგი ცეკვავს, მოედანზე ხალხია შეკრებილი, სეირობენ. ეს გოგო, ვაჟკაცურად გამოწყობილი მიუახლოვდება და: – გამარჯობა შენიო! – ხელს გაუწოდებს. გაუწოდებს და თითქოს ბოთლიდან რძე დაგიღვრიაო, ოთხივე თითიდან სისხლი წასკდება. ამ თათარს ლამის გული წაუვიდეს ტკივილისაგან. მერე ერთ ხელს მხარში წაავლებს, მეორეს ჩაჭრავს და ლავიწის ძვალს ჩაუტეხავს. თათარი ფალავანი ცხენს შეაბამს და ხევ-ხევ გაიპარება. წარბასუბანში შეუკრეს მხარი და სასწრაფოდ გააქციეს. – ეგ რო დამეჭიდოს, ხო ცოცხლად შემჭამსო! – იძახდა შეშინებული და იმის მერე ჩვენს მხარეში არ გამოჩენილა.*

***

*იმ თათრობის დროს მე კარგი ასაკის ვიყავი: ათი-თხუთმეტი წლისა. ჩამოდიოდა ხოლმე თურქეთის ჯარი და დაბანაკდებოდა. „ოთხგოგრიანი" ფურგონები იყო მათი ძირითადი ტრანსპორტი. შიგ ჯორებს აბამდნენ. დაბანაკდებოდნენ და სოფლის კმაყოფაზე უნდა ყოფილიყო ხალხიც, ჯარიც და ჯორებიც. სოფელს ამათთვის პური უნდა ეცხო, საკლავი დაეკლა, თივა, ბზე, ქერი გაეღო.*

*სოფელში წყარო არ იყო, ხევიდან ეზიდებოდნენ წყალს. ერთ დღეს თათრებს ჯორები ჩაუყვანიათ ხევში და ფეხებს ბანენ. იქვე ბაღებიდან მეთაური უთვალთვალებს, აკვირდება.*

*ერთი ჩვენი გვარის ქალი, აკოფა შვილების ქალი ჩასულა წყალზე. ქალები მაშინ სამუშაოზე ვერ წავიდოდნენ, მეზობელთან თუ გადავიდოდნენ, ან წყაროზე. მაშინაც სახე ჰქონდათ შებურული, რო თვალი არავინ ჰკიდოს და არ მოეწონოსო. ამ ქალს არავინ ეგულებოდა ახლომახლო. დაიმედებულმა მოიხსნა თავსაფარი, პირი დაიბანა. მერე ისევ საგულდაგულოდ შეიბურა სახე და სოფლისკენ წამოვიდა. ხეზე მიყრდნობილი თათრის მეთაური აღტაცებით ადევნებდა თვალს. უკან აედევნა და დაიმახსოვრა, რომელ კარებში შევიდა. მერე წავიდა, „იარაღში ჩაჯდა" და შეგულებულ სახლს მიადგა.*

*ქალი ცომს ზელს. ოჯახის წევრები სამუშაოდ არიან, ბავშვები –*

*სათამაშოდ. ეს იარაღიანი კაცი რო დაადგა თავზე, შეკრთა, მაგრამ გული გაიმაგრა. – ხო იცი, რისთვისაც მოვედი შენთან, – ეუბნება თათარი. – კი ბატონო, მობრძანდი, დიდი სიამოვნებით, – პასუხობს ქალი (ბოდიშს მოვიხდი თქვენთან, ჩემი შვილების ადგილზე ხართ, ყველაფერს ისე მოვყვები, როგორც იყო). – ყველაფერი ისე იქნება, როგორც ისურვებთ, ოღონდ „ნამატი" (ნამატს ეძახდნენ თათრები პურს) ცოდოა. შენ აგერ დაბრძანდი, მოისვენე, მე ამ პურს მოვზელ და როგორც გინდა, ვისიამოვნოთო. გული დაიარხეინა თათარმა. იარაღი ბოძზე ჩამოკიდა, ტყვიაწამალიც. დაჯდა მორზე. წინასწარ უხარია: – ამის მერე მოვალ, წავალ!...*

*ეს ქალი ზელს და ზელს პურს. ძალიან შემძლე ქალი! ძალიან კარგი ქალი! მივა ამ თათართან, ერთ ხელს ქამარში დასტაცებს, ერთს კისერში და ამ გახურებულ თონეში ყირამალა ჩაჰკიდებს. იმსიმაღლე თონე ყოფილა, ფეხისწვერებიღა დარჩა მაღლა. რაც ტყვია წამალი ჰქონდა შერჩენილი, იფეთქა და მაშინღა შეშინდა ქალი. თავის შილს, – მაზლისცოლს გაენდო. თონეს თავზე დაახურეს, სუნი არ გავიდესო, პური მაზლის ცოლმა წაიღო გამოსაცხობად. ეს ქალი ცუდად გახდა, სადილის წასაღებად მოსულ ქმარს ლოგინში ჩაწოლილი დახვდა: – პურს ჩვენები აცხობენ და უანაში ის წაიღეო, – უთხრა. ასე დაიცვა თავისი და ოჯახის პატიოსნება. ეს ამბავი რომ ვინმეს გაეგო, მთელ სოფელს გაწყვეტდნენ.*

***

*პაპაჩემის მამა მამასახლისი ყოფილა. სამი შვილი ჰყავდა. სამივე ცოლშვილიანი. ძალიან კეთილ კაცს ამბობენ! უღალატო ხალხისა და ალალმართალი! ერთ დღეს სამი ცხენოსანი მოადგა მათ სახლს. ირგვლივ, თათრის სოფლებში თურქეთის ჯარი იყო დაბანაკებული და იმათგან ვიღაცას სოფლის ლამაზი ქალების სია ჩაუწერინებია. მამასახლისმა მიიღო სტუმრები. აბა, კარგი სმა-ჭამა, კარგი მასპინძლობა და ეს თათრები ეუბნებიან: – ეს და ეს ქალები უნდა მოგვიყვანო აქ, რამდენიმე საათი ჩვენთან იქნებიან, ვერც ვერავინ გაიგებს, არც გახმაურდება ეს ამბავი, ისევ თავის ოჯახში დაბრუნდებიანო.*

*– დიდი სიამოვნებით, ბატონო, – პაპაჩემი ეტყვის, – აუცილებლად მოვიყვანო. მოასვენა სტუმრები, ლოგინი დაუგო და შვილებთან შეევიდა: – შვილო, ასე-ასეა საქმე. ჩვენ ორი გამოსავალი გვაქვს: ან თქვენი ცოლები უნდა მივუყვანოთ, ან სამივე უნდა დავხოცოთო. საცვლების ამარა არიან, იარაღი არა აქვთ. უნდა დავინაწილოთ და მოვახრჩოთო. გადაწყვიტეს! (ეჰ, ენა ადვილად ლაპარაკობს!) მოგუდეს ეს კაცები. იქვე სახლში გათხარეს იატაკი და ჩამარხეს. ცხენები წაიყვანეს და ოთხი-ხუთი კილომეტრის იქით გაუშვეს თავის მოსართავებიანად. ამ ამბავზე ჩვენს ოჯახში ხმამაღლა არ ლაპარაკობდნენ. თათრების გასახლებამდეც კი ეშინოდათ,*

ჯავრს ჩაიდებენ გულში და შურს იძიებენო. ეს ჩვენებური თათრები ამბობდნენ, ჩვენ სტამბოლში „უკლონი" გვაქვსო, იქაურები წერენო, რო სამი მეთაური ჩავიდა და დაიკარგაო (როგორც ჩანს, დიდხანს ეძებდნენ ამ დაკარგულ სამხედროებს).

**მარგალიტა ქომოშვილი, არალი.**

*თათრების ხელში.* მოვიდნენ თათრები და დაეცნენ ჩვენს სოფელს. გადაღმობაში ადგილია ერთი, მეშურეთებს ეძახიან. მამაჩემის პაპას იქ ყანები უკეთებია – ჯენჯილი ჯაჭვებით და ოწინარებით თხრიდა ხეებს, გლეჯდა და სათესად ამზადებდა მიწას. გამოვიდნენ სოფლიდან და: – გიქრო პაპაო, თათრებმა ხარები მოგვპარეს და წაიყვანესო. გამოუდგა პაპაჩემი და წყისის ტბასთან, ბუზმარეთთან დასწვდა ქურდებს. მკლავზე თუნუქის ნაჭერი შემოიხვია, – რკინა რაღაცა. გარედან შინელი მოისხა და წაადგა ამ თათრებს. ძალიან მძლავრი კაცი იყო პაპაჩემი. იმათ ხმალს ამ რკინიან ხელს ახვედრებდა და იმით ხოცავდა. ასე გადაარჩინა ოცდახუთი უღელი ხარი.

***

ეს თათრები რო გადმოივლიდნენო, შეამტვრევდნენ სახლის კარებს და სადაც ახალგაზრდა დალამაზ ქალს ნახავდნენ: – ამან უნდა მაბანაოსო! – გამოაცხადებდნენო. მეტი გზა არ იყო, უნდა გაეცხელებინა ქალს წყალი და ებანავებინა, თორემ მთელ ოჯახს ამოწყვეტდნენ. ერთ ქალსაც ასე გაუთბია წყალი და ხელი ჩაუყია: ვნახო, საკმარისად ცხელია თუ არაო! – როგორ თუ შენ ჩვენს დასაბან წყალში ხელი ჩაჰყეო! იმდენი ცემეს, იმდენი ცემეს, – მიამკვდარესო. მერე წყალი გადააქციეს, აღარ იბანავეს, – ასე იყვნენ გათავხედებულები! ეს ჩვენი მშობლებიდან გვაქ გაგონილი. თათრებმა დიდისგან დიდი გაგვტანჯეს, შვილო.

**შუშანა ტაბატაძე, ანდრიაწმინდა.**

*„მე ვთქვი და მე ვთქვი!"* ჩემი მამამთილი ძალიან მაგარი კაცი იყო, მოჭიდავე კაცი. თათრებს ეშინოდათ, ამბობდნენ, ეს შელოცვილია, ხელი არ ეკიდებაო. დევნიდნენ, მაგრამ ხელში არ უვარდებოდა. ერთხელ, მოხუცებულობაში, ავად იყო და ნათლიმამა გაეამოვიდა მოსანახულებლად. ოჯახის რძალი მაშინვე დატრიალდა, სუფრა გაშალა. ამ ჩემმა მამამთილმა ნახევარი კვერცხი შეჭამა. სტუმარმა დანანებით გადაიქნია თავი: – თორმეტ ბიშს ჭამდა ერთ ჯერზე და ახლაო, კაცოო, ნახევარ კვერცხს ვერ მოერიაო! მე რომ მაგისი ამბავი გითხრათ, რძლებო, იტყვით, სად წავიდა ჩვენი მამამთილიო.

*თეთრ მიწებთან კისათიბი იყო, თათრის სოფელი. მანდ იმართებოდა ხოლმე ჭიდაობა. ახლა თქვენ რომ კინოში და თეატრში დადიხართ, ჩვენი გასართობი ჭიდაობა იყო. ერთხელ ოშორელი ფალავანი ჩამოვიდა, კისათიბელს უნდა დასჭიდებოდა. წავედით მთელი სოფელი.*

*მაშინ დაუ-ზურნაზე იყო ჭიდაობა. დაუკრეს საჭიდაო. გამოვიდა ოშორელი ფალავანი. რო დაინახო, ერთი დიდი მთა გეგონება, არც თავი ეტყობა, არც არაფერიო! შემოუარა წრეს, იწვევს ამ კისათიბელს, მაგრამ ამას შეეშინდა და აღარ გადის. დაიწყო თქვენმა მამამთილმა ცოცმანი, გული მოუვიდა, ადგილზე ვეღარ ჩერდება, – უნდა გავვარდეო, იძახის. – ბიჭო, საბაჯან, შენ გენაცვალე, დაგვხოცავენ ეს თათრები, ხელი არ გაანძრიო! – დავეხვიეთ მთელი სოფელი. – როგორ, ეს თუ არ გავა, უნდა გავიდე! – დაიჩემა ამან. – ბიჭო, შენ ამოდენა ხარ, ეს სახლის ტოლა არი, ხო ხედავ. დედისერთა ხარ, მკვდარი როგორ მიგიყვანოთ სახლში! – ვეხვეწებითო. თათარმა ერთხელ კიდევ ჩამოუარა წრეს. ამან ვეღარ მოითმინა და ეს ბლუზი კი არ გაიხადა, ტანზე შემოიხია და გავარდაო. დავიწყეთ ტირილი ანდრიაწმინდელებმაო. გავარდა. ამ თათარმა მოჰკიდა ხელი და დააბზრიალა. დააბზრიალა და მოისროლა, გადააგდო იქით მხარეს. ეს გაუმაგრდა და ფეხზე დადგა, არ წაიქცაო. ახლა კიდე ვეხვეწებით, არ გახვიდე, – წაგაქცევს, – მოგკლავს, წააქცევ, – მოგკლავენო! არ გაიგონა, გავარდა ისევ. ამ თათარმა იკითხა, საით გადვისროლოო? მოკიდა ხელი და დაბლა, ბაიების მხარეს გაისროლა. ეს წამოდგა, ერთი მოიკრიფა ძალ-ღონე და რო შეუჯდა ამხელა კაცს და დაანარცხა ძირს, უკვე იმაზე ვტიროდით, აქედან ცოცხალს არ გაგვიშვებენო. ფაშას გაუხარდა, მოვიდა და გადამკოცნაო. დღესაც არ ვიცი, შვილო, როდის აკრიფა ტანსაცმელი და როგორ გაიპარა იქიდან ის თათარიო.*

***

*ამ მამამთილის მამა დიდი ტანის კაცი იყო. ერთხელ მუსხში მიდის, ასე მოკლეზე. ნახა, ხარი და კამეჩი შეუბიათ ურემში. ვერ მიდიან და დგანან. – რა მოხდა, რატო დგახართო? – ამ ხარმა არ გაუწია კამეჩს და იმიტომაო. – ტოლი დაგედოთო. – ეგეც ვცადეთ, მაგრამ არაფერი გამოვიდაო. ახალი ქალამნები ეცვა, სტუმრად მიდიოდა. გამოუშვა ეს ხარი უღლიდან და თვითონ შეება იმის მაგივრად. ტოლდადებულ კამეჩთან ერთად შეება და იმ აღმართზე აიტანა ურემი. – ახლა შეუბით ხარი და წაიღეთ დაღმაო. დააკვირდა და ნახა, ქალამნებს ძირი აღრ ჰქონდა, – ერთიანად გასცვეთოდა.*

***

*ისეთი ღონიერი და მძლავრი კაცი ყოფილა, სეტყვა და წვიმა რო წამოვიდოდა, დადგებოდა, დოინჯს შემოიყრიდა და მუქარით შესძახებდა ღრუბლით ჩამობნელებულ ცას: – მე ვთქვი და მე ვთქვი! – მე ვთქვი და მე ვთქვი! ამ ბერიკაკის დაძახილზე, ის სეტყვა უკან ბრუნდებოდაო, ამბობენ. იმხელა იყო, კისერზე ხელს ვერ მოავლებდიო, – ძველები ამბობდნენ, – კაცოო, სეტყვას აბრუნებდა უკანაო!*

*ერთხელ ჩემი მამამთილი (საბა ინასარიძე მ.ბ.) ნათლიად ყოფილა, ზველიდან მოჰყავდათ თურმე ქალი. ეს მამაძაღლი თათარი აუხტა ჭობარეთიდან, აუხტა და ჩაუდგა წინ. მაყრიონი მიდის ცხენებით, – მაშინ ცხენებით იყო ქორწილი. შეჩერდა ეს მაყრიონი. ვუთხარითო, – რა გინდათ, რაშია საქმე, – მე ნათლია ვარ, არ უნდა გავინძრეო, – მამამთილი ამბობს. ჩამოვიდე ცხენიდან – არ შეიძლება, მძიმედ უნდა ვიჯდე, ნათლია ვარ – არ ჩამოვიდე და რა ვქნაო! წინ წასულებს ვკითხე, რა იქნა, რატომ შეჩერდითმეთქი და: – აბა, თათარი ამოგვიხტა და პატარძალს გვთხოვსო, – მითხრესო. – ან „ხისიმიო" – ამბობენო, ესე იგი; ან ვინმე გამოვიდეს ჩვენი ტოლი და დაგვეჭიდოს, და წააქციოს ჩვენი კაცი, თუ არა და: – პატარძალიო! რა ვქნა, ნათლია ვარ, ვფიქრობ, ჩამოვიდე, – არ ჩამოვიდე! რო არ იქნა და არ იქნა, ჩამოეხტი ცხენიდანაო, რო მოვკიდე ამ თათარს და გადვისროლე, დაბზრიალდა, დაბზრიალდა და ერდოებს გადაუარა და იქით გადავარდა ეს კაციო. დავუძახე მაყრიონს, – გასწიეთ ახლა ცხენები და წადითო.*

*მე ქალი შვილი გავათხოვე ჭობარეთში და რო გაიგეს, საბას შვილი შვილი იყო: – ოი, საბას ვენაცვალეთ, საბასაო, რო ჩვენი მტერი თათარი, ბოზოს უძახდნენო, აიღო და ერდოდან მოისროლაო. ვიძახდითო, რო შენ აგიყვავდეს ხელები, რა კარგი ქენიო. თურმე თავის სოფლელებსაც ავიწროებდა ეს თათარი. ასე დახვდებოდნენ ხოლმე ქორწილებს თათრები, ერთ ვერძს მოიყვანდნენ. პატარძალს ცხენიდან უნდა აეწია ეს ვერძი. თუ ასწევდა, ვერძი იმისი იყო, თუ არა, – პატარძალს თათარი დაეპატრონებოდა. ამის გარე ბიცოლა (ქმრის), თურმე ძალიან მძლავრი ქალი იყო, მოუყვანა თათარმა ეს ვერძი. დაუჭირეს უნაგირი, რო არ გადაყირავდეს. ჩააელო ამ ქალმა მატყლში ხელი და წამოისროლა ცხენზე ეს ამხელა ვერძი. დაიწყო ტირილი თურმე ამ თათარმა; – ახლა რა ვქნა, ეგ ერთი ვერძი მყავსო.*

***ლონდარიძე-ბერიძე სონა, გოგაშენი:** უწინ ქალები იყვნენ, – ვაჟკაცური ქალები! კიკილაანთა გაზრდილი ქალი იყო, მგონი კეკელ მამიდას მამიდა ყოფილა. სათათრეთიდან გადმოსულა თათარი, შემოსეულა და ცხვარი გაურეკია. ამას კალთით მოუგროვებია ქვა, ლოდი. დაუშენია და ქვით მოუგერიებია ეს თათრები, ცხვარი წაურთმევია და წამოუყვანია.*

*საბედა ველიჯანაშვილი, ხიზაბავრა:*
*ხიზაბავრელი კატო.*

*პაპაჩემის ბებერა იყო. ქმარი რო მოჰკვდომია, ორი ბიჭი დარჩენია, ორი ბიჭი. ერთს აკაკი რქმევია, ერთს სინოი, – სიმონაი. პაპაჩემის ბებერა იყო, თვითონ თედორაძე ყოფილა გვარად ეს კატო. ხერთვისიდან ბეგს ამოუგ ზავნია ჩაუშები, რო ამომავალი ქალისგან (ამ და ამ ქალისგან) ქერის ბზე ჩამოიტანეთო. კატო ცომს ზელდა თურმე, პური უნდა გამოეცხო და შვილებს უთხრა, წაჰყევით და ქერის ბზეს ნუ გაატანთ, ერთი ძროხა გვყავს და მაგითი უნდა გავიყვანოთ გაზაფხულამდე, – დოლის ბზე გაუტენეთ და გაატანეთო. გამოვიდა ბიჭი და: – დედაო, არ ქნესო, ქერის ბზეს ტენიან და თან წამოგვცხეს, ხმა არ ამოგვაღებინესო. ამ ქალმა გაიფშვნიტა ცომიანი ხელები, ბაღ-სარტყელში (მაშინ ბაღ-სარტყლები ეკრათ ქალებს) ჯოხი ჰქონდა, კომბალი. ამოიღო წელიდან კომბალი და შევიდა. ერთმა ჩაუშმა შეურაცყოფა მიაყენა რაღაც, – ან მოჩქმიტა, ან მოეხვია, – რა ვიცი. გადასცხო ამან კომბალი, თავი გაუტეხა! სცემა ორივე და გარეკა. არც ქერის ბზე გაატანა და არც დოლისა. დაიბარა ბეგმა მეორე დღეს თავისთან. ხიზაბავრელმა კატომ უამბო, რაც მოხდა. ისე მოსწონებოდა ბეგს ამ ქალის სილამაზე და ვაჟკაცობა, ერთი ძროხა ეჩუქებინა და ეთქვა: შენს კარზე დღეის იქით აღარავინ მოვაო.*

ქრისტიანი მესხების „კოლექტიური პორტრეტის" ერთი უმნიშვნელოვანესი შტრიხია მათი ცხოვრების წესი, – „ერთათობა".

გადარჩენის და ფიზიკური არსებობის შენარჩუნების ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორი იყო სულიერი, ეკონომიკური, სოციალური და თავდაცვითი ინტერესებით მსხვილ ნათესაურ წრეებში ინტეგრირება. „დიდი ოჯახების" არსებობა არაერთხელ გამხდარა ისტორიკოსებისა და ეთნოგრაფების კვლევის საგანი. ჩვენს ისტორიებში „ერთათობა" ჩანს საზოგადოების სულიერი, ეკონომიკური და პოლიტიკური ორგანიზების ძლიერ შინაგან მარეგულირებელ ძალად. სწორედ დიდ ოჯახში ყალიბდება პიროვნების ეროვნული და რელიგიური თვითშეგნება, იკვეთება მისი იდენტობის მახასიათებლები გარემომცველ სამყაროსთან მიმართებით, მისი კულტურული ორიენტაცია. აქვე ხდება, ფაქტობრივად, მისი არაოფიციალური მობილიზაცია ოჯახის, სოფლის და კუთხის დასაცავად და იკვეთება მისი მოვალეობები.

სკოლისა და ეკლესიის ეპიზოდური მონაწილეობის პირობებში სწორედ ოჯახის ეს ფორმა იქცა აღზრდის ერთადერთ უწყვეტ კერად. აქ გამეფებულია რკინისებური დისციპლინა, უფროს-უმცროსობის მკაცრი ინსტიტუტი, საერთო ინტერესების მორჩილება, შრომის დანაწილება. აუცილებელი მოთხოვნაა ტრადიციების დაცვა, რელიგიური და ეროვნული ღირებულებების შენახვა და მისთვის მსახურება. ოჯახში ყალიბდება არაქართველ მოსახლეობასთან კონტაქტების მიმართულება და კუთხის



*ფარნაოზ ზაზაძე და მარინე ბერიძე*

დემოგრაფიულ სტრუქტურაში ინტეგრაციის სახე. სახელისუფლებო ორგანოებთან ურთიერთობასაც ოჯახი წარმართავს. „ერთათობა" არის ქრისტიანი ქართველის ფიზიკური და მატერიალური დაცვის ერთადერთი გარანტი. ის აძლევს თავდაჯერებას და მიუხედავად გარეგნული დაბეჩავებისა, სულიერ სიმხნევეს ჰმატებს მას.

*არტემ აკოფაშვილი: დიდი ოჯახები იყო, ძმები არ ცალკევდებოდნენ, იმის გამო, რომ დიდი ჩაგვრა იყო თათრებისგან და ეშინოდათ. ამ მხარეში სამად-სამი სოფელი იყო, სადაც ქართველი ცხოვრობდა, – უდე, არალი და ვალე. ირგვლივ თათრების სოფლები ეხვია. მეტი ხალხი და ოჯახის სიდიდე იმით იყო კარგი, რომ თავს უფრო ადვილად იცავდნენ და წართმეულს იბრუნებდნენ. ეკონომიკურადაც მომგებიანი იყო დიდი ოჯახი, – მორწყვა იყო, მოხვნა იყო თუ სხვა საქმე, ერთი კაცისთვის ძნელი იყო. სამუშაო საქონლის შენახვაც დიდი ოჯახს უფრო უადვილდებოდა.*

ასეთ ოჯახებში ხშირად ორმოც-ორმოცდაათზე მეტი სული ცხოვრობდა. ოჯახის უფროსი განაგებდა მთელ მეურნეობას, ოჯახის შინაურ საქმეებს და „საგარეო ურთიერთობებსაც". სოფ. ერკოტაში მცხოვრებ ერთ-ერთ ასეთ ოჯახზე მოგვითხრობს მათე ბერიძე. ამ ისტორიის პერსონაჟები ჩემი უახლოესი წინაპრები არიან. ოჯახის თავი, თათრებისგან „ყირათლად"

წოდებული (ყირათლი = თეთრცხენიანი) პეტრე ბერიძე ჩემი დიდი პაპაა. მონათხრობიდან კარგად ჩანს, რამხელა ავტორიტეტი აქვს „დიდმამას" და რა დიდია მისი გავლენა ოჯახის სხვა წევრებზე.

„დიდმამა" ანუ ოჯახის უფროსი უმეტესად ასაკითაც ოჯახის უხუცესი წევრი იყო, მაგრამ ზოგჯერ მას ახალგაზრდებიდანაც ირჩევდნენ.

*არტემ აკოფა შვილი: დიდედაჩემი მიამბობდა, სანამ ამ ოჯახში მოვიდოდი, ოჯახის თავი მომკვდარა, „სისხლი აშლია" და დაღუპულა. დარჩენილ ძმებში ყველაზე დალაგებული და ჭკვიანი უმცროსი ძმა ყოფილა. მისთვის შეუთავაზებიათ ოჯახის უფროსობა. – არაო, – უარზე დამდგარა ეს ბიჭი, – უფროსებმა მოუარეთ ოჯახს, მე რომ რამე შემეშალოს, ან მეზობლებთან სიტყვა ამერიოს... – არა და არაო! ოჯახი მაინც ძალას ატანდა: – ჩვენ გენდობით და გვჯერა შენი. შენ უნდა იყო ოჯახის თავიო. ერთი დიდი ყანა ჰქონია ჩვენს ოჯახს, ათჰექტრიანი. ამ კამათში რო იყვნენ, ეს ყანა ახალი შემოსული ყოფილა. ეს ბიჭი ფიქრობს: – შევძლებ – არ შევძლებ! დამიჯერებენ – არ დამიჯერებენ! ერთი-ორი დღე მოითხოვა მოსაფიქრებლად. გავიდა ეს დრო და უთხრეს: – ოჯახს შველა უნდა, დროზე გადაწყვიტეო.*

*– კარგიო, დათანხმდა ეს ბიჭი, წავიდეთ და ათჰექტრიანი ყანა რომ გვაქვს, იმის მოსამკელად წავიდეთო. (ჭყინტი პური, – მარტო თივად გამოდგებოდა, მეტი არაფრად!). ისეთი ყანაა, ისეთი ყანაა, ცხენი ვერ გაანგრევს – ათჰექტრიანი ხორბალი!*

*ადგნენ უსიტყვოდ, დაედვნენ ამ ყანას და მომკეს. სოფელს უთქვამს, – აკოფა შვილები გაგიჟებულან, ჭყინტ პურს თიბავენ, ხელი როგორ მისდით, როგორ იმეტებენო! – წადით, თქვენს ოჯახებს მიხედეთო, – პასუხობდნენ გაკვირვებულ თანასოფლელებს აკოფა შვილები და მთელი წლის სარჩოს დაუნანებლად ანადგურებდნენ.*

*– ახლა კი ვიცი, ძალა ექნება ჩემს სიტყვასო, უთქვამს ახალგაზრდა „დიდმამას".*

ასეთი მორჩილებითა და ერთგულებით აშენებდნენ და ადუღაბებდნენ მათთვის ერთადერთ და ყველაზე საიმედო ციხე-სიმაგრეს, – ოჯახს. ერთმანეთს „ბატონოთი" და „ქალბატონოთი" მიმართავდნენ. მათი ურთიერთობები მორჩილებით, ღრმა პატივისცემით, ურთიერთის მიმართ მრავალმხრივი მოვალეობებით იყო განსაზღვრული. დისციპლინა – რკინისებური, ეტიკეტი – მკაცრი, მაგრამ მოკრძალებით და სიყვარულით გამსჭვალული. ასეთი ოჯახური „ოაზისი" კარგი საშუალება იყო გარესოციალური პირობებით დათრგუნული და „დაგლახებული" მესხის პიროვნული რეაბილიტაციისათვის.

თავდაჯერებას და სიმტკიცეს ჰმატებდა მას აგრეთვე ის ისტორიები, რომლებიც მართლმადიდებლურ სასწაულებთან არის დაკავშირებული. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ის ამბები, რომლის მაჰმადიანი პერ-

სონაჟებიც ადასტურებენ და აღიარებენ ამ სასწაულებს. ერთი ასეთი ისტორია ჩვენ უკვე ვნახეთ: სოფ. ერკოტის ერთ-ერთმა მაჰმადიანმა მკვიდრმა, რომელმაც მთელი სოფელი სიკვდილს გადაარჩინა საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების ფასად, თავის თავზე გამოსცადა ეს სასწაული. მას, როგორც მისი თანასოფლელები ყვებიან, შვილი არ რჩებოდა. მას შემდეგ, რაც ვიღაცის რჩევით მონათლა ახალშობილი, ბავშვი გადარჩა და გაიზარდა.

ფარული ქრისტიანობის ხანაშიც და შემდგომაც, მაჰმადიანი მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც თავის თავს „იერლის“ უწოდებდა და რომელიც გენეტურად ქართველი იყო, დიდხანს ინახავდა ქრისტიანული რეალიების მიმართ პატივისცემას და შიშს. სოფელ საყუნეთში, სადაც მთლიანად გათათრებული ქართველები ცხოვრობდნენ, XX საუკუნის დასაწყისშიც კი მოსახლეობა მოწიწებით ეპყრობოდა მართლმადიდებლურ ტაძარს, რომელიც, მათივე თქმით, შიგნიდან ნათდებოდა ხოლმე. შ. ლომსაძე ამ ფაქტს იმით ხსნის, რომ აქ ღამ-ღამობით ალბათ ფარული ქრისტიანები ლოცულობდნენო. მაჰმადიანებით დასახლებულ და მაჰმადიანი მეზობლებითვე გარემოცულ სოფელში ფარული ქრისტიანების აღმოჩენა არ გაჭირდებოდა, თუმცა სოფლის მოსახლეობა XX საუკუნის დასაწყისშიც დაჟინებით ამტკიცებდა, ღამ-ღამობით ტაძარი შიგნიდან ნათდებაო. მათი მონათხრობი იმდენად დამაჯერებელი ჩანდა, რომ ალ. ფრონელი საგანგებოდ წასულა საყუნეთში და მთელი ღამე ამაოდ გაუთენებია უცხო ნათების მოლოდინში. ამგვარი რწმენის არსებობა მაჰმადიან მოსახლეობასაც ერთგვარი მორიდებით განაწყობდა სიწმინდეების მიმართ და მართლმადიდებლებს ხომ დიდ სულიერ სიმტკიცეს აძლევდა.

*პელა ზაზაძე, ფია: ერთი ვარნეთელი კაცი წასულა, თათარი, მომკილი ხორბალი უნდა ჩამოეტანა, ერკოტის მხარეს. საკოჭავი დავიწყებოდა. დაუდო ეს ძნა ურემზე, დატვირთა. არც მოკოჭა, არც არაფერი! – შეეევედრა ჩვენს ეკლესიას, ზიარეთს: – ზიარეთის მადლოო, საკოჭავი არა მაქვსო და შენ იცი, როგორ ჩამიყვან სოფელშიო! ამ ზიარეთმა დაღმართში და კლდეებში ისე ჩამოიყვანა, ერთი თავთავი არ მოჭკლებია, არც მარცვალი არ ჩამოვარდნია. სოფელს რომ მოუახლოვდა და ვაკეზე გამოვიდა, შეტრიალდა და ზიარეთს ეუბნება: – მადლობელი ვარ შენი, ზიარეთო, ახლა დაისვენე, და მე ჩემი ჯამე დამეხმარებაო. – ჯამე რას უნდა დაეხმაროს! – წამოვიდა თუ არა, ურემი ამოტრიალდა, ხარი ქვეშ მოჰყვა, ეს პური დაიფანტა. დაიწყო ლანძღვა-გინება თავისი სალოცავის: – შენი დამწესებლის ასე-ისეო, აქამდე ჩამოვედი და ხუთ მეტრში რა დამემართა, რა მომივიდაო. რის ვაი-ვაგლახით მოაგროვა ეს ძნა, მოიტანა, კალოზე დაცალა. მერე აავსო ერთი ცხრილი პურით, რაც სოფლის ძაღლები იყო, ჯამეში შეიყვანა, დაუყარა პური და კარები გამოუკეტა. დილით ადგა მოლა, – ასეთი წესი იყო, – ვარსკვლავის ამოსვლა მოლას უნდა ემცნო ხალ-*

ხისთვის. გააღო სალოცავის კარი მოლამ და რა ნახა: ამ ძაღლებს წაებილწათ იქაურობა! ატყდა ერთი ამბავი: ვინ ქნა! ვინ ქნა! წამოდგა ეს თათარი და უთხრა: – შენი ჯამე ასეო! მე ქართველების ზიარეთ ზე უნდა ვილოცო, ქართველების რჯულ ზე უნდა ვიყო და რო მოვკვდები, ქართველების წესით უნდა დავიმარხოო!

ისტორიების ერთი ნაწილი ისეთ სასწაულებზე მოგვითხრობს, რომლის ძალითაც მოღალატე, გამცემი ან სიწმიდეების შეურაცხმყოფელი ადამიანები სასტიკად ისჯებოდნენ.

*მარგალიტა ქომოშვილი, არალი:* თათრები რო შემოესივნენ, ხალხი იმალებოდა. ერთმა გათქვა თურმე და ეს ხალხი ამოხოცეს. ერთს დაუსმენია, უდელს, არ ვიცი, ვის. ისე კი დაასახელეს ეს გამცემი. თათარი რო შემოსულა, ქართველებს წირვა დაუყენებიათ და მაშინ ამოუწყვეტიათ, წირვის დროს. მოღალატეს ოქრო აუღია ამ საქმეში. თანასოფლელებს დაუწყევლიათ, – შენი გვარი არ გამრავლდესო. გიქოთ უბანი რო არის, მანდ ცხოვრობდნენ. წყევლამ უწია. მანდ ნამდვილად იყო ეშმაკეულობა. დაღამდებოდა თუ არა, დაესეოდნენ მოჩვენების სახით. ოჯახი დააავადმყოფეს. ყოველღამ აისეოდნენ (ასევა – არევა, ატეხვა) ეშმაკები, ცეკვავდნენ, მღეროდნენ, ადამიანის სახით ეჩვენებოდნენ. გაუჭირდათ და დაანგრიეს ის სახლები, სხვაგან გადასახლდნენ.

*ნინა ნათენაძე, ვასილ ნათენაძე, გოგა შენი:* ჩვენ სოფელში ერთ-ერთ ახალჩამოსახლებულს ეკლესიისთვის მიუყენებია შეურაცხყოფა. მერე თვითონვე ყვებოდა: – მაშინვე, როგორც კი ეს გავაკეთე, ზურგში თითქოს კეტებით ცემა დამიწყო ვიღაცამო. „დაიგრიხა" ეს კაცი. ჩავარდა ლოგინად. უამინდობაში ძლივს მოუყვანეს ახალქალაქიდან ექიმი, მაგრამ ვერაფერი უშველა. ისევ თავიანთმა მოლამ ურჩია, – რაკი ეკლესიამ დაგსაჯა, ისევ იმ ეკლესიაში დაანთე სანთელი, იქნებ გეშველოსო. არაფრით არ ქნა: – ძაღლი გავხდები და ეკლესიაში არ ვილოცებ, სანთელს არ დავანთებო! ორ დღეში გარდაიცვალა. ზამთარი იყო. ცოლმა და ძმამ წაასვენეს მისი ნეშტი. გოდერძის უღელტეხილზე, უგზოობაში ატარეს. ჯერ ვიღაც ყაჩაღები დადგომიან თავზე, – ცუდი დრო იყო, – მერე მიცვალებული დაუკარგავთ, ძარიდან გადმოვარდნიათ, ძლივს უნახიათ გზის პირზე, ნამქერ თოვლში. არ ეპატია საწყალს ეკლესიის წაბილწვა!

*ვასო ასპანიძე, სარო:* ბიძაჩემი მღვდელი იყო, ასპანიძე ისიდორე. კომუნისტები რო შემოვიდნენ, ზოგიერთმა ჩვენმა თავხედმა თანასოფლელმა ეკლესია გაძარცვა. ხატები გამოიტანეს, დაჭრეს და კლდეზე გადაყარეს. ჩვენ ბავშვები ვიყავით და ვუყურებდით. ერთ-ერთი ამ საქმის ჩამდენი კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო. მაშინ კიბო რა იყო არ ვიცოდით – ყელი გაეხვრიტა – ელანჯუღს ეძახდნენ მაგ დაავადებას. საჭმელს პირიდან ასხამდნენ და ყელიდან გადმოსდიოდა. ასე წამებით მოკვდა. ხალხი გასვენებაზე არ მივიდა.

*ერთიც მასწავლებელი იყო, კარგი მასწავლებელი. თვითონ დაიღუპა, შვილიც მოუკვდა. მეორე შვილიც ჰყავდა ბორჯომში, კარგი დურგალი, ისიც არ დარჩა ცოცხალი. იმ კერაზე კაცი აღარ არი!*

ასეთი ისტორიების დამარწმუნებელი ძალა ძალიან დიდია, ისინი სწრაფად ვრცელდება და დიდხანს რჩება ხალხის მეხსიერებაში. ეს მოთხრობები უდიდეს მნიშვნელობას იძენდნენ რელიგიურ უმცირესობაში მოხვედრილი ქრისტიანების სარწმუნოებრივ გამტკიცებაში, მოგვიანებით კი, ათეიზმის გლობალური ბატონობის დროს, ტრადიციული რელიგიური რეალიებისადმი პატივისცემისა და მოკრძალების შენარჩუნებაში.

ამ თავში წარმოვადგინეთ ზოგიერთი შტრიხი, რომლითაც, ჩვენი აზრით, მესხეთის ქრისტიანი ქართველობა თავისი „ავტოპორტრეტის" ზოგად კონტურს გამოკვეთდა. მძიმე დროში, როცა კუთხის ეროვნულ პოლიტიკას და ერთაშორის ურთიერთობებს განაგებდნენ მხოლოდ უცხო და მხოლოდ არაკეთილმოსურნე ძალები, ქრისტიანი მესხების არსებობის ყველა ყოფითი დეტალი, მათი ყოველი შემდგომი დღე და შემდგომი ნაბიჯი არსებობის, რწმენის და ენის შესანარჩუნებლად იყო „ხალხური ეროვნული პოლიტიკის" ერთგვარი გამოვლინება.

## ... და მშვიდობა
## (დაბრუნების შემდეგ)

*„შინ დაბრუნებულ ქართველებს ჭირნახულის ორმოები და საბძლები ცარიელი ხვდებოდათ. გაპარტახებული სახლები კი ბუმბულით იყო სავსე". (შუშანა ტაბატაძე-ინასარიძე)*

ოჯახებში დაბრუნებული მოსახლეობა ჯერ მეზობელ თათრებშივე მიდგა-მოდგა და წაღებული საქონლისა და საოჯახო ნივთების მოძებნა დაიწყო. თათრები ზოგჯერ ნებაყოფილებით აბრუნებდნენ მითვისებულ საქონელს, ხშირად კი სასაცილოდაც არ ჰყოფნიდათ პატრონის პრეტენზიები.

*ვლადიმერ ზაზაძე: დაგბრუნდით თუ არა, გადავიდა ჩემი ბიძაშვილი ნიალაში. იქაურმა თათრებმა, თარაქმებმა, გამოუყვანეს საქონელი, – აჰაო, შვილო, ჩვენ დავაყენებთ ცხვარსაო, უშენოდ არავინ გავა აქედან, რაც შენია, – წაიყვანეო. ნიშნით გამოარჩია ცამეტი სული ცხვარი და წამოიყვანა.*

*ლადო ივანიძე: გოგო, შენი დირექტორის დედა ჩვენი მამიდა იყო, მაგას ეცნო ჩვენი საქონელი თათრებთან. – ეს ჩემი მშობლებისა არისო, – ეთქვა. ერთს ნიკორა ჰქონდა თავზე, ხბოს, ერთიც მოზვერი იყო. იმ მამიდაჩემს წაერთმია და დაეტოვა თავისთან.*

*ანდრო ბერიძე: ისევ თავისმა ახლობელმა, მეზობელმა თათრებმა წაიღეს ლტოლვილების ქონება. ბოლშევიკები რომ შემოვიდნენ, ერთი ჩვენებური მიადგა თათარს და თხოვდა, ეს ამდენი ქონება რო წაიღე ჩემი, ლოგინი მაინც დამიბრუნეო! ის იმდენად თავხედი იყო: – ამდენი შრომა გავწიე, ამხელა გზაზე ლოგინი ჩამოვიტანე და ახლა უკან როგორ მოგცეო!*

*შუშანა ინასარიძე: ჩვენმა განაყოფებმა ანდრიაწმინდიდან ღრომაში გაიცნეს (იცნეს) თავიანთი ფიჩვები.*

ხალხი წლების მანძილზე სხვის ოჯახებში ნახულობდა საკუთარ ნივთებს: ფიჩვებს, საბნებს, სამეურნეო იარაღებს, ჭურჭელს... ერთი თვითმხილველი მესხთა დუხჭირ ყოფას რომ აღწერდა, გულისტკივილით შენიშნავდა, – წალდი რომ წალდია, ის აღარ შერჩა მოსახლეობას, რომ იშრომოს, მოსავალი მოიყვანოს და თავი გაიტანოსო.

ზოგჯერ კომიკური სიტუაციაც კი იქმნებოდა. ერთი კარადა ორ ოჯახს შორის კარგა ხანს „არბენინეს": ქართველები გაიქცნენ თუ არა, – სტაცეს ხელი თათრებმა და წაიღეს. დაბრუნებულმა ქართველებმა უკან მოიტანეს თავისი ნივთი, მაგრამ მალე ისევ გაქცევა მოუწიათ... თათრები ვერ ელეოდ-

ნენ „სანუკვარ" კარადას და ისევ წაიღეს. ქართველები უკან მოვიდნენ თუ არა, არ დაიზარეს და კვლავ მიაკითხეს თავის საკუთრებას. გატანჯულ ხალხს იმის ძალა კიდევ ჰქონდა შერჩენილი, რომ ასეთ სიტუაციებზე გაეცინა და ეხალისა...

სიდუხჭირეში ჩავარდნილი მოსახლეობა ამაოდ ითხოვდა შველას. იწერებოდა თხოვნები ლტოლვილთა და შინაგან საქმეთა მინისტრების, მთავრობის სახელზე. შველა არსაიდან იყო. იმ წლებში ლტოლვილობის განსაცდელს მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის მათხოვრობისა და მთელ საქართველოში ლუკმა-პურისთვის კარდაკარ სიარულის განსაცდელიც დაერთო.

*სალომე ივანიძე-ნათენაძე: გაგვიჭირდა. პური არა! ჭირნახული არა! არაფერი არ არი! ხალხი ადგა და დასავლეთისკენ წავიდა სათხოვნელად. ჩვენი ოჯახიდან ჩემი მამამთილი წავიდა, ჩიტო პაპაი. მათხოვრობდა. – გამოქცეულია, მშიერიაო, – ეცოდებოდათ და ეხმარებოდნენ. მოაგროვებდა ცოტაოდენ სარჩოს და ამოგვა შველებდა გოგა შენში ხი ზანს.*

***

XX საუკუნის 20-იანი წლების სისხლიანი დევნის შემდეგ სამცხე-ჯავახეთის ქრისტიანი მოსახლეობის რიცხვი საგრძნობლად შემცირდა. ჩვენი მთხრობელების უმრავლესობა მიუთითებს, რომ ოჯახების ნახევარი ან მესამედი მაინც გზაში სიცივის, შიმშილის ან ეპიდემიის გამო დაიღუპა;

– ჩვენი ოჯახიდან თვრამეტი სული წავიდა და შვიდი დაბრუნდა: სამი ძმის ნაშიერიდან ერთი ძმა, ერთი ქალი და სამი ბავშვი მოვიდა უკან.

– თორმეტბავშვიანი ოჯახიდან ერთადერთი ბავშვი გადარჩა, სხვა ყველა დაიღუპა, – დიდიც და პატარაც.

– ჭიჭიკაანი ოცდახუთნი წავიდნენ და ხუთი სული დაბრუნდა.

– . . .

ვინც სიკვდილს გადაურჩა, იმათი ნაწილიც მთელ საქართველოში დაიფანტა. 1918 წელს მესხეთიდან ლტოლვილი მოსახლეობის შთამომავლებს დღეს შეხვდებით კახეთის, ქართლის, გურიის, იმერეთის... ბევრ სოფელში.

თბილისის გუბერნიის კომისრის ცნობით 1918 წელს ბაკურიანში 100000-მდე ლტოლვილი ყოფილა, ვარაუდობენ რომ აქედან 20000-ზე მეტი ქართველი იყო (ლომსაძე, 1995, გვ. 280).

ლტოლვილობამ და ომმა, რასაკვირველია, კიდევ ერთხელ საფუძვლიანად შეცვალა კუთხის დემოგრაფიული სურათი. ცვლილება შეეხო მაჰმადიანურ მოსახლეობასაც. ომის დროს სერიოზული დანაკარგი განიცადა რამდენიმე მაჰმადიანურმა სოფელმა, მათ შორის ომარ ფაიკის მშობლიურმა აგარამ, სადაც ქართული არმიის შემოსვლის დროს (1918წ. ბო-

ლოს) 500 კაცზე მეტი დაიღუპა. ომის სისასტიკე ახლა მაჰმადიანთა მხარეს შებრუნდა. ხალხი კლდეებსა და ტყეებს აფარებდა თავს. ბევრი საბოლოოდ გადაიხვეწა თურქეთში. მაჰმადიანთა მასობრივი ლტოლვილობა კარგა ხნის დაწყებული იყო (ფრონელი, 1991, გვ. 130), აქ აღწერილმა მოვლენებმა მათი კიდე ერთი დიდი ტალღა მოსწყვიტა სამშობლოს.

უკვე ითქვა, რომ მესხეთის მაჰმადიანთა დიდი ნაწილი მოტყუებით იქნა ჩათრეული ძმათამკვლელ ომში. მათ აშინებდნენ აგრარული რეფორმით, ახალი მთავრობის ვითომდა მტრული დამოკიდებულებით და ა. შ. – როგორც ეს მიღებულია და ნაცადი ერთაშორის კონფლიქტების პროვოცირების დროს. დიახ, ერთაშორის ურთიერთობების, რადგან ამ დროისათვის ქრისტიან და მაჰმადიან ქართველებს შორის თითქმის უკვე მოშლილი იყო ეროვნული იდენტობის ყველა საერთო ნიშანი, ერთადერთი, რაც მათ საერთო ჰქონდათ და რითიც ისინი საკუთარ თავს კუთხის დანარჩენი მოსახლეობისგან (სომხები, დუხობორები, თარაქმები, ქურთები, ბერძნები...) გამოარჩევდნენ, იყო ის, რომ ერთიცა და მეორეც იმ მიწაწყლის ისტორიული მკვიდრი და კანონიერი ბატონ-პატრონი იყო, რომელზეც სახლობდა.

20-იანი წლების მოვლენებში მაჰმადიანთა დიდი ნაწილი მიემხრო თურქოფილურ ფრთას, რომელმაც ბრძოლა დაიწყო მოწოდებით: „გავწმინდოთ მხარე სომხებისაგან და გავათავისუფლოთ ისტორიული სამშობლო!" და დაამთავრა ლოზუნგით: „აწყურამდე ან მხოლოდ ჩვენ უნდა ვიყოთ – ან მხოლოდ ქართველები!" ორივე ლოზუნგი თავსმოხვეული, პროვოკაციული და დანაშაულებრივი იყო. მაჰმადიანური მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ამ მოწოდებებს არ იზიარებდა, უძლური აღმოჩნდა აგორებული კონფლიქტის შესაჩერებლად და მხოლოდ პირადი თავგანწირვის, სიცოცხლის რისკის ფასად თუ ახერხებდა ფარულ პროტესტს და ქრისტიანი ძმების ნუგეშისცემას.

მაჰმადიანთა ორივე აჯანყება და თურქეთის აგრესია სამცხე-ჯავახეთში დამარცხდა, მაგრამ ამას ქართული მოსახლეობის გამარჯვება არ მოჰყოლია! თურქეთის, რუსეთის, ინგლისის ახალ გარიგებებში ქართველებისა და საქართველოს ინტერესები და ისტორიული უფლებები ძველებურად უბოდიშოდ ილახებოდა.

სცენა „კავკასიური ცარცის წრის" მორიგი წარმოდგენის გასათამაშებლად მზადდებოდა. უცვლელი მოქმედი პირები იყვნენ: რუსეთი, თურქეთი, საქართველო და ნაქართველარი „ქართველები" – უკვე რუსული ბოლშევიზმის ტალღებზე აღზევებულები. ისტორიული სპექტაკლის კულისებში კვლავ უცნაურად იხლართებოდა მთავარი და მეორეხარისხოვანი პერსონაჟების ბედი: მე-11 არმიისგან ლტოლვილი მთავრობა ჯერ ისევ ბათუმში იყო და გასაქცევად ემზადებოდა. რუსეთ-თურქეთი კიდევ ერთხელ დაუნანებლად და „უვადოდ" ხლეჩდა საქართველოს ყარსის

ხელშეკრულებით. ლანჩხუთიდან ბათუმისკენ მიმავალ გზას ფეხით დადგომოდა ახალგაზრდა, მწითური გლეხის გოგო უბეში დამალული ძვირფასი ტვირთით. – მას საკუთარი ეზოს მიწა მიჰქონდა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მეთაურისთვის. ეს იყო რეიზე. იქნება მთავრობის დევნილმა თავმჯდომარემ სამშობლოდან წასვლისას პირადად ნახა და იცნო კიდეც ბიძაშვილების – პაპუ და ცუნუ ჟორდანიების სახლში გაზრდილი უთვისტომო ლტოლვილი და ბედისწერის გზაჯვარედინზე მდგომმა მისი უსიტყვო თანაგრძნობა, სამძიმარი და ნუგეშიც გაიყოლა თან. – ვინ იცის!

რეიზე სიცოცხლის ბოლომდე შიშით მიიხედ-მოიხედავდა (ისევ დაჭერის ეშინოდა!) და საიდუმლოდ წამჩურჩულებდა: ჟორდანიას მე ჩავუტანე ბათუმში ლანჩხუთის მიწა! – ხელს მკერდზე დაიდებდა და შეთქმულივით მომაჩერდებოდა: – ფეხით წავედი და წამოვედი!

***

ახალი პატრონების ხელშიც არ შეცვლილა ნაციონალური პოლიტიკა სამცხე-ჯავახეთში. – ყველაფერი, რაც გინდათ, მაგრამ არა ქართველი მაჰმადიანების ქართველობისკენ შემობრუნება! – ასეთი იყო რუსული ინტერნაციონალიზმის კურსი.

რელიგიური ნიშნით მათი განცალკევება და გათიშვა აქტუალური ვეღარ იქნებოდა, რადგან „ახალი ადამიანის" იდეალი „რელიგიური ბანგისგან" თავისუფალი უნდა ყოფილიყო. ქართველი მაჰმადიანების ნაციონალური სტატუსიდან რომ საბოლოოდ გაექროთ ქართველობასთან მათი რაიმენაირი კავშირი, ისინი საბოლოოდ „მონათლეს" თურქებად და გააიგივეს მხარის სხვა მაჰმადიანებთან, – თარაქამებთან და ქურთებთან, რომლებისგანაც მანამდე რაღაც სახით მაინც იყვნენ გამიჯნულები. მხარის „იერლი" მოსახლეობა გააიგივეს თურქებთან და საუკუნეების მანძილზე ამ ინტერნაციონალურ-ექსპერიმენტულ სამზარეულოში შექმნილ ახალ „კერძს" ძირითად მასად დაუმატეს. ასე მიიღეს ახალი ეთნიკური ჯგუფი, რომელიც სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე უმრავლესობას წარმოადგენდა სომხების შემდეგ და რომელსაც უკვე აღარავითარი ფორმალური კავშირი ქართველობასთან აღარ ჰქონდა.

თუმცა, მაჰმადიანი ქართველების ბედის სულ სხვა მიმართულებით წარმართვა ჯერ კიდევ შეიძლებოდა აჭარაში მოღვაწე ეროვნული ძალების გავლენის გაძლიერებით და კუთხის ქართული ორიენტაციის მოსახლეობაში სწორი ეროვნული პოლიტიკის გატარებით. ამაზე ბევრი „იერლი" ოცნებობდა მესხეთში, მაგრამ მათ ოცნებას ახდენა არ ეწერა – მათი ინტერესი ინტერნაციონალური რუსეთის ახალ „მზარეულთა" რეცეპტებში არ იყო გათვალისწინებული. რაც შეეხება ადგილობრივ ქრისტიან

ქართველობას, რომელიც ლტოლვილობის შემდეგ მრავალწლიან მათხოვრულ ყოფაში იყო ჩავარდნილი, არანაირი გავლენის მოხდენა მოვლენებზე არ შეეძლო. ის მიჩვეული იყო დიდ სახელმწიფოთა „ღობის ძირში" არსებობის შენარჩუნებას. კუთხის ეთნიკური გაერთიანებისათვის საბრძოლველად მას არც პოლიტიკური, არც ინტელექტუალური პოტენციალი არ გააჩნდა.

ახალმა პატრონმაც კარგად გამოიყენა მისი კარგად შესწავლილი თვისება – მორჩილება. – რუსეთი მძლავრია, შვილო, „პოვრად" არ ვეყოფით რუსებს – ერთმა მესხმა გლეხმა მოკლედ ასე განსაზღვრა ამ მორჩილების მიზეზი.

მოსახლეობა უდიდესი მადლიერებით ებღაუჭებოდა ნანატრ „მშვიდობას", რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ ახალ ხელისუფლებას და რუსეთს მიაწერდა.

*სალომე ნათენაძე: ქვეყანა რო დადგა და მოვიდა, სტალინმა წამოიღო თავი, სტალინმა იუფლა და დაადგა ქვეყანას თავზე. სტალინის შიშით, გენაცვა შენა, ვეღარ მოდიოდნენ. დადგა ქვეყანა, დაწყნარდა.*

*ვასო ასპანიძე: შეიძლება საწყენად დაგრჩეს, ახალგაზრდა ხარ და ალბათ სხვაგვარად ფიქრობ, მაგრამ ამ მიწაზე მხოლოდ კომუნისტურმა პარტიამ დაამყარა მშვიდობა და მოსახლეობას მშვიდი ცხოვრებისა და შრომის შესაძლებლობა მისცა. კომუნისტების დროს სახელმწიფო იყო და კიდე უშიშრად ვიყავით. ახლა არაფრის იმედი აღარა მაქვს, ხვალ რო თათარმა მოიწადინოს... მე რით უნდა დავირჩინო თავი, ამათ ხელში ვინ უნდა გადამარჩინოს?*

## „მშვიდობის გეშინოდეთ!" – ანუ ახალი „დემოგრაფიული პულსაცია"

სამცხე-ჯავახეთის ეროვნული შემადგენლობის სურათმა სულ რაღაც ოთხ ათეულ წელიწადში ასეთი ცვლილებები განიცადა:

1880წ.: ქართველი – 22429
თათარი – 16400
სომეხი – 49590

1886წ.: ქართველი – 33001
თათარი – 61426
სომეხი – 16114

1897წ.: ქართველი – 18 664
თათარი – 18 942
სომეხი – 67 683
თურქი – 24 433 (!)

1917წ.: ქართველი – 20 479
თათარი – 18 659
სომეხი – 75 354
ოსმალო – 37 214 (!)
ქურთი – 1 328
დანარჩენი – 7 220
სულ: 160 254

1926წ.: ქართველი – 31 918
თურქი – 5 6110
სომეხი – 73 356
რუსი – 4 170
უკრაინელი – 3 724
დანარჩენი – 6 632
სულ: 175 910

1939წ.: ქართველი – 2 2752
აზერბაიჯანელი – 8 7987 (!!!)
სომეხი – 100 594
რუსი – 10 076
ქურთი – 3 858
სულ: 228 678 (ლორთქიფანიძე, 1994).

ასე წარიმართა „ციფრების ომის" ბოლო ათეული წლები. ახალი საუკუნე მოდიოდა – სტატისტიკის ერა! კუთხის ეთნიკურ და სულიერ ბიოგრაფიაზე კი „ციფრული გამყინვარების" ყოველი ახალი შემოტევა ახალ მრუდე ანაბეჭდს ტოვებდა. ყველანაირი ცდა პროტესტის რაიმე სახით გამოხატვისა ამაო ღაღადისად რჩებოდა. მაგალითად, 1886 წლის სიებში ქართველ კათოლიკეთა უდიდესი ნაწილი სომხებად არის მოხსენიებული. გაყალბების მასშტაბი რომ გავიაზროთ, საკმარისია, ერთი სოფლის – ხიზაბავრის მაგალითი ვნახოთ: ამ ძირძველ ქართულ სოფელში აღნიშნულ დროს 1363 კაცს უცხოვრია, ამათგან მხოლოდ შვიდი წერია ქართველად, დანარჩენები სომხებად არიან დათვლილი (ლორთქიფანიძე, 1994, გვ. 38). ასეთი გადათვლა-გადმოთვლის შედეგად 1894 წელს **ახალციხის მაზრაში** ცხოვრობდა 19 041 სომეხი, 32 809 თათარი და მხოლოდ 5 642 ქართველი (!) ამ ციფრებს სინამდვილესთან არაფერი ჰქონდა საერთო. მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას ახალციხის მაზრაში ამ დროს „იერლი" – კუთხის მაჰმადიანი ქართველობა შეადგენდა. (ლორთქიფანიძე, 1994, გვ. 39). ცნობილია, რომ მშობლიური ენის ცვლილების პროცესი წინ უსწრებს ეროვნების ცვლას, ამიტომაც იყო, რომ 1897 წლის აღწერის საფუძვლად ეთნიკური წარმომავლობა კი არა, დედა-ენა იქნა მიჩნეული. შესაბამისად, ქართველი მაჰმადიანები, რომლებიც დედა-ენად თურქულს თვლიდნენ, თურქებად მონათლეს და სამცხე-ჯავახეთის ეროვნულ შემადგენლობაში პირველად გაჩნდა ეთნიკური ტერმინი „თურქი". შეადარეთ 1886წ. აღწერის შედეგები – მაშინ ეთნიკური ქართველები (სომხური ტიპიკონით მლოცველი კათოლიკეებისა და გრიგორიანელების გარდა), მიუხედავად დედა-ენისა, ქართველად ჩაიწერნენ.

ტერმინ „თურქის" გვერდით აღნიშნული „თათარი" გულისხმობდა ალბათ ქურთს, თარაქამას და ოსმალური წარმომავლობის მცირერიცხოვან ჯგუფს. ეროვნული შემადგენლობის ამგვარი უსამართლო განსაზღვრის გამო აღშფოთებას და პროტესტს ბევრი გამოთქვამდა, მაგრამ უშედეგოდ. 1914 წელს ალ. ფრონელი ახალციხის მაზრის ასეთ მაჩვენებლებს იმოწმებდა:

სომეხი – 6 852
ბერძენი – 130
ქართველი – 8 865

*თამარ ფოცხვერაშვილი. „ჩამეველი, გენაცვალე, იქაურობა სულ ბატის ბუმბული იყო, ბოდიშს გიხდი, არეული, დარეული... აქ რო მევეით – გომურები. მიწურ სახლებში შეგვიშვეს. ერთმანეთზე გადამბული და გადაპორწიალებული იყო ეს სახლები. ერთი-მეორეზე გადაკიდებული და ზევიდან ჩამოგვძახებდა და ქვეშ შენ ცხოვრობდი, – უიმე დედა, რა იყო, რას მევესწარით იმას, რას მევესწარით!"*

ებრაელი – 218
ქურთი – 2 400
რუსი – 99
თათარი – 32 564
თურქი (ოსმალო) – 7 752

„მიაქციეთ ყურადღება უკანასკნელ ორ ციფრს, სწორედ ესაა უსამართლობა და შეცდომა, რომელიც მთავრობამ ჩაიდინა. ამოდენა ქართველობას სახელი შეუცვალა და თათრად გადანათლა. განა ხერთვისელ გეგიძეს, ჯაყისმანელ ნემსაძეს და გეორგაძეს თათარი ეთქმის? ... არც ოსმალოა იმდენი. ნამდვილი ოსმალო ძალიან ცოტაა და ბევრი-ბევრი თარაქამა, თურქმენი, ქურთი და ოსმალო ოთხი ათასი ან ხუთი ათასი იყოს ახალციხის მაზრაში...

არის ასეთი მეცნიერება, სტატისტიკას ეძახიან, რომელიც იკვლევს, სხვათა შორის, ხალხის რაოდენობასაც. ამ მეცნიერების მადლიანი ხელი ჯერ არ მოხვედრია ჩვენს ბედისა და მოხელეთაგან დავიწყებულ სამშობლოს და ამის გამო დანამდვილებით არ ვიცით, რამდენნი ვართ" (ფროონელი, 1991, გვ. 33).

ასე რომ, ჩვენ მიერ აღწერილი ტრაგიკული მოვლენების დროს მესხეთის მაჰმადიანი ქართველობა უკვე თურქებად და ოსმალოებად იყო გადანათლული.

1917 წლის აღწერის საფუძვლად უკვე აღებული იყო არა ეთნიკური ან ენობრივი ნიშანი, როგორც ეს წინა აღწერების დროს იყო (შდრ.: 1886წ. – ეთნიკური, 1897წ. – ენობრივი), არამედ რელიგიური მიკუთვნებულობა. მაშინაც ქართველი მაჰმადიანები თურქებად და ოსმალებად აღირიცხნენ, თუმცა, ქურთებისგან კი გამოაცალკევეს. (ლორთქიფანიძე, 1994, გვ. 56).

1926 წელს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის განსაზღვრისას გათვალისწინებულ იქნა გენეტიკური ფაქტორი. 1939 წელს უკვე თვით გამოსაკითხი პირი ასახელებდა თავის ეროვნებას. ამავე წელს ყველა მაჰმადიანი, მათ შორის გენეტური ქართველობაც, აზერბაიჯანელი 'გახდა".

საბჭოთა პერიოდის ეს ახალი გადათვლა-გადანათვლა შეურყეველი ენობრივი და ეროვნული პოლიტიკის ფონზე მიმდინარეობდა. 1920 წლიდან ქართველ მაჰმადიანებს მოესპოთ ქართულ ენაზე სწავლის ყველანაირი უფლება – გაუქმდა ქართული სკოლები. ენობრივი სიტუაცია ამ დროისთვის ასეთი იყო: რეგიონში გაბატონებული ენა იყო თურქული – ქართველებიცა და სომხებიც „თათრულად" ურთიერთობდნენ ერთმანეთთან და მაჰმადიან მოსახლეობასთან. საშუალო და საშუალო ტექნიკური სწავლება მაჰმადიანებისთვის აზერბაიჯანულ ენაზე მიმდინარეობდა. ხშირად ტექნიკუმებს აზერბაიჯანულად ამთავრებდნენ კუთხის ქართველი (ქრისტიანი) მოსახლეობის წარმომადგენლებიც. სპეციალურად იწვევდნენ მასწავლებლებს აზერბაიჯანიდან ან საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელებით ავსებდნენ პედაგოგიურ კადრებს.

## მშვიდობის „ზახნაგები"

ასეთი გახლდათ კუთხის ოფიციალური დემოგრაფიული „პროფილი" ახალი ცხოვრების „გარიჟრაჟზე". შესაბამისად, რთული და არაერთგვაროვანი იყო ერთაშორის ურთიერთობანიც. ახალი რეჟიმის ინტერნაციონალურ ფერხულში ჩაბმულ მოსახლეობას ურთიერთანგარიშსწორებისა და კონფლიქტის გაგრძელება-გაღრმავების საშუალება არ მისცემია. ამას ალბათ მესხთა ბუნებითი ტოლერანტობაც განაპირობებდა და ისიც, რომ ტრაგიკულ წლებში ერთმანეთისგან ბევრი სიკეთის დამახსოვრებაც შეძლეს. ასე თუ ისე, კეთილმეზობლური დამოკიდებულების აღდგენა მოახერხეს.

თითქმის ყველა რესპონდენტი მიუთითებს, რომ თათრებთან ომის შემდგომ პერიოდში (მათ გასახლებამდე) მშვენიერი ურთიერთობა ჰქონდათ. ამ ძალადაუტანებელ კეთილგანწყობაზე ეს სცენაც მიუთითებს:

*მათე ბერიძე: მამაჩემი კოლექტივში მუშაობდა (სოფ ერკოტაში კოლმეურნეობა 1929 თუ 1930 წელს შეიქმნა მ.ბ.) სათიბად დადიოდნენ, მაგრამ მამას თიბვა აღარ შეეძლო და აფოცხებდა. იქვე ერთი ჩვენებური თათარი თიბავდა. კარგად არ იცოდა თიბვა, ცელს ზევიდან უსმევდა და მხოლოდ თავთავებს აწყვეტდა ხორბალს. უყურა, უყურა მამაჩემმა და: – ყარიმან! – უთხრა. – რა არი, ლაზარ ძია!*

*– მე შენი დედაო! – მამაჩემმა უთხრა, – ეგრე მოთიბავენ?! – წაართვა ცელი და მოუსვა. – ასე მოთიბე, ასე! შენ მისდგომიხარ და შუაწელიდან წყვეტ თავთავს. ეგრე ხო სულ ყანაში დარჩება ნამჯაცა და პურიცაო!*

ეს უწყინარი სცენა ზემოთ აღწერილი სისხლიანი მოვლენებიდან რამდენიმე წლის შემდეგ თამაშდება. გადატანილი კონფლიქტის არანაირი კვალი აქ არ იგრძნობა.

რაც დრო გადიოდა, ურთიერთობები მეზობლებს შორის უფრო და უფრო თბებოდა, ამასთან, როგორც ჩანს, სხვადასხვა სოფელში სხვადასხვა ვითარება იყო.

*ნინა ნათენაძე, გოგაშენი: თათრების გვერდით ვცხოვრობდით და არაფერი გასაყოფი არ გვქონდა, აგერ ხალხი! – ხალხო, გვერჩოდნენ რამეს?! როგორც და-ძმანი, ასე ვიყავით. ქართველ გოგოსა და თათარ ბიჭს შორის ცუდი არაფერი მოხდებოდა, ეგ კი იყო – არც თათარი წაიყვანდა ქართველს, არც ქართველი მოიყვანდა თათარს. – ჩემო დაო! – ჩემო ძმაო! – ასე მივმართავდით ერთმანეთს. ნათლიობასაც ვამყარებდით. ნათლიო-*

ბას ვეძახდით, თორემ ეს უფრო დამეგობრება, დანათესავება იყო.

*დავით ზედგინიძე, ასპინძა (ჩუნჩხა):* ნათლიობის დამყარებას არავითარი რიტუალი არ სჭირდებოდა, მხოლოდ სიტყვიერად შეასახელებდნენ, ეტყოდნენ, შენ იქნები ჩემი ნათლიაო. თითქმის ყველა ოჯახს ჰყავდა თავისი ნათლია – ქირვა. ისინი ქირვას ეძახდნენ.

*ვასილ ნათენაძე, გოგაშენი:* მამაჩემს ძმადნაფიცები ჰყავდა ნიალაში, შვიდი ძმანი იყვნენ. იმათთან რო გადიოდა, ოთხი-ხუთი დღე აღარ უშვებდნენ. ეხლა საიდან გამხდარან მეგობრები: ოკამში ქალი ჰყავდათ გათხოვილი, მოყვრებში ყოფილან და გზაში დაღამებიათ. ერთი ჩვენებური კაცი, ბასილაი ერქვა სახელად, ნიალის ყურში ყოფილა მამასახლისად. რო დაუღამდათ, ამ ბასილას მიაკითხეს, მაგრამ იმას არ მიუღია, ადგილი არა მაქვსო. ერთიც, მამაჩემი ქვევიდან მოდის, წყალზე ყოფილა – შორს, ხევში გვქონდა წყალი, და ბრუნდება. ნახა, რო ორი კაცი და ერთიც ქალი კედლის ძირში ატუზულან და ამ წვიმაში დგანან. – დიდი სახლ-კარი არა მაქვსო, – უთხრა, – მაგრამ რაც არი, ყველანი მოვთავსდებითო და წამოიყვანა.

ერთი უღელი ხარი გვყავდა, ისიც დარბაზში გვება, ბუხარიც იქვე გვქონდა, საწოლიც და სადგომიც. მოასვენეს იმ ღამეს, დედამ თავისი კაბა ჩააცვა იმ ქალს და იმისი ტანსაცმელი ბუხართან გააშრო. დილით რო ადგა ერთ-ერთი, ეტყობა დაფიქრებული, ჭკვიანი კაცი იყო, სახელიც მახსოვს, ვირიშანაი ერქვა: – ეეო, ღარიბი ყოფილხარ ევგენო, მაგრამ გული კეთილი გქონიაო, შენ არ დაიღუპები ქვეყანაზეო. ამის შემდეგ მისვლა-მოსვლა და დიდი პატივისცემა ჰქონდათ ერთმანეთისა. ისინი შეძლებულად ცხოვრობდნენ და ძალიან გვიმართავდნენ ხელს. ერთხელაც, რო ნახეს, რომ ძალიან გვიჭირდა, მამაჩემს უთხრეს, – ევგენ, მოდი, შენს ხარებს წავიყვანთ და ჩვენთან გამოვაზამთრებთო. დედაჩემს შეეშინდა, მაინც თათრები არიან, ვაითუ დაგვიხოცონ, ვაითუ სულ უხაროდ დავრჩეთო! მამამ უთხრა: – ქალოო, მაგათ ისეთი რჯული აქვთ, თუ კაცს ფიცი მისცეს, ტყვიაზე რო გასვა, იმ ფიციდან არ გადავლენო. ყველა ერთნაირი კი არ არი, მაგათშიც ურევია ბევრი კარგიო!

„მშვიდობიანი" თანაცხოვრების ეს პერიოდი მაინც მხოლოდ გარეგნულად იყო მშვიდი. მუდმივი შიში და უამრავ უფლებაზე ნებაყოფილობითი უარი ამ წლებშიც ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

*ვასო ასპანიძე, სარო:* ქართველი მოსახლეობა თავის ქვეყანაში მაინც ხიზანივით ცხოვრობდა. ამხელა ბაღებისა და მოსავლის პატრონი ხილს გასაყიდად ვერ გაიტანდა. ღამე გარეთ დარჩენა, შორ გზაზე მგზავრობა წარმოუდგენელი იყო. 1939 წელში ქვეყანა ომისთვის ემზადებოდა, ჯარის ნაწილები ახალქალაქისკენ გადაჰყავდათ. სამხედროებმა რა იცოდნენ, რა საფრთხეს წარმოადგენდა ხერთვისი! დაღლილი ჯარისკაცები ფიქრობდნენ, რომ აქ კეთილგანწყობასა და თავშესაფარს ნახავდნენ

*და ღამისსათევს თხოულობდნენ. მათ ხერთვისელი თათრები კლავდნენ და მტკვარში აგდებდნენ, – იარაღი სჭირდებოდათ და იმიტომ. ყველას იარაღი ჰქონდა სახლში.*

*ჩემს სოფელში, საროში, წისქვილი არ იყო. ხერთვისში დავდიოდით. ოთხი სოფელი ფქვავდა მანდ ხორბალს. გვეშინოდა! ერთი კაცი ვერ წავიდოდა წისქვილში, ოთხი-ხუთი უნდა შეკრებილიყო და წასულიყო. ქალი არა! – ჩვენი ქალი სახლის გარეთ, სოფლის გარეთ ფეხს ვერ გაადგამდა!*

*ომში გამოჩენილი ორმხრივი სისასტიკის ექო ათეული წლების შემდეგაც კი არ მიწყნარებულა ბოლომდე.*

*ქვეყანა ხო აღდგა და პატრონი გაუჩნდა, ჩვენ მაინც შიშში ვიყავით. მაგ 1918 წლის ამბებიდან კარგა ხნის შემდეგ ორი ახალგაზრდა მოდის, წისქვილიდან მოდიან, ხორბალი დაფქვეს და შინ ბრუნდებიან. დაუხვდნენ თათრები და ვინაობა ჰკითხეს. ამ ერთმა უთხრა, ლონდარიძე პავლესი ვარო. – დედაშენს რა ჰქვიაო? – მელო ჰქვიაო! – წადი შვილო, მელოსთვის გვიჩუქნია შენი თავიო. დედაშენმა ჩვენს მკვდრებს თავშალი დაახურაო.*

*– ჩვენი კოტეენთ პავლეს ბიჭი იყო.*

*ეხლა ისიც უნდა გითხრა, რომელ გვამებზე იყო ლაპარაკი: ჩვენ სოფელში ერთადერთმა გვარმა მიიღო მაჰმადიანობა, ორბელიანები იყვნენ. სულ ექვსი ოჯახი ცხოვრობდა იმ დროს. თათრები რო შემოგვესივნენ და ჩვენი ხალხი დახოცეს, ორმა შავმა, უტვინო ადამიანმა ეს ორბელიანები ამოწყვიტა. ეხვეწებოდნენ, ბიჭო, თქვენთან დაზრდილები ვართ, თქვენს ეკლესიაში ვლებულობთ მონაწილეობას (ეტყობა, მატერიალურად კვლავაც ეხმარებოდნენ ეკლესიას, მ.ბ.), ნუ გაგვიმეტებთო!*

*–არა ქნეს, დახოცეს!*

*მეორე ბიჭი იყო სწორედ ერთ-ერთი ამ ამბის ჩამდენის ვაჟი. – ვისი ხარო, ჰკითხეს, – ლონდარიძე არჩილასიო. მოკვეთეს თავი და წყალში გადააგდეს, ბავშვი კაცი, 18-19 წლისა! ასეთი უბედურება იყო!*

*ამ ორბელიანებიდან ერთი ოჯახი დარჩა. ორმოცდაოთხში რო გაასახლეს, კვნესით წავიდა ეს კაცი, რო ჩემი წინაპრების მკვლელების ჯავრი მიმყვებაო. ჩვენთან მუშაობდა, მაგრამ ხერთვისში ცხოვრობდა, ქალის მიწასაც პატრონობდა.*

***მარგალიტა ქომოშვილი, არალი:** თათრების ხელში (თათრების გასახლებამდე) სოფლის განაპირას ვცხოვრობდით. მეზობლები თათრები გვყავდა. იმათ ეზოსკენ ვინ გაიხედავდა! ახლა რო ყველგან დავდივართ, ასე კი არ იყო. შორიდან გვიცქერდნენ და ხელს გვიქნევდნენ. მე თათრული კარგად ვიცი: – ყიზ, – გვიძახდნენ, – მოდით ჩვენთანაო. ჩვენი ქალ-რძალი თოხნაში, რამეში ვერ წავიდოდით მარტო. თუ ქმარი, მამა, ძმა ან ვინმე გაგყვებოდა, მაშინ თუ გახვიდოდი გარეთა სამუშაოზე და მიეხმარებოდი. ეს სამი სოფელი ვიყავით შეკრული: უდე, არალი, ვალე. თათარში ქალს*

*არ ვაძლევდით, თათრიდან ქალი არ მოგვყავდა.*

*თამარა სუდაძე, წყორძა (გამოთხოვილია ვალედან): ამ გორის უკან თათრების სოფელია. სანამ თათრები აქ იყვნენ, ქალს არ შეეძლო, მარტო წასულიყო მთაში. სოფლის ზევით ტყეებია, იქამდე ქალი ვერ მივიდოდა. ზევიდან გადმოდგებოდნენ ხოლმე თათრები და სოფლის ხალხი სახლებში იმალებოდა... მოხუცები ამბობდნენ, ყველა ერთნაირი არ იყო, დოსტებიც გვყავდნენ თათრები, იმათშიც ბევრი იყო კარგი ადამიანიო.*

*მარგალიტა ქომოშვილი: თათრების გასახლებამდე იყო ეს ამბავი, ადიგენში პასპორტები ავიღეთ და წამოვედით. კახარეთიდან გადმოცვივდნენ თათრები და გზაზე გადაგვიდგნენ. ახალგაზრდებმა გამოვასწარით და ერთი ხანში შესული ქალი, ეს კაკლოთ ქალი დაიჭირეს.*

*– გოგოებო, მიშველეთ!, – მოგვძახის ეს ქალი.*

*– ქალო, შენ მოხუცს გათრევენ, ჩვენ რო დაგვიჭირონ, რას გვიზამენ? – არ მივხედეთ, რაც მართალი – მართალი!*

*ერთი მოხუცებული კაცი შეგვხვდა, იმას შევტირეთ, თათრულად ვუთხარით: „ტატა ბურიაგალ...", ბიძია, მოხუცებულ ქალს აწვალებენ და გვიშველეო. – ქალო, ღობეში ჩასტენეს საცოდავი ქალი! ამან გააგდებინა, გამოაშვებინა ეს საწყალი. წამოვიდა კაკლოთ ქალი, სულგანათლებული!*

*– რა ვქნა, რას მეტყვით გოგოებო!*

*– რა გინდა, რა უნდა გითხრათ!*

*– ქალო, დამახიეს თავ-ტანი!*

*– აბა, ჩვენ რას გვემდურებოდი, რატომ არ მომეშველეთო, ჩვენ რაღა გვექნა?*

*ასეთი უბედურება გვაქვს, შვილო, გამოვლილი თათრებისგან. ჩვენ რასაც მოვესწარით, – მოვესწარით და მამა-პაპისგანაც ხო ვიცით!*

*ნინა ნათენაძე (იგივე ისტორია იხ. ვასილ ნათენაძე): ჩემი მამამთილი ბაღებში ყოფილა ჭაჭარში. (1925 წელს ხდება ეს ამბავი) თავს დასხმიან აქაური, ჩვენი, შერეული, დანკლელი თათრები. გაუშიშვლებიათ კაცი და დედიშობილა დაუგდიათ. დედამთილისთვის კონდახი ჩაურტყამთ და ცხვირი გადაჩეხილი ჰქონდა, ნაიარევი ეტყობოდა. ბავშვი, ჩემი ქმარი, ხელში სპერია და სისხლი ზედ დასდიოდა თურმე. ტიროდა საწყალი ქალი, ბავშვი არ მომიკლათო. მერე ერთმა თათარმა მითხრაო: – ყორხმა ბაჯიჯან, ყორხმა! – ნუ გეშინია, არ მოვკლავთო. წაუსხიათ ხარები, წაუყვანიათ. ფეხშიშველა გამოსდგომია მამამთილი. ვანის ქვაბთან ერთ თარაქამას ჩაუცმევია შარვალი. დანკლამდე უდევნია. დანკლის ალმართი რომ აუვლია, ცხელ ფუნაში ჩაუდგამს ფეხი. მიმხვდარა, რომ მისი ხარები უკვე სოფელში ჰყავდათ, შეშინებია, მეც არ მომკლანო და დაბრუნებულა.*

*შუშანა ინასარიძე: ტყის ზევით ვერ ავიდოდით, საშიში იყო.*

*ერთხელ, ამ ახალ დროში ჩემი მამამთილი აქ იჯდა, სახლის კარებზე. მოხუცებული იყო უკვე, ოთხმოც წელზე მეტისა. ჩვენი მეზობელი ქალი მიდიოდა მთაში. – დედა, დედა, რას მოვესწარიო! – მოხუცი ამბობდა, – მარტო ქალი მთაში მიდის, თავზე მოუხდია, „კოსა“ გაუკეთებია და მთაში მიდისო. ათი კაცი უნდა გავყოლოდით, რომ სოფლის საზღვრამდე ერთი ქალი მიგვეცილებინაო.*

***სოფიო ივანიძე, ასპინძა (ჭობარეთი):*** *მეზობელ თათრებთან კარგი ურთიერთობა გვქონდა. ბავშვები ხო დღედაღამ ერთად ვიყავით, ვთამაშობდით, მაგრამ როცა ომობანას ვთამაშობდით, მაინც ორ ბანაკად ვიყოფოდით, – ქართველებად და თათრებად და დაუზოგავად „ვხოცავდით“ ერთმანეთს. ისინი რომ გაასახლეს, ვტიროდით. წინა დღეებში ერთი თათრის ქალი დედაჩემთან მოვიდა და გააფრთხილა, მგონი გასახლებას გიპირებენ ქართველებს და მზად იყავითო. რა იცოდა, საწყალმა, რა ბედი ელოდათ. ხალხს ორმაგი განცდა ჰქონდა. თავის მეზობლების გამო ტიროდნენ, მაგრამ საერთო დაძაბულობა და შიში რომ აღარ იქნებოდა, უხაროდათ. მახსოვს, ერთი ჩვენი თანასოფლელი ბიჭი მორბოდა სოფლის გზაზე და გვიძახდა: – გოგოებო! ჰაი გოგოებო! ახლა კი ისეირნეთ ღობიეთის ხიდზე თავისუფლადო! (მანამდე თავისუფლად ღობიეთში კი არა, სოფლის ბოლომდეც ვერ გაივლიდი).*

***ლიზა დავლაშერიძე:*** *ომამდე მამაჩემი ნიალაში მუშაობდა მასწავლებლად, მე პატარა ვიყავი. შემიტყუეს თათრებმა სახლში და მომიპარეს. საღამომდე რომ ვერ მიპოვეს, ატეხა მამაჩემმა განგაში, სამხედროები შემოიყვანეს სოფელში. მთელი ღამე მეძებდნენ. სათათრეთში გადაჰყავდათ მოტაცებული ბავშვები.*

იმ წლებშიც კი, როცა უკვე ჩამოყალიბებული იყო მძლავრი სახელმწიფო ორგანოები, ქართული მოსახლეობა უშიშრად და დაცულად მაინც არ გრძნობდა თავს. თათრები სულ დროის ცვლილების მოლოდინში იყვნენ. შესაბამისად, ქართველობაც შიშში იყო და ყოველ წუთს მდგომარეობის გართულებას ელოდა.

*არჩილ ივანიძე: ერთხელ ბებიაჩემი შევაშინეთ. მე და ჩემი ბიძაშვილი შეველით სახლში და თათრული ლაპარაკი დავიწყეთ, ვითომ ქურდები ვიყავით. ბებიაჩემი აკივლდა, შეყარა ქვეყანა: – ნიკო, გიგო! – ბიძაჩემებს უძახდა, – თათრები მოვიდნენ, უნდა გამბოხცონ (გამქურდონ)!*

*მერე შეგვეცოდა და გამოვეცხადეთ. – ეხლა მასხრობის დროა რისო? – გვისაყვედურა, – მე გული გამისკდაო, რას ვიფიქრებდიო, კაცო!*

განსაკუთრებით მოხუცებს არ სჯეროდათ სიმშვიდის და ‘თათრის გულის გასწორების“, – ასეთი სიმშვიდე რამდენჯერმე ჰქონდათ ნანახი და ისე წავიდნენ ამ ქვეყნიდან, გული საგულეს არ დაუდიათ.

***არტემ აკოფაშვილი:*** *მე ბრიგადირი ვიყავი კოლმეურნეობაში. უღალატო კაცი ვიყავი, კარგი მუშა. ამ სოფელში სულ მიწური სახლები*

*იყო. მიწას გათხრიდნენ, კედლებს ამოიტანდნენ, გადახურავდნენ და ვერც შენიშნავდი, აქ სახლი იყო თუ არა. მიწურები ერთმანეთთან მიჯრით იყო მიდგმული და გასასვლელებით დაკავშირებული. ბანიდან თუ ჩამოხედავდა ვინმე, მიიმალებოდნენ ძირებში. ორმოცდაათი, ასი ოჯახი ერთმანეთთან იყო დაკავშირებული და გაჭირვების დროს ერთად იკრიბებოდნენ. სოფელში თავმჯდომარის და საწყობის გამგის შემდეგ მე ავიშენე სახლი. ეს იყო ომის შემდეგ. სულ ორი ოთახი იყო, შუაში კორიდორით. მოდიოდა ხალხი, ნახულობდა. მეზობლები მსაყვედურობდნენ:*

*– შე უსინდისო, ბიჭო, თათარი რო მოვიდეს და ფანჯრიდან შემოგიხედოს, სად უნდა გაიქცე!*

*ვუთხარი, ის პერიოდი არ არი, ახლა უკეთესი ცხოვრებისკენ მივდივართ-მეთქი. – მაინც ეშინოდათ. თათრები უკვე გასახლებულები იყვნენ და ეშინოდათ მაინც!*

უნდა ითქვას, რომ მოსახლეობის ეს დაუძლეველი შიში დღემდე არ განელებულა. ამიტომ ყველა ინტერვიუში არის გამოხატული მოსაუბრის მკვეთრი რეაქცია ე.წ. „თურქი მესხების" დაბრუნების საკითხზე. „ყოველ შემოდგომასა და გაზაფხულზე გაიძახიან, თათრები მოდიან, თათრები მოდიანო! – მაშინ კარგ დღეს გვაყრიდნენ, რო ეხლაც კარგი დღე დაგვაყარონ!"

ეტყობა ეს შიში და დაძაბულობა იმდენად დიდი იყო, რომ 1968 წელს საზაფხულო დიალექტოლოგიური ექსპედიციის მონაწილე უნივერსიტეტის სტუდენტები საგანგებოდ გააფრთხილეს: ალბათ შეგეკითხებიან თათრების ჩამოსახლებაზე და თქვენ უნდა გაფანტოთ ყველანაირი ეჭვი ამ საკითხზე და დაარწმუნოთ მოსახლეობა, რომ არავითარი ჩამოსახლება არ იგეგმებაო (ეს ცნობა მოგვაწოდა თსუ პროფესორმა გიორგი გოგოლაშვილმა).

ეს შიში და უნდობლობა გამოწვეული იყო საკუთარი მთავრობისგან დაუცველობის შეგრძნებით. ეს იყო შიში მეზობელი მაჰმადიანური სახელმწიფოს წინაშე, რომლის სახითაც ქართველი მოსახლეობა თათრების მფარველ ძალას ხედავდა.

*ვასო ასპანიძე: სახელმწიფოსი გვეშინოდა, თურქეთისა გვეშინოდა, მაგათი კი არა! ჩვენ რო აქედან ჩხუბი აგვეტეხა, ის ეხმარებოდა იქიდან. ახლაც ისეა, გენაცვალე. ჩვენი პატრონი ვინ არი! ჩვენი პარლამენტი არეულია და ერთიმეორეს ეჯახება, მესხეთს ვინ ყავს დამცველი და პატრონი!*

## გასახლებამდე

როგორც ითქვა, ეროვნული და ენობრივი პოლიტიკა საბჭოთა პერიოდის სამცხე-ჯავახეთში ისეთი მიმართულებით ვითარდებოდა, რომ ქრისტიან და მაჰმადიან ქართველებს ერთმანეთისკენ მიმავალი გზა საბოლოოდ ჰქონდათ გადაჭრილი.

1939 წელს ყველა მაჰმადიანი აზერბაიჯანელად „მოინათლა". იყო თუ არა მათი გადასხლება უკვე ჩაფიქრებული და დაგეგმილი, ძნელი სამტკიცებელია და მხოლოდ ვარაუდები თუ შეგვიძლია გამოვქვათ ამ საკითხზე. ერთი რამ აშკარაა – ოცდაათიანი წლების ბოლოს სამცხე-ჯავახეთის ეროვნული შემადგენლობის გადათვლა - გადმოთვლის და ეთნიკურ - რელიგიური ფაქტორების გადათამაშებების საბოლოო მიზანი, მაჰმადიანი უმრავლესობის ეთნიკურ უმრავლესობად ჩამოყალიბება, დამთავრებული კი ჩანს, მაგრამ მსოფლიო პოლიტიკაში ახალი ძალების გამოჩენა და გააქტიურება კრემლის იმდროინდელი ხელისუფლების ინტერესებს და გეგმებს გარკვეულწილად ცვლის.

თუკი მანამდე ეს საუკუნოვანი ეთნო-ლინგვო-კონფესიური „ალქიმია" არაქართული, ნაკლებად ცენტრისკენული, ადვილად სამართავი რეგიონის შექმნისთვის იყო მიმართული, რათა ზღვისპირა ზოლის მსგავსად, სამცხე-ჯავახეთში ეთნიკური ავტონომიის შექმნით დასრულებულიყო სასაზღვრო ხაზის მარიონეტული ავტონომიებით „ბუფერიზაცია", მოსალოდნელმა ომმა და ამ ომში თურქეთის შესაძლო მონაწილეობამ ამ გეგმის სასწრაფოდ გადასინჯვა დააყენა დღის წესრიგში.

1939 წელს რომ ათეულ ათასობით ეთნიკურ ქართველს „აზერბაიჯანელი" უწოდეს წინანდელი „თურქის" ნაცვლად, სწორედ ადრინდელი პოლიტიკის გადასინჯვის მცდელობა უნდა იყოს. შედეგად, ყოველგვარი მასობრივი, იძულებითი ან ნებაყოფილობითი მიგრაციის გარეშე მოხდა „სასწაული" და სამცხე-ჯავახეთში აღარ დარჩა არც ერთი თურქი მაცხოვრებელი, სამაგიეროდ უეცრად „გაჩნდა" 87 987 აზერბაიჯანელი!

ქართველ მაჰმადიანებში თავის მოძმე ქართველებთან ეთნიკური წარმომავლობის ნიშნით იდენტიფიკაცია უკვე დიდი ხანია აღარ არსებობდა, მათი თურქობა კი ხელსაყრელი აღარ იყო, ამიტომ ხელისუფლება თარაქამა-ოსმალებთან გაიგივებულ ქართველ მაჰმადიანებს მეზობელ აზერბაიჯანელებზე უთითებდა და ახალ საიდენტიფიკაციო ორიენტირს აძლევდა. საუკუნის დასაწყისის მგზნებარე ლოზუნგი, „ყველა თურქულად

მოლაპარაკე მაჰმადიანი თურქია!" ახალ პოლიტიკურ ვითარებაში ტრანსფორმაციას განიცდიდა. მხარის ყველა მაჰმადიანი, ქურთების გარდა, აზერბაიჯანელი გახდა. ეს იყო მაჰმადიანთა ოფიციალური სტატუსი, თუმცა თვითონ და მეზობელი ქრისტიანებიც ძველებურად ახდენდნენ მოსახლეობის დიფერენციაციას და სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე ცალკე ტომებად გამოყოფდნენ თათრებს, ქურთებსა და თარაქმებს. თათრებში ნამდვილ თურქებსა და ადგილობრივ მაჰმადიან ქართველებს აერთიანებდნენ. ეს უკანასკნელნი თავის თავს ძველებურად „იერლის" უწოდებდნენ.

ქართველისთვის თურქი და იერლი ორივე თათარი იყო. ორივესთან კეთილმეზობლურ ურთიერთობას ინარჩუნებდა და ორივესგან მოსალოდნელი თავდასხმის შიში ჰქონდა. ამ დროს აღარც ქართველობას ჰქონდა მაჰმადიან თანამოძმეებთან ეთნიკური ერთობის განცდა (დავით ზედგინიძე).

მხარის მაჰმადიანი მოსახლეობიდან ქურთები და თარაქმები შიიტები იყვნენ, თათრები – სუნიტები. კონფესიური სხვაობის გამო მათ დიდი სიამტკბილობა არ ჰქონდათ ერთმანეთში, არც ძველად და არც ჩვენთვის საინტერესო პერიოდში (ზედგინიძე, 2000, გვ. 6). თუმცა, ერთმანეთში შეუფერხებლად ქორწინდებოდნენ, რაც ქართველებსა და თათრებს შორის თითქმის გამორიცხული ან ძალზე იშვიათი იყო.

საბჭოთა პერიოდის პირველ ათწლეულებში საზღვარი თურქეთთან ისე მტკიცე არ იყო, რომ თავისუფალ მოძრაობას დაჩვეული თათრები მისვლა-მოსვლას დახსნოდნენ. ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში წერდა ალ. ფრონელი თურქეთში გასაქცევად შემართულ მაჰმადიან ქართველებზე: „რა ესენი და რა ნარზე შემომჯდარი ნიბლია ჩიტებიო!" (ფრონელი, 1991, გვ. 56). ახლა ეს ლტოლვა კიდევ უფრო გაძლიერდა. ძალიან ბევრმა ოჯახმა დატოვა ქვეყანა და თურქეთს მიაშურა. ფარული ემიგრაცია გვიან 30-იან წლებამდე გაგრძელდა. ამ დროს პროფესიონალ გამყოლთა ინსტიტუტიც კი ჩამოყალიბდა. – რამდენიმე ცნობილი მარშრუტით გამოცდილ და სანდო ადამიანებს ოქროს საფასურად გადაჰყავდათ მაჰმადიანთა ოჯახები საზღვარზე. სასაზღვრო რეჟიმი 1937 წლიდან გამკაცრდა, მაგრამ მისვლა-მოსვლა მაინც გრძელდებოდა. თათრები საზღვარზე გადადიოდნენ და იქიდან ახლობლების მოკითხვა და დანაბარები მოჰქონდათ აქაურებისთვის. თურქეთში ბევრი ქრისტიანი ქართველიც იყო პოლიტიკური თუ სხვა მოტივით გადახვეწილი. 1944 წლამდეც კი არალეგალური მიმოსვლა და მათთან კონტაქტი არ შეწყვეტილა.

*მარუსა თოთაძე-ბერიძე: ჩემი ძმა თურქეთში იყო გაქცეული, იქ ცხოვრობდა. ისეთი ძმა მყავდა, რო ათ სოფელში ეგრეთი ვაჟკაცი არ იქნებოდა. იტყვიან ხოლმე, თავის კვეხნა თავის ტეხვააო, მაგრამ კვეხნით*

*არ ვამბობ. ისეთი ვაჟკაცი იყო, ის რო ითამაშებდა, ხელებს სულ ტკაცა-ტკუცი გაჰქონდა. წავიდა, ასპინძის აბანოებზე ჰიდაობა იმართებოდა ხოლმე. იქ ჩავიდა და იჭიდავა. ვინც გამოვიდა, წააქცია. ცხრა-ათი კაცი დაამარცხა. მაშინ ასეთი რამ საშიში იყო. გამარჯვებულს ემტერებოდნენ თათრები. აწყვიტა ში ნათესავი გვყავდა და იმ ბიჭმა გააპარა, გააქცია, რო არ მოეკლათ. ჩემი სიძე უკვე მკვდარი იყო. იმისი ტანსაცმელი, ქამარ-ხანჯალი შენახული ჰქონდათ (1918 წელს თან წაიღეს გაქცევისას და ისევ უკან მოიტანეს). შემოეთვალა ჩემს ძმას, ზაქარას ტანთი გამომიგზავნეთო. წაიღო და წავიდა. თამიაი იყო თათარი, ხერთვისელი. ის გადმოდიოდა ხოლმე და ამბავი გადმოჰქონდა. – ისეთი ოჯახი აქვს მაქსოსაო, – კარებზე თორმეტი ძაღლი უბიაო. ხანდახან თვითონაც გადმოდიოდა ხოლმე. თათრის ქალების დაქსოვილი ჭრელი წინდები ეცვა, თითები ბეჭდებით ჰქონდა სავსე. სანამ თათრები არ გაასახლეს, ამ თათარს მოჰქონდა და მიჰქონდა ამბავი. მოხუცებული კაცი იყო და არ უშლიდნენ გადასვლას და გადმოსვლას.*

***დავით ზედგინიძე:*** *გარბოდნენ მასიურად. განსაკუთრებით, შეძლებული ხალხი. გოკიოდან, ხერთვისიდან წავიდა ბევრი. წინდაწინ ყიდდნენ სახლს, ქონებას. მილიცია ტყვიით დასდევდა, მაგრამ მაინც არ იშლიდნენ. ერთი ძირითადი გასასვლელი მტკვრის ხეობიდან იყო, ერთიც, ხეოთია სოფელი, მანდ ადის ყიზილის ხევი, საყევარზე ადის გზა, იქიდან გარბოდნენ. ბავშვებს პირში ტკბილეულს ჩაუდებდნენ თურმე, რომ არ ეტირათ და ღამით ჩუმად იპარებოდნენ. ხურჯინებით მიჰყავდათ ბავშვები.*

*1937 წლის შემდეგაც არ შეწყვეტილა მისვლა-მოსვლა. ჩვენებსაც ჰყავდათ აგენტები და აგ ზავნიდნენ იქით. ყაჩაღობა იყო. გადმოვიდოდნენ, ტყვიით დაა შინებდნენ მწყემსს და მობალახე საქონელს წაასხამდნენ. არც აქაურები აკლებდნენ ხელს. ერთი ჩვენებური კაცი იყო, მოსე შემა ზა შვილი, „ქურდოს" უძახდნენ. იმან მიამბო, მე პატარა ქურდი კი არა ვარ, – „კურნოზ სანდრეს" გა ზრდილი ვარო. სანდრე ყავრელი შვილი იყო. პატარა, მაგრამ ძალიან გულადი კაცი. – მთელი სოფლის საქონელს გამოვრეკავდითო და მდევარი რო დაგვედევნებოდა, ეს სანდრე გვეტყოდა, თქვენ საქონელს მიჰყევითო! – მთელ სოფელს მარტო უდგებოდაო. მერე თბილისში ცხოვრობდა ეს კაცი და შესანიშნავ ლექსებს წერდა ქართულადაც და თათრულადაც.*

***

II მსოფლო ომის მოლოდინში მყოფი საბჭოთა ხელისუფლება ახალ აღწერას ატარებს და თან მოსახლეობის პოლიტიკურ განწყობასაც ფარულად ამოწმებს. 1937 წლის აღწერის შედეგები მთავრობამ „დეფექტურად" ჩათვალა და 1939 წელს ხელახალი აღწერა ჩაატარა. ამ აღწერის დროს

მთლიანად იქნა უგულებელყოფილი ეროვნული მიკუთვნებულობის განსაზღვრის გენეტიკური და ისტორიული ფაქტორი. გამოსაკითხი პირი საკუთარ ეროვნებას თვითონ ასახელებდა (ლორთქიფანიძე, 1994, გვ. 59). ამ აღწერისას კუთხის მაჰმადიანმა მოსახლეობამ კიდევ ერთხელ დააფიქსირა საკუთარი ეროვნული მიკუთვნებულობა, საბოლოოდ, საკუთრი ნებით ოფიციალურად გაემიჯნა ქართველობას და თავი თურქად (აზერბაიჯანელად) ჩათვალა.

ხელისუფლებამ ამ ფაქტში, რა თქმა უნდა, დაინახა საშიში ტენდენცია: – სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი ამ აქტით დაუფარავად აცხადებდა არა მხოლოდ თურქეთთან ეთნიკური და კონფესიური იდენტობის შესახებ, არამედ გამოხატავდა ფარულ პოლიტიკურ ნებასაც – თურქეთის სახელმწიფოსადმი სიმპათიას და მისი შესაძლო მფარველობის იმედს. მოსახლეობის პოლიტიკური ორიენტაციის გარკვევა, როგორც ჩანს, საკმაოდ ორგანიზებულად მიმდინარეობდა. აღწერის წინ დადიოდნენ სხვადასხვა პროფესიის ადამიანები და აწარმოებდნენ მოსახლეობის გამოკითხვას მათი ეროვნული მიკუთვნებულობის შესახებ. არაოფიციალური ცნობით, მაჰმადიანებს ეძლეოდათ წინადადება, დაწერილიყვნენ ქართველებად.

ეს პერიოდი საგანგებო გამოწვლილვით შესწავლას მოითხოვს. საკითხის საბოლოოდ გასარკვევად იმდროინდელ გასაიდუმლოებულ უწყებათა დოკუმენტაციის შესწავლაა აუცილებელი. ბუნებრივია, ამ გამოკითხვის კულისები და მისი ნამდვილი მიზნები პრესაში არ ასახულა, ის მწირი ცნობები კი, რაც გაგვაჩნია, არ იძლევა იმის თქმის საშუალებას, რამდენად ოფიციალური ხასიათისა და რა მასშტაბების იყო ეს ღონისძიება. შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ ეს იყო საგანგებო აქცია, რომლის მიზანიც იყო იმის გარკვევა, თუ რამდენად შეიძლებოდა ქართველ მაჰმადიანთა თურქული ორიენტაციიდან შემობრუნება და მათში პოლიტიკური დასაყრდენის მოპოვება.

გამოჩენილი ქართველი მოღვაწისა და მეცნიერის, აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას ქალიშვილის, რუსუდან ჯანაშიას ცნობით, 1937 წელს ბ-ნ სიმონს უმოგზაურია სამცხე-ჯავახეთში (მაშინ ის საქ. მეცნიერებათა აკადემიის ენის, ისტორიისა და კულტურის ინსტიტუტის („ენიმკი") დირექტორი იყო). მეცნიერის პირად არქივში დაცულია დოკუმენტები, რომლის მიხედვითაც დგინდება, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცეკას ბიუროს 1937 წლის 15 ივნისის დადგენილებით შეიქმნა კომისია და გაემგზავრა ადგილზე საქმის გასარკვევად. ამ კომისიის შედეგები მოხსენდა ცეკას სკოლისა და მეცნიერების განყოფილების გამგეს პ. შარიას (1937წ. 7 აგვისტოს). კომისიაში იყვნენ გ. მ. ჟღენტი, ს. ნ. ჯანაშია და ახალციხის, ადიგენისა და ასპინძის რაიონების რაიკომის მდივნები.

საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ მკვლევარს წარუდგენია

მასალა კუთხეში დემოგრაფიული და ენობრივი სიტუაციის შესახებ. ყურადღება გაუმახვილებია იმ ფაქტზე, რომ აღრეულია ნაციონალობისა და რელიგიის ცნება აღწერის სიებში (ალბათ იგულისხმება 1937 წ. აღწერა, რომლის შედეგებიც შემდგომ არაობიექტურად გამოცხადდა) და შესაბამისად, რესპონდენტების პასუხები დამახინჯებულია. ს. ჯანაშიას მოჰყავს ცნებათა ასეთი აღრევის მაგალითები: ზარზმაში კითხვაზე – ნაციონალობა, ერთმა უპასუხა: „მუსლიმანი", კითხვაზე – რელიგია, – „თურქი". მოსახლეობას კარგად ახსოვს თავისი გვარები, მაგრამ ოფიციალურად მამის ან პაპის სახელი აქვთ გვარად მიკუთვნებული, „ოღლი"-ს მიმატებით. რაც შეეხება ენობრივ ვითარებას, მკვლევრის ანგარიშში ასახულია მნიშვნელოვანი ფაქტები იმის დასტურად, რომ მაჰმადიანი მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის დედაენა კვლავ ქართულია და ტერმინი „თურქი" მათ აღსანიშნავად არ არის გამართლებული არც ისტორიულად, არც ენობრივ-კულტურულად, არც ტერიტორიულად...

მიუხედავად ამისა, მუსლიმთა სოფლებში, იქაც კი, სადაც მოსახლეობა მთლიანად ქართულენოვანია, სწავლა მთლიანად აზერბაიჯანულ ენაზეა. ეს არ არის გამართლებული არც პედაგოგიურად, არც პოლიტიკურად. სოფ. ხერთვისის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს ხალის თუთაძეს უთქვამს, რომ თბილისში კურსებზე ყოფნისას ის ჩარიცხეს თურქულ ჯგუფში, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ის ეკუთვნის „გათურქებულებს", ვერ შეძლო სწავლა აზერბაიჯანულ-თურქულად და მიატოვა კურსები. ახალციხის რაიკომის მდივანი ზეინალოვი კი თურმე აღნიშნავდა, რომ მოსახლეობას უჭირს აზერბაიჯანული თურქულის გაგება და მოითხოვს კრებების ქართულ ენაზე წარმართვას.

მკვლევარი შენიშნავს, რომ მაჰმადიანი მოსახლეობის აღსანიშნად ყველაზე მოხერხებული და ისტორულად და პოლიტიკურად გამართლებული ტერმინი უნდა იყოს „მესხი".

ს. ჯანაშია შემდგომ კერძო საუბრებში ყვებოდა ამ მოგზაურობის შესახებ. ამბობდა, რომ მოიარა სამცხე-ჯავახეთის სოფლები, სადაც ხვდებოდა მაჰმადიან მოსახლეობას, არკვევდა მათ ეროვნულ მიკუთვნებულობას და სთავაზობდა, დაწერილიყვნენ ქართველებად. ამ წინადადებას მოსახლეობა სასტიკი უარით ხვდებოდა.

როგორც ჩანს, ხელისუფლება, რომელსაც სასწრაფოდ უნდა შეემუშავებინა ახალი პოზიცია სამხრეთის სასაზღვრო ზოლის მოსახლეობის მიმართ, კომპეტენტური და ავტორიტეტული ადამიანების საშუალებით შეეცადა ალტერნატიული ვარიანტის შემოწმებას. ძნელი სათქმელია, იცოდნენ თუ არა ამ ადამიანებმა გამოკითხვის ნამდვილი მიზანი და მათ მიერ მოპოვებული ინფორმაციის დანიშნულება (შესაძლოა, ეს იყო ადგილობრივი, – საქართველოს ხელისუფლებისა და საზოგადოების მოწინავე ნაწილის მცდელობა მაჰმადიან თანამემამულეთა გადასარჩენად?).

მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ აჩვენა, რომ გამოჩენილი მეცნიერის დასკვნებიდან და რეკომენდაციებიდან მთავრობამ ბევრი ვერაფერი გაითვალისწინა, პრობლემის ხალხის, კუთხისა და საქართველოს სასარგებლოდ და საკეთილდღეოდ გადასაჭრელად, ქართველ მაჰმადიანებთან საგანგებო პოლიტიკის შესამუშავებლად და მათში ქართული ცნობიერების გასაძლიერებლად თავი აღარ შეიწუხა და პრობლემის გადაჭრის თავისი, უფრო მარტივი გეგმა შეიმუშავა.

ქართველმა მაჰმადიანებმა ეჭვადაც არ იცოდნენ, რომ მათი ბედი ამ გამოკითხვისას ბეწვზე ეკიდა. თავიანთი პასუხით მათ თვითონვე გამოუტანეს განაჩენი საკუთარ თავს.

მრავალწლიანი ეთნო-ლინგვო-ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად ხელოვნურად „გამოყვანილი" უმრავლესობა ხელისუფლებისთვის საშიში ხდებოდა. საიმედო „ნელი მოქმედების ნაღმი" შეიძლება ბუმერანგივით უკან დაბრუნებოდა თავის შემქმნელებს. როგორც ჩანს, გასახლების გეგმა უკვე იკვეთებოდა. არკვევდნენ მხოლოდ იმას, ვინ გაესახლებინათ და ვინ არა. 1939 წლის აღწერამ ეს საკითხი საბოლოოდ გადაჭრა. – გადასახლება ელოდა ყველას, ვინც მოხვდა გრაფაში: ქურთი და აზერბაიჯანელი! ხელისუფლებამ არასასურველი „ჯინი" საგულდაგულოდ გამომაწყვდია და მისი საბოლოოდ გაუვნებელყოფისთვის ემზადებოდა.

მოსახლეობის აზრით, ამ გეგმის განხორციელებასთან პირდაპირ იყო დაკავშირებული ბორჯომი-ვალეს მონაკვეთის რკინიგზის მშენებლობა, რომელიც ინტენსიურად მიმდინარეობდა მთელი ომის განმავლობაში. რკინიგზაზე ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილი მუშაობდა. ბორჯომი-ახალციხის მონაკვეთზე რკინიგზა ძირითადად ქართველ მაჰმადიანთა სოფლებზე გადიოდა.

*ვასო ასპანიძე: 1944 წელს მე რკინიგზაზე ვმუშაობდი. ვალემდე უნდა გასულიყო რკინიგზა, რომ თათრების გასახლება გაიოლებულიყო. მე სოფ. მუგარეთში ვცხოვრობდი ერთ თათართან, – ბერიძე აზიზასთან (სულ ქართველი გვარები ჰქონდათ, მუგარეთშიც, ფერსაშიც, გიორგიწმინდაშიც...). უკვე ჯარის ნაწილები შემოდიოდა, – შინაგანი ჯარი – ბერიას ჯარები. ამ ჩვენმა მასპინძელმა, აზიზამ უთხრა ბიძაჩემს, – გაბოო, ჩვენ თათრებს უხარიათ, ჯარი რო მოდის, ფიქრობენ, თურქეთთან ომი უნდა დაიწყოსო. მე ყველაფერი ვიცი, ბაქოში მეგობარი მოლა მყავს და იმან მითხრა, თქვენ გასახლებას გიპირებენ და ჯობია, ქონება გაყიდო და ფული ჯიბეში ჩაიდოო. მართლაც უკვე გავყიდე ყველაფერი, ექვსი ტომარა ფქვილიღა დავიტოვე ოჯახისთვისო.*

*ამ აზიზას ბიჭს სარო ერქვა – ჩემი სოფლის სახელი, ცოლად ქართველი ქალი ჰყავდა, – ვალელი. მე ვკითხე, ბიჭო, საროს რატომ გეძახიან-მეთქი და: 1918 წელში, თქვენი სოფელი რო გაქცეული იყო, ჩვენი ოჯახი იქ ავიდა და საქონელი თქვენი საკვებით გამოკვებეს. მე იქ დავიბადე და საროც*

*იმიტომ დამარქვესო.*

*... 1936 წელს (?) სახელმწიფო აღწერა რომ ჩატარდა (მთხრობელი ალბათ გულისხმობს, 37 ან 39 წლების აღწერას), დაკითხვა მიმდინარეობდა, რო: – ეროვნება რა ჩაგიწერო პასპორტში? – ჩვენი ხალხი, – თბილისიდან ჩამოსული კომისია ავალდებულებდა, ქართველად დაწერილიყვნენ, ეუბნებოდნენ: – კაცო, შენი წინაპარი ქართველი იყო! მოდი, დაგწერთ ქართველად! – უარზე იყვნენ, – არაო ჩვენ ქართველები არც ვყოფილვართ, არც ვიქნებითო! რკინიგზაზე რომ ვმუშაობდი, იმ აზიზამ ილაპარაკა: – ჩვენ ერთი რამე წავაგეთ, სახელმწიფო აღწერის დროს მთავრობა გვთხოვდა, ეროვნებად ქართველი ჩაგვწერა. ძალიან დავაშავეთ, ამაზე რომ უარი ვთქვით. ჩვენ რომ ქართველებად დავწერილიყავით, დღეს ჩვენი გამსახლებელი არავინ იყოო!*

მაჰმადიანი მოსახლეობის პოლიტიკური ორიენტაცია, როგორც ჩანს, დიდ საიდუმლოს არ წარმოადგენდა მხარის დანარჩენი მოსახლეობისთვის. თათრები თავიანთ მომავალს აშკარად აკავშირებდნენ სხვა სახელმწიფოს ბედთან. ამიტომ II მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ქართველ მოსახლეობაში გაჩნდა თათრების აგრესიის შიში.

***ფარნაოზ ზაზაძე, თმოგვი (აგარა):*** *მამაჩემმა წამიყვანა ლებისში და იქაურ თათარს მიმბარა საზზე დაკვრისა და სიმღერის სასწავლად. ერთი ოკ ფუთამდე ჭვავი-დოლი მისცა და ერთიც ქურა (პატარა ყურებიანი) ცხვარი საფასურად. ეს თათარი წვრიშვილიანი კაცი იყო და პური მალე შეჭამეს. არ იყო ათი დღე გასული და მომაკითხა მამაჩემმა, – უნდა წაგიყვანოო! ამათ რამაზანი ჰქონდათ. მე გამიკვირდა: – კარგად ვსწავლობდი, ვუჯერებდი მასწავლებელს. მამამ მითხრა, გერმანიამ ომი დაიწყო და ესენი შენ მოგკლავენო. პური უკვე შეჭმული ჰქონდათ, ცხვარი წაართვა, მოაბა თოკი და წამოვედით.*

მიუხედავად იმისა, რომ გასახლების პროცესი გასაიდუმლოებული იყო, რაღაც ხმები მაინც ვრცელდებოდა.

მუგარეთში ჯარის ნაწილები დაბინავდნენ. ვასო ასპანიძე და ბიძამისი ისევ იქ ცხოვრობდნენ. მათი მშობლიური სოფელი სარო თუთის არყითაა ცნობილი. არაყს ყიდდნენ და დამატებითი შემოსავალი ჰქონდათ. ერთმა უფროსმა ლეიტენანტმა უთხრა გაბოს, – ნუ ყიდი ამ არაყს, ნუ ანიავებო (ერთ ფუთ სიმინდზე ყიდდნენ ერთ ლიტრ არაყს), ჩამოდი ერთი-ორი დღის შემდეგ და ლიტრა არაყზე ერთ ტონა სიმინდს გაგატანო. მერე უთხრა, – ძია, არ გამყიდო და ამათ აქედან ვასახლებთ, ორი დღის შემდეგ ჩამოდი და რასაც დასძალავ, წაიღე, ოღონდ ახლა ასე მუქთად ნუ ყიდი მაგ არაყსო. მართლაც, ორი დღის შემდეგ გამოუცხადეს მუშებს, ყველანი სახლებში დაბრუნდითო.

გასახლების შესახებ ინფორმაცია გასაიდუმლოებული იყო და ბოლო დრომდე ამის შესახებ მხოლოდ ადგილობრივი მმართველობის პირველმა

პირებმა იცოდნენ.

ადამიანური ურთიერთობები ზოგჯერ შიშზე მაღლაც იდგა. როგორც ჩანს, თანამდებობის პირთა შორის იყვნენ ისეთები, რომლებიც ცდილობდნენ, რაიმე ხერხით გადაერჩინათ თავისი მაჰმადიანი ახლობლები, კოლეგები.

*დავით ზედგინიძე: ასპინძის რაიკომში მაშინ მუშაობდა ინდუსელი გელა შვილი, სახელად მურთაზი ერქვა. ქართულს ჩვეულებრივად ლაპარაკობდა. რაიკომის მდივანს ეტყობა ენანებოდა გასასახლებლად და შესთავაზა, – კაცო, მაინც ქართული გვარი გაქვს და რა იქნება, გაქართველდიო. – არაო, რჯულს არ შევიცვლიო. – რჯულის შეცვლას და მონათვლას ხო არავინ ავალებდა, მარტო პასპორტში უნდა ჩაეწერა ეროვნებად ქართველი. – არა ქნა, არ აღიარა თავი ქართველად და გაასახლეს სხვებთან ერთად.*

ქართველი მაჰმადიანების მიმართ პოლიტიკა რომ უცბად შეიცვალა, იქიდანაც ჩანს, რომ მანამდე არც ერთ მათ სოფელში ქართული არ ისწავლებოდა, მაშინ, როცა ქურთებისა და თარაქმების სოფლებში სწავლება მხოლოდ ქართულ ენაზე იყო. ამ სოფლების მოსახლეობა ქართულად სწავლობდა, თუმცა სწავლება ფორმალური ხასიათისა იყო და არც ერთი თარაქამა და ქურთი ქართულს არ დაუფლებია. წერა-კითხვა იცოდნენ, მაგრამ სასაუბრო ქართული – არა (დ. ზედგინიძე). ამ სასწავლო პროგრამაში მოულოდნელი და უცნაური ცვლილება შეიტანეს 1944 წლის პირველ აპრილს (!), თითქმის სასწავლო წლის ბოლოს, თათრების სოფლებში ე. წ. აზერბაიჯანულ სკოლებში შემოიღეს ქართული სწავლება. პირველიდან მეოთხე კლასამდე სწავლება მთლიანად ქართული გახდა.

*დავით ზედგინიძე: რატომღაც მგონია, რომ ამ საქმეში უშიშროების ხელი ერია. იმისთვის, რომ მოედუნებინათ მოსახლეობის ყურადღება და გაეფანტათ მოსალოდნელი გასახლების შიში, ეს ხერხი იხმარეს. პირიქით, ხმის დაყრის სამსახური ავრცელებდა ხმებს, ქართველები უნდა გაასახლონო. სწორედ ამ ახალი პროგრამით მომიწია მასწავლებლობა. პირველი აპრილიდან სხვამ იმუშავა. სექტემბრიდან კი მე და ჩემი მეგობარი ვმუშაობდით, მიქელაძე იყო გვარად. პირველიდან მეოთხე კლასამდე ქართულად ვასწავლიდით.*

გასახლებისთვის სამზადისი მარტო აღწერით, ჯარის შემოყვანითა და რკინიგზის მშენებლობით არ შემოსაზღვრულა. თათრებით დასახლებულ სოფლებში რამდენიმე თვის განმავლობაში ცხოვრობდნენ სხვადასხვა მიზეზით მოვლინებული „სპეციალისტები", რომლებიც თითქოსდა მეურნეობის ამა თუ იმ დარგის განვითარებას მეთვალყურეობდნენ. ეს ადამიანები სინამდვილეში გადასასახლებელთა სიებს აზუსტებდნენ.

*ანუსა ზაზაძე-ივანიძე: აქ, სოფელში რუსი სამხედროს კაცი მოვიდა ერთი, ბადრიას ტანის ბიჭი იყო, პატარა. სამი თვე ისე იყო, ის*

*მოსე ბექაური*

*კაცი, მთელი ზაფხული, რომ არავის შეუტყვია, რა მიზნით ჩამოვიდა. თურმე თათრების სიას ადგენდა, სულ თითო-თითოდ აღწერა, ქართველი იყო, რაჟდენაი ერქვა. ისე შეეთვისა ამ ხალხს და მიეჩვია, ეჰვი არავის აუღია. დიდი ეშმაკი კაცი იყო. ერთი თათრის ბიჭი მუშაობდა საწყობში, – ცოლი მოაყვანინა და ქორწილიც აქნევინა. ერთ ქალს ფული მისცა და არაყი გამოახდევინა ამ ბიჭის ქორწილისთვის. აქ იმისთვის იყო, რომ თათრები აღეწერა და თან ყურადღება მიექცია, საიდუმლო რომ არ გაეთქვათ თანამდებობის პირებს. – საიდუმლოს ვინ გატეხდა, ქალო, ში-შით! ჩემი ძმა ამბობდა, მე ერთი ათი დღის წინ გავიგე, მაგრამ კაკალ კაცის-თვის არ გამიმხელიაო. არ შეიძლებოდა! რა დრო იყო! სოფელს ატყუებ-დნენ, თითქოს მეურნეობას მეთვალყურეობდა ეს კაცი: – აბა, ჩქარა ქენით! ეს შეიტანეთ, პური დათესეთ! ერთი თათრის კაცი იყო, ჩვენს მეზობლად ცხოვრობდნენ. გამოვიდოდა, ერთი ფიქალი ქვა იყო, იმაზე დაჯდებოდა და მხრებს იჩეჩავდა გაკვირვებით და ეჰვით. ხელს ასე შვრებოდა (გაკვირვების ჟესტს აჩვენებს მ.ბ.). რა ჭკვიანი იყო! ქართული კარგად იცოდა, საბითაშვილები იყვნენ გვარად, თათრები იყვნენ. რაღაცას ხვდებოდა ის კაცი.*

*დავით ზედგინიძე: დაახლოებით ორი თვით ადრე, მე ზუსტ თარიღს*

ვერ ვიტყვი, ყველა სოფელში, საიდანაც თათარი ჰყავდათ გასასახლებელი, ჩამოვიდნენ უშიშროების მუშაკები, ფარულად, რა თქმა უნდა. ხერთვისის სკოლა დახურეს და იქ სამხედრო ნაწილი დააბინავეს. ამ ჯარის ნაწილებთან კავშირი ჰქონდათ სოფელში შემოსახლებულ აგენტებს. მე ჩემი თვალით ვინც ვნახე, ეს იყო ვალერიან გვაზავა. კარგად ვიცნობდი, ჩვენს ოჯახში, ჩემი მეგობრის ოჯახში ხშირად დადიოდა. ჩვენ ბავშვები ვიყავით. იმ წელს დავიწყეთ სკოლაში მუშაობა (აზერბაიჯანულ სკოლაში ვმუშაობდით სოფ. ალჯვაში. სოფელი მთლიანად თათრებით იყო დასახლებული). ის უფროსი კაცი იყო, იარაღს გვაჩვენებდა ხოლმე. ამბობდა, სოფლის მეურნეობის სამინისტროდან ვარ მოვლინებული საშემოდგომო ხვნაში ჩამორჩენის აღმოსაფხვრელადო. კანტორაში ცხოვრობდა. კანტორა კი თავმჯდომარის სახლში იყო. სტუმარი მოათავსეს საზაფხულო ოთახში – „იაზლუღში", რომელსაც დანარჩენი მიწური სადგომისგან განსხვავებით ფიცრული ჭერი, იატაკი და ფანჯრები ჰქონდა. თავმჯდომარე და მისი ცოლიც იქვე, მიწურ სახლში ცხოვრობდნენ. შვილები ყველანი კიროვაბადში ჰყავდათ. კარგი ხალხი იყო. საერთოდ, გამორჩეულად კარგი სოფელი იყო. მთელ რაიონში ეგეთი მაცხოვრებელ ხალხს ვერ ნახავდი. თითქმის ყველანი აღები – ბატონები ცხოვრობდნენ. „რაია" – გლეხი აქ ძალიან ცოტა იყო. ჩვენ ოჯახით ვმეგობრობდით ამ ხალხთან. მამას თათრები არ უყვარდა, მაგრამ ამათთან ნათლიობა გვაკავშირებდა, ქირვას უძახდნენ თათრები ნათლიას. ჩვენს ოჯახში თათარი არ დადიოდა იმათი გვარის გარდა, – ისმაილიანთ ეძახდნენ იმათ ჩამომავლობას. როგორც საკუთარ ოჯახში, ისე დადიოდნენ ჩვენთან. მე და ჩემი მეგობარი რომ იმათ სოფელში გაგვამწესეს მასწავლებლად, კვირაში ორ-სამჯერ მაინც იმათთან ვსადილობდით, დიასახლისი დედასავით გვპატრონობდა. ვალიკო გვაზავაც იქ გავიცანით. ერთხელ, გასახლებამდე ალბათ ერთი ათი დღით ადრე ამ ქალმა მითხრა, – ამ ურჯულოს წუხელ მთელი ღამე არ დაუძინია და ჩვენი სოფლის სია გააკეთაო. არ ვიცი, რუსული იცოდა თუ ლათინური ასოებით ამოიცნო, რას წერდა გვაზავა. წოხტევიდან იყო წარმოშობით. ახალციხეში, მუგარეთთან ახლოს არის ეს სოფელი. არაჩვეულებრივი ბუნების ქალი იყო.

ვალიკოს ვკითხე იმ დღეს: – ჯიალა-ხანუმმა ასე მითხრა და რას ნიშნავს ეს-მეთქი? უკან არ დაუხევია, არც დაფიქრებულა, ისე მიპასუხა: – ამდენი ხანია სახლიდან წამოსული ვარ, გიჟ-პოეტა ვარ და ხანდახან ლექსებს ვწერო. წუხელ მუზა მომივიდა, ლექსი დავწერე და მაგას სია ეგონაო.

## გასახლება

***რუსმა ჯარისკაცმა ჯიბის საათი ამოიღო, ჯაჭვიანი. დააკვირდა და გამოაცხადა: დრო – ორი საათი! (ფარნაოზ ზაზაძე).***

*1944 წლის შემოდგომაზე, ნოემბრის შუა რიცხვებისთვის უკვე ყველა სია შედგენილ-გადამოწმებული იყო, ჯარის ნაწილები ბრძანებას ელოდებოდნენ. 15 ნოემბერს თურქეთის საზღვრიდან აწყურამდე თათრებით დასახლებულ ყველა სოფელს სამხედროები შემოეწყვნენ. გასახლებასთან დაკავშირებით სასწრაფოდ დაკომპლექტდა რაზმები ადგილობრივი მოსახლეობისაგან, ძირითადად, აქტივისტებისაგან. ამ ადამიანებს ჰქონდათ ძალიან მწირი ინფორმაცია მიმდინარე მოვლენების შესახებ. მათ პირდაპირ ოპერაციის დაწყების წინ ჩაუტარეს მცირე ინსტრუქტაჟი და გამოუცხადეს, რომ თათრების გასახლებაში უნდა მიეღოთ მონაწილეობა. ამ რაზმის წევრების ფუნქცია იყო სამხედროებისთვის გზის ჩვენება, თარჯიმნობა და გასახლების შემდეგ დარჩენილი ქონების პატრონობა. კატეგორიულად ეკრძალებოდათ მოსახლეობასთან ყოველგვარი კონტაქტი.*

*ვასო ასპანიძე: რკინიგზის მშენებლობაზე მომუშავე ხალხი სახლებში გაუშვეს. მეორე დღესვე სოფლიდან რაიონულ ცენტრში, ასპინძაში დაგვიძახეს, დაგვსხეს ამერიკულ მანქანებზე და გაგვიშვეს თათრების გასასახლებლად. მე სოფელ ფანაქეთში მოვხვდი. ჩვენ ჯგუფს ლადო ზედგინიძე ხელმძღვანელობდა, დედაჩემის ძმათაშვილი. ამერიკული სტუდერები ძლივს ავიდნენ ვარძიის გზაზე. ღამით აღარ შეგვიშვეს სოფელში – საზღვართან ახლოს არიან და არ გაგვექცნენო! დილით მამალმა იყივლა და ჩვენც შევედით. გამოცხადდა საერთო კრება. ლადო ზედგინიძე ზველელი კაცი იყო, თათრული კარგად იცოდა. დააწყნარა აღელვებული ხალხი, უთხრა: – ომის საშიშროების გამო მოსახლეობა უნდა გაიყვანონ აქედან, ფრონტის ხაზს უნდა გაარიდონ, სასაზღვრო ზოლი ბორჯომს იქით უნდა გადაიტანონო. საქონელს, მეურნეობას, ქონებას ნუ გააფუჭებთ, სადაც წახვალთ, იქ მოგეცემათ სამაგიერო, აქ როცა დაბრუნდებით, ყველაფერს უკლებლივ ჩაიბარებთო. თითო მანქანაზე ორი ოჯახი გაამწესეს. უბრძანეს მხოლოდ ძალიან საჭირო და აუცილებელი ნივთების წაღება.*

*კრება დამთავრდა და იხივლა ხალხმა. ზოგი ფუტკარს ჩხრეკდა, ზოგი საქონელს კლავდა... თითო სახლთან თითო ჯარისკაცი აიმართა მეთვალ-*

ყურედ. ორმოცი ოჯახი იყო. ერთი ჯარისკაცი ბანზე იდგა, მეორე – კარებთან. ორსაათ-ნახევარი დრო მისცეს, მაგრამ ამდენიც არ დააცადეს, – ერთ საათში შეყარეს მანქანებზე. ეს ზედა მხარე სულ თათრების სოფლები იყო: ფანაქეთი, ნიალა, ლებისი, ბეზირხანა, ვანი, ყოინდარა, ტაშლი-ყიშლა... სადაც სამანქანო გზა არ იყო, ურმებით ჩამოჰქონდათ ბარგი მანქანებამდე. შესაბამისად, ამ ხალხმა უფრო ნაკლები ბარგის წაღება მოახერხა.

*დავით ზედგინიძე:* წინადღით შემოვიდნენ სამხედრო მანქანები სოფელში. მე ჩემს სოფელში ვიყავი. იქ თათრები არ ცხოვრობდნენ. ალჯვა, კვარშა და ქილდა, – თათრის სოფლები, – ალყაში მოაქციეს. დილით ჩვეულებრივ წავედი ალჯვაში, სადაც სკოლაში ვმუშაობდი. სოფელი ალყაშემორტყმული დამხვდა. სამხედროები რამდენიმე მეტრის ინტერვალით იდგნენ. სასაზღვრო და შინაგანი ჯარი ატარებდა ოპერაციას. აქაიქ კოცონები ენთოთ და თბებოდნენ. თითო ოჯახს თითო მანქანა მისცეს. სამი სამხედრო იყო მანქანაზე: ერთი კაბინაში და ორი ოჯახთან ერთად. მე რო მოვედი, კრება უკვე ჩატარებული იყო. ხალხი შეამზადეს, უთხრეს, რომ სამხრეთ საზღვრების გამაგრების მიზნით დროებით უნდა მოეხდინათ მათი ევაკუაცია. (ახალქალაქის რაიონში ძირითადად თარაქმები ცხოვრობდნენ, მხოლოდ რამდენიმე სოფელი იყო თათრული. ნინოწმინდაში, საღამოს ტბის მახლობლად იყვნენ თარაქმები, – ისინიც გაასახლეს. საგულისხმოა, რომ სომხეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქურთები და თარაქმები არ გაუსახლებიათ).

ალჯვაში ერთი ნაფრონტალი ბიჭი იყო, დაჭრილი. ცოლიანი იყო თუ არა, ზუსტად ვერ გეტყვი. მამამისი მოლა იყო. ჩემი ქუდი ეხურა, – წინა დღეებში ვათხოვე. მოდაში იყო, სტალინს ჰქონდა ისეთი ქუდი და 'სტალინის ქუდს" ეძახდნენ. მე რო მივედი, ეს ბიჭი უკვე მთვრალი იყო. ეტყობა, დარდიან გულზე დალია. მამამისს ავეჯი გამოჰქონდა სახლიდან. მთელ ჯავახეთში იმ სოფლის გარდა ვერსად ნახავდი ევროპულ ავეჯს. მოლამ ვენური სკამები გამოიტანა და მანქანაზე აწყობდა. შვილმა დაავლო სკამს ხელი, მამამისს უყვირა: – საჭმელი დააწყე, ტანსაცმელი, ლოგინი... რა იცი, სად მიდიხარ, ცოცხალი ჩახვალ თუ არა! – იქვე სახლთან ერთი დიდი ლოდი იყო, დაავლო ამ ვენურ სკამს ხელი, ცალ ხელში დაჭრილი იყო, ცალი ხელით დასცხო და დასცხო ამ ქვაზე, ნაფოტებად აქცია. თვალებიდან არ ამომდის მისი სახე. მე რომ დამინახა, ქუდი მოიხადა და გამომიწოდა. მე არ გამოვართვი, ვუთხარი: – წაიღე, ჩემს სახსოვრად გექნება-მეთქი. წაიღო!

იმ ოჯახში, სადაც ვალიკო გვაზავა ცხოვრობდა, ორი და ძმებს ჰყავდათ ცოლად. ერთის ქმარი ოცდაჩვიდმეტ წელში იყო დაპატიმრებული. მოვიდა ეს პატიმრის ცოლი და შემომჩივლა, ბარგი არ გვეტევა მანქანაზეო. ვალიკოს ვთხოვე დახმარება. მითხრა, მაგათ პურ-წყალს ვჭამდი და უარი.

*როგორ ვუთხრაო და ორ ოჯახს მესამე მანქანაც გამოუყო (ამერიკული სტუდებეკერები იყო და 'ზის პიატებს" რომ ვეძახით, ისინი).*

*... ანდაღში კოლმეურნეობის თავმჯდომარე ყოფილა, თარაქამა, ძალიან თავმომწონე კაცი. რაიკომის მდივანი რომ რამეს ჩაიცვამდა, თავს მოიკლავდა და მეორე დღეს ისეთსავეს იშოვიდაო. გასახლების წინ მოუთხოვია, – ერთი ჩემს ცხენზე შემსვითო. მისცეს ნება, – ენდობოდნენ მესაზღვრეები. მართლაც გაიარ-გამოიარა თურმე ცხენით და წავიდა უსიტყვოდ. იმის ცხენზე მერე რაიკომის მეორე მდივანი იჯდა ხოლმე, – აბრამ ზაზაძე.*

გასახლებულთა უბედურება ენით აუწერელი იყო. ადგილობრივ მოსახლეობასთან კონტაქტის საშუალება მათ თითქმის არ მისცემიათ. ვერც მათი თანაგრძნობა და ნუგეში მიიღეს. სოფლები რამდენიმე საათში ისე დაიცალა, თითო-ოროლა აქტივისტისა და სამხედროების მეტს გასახლებულთა გულსაკლავი გოდება არავის გაუგია. შერეულ სოფლებში უფრო მეტი იყო ამ ამბების შემსწრეც და მათი უსაზღვრო მწუხარების ჭირისუფალიც.

სოფელ ქილდაში სულ შვიდი-რვა კომლი ცხოვრობდა თათრების – ხაშილაძეები და გელაშვილები. ახალგაზრდა, განაყოფი ოჯახები იყვნენ. თათრები და ქართველები ცალკე ბრიგადებში მუშაობდნენ. ქართველების ოთხივე ბრიგადას იმ დღეს სოფლიდან მოშორებით გამოუჩინეს საქმე, სამი 'მალატილკაზე" მუშაობდა, მეოთხე – ყანების ხვნაზე. ამ მეოთხე ბრიგადის წევრები ადრე მობრუნდნენ და შემთხვევით შეესწრნენ თანასოფლელების გასახლებას. ჯარისკაცებმა ახლოს არ მიუშვეს.

*მაშო ალელიშვილი: დამშვიდობება და გამოლაპარაკება მაინც მოვახერხეთ. ტიროდნენ, ტიროდნენ, თავს იკლავდნენ ტირილით, – არ უნდოდათ წასვლა. ჩვენი ტოლები იყვნენ, ჩვენი მეგობრები. ერთი ჩემი კლასელიც იყო. სხვა ბრიგადები რო ჩამოვიდნენ, გვისაყვედურეს, – რატო არ დაგვიძახეთო. წინა საღამოს მოვიდა ჯარი. სოფლის გარშემო ცეცხლი ენთოთ და თბებოდნენ. საგონებელში ვიყავით, რა უნდოდათ, ვერ გაგვეგო. ზოგი ამბობდა, ჩვენ გვასახლებენო. დილით ჩვეულებრივად წავედით სამუშაოზე. საღამოს სოფელში აღარც ერთი თათარი აღარ იყო.*

მიჰყავდათ ყველა, ვინც თავს თათრად აღიარებდა, ანუ ვინც 'აზერბაიჯანელად" იყო აღრიცხული. ქილდელი თათრის ქალი, გვარად ხაშილაძე, ქართველი მიქელაძის ცოლი იყო. ქმარი სოფელში არ იყო იმხანად. ორი შვილი ჰყავდათ, ქალ-ვაჟი. ქალი დარჩა, მეზობლებმა გადამალეს, მაგრამ მოგვიანებით მოაკითხეს და ძალით წაიყვანეს.

*მაშო ალელიშვილი: ერთ დილას შემოვიდა დედაჩემი ატირებული, – რა იყო, დედი, რათ ტირიხარ, რა არი! – ვკითხეთ მე და ჩემმა დამ. – აპა, სონაი დაიჭირეს და მიჰყავთო. ავდექით, გავედით. ვიტირეთ, ვიტირეთ. საცოდაობა იყო დედისა და შვილების გაყრა. იმ ქალის ღმუილი დღესაც ჩამესმის ყურში.*

*ბავშვები ბიძასთან დარჩნენ. მერე ვიღაცა მოვიდა თბილისიდან და ი შვილა. ახლა ის ბიჭი ცხრამუხაში ცხოვრობს. რამდენიმე წლის წინ ჩამოვიდა დედა-მისი, მონახა შვილები. ბიჭი თხოვდა, დარჩი, არ წახვიდეო, მაგრამ იქაურმა შვილებმა არ გააჩერეს.*

შერეული ქორწინებისას სხვა ეროვნების მეუღლეებს არ ასახლებდნენ. იყო შემთხვევები, როცა ქალი დარჩა. ზოგჯერ კი ქართველი ცოლი ქმარ-შვილთან დაშორებას წაყოლას ამჯობინებდა.

მიუხედავად აკრძალვისა, შერეული სოფლებიდან გასახლებული მოსახლეობა მეზობლებთან გამოლაპარაკებას მაინც ახერხებდა. უმეტესობას უკან დაბრუნებაში ეჭვი არ ეპარებოდა, ან თვლიდა, რომ მალე მათ ბედს ქართველებიც გაიზიარებდნენ. ისინი თბილად ემშვიდობებოდნენ დარჩენილებს. ზოგიერთი მათგანის განცდები უფრო მძაფრი და თავშეუკავებელი იყო. ისინი ბრაზს ვერ მალავდნენ, თავის უბედურებაში ქართველებს ადანაშაულებდნენ და შურისძიებით იმუქრებოდნენ.

*ფარნაოზ ზაზაძე: დილით სამხედრომ დამიძახა: – ფაცან, იდი სუდა! მივედი. – იუსუფ უადირ-ოღლი, – ზნაეშ? – ვიცოდი, როგორ არ ვიცოდი! – ზნაიუ! – ვუთხარი.*

*ბავშვი ვიყავი პატარა, დავყვებოდი და სიის მიხედვით თათრის სახლებს ვაჩვენებდი.*

*ორ საათში უკვე მანქანებზე ისხდნენ. ჩვენ რაც შეგვეძლო, დავეხმარეთ. პური მივეცით. მშიერი, ღარიბი ხალხი იყო. ერთმა მოგვაძახა, – მეზობლებო, კარგად იყავით, ალბათ დრო მოვა და ერთმანეთს კიდევ შევხვდებითო. ეს სიტყვები არ ჰქონდა დამთავრებული და ერთი რეიზაი იყო, სახელიც მახსოვს, იმან შეგვაგინა: – წადი, მაგათი დედაო, მაგათთვის უნდა დაგვეჭრა თავები და მაგათ დაგვაჭრესო. ქართველებმა ქნეს ყველაფერიო! – აბა, ჩვენ რა შუაში ვიყავით! უფროსებმა პასუხის მიცემა არ იკადრეს. ერთი მოხუცებული კაცი იყო, ზაზაძე ვლადიმერი, იმან მასწავლა: – ფარნა, ასე და ასე უთხარიო და მეც ვუთხარი: – წადით, თქვენი ასე და ისე! გიჟობა ოჩერედობით არის-მეთქი, თქვენ მანქანით გასახლებენ, პატივს გცემენ, ჩვენ რო ღამ-ღამე ფეხით გავრბოდით თქვენი შიშითაო?! – „დალეხ სერანანდ რუ!" – ეს თათრული სიტყვაა, – გიჟობა ოჩერედობით არისო. გამოექანა ეს თათარი, უნდა გაველახე, მაგრამ მესაზღვრემ არ გამოუშვა, შეაჩერა.*

*სონა ზედგინიძე: ორმოცდაოთხ წელში დედაჩემის ძმა ანდაში იყო თათრების გასახლებაზე (იხ. გვ. 32), ერთ თათარს უთქვამს, – ეჰ, ერთი ამისი თავიც გამეგორებინაო! რუსმა სალდათმა იკითხა, რას ამბობსო და: – შვილო, პაპაჩემი ამათმა მოკლეს, ჩვენ სახლიკაცებად გვეგულებოდნენ და ახლა ამბობს, რატო თავი არ წავაჭერი ამასაცო.*

*ვაჟა ბერიძე: გზაზე ვიყავით ბავშვები, კოლონამ რო გამოიარა. ისევ ყურში მესმის იმათი ხმა. იწყევლებოდნენ: – ანნალარ კატოო, ანი ბიზანი*

*ბიზაო! – დედაჩემო კატოო, ჩვენი ცხელი წყალი დაგესხათ თქვენაო!*

წავიდნენ ასე გამწარებულები. საათნახევარ — ორ საათში დაკარგეს ყველაფერი. ამერიკული სტუდებეკერის კაბინას მიყრდნობილმა რუსმა ჯარისკაცმა ჯაჭვზე ჩამოკიდებულ ჯიბის საათზე გულგრილად აითვალა მათი მშობლიურ მიწა-წყალზე ყოფნის უკანასკნელი წუთები.

1944 წლის 15 ნოემბერს მხარეში აღარც ერთი თათარი აღარ იყო. წინააღმდეგობა არავის გაუწევია. არც არავინ გაქცეულა.

საბჭოთა რუსეთმა მისთვის სახიფათოდ ქცეული, საიმედოდ გამომწყვდეული „ჯინი" ბობოქარი ისტორიის ტალღებში დაუნანებლად მოისროლა!

***

თათრები წაიყვანეს, მაგრამ ოპერაცია ჯერ დამთავრებული არ იყო. მიმაგრებულ ჯგუფებს ევალებოდათ დარჩენილი ქონებისა და პირუტყვის აღწერა, პატრონობა და მთავრობისთვის ჩაბარება. აქ უკვე ყველა თავისი სინდისისა და წესიერების მიხედვით იქცეოდა. რა თქმა უნდა, ბევრი რამ დაიტაცეს, მიითვისეს, შეჭამეს.

სოფელში მანამდე ფარულად მოღვაწე აგენტებმა ნიღაბი ჩამოიხსნეს, ჯერ გასახლებას უხელმძღვანელეს, მერე უკვე შეიძლებოდა 'ამოსუნთქვა". როგორც კი ბოლო მანქანა თვალს მიეფარა, ჩვენმა 'ნაცნობმა" ვალიკო გვაზავამ მიიხედ-მოიხედა და იკითხა, ჩობან ყაურმის გაკეთება თუ იცის ვინმემო? გამოჩნდა ერთი ურავლელი მოხუცი, გვარად ივანიძე, დაიკაპიწა ხელი, გააკეთა ჩობან ყაურმა. გვაზავამ მიირთვა, ორი ჭიქა არაყიც დააყოლა. – ამ მეგრელმა კაცმა საიდან იცი ჩობან ყაურმაო, – ჰკითხეს. – ქისტების და ჩეჩნების გასახლებაშიც ვმონაწილეობდი და იქ ვისწავლეო, – უპასუხა. მერე ადგა, შეჯდა ცხენზე და წავიდა ხერთვისში. იქ ჰქონდათ შტაბი.

*დავით ზედგინიძე: წასვლამდე მე და ჩემი მეგობარი დაგვიბარა და გვითხრა; მე, რა თქმა უნდა, შემიძლია ვთქვა, რომ აქ ცხოვრობდით და საქონელს და ქონებას დაეპატრონებით, მაგრამ არ გირჩევთ, როგორც უფროსი ძმა, ისე გეუბნებიო, არამი საქონელი არ გინდათო! ასეც მოვიქეცით, ჩემმა მეგობარმა ველოსიპედი აიღო ერთი, არ წაეღო პატრონს. ალბათ იმ სოფელში მეტი ველოსიპედი არც იყო.*

*სახლში რომ მოვედი, დედას ვუთხარი, ასე მითხრა ვალიკომ-მეთქი: – იმის გამზრდელს ვენაცვალეო, – დალოცა დედაჩემმა, – აბა იმათი ქონება, იმ საცოდავების, შეიჭმებოდაო?!*

გასახლება მართლაც რომ 'სანიმუშოდ" იყო ორგანიზებული. არც არის გასაკვირი – მის მთავარ სულისჩამდგმელებს და შემსრულებლებს 'რეპეტიცია" იმავე წლის გაზაფხულზე ჩეჩნეთსა და ყირიმში ჰქონდათ გავლილი. იქაც იმავე სცენარით წარიმართა ყველაფერი. მოხდა ისე, რომ

ჩეჩნებისა და ყირიმელი თათრების გასახლებაში მესხი ჯარისკაცებიც მონაწილეობდნენ. მოგვიანებით მათ ახლობლების წერილებიდან შეიტყვეს, რომ მათ მეზობელ თათრებსაც იგივე ბედი ეწიათ.

სცენარიც უცვლელი იყო და მოტივაციაც: გერმანიის ჯარები კავკასიონს უახლოვდებოდნენ. მთავრობა თათარ და ჩეჩენ მოსახლეობაში მტრის დასაყრდენ ძალას ხედავდა და მის გაუვნებელყოფას ჩქრობდა.

*ვასილ ნათენაძე: ბესლანიდან ოცდათხუთმეტი კილომეტრი ფეხით ვიარეთ და ჩეჩნების და ინგუშების ტერიტორიაზე მივედით. ხალხი უკვე გასახლებული ყავდათ. ჩვენ მოსავალი უნდა აგვეღო.*

*ვლადიმერ ზაზაძე: ჩეჩნების გასახლებაზე ვიყავი. ეს მოხდა 1944 წ. 23 თებერვალს. ჩვენი არმია უკვე საზღვარზე გავიდა, რუმინეთში იბრძოდა, მაგრამ ბელორუსია ისევ გერმანელებს ეკავათ. იანვარში ჩაგვიყვანეს ჩეჩნეთში. ხალხს ეუბნებოდნენ, გერმანელები არიან მთებში და მეურნეობას რომ ზარალი არ მიაყენონ, ჯარი იმიტომ შემოვიყვანეთო. მიმოსვლა აკრძალეს. ერთი კაციც კი არ გასულა რაიონიდან. ოცდასამში მიტინგები გამართეს, ვითომდა წითელი არმიის რუმინეთში შესვლის აღსანიშნავად. ამ მიტინგზე გამოუცხადეს: – ვინაიდან მთელი ომის მანძილზე გერმანელებს ეხმარებოდით, წვავდით ეშელონებს, სამხედრო საწყობებს – ბერიას დეკრეტით უნდა გასახლდეთო. უთხრეს, რომ დროებით, ხუთი-ათი წლით ასახლებდნენ იმ პირობით, რო მავნებლურ საქმიანობას შეწყვეტდნენ – თუ არა, უარესი მოგელითო! – გააფრთხილეს. ჩავაყენეთ სტუდებეკერები. არავითარი წინააღმდეგობა და პროტესტი არ ყოფილა. ერთი თოფი არ გავარდნილა. მე არ ვიცოდი, რო ჩეჩნები თათრები არიან! ჩემს მანქანაზე მოლა აღმოჩნდა. უცებ დაიწყო ტირილი და თავში ხელის ცემა: – ყურან ყალი, ყურან ყალი! – ყურანი დაგვრჩაო! ჩამოვიყვანე მანქანიდან, ოც მეტრში იყო სახლი, მივედით, ზღუდის მაღლა, კარებთან სკივრი იყო და იქ ჰქონდა შენახული. აიღო და მადლიერების ნიშნად ხელებს და ფეხებს მიკოცნიდა.*

*ეს იყო თებერვალში. შვიდ მაისს უკვე ყირიმში ვიყავით. ახალი ფორმა გვქონდა მიღებული – სასაზღვრო ჯარის საზაფხულო ფორმა. მარშით ჩავიარეთ. სამი კაცი ვენახს ახვევდა. ჩვენს დანახვაზე სამხრეთისკენ შებრუნდნენ, ხელები მაღლა აღაპყრეს და ლოცვა დაიწყეს: – ჰაი, ქაადირ... ჰოი, ღმერთო, ამ ურწმუნოებს ძალა რით ვერ გამოულიეო, – ჩვენზე ამბობდნენ, რუსეთზე, საბჭოთა კავშირზე.*

*ათ რიცხვში ესენიც უხმაუროდ, უპრობლემოდ გავასახლეთ.*

# ახალმოსახლეები

*„რო ჩამოვედით, თათრების ბინებში შეგვასახლეს. დაგვხვდა არეულ-დარეული ყველაფერი. სახლები ბატის ბუმბულით იყო სავსე!" (თამარ ფოცხვერაშვილი).*

თათრების გასახლებისთანავე დაიწყო გეგმის ახალი ეტაპის განხორციელება, – დაცარიელებული სოფლების მოსახლეობით შევსება. როგორც ჩანს, სპეციალურად შეირჩა ამ აქციისთვის გვიანი შემოდგომა, – მოსავალი უკვე აღებული და დაბინავებული იყო, საშემოდგომო ხვნაც არ გაჩერებულა, გასახლების დღესაც კი მუშაობდა ხალხი. ასე რომ, გასახლებას კუთხის ეკონომიკისთვის საგრძნობი ზარალი არ მიუყენებია და თუ სწრაფადვე განხორციელ-დებოდა ჩასახლება, გაზაფხულიდან შეუფერხებლად გაგრძელდებოდა სასოფლო-სამეურნეო ციკლი. უკვე შერჩეული იყო სოფლები, საიდანაც უნდა გადმოეყვანათ მოსახლეობა. პირველ რიგში, ეს იყო სამცხე-ჯავახეთის სოფლები, რომლებიც მცირემიწიანობის, უწყლობის და უგზოობის გამო მოხვდნენ გადასასახლებელთა სიაში. ეს იყო შიდა მიგრაციები, რომელიც აგრეთვე იძულებით ხორციელდებოდა. ყოველგვარი პროტესტი და წინააღმდეგობა მოსახლეობის მხრიდან უშედეგო იყო – მანქანა დაძრული იყო და თავისი გეგმით მოქმედებდა.

*ფარნაოზ ზაზაძე: გვითხრეს, უპატრონოდ დარჩა სოფლები და თქვენ უნდა წახვიდეთო. ზოგი თანახმა იყო, ზოგს არ უნდოდა წამოსვლა. ბიძაჩემი ვერთაყანაში ავიდა, იქ აპირებდა დასახლებას, მაგრამ ძალით ჩამოიყვანეს. მთელი სოფელი მარგასტანში ჩამოვედით (აგარიდან მ.ბ.) ურმებით ჩამოვზიდეთ ბარგი. ბინები კენჭისყრით გაგვინაწილეს. ვისაც რა შეხვდა, ის იკმარა. შევედით თათრების სახლებში.*

*მაშო ალელიშვილი-ხუციშვილი: ჩვენთან, ქილდაში წყალი არ იყო, ამიტომ როცა გვითხრეს, კოთელიაში გასახლებთო, ზოგმა წამოიწია აქეთ. აქ წყალიც იყო, წისქვილებიც. ბევრი ძალით წამოიყვანეს – ორი სამი ოჯახი, მიქელაძეები. არაფრით არ უნდოდათ წამოსვლა. ერთი მოხუცი იყო, მთელი სოფელი პაპას ვუძახდით, – ანტრეი ერქვა. იმის ტირილი ისევ ყურში მაქვს: – არ წახვიდეთ ხალხო! ჩვენი სოფელი როგორ დავტოვოთ, თათრის სოფელში როგორ წავიდეთ, როგორ ვიცხოვროთო! – მაინც გადმოიყვანეს. რამდენიმე წელი იცოცხლა. ანდერძით დაიბარა, ქილდაში დამმარხეთო და აუსრულეს შვილებმა სურვილი.*

როცა ახალი ბინადრები გამოჩნდნენ, თათრების ქონება უკვე წაღებული იყო. საქონელი და მოსავალი მთავრობამ ჩაიბარა, რაც დარჩა, ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებლებმა დაიტაცეს. ახალმოსახლეებს უჭირდათ „თათრის ცხოვრებაზე" მოსვლა, „ხელი არ მისდიოდათ" იმათ საკუთრებაზე. გაჭირვება თავისას შვებოდა. ომის პერიოდის მშიერი ზამთარი იდგა. მიწაზე კაკუნით ეძებდნენ პურისა და კარტოფილის ორმოებს. ზოგს უმართლებდა და რაღაცას პოულობდა.

*მაშო ალელი შვილი-ხუცი შვილი: ერთხელ ვიპოვეთ! ბავშვებმა ვიპოვეთ. მე და ჩემმა ამხანაგმა, – ყარამანამ. მერე მასწავლებლად იყო ის ბიჭი, მაღრაძე იყო გვარად. შევედით ერთ სახლში. მარილს ვეძებდი, მარილიც კი არ გვქონდა, არაფერი არ გვეშოვებოდა, შვილო. მარილი ავიღეთ და რო დავაკვირდით, რაღაც მარცვლები შევამჩნიეთ მიწაზე. ორმო ვიპოვეთ, გასუფთავებულ-გაკეთებული ქერითა და დიკით სავსე. სამმა ოჯახმა გავიყავით. არ მახსოვს, რამდენი ტომარა გვერგო თითოს, მგონი, თექვსმეტ-თექვსმეტი ფუთი. მილიცია მოგვადგა, – რატო აიღეთო, მაგრამ მერე დაგვანებეს თავი.*

უფრო მასშტაბური და მტკივნეული იყო საქართველოს სხვა რეგიონებიდან, – რაჭის, მთიულეთ - გუდამაყრის, იმერეთის მცირემიწიანი სოფლებიდან ჩამოსახლება. როგორც ირკვევა, ესეც წინასწარ იყო დაგეგმილი და მომზადებული. გაფრთხილებული იყვნენ რაიკომის მდივნები, შეირჩა გასასახლებელი სოფლები. მოსახლეობამ არაფერი არ იცოდა. მხოლოდ ნოემბერში, თათრების გასახლების შემდეგ, დაიწყეს კრებების ჩატარება და გადასახლებისთვის ნიადაგის მომზადება. გეგმის ეს ნაწილი ასეთი თანმიმდევრობით ხორციელდებოდა: რაიკომის პირველი მდივნები და რაიაღმასკომის თავმჯდომარეები ატარებდნენ თათბირებს, ქმნიდნენ ოპერატიულ ჯგუფებს, რომლებსაც უნდა უზრუნველეყოთ ადგილებზე კრებების ჩატარება და „სწორი" გადაწყვეტილების მიღება. კრება იმართებოდა ვითომდა მცირემიწიანობის, ან სხვა ეკონომიკურ თუ სოციალურ პრობლემასთან დაკავშირებით. მითითება იყო, რომ კრების მსვლელობა წარმართულიყო ისე, რომ ხალხს თვითონ მიეღო გადაწყვეტილება გადასახლების შესახებ. უნდა არჩეულიყო დელეგაცია, რომელიც გაიგზავნებოდა ასპინძის, ახალციხისა და ადიგენის რაიონებში და ადგილზე გაეცნობოდა საცხოვრებელ პირობებს.

სწორედ ამ თანმიმდევრობით, თუმცა არცთუ უმტკივნეულოდ, წარიმართა მოვლენები ჩხარის (ახლანდელი თერჯოლის) რაიონში. გადასასახლებლად შეარჩიეს სოფლები თავასა და სკანდე. რაიკომის მდივანმა პარმენ ბაქრაძემ და რაიაღმასკომის თავმჯდომარემ პიმენ ისაკაძემ დააკომპლექტეს სამუშაო ჯგუფები.

*ლევან ისაკაძე: მე რაიკომის ინსტრუქტორი ვიყავი. რაიკომის II მდივანი, ვანო მერკვილაძე, ხელმძღვანელობდა ჯგუფს. წავედით სოფელ თავასაში კრების ჩასატარებლად. მოსახლეობა მტკივნეულად შეხვდა ამ ამბავს. განსაკუთრებით ერთი რიჟამაძე აქტიურობდა, სახელი არ მახსოვს*

*იმ კაცის. დიდი კამათის შემდეგ შეირჩა დელეგაცია და გაიგზავნა ასპინძაში. დაბრუნების შემდეგ კვლავ კრება გაიმართა. სასოწარკვეთილი ხალხი დათმობას არ აპირებდა. დილიდან საღამომდე თათბირობდნენ, რამდენჯერმე შეწყდა კრების მუშაობა, – აღშფოთებული გლეხები დარბაზს ტოვებდნენ, მაგრამ შორს ვერ მიდიოდნენ, სხვის გადასაწყვეტად ვერ ტოვებდნენ თავის მომავალს, ისევ ბრუნდებოდნენ, ისევ კამათობდნენ და ისევ გარბოდნენ.*

საღამოს „მიიღეს" გადაწყვეტილება: სოფელ თავასის მოსახლეობა მცირემიწიანობის პრობლემასთან დაკავშირებით გადავიდეს საცხოვრებლად ასპინძის რაიონში!

თავასისა და სკანდეს მოსახლეობა ასპინძაში ჩავიდა თათრების გასახლებიდან ერთ თვეში, – ბარბარობას, 17 დეკემბერს. მაშინ ასპინძაში მიწის ზევით სამი-ოთხი შენობა თუ იდგა, ისიც ადმინისტრაციული ნაგებობები. დანარჩენი მიწურები იყო, ერთმანეთზე მიბმული მესხური ოდა-დარბაზები, სადაც ადამიანისა და საქონლის სადგომი ერთმანეთის გვერდით იყო განლაგებული, შუქი კი მხოლოდ ბანიდან ჩამოდიოდა.

მომავალი საცხოვრებლის ნახვამ ჩამოსახლებული იმერლები ბარბარობის იმ სუსხიან დღეს სასოწარკვეთილებაში ჩააგდო.

*თამარ ფოცხვერაშვილი: არეულ-დარეული დაგვხვდა ყველაფერი. უპატრონოდ მიტოვებული სახლები ბატის ბუმბულით იყო სავსე (ეტყობა წასვლისას თვითონვე დაჭრეს ბალიშები, იქ შენახული ფულის თუ ოქროულობის ამოსაღებად მ.ბ.). სახლები კი არა, ერთმანეთზე გადაბმული და გადაპორწიალებული გომურები იყო. ზევიდან ვიღაცა ჩამოგძახებდა და შენ ქე ცხოვრობდი ქვეშ! რას მევესწარით! რას მევესწარით! თუ ცოცხალი გადავრჩებოდით, არ გვეგონა. პანაშვიდზე გეგონებოდა თავი, აზივლებული, ატირებული და გამწარებული!*

*სკანდედან ტკბილი სიტყვით და მოტყუებით წამოგვიყვანეს, კოწია ბუსკივაძე იყო მომაგრებული, კაი კაცი, იმან დაგვიყოლია!*

მიწურების დანახვაზე ზოგს გული წაუვიდა. ჩამოსახლებული იმერლები დიდხანს არ ურიგდებოდნენ ბედს და უკან დაბრუნების იმედს არ კარგავდნენ. აწყურთან გამშვებ-საკონტროლო პუნქტი მოქმედებდა და იქ რუსი მესაზღვრეების შიშით ჩიტი ვერ გადაფრინდებოდა, ამიტომ ტყით იპარებოდნენ, ციხისძირზე გადავიდოდნენ და ბაკურიანში ჩადიოდნენ. ერთ-ორ დღეში მიაკითხავდა მილიცია, დაიჭერდნენ და რაიკომის ინსტრუქტორის ან სხვა თანამდებობის პირის თანხლებით ისევ უკან დააბრუნებდნენ.

მშობლიური კარ-მიდამოს, საქონ-საყოლის, მიტოვებული საფლავების სიყვარული და მიზიდულობა დაუძლეველი იყო. „თათრის ქვეყანაში", თათრის სახლებში ცხოვრების პერსპექტივა შიშს გვრიდა ადამიანებს.

*დემური ფოცხვერაშვილი: მამაჩემი აპროტესტებდა წამოსვლას, სტაცეს ხელი და დაიჭირეს! ჩვენ მარტო მოგვიწია გადმოსახლება. მიწურში რო შეგვიყვანეს, დედაჩემს გული წაუვიდა და დაეცა. სამი დღის*

*შემდეგ მამაჩემიც გამოუშვეს. ჯერ სოფელში ასულა, სკანდეში. – ეზოში რომ შეეედი, წვრილფეხმა მიცნო, ქათმები, ინდაურები მხარზე მაფრინდებოდნენ, ა ზიოლებული იყო ყველაფერი, იტირა პირუტყვმაო!*

მთიულების ჩამოსახლებაც იმავე გეგმით ხდებოდა, თუმცა, მოსახლეობისგან წინააღმდეგობა ნაკლები იყო. მათი ნაწილი 1944 წელს ჩამოსახლდა, ნაწილი კი, დაგვიანებით, 1945 წელს. ამ მეორე ნაკადში ისინი იყვნენ, ვინც ერთი წლის წინ გასახლებული ჩეჩნების სახლებში ჩაასახლეს. იქ შექმნილი ახალხევის რაიონი ჯერ დუშეთთან იყო ადმინისტრაციულად დაკავშირებული, მერე რუსეთთან შეერთება დაუპირეს, რაზეც მოსახლეობამ უარი თქვა და უკან დაბრუნდა.

*მოსე ბექაური:* ახალციხეში ვაგონებში გაგვაჩერეს და რამდენიმე კაცი ხეოთში წავიდა სოფლის სანახავად და შესაფასებლად. ჩემი ძმაც იყო მათ შორის. რო დაბრუნდნენ, ბიძაჩემმა ჰკითხა, დიმიტრიმ, – როგორ მოგეწონათო? – მე კი არ წავალ იქაო და! – ჩემმა ძმამ უპასუხა. დიმიტრიმ ატეხა ამბავი, მცხეთაში წამიყვანეთო. სტაცეს ხელი ამ „წარგზავნილებს" და წაიყვანეს მილიციაში. საათ-ნახევარში დაბრუნდნენ „მოთვინიერებულები", – როგორ არაო, – ჩემმა ძმამ უთხრა დიმიტრის, – ჩვენ ისე ვთქვით, განა მართლა არ ვარგაო!

*მართლაც კარგი სოფელი გამოდგა, ნამდვილი საგლეხო ადგილი.*

მოსახლეობა ნელ-ნელა ეჩვეოდა ახალ პირობებს და ერთმანეთს. გასახლება-ჩამოსახლების ეს მასშტაბური, მრავალწლიანი ოპერაცია დასასრულს უახლოვდებოდა.

ახალ, უცხო კულტურულ გარემოში ინტეგრაცია რთული იყო. ძალიან განსხვავდებოდა ახალი მეზობლების ხასიათი, ზნე-ჩვეულებანი, საკვები, მეურნეობის სახე... ჩამოსულებს ეუცხოებოდათ მესხების ყოფა-ცხოვრების თავისებურება, მიწური სახლები და ყველაზე მეტად, – ენა! რადგან ამ დროისთვის ადგილობრივი მოსახლეობა ორენოვანი იყო.

დიფერენციაცია: იქაური – აქაური, დიდხანს გაგრძელდა. იყო კურიოზული სიტუაციებიც: იმერლებს თათრების სახლში დარჩენილი კარაქის გუნდები ცომი ეგონათ და ცეცხლზე დაუპირეს გამოცხობა; მთიულებს თუთის ხეები გამხმარი ეგონათ და გასათბობად მოჭრეს...

*ერთხანს წასვლაზე ფიქრობდნენ, უფროსები ანდერძად იბარებდნენ „თათრის მიწაში" არ დამმარხოთო... მთავრობას ახალ პირობებთან შეგუების და ადაპტაციის თავისი გეგმა ჰქონდა (ისაკაძე, ბექაური), ხალხი, თავის მხრივ, თვითონ ეძებდა ერთმანეთისკენ სავალ გზებს. ის დაახლოებისა და „კულტურულ სხვაობათა გადალახვის" საკუთარ მექანიზმს ფლობდა. ახალ მეზობლებთან ურთიერთობისა და თანაცხოვრების მესხური მოდელი ასეთი გახლდათ: „... წყალი თავალას კი არ უნდა აუქციო – უნდა მიჰყვე და მიიყოლიო! (ნინა მოსიძე).*

*თბილისი, 2004 წელი.*

## P.S.

ეს წიგნი ერთი წლის წინ დაიწერა. ახალი საუკუნის აჩქარებულმა რიტმმა ამ ერთ წელიწადში ბევრი რამ შეცვალა – კვლავ გააქტიურდა ე.წ. „თურქი მესხების" საკითხი და კვლავ კატეგორიულად გაისმის მოთხოვნა მათი დაბრუნების შესახებ.

უნდა დაბრუნდნენენ თუ არა „თურქი მესხები"? – დრომ წინამდებარე წიგნის ავტორსაც მოსთხოვა ამ ორლესულ კითხვაზე პასუხი. ვფიქრობ, დაკვირვებული მკითხველი წიგნშივე იპოვის მას, მაგრამ ახალი ათასწლეულის მიჯნაზე, როცა კაცობრიობა სამყაროს შესახებ თავის ცოდნას და გამოცდილებას „კი"-სა და „არა"-ს შავ-თეთრ საზღვრებში აქცევს, იქნებ სტრიქონებს შორის სათქმელის ძებნა ბევრს ანაქრონიზმად მოეჩვენოს და გვისაყვედუროს უპოზიციობისთვის.

წინასიტყვაობაში ვწერდით: „ამ ისტორიების მთხრობელთაგან ზოგი ბებიად მეკუთვნის, ზოგი მამიდად, ზოგი ბიძად, პაპად... მეც ერთგვარად ვარ ჩართული „ოჯახური ტრაგედიების" ამ „არქივარიუსთა" დინასტიურ ჯაჭვში" – მიუხედავად ამისა, ჩემი ოჯახის ისტორია ამ წიგნში ვერ მოხვდა. პაპაჩემის, ილია ბერიძის, ოჯახის თავზე დატეხილი უბედურება მე მისგან არ მომისმენია, ხოლო ის, რაც უკვე მოზრდილმა უფროსებისგან შევიტყვე, ამ წიგნის ფურცლებზე ვერაფრით ვერ გადავიტანე – ხელი არ მომიბრუნდა უძვირფასესი ადამიანის იმ უკიდეგანო ტანჯვის და ტკივილის აღსაწერად, სიცოცხლის ბოლომდე რომ არ აძლევდა მოსვენებას და ხანდაზმულ ასაკშიც მწარე ცრემლს აღვრევინებდა. მე ვიყავი მისი ცრემლების პატარა, გაკვირვებული მოწმე და ალბათ ხშირად მიზეზიც – ჩემი ცელქობა და უდარდელი ტიტინი იქნებ თავის პაწაწინა გოგონას აგონებდა, საკუთარი ხელით რომ გაუთხარა სამარე ბაკურიანის უღრანებში და ძმასთან ერთად, დედისგან დაუტირებელი მიაბარა წარღვნისგან ტალახად ქცეულ მიწას.

***

მე იმ ადამიანებს ვერ ვეკუთვნი, ჭეშმარიტება მხოლოდ „კი"-სა და „არა"-ს, შავსა და თეთრს შორის რომ ეგულებათ.

ძნელი და ორლესული კითხვის პასუხი მე ისევ პაპაჩემის მონათხრობ ზღაპარში მოვიძიე:

მზეთუნახავ მარიამს ჯადოქარმა ქმარი მოუკლა, თვითონ კი გაიტაცა,

კოშკში გამოკეტა და მოაჯადოვა – წარსული დაავიწყა.

დატყვევებულ ქალს ხანდახან ნიავი თუ მოუტანდა უცნაურ ხმას: ლოგინად ჩავარდნილი მამამთილის სასოწარკვეთილ ძახილს:

– ქალო, მარიაااამ, ცომი აფუვდااა, ყმაწვილი ტირიიის!!!!

თითქოს ბუნდოვანი ხსოვნა გაჩნდებოდა და უმალ ქრებოდა. მარიამი აგრძელებდა ჩვეულ ცხოვრებას და არასოდეს იშორებდა გაწყვეტილი მძივიდან შემორჩენილ ერთადერთ მარჯანს, თუმცა არ ახსოვდა საიდან ჰქონდა, ან როდის და როგორ დაფანტა მძივის დანარჩენი მარცვლები...

– ქალო მარიااამ, ყმაწვილი ტირის, ცომი აფუვდااა! – ისევ მოულოდნელად მოიტანდა ქარი მოხუცის სუსტ, მაგრამ ჯიუტ ვედრებას.

ერთხელაც ვეღარ გაუძლო ქალმა, ჯერ ფრთხილად გაჰყვა ამ ხმას, მერე ფეხს აუჩქარა და მალე ტყის ეკალ-ბარდებში სირბილით მიიკვლევდა გზას. მიჰყვებოდა ჩუმ ძახილს და გზადაგზა, ბალახში პოულობდა გაწყვეტილი მძივის მარცვლებს. წითლად კიაფობდა მარჯანი და მარიამის დაბინდულ გონებას თითოეული მძივი მოგონების თითო სხივს ჰმატებდა, თავის წარსულთან და ოჯახთან აახლოებდა.

როცა მძივის ყველა მარცვალი იპოვა, მიადგა ქოხს.

ბავშვს აკვანში მშვიდად ეძინა.

ვარცლში აფუებული ცომი ფშვინავდა და ფუთფუთებდა – გამოცხობას ითხოვდა...

***

ამ წიგნში ნაჩვენებია გაწყვეტილი მძივის ყველა მარცვალი, რომელთა პოვნა და ერთად აკინძვა მესხთა მრავალი თაობის აუსრულებელ ოცნებად იქცა.

ჩვენ შეძლებისდაგვარად ვაჩვენეთ ის გზა და ის ნაბიჯები, რომლებმაც თანდათან ჩამოგვაშორეს ჩვენი სისხლი და ხორცი. ეს გზა გაცილებით გრძელი აღმოჩნდა, ვიდრე მანძილი მესხეთიდან შუა აზიის ტრამალებამდე და გაცილებით ადრე დაიწყო, ვიდრე ჩვენს თანამემამულეებს სატვირთო ვაგონებში მოათავსებდნენ და ცხრა მთას იქით გაისტუმრებდნენ.

დაბრუნების პირველი ნაბიჯი წარსულში კი არა, მომავლისკენ უნდა გადაიდგას – ქართველებთან საერთო ხვალინდელ დღეზე გულწრფელი და გულმართალი თანხმობით.

მხოლოდ ასე წარმომიდგენია ეს დაბრუნება!

*მარინე ბერიძე*

*პაპაჩემი –ილია ბერიძე*

## *დამოწმებული ლიტერატურა და წყაროები*


1. აბაშიძე, 1963 – ჰეიდარ აბაშიძე, წერილები, თბ. 1963.
2. ალხაზიშვილი, 1978 – ილია ალხაზიშვილი, ჯავახური ლეგენდები, 1978.
3. ბერიძე, 1992 – მარინე ბერიძე, მესხური ტექსტები; იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, 1992.
4. ზედგინიძე, 2000 – დავით ზედგინიძე, მეოცე საუკუნის ასპინძის რაიონის ისტორიული-დემოგრაფიული მიმოხილვა, გაზეთი 'ლიტერატურული მესხეთი", Nდეკემბერი, 2002, გვ. 6.
5. ივანიძეები, 2002 – გიორგი ივანიძე, მანანა ივანიძე, ბრძოლა მესხეთისათვის 1917-1921, თბ. 2002.
6. კოჟორიძე, 1986 – დ. კოჟორიძე, განათლება და კულტურა სამცხე-ჯავახეთში, თბ. 1986.
7. ლომსაძე, 1975 – შოთა ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, თბ. 1975.
8. ლომსაძე, 1995 – შოთა ლომსაძე, მესხები, თბ. 1995.
9. ლომსაძე, 2000 – შოთა ლომსაძე, მესხები და მესხეთი, 2000.
10. ლორთქიფანიძე 1994 – ვაჟა ლორთქიფანიძე, სამცხე-ჯავახეთი XIX — XXსს. დემოგრაფიული განვითარების პრობლემები, თბ. 1994.
11. მაღლაკელიძე 1939 – შალვა მაღლაკელიძე, ნაწყვეტი ახლო წარსულიდან – მესხეთის გარშემო, ჟურნალი ქართლოსი, 1939, № 30-35.
12. საქ. ცსსა. ფ. 11, საქ. 217; ფურც. 5.
13. ფრონელი 1991 – ალექსანდრე ფრონელი, დიდებული მესხეთი, 1991.
14. ზ. ქუქჩიშვილი, სამეურნეო ყოფა და ტრადიციული კულტურა სამცხე-ჯავახეთში, საკანდიდატო დისერტაცია, 1998წ.
15. ყავრელიშვილი, 2002 – 1918-1921 წლების საქართველოს ისტორიის თურქული ისტორიოგრაფია (საკანდიდათო დისერტაციის ავტორეფერატი), თბილისი, 2002.
16. ЦГООР груз. ССР – ф 2 с, ап.1. д. 217. л. 14-15.
17. ЦГООР груз. ССР – ф 2 8, д. 47. л. 53-54.

# ტექსტები

# ტექსტები

## ასპანიძე ვასო, დაბ. 1925 წ. ასპინძა, სოფ. სარო. (1991 წ.).

### თათრობა

...წაველით აქედან სხვა გზითაო, ეს ხალხი გავდევნეთო. მერე ჯავახეთი მეგვეშველაო. ეს ბალანთა, კოთელიაო, მესხეთის ხალხი მეგვეშველაო და ეჰ თათრები ამ ტერიტორიიდან გავცალეთო. სულ გავცალეთო, ერთი წელი გავანთავისუფლეთ სოფელიო, გავანთავისუფლეთო და ეხლა მეორე შემოსევა რო მოხდაო, ველარ გაუძელით ამას, ველარ დავმაგრდითო და ავდექით და გამოვიარეთ და გავიქეცითო. ხოდა, შემოვიდა თათარიო, ავდექით, შევაბით ურემი, რაც შევძელით, ურმებზე რაც დუდეთ, ეს წავიღეთ, დანარჩენი ყველაფერი დავტოვეთ და გადაველით და წაველით, გადაველით ბაკურიანშიო. ბაკურიანშიცაო, ესე იგი, ზაფხული იქ გავატარეთო. ცხვარი, ძროხა ნაწილი წავასხით, ნაწილი დარჩაო. რაც დავძარით, წავედით, წვრიშვილი ფეხით წავიყვანეთ, აკვანი, რამე და წავედითო. ზაფხული ბაკურიანში გავატარეთო, პური და წყალი ქვონდა, შემოგველია, მოახლოვდა ზამთარი. უკან ვერ დავბრუნდითო, თათარი იყო დაბინავებულიო ჩვენ მიწაზეო, ჩავედითო, ეხლა გარდაბანი ქვია, მაშინ ყარაადას ეძახდნენ. ყარაადა — ქართულათ ნიშნავს შავ საწერელს. ესე იგი, ხალხი ბევრი გაწყდა და შავი საწერელი უწოდეს. ყარაიაში და... ჩვენი ხალხი აქედან... ლონდარიძეები არიან ჭიჭიკაანთ ვეძახდით, ოცდახუთი სული წასულან და ხუთი სული მობრუნდნენ, ესე იგი, იქიდან...

გაჩნდა ტიფი და ამ სოფელმა, ამ ხალხმა, ვინც შეიფარა ეს ხალხი, თავი სახლეფში დააყენეს ზამთრი პერიოდში თათრებმა, ეს ხალხი მოეხმარნენ, კალო გაულეწეს, რამე, და იქ გაატარეს და ავადმყოფობა რომ გაჩნდა, ჩვენი ხალხი გამოდევნეს ამ თათრებმა, გამორეკეს. წამოვიდა ჩვენი ხალხი და გზად დაიხოცა იქიდან, გარდაბნიდან ფეხით, ურმით... ვისაც საქონელი შემორჩა... ზათი, რა შემორჩებოდათ... აღარაფერი არ ებადათ.

იარეს და გზადაგზა მარხეს და დღესაც არ იციან, საფლავი სად არის და ნახევრის ნახევარი ძლივ მოაღწია ამ ჩვენ სოფელში, ჩვენი ხალხი რო

მოვიდა, იმას მერე დაიწყო მუშაობა ჩვენ ხალხმა, ხელახლა მოჰკიდა ხელი ცხოვრებასა და მოკეთდა, მოკეთდა და, ღმერთმა უშველოს, ახალგაზრდა ხარ, რა ვიცი შეიძლება თქვენ გეწყინოს, მაგრამ მესამოცე წლის კაცი ვარ, და მე ნატვრა მაქ, რომ კომინისტურ პარტიას კიდე მოუწიოს და კომინისტური პარტია ჩამოყალიბდეს. იცი, რათა? — ამისთანა წყობა არც მამაჩვენს უნახანს, არც პაპაჩვენს უნახანს. ისინი ნატვრაში დაიხოცნენ. მიწას ამუშავენდნენ და აეს ლოგინი და ეს ვეში იმ ხალხ არ გააჩნდა. აი, სტუმარი რო მუუვიდოდათ, კარი-კარ დადიოდნენ, რო სხვისგან ლოგინი მიეტანათ და ხალხი დიეწვინებინათ.

ამისთანა კარგი წყობა... ახლა დღეს რო ჩვენ ავირიენით და ახლა... მე მერვე კლასი მაქ შვილო, დამთავრებული და ის მაქ წაკითხული, რომ ჩვენმა წინაპარმა აი, ის რო იყო, სულხან-საბა ორბელიანი და კიდევ სხვები, წავიდნენ, რუსებ მუხლი მუუყარეს და დახმარება სთხოვეს. ეს რუსეთმა შეგვინახა ჩვენ ამდენი... ორმოცი წელიწადი, სამოცი წელიწადი, სამოცდაათი წელიწადი...

## ადგილის სახელები

...საროდან რძალი გაუგზავნია. პირიქითში სად'ნა წავიღოო, მამანთილოო, სადილიო და: — აესეო, პირი იქით ქენეო, შვილოო, იარეო და ჩვენი მუშა შეგხვდებაო. პირი იქით ქენეო და წასულა ქალიც. აუტანია, შეხვედრია მუშა, უკითხია, რო ჩვენები სად მუშაობენ. — ამომავალ ადგილ. — რაგორ მოაგენიო, მოხუცებული შეჰკითხია, ამ ადგილსაო? — სახლიდან დედანთილმა დამიბარაო, პირი იქით ქენეო და იარეო და ჩვენები შეგხვდებიანო და დაურქმევიათ პირიქითი.

## ბედისწერა

...მე შვილი დემეღუპა, ცხენმა მამიკლა შვილი და წვერი გასაპარსი მქონდა, დავდიოდი წვერგაუპარსავი და მინდორში როცა მივედი, იქით ხიზაბავრის მწყემსი იყო, ბატკანსა და ხბოს აბალახებდა და, მოხუცებული კაცი იყო პეტრე კალაიჯიშვილი და ამამ მითხრა: — ვასოო, პირ რატ არ იპარსანო და მე უთხარი, ბერიკაცო-მეთქი, არ არი რაღაც მიზანშეწონილი-მეთქი, ჩემი შვილი-მეთქი... მიწაშია ჭია-ღუა სჭანს-მეთქი და მე წვერი გავიპარსო, არ არის კარგი-მეთქი. — არაო, შვილო, შემცთარი ხარო შენაო, შენ ჯობია წვერი გაიპარსოო. მეო პატარა მასალას გეტყვიო.

რა-მეთქი, პეტრე ძია და: — გამჩენელ ღმერთმა ჩამოიარაო და თავის

გაჩენილი სულდგმული, სუყველა დაათვალიერაო, გაიარა ერთ გლეხის კარებზეო, მაცხოვრებლის კარებზეო და შეხედა, რო ერთი გაღორებული კაცი, თავადი გამოსულაო და კარებზეო ხის ჯირკი უგდია და ამ ჯირკს მისცქერიაო, ხის კოჩო გდია კარებზე და ამ კოჩოს მისცქერებია ე კაცი! — რას მისჩერებიხარ, ადამიანის შვილო, მაგასაო და: — მეო, ოქროთ მინდა გადავაქციოო. — ოო, ადამიანისშვილის თვალი არც გამძღარა და არც გაძღებაო. ამოიღო ყავარჯენი, თავისი, გამჩენელმა ღმერთმა და გადაარტყა და ეს კოჩო გადაუქცია ოქროთა. გაიარა და გზაზე შემოხვდა ცოლ-ქმარიო.

ამ კაცმა თქვა, შიადარა თავი სოფლის მაცხოვრებლებ — თედორათ კოღონას ეძახდნენ და ცოლს ნინაჲ ერქვა. ხოდა, ბოვშვი ჩაუყენებიათ ამათა შუაში ორივეს და აქეთ-იქიდან ეფარებიან, ცოტა ამინდი არ ვარგა, წვიმიანი დღეა და ამან გასწია-გამოსწია, გამჩენელ ღმერთმა, და უხრა: ადამიანიშვილო, რა არიო, ამ ბავშვ რო მფარველობას უწევთო. — იესაო, პატარა გვინდაო, რო გავზარდოთო. — ჩემგან რას მოითხოვთ თქვენაო? — არც ცხოვრება გვინდა, არც ქონება გვინდა, არც არაფერი, მარტო ეს გვაჩუქე ჩვენაო. გავზარდოთო, მეტი არაფერი გვინდაო. ესენი გასწია-გამოსწია, ამოიდო ღლიაში და ამ ღარიბებ ეს შვილი წაართვა, — გამჩენელმა. ამ კაცმა რა დამარწმუნა იცი, დიდარს არავინ არ ერევა, ერევა ღარიბს და საწყალს. მფარველობას არავინ არ უწევსო, შვილოო,

ამ კაცმა დამინტკიცა, ღარიბთან საქმე არავის არა აქო, ყველას მდიდართან საქმე აქო, რო: — რაღაცა გამოვგლიჯო, რაღაცა ლუკმა ვისარგებლოო. შენ ტყუილათ თავს ასაწყლან, შენი მტერი ტყვილა იხარანს, შვილო, მაგ შენი წვერი გაუპარსაობით, ჯობია გაიპარსო და შენაო შენ ოჯახ მიხედოო. ამ კაცის სიტყვა ძაან კარგად დამამახსომდა.

რაც ღმერთმა ადამიანს დაუწერაო, იმას ვერ გაექცევაო. საწერელს ვერ გაექცევაო.

იგივე მთქმელი, 2003 წ.

## სოფლის წარსული, პოეზია.

... 1914 წელში, როცა თურქეთის შემოსევა იყო... მაშინა ჩვენი სოფელი ცხოვრონდა აქ, დაბლა. ზევით საროა, საროში არ ცხოვრობდა. საროში როგორ ცხოვრობდა ესე იგი... ოთხი სოფელი იყო, ამას ერქვა ოდანა (ეხლანდელ ნიჯგორს მ. ბ.), ამ სოფელს. იმ სოფელ ერქვა სარო, ზეით სოფელ ერქვა წერკუტა (ასწორებს: წერაკუნტა) და ონისები.

ესე იგი, ონისები იყო, ვინც პირველათ დააარსა, იმ კაც ონისეჲ

ერქვა და ონისები დაარქვეს იმ სოფელსა. ამ ოთხ სოფლიდან მონგოლების შემოსევების შედეგად — (მონგოლებმა ყველაზე მეტად ააოხრა საქართველო, არა თურქეთმა და სპარსეთმა) და ეს ოთხი სოფელი ისე აგავა, რო, თითოულ სოფელში შვიდი და ოთხი ოჯაღი დარჩა. და ამ ოთხი სოფლის მოხუცებულებმა მოლაპარაკება მოაწყეს და შეუთქვეს ერთიმეორეს, რო ერთ ადგილ დასახლებულიყვნენ ესენი. — ცოტა ძალა ქვონდესო, რო შემოსევას ცოტა დავუმაგრდეთო.

სამი სოფელი გაერთიანდა და წერაკუნტამ უარი უთხრა, დიდი სოფელი იყო, რომელზეც დღეს დიდი ეკლესია არი და იმ დროისათვის ცხრა სოფელი ერთ ეკლესიაში შედიოდა... ხოდა ის ეკლესია, იმი კარებები, იმი ქვიები ისევ აწყვია. და ემ წერაკუნტის მაცხოვრებელმა უთხრა, რო თქვენთან ვიქნებიო სიკვდილში და სიცოცხლეშიცაო, ოღონდ ჩემ სოფელ არ გავაუქმებო. და დარჩნენ ეს ხალხი. ზოგი მომრავლდა, ზოგი გადაიხვეწა სხვაგან, სადღაც, დასავლეთში შიაფარა თავი და... დროთა განმავლობაში ამ სოფელ, ოდანასა, მერე შიარქვეს ორმოცი. ორმოცი შიარქვეს და ამაზე პატარა ლეგენდას გეტყვი:

აქ რომ ქალი დავიკარგე,
სპარსელსა თათარ ვყავარო,
ქიშმიშით გასუქებული,
საპარსელსა თათარ ვჰყავარო.
მაცვია ნავთის პერანგი,
ზედ ცეცხლის ღილი მიკერავს
წინ მიდგას ოქროს ტაბაკი,
ზედ (..?.) ხორცი მიდევსა,
მშია და ვერ მიჭამია,
ვერც რჯული გამამიცვლია
რაც უნდა მტანჯო სპარსელო,
მაინც ქართველი ვიქნები
ასე ჩიოდა ქალი,
სპარსეთში დატყვიებული.
ქართლისა ყოველ ვაქაცნო
შეკრიბეთ თითო თუმანი,
დამისხენთ, თქვენი ტყვე ვარო.

ეს როგორ არი, იცი, ნათქვამი, ჩემო ახალაზრდავ, ქალი მოიტაცეს ლეკებმა აქედან, ოდანადან, და გაყიდეს სპარსეთში და ამ ქალმა დაწერა და დედამის, აქედან წაღებული სიმინდი ჰქონდა, და შეხვდა ჩვენი კუთხის კაცი და ეს დანაწერი გამოუგზავნა. და ორმოცში ბატონი ყოლია და მეორე ლექს კიდე გეტყვი:

## ორმოცელ ბატონის განძი

საქართველოს ერთი კუთხე — მესხეთი სახელოვანი,
ძველად ტანჯულ-წამებული, აწ ბაღი ყვავილოვანი.
მესხეთის გული-ზურმუხტი, მთელი სამშობლოს განძია,
შოთა რუსთველის აკვანი, სახელოვანი ვარძია.
აბა ეხლა, შენ ვარძიავ, გაგვაცანი ნაშთი შენი,
პატრაშენში ქორწილი ქნა, მგოსნის მამამ, ჩახრუხელმა,
ვაჟის შეძენა ახარებს, შოთა დაარქვა სახელათ,
შოთას მამას, ჩახრუხელსა, ცხვარი ჰყვანდა ურიცხველი,
მას მეტსახელათ დაარქვეს მთის ბატონი ჩახრუხელი.
ჩახრუხელი მტრებმა მოჰკლეს, ორი ვაჟი დარჩა ობლათ,
მათ პატრონი არვინ ჰყვანდა, ბიძა გახდა იმათ მშობლათ.
ბიძამ შოთა აღსაზრდელათ იანყალთას მიაბარა,
ბიზანტია დაანთავრა, შოთა დაბრუნდა მგოსანი,
შაირებითა მდიდარი,
თამარ მეფემ ვარძიაში შოთა დასვა მოლარეთა,
აქებდა მეფე-თამარსა, მზის და მთვარის მოდარესა,
ორმოცელ ბატონის ქალზე შოთამ თვალი დაიჭირა,
ბიძამ, შოთას განუცხადა: — შოთა უნდა დაქორწილდე
კოდიანთ ბატონის ქალზე.

შოთამ უარი ვერ უთხრა ბიძას და კოდიანთ ბატონის ქალზე დაქორწინდა.

ვარძიიდან მომავალსა წინა ქალი გადაუდგა. (ორმოცელ ბატონის ქალი)

შოთა, შესდექ, შეისვენე, რატომ გახდი მოღალატე,
ქალმა დანა ამოიღო, შოთასაგან ნაჩუქარი,
შოთა ვეღარ გაიმეტა, თავად გამოიჭრა ყელი.

— დიდხანს იდგა შოთა მოღალატეთ იმ ქალის გვერდზე... აემ მიწაწყალზეა ეს...

მერე აქედან, რო გაბლომდა ეს ხალხი, აქედან ადგა და ავიდა და სოფელი სარო დააარსა, აღადგინა. საქართველოს პატრონი გაუჩნდა, ამ კუთხეს მოხედა მეფეებმა და მოიხოჭეს ხალხმა, მარა... აქედან წასული ხალხი ვნახე თეთრწყაროში, სოფელი კლდეისია, ცხოვრონს ჩვიდმეტი ოჯახი, ასპანიძეები არიან ჩემი მოგვარიები და იმან თქვა რო, მამაჩემი წასულა საროდანაო, გაქცევაზე, გადახვეწის დროს და საკუთარი გვარი შეინარჩუნეს.

## თათრობა

...ასეთი დარბევის დრო წავიდა, მოკეთდა ქვეყანა, გენაცვალე, მოიდგა, პატრონი გაუჩნდა ქვეყანას და 1918 წელში, მეორეთ შემოვიდა ქამალ ფაშა, ქამალ ფაშა შომოვიდა, წოდება ქამალი ერქვა...

... (ისევ ძველ დროს უბრუნდება) ეგ დამავიწყდა, მაგ ხანებში, როცა აჭარა გაათათრეს, მამადიანობა მიიღებინეს, ჩემ საკუთარ ბაღშია მეჩითია აშენებული, თათრი სალოცავი. მაშინ ცხოვრობდა ორმოცი ოჯაღი. ორმოცი ეწოდებოდა სოფელს. გამოუგზავნეს ხერთვისიდან მოლა. აქ არი ეს მეჩითი, ჩემ საკუთარ ბაღში არი. ხოდა ხერთვისში იყო ფაშა.

ფაშამ გამოგზავნა მოლა. აუკრძალა ამ ნიჯგორის ხალხს, ორმოცში მაცხოვრებელ ხალხს, თავეთ ეკლესია ალქეთ, წმინდა გიორგია, საყდარია, კარები გადაუკეტა, რო ეკლესიაში არ შესულიყვნენ, ლოცვა არ აღედგინათ და დაავალეს რო ამ მეჩეთში შესულიყვნენ და თათრულათ ელოცათ. ვერ მიეგვივნენ ქართველები და მოლა რო ლოცულობდა, ქართველებმა გაამასხარეს. ამან თავისი კალოში გადაარტყა, გლეხმა თავი ქალამანი გადაარტყა და ეჰ მოლა გაიქცა, ფაშასთან დაიჩივლა: — დიდებულო ფაშაო, ე ხალხი არ მემორჩილებაო.

ფაშამ დაწერა განცხადება ახალციხის მთავარ საფაშოში. მთავარ ფაშამ დაწერა ბძანება, რო: ორმოცში მაცხოვრებელი ყოველი ოჯახის უმფროსი გამოცხადდეს ჩემთან! ამა და ამ რიცხვში. წავიდნენ ეს ხალხი, ოცდაცხრამეტი კაცი წავიდა მოხუცებული, ერთი წავიდა ახალგაზრდა, ვისაც მამა არ ჰყვანდა. ჩავიდნენ იახლეს მთავარ ფაშას. სხედან, აჭარას მამადიანობას აღებინებენ და აყურებინებენ ამ ხალხს.

ეკითხება ფაშა — პატარა ფაშები! — დიდი ფაშა ზის, სავარძელში და: — ღებულონ მამადიანობას თუ არა? თუ იტყოდა აჭარელი, რო — არ მივიღებ! — დაუძახებდა: ჯალათ! — გაიქნევდნენ ხმალ, წააცლიდნენ თავ. გვამი წყალში მიდიოდა, თავებ გვერდზე სტოვებდნენ და ითვლიდნენ. აყურებინეს ჩვენ ხალხსა. მოდგა ჯერი ჩვენებზე. — გდაურო, რატო ხართ წინააღმდეგი, რო მამადიანობა მიიღოთო.

ადგა და ერთი მოხუცებული იახლა ფაშას, მივიდა, კალთაზე აკოცა, ჩოხი კალთაზე: — დიდებულო ფაშაო, რათ გინდა ჩვენი ყრალი სისხლი, მიწაზე დააქციო, გაგვიშვიო, სანამ ჩვენ ცოცხლები ვართ, ჩვენ ეკლესიაში ვილოცოთო, ჩვენი მომავალი თაობა ყველა მივიყვანოთ მეჩეთშიო. ჩვენ ხო ვიცითო, პატარა აზრის ხალხი ხო არა ვართო, დღესაც თურქეთისა ვართ და ხვალაც თურქეთისაო. ჩვენ სად გაგექცევით ამ ქვეყანასაო.

— გდაურო, თუ მომცემ მაგ პირობასა, რო შენი მომავალი თაობა ჩვენ მეჩითში აიზრდებაო, გტოვებდ ჯერ-ჯერობითა, თქვენ ეკლესიაში შეხვიდეთ მოხუცებიო (ძალით გამაჰმადიანების ეს ისტორია დადასტურებულია ისტორიული მესხეთის ყველა ტომის ზეპირ გადმოცემებში,

იხ. ჭიჭინაძე, 2004).

წამოვიდნენ ესენი, დაბრუნდნენ ამ პირობით და გადაარჩინეს თავები და ოჯახის წევრებ დაავალეს, რო ბოვშებ თათრულათ ელოცათ, ესწავლათ რა, სკოლა თათრული იყო და... გავიდა დრო, რა ვიცი წელი გავიდა, ათი წელი გავიდა, თუ რაღაც გავიდა, მოუვიდათ ამბავი, რო აწყვერი განთავისუფლდა, ქართველი შემოვიდა. აწყვერი იყო ცენტრი, მანდ იცვლებოდა პლენი, თურქეთისა და საქართველოსი. გაუხარდათ ამ ხალხს და გაანება ამ მოლამ, ამ ფაშამ თავი ამ ქართველ ხალხს შეეშვნენ. უკვე შეშინებული ქართველები ამ მეჩითს მაინც აღარ შეეხნენ, იმ წლებში, თოთხმეტ წლებში ეს თავი, ამ ქართველობით პატარა შეინარჩუნეს თავი. ხოლოთ ათას ცხრას თვრამეტ წელში ქამალ-ფაშა რო შომოვიდა, გასცა ბრძანება, რო არც ერთმა ქართველმა, მაჰმადიანის გარეშე (მაჰმადიანის გარდა) არ იარსებოს! ჩვენმა ხალღმა... ოსმალმა ის ზარალი არ მიაყენა ჩვენ ქართველ ხალღს, რაც ადგილობრივი, ჩვენი ხუჟანი თათარი ქვეყავდა, გვერდში მაცხოვრებელი, ხუჟანი ერქვა, ხუჟანი...

— ჩვენ ვეძახდით ასე თუ თავის თავს უწოდებდნენ ასე?

ჩვენ ვეძახდით იმათ ხუჟან, იმიტომ რო ეგენი... არამი ფუტკარი რო არი, აი კრაზანა... დაცემა იცოდნენ, თუ ოსმალეთი ომ წამოიწყენდა, ესენი შემოესეოდნენ ამ გლეხობას, სძარცავდნენ.

— ხუჟანი რას ნიშნავს?

— დამცემი და ამაოხრებელი.

ჰოდა, თვრამეტ წელში რო, ესე იგი, შომოვიდა უკვე თურქი, ერთი მოხუცი მომიყვა, რო ღამე დავიძინეთო, შომოდგომა იყოო, მომარაგებული ვიყაით ყველანაირათო და გვეძინა ღამეო და მაშინ მიწური სახლები იყო, სტანდარტი ხო არ იყო... საროში ხდება ესა, აქა... ჰოდა რაღაცა, სეტყვის ფორმაზე მიწას ეცემოდა, ბანებ ეცემოდაო, ჩვენ ვთქვითო, რო ჯეხლა სეტყვას რა უნდა, ამ მომენტშიო, კაცო, ნოემბერი იყო — რაღაც, შემოდგომის ხანი. გამოვედითო, რო ტყვიას ისვრის თურქეთიო. ჩვენ სერებიდან, — სერები გვაქ იქიდან, ხერთვისიდან ამოვიდნენ უკვე ჩვენი სოფელი' ნა აიღონ. ავიღეთ იარაღი, ავისხით და წავედით ღელეზეო, მოუარეთ ამათ. დავარტყით და გადავრეკეთ, გავაცილეთო. სხვა გამოსავალი საქმე აღარ იყოო, იმ ღამეს რაც შეგვეძლოო, ურემზე. — ძველებური ურემი, ხარები ემბა...შემბული, მანქანა არ იყო იმ დროისათვის და, — დავაწყეთ მარტო ლოგინი და პურიო, გზაში რასაც ვიყოფდით (=ვიმყოფინებდით), დანარჩენი ცხოვრება ყველაფერი დავტოვეთო, ცხვარი, ძროხა... — ხო ვერ წავასხენდითო ყველაფერსო. გავიხიზნეთ... გადავიდნენ ბაკურიანში, ბაკურიანის ტყეში.

— როგორი იყო მარშრუტი?

— აქედან რო გავიდა, გადადის მერე: ვარეევანი, ალასტანი, გადადის მოლითზე, ტაბაწყურზე... არა, ტაბაწყურამდე არ ადის, უფრო სწორეთ,

მოკლეზე რო გადავიდეს, იმაზე, აზავრეთ ვეძახით, სომხი სოფელია და გოკიო ხსენებულია ქალაქათ, ადრინდელი და ამ გოკიიდან გადავიდა ბაკურიანში. შეაფარა თავი ტყეს. დაბინავდა ტყეში, ნაძვის ძირებზე, ხი ძირებზე და ზამთარი მოვიდა, თოვლობა დაიწყო, ამათ დახედეს, რო ჩვენ უკან ვეღარ დავბრუნდებით, თათარია უკვე დაბინავებული და გადაწყვიტეს წასულიყვნენ. წავიდნენ ყარაიაზში. ყარაიაზი ერქვა იმას, დღეს არი გარდაბანი. ყარაიაზი რა არი, იცი, თათრული სიტყვა არი და ქართულათ ნიშნავს: შავი საწერელი. შავი საწერელი — რათ დაარქვეს შავი საწერელი: ეს ხალხი რო ჩავიდა ამ ყარაიაში, შეეხიზნა ამ ბორჩალოს თათრებ, შიეხიზნენ და შეიხიზნა, ზოგ ბინა მისცა, ზოგ რაღაცა, აქეთ-იქით და დასახლდნენ ამ ზამთარ აქა. ერთი წელი არაფერი, ორი წელი არაფერი, ამ ხალხ ემსახურებოდნენ, ამათთან ერთათ ლუკმა-პურ სჭანდნენ. გაჩნდა, ბოდიში და ტიფი! იხოცებოდა ხალხი. ეს მოუვლელი ხალხი, ეს ტანგამოუცველელი, ყველაფერი, შიმშილი, რამე და... თათრებმა გაუცხადეს, ამ ბორჩალო(ვ) თათრებმა რო ეხლა აქნაანდი შეგინახეთ, ეხლაო თქვენი ხიზანი იხოცება. და ჩვენ ხიზანსაც არ დავხოცანთო. ადგნენ და წამოვიდნენ ე საწყალი, უბედური ქართველები. გზაზე... ამ ყარაიაზიდან... გზადაგზა აქედან, ჩემ სოფლიდან წასული, ოზდახუთი სული ყოფილა, ჭიჭიკაანთ ეძახიან, ლონდარიძიები არიან გვარათ, ერთ ოჯახიდან წასულა ოზდახუთი სული ხიზანი და ხუთი სული დაბრუნებულა. დანარჩენი გზაში, სადაც მამკვდარა, იქ დაუმარხიათ. დღეს სასაფლაოც არ იციან. მოვიდნენ, რაღა დახვდათ. ზოგი სახლი დამგრეული, საქონელი აღარ იყო, მიწა გაპარტახებული იყო და ასე შიმშილ-შიშის ქვეშ იყვნენ და ღმერთი ყველას დიეხმაროს და რუსეთი დეგვეხმარა. ამით გადავარჩინეთ ჩვენი პატარა ქართველი ხალხი.

— თქვენი ოჯახი იყო გაქცეული?

— სუყველა, მასიურათ გაქცეული იყო და გოკიო არი სოფელი, ადრე ქართველები ყოფილან, ქართველები რო ამოხოცეს, მერე დასახლდა ოსი. ოსმა ვერ იარსება მანდა, მაგ სოფელში. ადგა და ოსი წავიდა შომოვიდა, თარაქამას ვეძახდით, თათრები იყვნენ და აი, როგორც ჩვენთან მეგრელები, რაჭველები და ასეთი ხალხი და თარაქმა ერქვათ მაგათ (თურქული ტომი იყო მ. ბ.) და დაუნდობელი ხალხი, კაციჭამიებ ეძახდნენ, — ეს ხალხი! და ამ წლებში ამ გოკიოს თათარმა ეს სოფლები სულ ააოხრა. ასე გავლით საროდან გადავიდა ძველში. სოფელი ზველია, სადაც ქართველებია... ზველი და ჭობარეთი. მამაკაცი გაიხიზნა, ტყეში, გამოქვაბილში, სადაღაც და ქალი დარჩა. ბოდიში თქვენთან, ამის თქმა არ შეიძლება, მარა მაინც' ნა ვთქვა, ერთ-ერთმა თათარმა, დაუნდობელმა კაცმა, ქართველი ქალი გაატიტვლა, სუყველა! ორი სოფლის ქალი გაატიტვლა, დამკვრელები მოიყვანა და ფერხული ითამაშა, თავის სახალისოთ და თავის გულის მოსაგებათ. ამ წვალებით ამოხოცს ეს

ხალხი, მობრუნდა ეს გოკიოს თათარი, გამოიარა, აქ დადეშ ვეძახით, აწყვიტაა ახლა, ადრე დადეში ერქვა. დადეში ააორხრა — ვერანა დადეში ქვია, იქ კედელი აღარ არი. ეს გამუსრა. სადაც ქართველი იყო, ის სოფელი გაორხრა. ამ ერთმა გოკიომ, ერთმა თარაქამამ! ერთმა სოფელმა! ასეთი ტანჯვა გადაიტანა ჩვენმა ქართველმა ხალხმა, გენაცვალე.

— ადგილობრივი თათრები რა მონაწილეობას იღებდნენ ამ საქმეში?

— რა მონაწილეობას იღებდნენ. ვითომ, თავითზე რო დარჩეს, ფარველობას გვიწევდნენ, მაგრამ ფაქტიურით ჩვენ გვახოცინებდნენ (ჩვენ თავს ახოცინებდენ მ. ბ.), გვყიდამდნენ. აეგ'ნა გითხრა შენ, ეს გოკიოს თარაქამა რო ჩავიდა ზველში, ეს ხალხი გახიზნული იყო და ერთ-ერთი ახალგაზრდა... ცოლი შეირთო, ჯერ მოყვანილი არ ჰყვანდა ოჯახში და ამ მამაკაცებს არ გაყვა ეს ახალგაზრდა ბიჭი, ავიდა და ძველებური ოდა იყო, და იქ ბუხარში დაიმალა. და სოფლის თათარმა დააბეზღა, რო აქაო კაცი იმალებაო, ჩამოიყვანეს და ნაჯახით თავი მოაჭრეს ამ ვაქკაცსა. აესეთი ურთიერთობა ჰქონდა... რას მიკეთებდა. აქ ჩვენთან... ჩვენი ხალხი წავიდნენ, ბოდიში ახლა, ვისაც ლამაზი ქალი ყავდა, ვითომ თქვეს, რო თათრებმა არ გაიტაცონ, არ წაიყვანონ ესაო და ჩაიყვანეს ხერთვისში, მოგობრები ჰყანდათ, თათრებთან. იმათ კარზე მისული ქალი! — რას წარმოადგენს. გინდ ყოფილა, გინდ არა! აესეთ უბედურ დღეში იყო ჩვენი ხალხი, გენაცვალე. და მას მერე, კიდე მას მერე... ეს ხო აღდგა ქვეყანა, პატრონი გაუჩნდა, მარა, ჩვენ ვერ გავდიოდით, მაგათთან... ორი ახალგაზრდა მოდის, მაგ გაქცევის შემდეგ, 1918 წლი შემდეგ. წისქვილიდან მოდიან, ხორბალი დაფქვეს დ მიდიან და დაუხვდნენ თათრები. უთხრეს, შვილო, ვისი ხარ, ამ ერთმა უთხრა, რო მე ლონდარიძე პავლესი ვარ, დედაშენ რა ქვია, და: — მელოდ ჰქვიაო. — წადიო, შვილოო, შენი თავი მელოჰთუნ გვიჩუქნიაო, რო დედაშენმაო ჩვენი ხალხის გვამებსაო, თავის თავშალი დაახურაო. — ეს კოტეენთ პალედ? (მოსაუბრე ეკითხება), — ჰო. — ჩვენი კოტეენთ პალეი!

— თათრის გვამებს დააფარა თავშალი? (მ. ბ.)

— ეხლა რა თათრები იყვნენ, ეგეც'ნა გითხრა. ჩემ სოფელში ცხოვრობდნენ, ამოტოლა სოფელში, ერთმა გვარმა მიიღო მამადიანობა, იყვნენ ორბელიანები გვარათ და მიიღეს მამადიანობა და იყვნენ ჩვენთან ექვსი ოჯახი და რო ნახა, რო თათრებმა ჩვენი ხალხი დახოცეს, ჩვენთან ორმა უტვინომ, შაემა, უტვინო ადამიანმა ეს ორბელიანები ამოხოცეს ოჯახი. ამ ორბელიანებმა ეხვეწნენ, ბიჭოო, ნუ დაგვხოცანთო, თქვენთან დაზდილი ხალხი ვართო, თქვენ ეკლესიაში ვღებულონთ მონაწილეობას და ცოდონი ვართო, არა ქნეს, დახოცეს...

და მეორე ბიჭი იყო, ლონდარიძე არჩილასი, ერთი შვილი ყავდა, ერთი ვაჟიშვილი, — შენ ვისი ხარ და: — ლონდარიძე არჩილასიო. — იმის მამა მონაწილეობდა ამ ორბელიანების დახოცაში და ამას თავი

მოჰკვეთეს და წყალში გადააგდეს, მტკვარში, ბოვში კაცი, თვრამეტ-ცხრამეტი წლის კაცი! ასეთი უბედურობა იყო!

— ეს ორბელიანები თქვენ გახსოვთ?

— კი, ერთი ოჯახი იყო, როცა გაასახლეს. ორმოცდაოთხში რო გაასახლეს, ერთი ოჯახი დარჩა. კვნესით წავიდა ეს კაცი, რო ესე იგი, ჩემი წინაპრის დამხოცელების ჯავრი გამყვაო, რო ეგენი ვერ დავხოცეო, მაინც ამბობდა. ჩვენ კოლექტივში მუშაობდა, მაგრამ ჩვენთან არ ცხოვრობდა, ხერთვისში ცხოვრობდა. ქალის მიწასაც პატრონობდა და თავი მიწასაც პატრონობდა აქ. აესეთი უბედურობა იყო, სანამდისინ აეს კომინისტური პარტია არ ჩამოყალიბდა, ჩვენი შიში და უბედურობა მაინც არ დამთავრებულა, მაინც არ გვქონდა ნდობა, აი, რამხელა ბაღები გვაქ. და ჩვენ არსად გამყიდველი არ ვიყავით, ბაზარზე ვერ გავიდოდით, ახალქალაქის და ბაღდანოვკის სოფლებში ჩვენ ხილ ვერ გავიტანდით. მაგათი შიშით, ჩვენ ღამე გარეთ დარჩენა არ შეგვეძლო და ათას ცხრაას ოცდაცხრამეტი წელი იყო ვგონებ, რო, ესე იგი, ემზადებოდა ქვეყანა საომრადა, ჯარი მიდიოდა ახალქალაქში და არ იცოდნენ ამ ჯარისკაცებმა, ამ ქართველებმა თუ რუსებმა, რო ეს ხერთვისი რას წარმოადგენდა, ღამე დაღალილი ჯარისკაცი შეეხიზნებოდა, მოკლამდნენ, გადააგდენდნენ წყალში და იარაღ იჭერდნენ, ამის გულისათვის.

ათას ცხრაას ორმოცდაოთხ წელში ვმუშაობდი მე რკინის გზაში, რკინიგზა რომ კეთდებოდა...აქ ვმუშაობდით, უკვე ამზადებდნენ ბორჯომიდან აქეთ, ვალემდი უნდა გასულიყო რკინიგზა, რო ამ თათრები გასახლება იოლი ყოფილიყო.

— რამე ლაპარაკი იყო ამათ გასახლებაზე?

— ეგ რა გითხრა: ერთ-ერთ ოჯახში, სოფელი მუგარეთი იყო, ახალციხეს ეკუთვნის, კარგი სოფელი. არცერთ თათრული გვარი არ ქონდა, სუყველა ქართული გვარი იყო, — მუგარეთი, ფერსა და გიორგიწმინდა. ერთი მოხუცებული კაცი იყო, აზიზაჲ ერქვა, თათარი იყო, იმის ოჯახში ვიყაით, თავრობას დაქირავებული ქონდა ბინა და იმ კაცმა ილაპარაკა, რო ჯარი მოდიოდა უკვე ამათ გასახლებისათვის, შომოდიოდა უკვე ჯარი და... ბერიას ჯარები და... ბიძაჩემ უთხრა, რო გაბოო, ეხლაო ჩვენ თათრებსაო უხარიათო, რო ჯარი რო მოდის, თურქეთიდან ომი'ნა დაიწყოსო, მარამაო მე ყველაფერი ვიციო, — რაო, აზიზ, და: — მეო ბაქოშიო მოლა მყანს მეგობარიო, იმამ მითხრაო, რო თქვენ'ნა გაგასახლონ მანდედან, აგყარონ'ნაო და ჯობიაო, შენი ქონება გაყიდო და ჯიბეში ფული ჩაიდოო. და სუყველაფერი გავყიდე, ექვსი მეშოკი სიმინდი მაქ დატოვილი ოჯახისათვისაო. დავრჩიო — ისევ ვიყიდან, არ დავრჩიო და, ეს ფული მე შემრჩება ჯიბეზეო. იმი შვილ ერქვა საროჲ, თავმჯდომარე იყო, ქართველი ქალი ჰყანდა, ვალელი ქალი და მე

უთხარი, — ბიჟო-მეთქვი, საროს რატო გიძახიან, ჩემ სოფლის სახელს-მეთქი და: — მეო საროში ვარ დაბადებული, ათას ცხრაას თვრამეტ წელში და თქვენი ხალხი რო გაიქცაო, ჩვენაო იქ ავრეკეთ ჩვენი საქონელი, თქვენი საქონელი(ს) საკვებით გამოვკვებეთო და იმ სოფელში დავიბადე და დამარქვეს საროო.

— რა გვარები იყვნენ?

— ბერიძიები იყვნენ!

ერთი... ამ ჯარის ნაწილები დაბინავდნენ ამ სოფელში. ერთი ოფიცერი იყო, სტარში ლეიტენატი იყო და ბიძაჩემი ოტკას ყიდავდა, თუთის არაყსა და: — ძიაო, რაზე ჰყიდიო და: — სიმინდზე ვყიდიო. — როგორაო და: — თექვსმეტ კილოთ ვყიდი ერთ ლიტრასაო, — ბიძაჩემა უთხრა. — კაცოო, ნუ ჰყიდი მაგ ოტკასაო, ნუ ფანტავო, — ამ ლეიტენატმა უთხრა. — რატოო და: — ორი დღე მამაცადეო, ჩამომიტანე ეგ თუთის არაყი აქაო და ერთ ლიტრაზე ერთ ტონა სიმინდ გაგატანო. — შენ რაგო'ნა გამატანოო და: — მე გებნევი, მომიტანე საღამოზე ორი ლიტრა არაყიო, ფულ მოქცემ ოღონდ, მე სიმინდი არა მაქო. მივიტანეთ ი ბინაში — რამე და, რო დალია და (მაგარი არაყი იყო ჩვენი, გრადუსი მეტი ქონდა და), იმერელი კაცი იყო — რაჭიდანა ვარო, — იმამ თქვა, რო ძიაო, არ გამყიდოთო და ჩვენ იმიტონ ვართ მოსული, ესენი'ნა გავასახლოთო, აქედან უნა ავყაროთო და ტყუილა ოტკას ნუ გაყიდი შენაო, ჩამოდი ამ სოფელში, რამდენსაც დასძალამ, წაიღე, თუ გინდა აქ დასახლდიო.

— გავიდა ორი დღე და გამოგვიცხადეს, რო, აპა... გამოვიდა ბძანება, რო, აპა, სუყველა წადით ოჯახებში, კინიგზაზე ვინც მუშაონთ. წამოვედით მოველით აქა, საბჭომ გამოგვიცხადა, რო აპა, ორ-ოლი დღის ფულით ასპინძის კლუბში უნდა ჩამოხვიდეთ. ჩამოვედით კლუბში - რამე, დაგვასხვდინეს ამერიკის მანქანებზე, გაგვიშვეს თათრების გასახლებაზე. სოფელი ფანაქეთი იყო, იქ ვიყავი თათრების გასახლებაზე,

ადგილობრივი რაიონის კაცი იყო ზედგინიძე ლადო, დედაჩემის ძმათაშვილი იყო, ჰოდა, ე ლადო ზედგინიძე გვყავდა ჩვენ ხელმძღვანელათ იმ გასახლებაზე და, ღამე რო ავედით, ამდენა მანქანები, ამერიკის მანქანები იყო, „სტუდერი". მაშინ, ვარძიის გზაზე ძლივ ავიდნენ. ავედით, აგარაში გაგვაჩერეს, სოფელი აგარა არის, იქა. გაგვაჩერეს, პა-გრანატრიადის ნაჩალნიკმა, არ დართო ნება შესვლისა, რო ისინიო გრანიცაზე არიანო და ღამე გაგვექცევიანო. გავჩერდით აგარაში ღამე.

რო იშუქა, მამალმა რო იყივლა, შევედით იმ სოფელში, ფანაქეთში. არცერთი ჯარისკაცი არ ჩანდა, არავინ არ იყო. მარტო სოფლის ყარაული იყო. ყარაული დაუძახა. ყარაულ უთხრა, რო აპა, კოლ-მოურნეობის თავმჯდომარე დამიძახე. კოლმეურნეობის თავმჯდომარე დაუძახა, — კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გამგეობის წევრები დაუძახეს,

და უთხრეს, კრება არი, საერთო კრება. მოსახლეობა გააღვიძეთ, ყველა მოვიდეს კრებაზე. ამ კაცმა, ლადომ, ზედგინიძე ლადომ, კაი თათრული იცოდა. თათრებში აზრდილი იყო, ზველში, და მოიყვანეს, სოფელმა იხილა და მოვიდა სუყველა.

ლადომ დააწყნარა ეს აღელებული ხალხი და უთხრა, რო ბორჯომზეით ე ხალხი ყველა უნდა დაჭწიოთ, რო აქედან, თურქეთიდან ომი იწყობა. მოსახლეობა რო არ დაზარალდეს, ამისათვის ჩვენ ეს ხალხი უნდა გავიყვანოთ აქედან. თქვენ რაც აქ ქყავთ, პირუტყვი - რამე არ დახოცოთ, ფუტკარი არ გააფუჭოთ, ყველაფერი იქნება ადგილზე, როგორც სიწყნარე ჩამოყალიბდება ქვეყანაზე, დამშვიდება იქნება, თქვენ ყველაფერი დაგიბრუნდებათ. ორ ოჯახმა ერთ მანქანაზე'ნა დატვირთოთ ვეში, რასაც შესძლეფთ. კრება დამთავრდა და გამოვედით. იხილა ამ თათარმა, ზოგი ფუტკარ ჩხრეკამს, ზოგი საქონელს კლავს, ზოგი ყვირის, ზოგი რა შვება.

ერთ სახლზე ორი ჯარისკაცი აიმართა. ორმოცი ოჯახი იყო და ერთი ჯარისკაცი ბანზე იდგა, ერთი კარებზე იდგა. ორსაათნახევარი ვადა ჰქონდათ. საათნახევარი კი არა, ერთი საათი არ დაუტოვეს. შეყარა რუსმა ხელდახელ, დათოფლა, დაძაგრა მანქანაზე. ვინც მოასწრო, ახლა... ზოგმა ფუტკრი ჩხრეკა დაიწყო, ზოგმა პური გამოაცხო, ზოგმა რაღაც საქონელი დაკლა, ცხვარი-რამე და გარეკეს, წავიდნენ. დაყარეს მანქანებზე, ამდენა მანქანები იყო, თელი რაიონი.

— იქ მთელი სოფელი თათარი იყო, პაპა?

— სულ თლიანათ თათარი იყო: ფანაქეთი, ნიალა, ლებისი, ბეზირხანა, ვანი, ყოინდარა, ტაშლი-ყიშლა... თათრული სოფლები იყო სულ მთლათა, ოღონდა, სადაც გზა არ მივიდა, ურმებით ჩამოყარეს სამანქანო გზამდე და მერე დატვირთეს მანქანებზე.

— საქონელი დარჩა?

— დარჩა და ვინც ვიყავით მიმაგრებული, რამდენიმე მოსახლე იყო, დანაწილებული იყო, რაიონმა შეიმუშავა წინასწარ, რადგან მიღებული ჰქონდათ ბძანება, იმ სოფლი გასახლებაზე. ზოგმა ცხვარი ჩავიბარეთ, ზოგმა ძროხა ჩავიბარეთ, ზოგმა ქათამი ჩავიბარეთ, ზოგმა ცხენები ჩავიბარეთ... მივითვალეთ. მივითვალეთ რა: — თავრობას უნდა მიეღო ეს საქონელი, ეს ლადო ზედგინიძის ხელმძღვანელობით. ახლა ჩვენ ვხარჯავდით იქ თვითნებურათ, რამდენიც გინდა, ვკლავდით, რამეს ვშვებოდით, მარა... განადგურდა ახლა... ვინ იყო იმი პატრონი. თავრობაში ნახევარიც არ ჩასულა: განიავდა ამდენა ქონება, ვინ როგორ დაიტაცა, ვის რა გამოცდილება ჰქონდა. მე ახალგაზრდა ვიყავი მაშინ, ოცი წლისა ვიყავი, ჰოდა, ასეთნაირათ გასახლდა ეს ხალხი და ამოისუნთქა ჩვენმა ხალხმა.

— შეხება გქონდათ თათრებთან გასახლების მომენტში?

— არა, ჩვენ უფლება არ გვქონდა გასაუბრებისა, ოღონდ ლადომ დაგვავალა, რო ჩვენ თათრული ვინც ვიცოდით (ვიცოდი მე თათრული), თათრული ვინც ვიცოდით, ამ რუსებისთუნ უნდა გვეთქვა, რო ეს კაცი რას ამობს. ჯარისკაცი რას ამომდა, ამ თათარს უთარგმნიდით ჩვენა...

— რამე აგრესია, მუქარა იმათი მხრიდან იყო?

— მუქარა იყო, აბა რა იქნებოდა, მიდიოდა კაცი და ყველაფერ... ასე ამბობდნენ, რო ასე იქნება, ჩვენ დავბრუნდეთ, თქვენი აჯიღიდან ამოვიდეთო.

მერე ამ გასახლების შემდეგ დასახლდნენ იქა... შომოვიდა ზოგზოგი კიდე, გზადაგზა სამი-ოთხი კაცი შომოდიოდა და მოვიდნენ აქა, რა თქმა უნდა, ქართველებმა... ჩვენ ახლა მაგალთათ თოლერთა მოქვცეს სოფლი, ტოლოშსა — შალოშეთი და... ესა სასაფლავები და რამე მოსპეს ხალხმა. არ იყო ლამაზი, ახლა, თათარია მარამ... სასაფლაოს ქვიები შეიტანეს, ბოსლები ააშენეს კოლექტივმა - რამე. რო მოდიოდნენ, კვნესოდნენ: — რა დრო იქნება, მოვიდეთ და ჩვენ ვალი გადაგიხადოთო.

— როდის იყო ეს?

— გასახლები მერე, ერთი ათი წლის მერე... სამი და ოთხი კაცი მოდიოდა. შომოდიოდნენ და ბევრმა ოქრო ნახა. შენახულობა წაიღო ბევრმა. აგერ რუსთავიდან წაიღეს, ეს მთავრობამ იცის, აგერ ტაშლი-ყიშლიდან წაიღეს, შალოშეთიდან წაიღეს, ავიდნენ, მეზობელ თხოვეს, კირკა და ლაფატკა, წავიდნენ, გათხარეს ადგილები ნიშანდობლივ, იქიდან დავალებული ჰქონდათ და სასაფლავები რო ნახეს, მაგაზე მუქარას აკეთებდნენ.

— ფანაქეთი თათარი იყო თუ ადგილობრივი?

— სულ თათარი იყო.

— გათათრებული ქართველი?

— არა, თათარი!

— სადაც შერეული მოსახლეობა იყო, იქ როგორ ხდებოდა გასახლება?

— აღწერა იყო.

— გვარები ხო ქართული ჰქონდათ?

— ქართული ჰქონდათ, აბა, თელი მუგარეთი, გიორგიწმინდა, ჭოხტა... ქართული გვარები იყო მთლიანათ.

გვარი ქართული ქონდათ, მარამ ათას ცხრას ოცდათექვსმეტ წელში სახელმწიფოებრივი აღწერა რო იყო, დაკითხვა მიმდინარეობდა, რო ესე იგი, დაკითხვა მიმდინარეობდა, რო: — ეროვნება რა ჩაგიწერო პასპორტში, და მაგათ უარი განაცხადეს, ქართველებმა.

ჩვენი ხალხი, თბილისიდან კომისია ავალდებულებდა, ებნეოდა: — კაცო, შენი წინაპარი იყო ქართველი, დაგიწერო: ეროვნება — ქართველი! — არაო, ჩვენ ქართველები არც ვყოფილვართ და არც ვიქნებითო. — ჩვენაო...

ამათ ეკითხებოდნენ, ხო ქართული გვარები გაქთო და: — ჩვენ იმიტომ გვაქ ქართული გვარები, ჩვენაო რო ქართველები ამოვხოცეთო, ადრეო, ქართველი რო შემოვიდა და გაიმარჯვა, ქართველ ხალხ რუსეთი რო დაეპატრონაო, ამის გულისათვის, რო ჩვენ არ დევეხოცეთ, იმიტომ ქართული გვარები მივიღეთო. ჩვენ თათრები ვართო, მაინც გაიძახდნენ.

მარან (მაგრამ) წეღან გითხარი, ჩვენ კინიგზაზე რო ვიყავი, იმ აზიზამ ილაპარაკა: — ჩვენ ერთი რამე წავაგეთო, ათას ცხრას ოცდა-თექვსმეტ წელშიო რო აღწერა იყო, სახელმწიფოებრივი აღწერაო, ჩვენ თავრობა გვთხოვდაო, რო ქართული ეროვნება ჩეგვეწერა პასპორტებშიო და ჩვენ უარი განვაცხადეთო, აი ამაში წავაგეთ, დიდი დანაშაული ჩავიდინეთო. ჩვენ რო ეროვნება ქართველი დეგვეწერა, დღეს ჩვენი გამსახლებელი არავინ არ იყოო.

კომისია იყო მაგაზე შექმნილი, რაიონული კომისია, რო შიესწავლათ რო არავითარი დანაშაული... ქართველი კაცი არ გიესახლებინათ თათრის ადგილზე. მთლიანათ დადგენილი ყოფილიყო. კომისია ყავდა რაიონ შექმნილი, და დაწერეს ყველაფერი. მარან, თავრობას... დაბადებიდან მაგათი ისტორია დაწერილი ჰქონდა მთლიანათ მარან, უარი ქმნეს ერთხელვე, უარი ქმნეს ქართველობაზე.

არა, ჩვენთან... მაგათთან ძმური კავშირი არაოდეს არ ყოფილა. ვერ ვენდობოდით, არ იყო ნდობა... არ იყო ნდობა. ბოდიში და, ჩვენი ქალი ბაზარში ვერ წავიდოდა. მაშინ რა ბაზარი იყო, ახლა ასე დღეს რო ბაზრობაა, ასეთი ბაზრობა ხო არ იყო. მარა მაინც ხილი და რამე რო წეგვეღო, ჩვენ ვერ გავიდოდით მაგათი შიშით, არ შეილებოდა. წისქვილები იყო ხერთვისში, სოფელი ხერთვისი! ძველთაძველი სოფელია. ძველთაძველი სოფელია, ხერთვისი. შვიდასი ოჯახი ცხოვრობდა ამ სოფელში, შვიდასი ოჯახი თათარი ცხოვრობდა და ამათთან იყო წისქვილი. ოთხი სოფელი ფქვავდა მანდ ხორბალს. რო ჩავდიოდით, მაინც გვეშინოდა. ერთი კაცი ვერ წავიდოდა წისქვილში, ოთხი და ხუთი'ნა წავსულიყავით. ქალი არა! ქალ გარეთ არ ეუშვენდით. ჩვენი ქალი სახლის გარეთ, სოფლის გარეთ ფეხ ვერ გაადგამდა.

თურქეთი დღეს, ახლა, ის თურქეთი აღარ არის, რაც იყო მარამ, როდის იყო... გველი გარედან კანს იცვლის, გულს ხო არ იცვლის, მაგათ მომენტი ნახონ, თორე ხვალაც ასე შემობრუნდებიან. ... ვარგავში თათარი არ ყოფილა. ეგენი, დიდი დრო არ არი, ორი საუკუნეა, რაც ვარგავი დასახლდა.

— (ეკითხება ნათესავი ქალი, იქ შემსწრე) ვასო ძია, თურქი მესხები რო შემოასახლონ, შენ რა გარანტიის იქნები, გაგეხარდება?

— არ გამეხარდება, წინააღმდეგი ვიქნები. რო ვიღაცა მოვიდეს და: — მიმიღებო? (ვიღაცა რო მოვიდეს და მითხრას: — მიმიღებო? მ. ბ.).

ჩამოვიდნენ ერთი, ჩემი ბიძაშვილი, დედაჩემის ძმისშვილი მოკვდა,

ახალგაზრდა ბიჭი იყო შოფერი და ბიძაჩემსა, დედიჩემის ძმას, თათარი ყავდა ნათლია და ის გასახლებული იყო და ტებეეა (დეპეშა) გაუგზავნეს და, ჩამოვიდა გასვენებაზე: — არ არი დიდი ხანი, არი ერთი ათი წელი და ბინალიადი ერქვა ამ თათარსა, კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო, როცა გაასახლეს თათრები. ზველის კოლმეურნეობის თავმჯდომარე. ამ კაცმა გაიკითხა სოფელი: — ხალხო, რო დავბრუნდეთო, მიგვიღენთ თუ არ მიგვიღენთ? ახალგაზრდებმა უთხრეს: — ეგ ერთი პირიდან ამოვივიდა და მეორეთ არ დაძრა კრინტიო. ჩამოხვალთ და თავებს მოგაჭრით, თქვენი რა გვახსოვს კარგიო. არ გაბედოთ ჩამოსვლა, ვერავითარ შემთხვევაში ვერ მიგიღებთო. ჩამოსული ხარ, შენ ცოცხალ არ გაგიშვებდით, მარან გაპატიებთ, შენ ჩვენთან აღზდილი კაცი ხარ, რა გვახსოვს შენი სიკეთეო. წახვალ და იქ ეტყვი შენ იმ ხალხსაო, რო არავინ არ განიზრახოს ეგ საქმეო.

მერე ჩემი მამიდაშვილია, ლომსაძე შოთაი, თქვენ გეცოდინებათ. მაგა(ჰ) დიდი საყვედური დავადე, ჩემი მამიდაშვილის გასვენება იყო თმოგვში და: — მე უთხარი, შოთა, როგორ იკადრე, ჯერ რო მხარი დაუჭირე თათრების ჩამოსახლებას, აი, რატო იკადრე კაცო! მამაშენი და შენი წინაპარი სოფელ ცხეკნელიაში როგორ ამოხოცეს-მეთქი (ცხეკნელა არი სოფელი, გაუქმებულია და ჩუნჩხაში ცხოვრობენ). ბიჭო, მამაშენის და პაპაშენის გადმოცემა აღარ გაქ-მეთქი, თქვენები როგორ დახოცეს... ამოხოცეს ქართველები სულა, ცხეკნელაში სოფელი სულ გააუქმეს. ახლა რა ვიცი, თქვენ ცოტა მძიმეა თქვენთუნ მგზავრობა, თორე აგიყვანთ, ღელეა, წყალი საიდანაც გამოდის ჩვენი. ის გამოქვაბულები რო განახო... ხიები დარჩენილია ისევ კიბისა... აი ციხიები წარმოადგენდნენ — სამი ციხე, სამცხე ეგ არი ძირითადი და ამ ციხიებ რადგან... აიღენდნენ, მესხეთი აღებული ჰქონდათ. ამ გამოქვაბულებში როგორ ავიდა ხალხი...

ერთი ლეგენდა, რო გამოქვაბულში ვინც დახოცეს — დახოცეს, ზოგი ცოცხალი დარჩა და ერთი ქალი დარჩა, აკვნის პატრონი, ბავშვი ყავდა ქორფა და ვერც აკვანი ჩამოიტანა და ვერც თითონ ჩამოვიდა და ღმერთსა სთხოვა: — ღმერთო, ქვად მაქციეო და ეს ქალიო და ეს აკვანიო ქვად გადაიქცაო.

***

თოკში ბეგები იყვნენ. აბაშიძეები, ბატონები იყვნენ და ემ პატარა სოფელ ოთხი ბეგი ჰყავდა. ოთხი ბატონი ჰყავდა. ვარდიციხეს ეძახიან, ორმოცი ჰექტარი მიწაა, ოქროს მოსავალ იძლევა, ისეთი ადგილია და ამ ბატონებს იქ ქონდათ და...

ახალქალაქის სოფლებმა დავა დაიწყეს მაგ ვარდიციხეზე, რო, ეგ

თოკს არ ეკუთნის და ჩვენ გვეკუთნისო — თოკიდან ძაან დაშორებით არი. თბილისიდან იყო კომისია ჩამოსული, შექმნილი იყო, რო ახალქალაქ ეკუთნოდა თუ ასპინძას და მოხუცებულები მიიყვანეს ვარევნიდან და თოკიდან.

თოკში ერთი კოტეჯ იყო, ლეკიშვილი, მოხუცებული კაცი იყო და უთხრეს: — ძია, აეს ვარდიციხე ვის ეკუთნის — თქვენ გეკუთნის, თუ ვარევანს ეკუთნის (ხანდოსაო). — მე რა გითხრა, გენაცვალეო, მინდაო ნასოფლარია, ვარდის ციხე, კოხტა, პატარა გაუქმებული სოფელი, ძველი სოფელი, — ჰოდა: — მე რატ მეკითხებითო, კაცო მანდაო სასაფლაოა, გავთხაროთო, ამოვიღოთო ძვლებიო, წაიღეთო თბილისშიო, გასინჯეთო, თუ სომხი ძვალია, ეგ მიწა, კაცო, მაგათ მიეცითო, თუ ქართველისა, — ჩემიაო!

გაიცინა კომისიამ: ეგ რა სიტყვა თქვი ძიაო. — აბა კაცო, მაგათ რა უნდათ, სომეხიო როდის იყო, პასკევიჩმა ჩამოასახლა, მაგას აქ რა უნდოდა, ვარდისციხეს ეპატრონებაო!

— ეგ კოტემ უთხრა?

— ხო.

— დედასა! ეგ ბიძაჩემი იყო.

— ასე რომ გვჯობნიდნენ ეს თათრები, ეს რისი ბრალი იყო, ფიზიკური ძალის, იარაღისა, სიმრავლის, ერთად ყოფნის თუ...?

— სახენწიფოსი გვეშინოდა. თურქეთის გვეშინოდა. მაგათი კი არ გვეშინოდა. თურქეთისა გვეშინოდა ჩვენ რო მაგათთან ჩხუბი ეგვეტეხა, ის დახმარებას უწევდა იქიდან და აოხრებდა აქაურობას. ეხლა რა იყო: — ჩვენი პატრონი ვინ იყო, გენაცვალე, ღმერთმა და არა ქნას, ეხლა ჩვენი პარლამენტი რო არეულია და ერთიმეორეს ეჯახება, მაგათ ჯარისკაციც ყავთ, მელიციაც მაგათთან არი... მესხეთ რა ჰყავს, — არაფერი, არაფერი არა ჰყანს! — ასე იყო, მეფე სადაც იჯდა. ამის პატრონი ვინ იყო. ...ძალიან მეინტერესება ისტორიის კითხვა, რომან-მომანი — არაფერი!

***

— ქართველებისაგან თათრებზე შურისძიების შემთხვევები იყო?

— ვერ ბედავდა, მაინც ვერ ბედავდა. აი, თავი თვალწინ კაც მოუკლენდნენ და მაინც ზედმეტ სიტყვას ვერ იებნეოდა.

იყო მაინც ვინც ახერხებდა, ვისაც ვაჟკაცობა ქონდა... ერთი ეგ უნდა გითხრათ. ათას ცხრას თვრამეტ წელში რო შემოსევა იყო და ძველ-ჭობარეთის ქალი-რძალი დაატიტვლეს და ათამაშეს, ერთი ვანო არი, რა გვარია, აღარ ვიცი მაგ კაცის გვარი, ჟოტოს ეძახიან ზედმეტათ, აღარ არი ის კაცი, დაიღუპა. ეგ ჯარისკაცი ყოფილა იმ დროისათვის

ნიკოლოზის და (ჭობარელია)... და ერთ ხეოთელ თათარ უთამაშებია ეს ქალი-რძალი და, რო დაბრუნებულა ეს კაცი ჯარიდან, ცხენის დოღში ყოფილა ახალციხეში, ცხენ ათამაშენდა და შემოიარა და იცნომდა ამ ხეოთელ თათარს.

ეს კაცი ზის თათარი და თასმას ატრიალებს, კრიალოსან და უყვება ქართველების აოხრებას და რამეს. კვეხულობს რა, ამ თელ სოფელში. ამ ეოტომაც მაშინ ცხენით შემოიარა და ეს კაცი ზის, რო ლაპარაკობს და გადმოიქნია, ხანჯალი ჰქონდათ, აი, რომლითაც ცხვრი თავს აჭრიდნენ. გაუქნია ამ თათარს, — ნამდვილი ამბავია! — გაუქნია და ამ კაცის თავი ძირს დაეცა და თითონ პატრონი ფეხზე იდგა.

წამოცვივდნენ თათრები და: ანა სენი (თათრული გინება) — ამ მამაძაღლმაო, ამ ღორიჭამიებმაო, როგორ გაბედაო სოფელშიო კაცი მოგვიკლაო. წამოცვივდნენ თელი თათრები და ამ ვანოს წაელალნენ მოსაკლავათ.

ერთი მოხუცებული თეთრწვერა ბერიკაცი ადგა და (ეჩქიმსაიმ... თათრულად ამბობს): — არავინ ხელი არ ახლოთო, ძაღლი იყო და ძაღლურათაც მოკვდა, ითიგ, ით ქიმა გელდი... — თათრულად. მაგას ეგ სიკვდილი ეკუთვნოდაო. — ნუ გეშინია, შვილოო, ადგა და წამოჰყვა და მაჭახეთს ეძახიან, წისქვილები ჰქონდა ჭობარეთ, იქაანდი გამოაცილა და: — ვინც ძუძუ გაწოვა, იმ დედას ვენაცვალეო, ამ თათარმა უთხრა, ალალი იქნიაო (იქნებაო). — როგორ არ იყო შურისძიება!

კარგი არაფერი არ გვახსოვს, გენაცვალე, მაგათგან. არაფერი დადებითი არ გვახსოვს, არაფერი და ერთი რა: აიმ დროს, კომუნისტების დროს სახემწიფო იყო და კიდე უშიშრად ვიყავით, დღეს ეხლა მაგალითათ, არაფრის იმედი აღარა მაქ. ღმერთმა არა ქნას და ხვალ რო თათარმა მოიწადინოს, ვისი... ჯარი მე არა მყანს, იარაღი მე არა მაქ და რით'ნა დავარჩინო თავი. ამათ ხელში ვინ'ნა გადამარჩინოს, ამერიკამ'ნა გადამარჩინოს? ორიათს ჯარისკაცს რო წვრთნის, იმით'ნა დაარჩინოს საქართველომ თავი! აეგ არი, რო დღეს ის შური აღარ არი თურქეთისა და ირანის, რაც ადრე იყო, მარან ეგ მომენტს მაინც ეძებს, მომენტს ეძებს იმიტომ, რო ცოტაოდე ამერიკის ერიდება. რუსეთი საქართველოს მაინც არ დაჰკარგამს. არ დაჰკარგამს. ოღონდ დააჩოქამს, მუხლზე მოიყვანს, საქართველოს ეტყვის, რო როცა ამერიკა გინდოდა და რუსეთი არ გინდოდაო?... მარან მაინც პატრონობას გაუწევს და თათრებ მაინც არ მიჰყიდის საქართველოს, თათრებს... მე ასეთი წარმოდგენა მაქ, ოთხმოცი წლის კაცი ვარ და...

ერკოტა შერეული იყო, როკეთი შერეული იყო, ტოლოში შერეული იყო, ძველი შერეული იყო, ვარევანი (ახალქალაქ ეკუთვნის), — ეგეც შერეული იყო, თოკი შერეული იყო, — ნახევრათ იყო თათარი, ნახევრათ ქართველი.

... სომხებიც გაიქცნენ მაგრამ... აი ხიზაბავრა ავიღოთ, ჩემ გვერდზე

ცხოვრობს, დიდი სოფელია, მაგათ კათოლიკობით გადირჩინეს თავი. კათოლიკობა მიიღეს და რომის პაპმა დაიფარა...

გაიქცნენ, ეგენიც გაიქცნენ (1918 წ. მ. ბ.), მაგრამ როგორც ასეთი, ჩვენთან დარბევა იყო, მაგათთან არ იყო ეგეთი დარბევა. მაგათი, ტურცხი, ბავრა, კარტიგამი, ხულგუმო... ეგენი კათოლიკები იყვნენ, — უდე, არალი. მაგათ კათოლიკობა მიიღეს.

... — დედაჩემი ამბობდა, ზველელი ქალი იყო დედაჩემი თათარი რო შემოვიდა თვრამეტ წელში, მაგათ სოფელი რო აიღეს, თათრებმაო... ...დევრიშიენთ ეძახდნენ, დიდი ბინა ჰქონიათ და ქალი-რძალი ამ ოჯახში შეგვახიზნესო და ჩვენ მფარველობას გვიწევდნენ, ვითომ მფარველი, ყარაული დაგვიყენესო. მარან ბანი მოანგრიესო თათრებმაო, გოკიის თათრებმაო, ზევიდანაო ჩამოკიდავდნენ კაცსაო, რომელი ქალიც მოეწონებოდა, ამოიყვანდნენ, გააუბედურებდნენ, ისევ ჩამოაგდებდნენო.

— ნამდვილად კეთდებოდა ესა (შედარებით ახალგაზრდა თანასოფელი ქალი)?

— აპა, კაცო. როგორ არ კეთდებოდა, კაცო. როგორ არ კეთდებოდა, თეკლე ძალოჷ და ამის მამიდა რო იქ წაიყვანეს, ხერთვისში დამალეს, ახლა თათარმა იმის გულიზა დაიძინა და ის დათ ირწმუნა?

***

ეხლა რო დაანწკრიეს ესე და ტყვია ესროლეს... ეხლა რა იყო: რო გავიდა ეს გოკიის თათარი, გალაგდა, გაეცალა ამ სოფელსა, ერთი კვირის მერე, ათი დღის მერე, ხეოთის საბეოზე იყო ეგ ზველ-ჭობარეთი და ამათა ხეოთიდან კაცი ამოგზავნეს, რო აპა, (თან მიირთვით რამე!) — კაცი ამოგზავნეს, რო ოჯახიდან თითო კაცი ხართ დაბარებული ხეოთში. ამ საწყლებს რაც ებადათ, ტანსაცმელი გამოიცვალეს, ჩაიცვეს და წავიდნენ. გადავიდნენ, მორევას ეძახიან ძველის და ჭობარეთის შუა ადგილია, ვაკე. და თათრები იყვნენ ჩასაფრებული, მუუშვეს ტყვია ამ ქართველებს, ჯერ ტანი გახადეს, ტანსაცმელი — სულ გაატიტვლეს, თლათა. ტანსაცმლის გულისთუნ, ტანსაცმელი წაიღეს, მერე დაიჭირეს, ეს ხალხი დახოცეს, თავები დააჭრეს. ტყვიით კი არ დახოცეს, — თავები დააჭრეს, ხანჯლებითა და ტაპორებითა და სისხლი დაგროვდა და მორევა შეარქვეს, ამ ადგილ ქართველებმა მორევაჷ ერქვა, სადაც ეს ქართველი ხალხი ამოხოცეს.

— ყველაზე მეტად მაინც რომელი სოფლები დაზარალდა ამ დარბევის დროს?

— აი მაგალითათ, წლებს გააჩნია, თვრამეტ წლებში ცოტა იყო დაზარალება, თოთხმეტ წელში დიდი იყო დაზარალება. იმაზე ადრე დიდი იყო, ხო გითხარი, ონისებში, ჩვენი მიწა არი ნასოფლარია, ეკლესია

არი და იმის კაცი არა ჩანს, სად წავიდა. არა ჩანს. წერაკუნტა არი, — ყველაზე დიდი სოფელი ყოფილა. — კაცი არა ჩანს იმისი, სად წავიდა, სად გადაიხვეწა. არავინ აღარ არი. (ვარგავის გვერდზე არიან ეს სოფლები). ჩემ სოფელში, საროს მიწაზე ოთხი სოფელი გაუქმებულია. ოთხი სოფლის კაცი არა ჩანს. და ჩვენი ციხეები, ბრინჯაოს ხანაშია ეს ციხეები აგებული და მეფე დომიტრის დროს არი ჩვენი ეკლესია აგებული, წმინდა მთავარანგელოზი.

## ეკლესია

— ეკლესიაში თუ დადიოდით ახალგაზრდობაში?

— მომიწია. ბიძაჩემი იყო ღვდელი, ასპანიძე ისიდორე. კომუნისტები რო შემოვიდნენ, ზოგიერთმა თავხედმა ადამიანმა ჯერ ეკლესია გაძარცვა, ჩვენ უკვე უყურებდით, მოწაფეები ვიყავით, ბავშვები ვიყავით და გამოიტანეს ეს ხატები, დაჭრეს, გადაყარეს კლდეში... სოფლელებმა, ჩემა სოფლელებმა. დანებით დაჭრეს ხატები და გადაყარეს კლდეზე.

— იმათი ოჯახები აქ ცხოვრობენ?

— ვინმე დარჩაო, შენ ეგ მითხარ. ღმერთმა აანაზღაურა მაგათი ისა. ჰოდა, ეს ღვდელი, ბიძაჩემი მიიყვანეს და ერთი ის იყო, ჩუნჩხელი იყო ლომსაძე, ვასოდ ერქვა, ამ ეკლესიების მოწინააღმდეგე იყო ეგა. ამ ახალციხეს მაგის განკარგულებაში იყო (ეს საქმე). მაგან მიიყვანა ბიძაჩემი და უთხრა, რო ეხლა ათასცხრასოცდათვრამეტი წელია, შენ რო პატიმრობაში არ აგიყვანონ, ჯობია ეკლესიას თავი გაანებო და პირი გაიპარსო. მერე მიიყვანეს პარიკმახერი, პირი გაპარსეს ბიძაჩემ, ეკლესია აუკრძალეს, გასაღები ჩამოართვეს, გაძარცვეს ეკლესია, ყველაფერი და გააპარტახეს.

მარა მე კომკავშირელი ვიყავ, კომიტეტის მდივანიც ვიყავ, პარტიის კანდიდატი ვიყავ და ჩვენთან არი ექვსი მაისი გიორგობა — გიორგობას წავედი და დავალებული მქონდა, ჯიბლაძე იყო ჩვენთან რაიკომის მდივანი და დავალებული მქონდა, რო შაფათობაზე წავსულიყავი, ხერთვის-გესი კეთდებოდა. ვერ წავედი. კომკავშირელები აღარ გვყავდა და... ამის გულიზა გამრიცხეს კომკავშირიდანაც... გამრიცხეს, მითხრეს, რო შენ სამღვდელოება გეკუთნის და არა კომუნისტობაო.

მე მაინც ეკლესია ვირწმუნე... მე რო ეკლესიას ვუვლი, არავინ, კაცმა არ დაიკვეხოს, მე რო ეკლესია მიყვარს. აი, ღვდლებმაც იციან, ვინც ჩამოდიან. მე ძაან პატივ ვცენ ეკლესიას. ... ერთი იყო, ივანიძე კოლაი იყო, აწყვიტიდან იყო, კარგი ისტორიკოსი კაცი იყო. მაგას ერთხელ შევეკითხე ამ ბოლო ხანებში, რო — კოლა, მეთქი, რატო დავუბრუნდით სამღვდელოებას-ჰეთქი, ადრე ხო გააპარტახეთ ეკლესია, დღეს რატო

მობრუნდით-მეთქი. იცი რაო, ვასოო, — ადრეო, ადამიანიო რო განუვითარებელი იყოო, სამღვდელოებამ მათრახი იხმარა, ადამიანი მოარჯულიერაო... და მას მერე რწმენა იყო ხალხშიო (კომუნისტების დროს აღარაფრის რწმენა აღარ იყო)... ერთობა დაკარგა ხალხმაო. დღეს ისევ სამღვდელოებას მოვჰკიდეთ ხელიო. მარან ერთი რა: — როგორც პარტიაში იყო შეპარილი ხალხი, სამღვდელოებაშიც ეგრე იყო, გენაცვალე, ყველა ღვდელი, ღვდელი არ იყო...

***

...თავმჯდომარე იყო კოლმეურნეობისა, ხატი და ეკლესია დაანგრია და მერე რა ვიცი, იმ დროისათვის კიბო არ იცოდნენ რა იყო, — ეს ყელი გაეხვრიტა. ელანჯულ ვეძახდით ჩვენ მაგ დაავადებას. ეს ყელი დაეხვრიტა, პირიდან ასხენდნენ და აქედან გამოდიოდა და ასე მოკვდა და ხალხი აღარ მივიდა გასვენებაზე, სოფლი მოსახლეობა. ერთი იყო კიდე მასწალებელი იყო, კარგი მასწალებელი კაცი, ფიზიკა-მათემატიკის მასწალებელი იყო, რომელმაც ეს ხატები დაშვრა. თითონ დაიღუპა ოჩამჩირეში, შვილიც იქ დაეღუპა. ერთი შვილი ჰყანდა ბორჯომში, ის იმისთანა კაი ვაჟკაცი და კაი დურგალი იყო, ისიც მოკვდა. ესე იგი, იმ კერაზე კაცი აღარ არი. ერთი იყო კიდე, საბჭოს თავმჯდომარე იყო, მოსახლეობას ძაან ამწარებდა. ისიც აესე...

## ტრადიციები

პაპაჩემი ძლიერი მაცხოვრებელი კაცი ყოფილა, დიდი მიწა ჰქონია და ხალხს ამუშავებდა და თითონ ბატონივით ცხოვრობდა. სახელი ჰქონია ძაან განთქმული და, გაზაფხულია, ბაღებში ჩამოვიდა საროდანა, ქვევრებს დაჰკვირდა, ღვინის ჭურებსა და...

რო მიდის, ჩვენ მოგვარესა, ქალი მოუყვანია თმოგიდანა, უფრო სწორეთ აგარიდან. ელეჲ ერქვა იმ ქალს. და ამ ქალსა... ახალგაზრდა ქალია, ახალი მოყვანილი რძალია და, ბოსელი დაუხვეტია, გომური და, გამოსულა, ფეხებს ირეცხავს რა, წყალზე. იქვე კარებზე წყალი ჩამოდიოდა თავის კარებზე და... და ახლა ამ ქალმა ფეხები, ტვიტველა ფეხები აღარ დამალა. მაშინ კაბა კოჭებაანდი უნდა ყოფილიყო, ფეხები დაეფარა და... ამ ქალმა... არ მოერიდა პაპაჩემს.

მოვიდა და პაპაჩემა იმ ღამეს პური, ვახშამი არ ჭამა, გახვიანდა, გული მოუვიდა, შვილებმა უთხრეს, მამა, პური ჭამეო და: — წადი, თქვენი მამაცაო, ჩვენ ლონგოსაო, ძაღლი მოუყვანია, გუშინ შემოვიარე და ფეხები... ტვიტველა ფეხები მიჩვენაო.

**აბულაძე-ხმალაძე ლოლა, დაბ. 1911 წ. ახალქალაქი. სოფ. კოთელია (1991 წ.).**

***

...მერე იქიდან ავდექით, წალკაში წავედით ერთი შვიდი თვე იქ გავატარეთ. მერე ისევ მოვბრუნდით, მოვედით. მერე რუსის ჯარი რო გამოვიდა, უკვე ქართველი ჩადგა, წავიდნენ თათრები. ასეთი ამბავი მოხდა მაშინ... შემოგვივიდა, ხალხს ხოცანდნენ, ადგნენ, ბაკურიანში გაცვივდნენ... აწიოკამდნენ ასე იყო საქმე...

ხანულომდნენ წინათ, თუ გინდა ათი ძროხა ჰყოლოდათ, მაინც ხანულონდნენ, მაინც ერთმანეთში მიყოლ-მოყოლა იყო. ეხლანდელები ხო არ არიან, რო ერთი ძროხა ჰყანთ, ყველა თავისთუნ სწუწანს და აფუქანს. ასე იყო ამბავი, გენაცვალე შენა. მაგალითად, ორნი ხანული ვხდებოდი, მიგქვონდა რძე, მოქვქონდა, ვაჭდონდით, მერე იმაჰ დავაჭდონდით, ვიბრუნამდით. გავაკეთენდი ერთ ვედრო(ჰ) დვაჭდონდით, სავალოს უძახდით; ეს ერთი, ეს ორი, ეს ათი... თხუთმეტანდი მივავალანდით. ახლა ისევ მოვიდოდა, იმ თხუთმეტ გაგვიხდიდა, ახლა ისევ თხუთმეტ მოგვავლანდა. აესე ვიყავით.

## ქორწინება

...გოგოც გასინჯანდა, ბიჭიცა. წავიდოდა ბიჭი, მერე მოვიდოდა მამანთილი, გაათხოვამდნენ, გადიხდიდნენ კამპანიას, დაუძახენდნენ, რა რამდენიმე კაცსა. ერთიც მოვიდოდნენ, ქორწილზე წაიყვანდნენ, მაშინ ნახანდნენ ერთმანეთსა. ვინ განახანდა, რო შენ! ბიჭი მეეყვანათ იქა და... მარტო შორიდან გასინჯამდა, დაინახამდა: — არა უშანს, კაი გოგოა! მერე ეტყოდნენ ამასაც — კაი ბიჭია! ბიჭი წავიდოდა, გოგოც თავი ალაგზე დარჩებოდა, მოვიდოდა მამამთილი იქნებოდა თუ ვინც იქნებოდა, გასცვლიდნენ ბეს. მერე ეს ასე იქნებოდა. მერე პირობას მისცემდნენ, მერე ნიშან მოიტანდნენ, მერე ქორწილობას იზანდნენ, და წაიყვანდნენ...

ნიშანი ასე იყო. როგორც ეხლა რო წავლენ სანახავათ და წაუღებენ კაბებ, რამიებ, გაიგე? — ეგრე მოიტანდნენ კაბას, ნემს, ძაფს, ტუფლებ, პერანგს... ერთ ცხვარ მოიტანდნენ... ესენიც შეუყრიდნენ ხალხსა. აქეიფეს ხალხი აქეთ-იქით — წავიდნენ! მერე პირობა დადეს, რო აპა ქორწილი ამოვალ (ამომავალ) დროს იყოს!

ახლა ჩასუბ უძახდნენ ჩასუბი — ქორწილი, ნა მოსულიყვნენ, რომ გედიეწყვიტათ კიდევ მოიტანდნენ... ერთი ცხვარი მოიყვანეს, ათი ჩარექი

არაყი მოიტანა ჩემმა მამანთილმა, კიდევ სამი-ოთხი კაცი დაუძახეს, კიდევ იქეიფეს, ჭამეს, სვეს და უთხრეს, რომ აპა, გიორგობისთვეს ვეძახდით მაშინ ქართულათ, მერე რაღაცას უძახიან, არ ვიცი, — აპა, გიორგობისთვის შვიდში დაენიშნოთ ქორწილი. მერეც მოვიდნენ, წამიყვანეს.

მე სოფელში ვარ და (კოთელია მ. ბ.) ერკოტაჰ... როკეთშში გავთხოვდი. ძმა არ მყანდა მე და მოვიყვანე დავასიძე აქა. მიშამ ქორწილი გადგვიხადა ჩემ მამანთილმა და მერე ისევ მოვედით აქა. სოფლიჰ გოგო ვარ, სოფელში ვცხოვრობ. ხელათვე წამოველით. ერთი რამდენიმე დღე ვიყავით, ერთი თვეც არ დავრჩი, მოველით აქა. მუშაობა იყო, რამე იყო. ჩემი ქმარი, ჩვენ რო შვილი არ გვყანდა, ინ დროს ისეთი იყო, რო დედისერთა ვისაც ჰყანდა, ჯარში არ მიჰყანდათ, ინდროს.

დედაჩემმა დაიწერა შვილათა. შვილათ დაიწერა დედაჩემმა, რო ჯარში არ წაიყვანონ და მოველით. აბულაძეთ დეეწერა, ჩემი გვარი აბულაძე იყო. მერე იმდენათ მოხერხდა, თქვა რო, მე ჩემი გვარი მინდა! მერე ისევ გადატრიალდა, ხმალაძეთ დიეწერა, დარჩა აქ ერთი წელიწადი ვიცხოვრეთ ერთათ. ოცდაერთი წლისა გავხდი, ათი წლით ჩემზე დიდი იყო ჩემი ქმარი მერე ეს ომი გამოცხადდა, ამ ომში წაიყვანეს და დაიკარქა. ამბავი არაფერი, რაღაც ქაღალდი მოვიდა: — დაიკარქა უგზო-უკლოთ.

***

...რუსის ჯარი რო შემოვიდა, მერე დააყენეს და გახდა კოლექტივები ამ კოლექტივების ამბავს უყვებოდი ბავშვებ, შაჰისმაილის ზღაპარ, ქოროღლის ზღაპარ.

## ქოროღლი (ზღაპარი)

ქოროღლი იყო ერთი კაცი, ძაან ძალიანი კაცი. აექ არი ჩვენი მთები და ამ თიებ შუა ქონდა იმას ბინა. ეხლაც არიან კიდევ ჯაჭვები, ცხენების დასაბმოვი ჯაჭვები და მერე ყოჩაღებ, სულ ყოჩაღებ... ხალხ, კრეფდა. მერე აგრე რო დაბინავდა... იმისთანა ყოჩაღები იყვნენ, რო ფეხი ფეხზე რო დიედგა, კაცს აჰგლიჯანდა, სულ კარებში ეყენა ყარაულები.

ერთი კაი აშიღიც ჰყანდა. ის აშიღი ადგა წავიდა, უთხრა შვებულებაში წავალო, ჩემი ცოლ-შვილი დამნატრულდაო, ადგა, წავიდა. წავიდა ცოლ-შვილში, არ იცი, ჯეელი კაცი, — დარჩა. დრო გაუთავდა, იმამ დააყენა თავი გიქები კარებში, აპა, რო მოვა აშიღი, ფეხი ფეხზე დაადგით, აგლიჯეთ და გადააგდეთ! აღარ შემოუშვათ! ამამაც გამოიარა ერთ

ალაგ, თელი ხანუმი ერქვა იმ ქალსა, იმ ქალთან გამოიარა, იმ ქალმა უთხრა, — ხენწიფის შვილი იყო ვიღაცა, თათრების, უფროსის შვილი იყო. — უთხრა იმღერეო. იმღერა, იმღერა, ქოროღლზე იმღერა, უგვიანდება საწყალ, თან ეშინია, რომ მამკლებენო. მერე ასე მოტრიალდა, რო იმ ქალმა უთხრა, რო: — ემ ქაღალდ წაიღებ და იმ ქოროღლ მუუტან, შენ ნუ გეშინია, ხმას აღარ გაგცენს. ასე დაუწერა, რო შენ ქოროღლი იყავი და მეც ეს ქალი ვიყვე, ჩემი თავშალი შენ გეხუროს შენი ქუდი მე მეხუროს, თუ არ მოხველი და არ წამიყვანე. მერე ადგა, მივიდა ეს აშიღი. მივიდა — გამოქანდნენ რო ეს კაცი'ნა მოკლან. მერე ამამ უთხრა, ერთი ეჰ ქაღალდი ქოროღლ შეუტანოო, და მერეო მამკალითო. ეს რო ქოროღლ შეუტანა და ამ ქოროღლმა წაიკითხა, გადირია ეს კაცი. უთხრა არ მოკლათ, დაანებეთ თავიო. მერე ქალ უთხრა, მობრძანდი აქაო, თავი ცოლ უთხრა, შენ ჩემი ტანთი ჩაიცვიო და მეც შენი ტანთი ჩავიცვაო. მერე ამ ქოროღლმა ქალი ტანთი ჩაიცვა, ამამ კაცის ტანთი ჩაიცვა. რაგორაო, ერთ ქალსა, დაჰკმაყოფილდებიო, რო შენ რო კაცი იყვეო — არაო, ერთს კი არა ხუთს მოვიყვანო.

— აპა, რაკი ეგრეაო, მე ერთი კიდეე უნდა მოვიყვანოო. — მოიყვაო! — მოიყვაო!

მერე ადგა, გაგზავნა თავის გიქები, რომლებიც ყოჩაღები ჰყანდა — აგრე არ არი, მიშა! — მერე წავიდნენ ესენი, მივიდნენ — რას მიხვალ! ამამ ის ქნა, გამოიტაცა ეს ქალი მაგრამ დეედევნენ. ეს ქალი მიიყვანეს, ფუღუროში დამალა. ე კაცი დაიჭირეს.

...ეს ამბავი აღარ მოვიდა, ეს ქალი აღარ მიიყვანეს. ქოროღლმა თქვა, რაღაც ამბავიაო. ადგა და წამოვიდა, წამოვიდა, გამოიარა, მოვიდა ერთ ალაგ ერთი კაცი ყანას გლიჯანს. — რა ამბავი იყო თქვენკენ, რაშია საქმე. — რა'ნა იყოს კაცოო, ქოროღლის კაცი დაიჭირესო და წავიდე'ნა მეეშველო'ნაო. ე ყანა'ნა გადაგლიჯოო.

ამ ქოროღლმა ხელათ შეუსია ხალხი, ეს ყანა გადააგლეჯინა, ე კაცი შემოიჯდინა, წაიყვანა ერთ ალაგსაც გაიარა, ერთი კაცი რაღასაც იმაშვებოდა. — სად გარბიხარო, და: — აი, ქოროღლის კაცი დაუჭერიათ, მეც უნდა მივიდე ერთი-ორიც მე გავცხოო. აი შენი გაცხომაო, ამამ ერთ გიქ უთხრა, რო: — აპა, შენ, გაგლიჯე! დაადგა ფეხი ფეხზე, აგლიჯა და დააგდო. მერე ასე ამიობით მივიდნენ, მივიდნენ, რო: აჰ! — ესეც დაუწვენიათ და უკვე ფეხებიდან დაუწყიათ და ატყაევებენ. მივიდნენ, გაა'შველეს, ჩაერია ქოროღლი. გიქები ბევრი ჰყანდა. მაშინ თოფი არ იყო, არაფერი არ იყო, ძალით იყო.

მერე ეს კაცი გაამთავისუფლეს, წამოვიდნენ. აბა: ქალი სად არი? ქალი აი, ამომავალ ალაგას ფუღუროშია. მერე მოვიდნენ, იქ დასხდნენ, ბინა დაჰკრეს. ეს ცხენი გამოაყენეს, ეს კაციც გამოაყენეს, შეაჯდინეს და წამოიყვანეს, წამოვიდნენ. მივიდნენ, ერთი კარჭი ქეიფი და ლხინი გადიხადეს.

## ხელსაქმე

ჩამოვქსელანდით ქსელსა მერე შიგ გაუყრიდით, ვარანგალას ვეძახდით, რომ ამოიკრიფოს არა, შიგნითა პირი შიგნით დარჩეს, გარე პირი გარეთ დარჩეს. მერე ამას ამოჭკრიფანდით და ჭრელებ ჩამოვაფარანდით სხვა ფარდას, რო იმისგან სახე ემეგვეღო, რო აი ესა, რაგორი გაკეთდება.

ზოგ თავთავ ვაკეთანდით, ზოგ ვარდებ უშლიდით... ეგრე ვქსოვდით ხოლმე, ხოვას ვცემდით, ჩაჭკირკიტანდით, ხოვა იყო, ესე ემხელა იყო, რკინისა, ესე კბილები ჰქონდა, როგორც სავარცხლებს, ადრე და, ასე დავიჭერდით, აესე ჩამოჭკრანდით, მოვქსონდით... აჰა, ეს არი ფარდაგი, აქ გაუყრიდი ვარანგალას. მერე ამასაც ამოვკრიფანდით, გაუყრიდით ნართსა მერე ჩამოვცხენდით ასე, ჩაჯდებაო და, მერე გავშლიდით, ვარდ გამოვიწყებდით, აქედან აგრე აგრიჯას ჩამოვიწყენდით. აგრიჯას ვეძახდით, გვერდზე რო გაუკეთამდით, რა იმას აგრიჯას ვეძახდით. აქ სხვა არშია მიდიოდა, აქ სხვა არშია მიდიოდა, შუაში ლამაზ თავთავ გავაკეთანდით. ყვავილებ დავხატანდით. აგრიჯას ნართით გავაკეთანდით, ასე, ასე — კიბესავით.

ქურდიდებს დავქსელავდით, კიდევ ეგრე ამოვკრიფანდით, ჯერ მოვქსოვდით ერთ თვალს კარქსა, ნახიშს. — როგორს (მ.ბ.)? — ნახიშიან მოვქსოვდით, ლამაზსა, იმაჰ გადავატრიალანდით, ახლა აქეთ სარჩული'ნა მეგვექსვია, მერე ისევ'ნა გადმოტრიალებულიყო, ჭრელი გარედან მოქცეოდა...

***

ფიჩვებსაც ვქსოვდით, ხურჯინებსაც ვქსოვდით, ესე ზოლიან ფარდაგებ ვქსოვდით, ყველაფერ ვქსოვდით, ყველაფერ ვქსოვდით.

ხალიჩა ასე იქსოვებოდა, ასე ხო დავქსელანდით. არა, მერე ამაში გაუყრიდით ვარანგალას, მერე ჩამოვაფარანდით ზედ სხვა ხალიჩას, და იმ ხალიჩაზე დაჭთვლიდით ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი... ძაფი'ნა ჩამოვიდეს. მერე იმას ჩამოვნასკვამდით, იმ ძაფებს, ხუთ ცალ, ვარდიფერსა, იმას წავაჭრამდით, ახლა დაჭკვირდებოდით იმი გვერდზე — შავია. იმ შავ ჩამოუნასკვამდით, ახლა იმ შავსაც წავაჭრიდით... და ასე ვარდები დაიხატებოდა ზედა...

***

მატყლ გავრეცხანდით სატყეპლით, წყალზე, სუფთათ, მერე რო ის გაშრებოდა, მერე გავჩეჩამდით საჩეჩელით, ახლა იმ საჩეჩელში გავჩეჩდით, დავართამდით, დავძახამდით, გავაკეთამდით ხიფებს, მერე წავიღენდით

ქალაქში, შევღებანდით სამღებროში, მოვიტანდით იმასაც და წინდა რაგორიც გვინდოდა, ჭრელ მოვქსოვდით, რაგორ მოვქსოვდით, ყაირიან (თურქ.) წინდებ ვქსოვდით, ძირს სხვას უშვრებოდით, ზეიდან სხვა ძაფ ვატარანდით, ზეიდან კავებ ვაკეთანდით.

ეგენი ბევრი მამიქსოვია. ამოსაწყვეტი ქალი ვიყავი, ყველაფერი მეხერხებოდა. ასეთ ყაირიან წინდებ ვქსოვდი, პლატუკებ ვქარგავდი ბოლუებზე დაქარგილებ გაუკეთებდი კუნწულებში, გარეშემო შემოვარღვევ-დით, მერეშკებ გაუკეთავდით.

კვერცხ ვფუნჯანდით.

კვერცხი ჯერ მანამ არ შეგვეღება არა, იესე გადუჭერდით ოთხნაირად ძაფსა, მერე ის რო შეიღებებოდა, ის ძაფების ალაგი ცარიელაჲ რჩებოდა და მერე იმას გადავაძრონდით, სხვა ძაფ გადვუჭერდით იესე ოთხნაირათ, მერე დავიჭერდით, იესე შემოვქარგანდით წვერზე, გვერდზე შემოვქარ-განდით, ახლა კიდე ყუაზე და მეორე გვერდზე... მერე კიდე ვქარგანდით.

აღდგომას... გარეთ დაფკიდანდით, ბაღებს გაუკეთამდით, ბაღები იყო თუ რა... ი ბაღებ ვეძახდით, ეჭირათ პატარებსა და...

...იყო რო იგივებრივ მატყლ დვრეცხანდით, გავჩეჩანდით, ლეგოს უძახდით, — შავსა და თეთრ აურევდით. დავართავდით კარქა წმინდათ. მერე იმას დავდგანდით ჩურქვას უძახდნენ, — ასე ჩურქვა იყო, ჲესე ქსოვდნენ. დიდი ის ქვონდა, შვილო, ასე ყაისნაღივით. მერე ის მოქსოვდა, მოიტანდა, მერე ჩელტ უძახდნენ, — არ გახსონს ეგენი? — იმ ჩელტზე დააგენდნენ, ცხელ წყალში ჩასდებდნენ იმ მოქსოვილსა, იმ ჩელტზე დასდებდნენ და სთელამდნენ. აქედან ოცი კაცი დაწვებოდა, იქიდან ოცი და ურტყამდნენ ფეხებსა. მოითელებოდა, მევრე გაშვრებოდა (!) და მერე დავჭრიდით შუბებ შეფკერანდით. საროჭკებ ვკერანდით, ბურთიან ჯიბიებ ვუკეთანდით, — ჩოხა-ახალუღები; სუყველაფერ მაგით ვაკეთანდით... კაბებს ვიკერანდით, გვერდებზე აბურკებ გაუკეთანდით, ოთხ-ოთხ აბურკას გვერდებში, თითო აბურკას ზეიდან გაუკეთანდით. ოფიცერ ვეძახდით, ასე მიტკალ შევკერანდით, წვრილ-წვრილ, მერე ჩავკერანდით, ჩავკერანდით, ამაზე ბურბუშელებ გაუკეთანდით. — აეგრე ვაკეთანდით წინათ. მე გამიკეთებია ეს სუყველაფერი! ჩემ შვილებმა ორივემაც იციან, ერთი თოკში მყანს და ერთი ტყემლანაში. დაჭრაც იციან, შეკერაც იციან...

## მეურნეობა, ოჯახი

მაშინ უკეთესი ამბავი იყო.

შენ წახვიდოდი, შენ ყანას დასთესამდი... გაზაფხული მოვიდოდა, დავთესამდით, მომკის დრო მოვიდოდა, მოვმკიდით მოვიტანდით. კევრები იყო წინათ. ხარები იყო. შევაბემდით, იმ კევრით, გავლეწამდით. — შენ-

შენი საქონელი! თუ გინდა ზეით გეგელეწა, თუგინდ გვიან გეგელეწა... პურსა გამოვიღენდით, ჩავყრიდით ბეღელში, ბზესაც ამოვიტანდით, ჩავყრიდით საბძელში, ...და მოვისვენებდით. იმთავით ადრიან ავდგებოდით, წავიდოდით, მინდვრიდან ბზას მოვიტანდით, მაშინ ურმები იყო. კიდევ გავშლიდით კალოზე. უქცევდით ფიწლები ქვონდა, ცხავები ქვონდა — რო ვაცხავანდით, ცხრილები ქვონდა რო ვაკეთანდით...

საქონელი ბევრი ჰყანდათ. ყველ შემოდგომაზე თითო კაი ხარ დაჰკლანდნენ, თითო ძროხაჰ დაჰკლანდნენ, ფასტურმებ აკეთანდნენ, ასეთი პატივისცემა არ იყო... (ზამთარში რას აკეთებდით?).

...ზამთარშიც ეგრე... ბუმბულ გავარჩევდით, დაუძახენდით ქალებსა, მოჩეჩ შეჭყრიდით, რო — მატყლ მარტო ხო ვერ გავჩეჩანდით! ერთ ათ ქალ დაუძახანდით, გავჩეჩანდით... მერე ვართანდით. მეზობლებში შევდიოდით, ერთმანეთთან ლამაზათ ვლაპარაკონდით, ვაკეთანდით! — ეხლა ვიღა! ბუმბული რჩევის დროს ვიტყოდით: — მუშა დაუძახოთ! — მუშას დაუძახანდით, ცხრა-ათ ქალ და დასხდებოდნენ, იცინოდნენ, ლაპარაკონდნენ, თან ბუმბულ პუტკამდნენ — დართვაზე?

— არა დართვაზე არავის არ უძახდნენ, დართვაზე თითონ ოჯახი... მარტო გაჩეჩაზე უძახდით მოჩეჩსა, საჩეჩლები ედგათ ამხელა და გაჰქონდა ბრაგა-ბრუგი, სჩეჩანდნენ... სადილ ვაჭმევდით, სამხარ ვაჭმევდით, ვახშამ ვაჭმევდით და დავიფანტებოდით სიცილ-ხუმრობით.

...დედანთილ-მამანთილი მყანდა, მყანდნენ მაგრამ ისინი ცალკე იყვნენ. ხო გეუბნები, როკეთში ცხოვრონდნენ და მე აქ კოთელიელი ვარ. დედა მყანდა მოხუცი, მერე დედაჩემი შვილებს მიეკიდა და მეც დავდიოდი (მე კი) და ვწვალონდი და გავზარდე, შენც გენაცვალე და ჩემ შვილებსაცა. გვერდიც (= მეუღლე) კარქი შემხვდა, შვილები კაი შვილები დავზარდე, და ამ ბოლო დროს მეც კარქათ ვარ. ორი გოგო მყანს და ორი ბიჭი. დიდ შვილს ქვია თემურაჲ, მეორეს ქვია გურამი, რომელთანაც მე ვარ, გოგვიებსაც დიდ ქვია ციალაჲ, მეორეს ქვია რუსიკოჲ.

## ზღაპარი

იყო ერთი კაცი, აშიღი იყო, განთქმული აშიღი იყო, ზენგინათაც ცხოვრონდა. ერთი ბიჭი ჰყანდა, ერთიც გოგო ჰყანდა. ერთი მოტრიალდა და მოხდა რო, იმამ ჭირი მოგვჭამა სუყველას. მოკვდა, დარჩა ე ბიჭი. მანამ ქონება ჰქონდა, აქეთ ფანტა — იქით ფანტა, ბიჭობა მოჭამა, დარჩა შიერ-წყურვალი, ერთი კიდევა და ჰყანდა. და ასე მოხდა, რო ამას მიეცა ფუთა — სიზმრათ ნახა და ერთი ოქროს თასი მისცეს და სიმღერებიც ასწავლეს — სიზმარში! მერე ამამ მივიდა აშიღებთან, აქეთ დადიოდა, იქით დადიოდა, შემოგლეჯილი-შემოგლეჯილი, გაფუხარავდა,

გაუბედურდა-რაღა. ამ აშიღებმა დახედეს, ბიჯო — ეს ვიღანცა არი (არ ისმის)...

აშიღყარილი! — აშგღყარილი თათრული სიტყვა არი. ამ იმათ, (აშიღებმა) თქვენს, რო ეს ვინ არი, რო ეს ჩვენზე წინ მღერონს, ლაპარაკონს. — კაი ხმა ა̄ქ და კაი სიმღერებსაც ამონს! ამათ თქვენს, თუ ეს არ მოვიშორეთ, ეს ჩვენ თავში გადაგვადგება და ჩვენ დავიღუპებით. ამას უთხრეს რო, — აპა, ასეთი სიმღერები რო იცი შენა, ჩვენც უნდა წავიდეთ, და შენც წამოგვყევი, ქალაქში წავიდეთ, თფილიში. თბილიში წავიდეთ! — ამამაც მოვიდა, დედამის უთხრა, დედა! თფილიში მივდივართ ცხენი-მენი გაამზადე! — ერთი ცხენი ჰყა̄ნს საწყალ, რაღაც ორი ხელი ლოგინი ა̄ქ, აღარაფერი, აღარაფერი აღარ ა̄ქ, სულ შეჭამეს. ამ დედამისმა უთხრა, შვილო, სად'ნა წავიდეთ, შიერ-წყურვალი, კაპიკი ფული ჩვენ არა გვაქ, ლოგინი ჩვენ არა გვაქ, ტანსაცმელი...

— ოჰ! მე'ნა წავიდე! ამამ ადგა ინთავით, მამალმა რო იყივლა, გამოიტანა, აჰკიდა ცხენსა და დადგა, დედა გამოიყვანა და: წავიდეთ!

— ...მოდიხარ?

— არა... გადავიფიქრე, თუ წახვალ, შენ წადი! ამამ თქვა̄, რაკი გზაზე გაველი, მაგისთვის უკან აღარ დავბრუნდები, ადგა და წავიდა თბილიში! ჩავიდა, თბილიში, ისე დიდი ავდარი! დაუბედურდნენ, ტვიტლები, შიშვლები, საცოდავათ თბილისის გვერდში მივიდნენ, მაგრამ ვერც გაუბედია, რო ვისთან შევიდეს! ვისთან მივიდეს. ერთი კაცი, ყოჩაღი კაცი შეხვდა, ბედზე. — აბა, ვინა ხარ, რა კაცი ხა̄რ? — არაფერი, ერთი უბრალო კაცი ვა̄რ, ემრაინი მართალი (?), ჩამოველი აქა, აპა, სად შევეფარო, სად შევიდე... — მობრძანდი, მობრძანდი. მიიყვანს ქოხში შეჰყანს, — ადგა წავიდა.

(არ ისმის) ...ამ კაცმა მიაკითხა... — ეს რა კაცი იყო, ეს ვინ იყო... მივიდა, მიაკითხა უთხრა ამ კაცმა: — არაფერი ისეთიო, ცოტა რაღაცას სიმღერა-რამე ვიციო... (ძალიან კარქი იყო, დალი-მუსტაფაი ერქვა ი კაცსა). ამ კაცმა ამას ძმობა გაუწია, წაიყვანა ხაღახანაში, ლაპარაკი-რამე აქეთ, იქით. არ იტყვი, თურმე აშიღებიც ჩამოსულან... და ყველა აშიღებისთუნ, ისეთი უფროსი აშიღები ჩამოსულან, რო ყველა აშიღებისთუნ საზები დაუყრევინებიათ და სხედან ისე. ამამ შეიყვანა, ამ დალი მუსტაფამ შეიყვანა; — აპა, რა თქვენი საქმეა, რა კაციც არისო, ამამ'ნა იმღეროსო!

— მაგ ტილიანმა, მაგ მურტალმა, ვისთან'ნა იმღეროს. იმღერა ამამ, იმღერა, იმღერა... — სუყველა გააგიჟა და იმ უმფროს უთხრა, რომელიც რო იმითი მოთავე იყო გაიგე, და ყველას საზები დააყრევინა: — ხათრი არ დაგრჩეს და საზ ჩამოგაგდებინამო.

— არ დამრჩება, შენ იმღერეო!

ამამ იმღერა, რო (ისე იმღერა, რომ) სუყველას საზები დააყრევინა

და მაშინ დაუკრეს ტაში, გადაჰკოცნა ამ მუსტაფამა და თქვა: — მალადეც შენაო!

მერე სუყველას რო თავიეთ საზები დაურიგა, ამამ ერთი კაი საზი აიღო, დაღამდა, — გამოიარა, წამოვიდა.

ამამ გაითქვა სახელი. არ იტყვი, რო შაჰ-სალამი მაგი შეყვარებული ყოფილა, იმასაც ამ თასის თავსახურავი ჰქონია, (...), უმფროსის გოგოა, გაიგე, თბილიში. გაიგო ამ გოგომ რო ასეთი-ასეთი მოსულა, ამრაინათ არი, ასე არი, წავიდნენ, მოაყვავინა, ამღერეს... ამ გოგომ დაჰხედა, რო ეს ჩემი ფუთა, რო მე მესიზმრა, ეს არი ნამდვილათ ჩემი საბედოო. ამას, თასი-მასი... ამამ პირობა მისცა ამ გოგომ.

ამამ უთხრა, რო მეო ფუხარა ვარო, ... — არაო, შენ მე წამოგყვებიო და ერთ გუდა ოქროს მოქცემო, მამაჩემ ბევრი ქონება აქო. ერთ გუდა ოქროს მოქცემო და წადიო და მამაჩემიო რასაც მოქთხოვსო, (წინათ ბაშლული იცოდნენ თათრებმა) და შენ ამით ყველაფერი იყიდე ბაშლულის მეტიო და მეო რო წამიყვანო, მაშინ გავბენზინგდებიო. ამ კაცსაც დაუჯდა ჭკუაში! ადგა წამოიყვანა, მოვიდა. ამ მამაძაღლ, ერთი მეორე იყო, ნადირშაი (ნადირ შაჰი) ერქვა, თურმე იმასაც უნდა ეს შაჰ-სალამი. ნადირშაჲ ერქვა, სხვა კაცი იყო, თბილისელი. მაგრამ ეს დალი-მუსტაფაი იფრო გიჟი იყო, ყველას თავ მოსდიოდა და ის წყნარი კაცი იყო.

მერე ამამ თქვა წავიდე... ერთ ოჯახში ოქრო მისცა, რო, ფექეთ'ნა ჩამოიაროს აშიღ-ყარიბმაო და აეს ოქრო თქვენაო და ცოლ-ქმარმა ერთმანეთი ცემეთო, რო, უი, მეხი დაგეცაო, ჩემ მზითებზე ხარ მოსულიო, ჩემ ოჯახში ხარ მოსულიო, ასე ხარ, ისე ხარო და რო ჩამოივლის, იმაჰ გააგონეთ ეს ლაპარაკიო. ე რო ჩამოივლის და ე ქალი და კაცი იბრძვიან. ე ქალი ებნება, — მეხი დაგეცაო, მოხველიო ჩემ ქონებაზეო, ჩემ ქონებით ცხოვრობო, ამ აშიღ-ყარიბმა თქვა, ბიქოო, ჩემი ცოლიც რო მოვიყვანო შაჰ-სალამი, იმამაც რო ასე მითხრას, ჩემი ცხოვრებით მამიყვანე! — მე რაღა კაცი ვარ! — არ მინდა! ამ იმას უთხრა, მუსტაფას რო... მუსტაფას უთხრა რო, აპა, მე ნა წავიდე სამუშაოთ სხვათა ქეეყანაში.

მურჯიკნელი მალაქია, ახალქალაქი, ბარალეთი. დაბ. 1905 წ. (1991 წ.)

***

... ვინ არი?
— ჩემი ქმარიო!
ციხის სანგრევად წასულა,
ზედ დასწოლია ქვანიო.

მახარობელი მოვიდა,
ქალო მოგიკვდა ქმარიო.
სამახარობლო ვაჩუქე
სამასი სული ცხვარიო.
იმასაც არ დამჯერდა,
გაუგდე ნიშა ხარიო,
იმასაც არ დამჯერდა,
დავადე ჩემი თავიო! — ცოლად წაჰყვა.

## შავნაბადა

ათას ხუთას ორმოცდარვა თუ ორმოცდათვრამეტ წლებში, აქა, ჯავახეთში, ახალქალაქის ტერიტორიაზე, კარწახის იქითა. (არ ისმინება). ვარძიაც ხო ჯავახეთი იყო... მანდ ჩხუბობდნენ, ეს ჩვენი სოფელი... დიდი ციხე ჰქონდათ; ეკლესიასა... ეკლესია იყო შიგა, ციხე ჰქონდა მაგ ციხეში იყვნენ ირანელები. პერსიის ხალხი. პერსიის ხალხი იყო მანდა და თურქებმა დაუშინეს მანდა. ჩხუბი მოხდა, კარწახის იქიდან, ჩგრდილი რო არი, თუ გაგიგიათ რამე, მანდა და... მერე დასძალეს ამ თურქებმა, აჯობეს. ამ ჩვენ სოფელში იყვნენ დაბინავებული და ეგენიც მოისპნენ, წავიდნენ. მერე, შენ ხარ ჩემი ბატონი, ის ქნა, თურქებმა შეისქნეს, დაიწყეს მომზადება, საქართველოს დაპყრობა უნდოდათ. საქართველოს დაპყრობა უნდოდათ, და ათას ხუთას სამოცდათვრამეტ წელს დაიყპრეს ეს მესხეთი, ჯავახეთი, აჭარა, სულ თურქების ხელში იყო. თურქებმა ჩაიგდეს ხელში. ეგ ვერ ვთქვი წეღანა: — ვარძიის კარი რკინის კარი იყო და პერსიელებმა წაიღეს. გაუქმდა ვარძია, არაფრათ არ იყო, ცხენებ ამბამდნენ, რას შვრებოდნენ. თურქები იყვნენ შიგა... პასკევიჩი რო შემოვიდა, გაათავისუფლა ეს ვარძია, ესენი... გაანთავისუფლა პასკევიჩმა ათასრვაას ოცდარვა წელსა... ეს ვარძია უქმათ იყო. მერე გაწმინდეს, გაასუფთავეს, ათას რვაას ორმოცდათოთხმეტ წელს აკურთხეს ეს ვარძია. აკურთხეს და იქიდან... მანგლისიდან წამოვიდნენ ერთი პარტია ხალხი. სალოცავათა, ვარძიობას გაუსხნიათ და უკურთხებიათ. ამოვიდნენ და შავნაბადას რო უძახიან, მთა არი, კოთელიის იქიდანა... შავნაბადაჲ იყო ერთი კაჩაღი. შავი ნაბადი ჰქონდა, შავნაბადას უძახდნენ, რო შემოვიდნენ ისინი, მანგლისიდან რო მოვიდნენ, შენიშნა ზეიდან, გაჩერდნენ ეს ხალხი, მანგლისის ხალხი, გაჩერდნენ და... მაწონი ჰქონდა ამ შავნაბადასა. დიდი კლდე იყო, ქვა იყო. ამ იმაზე, ქვაზე — გადააქცია მაწონი და: ...ბიჭო, ბიჭო, ბიჭო! — და გადაწვა იესე. გადაწვა ესე და თქვა: — ყორანი იყო რაღაცაო, აი თეთრიო, თეთრიო, სკინტლაო სკინტლიო, ბოდიში და, სკინტლიო.

მერე, წამოვიდნენ, — წამოვიდნენ, მოვიდნენ, ჩამოვიდა — პირდაპირ დაუდგა წინა. — რომელი იყავითო, მე შამამცინეთო. დიაკვანის შვილი იყო ერთი: — მეო ჩემ დღეშიო ტვიტელა ფეხი მიწაზე არ დამიდგიაო, ეესე ვიცხოვრე თავისი მოდგმაო. — შეედა, გაახდევინა ფეხები, შეედა ამაზე, ამ კაცზე და ის ქნა, — იარა.

კაჟიანი ქვა არი, კევრის ქვას ვეძახით, შავი ქვა არი, გაიგე, კევრებს - რამე, კალოს რო ლეწამენ ხოლმე... ქარხანა არი მანდა და იმაში ფეხები სულ სისხლი გაუხდა. თვალიდან წამოუვიდა ცრემლები. კიდევ ვერ ხედავო? — ვერაო. კარქი, ვერ ხედამ, ვერ ხედამ! მერე მივიდა ქალ ტანისამოსი ეცვა, გახადა, ფული წართვა. მივიდა ხურჯინები გასხნა, — რას გასხნი! — ვიჩინა არი გაყვითლებული... და თვალი წაუვიდა ვიჩინაზე, ჭამოს'ნა ეეხლა ეს ვიჩინა, მაჭმადიანი თათარია, რჯული არ აძლევს.

ჭოდა, ამოიღო ხმალი და მისცა იმასა, დიაკვნი შვილსა: — ძალათი მაჭამეო, — აი, ღმერთოო, ეებნევა ეს თათარი. თათარმა ხელი გაუწვდინა, იმასა, შენაბადასა, ღმერთო, აი, ეს გდაურებიო, გდაურებიო რას მიშვრებიანო — ღორის ხორცს ძალათი მაჭმევენო, ღმერთოო, ცოდვათ არ მიიღოო — და სჭანს, სჭანს, სჭანს... ესე იგი, თვითონ თვალი წაუვიდა — არაფერი და ვითამ იმის პირი ჭამს. — ძალით მაჭმევენო გდაურებიო — ქართველი გდაური იყო — გდურებიო, ძალით მაჭმევენო ღორის ხორცსაო.

ამ კაცმა ერთი უთხრა: ჭამე, ძაღლო, თავ გაგაგდებინამ! ჭამე, ძაღლო, თავ გაგაგდებინამ! ამ კაცმა თქვა, კაცო... სულ ჩვენი ხალხი ვართ, ადგა მართლა თავი გააგდებინა. გაგდებინა თავი, ყველამ თავის ბეჭდები წაიღო, თავის ფული წაიღო, თავის კაბა წაიღო, ფეხსაცმელი — რაც იყო, რაც წიერთმია. ადგნენ და წამოვიდნენ ვარძიაში. ეგენი მოდიან ცამეტ აგვისტოს. მოვიდნენ, კოთელია(ჰ)'ნა დარჩენილიყვნენ ღამე, თოთხმეტში'ნა გასულიყვნენ ვარძიაში. ერთი-ორი დღით წინ წამოვიდნენ, შორს იყო. დაიყარა ხმა, რო, შავნაბადა მოუკლიათო, გაიგე, და ამამ, მაკრომ იცის, ციცწყალას ვეძახით, პატარა სოფელი იყო მანდა. მანდა ორ ქალ ჰყვარონდა ეგ შავნაბადა... იმაში მინახია, როკეთში, თავღორა ურმები, თავი ისა აქ, — დატენული და გოგრები აქ. იმერეთშიც არიან ეგ ურმები, მარხილები. მაგით ჩამოატარეს და საყვარელი გამოვიდა და ლექსი უთხრა:

შავნაბადაჯან, გიყვარდა,
ტაფაში ნამწვავი ხავიწი,
შენ რო მარხილში მოჰყავდი
მე სირცხვილით დავიწვი!
ამ ქალმა დაამღერა.

მაკრო: — აი, ჯავახეთზე უთხარი, თათარი რო შემოესია, ბოსელში რო დააბინავეს, მარინეს ბოსელში... ბრუდეთ რო ჩააბეს ხალხი, აი ისინი მოყევი.

რა გითხრა, შვილო. ეგ მოხდა, გენაცვალე ათას ცხრაას თვრამეტ წელს იყო. თვრამეტ წელს იყო ათას რვაას. ეგ იყო, თებერვალი იყო. თებერვალი იყო რო დაიწყეს ჩხუბი. ჩვენი ხალხი წავიდა, სომხები იყვნენ კუმურდოსი... ეჭირათ პოსტი სომხებსა. ჩვენ ქართველებსა, ჩვენებურ ქართველებსაცა, საროში ეჭირათ პოსტი. ნამდვილია, საროში. საროში ეჭირათ. ჩვენ იარაღი არ გვქონდა. სომხებმა საწყობი გატეხეს, ნიკოლოზის, გამოიტანეს. ანჯახ, იმათაც შეიძლება ხელი შეუწყვეს, რა ვიცი, როგორც ფეხლა უწყობს ხელს გარაბაჩოვი, ოსებსა და აფხაზებსა...

მერე ჩვენები წავიდნენ, ბიძაჩემი ლავრენტაჲ, მზექალას მამა... კოთელიელები ბევრნი იყვნენ თბილისში წავიდნენ, თბილისიდან მოიტანეს იარაღი. საკოჭავ ეტყვიან, ადიგენის იქიდან არის, სადგურია მანდა, მანდ გაიტანეს ეს იარაღი... ასე აბანუებზე ჩავიდნენ, აბანოებიდან ციხიჯვარზე, ციხიჯვარიდან მოვიდნენ, იარაღი აიღეს და ვისაც ემსახურა, იმას ვინტოვკა მისცეს ხუთსროლიანი, ვისაც არ ემსახურა, — ბერდენკები მისცეს. ჰოდა, ზოგმა წამოიღო სამი-ოთხი, ვისაც რა შეეძლო. ტყვია-წამალი კი, ტყვია-წამალი, პატრონა-რამე, ეგა ურნაშეთში იყვნენ კურტანიან ცხენებს ამუშავებდნენ, დაიქირავეს და იმ ცხენებით ამოიტანეს.

საროში იყო მანდ პოსტი, მამულაანთ ლესოჲ, ლესოჲ ხო იცი მამულაანთი, მამულაანთ ლესოჲ, იცი, როგორ არ იცი, გვილინაზას ქმარი, როგორ არ იცი, ეგ იყო, ნიკოლოზის ის იყო, აფიცერი იყო. აფიცერი ეგ იყო და კამანდას ეგ აძლევდა. ისეთი ხმა ჰქონდა, მაღლიდან რო გასცემდა კამანდას და ღელეს გუგუნი გაჰქონდა და მაგას ჰყამდა, ერთი კაცი საჭირო იყო აფიცერზე, რო პური მოუტანოს, ფეხები გაუწმინდოს, პირი დააბავინოს, პოსტზე არ დადგეს ღამე, არ იწვალოს, არაფერი... თავი ბიძაშვილი წაიყვანა, გარექილაჲ, მამულაანთ გარექილაჲ, ის წაიყვანა. კერძ აკეთამდნენ, თუთილ კულაკ და თუთილ წაუღენდა, აფიცერ აჭმევდა, თითონაც ჭამდა ხოლმე. ეგრე დაიწყეს.

გოკიოს მოიტანეს აქა ზარბაზნები, გოკიოში. ფრანგტურცხში დადგეს. ჩვენც ბავშვები ვიყავით. ცხონებული მამაშენიც იყო, ბევრნი იყვნენ... თოვლში ვტოპანდით. ვერ მოიხმარეს ეს ზარბაზნის ისა... თურმე უნდა მოთხარონ, მიწაში უნდა გაამაგრონ... რო ისროდნენ, მაღლა ხტებოდა. კიდევ კაცი გამოყვეს, ხალხი, ორი კაცი, ორას მეტრზე, ორას ორმოცდაათ მეტრზე, სამას მეტრის სიგრძეზე, ორი კაცი აქ დააყენეს, სამას მეტრის იქით ორი დააყენეს, სამას მეტრის იქით ორი დააყენეს. ტელეფონი არ იყო — რამე, რო სვიაზი ქონოდათ.

ვერაფერი ვერ ქნეს მაგათმა. მერე იმას ეტყვიან, სათხანსა ბაღდანოვკის რაიონი არი, ღვდლის შვილი იყო, ის მოიყვანეს და ჩვენი ვანოჲ, ვანო

პაპაჲ ხო კარგა გახსოვს, ეგაც ის იყო, პატრონების, ტყვია-წამალის მოსატანათ იყო, ამოვიდა ეგა, ეგ იყო, არტელერისტი იყო, ეგ ჩვენი ვანოჲ, მურჯიკნელი ვანოჲ, მაქსა(ჰ) შვილი, ხო, მაქსას შვილი იყო.

ხოდა, ეგენი მივიდნენ, ნახეს რო: — რა უქნიათ კაცო, გამართეს თვითონ მაგათა და ეგ ხალხი გააგზავნეს — შენ წადი იქ დადექი, რო გეტყვით, აბა, — რამე იქნება, რო ვისერით ზარბაზანსა, იტყვით რო — სად დიეცა! იმათ უნდოდათ რო მეჩითისთვის დეეცათ, ეკლესიაზე. გიენადგურებინათ, გოკიოში. იქიდან დაიწყეს; მარჯვნივ, მეც უთხარი, მამაშენმაც დაიწყო იქიდან უთხრა, მარჯვნივ, მარჯვნივ! და ამ ზარბაზნის დამცველებთან მოვიდა ეგ ხმა და იმათაც დაყენეს მარჯვნივ მიმართულობა, არიენტირი! მარჯვნივ — არიენტირი! მარცხნივ! განადგურეს ეგა! საღამიემდი მანდ იყვნენ ეგ თათრები. საღამოთი წამოისხეს პრასტინები, თოვლი იყო, ხარჯი იყო (ხარჯი — მაგარი თოვლი, შეყინული თოვლი, რო არ ტყდება) ეგრე ავიდნენ და სულ ტყეში წავიდნენ, გადავიდნენ, ტამალისკენ და იმისკენ, სულ გაიქცნენ, გადარჩნენ.

ერთი კაცი მამკვდარიყო, ჩვენებს მიეკლათ (ერთი კი არა, რანტენი მოკვდა მანდ, ბევრი და...) ერთი დიდი სკივრი იყო, სკივრი იცი შენა? კიდობანი... აი, კლიტე კი არ ჰქონდა, შიგ ის ჰქონდა, დასაკეტი... აი, მაგრაინი სკივრი იყო. იმათ ი ჩადეს, ი კვდარი, ამ თათრებმა, ჩადეს ეს კვდარი და გაიქცნენ, თითონ, წამოისხეს და — აბა, ღამე არ დაგვინახონ! თეთრი ასხიათ, თოვლზე არ გამოჩნდება არა? ეგრე დაიცალა.

ხალხი წავიდა თალანზე. ზოგმა რა წამოიღო, ზოგმა რა წამოიღო, ვისაც რა შეხვდათ, ის წამოიღეს. ერთმა ჩვენებურმა მოღალატე კაცმა, მივიდა, სკივრი ასწია: — ვაჰ, მძიმეა? ეს რაღაც არიო და აიკიდა და ჩამოიტანა. ჩამოიტანა, მოიტანა სახლში, გატეხა, გააღო: — კვდარია შიგა! ეგეთი მოხდა. ევგენაჲ ერქვა, ევგენაჲ, გოგალაძე. გოგალაძე ევგენამ ჩამოიტანა!

— კიმოთეს ევგენაჲ არ იყო ეგა?

— არა, არა! კიმოთესი სხვა იყო. კიმოთეს ევგენაჲ არ ჰყავდა.

— კიმოთეს აპა ვინ ჰყანდა.

— ალექსაჲ ჰყანდა, დიდი ბავშვი, ჰარჩუდაჲ, ილიკოჲ ჰყანდა, მერე შიეძინა...

— არა ეგ ჩვენები იყვნენ, კაცო, იმ გოგალაძეს ვიძახი, ევგენას მამას რა ერქვა?

— მანველაჲ.

— ჰო, მანველაჲ.

...მერე ჩავიდნენ იქა, კამანდომდნენ იქა. (ჯარზეა ლაპარაკი მ. ბ.) აქმევდნენ, ასმევდნენ — ჯარი იყო, თითონ ხო არ ქონდათ? აღდგომა ღამეს თათრები თურმე ის ქნეს, შეიკრნენ და ამათ იქეიფეს, ჩვენ ხალხმა და ზეიდანა, სარო(ჰ) ზემოდანა, გაიგე, რომ ამოხვალ, იქითკენ

რო წამოხვალ, თოკისკენ, იქ ამოსულან თათრები, ღობე გაუკეთებიათ, რამე, კოკებით წყალი ამოუზიდიათ, ჰაი სადილები, რამე და ნა დასცხონ... აგუდინესი'ნა აიღონ, აგუდინესი იყო სარო. მერე მანდ მოკვდა ორი კაცი ჩვენი, ერთი ქართველი იყო, ზემო იყო, ესევას ძმა, გვადეჲ, ნესტორას ბიძა, გოგო. თქვენ სოფელში რო ის არი, ხალიჩებ, ფიჩეებ რო ქსრვს, იმის მამა, გოგო,

— ვინ ქსოვდა, დევანოზას ის ქსოვდა.

— ხო, დევანოზასი. დევანოზას სიმამრი იყო.

— საშას მამა.

— საშაჲ, ჰო. ისინი არ იყვნენ ფიჩვ, რამეს ქსოვდნენ.

ერთი ის მოკლეს, ერთიც სომეხი, ვართაღინას ქმარი. ესენი მოკლეს. ჰო ჩვენი მამიდაშვილი, თორუნი, მამიდას თორუნი, მაზმიშვილი იყო, ონისიმეჲ იყო, ნასწავლი იყო, გაიგე. ეგაც სვიაზზე იყო, ტელეფონზე, ამ სვიაზს, ამ ტელეფონ თავი დაანება და ჩავიდა ხერთვიში, მოიცა, ნინას ქმარი... სახელი რა არი?

— შოთაჲ.

— გოკიოში, გოკიოში.

— გოკიოში, ჰო, შოთაჲ რა, თუ გრიშაჲ?

— გვარი, გვარი მაგათი!

— ტაბატაძიები არ არიან?

— არა.

— ზაზაძიები!

ჰოდა, თათრები იყვნენ ზაზაძიები, თათრები და ეგ რითი ვიცი მე. ეს ომის დრო რო იყო, მანდ იყვნენ ზაზაძიები და დიდი აკუშკა აქთ განიერი, მტკვარში იცქირება, ეგ აკოშკა, მტკვარს ეცქირება და კარები არი და კარები გაკავებულია იმითი... და შიგ არიან ქართველი ტყვიები, ქართველი ტყვიები არიან შიგა, ჰოდა მაღლა, გაღმიდან იქ, კლდეში ისხდნენ თათრები და რო მივიდოდნენ და ნა გიეღოთ ეს კარები და ტყვიები'ნა გემიეშვათ, იქიდან ესროლეს და შიგ კარებში მოკლეს ეს ახალგაზრდა ბიჭი, გაიგე, ონისიმეჲ, მაზმიანთიები, არ ვიცი, გაგიგია თუ არა, ჩვენი თორუნი იყო, პაპაჩემისა, პაპაშენისა, თქვენი პაპიდისა. პაპაშენი და ჩემი პაპა ხო ბიძაშვილები იყვნენ.

მერე მივიდა ჩვენი ნიკოჲ, აი, ბოთოჲ იქნება გაგეგოთ, მაგის მამა ჩავიდა პასკომით (პო პლასტუნსკი — სამხედრო ტერმინი რუსების ჯარში), ხოხი-ხოხით. მივიდა იმ კვდართან — გდია! მოამბა ქამარი ამ კვდარ ფეხზე, ითრია (წევს ასე თითონ), ჩამოითრია; სკოლა რო არი ხერთვიში, მაგის იქიდან ჩამოითრია მანდა, ის ქნა, შეეშველნენ ბიჭები და ნასილკით ამოიყვანეს და კვდარი მიასვენეს, აი ეგ მოხდა.

— მერე, სარო ხო დაცალეს საქონლით. რამითა, შიერები ხო დატოვეს სარველები, ხოდა სარველებმა მაინც იხტიბარი არ გაიტეხეს,

სარველებმა პარი დაამბეს, ფერხული დაამბეს და ითამაშეს მალარქიაᲥ (ერთგვარი ცეკვა, მ.ბ.). რო, ვითამ არ გაიტეხეს...

— პარი, პარი, ესე იგი — ფერხული.

— ხოდა ეს ფერხული რო დაამბეს... აი იმაში რო არი, თმოგში, შეიმწყვრიეს იქა და კირის მეშოკები რო გადმოყარეს, ფქვილი დაობებიათო და მოსხნეს თავი ჯარი და წავიდნენ. აი, ფქვილები გადმოყარესო...

— ესე იგი, სარველებმა რო იხტიბარი არ გაიტეხეს, — შიერი იყო, ხალხი მოკვდა შიმშილით გაიგე, ხოდა ამ უმფროსმა გასცა ბრძანება, დიდ კაცმა უმფროსმა, ვინც იყო, უთხრა, რო არ გაიტეხოთ იხტიბარი, რო ეს თათარი მაინც დაგვჯაბნის ჩვენ, ხოდა ერთ მოხუც კაცმა უთხრა, რო ჩვენ ასე ვერ იმას ვიზანთ... (ამათ სულ წართვეს, საქონელი, პურირამე, სუყველაფერი და წავიდნენ).

— მოდი ჩვყაროთ კირი, და გადავყაროთ ღელედან, რო ნახავენ რო ამათ კიდე სარჩო აქვთ, მარაგი აქვთ რო ღელეში პური გადმოყარეს და... მაშინ ადგნენ და დაცალეს თავი ჯარი და წავიდნენ, რო ამათ ჩვენ თავ ვერ მოუვალთ.

— თმოგის ციხეში იყო ეგა.

— სარველებიც იყო, სარველები.

— სარველების დროსა, როცა ჩვენი ხალხი მიეშველა, მერე ვეღარაფერი ქნეს. მერე, ბოლოს ერთი არჯევანიძე მოვიდა მანდა, არჯევანიძე. გენერალი, ჰოდა, ერთ კეტზე გადაუგდია პრასტინა, შევიდა, ფაშას მიელაპარაკა. ფაშამ მისცა ფული და ყურადღება აღარ აქცია ადგა და წავიდა. ძველი ვილისი ჰქონდა. მერე, ხაშურში რო ჩავიდა, რამიშვილი დახვდა იქა. ჟორდანია, გეგეჭკორი, რამიშვილი — ეგენი სამნი იყვნენ. დახვდა იქა, გაიგეს, რო ფული აუღია და (ამბობენ, მაგრამ ეგ ტყუილი იქნება ჩემის აზრით), დაადნოო ის ოქროო და ჩაასხაო პირში და იმით მოკლაო.

(მოსაუბრე: — ხო ეგეც გამიგია, რო ოქროთი დაახჩო კაცო).

და მერე ეგენი რო წამოვიდნენ, ჩვენ აქედან გავიქეცით, წაველით. წაველით აქედანა, საროც თათრებ დარჩა ყველაფერიც... პერევლამდინ... პერევალს იქით სულ იმის ხელში იყო.

— მერე თქვენ სად წახველით?

— სუყველანი წაველით, ძალუაშენი იყო, ბებერაშენი იყო იქაური. რეხელი იყო. რეხელი თუ არ ყოფილიყო, პაპაშენის მამიდა იყო და ისაც ჩემი მამიდა იყო, რეხაში იყო გათხოვილი. ყავრელიშვილებს ყავდათ, ყავრელიშვილებს და ჩემ მამიდას კიდევ ყავდა საკუთარი მამიდა. ის იყო მამაჩემის მამიდა, ის ცაბაძეს ყავდა. ცაბაძეებთან იყო. მანდ წავედით, მანდ ვიყავით, მანდ ვიცხოვრეთ. გადავედით მერე კახოვკაში, საროდან იყვნენ გაქცეულები, იქ გადვიდნენ.

— მერე ყარაᲥაში ხო გაჩნდა რაღაც ავადმყოფობა რაღაც — ტიფი,

გაჩნდა. ტიფი გაჩნდა, პალუშას მამაც მანდ გარდაიცვალა.

— ჩვენები წასულან თვრამეტნი იყვნენ და შვიდნი წამოსულან უკან.

— იქ ჩავიდნენ, ეხლანდელ თეთრწყაროს რაიონში, გაიგე, მარაბდაში იყვნენ და ტადები იყვნენ. გოგაშნელები იყვნენ, პალუშას ტადები. მაგათ წაიყვანეს, ერთათ იყვნენ. მაკროი მარაბდაში გაათხვიეს, მეორე მაგით გოგოცა მარაბდანდინ რამტენიმე კილომეტრია დარჩენილი, იქ გათხოვდა.

***

დაებრუნდით აქა. თათარი გაიკრიფა. მერე შემოვიდა, შემოვიდა თათარი ეს ბინალ-თათარი — ადგილობრივი თათარი. (მაშინ ასკარი იყო, ჯარი იყო) მერე ადგილობრივი თათარი შემოვიდა, მანდაური თათრები — ასპინძისა, ხერთვისისა, ნიალა-მიალა, — მაგი თათრობა იყო. მოვიდნენ და ჩვენ აქ არ ვიყავით. ჩვენ ვიყავით იქ, სახლიც გავიკეთეთ, ტადაჩვენები იყვნენ კახოვკაში, ისინიც (ისინი კი) მარაბდაში იყვნენ. მარაბდიდან მერე ამოვიდნენ ახალციხეს, ისინი დარჩნენ იქა. მარტო პალუშად ამოვიდა, სამი ხარი და ორი ძროხა იყო, — რაღაც ამოიყვანა პავლუშამა.

— ჩემი მამა! (მოსაუბრე ამბობს).

— მამაშენმა ჰო!

— სამი ძმის ნაშიერი წასულან და სამი ძმიდანა, ერთი ქალი წამოსულა და ხუთი ბავშვი.

— პაპასაც ხუთი შვილი ჰყოლია და მერე ერთი ძმისა ყოფილა, გეიმან ძიასი ყოფილა მარტო სერმანად და ნესტორასიც დარიკოდ იყო, მეტი არავინ. შვიდი სული წამოვიდა. ერთი ძმა მოსულა, სამი იქ დახოცილა.

აქ რო ჩამოვიდნენ, ახალციხეში იყვნენ ეგენი, გაზაფხულამდე ბებერაშენი, პალუშას დედა, სონად იქ იყვნენ... მარტო პალუშად იყო აქა. შეიყვანა ლადო ბიძამა. ხარი რო დაუკლა! მოვიდა, კოთელიას დარჩა.

ვანოს მამას რა ერქვა? — არ ვიცი მაგი მამას რა ერქვა. — მღვდელი რო იყო თქვენი სიძის ძმა— იმის სახლში მივიდა პალუშად, ღამე იქ დარჩა და ხარი დაუკლა, ოლიას მამამ დაუკლა, ღამე მოპარა...

— არა კაცო, შეიყვანა და მაგასთან იცხოვრა მთელი ზამთარი. და მაგან დაუკლა ხარი, ძროხა ერთიცა და თითონაც ჭამა და ერთ ობოლ ბავშვსაც აჭამა. ერთი ბავშვი იყო. თავისას არ კლამდა და იმისას კლამდა.

...ხალხი მეორეთ მოვიდა ეს თათრები რო მობრუნდნენ. სომხებს უთხრა: — სომხებო, ფლაგები დაურეკეთ კარებზე, ბაირაღი! — სომხებ არ ერჩოდნენ. — ვინც სომეხი იყო იმით ანიშნამდნენ, რო კარებზე

ბაირაღი იყო, იმათ არ ერჩოდნენ და ქართველებ აწიოკამდნენ.
ქალები დამალა და გადაარჩინა (სომეხმა).

***

ბებერაჩემი დიდი ქალი იყო! პაპაჩემ გააკეთებინა დიდი კიდობანი, რაც ის იყო, ეკლესიისა, — სამკაული; ჯვარი, სახარება, ანაფორა-რამე, რაც იყო, ჩავაწყეთ სულა და წავიღეთ. წავიღევით! (რო არ გაეხრებინათ) წავიღევით. რო წავიღეთ, იქ ვიყავით. ერთი წელიწადით ჩვენ გვიან მოვედით. აქ კაი დროება იყო, თათარ-მათარი დრო გადავარდა. სახლი ქვონდა, ჩვენ თითონ გავიკეთეთ სახლი. მამაჩემი ოსტატი, ხელოსანი კაცი იყო, ადგილობრივ იქვე, გადააბრუნენდა ხესა, გასხლიდა, ხის სახლი გააკეთეს, გამოთხარეს კკლდეში მიწა, კკლდე და მეორე სართული სულ ხისა იყო. (ეს იყო ბაკურიანში).

## ეკლესია, ქრისტიანული წეს-ჩვეულებანი, ნათელ-მირონობა

მერე მოვედით აქა. ცხრამეტ წელს მოველით აქა ჩვენა. ის იყო, ზამბახიძე იყო, ღვდელი მოვიდა აქა, ზესტაფონელი. ცოლი მასწავლებელი იყო, ნასწავლი იყო და ერთი ძმაცა სალოსი იყო, სამკაული თან ქვონდა, გასაღები თან ქვონდა. მე მეხალისებოდა. (არ ისმინება) ჩავიდოდი, წავიდოდი და გავაღენდი კარებსა, შევიდოდი, სანთლებ ვყიდანდი.

ოთხი წელიწადი ვიყავი ეკლესიაში და ბებერაჩემი აცხონდა სეფიკვერსა, კორკოტ ფქვანდა, ნაყანდა კორკოტ ერთ დიდ ჯვალს ვეტყვით, თითქმი ას კილოზე მეტი იყო. კორკოტ ნაყანდა ამ ას კილო კორკოტსა, მერე ფქვანდა მაგას და სეფიკვერ აცხონდა. წვრილ-წვრილ პურებ გამოაცხონდა, შტამბი იყო, ამ შტამბ დასცხემდა პურებზე და ფურნეში აცხონდა ხოლმე ბებერაჩემი, მერე ეკლესიაში რო წავიღენდით, ასოები რომელიც იყო არა, იმას ღვდელი ამოშკრიდა, ღვინო იყო თუ რა იყო, ზიარებაში აურევდა და იმითი იმას გვიშვრებოდა... (გვაზიარებდა). ი პურსა წვრილ-წვრილ დაშკრიდა და ემოტონ კუსოკსა ზიარებას გვაძლევდა.

აი, ჩვენი მეზობელი რო არი, გოგალაძე, პანტელაჲ ქვია, მაგის მამა და შოთას მამიდა იყო, ასპინძაში რო შოთაჲა, მაგის მამიდა, ღვიძლი მამიდა იყო და იყო ქორწილი მაგითი. კარები არ გავუღე, — მღვდელი არ მოსულა ჯერა-მეთქი, სანამ ფულ არ მომცენთ-მეთქი... მაგი მოყვარემ მომცა: — აჰა, შე მამაძაღლო, ჩაუყრია ჲესე და აჩხაკუნამს. ხელი მივუშვირე მეცა და მე მეგონა, ერთ სამი-ოთხი მანათი — სამოცდათვრამეტი, ოთხმოცი კაპეკი იყო. მამატყუილა. სეფიკვერსა მაგით ვაცხობდით, ბებერაჩემი აცხონდა ხოლმე.

...წყალკურთხევას რო მივდიოდით, წყალ ვაკურთხანდით, მეხუთე

დღეს ნათლიღება არი, (ახალი წლის) ეკლესიაში აკურთხონ'ნა წყალი. მეექვსე დღეს წყალზე გამოვიდოდნენ. გამოვიდოდნენ წყალზე. ყინული იყო, ყინულს ჩავტეხამდით, ადგილ გაუკეთანდით ღვდელსა, ამ ჯვარის ადგილას გავაკეთანდით ჯვარსა, ყინულ ამოვჭრიდით, წყალი შემოდიოდა ყინულში...

ნება არ ქონდათ სომხებს, რო ამოსულიყვნენ... ნება არ ჰქონდათ, რო სანამ ჩვენ არ ვაკურთხანდით წყალ, ეკლესიიდან იმათი ღვდელი ვერ გამოდიოდა. იმათ მეორე ეკლესია ჰქონდათ. საძირკველი ჩვენი იყო, ქართული ეკლესია იყო, მაგის ხიები, ზედა ხიები, პაპაჩემის მოტანილი იყო. თითონ იძახოდნენ. აი, ხნიანი ხალხი არი, ისინი ლაპარაკობენ, ოდიკიანთ იმამა, სოლომონამ მოიტანაო, მერე გამოვიდოდნენ წყალკურთხევის შემდეგ, ჩვენ ქვეიდან, ხიდქვეიდან იმათ'ნა ჩიესვენებინათ ჯვარი, ხიდზეიდან — ჩვენა. ქართველი ქალი თუ სომეხ წაჰყვაო, შვილი ქართულათ'ნა მონათლილიყო. — ასე, ქართველი ქალი სომეხ წაჰყევი! — შენი შვილი ქართულათ'ნა მოინათლოს.

— ბევრი იყო შერეული ქორწინება?

— მცირედ! ერთი ქვრივი ქალი იყო. აქა, ქალაჲ ერქვა, სანდოძეების ქალი იყო, ქართველების რძალი იყო, რო დაქვრივდა, სომეხმა წაიყვანა, სომეხმა წაიყვანა! მაგას ეყოლებოდა სამი შვილი — ორი ქალი და ერთი ვაჟი. სამივენი ქართულათ მონათლეს. თვითონ სომხები იყვნენ, ქართულათ მოინათლნენ (ეეხლა ისინი სამივე — ერთი აფნიაში გათხოვდა, ერთიც ამ სოფელში იყო გათხოვილი...).

...წყალკურთხევის დროს ერთი ვიღაც კაცი ჩავარდებოდა წყალში, ნიფხავ-პერანგაი გადახტებოდა. — მამაჲ რამდენჯერ გადამხტარა. ნათლია'ნა გადამხტარიყო, შვილის ნათლია.

გადახტებოდი, წყალში, მერე ამოხვიდოდი და ბუ-ბუ-ბუ, ბუ-ბუ-ბუ! კანკალით წახვიდოდი. სომეხი ჩავარდა ერთი, ქართველებიც იყო... ხმალაძე აგორაჲ ჩადიოდა ხოლმე... მერე ხალხი'ნა წაიყვანო, შენ'ნა აქეიფო ნათლიამ'ნა აქეიფოს, ვისაც ნათლიობა უნდა და ერთი სომეხი იყო, გაბოჲ ერქვა და ეგ გაბოჲ ვარდებოდა.

ყინვა იყო მაგარი და, ხო ჩავარდა, ამოვიდა და ყინვამ მოუჭირა და გარბის. (ორი ოჯახი გაცალკევდა და სოფლიდან პირველი გავიდნენ, სოფლიდან მოშორებით იყო დასახლებული ორი ოჯახი) და აქეთ ბიძაშვილები იყვნენ (ამ გაბრიელის მ.ბ.), შევარდა იმით სახლში, ნიფხავ-პერანგით, ყინვაში, სველი, — უჰ, უჰ, უჰ, უჰ! — იძახის (გაბრიელაი ერქვა), იმაჰ ეგონა, გაბრიელ-ზაქიაო, სულთამღებიაო, — ვინა ხარო და, გაბრიელაჲ ვარო. ჰოდა იმას ეგონა...

— მე არა ვარ ავათაო, აეგ ბავშვია ავათაო, — ბებერმა უთხრა აი, მართლა, თითონ ლაპარაკობდა ის კაცი. ამას ეგონა, რო სულთამღები შემოუვიდა და მე არა ვარ ავათაო, ბებერმა თავი არ გაიმეტა!

***

...ნათლიობა... (გზა) ასე გადადიოდა გადამბული იყო ფესე, კრუგი იყო, გითხრა: ასე სამასი-ოთხასი მეტრი იქნებოდა, მეტი! აექედან რო მოდიოდნენ ხალხი, ჩვენ კარებ-ბანებიდან, აესე გადადიოდნენ, ჩადიოდნენ გოგალაძის კარებზე, ზოგიც მოკლეზე ჩადიოდნენ. ოჯახებიდან ასე დადიოდნენ, გზა ასე გადიოდა.

არ ავიდოდნენ, არ ავიდოდნენ! — რო: ნათლიას ბანიაო, რაგორ'ნა გადვიაროთო. შორიდან მოუვლიდნენ. ასე მოკლე იყო! ეხლა თქვენ ვარგავზე წახვიდეთ ახლოა, თუ ახალციხეზე მოუაროთ, ახალქალაქიდან! ნათლიის ბანზე არ გადაივლიდა, შორიდან მოუვლიდა! ეხლა თქვენ თოკზე რო წახვიდეთ აქედან, თოკზე — ხელათ ჩახვალთ არა, აქედანა! ის შორიდან მოუვლიდა, ნათლიდედა და ბანზე არ გადივლიდა.

...ნათლიობა ოჯახით მისდევდა და თუ გამოერია, ისეთი ვინმე შიგა, შეიძლება გამოცვალო ნათლია! ეხლა! წინათ — არა! წინათ არ ცვლიდა, მიზდევდა კვალზე, ოჯახი — ოჯახის ნათლია იყო.

პატივიცემა იყო. ახალი წელიწადი იქნებოდა თუ ისე კაი დღე იქნებოდა, ერთმანეთს ვპატიჟონდით აუცილებლათ, ნათლიდედაც'ნა ჰყოლოდათ, ნათლიმამაც'ნა დიეპატიჟათ'ნა. მერე... რძალი მოიყვანე შენა, ვთქვათ, აი სხვა სოფლიდან მოიყვანე, ამაღლებაზე, ვარძიობაზე... უსათუოთა ნათლიდედაც'ნა წაიყვანო. პატიჟონდნენ.

## ქორწინება

ეხლა გითხრა, რა გვარებია კაცო (ფიქრობს). დანიშნეს აქედან ბიჭი, ნათლული ჰყამდა, ვიღანც ჰყამდა... მაშვალმა, მოციქულმა (მოციქულსაც ეტყვიან, მაჭანკალსაც ეტყვიან...), წავიდნენ.

ბიჭი არ უნახია. არც იმის ხალხ უნახია და არც ამათ უნახიათ ე რძალი. წავიდნენ, მივიდა ქორწილი — ჰაი, ჰუი, აქეთ-იქით! მახარობელი შევიდა, ჯამი გატეხა, დასცხო ი გატეხა, ვარგავული ჭურჭელი იყო წინათ, ვარგავში აკეთამდნენ. ვარგავული ჯამი, აიღო, დასცხო, გატეხა. გამოვიდნენ მწვადით ხელში. მიხედეს რო: — მეფე არი ემოტენა! (პატარა). დაინახა რო შევიდნენ და, ეს დედოფალი აღარ არი, პატარძალი გაიპარა! აქეთ-პატარძალი ეძებეს იქით — პატარძალი ეძებეს — ვერ იშოვნეს, ვერ იშოვნეს!

პატარძალი აღარ არი! რა ქნან. მაგიდა გაშლილი, ხორცი მოხარშილი, ხალხი სჭანს, ზოგი ხაშლამას სჭანს, ზოგი რამე... ამ... მაჭანკალი ვინც იყო, მოციქული, იმამ დაიჭირა, თავი გოგო მისცა, ცარელა არ გამოუშვა ეს ქორწილი.

ის პატარძალი დაიმალა, არ წავჰყვებიო მაგასაო! მერე ქორწილი რო

წამოვიდა, მაჭანკალის გოგო ჩააბარეს, მოიყვანეს აჯლაზე დააჯვდინეს, ტანთი ჩააცვეს. იმაჭ ხო ტანთი ეცვა თავისი, ის წაჭყვა, წაიღო იმამ...

...უძახდნენ... დარიშდიაჲ. დესპინაჲ ერქვა ქალსა. იქაურ, მოციქულის გოგოს, აეგეთი ამბავი იყო წინათ.

— ეგ რომელმა მოიყვანა, იმამა?

— საბომ, საბომ. ჲამაღიენთ ეძახდნენ, ბერძნები იყვნენ, კაი დიდრები იყვნენ. საროში დანიშნეს. აესე დადიოდა ის კაცი (გამოაჯავრა), კოპლი, უქნევდა ფეხსა, ქალი იყო ისა, ზეთუნახავი ქალი იყო, იმამ თქვა — თათრულათ არი: ანა ვერილა ლალა, მალა ვერდილა, ალ გერდი, მალ ყალდი, მასა ბალა. — მეო მიმცესო საქონელსაო, ცხოვრების ქონებასაო — და ის გამიცრუვდაო და დამრჩაო ლალი ხელშიო, — ხათაბალათ გამიხდაო, რა!

აქ ჩვენ სოფელში იყო, ჩვენ ვიყავით მაგით ნათლია.

## პოეზია

წახვედი და ნუღარ მოხვალ უბედურო დღე
ნამეტურათ შემოდგომა, გიორგობისთვე
დაგვიჭირეს და ჩაგვრეკეს ციხის კარებზე
...დაგვიბნელეს მზე!
პრისტავებიც დამსხდარიყვნენ მცირე საქმეზე,
წამოდექით, ტუსაღებო, დანაშაულზე
რაც რო დაგვიშავებია, ანდრე წინ გიდევთ,
დედაჩემიც მოსულიყო ციხის კარებზე.
ნაჩალიკსაც ეხვეწება შვილი მაჩვენე,
— ვერა, დედი, ვერ გაჩვენამ, მანდ მოიცადე,
ხვალ დასახვრეტათ წავიყვან, ბაზარში ნახე.
— რასა ბძანებ, ნაჩალიკო, ვაი და ვაგლახ-მე,
ოცდახუთი წლის ვაჟკაცი თქვენთვის გავზარდე,
რასა ბძანებ, ნაჩალიკო, ვაიდა ვაგლახ-მე,
ოცდახუთი წლის ვაჟკაცი თქვენთვის გავზარდე?!
წადი, შვილო, ისეირე, იქ გაიხარე,
დანიშნულის ნეკ-ბეჭედი წელს გაიკეთე.
მარმარილოს ქვა მიყიდე გულზე დამადე,
(არა, მოიცა)
— დედაჩემო, ჩემი ქალი ისეთ კაც მიეცი, მე მჯობდეს თვალათ-ტანათა,
ჩემი ციხე-ქალაქი თან გაატანე ზითებათ.
მარმარილოს ქვა მიყიდე, გულზე დამადეო,

ჩემი ქამარ-ხანჯალი ღვდელს მიეცი საწირავადაო.

***

კომინისტო, კომინისტო შენი საქმე რაგორ იყო,
ეკლესიაში რო შეხველ, შენი საქმე რაგორ იყო,
ხატები რო დაანტვრიე, ჲაშიკები ხომ არ იყო!
კომინისტო, კომინისტო, შენი საქმე რაგორ იყო?
მეშოკში რო ჩაყარევი, კარტოფილი ხომ არ იყო,
კომინისტო, კომინისტო, შენი საქმე რაგორ იყო?
ბაზარში რო გაატარე, გასაყიდი ხომ არ იყო?
კომინისტო, კომინისტო, შენი საქმე რაგორ იყო?
ხიზილალით გამომძღარხარ, ამხანაგოს მეძახი,
ულვაშებზე გეტყობა, ძველი კომინისტი ხარ,
კომინისტის შვილი ხარ!
ეხლა ვიტყვი, ეგა ჩემია, გენაცვალე! ოთხი წელი ეკლესიაში ვიყავი, ცოტა ხო არ არი.
...ეო, მეო, შვილო დემეტრეო,
ეკლესიაში რო შეხველ, რაგორ გატეხეო,
— შევყავ ხელი, ვაჩხაკუნე, კლიტე გავტეხეო,
შიგ ხატები დავიპარე, ოსეთ გავყიდეო.
შიგ ხატები დავიპარე, ოსეთ გავყიდეო,
ოსეთიდან წამოვრეკე ხელშეკრული ტყვეო,
ფური მგელ შეუჭამია, ხბო იძახის მეეო,
ხანულები იძახიან მოგვიტანეთ რძეო,
აღარ არი რძეო, გადააგდეთ ჭდეო.

***

აპრილო და მაისო, შვიდობით ქუთაისო,
ჩვენი დედა — ქალაქი, ძაბრი(ჰ) ქუდით გაიმსო.

(კამუნარკები ხო გინახია),
აპრილო და მაისო...

***

რათ გახურამს ძაბრი ქუდი,
შემოგიმბამს ძაღლი კუდი (ყელსახვევი მ.ბ.).

***

ეს აპრილი არაფერი, დადგა მაისი,
სოფლეულათ ჩამოსულან ხალხი ქერებში
სოლომონი ქერს ამკიდა ქვეით ყურაში,
ეს ლადუა თავს დაადგა: — აღსარება თქვი!
—ვინა ხარ, შვილო, ლადუა, წინ წამოდექი,
ერთი შვილი მყავს, ქალუნა, მეორე შენ გახდი.
გადმოიღო, „ბერდენკა", ძუძუს დაახლის,
— სოლომონი გადაგორდა ქერის ნამკალში.

— გასწით, შეატყობინეთ სოლოს სიკვდილიო,
სოლომონი მოგიკალით, სოფლის სარდალიო.
გინდა ეხლა დამადევნეთ რუსის სალდათიო.

ეს ლექსი მაშინ გამოითქვა, 1804 წელს კახეთში რო ეკუცია იყო, მონობაში რო ჩააგდეს კახეთი. აღარც ხალხი გაუშვეს, აღარც ხიზანი, თუ გახსონთ, ეს ის იყო. მაშინ უთხრა ეს ლექსი, რუსების ხელში იყო.

***

სირცხვილი იმ გუთნის დედასა,
ხნავდეს თავის პაპის საფლავსა...

***

ეს ურჯულო გუთნიდედა ქვეშ-ქვეშ გამოიყურება
მეხრეებსა ეჩხუბება, ხარებ გაუვიდათ ქარა.
მეუფეო! დემეხმარე! (ანგელოზ ებნევა ეს ხარი).
ეს ურჯულო გუთნიდედა კეტითა მცემს ქეჩოშია,
სისხლი წამვარდა რქებშია.
ახლა ანგელოზიც ებნევა:
— მე აქედან რას გიშველი, მეც მაგინებენ ცაშია,
(ანგელოზმა უთხრა)
— მე მაშინ მოგეშველები, რო მოვალ სამართალშია!
დავადგამ რკინის უღელსა, გავგზავნი ჯოჯოხეთშია.

***

ორშაბათ დადგა ქვეყანა, ციხე-ქალაქი მთაზედა,
ადამიანის საზრდო ვერავინ იღო თავზედა.
მივიდა ხარმა, მოუჩოქა: — მე დამაწერე ქედზედა,
ჩამოქნეს წყვილი სანთელი, მიაკრეს ორსავ რქაზედა.
— წადი, ხარო, იმუშაევ ცასა და ქვეყანაზედა.
ექვსი დღე რო იმუშაო, მეშვიდეს დაწექ მხარზედა.
ვინც რო უქმე დღეს შეგამბას, რისხვა მიადგეს კარზედა.
ვინც რო უქმე დღეს შეგამბას — მაჯა შეახმეს მხარზედა.

***

**აეს ჩემია:**

სიზმარი ვნახე სისხამ დილასა,
ხელ-პირს იბანდი ზღვისა პირასა,
... აღერებული
შიგ იჯდა ქალი დაღონებული,
შეჩერდა ნავი, გაგლიჯა გული,
გადმოხტა ქალი გაგიქებული.
მის სილამაზეს ცეცხლი ეკიდა.

***

გამოიცვალა ქვეყანა, ჩარხი უკუღმა ტრიალებს,
ვირი ვარდ-კოკობს დაჰგალობს,
ბულბული ვირივით ღრიალებს.
ზამთარში სიცხე გვაწუხებს.
ზაფხულში ჯაფა-ზამთარი,
სომეხმა ხმალი აიღო,
ქართველმა სომხის დავთარი.
ქურდები შჭრიან სამართლ,
მართლებ უყრიან ბორკილსა,
ბრიყვნი და უსწავლელები
ჭკვიანს უდგანან თავშია.

***

...ქართველნი როცა შევიდნენ
თავათი კუთხე მონახეს
დროშა ამართეს მაღალი,

ოქრო-მკედითა ნაკერი,
ქვეშ ეს იყო ნაწერი:
— ენა და სარწმუნოება!
ეწაფნენ წითელ ღვინოსა,
ყურთმაჯა მაღლა შეიგდეს
(ყურთმაჯა ხო იცი რა არი — ჩოხი კალთა არი).
— შენი გამჩენის ჭირიმე, ცხოვრება ეს ყოფილაო.
ზამთარში საამოდ თბილაო,
ზაფხულში საამოდ გრილაო,
ვინც ამას არ მოიწონამს,
გიჟი იქნება და რეტიო
ასე დასწერეს ქართველთა,
იმათი მხარე მძინარი
ჯერ ცუდი სანახვია,
იმათი ცუდი და კარგი
ჩხიკვმა და ყვავმა გაიყო,
მაგრამ თუ გამოიღვიძებს,
ბედი ქართველებისა წინ არი!

ნახოთ, გამოიღვიძამს, ეხლა წეღანაც ვთქვი, შეიძლება თქვენც გეწყინოთ.

## კომუნისტები

ომის დროსა, გახდა ყველა კომინისტები ეხლაც არიან ის ხალხი. ფერმი გამგე დააყენეს, ერთი ქალი: — მე პარტიელი ვარ, საქმე'ნა მამცე (იმ ქალს აჯავრებს)! მე ჯარში ვიყავი მაშინ. გადავატრიალეთ-გადმოვატრიალეთ, ადვილი რამე — ფერმის გამგეთ!

შემოდგომა რო მოვიდა წყემსები არა, დამზადებას აბრიან კოლექტივებ, ცხვარ, რამესა. ბრაკოვკა რაც არი, იბრიან. ერთი სარქალი ტიტეჲ დიდარი კაცის შვილი იყო, ტიტეი ერქვა, ხნიანი კაციც იყო, სამოცი წლისა იქნებოდა, მეტი! იმისთუნ ხორცი ჩაუბრიათ, ცხვარი უნახია, რო, გაუსინჯია პირი, რო — კბილები არა აქ! ზედა კბილები არა აქ. გამოვიდა, ყვირის, ფერმი გამეს ებნევა. — შენ ასე მოგივიდეს, ისე მოგივიდეს, ბებერი ცხვარი რატ მამეცი.

ფერმი გამგემაც ...ნახა, მართლაც... პირი გაუღო — ზედა კბილები არა აქ, წავიდა, რომელ ცხვარზეც ნახეს, არა აქ!

— მეხი დიეცა ჩემ თავ. კოლექტივის მავნებლები არიან წყემსებიც, თავჯდომარეც, რამეც — ყვირის.

ცხვარსა ზედა კბილები არა აქ, საქონელ — ძროხას — არა აქ. ცხენსა აქ მარტო. აეხლა მაგასა... ბრიყვნი და უსწავლელები ჭკვიანსა

თავში უდგნენ. ინტენი იყვნენ ხალხი, აი გვარამაძეთ ოლიჩკაჲ გითხარი, გოგალაძე ლომაჲ გითხარი (გითხარი — რომ ვთქვა, გითხრა...), სომხებშიც იყვნენ კაცები, ხალხი, ცხვრისა დადოლებაც იცოდნენ, რამეც იცოდნენ, ზედა კბილიც იცოდნენ და ქვედა კბილიც იცოდნენ.

## თათრობა

...არუთაი, დღისითა, ლოგინში აწვენდა. სალოგინე რო არი, არა, აჰა აეს სიმაღლეა სალოგინე. ამ ქალ აწვენდა შიგა. თითქმი თხუთმეტი დღე.

— ეგ სომეხი იყო თუ ქართველი, რო აწვენდა?

— სომეხი იყო, კაცო, ნიკოლოზაანთ არუთაჲ.

— არუთაჲ ვის აწვენდა?

— ოლიჩკას, წალდიენთ ოლიჩკას, ის'ნა მიეკლათ'ნა.

თათრები დასდევდნენ, ეძებდნენ და მიეკლათ'ნა. ის შეიყვანდა საღამოთი ხოლმე, გამოიყვანდა ლოგინიდან, დააწვენდა იქვე. დილით ლოგინ რო აშლიდა, დამალენდა. ეგ ერთი! აქ იყო ნესროფაჲ, კოციენთ ნესროფაჲ. აქ რაც ჩვენ უბნის ქალი იყო, რამეები, სულ მაგამ შეინახა. უკეტავდნენ... ფლაგი არი! ბაირაღი არი! — არ შედიოდნენ, არაფერი! (სომხების სახლებთან ბაირაღები იყო და თათრები არ შედიოდნენ. მ. ბ.) ერთიც იყო ქიციენთ გაბრიელაჲ იყო ქვეით, სომეხი იყო. აი, მაგ სამ ადამიანმა შეინახეს ქართველები. ვინც შორს იყვნენ ქართველები, იმითი არც ქალი დარჩა და არც არავინ.

— მერე ქალები შერეკეს ჩვენ მარინეს ბოსელში.

— ხო, გიგოლას ცოლი და ეგენი...

— ხო, ბევრი, ბევრი ქალები.

შეიყვანეს და აწვალეს ის ქალები. აწვალეს ქალები და მერე გაატვიტლეს... ქალი, კაცი გაატვიტლეს და გაიკითხეს, რო რძალი, მაზლი ვინ არი? გაიგე. და რძალი მაზლთან ჩაამბეს ბრუდეთ. ბრუდე არი. კაც პირი აქეთ ქონდა, ქალს — პირი იქით ქონდა და კაცპარ უძახდნენ ეგენი და ეჭირათ მათრახები, მაგარი და ვინც ვერ აუყოლიენდა ფეხსა, (ეხლა შენ ასე მოდიხარ და ის ისე მიდის) ი ტვიტელა იმაზე დაარტყამდნენ ხოლმე...

აესეთი წვალებით... ამ ქალის ბოსელი ყველაზე დიდი იყო და ამ ბოსლიდან რო გამოიყვანეს, ე სომხებმა, ვინც გადარჩნენ ესენი დაიჭირეს და ამ სომხებმა შეინახეს, დამალეს, დაფარეს ეს ქალები. თათრებმა უკვე რო დახედეს, რო აქ ასი ქალი იყო და ათი ქალი დარჩა! მერე ადგნენ და ისევ სომხებ დაერივნენ. ეგრე არ იყო, ძია! მერე — სომხებ დაერივნენ და მერე რო დახედეს რო სომხებმა გაყიდეს, ისევ სომხებ გადაუხადეს ის ვალი, რაც ქართველებისთვის უნდა გედიეხადათ.

აქ სწავლონდნენ აი, გითხრა შენა: აბაშიძიები, წეღან რო გითხარი, აბაშიძიები თოკელები იყვნენ ჰოდა ჩვენ სკოლაში სწავლონდნენ.

— ეგ აბაშიძეები აბოღლიები იყვნენ თუ რა იყვნენ?

— აბაშიძიები თავადები იყვნენ, ბეგები! ბეგები იმამ გახადა, — თათარმა.

ბატონები ვინც იყვნენ, ბეგობა მიუსაჯა, თათარი რო შემოვიდა.

ასპინძაში დიასამიძე, დიდი ბატონი იყო.

ჰოდა, აბაშიძიები და ზაზაძიები სწავლონდნენ ჩვენთან. აქ სწავლონდნენ და წეღან რო ვთქვით, ნესროფამ რო შეიყვანა ქართველები, ბაღდასაროვები იყვნენ, მაგ სახლში იდგნენ მოწაფიები, თოკელები და მეორები იდგნენ გვარამაძე არჩილას სახში იდგნენ (ლიზაჲ, გოგო, ლიზას არჩილაჲ, ბახტუანთი). ერთი პარტია იდგა, ქვიმჩიანების სახლში იდგნენ ეხლა იმის სახლი რო არი, ჰამოს, ცახუნანთ ჰამოსი, იმით სახში იდგნენ.

რო მივიდნენ, დააბეზღა სომეხმა, ეს ზედგინიძე დევანოზაი იყო, (შოთას მამა) დააბეზღა, რო ეშმაკათ, მაგათ ჰყანდათ ერთი ბიძაშვილი, ის მოკლეს. თითონ მოკლა სომხის რაიკომი, რაიკომია! (რაიკომი კი არა!) — საბჭოს თავმჯდომარე მოკლა აქა, მერე გაიქცა.

დაიჭირეს და ციხე რო არი, მანდ მოიყვანეს და ლაფატკით მოკლეს, დაჩეხეს ლაფატკით) დევანოზას ბიძაშვილი იყო, გარე ბიძაშვილი. ეგ დევანოზაჲ სცემეს, როგორ სცემეს! ეს აბაშიძე, შევა — ღრიალი გამოდის. ღრიალი გამოდის, შევა ნახამს, რო ეს დევანოზაჲა. — დევანოზ ხაჯა... (თურქული ფრაზა). აიღებს, მათრახი ექნება. ინტენს სცენს, ინტენს სცენს ამ თათრებ, ვინც დევანოზას აწვალანს.

აი, შეითან ახოჲ იყო, ჩვენებური, სომეხი იყო იმამ წაიყვანა (შეითან-ახოჲ იცი რა არი? — ეშმაკი ახოჲ), კარაპეტიანი იყო. მაგამა წაიყვანა ესა და ერთი მეშოკი ფქვილი ჰქონდათ, აჰკიდეს ამ თათრებმა და — წაიღე ჭამე შენაო, არამია ქართველზეო. წამოიღო ემამ, დააბეზღა ემამ და იმ კაცმა გადაარჩინა იმ აბაშიძემ, ამხანაგები იყვნენ, ერთათ დადიოდნენ სკოლაში. ზამთარში, სკოლიდან გამოვიდოდნენ, დასვენება დღე იყო, კვირა იყო, — რამე ყინულზე თამაშონდნენ, კაკალ თამაშონდნენ ხოლმე, ქუდებით ყრიდნენ ხოლმე...

## თამაშობები

მრგვალი წრე იყო. ჲერთი ქამარი აქ იყო. ერთი კაცი აქ იდგა. მეორე ქამარ გამოსტაცანდა... მაგას თამაშონდნენ.

მერე იყო, ფურნე იყო (თამაში) ყასახლა — ოთხი კაცი. ორი კაცი თავებ ერთმანეთ მიადებდნენ, გვერდიდან დაუდგებოდით ასე, ერთიც იქიდანა, იქიდან გამოქანდებოდა. თავ დასცხენდა აქა და გადავიდოდი

იქითა. თუ ჩუვარდა ფეხი — რამე, გაჭრილია.

წრეგურთას ვთამაშონდით.

საჯადაღი — დაჭრელებული ბურთები იყვნენ, ნართისა, ბურთები იყვნენ და საჯადაღა იყო — ცხენზე იჯდა კაცი, ერთიც იქ დგას, ერთიც იქ, ერთიც იქ... ცხენები არიან, დგანან, მე ვესვრი, იმათა ბურთსა, დაიჭირონ'ნა, თუ ვერ დაიჭირა...

ღორობინა — რიკ-ტაფელასავით თამაში.

ორმოს მოსთხრიდნენ, რამდენი კაციც იყო, იმდენი ორმო ქვონდა და ჯოხით უნდა მიეგერიებინათ, რო თავის ორმოში არ ჩავარდნილიყო ის ქვა. ეხლა რო უძახიან, ჰოკეის რო უძახიან. ისიც ამათი ჰოკეი იყო და უძახდნენ ღორობინას.

მრგვალი ის იყო შემოკრილი და რამდენიმე ორმო იყო... (ერკოტაში არ გამიგია ეგ თამაში).

ფურნე — თამაში იყო.

## მეურნეობა

...შემოდგომისკენ, ვისაც შიეძლო, შემოდგომით... ხარ-კამეჩი ჰყამდა თუ... ყველასაც ჰყამდა ხარ-კამეჩი! ეხლაც არიან, გაიგე, ეხლაც — მანქანა. აი, ის არის, ავთანდილაი, იქნება იცნობდეთ, ჩვენ სოფელში რო არი.

— ავთანდილაი ვინ არი, მე ვიცი?

— ჟენოს ქმარი.

— ტაიები ჰყავს იქა, იმაში ასპინძაში და... იმას რა ქვია კაცო... ტაიები ჰყავს ოთაში. ნათესავებია. მაგი დედა იყო იქაური, ერკოტელი იყო. აი, მაგითანა კაცი, მაგას, მანქანა ქონდა, გამოყენებაზე ვამბონ, გაიგე!

ხარ-კამეჩიც ჰყამდა, ვერ იყენამდა ბევრი. ბევრი კი იყენამდა. ზოგ სამი-ოთხი ულელა ხარი ჰყამდა, ზოგსაც ორულელა ჰყამდა და იმაზე კარგათაც ამუშავენდა მიწასა. ადრეც რჩებოდა, მოხნასაცა, მოთიბასაცა და გალეწასაცა.

— ერთმანეთს ეხმარებოდით, ძია, თუ არა!

— როგორ არა! ნათესავი ნათესავ...

— ეხმარებოდით მოხნაზე?

— მოხნაზე არა, არა! თუ დარჩა, არ ის უქნიათ (არ მოუხნავთ, მ.ბ.), მაშინ ეხმარებოდნენ...

ზოგი... — ორი ჩიეთი შენ გიმაბია არა, ორიც მე — ოთხი! მოდგმები

იყვნენ. მოდგამი ერქვა.

მოდგამ ვეტყოდით. მოდგმები იყვნენ და ერთად ხნამდნენ. დღეს შენ ყანას მოვხნანდი, ხვალ ჩემ ყანას... ეგრე იყო. ჰოდა, ის'ნა მეთქვა, მაგ კაცის საქმე: — მაშინა ბევრსაც ვქ, ვერ გამოუყენებია.

აქა, ჩონ გვერდზე იდგა, აქა, მერე გაღმა იყიდა სახლი, იქაურელია — პტენელია, მელიქიძეა. თუ ბერიძე, ბერიძე! და ეგ კაცი საღამოთი დაჰკეტამდა კარებსა და აგარა რო არი, ახალციხის აგარა, ბიძა ჰყამდა იქა, გაიგე, (რო გადასახლდა), ჩავიდოდა, იქ იქეიფამდა თავი ცოლ-შვილითა, გაიგე, ბავშვებსაც ჩასხამდა... ამოვიდოდა, წყემსი იყო, ამოვიდოდა, დილით ისევ, აიღებდა ჯოხსა, ცხვარ გარეკამდა. ზოგ-ზოგსა ვერ გამოუყენებია. ერთს მანქანა ვქ და დაუჟანგდება, ისე აგდებს ხოლმე.

... კვირძალით, მთვარით-რამით... (გაარკვევდნენ დათესვის დროს, მ.ბ.)... შემოდგომით გავლეწამდით.

ჩვენა ვიყავით, ჩვენ, მურჯიკნელები, ოზდაჩვიდმეტი სული ვიყავით, ერთად, ოზდაჩვიდმეტი. ერთი ოჯახი. ერთათობა რო იყო, მაშინ. ოზდაჩვიდმეტი. ბებერაჩემი აკეთამდა კერძსა, ღვდლის ქალი იყო, ოლინკაჲ ერქვა. ამითი მამის პაპა (იქ დამსწრეზე უთითებს), ხაზეინი იყო. დიდი ძმა იყო... აეხლა წიგნი გამოვა მაგაზე, მეორეზე, ციურას წიგნი ლაფაჩისა. (მეორეზე — მომავალ წელს).

შემოდგომითა გავიტანდით ნაკელ, რამეს, მოვრჩებოდით, ზოგ-ზოგსაც ხარი ჰყამდა, ვერც ნაკელი გაჰქონდა, ვერც ვერაფერი! შემოდგომით რათ გაგვქონდა! — იმიტომ გაგვქონდა, რო თოვლქვეშ რჩებოდა ეს ნაკელი, ავდარი მოდოდა, იშლებოდა ის ნაკელი და იფრო ნოყიერდებოდა მიწა. მოსავალიც კარგი ჰქონდათ.

...ჩილთი ჩივთის მინაგვარი იყო, კიდეე ჯგლღას ეტყოდნენ. ჯგლღა! ბარში ხმარობდნენ ჯილღას მეტსა, ჩვენში — ნაკლებათ. ჯილღა, ჩვილთი ორივ ეგრე იყო, მოკლე ტარი ჰქონდა ჯილღასა, ყურები დიდი, გადაშლილი ასე. ანეულ შვრებოდნენ, ხნულ აკეთამდნენ ხოლმე... მაგითი ხნულ აკეთამდნენ ჯილიღითა, თითქმი ისეთი იყო, ნაღარამდე მოდიოდა, კაცი რო ჩაწოლილიყო, არ გამოჩნდებოდა.

— შენ იქით გადაყარე, მე აქეთ გადმოვყარე, ახლა მეორეზე მოხნავ, შენი ტრაქტორი მოვა — აქეთ გადმოჰყრის, ჩემსკენ, ჩემი ტრაქტორი შენსკენ გადმოჰყრის, გაერთიანდება ესა, წყალსაც კარქათ აიღებს ზეიდან ესე იგი, შუიდან იწყება და ნაპირისკენ მიდის, ნაზურგი.

— ნაზურგი. და ხანდიხან არი, ნაღარი არი, შუაში რო არი. ზოგჯერ რო დავიწყენდით, შუაში დარჩებოდა ნაღარი.

— ძია, ნაწვერალს რამდენ სტოვამდნენ, რისთვის სტოვამდნენ, რო ნაწვერალი დარჩესო?

— ნაწველარსა? — ...მაგაში დათესამდნენ გაზაფხულზე ბარდასა, სათივესა, სხვა არაფერ დათესამდნენ. პურ არ დათესამდნენ, სათივეს დათესამდნენ აი ფიქ გეტყვით, ფიქი, ფიქი! — ბარდა არი ეგა. თან ეგ მიწა! ანოყიერანს, თანაცა ადრე ითიბება და მიწაცა... მზეც წვანს იმასა, ხნულსა, ზოგ-ზოგი კი, გაზაფხულით რო გავა, დააგდებს ერთ ყანას, ორ ყანასა... შავ ხნულ ეტყვიან მაგას, შავი ხნული! მაისში... სომხურად ნათქვამია: — თუ მარტში დათესეო, კაცი გახდებიო, თუ აპრილში დათესეო — იცხოვრამო, — აპრილში! თუ მაისში დათესამო, გაქრება მაისშიო! ავდრები აღარ იქნება მერე და... თიბათვეში ხმელეთია! მაშინ მაგას ხნამდნენ მიწასა, შავ ხნულ ეძახდნენ და მზე სწვამდა და უამარი მოსავალი მოდიოდა.

***

გაოშვა? — გაოშვას, დაღარას ვიტყვით, — მზემ რო გაუაროს, დაწვას. ეს დაუთესავ ყანაში. რომელიც დაუთესავი ყანა არის, იმაჰ რატო ოშავდნენ, რო, ბალახი ამოვიდეს და მალე მოისპება. აი ეხლა რო კულტივაციას შვებიან. ბალახი ამოდის და რო ხმებმა, ეეღარ მწიფდება. — ეკალი არ ამოვიდეს ყანაში!

კალოს გალეწაც ხო იცით, რაგორ არი! ...მინდორში რაც ყანები ჰქონდათ დათესილი, ძნასა...

— ძველებური სიტყვით თქვი, ძირიო!

— ძირებ მოვიტანდით, დავდგამდით სოფლი ნაპირასა, ახლა იქ სანამ წახვიდე, მოიტანო, დაუდო, საქონელი სჭამს, რამე და სოფლი გარშემო ნაპირებ ვეძახდით, ნაპირებზე დადგამდნენ და: — აქ შენ დაგიდგია, იქ მე დამიდგია, და მივიტანდით, კალოს გავშლიდით, მივიტანდით ურემ, დავაყენამდით ძნებთანა, გაიგე, მოვიდოდით აქა, პურ ტეამდით წავიდოდით, მზე რო კარქა ამოვიდოდა, დაუდემდით ურემზე — თან მზეზე გახმეს!

ესა, ნამჯა, ქერის ისა, რო უფრო ადვილათ გაილეწოს, მოვიტანდით, დავდგამდით კალოზე. ორი კონკილა ქვონდა ერთ კონკილას წინიდან მივცენდით, ერთსაცა უკნიდან, რო ურემი არ აკონკილიყო.

აი, ჩვენი სალომეი ხო გახსონს, შენი ამხანაგი, მაგის მამამთილი, მაგ იმამ დაიტანა, კონკილამ — გამოეცალა და... ცოლ უთხრა, წადიო ის მოიტანეო, პურიო... წავიდნენ, სანამ მოიტანეს, არ იცი ქალი, ზოგ-ზოგი... ისა, თამბალი ქალი რო იქნება. სანამ აქეთ-იქით, იქ საქმე, იქ ის დაინახა, იქ ის გააკეთა... ამამ უქცია, მორჩა... კალოს უქცია... გამოიარა, დაჯდა ურმის ქვეშა და რა იყო, ქარმა გაანძრია, ვინმე მოხვდა... აბოლოვდა ეს ურემი და ჩასცხო ამ შენობაში (გულ-მკერდის არეს მიუთითებს) და იქვე მოკვდა. აი, ორი კონკილა რო ჰქონოდა, ხო აღარ იზამდა.

შემოდგომის პურ თესამდნენ. ჯავახეთის პური, დამიწერინებია (ამის

შესახებ ადრეც დავაწერინე, მ. ბ.), იმ ქალის წიგნში იქნება (იგულისხმება ც. ლაფაჩი, ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი, მ.ბ.), ჯავახეთის პური — დიკა, ძალიან ნოყიერი არის. აი ხელი რო დაადო, გეგონება, შაქარია, თაფლზე დავადე ხელი! ეგრეთი პურია, წებოვანი.

ინგლისელები მოდიოდნენ აქ, ინგლისელები, ჯავახეთში, მარტო ჯავახეთი კი არა — გადაყოლებით არტაანამდე, იქ ყიდულომდნენ პურსა, აქედანა, ჩვენებ მიჰქონდათ ურმითა, ოთხ მანეთად სომანი დიკა მიჰქონდათ, იქ აბრიდნენ, არდანუჯ ეტყვიან, თათრის ხელშია ეხლა! იქ აბრიდნენ, ინგლისელები ყიდულომდნენ, მერე ინგლისელებსაც მიჰქონდათ იმით, ნავტიკები იყვნენ, ხარის ტყავის ტიკები იყვნენ გაკეთებული და მაგაზე ჰქონდათ ნავი გაკეთებული, ზედ უდებდნენ მაგ ჭოროხი წყალზე და ჩადიოდა შავ ზღვაზე და გაჰქონდათ იქ იმაში, ინგლიში.

ჯავახეთის დიკაზე იყო ნათქვამი:

„კორკოტი ვჭამეთ ასლისაო,

დრო მოვიდა წასვლისაო“.

— ესე იგი, ამას უძახდნენ კორკოტის ასლი. ასლი — რო გემრიელი, კარგი იყო არა, ძია!

— და აი, ეხლაც იძახიან, მიცვალებულზე რო კორკოტ რო სჭამენ, ხალხი უეე აიშლება, მიცვალებულზე — დრო მოვიდა წასვლისაო.

***

ჩვენ კარებზე აექვე, კარებზე, სამი ქვა იყო, წისქვილის ქვა. სამი. ოთხიც, ეხლა რო არი წისქვილი დანგრეული, ოთხი ქვაც მანდ იყო. დინგი, ორი დინგი ჩვენ კარებზე იყო, ორი დინგიც იქ იყო. აქ იყო შვიდი ქვა, აექ ტრიალებდა, იქ ერთი, თქვენ რო ეძახით, ამაღლება არი, ამის მამა იქ იყო, იქ მუშაობდნენ წისქვილებზე, იქ იყო შვიდი იყო, და ერთი დინგი იყო და აქ გარე სოფლებში: რომატურცხი, ფრანგტურცხი, არდა-მარდა — მანდ წისქვილები არ იყო, წყალი არ იყო, სულ აქ მოჰქონდათ, აქ ფქვავდნენ ხოლმე. რიგი იყო ხოლმე. მიიტანდა ერთი ადამიანი თორმეტ, თოთხმეტ ტომარას, აავსებდა, გარეცხამდა ამ პურსა, გააკეთამდნენ, და ერთ მეშოკსაც კორკოტ დანაყამდნენ, რო ზამთრის სამარაგი ჰქონოდა, მერე დაკლამდნენ სასუქსა, მსუქანსა და დააყაურმამდნენ;

მაშინ ვინც იყო — იყო! ვინც არა და არა! ბატ ბევრ ინახამდნენ. ინტენი ქერი ქონდათ, რო ბატ ინახამდნენ, ნახირისავით იყო. ბატები იყვნენ, ბატი ფლავ აკეთამდნენ, შემოდგომა ხდებოდა...

პირის გემო იცოდნენ...

ზამთრისთვის გადანახულ სარჩოს საზამთრო ერქვა.

მოიტანდნენ ფქვილს, ამბარში ჩაჰყრიდნენ, ჩვენც გამოვდიოდით, ბავშვები

ვიყავით, ნიფხავ-პერანგიანი, ავიდოდით ამბარში დავტენამდით ამ ფქვილსა.

ქადისთვის და ნაზუქისთვის სუფთა პურ აკეთამდნენ.

...ზოგი კაცი იყო... კოთელიას იყო — ბებერაჩემის დიშვილი იყო, ალექსი-აღა, და ეგა, კორკოტ აკეთამდა და იმას ფქვამდა, რო თეთრი გამოვიდეს... ქერქი სცვიოდა...

ხორბალი გინდა დიკით დაფქვი, შავი გამოდის, მაგრამ იმაჰ რო ქერქ გააცლიდა, თეთრი იყო. ახლა რო ტრიცატკა არი, აი, ბაღდანოვკაშია წისქვილი, მიაქთ აქედანა, ფქვავენ და მოდიან!

...პური იქნებოდა თუ, თაფლი იქნებოდა თუ, გენაცვალე, კარაქი იქნებოდა, რაც იქნებოდა, ყაურმა იქნებოდა, სულ იქ ინახებოდა, იმიტონ, გრილოდა იქა — (საცივეში?) ჩვენ ქილარ, უძახდით იმას — ქილარში.

მე თითონ ჩემ თავზე გითხრა, ეს ამბავი იყო, ეს... ამათგან რო გავცალკევდით, ოზდაჩვიდმეტი სული რო ვიყავით და ამბარქვეშ'ნა შევძვრე. შევძვერი, გაიგე, ორი სალათა (ხახალი, წნელით მოწნული გაშლილი კალათი, მ.ბ.) კვერცხი იყო, აღდგომისთუნ. ავიღე ეს ერთი კვერცხი, ამას დავცხე — გატყდა, ეს იმას დავცხე, ის იმას დავცხე...

— მერე ბებერი არ იძახდა: (თათრული ფრაზა), არ თვლიდა?

— არ თვლიდა, თავი ადგილ ვდებდი, კვერცხ ხო არ ვიპარამდი მე, მაგარ კვერცხ ვარჩევდი.

## საეკლესიო დღეობები

— ...კერძოობა რო იყო, ჭონას დადიოდით, კრიფამდით კვერცხსა?

— მამაკაცები დადიოდნენ, ლექს იძახდნენ, ჭონა-ჭონა დადიოდნენ, რაგორ იყო?! — ერთი კარტოფილი, — ჩხირ დაარტყამდნენ ამ კარტოფილსა თოკით ჩამოჰკიდამდნენ მაღლა, შვიდ ბუმბულ შეურეშემდნენ გარშემო. ერთი კვირა გავიდა! — ერთ ცალ გამოაკლებდნენ, ორი კვირა გავიდა — ორი გამოვაკელი, სამი... რო მოახლოვდებოდა: — აი, ერთი კვირა დარჩა! — აეგრე გვატყვილამდნენ. ეგ იყო „ბობოლი". ბავშვებიც ვმარხულომდით.

აი, ჩვენი გვარის ის არი, ქალი არის, ეკლესიაში მარხია, და კიდევ ჩვენი თორუნი, გვარამაძიებში არის, ეხლა აქ დამარხეს და... ჰოდა, ისა... კანონით არის დიდი მარხვა ორმოცდაცხრა, პეტრე-პაულობი მარხვა — თხუთმეტი, მარიობი მარხვა — თხუთმეტი, ორმოცდაათი ჩავთვალოთ, აჰა — ოთხმოცი. ქრიშობის მარხვა ორმოცდასამი, გაიგე, სულ ერთიან ასი დღე იყო, მარხვა და ისინი... ეგ ქალი, ეკლესიაში რო მარხია ეხლა, მურჯიკნელი, რძალი, — ისა, ორას დღეს მარხვას იჭერდა, ღვთის მონა იყო, ეგ კაციცა... ვანო პაპას მამიდა არი... ბაგორაგ, ბაგორაგ, (ვიღაციენთ) ბაგორაგ — ეგა.

## ზღაპარი

...გამოუდგა, მიდის, მიდის და ქვეიდან, ის კაცი ეშმაკი იყო, ის ინდოველის პატრონი, შევიდა თვარმე, დეეია, ცხენიან ხედამ, რო მოდისო ის ცხენიანი რო მოდისო, ქაჩალი კაცი ვინც არისო, იმათო თავ ჭრიშო და ტყავს ატყავანსო და ბარაბანი უნდა გააკეთოს ჯარისთუნაო.

— შენ გენაცვალე, მე ქაჩალი ვარო...

— წადი მანდ წისქვილის (... ში) შედიო მანდაო (არ ისმის კარგად, მ.ბ.). თათრულია (განმარტავს, თათრული სიტყვააო) — უკნიდან ის რო არი, წყალი რო გამოდის და ჩარხი რო ტრიალებს. იქ შევიდა. თითონაც ფქვილი წაისვა ამამ, ინდოველის პატრონმა ფქვილი წაისვა, ვითომ მეწისქვილეა.

— ეს კაცი მოვიდა, — აი, შე მამაძაღლო, შეუტია,

— მე რათა მცემო, ექ ვიღაცა მოვიდაო, აქ შევიდაო.

ცხენი გამოამბა კარებზე, შევიდა დაინახა იქ, კაცია. — გამო, შე მამაძაღლოო, გამოდი! — უყვირის.

— ამამ თქვა, მართლა თავი'ნა მამაჭრას!

ესაც (ინდოველების პატრონი) შეჯდა ამ ცხენებზე და კოთელიისკენ არ წავიდა, წავიდა იქითკენ, მეორე მხარეს.

გამოვიდა, — ცხენი აღარ არი.

— კაცო, რას მერჩი, მე მეწისქვილე კაცი ვარ, აი ხალხ კითხე, აგრე მითხრა იმამა...

— ცხენი წაართვა, ახლა ფეხით წამოვიდა იქიდან. რძალმა უთხრა, ჩემო მაზლო, ცხენი რა უყავიო, შე კაი ქალო, შენაო, რატომ არა თქვიო, რო ფეხით წაუღიაო და ცხენით გავატანეო. — სირცხვილით უთხრა, გაიგე, — ცხენიც ზედ მიადო!

## ამაღლების ქვის აღმართვა

— ე, ღმერთო, ღმერთო, ღმერთო დიდებულო!

(ლოცულობს)

ეს ამის მამის პაპა რო დანიშნეს, პავლუშას პაპა, სიმონაჲ, გოგო, სიმონაჲ. ოთხი ძმანი იყვნენ, ოზდაჩვიდმეტი სული რო გითხარით. ოთხი ძმის ნაშიერი იყო. სიმონაჲ იყო პირველი, მეორე იყო პაპაჩემი იყო, სოლომონაჲ, მესამე იყო — ტოპეჲ, ზველელი ქალი ჰყამდა იმას, გლადიენთ უძახიან, გლადიენთ, — იმათი, გარდაიცვალა საწყალი, არაფერი დარჩა ნაშიერი. მესამე იყო ლალაჲ ერქვა.

ეს სიმონაჲ რო დანიშნეს, ათას რვაას ორმოცდარვა წელს... ბალანთელი დედა ჰყამდა ამ სიმონას ზედგინიძიების ქალი იყო. ბალანთელი დედა

ჰყამდა! ქალიც ითხვიეს, — გვარამაძიების ქალი. ყაფლანი ერქვა, იმის გოგო ითხვიეს, შენ ხარ ჩემი ბატონი, და შემოდგომა რო მოვიდა, წინათ იყო, ოქტომბერში იყო მიცვალებულის დღე, ოქტომბრის — ღვინობისთვეში. (ითვლის: ენკენის თვე, ღვინობითვე, გიორგობითვე. გიორგობითვე ქორწილობის თვე იყო. ქორწილები გიორგობითვეში'ნა ყოფილიყო. ეხლა აურიეს — არც ისეა და არც ისე).

მერე, შენ ხარ ჩემი ბატონი, ამის დედამა, ქალამ, წაიყვანა... სოლომონამ შეაჯვდინა ცხენზე, წაიყვანა ეს დედა, აიყვანა თავი დედის სამშობლოში. პარტნოვი იყო, რძლისთუნ უნდა შეეკერა ტანისამოსი, რამე. ერთი კვირა დარჩა იქა. შემოუთვალეს, რო: ამოდი, წაიყვანე! — წაიყვანე ამოდი! ავიდა ეს სოლომონაჲ, შეაჯვდინა თავის დედა, ჩამოიყვანა, დედამისიც წამოჰყვა. მამა მკვდარი ჰყამდათ მაშინ, სოლომონას...

ჩამოვიდა ეს სამი-ოთხი დღით ადრე წამოვიდა, ქორწილი-რამე... მომზადება უნდა, რამე უნდათ. მოხმარება უნდა. ჩამოვიდა, აქა, ჩამოვიდა, ის ქნეს. ჩამოვიდა, აქ ამაღლებას ვეტყვით, რავი გინახიათ, არ გინახიათ? ამაღლება არ გინახიათ, ჩვენი ამაღლება. მაღალი სვეტია. ეგ სვეტი ძირ დეეს ასე, ეგ ამაღლების ქვა. მივლენ, დასხდებიან, დედა-შვილი, პაპაჩემი და თავი დედა, თავი ძმა. ეს იტყვის, რო, მოდიო, ერთიო ეს ავმართოთო, ეს ქვაო, გაიგე. ჩამოვლენ აქა, ქორწილში, იტყვიან, ბიჭებო, ეს მიზანი მაქ, თუ დემეხმარებითო, ავაყენოთ ამაღლების ქვაო.

ახალგაზდებმა უთხრეს, მორჩა ქორწილი და უთხრეს, რო: მზათ ვართ. ოცი-ოცდახუთი კაცი! ტყე იყო აქ მეტი წილი, ეს სულ ტყე იყო, გაუვალი ტყე იყო, ამან გააკეთებინა სკობკები. სკობკები. აი, ჩანგლები, ბიჭო! აი, სხვილი, ამსიგძე სკობკები, რო'ნა ჩვიდეს ნა, ოცი სანტი (სანტიმეტრი) ხეში'ნა ჩავიდეს, მეტი! გააკეთებინა ერთი ოთხი-ხუთი, ერთიც ზუბილა გააკეთებინა, სათხრელი ქვისა, ჩაქუჩით რო თხრიან, არა, იმას რო იღებენ, დინამენტის... არა, მერე რო ფითილს აძლევენ, ეგა. გააკეთებინა, წავიდნენ და გუთნის ჯამბარა წაიღო. მაშინ ჯაჭვი არ იყო, არაფერი. ხარის ტყავით იყო დაწნილი ისა, გრძელი — ათ-თორმეტ უღელა ხარ ამბავდნენ, გუთნის ჯამბარასაც ეძახიან, ღვედსაც ეძახიან. ჯამბარას უძახდნენ თავზე რო უკეთამდნენ, მოკლეს, ეს გრძელი — ათი უღელა ხარი ითრევდა მაგას.

წაიღეს ეგაცა, ის ქნეს, მოაჭრევინა ხიები, ოთხი მორი, სამ-სამი მეტრა იყო სიგრძე თუ რაც იყო, თავი ზომაზე გაზომილი. ის ქვედა დაზგა გამართა, როგორც ეს პოლი, — ამაღლების ქვა მოიტანოს, დადოს'ნა. შუა ქვაზე გააკეთა, გაამაგრა... ეს ქვები შიგ ამოშჭრეს, დახვრიტეს... ამ კლავის სისხო გახვრიტეს ეგა. ასეც გახვრიტეს, — ასეც (ჰორიზონტალურ-ვერტ.). ახლა, ამაში რო ტყვია ჩაასხან, აქეთაც წავიდეს, იქითაც წავიდეს, ამ ქვაზე წავიდეს და იქაცა (ქვები ამ სახით დაამაგრეს ერთმანეთზე მ. ბ.).

აეგრე ექვსი დღე დაჰკიდეს ეგ ქვა. გრძელი ლატა (ლატანი) მოიტანეს და როგორც ჭიდან წყალი ამოიღო, ჭიდან წყალი ამოიღო — ეგრე! დააწვნენ ამასა, ეს ქვა ასწია, ასწია — დადგა ფესე, მიიყვანეს, დააყენეს იმის პირდაპირ, აჰა და გათხრილია იქა, გაიგე...

...ღვდელი, ექვსი ღვდელი... ერთი ბლაღოჩინი იყო, ვიღანც იყო, დიდი, უფროსი, მოვიდნენ აქა, ჰოდა, სამი ხარი იყიდეს, სოფლი ფულით, აი ვახტოს კრეფავდნენ ძველათ, გაიგე, სამი ხარი იყიდეს, ეგ სამი ხარი რო იყიდეს, რო აკურთხა ღვდელმა, ის ქნა და, ლელ-ლელა ჩაუშვეს და ეს ტყვია ჩაასხეს. ეგრე იყო, ყარაული ჰყამდა — ვინმემ არ გადააგდოს! მერე დარჩა ეგ ქვა აეგრე. დასხდნენ, პური ჭამეს, რამე, იქეიფეს. სამღთო სამი ხარი დაუკლეს. ეეე, თელი... სომეხიც მოვიდა, თათარიც მოვიდა, ყველაც ჭამდა, ჭამეს. ეგ ქვა დაკიდული იყო 1848 წელს.

## ეკლესიის ხელყოფა

...დააყენეს გალავანში და 1968 წელი იყო თუ შვიდი წელი, მამაშენი იყო წისქვილში, ყოველ დილით რო გამოვიდოდა... სამასი მეტრა იქნება, რა ვიცი, სამასი მეტრა იქნება! გაიცქირა, რო ჯვარი არ არი! მაღლა ჯვარი არი. ავიდა. ნახა ჯვარი არ არის. ჩამოვიდა, მეშოკი აიღო, ეს ჯვარი დამტვრეული, (დაუმტვრევიათ ეს ჯვარი, შიგ ოქროაო და დაუმტვრევიათ ჯვარი. ჯვარი დაუმტვრევიათ — და — არაფერიც არ იყო) — ჩააწყო მეშოკში, აიკიდა და ჩამოიტანა სახში, ადრე იყო, მოვიტანეთ აჰა ექა, იმას მოუნდა ასვლა, ჩამოსვლა აქა. ცოლს უთხრა, ერმანასა, ამი დედა ერმანაჲ იყო...

— არა, არა, არა, ეკლესიის რამეს ნუ შემოიტან, გარეთ გაიტანეო — დადო კარებზე (გარეთ), ჭამა პური, აიკიდა, წაიღო, ენტეესში მანდ სლესარი იყო, სომეხი, გაიგე, იმასთან, ამირშადიან ბაგრატაჲ იყო, დავითის ძე.

— მოიტა პავლეჯან! — ტკბილი ენა.

მიიტანა, ბურავოჲ... ტოკის ბურით დახვრიტა, გაიგე, შეკრეს ეს ჯვარი, წაიღეს ამ ორთავენმა, — იქიდან მარტო ჩამოიტანა ჩემ მაზლმა და აქედან ძლივ აიტანეს! (ქალი).

— მე გებნევი, მარტო ჩამოიტანა, კარებზე მიაყუდა-მეთქი, ეგრე არა ვთქვი, — კარებზე მიაყუდა და — რა არიო, ერმანამ უთხრა და: — ჯვარი გადმოუგდიათ, დაუმტვრევიათო...

— არა, არა, არა, ეკლესიის რამეს ნუ შემოიტანო სახშიო, გაიგე, დედაშენმა უთხრა, მერე ეგ წაიღო იმასთან, იმამ გააკეთა, ორთავენი წავიდნენ, გააკეთეს! ჰო, კიბეც გააკეთეს, რკინის კიბე, რო მიუდგნენ... 1967 წელი იყო თუ 68 წელი იყო. ეგ გადააგდეს, გენაცვალე... ზემოდან

გადმოუგდიათ, დაუმტვრევიათ, სულ იმალ-იმალ უქცევიათ.

— იმალ-იმალ — ნატეხ-ნატეხ — თათრულია, — გაგიგია იმალ-იმალ დაგკუნწამო. მერე პავლუშაჲ ცოცხალი აღარ იყო, კვდარი იყო, ამ ბიჭმა გაიგო, წავიდა ამ ბიჭმა ეგ ქვა კიდევ ჩამოიტანა, ბაგრატამ, გამართა კიდე. მე ჩამიწერინებია წიგნში — თუ ოქრო უნდოდათ, ნახეს — ოქრო არ იყო! მეორეთ რო ქნეს, თავითავათ ოქროები ხო არ ძვრებოდნენ — მაშადამე, ეგ იმიტონ ქნეს, რო ეს მოისპოს, ესა, გაუქმდეს ეს ქართული ეკლესია, რწმენა აღარ იყვეს, გაიგე!

აექ ჩვენი ეკლესია იდგა, მურჯიკნელთ ეკლესიას ეძახიან, ეგ დაანგრიეს ოცდათექვსმეტ წელში, გაიგე, ის იყო... სომეხი იყო კაცო...(ვერ იგონებს) ვებნეოდით და (ხელით აჩვენებს გისოსებს) — გინდაო? — ციხე გინდაო! (ემუქრებოდა მ. ბ.).

მოსაუბრე ქალი: — ეხლა იცი, რა უქნიათ, თირბის ეკლესია რო არი, მალაქ ძია, ის ხო ქართული ეკლესია არი, თირბის ეკლესია არი, დაუწერიათ სომხურათ და ქვა მიუტანიათ, რო იქ იყო (შიგ ხო ჯვარი იყო) რომ იმ ჯვარის ალაგ'ნა დადონ, რო სომხური ეკლესიაა და თითონა, ათას ცხრას თხუთმეტ წელში აქა სომხები დახოცეს და იმას გლოვობენ! და ყოველ წელწად აპრილში ერთი ამბავი აქთ.

მალაქია: — გითხრა ეხლა ეგ რაზე მოხდა, მათქმევინამ? — ხო არ სწერამ?!

— არა!

ეგა, შვილო, თხუთმეტ წელში რო ნიკოლოზის ომი იყო, არა. თათრებ ჰყამდათ სომხები დაქირავებული, გენერლები, აფიცრები, გაიგე, ზოგი დაქირავებული ჰყამდათ, ზოგმა გვარი გამოიცვალა, მამადიანობა მიიღეს, სომხებმა, გაიგე!

ათას ცხრას თხუთმეტ წელ მოხდა, ოცდაოთხ აპრილსა აი, ეგა. ერთი დიდი წყალი არი იქითკენ, ეხლა თურქეთში არი ის წყალი და მთა, რაგორც ეხლა ნიალის მთიებია... არ ვიცი, დეკემბრის რამე რიცხვი იქნება თუ იანვრის რიცხვები, ყინვიანი დრო ყოფილა, გაიგე, ყინვა! გაუტარებიათ ეს ჯარი. თათრის ჯარ რა ეცვა! ამ წყალში სულ დასველებულა და გაუსვრიათ, თოვლში ცეპი, გაიგე, ცეპი გაუსვრიათ! და ყველა ათეული, ყველა ასეული ჩაწოლილან, დაყინულა ეს ხალხი, ეს თათრები. თითონ ამდგარან და გაქცეულან, ეს მეთაურები, გაიგე. სომხებმა ის ქნეს.

თათრები გაიყინენ. მოლამ ილაპარაკა, ნაქალაქევის აბანოზე ვიყავით. ეგრე ვუთხარ და... სომეხიც მყავდა ჩემ გვერდზე, სურენას ბიჭი იყო, აკოფაჲ, მერე გამოჩნდა, მართლა ეგრე მოხდა, თითონ გაიქცნენ აფიცრები. მერე ჯამალათა თურქი იყო, მინისტრი იყო ჯარებისა, მთავარი, თელ თურქეთისა, იმამ ბრძანება გასცა, ოცდაოთხ აპრილს, ანაპაატებია, უდაბნოებია, გადაიყვანეს და იქ მილიონნახევარი სომეხი იქ დახოცეს

(ანაპა, ანაპა — ხალხი რო არ ცხოვრომს, გაიგე, — უდაბნოსაც ეტყვიან. გამოუსადეგარი ადგილია, ხალხი არ ცხოვრომს) იქ დახოცეს!

— ხოდა ეხლა ვითომ ანაბაში მიდიან საცხოვრებლად ეს ძაღლები (ქართველი ქალები).

კაქკაჟიშვილი საბედ ფილიპეს ასული, დაბ. 1906 წ. ადიგენი. სოფ. არალი. (1991 წ.)

## მეუურნეობა

ვმუშაობდით. დღე-ღამე ვიყავით კარზე. ყანევ ვხნებდით. ჩემ ძმას ეპირა არონაᲲ. მე უღელზე უჯექი (ჩაიწერა?) მერე იქიდან მოვიდოდით სახში, შეეაბმედით ხარება და ვლეწამდით, — ბჯას, კევრებით. შენ არც იცი კევრი რა არი!

...რა ერქვა?

— დარბაზთუბანი! — წისქუული იყო იმათი (თათრების, მ.ბ.) შიშით ქალი - რძალი ვერ ჩადიოდნენ, მაიმუნები იყვნენ.

...დავრეცხემდით, ჩავიტანდით წისქულში, დავქმემდით, ამოვიტანდით და ვაცხემდით, — ვსუამდით.

...ახლა, ქადისთვის როგორა, იმას სუფთათ გავარჩევდით, ერთი-მეორეზე ქადისთვის. სხვა მეშოკებში ჩაფურიდით, გავამტკიცანდით...

...როგორ იყო, შენი ჭირიმენ და კვირის-კვირანდი, ორ კვირანდი გოგომ და ბიჭმა არ იცოდნენ, რო ვინ ვის უნდოდა, მარტო უმფროსებმა იცოდნენ. ახლა ჩაივლი თუ არა, ამოგიყრიან კლავს და მიდიან.

...(ვთქვათ) შენი თავი მინდოდა! — ასაყვანათ (ცოლად მოსაყვანად) კი არა, — მე უფროსი ვიყავი და შენი თავი მინდოდა რძლათ, გაიგე, ან სახლის უმფროსი მივიდოდა ვიღაცა...

...ბავშვები, ბიჭები რო წავიდოდნენ მთაში, — ათ-ათი წლისა. გადმოუდგებოდნენ მამაძაღლი თათრები და... ნაცემი დაბრუნდებოდნენ სახში.

წარბას უბანი იყო, ხვანა იყო, წყისი იყო, მარელი იყო, ქვემო წყისი, ზემო წყისი (თათრების სოფლები)...

— ჩვენ ვიყავით სუფთათ. დანარჩენი, — უდეშიც თათარი იყო, ვალეშიც!

## სარწმუნოება

— ვმარხულობდით, შენი ჭირი ბაბოსა, ერბოს არ ვსჭანდით, ყველ არ ვსჭანდით. ხოდა ისე, ბოდიში (?!) ლობიო, კარტოფილი რაღაცა, ოთხშაფათი, შაფათი (?) და პარასკევი, პირველი კვირა და შეგენახა და მემრე და სარამ პარასკევი და შაფათი და ის მოსულიყო — ოთხშაფათი, მარხვა და დეგეჭირა.

— ვინ იყო მღვდელი, გახსოვთ?

— როგორ არ მახსოვს?

ტერ გაბრიელი! ტერ ტანისიმეჲც იყო, ტერ ალიოზიც იყო, ტერ გაბრიელიც იყო! მერე გადაასახლეს. ზოგი აქ მოკვდა.

— რატო გადაასახლეს?

— როგორ არ იცი, რათ გადაასახლეს? — არ უნდოდნენ ქრისტიანობა.

**აკოფაშვილი არტემ იაკობის ძე**, დაბ. 1906 წ., ადიგენი. სოფ. არალი (1991 წ.)

## ერთათობა

...ერთ ოჯახში ცხოვრომდნენ, ძმები და ისინი არ ცალკევდებოდნენ. არ ცალკევდებოდნენ იმიტომ, რო (ნუ ჩართავ ეეხლა ჯერ!) იმიტომ, — ჩაგურა იყო, ჩვენ ორი სოფელი, ადიგენის რაიონში — ჩვენ და უდე! და ვალე, ახალციხის რაიონში სამი სოფელი ვიყავით. ამ ჩვენ მესხეთში სულ თათრები იყვნენ. ჰოდა, ეს თათრები, სამუშაოთაც რო წასულიყავი, შომორტყმული აგერ, ორ კილომეტროზე, აქ სოფლები იყო გარშომო, ყველგან სოფლები იყო, და ეს თათრები, შენ რო წყალი გეგეშვა და იმათ მიწები ჰქონდათ... შენ რო საქონელი საბალახოთ წეგეყვანა — ართმევდნენ!

ეს ძლიერი რო იყო ოჯახი, ადიოდნენ, ჩხუბშიაც იმარჯვებდნენ, ყველ საქმეშიაც იმარჯვემდნენ და ყველაფერ. ეს მეტი ხალხი მიტომ იყო კაი. ეხლა ერთი შვილი რო ყავს მამას და: — მე ცალკე უნდა გავიდე, ცალკე უნდა ვიცხოვროო! — იმას ისე სურს, ისე მიდის არც არავინ უშლის, კაცო, წავიდეს, იცხოვროს, მაგრამ იმ დროს შეუძლებელი იყო, იმიტომ ერთი კაცი ვერ იცხოვრემდა, ოჯახს ვეღარ მუუვლიდა, მორწყვა იყო, მოხნა იყო...

ჩვენთან... რკინის გუთანი, ჩემ ახალგაზდობის დროს, რკინის გუთანი ვის ენახა, ხის გუთანი იყო, იმას, თუ სამი წყვილი ხარი არ იქნებოდა... ვერ მოხნამდენ ყანას. სამი წყვილი ხარი რო ჰყოლოდა ერთი კაცი ხო ვერ შეინახემდა და ძმები ბევრი იყვნენ და... ერთათ მიდიოდნენ...

ეს ჩვენი ქვეყანა, ეს ჩვენი მხარე, ერთნაირი აუღებელი მხარესავით იყო, ჯეს წყლი პირები და ისენი, ეხლა, რომელიც დაცილებული იყო სოფლიდან, ურწყავი ადგილები იყო და მოსავალი ნაკლები მოდიოდა. ხოდა ეს წყლის პირები! — წყლის პირები ძალიან... ძეწნით, ეკალით... ერთი სიტყვით, აუღებელი, დაუმუშავებელი იყო და ეს მიწები, რომლებიც კარგი მიწები იყო წყლის პირებზე, სულ ფიჩხნარი იყო რა, — როგორც ტყე!

ხოდა, ისეთი შემძლე ხალხი იყო ჩვენი, არ ვიცი, ასე რათ დავწვრილდით ჩვენი მამა-პაპა ძალიან დიდრონი ხალხი იყო! ძალიან! ძალიან! ისეთი შემძლე ხალხი იყვნენ, რო — პაპაჩემი არა? — ოქრო პაპაჯ (შემსწრე ქალი).

...აგერ ამითანა ხეებს, ამითანა ხეებს, ასე მიაბემდნენ ხომე, წინეთ არც ჯაჭვი იყო — წნელით წვალომდნენ, აესე მიამბევდნენ ამ იმას, წნელით, მაგარ წნელით, ჯვარედინათ მიამბევდნენ. ასე, მერე მოქაჩამდნენ და აქ მხარ მისცემდნენ და ამთელა ხიებ გლეჯდნენ, ისე გლეჯდნენ. ამ მხარ, ორიევ მხარ, ამათ, ეს ორიევ მხრიებზე დააწყემდნენ და წამოიწევდნენ და ამითანა ხიებ გლეჯდნენ. წარმოიდგინე შენ! ასე ძლიერი ხალხი იყო.

ერთი კაცი გაგზავნეს... ჩვენგან მთა ოცდაათი კილომეტრია, სოფლიდან მთამდი ოცდაათი კილომეტრია. იმ დროსაც იქ დადიოდნენ და ეხლაც იქ დადიან. ერთი ჩვენებური კაცი, ხო თქვენც გეცოდინებათ კვარი წინეთ ხო... ნავთი სად იყო იმტელი და კვარით... დაანთობდნენ კვარს და ღამით, რო დღისით რო ვერ ასწრომდნენ სამუშაოს, ღამეც მუშაომდნენ.

და აი, კვარის ჯირკი აიკიდა და... კვარის ჯირკი აიკიდა და წამოიღო, ისეთი შემძლე კაცი იყო. მთიდან ჩამოდიოდნენ... მთაში რო მუშაომდენ, შაფათ დღეს წამოვიდოდნენ, რო აუცილებლათ წირვა ვნახოთო, ეკლესიაში წავიდეთ, ვილოცოთო, იქ მუშაომდნენ, ოცდაათ კილომეტროზე, წარმოიდგინე, ის ხალხი იქ მუშაომდა და შაფათს წამოვიდონდნენ, რო ჩავიდეთო, წირვაზე ეკლესიაში ჩავიდეთ, ვილოცოთო და კვირას შუადღის მერე ავიდოდნენ, კიდო იქ მუშაომდნენ.

წარმოიდგინე, ასეთი მორწმუნე ხალხი იყვნენ და ამ ოცდაათ კილომეტროს ისე გაივლიდნენ, რო... აუცილებლათ, ვინც არ უნდა ყოფილიყო, ყველა ჩამოვიდოდა, ეკლესიაში წავიდოდა, წირვაზე დაესწრებოდა, ილოცავდა, კიდო წავიდოდა... კიდო მეორე კვირაში იქ მუშაობდა. თივის ცელვა, თელი ამბავები, თელი და ასე...

და ეს კაცი რო წამოვიდა, ეს კვარის ჯირკი დაიტია მხარზე, — აგრე მოვდივარო და ლაპარაკითო წავალთო. ერთ სიტყვით, ასი კილო მოსულა (გამოსულა) ასი კილო, ის კვარის ჯირკი, აქ რო ჩამოუტანია

და აუწონიათ და ხან ამ მხარზე დაიტოვდა თურმე, ხან მეორე მხარზ
დაიტოვდა — დიდი, მსხვილი ჯირკი და აი, კაცმა რო ჩამოიტანა
ოცდაათი კილომეტრი, აწონეს აქა და ასი კილო მოვიდა. ახლა იმ
დროს ხო კილო არ იყო, ფუთებით იყო, — ექვსი ფუთი მოვიდა.

...როგორც ბრიგადა, კოლმეურნეობაში ბრიგადა, ეგრე იყო ოჯახი. ხელმძღვანელი ერთი იყო. აუცილებელი არ იყო, ის ასაკითაც უფროსი ყოფილიყო, შეიძლება ახალგაზრდა იყო და ის უფრო გონიერი იყო, მეტი შეიძლო და ხელმძღვანელად ის ითვლებოდა. ბევრ ოჯახში ქალი იყო!

მამანთილი იტყოდა (ქალი ჩაერთო ლაპარაკში) ხოლმე, ბიძა, რო რა თქვა მოიცა! — რაცხა ზუროგ ერქვნენო და უნდოთებიო შელაგდნენო და ხალხიო ვერ შევჰყრითო ამ კვანტებსაო და შეიყვანა ქალმაო პური აკამაო, მამანთილი იტყოდა ხოლმე, ზუროს უძახდითო ქალ ნამეტარ სახელსაო.

...შევიდაო, შერეკაო ეს ხალხიო პურის საკმელათ, ხუთი-ექვს კაცმა (ვერ შეყარა) ეს კვანტებიო, მერე საღამოზეო მოლაგდნენო (ხალხიო) და შევყაროთო (საღამოს მოვა ხალხი და შევყაროთო მ.ბ.).

და გამოვიდაო და იმ ქალმა შეყარა, დაკვანტა ის კვანტები, ყველაფერიო, ჩაიცვა მამაკაცის ტანიო, გამოვიდა, შეყარა, გაამზადაო და პური ჭამიდან... — აჰა, მორჩითო ახლაო, ჭურქელი'ნა დავრეცხოო.

— შემძლე იყო ქალიც, კაციც! ეხლა სინამ საუბარ დავიწყემდეთ, წინეთ იმ პერიოდში, ჩემ ახალგაზდობაზე ცოტა წინ, ერთი ორმცდაათი წლის წინ, წესი ისე იყოო, რო ... ისე იყოო, რო ყოველ ამ, ყვერიელობას ვეძახით, გონი თქვენი დღეობაა, იმ დროს თქვენსკენაც იქნებოდა და, ამ ყვერიელობაზე ჩამოდიოდა სხვადასხვა რაიონებიდან, სხვადასხვა...

თურქეთი ხო გახსნილი იყო და არდაგანამდე ჩვენი იყო და ჩამოდიოდნენ ეს მოჭიდავე ხალხი და ჩვენ სოფლის ხალხი ისეთი ძლიერი ხალხი ყოფილა, რო ვერ ამარცხემდნენ ისენი, ამ ჭიდაობას ვერ ამარცხემდნენ.

და იმ დროს, როგორც გითხარი და სამოზდაათი სოფელი რაიონში თათარი იყო, ორი სოფელი — ქართველი ვიყავით. ეს ხალხი ხო მეტია და უპირატესობაც მეტი იყო და ყველაფერი. ჭოდა, ბეგები და ისენიც ამ თათრებისგან იყო იფრო მეტი, ქართველებისგან ბეგები იმდენი არ იყო.

ერთი ბეგი ყოფილა, ბენარაში ნამყოფი ხართ? აგე ექვე, ჩვენგან ხუთი კილომეტრია, მანდ ყოფილა ერთი ბეგი. წასულა და თურქედიდან ერთი მოჭიდავე კაცი ჩამოუყვანია, მოჭიდავე კაცი ჩამოუყვანია, ამ თურქეთიდან, ძალიან ძლიერი, ძალიან მოსული, ას კილოს იწონიდაო, ისეთი იყოო, დიდი ძალიან...

(სოფელი გაღატაკდა ამ მოჭიდავეების და მათი თანმხლები ხალხის შენახვით)... ამ ათ კაც აჭამე, ფული შეუკრიფე, გაატანე! ეს ყველაფერი ახლა ისე კი არ გაღატაკდა, მაგრამ სოფელმა იგრძნო მოკლებულობა. ამასთან ერთათ, ეხლა რა'ნა დაუკავშირო: ...ეს დრო ასე მიდის და მაგ ჩვენი, ცენტრი სადაც არი, იქ ცხოვრომდა ერთი კაცი და, ახალგაზდა რძალი ჰყამდა, ძალიან ტანადი და ზაფხულობით, როგორც აეს ეზო გვაქ აგერ, ასე ეზოები მოღობილი და იქ ჰყანდათ ერთი სამი-ოთხი წველელი კამეჩი ამ ოჯახსა, შეძლებული ოჯახი იყო ეს სახარე კამეჩი თურმე გადახტა, ამ მოღობილში გადახტა და სახარე კამეჩი შევარდა აქში (?) და ეხლა შიგ რო დადის სახარე კამეჩი, ეს ხელ უშლის არა, წველაზე! — ეს რძალი წველამს.

გააგდამს ამ კამეჩ, ჭიშკარ გახსნის, გააგდამს, კიდე გადმოხტება, გააგდამს — გადმოხტება და მერე ამ კამეჩ, რო მუება, (კედელი ექნება ერთმეტრიანი კედელი შომოვლებული), ეს კედელთან რო ახლო იქნება ეს კამეჩი, ეს რძალი ამ მუცელში ამოკრამს ხელებ და ამ ერთმეტრიან კედელზე ამ სამასკილოიან კამეჩ, გადააკოტრიალამს, გადააგდამს და:

— ახლა, წადი შე ოხერო, ხელ მიშლიო.

ამას შეხედამს სხვა მეზობელი. სხვა მეზობელი შეხედამს შემთხვევით! გზის პირზე იყო და შეხედამს, რო: — ვაი, დედა, ამ ქალმა რა ქნა კაცო, ეს სამასკილოიანი კამეჩი... რა შეძლება აქო, რო ეს ასწია და ამ კედელზე; ...ამოსცხო მუცელშიო ორივე ხელი და გადაატრიალა იქითო.

ხოოდა, ეხლა, ეს ამ კაცმა იცის, სხვა არავის არ ეუბნევა ეს რო გავიდა, დრო, და ეს ხალხი ამ წვალებაშია და ეს ქურთიც რო ჩამოდის, ეს მოჭიდავე კაცი...

ეს მივა რომელ კაცმაც შეხედა, რო კამეჩი გადაატრიალა, ეს მივა ამის მამანთილთან, ამ რძლის მამამთილთან და ეტყვის, რო (პეტრე ერქმევა); — პეტრეო, შენი რძალიო ამ მოჭიდავეს დაამარცხამსო — მოჭიდავეს დაამარცხამსო და ჩვენაო, გაგვანთავისუფლამს, — მოჭიდავეს დაამარცხამსო და ჩვენაო გაგვანთავისუფლამსო, მაგრამ რაგორ ვქნათო?

— არ თქვაო, არ თქვა, გენაცვალეო, ქალიო! — რაგორ გაიხადოს ტანზეო, გავიდესო, ქალიაო, რაგორ შეიძლებაო!

— არაო, მაგას არც ტანზე გახდა უნდაო, არც არაფერიო, ეგ დაამარცხამს იმ მოჭიდავესო, და ჩვენ როგორ მოვილაპარაკოთო.

— მერეო, კაცოო, ჯიბრ ჩაიტანებენო, ჩვენაო სახლ ცეცხლ მოქვცემენ, დაგვწვებენო... — არაფერიც არ იქნებაო და მოდი, რძალსაო... (იმ დროს, ათ წლამდე რძალი რო მოსულიყო, ხმა არ'ნა გიეღო, ოჯახში ათ წლამდე მუნჯი'ნა ყოფილიყო უმფროსებთან. პატარებთან, — ეტყოდა სიტყვებ, ისინიც ეტყოდნენ, ყველაფერი, მაგრამ ამ შამთილ-დედამთილთან, ამ იმათთან, უმფროს მაზლებთან ათი წელიწადი მუნჯი'ნა ყოფილიყო), ჰოოდა, ესენი, ბგლა, მოდიო, ერთიო, ვკითხოთო ისეო, ვკითხოთო ამ შენ რძალაო.

მივლენ, რო ეხლა, პატარა გოგოც ეყოლებათ იქ სხვა და იმასთან ეტყვიან, რო ფესე-ფესე, ცალკე სახში შევლენ, მამამთილი ეს უცხო კაცი, რომელმაც შეხედა და ეს რძალი. ეტყვიან რო: — ჩვენ, უყურამ, რა გაჭირება გვაქ. შენ მაგ კაც დაამარცხამ!

ეს რძალი ეტყვის, რო მე დიდი ხანიაო, რო მე მაგაზე ჯინი მაქო და მე მაგას დავამარცხამო, ხოლოთ ვერ გამოვსულვარ სიტყვაშიო, რო მეო, ჩემთავათო რო თავზე ავიღოო, რაღაც ტრიპაჩად ჩამითვლიანო. ამისთანა დიდ საქმეში თან მეშინია, ვერ გამიბედიაო და როცა თქვენაო მებნევითო, გავბედამ, მე მაგას დავამარცხამო.

აბა როგორ ვქნათ, როგორ ვქნათ! — წადით და მე ვისი ტანიც — (ჩოხა-შალ ეძახოდნენ, რა — შარვალ-კასტუმი) ვისი ტანიც მომერგებაო, ტანადი ქალი იყო, ახალგაზდა, იმის ტანი მომიტანეთო და ბაშლაღს ეძახოდნენ, ეხლა დასავლეთშიც იციან, თეთრი ბაშლაღების მოხვევა და: ბაშლაღი - რამე მომიტანეთო, ვისი ტანიც მომერგება, ფეხსაცმელი, ტანსაცმელი...

ხოლოთო, ეს რძალი იტყვის, თუო გაგიქოყნებიანო ან ოჯახში გითქვიანო — უცხო კაც ეტყვის, თუ გაგიქვეყნენიანო, ჩემზე დიდი მტერი არ გეყოლებაო, — მოქცემ ცეცხლ, დაქწვამო, არ გამაქვეყნოთ, არ გამომიყვანოთო. ეს საიდუმლოთ აგერ სამ ადამიანმა'ნა ვიცოდეთ ესაო.

ეტყვიან რო: — უჰ, რას ამოფო, კაცოო, ჩვენ შენთან მოველით იმი გულიზა, რო ვიმჯელოთ, რო ჩვენ საქმეს როგორ მოუაროთო.

ეს მოატანინამს ტანსაცმელ, ჩაიცვამს ყველაფერ, ამ ბაშლაღსაც მოიხვევს — ახალგაზდა ბიჭი! სახეს მთლიანად არ გამოაჩენს, ერთი სიტყვით, რა! — ახალგაზდა ბიჭი!

ეს კაცი, ეს მოჭიდავე, ხო, როგორც გითხარი, ათ-ათ დღეს აქ რჩება. ზამთრის პერეოდია თურმე და იმ დროს ე სკამი და რამე არ იქნებოდა და დიდი მორის ნაჭერი იყოო, მორის ნაჭერი და იმაზე დაჯდებოდა ხოლმეო ეს კაცი. ხოდა, ამ გოგომ ჩაიცვა... ხალხი, მრავალი ხალხია, მოსული სასეიროთ, უკრამენ, დაბალ ხარისხის ხალხი ჭიდაობენ კიდოვ, ცეკვავენ — მოედანი დიდია, სეირობენ და...

ეს გოგო ისე გამოვიდა, ეს რძალი, ჩაცმული ტანი, ვაქკაცურებ, კაცი რო ძის სკამზე რო ძის (!): — გამარჯობა შენიო! ხელი გამოართვა, — ხელ გაუწოდამს! ეს ძალიან სუქანი იქნება ეს კაცი! აქ რო მოუჭერს ამ ხელ, ოთხ თითიდანვე სისხლი წავარდება, ისეთი მაგარი ხელი ექნება ამას. ეს ოთხ თითიდანვე, რაგორც რო ბოთლიდან რძე დაღვარო, ამ ოთხ თითიდან სისხლი წავარდება. ძლიერი! ახლა ესეც გაჯინიანებულია, ეს გოგოც. მერე მივა და ამ მხარში, ამ თეძოს ძვალი როა (ეს კიდე ამ მორის ნაჭერზე ძის, თითქმის გული წაუდა ამ კაც, ხელზე რო მოუჭირა). ერთით დაიჭერს, მეორით მიჭკრამს და ამას გაჭტეხს, ამ თეძოს ძვალს, ამ ოჩახის (ძვალს) ერთს დაიჭერს, მისცხამს და (ტვიტველაა ეს, წელზეიდან

გახდილი), ამ ძვალსაც გაუტეხამს. იფიქრამს ეს მოჭიდავე, რო, — კიდო კარგიო, რო არ დემეჭიდა, თორე შემჭამდაო ესაო, ეს რა ძლიერი (ყოფილა)! რა ისა!

— რა იცის! ხალხი ცეკვამს, ხალხი ჭიდაობს, ერთობა. ვერც გაიგეს, რო რა მოხდა! — ეს თითებიდან ასე სისხლი ადინა — არაფერი! და ე კლავი მოჰტეხა. კლავი მოჰტეხა! ეხლა ეს მორზე ძის კიდო. თავიანთ კაცები ტრიალობენ, აქეთ-იქით, იქით-აქეთ, მარა ვერავინ ვერ შეამჩნია, რო ეს რა მოხდა!

ეს ეტყვის, მოდი ახლოო — თავის კაც დაუძახამს: — წადი, ცხენები მოიყვანეო (რაგორც გითხარი, ესენი შორიდან მოდიან ცხენებით) — წადი ცხენები მოიყვანე, წამიყვანეთ აქედან, მე გლახათ ვარო. გლახათ ვარ, წამიყვანეთო.

— კაცო, რა გლახათ ხარო, ხალხი ახლა მოდისო, ჭიდაობა ახლა იწყებაო. — წამიყვანეთ, მოვკვდები, კაცი აღარ ვარო! — მოიყვანებენ ცხენებ... სოფლის იქიდან ერთი ხევი ჩამოდის, აქვეა, და ამ ხევში ჩავიდეთ და ხევიდან წავიდეთ, გავიპაროთო. ერთ სიტყვით, მოიყვანებენ ცხენებ, წავლენ და სამ კილომეტროზე ერთი სოფელია, წარბასუბან ეძახიან, იმერლები არიან დასახლებული იქა. ავლენ იქა და იქ შეუკრებენ ამ კლავს: — წავიდეთ აქედანაო, თუ ის გამომიყვანეს და დამჭიდესო, მეო შემჭამსო, ის ახალგაზდაო.

ადგება, გაიქცევა ეს კაცი, წავა და იმი შემდეგ აღარავინ აღარ ჩამოვა. ეს წავა, ილაპარაკებენ, რო ასეთი ახალგაზდა არი, ასეთი ბიჭი, ასეთი ახალგაზდა კაციო, ასეთი ძლიერია, ასეთი ის, და შიშით არც ისენი ჩამოვლენ და აღარც სხვები ჩამოვლენ.

ერთ პატარა კიდო რამეს მოგიყვები და მერე თავიდან კიდე დავიწყოთ!

ეს თურქეთი!

— ჩემი რძალი, პირველი... (ვაჟიშვილი ორი მყამს მე იმას ცალკე ოჯახი აქ, ამას ცალკე ოჯახი აქ). გავიდნენ თურქეთში, ვაჭრობენ, ექსკურსიაზე მიდიან, იქაურ ამბავებს მამიყვა...

...და ეგ თურქეთი... ჩამოვიდოდა ეს თურქის ჯარი, დაბანაკდებოდა ჩვენ სოფელში. მე კარგი ვიყავი, ათ-თხუთმეტი წლისა, თორმეტი წლისაც რო ვიყავი... იმაზე წინაც უმფრო მეტი! ბანაკდებოდა! ახლა ამ თურქეთ ჰყამდათ, იმ დროს ხო პავოსკები იყო — ფურღონები, ოთხგოგრიანი, რო პროდუქტი წიეღოთ, წამალი წიეღოთ, რამე წიეღოთ ცხენები არ ჰყავდათ, ჯორები ჰყავდათ... სულ ჯორი ჰყავდა და ამ სოფლის ყმაყოფაზე უნდა ყოფილიყვნენ ისინი, ხალხიც — ჯარიც და ჯორებიც! ჯარიც და ჯორებიც ამის ყმაყოფაზე'ნა ყოფილიყვნენ, ამ სოფლისა. ამ სოფელ'ნა ამათთვის პური ეცხო, ეჭმევინა, ძროხა დიეკლა, ხორცი ეჭმევინა, ამათთუსაც თივა, ბზე, ქერი შიეგროვებინათ და ეჭმევინათ, ამ პერეოდში რო არიან, ეს მომენტი როა...

ეხლა სოფელ'ში წყარო არ იყო და ამ ხევში გამოდიოდა წყარო და თელი სოფელი ამ ხევიდან ზიდამდა, აეხლა ესენიც რო... ეს ჯორებიც რო აქ ჰყავან... საცა წყარო იყო, ერთი ორმოცდაათი მეტრი გზა ჩადიოდა.

თურმე ჩაუყვანიან და ამ ჯორებს ფეხებ ბანენ, ამ ხევში კაი წყალი მიდიოდა, კარგი წყალი მიდიოდა. ამ ფეხებ ბანენ და მეთაური ჩასულა და (ბაღი იყო გვერდზე ამ ბაღში დგას, რო ეს ჯარისკაცებიო, ნახო, რამდენათ კარგად ბანებენ ფეხებს ამ ჯორებსო) და ჩავა...

ჩვენი ბინა იქ იყო, აკოფაშვილებ გვეძახოდნენ. ჩვენი ძველი გვარი ანდღულაძე იყო და მერე ბაკობა დაურქმევიან და იაკობაშვილი აკოფაშვილზედ ყოფილიყო, ეხლა ჩემი შვილები ანღულაძეები იწერებიან, ძველი გვარი მონახეს). ხო, აკოფაშვილების უბანი იყო და ეს ქალი, რძალი ამ ოჯახის, ამ აკოფაშვილების რძალი (იმ დროს რამტელიმე ოჯახი იქნებიან, — ერთი ოჯახი კი არ იქნება, რამთელიმე ოჯახი) და ძალიან მშვენიერი ქალი ყოფილა. ეს ქალი ჩასულა დაგვიანებულზე აქედან'ნა, წყაროდან'ნა, ხევიდან წყალი უნდა ამოიტანოს.

ქალებიო რო წავიდოდნენო, ხო სამუშაოთ ვერ წავიდოდნენო და თუ მეზობელთან მიდიოდნენო, შეიბურენდნენ სახესო, რო ლამაზი არ გამოჩენილიყოო. აიხოვდენო, როგორც ეხლა თათრები რო ახოვილი არიან, აიხოვდენო და... რო ვინმემ რო შეხედოსო, თვალში არ მოეწონოსო და არ გადაეკიდოსო. თურმე ამ ქალმა ჩავიდა და წყალი რო აამსო, იცის რო აღარავინ აღარ ალი (!) და ქვევით ვერ ხედავს, რო ჯორებს ფეხებს ბანავენ, რა იცის ბაღში ხეზე მიყუდებული მეთაურია! მოიხსნის თავსა და... ეს ქალი მოიხსნის თავსაფარ და ამ ცივ წყალ... ცივი წყალი გამოდის და ამით პირ დაიბანს. ეს მეთაური შეხედამს. ეს თურქის მეთაური შეხედამს, რო ასე მშვენიერი ქალი... ეხლა არ მოელოდება, რო აქ ვინცხა იქნება და ვინცხა შეხედავს, დაიმედებულია, რო ხევში პირი დაიბანება. პირ დაიბანს ქალი, კიდო აიხოვს ამ სახეს, ადგება, წყალ წაიღამს და ავა! ამ ხევიდან ასასვლელზე პირველი სახლები ჩვენი, აკოფაშვილებისა იყო. ეს მეთაურიც წაჰყვება უკან ამ ქალ რო ნახო რომელ სახში შევა. შეხედა, რო ამ კარებში შევიდა. ადგება, წავა ეს მეთაური, ჩაჯდება იარაღში, იმ დროის იარაღი რაც ექნებათ, თოფსაც წამოიღამს. ამისობაში, სინამ ეს იარაღში ჩაჯდეს და ავიდეს, სინამდი დრო გავა. დრო გავა და წყალი დადგმული ექნება და უკვე ეს კაცი რო შევა, ცომ ზილამს, ეს ქალი ცომ ზილამს. ცომ ზილამს ქალი - თავზე მოხდილი, აპა ცომი ზელის დროს ხო...

ეს მეთაური შევა, ბოვში და რამე სათამაშოთ წასულები არიან. რო შევა ეს იარაღიანი კაცი, არ იცი, რო შეკრთება ვინც არ უნდა იყოს, რაგორც არ უნდა იყოს. შეკრთება, ეს მაინც გაიმაგრამს გულ, თავისას, თავის საქმეს აკეთამს.

— ხო იცი, რო მეო რისთვის შემოველი შენთანაო?

— დიდი სიამოვნებითაო, მობრძანდიო, რატომაც არაო, კი ბატონოო, აგერო. ბოდიში თქვენთან, ბოდიში — ჩემი შვილების ალაგას ხართ და, ახლა რაც მოხდა ისე მოვყვები!

— კი ბატონოო, ყველაფერი იქნებაო, ხოლოთო ნამატი (ნამატს ეძახოდნენ თათრები პურს) ცოდოაო შენ არხეინათაო აგერ დაბრძანდიო და მეო ამას მოვზილამო და კი ბატონოო, როგორც გინდა, ისე ვისიამოვნოთო, ეს ქალი ეტყვის. ეს ადგება ამ თოფ ჩამოჰკიდამს ბოძზე, ბოძზე ჩამოჰკიდამს თოფსა და, რომელიც გარედან ტყვია წამალი ექნება, იმასაც... მოხსნის, ჩამოჰკიდამს უკვე დაიმედდება ესა: — სიტყვა მამცა ქალმა, ამი შემდეგ მოვალ, წავალ, როცა არავინ არ იქნებიან.

— აგერო, ხის ნაჭერი, მორის ნაჭერი, — დაბრძანდიო მანდაო. — მივა და არხეინათ დაჯდება ეს კაცი. ეს ზილამს და ზილამს და რაგორც წინეთ გითხარი პირვანდელ ქალზე — ძალიან შემძლე ქალი! ძალიან კაი ქალი! ეს მიდის და ეს რო ძის ეესე შეტრიალებული, მივა ეს ქალი, ტაცავს ამ ქამარში ხელსა და ერთ კისერში და წინეთ ყოფილა სულ თონები აქაცა, ხო ეხლაც ხო დასავლეთისკენ... თონები ყოფილა, თონეში აცხობდნენ, ფურნე არ ყოფილა და ეს თონე გახურებული ყოფილა, რო ეს რო ზილამს, ამ თონეში რო გამოაცხოს. მივა და ამ თონეში ყვრამალა ჩაუშვამს ამ კაცსა, ამ მეთაურ და ტყვია-წამალი, ნაწილ რო შეისხნის, ნაწილი ისევ წელზე ექნება და თონე ისეთი მაღალი იქნება, ე ფეხის წვერები ძლივ დარჩა მაღლაო, ყვრამალა რო ჩაკიდა.

ახლა ამისი ტყვია-წამალი იფეთქამს და იხმაურამს და შეშინდება ე ქალი. შეშინდება, თავი შილ — თავი მაზლის ცოლ ეტყვის ასე-ასე იყოო, თონეში ჩავაგდეო და მემეხმარეო, რო სირამდი დაიწვებაო, სინამდიო თავი დავახუროთ, სუნი არ წავიდესო.

შევლენ, თავსახურავ დაახურებენ ამაზე. ეხლა ამას რო მოზელილი ექნება, ეს ცოტა ცუდათ გახდება, ეს ქალი ცუდათ გახდება და წადიო დაუძახებს, წაიღე თქვენთანაო, ჩვენ თონეში აღარ შეიძლება ამის გამოცხობაო.

კაცები რო წასულიან სამუშაოთ, ცხენები ჰყოლით ოჯახში, ორი ცხენი და სამი ცხენი, შეედებოდნენ ეს კაცები ცხენზეო, მოვიდოდნენ, საჭმელი დამზადებული იქნებოდა ოჯახშიო, ესენი ამ ცხენით წაიღებდნენ ზარბენ (?), სადილ, ყველაფერს სჭანდნენ და ქალები კი აქ დამოდიოდნენ (!).

მოსულან, ლოგინში ჩაწოლილა ეს ქალი, მეო ძალიან ცუდათა ვარო, მაგრამო ჯერაო ამ კაც რო არ აგრძნობინოთო მე რო ცუდათ ვიყავიო და ახლა სუნიც... ადამიანიშვილი რო დასწვა, ძალიან... რაგორც ქონი დაიწვას და სუნი გავიდეს, ამისთანა სუნი მიდის...

— რა, რა! — იქიდან რო მოსულან, ეს ლოგინშია.

— ცუდათ გავხდიო რაღაცო და ჩვენებიო აცხობენო პურსაო და იცოდე, იმას წაიღამო.

— არც ეტყვიან ამ კაც, რო ასე მოხდა. ადგება, წაიღამს, წავა, აქედან ხმა რო გავიდეს, რო ასე მოხდა, ამ სოფელ იმ წუთში გასწყვეტენ! ყველა(ჰ) გასწყვეტს. და ეს ამბავი ასე ჩაიხურება, ეს ქალიც პატიოსნათ დარჩება, ეს ოჯახიც პატიოსნათ დარჩება. ვერც ვერავინ გაიგამს და ეს ამბავიც ასე ჩათავდება. აი წელან რო გითხარი ქალმა დაამარცხა-მეთქვი, ახლა აი ეს ქალიც ამ საქმეს ასე დაამარცხამს. ამ სოფლელი იყო, ჩვენი გვარის ქალი იყო.

და კიდო ერთ პატარა რამეს მოგიყვები მაგაზე.

პაპაჩემის მამა მამასახლისი ყოფილა. სოფლის მამასახლისი ყოფილა. სამი შვილი ყოლია. სამი შვილი, სამი ვაჟიშვილი ყოლებია. ეს სამნივე ცოლშვილიანი, სამივე ცოლშვილიანი! ძალიან კეთილ კაცს ამბობენ, ძალიან ერთგული ხალხისო და უღალატო კაცი! ნაჭალალმართალი კაცი, ყველაფერი.

დღის ერთ სამი ცხენოსანი მოადგა და ეხლა რაგორც გითხარი, თათრი სოფლებია დარტყმული, ეხლა ამ თათრი სოფლებში თურქის ჯარია და აქ კი არავინ არ ალი. სამი ცხენოსანი ჩამოა და ესენი დააწერინებენ, რო ამ და ამ ოჯახს, ლამაზი რძლები ჰყამს. ლამაზი რძლები ჰყამს ამ გვარ, ამ გვარს, ამ გვარსო. სამი კაცი მოდიან, სიას ჩამოუტანებენ, სამ ქალის სიას, რო: — შენ მამასახლისი ხარ? (! შდრ. ხარ)

აბა: — დიახ, მამასახლისი ვარ! (შდრ. ვარ)

აპა, კარგი სმა, კარგი ჭამა, ყველაფერი კარგი და რო დრო გავა ღამე, შენ'ნა წახვიდე, ეს და ეს გვარის ქალები'ნა მოგვიყვანო აქა. ჩვენთან იქნებიან, ერთი რამტელიმე საათს და ვერც ვერავინ გაიგამს, არც გახმაურდება და მერე წავლენ თავიეთ ოჯახში ეს ქალები!

— დიდი სიამოვნებითაო — ეს კაცი ეტყვის — მერე რა არიო, კი ბატონოო, პაპაჩემი ეტყვის, კი ბატონოო, აუცილებლათ მოვიყვან მაგათო.

ამათ კარგათ ასმევს აჭმევს, სასმისსაც დაალევინამს, ცალკე ოთახში დააწვენს ამათ, — კი ბატონოო, მეო წავალო, ხოლოთაო, დრო'ნა გავიდესო, ერცახეო, რო ხალხმა არავინ შეხედოსო, შეირცხვინებენ ქალებიო: ესენი მივლენ, დაწვებიან, ლოგინს დაუგამს, სამ ლოგინს, დაწვებიან. წინ ერთი... საქვებ ეძახოდნენ, ფიცრისგან იყო, კრაოტი არ იყო, რამე არ იყო, ამ საქვეზე დაწვებიან.

ეს კაცი, ეს მამასახლისი შევა შვილებთან: — შვილოო, ჩვენ წინაშეო ძალიანაო ცუდი საქმე დგასო, ჩვენო შეიძლება ცოცხალი გადავრჩეთო ამაღამ და შეიძლებაო, არ გადავრჩეთო. ცალკე შეიყვანს ამ შვილებ და ცალკე ელაპარაკება.

— ესე ესე ამობენო, რო მეო ის ქალები'ნა... მეზობლის ქალები უნა მივუყვანოო. მეო რო ეს ამბავი გავაკეთოო, მე ჯერ თავ მოვიკლამო,

რო თქვანო რო პეტრესო ქალები მუუყვანიაო, მე ამასაო ვერ ვიკისრამო. ჩვენ ერთი გამოსავალი გვაქო (!შდრ. გვაქო) — რაო? და: ან თქვენი ცოლები'ნა შეუყვანოთ, დაუწვინოთო, ან სამივე უნდა შეხვიდეთო და ეს სამივე უნდა მოახჩოთო. ირჩიეთო! ესენიო გავინაწილოთო. ამომაკალ თავში რო არი, უფრო ძლიერიაო. რომელიც ძლიერი ხარ, შენ უნდა ეცე იმას ყელშიო, შეხვალ თუ არა... საცვლების ამარა წევანო და იარაღი ხელში არა აქთ. უცბათ'ნა ხდებოდეს ეს ამბავი, თითოს თითო! — არ'ნა დაიბნეთო. გაგინაწილავ ეხლაო: უცბათ'ნა ექანოთ ყელშიო და მოახჩოთ უნდა ეგენიო. ან ეს წამალია ჩვენიო, ან თუ არა, რაგორც გითხარი, ისე უნდა მოვიქცეთო. ეტყვის: — მამა ოღონდ გაგვიშვი, მოვახჩობთ კი არა, დავღეკამთო და ჩვენაო რაღა ცოცხალი უნდა ვიყოთო, თუ ჩვენი ოჯახი ასე გავამაიმუნეთო.

ესენი შევლენ, ეცემიან ყელში და ამ სამ ადამიან მოგუდნიან. შიგვე გათხრიან, სახში, რა გაჭირვებით, ეხლა ეს ენა ადვილათ ლაპარაკობს! ადვილი კი არ ალი ამისთანა საქმის შემთხვევა. შიგვე სახლში გაჭრიან, ამოჭრიან მიწას და ამ სამივეს შიგავე ჩამარხიან და აქ სირამდი სიმყრალე დალაგდეს და რამე დალაგდეს, სასტუმრო სახლ ეძახოდნენ და არავის უშვებდნენო. მერე წავა ერთი შვილი, ეს ცხენები ხო ამათთან არი, ამ ცხენებ წაიყვანს და ოთხ-ხუთ კილომეტრზე, ახალციხიდან რო მოდიხარ, ამ მხრიდან ხო წყალი ჩამოდის, ამ წყალს იქით გარეკამს, თავეთი მოსართავიან-ყველაფრით, იქით გარეკამს — ვითომ ამ ოჯახში არც არავინ მოსულა, და ამ საქმესაც არ ლაპარაკობდნენ, რო კიდე თათრები რო აქ იყვნენ, გადასახლებამდე, — ესენიო ჯინ ჩაიტანებენო და ამბობდნენ, რო სტამბოლშიო ჩვენაო დიდი უკლონი გვაქო და იქ სწერიაო, რო სამი მეთაურიო ჩავიდაო...

აქ მოსულიყვნენ, სოფელში, ცენტრზე მოსულიყვნენ, მანქანებით იყვნენ და: აქაო ერთი მოხუცი კაცი გვინდაო იმისთანაო, რო ძველებური ამბები მოგვიყვესო, ძველებური საქმის მცოდნეო, ეხლა მივლენ, მოვლენ, რაღაც! — ერთი სიტყვით, ნახებენ ერთ ავანტიყოფ კაც. ავანტიყოფ კაც ნახებენ იმ დროს უკვე ამ თათრების შომოსვლის პერიოდიც იყო, აქედან გადასახლებული თათრები რო უნდა შემოვიდნენო, ჰოდა ამაზეც: — რაგორი განწყობილება გქონდათო, ურთიერთში რაგორი გაგება იყოო...

ამ კაც დიეკითხებიან და; — ძალიან კაიო, ასე-ისეო და აქ დახვდება ჩემი სიძე. ჩემი სიძე დახვდება და ეტყვის, რო წამოდიო (სახლი გაკეთებული არ გექონია ჯერ), მაღლა ცხოვრობს ჩემი სიძე და წამოდიო და ერთ მოხუც კაც განახანთო და წამოდიო, ჩემი სიმამრიაო. იქ ამომიყვანა. ამ თათრებზეც ველაპარაკე, მართლმადიდებლებზე და კათოლიკებზეც — რა განსხვიება, რა ზღვარია ამით შორისო...

იქაც დალაგებულათ მოვყეეი და თათრებზეც ბევრი რამე მოვყეეი.

თათრების რწშენაშია-მეთქი, რო რამდელიც მეტ ქართველ მოჰკლამდა, ქრისტიან, რამტელსაც ბევრ მოჰკლამ, იმდენი შენ იმ საიქაოს ცხონება გაქ.

***

...უდეში შერეული თათრები იყვნენ, ვალეშიაც შერეული თათრები იყვნენ და ეს ხალხი, ზოგი კარგი იყვნენ, ზოგი ცუდი იყვნენ. ამ მეზობლების იმედზე დარჩნენ, რო დამალეს იმათ! — ამ თათრებმა შეიყვანეს და დამალეს ეს ქართველები, არ გამოაჩინეს.

ჩვენებ რო არ გვყავდა, ჩვენ რო არ გვყავდა ეს თათრები, ჩვენ რა გვექნა, ჩვენ წაველით, ახალციხეს გავიქეცით. ბევრი ზარალი ვნახეთ. დიდი ოჯახი ვიყავით, ჩვენ, აკოფაშვილები, ძალიან დიდი ოჯახი ვიყავით ხუთი-ექვს ფურ-კამეჩ ვწველემდით, დე, ათი ძროხა გვყამდა, ეს ყველაფერი ახალციხეს მიქვყავდა. კარგი ვიყავი მე, ექვსში დაბადებული — თერამეტში მოხდა — თორმეტი წლისა ვიყავი და საქონელს მივდევდი. ხოდა, ეხლა სინამ ამ მტკვარს გამოვიდოდეთ, ამის იქიდან რო ასვალტიდან რო გადმოდიხარ იქითა, ხო პატარა წყალი ჩადის, ოცხელას ვეძახით, აბასთუმნიდან მოდის, ოცხელა წყალ ვეძახით.

ჰოდა, გზა ასე არ იყო, ქვემოდან იყო და, იანვარში გავიქეცით და წყალი გაყინული იყო, გაყინული იყო, ურმებით აპა, ფქვილი წავიღეთ, რაცხა წავიღეთ და... ამ წყალში ძნელათ ავდიოდით და საქონელი რო იქ გავაჩერეთ, ჩვენი ბაღები იქ ქვონდა და წყალ გასცდნენ, გავიდნენ ჩვენ ბაღებში. აღარც გამოვუდექით ჩვენ. უკნიდან თათრები მოგვდევდნენ და იმ საქონლის ძებნას... ყველაფერი ისე დაგვრჩა, ყველაფერი ისე წავიდა... ეს იმ დროს იქნებოდა ერთი ასი-ასორმოცდაათი კვამლი ასი, ასორმოზდაათი...

სამი სახლი არ იყო დარჩენილი თელ სოფელში! ვერ იცნემდი, რო აქ სახლი ყოფილა, ისე იყო განადგურებული, ისე იყო დამწვარი. თათრებს ის უნდოდათ რო აქ ხალხი აღარ ამოსულიყო, არ დასახლებულიყო!

ე ზამთარი გავათიეთ იქა, გაზაფხული მოვიდა თუ რა... ეხლა ეს საქონელი ხო ყველა დავჰკარგეთ, ოთხი წყვილი ხარი ჩავიყვანეთ. ორი წყვილი ხარი გვება ერთ ურემში. ორი ურმით წაველით. მამაჩემი ამ ხარებს წყალზე მე გამარეკინებდა, რო (ახალციხეშიც იყო თათრი ჯარი), — წადი, შვილო, პატარა ბოვში ხარ, შენ არაფელ გეტყვიანო, მე რო წავიდე, დამიჭერენო. ტკვარზე ჩამოვიყვანდი ახალციხეს, ხიდთან და წყალ ვასმევდი.

და მე ჩემი თვალით ვნახე რო ინგლისის ჯარი... (თურმე აქედან, ახალციხიდან წავიდა კაცი, რაბათელი კაცი წასულა, რაბათელი კაცი წასულიყო და შიეტყობინებინა იქა, რომ... ეხლა მაგას, ენა არ იცოდა, ყველა ხო ვერ შესძლემდა, ფული არ ჰქონდა, ვთქვათ ემ კაცმა, ჩავიდა

შიატყობინა, რო ესე, თურქეთი შემოგვესია და წყვიტამს ქართველებს) და ჩემი თვალით ვნახე ინგლისის ჯარი ახალციხეში იმ დროს. და თურმე თითი დაუქნია (ინგლისმა), მოეშვით, წადით, მოშორდით აქედანა, თორე მოგსპობ, გაგანადგურამთო და იმ ზამთარ იქ დავრჩით, და გაზაფხული მოვიდა, გაზაფხულზე ისევ ამოველით. აი, იმი შიშით, ინგლისის...

რამთენიმეჯერაც, სოფელში რო ვიყავით გარედან კარები ჩაკეტილი იყო დღეც, ღამეც, რო არ გამოვსულიყავით, რო ისევ'ნა გაეწყვიტათ, ბრძანება'ნა მოსულიყო ამათი ყველაზე უმფროსი ბათუმში იყო. ამ უფროსის თანხმობა'ნა ყოფილიყო, რო ეს ხალხი რო გაეწყვიტათ. ალბათ ის ჭკვიანი კაცი იყო, მამაცხონებული, რო ეს ამოტელა ხალხი რო გავწყვიტო, ასე იოლი არ ალიო და სამი დღე კარები ჩაკეტილი იყო, სოფელში ყველას კარები ჩაკეტილი იყო, გარეთ არ გვიშვებდნენ.

...და იმიტომ, ჩვენი მიზეზი ის იყო, რო აქ თათარი არ იყო სოფელში, ჩვენ იმიტომ გავიქეცით, ვალე და უდე არ გაიქცა.

ერთი, მაგაზე ერთი პატარა ამბავი უნდა მოგიყვე:

მამაჩემა თქვა რო (მამაჩემი ოთხმოზდაათ წელზე მიწეული იყო, ისე გარდაიცვალა — თქვენი წასულებიც ცხონებული იყვნენ და ჩვენი წასულებიც).

სინამ სოფელში ამოვიდოდით, დაბლობებია უფრო, კარგი მიწებია, ხოდაბუნებ ვეძახდით, კარგი მიწები და ერთ დღესა რო გაზაფხულის პირია, გავიხედეთო სოფლიდანაო რო, გავიხედეთო, რო — ამ ხოდაბუნებშიო ათი-ხუთმეტი ჩადრი (კარავი) დაიდგაო. იმ დრო, როგორც გითხარი, ბეგები უფრო მეტი თათრებიდან იყვნენ, ბეგები . თათრებიდან იყვნენ უფრო მეტი. ამათ ხელში იყო მიწა, ნიკოლოზის დროს, ბეგების იყო და ამას უხდიდნენ, ამ ბეგებს უხდიდნენ.

ეს ჩადრები დადგმული იყო ამ ჩვენ მინდორში. ვთქვითო რო, სოფელმაო გადავხედეთო, ვთქვითო, რო, — რაშია საქმეო! რაშია საქმეო. იმ დროს მოხეტიალე ციგანკეებიც-მიგანკებიც იყვნენ, დადიოდნენ, საცა შეხვდებოდათ, იქ დაბანაკდებოდნენ. ზოგმა თქვა: ციგანკები იქნებიან!

— არაო, ერთი ჭკვიანი კაცი გვახლდაო და თქვაო, რო არაო, შვილოო, ეგაო, ციგანკების საქმე არალიო, ეგაო ბევრიაო, ადექით, ჩადით, გაიგეთო, რო ვინ არიანო.

...ათ-ხუთმეტი კაცი ჩავლენ: — თქვენაო ვინ ხართო და: — ამ ზედა ზონის, ზედა უბნის (ზედა ზონაში ნამყოფი ხართ, მოხის — იქაურობაში?) იმ ზედა ზონის ხალხი! თურმე ბეგისთვის უთქვია, ხალხს უთქვია რო, ერთ კარქ ადგილზეო მოგვეცი სასოფლოო და სოფელს გავაშენამთო... ეს რომელ ბეგისაც იქნება, ის ფართობები, ეტყვის, რო კარ, კაცო! წამოდიო, არლის ქვეშო კარგი ხოდაბუნები, კარგი ადგილებიაო, იმას მოქცემო. მიწა ჩემიაო, ი ხალხი არ მუშაომსო, იმათ არ მივცემ და თქვენ მოქცემო. ეს ხალხი იქნება, თურმე, შემოსული. ესენი თათრულებ

სალამ მისცემენ, სალამს აიღებენ!

— ვინ ხართო თქვენო, რა ხალხი ხართო! რაზე ჩამობრძანებულხართო.

— ჩვენაო, აქაო სოფელი უნდა გავაშენოთო.

ეს ხალხი ეტყვის, ჩვენი ხალხი ეტყვის, რო: — ჯერ ჩვენ სოფელშიო თათარი არ ალი მოსულიო, არც არავინ შეურევიაო, ისე ძლიერი ხალხი... როგორც თავიდან მოგიყევი, ძალიან შემძლე ხალხი ყოფილან, თითქმი ხალხ ყველას ერიდებოდაო და: — ჰოდა, აქაური თათარი არავინ არალიო და ვერც თქვენ უფლებას მოქცემთ რო მოხვიდეთ და სოფელი გააშენოთო. ჩვენაო ამ ბოვშებ და ქალებ პატივ ვცემთო რო არ თქვანო, რო ჩვენ სოფელში ჩავედით და შოგვაწუხესო, ადექითო, ამაღამაცაო გაათიეთო, დილაზე მზე ამოვიდაო და აქა ხართო — ერთი ცოცხალი ვეღარ წახვალთო. ერთი ცოცხალი ვერ წახვალთ აქიდან! ვერც ქალიო და ვერც ბოვშიო.

მართლაც, ეს ხალხი წავიდა, და ეს ამბავიც ხო გავარდება, სოფლებში, რო ის ხალხი უცხოს, თათრებ არ ღებულობენ.. ისინიც წავლენ დაიკარგებიან და ამ სოფელში მიდღემში თათარიც ვერ მოვა.

## ერთათობა

ყოფილა ორმოზდაათ სულამდის ჩვენი ოჯახი. ხელმძღვანელის არჩევის დროს, ასაკს მნიშვნელობა არ ჰქონდა, თუ შეხედამდნენ, რო ეს დალაგებულია, ჭკვიანია ძმებიდან, ირჩევდნენ ამ კაც, რო ხელმძღვანელი შენ'ნა იყვე.

პაპაჩემ ვერ მოვესწარი, დიდიაჩემ (დიდედაჩემს) მოვესწარი, კარქი ქალი იყო, თქვენი წარსულებიც ცხონებულ იყვნენ, ჩვენიცა. ესეც, პატარა, ზურას ტოლა რო ვიყავი, მამიყვებოდა, მერეც მამიყვებოდა.

— ჩვენაო, სინამდის მე მოვიდოდიო, სინამდისო მეო (ვალელი იყო, დიაჩემი, ვალელი ქალი იყო), სინამდის მე მოვიდოდი, სინამდის ასე მომხდარა ჩვენ ოჯახშიო. ხელმძღვანელი იყო პაპაჟ' და ეს მართავდა ამ ოჯახსო და ისე მომხდარა, რო მამკვდარა, სისხლმა... მაშინ ექიმი არ იყო — „სისხლი ეგეშალა... (სისხლი ეეშალაო და) მოკვდა ეს კაცი და ეს ხნიერი ხალხიო არ იყვნენ ისეთიო, რო ოჯახ გასძღომოდნენო, ახალგაზდაო, სულ პატარა ძმაო, დალაგებული კაცი ყოფილა და ეს რო მამკვდარა, უთქვია, რო შენ უნდა იყო ხელმძღვანელი ოჯახისაო.

ეტყვის, რო — არაო, უფროსებმა მოუარეთ ოჯახსო, მეო ამერიოს, აქ მეზობელთან სიტყვა წავაგო, — არაო. შენ გენდობით, შენ'ნა იყვეო (დაცოლშვილებული არ ყოფილა). ერთი დიდი ყანა ქონებიათ ამათა, ხორბალი თესებიათ, ათგექტრიანი? (ალბათ ათჰექტრიანი იქნებოდა, მ.ბ.) — დიდი ყანა ქონებიათ. ეს, თაველში ახლათ შესულა, თაველში

ახლა შესულა ეს ხორბალი, ამ პერეოდში, როცა ამას ლაპარაკობენ, თაველში ახლა შესულა!

ამ ბიჭ უფიქრია რო: — შევძლამ არ შევძლამ, შევძლამ — არ შევძლამ! დამიჯერებენ — არ დამიჯერებენ! ვაითუ მითხრან: — შე ღლაპოო, შე ასეო... — ვიფიქრო ერთი-ორი დღეო, მაცადეთო — ამ ბიჭ უთქვია.

გასულა ხუთი-ექვსი დღე და აბაო, — ოჯახსაო შველა უნდაო და თქვენო!

— თუო ხელმძღვანელათ'ნა გამიშვათო, ათგექტრიანი ხორბალი რო გვაქო... (პურიც ისეთიაო, პურიც ისეთიაო, რო ცხენი ვერ გაანგრევსო), ათგექტრიანი ხორბალი (მარტო თივათ გამოდგებოდა)... პური ამათ უთვალავი აქვანან, არ უჭირთ, ცხოვრება არ უჭირთ!

— დღეს უნდა წავიდეთ და ის ათი გექტარიო (ჭყინტი პური! რომელიც არ იჭმება და მარტო სათივეთ გამოდგება), ის მოვთიბოთო!

— წავიდეთო!

ამას უფიქრია, მეტყვიან, შე დარტყმულო, შენ, კაცო, ის მოიცელება! ეს ამოტოლა ხორბალი, აქ ტონობით ხორბალი მოვა, და ეს მოიცელება! შენ რაგორ'ნა გაუძღვე! — იქნებ ვინმე გამოხტესო და მითხრასო.

— წამოდით ყველანი!

წასულან, დასდებიან და ეს ჭყინტი პური! ხალხ, სოფელ უთქვამს: აკოფაშვილები გაგიჟებულან, ბიჭო, აკოფაშვილები გაგიჟებულან. ბიჭო, ჭყინტ პურ თიბებენ, კაცო! როგორ ხელი მისდით.

მოუცელიათ, დაუყრიათ, რო დაჭკნეს და თივათ გამოიყენონ.

ახლა ხალხი მისულან, მისევიან, ბიჭო, ეს რათ ქენით!

— წადით, თქვენ მუუარეთ თქვენ ოჯახსო, ჩვენ მუუვლით ჩვენ ოჯახსო.

— ამ ახალგაზდას უთქვია, კი ბატონო, ეხლა ჩემ სიტყვას ძალა ექნებაო, ეს ამოტოლა ზარალი რო მოგეცით და აქ დამიჯერეთო, ხო ყველამ იცით, რო ეს ჩვენი ოჯახის ზარალი იყო, ათი გექტარი პური მოგაცელინეთ, თქვენაო, ამას გაუძელით. ხელმძღვანელათ ყოფილა, კარგათ წაუმართია საქმე.

— როგორ მიმართავდნენ ერთმანეთს?

— „ბატონოსაც" ხმარობდნენ, „ქალბატონო", „ვაჟბატონო".

სულ პატარა ბიჭი ყოფილიყო და იქ ახალი რძალი მისულიყო, „ვაჟტაბონოს" ეტყოდა. გოგო იქნებოდა — „ქალბატონო".

დიდ ხნე ხალხსაც ასე.

ნეტა ის შეგნება... იმ დროს რო ხალხი... ასე პატიოსნება, ასე ერთგულება, ასე უღალატო, რო ერთი პირი ჰქონოდეს და ერთი კილო პური ქონოდეს და ვინცხა მშიერ გემიევლო, რო იცოდა, რო თელი

დღის მშიერი იყო, ასწევდა-დასწევდა: — შენ უფრო ჩემზე მეტი შიერი ხარ, შენ ჭამე შენ გაძეხი, მე არ მოვკვდები, შენ ორი დღის შიერი ხარ. ძალიან უღალატო, ძალიან მართალი, ძალიან სიტყვის პატრონი!

## სახლ-კარი

ჩვენ აკოფაშვილები ვიყავით-მეთქი. მერე ეს აკოფაშვილები მერე და მერე გაცალკევდნენ. ეს სახლები — როგორც ძველი ბლინდაჟები! ვერ შიატყობდი, ეხლაც კიდე არი ცოტა დარჩენილი, აიარეთ, ნახეთ — ვერ შიატყობდი. როგორც ბლინდაჟები.

მიწას გათხრიდნენ დიდ სიმაღლეზე. მიწას გათხრიდნენ, კედლებ ამოიტანდნენ და ეს ზეიდან რო დახურებდნენ, ვერ შეამჩნევდი, რო აქ სახლი იყო თუ არა.

ეხლა არ მოსწონთ, ბოდიში და კოლექტივში რო შეევდით, ხო გითხარი ბრიგადელათ ვმუშაობდი-მეთქი, მე უღალატო კაცი ვიყავი, კარგი მუშა ვიყავი და პირობებიც კარგი მქონდა. სოფელში ერთი თავჯდომარემ გააშენა, ერთი საწყობის გამგემ. მერე მე გავაშენე სახლი! ორი ოთახი იყო, შუაში კალიდორი ჰქონდა, ჩამოვიდოდა, ხალხი ნახულობდა, — შენ უსინდისო, ბიჭო, თათარი რო მოვიდეს და ფანჯრიდან თათარმა რო შემოიცქიროს, სად'ნა გაიქცე! უთხარ: — ის პერეოდი არ არი, ახლა კარქ პერიოდში მივდივართ...

ამ სახლებ ჰქონდა, დარბაზებ ეძახოდნენ, ისეთი იყო გაშენებული, რო სულ ხის მასალით, კაი მასალით, სულ ხე იყო შემოშენებული და თბილისიდან მოდიოდნენ და ნახულობდნენ.

სულ, როგორიც ჩიტის ბუდე, ასე იყო გაკეთებული და ამ შუაზე ჰქონდა ერდო. — ერდოს ვეძახდით. ფანჯარასიებ. აქ იმაზე შუშას ადგემდნენ, ადრეო შუშებიც არ იყოო... იქიდან რო ჩემეეხედა ვინცხას, ისეო რო კალოზე რომ გედმეევლო, გავიგებდით და ყველა მიიმალებოდნენ აქეთ, ძირებშიო.

აი ამითანა სახლები იყო, ერთ მეზობელ რო აქ ქონდა, იმი გვერდზე გააკეთემდა მეორე. შუაში ჰქონდა პატარა კარები დატანებული, რო აქ გადაძრომა და გადმოსვლა შეძლებული ყოფილიყო. შეიძლება ორმოცდაათი ოჯახი, ასი ოჯახი ერთ ოჯახათ შეკრებულიყვნენ, ასე უკავშირდებოდა ერთი-მეორეს.

იმის გამო, რო ეს თათრების შიში იყო, ეს ამბავები იყო, გაჭირვება იყო, — ესენი კარებ დაკეტებდნენ და საცა ძლიერი ხალხი, იქ იკრიბებოდნენ ეს ხალხი. გეგონებოდა ბლინდაჟები, ძველი ბლინდაჟები. ვერ შეამჩნევდი, თუ კვამლი ამოდიოდა, თორე, რაგორც მიწა, აგრე იყო სწორე.

საქონელიც შიგნით. საქონლის ახორი, ბინა სხვა იყო, დაცილებით იყო ამ სახლიდან... ხოლოთ გვერდზე იყო.

საქონლის ახორი, საქონელი რო ბევრი იყო, გძლათ იყო გაშენებული, როგორც რეიკები ეჰ მიჰირებული, როგორც ფერმები. ფერმისაგვარი იყო. მხოლოთ იყო სულ ჭელი, წმინდა ჭელი მოტანილი და... იმ დროს ხერხი არ იყო, რამე არ იყო და ის დაპობილი იყო შუაზე, შუაზე დაპობილი, ისევე იყო დაწყობილი იატაკის ქვეშ — დაზღვეული, დაზღვევას ეძახოდნენ, ჭელით იყო დაზღვეული. სპეციალურად ჩამოიტანდნენ იმითანა ხეს ტყიდან, ტყე ახლო იყო, მარტო რო ასე შუაზე გეგეპო, შუაზე გეგეპო! ხო გაბტყელდებოდა, არა და ამას მიაწყემდნენ, ეგ იყო ჭელი.

ერთი მხარე ხარებისა იყო, ერთი მხარე კამეჩებისა იყო...

საქონელ მოუარეო — აქ უკვე წყლის სმაც შედიოდა, დაყრაც შედიოდა და ყველაფერი. დიდი ოჯახები რო იყო, ეხლა რაგორც ბრიგადა, შენი შენი ხელა საქმე იცოდი, იმან თავი საქმე იცოდა, ის ვერ იტყოდა, რო მე ამ საქმეზე ვერ წავალ! აბა, რაგორ შეიძლებოდა! ვერ იტყოდა, რო ამ საქმეზე ვერ წავალ, იმ საქმეზე... ისე განაწილებული იყო ეს საქმე, რო...

## მეუურნეობა

რვა წლისა რო ვიყავი მე, ჩვენ ოჯახში ოთხი ძმანი იყვნენ. უფროსი მამაჩემი იყო, უფროსი მამაჩემი იყო და დები ექვსი გვყავდა, ექვსი და ჰყავდათ. ეხლა ისე იქნა, მე რო წამოვიზარდე, რვა წლისა გავხდი, ეს პატარა მამიდაჩემი, მამაჩემი და, ეს უკვე გასათხოვარი ქალი იყო, ეს იჯდა, მეუღლეს უძახიდით, ი უღელზე იჯდა, სამ წყვილ ხარ შევაბემდით, სამ წყვილ ხარ შევაბემდით. წინა ხარებ, ქვას ჩამოჰკიდამდნენ, ერთ შვიდ-რვა კილოან ქვას, რო კისერზე დაამძიმოსო, რო კარქა გაქაჩოს უღელიო. ამ შუა უღელზე იჯდა მეუღლე, და ამის მოვალეობა იყო...

საგურავი ერქვა უკანა ხარს, გუთნის დედას მოჰყამდა ის ხარი. საგურავი ხარები, შუა ხარები და წინა ხარები — ასე ვეძახოდით. ამის მოვალეობა იყო ამ გუთნი დედის, საგურავ ხარების გარეკა, ეს ორი წყვილი ხარი, შუაზე რომელიც ზიდულობდა, ამას უნდა... თელ როლსაც ეს თამაშომდა, იმიტომ რო კვლიდან არ'ნა ამეგეყვანა, ხარვერძი რჩებოდა მიწა, აქ გაწყრებოდა მეგუთნე: — ხარვერძი რათ დამატოვებინეო, მიწას, ქვას გესვრიდა, რო... ერთი პატარა ხარვერძი რო დარჩენილიყო, იმაზე გაბრაზდებოდა...

რვა წლის რო გავხდი, ე გოგო გასათხოვარი გახდა მამიდაჩემი, მე რვა წლის ვეარ! და, ჩვენ ხუთი ძმანი ვიყავით. ხუთი ძმანი ვიყავით. პირველათ ხუთი გოგო გასჩენოდა, დედაჩემს ხუთი გოგო გასჩენოდა,

ხუთივე დახოცილიყვნენ, პირველი გავჩენილიყავი.

მე ძალიან მამაცი ბავშვი ვიყავი ზურასიებ, ცელქი, დიდთან (?) საქმეზე მე გავიქცეოდი, დამჯერო.

თქვა, მოდიო, არტემას წავიყვანო, მამაჩემა, — ძმები ყველა ერთათ არიან, — არტემას წავიყვანო და დღესო ნახოთაო, რაგორ გარეკამსო ამ ხარებსო. ჩემი ხნის, ვინც რვა წლისა იყო, კიბე ჰქონდა ჩამოკიდებული ამ უღელზე, სამსაფეხურიანი, ბაწრით იყო მიმაგრებული, წნელით, ბაწარიც ხო არ იყო და იმას მოვკიდემდით ხელ და ავდოდით დავჯდებოდით ამ უღელზე. კოტას ეძახოდნენ, შუაზე ქვონდა, ეს წნელი რო არ გაცურებულიყო. ერთ ხელით ამ კოტაზე ვიყავით მოჭიდებული, ერთ ხელით ამ წინა ხარებს, უკანა ხარებს... კვლიდან ხარი არ ამოვიდეს, კაცო!

ეს ხარებიც, ეს დალოცვილი ხარები ისე იყო მიჩოვილი, ისე იყო მოჩოვილი, რო, რო ხედამდა, რო (კიდე ჩემ თავზე ვამჩნევედი) რო ეს რვა წლის ბავშვი ვერ უძლებდი,— ღამეც ვხნამდით. რო ჩამოვარდებოდი ამ ხარებშუა, მეგეკლა, აღარ წავიდოდა ის ხარი! რო მოგეკლა და გეცემა, არ წავიდოდა! გაიგებდა მეგუთნე, რო აქ წაფელი ჩამოვარდნილიაო ურმიდანო. დემეძინებოდა, ჩამოვარდებოდი — გაჩერდებოდნენ

მამიდაᲐ გასათხოვარი გახდა, მე რვა წლის ვიყავი, ჩვენ ოჯახში ჩემს მეტი ბიჭი არ იყო, ეხლა მამიდაჩემი მეხრეთ აღარ წავიდა, მოზარდეთ აღარ წავიდა, მეო, ჩემი ტოლებიო თხოვდებიანო და მეო არ მინდაო, აღარ წავალო! მამაჩემა თქვᲐ რო, მოდი არტემაᲐ წავიყვანოთო, რვა წლის ვიყავი, იქნებაო ამანო, კარქი გამაცადი ბოვშიაო, იქნება ეს საქმე შეძლოსო, კანფეტები მამცეს, რაღაც მამცეს, წამოხვალო, ჩემთან მოზარდეთ წამოხვალო?! — წამოვალ-მეთქვი! წაველით.

რაგორც გითხარი, ის პერეოდია, რო ღამეც ვხნᲐნთ! ივნისია. ღამეც ვხნᲐნთ და ამი შემდეგ ხორბლის აღება ხდება, რამე ხდება, ვეღარ ვასწრობთ. წავყევი, წავყევი და ისეთი მარჯვეთ... მამიდაჩემი რო ჰყამდათ და რასაც ხნამდნენ, ორჯელ იმაზე მეტი მოვხანით. — ჰო, შვილო, შენ რა ქენი, კაცო, შენაო, აქანდის წამოგიყვანდიო, მეო მცოდნიყოო.

შუა ხარები, სადაც ურემზე ვიჯექი, დიდრონი ხარები იყვნენ და კიბეზე'ნა ასულიყავი და აქ დამჯდარიყავი, კოტას უძახდით, შუაზე, რო ერთ ხელით იმას მოჭიდებოდი, არ ჩამოვარდნილიყავი. ჩემ ხნის ბოვშები ვერ ადიოდნენ და კიბე ქონდათ ჩამოკიდული, კიბე წამოიღო მამაჩემა.

— კიბე არ ჩამოკიდო! კიბეს ჩამოკიდამ, არ წამოვალ-მეთქვი. მე ვიწვალამ და ისე ავალ!

კარგათ გავრეკე ხარები და დაღამებამდის ვხანი. დაღამდა, — შვილო, მე წავიყვან ხარებსო, მე წავიყვან ხარებსაო და ვაბალახამო, არ შეგეშინდეს აქაო, ახლო-მახლოს ვიქნებიო, წავიდა!

— წადი, მამიკო, მეთქი. ისედაც ხო გითხარი, ურმიდან რო

ჩამოვარდებოდი ხარები არ გაინძრეოდნენ, რო ფეხი არ დავადგათო და ისედაც მეძინებოდა, ღამე ვხნამდი, გუთნის გოგრებში მიმიგო შინელი, მივწექი, დემეძინა იმ წუთში!

ეხლა, დოლის ხმა შემომესმა ამ ხევის მხრიდან, ხევის მხრიდან! — ავდექი. და არ ვიცი ახლა, ამ ბავშმა, შიში არ ვიცი, რო აქ ხევია, ჩავარდები, არც ძალიან ბლენი ღამეა, არც ძალიან სინათლიანი ღამეა. საიდანაც ეს ხმა მოდის, ავდექი, იმ მხარეზე წავედი.

იმ მხარეზე წავედი, ავდექი! რო ჩაველი, ღელეში რო ჩაველი, დაბლა რო ჩაველი, ეხლა ისე მოდის, რო ამ მხრიდან მოდის ხმა და იმითანა ადგილზე წაველი, რო სადაც ჰეკალია, თქვენკენაც არი, ბუძგვებს ვეძახით, ლოკოკინა როა ქვეშა, გლერძები, გლერძები. ეს მხარე ჰეკლიანი შემხვდა აქ საცა მივდივარ. აღმართია რო მოვდივარ, ავდივარ და ავალ ერთ ათ მეტროზე, დავგორდები და ჩამოვალ ამ ძირ, ხევში და ამ ჰეკლებში რო ვგორდები, თელი სახე, თელი ტანი, სულ ჰეკალი მაქ.

ასე ვიწვალე, ასე ამოვდივარ და ზეით მაინც ვერ აველი. ახლა ჩემ ამ წვალებაში მამაჩემ მოუყვანია ხარები, მოუყვანია ხარები — შინელი არი, ბავშვი არ ალი! ამ ხარებ უკუღმართათ შიაბამს — ყველა რო თანასწორათ შიაბა, ადგებიან, ივლიან! უკუღმართათ — ზოგი წინ, ზოგი უკან... შახმადურათ შიაბამს ამ ხარებ, რო ხარებმა არ იარონ, გუთანი არ ათრიონ.

ეხლა, სოფელში'ნა გამოვიდეს, რო — კილომეტრზე მეტია სოფელი, გამოვიდეს, რო ეს ბოვში სოფელში წავიდა, დაიკარგა... ღამეა ჯერ. ორი საათი იქნება. გამოვიდა სახში! — ბოვშვი მოვიდა? — არ მოსულა. ეს თელი ოჯახი, ეს თელი ოჯახი აიყარა, ე დედა, — ისეთი ლამაზი ქალი იყო დედაჩემი, ვარდოს ეძახოდენ, ვალიდან იყო. დაიწყო ტირილი... ახლა წამოყვანაზე უთხრა: — მიეშვიო მაგ ბავშვო, დაიჭირეთო ქირითო და სხვა წაიყვანეთო, მიეშვიო ბოვშაო, არ შეშინდესო, ავანტყოფობა არ აიკიდოსო...

ეს ოჯახი აიყარა დაიწყეს ტირილი. წამოვიდნენ, და ყვირიან — არტემ! — არტემ! დედაჩემი ყვირის, თორე სხვა არავინ არ ყვირის, ამ ხევთან ახლო გამოიარეს და დედას ხმა გავიგე, — აქა ვერ დედა, რას ყვირიხარ-მეთქი, — აქა ვარ, ნუ გეშინია, აქა ვარ!

— ვაი დედაჯან, აქ ყოფილაო და ჩამოაჭენა, ამწია და რას ნახამს, ამწია ამ ბლენაში — თელი სახე სულ ჰეკალია! ამ გლერძის ეკალი! ამომიყვანა, გუთანთან მომიყვანა. — ვიპოვნეთ! ვიპოვნეთ! — თელი ხალხი! ჩამიკრა გულში, რო სახში უნა წავიყვანოო.

— რა ვქნაო, სამი წყვილი ხარი მიცდებაო, მამამ უთხრა, რა ვქნაო. არაფერი არ უშამსო, შენაო წადიო, ქალოო, კამფეტები ჩამოუტა, რამე ჩამოუტაო...

— შვილო, ხო არ შეგეშინდა, სად იყავიო, რავი, ხმა მოდიოდა იქით

მივდიოდი-მეთქი. ამ მამაჩემა არ გადმიშვა, ეს ჰეკლიანი, ეს თელ ღამეს უძინარი, გალახული, არ გადამიშვა, კაცო, ხარები გვიცდებაო!

დედაჲ ტირის, ერთ ამბავშია...

— ვიქნები-მეთქვი, მეც უთხარი.

დავჯექი და დავიწყეთ ხნა. ეს ჰეკლები ხელით რაც ამომაძრო — ამამაძრო... ხარებიო რო დაისვენამენ შუადღისასო — ხარ არ აცდენდნენ, მაშინო ნემსითაო ამოგილაგამო. ამ ღამიდან გავხდი მოზარდე, დავიწყე ამ ხარების გარეკვა გუთანზე. იმი შემდეგ ერთი დღე აღარ გაუცდენიანებიათ.

ამ ღამეს ასე წავიდა!

ეხლა დიები უსაყვედურებენ მამას, რო შენაო, რატოო მარტო დატოვეო, თელი სოფელი აქ მუშაოფსო, სხვა ბავშვებთან რათ არ დააძინე ერთათაო.

მამამ გაიცინა. — რათ იცინიო, და: — ეჰ, არ იცითო, ხალხი ერთ დღეს რჩება, მიდისო, ჩვენაო ოთხ დღეს ვუნდებით ერთ ყანასაო და მე ყველ ღამეო ამას ამხანაკი საიდან მუუყვანოო. მინდოდა, რო მიჩოვლილიყოო.

გავიდა სამი-ოთხი დღე. დაბლობებზე ვმუშაომდით და ეხლა სხვა ყანაში გადვედით. ჩვენი სახლი პირდაპირ უყურამს ამ ჩვენ ყანას. და კიდე იქაც ღამე ვმუშაომთ. ღამე ვმუშაომთ და იქ მამაჩემი არ ალი, ბიძაჩემია. გამოსხნა ხარები, ახლა აღარც მეშინია, რო მარტო დავრჩე! მივიგე შინელი გუთნის გოგრებში, მივწექი. ეს ბიძაჩემი არ იქნებოდა სულ ნახევარი საათის წასული და ერთი დაიწყო გრუხუნი. წამოვიდა ისეთი ღურბელი, ისეთი წუმა წამოვიდა, რო...

ეს მოზდილი წაფლები რო იყვნენ, ესენი გამოიქცნენ, მოვიდნენ სოფელში, მე გამოველი აქეთ და ჩვენს აქედან, ცოტა აქეთ ჭაობიანი ფინთიყა არი და ჩავიფალი მუხლამდე, თან მოხნილი ყანა! დავიწყე ტირილი და ეს ილოს დედა, აგრე ლამაზი ქალი სოფელში არ იყო, შემძლე, ნინოჲ ერქვა, ონდოთ ილიას დედა, მამიდაჩემი იყო.

მე ვტირი და ესენი რო სახში არიან, ოჯახში არიან, ახალი დაბლენებულია, გაიგეს ამათ ჩემი ტირილი, მე მიყვირის, ნინოი ერქვა: — არტემჯან, ნუ გეშინია!

რო ჩამოვიდა ხევში, აპა, ამტელი რო, ხევი აზდილი, ძაან დიდია, ხევში ვერ გამოვა, წყალი დიდია! უცადა, რას ვიზმოდი, ჩაფლობილი ვიყავი, უცადა, ეს ხევი რო ჩამოწყდა და გამოაქენა, ამოვიდა, გაუთხოვარი იყო, ჯერ ისოვ ჩვენთან იყო. ამოვიდა, მოვიდა — მკოცნის, ნუ გეშინია, გენაცვალე, ნუ გეშინია! ამწია ხელში და გამომიყვანა სახში.

დასველებული ვიყავი, ტანი გამომიცვალეს, ყველაფერი... გათენდა... ნაწვიმი რო დიდი იყო, ის ყანა რო არ მოიხნებოდა, რომელიც მაღლობებზე იყო, წავედით სხვა ყანაში, იქ ვხანით.

იმი შემდეგ სულ მოზარდი ვიყავი. ხარები ისე მიჩოვილნი იყვნენ, რო კვალიდან არ ამოვიდოდნენ, რაგორც გითხარი, რო ჩამოვარდნილიყავი... ხანდისხან მოგვიწევდა, — თითქმის თელ ღამეს ვხნანთ. ბავშვი სად გაძლამს — გეძინება, რაც უნდა თავს იკავამდე, მაინც გეძინება. ჩამუარდებოდი და ფეხ არ დამადგებდნენ ხარები, ფეხ არ დამადგებდნენ. გაიგებდა .შეგუთნე, მოვიდოდა, ამაყენემდა, ცოტა წყალით პირ დამაბავინებდა, ხელებ დამაბავინემდა კიდე დავჯდებოდი... ასე მიდიოდა ხნა.

## ქორწინება

ჩემ დაქორწინებაზე მოგიყვები!

ამ ხელისუფლების ხელში დავქორწინდი. შვიდ წელში, ოცდაშვიდ წელში დავქორწინდი. ოცდაშვიდ წელში დავქორწინდი. აქ რაიონი არ იყო, ახალციხის ზემოდან რაიონი არ იყო. ბიძაჩემი ნასწავლი კაცი იყო და თბილისიდან რო სტუმრები მოდიოდნენ, ჩვენ ოჯახში იყვნენ. ეს ხალხი ჩვენთან იყვნენ და საზღვარში თათრები გარბოდნენ და ამათ ყურადღებას აქცევდნენ. ოცი კაცი იყო, ჩვენთან, ოცი კაცი. სმა-ჭამა... დღისით დაწვებოდნენ, დაიძინებდნენ, ღამე გათენებაამდის საზღვრის პირებზე დადიოდნენ. ერთი ახალგაზდა ერია შიგა და თვე რო დაბოლავდა, ასწია და: — რა მერგებაო ამ პურის ჭამისაო, რო გადუხადოთო. ამ ხელმძღვანელ უთხრა:

— არაო, ეს ჩემი ნაცნობიაო და მუქთათ...

— რაგო თუ ნაცნობი! ოც კაცსაო პურ გვაჭმევს, აი კულაკიო! ფილიპესთან ჩავიდეო, დედას გიტირებ შენც და ამ ოჯახსაცაო. ამოტელა შეძლება ბქო, ოც კაცსაო ერთი თვეო, პურ გვაჭმევსო და ფული არ გადვუხადოთო! გაგონილა ეს ამბავიო!

ეხლა ამ ხელმძღვანელმა უთხრა ბიძაჩემსაო, — ბიჭო, ეს ჯიუტი კაცია, ჩავა, მაიმუნ გაგვხდისო და შენც გაგაკულაკებენო და მოდიო, ერთი მოსწრებული ახალგაზდა არ გყავანო, მოსწრებულიო, რო ისიცაო დაქორწინდესო, ...მერე ფეხ ვერ მოგჭამენო, თუ არა, კულაკობა მოგიწევსო.

— გვყაბსო ერთ ახალგაზდაო! გვყაბსო!

— შენ გენაცვალე ბიჭო, დააქორწინე, მადლი ქენეო... თორე ჩავა თუარმე, ჩავა — ეტყვისო...

ეს მოახსენა. ჩვენ ოჯახში... აქ სოფელში იყო ერთი გოგო, და იმ ოჯახში მამიდაჩემიც იყო გათხუებული. ყველაზე მშვენიერი გოგო ის იყო. ყველაზე მშვენიერი გოგო, მთხოველი ბევრი ჰყამდა. ეს მამიდაჩემის ქმარი, ცალკე ცხოვრობდა თავის ძმასთან, ამისი ძმიშვილი იყო ეს

გოგო. ის სხვაგან ათხოვდა და გოგოს დედამ უთხრა, რო შენაო თუ გინდაო რო ჩემ შვილმაო გაიხაროს, შენ ყაინიშვილ მიეცეო, ყაინ უძახოდნენ, ცოლის ძმას — შენ ყაინიშვილ მისცეო!

მე მინდა, მაგრამ ვერ გამოქვეყნდები, რაგორ იტყვი, რო მე ის მინდა! — გამლახებდნენ, ხო ვიყავი თვრამეტ-ცხრამეტი წლის ვიყავი, მაგრამ ვერ ვბედამდი, მორცხვი იყო ხალხი. ისე კი ვთქვ̄, რო რა კარგია, ეს გოგო'ნა ავიყვანო. ამოვიდა სიძე ჩვენი, მამიდაჩემის ქმარი, ამ, რაგორც გითხარი, ამ სახლებს შემოსასვლელი სხვა ქონდა, გასასვლელი სხვა ქონდა. ამ სეკრეტზე შევძვერი და შევედი, კედელში, — რას ილაპარაკებენ, გავიგო. ვიცი, რო ჩემ დაქორწინებაზე... შევძვერი და, ბებიაჩემი ქვყავდა, კარები ჩამომბული ქონდა ამ სეკრეტ, ამ კარებთან ახლო მივიდა, ხო'ნა ამოისუნთქო, შემხედა და: — ჩვენი ციგანიო აქ არიო. მოვიდა და ეესე რო წადრეკილი ვ̄არ აქ შეყუდებული, ბოსელში გამოიარა, ეს ნეხვიანი ნიჩაფი, ესე რო წადრეკილი ვ̄არ, მოვიდა და ამ ტანზე რაც ძალი და ღონი იყო, დამარტყა:

— შე მამაძაღლიშვილოო, შენ გაქორწინამსო, და შენ ყურით ისმენო? — ისედაც მცხვენოდა!? გავიქეცი, ორ-სამ ღამეს... ის კი გავიგე, რო ვინც გოგო მიყვარდა, იმას მირიგებდნენ.

ყვირილა ხალხი იყვნენ, ისე პატიოსანი, კარქი...

ბებიაჩემმა: — მოჩხუბარი ხალხიაო, მაგათ ქალაო სახში არ შემოუშვამო, წადი, მამშორდი, თორე არც შენ შემოგიშვებო.

არ ქნ̄ ბებიაჩემმა!

— მე მინდა! — ბევრი რამე მინდა!

ადგნენ და ბიძაჩემი და დედაჩემი წავიდნენ უდეს.

— წადითო უდესო! ჩვენ შეძლებული ოჯახი ვ̄ართო, ბიჭი არ უშანს არისო, ვისი ქალიც ითხოვოთ, ჩვენზე უარს არ იტყვიანო. წადითო, ვინც ლამაზი გოგო იქნება, შეძლებული იქნება, ის'ნა აიყვანოთო. იარეს, იარეს, იქ ნათესავები გვყავდა, იარეს — არ მოეწონათ გოგოები, ამ უდეში. აქედან მოვიდნენ, შეჩერება არ შეიძლება ახლა ვალეს წავიდნენ. დედაჩემი რო ვალელი იყო, ვალეს გავალო, ნათესავებისგანაო გავიგებ ვისი გოგო კარგია, იმას ავიყვანო. გავიდენ და ერთი გოგო იყო, ნაქები გოგო იყო, წავიდეს(?), ითხოვეს ეს. მაჭანკალი აუგზავნეს, რო თქვენი გოგო ჩვენ'ნა მოქვცე. ე კაკაჩევი რო იყო ვალეში, იმის მამიდა იყო დედაჩემი, დიდი წრიდან იყვნენ და ჩვენც დიდი წრიდან ვიყავით. უარი არ უთხრეს, კიო, ბატონო, მომაალ კვირაში შეგატყობინამთო, ეს კვირა რო მოვიდა და... ეხლა სხვა, დიდარ ოჯახთან მივიდნენ, რო ქალიშვილ მოქცემთ, ამ გოგოს მშობლებმა, — თუ ამ ბიჭმა აიყვანა, აქ მივსცეთ, აქვე სოფელში, რაღა არალში, თუ არა და აგერ...

კვირა რო მოვიდა, ამათ გადაწყვეტილი სიტყვა არ უთხრეს. ეს კვირა გავიდა:

— მომალ, კვირას მომავალ კვირას გეტყვით!

ეს ბიძაჩემი და დედაჩემი ეს ერთი კვირა ვალეს ზიან, პასუხს ელიან. აქ ეს კაკაჩევის ძმა იყო, კიკოლას ეძახდნენ, კარგი, ტანადი კაცი იყო, ძალიან ძლიერი და რუსულათ „ბალშო"-ს ეძახოდნენ. დიდი — ბალშოი ჩალავეკ. ბალშოი ჩალავეკ. თელი სოფელი მაგას იძახოდა. ეწყინა ამას, რო — მაგის პატრონის დედა ვატირეო! წავალ მე'ნა ვითხოვოო და ამასთან, ამ ჩემ ცოლთან ავიდა.

ავიდა და ერთი სიტყვით, საქმე ჩააწყო ამათთან ასე იქნა, რო ეს გოგო წამოვიყვანეთ. უფლებასაც არ მაძლევდნენ, რო ცალკე ოთახში შევსულიყავი. ძმა ჰყავდა, დედამისი არ შორდებოდა. — ხო არ'ნა შევეჭამო, კაცო, ვეტყოდი, კოცნამდი არ მიშვემდნენ, დანიშნული ვიყავი! იმ შემოდგომაზე მოვიყვანე.

...ეხლა ქორწილზე რო მიველი, ჯერ მე რო მიველი... ეხლა როგორი წესი იყო, გოგო'ნა მოიყვანონ, ჩამაბარონ, ხელი'ნა ჩამაკიდინონ, მე ვდგავარ აჯლაზე, (აჯლა ქვია), ვდგავარ მე! გოგო შემოიყვანეს. შენ'ნა მეგესწრო გოგოსთვის ფეხი'ნა დეგედგა. თუ გოგო გასწრემდა, ის'ნა ყოფილიყო, ხელმძღვანელი, თუ კაცი მოასწრემდა, რასაკვირველია... თურმე ამ საწყალმა არც ფეხი დადგმა იცის, არც დაინტერესებულია, რო ფეხი დაგადგას და მეც ტუფლები მაცვია და რაც ძალი და ღონე მაქ ამ ტვიტელა ფეხზე რო დავარტყი, ფეხიც ვატკინე... თურმე გაგონილი არ ჰქონდა.

...აქ რო გამოდიოდნენ სახში შეყვანა არ შეიძლებოდა პატარძლის, ეკლესიაში'ნა შესულიყვნენ, ჯვარი'ნა დაგვეწერა, ჯვარი'ნა დაგეწერა, ჯვარ დაიწერდი, აგიყვანდნენ სახში, აგიყვანდნენ სახში მოწყობილი იყო, როგორც ეხლა აჯლაკ ეძახიან, ეს აჯილაკი იყო მოწყობილი ნეფე-პატარძლის გასაჩერებელი, და ამ დარბაზში ხალხი მოსული, ადგილები გაწყობილი იყო. რაგოც ეხლა სკამები იწყობა, სტოლები იწყობა.

წინეთ არ იყო. წინეთ იყო ორი ფეხის მოკეცა ამ პოლზე. ორი ფეხით მოიკეცემდი პოლზე. გაშლიდნენ ჭილობებ ამ მიწაზე, ერთი მხარე იქიდან იყო დაწყობილი კაცები, ერთი მხარე — აქედან. ფეხებმოკუნტული იყვნენ ასე. დიდი დარბაზები იყვნენ. დიდ დარბაზებში ეწყობოდა ეს ქორწილი.

ქომოშვილი მარგალიტა არტემის ასული, დაბ. 1918 წ. ადიგენი. სოფ. არალი, (1991 წ.)

## თქმულება იესო ქრისტეზე

...იესო ქრისტეო ზეზეურათ დადიოდაო და აქეთ მდინარეს ვეძახით, ხევის პირია და ეს რო იქიდან მოდიოდა, ერთ ქალ სარეცხი სდგმია, ხარება დღე ყოფილა და სარეცხი სდგმია იმას.

— ქალბატონო ქალო, თეთრათ შენი სარეცხიო! — იესო ქრისტე ეტყვის. — ქალბატონო ქალო, თეთრათ შენი სარეცხიო.

— მადლობთ, გაიხარეო! ეს ეტყვის იესო ქრისტესა და: — ეს რა დღეობა არისო?

— ხარება და ხანხალებაო, ჩემი ძმისაც გახარებაო (ხარების დღეს, უქმე დღეს იმას სარეცხი უდგია, ხევის ნაპირზე, — წყლიები არ იყო. ეს ესო ქრისტე დასწყევლის, რო

— შენიც მანდვე გაქვავებაო!

და ეს ქალი გობით ისევე გაქვავებულია და ამ ხევზე ჩამოსხმული, ისევე ეტყობა, რო დაბლაა ჩასული (წყალი).

ჩვენ ძაან ზემოთ ვცხოვრომდით, დედაჩემის ისა... (ოჯახი) და იმ ხევთან ახლო ვიყავით.

იმასა უქმე დღეშიგანა ასე უთქვია:

— ხარება და ხანხალებაო, ჩემი ძმისაც გახარებაო.

იესო ქრისტესაც დაუწყევლია, რო — შენიც მანდვე გაქვავებაო.

## ეკლესია

უფროსებისგანაც მანდ თუ გიწერია გაგონება, რო წინ-წინა... ექა გვაქვს ერთი ძველი ეკლესია და ეს ეკლესიაო, ისეთი მაღალი ეკლესია იყოო, რო ძალიანო, იქიდან რო მოხვიდოდით, პორფოსტს ეძახიან ფარეხას შემოსასვლელზე, რაღაც შენობა იყო და უწინ დუქნებ უძახიდნენ...

იქიდან რო შემოდგებოდნენო, ის ადამიანი იქ დაიგრიხებოდაო, რო... ცხენიდან ჩამოსულიყო უნდაო, წინ-წინ მაშინა არ იყო, სულ ცხენოსნები მოძრაომდნენ და იმას თაყვანი'ნდა ეცა ამ ეკლესიისთვინაო, თუ არა, ცხენზე დაიგრიხებოდაო და ვეღარ წამოიყვანდნენო, ცუდათ გახდებოდაო.

ამ ეკლესიაშიც ყოფილა წინათ, აღდგომასა მანამდი შვიდი კვირა ხო მარხვა გვეჭირა, ამ შვიდი კვირა მარხვაშიგან აღდგომათაო ირემი მოდიოდაო და აქ თავსა... დაიკლებოდაო და ის აღგომათ აი, ხორცი და გახსნილება (იქნებოდა) იმ ირმი ხორცითაო. წინათ იმდენი ყოფილა,

რო იმ ირმი ხორცი ამ სოფელ ყოფნიდაო.

ეხლაც რო ვინმე მივიდეს, თვალებიდან უსინათლო იყოს, ან გლახათ ავანტყოფი იყოს, რამე, ერთი ქვაც არი, ქვეშ რო გააძვრენენ, ის უკვე კარქათ ხდება, ისე შენდობიანი ეკლესია არის. წმინდა ეკლესია არის. ვისი სახელობის არი, არ ვიცი, ძველ ეკლესიას ვეძახით. ახალი სხვა გვაქვს და კიდე ძველ ეკლესიას ვეძახით. ამ ბებრებმა, ამ მოხუცებმა ააშენეს, დანგრეულ ეკლესიაზე, გადახურეს და ეხლა იქ სალოცავათ... იქ ლოცულობენ ჩვენები.

და ერთ დღესაც მოვიდაო და დააგვიანა, რაღაც შიენთხვაო, რა იყო, არ ვიციო და დააგვიანდაო. უკვე ესენი საათ უკვირდებოდნენ, რო ცხრა გახდა, ათი საათი გახდაო, მშივრები დავიხოცეთ, ამას და ველოდოთო? მოსულა და დაუკლიან მაშვიე. დანა რო მუუმზადებიან, ენა ამუუდგია ამ ირემსა და უთქვია, რო კლემდნენ: — ამ ეკლესიისაო ძირი აღმაო და პირი დაღმა იქნებაო. პირი დაღმაო და ძირი აღმაო! რო მოსული არ დამასვენენეითო და მაშვიე გამომკალითო.

ეს ირემი რო მოდიოდა და რო იკლებოდა, იმ ხალხსა მერე ხორცი იმითი'ნა ეჭამა. — ამ ეკლესიის ძირი დაღმაო და დანგრეულა იმსიმაღლე ეკლესია. ასე, უყურამ, აიმ ფარდობზეა მაღლა ასე. იქიდან უკვე, რო შომოდიხარ, იქ შუქ სცემდაო, ისე მაღალი ეკლესია ყოფილა.

ასე ქნილა და დანგრეულა მაშინ ეს ეკლესია.

***

ეხლა ერთი სამი მეტრი, ემ სტოლბისოდენა ქვა არი, ჰოდა... ამოჭრილია და ამ რგვალშია ეს ჩასმული, და ეს ასე დგას და დაავადებულები და ავანტყოფებ რო გაძვრებიან ქვეშა, სამჯერა, უკვე შვებას აძლევს. გინდა საყმაწვილოთი, გინდა დავარდნილი რაცხა-ვინცხა... უკვე... იმას უკვე შვება ეძლევა იმითი. ამ ეკლესიაზე გაქცევანაᲥ ყოფილა, გამოქცევანაᲥ და ამ ქვაზე უსერელიან ტყვიები, ათასი რამე უძახიან და ვერ გადაუბრუნებიან ის ქვა.

კიდე მოვიდნენ იქიდან იყვნენ, თბილისიდან, რო ეს ქვა მუზეუმში'ნა წავიღოთო, გადმოვიღოთო და წავიღოთო, საჩვენებლათო. ამხელა კუთხური ქვა არი, ნახიშიანი, გამოთლილი და, რა ვი, რომელ საუკუნეების ის აწერია! რომელ საუკუნობაშია გამოთლილი? — ესაო იქ'ნა წავიღოთო და მერე მეზობელმა ქალმა ეს თქვა, ილაპარაკეს... ვინც რო პირი მიუტანა ამ ეკლესიაზე... ვინც რო პირი მიუტანა ამ ეკლესიაზე, ქვაზე, რო: — წავიღოთო, ისინი, რო წასულან, დიდი ქვა, ავდარი, სეტყვა, უბედურობა მოსულა და იმ მუზეიმშიგანა ესე იგი, ძლივ შეუტანიათ! (ის ადამიანი).

## ხელსაქმე, მზითვი, ქორწინება

...შალებ ქსოვდნენ, რო შარვალ-კოსტუმის შესაკერათ. ი ყაბალახებ ქსოვდნენ, აქარგინემდნენ უზორებითა, ყაბალახზე (არ ისმის, მ.ბ.) უნდა ჰქონოდა რო დიეხვნიენ, ეხლა იმათაც ქვანან... დასავლეთ ქართველებს ახვევიათ ყაბალახი.

სულ სუფთა წინდები'და მეგვექსვია ხოლმე ერთი ორმოცი-ორმოცდაათი წყვილი წინდა'ნა ქვონოდა, რო: — ქალი მყამს გასათხოვარი. შევიყრებოდით, ნართებ შეჰყრიდნენ და ცხრა-ათი ქალი დაართებდნენ სასუფთაო წინდებსა.

ჯერ დაართებდნენ სუფთა მატყლსა, სუფთა ნართი! მემრე წავიდოდნენ, გენაცვალე და იცოდნენ, ზოგი მურჭა წინდებ მოქსოვდნენ, თევზი ფხაო, ყურძნი ტევანიო, აესეთი რაღაციები, ნაირ-ნაირი უზორები იქსოვოდა... სასიძოთ თევზი ფხიანი'და მიექსვინენ, კარქია, მურჭაი კარგია, და (უნდა) მიექსვინენ, რავი, ათასი ჯურის სახელებ უძახიდნენ.

ამას, წინდა თუ არ ექნებოდა ქალსა, წინ-წინ ძნელი იყო გათხოვება. აგერ აფაჩემიც (ბიძაჩემი) ხო ამომდა, რო, რო მახარობელი ამოვიდოდაო, ამდენი წყვილი წინდა და ჩიეცმია ეს დედამთილ-მამამთილისთუნაო, ეს ძმადეო, ეს ნათლიაო, ეს... ათას რამეს მოჰყვებოდნენ ხოლმე.

მზითვებისთვინ უწინა რას ამზადებდნენ? მზითვისთუნა თუ მქონიარე იყო, დიდი იყო, იმათ კარქი ის ქონდენ... კაი კიდობანი, წინ-წინ ხო გარდეროფი და შიფანერკა და ის არ იყო, ხელგა და მელგა და რაცხიები.

— ოო, კარქია, ზითი მოუტანია, შალ-მატყლის ლოგინები, — ორი ხელი იყო წინ-წინ. ეხლა ექვს ხელზე ავიდნენ, ჩემ რძალმა ექვსი ხელი მამიტანა. იეხლა ეს მიბელიო, ეს ვეშიო და წინ-წინა თუ მდიდარე იყო — ბევრი.

რამდენი შალის კაბა ჰქონია, რამდენი აბურკიანია, რამდენიც წვრილაბურკიანი. ესეთ რამეს ჩაულაგემდნენ. ზუბუნი უნდა ჰქონოდათ რძლისთვინ შეკერილი, ახალ სარძლოსა და ის კიდობანი'ნა გიევსნენ, ვისაც კიდობანი სავსე ჰქონდა, ის მდიდარი რძალი იყო, ვისაც არ ჰქონდა და — ღარიბული იყო. ახლა იმ კიდობანს ხო არ დასჯერდები.

რძალ რო მიიყვანდნენ, სახში ვინც იყვნენ, დიდიდან პატარამდე იმათთან საჩუქრები'ნა მიეტანა, წინდები'ნა ჩიეცმია, მული დახვდებოდა, დედამთილი დახვდებოდა, მაზლი დახვდებოდა — სუყველასთუნ. ასე იყო წინ-წინა, ჩემ მოსწრებაში. რძალი რო მივიდოდა, მუნჯი'ნა ყოფილიყო, რძალ ხმა არ უნდა გიეღო წელიწადი, ვინც რო წელიწად დიემუნჯებოდა: — დაინახე, რა კაი რძლობა ქნა! — ხმას არ გასცენდა! მე არ მოვსწრებივარ. ერთი მამამთილი მყავდა და იმასაც რო დავმუნჯებოდი... მითხრეს, რო მამაჲ უძახეო. მამას ვერ ვეტყოდი! ეხლა ჩემთანა რო

მაზლიშვილებიც მყავდა, ერთათ მიველით, ისინი რო ყველა პაპას ეძახდნენ, მეც პაპაჲ დაუძახე, მამაჲ ვეღარ დაუძახე.

...ისე მოიყვანდნენ რო, ი ბიჭმა არ იცოდა, ვისი რა ქალი იყო. აქ ჩვენებს ერთი, ვალიდან ცოლი მიეყვანენ და: — ჩემ ძმა აფრიამ იცისო რა ქალიაო! — თურმე მუნჯი, ენაჩლიგი ქალი მოჰყავდნენ და არ იცოდნენ. რო დაილაპარაკა და ენა ამოიდგა, ენაჩლიგურათ ილაპარაკა, წინ-წინ ასე იყო! ხმა არ'და გიეღო.

## თათრობა

მოვიდნენ და თათრები დიეცნენ, აჭარა (იგულისხმება ქართული წარმოშობის მაჰმადიანთა თავდასხმები ისტორიული მესხეთის სხვა კუთხეებიდან, მ.ბ.), ჩვენ სოფელს. ეს აჭარა დიეცა.

ეს კეური აქვანან, ხარი შემბული და და ეს აჭარა რო დიეცა, პაპაჩემი, მამაჩემის პაპა, მეშურეთებს ეძახიან გადაღმობაში, იქა წოწინარითა და ჯენჯილი ჯაჭვებითა, მოშჭრიდნენ, მოიდემდნენ და ი ფიჩხსა, გლეჯდა და ყანებს აკეთემდა, სათეს ნორმებს. და გამოვიდნენ აქედან, რო აპა, გიქრო პაპაო, გიქრო ბიძიაო, მოქვპარეს ხარიო, თათრებმა, დაგვიშინეს, აჭარლებმაო და წაიყვანესო.

პაპაჩემი, იქიდან წამოიყვანებენ და ე ბუზმარეთის... წყისის ტბასთან, ბუზმარეთთან, აქ დასწვდება. ეს პაპაჩემი შომოიხოვს ჯეშტ კლავზე, ამ ჯესტ რო შომოიხოვს და გარედან მოისხამს, საწვიმარ ეძახებდნენ შინელს, მოისხამს შინელსა და წავა და იქ დასწვდება, კაი მძლავრი კაცი ყოფილა პაპაჩემი.

ეს რო იქ დასწვდება, ამათ ეჩხუბება აქ, ეჩხუბება ცალ ხელითა და ხმალი რო მოდიოდაო, ამ კლავ შეუშვერდაო, რკინა საცა ქონდა, ჯესტი, იმის ხელი იმათ ხოცენდაო. იძულებული გახადა, დააყრევინა ოცდახუთ უღელა ხარიო, იქიდან აჭარლები ისე გიერეკა, და ჩამოიყვანა, სოფელ დიეხმარა პაპაჩემი.

ასეთი დაცემა იყო.

ამ თათრების ხელში, ჩვენ ნაპირზე ვიყავით და მეზობელი თათრები ქვყავდა. მეზობლათ თათრები ქვყავდა, იმათ ვინ შიატყობინემდა, რო ეგეხედა იმიზეიდან... შენ ეზოშიგან ვერ ახვიდოდი!

იქიდან, ჰამა, გამოიხედემდნენ თათრები, გამოიჭყიტემდნენ, ხელ გიქნევდნენ, რო არ გიელაპარაკათ! თათრულათ მე ბევრი არ ვიცი და ერთი ამას დაგვიყვირემდნენ: — ...ყიზ! — მოდი ჩვენთანაო! ამას დაიძახემდნენ ხოლმე. იეხლა რო მივალთ ყველგანა, ასე ვინ არი, რო... მეზობლები იყვნენ და ვერ მივიდოდით!

ჩვენ, ქალი-რძალი თოხნაში-რამე ვერ წავიდოდა. მარტოკაჲ, თუ წამოგყვებოდა ქმარი, მამა, ძმა-რამე, ისე წახვიდოდი, მიეხმარებოდი. ეს სამი სოფელი იყო შეკრილი. თათარში ქალ არ აძლევდნენ. თათრიდან ქალი არ მოჰყავდათ.

ეხლა თათარიც... შეიძლება თათარიც მოხდეს. რაცხა იპარებენ, საცხა წავლენ, გეეწონებიან, მოიყვანებენ... ეს ბრუნვა იყო რო, ეხლა რო თქვა... თქვენ ჩვენიანთი ხართ? — თქვენ ასე ხართ, ისე ხართ! შინაურობაში ვყვანულომდით.

ახლა იმ დროს იმიტომ ყვანულომდნენ შინაურობაში, რო ის იყო, გოგოჯან, თათარი გვყავდა — იქ თათარი, ფარხაშ-თათარი (?)... იქ თათარი, იქ თათარი! გადაბრუნდებოდა-გადმობრუნდებოდა, უდეში იყო შენი ქალი გათხოვილი, ისოვ უდიდან'და მეგეყვანა. ვალეში იყო შენი ქალი, იმის ქალი არალში იყო, აქედან ისოვ შენი შვილის ის'ნა გეგეთხვიებინა, ეესე ბრუნდებოდა და...

ეხლა ისეთი მომენტი მოხდა, ეხლა დაბრუნდა, პირადათ ჩემზე, ორი რძალი მყავს, ორი სიძე მყავს. რო გადვითვალო, გადვითვალო, ჩვენ მამა-პაპის ჩამონავალი, ან დედამთილის მხრიდან ან იმიდან, რაღაცის წვნილი ხდება, რო რაღაციდან რაღაცა ყოფილა ოდესღაც. ეხლა დიდი რძალი მყავს, იქ წვეულობაში წაველით, წაგვიპატიჟა, რძლის დედამა, რო ჩემი ბიჭიო, რუსეთშია, და ცოლი მიჰყავსო, რო აგვიპატიჟა, იმისი დის ქმარი! — რო შეველით და ვიკითხეთ, — თქვენ ჩვენი ნათესავი ხართო. პაპაჩემის და ყოფილა, მამაჩემის მამიდა ყოფილა უდეში გათხოვილი, რაბათებში, იქიდან გაუთხოვებიან საცხა, — ქალი დაქვრივებულა, მერე იმის დედინაცვალი გამხდარა. სიდედრი გამხდარა ამ კაცისა. თქვენი ქალიშვილიო, ჩემი სიდედრი არისო. ჩვენაო, ნათესავები ვართო, რა ვიცი მე!

## ეკლესია

მე ერთი... პატარაჲ ვიყავი ძალიან, ღედელი რო დაიჭირეს, ზარები ებრაელმა ჩამოსხნა, ეს მახსოვს — ზარი, ეკლესიიდან. მე ძაან პატარაი ვიყავი და ახლა შორს რო ვიყავი, ეკლესიასთან ახლოს არ ვიყავი და მაგისი მე ბევრი არაფელი არ მახსომს. და ჩვენ სოფელსა ლოცვა და წირვა მაინც არ შოუწყვეტია. ეს მოხუცი ხალხი ძალიან მტკივნავარი იყო ლოცვისთვინ. მაინც დღემდი ეკლესია არი გაწყობილი და მაინც შევდიოდით და ვლოცულომდით. აჰა, ამ ქალმაც არ იცის?! — შორეულია, მარა ყოველთვის მაგი დედამთილი, მაამთილი ერთ საათ არ გადაცდენდნენ ხოლმე. ახლა ჩაიჩოქეს. ასე არ ალი, თქვი!

აღარ მიდიან, დაიჩოქეს, არ შეუძლიან წასვლა-წამოსვლა.

## ხანულობა

სამნი ვართ შეკრებილი, ეხლა შევხედამთ, რო ვისი რძე მეტია. ვისი რძეც მეტია, იმასთან მივალთ. სამ დღეს რო შენთან იქნება, ხუთი ჭდე გაგიხდა, ოთხი გაგიხდა... ვაქდამთ და ოთხი დღე რო მიივალე შენ, ახლა ჩემთან მოხველი, არა, ჩემთან რო მოხვალ, ამ ოთხ დღეს რო გადამიხდი, რამდენი დღით გადამიხდი — ჩემი ბევრი რძეა და შენი თუ ცოტა რძეა, ანდა შენი თუ ბევრი რძეა, შენ შომოხველ და მე ოთხი ჭდე ორ დღეში გადამიხადე, მაშინ შენი რძე ორი დღე უნდა მივივალო.

თუ დავადექით ისე კანონისა. — ორი დღე უნდა გადამიხადო და ორ დღეს მივივალამ შენ რძეს — მეტ არა. თუ პრინციპულათ დადექი. თუ ისე, ამღვრეულათ დადექი, — ახლა იმისი შენ ორ დღით გადამიხადე, იმისი მაქ მე კიდე, იმან ნა გადამიხადოს, ის ხო ისევ'ნა გავისტუმრო, იმისიც'ნა გადავიხადო. მიიღო უნდა, რას იზამ! შენ ხო სახლში ვერ დაატოვინეფ რძეს.

## თათრობა

წინაპრებიდან გადმოცემით ვიცით, გენაცვალე, რო თათარი რო შემოგვესია ამ ჩვენ ხალხ აწამემდნენ და ისე ხოცამდნენ, დედი, ძუძვიებსაც აჭრიდნენ... ორსულ ქალებ.

ეკლესიაში რო მარხია. ზანკოჩი რო მანდ მუშაომდა, საყდარში, ადუნათ ისა, ეგაო აწამესო და მოკლესო...

თათრებისა და ჩვენი ამბავი ასეთი იყო და ასეთ გადმოცემით ვიცით, გენაცვალე, რო შემოგვესიენ, ზოგი ხალხი ახალციხეში გადაცვინდა, წავიდა, ზოგი აქ დარჩა, ვეღარ გაასწრეს. ისინი აწამეს, ორსულ ქალებსა ასე ატაკემდნენ ხიშტებსაო მუცლებზე და ისევე ბავშვ გამოისროდნენო... ძუძვიებ აჭრიდნენო და ისე ხოცემდნენო.

ეხლა ჩვენ პატარა ეკლესიის კარი გვაქ. პატარა ეკლესია გვაქ, წმინდა ნინოს სახელობის ეკლესია გვაქ და აიქა, სასაფლაოა. მოზდილი სასაფლაო, იქ სულ თათრების დახოცილი ხალხია, წამებული ხალხია, ნაწამებია, მკვდარი არიან. მაგდენი ჩვენც აღარ გვახსომს. ბევრ ახსომს იტყოდნენ ხომე, რო: — ბაბუაჩემია აქა, დეიდაჩემია, ამ ადგილ მარხია! ჩემი მამიდა ამ ადგილ, ასე წამებით კვდარი! — თათრების დახოცილი ხალხი.

ადიგნიდან წამოველით, ზაზათ ის ხო იყო, კაკლოთ ქალი! მოვდიევართ, პასპორტები ავიღეთ, ადიგნიდან მოვდიევართ. კახარეთიდან გადმოცვინდნენ და ახალგაზდებმა გამოვასწარით და დაიჭირეს ეს ქალი, კაკლოთ ქალი! — გოგოებო, მიშველეთ, რა იქნება! — ქალო, შენ მოხუცებული ხარ, გათრევენ, ჩვენ სულ რას გვიზემენ! — არ მივხედეთ, რაც სწორეა,

სწორეა! მერე ერთი მოხუცებული კაცი იყო: — ტატა, ბურიაგაწლ... (თურქული ფრაზა)... თათრულია! — შენი ქალიშვილები ვართ და გვიშველეო, რო ექ ერთი მოხუცებული ქალი დაიჭირესო და აწამებენო, ღობეში ჩატენეს, ბოდიში! მოვიდა ამ კაცმა და გააგდებინა. წამოვიდა ეს ქალიც ჩვენთანა, სულ-განათლებული და: — რა ვქნა, რას მეტყვით გოგოებო!

— რა გინდა!

— ქალო, დამახიეს თავ-ტანი!

— აბა ჩვენ გვემდურებოდიო, რო რატო არ მემეშველეთო, ჩვენ რაღა გვექნა, ახალგაზდა ქალები ვიყავითო. ასე უბედურობა გვაქ, შვილო გამოვლილი ჩვენ ცხოვრებაში თათრებთან! რაც მევესწარი და ჩვენ მამა-პაპიდან გადმოცემული გვაქ, რო: ასე გავატარეთ და ისე გავატარეთ!

დედამთილის რძლისთვინ ხო იტყვიან ხოლმე, გიგოლანთი! გიგოლათ ანტონას... — ხო, ეგ ადრე! გამურემდნენ, ნახშირით გამურემდნენო, სახეს გაუმურავდნენო, ლამაზი ქალი იყო და ისე ინახდნენო... ლამაზი ქალი იყოო და თათრები რო გადმოდიოდნენო, ლამაზ ქალებზე თვალს იჭერდნენო. მაინც შეიჭრნენო გიგოთ სახლებშიო და გასაკეთებელი გაუკეთესო.

დედაჩემი ყვებოდა, უდე ახალციხეში გაიქცა და ორი ძმანი დარჩნენო. ვერ გაასწრეს მოხუცებულებმა და ორი ძმანი დაკლეს ასე, ყველაფერი დაშჭრეს, იქვე დაკალეს თავეთ ეზოში! ახლა ამოვიდნენ ახალციხიდან, ორი ძმები ერთად თაკრიან — ოსეფას მამა და პეტათი. იქ თაკრიან, მიიყვანეს და იქვე თავით ეზოში, ნახული გაქ შენ დიდრვიანი ქვეები რო ტოვია პეტათ კარზე, იქა.

...რო ამოვიდნენ ახალციხიდან და დამშვიდოვდება ქვეყანა, მიიყვანეს და იქვე გაშჭრეს სამარე და იქვე ჩაასვენეს და დაატვიეს ქვიები, კარგი დიდრვიანი ქვიები ატოვია.

დიდი დღე გვაქ, შვილო, გამოვლილი, ჩვენ რო ახალციხეს გავქცეულვართ, ჩემი თავი ქორფა წაუყვანია მამაჩემსა. დედაჩემი, ბოდიში და, შობიერე ყოფილა ჩემი, და ქორფა წაუყვანია მამაჩემსა ახალციხიდან ამოსულან, მელოგინე ქალი გაციებულა და მამკვდარა, მერე ამი დედას გაუზდია ჩემი თავი. ერთი ძუძუ ამისი ყოფილა, ერთი ძუძუ ჩემი! მამაჩემ უთქვია, რო ის არისო, გზირიანთ ქალოო, მიმიყვანეო რა იქნებაო, ჩემი ქრისტინეი გამიზარდეო. — მოიყვაო, ლექსო ძიაო, და: ერთი ძუძუ ჩემი იყო, ერთი ამისა იყო.

...ერთიცა, ეს თათრებიო რო გადმოივლიდნენო, გადმოივლიდნენ თათრებიო, ზოგი რო წავიდა ახალციხეში და ზოგი აქ დარჩა, — აი, ახალგაზდები სადაც შენიშნესო, დაუნტროვდნენ კარებსა, შევიდოდნენ და: — ამ ახალგაზდამ მაბანოს! — რომელ ახალგაზდაზეც თვალ

დაიჭერდნენო. ამამ, მაგალითად, სოფიკომ'ნა მაბანოს (იქ მყოფ გოგონაზე ამბობს) და მაბანოს! არაფერი, არაფერი მეტი გზა აღარ ალი, გაუცხელენდნენ, რომელ ქალზეც თვალ დაიჭერდნენ, იმ ქალ'ნა ებანებინა ის თათარი და რო გაუთბომდნენ, თურმელ ადგება ეს ქალი, ერთი ქალი და წყალში ხელ ჩაყოფს, რო ნახო, საკმარისი თბილია! — როგორ თუ შენ ხელი ჩაყეო, მაგ წყლით ჩვენ არ ვიბანთო და იმდენი ცემეს, იმდენი ცემესო, რო მიამკვდარესო. გადააქციესო მერე, გადააქციესო, წყალი გადააქციესო. წყალი გადააქციეს და აღარ იბანესო! ჩვენ ეს მშობლებიდან გვაქ გაგონილი. თათრებმა დიდისგან დიდი დაგვტანჯეს, მაგრამა...

## სარწმუნოება, სასწაულები

ამ საბოლოოთა ჩვენ გვყავდა საფაროვი. მაგის შემდეგა ჩვენ მღვდელი არ გვყოლია, ექვსი თვე გვყავდა შეშაბერიძე, საფაროვის შემდეგსა. — სომეხი ღვდელი რომელზე წინ გვყავდა! სომეხიც გვყავდა ჩვენა. და ეს საფაროვი რო დაიჭირეს, (ტერ კოსტეი რამდენი წელიწადი იყო?) საფაროვი მე არ მინახია. ლათინურს გვალოცემდა სულა. ეხლაც მაქ მე ლათინური სახარება... მაგრამ ახლა რო გითხრა, აი, ესეც'ნა გითხრა, მე... მანანოთ ძიაგ შენ არ იცი, ბუღალტერი იყო, ანდრე ძიაგ, ის იტყოდა ხოლმე, რო ამ საფაროვმაო ჩვენაო ლათინურ ტიპიკონზე'ნა გადაგვიყვანოსო! — არ იჭიშმარიტებოდა! აი, რო ჩვენ ლათინურ... ეხლა ჩვენა, ვიძახით, მართალია, საფაროვი, საფაროვი, მაგრამ, აი მოხუცებულებსა არ იჭიშმარიტებოდათ, რო ეს ჩვენაო ლათინურ ტიპიკონზე გადაგვიყვანსო.

...მერე მოვა ხორციელი, მერე მოვა ყველიერი. სოფიკო, შენ ჩამოუყე... ეხლა მე, იცი, რა ვნახე! მე პატარაგ ვიყავი, შვიდი წლისა, თათრები რო გამოასახლეს... — უთხარ, უთხარ... იყვნენ ჩვენ ოჯახში, ჩვენ ოჯახიდან გადავიდნენ მერე ახალციხეში, რო დალაგდნენ და მერე კიდე გავიდა რამდენიმე წელიწადი, ვიქნებოდი ცხრა-ათი წლისა, ვიქნებოდი შვიდი წლისა — არ ვიცი! ჩვენ მეზობელი გვყავდა, ახლო მეზობელი ვიყავით. რა, შუაში ერთი იემხელა ადგილი ჩადიოდა... აი, როგორც ძმები, ისე იყვნენ და ამ ჭვინტიდანა ერთმა კაცმა გატეხა ჩვენი ეკლესია და რაც იყო არ იყო — ყველაფერი გაალაგა. რამდენი მეშოკი გატენა, არ ვიცი. გახდა ერთი საათის ასე პირველი იქნებოდა, ჩამოვიდა: — ვანო! ვანო? — გააღვიძა. — რა იყოო და: ჩემ (ჭვინტიდან ჩამოსულიყო) ყაინსაო მეშოკები წაუღიაო... ეკლესია გაუტეხიაო, მეშოკები გაუტენიაო, ეხლაო დაგრეხილაო, აესე როგორც თოკი რო დაგრიხო, აესე დაგრეხილაო, მოდიო, გააღებინე კარიო, და ეკლესიაშიო შევიყვანოთო. ჯერაო გარედან

შემოვატაროთო, ეკლესიასაო, მერე შიგნიდან შემოვატაროთო, ბემსაო (მეორე ქალი. ბემთან არა, საკურთხეველთან არ გაუშვემდნენ), ბემი — საკურთხეველია, ჩვენ ბემს ვეძახით. ჰოდა, გარეშემო შემოატარეს ორ-სამჯელა და მერე წაიყვანეს და არ ვიცი, ეხლა, გაცოცხლდა, მოკვდა, მე ეგ აღარ ვიცი!

სასწაულით დაგრეხილა!

სასწაულიანი ეკლესია არი.

***

ყველიელი იწყებოდა, ყველიელში გამოვაცხემდით... თებერვალში... გამოვაცხემდით: ქადა, ფუნთუში, თითიანი პური და ვემზადებოდით მარხვისთვის! ორმოცი დღე მარხვა გვეჭირა. მარხვის შემდეგსა იმ ბოლო კვირაში ჩვენ'ნა გავნდობილიყავით მღვდელთანა, აღსარება'ნა გვეთქვა, ზიარება'ნა მიგვეღო და მერეც გაგვითენდებოდა აღდგომა, აღსდგებოდა იესო ქრისტე!

არც წყალი'ნა დეგელია, აღდგომის ვნების კვირაში.

ვიჯილია იცი როდის იყო, ამ ორმოც დღეს მარხვას რო ვამთავრემდით, ერთი კვირა შიერი'ნა გვევლო, არც წყალი'ნა დეგელია, არც პური'ნა შეგვეჭამა, არც არაფერი, რო მერე აღდგომა გათენებულიყო. პარასკევ არ საქმობდნენ, შაბათს არ საქმობდნენ, კვირა დილით, მესამე დღეს შეჭამდა მამაჩემი პირველ ლუკმას.

ჩვენ დღესაც შევინარჩუნეთ. ჩვენ გვეშინოდა პარტიელებისა, გვაშინემდნენ, ეკლესიაში მოვინგროვოდით გარედან. დაგვიკეტეს ეკლესია, ჩაყარეს ხორბალი, რაღაცა, ეკლესიები დაკეტილი ჰქონდათ. მოვინგროვოდით ეკლესიების გარეთ, ზოგი ვიყურებოდით იქიდან ცენტრიდან პარტიელი არ მოვიდეს, თუ მოვიდოდა და ჰამა, წამოვხტებოდით, გავრბოდით. ჩვენი შვილებისა გვეშინოდა, რო რა ვქნათ, სამსახურიდან მოგვსხნიან ან სამსახურიდან არ მოხსნან შვილები, ან რაცაღა ან არ ჩაგვიკრან (საბუთებში, პირად საქმეში), ასე გვეშინოდა. საბჭოც ამოდიოდა, და თავჯდომარეც...

***

...სამსე ჰქონდათ სულ სახარებები და წიგნები, სალოცავები, პართეზები, კატეხიზმები. რახამც ეს ღუდლები დაიჭირეს, ამ ჩვენ პარტიელებმა სულ, ბოდიში და, ვირი კაჭკითა, გენაცვალე, საბჭოში ჩამოზიდეს და ფეჩები დაანთეს. ერთი კურიელი გვყავდა, ვიღაც ჩვენი ნათესავი იყო.

— სარქისაჲ?

— არა, ფათიანთ სიმონაჲ! და იმას ვთხოვე, რო ბიჭო, რა იქნება,

ორი წიგნი მეთქი, ორი სალოცავი წიგნი, ბოდიში თქვენგანა და შარვალში ჩაიგდე ბიჭო, წამამიღე, რა იქნება-მეთქი, ბოდიში.

ჰოდა, ამ ბიჭმა ასწია და ორივე კარგი სახარება ჩამამიტანა. აი, ის სახარება აქამდი შევინახე, შევინახე და მერე, ეს ღვდელი რო მოვიდა, ამ ღვდელს უთხრეს, რო სახარებაო ამამავალ ქალსა აქსო: მიეეცი, უთხარი, ისოვ მე დამიბრუნე და შენ ის ქენე-მეთქი, — გადააბეჭდინე. გადააბეჭდინა, ეხლა იმ სახარებას იტყვის ხოლმე წირვაზე (მართლმადიდებელი მღვდელი, მ.ბ.)

...მართლმადიდებლებთან იხსენებოდა სულ გიორგი. ახლა ჩვენ რო ამ ღვდელს მიფყევით (მართლმადიდებელს), ამას უჯერით და ამას... ახლა ეს კაცი როდცა დამინახამს (მეზობელი): — შენ ქრისტის გამყიდველი ხარ, შენ წმინდა გიორგი ხარ, შე ასე ხარ! ახლა ვარ, როგორ ვარ, კაცო, რო გითხარ, სახარება გამოვიტანე-მეთქი, იმ სახარებაში, გენაცვალე, წმინდა გიორგი ჩვენ გვყავს, ჩვენი სალოცავია, როგორ არა გვყავს, იხსენება წმინდა გიორგიცა და ყველაფერიცა იმ ჩვენ სახარებაში.

ახლა ის კაცი როდცა დამინახამს, ვითომ ქრისტეს გამყიდველი ვარ, ვითომ გიორგი რაღაცა და ასე...

— რისო დეიდა, მაგას ღმერთი რო სწამდეს, მირონცხებულს შეურაცყოფას არ მიაყენებს, ჭკუა დაკარგია, გენაცვალე მაგას. ღმერთის მორწმუნე კაცი მირონცხებულს შეურაცხყოფას არ მიაყენებს.

— მოვდივართ. ეს თავი ეთერასთან პირდაპირში მიდის და უნდა ჩავიარო ცენტრში, კაცები ბევრი არიან. ბოჩიკიანთ ქალო, მოდი ჩემთან.

ვთქვი, ამ ხნის კაცია და რა უნდა ჩემთან!

მიველი, — რა არი, ტეფან ძია-მეთქვი, უთხარი და: შენ ეშმაკებმა'და გათრიონ.

— ბიჭო, უი ჩემ სიცოცხლეს! — რათა მეთქი, უთხრი და: — იმიტომაო, რო მაგას რათ ემსახურებითო. — რატო არა, მეთქი, ხთის პასუხი გვესმის და კარზე ვლოცულომდით, ქვციოდა, ახლა ეკლესიაში შევდივართ...

— უიმე დედაჯან, შესკდნენ  კაცებ სიცილი, მიწაში ჩავძვერი, ისეთი გავაჭენე, ბავშვივით იმოდენ ცენტრში, რო აღარ მიმიხედია უკანა. რა გამლანძღა ამ დღეგრძელმა...

***

მე თითონ მევესწარი, რო ტერ სეროპი, ცხონებული, ღმერთმა აცხონოს, სომხურათ სწირემდა მერე ეს ღუდელი რო აგვევინემდა, აწშენდინემდა, მაგას აესეთი თაკარა სულ სომხური სახარებები გამოიტანა და გვითხრა, რო ეს გინდათო, რო სომხები იყვეთო?!

მე მითხრა, რო ქრისტინ დეიდა, რა არი, სომეხი გყავდენო? — დიახ, გვყავდა-მეთქი, უთხარი, სომხურათ სწირემდა. ახლა ამოვიდა პატარაჲ ისაც... სომეხი: — ქიტე ბაბო!

— რა არის?

— აქა, ეკლესიაში ყოფილა სომხური წიგნებიო და მე უთხარი რო, მამაო, მე არ გამთქვა და არ მისცე-მეთქი. მოვიდა და სთხოვა. სონამ...

— არა მაქო მეო, მეო გადავგზავნეო!

— უთხარიო რა, ქიტე ბაბოო, მამცესო.

— რა ჩემი საქმეა, მე უთხარი, — მე გავაზეპირე რო არ მისცე-მეთქი და...

...მერე მოუვიდა იქიდანა, საფრანგეთიდან იყო, არ ვიცი, საიდან, ქართული წირვა და ქართულად სწირემდა (ძველი მღვდელი, კათოლიკე).

* * *

...გაქცევ-გამოქცევის დროთი ჰყოლია მოხუცებული პაპაჲ, ბაბოჲ და ერთიც გოგო და ერთიც ბიჭი. ეს ოთხი სული მოუკლიათ და მარანი ყოფილა და მიუტანიან და შიგ მარანში ჩუყრიან.

არ ამოვიდა, არ ამოვიდა! — ათ-ათი თავი იყო მითაკრული ეხლა იქ რო გაშვრეს...

თავების ქალები ათ-ათი ერთათ მითაკრული...

მე გადმოცემით ვიცი, მანდ ყოფილა პატარა სოფელი, მანდ ყოფილა ირემი, — აი, რო ვიღაც დასახლდებოდნენ და აიყვანდნენ (ცოლად მოიყვანდნენ) იმ ირემს'ნა შეჰკითხოდნენ, ეკუთნის თუ არაო! თუ ეკუთნოდაო, ირემი ასე თავ დაუქნევდაო, თუ არადა ასე გაიქნევდა თავსაო. მერე ერთი ახალგაზდა იქნება თუ...

და და ძმა იქნება და სხვაგან და სხვაგან გაზდილან პირიუტში საცალა, იქნებ იქ გაიზდნენ. ხოდა აღარ იციან, რო ესენი და-ძმა არიან და ეს და-ძმა შეერთდებიან ცოლ-ქმრათა, შეერთდებიან და ამ ირემ შეეკითხებიან, რო ჩვენაო ერთმანეთ ვეკუთნითო? — არაო — თავს გაუქნევს.

ესენი იტყვიან: ახლა ამას დაუჯეროთ, და ასეთი რამე შენ გენაცვალე, და ეს და და ძმა შეერთდნენ და გასკდაო მიწაო და ის სოფელიო ერთიან ასე შიგ ჩაძვრაო და ეხლა არი მანდა ნაეკლესიებელ ვეძახით და კლოცულობთ ხოლმე. მანდ გამოვიდა, ხოდა თავის ქალები სულ მითაკრული რვა-რვა თავი, ცხრა-ცხრა. დათვალეს ხალხმა, რო გამოიღეს, სულ ჯგუფი და ჯგუფი მითაკრულები.

* * *

...სხვამ... გასთქვაო, რო ესე იგიო, ეკლესია არისო, მანდაო ხალხიო ბევრნი არიანო, თათრები რო შემეესნიენო, ერთმაო გასთქვაო და

იმათი გვარიო დაიწყევლაო, რო თქვენი გვარიო, არასოდეს არ გამრავლდესო, რო გასთქვეს, ერთანას გაუთქვია, ვინცაღას, არვიცი, ვის გაუთქვია, დაასახელეს რა, ერთანას გაუთქვია აქ, უდეში განა.

და ეს ხალხი რო შეკრეფილი ყოფილან ეკლესიაში და წირვა მიდიოდაო, წირვა იდგაო... თათარი რო შემეესია, წირვა დააყენესო და ხალხი შევიდა შიგაო და ერთმა კაცმაო გასთქვაო, აიღო, იმანაო, ოქრო აიღოო. ამ ხალხმაო, გაიგოო და დასწყევლესო, რო შენი გვარი არ გამრავლდესო, როგორც ასე ხალხი ამოწყვიტესო. აქ იყვნენ. აქ ნამდვილათ იყო ეშმაკეულობა.

გიქოთ უბანი რომ არის, გიქოთ უბანი როა, მანდ იყვნენ, ნამდვილათ, იცი! მაგათან სულა, დაღამდებოდა თუ არა, დეესეოდნენ ამ ოჯახობას. დაღამდებოდა თუ არა, ნამდვილათ დეესეოდნენ. ჩვენებისნაირათ, აი, რო მოვიდეს და სურათათ მეგეჩვენოს... ესენი ოჯახსაც... ოჯახი დააავანტყოფეს გიქოთები, ეგენი, დააავანტყოფეს ისე, რო ყოველღამე აისეოდნენ ეშმაკები. უკრავდნენ, თამაშომდნენ, ასე ირეოდნენ, წვრილ-წვრილი, რაღაცა... ადამიანების სახით... უკრავდნენ, თამაშომდნენ და ამათ გაუჭირდათ, მოსახლეობასა და ჩაანგრიეს ის სახლები, საცხოვრებელი სახლები და სხვაგან გადასახლდნენ... ნამდვილათ სტანჯავდნენ ოჯახსა.
— ის მერე... დანგროვილია, არა ის ადგილები?

— არა, ეეხლა მარიანთებმა ხო გააშენეს სახლი, მარიას მამამ გააშენა მანდ სახლი.

## მეურნეობა

...შვილო, როგორ არ გვახსომს. ჩვენ, მაგალითად, ქალები არ ვმუშაობდით მამულში, კაცები მუშაომდნენ ლამაზათა და მოვიდოდნენ ღამე, ჩვენ დაუხვდინემდით ვახშამს ვეძახდით, დაუხვდინემდით ხოლმე...

სულ კაცები მუშაომდნენ. ჩვენ ვთესამდით ხორბლებსა. კალოობას უძახდით ხომე, რო ვლეწავდით და ხორბალი მოქვქონდა, ჩამიხვდი? ხორბალი მოხქვონდა და ვლეწანდით, ხორბალი გამოქვონდა... მაშინ ძალიან კარგი ცხოვრება იყო, რა ვიცი, ნახო მართლა'ნა მევეწიოთ, ზვიადას ანგარიშით ნახო, ასეთ რამეს'ნა მევეწიოთ... ხოდა, გავლეწავდით ხოლმე ჩვენ-ჩვენათა, შვილო, ხორბალიც მოქვყავდა, ლამაზათაც ვცხოვრომდით, საქონელი გვყავდა, ჩვენ-ჩვენათა... მთაში იყო, ყველაფერი ჩვენ-ჩვენი გვქონდა, ბარში იყო, ყველაფერი ჩვენ-ჩვენი ქვონდა, — კერძოობა, რა, კერძოობა! — ჩვენ-ჩვენი ქვონდა. ასე ვცხოვრომდით.

— რას აკეთებდით ძირითადად (მ. ბ.)?

— წინეთა? წინეთა ეს სახლები, მაგალითათ არ (ჰ)ქვონდა კარგი. ერთ სართულზე ქვონდა დაბალი, მიწური. არც შიფერი უნდოდა და

არც ცინკა. მიწური, ლამაზათა, ერთ სართულზე, შიგაც რო მიწური იყო, კარგი ჰაერი იყო...

რას ვმუშაობდით: ჩვენ მამულში, შვილო, რა ვიცი: დაფთესამდით, გავთოხნიდით, მოვმკენდით, მოვიყვანდით... ეხლა განათლება შემოვიდა, ეხლა იფრო კარგი პირობებია, ათასნაირი სამუშაოა... წინეთ როდი იყო ასეთი რამე, გენაცვალე.

ზამთარში... ჩვენ ვინახდით ცხვარსა. ცხვარს ვინახდით ხოლმე. მერე ეს ცხვარი... მატყლსა' ზამთარში ვჩეჩენდით, ვართენდით, ვქსოვდით. მაგა რა შჯობდა! ოჯახში ვართენდით, ვინც ვიყავით, რამდენი წევრიც ვიყავით ქალები... და ვართენდით. ღამე, შენ გენაცვალე, მე მაგალითათ, მომსწრე ვარ რო ნავთი არ ქვონდა, შუქები. არ იყო, კვარი ბევრი ქვონდა. კვარზე ხო ხვდები, რა არი! კვარი ბევრი ქვონდა, ტყიდან მოქვქონდა, გენაცვალე და ასე ბუხარი ქვონდა — ოჯახი (!) იქ დავანთემდით დიდ ცეცხლა და იქ ვართემდით ცეცხლის შუქზე.

ვქსოვდით წინდებსა, აესე მოსასხმელ თავშალსაც ვიქსოვდით და კაცებისთვინა, ტუჟურკას ვეძახდით ხოლმე, ზვიდან მოსაცმელსა და შარვალსაც. შარვლებსაცა. დაზგები იყო, დედაჩემ საფეიქრო ჰქონდა. საფეიქროს ვეძახდით. მოქსოვდა, მოქსოვდა, მოქსოვდა და თელავდნენ მდუღარე წყლითა. გობი იყო გაკეთებული, ასე-ასე და ერთი თავში, ერთი ბოლოში კაცები, ასე მოვთელენდით ხოლმე, შალს. დუღარე წყალში მოვთელენდით და მერე დავჭრიდით და კაცებს ლამაზათ ეცვნენ. ეხლა კოსტუმებია და მაშინ ბიჯაკებ ეძახდნენ. მამაკაცებ სულ ეგ ეცვათ.

დავიწყემდით მუშაობას, დავთესდით. სიმინდი, ლობიო, ქერი ითესებოდა, გაზაფხულის ქერი იყო, მერე გაზაფხულის პური იყო, პურ ვთესავდით. მერე ეგრეევე მოიმკობოდა, მოვრჩებოდით, მერე თოხნა შემოდიოდა, გვთოხნიდით. ლობიოს გავთოხნიდით, კარტოფილ გავთოხნიდით, სიმინდ გავთოხნიდით. მერე შემოდგომა მოვიდოდა, მოვცელავდით, შევაბემდით, ხარები გვყავდა, ურემი იყო... შევაბემდით და მოვიტანდით, კალო ქვონდა, დიდ კალოს ეძახდნენ, კალოზეგან დავტოვდით, გაილეწოდა, გაელეწდით, ზოგს ხარი ჰყავდა, ზოგ ცხენი ჰყავდენ, შევაბევდით და სკევრს ეძახდნენ აესე აემხელა სკევრები იყო, ქვეშ კიდე პატარა-პატარა ქვები ჰქონდა გაკეთებული და ილეწებოდა ბჯა. მერე ფიწლით უქცავდით (!), მერულებით უქცევდით, რკინის მერულებია, ეესე ოთხი თითი ჰქ, ზოგ სამი თითი ჰქ, ზოგ ოთხი თითი ჰქ.

წინეთა სპიჩკა არ იყო და კაქები იყო. გამოჭკრენდით, აინთობოდა.

მერე მაგას რო გავლეწამდით, მოვრჩებოდით, მერე მოვაგროვდით, მერე ფიწლები იყო ეესე ოთხი თითი დადება, შეუგდებდით, დავანიავებდით. ქარი'ნა ყოფილიყო, ქარი'და ყოფილიყო, რო ასულიყო. დანიავდებოდა, მერე ცხრილი ქვონდა, ეეხლა მაქ კიდე ცხრილი, როგორ არა მაქ

ცხრილიც მაქ, ტაშხარგული მაქ, ერთი ემხელები არის და ჩავყრიდით შიგ ვედრითა, ორი ქალი დადგებოდა...

(თანამოსაუბრე ერთვება: — ცხავი იყო ეგ, ცხრილი არ იყო. ცხრილი მერე იყო, სუფთათ გასაკეთებლათ).

მერე ტაშხარგული, სიმინდის გასაკეთებლათ... გავაცხავებდით, გაცხრილდებოდა, ტაშხარგულში გავატარემდით, მერე მოვრჩებოდით, ქარი გაიტანდა, ყველაფერი, მერე თუ დაგვჭირდებოდა, მერე გავაკეთემდით. ავავსემდით მეშოკებშიგანა და შევიტანდით და ამბარი ქვონდა და ამბარში ჩავჰყრიდით შემოდგომა მოვიდოდა, მერე გავრეცხავდით, გავასუფთავენდით, წავიღენდით, დავფქვენდით. სიმინდ მოვიტანდით კიდე.

მიდგმულებს აპა, ერთი ცხრა-ათი მეშოკი, ხუთი პური იქნებოდა, ხუთი სიმინდი იქნებოდა, ქერი იქნებოდა... ცალ-ცალკე მეშოკებით დაიქბებოდა ეგნები და მერე შეგეძლო ერთი-მეორეშიგან გეგეკეთებინა. შავი ცხვებოდა მაგრამ, გემრიელიც იყო, მარგებელიც იყო.

კარტოფილ კიდე ამოვჰყრიდით, მოვიტანდით სახშიგანა...

ხორც ჩავწათხენდი ბოჭკაჩიგან, გობშიგან.

გობში ჩავწათხენდით, დავჭრიდით ესე დიდ კუსუკ-კუსუკათა... მერე აპოხტსაც დაჭერიდით ესე ემხელა აპოხტებსა, შევმარილემდით ლამაზათა და დავახურემდით თავსა.

***

ნიშხათი (სეფისკვერი)

ჩვენ ყალიბი ქვონდა, ჰოდა იესო ქრისტეს სურათია იმ ყალიბში, ჰოდა იქ აცხენდნენ. თხელი იყო, თხელი, ვეძახდით ჩვენ ნიშხართა. იმ ნიშხართ მოიტანდნენ, აქ ერთი კუტი კაცი გვყავდა, ის აცხემდა და დღეს კიდე აქ ყალიბი და არ გვაძლევს იმი შვილები, რო აი ეხლაც გამოვიცხოთ. ან ქალიშვილ'ნა გამიეცხო, ან ქვრივს.

ეგ ნიშხართი, გენაცვალე... მოვიტანდით და აღდგომის დღიებში ყველა ხალხზე დარიგდებოდა, რო ჩვენ რო ვიმარხულეთ, ორმოცი დღე, მერე ვიჯილია დავიჭირეთ, ის ნიშხართი, აჰა, აემხელები — პირველი ის'ნა ჩაგვეტვია, რო მერე ცხიმიანი გვეჭამა. იმას მოგვცენდნენ ეკლესიაში, დაგვირიგენდნენ, დაკურთხული იყო, პირველ რიგში იმას შევიტოვდით პირში და მერე მარხვას გავტეხემდით აღდგომა გაგვითენდებოდა. (ზიარებას ვღებულომდით).

ალელიშვილი-ხუციშვილი მაშო, დაბ. 1929 წ. ახალქალაქი, სოფ. ოკამი (1997 წ.)

## თათრების გასახლება

შვიდი კვამლი იყო თუ რვა კვამლი თათრები, ძაან კარგათ ვიცნონდი, მეზლბლობაც კაი ქვონდა, მივდ-მოვდიოდით ერთიმეორეში. თათრული ძაან კარქა ვიცოდი, ეხლაც მახსონს კიდე და რამეებ რო იტყვიან ხომე ზოგი დამავიწყდა, აპა, ამდენი წელია, რო არ ვლაპარაკომ და... მერე ეს თათრები რო გაასახლეს, ჩვენ სამუშაოზე ვიყაით. მე მგონი, ვხნავდით, რაღაც, ხარებით. ვხნავდით და მერე რო თქვეს, რო აბა, თათრები უნა გაასახლონ და იქიდან ტირილით წამოვედით, გაიგე, ვამონდით... ისე მიჩვეულები ვიყავით ძაან, რო ესენი როგორ'ნა გაასახლონ, ჩვენი მეზობლები, ახლო მეზობლები, ჩამოველით, რო მოსულან... თელი სამხედრო იყო მოსული, ჩამოსული, მილიციები, სამხედრო-რამე და... მივედით, ახლა ეს ჩვენი ისინი... არ მიგვიშვეს სამხედროებმა. არ გაეკაროთო, არ მიხვიდეთ ახლოო, რამე... მაინც ჩვენ გული გვწყდებოდა, დავემშვიდობეთ კიდეც, მივედით, ვილაპარაკეთ-რამე, დავემშვიდობეთ ამათ, ძაან გული დაგვწყდა ეს თათრები რო გაასახლეს, ისე გული დაგვწყდა, რო მეტი არ იქნება.

(პავიდლო გავაკეთე და ისე გლახა ხელები მაქ, რო, გავხეხე...)... ჰოდა მივედით, შვილო იქა და თათრები იყვნენ, მიდიოდნენ... არ უნდოდათ წასვლა. ძაან ტიროდნენ. ისე ტიროდნენ, ისე ტიროდნენ, რო მეტი არ იყო — ჩვენი ტოლები, ჩვენი მეგობრები, ჩემი კლასელი იყო... როგორ არა, ჩემი კლასელიც იყო, მეზობლებიც იყვნენ. ძაან კარქა მისვლა-მოსვლა ქვონდა, აი, როგორც ეეხლა ქართველებს, ისე იყო იმათთან, ძალიან კარგა ვიყავით. ხო, ე თათრები გაასახლეს, ვიტირეთ აქეთ-იქით. მერე ჩამოვიდნენ..

ოთხი ბრიგადა ვიყავით. ეს ჩვენი ბრიგადა ჩამოვედით, მეოთხე ბრიგადა ვიყავით თუ პირველი, პირველი ბრიგადა ვიყავით — ჩამოვედით და ის ორი-სამი ბრიგადა ვერ ჩამოვიდნენ, მერე საღამოთი მოვიდნენ: — რატო არ შეგვატყობინეთ, ჩვენც რატო არ გვითხარითო რო ესენი გაასახლეს, არ ვიცოდითო... — მინდორში იყვნენ.

— დღისით გაასახლეს?

— დღისით! ისე, ღამე მოვიდნენ, ღამე მოვიდნენ და სოფელი სულ შეკრეს, მე კარგათ მახსონს. სოფელი სუ შეკრეს და თქვეს რო: — არავინ არ უნდა გახვიდეთ გარეთ! არც გამოხვიდეთ! გამოვედით მერე, ის არი, რა ქვია, შეკრილი იყო, გარეთ ცეცხლი ენთოთ, — რამე თბებოდნენ, — შემოდგომა იყო. შემოდგომა იყო, ციოდა... და ცეცხლი იყო ანთულები და ვთქვით, რო ნეტა რათ მოსულა ეს ხალხი, რომ...

მერე თქვეს რო თათრები უნდა გაასახლონ. მერე ზოგმა თქვა რო, თქვენც უნდა გაგასახლონ, აქეთ-იქით... მარა, ჩვენ არ შეგვეხნენ, თათრები გაასახლეს. ესენი ჩაყარეს. ვეში-რამე, რაც შეიძლოთ რა, ლოგინი, ეგეთი რაღაციები, პური-რამე, ბევრი რამე კი დაჭრჩათ.

— ესენი თათრები იყვნენ, თუ ქართველები?

— ნამდვილი თათრები! ჩვენთან... მერეც გეტყვი კიდე ერთი ქალი იყო გათხოვილი, მანდ იწერება ეგეც? ჰოო? ერთი ქალი იყო გათხოვილი და ჰყანდა ქართველ. ეს ქალი დაიმალა, დამალეს-რამე და მერე რო თათრები გაასახლეს, იმი შემდეგ ჩამოვიდნენ კიდე და ეს ქალიც წაიყვანეს. თითონ ხაშილაძე იყო ქალი. ხაშილაძე იყო და მიქელაძიებში იყო. ეს ქალიც გაიყვანეს. (წნილი შემოუტანიათ და სუნი დგას) ხოდა, გაასახლეს ესეც, შვილო და ისე ფტიროდით თელი ხალხი... ე დედაჩემი შემოვიდა, ჩვენ გვეძინა, პატარები ვიყავით ჩვენ მაშინ და დედაჩემი შემოვიდა და იტირა.

— რათ ტირიხარ, დედი, რა არი, აქეთ-იქით.

— აპა, სონაი წაიყვანესო. — უნა წაიყვანონ!

ავდექით ჩვენ, ჩავიცვით, ჩემი და იყო ჩემი ტოლი და ორი ძმა მყანდა, ისინი პატარები იყვნენ, ვერ გაიღვიძეს, მე და ჩემი და გაველით. ისე ვიტირეთ, ისე ვიტირეთ, ეს ქალი რო გაიყვანეს, იმიტო, რო ორი ბავშვი ჰყანდა ამ ქალ. ბავშვები არ გააყოლეს, ბავშვები ტიროდნენ, დედამისი ტიროდა... ბავშვი ტიროდა და რანაირი ცოდვა იქნებოდა! ჰოდა, მერე ისა ქნა... ეს ბავშვები რო ტიროდნენ, ჩვენ ე ბავშვებიც შეგვეცოდა, დედამისიც — რო დედა რო შვილ გასცილდება, რანაირი იქნება. ბავშვები დაიტოვა ბიძამ. ბიძამისმა დაიტოვა და ქალი წაიყვანეს. ტირილით, რო მანამ სოფელ გასცილდა... იმის ტირილი ყურებში ისევ მაქ დღესაც... რო ეს ღმუილი... ისეთათ ღმუოდა... წაიყვანეს ეს ქალი, შვილო, და დარჩნენ ბავშვები. მერე ეს ბავშვები გააშვილეს ვიღაცეები მოვიდნენ თბილისიდან, იშვილეს.

წაიყვანეს გოგო და ბიჟი. ეხლა ბიჟი ხაშურშია. ცხრამუხაში, სოფელ ცხრამუხაშია და გოგო არ ვიცი სად არი.

— თავის გვარზეა?

— თავი გვარზეა. მიქელაძე. მამის გვარზეა. მამამისი მიქელაძე იყო და დედამისი ხაშილაძე. ეს ქალი წაიყვანეს... მერე დედამისი... რო გავიდა დრო, შარშან იყო... ორ წელ, სამ წელზე წინ (დაახლოებით 90-იან წლებში მ. ბ.) ჩამოვიდა, შვილი მონახა. მონახა, ჩამოვიდა მერე ერთი-მეორე, ის ქნეს და... აღარ უნდოდა ქალ წასვლა. ბიჟმა უთხრა, დარჩი! და მერე იმ შვილებმა არ დატოვეს, — ისევ თათარ გაჰყოლია, და იმ შვილებმა აღარ დატოვეს ეს დედამისი, ისევ წაიყვანეს. ბიჟი ისევ მანდ არის, ცხრამუხაში, ქალი შეირთო, ქართველი. ქართველია თითონაც!

...არ გვინდოდა ჩვენ და თქვეს: — არა, უნდა გადაგასახლოთ, მერე

რო წყალიც ახლო არ ქვქონდა, სოფელში წყალი არ იყო, დაბლა ჩავდიოდით, ხრამში, იქიდან ვზიდანდით ვირებით, ქილდაში! იქიდან რო ვეზიდებოდით, მერე ზოგმა მოიწადინა, ზოგმა არა...

ორი-სამი ოჯახი იყო მიქელაძეები იყვნენ, მოხუცი იყო, პაპას ვეძახდით, ყველა, მთელი სოფელი პაპას ვეძახდით იმ კაცს, ანტრეჲ ერქვა. და იმის ტირილი და რამე ისეე ყურეფში მაქ, რო:

— არ წახვიდეთ, ხალხო, ჩვენი სოფელია, როგორ დავტვიოთ, თათრი სოფელში როგორ'ნა წავიდეთ, აქეთ-იქით და მერე ზოგმა მოიწადინა, ზოგმა არ მოიწადინა და მაინც გადმოველით. ძალას გვატანდნენ:

— უნდა წახვიდეთ იქა, თელი სოფელი უნდა წახვიდეთ!

მერე ის კაციც გადმოიყვანეს. ლოგინში მწოლიარე კაცი გადმოიყვანეს. არ უნდოდა წამოსვლა. აქაც რამდენი ხანი იყო და იმის მერე, ადგა... რამდენიმე წელი და... მერე მაინც დაიღუპა და ქილდაში დაიმარხა ის კაცი. ადრე თქვა, ანდერძი დაუტოვა შვილებ, რო მე ქილდაში გამასვენეთო და იქ არი გასვენებული ის კაცი.

— აქ დაგხვდათ თათრების დანატოვარი ცხოვრება?

— რა დაგვხვდა, შვილო, არაფერი არ იყო, მიჯაზი (?) არ მიგვდიოდა თათრების რაღაცებზე, ლოგინი გამოეყარათ... მიჯაზი არ მიგვდიოდა — გული არ მიგვდიოდა, ესე იგი, ეგ თათრული სიტყვაა, შემორჩენილი გვაქ, შვილო, ეგენი. (თეა, რა სუნი დგას, ყველის სუნია — აგეთი ყველი არ გვაქ... რაღაცნაირი თითქოდე წნილის სუნიაო...).

ჰოდა, მერე მოგვიყვანეს აქა, გადმოგვიყვანეს, ძალით, წამოველით ურმით, რამით, ვეშით. აქ არაფერი ვეში არ ქონდათ, შვილო, ისეთი რა დარჩა, რო: ბოჩკა, ქვაბები, რაღაც დიდვრანები, რაც ვერ დაეძალათ.

მანამ ჩვენ მოვიდოდით, გაეცერცვათ ეს სოფელი, ახლო სოფლები ვინც იყვნენ. აი, მაგალითათ დანკალი იყო აქა, დანკალი გაასახლეს, სულ თათრები იყო, გოგაშნი ხალხსა, სომხებ-რამე და... გაეზიდათ, არაფერი არ იყო დარჩენილი, ბოჩკები-რაღაცა, ძველი სტოლები, იმისი არაფერი არ მაქ მე, შვილო.

ადმოგვიყვანეს, ადგილი მოგვიზომეს, მერე იმისი... თათრების იმას ვამონდით, რო რაგორ'ნა ავიღოთ, ის რაგორ'ნა ავიღოთ, მარა ზოგ რაღაცეებს ვიტანდით, რომელიც არ ქვქონდა, მაშინ ისეთი ამბავი იყო.

მერე ვეძებდით მიწაში, რაღაცა ხმა რო მოგვსმოდა, ასე რო ფეხ დავარტყამდით, მიწაში ის იყო, პურები ჰქონდათ შენახილი ორმოებში. ორმოები იყო გაკეთებული სპეციალურათ, ქვით ამოშენებული და ერთხელ ვიპოვეთ ჩვენ და ჩვენ მეზობელმა. ბავშვებმა ვიპოვეთ, უფრო სწორათ, მე და ერთი ბიჭი იყო, ყარამანაჲ ერქვა, მასწავლებელი იყო ისა, სკოლის დირექტორი, მაღრაძე, — დაიღუპა ის ბიჭი. და შევეღით ერთ ადგილას და მარილ ვეძებდი, მარილიც არ იყო, არ გვეშვიებოდა, შვილო, არაფერი არ იყო მაშინ. შემოველით, მარილი ავიღეთ და მერე

რაღაცა დავჭკვირდით, რო რაღაცა მარცვლები ამოვიდა იქიდან, მარილი რო მიწიდან ავიღეთ. მარცვლები ამოვიდა. გავთხარეთ, რო ორმოა და შიგ ქერი და დიკა არი ჩაყრილი, გაკეთებული, სუფთა-რამე. ამ სამ ოჯახმა გავიყეთ ესენი, გავიყეთ ყველამ და აღარ მახსონს, რამდენ-რამდენი მეშოკი გვერგო თექვსმეტ-თექვსმეტ ფუთ ვეძახდით მაშინა. შემოვიტანეთ ესენი სახლში ყველამ. მერე მელიცია დაგვადგა თავზე, რო რატო აიღეთო. უთხარით: — ვიშოვნეთ. ბავშვებმა იშოვნეს, არ მოგვიპარია, არაფერი! აღარ წაგვართვეს. არაფერი არ გვითხრეს. აეგრე იყო. რა მოგიყვე მეტი!

## გათხოვება

ერთიმეორე გვინდოდა! თანასოფლელები ვიყავით. ჩემი მული იყო, მულათ მეკუთვნის ჩემ ქმრის ბიძაშვილია, ერთათ ვიყავით, ვამხანაგობდით ერთი-მეორესთან და მერე იმ გოგომ თქვა რო, მოდიო ჩემ ბიძაშვილ გაჰყეო. აგრე შევიყვარეთ ერთიმეორე და მაინც ელჩი შემოვიდა. ელჩ უძახდით, შემოვიდა მაშუალი. შემოვიდა გავჰყევი. ქორწილით წავჰყევი.

## ფრაზეოლოგია, ენობრივი თავისებურებანი

...შენ გაგახარა ღმერთმა. მე ძაან ღმერთი მწანს, აი, რო დავწვე და ავდგე, ღმერთი რო არ ვახსენო, არ შეიძლება. პირჯვარი რო არ დავიწერო, არ შეიძლება. მაინტერესამდა, მაინტერესენდა ღმერთი და კიდეც მაინტერესანს და მიყვარს მე ღმერთი. ამათ ხოლმე გადავწყევლი: — უი, შენ დაგაყარე მიწა, მუხლი გამოგეყაროს, ძაღლის ლეკვო, ეესეთ რამეებ ვეტყვი ხოლმე. ისეთ რამეებსაც ვიტყვი ხოლმე, ესენი შემახსენებენ ხოლმე... რაღაცნაირათ რო ვიტყვი ხოლმე, იცინიან, რო ეგრე რატო ლაპარაკონ, ბაბო! — აპა შემახსენეთ, რას ვიტყვი ხოლმე... და იცინიან ხოლმე და დამცინიან... „არ ღირსებოდა" — ასეთ რამეს ვიტყოდით, „მურადი არ ღირსებოდა", „ბედი გაუშავდეს" — ეგრეც ვიტყოდით ხოლმე, „დაქვრივდეს" — ესეთ რამიებ ვიტყოდით.

მაგალთათ ჩემთვის რო რამე დიეშავებინა, რაღაცა რო არ გაეკეთებინა წესიერათ, დამპირებოდა და არ გიეკეთებინა: „— შენი პირი თეთრი იყვეს, ძაან გააკეთე და! ძაან შეასრულე შენი ნაქნარი (ნათქვამი), და შენი პირი იყვეს თეთრი":

„ბადუნაჲ" — ნელი ქალი რომელიც არი, არა ნელი, ლამაზი ლაპარაკი რო არა აქ — „ბადუნაჲ", ეგრე ვიტყოდით, რო ბადუნა ქალი! დავარქმევ ხოლმე კიდევაც ეხლა!

კაი ქალსა — ჲწესიერი ქალი" „ნამდვილი ქალია", „ხელ-ფეხიდან

ცეცხლ ყრის". ვეტყვი ხოლმე ჩემ რძალ, — ხელ-ფეხიდან-მეთქი ცეცხლ ყრის, ისე დადის, რო ნათელი გადასდის მაგი გაკეთებულ-მეთქი. აბა, ეგრე'ნა გააკეთო, „თავალას აფსანს" — ასე ვიტყვით. აი, მაგალითათ ყოჩაღ ქალზე, ყოჩაღ ქალზე რო თავალას აფსენდა... („თავალა" — აღმა, აღმართი).

— საქმით ყოჩაღ ქალზე თუ მამალ ქალზე?

— აი, მამალი ქალები როა, მაგრაინზე, რო: — თავალას აფსანს ეგ ქალი, მაგას რა'ნა უყო შენა!

აი, რომელიც რო გადამეტებული ქალია: „თავი მაღლა უჭირანს" და „ძალიან ზემოდან მოდისო", „ყოყლოჩინაა".

***

გოგაშნელებმა იციან „გენა", ჩვენ არ ვიცით „გენაᲥ". გოგაშნელებმა ხშირათ „გენაᲥ" იციან და ის გოგაშნელი ქალები, ვინც აქ არიან, „გენას" ეძახიან. „გენას". „გენას" ეძახიან და ჩვენ არ ვიცოდით ეგეთი რამე, რო „გენაᲥ" გეეთქვა.

კიდე განსხვავება... როგორ არა. ეგენი რო იტყოდნენ „გენა" ჩვენ არ ვიტყოდით გენას. კიდე მოიცა, რას იტყოდნენ...

ჩუნჩხელებმა რა იცოდნენ... ადამიან კაჭკაჭ შეარქმევდნენ ხოლმე, რომელიც გამხმარი ადამიანი იყო ხოლმე, ჩუნჩხელებმა იცოდნენ კაჭკაჭი. პტენა იყო იქა. პტენელებმა იცი რა იცოდნენ, აი რაღაცნაირი სახელების დარქმევა იცოდნენ, აი ადამიან შეარქმევდნენ: ბრექოᲥ, გინადაᲥ, გილანაᲥ... ასეთ სახელებ შიარქმევდნენ.

— აქა არ იცოდნენ შერქმევა?

— შერქმევა იცოდა ერთ კაცმა, აი, ქალი... რო მოსულიყვნენ რაღაცნაირი ქალები, აი, სუსტი სახე რო ქონოდა, ერთი კაცი იყო, ის დაიღუპა, ის არქმევდა ხომე „სანახვის ჩიტიო". კიდე... ვის რა ჰქვია, გოგო, ქალებსა, მითხარით, რო შალოს დარქმეული იყო, ისიც ჩემი ტოლა კაცი იყო. „ცხენიო", „ლაგლაგიო" — მაღალი ქალი რო ყოფილიყო, ლაგლაგს შიარქმევდა. დაბალი ქალი რო ყოფილიყო — „გურიელა", „გორელა"-ს არქმევდა...

თმოგელებმა იცოდნენ რაღაცნაირი ლაპარაკი. ქურთის სოფელში რო ჩაასახლეს იმიტომ ქურთებ ვეძახდით. რაღაცნაირი ლაპარაკი იცოდნენ თმოგელებმა. ეგენი სულ „ნ"-ს ატანებენ ყოველ სიტყვაზე: გავაკეთო'ნა, წავიდე'ნა, მოვიდე'ნა... აქ არ ატანებენ...

რძეს არ ვამბობ ხოლმე — „ძეს" ვიტყვი საჩქაროთი. მსხალ არ ვამონ სხალ ვამონ და მაგაზე დამცინიან, რო „სხალი" რა არი, „მსხალი" თქვენო. რას დამცინით, გოგო?

— კლავი, ალბათ მკლავის მაგივრათ?

— კლავ ვამონ ჰო!

— ტრედი (მ. ბ.)

— აეგ ეხლა'ნა მეთქვა, აი (უხარია), ტრედი, ტრედი — ვიტყვი ხოლმე. ჩემი ბიჭიც დამცინის ხომე — „ძე".

— სხვები არ ლაპარაკობენ ეგრე?

— ზოგი ამბობს!

„ვინ მამაძაღლი" ვიცი ხოლმე. რაღაცაზე რო დავიფიცო, „ვინ მამაძაღლი?" — ეგრე ვიტყვი ხოლმე და მეტყვიან ხოლმე, რო სულ მაგას ეგრე იფიცებო, „ვინ მამაძაღლი". — მამა მიყვარდა-მეთქი და ეგრე ვამონ: „ვინ მამაძაღლი!"

ძეს ერთიმეორესთან მაგალთათ რო მივიტანდით — ხანულობა ვიყავით. ის ქვონდა ჭდიები — ვაჭდობდით რძეს. მე მივცენდი, ის მამცენდა, ერთი სამი-ოთხი ოჯახი ვიყავით ერთათ, მიქვქონდა ერთი-მეორესთან, მოქვქონდა რძიები, აგრე ვაკეთენდით ყველ. და რა ვიცი, ადრინდელი ლაპარაკი, ისევ ისე ვლაპარაკონთ, როგორც ადრე ვლაპარაკონდით. არა ვართ გადაჩოული, ისევ ისე ვლაპარაკონ.

(ჩემი და) იმას შვრებოდა, მუშაონდა იქ, სასამართლოში ეეხლა წავიდა მოსკოვში. მეჩხუბებოდა, რო რანაირათაც შენ ელაპარაკებიო, ეს ბავშვებიც ისე ლაპარაკობენო. გადააჩვიე ამ ლაპარაკსაო. წესიერათ ვერ გილაპარაკიაო! — მეტყოდა ხოლმე — მე რა ვიცი, მე ასე გავიზარდე-მეთქი, ასე ვლაპარაკონდი, ასე ვიცი-მეთქი...

ჩვენ ნ-ს არ ვატანთ ვაკეთამ, გავაკეთე... ვაკეთან არ ვამომ. ნ-ს არ ვატანთ. იმათ იციან მაგალითათ თმოგში: ვაკეთან! გოგაშნელებმაც იციან ნ. ჩვენ: — ვაკეთამ!

ისინი სულ ნ-ს ატანებენ, საერთოთ.

## ოჯახი

პატარობიდან ვიყავი მინდორში, მერმე, მეოთხე კლასიდან გამოვედი. ვმუშაონდი და აჰა, აღარ მისწავლია არასდროს. მამა არ მყანდა, დამეღუპა ომში.

— გახსოვთ ეგ ამბავი?

— მამის ამბავი, რო წაიყვანეს, ეგ მახსონს და მეტი აღარაფერი. მამა მახსონს, როგორ არა. მახსონს რამდენი წლისა ვიყავი, აღარ მახსოვს. რო წაიყვანეს ჯარში. მახსონს. თეთრმეტი წლისა ვიყავი, რო აქ გადმოველი, და მამაჩემი ქილდაში წაიყვანეს ომში. აი, ის რო იყო, დიდი ომი, შვილო, სამამულო ომი, მაგ დროს წაიყვანეს მამაჩემი, ჰო! და დედაჩემი

დარჩა. დაგვრჩა... რამდენი ვიყავით: სამი და და ორი ძმანი. სამი და და ორი ძმა — ხუთი ბავშვი. ხუთ ბავშვ ხო გაზდა უნდოდა. დედაჩემი დარჩა უპატრონოთ, აღარც ამბავი მოგვდიოდა, და ისე დაიღუპა.

— დაღუპვის ცნობა არ მიგიღიათ?

— არაფერი, არაფერი.

ჰოდა, დედაჩემი წვალონდა... როგორ წვალონდა ხოლმე დედაჩემი. მიდიოდა ხოლმე, თხოულონდა, სოფლებში დადიოდა ხოლმე, ისე არ ქვონდა არაფერი და თხოულონდა. მერე რო აქ გადმოველით, აღარაფერი ქვონდა ომის პერიოდში და აქ რო გადმოვედით მერე, არაფერი არ ქვონდა საერთოთ. იქ სახლები სულ დავჰყიდეთ, იმდენი დავჰყიდეთ, რო ოდა და ბოსელი დაგვრჩა საცხოვრებლათ. თითო თვალი... მოვიდოდნენ სხვა სოფლელები, დაანგრევდნენ, წაიღენდნენ ხეს და დაგვრჩა მარტო ოდა. და სოფელი მერე აქ გადმოგვიყვანეს. აღარაფერი აღარ ქვონდა და სულ გავჰყიდეთ და ფეამეთ. ხუთი ბავშვი ჰყანდა დედაჩემ და ერთიც თითონ — ექვსი. აჰა, რა გვეჭამა?! ჰოდა მერე ამ ხუთიდან დაიღუპნენ ყველანი, დავრჩი ერთი მე. ერთი და მყანს იმაში... პატარები არა, დიდები დაიღუპნენ. ეხლა და მყანს მოსკოვში. გადასხლდა, შვილები იქ ჰყვანდა, არ ჩამოვიდნენ. ჩემი და მუშაონდა, იმაში მსახურონდა, სასამართლოში — პატარა და ყველაზე, სასამართლოში მუშაონდა და მერე... ქმარიც, თითონაც, ორივე. მდივნათ მუშაონდა ჩემი და სასამართლოში და მერე წავიდნენ მოსკოვში, აღარ დადგნენ. შვილები არ ჩამოვიდნენ, გოგო გათხოვილი ჰყანდათ. ორი ბიჭი იქ იყვნენ. არ ჩამოვიდნენ შვილები, ადგნენ და ეგენიც წავიდნენ, რო არავინ არ ჰყანდათ და მერე თქვენს, რო მოვხუცდებითო და აღარ შეგვინახებენო.

## მეურნეობა, მიწათმოქმედება

პატარაჲ რო ვიყავი, მეხრეთ ვიჯექი, შვილო, მეხრეთ ვიჯექი, ხარებ უჯავრდებოდი და... კავ-გუთანი ეჭირათ, ან ჩივთი იყო მაშინ... ცალ ხელით... ერთ უღელა ხარზე შეგეძლო რო დამჯდარიყავი მეხრეთ, აი, უღელი იყო გაკეთებული, უღელი... არ ვიცი, გახსონს თუ არა, იცი — არ იცი!

ხარებ მიუძღვებოდი მე, პატარა რო ვიყავი და მერე რო გავიზდი, უკვე ჩივთი მეჭირა მე. სხვა ბავშვი იჯდა ჩემთან მეხრეთ და მე ჩივთი მეჭირა. მეხრეს უძახდით. „მოზარდეც" იყო, ხო.

(პასუხობს კითხვას: „მოზარდე" და „წაფელი" თუ იყო მეხრის მნიშვნელობით).

მოზარდეც... ეგეც რანაირათ იყო: მეხრეთ რო ვიყავით ჩვენ, მოზარდე ვინც იყო, ის... უკან დააჯვდენდნენ და მეხრე... ვინც კაი მეხრე იყო იმას

წინ გაუძღვენდნენ...

პირველი მეხრე ხარებს მიყვებოდათ, იფრო წინ მიდიოდა. უკან იჯდა ისა... მოზარდე. ერთუღელა, ორუღელა, სამუღელა ემბათ გუთანში. გუთანში და პირველი მეხრე იყო, მეორეც - მეხრე და მესამე მოზარდე.

— მოზარდეს მოვალეობა რა იყო?

— რა იყო, რო პირდაპირ დიეჭირა კვალში ხარი, კვალიდან არ აეყვანა ზემოთ. ერთი ხარი კვალში დადიოდა, ერთი კვლი ზეიდან. ის კვალში'ნა ყოფილიყო ის ხარი, რო კვლი ზეიდან გასულიყო, მერე გაბრუდდებოდა მოხნა. მაშინ ადრე, იცი, რანაირი მოხნა იყო, წესიერი მოხნა იყო, შვილო, იმიტო, რო წესიერათ რო არ მოხნილიყო... ასე გაბრუდებულ-გამობრუდებული არ'ნა ყოფილიყო. წესიერათ, აი, პირდაპირ... რო ის ხარი კვლიდან არ იეყვანა, იმის მოვალეობა ის იყო.

მოუხნავი რო დარჩებოდა (კვალს და კვალს შორის) — ნაღარი დარჩაო, ვიტყოდით. ნაღარ ვეტყოდით. ნაღარსაც აკეთენდნენ. ბოლო კვალი! ბოლო კვალი ნაღარი რჩებოდა. ბოლო, ძალიან ღრმად ჩადიოდა და: უკვე ნაღარი დარჩაო!

ხარვეზი, ხარვეზ ვეტყოდით ის რო რჩებოდა (კვლებს შორის).

...სხვადასხვანაირათ ხნავდნენ: ასე არი, — სამყურათ, — სამყურათ'ნა მოიხნეს ეს ყანა! პირდაპირ'ნა მოიხნეს ეს ყანა, — ვიტყოდით და პირდაპირ გავიდოდით. ეს, — სამყურათ. მერე, ასე სიგანეზე. — სამნაირათ იხნებოდა, სიგანე, სამყურაᲘ და პირდაპირი.

— სიღრმეც სხვადასხვა ჰქონდა?

— სიღგრმე, — დუშვენდნენ, ღგრმათ მოიხნებოდა, ღგრმათ'ნა მოხნილიყო, ზემოდან არა.

— შემოდგომის და გაზაფხულის ხვნა განსხვავდება?

— არაფერი განსხვავება არ იყო, ერთნაირათ'ნა მოხნილიყო, ღგრმათ, რო კარგი ხნული ყოფილიყო. შემოდგომის ხნულ ვეძახდით, გაზაფხულის ხნულ ვეძახდით... ეგრე ვეძახდით: შემოდგომის ხნული, გაზაფხულის ხნული.

...მოიხნებოდა. ზოგს ტოვენდნენ, იტყოდნენ, რო ეს საშემოდგომო ხნული დარჩეს, გაზაფხულისთვის ეგრე სტოვენდნენ. შემოდგომის ხნული ცალკე იხნებოდა, გაზაფხულისა — ცალკე. იმას ტოვენდნენ, რო ანეულ ეძახდნენ, ანეულ ეტყოდნენ, რომელიც დარჩენილი იყო გაზაფხულისთვის, ანეულის ხნულიაო, იტყოდნენ ასე. ასე უძახდნენ.

— თქვენ დიდი ყანები გქონდათ?

— საკუთარი? მაშინ საკუთარი არ ქვონდა, კოლხოზი იყო მაშინ, კოლმეურნეობა იყო მაშინ.

კოლმეურნეობა იყო. ვთესანდით მაშინ: ქერი, დიკა, იონჯას ფთესანდით, მერე ფთესანდით იმას კიდე, რა ჰქვია, — სელ ვეძახდით, გარეული სელი იყო, სელი — და იმას ვეძახდით სეᲚს. კიდე, რა ვიცი: კარტოფილისთვის,

კომბოსტოსთვის, ეგეთი რამეებისთვის...

მკაცრი წესები იყო, აბა არ მოგეხნა წესიერათ, მეორეთ მოგახნევინენდნენ. მოვიდოდნენ — კაი ხნული არ იყო, მეორეთ მოგახნევინენდნენ. ეხლა რას ხნამენ, აქედან აუხეწებენ, ზეიდან, ამოიღებენ გუთან და გარბიან. მაშინ ძალიან ღერმად ხნენდნენ, კარგი ხნულები იყო და კაი მოსავალი მოდიოდა.

...მივყვებოდით, მოვთიბდით, მაგა ვეძახდით მოთიბას. ცელით, სულ ცელით ყოველთვის. მერე შემოვიდა მალატინკა. ისევ ხელით ვთიბანდით, მალატინკაში ვლეწანდით. მალატინკაში გავლეწანდით ხოლმე. ადრინდელი მალატინკა შენ გახსონს? — არ გეხსომება, რომელ წლიანი ხარ? — სამოცი! არ გეხსომება.

მალატინკა იყო, დიდი იყო და რო მოვიტანდით, გაჩერებული იყო კალოზე, ბჯას შევაყრიდით მაღლა, იდგა ოთხი გოგო, ორი ამ გვერდიდან, ორი იმ გვერდიდან. აქ ასე ბარაბან ვეძახდით (ეგეც გინდა?) ბარაბან ვეძახდით. ბარაბანზე შემოვყრიდით. გაკეთებული იყო. იცი, რანაირათ, აქედან ბოძი იყო, აქედან ბოძი და ზედ ფიცრები იყო და გოგოები ვიდექით ასე, ორი აქედან, ორი — იქიდან და შემოჰყრიდნენ იმ ბარაბანზე და გავჰწეწანდით.

ერთი გოგო იქით გვერდიდან იდგა. ჩაგვიყრიდა იმაში, რაშიც... კომბაინ სადაც მიჰქონდა. სუ ხელით'ნა გეწეწა, თანა ისე'ნა მოფთხილებულიყავი, რო ხელი არ მეგეყოლებინა შიგა, ასე გადაჰქონდა პრიცეპკასა... არ მეგვეყოლებინა ხელი და ვიდექით აქედან-იქიდან გავსწეწანდით, და ის ორი გოგო გვაწვდიდა ორთითებით. ან ორთითი არ ჩეგეგდო შიგა, ისე ფთხილა'ნა ყოფილიყავი...

— ძველი კალო არ მოგწევია?

— მოგვწევია, როგორ არა! ხარებით ვლეწენდით ხოლმე. ხარები იყო, შვილო, ადრე, ხარებზე დავდგებოდით, გავაკეთებდით კალოს რგვალ, მერე დავჰყრიდით ბჯას ზედა. შევაყენენდით ხარებ, კევრზე შევაბენდით ხარებ და ხარები თითონ მიდიოდნენ და უჯავრდებოდი აქედან-იქიდან და... კევრზე ვიჯექით ჩვენ, კევრზე გაჩერებული ვიყავით, ხარი მიდიოდა, და გასჯავარდნოდი (უნდა გასჯავრდნოდი), საღამიენდი გარშემო ვატრიალენდით. ბჯას უქცევდნენ — გადავაყენენდით ხარებ, ცოტა დავასვენენდით, აურევდნენ ამ ბჯას, აირეოდა ეს ბჯა და — ახლა ქვეიდან გალეწილი იყო.

კევრ'ნა გიელეწა ეს ბჯა, მარცვალი'ნა გიყყრევინებინა. ზედ დავდიოდით, გახდებოდა ბზე. მანაამდი ბზეთ არ იქცეოდა, წმინდა გახდებოდა და მერე გადავაყენენდით ამ ხარებ. ხარებ რო გადავაყენენდით, მოვაგროვდით, შევაგროვდით და ამას ვანიავენდით ფიწლებით. ფიწლებით გავანიავენდით, ქარი'ნა ყოფილიყო, რო ეს მარცვალი ეგეღო.

თუ ქარი არ იყო, ვერ აიღენდი მარცვალ, ვერ გამოაცალკევემდი,

რა'ნა გექნა, როგორ უნდა გექნა, რო გააცალკევო. ამას ვანჯავებდით მაღლა ვისროდით და ვაძლევდით ქვარ. ბზე გადიოდა განზე, რჩებოდა ისა... მარცვალი.

ამას შევაგროვამდით, ღამე ვაჩერებდით იქა, თელი ღამე რო ქარი არ წაგვსვლოდა ხელიდან, დილით არ იყო ქარი და ღამე იყო. ვანიავემდით, გავანიავემდით, გამოვიღემდით პურ, ახლა დილით კიდე სხვას გავლეწანდით. გავცხრილანდით მერე ამას ცხრილებში. ცხრილი იყო ადრე, დახვრეტილი ცხრილები, ქვაცხრგლას ვეძახდით, ცხავ ვეძახდით. ცხავები იყვნენ. (ცხავი და ქვაცხრგლა განსხვავებული იყო?).

— განსხვავებული იყო: — ერთი იყო ძალიან წმინდა, ძალიან წმინდა არა... დიკისა იყო ცალკე, ქერისა — ცალკე. ქვაცხრილაი იყო დიკისა, ქერისა იყო — ცხავი. ცხავ ვეძახოდით. გავაცხრილენდით ამას სულ ხელით. ასე, ასე მოუქცევდით და გაცხრილდებოდა, გასუფთავდებოდა ლამაზათ, მერე კიდე ნიჩაბ მისცემდნენ, კიდე ანიავდებოდა, აღარაფერი დარჩებოდა, გაირჩეოდა. მერე შექვონდა და ვჰყრიდით ბეღელში. ბეღელ ვეძახდით. ჩაჰყრიდნენ ბეღელში. კიდე გამეორდებოდა მეორე დღეს, სანამ მორჩენილიყო ეს ბჯის მოზიდა და გალეწა. ეგრე ვეწვალებოდით. ამ პურ დაახარისხემდნენ, შეიტანდნენ ბეღელში, კიდევ იმით, მაგ ცხრილებით.

...მაგალითათ სუფთა პური ცალკე იყო, იყრებოდა სუფთა ქვონდა, ქვეშგანადენ ვეძახდით, ის ცალკე იყრებოდა. ქვეშგანადენი როგორი იყო: აი, სხვილი პური რჩებოდა ცხრილში, ქვეშგანადენი — დანტვრეული, მიწიანი-რამე, ის გადიოდა ცალკე. ქვეშგანადენ ვეძახდით. მაგასაც დავახარისხენდით, ჩავჰყრიდით. ზოგ, მაგალითათ საქონელ აძლევდნენ, ზოგ... ოჯახისთუნ... ის უფრო ძაან წმინდა ცხრილი იყო, უფრო წმინდა ეხლაც გვაქ ის ცხრილი. სახლისთვის შესანახი.

ხელით გავაკეთენდით, სულ მოუქცევდით, ქვეშგანადენი გავიდოდა იქიდან ცალკე, ზეიდან მოვხდიდით. ჩელხ ვეძახდით მაგას აი, ჩელხს. ყველაზე კარგი შუაში რჩებოდა. ხელით რო ავიღენდით, ზეიდან რო მოიკიდენდა, ასე მოუქცევთ, მოუქცევთ, იეს ნამცეცები გადიოდა დაბლა და სუფთა შიგ რჩებოდა, ჩელხი რა იყო და ზეიდან მოიგდემდა, რომელიც პარკიდან არ გამოსულა, მარცვალი, ისეთ ვეძახდით ჩელხ. მოვხვეტენდით, გადავჰყრიდით ცალკე, ჩელხ.

გავაკეთენდით ხოლმე, გავანიავენდით. მერე ვკმაზანდით რო ამ პურ, რო ქვა რო ყოფილიყო შიგ... ქვაც საიდან... ყანას ხო მოსდევდა, კევრში ილეწებოდა, არა. ეს ქვა ინტროვოდა, კევრშიც ქვეიდან დაკრილი ქონდა რაღაც შავი ქვები იყო და არტყენდნენ კევრ, რო იმას გიელეწა, ამ კევრ გიელეწა და ის ქვიები მიზდევდა და მერე რაგორ'და გეგვეცილებინა და ვჰკმაზანდით სინით, აესეთი სინებით, აესეთი სინებით ვჰკმაზანდით. სუფთა პური გადადიოდა, ქვა რჩებოდა. ზოგი რეცხამდა. ეხლაც ვრეცხანთ,

აეხლა მე ერდოზე მიყრია პური. ...დიკას ხო დავფქვენდით, არა. ყველაზე კარგი იყო დიკა. რო ამოვიტანდით, მაგას გავცრიდით საცერში. იმას პურ გამოვაცხობდით. თუ გავმტკიცავდით, სანტკიცავი ქვონდა. ძალიან სქელი. ისეთი სქელი სანტკიცავი ქვონდა, რო გადიოდა, როგორც ტრიცატკა, იმაში, გაიგე, მტვერივით ფქვილი გადიოდა შიგა, რო გაფცრიდით და იმას ვხმარობდით სასუფთაოთ. ქადას, რამეს მაგით ვაცხენდით.

ქერ და დიკას არეულსაც ვაკეთენდით, ოღონდ პურისთვის, ჰო, საშმელათ. ზოგი, ვინც დიდარი იყო და ვისაც ბევრი პური მოსდიოდა, მარტო დიკას — მიდგმულ პურ ეძახდნენ, პურ, რომელსაც ვშჭანდით. ტომრები იყო. ტომრებში იმას ვიზანდით, დავფქვენდით ტომრებით, მოვიტანდით, ტომარი იყო ნართისგან მოქსოვილი, ტომრები. ქსოვდნენ. ჰოდა, ტომრებში გავსტენენდით, გავავსენდით, წაუკერანდით პირ და მივსდგენდით მეშოკებ, მივაწყენდით და მიდგმულ ეძახდნენ მაგას. მაგას ეძახდნენ მიდგმულ.

— ვაცხობდით ფურნეში, თონეში.

გობები იყო ხომე, სარქვლებ ვეძახდით, ეგრე, სარქველ ვეძახდით გობსა. ხო ადრინდელ გობებ, — ხისგან გაკეთებული, ეხლაც არიან. მაგას სარქვლებ ვეძახდით, ჩვენი სახელი იყო სარქველი. ჩვენ ვეძახდით სარქველ.

მოეზელდით. პური ცომით. პურის ცომ შევინახამდით, რო პურ გამოვაცხენდით არა, საბალოოთ მოვფხიკენდით, დავზელდით, ჩავდენდით ბანკაში — პური ცომი იყო ეგა. ეხლა დროეი წავიდა. ეგ იყო პური ცომი. შევინახამდით, მერე საღამოთი პური ცომ წავადიდენდით, პატარა თასში, წავადიდენდით, პური ცომ წავადიდენდით. წავადიდენდით და, მერე ავდგებოდით და გაურევდით იმაში და... ფქვილში.

— როგორ წაადიდებდით?

— კოვზით! მოურევდით. ჩავასხენდით იმასა... წყალ, ფქვილში, გვერდზე ავსწევდით არა, თბილ წყალ ჩავასხანდით და ამ პური ცომ გავსხნიდით შიგ, კოვზით გავსხნიდით. თუ გინდა, ხელით გეგესხნა. გავსხნიდით და... ჩვილ ვიზამდით, ძალიან ჩვილ, თასში, პატარა თასში. წავადედანდით პატარა თასში და დაფტოვებდით. ავდგებოდით დილით, რო: აფუებულა, გაღვიებულა ძალიან. გაღვიებულა და მერე იმას... ბევრი რო'ნა მოგზილა, არა, თონისთვის, ან ფურნისთვის... ვსიო, გასცრიდი ფქვილსა, იმას გვერდზე ჩაასხანდი, წყალ დაასხანდი, კიდე გასხნიდი იმას კარგა და მერე აურევდი და მოვზელდით. ყველა თავისთუნ აცხომდა, ყველა თავისთუნ.

— გარდა პურისა, ცომისგან რას აკეთებდით?

— ცომისგან რას ვაკეთენდით: ბიშ ვაცხონდით, ეხლაც აცხობენ ბიშ, მაშინ ნაზუქებ ეაცხენდით, ერიშტას ფჭრიდით კაი ფქვილისგან, გავშლიდით

ცალკე. მოვზილენდი მაგარ ცრმ, მაგარ ცომ მოვზილენდი, გავშლიდი, ეხლაც ვაკეთან ხოლმე კიდე, გავშლიდით ძალიან თხელ ფირფიტელას, მერე ამ ცომ გამოვაცხენდით საჭიებზე, გამოცხვებოდა საჭიები ასე რგვალი ყეშტებივით იყო, იცი, რაგორ იყო...

საჭი ჰქვია, ხო, საჭეს ვეძახდით ჩვენა, საჭეს ვეძახდით და ასე დიდები იყვნენ, აესე, დიდრონი აესე და ბაზლამასაც აცხენდნენ ხოლმე ადრე მაგაზე და გავშლიდით ამ უხას, დავაკრიდით ზეიდან, გადავაფრენდით, უხლავით, ასე წაიღე, გადააფარე ზედა. გამოცხვებოდა — გადავაბრუნანდით. გადმოვიღენდით მერე და დავაწყენდით იმის ქვეშ, აი იმას რო ვაკეთებდი, ერიშტას, — იმის ქვეშ, ნაჭრები ქვეშ, ზეიდანაც დავაფრენდი, რო რბილი ყოფილიყო. მერე ავახვევდით აემ ფასონზე, აესე ავახვევდით. ეს არი ლავაში, აესე ავახვევდით, აესე წმინდათ. ასე ავახვევდით, ავახვევდით, ლამაზათ ის გახდებოდა და მერე დაჭდებდი და ჭკრიდი.

ბაზლამას როგორ? — ჩვილ ცომ მოზელდნენ, ახლა ძაან ჩვილიც არა. ფურნეში შეგეყარა, ფურნე უნდოდა. შევჰყრიდით ფურნეში, გახმებოდა, გამოვიღენდით და ჩაჭყრიდი, ჩაჭყრიდით, შევინახანდით პარკში. მერე ცოტ-ცოტა ამოვიღენდით, ავადუღავდით წყალ და შევნამავდით ამას სვიზაგზე. სვიზაგი ხო იცი, რომელია, სვიზაგზე შევნამამდით, ის წყალი ქვეშ გადიოდა, ეს შელბებოდა. ჩაჭყრიდით ერბოში, დავხურამდით, დაბუღამდა და გახდებოდა ერიშტა. ჭამდით.

## ხუციშვილი ალექსანდრე, დაბ. 1926 წ. ახალქალაქი, სოფ. ოკამი. (1997 წ.) (ქმარი მაშო ალელიშვილი-ხუციშვილის)

...ჩვენ სოფელში ჩამოყალიბდა კოლექტივები. ახალათ ჩამოყალიბდა კოლექტივები. ეს იყო ოცდაათ წლებში. როცა კერძო პიროვნება თავისთუს იყო, მუშაობდა, მერე შეიქმნა, გახდა კოლექტივი.

კერძოთ რო ვიყავით, ყველას ქვონდა ჩვენ გამწევი ძალა, ტექნიკა. მაშინ ტრაქტორი და ის არ იყო. სულ ხელით ამუშავენდნენ. სანამდი კოლექტივში შევსულიყავით, — ჩვენ დაგვიანებით შეველით. ეს იყო ოცდათოთხმეტი წლები...

...მივედით, ვნახეთ (მალატინკა), დადგეს, გამოიტანეს. მერე ასეც უთხრეს, რო:

„ამამავალო მზეო, რაც უნდა დაიგვიანო,
მაინც მე კალოს გავლეწამ, თანაც გავანიავებ“.

— მალატინკაზე თქვეს.

მერე ეს დადგეს, მოვიდნენ, სახარბიელოთ. ეს მალატინკა დადგეს, მოვიდნენ ხალხი, აბა, რაგორ'ნა გალეწოს ამამ.

— დეეხვა ხალხი... ეგენი თქვენ (ქალი).

მოვიდა ტრაქტორი, ჩპე-ს ტრაქტორები ედგათ, ჩპე-ს ტრაქტორი... ატრიალებდა იმას. მერე ეს რო დადგეს, დააყენეს. ხალხი მოვიდა ურმებით...

## მელიქიძე-ხუციშვილი ლოლა, დაბ. 1936წ. ოკამი, 1997.

### მეურნეობა

...ძროხის ნაკელი... ხელით ვაკეთემდით. ბზეში ავზილამდით, ავზილამდით ხელით, ლამაზათ გავაკეთემდით მრგვალ იესე, მრგვალ. გავანწკვრევდით ქვიებზე და ნიშან გაუკეთებდით. ან ხუთი თითი, ან ორი თითი, ან სამი თითი, ან ერთი თითი... ძროხებთან მივდიოდით, ნაკელ იმაშვრებოდა ძროხა არა, ნაკელ ვკრეფდით გოგვიები, პატარები, აი ამაზე პატარაჲ ვიყავი. პატარაჲ, — მეოთხე კლასისა ვიყავი. მინდორში რო მივდიოდი დილაადრიან. ესენი წავლენ იეხლა?! — აჰა, ადე და გაგზავნე, წავიდოდით, ი ნაკელ დავკრეფდით, მოვაგროვდით, მერე ბზესაც წავიღენდით, მეშოკით. მეშოკით წავიღენდით და... ჰო... იმ ბზეში აურევდით ლამაზათ და წვრილ-წვრილ, ამხელა თეთნებ გავაკეთემდით. დავაკრენდით ქვიებზე, ოღონდ სულ ქვაზე'ნა დეგეკრო, რო გამხმარიყო. ნიშან დავადემდით. შენი ორი თითი იყო, ჩემი სამი თითი... მერე წავიდოდით გადავაბრუნემდით. გახმებოდა ლამაზათ. ჯორზე... გოდორ აფკიდენდით ჯორსა, ჩაფურიდით შიგა, მოვიტანდით, გავსცლიდით, კიდე წავიდოდით, მოვიტანდით.

ეხლანდელი ბავშვები წავლენ? — ვერა.

ეხლა რაგორ არ ჰეირდებათ, აჰა, მაინც ვსწვანთ.

### გადასახლება

ორმოცდაოთხ წელში გადმოგვასახლეს ჩვენ აქა და მაშინ მე ვიყავი რვა წლისა, პირველ კლასში ვიყავი. რო გადმოვსახლდით აქ, სკოლა აღარ იყო. მერე გაიხსნა სკოლა, მამაჩემი იყო, სკოლაში მუშაომდა, დედაჩემი ფერმაში მუშაომდა, ფერმი გამგე იყო ადრე. აჰა, გადმოგვასახლეს მერე აქა და აქ ვცხოვრომდით. მერე გავთხოვდი აფნიაში. მერე ახლა, აფნიის ხალხი არ იყო, სკოლა არ იყო, ხუთ-ხუთი შვილი ქვყავდა. გინდა თუ არა .გადმოველით მერე აქა. აქ იყო სკოლა, აფნიიდან გადმოველით.

...პტენიდან გადმოგვასახლეს. გინდა თუ არა'ნა გაყოფილიყო სოფელი. გაიყო და ზოგი ხალხი აქ წამოვიდა, ზოგიც იქ დარჩა. ახლა ცოტა

რაოდენობით არიან იქაც პტენელები და აპარლები ჩაუსახლეს იმათაც.

— გახსოვთ, როგორც ცხოვრობდით პტენაში?

— მახსოვს, რაგორ არ მახსომს, მაშინდელი იფრო მახსომს, ვიდრე ახლანდელი. მაშინ ახლა რაგორ ვცხოვრომდით... კარგა ვცხოვრომდით, მამაჩემი მილიცია იყო, დედაჩემი ფერმი გამგე იყო, შიმშილობა, რო გითხრა ისე, არ გამოგვივლია, ვინც მუშაონდა, მაშინ ასეთი დრო იყო, სჭანდა, ვინც არ მუშაონდა, არ სჭანდა.

მერე გამოგვასახლეს. თავჯდომარე იყო და თავჯდომარემ უთხრა, რო (დედას), მეო ჩემი ფერმი გამგეო... სადაც დავსახლდეო, ჩემი ფერმი გამგეც იქ'ნა წამოვიდესო. მამაჩემი არ იმყოფებოდა, ქალაქში იყო, მართალია, მილიცია, მაგრამ სხვაგან იყო, — მიდიოდნენ, რაღაც ყაჩაღები იყვნენ, რაღიებიც იყვნენ და იქ იყო წასული. მერე მამაჩემი მოსულა და ჩვენც გამოსახლებული ვართ, კვამლი ამოდის სახლიდან, — ჩვენ აღარ ვცხოვრომთ.

აქ ამოსულა მერე მამაჩემი და გვიყვირა, რათ ამოსახლდით აქაო. მოხდა და ისეთ სახში ვცხოვრომდით მერე ჩვენა, რომ ჩვენ სახლიდან ყაჩაღები იყვნენ გასულები, თათრები. მერე... ხუთი ძმანი იყვნენ. აქედან სამი ძმაო თათრებთან არიო წასულიო. მაინც მოდიოდნენ, ისე მახსომს, მოდიოდნენ ხომე, კარ გვიბრაგუნენდნენ, ბან გვიბრაგუნენდნენ, რამე...

მერე რო ვეღარ ის ქნეს... პაგრანიჩები გამოყვნენ და ყარაულომდნენ სოფელსა. კაკრაზა მამაჩემი მოვიდა, მილიცია იყო ცხენითა და კარი დაგვიბრაგუნეს. თურმე თათარი მოსულა და ჩვენ არ ვიცოდით.

— ამ სახლის პატრონი?

— სახლის პატრონი ყოფილა და მამაჩემ იქიდან შიენიშნა, მთვარიანი რო იყო, ბანი იყო, (წინათ მიწური სახლები იყო, მაგრამ კაი სახლები იყო), შიენიშნა და გადვიდა. — რა არიო, დედაო, გღვიძანს ისეო? — აპა, იოს, ესეაო, კაცმა გვიბრაგუნა ბანიო. მერე მოვიდა... თავჯდომარე, ისინი... გააღვიძა. ჩაცვივდნენ და ვეღარ იშოვეს კაცი. მერე... მეორე დღისით... სახში თივა ქვონდა, საქონლისა... დედაი შევიდა და: — ახლათ კაციო გასული იყო ბაგიდანაო, პაპიროზი მოწეულები-რამე. ჩვენ სახლებშიო ჩამალულიყვენო.

— თათრებთან გქონდათ ურთიერთობა?

— არა, არ გვყოლია, მაგრამ მამიდაჩემი შვილი მანდ იყო, მაგ აზმანაში იყო გათხოვილი (თათარზე, მ.ბ.), რო გაასახლეს, მამაჩემი დახვედრია გზაში და არ ჩამოშორებია (ქმარს, მ.ბ.). ბაკურიანით იყო და მასწავლებლათ გამოეგზავნათ, აქა თათრები დროს წინათ ხო გზავნიდნენ მასწავლებლებსა, ჰოდა მანდ იყო, გაექციათ (მოეტაცებინათ) და გაჰყოლოდა. მამაჩემი მოსულიყო, აქ უჩასკაოთ (ó÷àñòêî â û é) აქ მილიციაში და მოსულიყო-რამე, ეძალნა და: — რა ვქნაო, გამომაქციაო და მე რა ვიციო. დარჩა. მერე მოხდა ერთი ორი წლი მერე... მერეც

გაჰყვა თათრებსა. ეხლა თათრებთან არი ისევ.

— თავის ქმარს გაჰყვა?

— თავი ქმარ, აპა სხვას ხო არ წაჰყვა! ოთხი თვი შვილი ჰყავდა. მერე აქ რო თათრები ჩამოვიდნენ სამ-ოთხ წელზე წინა, ადრე, და კაკრაზ იმი მეზობლები იყვნენ.

## ფრაზეოლოგია

რაღაცის გაკეთების დროს, ან საქმლის გაკეთების დროს ან მოქსოვის დროს:

— ჩაუთითიაო, — ესე იგი, გამოსულა კარგი, უმაღლესი!

— „ნაცარი მოვფშრუკო და ვჭამო", — ქალაქათ ვიყო და ნაცარი მოვფშრუკო და ვჭამოო. აპა, ქალაქ ვინც წასულა, შვილო, აღარ დაბრუნებულა.

## ყოფა-ცხოვრება

სტუმრები იყვნენ. გაგვიცნეს და: — უიმეე, ეს რა არიო, ბალახი ბიბინებს ბანებზეო.

— რა თქმა უნდა, არ მიეწონებათ...

ისეთ დროში ვართ (აგრძელებს ქმარი), ჩვენ სოფლეფში, ქართულ სოფლეფში განუვითარებელი ხალხია, რაღაცნაირი, აი გაუსვლელი ხალხი...

— გაჭირვებისგან არის!

ქალი: — გაჭირვება არ იყო, შვილო. ეს ხალხი ყველას უნდოდა რო გადასახლებულიყვნენ, წასულიყვნენ. ეხლა ბანკებში იმხელა ფული დარჩათ, რო... ჩააბარეს ბანკში, იმიტომ ეჭირათ სუმკა, რო — ჰაი, დღეს — ხვალ'ნა წავიდნენ. აჰა, მოხდა ესეც ასე, რო დარჩნენ ასე. არც ღატაკები იყვნენ და არც ისინი იყვნენ. რათ იყვნენ ღატაკები. არ ვარგივართ ქართველები, შვილო, არ ვარგივართ... სომხი სოფლებ ხო დადიხარ (ჩურჩულით ამბობს), ჩვენ არ ვარგივართ. ერთიც, მაგალითათ მე არ ვიყავი, აქ რო გადმოვედი ოკმიდან, მაშინ არაფერი მებადა, მართალია, მაგრამ ბანკში ფული შევიტანე. რათ შემქონდა, სახლები გემეშენებინა, კარქი!

— წინ არ ვიყურებით!

— არ გავიყურე წინ და ეეხლა ამ დღეში ვარ. ეხლაც მოვიდნენ ესენი, ხო ხედამ? აქ ვინც მოვიდა, სულ სომხებია, დაგანახო სახლები ის ქნეს... გადაეიმეს! ოთხი-ხუთი სახლი აიღო ზოგმა. ჩვენ ვერც სახლი ავიღეთ, ვერც ვერაფერი... ჩემი ერთი შვილი მანდ წავიდა, გვარდიაში მსახურონდა, ის რო იყო, აფხაზეთში რო ქონდა... მეორე კიდე მანდ არი, ახალციხეში. ესე ახლა არ ქონდა დადგომა აქაც და... რა'ნა გექნა, რა'ნა გეგეკეთებინა.

აქაც მყანს, სამი შვილი მყანს ერთი აქ მუშაონს, მელიციაში მუშაობს.

## ხელსაქმე

არა, ფიჩვ არ ვქსოვდი, ვერ გეტყვი. იმიტო, რო ჩვენ სოფელში ქსოვა არ იცოდნენ. ჩემი დიები სადაც გათხოვდნენ, იმათაც ისწავლეს ქსოვა.

***

ქარაგვეზში შეიძლება შეღება. ქვიებზეა, ძირზე ჰყრია ხოლმე. (თათრული სიტყვა იქნება). ნარინჯიფერი გამოდის.

ივანიძე-მოსიძე ნინა, დაბ. 1922 წ. ახალქალაქი, გოგაშენი, 1997.

## ოჯახი

...ქალი-მეთქი, აქაურ კუთხისა შეირთეთ, შვილო, რო ქალაქის მხარეც ესმის და სოფლი მხარეც და ეს ქალაქიდან შერთული ქალი ძნელათ რო, ხო იცი, შეეგვიოს. არა, ჩემ ბიჭმა მითხრა მერე რო, არაო, მე ხაშურის აქეთაო არ დავინიშნებიო ხაშურის ქვეითაო... აჰა, შვილო... აჰა და გორელი ქალი მოიყვანა. კარგია, რო ვთქვა, კარგია. ისეთი კარგად ძროხის მოწველა-რამე, ყველაფერი შევასწავლე. აჰა, რა ვქნათ. მარამა ეხლა ჩვენი ბოლოცა, უნდა წავიდეთ, შვილო. აბა, ბიჭები იქ არიან, არ მოდიან, აქეთ არ იხედებიან და ჩვენ სადამდი შეგვეძლება, რო აქ ვიყვეთ. აქ ვაკეთამთ, ვამომთ: — იყავით, შვილო, მანამ შეგვიძლია... ვაწოდამთ პროდუქტსა, რაღაცა და...

## ხანულობა გადავარდა

ეხლა, შვილო, ხანული აღარ ვიცით. ეს ადგილობრივი ხალხი წავიდა ყველა. ეს აპარლები ჩამოსახლდნენ. მაგათ არ იციან ეს ხანულობა და რამე. აი, ხანული შენც გცოდნია. წინათ, მანაანდი სოფელი დიდი იყო და ხალხი მრავალი იყო, ხანულობა ვიცოდით. ერთი-მეორეს ძეთი... აი, ჭდეს ვეტყვით ჩვენა, რა ვიცი, თქვენც იცით ეგიები. ჰოდა ეგრე ვეზიდებოდით ერთი-მეორეში ძესა. ეხლა ყველა  წავიდა, ადგილობრივი ხალხი ერთი ოთხი ოჯაღი ვართ. ყველა წავიდა, წამოვიდა, ხანულობა აღარ არი. ყველა თავისთვინ... მე მაგალითათ ჩემთვინ... ძროხები მყავს ჩემთვინ ვაკეთამ.

— ძროხა მოკვდა, ხანულობა გადავარდაო — აი, მაგალითათ ჯვარი სწერია სუყველასა, უდროოთ რო... ყველას ჯვარი სწერია, შვილო, და ოთხ კუთხივ ღმერთს ვეხვეწები, რო ყველასგან შორს იყოს უდროოთა, აი ქალ რო გაათხვიამ საცხა და დაიღუპება, რაღაცა იქნება, იქ მისვლა აღარ შეიძლება, — ყველას თავისი უნდა, როცა შენი იქ აღარავინ აღარ არი, წახვალ და მაგაზე იტყვიან, რო ძროხა მოკვდა და ხანულობა გადავარდაო. მართლა ძროხაზე კი არ არი, შვილო.

## ქორწინება, ოჯახი

ელჩობა და მაშვლობა ჩვენც ვიცით. მაგალითათ მოგვწონს გოგო. მიხვიდე'ნა იმი ოჯახში და ...ხო უცხო არ მოვა და არ მოგაკითხანს ვიღაცა, ნათესავი ვიღაცა მოვა, რო ის გოგო როგორია, რაღაცა და უნდა შეუქო'ნა როგორც გინდა ახლა... თითონ გამოასწორებენ. შენ სახლში რასაც აკეთანს გოგო და გაათხვიო, შვილო, ეს მისულ ადგილას ის აღარ გამოადგება. შენ ოჯაღის წესწყობილება იქ არ გამოადგება, შვილო...

— როგორ შეაქებ ამ გოგოს?

— იმ გოგოს ისე შევაქებ, შვილო, რო: — კარგია, მოკლეთ, ყველანაირათ კარგია, ოჯახში გამოგადგება. თუ დედანთილი ჰყანს, შვილო, იმასთან თავი გემოვნობით აღზარდოს ისა. ყველაფერი საქმე კარქათ იცის, ჩვენ კუთხე'ში ძროხის მოწველას იტყვი, ცხვრის მოწველას იტყვი, ყველის გაკეთებას იტყვი, აი, ხელსაქმეს რო... ვიტყვით ხოლმე რო: „ფრინველმა რო გადაიაროს, იმი სახეს გადაიღემს", ყველანაირი ხელგამამავალი გოგოა, ყველანაირათ კარგია, ყველანაირათ გამოგადგება და ცოტაც შენ'ნა გაზარდო, შვილო. უცხო შვილი რო მივა ოჯახში, შენ'ნა გაზარდო ცოტაცა. ის თავის ოჯახისა მისულ ოჯახში არ გამოადგება. აჰა, ეგრე უნდა შიაქო.

— რძალს როგორ დაარიგებ?

შვილო, მაგალითათ, ისე დაარიგამს დედანთილი, რო, გარეთ რო გახვალ და ორ ვაჟ დაინახან შვილო, რა საჭიროა, რო შენ იქ მიხვიდე და ვაჟებთან გაიხიდო. ჩვენ გახიდას ვეძახით. რა საჭიროა. — ვაჟი დაინახე, შვილო, — შემო, სახში შემოდი. ვინიცობა არი და გზაზე მიდიხარ და ან ვაჟი წემეგეწია და შენზე უფროსი წემეგეწია, გზა დაუთმე, ზურგი არ შეუქციო და ზურგით არ იარო. აი, ესე დაანდემს კარგი დედამთილი ესე დაანდემს. დედამთილი არი, შვილო, რძლისა თავსახურავი. აი, რო მოკლეთ რო მოღია ქვაბში ყველაფერი ჩავარდება, შვილო, რა თქმა უნდა, ეხლა ველოდები მე, რო ცოტა შეყინოს, რო დავაფარო... (ახალ დამდნარ ერბოზე უთითებს მ. ბ.) არ შეიძლება,

შვილო, რო ოჯახის სირი გარეთ გაიტანო, ჩვენ სირს ვეტყვით, ოჯახის საიდუმლო გარეთ გაიტანო, გინდა გლახა რძალი იყვეს, ის შენ'ნა გამოიყენო. თავის კარქ არავინ მოქცენს შვილო და შენ გლახას არავინ წაიყვანს. ასე'ნა გამოიყვანო. ასე ვარ მე. მე ასე ვარ და რა ვიცი, შვილო. მე ესე ვიცი და ასეა და ასეც'ნა იყვეს. მერე კიდევა, აჰა, რძალია და ოჯახია... სადაც კეთდება, იქ ფუქდება, სადაც არის, იქ ფუქდება და კეთდება კიდეცა, შვილო, ოჯაღია, სიტყვის თქმაც იქნება... ეს ყველაფერი საჭირო არ არი, რო მაგალითათ შენ სხვის შვილი ჩაიგდო ხელში და რაგორც გინდა, ისე წეწო. იმის დედას ხო გაუზდია, შვილო, იმის დედისთვინ ხო შვილია. შენ რო შენი შვილები გიყვარს, იმი დედას თავი შვილი უყვარს. არც შენ შვილამდი ყველაფერი ყურში არ უნდა მიიტანო რო, — შენ ცოლმა ეს გააკეთა და შენ ცოლმა ასე... წააფარე და მორჩეს, კაცო. ყველაფრის თქმა არ შეიძლება. პირზე მოსული სიტყვა შვილო, ყველაფერი არ შეიძლება. აჰა, ასეა.

— რა სიტყვებით დავლოცავ და:

— ვენაცვალე იმის გამზრდელსა, ვინც გაზარდა ესა და ჩემი ყვსმათი გახადა, იმი გამზდელ ვენაცვალე. ასეთი ერთი ათი გიეზარდა. მარტო ჩემთვინ კი არა, ყველასთვინაც...

ასე'ნა შიაქო, შვილო.

ჩემმა რძალმა ყველაფერი იცის. მე არ მაცლის, რო რაღაცა გავაკეთო, ყველაფერ ის აკეთამს (ასე უნდა აქო რძალი), ადრეც ადგება, მანამ მე ავდგე, კარებსაც, ეზოსაც გადაგვის, ძროხასაც მოსწველამს... სულ რო არ გააკეთოს, ეგ'ნა თქვა'ნა, შვილო. აი, შვილო, რო მაგალითათ, ხანდიხან მე რო ავდგე და ან რძალი აქ არი და ან რამე, მე ჩემ ქმარსაც უჯავრდები, რო: — კარების ბრაგუნი ნუ იცი! ბავშვებ სძინამთ. — შენაო ბავშვებ მიფუჭამო მეო, მე მეტყვის ხოლმე, რო, ბავშვ უძახიო, გათხოვილი ქალიო, შვილის პატრონიო, გინდა ჩემი შვილი, გინდა რძალიო და შენ ამომო, რო კარი არ დააბრახუნოო, რძალ და შვილ... გაიღვიძებენო და... მე ეგრე ვშვრები, იმას არ ავაყენამ აბა, ძროხასთან... ადრიან. იყოს, შვილო, რაც საღამოს საქმეა და მანამ დავჰწვეთ ხო მე მეხმარება. ეხლა დილით: — ადექ ძროხა მოწველე! — ასე არ შეიძლება. ჯერ შემიძლია და მერე რო აღარ შემეძლება, შვილო, და... მერე რა ვიცი ახლა, მერე რას იზამს, არ ვიცი და... მაინც ყველანაირათ ის'ნა თქვა, შვილო, რო კარგი რძალი მყამს. მანამდი მე წამოვიღო თავი და ავდგე, ის დგება, ეზოსაც გვის, ძროხასაც წველამს, სახ-კარსაც გვის, ყველაფერ აკეთანს... მერე ჩვენსკენ წესი ასეთია, რო საღამოთი მამანთილ ფეხები'ნა მოხადოს, შვილო და უნდა დაბანოს რძალმა.

— მოხადოს — ე. ი. გახადოს?

— ჰო, გახადო'ნა ფეხები, ის ნასკები და რაღაცა თავისებურათ, თუ ოფლის სუნი აქ და რაღაცა, ეეხლა რაგორც მე ვარ მოტრუტლული,

სიტყვაზე ვამომ, ჰოდა, იმ რძალმა დადგას'ნა წყალი, ჩააწყობინოს. ჩვენკენ წესი ესე იყო, შვილო, და უნდა დაბანოს. ფეხები დაბანოს, ნასკები'და დაუწყოს, სხვა'ნა მისცეს. ეს არი რძალის პატივიცემა მამანთილთან. ნათქვამია რო კარქ საქონელსაო გლახა პატრონი'ნა მოუკვდეს. კაცო, უნა ადრე ადგე, რა თქმა უნდა, ადრე ამდგომი, ბოდიში შენთან ჩემი შვილი ხარ და, — ან ტრაკსა და ან პირსაო (არგებსო). უნდა ადგე'ნა და... ეს ენის ჩაგდება არ შეიძლება, რო ქმარ მუუტანო ამბავი, რო შენ ცოლმა ესე... — არა, შვილო.

...ადრე რო ადგები არა, რაღაცას შეუხვდები ან მეზობელს შეუხვდები, ან შენ ოჯახში შეუხვდები. ეს ძველებურათ, ძველი ხალხის ნათქვამია (თავისივე ნათქვამ ანდაზას განმარტავს), რო ადრე ამდგომიო, ან პირ შეხვდება, რო რაღაცა ირგოს, ჭამოსო, ანაო...

რასაც მებნევი, შვილო, ...არიან ეგეთებიც, რაგორ არ არიან — არიან, როგორ არ არიან. კარგი მშრომელი ადამიანი, გინდა კაცი და გინდა ქალი, შვილო, იმის თავი სადაც გინდა იყოს, ერთ ლუკმა პურ შეშჭანს, რაგორც გინდა გაჭირებული ქვეყანა იყოს, ერთი ლუკმა პური ექნება, რო შეჭამოს კარგ, გამრჯე ადამიანსა, აი, ცოცხალ ადამიანსა ერთი ლუკმა პური მაინც ექნება რო შეჭამოს და უქნარაკ, რო აი, თელი დღე...

აი, ბევრჯელ მე... ხალხიც ყოფილა, სოფელიც — რამეც და აი სამუშაოდან წამოვსულვარ, რამე და... ქვეშა მხრის ქალები მოუყვანიათ, რამე და: — მოდი, — ზოგი მეტყოდა, — მოდი, ნინა დეიდა, ვიმუსაიფოთ! — მუსაიფობი დროა ზაფხულში, შვილო? მუსაიფობი დროა, რო დაჯდე და იმუსაიფო და ის ქნა? ვეტყოდი: — ერთი დამანებე თავი, შენი თავი მე არ მაქ.

...ეგეთი ქალი არი უქნარაკ და არამქნელი, ეგ გინდა მიგიყვანია ოჯახში და გინდაც არა, შვილო. ეგ ქალის შნო არ არი.

## ფრაზეოლოგია

— მეტი რა'ნა ვთქვა, შვილო. ეგ თათრულათ არი და ქართულათაც: უზახტამ ბახტგმ ქიჯამალი ხოშო, ბახგნ გეთტგმ ქიყოლანი ბოშო". — შორედან დაინახანო, რო ლამაზია და კარგიაო და ახლო მიხვალო, რო სულ არაფელიც არი! - არაფერი არ არი, არც ოჯაღისა, არც... მარტო: - ადექ, ჭამე, დაჯექ! და ის რი მქნელია! ეგეთ ადამიანს ქვია უქნარაკ და' აი, არამზადა.

ზედმეტი ტვირთი რო აიკიდო ადამიანმა და ატარო აჭა... „— ლამაზიაო და ყველა ზედ აფსამსო და..." მერე, რა რო ლამაზია, მაგი სილამაზეს ადგილი არ აქო. ლამაზი ის იქნებაო, რო ოჯაღშიო, რაც მთავარია, დედანთილს, მამანთილს ოჯაღში წევრებს პატივი სცეს და

ოჯაღის მოყვარულე იყვეს, აი მაგას ვიტყვით, შვილო, გაზდილი შვილია, ოჯაღში გაზდილია, ყველაფერი იცის, წინ დაკვირებულია, აჰა, ამას ვიტყვით. ამას ვიტყვით, შვილო, რო აი, მოკლეთ „გამამცხვარი პურია“ და „გაკეთებული საჭმელია“, ისეთი ქალია, რო გამამცხვარი პური რო იქნება და გაკეთებული მზა კერძი იქნება, ეგეთი ქალია, ამასაც ვიტყვით ხოლმე.

...კარგი ხელი ჰქ, კარგი ნამცხვრები იცის, კარგი პურ-წყალი იცის, ოჯაღში უნახია და იმიტონ ასე აკეთემს, ოჯაღის ქალია, ესე ვიტყვით, აჰა, რა ვიცი, მაგიებს ვიტყვით. მაგრაინ რამეზეც, აი, რაღაცა ვიღაცამ გაგაბრაზოს და გული მოგვიდეს, გადაიწყევლები, რო: ოთხ კუთხის სასწაულ ვეხვეწები, რო აი რასაც მე გწყევლი, ერთმა ისე არ ჩაიაროს.

— არ გაგახაროს ღმერთმა (შორ აქაურობას, შორ შენგან) — არ გაგახაროს მამაზეციერ ღმერთმა! — ესე დავწყევლით ხოლმე.

— მურადი გაგიშავდესო, არ მიეწიე მურადსაო, ბედი გაგიშავდესო, არ ეღირსეო, ბოხჩა შეკრილი დაგრჩესო, ესე ვიტყვით, შვილო (გასათხოვარ ქალზე მ. ბ.).

ღმერთმა ნუ ქნას, შვილო, რო ეგეთი რამე ვთქვათ. დანიშნულ ბიჭზე: — არ დაგცალდეს მურადი, არ მიესწარ ქალის მოყვანას, — აქაც არიან, ეხლაც არიან, განა არ არიან, იმდენი სწყევლის, შვილო, რო... არ დაგცალდა... ქალის მოყვანას არ ეღირსე, ქალთან დაწოლას არ ეღირსე.

დალოცვა:

— იხარე შენ ქვეყანაზე, იფოთლე, როგორც ხე ფოთლომს! იყავ, შენ სიცოცხლის მანძილზე ულეველი ლუკმა-პური გეჭამოს.

— უყვედური ლუკმა-პური.

— სულ დალოცვილი ყოფილიყავი, სადაც წადგები და წამოდგები, გზა სულ სხნილი გქონოდეს...

...ბევრია, შვილო, რო ან რაღაცას წაიღებს, მოგატყვილანს, მოტანა არ იცის ან რაღაცას, რა ვიცი მე... აი პირიდან სიტყვას წაგართმევს და სხვას ამბავ მიუტანს, რო ამამ შენზე ესე თქვა.

— რა ქვია ეგეთ ადამიანს?

— ენამათრეველაჲ. ენამათრეველას ვეძახით ჩვენ ეგეთ ადამიან.

— ტლიკინა ქალს... მუზი, მუზ უძახიან მაგასა, რო აი, მუზი ყველგან ენას ატარამს, მაგაზე ამბობენ ორმხრივ ენა ამბიაო, ტ...შიც ენა ჰქო და პირშიც ენა ჰქო და არ გაცლისო, რო ვინმემ რაღაცა თქვასო, რო... ან მოვა, შენგან, უნდა რო ერთი სიტყვა... წაგართვას პირიდან, წაიღოს და წავა, თელ ქვეყანას მოსდემს... ვიტყვით ხოლმე: — იმამ იცის, მოსკოვმა იცის! — ეს ამბავი. იმამ თუ იცის — მოსკოვმა იცის, ისეთ ადამიანზე გამოითქმევა ეგა, რო იმის პირში არაფერი გაჩერდება.

...ვებნევი ხომე (ქმარს), აეხლაც ვჩხუბომთ ხოლმე, როცა რო საქმე დამძალამს, და მეც ვეწვალები... ვებნევი:

— შენ მიწამ პირი არ გიყო! ნუთუ არ გეცოდები, ეს სხვის შვილი რო ვარ, ასეთი რამე გამიგია, ასეთი რამე შეიძლება-მეთქი? ხო ცოტა ხელი'ნა ამიკრა. — მეც არ შემიძლიაო და შენ რა ხელი'ნა აგიკრაო. მე როდის გითხარიო, რო წავიდეთო (შვილებთან), ეხლაო რო მოტყდი და მოტყდიო, მებნევა, აღარ შეგიძლია, მე ნუ მაძალამ საქმეს. მეო ქალის საქმეს შენ ვერ გაგიკეთამო. მაგას მე ძროხას ვერ მოვაწველინამ, შვილო, პურ ვერ გამოვაცხობინამ, ცომ ვერ მოვაზელინამ და ვებნევი, ეს გარე საქმე მაინც გამიკეთე, ან ხბო მოიყვა, ან წაიყვა, ან დაალევინე წყალი ან რაღაცა. მაგაზე ხომე ვკამათომთ.

...იმას პირში ვერაფერ ვერ ვეტყვი... — ისეთში წადი, რო ცოცხალი არ მოდი-მეთქი, ვეტყვი, ძალიან რო გავბრაზდები.

## მეზობლები (აჭარლები), ფრაზეოლოგია

...ვეტყვი ხოლმე... აი, ბევრი ეს აჭარის ქალებია, ვეტყვი, რო, შვილო, ესე მოიქეცით, ესე გააკეთეთ. ჩვენ კუთხეში ესე ვაკეთამთ. ეხლა მაგათ ეს ერბოს დადნობა არ იციან ეგრევე კარაქ შეინახებენ, კარაქი მწარდება. იმ კარაქ მაინც სჭამენ, წარეა თუ ტუტეა თუ რაგორი გემოვნებისაც უნდა იყვეს, იმ კარაქ მაინც სჭამენ. მერე ერთი-ორჯერ ქალებმა წამიყვანეს და დამადნობინეს ერბო, რო დავინახოთ, როგორ აკეთამ. დაუდნე ამათ და ძალიან მოეწონათ, ეს ჩვენი გაკეთებული. მე უთხარი, კაცო, რო სწვამ ეს ხახვში, ეს სულ ხარჯია, რამეა... რო ადნენთ თქვენაო, ბევრი აკლდებაო და...

— რო სჭამ მაგ ნაგავსა და იმასა, ეგ რა არი!

ზოგსაც რო არ ესმის და ელაპარაკები. ხელს ჩავიქნევ და ვიტყვი: — რაც გინდა უქნია, ყველამ თავისი'ნა ქნას, რაც უწირია, ის ნა წიროს და ტყვილაზე მე გლახა რაღათ ვხდები, რაც უნდა ის გააკეთოს, როგორც უნდა, ისე...

...რო გითხრა, პურ ყოველდღე აცხობენ (აჭარლები), ვეტყვი ხოლმე, კაცო, რო ახურამ ფეჩსა, რო აცხომ, რაღაცას შვრები, ორ დღისა გამოაცხე, თან შენ დაისვენამ, ახლა თან სხვა საქმეს გააკეთამ, რო პური აღარ გექნება გამოსაცხობი. ასე, შვილო, და ეგენი მაინც თავისას არ იშლიან.

— კარგი ურთიერთობა გაქვთ?

— არა, კარგი გვაქ. ისე შევეჩვიე ამ ხალხსა. ეხლა, ჩემი ბიჭი იტყვის, არა, დედა, აღარ შეიძლება თქვენი აქ დატოვება. ვეტყვი ხოლმე, ჩემ ასაკის ხალხი არ არი ეჭ მეთქი და: — შენ ნუ გეშინია, არიანო და შენაო, მეტყვის ხოლმე, — როდი იყო რო შვილი თავის დედას და თავის მამას აძაგემდა, როგორიც უნდა გლახა ვიყვეთ, შვილისთუნ მაინც დედა

ვარ, ხო? — ხოდა, შენ ისეთი ხარ დედაჯანო, რო ყველასთან იოლათ გახვალო. — არა ვარ, შვილო, ნახო, ვარ? რა ვიცი, რაგორი ხალხი იქნება, ავჰყვები? მარამა უნდა ახყვე, კაცო! ახყვები თუ არ ახყვები — უნდა ახყვე! სადაც წახვალ, იქაური ქუდი დაიხურეო. აჰა, რა ვქნა?

ქება:

კარგი თავაზიანი ქალია, მიდგომა აქ. ადამიანთან რო ადამიან მიდგომა ექნება, შვილო, ადამიანთან მიყოლა აქ. აი, ერთ სიტყვიდან გაუგებ იმის აზრსა და იმი გულში რა არი და რაგორი ბუნებისა არი, უკვე გაუგებ, შვილო და აჰყვე'ნა: — არამ შენი ქნასო და შენ არასიო!

ეგრეა, შვილო! — რო ელაპარაკები და არ გაიგემს, — არა, იმამ თავისი'ნა ქნას მაინცა. დაანებე — არამ შენი ქნას და შენ არასიო. ჩაიქნიე ხელი და: — ჰო, ჩემი რო გაიგე, ეხლა შენ ჭკუაზე მოვჰყვები, იქნებ შენი ჭკუა უფრო აჯობამს ჩემ ხმას. უნდა მიჰყვე'ნა, შვილო, მეტი გზა არ არის.

შავ ქალზე, აი შავი ქალი რომელიც არი და ან ახალი რძალი მოიყვანეს და ჯერ არ გვინახია. და ვიღაცას უნახია და ის გვეტყვის ხომე: თათრულათ: ბუხტარანგიაო — აი, დიკისფერია, დიკა ხო იცი, ხორბალი, ესე გამოთქმით იტყვიან, არ იტყვიან, რო შავია. თეთრ ქალზე: — ასეთი ლამაზია, რძიფერი ქალია.

ქალი რო არ მოგეწონება: — არ არი ბიჭის საფერო, ვიტყვით ხომე, არ არი ამ ბიჭის საფერო. ვიტყვით ხომე რო: — ფასტურმასავით არი, ჩვენ რო ფასტურმას ვეძახით, ხორც რო გაკიდებენ და გახმება მზეზე, ჰო! — ფასტურმასავით შავიაო. აი, ახალი აპარელი ჩამოსახლდა აქა და ქალი მიეყვანა. თითონ ისეთი კარგი ბიჭია, რო... შეხედულობაც კარგი აქ, თვალათ-ტანათაც კარგია. ეხლა გავლაზე და აგებულობაზე... ისე როგორია, რა ვიცი მე — გაუჭრელი საზამთრო! — რა ვიცი, რაგორია. ვთქვი, ნეტა ეს რო კარგი კაცია და ნეტა ქალი თავი საფერო ჰყანს? ქალიც ვნახეთ და არა უშამს, თითქმი შესაფერებია, მაგრამ ბიჭი ჟჯობია. ბიჭი ჟჯობია ქალსა. ქალიც არა უშამს, მარა, ისე მაინცდამაინც ის არ არი, რო ვთქვათ — ნაჩარი, მარამა, მაინც შიეფერება.

— ნაჩარი რას ნიშნავს?

— დაბალი რა, ბიჭზე დაბალი, ბიჭი მეტია! ჩვენ ნაჩარს ამას ვეტყვით, რო ნაჩარია და ბიჭის საფერო არ არის.

...რო გეტყვიან, რო ესეა ან ესეა... რა ვიცი, საზამთროს რო იყიდი, ხო გაუჭრელია, ხო არ იცი, როგორია, გინდა ადამიანი, გინდა საქონელს ვიტყვით, გინდა რაც გინდა, იყვეს, რო ჯერ არ გინახია და აქო და ადიდო... ვიტყვით ხოლმე, რო, რავი, გაუჭრელი საზამთროა! შენ ბედიღბალში რაც გამოდგება, ის არის...

...რძალი რო მოვა, და რო იტყვიან, რო რაგორი ქალია? — ძალიან

კაი ქალია, ისეთი კარგი ქალია, რო... ვიტყვით ხომე ერთი მეორეში, რო, ის არის, ჯერ ახალი ცოცხია და კარგათ გვის, მერე რო ცოტა დაძველდება, მერე გავიგემთ კარგია თუ გლახა. ასეთი გამოთქმები არიან.

...უი, თქვენ გეკუბანოთ ბაბოდ — ვეტყვი. გეკუბანოდ რა არიო, — ეს ზედმეტი მოფერება არი-მეთქი.

„შენ წამლათ დეგედე, შენა"! — ეს ვიცით. ეს მეტი მოფერება... რა ვიცი, რაღას არ ვებნევით, „შენ გენაცვალე" და „შენ გეყურბანე" და „შენ დაგედე" და „წამლათ დეგედე" და...

...მე რო ვიღაცა რამეზე დავისაქმო, შვილო, თან ბოდიშით ველაპარაკები, რო გენაცვალე, რა, აის ხბო მამიბრუნე, ან ის ვირი მამიყვანე, გენაცვალოს ბაბოდ, ვეტყვი ხომე, თან აი, ბოდიშ გიხდი-მეთქი.

— ბაბო ბოდიში მოხდა არ გინდა, ისე მოგიყვანთ; — რო ვთქვა ისეთი კარგი ბავშვებია ეს აჭარლი ბავშვები, მართლა გებნევი, დაუზარავი ბავშვებია. რა ვიცი, ჩვენთუნ ასე არიან.

...ეს ხალხი შვიდი-რვა წელია აქ არიან, შვილო, და ჩვენთუნ არ უთქვიათ, რო აი ექ ზიხარ და აექ დაჯექ და თვალ-ზეიდან წარბი გაქ. ასეთი კარგი... ჩვენთან, პირადათ ჩვენ ოჯახთან აგრე არიან.

— აი, რაღაცა რო ის ქნა, პატივი რო სცე, რაღაცა... ჩვენებურათ რაღაცას ან გაუკეთამ, ან ბიჭებ დავაძახებინამ, კაცებ რაღაცა, აი, ხინკალ ვეტყვით ჩვენა, მაგათ ცომის საჭმელი არ იციან, კიდე ჩვენ თათარ-ბერაკ ვეტყვით, რავი თქვენც იცით თუ არა, თუთმაჯ ვეტყვით, ეს ძველებური შემორჩენილი საჭმელებია. ბევრჯერაც გამიკეთებია მაგით ოჯაღში, ისეც აქ რო გამიკეთებია, დამიპატიჟია, მიჭმევია. რა ვიცი, ახლა შეიძლება არ მიეწონათ მარა მაინც ამობენ რო, არა, კარგიაო. ამათ კიდე სულ სხვანაირი საჭმელები იციან ჩვენებურ საჭმელებს არ წააგავს ამით საჭმელი. რა ვიცი, რაღაც... იციან, რაღაცა რო პატივი სცე, იმას დაინახებენ, მერე ეცდებიან, რო ამამ რო ეს პატივი გვცა, რითი გადაუხადოთ. იციან, ეგეთი რამე.

აჰყვე'ნა, შვილო, შენც'ნა ახყვე იმით ყაიდას, სულ რო თავალას წყალი აუკიდოთ, შვილო, არ შეიძლება.

— მაგას რა დროს ამბობენ?

— აი, რა დროს იტყვიან, შვილო, რო ის მაგალითათ რაღასაც ან პატივ გცენს ან რაღასაც იმას გიშვრება, თბილათ გიდგება, ხო და შენ უკუღმართათ თავალას აუკიდო წყალი, გაუკრიტიკო სიტყვა რო: — არა, გინდა არა, ესე'ნა იყვეს და ესე არ'ნა იყვეს.

— კიდე რას ამბობენ?

— ჯიუტ ადამიანზე, შვილო, — უკუღმართი, აი ჯიუტი, უკუღმართი, რო შენ გინდა რო... ებნევი ფესე წადი და ის სხვა გზაზე მიდის

— ვირივით, რომ გელაპარაკები, ვირი ხო არა ხარ, გაიგე, რო გელაპარაკები, ამ გზაზე ნუ წახვალ, აემ გზაზე წადი! უკუღმართათ რათ მიდიხარ? სწორე გზაზე გაიარო? მაგ იმით გამოვთქვანთ რო, ესე იგი, ვირი შენზე ჭკვიანია!

— პირი აქეთ არ ქნეს — არ მოვიდნენ.

## ოჯახი, მეურნეობა

ჩემ ბიჭ ვატარებდი (ჩამოსახლებული აჭარლებისგან მიტოვებულ სახლებში, მ.ბ.): — ნახე, შვილო, რა კარგი სახლებია-მეთქი, პოლი, ვანა, გათბობები-რამე, რემონტი, მარტო'ნა შეხვიდე და დაალაგო ვეში და იცხოვრო. ზოგ ოთახების კარი არ გააღო და არ შევიდა, რო არ უნდოდა მოსვლა. ახლა აღარ გვაყენებენ, მაგ ასაკის ხალხიო... ზაფხულში კიდევ ხოო, და ზამთარი რო მოდის და თოვლი წვება, ჩვენი გულისყური აქ არიო...

ვერაფერ ვერ ვებნევით. ასე ვართ, გადაუწყვეტელი ვართ. რო იტყვიან, შვილო, რო აღელებულ წყალში შეხვიდე, დიდ მტკვარში. აღელებულ წყალში შეხვიდე და ვერც გაღმა გადიხარ და ვერც აქეთ გამოდიხარ და შუა წყალში დგახარ. ჩვენ ეხლა ემ მომენტში ეგრე ვართ. ვერ გადაგვიწყვეტია ვერაფერი! გვაძალებენ ბიჭები, არ შვრებიან.

...გორის რაიონია, იქვე გორზე მიბმულია, რკინიგზა ყემს შუაზე, ხიდისთავში. დიდ ბიჭს გორში აქ სახლები და პატარასა ხიდისთავში აქ. ჩემი რძალი, ბუღალტერია მთავარი, შვილი მასწავლებლათ მუშაობს. დამთავრებულები არიან სუყველანი, თავეთ ცოდნა აქთ.

...ძალიან ძნელია, შვილო, ძნელია. იმიტონ, შვილო, რო ეს თელი ზამთარი უარო'ნა, აპამო'ნა, ის ქნა'ნა... მერე რო ხბოს მოიყვანს და ამ ქორფა ხბოს ხო გაზდა უნდა, პატარა ბავშვივით'ნა გაზარდო. განა შენ არ იცი, ამ კუთხის ქალი ხარ და გეცოდინება ეგიები. მერე, შვილო, რო ხბოს ძუძუდან მოაშორებ და იმას მოწვიება აღარ უნდა, ახლა ეს ძე. ძეს ყოველდღე წუწვა... ძე წუწვა არი, მა რა არი. ეს დაწურე, აგერ სეპერატორი მიდგია, სეპერატორში გაატარე, მერე ყველი ამოიყვანე, ჩეჩილი. ძე რო შეცოტავდება მერე თავი ყველ ვაკეთამთ, თორბებში ვდებთ თავის ყველსა. მანაანდე ძროხა მოვიდეს, საღამოს ძროხა მოვიდეს, ამ საქმიებ ძლივს ვრჩებით ჩვენა. თელი დღე... ეს ყველი... ამ ძეს რო გაატარამ სეპერატორში, იმას ხო გაკეთება უნდა, იმას ხო გაკეთება უნდა, რო ყველი აი, წუთობრივ გადასცდა და ამჟავდება რო ჩეჩილი გააკეთო, ამოიყვანო, ჩეჩილი გააკეთო. ახლა ეს ჭურჭელ ხო დარეცხა უნდა, შვილო, რო: ვედრა არი — უნდა გარეცხო, ქვაბია — გარეცხო, რო საღამოს ძროხა რო მოვა, — ექვს ძროხას ვწველამ. ექვს ძროხას

ამ ასაკის ქალი მოსწველამს?

ეგრე, შვილო, მაგაზე ვცოდვილომ. იშტა კარგია, რო სოფლიდან მოშორებული ვარ. აქვარის ხალხი იქით არი და მე აქეთ ვარ, ამ კუთხეში. იმით არი კარგი, რო ეს საქმე მაძლებინამს. თელი დღე საქმეში ვარ, მე ხო ესე არ ვზივარ. ეხლა შენ იყავი, დავჯექი თორე, აეს ნაცარი მაქ ასაკრეფი, ჟურჟელი მაქ დასარეცხი...

— მოგაცდინე!

— არა უშანს, ყოველდღე შენ ხო აქ არ იქნები. მერე ეს შემოდგომა გახდა, ეხლა უკვე ძე შეცოტავდა. ეხლა მაწონს ვაყენემთ და ვსწურამთ. ჩვენ გაწურას ვეტყვით. აგერ პარკში ჩამისხია?! ეგ გაიწურება მაგრა, შვილო, ეგ მაწონი და მაგას ჩავდებთ ქვაბში, დავზილამთ კარგათ, რაგორც ცომი დაზილო, რავი, თქვენ შეიძლება არ იცით ეგა, დავზელამთ კარგა ჩავდემთ, პირ მოულესამთ. შეგიძლია პირზე ცოტა ერბო დაასხა, რო ჰაერმა არ იმუშაოს და შეინახო ისე, რაგორც დღეს გააკეთე ეგრე. მერე, ზამთარში, შვილო, აშლი იმასა, ძროხები რო უკვე დაშრებიან, მანამ ხბო მოიყვანონ, ხო ჭამა გინდა! ავშლით ჩვენ ზამთარში მაგასა და ცოტ-ცოტას... თუთმაჯია, ხინკალია, ფლავია — ფლავსაც უხდება მაწონი, ყველაფერ გავაკეთემთ და ვჭამთ.

— სხვა ძის პროდუქტებით, შვილო... ძიკორკოტას ვეძახით. კორკოტს ჩავაყრით, დაფქვილ კორკოტს ჩავაყრით, მერე ზედ, რო მოიხარშება, ძეს დავასხამთ ზედა, მარილ უზამთ. — გინდა მარილი უყავ, გინდა შაქარი უყავ. მაგიებ ვაკეთამთ. ძეს ავადუღამთ. პურ ჩავიყრით, თუ ძველი პურია, ფაშარ პურ ვეძახით ჩვენა, ჩავიყრით ვჭანთ. მაწონ შევადედანთ, ვჭანთ. აჰა, ზაფხულის საჭმლები ეგ არი, ზაფხულში ხო ძროხას და იმას ვერ დაჰკლამ. ზამთრობითა ღორებ დაჰკლებენ...

...ისე კარგათ ცხოვრობენ, რო ერთი ხელი თაფლში აქთ და ერთი ხელი ერთბოში აქო, — ესე ვიტყვით ხოლმე, ესე გამოვთქვამთ სიმდიდრესა:

— იმით ოჯახში რო შეხვიდე, გამოსვლა არ მოგინდება...

ნათქვამია, რო საცაო მოხუცი და გასათხოვარი გოგოა, იქ საქონელი მრავლი'ნა ჰყანდეთ. რო გაათხვიამ გოგოს, ქორწილზე დაგჭირდება... მოხუცია, შვილო, და წინ გიდევს, ნა განისაზღვრო ესა, მოხუცია, იქნებ რა ემართება, კაცო, მერე უცბათ სად'ნა წახვიდე. ვის'ნა მიაკითხო, მოხუც ხო გაპატიოსნება უნდა, შვილო, ღმერთმა ყველას აშოროს... იქ მრავლი'ნა იყვეს საქონელი, საცა მოხუცი და გასათხოვარი გოგოა.

— ეხლანდელი სიზმარი, რო ხე ფოთელ ჰყრიშ და გლახა სიზმარი ნახო, იმას იტყვიან, რო არაფერია, ეს არაფერია, ნუ გეშინია! ერთიც, გაზაფხულით რო წყალი ადიდდება და რო აინღვრევა წყალი და ღვრია მიდის წყალი, მანამდე ეს თოვლი-რამე ჩამოშრეს და... ერთიც მაშინ არაფერი არ არი. (შემოდგომისა და გაზაფხულის სიზმარს არ დაეჯერება, მ.ბ.)

— მე, ამბავი, შვილო... მე მოპარით ვარ, მოტაცებით ვარ, რა მოგიყვე, შვილო. მე მოტაცებით ვარ და ისე ხო ვიცი, რო, აი...

აი, ჩემი მოპარა შენ რათ გინდა... ჩემი მოპარა, შვილო, ისტორია არი, რო დავიწყო ახლა, მე როდის გავათავამ ამას. ჩემი მოპარა, შვილო... ეს სოფელში იყო, მეც სოფელში ვიყავი. ეხლა რო გითხრა, ეს კარგი ვაქკაცი იყო, რო გითხრა, მე მჯობდა, სიმართლე გითხრა. ეს ღარიბ ოჯაღიდან იყო და ჩემი მამა-პაპა და ჩემი სამშობლო ძან დიდარი იყო, რო პირველობა ეჭირათ სოფელში სიმდიდრეზე და გათვალული ოჯაღი იყო ჩვენი ოჯაღი. ჰოდა ამამ... ამამ დაიჭირა ჩემზე თვალი-რამე, ილაპარაკა... მე, ეს... კი არ იმას ვშვრებოდი, რო, ის არის, ამას გავჰყვე, არა! გულში არ მქონდა გადაწყვეტილი, რომ მე ამას წავჰყვე და ისე, გოგო რო ვიყავი, ვითომ იმას ვშვრებოდი, ვდიდომდი, რო ბიჭ ჩემზე თვალი უჭირამს. — აი, როგორ მალაპარაკამ. — ესე, ესე და მე ძმიები კარგი მყავდა და იმით შიშით ეს ვერ გაბედემდა ვერაფერ. ამას წრე დაღალი ჰქონდა

— როგორი?

— დაღალი, ესე იგი დაბალი ფენა.

— და ჩემი ძმა ეტყოდა ხოლმე... ჩემ ძმამ გაიგო, რო ამას ჩემზე თვალი უჭირამს:

— მეო კარებს ღია დაფტოვამო, ოღონდ გაბედოს და შემოვიდესო და ხელი მოჰკიდოსო, მერე რო ხელ მოჰკიდამს და შემოვაო, მე თითონ გავატანო, მე თითონ ავაყენამ ჩემ დასაო და აი, ხელში ჩავაბრი და გავატანო, ოღონდ გაბედოსო და შემოვიდესო, მარტო გაბედა უნდა, გაბედოს და შემოვიდესო. აი, ყველაფერ ვჰფიცამო, — ამბობდა საწყალი ჩემი ძმა, აღარა მყავს ისა, — კარებ ღიას დაფტოვამო, არ დავკეტამო, ოღონდ შემოვიდეს და გაბედოსო.

ეს ჩემი ძმა აქ არ იყო, ამამ დაიგულა, რო ეს ძმიები ამისი აქ არცერთი არ არის, ჰოდა, წინათ ურმებით ბჯას ვეზიდებოდით, გოგუები. სოფელი დიდი იყო ძალიან, — ბჯას ვეზიდებოდით და ეს მოვიდა. ღამეა! მოვიდა და მე გულმა ძგარა-ძგური დამიწყო, ვთქვი, ეს სახეიროთ არ მოვიდა აქა, ჩემთავათ ვთქვი, მე კი არ მქონდა გადაწყვეტილი, რო ამას გავჰყვე, — არა, ეხლა დავბერდი და ეხლა ხო აღარ დავმალამ... ...ეს ძირს ვეძახით ზვინსა, თქვენც გეცოდინებათ, ბჯა, — ჩქარა ქენეთ, როგო ნელა აყრითო, — ამამ ესე თქვა, — ურმებიც ბევრი იყო. ერთი შვიდი-რვა ურემი მაინც ვიყავით. მე კი ვეღარ ვაყრი, უკვე სულ მოვდუნდი. მეთქი, ეს აქ რატო მოვიდა ამ დრეს. ძირი რო დადაბლდა და უკვე ზედ ამოვიდა და... თმიები ზედ დაიხვია ესე ხელზე და ძირიდან გადმამილო და მეურმიებ უთხრა რო, დედას გიტირებთო, არავინ სოფელში

ფეხი არ გაადგათ, მანამ მე მანძილ არ ავიღემო. აჰა ეგრე და წამიყვანა, შვილო, ჩამიყვანა, მირაშხან ვეძახით, გეცოდინება. ეგრე წამიყვანა, დეიდა ჰყამდა, გალმა რო სოფელია, აგარას ვეძახით, დეიდა ჰყავდა იქა. მტკვარში გამიყვანა და აგარაში წამიყვანა. მერე მოვიდნენ ჩემი ძმიები, დიდი ამბავი, ყვირილი, შამათა, ჩხუბი, ომი, დიდი ამბავები მოხდა მერე.

საწყალი დედაჩემი გამოვიდა და... (არ უნდოდა) დედაჩემი გამოვიდა და ასე უთხრა, გამოხყვები (გამოგყვები) და ჩემ შვილ არ მოქცემო, ათშვილიან გავატან და შენ არ მოქცემო. ახლა მე მოვხუცდი, შვილო, ხო ასე არ ვიყავი, გოგო რო ვიყავი.

მერე ჩემ ძმამ უთხრა, კარგი, დედაო, მაგ სიტყვებ ნულარ ხარჯამო, არ შეიძლება მაგის დახარჯვაო. მერე ჩემ ძმამ მითხრა, რო, ნინაჯან ეხლა სახლში წაგიყვანო, ქორწილით გამოგაყოლამო, ქორწილ გადაგიხდიო. — დედაჩემი არ შერებოდა და ოჯახში რაგორღა მიმიყვანდნენ — ვერ მიმიყვანდნენ, დედაჩემი სულ აი, ქვას აგდემდა თავ უშვერდა, რო არა! არა! მარამ არა... დეე სამი-ოთხი დღე ეჰყანდი გარეთა და უკან დაბრუნება აღარ შეიძლებოდა. ეგრე, შვილო! ეგრე იყო... ჩემი ქორწილიც ეგრე იყო.

მამანთილი არ მყანდა და დედამთილი მყანდა. მე რო ამოველი, მამანთილი არ მყანდა. დედანთილმა კარგათ მიმიღო. ყველას ვუნდოდი მე ოჯახში, ამით ოჯახში რო ვთქვა, სუყველას ვუნდოდი, მულიც მყანდა, მაზლებიც მყანდა... უუ, ძალიან უყვარდი, ძალიან, რო მეტი არ იყვეს, ძალიან, ვუყვარდი, რო მეტი არ იყვეს, დედანთილმაც კარქათ მიმიღო, ბოლომდისაც ეგრე დაამთავრა. ჩემი დედანთილი პატარა შვილთან გორში იყო, მაზლთან ჩემ... თავი შვილთან და სულ მუდამ ამოდიოდა აქ დაჩათა. სუ მუდამ ჩემთან მოდიოდა.

## საუბრობს რამდენიმე მთქმელი, გოგაშენი, 1997.

— არა, არა, ახალი ქორწილი (ჲ)ჯობია, ძველი რა იყო.

— ქორწილი რო იქნებოდა, ერბო-კვერცხ შესწვენდნენ, ოთხ ქადას დასდენდნენ, ქადას გამოაცხენდნენ, სინით. თუ სინი არ იქნებოდა, ცხრილი იყო, აი პურ რო ვაკეთემთ (პურის გაკეთება — ხორბლის გარჩევა). ჩასდენდნენ... ჩასდენდნენ ერთ სამი-ოთხი კვერცხის ერთბო-კვერცხ, გადააფრიდნენ გაზეთ ან ტილოსა და წაიღენდნენ და იძახდნენ, ქორწილი იყო: — ამას ეს მოურთმევია, ამას ეს მოურთმევია.

— რა ერქვა მაგას?

— შიფრა! (?!) (სიფრა)

— თუ ჰქონდა მეტი შეძლება, მაგალთათ ნაჭერს უდენდნენ, ზოგი საროკკას დენდა, ახლა როგორც ეხლა პერანგები და რამეა, წინათ ასე არ იყო, სად იყო ამდენი. კექს ვაცხენდით აი, ბურჟავაკები იყვნენ.

ბურჟავაკებში ჩავასხენდით, კექსი იყო. ზოგ კექსი მიქვონდა... ეხლა ის აღარ არი, ბურჟავაკები, თუ კექსი გამოვაცხეთ — გაზში.

ხუციშვილი-ნადირაძე ლოლა, დაბ. 1919 წ. ახალქალაქი, ოკამი (1997 წ.).

## გადასახლება

—...თათრები იყვნენ ოთხმოც კვამლაანდე. ისინი იყვნენ, რვა კვამლი იყო, ცხრა... აბასაი, თოროი, შუქრიაი, ფიროი... ფიროდ ერქვა სახელი.

— თათრებ?

— ხო, გოგო, ძველებ.

— ეს კაცების სახელებია, თუ ქალებისა?

— კაცებისა!

— ქალებიც იყვნენ, მარამ, ქალები იმდენათ, რო გითხრა სიმართლე, ერთი სონად ერქვა ქალ, ჩვენთან იქ ქალი მუშაონდა... დანარჩენები... (ქალებთან ნაკლებად ჰქონდათ ურთიერთობა, მ.ბ.)

— რა გვარები იყვნენ?

— ხაშილაძე... გოგალაძიები.

...მოვედით, ვინც ზოგი წინ წამოვიდა ახლა... გამოიწია ზოგმა, წავალთო, იქითო კარქათ ვიცხოვრანთო. ჩვენთან წყალი არ იყო, ჩვენთან, ქილდაში, წყალი არ იყო და აქ ხალხი რო მოვიდა, ნახეს რო წყალი კარქა არი, გაიწიეს, გამოიწიეს, რო გინდა თუ არა, — გინდა თუ არა, კარქა არი, წისქვილები... გაღმა წისქვილები იყო ჭალი პირზე. — გინდა თუ არა წავიდეთო. ახლა ეს ხალხი რო წამოვიდა, ეს ნაწილი ხალხი აღარ მოდიოდა, — გინდა თუ არა, მანქანები მოიყვანეს, დაგვსვეს და მოგვიყვანეს აქა.

— ბევრი ხალხი ძალით წამოიყვანეს, ბევრიც... ნახევარი ხალხი თითონ წამოვიდა, ნახევარი ხალხი — ძალაუნებურათ...

— ის ხალხი წამოვიდა, გაიყო! „გინდა თუ არა შენც'ნა მოჰყვე!"

ორმოცდაოთხში გადმოვედით. აქ რამდენიმე... უბრალოთ... ძირითადი ესე... ოთახები იყო. დანარჩენი სულ მიწური სახლი იყო, ვერ გაუვლიდი, ...

ორმოცდაოთხში გაასახლეს, შომოდგომით გადმოგვიყვანეს ჩვენ, მალატინკაზე ვმუშაონდით. აეე ზარიძე იყო, კოთელიელი იყო არა, ოთარ, მოვიდა: — გინდა თუ არა'ნა წახვიდეთ! — დაგვაყრეინეს მალატინკაზე სამუშაო და ჩაგვსვეს და წამოველით ერთიან, მოველით აქა. ...ნაწილ-ნაწილ გადაველით, ი სამუშაო დავამთავრეთ, ხო აღარ დავტოვდით... აქ მოველით, ზოგმა... კაი ადგილები აიღეს, სახლები... ზოგი სულ ისე ჰეჰერათა საღორეში შევიდნენ და დადგნენ. აქაც იყო,

ზოგი ფუხრათ იყო, ზოგი კარქა იყო...

ისე კი სახლებში ბევრი რამე დარჩათ იმათ, საქონელიც ისევე დატოვეს...

— მოსავალიც დატოვეს?

— არა, აღებული ჰქონდათ, ჩაყრილები ქონდათ სულა... ჩაყრილი იყო, ისეთი კომბოსტვიები იყო, რო ათი და... რვაკილოიანი კომბოსტოზე ქვეით არ იყო, ხახვი, შალღამი, მოკლეთ, ბოლოკი — სუყველაფერი ქონდათ დათესული, სულ! ისეთი ხახვი იყო, რო დიდრონი... ჰო, იყო, შვილო, იყო, ისეთი ხახვი... კაი მოსავალი იყო. ქერები... რო შესულიყავი ამ სახლებში ძლივ ეტეოდა ამბრები, ძველი სახლები იყო, მიწური სახლები, მაგრამ სახში სულ ამბრები ეწყოთ, სამსები, აი, ჯაშიკები დიდრონი და გამსული შიგ ქერი და მარცვალი.

— ამბარ რას უძახით.

— ამბარს თუ მაზამბარსა?

— ამბარ უძახით ჩვენ, დიდვრანი შეკრილი ფიცრისა.

— ორმები?

— ორმებიც არი. ეხლა ბევრ კარებზე რო მიხვიდე, ორმიები დღესაც არიან დანგრეული. გარეთ ჰქონდათ ორმიები და ჩაყრილი მარცვალი.

— ლოგინი კი წაღებული იყო... თუ სადმე იყო დარჩენილი... მაშინ გაჭირებული ხალხი იყო და შეიძლება შეიტანა. ჩვენ, მეტი წილი, გადმოველით და აღარაფერი აღარ იყო.

საქმელ-სასმელი წამოვიღეთ ჩვენა, იმათ ხო აღარ დიეტოვათ. ზოგ ცხვარი დიეკლა, ზოგ ქათმები დიეხოცათ. ეგენი ხო ღორ არ ინახენდნენ. საქონელი დიეკლათ ზოგსა. ერთიც დიეტოვათ ისევე და ანდგარიყვნენ და წასულიყვნენ. იმ პირობაზე გაიყვანეს, რო — წაგიყვანთ და ისევ მოგიყვანოთ ნაწილობრივო. თუ გინდათ იქ დარჩებითო, — დარჩით, თუ არა, ისევ თქვენ ბინებზე მოგიყვანთო. — ე, ვინღა გამოუშვენდა, წაიყვანეს. ვიღან მოვიდოდა აქა.

— გამსახლებლები ვინ იყვნენ მაშინ? როგორ ასახლებდნენ.

— ჩამოვიდნენ იქიდან ხალხი, თბილისიდან..

(სხვა ერევა საუბარში: — ყველა ოჯახზე თითო მანქანა იყო, სტუდაბეკერებ ეძახდნენ. ორი სალდათი — ერთი მანქანა, ორი სალდათი — ერთი მანქანა! მოაყენებდა კარებზე. უკვე იცოდნენ, გეგმა ჰქონდათ. — გამოიტა, რაც გაქ შენი ოჯახის — ერთ მანქანაზე ერთი ოჯახი თუ ერთ მანქანაზე ორი ოჯახი? (მოხუცი ეკითხება).

— მაშინ ცოტა იყო, შვილო, რა ქონდათ, იმდენი არ იყო. ჭურჭელი იმდენათ არ ქონდათ, შკაფები არ ქონდათ. ორი, ორი, ოჯახი იყო. არც ატანდნენ ბევრს. წაიყვანა ეს საქონელი, გაიყვანა (მთავრობამ მ. ბ.), იმათი საქონელი თითონ წაიყვანა და: — თუ შემთხვევა არიო, რო მოვლენო, ჩვენ დეეხმარებითო, უკან დაუბრუნამთო, თქვენ რა საქმე

გაჭთო. თქვენ მოგიყვანეთო და თქვენ საქონელ მოუარეთო. იმათი საქონელი აქ აღარ დაგვიტოვეს.

იმ რვა ოჯახ, ქილდაში რო იყო, იმას მეზობლონდნენ, ამხანაგონდნენ. იმათ ძალიან კაი მოზობლობა ქონდათ. ორ ბრიგადაში მუშაონდნენ ეს თათრები. ერთი პირველი ბრიგადა იყო, ერთი მესამე ბრიგადაში. ოთხი ბრიგადა იყო მაშინ, ხალხი ძალიან ბევრი იყო, კოლხოზი იყო სოვხოზი კი არ იყო, კოლხოზი იყო.

— ერთმანეთში ჩხუბი იყო?

— არა, არა, არა... ისეთად მიდიოდა ხალხი, რო ძან კმაყოფილი იყო.

— სკოლაში რა ენაზე სწავლობდნენ?

— ქართულათ. რამდენიმე კვამლი იყო. გაყრილები იყო, ახალი გაყრილი ხალხი იყო. სწორედ ბავშვიც არ ყანდათ. თითო-ოროლა ბავშვი იყო, მიიყვანეს სკოლაში. ჩვენ ენაზე. ჩვენ ენაზე ისწავლეს. ბევრმა თათრული კი აღარ იცოდა, ვინც იყო, სულ ქართულათ ლაპარაკონდნენ.

— ძველი მაცხოვრებლები იყვნენ?

— კი, კი ეგენი ძველი მაცხოვრებლები იყვნენ.

რა ვიცი, ეს ხალხი რო გაასახლეს, ისინიც გაასახლეს. არ უნდოდათ იმათ წასვლა. ძალაუნებურათ გაიყვანეს ის თათრები ჩვენგან. ჩვენაო შეთვისებული ვართო და იოლათ მივდივართო.

— მეჩეთი ქონდათ? სად ლოცულონდნენ ისინი!

— სად ლოცულოდნდნენ?! — მოვიდოდნენ, დასხდებოდნენ ეკლესიასთან, ჩვენ ეკლესიასთან ლოცულონდნენ. სადაც ჩვენი ხალხი შედიოდა. ხო გეუბნები, ერთი რამდენიმე კვამლი იყო, მერე გაიყარნენ. ჩვენ ეკლესიაში იყვნენ ეგენიც. არ ვანსხვავებდით. არც ისინი გვანსხვავებდნენ და არც ჩვენ. სულ, სულ... ახლა აქ არიან სომხები. როგორც აქ არიან, ისეც მაშინ თათრები გვყვანდა ჩვენ.

— წესი და რიგი დასაფლავების...

— დასაფლავება... მაგათ განსხვავება ჰქონდათ. ჩვენც მივდიოდით. ჩვენნაირად არ მარხენდნენ მიცვალებულ.

— სოფელი მიდიოდა. არ ირჩეოდნენ ხალხი. ჩვენი დიდი ხალხი იყო, მაგათი იყო რვა კვამლი. მაინც ჩვენ ხალხიდან არ ერჩეოდნენ.

— ნათლობა როგორი ქონდათ?

— ნათლობა... ქალიშვილ არ ნათლენდნენ. ბიჭსაც ის უნდა წააჭრან. ეხლა აქაც ასე შვრებიან ეს აჭარლები და არც მარხებენ აქა, მიჰყანთ თავიეთი. აქედან... ზოგი გაჰყვნენ, რომელიც ცოტა ძნელი მიცვალებული იყო, — ცოდონიაო — და გაჰყვა ჩვენი ხალხი სარანდი ჩვენი ხალხი არ გამოაცილეს, იმათ მიცვალებული სახლიდან არ გაიყვანეს, რო იმათ სხვა წესზე გაჰყანთ.

## გათხოვება

წავიდოდი წყალზე, ვირს ვკიდენდით იმას, ბოჭკებს. წყალი ძალიან შორ ქვონდა ქილდაში, წყლი გულისთვის გადმოვედით აქა. კი არ გადმოვიდოდით აქა. წყალი არ ქვონდა. ხრამში უნდა ჩავსულიყავით. სუყველას ვირი ჰყამდა. წავიდოდი, — ოჩერედი იდგა. მეუბნევოდა, — დატოვე ეს აქ ვირიო, ბოჭკები დატოვეო და ადე, წამამყე ცოლათაო. — ე ბოჭკები როგორ, ვინ წაიღოს, ე ჯორი შინ ვინ'ნა აიყვანოს... წავიდოდი კიდე მათვარიელემდა, რო იქიდან ჩავიარე, ჩაველი იმ გზაზე. მოდიან გამოწკეპილი! — რო მოდიხარ იქნა! აჰა, ჯორი მორბის წინ, ჭაკული... და ჭაკული მკიდია ვედრებით, — ორი ვედრა ჩამოკიდებული მაქ, მხარზე მიდევს, ჯოხზე. მოვლენ, ჩამამიღებენ ჭაკულებ, დასდენ (დასდებ) ვედრებ, მე აჰა! — ჯორი? — აჰა, მე რო წამოვიდე, ვედრები აქ დავჰყარო, ე ჯორი სად წავიდეს კაცო, აკიდული...

— მოქწონდა არ მოქწონდა ე ბიჭი, აღარ შვრებოდა! — გინდა თუ არა, წამომყე! ე, აჰა, მე ხო არ ავდგებოდი, სახლში არ შევიდოდი! როგორც გინდა მოგწონებოდა. შენ ფეხით ვერ მიხვიდოდი, მინამ იმას კარებზე არ მოიყვანდი, შენ ხო არ გახვიდოდი, იმი კარებზე არ მიხვიდოდი.

— პირველად როგორ გაიცანი?

— სამუშაოზე! ბრიგადაში დავდიოდით, მოდიოდა, ლაპარაკონდა.

— რას გელაპარაკებოდა!

— წამომყე! აპა, რაღა'ნა ვუთხრა... ისტორიას ხო არ დავიწყენდით ხალხში, ლაპარაკს. გინდა თუ არა: — არ'ნა წამომყვე?

— არა! — ხან რა მანას ვიზმოდი, ხან რა მანას, მარამ ბოლო ბოლო მანა ველარ ვქენი!

— მანა რა არის?

— მიზეზი (მაანა).

— რამდენი წლის იყავით?

— თვრამეტი

— როგორი გოგო იყავი?

— იშტა, გოგო ვიყავი, ფეხლა თავი ვიქო? ჩემთავათ რო თავი ვიქო, როგორ ვიქო? — ვმუშაონდით!

— კარქი მომუშავე იყავი?

— კი. მუშაობაზე კარქი ვიყავი.

— ცელზე... რო ვთიბამდით, კაცები ვერ მომდევდნენ ჭელშიო.

— ბებიაჩემმაც იცის, მაგრამ რაღაც არ მჯერა ეგა!

— ...მე რავი, გეხსომებათ თუ არა, სიდაურელი იყო ეგ რძალი, კოთელიელი, რაღაც — ქალო! — ეგ ჩამოდიოდა შხირათ ბრიგადაში. იმაში ბრიგადაში ჩამოდიოდა, ხო. დე, ოცი ბრიგადა ვიყავით. ოჩერედით

მოდიოდა, კვირდებოდა, რო ვინ როგორ მუშაონს, გვამოწმებდა. ორი-სამი მინდალი მაქ მიღებული... მაშინ მინდლებ აძლევდნენ ხო! უბრალო მინდალი! მოიტანებდნენ; ორ შრომადღით... ჯილდოს გვაძლევდნენ, მერე ნაჭერი მოქვცეს, ვინც კარქა მუშაონდა...

— მაშინ უკვე გათხოვილი იყავი, მენდლები რო მოგცეს?

— არა

— არადა თავს იწონებდი ალბათ...

— არც გამიკეთებია, მართალი რო გითხრა, არც გამიკეთებია... ბიჭებ მივეცი, ბავშვებს და ეკიდათ, უხაროდათ, რო მინდალი ქვკიდია გულზეო.

— რამდენ ხანს გდია?

— წელწადი.

ბოლოს... შერიგებაზე ძან ძნელი იყო, არ ურიგდებოდა დედაჩემი. მამაჩემი ხმას არ იღენდა, მარა დედაჩემი... სოფელი არ მინდოდა, მე სოფელში გათხოვა არ მინდოდა!

— მაშინაც იყო ეს ქალაქობის მანია?!

— ქალაქში არა მარა, გარეთ გასულიყავი, რაღა სოფელში გათხოვდიო, ქალაქ არ თხოულომდა, სოფელში არ მინდოდაო. (იმავე სოფელში).

— ოჯახში როგორ დაგხვდნენ?

— მოხუცებული დედანთილი მყანდა, რა ვიცი, იშტა ჩავედი დავჯექი, ვიჯექი სახში. — გიეხარდა, აპა რა! ქორწილი არ გადვიხადეთ, მაშინ ღარიბი...

— კექსები არ გამოაცხეთ?

— არ გვქონდა შეძლება, როგორ'ნა გემეგვეცხო კექსები.

— ომში წავიდა, ექვსი თვე... აპრილში... აპრილ'ში წავჰყევი, აპრილში... ცელი ახალათ შევიდა ყანაში და წაიყვანეს ჯარში, დავრჩი ცარიელაზე.

ხუთი წელი დაკარგული იყო, არც წერილი მოდიოდა, არც ამბავი მოდიოდა. მერე აქედან... ბოლოს გამოვიდა და ამხანაგიდან მოვიდა წერილი, რო გამოვედით! აქ, ნაქალაქოვიდან იყო ბიჭი. იმას გამიეგზავნა წერილი, იმას ვერ მიეხერხებინა, ახალათ რო გამოსულიყვნენ პნელიდან. გამოჩნდა! იარა, იარა, ეე, რავი...

ჩვენებთან ვიყავი, კაცო, ბებერთან ხო... მეო ხო ქმარი არ'ნა გაგიხდეო, დედამთილმა მითხრა. გაწიე-ასწიე, ორი წელწადი ქმარი არ იყო, ვიღასთან'ნა ვყოფილიყავი... არც დედამ გამაჩერა!

...ავდექი და აველი! ახლა რო აველი და მოვიდა და ბებერი აღარ შვრება! — რათ წავიდაო, აქ ყოფილიყოვო! ჯერ სახლიდან დამითხოვა: — მე ხო ქმარი არ'ნა გაგიხდე, ადე, წადი! ამ დედაჩემმაც არ დამაყენა! ახლა რო მოვიდა, ახლა ამონს, არაო! ერთი ჩხუბი, ერთი ყალ-მაყალი იყო მაშინაც.

— ორჯერ გათხოვდი?

— ორჯერ! აპა რა! ერთი პირველში მოვედი, ჩხუბი იყო, ხო...

— ორჯერ ერთი და იგივე კაც როგორ გაყევი!

— რა'ნა მექნა?! კაცი მოვიდა და აღარ წავჰყოლოდი? ხუთი წელი კაცი არ იყო, მოვიდა, რა მექნა! არ წავჰყოლოდი!

— ხუთ წელიწადში გათხოვება ვერ მოახერხე?

— არ გავთხოვდი! არაფერი ამბავი მოსულა, კაცი წავიდა, დაიკარქა. მაშინ ომი იყო. ვიძახდით, რო ალბათ სადმე მოხდა პლენში. იარა, იარა და ნამდვილათ პლენიდან გამოვიდა კაცი და მოვიდა წერილი.

— როგორ გაგეხარდებოდა!

— მარტო მე ხო არ გემეხარდა, ოჯახსაც გიეხარდა, ჩემ ოჯახსაც გიეხარდა, თავი დედასაც გიეხარდა!..

— თვითონ მოგაკითხა?

— აპა რა! მე ხო არ ავდგებოდი, დედაჩემი სახლიდან არ ჩამოვიდოდი!

— წორეთ დაჯექ! (ბავშვს ეუბნება).

## მეურნეობა

..ემეგეყარა (კარტოფილი) და ჩეგებარებინა. ეხლა ვინა?! ეხლა რომელი გასთოხნანს. სამოც სოტს მაძლევდნენ, ოთხმოც სოტ მაძლევდნენ ორზე — კაცზე და ჩემზე. — ხორბალზე რას მუშაობდით?

— ხორბალზეც — მალატინკაზე: მოვთიბენდით, დავდგამდით ზვინ, მერე გავუყენენდით მანქანას... მანქანები იმდენი არ იყო — ურემი! ხარი შებმული! მოვიტანდით და გავუყენენდით მალატინკას და გათენებამდი მუშაობდა მალატინკა.

— მარტო „მალატილკაზე" მუშაობდით?

— სულ, სულ, სულ დათესაიც(!), მოთიბაიც, მოტანაიც, — ჯერ გავიდოდით, დაფთესენდით, ჩივთით, ხარით... მოვხნენდით... ხელით ვთესენდით. კალთებზე ფართუკები მოკრილი, დიდრონი, მეშოკისა და ვფთესენდით, დავფთესენდით, მოვრჩებოდით, ახლა წავიდოდით, მოფთიბავდით. მერე მივჰყვებოდით, დავაყრიდით ბულულ. ზოგი რო სთიბენდა, ზოგი აფოცხენდა. აბულულავებდა პატარებათ. მერე კაპნებ დავდგენდით ძალიან დიდ, რო ურმებ გავუყენენდით და ურმით მოქქვონდა. ახლა რო მოვიტანდით, აქაც დავდგენდით დიდ თაგას. ვერ ვასწრენდით, მუშა რო ნაკლები იყო, ურემი ნაკლები იყო...

თაგა... დიდი, კაპანზე დიდი, დეე, ათი-თხუთმეტი ძირი მოგვქონდა, დავდგენდით, მერე გავუყენენდით ერთ ურმით მიქვონდა... ოჩერედით! — მარტო ერთი და ორი ვერ იმუშავემდა...

— სად მიგქონდათ?

— მალატინკასთან. დღეს რო მე ვიმუშავენდი ურემზე... მალატინკას

ვაძლევდი ბჯას, დილაზე შენ'ნა მეგეტანა, ახლა შენ'ნა მეგეცა ბჯა. მაშინ, წინათ... ეხლა აღარ არი მალატინკა. ახლა იქ ნამუშავარი: ქერი, დოლი იყო, დავახვავენდით, თავები იდგა. გორები ახლა ვისაც შიეძლო. მეშოკებ ვზიდენდით სკლადში, ფყრიდით ურმით.

(თავები — თაფები)

...მოვიტანდით და აი როგორც ეს კარებზეც დგას, დიდრონი, ოცი ურემი, ოზდაათი ურემი, ჩავჰყრიდით, რო ველარ ვა'ნ'ენდით მალატინკას. მოვიტანდით, ადგილობრივ ვიღენდით, მიქვონდა, ვაძლევდით პირში მალატინკას. — ი მალატინკა არ გაცდენილიყო. მერე ფყრიდით საწყობში იმასა, მარცვალ.

— საკუთარი ყანა არ გქონდათ?

— არა, მარტო კოლექტივი იყო! მერე გაანაწილეს, სოვხოზი რო დადგა, მოქვცეს ოცდახუთ-ხუთი სოტი. შვილია და გემეყარა, არა, — ამაღამ გავიყარენით. — დილაზე იმ მიწას გაგვიყენდნენ შუაზე. ოცი სოტი ქვონდა, მუდამ! ი ოცი სოტი'ნა გეგეეყო. ორი გეგეყრებოდა შვილი, ერთი გეგეყრებოდა, — რაც მიწა გქონდა, სულ'ნა გეგეყო. მერე რო დაბრუნდა ამ სოვხოზზე, სოვხოზი რო დადგა, კოლხოზი აღარ იყო, ოზდაათ-ათი სოტი მოქვცეს. — იმათაც მისცეს თავი ნორმა, ჩვენც მოქვცეს ჩვენი ნორმა, ყველამ მივიღეთ მიწა. ახლა, ეხლა დამატებით რო მოვიდა, ეხლი მიწა განაწილდა, უფრო მეტი მისცეს. გექტარი და ოზდახუთ-ხუთი სოტი ექ თითო ოჯახ.

— ხორბალს როგორ პატრონობდით?

— ვწონენდით. მიქვონდა, ფყრიდით, ვაბრიდით. საკუთარსაც ვლეწენდით მალატინკითა, კევრით, ხარით... შევანბენდით, კევრით ვლეწენდით, სალომი რო მოქვონდა დათესული, კევრები ქვონდა და ხარ შევაბენდით, ერთუღელა ხარ, კევრი ქვონდა ჩამბული, როგორც ახლა აჰა... დავდგებოდით და უვლიდა ხარი გარშემო საღამიენდი. მერე საღამოთი შევახვეტენდით ამ ხვავსა კარებზე გავანიავენდით ფიწლით. დავარცხავენდით ცხავით. ცხავები ქვონდა დიდრონი. გავიდოდა უკვე ბზე... გავიდოდა ცალკე. ბზეს ცალკე გაფწევდით, მარცვალი ცალკე დარჩებოდა. ახლა მარცვალი ხო ისე არ ირჩეოდა. — მარცვალ მაინც ჩენჩო მიზდეედა. ახლა ამას გავარჩევდით ცხრილებში. დიდრონთვლიან ცხრგლებში, წვრილთვლიანში არა, რო ჩენჩო დარჩენილიყო და მარცვალი გასულიყო. ახლა ამ მარცვალ მოვიტანდით, სკლადში ფყრიდით. ჩვენსას... ჩვენი რო... იმდენი მიწა არ გვქონდა, შვილო, ახლა რო, მაინცდამაინც ძნელი ყოფილიყო. სამ-ოთხ-ხუთ მეშოკ ავიღენდით, მოვიტანდით ჩვენსას, ეგ იყო. მერე ნამუშავარი გვინაწილდებოდა. რო ვმუშაობდით, ... რო მოგვქონდა, სკლადებში ვყრიდით ამ მარცვალ, მერე შრომადღეზე ნაწილდებოდა. რამდენიც იმუშავენდი, იმდენ მიიღენდი. თუ მოვიდა მოსავალი, ჩვენთვის კარქი იყო, არ მოვიდოდა — ცოტა ნაწილდებოდა.

აქ რო გადმოველით, ჩვენ, ქილდიდან... ქილდიდან რო გადმოგვიყვანეს აქა, იმ წელწადს ძალიან ბევრი ჭინახული მოვიდა, ქერიც, კარტოფილიც... დიკას ვთესენდით მაშინ... ეხლა დოლი... საშემოდგომოთ ეხლა'ნა დავთესოთ დოლი, რო მეორე ამ დროს მოჭთიბოთ. მაშინ გაზაფხულით ქერსაც ჭთესენდით და მარცვალსაც. მერე განაწილდებოდა. იმ წელწად რო გადმოვედით ძალიან... ხალხი ყმაყოფილი იყო. მიწა კარქი იყო, დამუშავებული მიწა იყო, დახნილი — მოხნილი ჰქონდათ ამ თათრებ. რო გაველით და დაჭოესეთ გაზაფხულით, მოსავალი მოვიდა კარქი. მეორე წელწადსაც იყო, მარამ, როგორც რო გადმოველით, გაზაფხულით, დაჭთესეთ, მაგდენი არ ყოფილა არადროს. რვა კილო მოქვცეს ერთ შრომადღეზე. ვისაც მეტი ჰქონდა, მეტი აიღო, ვისაც არა — დარჩა ისე. მარამ, იეფი იყო მაშინ. მაშინ სამ თუმან ვაძლევდით, — თუმან ვეძახდით, — ოთხსა, ერთ ფუთ იმაში, მარცვალში, გინდა ქერში. ეყიდულონდით, ვისაც არ ჰქონდა, არ შიეძლო მუშაობა, შიერი ხო არ დარჩებოდა. ვინც ბევრ იღენდა, ჰყიდენდა. მაშინ ბავშვები ვისაც მრავალი ჰყანდა, შიერი იყო. თავრობა აძლევდა ორიათას მანათს. ექვსი-შვიდი ბავშვი, შვიდი-რვა ვისაც ჰყანდა, მაშინ ბევრი იყო ბავშვები, ეხლა აღარ აჩენენ! ისინი ყიდულონდნენ, ვისაც ბევრი პური ჰქონდა, ვისაც არა, თავი ნორმა ჰქონდათ, იღენდნენ და მირაანდი ახალი პური გამოვიდოდა, ჰქონდათ ძველი პური.

— პურს რო დადგამდით, დაახარისხებდით...

— აპა, ამას დავახარისხენდით, ერთ პარტიას ვაკეთევდით, გადურევდით, ქერ-დიკას ვუძახდით. — ნახევარი ქერი, ნახევარი დოლი. ამას წავიღენდით, დავფქვენდით. ქერი ცალკე. ახლა დიკა! — დიკა ქადისთვინ გვინდა, ნამცხვრისთვინ გვინდა, იმას ცალკე ვაკეთენდით. გარეცხვა-რამე არ იყო, ვინ გარეცხენდა. იშვიათად რო გეგვერეცხა, იშვიათად! ეხლა გაურეცხავ პურ არ შვრებიან, ეხლა სულ'ნა გაირეცხოს. გავრეცხენდით, წავიღენდით, ათი-თხუთმეტ მეშოკ დავფქვენდით, სულ ერთნაირი ფქვილი ჩამოდიოდა, ხოლოთ ეხლა იყოფა, რო მიგვაქ, ვფქვანთ, იქერქება, ქატო ცალკე გამოდის, ფქვილი ცალკე გამოდის და მაშინ ერთნაირი ფქვილი ჩამოდიოდა. ერთნაირი რო ჩამოდიოდა, ქადას როგორ გამოაცხენდი, შავი იყო, რაც გინდა არ იყოს, მარამ მაშინ სანტკიცავები ქვონდა, ვტკიცენდით, სხვილ იქერდა. ვისაც არ ქვონდა საშვალება ე განტკიცულ პურზე აყრიდა, ვისაც არა, ღორს, ხბოს უყრიდა. ი წმინდას ვიყენენდით ქადისთვინ, ნამცხვრისთვინ, პეჩენია-რაღაც იყო. ამდენი ნამცხვარი ვინ იცოდა, სად იყო ამნაირი ნამცხვარი. ეხლა ნაირ-ნაირი ნამცხვრები ცხვება. მაშინ ამდენათ არ იყო.

— რას უძახდით ზამთრისთვის გადადებულ ფქვილს?

— საზამთრო'ნა დავამზადოთ შომოდგომით, მიდგმულები, მიდგმულებ უძახდით. შომოდგომით, ხო გებნევი, დანაწილდებოდა პური, ამოვი-

ტანდით, გავაკეთენდით, გავამსენდით, მაშინ ტომრები იყო, მეშოკი არ იყო, გავიტანდით, ერთბაშათ დავფქვიდით ათი-თხუთმეტ მეშოკ... გაზაფხულანდი...

წისქვილები ორ-ოლი იყო. აქ ქვონდა. აღარც ერთი აღარ გვაქ ეხლა. ორ-ოლი წისქვილი იყო. ახლა ამ დენის მაშინაზე ფქვებენ. მიაქთ აქ ვაჩიანში, ოროჯალაში — სამნაირათ გამოდის ოროჯალაში და აქ ორნაირათ გამოდის, ე ვაჩიანში, სომხი სოფელში.

***

განსხვავება სხვა სოფლებთან არი (ლაპარაკში), რავი, ენა სხვანაირათ ლაპარაკონს...

## გაქცევა

...ზოგი გზაზე დახოცილა, ზოგი ისევ მერე უკან მობრუნებულა...

— მამაჩემი ყოფილა. დედაჩემი არა, მამაჩემი ყოფილა. რეხაში წაველითო და რეხიდან დავბრუნდითო... თუ დედაჲც ყოფილა!

— კიდე წვიმს! — უი დედაჯან. არა, არა დედაჲ არ ყოფილა.

## ოჯახი, მეურნეობა

პირველი ცოლი ჰყოლია მამაჩემ. რო მოჰკვდომია, დარჩენია ერთი ბავშვი. მერე ანდგარა და მეორე ქალი მოუყვანია საროდან. სარველი იყო და თურმის არ უთხრეს ამ დედაჩემ, რო ბავშვი ჰყანსო, დაუმალიათ. ერთი კვირა ჰყოლიათ სხვაგან შენახული ბავშვი. წლინახევრისა იყოო-რაღაც, წლინახევრისა! ეს ბავშვი რო ერთი კვირა შეინახეს, ბავშვი მოუყვანეს უთხრეს: აგერ შენი ბავშვი. დედაჩემ თავ შემოფრინებია, რო: მე მითხრეს ბავშვი არა ჰყანს, ამამ ბავშვი მოიყვანა, მე ხვალ ბავშვი'ნა მეყოლოს... ძნელია! ჰოოდა, გაზარდა. გაზარდა და ხუთი წლისა თუ ექვსი წლისა ჰყანდა და უცებ ავათ გახდომოდა და მოჰკვდომოდა. შვილივით ხო! ამონდა, რო ისე უელიდიო, რო არ თქვაშო, რო დედინაცვალია, ბავშემაო, უკვე ერთი წელი დარჩა სასკოლოო და... მაშინ შვიდი წლისას იღენდნენ ხო... ერთი წელი დარჩაო, ბავშვი სკოლაში'ნა მიმეყვანაო და ბავშვი ავათ გახდაო და დამეღუპაო... თავბედ ვიწყევლენდიო, ვღრიალონდი, თავბედ ვიწყევლენდიო და ახლა მამაჩემ უთქვია:

— მახვსათ ხო არ მოკალი, ქალოო, რა თავ იკლამო.

— ჩემი საკუთარი მამკვდარიყო და ეგ არ მამკვდარიყოო. დედაჩემიც, რვა შვილის დედა იყო. მეც კაკრაზ რვა შვილი დამებადა. რვა შვილიდან... რვიდან ექვსი მყავს, სამი ბიჭი, სამი გოგო...

ერთი გოგო გამარჯვებაშია, ერთი აქეეა და ერთიც, ხან გამარჯვებაში წავიდა, ხან ქალაქში წავიდა, ეხლა ძირითადი მაინც ახალქალაქ არი.

ბიჭსა ოთარაჲ ქვია, ესა ორმოცდაექვსწლიანია, ორმოცდარვიანი გოგოა, დიდი გოგო, ქალაქში ცხოვრონს ეხლა. აქ მატყული ქვონდა გარეცხული, გაჭუჭყიანდა, ლოგინი ვერ შეუკერეთ, გოგო ჰყავს პატარაჲ გათხოვილი, ასპინძაშია გათხოვილი.

დარეცხა და შხეპლა... ორი-სამი დღეა დარეცხა და დარეცხული დაშმორებულიყო. შინ დაშხეპლა, ამონდა, კარზე დავშხეპლოთ! წვიმა, ქარი გარეცხულ მატყულ დააყენანს? და შინ შხეპლენდა. წეღან მოვიდა აქა და ვერ ვნახეო, გოგვიები...

მეორეს ანზორაჲ ქვია, ეხლა ბიჭი რო... აქ იყო!

მესამეს ნოდარაჲ ქვია, ახალციხეშია. ბაზარში მუშაონდა იმაში, კოპტორგში. მანდ არ ყოფილხარ: აქ იყო, ჩემთან იყო და ეს ბიჭი ადგა და წავიდა. ესენი გაყრილები იყვნენ, ცალკე. დაბლა ცხოვრონდნენ. ეს პატარა ბიჭი ჩემთან იყო. ქალმა აღარ ქნა: — გინდა თუ არა, აქედან წავიდეთ.

წავიდეთ — არ წავიდეთ! წახვიდე, — მე სად წავიდე! მე არ წავჰყევი! უთხარ, სადაც გინდათ, წადით, მე ჩემ სახში'ნა ვიყო. ესენი ადგნენ, წავიდნენ, დავრჩი მე აქ. მერე უთხარ რო, შვილო, ბაიყუში ხო არა ვარ, მართლაც... მოიყვა ამოდენა წვრილშვილი!

ადგა და ამოვიდა ბიჭი, ეს დიდი ბიჭი ამოვიდა, ამამ ამ ბიჭი მამას დაუთმო თავი სახლები, ამას, ამოვიდნენ აქ ესენი. ერთი... რამდენი თვე ვიყავი, მაია, მარტოკინა... ხან ეს რჩებოდა, ხან ამ ბიჭი დედა რჩებოდა, ხან გოგო რჩებოდა, ასე იყო. მერე ამოვიდნენ, დავბინავდით, ამდენი არ იყო სახლი გაკეთებული, რო გითხრა სიმართლე, მარტო ე მანდ ორი ოთახი იყო, მერე იქიდან ოთახი ამ ოთარამ მოადგა, ვერ ვეტევით, ესეც ამამ გააკეთა, ეს გარაჟიც ოთარამ გააკეთა სულ. ერთი ორი ოთახი, წინ-წინ რო ვერ ვეტეოდით, ამოდენა წვრილშვილი... მამსველელი იყო, წამსველელი იყო... — მიწურ სახში მეხათრებაო — ოთარაჲ ამონდა, — რო შემოდიანო. გააკეთა, იმჯელა, იმჯელა და გააკეთა სახლი.

მერე გოგო გავათხოე. ეს დიდი გოგო თითონ გაჰყვა ბიჭსა, აქვე ადგილობრივ, გოგაშნელია და აქ ცხოვრობენ. დიდი გოგო გოგაშენ წაჰყვა. მეორე გოგო გამარჯობაშია, იქ იყო და აღარ მოჰშორდნენ, გინდა თუ არა: მოგვეცი, მოგვეცი, იქვე შეუცვალეთ ბეი, მერე მოვიდნენ, ქორწილით წაიყვანეს ეს გოგო. დამჩა ერთი პატარა გოგო. ესეც აქედან გაიპარა, წავიდა... ამ დიდ გოგოს ნინაჲ ქვია, მეორეს — ზოიაჲ, მესამესაც ანაჲ ქვია და ანას არ უძახით, პატარა იყო, ცუნცულაჲ

დავარქვით: ცუნცულაᲥა, პატარაᲥა და ასე ცუნცულას უძახით. ნაღდი ანაᲥ ქვია. ანას არ ვეძახით: — სად მიდიხარ, ჰაᲥდე ცუნცულაანთსა წავიდეთ, — ეს მითრევს.

დილას მითრია, მითრია არ გავაჰყევი, მერე თურმის ადგა, გაიქცა, გარბის წიოკობით: — ბაბომ გემეპარა, წავიდა და მე დავრჩი აქა! იქიდან უყვირის ჩემი გოგო, რო ნელა წამო, წაიქცევი, ნელა...

— ბაბოი გემემეპარა, წამოვიდა.

— იქ ვიყავი, ბიჭო, რო მირბოდი! ხო დაინახე, რო მერე ჩამოველი. იქ გარბოდა, მეთქვი არსად არ ჩავარდეს ბავშვი! — ავდექი, ჩაველი. ერთი ცოტა ხან ვიყავ, ავდექი, წამოველი.

***

წინათ გაჭირება იყო, თითო ძროხას ვინახენდით, გაჭირებით, მიწა არ ქვონდა, რითი'ნა შეგვენახა! თუ განაწილდებოდა და მოგვცენდნენ, ეგ იყო. ერთი შვიდი სული ცხვარი, ერთიც ძროხა, ერთიც ღორი. მივიდოდით ახალწლათ, ღორ დავჰკლენდით ახალწლისთვინ. მერე ბოლო(ჰ), მერე, მერე, მერე მოიჯობინა ამ ხალხმა, მომრავლდა ხიზანი, — შეინახა. — ერთი არ გვეყოფა, ორი არ გვეყოფა... სამი შევინახოთ! — სამ არ შეინახენდი, ორ შეინახენდი. ეეხლა საქონელით ტრიალონს ეს ხალხი. საქონელი რო არ შევინახოთ, რითი რა'ნა ვქნათ. ეეხლა მიწები მისცეს, კარგი არი, მოსავალი აᲥთ.

— მთები გაქვთ? — მთა

— ჩვენ არ გვივლია მთათ, რო გითხრა სიმართლე. აქ ერთიან მთაა გარშემო, დილით გავა საქონელი, საღამოთი ჩამოვა ბინაზე. დილით გავა, საღამოთი მოდის. გარე სოფლები მთაში მიდიან. თვივობით — ერთი, ორი, სამი თვით. ჩვენ — არა. არც ფერმა გასულა, არც ჩვენ. ფერმა ერთი წელიწადი, ორი წელიწადი იყო, მაღლა პემზა არი აი მანდ იყო, ჭყანდათ იქ. გადააყენეს მერე. ...ჩამოვა, მოიწველება, შევა ფაგში. ფაგი-შემოკრილი... შემოჰკრებენ...

...მწყემსი ჭყარაულონს, იპარებენ. რა ვიცი, აირ-დაირია, ყველანაირი ხალხი დაჭყვა... რა ვიცი, აჭარა იპარანს, აქაური იპარანს, სომეხი იპარანს, — უპატრონოთ გაშვება არ იყო! წინათ უპატრონოთ ეყარა, ვინ იპარენდა, ვინ ეტყოდა, რო მოიპარეთო. ახლა სახლიდან გაჭყანთ. რამდენჯერ გაიყვანეს აქედან საქონელი, ოთხი, ხუთი, ექვსი სული. მეურნეობისა ოზდათვრამეტი სული ერთი გაიყვანეს, ოზდათორმეტი სულიც ერთი, (თუ) ორმოზდაათი. ...გარეკეს ფაგიდან და წაასხეს, მიჭყვნენ და ვეღარსად ვერ დაიჭირეს. იარეს, იარეს, იარეს და ვერა.

ნაგული გაიყვანეს დაბლა (საქონელი, სასუქი საქონელი, დაბმული ქვეყანდა და აᲥმევდნენ სახში) ვაბრიდით. დავასუქენდით საქონელ და

წაასხენდნენ — ათი, თხუთმეტი... შევიდნენ და ბოსლიდან მოიპარეს ოთხი სული. დაიკარგა, დიე სამას კილოანებია, ოთხასკილოანი საქონელია, ისეთებია, რო დაპჭკნი. ე ჩემი ბიჭი იყო იმ დროს, ენ ნაგული რო გაიყვანეს... — გინდა თუ არა, შენ და ზოოტეხნიკმა გაიყვანეთ! ეს ბიჭი ხტება და ეცემა: — მე ხაბარში (ბრალში) არა ვარ, — დირექტორი კაცი! — მე როგორ გავიყვან, სად'ნა წავიყვანო! ვინც უვლიდა, ეგა და ჩემი ბიჭი წავიდნენ, იარეს, შევიდნენ ბაზარში, რო სომეხმა გამოიტანა თავი, ხორცი დაუდია ბაზარზე ჰყიდის, თავი გამოატანეს. მისულა ეს ჩემი ბიჭი, ნახა ჩვენი ნომერი. გინდა თუ არა ი მომვლელი ადებს ხელსა, რო გინდა თუ არა შენ გაიყვანე... იჩხუბეს, კინაღამ დასცხეს, ერთი აყალ-მაყალი... რო დაიჭირეს ე კაცი, შევიდნენ, ხორცზე დაადგნენ, თავზე. ეს თავიც შეიტანეს. — რომელია შენი ხორცი! — ესაო! კაცი ახტა დახტა — უკვე ჩავარდნენ ციხეში. ოთარას უთხრეს, მართალია დირექტორი ხარ, არ მიგვცე მილიციაში, არ მიიტანოო... მერე უთხრა ოთარას, რო ოღონდ არ ის ქნარ, ეს ერთი სული გვყარს დაკლილიო და იმერთები სახში ქვყავსო. მერე მოვიდნენ და საიმისო ისე, რო რამოდენაც ი მოზვერი იყო, ...სამაგიერო მოიყვანეს ღამე, შუაღამისა იარაღით. ავტომატები ჰკიდიათ, მოვიდნენ... კუმურდელები... მერე ასწიეს, მოიყვანეს. ეს ბიჭი იარაღით დგას, რავი, ამას იარაღი �ქ, რო დაახალონ და მოჰკლან, მერე! ჩაჰყვა. გააღებინეს. შერეკეს ეს საქონელი, შინ არ მოვიდნენ. ერთი კაცი მოჰყვა. მოვიდნენ, კიდურზე დადგნენ და ბოსლაანდი არ მიჰყვნენ. მერე მირეკეს, შერეკეს, ადგნენ და წავიდნენ. მერე ჩივილი იყო, მარამ რა ჰქნეს, აღარ ვიცი. — იყო არა მელიციაში საქმე?

***

ჩამოსული იყვნენ თბილისიდან. ამ ორ ღამეზე წინ კრება ყოფილა ეს აპარლები ძიენ ზულუმ შვებიან: — გინდა თუ არა, დაიშალოსო. ჩვენც ვამონთ ეხლა, ჩვენ... სარგებელი არა მაქ, რათ მინდა სოლხოზი იყოს და შენ ჭამო. ე, დავცქერივარ შენ ჭამ, მე — არა, მე ცოდო არა ვარ? ჯანგობენ ნახო რა'ნა ქნან, დაშალონ'ნა თუ არ'ნა დაშალონ. ზოგი ამონს დაიშალოს, ზოგი ამონს — არ დაიშალოს. (სოვხოზი — საბჭოთა მეურნეობა. მ. ბ.).

## წეს-ჩვეულებები

(პატარძალი) ...უნდა ადგესო, გამოვიდეს, დაინახონო, რო პატარძალი ამდგარა და კარებს გვარსო, დაჟე მეზობლის კარებიც'ნა დაგავოს ამ პატარძალმა, თუ კაი პატარძალიაო. თუ წელმოწყვეტილია, ზარმაცი,

ის თავი სახლ არ გვის, მეზობლი კარებ დაგვის?

— არც თაღია და არც ფეხშიშველა! ნამდვილათ, მართალია — ნათლიდედა ნათლიის ერდოზე ვერ გაიღლიდა, რო გამოივლიდა ნათლია, ფეხზე'ნა ანდგარიყო... ფეხზე'ნა აუდგეს, რო — ჩემი ნათლია მოდისო, პატივი ვცეო. წინათ ასე იყო. მერე მამანთილ ფეხი უნდა დაბანო, თავი'ნა დაბანო, პატარძალმა. მირან მამანთილი არ დაწვება, პატარძალი ლოგინში არ'ნა დაწვეს. ნა ელოდოს, ის დაწვეს, რო მერე ის მივიდეს და ლოგინში დაწოლილიყო. ვინ დაგაწვენდა წინათ!

— ადგომაც'ნა მოასწროს?

— ადგომაც'ნა მოასწროს! ვერ'ნა დაგინახონ, რო როგორ დგები და როგორ წვები, მამანთილმა არ'ნა შეგამჩინოს! აბა ეხლა შენ მიდი, მამანთილზე წინ დაწვე, იქნა?!

— მე დავწოლილვარ!

— აჰა, იგონამ! არ'ნა დაწვე! ე, როგორ იყო, მე ერთი ცანცარა ბებერი მყანდა, დედანთილი, — მირანდი ის არ წვებოდა, მე ლოგინში ვერ დაჭწვებოდი.

— ჩვენ ქორწილი რო ქვონდა და ჩაველით, ჩემმა დედამთილმა ასე მითხრა, ახლა თქვენ თანამედროვე ხალხი ხართო და პრანჭაობა-რამე არ დაიწყოთო... მეც მშიერი ვიყავი, ქალაქიდან გვიან მოვედი, მერე დავდექი ლამაზათ, უთხარი, — სად არი ცხელი საჭმელები, მოიტანეთ-მეთქი... (შვილიშვილი ეუბნება).

— აჰა, დაინახე, პატარძალ ჭამა მოუთხოვია! პატარძალმა დაეე ცოტა ნაკლები'ნა ჭამოს. შენ კიდოვ კარქი, ახლო ხარ, ვინც რო შორ... გზაზე'ნა გადმოგიყვანონ, წაგაფსმევინონ და ისევ დაგაჯდვინონ მანქანაში?!

— რას ამონს, ქალო! გოგოჯან არა!

— ფეხებს არ დამაბავინამს!

— შენ რო დაბანო რა... ფეხებიც'ნა დაბანო, ფჩხილებიც'ნა წააჭრა, თავიც'ნა დაბანო! აპა, აგრეა წესი. უნძრახობაც იყო. — ეგ უნძრახობა სომხებმა იციან ძაან, დღესანც!

**ივანიძე-ნათენაძე სალომე, დაბ. 1899 წ. ახალქალაქი, სოფ. გოგაშენი, 1998.**

— გოგვიებოჯან-მეთქი, მარინაჯან, თინაჯან, არ ჭამოთ-მეთქი, რო მაკარლამა ხინკალი'ნა გაგიკეთო!

— უ შენ გენაცვალე, ბაბოჯან!

— იეხლა ვეღარ ვბედამ (სადმე წასვლას), რა ვქნა მე, თუ მიშველამთ, ექ მიშველეთ, თუ არადა! ზათი!

## გაქცევა, თათრობა

— ...დავირბენით... სამი თვე ბაკურიანი(ჰ) ტყეში ვიყავით, ბაკურიანი ტყეში. ბიჭებმა გააკეთეს სახლი, ბიჭებმა სახლი გააკეთეს, გენაცვა შენა, და კარებიც... ფარდაგები ჩამოვაფარეთ კარებს! სამი თვე იქ ვიყაით. რო მამიტაცა იქ ბაკურიანიდან, სამი თვე ვიყავით ბაკურიანში! ბაკურიანში მამიტაცა ბერიკაცმა.

მერე აცივდა, გენაცვალე შენა, სამ თვეში ზამთარი მოგვივიდა და დვირში მყანდა მაზლი, სერგო ბიძაი, სერგო ბიძაი იყო დვირში. მერე იქ შევაბით ურემი, დაუდეთ ქოჩი, ლოგინი, ქვაბი-მაბი, რაც საჭირო იყო, ჯამი, კოვზი, რო წამოვიდეთ, ვეჭანთ. მერე იქ ვიყავით, სერგო ბიძათან ვიყავით. კუხნაჩი ჩვენ ვიდექით და ზალაში ჩემი მაზლი იყო.

მერე ქვეყანა... ქვეყანა, გენაცვა შენა... ვიყავით ერთი ორი-სამი თვე იქაც. ქვეყანა რო დადგა და მოვიდა, სტანილმა წამოიღო თავი, სტანილმა და იუფლა და დაადგა ქვეყანას თავზე, სტანილი გამოვიდა..! სტანილის შიშით, გენაცვა შენა, ვეღარ მოდიოდნენ. დადგა ქვეყანა, დამწყნარდა და ვიყავით ისე! ...იმაში, დვირში ვიყავით!

...ჩვენებური იყო აზიზაჲ და ფაშასა და აზიზას საზღვარზე ერთმანეთი ეცნო, — ფაშასა და ჩვენ აზიზას. ღეკოანთი იყო აზიზაჲ, სიმიზარას ბიძა იყო. და უთხრა, მერე რო თათარი მოვიდა კიდე აქა... თათარი მოვიდა, თავი სამხედროს დააბარა, რო ამათაო, ხელი არ ახლოთო. თუო გავიგეო და მოიტანეს ამბავი ჩემთანაო, თქვენ სუყველას ზოპო ქვეშ გაგატარამო!

და ჩვენ შიშითა ჭაჭკარ გავიქეცით, ბაღევში გავიქეცით, მამამთილი ჩემი იქ იყო, დედამთილი. ჰოდა, მერე გვითხრეს, რო ამ სამხედრომ, რო, შომოვიდნენ... მე შეველი, ახალათ თოვლი არი, ფეხები დავიბერტყე და ამ ერეკლე ბიძა დედა და...

ერეკლე ბიძაჲ იყო, ცხონებული, ამ ერეკლე ბიძას კითხეს, რო ესაო ეხლა ჩამოვიდაო, ნუ გეშინიათო, ნუ გეშინიათო, ჩვენ ფაშამაო გამოგვზავნაო, რო ი ხალხსაო არაფერი აუქციოთ, არაფელი ზიანი მიაყენოთ, თორემაო, თუ გავიგევი და ზიანი მიგიყენებიაო ი ჭაჭკრი ხალხითუნაო, სუყველაეს გაგატარამ ზოპო ქვეშაო. მერე... და ამორეკეთო, აქ ამორეკეთო, აქ ამოიყვანეთო. ფაშაც ღეკოანცა არის, სიმიზარა ბიძაანცა, იქ ზრს დიდი კაცი.

მერე ავდექით და ი ფაშასთან ჩაველით სულა. ი ფაშამ უთხრათ ამ ხალხსაო არაფელი აუქციოთ ხელები, არ აიღოთ ხელი არავიზე თორემაო, სუყველას გაგამწარამ, სუყველასო.

...მერე ჭაჭკარ გავიქეცით შიშითა. შიშით რო ჭაჭკარ გავიქეცით და ამ სანხედრომ დაგვთოფლა და ამოგვრეკა ისევ. ემ სამხედრომ კითხა,

რო ესაო გოგოა თუ რძალიაო?! ოდა, მე ამაკანკალა: — ოოვე, მე წასული ვარ-მეთქი! — ნუ გეშინიათო! ახლა სხვა დაჰკითხა: — ეს გოგოა, თუ რძალია?! — მაშინ არც ბავშვი მყანდა, არც არაფელი, თავისუფალი ვიყავი. ახლა თავზე ამოვედით, ახლა სხვამ კითხა, ე ბებერი იყო ერთი ბასორონთ, ნინო ბაბოი, — ესაო რძალია თუ გოგოაო! — რძალიაო, გენაცვალე, ჩემი რძალიაო! იმ საღამოთი მერე სულ ფაშასთან ჩავგროვდით, ფაშასთან ჩავგროვდით, რო სამხედრომ არაფერი ზიანი მოგვაყენოსო. — აჰა, ეგიები გამოვიარეთ, მარინაჯან, ეგიები გამოვიარეთ, ეგიები.

...გავიდა, იქ კაცები ხოცეს და ორმოში ყარეს, სონხი კაცები, ორმოში ყარეს, ორმოში ყარეს სულა, შენ გენაცვალე! ...და მერე გაჰქრნენ და წავიდნენ თავიათ სათათრეთში.

***

— რა არ იცოდა, ხელი ოქროს უჭრიდა (ბებიაჩემზე ამბობს)!

— რა'ნა მოგიყვე, რა ვიცი, მოკვდა! მოკვდა და! იმაში იყო, ქვაბიხევში. ჭობიხევში თუ ქვაბიხევში მარხია ჩემი და და სიძე, მამაშენი (აერია!).

— რა'ნა მოგიყვე, რა ვიცი! ჰაი, გიდი, ჰაი!

— მაროი ერქვა, ციცნას უძახდნენ... აეს ფარდაკებიც კარებათ, აჰა, იქ ვიყავით, ვიწექით სამი თვე, სამი თვე იქ ვიწექით... ნასი იყო, ელდარა ნასი, აი, ცაში რო მასკულავ გეევლო, იმი სახეს ამოიღენდა. რა არ იცოდა, ... ვიყავით!.. ერთი მარგასტან აკი არი ჩემი დიშვილები, მარგასტან... აგარელი ლადი ჩემ დიჰ ქმარი იყო, ლადი და ორი ვაჟიშვილი ჰყანდა!

— არა ვარ, გოგო და ვერ გამიძლია ამ მუდრეგ ლოგინში, ვიხჩობი იფრო, ასე ქარნიავი მინიავანს! ქარ-ნიავი მინიავანს ასე! ოოდა, კიდევ ვერ მერევა ე დალოცვილი ღმერთი! გეგონება კამეჩი ვარ! ...იფუფქება, ქათამი რო ჩადო ქვაბში და გაფუფქო, აისე იფუფქება (ზურგი ეწვის), შვილო!

...ყურებიდანაც დამაბრმავა, თვალებიდანაც. ეს თვალი ბჟიტავს, — იმოდონა, ვინახავ!

— ღმერთო პატიოსან, (თათრულად მიმართავს) შენ კი დაილოცე და დაიკურთხე, შე დალოცვილო, ... მე ვერ მერევა! ვიბრძვივართ მე და ღმერთი! ვეჩხუბები, ვეჩხუბები მაგრა! ჩამოვარდი! ძირ დიეცი! რატ დაგავიწყდი! — ყრუა ჩემსიებ და ვერ იგონანს! აჰა! მარინაჯან! რა ვიყავი და რა გავხდი! რათა! (თათრულად).

...ცოდო არაფერი გამიკეთებია, რაც მადლი... რაც მადლი მიმიძღვის... ერეკლეი რო გეგვეყარა, ჩვენი ჰერეკლე ბიძაი, იტირა, რო მე სალომეს რაგორ გევეყარეო! მამანთილის ხელიდან გეეყარა იანი (?), მამანთილს

ჭყანდა იქა, დვირში ჩემი მაზლი, სერგო ბიძაი, იმათთან ჩაჭქონდა... ყველი მიჭქონდა, ერბო მიჭქონდა, მატყლი მიჭქონდა და-სულაო, იქ ზიდანთო, ბიძაშვილი ეებნეოდა და იმი გულითუნ გეგვეყარა და ტიროდა, რო სალომეს რატ გეეეყარეო! არაფერი მიქნია, მარინაჯან, მადლის მეტი ქვეყანაზე და აე ამ დღეში ჩამაგდო!

## თათრობა

...ვიყავით, მეზობლები ვიყავით... აჭარა და ესენი... ჩვენ ერთათ ვცხოვრონთ, ერთათ ვცხოვრონდით თათრები და ჩვენა, მეზობლები. იქით მეზობლი სახლი იყო, აქეთ ჩვენი სახლი იყო მერე რო, ...სამი დღე და ღამე... თათარი რო მოვიდა, ჩვენ მეზობლი თათარმა, იშტა კაი თათარი იყო, ბითაი ერქვა, შუა ხნი კაცი იყო, ბითაი! (სოფ. ქუნციდან პირველი გაქცევის ამბავს ყვება, მ.ბ.) იმან დაიპირა და მარინაჯან და სამი დღე და ღამე საცხვარე... — მაღლა სერზე ჭქონდა საცხვარე, სამი დღე და ღამე საცხვარეში ვიყავით დანწყვრეული და გარედან კლიტე დაგვადო, თათარი რო მოვიდა, ი ჩვენ მეზობლის თათარმა შეგვინახა. და რო მოვიდა გარეთ თათარი, ერთმანეთი... უთხრა, რო აქაო ქართველები არიანო, გამოგვირეკეთო! — წავიდნენ, კაცო, ქართველებ რაღა უნდაო, წავიდნენო, საქართველოში წავიდნენო, დაუმალა! და ი თათრი სახლში კლიტე გვედო და სამი დღე და ღამე...

შუახნის კაცი იყო, ი თათარ მოჭქონდა საჭმელი, სასმელი და საცხვარეში გვაჭმევდა. თავი ცხვარი გამორეკა და ჩვენ დაგვმალა იქა, დაგვმალა!

ჭოდა, მერე წავიდა თათარი. წავიდა თათარი, გენაცვა შენა და გაიარა კუმურდოში. კუმურდოში დახოცა ხალხი და ორმოში ჩაყარა სულა. დახოცა კაცები და ორმოში ჩაყარა სულ. აჭა, ეგიები გამოვიარევით, გენაცვა შენა და ჩვენც მერე გვითხრა, იმ კაი თათარმა გვითხრა, რო, ქართველებ, მოდიო, შიაბით ურემიო, რასაც დასძალანთო, ლოგინიო, ჯამ-ჭურჭელიო, ქვაბიო... წაიღეთ და წადითო!

ჩვენ ორი ურემი ქვონდა, ორი წყვილი ხარ-კამეჩი ქვყანდა, ორ-ულელა, შევაბით და წავედით. შევდექით საროდანა და გაველით წყლი გაღმა, საროში აველით, საროში აველით, გენაცვა შენა და იქიდან დაჭკარით ჩუნჩხა, პტენა, გენაცვა შენ, კიდე რომელი სოფელი იყო, ოხერი, დამავიწყდა! — ბალანთაში აველით. ბალანთაში აველით, იქ ნათესავი გვყვანდა. ი ნათესავი სახში, გენაცვა შენ, ერთი ორი-სამი ღამე დავრჩით. იქაც რო თათარმა მოიწია და გავიქცეთ, გავიქეცით, ბაკურიანიკენ წაველით. ბაკურიან ჩაველით და ბაკურიანში ერთი ბოსელი მოქვცეს და შევედით იქა, ბაკურიანში!

ბაკურიანში, მერე ბაკურიანიდან რო მამიტაცა, მიტარბში წამიყვანა, მიტარბში წამიყვანა და მიტარბში ვიყავით. მიტარბში ვიყავით, მერე პატარა ხან დავდექით იქა და იქიდანაც... ტყეში ხალხი ვერ გასძლენს, — ავდექით იქიდან, გენაცვალე, დვირში მაზლი მყანდა და იქ ჩაველით და...

შევაბით ურემი და წავიღეთ ჩვენი ვეში, მეში სუყველაფერი. ჩავედით, რამდენიმე თვე ვიყავით იქაც, ჩემ მაზლთანა. ჩემი მაზლი საქორწინო იყო მაშინ, ჩემ ხელში დაინიშნა, მოიყვანა ერთი დვირელი ქალი იყო, ისე კაი ქალი იყო, რო...

მერე ქვეყანა რო დადგა და... სტანილი გამოჩნდა პატრონი! იმი შიშით ვეღარავინ მოდიოდა! ავდექით და ყველანი წამოვედით. სუყველა სოფლიდან, ჩუნჩხიდან... პტენა, გოგაშენი... ზოგი სახლი დიენგრიათ... ჩვენი სახლებითუნ ხელი არ მიეყოთ, ჰეჩ არაფერი დიენგრიათ. ისევ თელი იყო. მოვდექით, მოველით და დავდექით! პური არ არი! ჭინახური არ არი, არაფერი არ არი!

ადგნენ მერე, დასავლეთიკენ წავიდნენ სათხოვნელათ. ჩემი მამანთილი წავიდა, ჩიტო ბიძაი, ჩიტო პაპაი, სათხოვნელათა და იქიდან... თხოულონდა, აძლევდნენ... მოანგვრია იქ, მოანგვრია, მოანგვრია მიცემულები და... — პატივ ცენდნენ, აძლევდნენ რო გამოქცეული ხალხია და შიერიაო! იქიდან ...იქიდან... მისცენდა... დააყრიდა წამოიღენდა და ამოაშველენდა გოგაშენ, ხიზანში.

ისე ვიტრიალეთ, იმ წელ ისე ვიტრიალეთ და მერე რო გაველით, გენაცვა შენა, ცოტაც თესლი-მესლი შევიძინეთ: ქერი, დოლი... დაფთესეთ და მოვიყვანეთ. მოვიყვანეთ და წამოველით წინა! აჰა, ეგენი გამოვიარეთ, მარინჯან!

***

გავაკეთე მაკარლამა ხინკალი.

— ჩემი რძალი გამოვიდა, აკი ვთქვი, ჩემი რძალი გამოვიდა და ბანკით გუდი ყველი გამოიტანა. მერე თქვენ გითხარი, რო მარინჯან-მეთქი, არ შეჭამოთ-მეთქი, ის'ნა გაგიკეთო, მაკარონი ხინკალი! — უ, შენ გენაცვალე, ბაბოჯან!

მერე გავაკეთე ხინკალი და მაკარლამა ხინკალი, ფეჩიც ანთებული არი, დავდგი ზედ და დაიშუშა.

— უუ! შენ გენაცვალე ბაბოჯან! — რო შეანდით. — მიშაი, თქვენ... — ე რა კარგია! აი ჩვენი ბაბოი ასე არ აკეთანს, რეიზაი!

— რა იცოდა რეიზამ, რო!

...აბანოზე დავდიოდით. აბანოზე წავიღენდი, ჩაფტენენდი მეშოკში და წავიღენდი და ვრეცხენდი აბანოში დავრეცხენდი, დავასუფთავენდი,

დავალილავენდი ლამაზაო და ჩავალაგენდი და წამოვიღენდი.

...ნარეი და ისინი, ძაღლმა ( ... ) იმათ დედასაც, მამასაც.. ჩამოდიან?!
— ანი როდის ამოდის... მაყვალ ქალბატონი!

...მანქანაში დაიღალოს ნა, ფეხები ნა ეტკინოს და ვერ მოდის, მაყვალ ქალბატონი...

...თამარაი და მიშაი, იმას ვენაცვალე. ჩემი სიცოცხლე იყვნენ ეგენი...

— დეიდაჯან, შენ აქ იყავ, დეიდა! — მეტყოდა მიშაი. — შენ აქ იყავ და იმას. სიძეს რეიზაი გავუგზავნოთ.

— რეიზაი რათ უნდა-მეთქი!

ილღაი ორსულათ იყო. ე კახაი, კახას ვენაცვალე, კახაი ფეხადგმული იყო ახალი მაშინ, მე რო იქ ვიყავი მაშინ. ჩოჩენდა. ერთი ძველი საბანი ქონდა და დავაჯენდითა კარებაანდინ და ზედა თავიდან ქვედა თავში ჩადიოდა ჩოჩით. ჩოჩენდა, ჩოჩენდა და ჩავიდოდა! და ვეტყოდი ხოლმე რო ის არი, ოლღაა-მეთქი, რაი ბიჭი გაუჩნდება, მეც იმასაც კახაი ნა დავარქვა-მეთქი. მართლაც ჩემი სიტყვა ასრულდა. ბიჭი გაუჩნდა, ამოველი. — არა მეთქი წავიდე! — აქ იყაღიო, დეიდა! — არა მეთქი, მიშაჯან, ქალი სალოგინოა-მეთქი და წავიდე ნა-მეთქი! გაუჩნდა კახაი და მეც დავარქვი კახაი!

***

(ისევ ღმერთს მიმართავს): — რო არ გინდივარ, წამიყვანო! ვერ ძერეკი, კამეჩი ხო არა ვარ! მორჩი და მოისვენე შენცა და მეც! საღამიენდინ ამას ვებრძვი. ვებრძვი... ხო არ გაგაღარიბანს-მეთქი (ჩემი სიკვდილი) წამოდი! (ღმერთს ედავება).

### სოფლის „ბირჟაზე", გოგაშენი, 1997.

— რატო ეძახიან მუნიყანაო, ჩვენ რო გვაქ ყანა?!

— ...ბატი მეტია აქა და ბატებ რო იმაშვრებიან, — ბურტყლიანი ჯავახლებიო! ჰო, იემაგი გულისოვინ, რო ბატები არიან და ბუმბული ვიცით... ბალიშები, მეტი წილი ბალიშები გვაქ იმისა...

— ლექსია მაგაზე, გოგაშენზე:

გოგაშენი სულ არ ვარგა,
ხალხი არი ჭირიანი,
აგერ გოგოს წყალი მოაქ,
უკან მოზდევს ვირიანი!

— ი ფუხრობას, ზოგი ფუხარა არი, სულ, რაც გინდა იშოვოს, იმი ოჯახ ბარაქა არა აქ, ზოგი ოჯახია, რო მაგალითად, ისევე ზის და მაინც შემოსავალი შემოდის, თავისით....

— [ეგეთ ოჯახზე იტყვიან], კაი ოჯახიაო, ესე იგი, კაიაო, იმის ოჯახი... ეგრე ეჰ დაბადებიდან, მამა-პაპიდან წამოშობილი, ბოლომდის ეგრე უმთავრდებათო. — ზოგია, წელებზე ფეხ იდგანს და არაფერი გამოსდის მაინც... მაინც ფუხარა არი, მაინც ღარიბია... ფუხარა — ღარიბი, რა. აი, ზოგჯერ რო იტყვიან, ნეტა იყვეს ისეო, რო, ღარიბზე რო იტყვიან, ნაცარიო მოფუშრუკოს ადამიანმაო, შეჰამოსო და ოღონდაცაო სიტკბო იყვეს ოჯახშიო, სიხარული იყვესო — ასეც ხო იტყოდნენ, — ოღონდაცაო, დიდრობა არ მინდაო, ოღონდაცაო სიტკბო და სიყვარული იყვეს ოჯახშიო.

ზაზაძე-ნათენაძე მარო, დაბ. 1928, ახალქალაქი, სოფ. გოგაშენი 1997.

## ხიდრიელა, ქორწინება

— ერთ რამეს მოგიყვები მე.

მაგალითად მე, არ დაიწერო ჯერა, ჯერ ვილაპარაკო, თუ მეგეწონება...

— გატყვილანს, ტრიალენს, მარო, მარო, სწერანს!

— ჯერ გამოთიშე და თუ მეგეწონება, შეიძლება არ მეგეწონოს და...

...მაგალითათ ჩემ ახალგაზდობისა მე ვიფიქრე, რო ნეტა ვის გავყვები, მეთქი! ავდექი და დავიჭირე, ხგდრიელას ვეძახით ჩვენა. ტუტე კვერი გამოვაცხეთ, ვჭამე, რამე აქეთ-იქით, ვილაპარაკო ამტონ?

რო ვშჭამე, გენაცვალე, ღამე სიზმარი ვნახე. ორ სამხედრომ ჩამოიარეს ქილდის სანთიდან, გზიდან. ორ სამხედრომ რო ჩამოიარეს, ამ ჩვენ თმოგვში, კამპანია არი ჩვენებურ ქალისა, დაპატიჟებული ყანთ ბიძაშვილ... და იქ რო ჩამოვიდნენ ეს სამხედრუები, ეს კაცი, მე ვიცანი, ვინც ვნახე სიზმარში, ეს კვერი ვჭამე ტუტე, ეს კაცი და... ასე კარებში ვიდექი, — ასევე ხელი დადებული კარებთან და ესენი მოვიდნენ, ორი სამხედრო იყო... ერთი ვინც ამიყვანა, ისა და ერთიც სხვა იყო.

იქ რო კამპანია იყო და ხალხი ქეიფონდა, ამ სამხედრუებ თურმე პური შივა და, ასწიეს და ერთი ჭიქა ოტკა მიაწოდეს და ეს ხალხი გაბრუნდა. მერე ეს რო მემეკიდა ეს ჩემი კაცი, მე ვიცანი, რო ეს ხო, ქილდის სანთიდან წამოვიდა! აჰა, ეს კაცია! წამოსადეგიანი, ლამაზი, მაღალი, ზდაროვი კაცი!

ჰო! მერე ამოვიდა ეს კაცი, მეორეთ ისევ ჩამოვიდა, ელჩათ მემეკიდნენ. მემეკიდნენ, ამ დროსაც, ის არი, საერთო კრება არი, კოლმეურნეობა არი. მე და ჩემი ამხანაგი ვართ იქა. ამ კრებაზე ჩვენც დევესწარით და

ასე რო კაცი დაჯდა, აქეთ ჩემი ამხანაგი დაჯდა და ასე ბოლოზეც მე დავჯექი. რო ასე დავჯექი, (ინდღესაც სახში ვილაპარაკე, კაცს უთხარ, რო არ გამიჯვარდე, სტუმრები მყავნს და მე'ნა ვილაპარაკო!

— არ დასწერო შენა! ხო არ სწერამ?) მეორეთ გავიმეორამ.

და მერე ის არი, ამ ქალ უთხარი, რო, — მეო ქოჩრიანი ბიჭი მიყვარს მეთქი, თუ ქოჩორი ავ, დააკვირდი, მე მცხვენია-მეთქი, ვერ დავაკვირდები-მეთქი, ხალხისაც სირცხვილი არი-მეთქვი. მერე რო... ემ გოგომ ასე მითხრა: — მარო კაიაო, ჭო ასეც ამონს, კარგიაო. ჭოდე და, ამ კაცმა დასწერა ქაღალდი და მომაწოდა, რო: — რას იტყვიო და მე ასე უთხარი, რო — მე საერთო კრებაზე არ ფთხოვდები-მეთქი.

აჭა, ეგ იყო და ეგა! მერე ამოვიდნენ, მემეკიდნენ-რამე, ქორწილი, ნიშანი, ბეი გაფცვალეთ... ცხენებით წამამიყვანეს ამ დანკლი გზაზე. ცხენებით წამამიყვანეს და ამ წყემსმა ცხვარი გადმამაგება რო, ნახო, თუ ასწია ამ ქალმა და ცხენზე აიყვანა, კაი პატარძალია, თუ არა და ეს არა! რო მოიყვანეს ცხვარი, რო აფწიე და ცხენის უნაგირზე დავაჯდვინე, თქვეს: — მალადეც შენ! მეცვა თეთრი ტანსაცმელი-რამე...

— მარო მე მახსონს შენი ქორწილი!

— გახსოვს?

— ეხლა დავჩაჩანაკდი, დავბერდი, არაფრად გამოვდგები. თეთრი... რო მოველ სოფელში, მომიწონეს, რაგორი პირმომცინარი ქალიაო და ასე ჩაიარა... დავბერდი, ხუთი შვილი მეყოლა, — ექვსი. ერთი — მამიკვდა, იმერთები დავზარდე, უმაღლესი დავამთავრებინე და ბედნიერათ ვცხოვრობ! კაციც კარქათ მყავნს, მეც კარქათ ვარ.

***

— აიმბერში (?) — არ არიო — ხაბარში არ არიო, საქმი ყურში არ არიო.

— კაცი საქმი ყურში არ არი, რო ჩამოვიდა, მე საწყობში ვმუშაონდი და ეს კაცი რო ჩამოვიდა, უკვე პირველათ მემეკიდა, — თავიდან ვერ დავიწყე, აბდა-უბდა ვლაპარაკობ... „ჭკიდამს" უძახდით... „ჭკიდამს", ესე იგი აგრე უძახდით, რო მემეკიდა, ესე იგი ჩემთან დაახლოება უნდა, კავშირი უნდა... მოკიდება, ეგ ქვია. წინათ აგრე ვიძახდით, ეხლაც მოკიდებას ვიძახით. ჭოოდე და! მე საწყობის გამგე ვიყავი და ეჭ ქალობა რო გამოვიდა, რამე... მაშინ მომიწონა, როცა გამშინჯა... იმ დროს მაგან არ იცოდა, მე ვინ ვიყავი, რა ვიყავი. აჭა, ეს იყო და ესა...

...მოვიდოდა ელჩი, შემოვიდოდა, მაგალითათ, პირობას თუ მისცენდი... თუ არ ეტყოდი, წავიდოდა, გაბრუნდებოდა, თუ პირობას მისცენდი, მოვიდოდა ელჩი. ბეის შესცვლიდი, ჩამოიტანდა ერთ თავსაფარ იქნებოდა თუ როგორა და, მერე, რახან ბეი შეიცვლებოდა, მერე ქორწილ

დაუნიშნენდნენ, ბეი(ჰ), ნიშან და აჰა! მოხდებოდა ქორწილი.

.. — დაილაპარაკა, რო აჰაა. ამავალი ბიეი ჩამოვა, მოგეკიდებათ, თქვენც გაშინჯეთ, ისაც გაგშინჯამო. თუ მეგეწონებათ, მიეცით, თუ არა და არა!

— „კარგათ დაახასიათა, კარგი ბიეია, ასეთია, ისეთია... ქორწილიც... ბეის მერე ნიშანი დაიწყ ბა, ნიშანზე ჩამოვა ხალხი, ტანსაცმელ მოგიტანებენ-რამე, აქეთ-იქითა... მეორე დაუწყებენ ქორწილ. ქორწილზეც მოვლენ მაყრიანობა, ცხენი შეკმაზული-რამე, ჰანი სურათი ხო არ არი, გადიღ.. ჰოდე და მერე წამოვა ცხენით ნათლია, ცხენოსანი, ნეფე-დეოფალი, თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი მოვა. მოვა... აჰაააა! დაფი-ზურნა! ეხლანდელი გარმონები კი არ არი!

გზაში, მეგეგებებოდნენ ოჯახი, ნათესაობა-რამე და მოგიპატიჟენდენ: მობძანდით! მობძანდით...

მერე ქვაბ გამოგიტანდნენ, ზედ დაგაყენენდნენ, რო აჰა, ქვაბზე ჩამოდი, მერე ის ქვაბი'ნა გედგებრუნებინა, რო კაი ფეხის შესულიყავი. პირველათ მარჯვენა ფეხი'ნა შეგედგ ოჯახში, რა ვიცი, ათასი რამე იყო, ეგიები...

— ერთ... ბალიშზე დაბერებულიყაითო...

— იმან რო უთხრა, სიმონამ რო უთხრა იმას, რო ის არის, ოთხი ბიეი როგორ გააჩინა ამ მამაშენმაო და წითელ ბალიშზე იწვენენო!

— იმათი გამსხვავედება (ლაპარაკი), იმიტომ რომ ის „ოლა-მოლას" იძახიან, თათრებთან იყვნენ აზდილები და აქა მე თითქმის არც გოგაშნური ვიცი და არც თმოგური, იმიტო რო მე აქეთ-იქით ვსწავლობდი, დავდიოდი, რავი...

თმოგელებმა „ჰალა" იციან? — გოგაშნელებმა! თმოგელებმა „ოლაჲ" არა? — ჰო ოლაჲ — ჰალა მოდი, ვაჟა, ვაჟა, ბებრიშვილო!

**ბერიძე ვაჟა, დაბ. 1935 წ. სოფ. გოგაშენი, 1997.**

ჩვენი ბერიძეები წარმოშობით ყოფილან რაჭიდან, როცა აუოხრებია თურქებ, სპარსელებ, წამოსულან და დაფანტილან. ერთი დასახლებულა გრიაში, ერთი ცხეკნელაში, მგონი ერთიც ასპინძაში და ერთიც კოთელიაში.

— ერკოტაში.

— ერკოტაში, ხო.

ეს ისინი, ძმები, ოთხი ძმანი ყოფილან, დაფანტულან და კოთელიელი არი აქ გამოთხოვილი, ამათი რძალია, მარონთი და ბიძაშვილს მიძახის იმაზე, რო ვკითხულონდი ისტორიას, როგორ არი შამოჭრილი ეს ხალხი. წამოსულან, არეულან. ძმები ნაწილი იქ დარჩენილა. ერთი ძმა წამოსულა, ასპინძაში ჩასახლებულა, ერთი ძმა დასახლებულა გრიაში,

ერთიც ცხეკნელაში. ცხეკნელიდან ერთი ბერიძიები არიან საროში ასული ისევ, ცხეკნელიდან წასული იქა და ჩვენი ნაწილი შტო დარჩენილა ჩუნჩხაში...

***

როგორც ვიტყვით, ასე რო... ოკმელები და ჩუნჩხელების გამსხვავება... გოგაშნის გამსხვავება რა არის: კუთხური ენით სხვადასხვა ლაპარაკში... რაღაცას ურევთ... სიტყვები რაღაც სულ სხვა არი, იქ სხვანაირად ლაპარაკობენ, ჩვენ აქ ჯავახურად „წადი!" „მოდი" რო ვამონთ იქ სხვა ლაპარაკია...

— როგორ ამბობენ?

— ისინი, რა ვიცი, აპა... გაგძელებული სიტყვა იციან, ერთივე კუთხეა, მარამ გაგრძელებით ლაპარაკი იციან... ჰაიდე̄, ჰადა̄, ᲣᲘ, რა არᲘ? — ასეთი ამბავი რამე, აგძელებენ რა... გამსხვავება ეგ არი, სხვა არაფერი. ლაპარაკი — ლაპარაკია...

***

იექ ბევრი შემოსულია, წინა ისტორია რასაც სწერანს, ის ხალხი აღარ არი თითქმის, აი ოქრომელიძიები ყოფილან, აქ, ოქროპირიძიები ყოფილან, ცისკარაძიები ყოფილან, — აღარ არის ასეთი გვარი და სულ სხვა გვარია შემოსული.

— იშტაი და ჰალაᲥ ... (იციან გოგაშნელებმა, მ.ბ.).

## მარო ზაზაძე-ნათენაძე (იხ. გვ. 135).

— ნათესავი ყოფილა, თმოგის იმიდან... გზაზე მოდიოდა, კაცი, მესხი ვიღაცა, გაიგე, მოდიოდა და მივიდა ვარძიასთან. ვარძიიდან მოესმა ხმა. ხოდა იქიდან მოდიოდა ხმა̄, რო მიშველეთ, მიშველეთ, მიშველეთო, და მესხი იყო, თავში გარჭობილი ბუმბული ჰქონდა მივიდა და ქამანდა... ცხენ მოსხნა ქამანდა და ესროლა და ყვირის: ვინა ხარ! — აქ ვა̄რ ძია, აქ ვა̄რ ძიაო! ჰოდა, წავიდა და ჩამოიყვანა ბავშვი — თამარ დედოფალი! კიდეე რა გითხრა!

# ზღაპარი

იყო ერთი კაცი და ცოლი მოუკვდა და სახში პატარა გერი ჰყანდა, მოიყვანა სხვა ქალი, იმასაც მოჰყვა ერთი შვილი. ჰოდა, ისე ეჯავრებოდა ეს პატარა გერი, რო ნაცრი მკრეფავათ ჰყანდა გახდილი.

ხოდა, ამ ბავშვ მისცენს თითიტარსა და მთელი დღე ართენდა, ართენდა, მანამ თითებიდან სისხლი არ წამოუვიდოდა, არ ეშვებოდა. და ერთხელაც ეს ბავშვი წყლი პირას იდგა, ჩაუვარდა თითისტარი და მივიდა თავის დედინაცვალთან.

— დედიო, თითისტარი ჩამივარდა წყალშიო და: — წადიო, თუ გინდა, დაიხჩე და ამოიღეო. ეს გოგო ჩახტა, ბავშვმა იცურა, იცურა და ერთ მდელოზე აღმოჩნდა.

ხოდა, მივიდა, დაინახა, რო ერთი თონეა და იქიდან ყვირის, დავიწვით, დავიწვით, დავიწვით, ამოგვყარეთ. აეს ბავშვი მივიდა, ლამაზათ ამოყარა, ყველაფერი მიალაგა და გაიარა, წავიდა. მივიდა ერთ ვაშლი ძირ. ხიდან ყვირის ვაშლები:

— ჩამოვცვივით, ჩამოვცვივით, სუყველა დაგვარხიეთო...

ამან დაარხია ესეც, მოკრიფა. მივიდა, დაინახა ერთი დიდი შენობა, იქიდან გამოვიდა ერთი დიდი ქალბატონი ჰოლეი.

— მოდი, მოდი, ნუ გეშინია, მე ვარ ქალბატონი ჰოლეი. და მე მემუშავეო, გულწფელათაო... ჩემ ლოგინ რო დაბერტყანო, ციდან თოვლი'ნა წამოვიდესო. ეს გოგო დაჩოვილი იყო მუშაობაზე და კარგად ემსახურა, სამი დღე რო გავიდა, გაახსენდა თავის დედინაცვალი და თავის დობილი და: — მე'ნა წავიდეო, მოიღვრიმა.

უთხრა: — წადიო და გახვალ ჭიშკართან და გაჩერდიო. და გადმოასხა ოქრო და სულ ოქრო გახდა ე გოგო. რო მოვიდა და მოახლოვდა და: მამალ'მა დაიყივლა:

— ყიყლიყოო! ჩვენი ოქროს ქალიშვილი დაგვიბრუნდაო! — გიეხარდა. და ამ დედინაცვლი(ჰ) გოგომ რო დაინახა, შეშურდა, წავიდა, ბარდებში თითები წატენა, სისხლი ედინა, თითისტარი ჩააგდო, ჩავარდა იმ წყაროში, წყალში ჩავარდა, აცურა, აცურა იმ წყალმა და მდელოზე აღმოჩნდა. პურები ყვირიან: — დავიწვი, დავიწვი, ამოგვიღეო!

— ოო, ახლა თქვენზე ხელებ დავისვრიო!

წავიდა ვაშლთან.

ახლა ვაშლი ყვირის, რო დამარხიე, დამარხიე, რო ჩამოვცვივითო. მერე ადგა და ემან თქვა: კიდე კაია, გამაფრთხილე, თორე თავში ჩემეცემოდაო!

მივიდა იმ ქალბატონთან, არც შიეშინდა, არც არაფერი. იმამ უთხრა, მემსახურეო. ერთ დღეჰ ვაი-ვაგლახით ადგა ის გოგო, როგორც იყო, ე ლოგინი დაბერტყა, მეორე დღით სულ არ ინდომა. მესამე დღით თქვა,

რა კაი იქნება, წავალ და ეხლაო ოქრო გავხდებიო. გამოიარა იმ ჭიშკარზე და გადაასხა ისა, კუპრი. კუპრი გადაასხა და... ამოვიდა ი ღობესთანა, დიყვირა ი მამალმა: ყიყლიყოო! ჩვენი ჭუჭყიანი ქალიშვილი დაგვიბრუნდაო.

ნათენაძე ნინა, დაბ. 1925 წ. ახალქალაქი, სოფ. გოგაშენი, 1997 წ.

— მე მიშას გოგო ვარ, ნინა მამიდა!

— უიი. თინაჲ თუ რომელი, გოგო!

— მარინაი! მოიცა რა არი, რაჰ დადიხარ, მარინაჯან, როგორა ხართ. — ეხლა შეგხვედე და მიშას განხარ მარა, თან მიშას განხარ, თან რა ვიცი, ვეღარ გიცანი! თქვენთან რო მოვდიოდი, ემოდენა იყავი! ეე, გოგოჯაან!

— აიმან ამითრია(ამითრიაამიყოლა), აიმან (ბავშვმა), ნოდარასია... ნოდარასაც მუხლები სტკივა

— ვასიკო ძიაი როგორ არი?

— არა უშანს, ის ბაღეფშია, კარგათ არიან... ამაღამ ამოვა. თენგოიც აქ არის.

— გოგოებისა?

— გოგოებიც, ორი ბორჯომშია გათხოვილი...

— მზია და...

— მზია და შუშანაი. ლიაიც კარგათ არის, იქ არი, თფილიში არიან ეგენი...

აგრე, ჩემო მარინა, შენი ჭირიმე!

...თავიდან ვჩეჩენდით, მერე დავართენდით, მერე იმას კიდე აი, დიდი თეფშები ქვონდა, დავძახენდი, მერე დავხიფებდით იმასა და წავაღენდით იმაში, ქალაქში სანღებროში. იმაჰ დაჰღებენდნენ და მოვიტანდით, ხანები ქვონდა ასე აყუდებული...

— რა ფერად დაღებენდით?

— ყველანაირ, აი ციფერი, ვარდიფერი, ყვითელი, მწვანე, შავი... აჰა, ეგიები. მერე იმას მოვიტანდით და დავახვევდით იმათ, გორგლებათ და მერე იმას ვიზმოდით, დაზგასავით იყო ხანები და ჩამოვქსელენდით, გაუყრიდით და აჰა, რა ვიცი! გვედო ის ნიმუში, ხოო! იმიდან ამოვიღენდით

— რა ერქვა იმ ნიმუშს?

— ნინა, რა ერქვა, ქარქაშიო? — არა, იმას რა ერქვა? — სახეო, აქედან ამოვიღოთ სახეო.

— აჰა, რა ვიცი, ყველანაირი სახე იყო, ფარშევანგები იყო, ხალიჩი ფორმა... აჰა, ეგიები, მაგას ვაკეთენდით ხომე. მერე აჰათ, კიდე

დავჩეჩენდით, აი ხო თითისტარი იციან, ხერტალ უძახდით ჯავახურებ: ხერტალი, კვირისტავი, თეში... ეგიებ ვაკეთენდით...

## თათრების გასახლება

...აჰა, თათრები იყვნენ ჩვენთან, ეგ თათრები ჩვენ არაფელ... რა ვიცი, ჩემ მოსწრებაში...

— ხალხო, გვერჩოდნენ რამეს?

— მე ვცხოვრონდი თათრებთან, როგორც და-ძმანი, ისე ვიყავით. არც ერთი გოგო და არცერთი თათარი... არც ქართველი აიყვანდა, არც თათარი — ჩემო დაო! ჩემო დაო! ერთმანეთს ვუძახდით და ნათლიობასაც ვამყარებდით.

— ნათლიობას როგორ, — დამეგობრდებოდნენ. მაგალითათ ისინი როგორც ნათლიას ამბობდნენ და იმათაც ხო იციან თავისებური ნათლობა, იმ ფორმაზე მიზდევდნენ...

მერე გადასახლებაზე რო გადასახლდნენ, წავიდნენ...

— როგორ უცებ, უცებ... აი, უცებ შეკრეს სოფელი და... მოვიდა ასე სამხედრო დიდი მაშინები და შეგვეშინდა, ჩვენ ვთქვით, რაშია საქმე! მერე თქვეს, რო აბა თათრები'ნა გაასახლონ! აჰა, თათრები გაასახლეს, წაიყვანეს, წავიდნენ. აჰა ეგ იყო!

მე მაგათ იმას არ მოვსწრებივარ, რა ვიცი, დედაი მოსწრებია მაგ უბედურობას, ბევრი ტანჯვა გადაგვატანა წინა!

— რო გადაასახლეს, როგორ იყო, ღამე დაიძინეთ და დილას აღარ იყვნენ?

— ღამე დავიძინეთ და... — ამათ არ იციან...

**ვაჟა ბერიძე:**

მოვიდა საღამოთი, მე ვიყავი ასე შვიდი-რვა წლის ბავშვი. შვიდი წლისა ვიყავი. ჩამოიწკიპა მანქანები, შემოვიდნენ სოფელში. შემოვიდნენ, არავინ იცოდა, ხოლოთ პარტიელებმა იცოდნენ ესა, მარინა, ყველა გაფთხილებული იყო ისე ხალხი და ბავშვები და ასე... დიდი, ქალი ოლ-ღული არ იყო.

მოვიდნენ და სოფლები აწერილი ჰყანდათ, ზუსტათ რამდენი კვამლი ცხოვროფს მაგალითათ, გოგაშენში და რამდენი მანქანა ეყოფა. ასე დაანაწილეს, საღამოთი კრება მოიწვიეს და უთხრეს: თქვენ'ნა გაგასახლოთ, ქართველებიც'ნა გავასახლოთ, რო აქედან ისხნება მეორე ფრონტი, ომი'და დაიწყოს, თურქეთი'ნა შემოვიდესო და ამ ხალხმა არ იცოდა, რა ჰოხდა. ღამე გვითხრა, რო ყველამ პური გამოაცხეთ, საგზალს ეძახიან

თუ საპმელი-რაღაც ათი დღის, სუბუქი ოთხი ან ერთი-ორი ხელი ლოგინი.

თითო მანქანაზე რვა კვამლი იყო, ხუთი კვამლი... თუ დიდი ოჯახები იყო, ოთხი, ერთი წინ იდგა ჩასავო, ერთიც — უკან.

ჩაასხდინეს დილით, ეს იცოდა რაიონმა, გაფთხილებული იყო, რო თათარი'ნა გავიდეს სოფლიდან. ამათ შეიძლება დაუწყეს ლაპარაკი, რაღაც და უთხრეს, რო: ზეგ ქართველები, მობილიზაცია იქნება, რო ვასახლანთ ხალხ, ხაზებიდან.

ერთდროულათ მეორე ღამით, არცერთი სოფელი... ასე აქედან მოჰყე: კარწახი, აქეთ დაბნია, ერინჯა, ხავეთი — თათარი საცა იყო! — აზმანა, ქარცები, ოკამი, კიდე აქეთ — მირაშხანი, რა ვიცი, ნიალა... ეს სოფლები ერთ ღამეში... (გაასახლეს) მეორე დღისით საღამოჰ ხუთ საათზე ერთიან დაიძრა უკვე კალონა.

ეს ხალხი გავიდა, იმათი ცხვარი, ძროხა, რაც ქონება ჰქონდათ სულ დარჩა... მარტო ორ-ოლი ხელი ლოგინი, პური, წყალი და თუ ფული ჰქონდათ, ეს. გაირეკეს და წაასხეს ხალხი.

წავიდა ეს ხალხი, წავიდა მერე გამოცხადდა, რო ეს რატო გააკეთეს! ეს რატო გააკეთეს და თურქეთი'ნა შემოსულიყო, აქა ამ ხალხ'ში რო დარჩენილიყო ესენი, გინდა თუ არა ფეხ მოიმაგრანს. მაგალითათ, ეხლა შენ ამოსული ხარ არა? დეიდაც გყანს, მამიდაც გყანს, გენაცვალე, ვიღასთანაც იცხოვრამ, დარჩები, პურ შეშამ, იქნები. აქედან ეს ხაზები იმიტომ მოსხნა სტალინმა, რო ეს ხალხი არ შემეებუდა ჯარსა და არ გეეწყვიტა ქართველები. ამისათვის გაამაგრა ეგა!

...ვისაც ვცნონდი, მაგალთათ ჩვენ სოფელ'ში, წავიდა თათარი იქა და იმის ყურისმენა ისევაც მაქს რო გამოიარა, ასე გზაზე ვიყავით, რაგორც ეხლა ბავშვები...

— ისინი ტიროდნენ (ქალი)!

— ანნალაარ კატოლ ანი ბიზანი ბიზაო — ესე იგი, — დედაჩემო კატოო, ჩვენი წყალი დეგესხეთ თქვენაო!

— თან იწყევლებოდნენ! —

— ჩვენი ცხელი წყალი დეგესხეთ თქვენაო.

**მარო ზაზაძე-ნათენაძე:**

— თათარი რო გაასახლეს, ჩემი ძმა იყო პატარა. პატარა იყო, რო მოდის, მოდის კალონა, მიდის — მოდის, მიდის — მოდის და ერთი გადმოჰყო თავი (თათარმა) და ასე თქვა, რო, — ქართველებოო, თქვენი დედა ასე ვქენეო, თქვენი თავები'ნა დეგვეჭრაო და თქვენ დაგვაჭარით თავებიო, — თათარმა თქვა. ჩემი ძმა იემხელა იყო, პატარაი და: ..., გიჟობა, ოჩერედით არისო (ამასაც თათრულად თარგმნის), — ბავშმა

უთხრა, აი, ჩემ ძმამ, პატარამ, რო წინათ ხო ჩვენი ქართველები ააოხრეს, აწამეს... და ბავშვმა უთხრა, წადით თქვენი დედა..., გიჟობა ოჩერედით არისო (ისევ თათრულადაც) ისე კი, უთხრეს გადმოკრით სიტყვა, რო თქვენი თავები'ნა დეგვეპრაო.

...ეს სოფლები რო დაიცლებოდა, რო გარბოდნენ ბაკურიანში და ზოვრეთში და გარდაბანში... ...ხო ახსონთ, ამ ხალხსა — ახსონთ! აი, იმიტონ უთქვია ამ ბავშვებისთვისა, რო ჩვენი წყალი გედგესხეთო ანდაც დეგვეპრა'ნა თქვენი თავიო. — აი, თქვენი, ქართველების თავები'ნა დეგვეპრა და თქვენ რაგო მოგვიარეთო.

**ნინა ნათენაძე:**

— ზოგი იძახდაო, რო პური გამოგვიტანეთ, შიერები ვართო, ზოგი მათხოვრები იყოო;

— აი, ეხლა დედაი ვერ ალაპარაკე! დედაი რო ალაპარაკა თინამ, იველაშვილმა... შარ'შან ხო აქ იყო, თინამ ალაპარაკა, — ქუნცელი ქალი და ეგა ძმათაშვილები არიან! (ქუნცელი ქალი დედამისია იხ.სალომე ნათენაძე).

***

— წამო, წამო, ი გოგო თქვენთან იყოო? ჯერ უთხარი, — ხო! — დაიფიცეო!

— ახლა, მამაშენ რო დედა მოუკვდა, მე არ მახსონს, შენი ჰირიმე.

— მამაჩემთან და გოგოებთან გქონდათ ურთიერთობა?

— ურთიერთობა... ამ გოგვიებს, რომლები...

— სონა, ქეთო...

— აპა არ ქონდათ, აპა, მიდიოდნენ. მიდიოდნენ აპა, ისე კი არ იყვნენ, როგორ არ ქონდათ ურთიერთობა, ქონდათ. ...მერე დედაი ხო მოგვიყვებოდა რო, ასეთი და მყანდა, ასეთი იყო, ისეთი იყო და მანდედან გადმოცემით ვიცით. აჰა!

...თითონაც მოდიოდა ხოლმე სანახავათ მიშაი, დეიდამისთან. მიშაი მოდიოდა, როგორ არა, ქორწილებშიც მოდიოდა ხოლმე, აე ჩემ დის ქორწილებში: მაყვალასი, ლამარასი, აპა!

...დეიდაშვილები ვართ, ერთი ვართ, სისხლი ერთი გვაქ.

**მარო ზაზაძე:**

დედაჩემი ძველელი ქალი იყო, ზედგენიძის ქალი იყო და გადასახლებისას რო მოგვიყვებოდა ხოლმე...

— ავიკიდე ჩემი დიშვილი და წავიყვანე ღობიეთშიო. თათრებმა შეგვინახესო, ღობიეთში ჩაველით, ავიკიდევიო, 12 წლამდი არა, უფრო პატარაი იყო, ავიკიდე, წავიყვანეო. შევაფარეთ თათრეფში თავიო.

ეს სონაი, სონხი გოგიას მამიდა, ლიზას ქმრის მამიდა სონაიც იქ არიო, ამ თათრებმაო ერთ სახში შეგვრეკესო. შეგვრეკეს ერთ სახშიო და რომლებიც ლამაზებიაო, გაჰყანთო, გაჰყანთო და ხან წყვინტლ ჩამოიდენენო, ხან მურ წავისვამთო, და ხან რამეო, ტირიანო, რო არ გაგვიყვანონო ერთი საცოდაობა დგასო.

ერთ ბებერმაო შეგვიბრალაო და მე და სონხი გოგიას მამიდა, სონაი ერქვაო, ახაციხეში ცხოვრონდა ის ქალი, ქულქში წაგვფლაო, აი იმაში ცხვრის ქულქში წაგვფლაო და დაგვაყარაო, რო იმდენი, გვესუნთქა, არ დავხოცილიყავითო. ისიც შეგვინახაო, რო ორი ბიჭი ჰყანდაო: — ამას ერთ ბიჭ გავურიგამ, ამას ერთ ბიჭ გავურიგამო. აჰა, ამ გულზეო და ამით გადავრჩით ჩვენაო და დანარჩენი ვინც იყვნენ იქაო, ახალგაზდობა, თორმეტი წლის ზეითო, ისინი სულ გაჰყანდათო და იმაშვრებოდნენო, აპატიურებდნენო.

ერთიც განთიადის ალიონზე გააქ ჭექა, ჭექა... იჭექება, იჭექებაო, თოფის ხმა არიო. ერთიცაო სადაც სოფელში კაი ვაქკაცი იყოო, არჩევდნენო, ეს ამათი კაი ბიჭია, ამათი კაი ბიჭიაო, გაჰყანთო და ხოცებენო. ერთი რატო ოცი-ოცდაათი ბიჭი არ დახოცესი.

გამოველით დილაადრიანაო, როცა რო გალაგდა ეჰ თათარიო, როცა რო დაშოშმინდაო. თელი ახალგაზდა გაექლიტათო, სულ ისეო, რო რომელიც კაი ვაქკაცი იყოო და ისევე, რომელიც რო არაფერში არ გამოდგებოდაო, ისინი დიეტოვათო.

... სალოიცო (სალომეი), სალოიცო, აძგვიტელები და ჩვენ ერთათ მოჭყეთო, ამი დედაც, მაროს დედაც იქ ყოფილა, აძგვიტელების ერთათ... შალიკოი, კიმაი რო არი, მაგათ ოჯახიო ერთათ ვიყავითო, ზოვრეთში წაველითო, ტყეშიო. ისეთი ქათმი ჭირი შემოვიდაო, რო ჯერ ბავშვები დეგვეხოცაო, მერე ცოლიო... სუყველაო. ასე იხოცებოდაო, სად მივიდოდითო, რო სად დეგვესაფლავებინა, ისევე გაფთხრიდითო, ხი ძირზე...

— აბა რო კარგი გიეკეთებინათ ამ ქართველებისთვისა... ტყეშიო, ურმით წაველითო, ურმითაო. ურმით წაველით და ურმით გზაშიო... ჩემ მამიდასა, სესაძიებია იქა ლადიკოს რძალი რო არი, ეხლა ბერიძეს რო ჰყანს, ლადიკოს, ჩუნჩხიდან. იმის ბაბომაცა ბიჭი დაკარგა გზაში — ბავშვი.

ურემზე დაკარგეს და ჩვრით იცნეს. თუ არ აწვალენდნენ ეს(ჰ) თათრები და არ აწამებდნენ, რათ გარბოდნენ! — თელი სოფლები! დაიწყე აფნია-გოგაშენიდან, გაჰყე: ჩუნჩხა, პტენა, ქილდა, დაჰყე და... სულ გაქცეული იყო, სულ დაიფანტა სოფელი...

**ნინა ნათენაძე:**

— კაცო, თუ არ იმასშრობოდნენ, ეს ჩემი მამანთილი რო იმაში რო, ბაღეფში რო გაუტიტვლებიათ საწყალი და დედიშობილა გაუშვიათ... ჩემ დედანთილსა ეს ცხვირი ჰქონდა გადაჭრილი. ეს ჩემი ქმარი პატარა ჰყოლია მაგ ბაღეფში და ქოხში ყოფილან. ამათ ყოლიათ ორი ხარი, ხარები გამოუბიათ კალოში...

თათრები რო დეგვესხნენო, ეს თათრები აი, დანკლიჰ თათარი, აი, შერეულები რო გვყანდა, შემოგვიცვივდნენო — ტირილი დავიწყეო, რო ბავშვიც'ნა მამიკლანო. მერეო თათრულებ თქვესო, რო „ყორხმა ბაჯიჯან, ყორხმა არ მოგიკლანთ, ნუ გეშინიაო.

ჰო! მერეო ეს შენი მამანთილიო, იმამ თქვა, ჩემ დედანთილმა, ეს შენი ის გაატიტვლეს, კაციო, ხარები აუშვესო, მე რო თოფი ყონდაღი ჩამცხეს... ეს ცხვირი გადაჭრილი ჰქონდა და შეკერილივით ჰქონდა. ჰო! მერე ფეხშველაიო კიდევ გამოუდგაო ხარებო, ასე რო ამოვიდაო, იმაშიო, რა ჰქვიან, ხრამშიო, ნეხვში ფეხი ჩაუდგია, თბილ ნეხვში, გაიგე?!

— ჰოო, ჩემი ხარები აქ ასულანო! ისევ დავბრუნდიო, რო მეც არ მამკლანო.

— ნინა ქალო, ერთიც ეგ მოუყევი: თათარი რო შემოსეულა, თურქეთი და აზიზას რო სუფრა გადუგებებია.

— დედაი ილაპარაკანს მაგას. მოჰყვა ეგიები? ბერიძეა ეგ, ვინც არი!

— აზიზაი?

— ხო! ეს აქაური კაცია და ფაშასთან, ერთათ, რა ვიცი, ჯარში ყოფილან, გვარდიაში ყოფილან... ეგენი ერთათ ყოფილან.

მერეო, მეო რო პატარაჲ ვიყავიო და ის ქნესო, გამათხვიესო, ამ მამაშენმა რო წამამიყვანაო, ამოველით აქაო და მეორე თათარი შემეგვესიაო, აე თურქეთიო. აქედან ავდექით, გადავცვივდით ბაღეფშიო. პაპაშენიც (ჩემი პაპა), პაპაშენიც ბაღეფში იყოო. ეს ერეკლე ბიძიას დედაც ბაღეფში ყოფილა. და, რო ჩაველითო, სალდათები ჩამოვიდნენო და ამ...

გამოუგზავნია ფაშას, რო ეს ხალხი, ქართველები ერთიან ამოიყვანეთ აქა, ამ სოფელში. მერე რო ჩამოვიდნენო, ამ იმაჰ, თუთა ბებეს უთქვია, ერეკლე ბიძიას დედას... რო თათრულებ უთქვიათ, რო ესაო შენთან იყოო თუ ზეიდან ჩამოვიდაო!

— არა, გენაცვალე, ჩემთან იყო, ჩემი რძალიაო.

— თუ შენთან იყოო, აბაო ფეხები სველი რათ ჰქო. ეჰ თოვლიანია, იქიდან ჩამოსულიო. ნუ გეშინიათო, არაფერ ჩვენ არ ვერჩიოთ, ჩვენაო, დაგვაბარესო, რო იქ რაც ქართველებიაო და არიანო, ერთიანაო აქ, სოფელში ამოიყვანეთო. წამოველითო. შემმურესო, ერთი... აი ეს, ნინო ბებეი... ამ იმითი; რა ქვია...

— ჰეჯოფეთი?

— კაციენთი?

— არა, არა, ე ეოს... უუ!

— სოსოს დედა!

— სოსო დედა არა, კაცო, ეე, ნა დამავიწყდეს!... რავი, აქაური ქალი იყო და იმ ქალის სახელი დამავიწყდა, ნინოი ერქვა და: — უიმე,...

— ბასოონთი, აი, ბასოონთნი რო იყვნენ! ბასოონთ ნინოი. მერე მაგას შეეკითხნენ, რო ესაო რძალიაო თუ გოგუაო!

— არა გენაცვალე, რძალიაო! — მამაშენიცაო საცოდავათ კანკალენს ესეო, რო'ნა წამართვან ქალიო, გაიგე, უკან მამდევსო, ჰო! — ლამაზი ქალი იყო. ჰოდა! თმები ბეჭებზე არ მეტეოდა თმები, იმითანა თმები მეყაარაო. მერეო ამ ქალმა უთხრაო, რო არა გენაცვალე, არაო, ესო ჩემი რძალია, შვილოო.

— ქმარიო აქა ჰყანს ამასო? და:

— არაო, მაღლა არიო ქმარიო, რო არ მოუბრუნდნენ, კაცი არ მოკლანო.

— წამოდითო, ნუ გეშინიათო! — ამოგვიყვანესო, დედამ თქვა, ამოველითო. ერთი კაი დიდი ის ყოო. დარბაზიო, აქ საცაღა ყოფილა, იქაო, ეს ქალობა იქ შეგვრეკესო, აზიზასაცაო გამართილი ის უჭირანს, აქაურ კაცსო, სუფრაო და გადააგება ამ კაცმაო და უთხრაო, რო ამ ჩემ ხალხსაო, ამ აზიზამო, ამ ჩემ ხალხსაო შენ ჩიტ არ აუფრენო.

— აზიზ საე სარო? — შენა ხარო აზიზო — ეგაც უოხარ ასე, რო ლამაზათ ჩანდეს, — აზიზ საე სარო? — ხოო! და მაშინ უთხრაო, რო ქართველებ ხელი არ ახლოთო. (სხვა ჩაერთო საუბარში!)

— ეგრე ყოფილა და იმით გადავრჩითო თორე ეს ლამაზი ხალხიო, შეგვრეკესო, დაგვადეს კლიტეო.

ბერიძე ვაჟა:

— თოთხმეტ წელში, მარინჯან, ეს აზიზაი ყოფილა არდაგანში ნაზორად ციხიეფში, ნაზორად და ეს სარდალი თურმი ყოფილა ციხის უფროსი. ეს თვრამეტ წლებში რო მოხდა ხალხის გადასვლ-გადმოსვლა, აზიზაი წამოვიდა თავი სოფელში, ეს თათარი, რომელიც სარდალია, წამოვიდა და ეს სომხი სოფლები ააოხრა.

თვრამეტ წელში! შეეოვიდა კუმურდო გაწყვიტა ეოთიან, დიდი... საბძლები, ორმიებში ჩაყარა ხალხი. ისე რო, ჭუჭული არ დატოვა და თურმი საბძლები ზეიდან დააწვინა და ხალხი რო შიგ არი, სუნთქანს. ცოცხალი ხალხი ეგრე დამარხა ამ თათარმა.

ჰოდა, წამოვიდა, რა მოხდა: დანკალში გადმოვიდნენ (თათრის სოფელი

იყო, მ.ბ.), რაგოც შენ შემოხვედი და ეხლა გვალაპარაკამ. ამ სარდალმა უთხრა, რო:

— მოდი აქ! შენ ხარ უმფროსი, ვინ იყვნენ, რო თქვენ გაწამანთ. ხალხი გვითხარით, ქართველები, ვინ გაწამანთ თქვენ!

პირველში ჩაწერეს ბერიძე აზიზაჲ. ეს, ეს, ეს, ეს და ეს! ჩაწერეს ეს თხუთმეტი კაცი, თვრამეტი კაცი. პირველში თავები'ნა დააჭრას ამათ, ვინც (ვითომ) თათრებს ერჩის და კაი ვაქკაცებია.

ამოარჩიეს, რო ამას ქაღალდი-სპისოკი მისცეს, უთხრეს რო: — აგერ, გოგაშენში ეს ხალხი არი, რო ჩვენ გვაწამანს!

ეს წამოვიდა. წამოვიდა. რო გადმოხედა აგერ აქ საფლავებთან. ჩვენი რძალია, ამის დედა სალომ ბაბოი ახალი ქალი, რძალი, აგერ, მასწავლებელსაც ეცოდინება ეგ ამბავი და...

აბა! გაიქცა ხალხი. სად გაიქცევა! შემოდგომის ხანი, ცივა, ერთი, მეორე! ამ თავკაცებმა თქვეს, რო, კაცო, ჩვენ სადღა'ნა გავიქცეთ, ჩვენი ვაქკაცობით გავიდეთ, პურ-მარილი გავაგებოთ, თუ პური აიტეხა და მარილი, არ გვერჩის, თუ არადა, სადღა'ნა წავიდეთ, დაგვხოცებენ და ჩვენი ქალი-რძალი ასეც'ნა დაიხოცოს, ისეც, სად'ნა გაასწრო, კაცო! ჰა, სოფელში შემოსულია ნახევარ კილომეტრზე...

ასწიეს, წავიდა ამ აზიზამ, და წაიღო პურმარილი და წაიდნენ ეს სუყველა თავკაცი, დიდრონი ხალხი, მაშინდელი ხალხი! ჰო! ეს აზიზაჲ ყოფილა, გიოჲ ყოფილა, ...ვინც ყოფილა, დიდრონი ხალხისა და ასეთი. ჰოდა, მივიდნენ! რო მივიდნენ, რაგოც შენ დამიძახე, წეღან და ვთქვი, ვინ არი ასეთი რო...

მივიდნენ და გადააგება! ამ სარდალმა, რომელიც არი, რო შეხედა, — აზიზ, შენა ხარო? ვა, ამამაც სახელი მისცა, — აიშვირა ხელი, რო აბა, გაჩერდეს ჯარი, გააჩერა... მოხუცებიდან ისევ გიო ძიაჲ, ერეკლე ძიაჲ, რო გადმოგვცენდნენ, ამისგან ვიცი მე...

— ჰო აბა, მეც დედასგან ვიცი ეგ გადმოცემა, რო ესე იყო, ესე იყო...

— მოიცა, ჰალა! ჰოდა, ამამ გადმოვიდა, გედეეხვა, გადაჰკოცნა. — აზიზ შენა ხარ! — მეც ესა ვარ. მისცა სახელი, ჩამოვიდა ცხენიდან, ჩამოხტა და პური და მარილი გატეხა.

ჯარს გამოუცხადა, რო არცერთმა ჭუჭული არ ააფრინოთ ამ სოფელში. და პირველში აზიზაზე: — აზიზ, შენ ნა მემეკალი, თავი შენთვის'ნა მემეჭრა. პირველი კაცი, თურმი ეს კაცი სწერია, ე ბერიძე აზიზაჲ, ამამ რო დახედა, ერთი-მეორე ეს დახია, გადაყარა, ერთი-მეორე და უთხრა, რო, ამაღამ ჩემ ჯარ დავაყონაღამ შენთან, — დავაბინავამ... კვამლში ორ-ოლი კაცი დაისვენამს, ჩემი ცხენი, ჩემი სალდათ, პურ აუმეე, დაასვენამ და მეც შენ ოჯახში'ნა დავისვენო!

მოვიდნენ, ყველგან რო დაანაწილეს და უთხრა: აზიზ, ქალი-რძალი, ბავშვი... გასწყდება... თქვენი კაცი გაჰყვეს, მორეკე და დაბინავდნენ

სახში, ჩვენ ჩიტ არ აუფრენთ! ჰოდა, წავიდნენ ესენი, მორეკეს სუყველა, შემოვიდნენ სახლებში და უთხრა, რო როგორც და-ძმა... მე, სალდათმა თუკი ვინმემ რამე გაბედა, მითხარით მე...

ეს ყველაფერი მოხდა, წავიდნენ. ერთი ოთხი-ხუთი დღე იყვნენ, შენ გენაცვალოს ჩემი თავი, ამ ამბავში, დილით ნახო, რო... მეოთხე დილით ჩავიდნენ, ერთი ბერიკაცი გამოვიდა და უთხრა: ხო არავის არაფერი არის, ეს ამბავი ასეო.

— ამამ უთხრა, მე მაქ ერთიო: — რა, არიო და: ეს ერთი .ძაღლი სალდათიო, ბოდიში შენთან, ესეთი უდიერობა გააკეთაო. გამოშეკრა ნახევარი ყელი და გადაისროლა ქარაფიდან იქვე...

— რძალი გაუფუჭეს, რძალი! (ქალები)

— ეს ამბავიო, წელზე ფეხი როგორ დამადგა მე ამამო. გამოშეკრა ნახევარზე და გადააგდო... ერთიც, შემოესმა თურმე ამას, რო ქართველი ჯარი... (მოდის).

ახლა რა ექნა, იარაღი აკრიფა, ვისაც რა იარაღი ჰქონდა, ყველანაირი იარაღი აკრიფა... ერთიც უთხრეს, აბა, ქართული ჯარი შემოვიდა ბაკურიანში. ესენი შესხდნენ, გაიქცნენ და წავიდნენ... იმი მერე ეს ხალხი დაჭოქმინდა, მერე გახდნენ ჩვენი ძმები თვრამეტ წლიდან... ოცდაორ წლი შემდეგ, რაც რევლუცია მოხდა, იმი მერე გახდნენ ჩვენი ძმები. აჰა ესე იყო, შვილო მაგათი ამბავი.

## აღდგომა

— აღდგომისთვის როგორ ემზადებოდით?

— როგორ ვემზადებოდით, ვაცხობდით, შენი ჭირიმენ, აი, ვიცოდით ნაზუქიო, პასკაო, წითელი კვერცხიო...

— მაგან ის თქვას, პასკა რო წაართვა...

— პასკა ვის წაართვი, ქალო!

— თავი მამიდაშვილმა უთხრა, რო შენმა დამაო პასკაო მოგვპარაო, იმას უთხრა და ამამაც მივიდა და ორი პასკა იყო, — არ მუუპარია იმ საწყალ ქალსა, არ აუღია... ეს გათხოვილი იყო მაშინ...

— ...მაშინ გათხოვილი კი არ ვიყავი, ჩვენი კაცი ლაპარაკობს (ჩემი ქმრის მონაყოლით ვიცი ეს ამბავიო, მ.ბ.) და მოუტყვილებია, ნათესავები არიან ჩვენი და უთქვამს, რო ნინაო, თინამაო რომელიც დედი პასკა იყო, ის წამოიღოო. ამამ ადგა და იმი პასკები აიღო. — გოგო, არ ამიღია!...

— მერე გავიდოდით, გენაცვალე, და აქ ვიცოდით, აი, ექ გვაქ ჩვენა ისა, საყდარი. მანდ დადიოდნენ, მუხლი ჩოქზე... მე კარქად მახსოვს, უკან მივდევდი დედაჩემს ესე პატარაი და მუხლი ჩოქით აესე გალავანს უვლიდით.

ზედგენიძე-ნათენაძე სონა, დაბ. 1925წ. სოფ გოგაშენი (ზველი), 1997.

## გაქცევა

— დედაჩემის მამა მოკლეს თათრებმა. ესე იგი, თათრები, ეჰ ჩვენი თათრებ. . ეს გაქცევა რო მოხვედრილა, დედაჩემი მაშინ ნაწვევათ იყო, თ..ვი სამშობლოში ყოფილა და მამაჩემ უთქვამს, (ეხლა ხო არ არი, რო მალ-მალ იცვლიან ცოლებს) იმასაო იქ მოჰკლავენო და მე რა მინდაო, რო წაკიდე იქაო და დარჩებ. აქ! და მეზობლი ბიჭი, აი ამ ასაკისა, ცოტა ამაზე დიდი... დარჩება გრიშაჲ, ხო იცი, ნინა, ის დარჩება, კარგი ბიჭია, საწყალი, მერე დაგლახავდა.

ჰოოდა, რო მოვიდნენო... ჩვენ გვაქ დიდი ხნის... ისე იგი, ვარძია რო გაკეთებულაო... ჩემ წინაპარ არ ახსონს ეს, (დარბაზია დიდი), ჭობარეთში როდის გაკეთებულა და ის... გვირგვინს ეძახიან, ასე გვირგვინია და იმას ანგრევდნენო.

შიგ ყოფილან ის გრიშაჲ და მამაჩემი და მამაჩემი რო არ წასულა: ასეც'ნა მამკლან, ისეცაო, დამალილები ყოფილან შიგნითა და ესე იგი, გაქაჩილა მამაჩემი და ფეხებზე შემოხვევია ეს ბავშვი, ახლა, იმ სიმაღლე ხო არ იყო, წელზე შემოხვეოდა:

— ბიძაო, სულ დაგვხოცებენ ჩვენაო!

მერეო, მოვიდაო, იმ კაცმა თქვა (გრიშამ), — სირცხვილი არ არისო, ესე იგი, ნამდვილათ მივხვდიო, რო ის ჩემთან მოდიოდა ხოლმეო, ის კაცი (თათარი რომელიც დასარბევად მოვიდა მ. ბ.).

..და ეხლა ის დარბაზი, ნამდვილათ, რომელიც მოანგრიეს, არის ქვით იესე გაკეთებული. აქ რო ტყე ყოფილა, ის გაკეთებულა მაშინ, ჩვენი დარბაზი, აესეა გაპობილი შუაზე... სხვილისიდან'ნა მიეტანათ. თოთხმეტი მეტრა ხე. რიი.'ნა მიეტანათ... ესე იგი, აქ რო ყოფილა (ტყე) და თათრებმა წაუკიდეს, შვიდი წელიწადი იწვოდა ტყე... ტყე რო ყოფილა, იმ დროის არი ჩვენი დარბაზი.

— ხოდა ახლა ისიც უნა ვთქვა, რო გაქცევაზე ეს იფრო... ქარაფი თავზე ცხოვრონდნენ თურმის.

მოყოლილ ვლაპარაკომ... ...იმ კუთხეზე ერთი ესე სხვილი ბოძი აქ. ეს ფეტვიცაო... ეხლა იცი რა... ბავშვობაშიცა და ეხლაც ეფიქრონ... ფეტვიო მოვაპნიეთო, რო მერეო, შვილო, დავგვით ამასო, თუ ცოცხლები გადავჩით და შევჭამთო. ესე სულ მოვაპნიეთო. ესე იგი, სულ დაცალეს, აღარაფერი აღარ იყო, მარტო ბოძები და კედლები დარჩა. ჰოოდა, მერე ესენიო წავიდნენო, ეს ხალხი წავიდაო და არ მიშვანს... სიცოცხლე შეუნარჩუნა გრიშამ, — გაიოზას ძმას არ მოესწარი შენ?

— ხო ვიცი, ჩემ ქორწილში იყო და მერე აღარ...

— ხო იეგრე იმ კაცმა ეგრე გადაარჩინა და ეს თათრები მერე ადგნენ, წავიდნენ აქედან...

— ...შემოსევიან თათრები და ყველანი... ეს დადაჩემიცა ორ ბავშვით ყოფილა. ჰოდა ესე იგი, რო გაქცეულან ანდრიაწმინდიდან ეს ყველანი. დედაჩემისთვის ყველას გაუსწვრია და ორი ბავშვით, მაშინ არც სუმკა იყო, არც არაფერი არ იყო და თავშალში შებურული, ასე ხო ჰკრავდნენ ხოლმე, მკლავზე მაქო, ერთი ბავშვიც წინიდან მკიდია ქურთებს რო ჰყავთ ისეო, ის დიდიო, სამი წლისაო, უკან, ბეკებზე მყანსო და პატარაიც...

ყველამ გამასწრო, ყველამო, ძმამ, რძალმა, სუ ყველამო და ერთიც მივიხედეო, რო ვამონ, ეს ნეტაი ხორთლაღია, რა არი, — დედაჩემი ლამაზი იყო, ყველა დედა ლამაზია, მარა... ლამაზი, ლამაზი ქალი იყო და გამურულა... ერთიც მომიახლოვდა, ვთქვი რო... მოვიწმინდე თვალებიო: კორხ მაინ, კორხ მაინ... თეთრი შარვალი, თეთრი ხალათი, სულ თეთრათ... ასე გადაჭერილი პატრონტაჟი აქ.

ამას გავცდიო, ცოტა რო გავცდიო, ბავშვს ასე ფეხები აქ შეშვერილი, ტირის და ტირის... დედაჩემისა ორივე გოგოები იყო... და ეს დატოვებული ბავშვი ორი თვისაო.

ავიყვანე ეს ბავშვიცაო. ავიყვანეო, ვიღასიც ბავშვი ავიყვანეო და: — იქნება შემიბრალონო და არ მომკლანო. ჰოოდაო,' ერთიცაო, ჩხაკა-ჩხუკით მორბისო, რაღაც მორბისო და მივიხედე ესე ნელა-ნელაო. მივიხედეო, რო: — სახედარი, ბოდიში და ვირი. ვირი მორბისო და ამ დროს ამას ვირსაო ასე ვსწვდარ. და ხურჯინი ჰკიდია ამასაო. ეს დავიჭირე ეს ვირი, ერთ ხურჯინი თვალში ერთი ბავშვი ჩავაჯვდინე, მეორე ხურჯინი თვალში აი, ბატკნები როა და ისე რო შეჰკრებენ, ასე გაუკეთეო, ეს მესამეცაო, შევსვი ვირზეო და ასე თოკით მიჭირანს და ვირ მეც მიფყავარო.

ვიარე, ვიარე, ახალციხეს ბევრი აღარ დამრჩენიაო გზაო, ფეხით მოვდივარო. ჰოდა ვიღაციები მოდიან, რა ყვირილი, რა შამათაო და ვინ მიიხედანს უკანო. ყვირიანო, რო: — გაჩერდიო!

ვთქვი, რა'ნა გავჩერდე! გავჩერდე — ასეც'ნა მამკლან და... დემეწევიან, მამკლებენ. მოვიდნენ; — მოვიდნენ ახალგაზდა ვაჟკაცებიო: — ჩქარე ეს ბავშვები! ამას აქ ოქრო და ვერცხლი აქო. შვილო, აჰა ეს რაღაც სველ-სვული ჩვრები ბავშვისა და აი, სიდან რა'ნა ემეღოო, ანდა ოქრო ვის აგონდება, კაცო, სიცოცხლეა...

ეს ბავშვიც ამოვიყვანეო, ხო აღარ დაფტოვე ის ბავშვიო და ნელა-ნელა ჩავედიო და ესე იგი, პეტრე ღვდლის თუ გიორგი ღვდლის მონათლილი ყოფილა დედაჩემი, ახალციხის ღვდლისა და... მიველი, მიველი როგორც იყოო და მივაწვდინე, ისეთიაო, რო ეკლესია სავსე, ეკლესიის ეზოში სავსე ხალხი, სავსეაო სულაო და... ქართველები სულა და... მივაწვდინე ხმაო, რო ესე იგი, მარიამი ქვიოდა დედაჩემ, მარალას

ეძახდნენ, მარიამი ერქვა... ასე, ასე.

გზა მომცესო და რო შეველი სამი ბავშვითაო, მივიხედეო, რო ეს ჩემი მაზლიო, ჩემი მაზლის ცოლიო, ესენიო ყველანი არიანო და ჩემი ქმარი არ არისო (სოფ.ზველიდან გაქცეულები, მ.ბ.) ახლა იკითხავ რო, ჩემი ქმარი რატომ არ არი? — მაშინდელი დრო! ისტერიკები დემემართაო, ფტირი, ფტირიო და ერთი:

— მოუშვით, ჩემი ნათლული მოვიდეს აქ! — მიველიო: — თქვენ თქვენთო, ორი ბავშვი ჰყანსო, კაცო, მოასწარით ქალსაო და ეს მესამე რაღა�აა. ეხლა ი დედაჩემი კი არ ამონს რო ეხლა მესამეც ვნახევი გზაში! ჰოოდა ი ბიძა გამოელაპარაკება ჩემი და: — ესაო გზაში ვნახეო და ბავშვი წამოვიყვანეო.

ეხლა ამ კაცმაო აიღოო ეს წიგნიო, ამ ღვდელმაო, მამაომაო და კითხულონსო: — კრულ იყოს ის დედა და მამა, რომელმაც ეს ვაშკაცი დატოვა, ეს ქართველი გაიზდებოდა და თათრებ ასე უზმოდა, ისე უზმოდა, ბევრს ლაპარაკობსო, კრულვ იყვესო და დედაჩემი კრინტ არ სძრანს, არაფერს არ ამონს.

— აიო, რატო თქვენც არ ამონთო, რო კრულვ იყვესო. მერე ბიძაჩემ გაისუქნია, ჭკვიანი კაცი იყო ძალიან და უთქვამს, რო ამამ რო ეს ბავშვი აიყვანა და „კრულვ იყვესო", მადლი აღარ იქნება მამაოო და: — ხოო, ჭეშმარიტებაა და მართალი არისო!

იქ აკვანი მისცეს, რაღაც მისცეს, ესენი დააწვინეს და რო... იმ ხალხ მოხვდა ეს ყურში, ვინც იქ არიან — რო მოვიდნენო, — დედაჩემი იძახდა და დავინახეთ ეს ცოლი და ქმარიო, ფთქვენ რო ესენი ნახატები არიან... — ესე იგი, თათრებმა სდიეს ეს ქალი, კაც მოჰკლენდნენ, ლამაზები ყოფილან ძალიან და ეს პირველი შვილი, ალბათ ვეღარ ის ქნეს და დატოვეს და გაიქცნენ და წავიდნენ.

ჰოოდა, ი საცოდავებმა მაინც ბევრი ვეღარ იცოცხლეს. მერვე კლასაანდი დედაჩემი ძალიან... შვილს უძახდა, მიდი-ჰოდიოდა, მიდიოდა კიდეცა, რამე... ის ბიჭი მერე თბილისში გადასახლდა რამე, ერთი, მეორე... ეხლა სულ დაკარგილი არის. აი ესეთი...

ჰო ის უნდა ვთქვა: როგორც ჩაველითო, ვიღაცამ ჩამოიტანა ამბავიო, რო აბა!..

დედაჩემის მამა მოუკვდათ, ის იყო წიგნიერი კაცი, აი რათ უნდოდათ, რო სამღვთო სჯულ წიგნ ამ სისქე წიგნ ატანდნენ... აი, ისეთი ომი უნდა იყვესო, რო — იქ ეწერაო, იმ წიგნშიო, რო ზეიდანაც გეშინოდესო, გვერდიდანაც გეშინოდესო და ქვეიდანაც გეშინოდესო და დედაჩემი ამას იტყოდა, რო, აი ზუსტათ გერმანია რო ისა ქნა, შვილო: — მაშინაო მარტო თოფისა გვეშინოდაო, და ახლაო იქაც გვეშინია, დანაღმული არ იყოსო, ზეიდანაც გვეშინია, მაღლიდანაც გვეშინიაო... ესე იგი, ტყვიას

რო გვიშენდნენ რო თათრებიო...

და ახლა დარჩენილა ბიძა-ცოლა ჩემი, ახალგაზდა ქალი. — თქვე მამაცხონებულებო, ამ ქალ როგორ უტოვანთ. ჰო, დაუტოვებიათ ეს ქალი მოხუცთან და: — სად არი თქვენი სიმდიდრეო! — რო წავიდნენ, წაიღესო და შუბლში ტყვია ესროლეს და მოკლეს ის კაცი იმ თათრებმა. მერე რო დავმარხეთო, დედაჩემი იძახდა, არ გვიტირიაო. რა ვიცი, ას ოცი წლის იყოო, კბილები მეორეთ ამოუდაო და სამჯერ, ოთხჯერ'ნა აწეულიყოო, ისე'ნა ამდგარიყოო და: — რა ნახეო — ვეტყოდითო.

— რასაც ეხლა ვხედამ, შვილო, ამ ჩემ ყოფნაშიო ხუთჯერ დაინგრა ეს ჩვენი ქართველებიო...

აესე იყო ეს ამბები და ი თათრები... თითონ მე მოვკლამ... ეხლა ის მაინტერესანს და... დედაჩემმაც — სამოცდახუთი წლის ასაკში გარდაიცვალა — ამდენი რო გააკეთა კაცო, იქნება შემიბრალონო, შესაბრალისად გააკეთა, რო ის ბავშვი წაიყვანა...

ეს ბიძაჩემები, ყველანი ავიდნენ იქ, ანდრიაწმინდაში, აქანდი აღარ მოვიდნენ და, მერე მამაჩემიც ადგა და ჩავიდა, დრო რო გავიდა ცოტა, ხანი — კუდრებია, თუ ცოცხლებია!

— თალანზე დავდიოდითო, დედაჩემი იძახდა ი თათრების სახლში. შევიდოდითო, ამბრებს ეძახდნენ დიდი... შიგაო ქერიო, დოლიო, სიმინდი რო ეყარაო, ვაკეთენდიო და ეს ჩემი მაზლი იტყოდაო — გოგო, მოვლენ, დაქვხოცებენ.

— არაო, შური'ნა ვიძიო'ნაო, შური'ნა ვიძიო'ნაო!

— შე გახარებულო, შენა, რო აკეთან მაგ პურსა, რომ მოვიდნენ, მოქკლან, რა შური'ნა იძიო. კარტოფილსაცაო ფყრიდითო, განა... მოგვქონდა სახლში რო გვეპამაო...

და რამდენი ახალგაზდა გაჟლიტეს, რამდენი? და მერე თათრები რო გაასახლეს, ი დედაჩემის ძმიშვილი ანდაში დააყენეს თათრების გასახლებაში, ზედამხედველათ, — იმამაო ასე თქვაო, რო თათრულებ უთხრა, რო ერთი ამის თავიც გემეგორებინაო. რუსი შემეკითხაო, რო რაო, ბიძია, რა გითხრაო, და: — შვილოო, პაპაჩემი ამათ მოუკლავთო და ესენიო სახლისკაცებად გვეგულებოდაო და ახლა თქვაო, რო ერთი შენი თავიც გემეგორებინაო. შენაო გეთქვა თავის დროზეო, რო გეთქვაო, ამას... სისხლ აგაღებინენდიო, აგაღებინენდი სისხლსაო, მოგაკლევინენდიო, — არაო, შვილსაო არ მოფკლევდიო, აი თითონ მაგას მოფკლავდიო. ანდაში აი, ანდელ თათარს!

**ზაზაძე მარო:**

განა სხვა თათრები მოდიოდნენ, ადგილობრივი თათრები, ადგილობრივი თათრები იყვნენ. ქურთმაცა, ი ქურთმა, აი, ვარძიი წინ რო ქურთები

იყვნენ, ჩემმა დედამ თქვა, რო ჩვენ შეგვიფარაო, რო თქვესო, რო მოდიანო, არა, გავიქეცითო და მაგათთან დავიმალენითო... და მერე თქვესო, აღარავინ აღარ მოდის, ავდექით, წამოველითო.

**ნინა ნათენაძე:**

დედაიც მაგას იტყვის, რო ქუნცაშიო, თათრებმა შეგვინახესო რა, მეზობელ თათრებმაო. მერე რო გაშვირდაო, ასე გვითხრესო, რო გაგაპარანთ თქვენაო, წადითო, რო ჩვენც'ნა გაგვწყვიტონო. აჰა, გინახანთ მარაო, ჩვენ დაგვცქერიანო, რო თქვენ ქართველი ქყაანთო. ჩვენ'ნა დაქვხოცონ მაგათო და... საიდაანდი გადმოგვყეაო კაციო, თათარიო, რო გაგვაცილაო, რო წადითო არ გაგწყვიტონო, ცოდონი ხართო. ჰო! იქაც იყვნენ ხალხი...

**ზედგინიძე სონა:**

— ზოგნი იყვნენ... იმათთან კარგი დამოკიდებულება (ჰქონდათ)... აჰა აი იმ დარბაზ სუ დაანგრევდნენ, ერთიან დაანგრევდნენ. ესე იგი, ი კაცი ჩვენთან... ისე კარგათ მახსონს... მერეც მოდიოდა ხომე. მერეც მოდიოდა ხომე და ჩაი უყვარდა და მინდოდა, რომ დედაჩემ შაქარი ენტვრია მეც დამესველებინა თითი და ნატეხები შემეჭამა... (იმ კაცს იგონებს, მამამისი რომ გადაარჩინა, გრიშას. მ. ბ.)

**საერთო საუბარი (გოგაშენი, სოფლის ბირეაზე):**

**ახალი მეზობლები, ქრისტიანული სასწაულები**

... — დაიგრიხა, ხო მოკვდა!
— არა მაგ მახომ თქვა, რო...
— მახომ კი არა, მიხომ!
— ტუზმა! ტუზმა!
— თურმე ანდგარა და მაგ ეკლესიასთან მოუფსია.
— აჰარელმა!
— წესიერათ ილაპარაკე! — მოუფსიაო!
— მოშარდა! სწორია!
— რო აქეთ გამოსულაო, ბეჭებში მამცეს და მამცესო (დამარტყესო მ. ბ.), ვთქვიო, რო ეჰ ჯოხებია, რა არიო დამიშინეს, დამიშინესო და... ვნახე, არავინ არიო.
— თვითონვე თქვა ესა...

— მოლამ უთხრა, მოლამ, რო წადიო სანთლები ანთეო და გახდები კარგადო, თავეთ მოლამ, მოლას ამკითხინეს და უთხრა, რო ამა და ამ ადგილას ასე გავაკეთევიო (დურსუნაᲥ არა, დურსუნაᲥ იყო) რახაი აგრე გაგიკეთებიაო, წადი სანთლები აანთეო და ილოცეო. — ძაღლი გავხდებიო და არ ვილოცებო! — არც სანთლები აანთო და გავიდა ორი დღე და მოკვდა.

— ვალიკო(ჰ), ე ვალოდიას ცოლთან მისულა (აჭარელი მეზობელი), რო ერთი კარგი საჩუქარი მინდაო, რო მივართვაო ვიღასაც, არ უთქვამს, იმასაც გიორგიწმინდის სურათი გამუუტანია.

...ისე Შქთ გამჯდარი, რო ჩვენ ბაღებთან იყო და უთხარით და იმ კაცმა ასე თქვა, ჩვენაო ვერ გამოჭწორდებით, ასე ვᲨრთ აზრდილებიო, ჩვენი შვილები გადაიქმნებიანო...

***

— ... რავი, მეთქვი აქ რამ გააჩინა, რო თქვა მარინაი ვᲨრო!..
— შენი დეიდაშვილია არა!
— ჰოო!
— ძაან ახლო ვიცნობ (მამაშენს), ეხლა არი არა ისევ (ცოცხალია)?
— ინასარიძე პაელეი რო არი — სატყეოსი, იმი ბიძაშვილი ვᲨრ.

**ნინა ნათენაძე:**

... — მერე... ეს ჩემი დედანთილიც იქ რო უწამებიათ და ერთ უთქვია, რო ეიო, თათრულებ უთქვია, არ მოკლათო, შეიცოდეთ არ მოკლათო, მეორესთუნ უთქვია. აი ექ რო მოვიდნენო, დედაი, ჩემი დედამთილი ილაპარაკანს, თქვენებთან რო ის კაცი მოვიდაო, ეს დანკლელი, დანკლელები ყოფილან და, ვიცანიო. ვიცანიო, რო ამან უთხრაო, რო დაანებე თავი, არ მოკლაო.

**ვაჟა ბერიძე:**

— ესე იგი, სოფელ ერკოტა დიერქვა: ერის კოტაობა — ერთი მხარე ეგრეა და მეორე, — ერგო მთა, ესე იგი ითამაშეს და წაეგო. აგრე გაიშიფრება მაგის ამბავი.

**ზაზაძე-ნათენაძე მარო:**

— გეგეგონებათ, როგორ არა! მე მომისმენია რომ ეს, იმას რო უკრენდნენ — საზი! საზი! ისინი, თათრები, კაცო, აი ეგა, ტოლოშის

თათრები, აი მანანდი გაასახლენდნენ, აი ლაშკარაანთან იყვნენ და რო წავიდნენ დიდრონები, ჩვენც გაფყეეით. ეს კაცი მღერონს და ვერ გააჩერა ამ კაცმა. უთხრა, რო მაგას უთხარითო, გაჩერდესო. — სახლიკაცი, ახლობლები არიან. უთხრა რო... გადმოვიდა თითონ და უთხრა, ძალიან გთხოვთ, გაჩერდიო და მითხარ, რატო ქვია ანდა ამასაო და მერე იმღერეო შენო. — რატო ქვიაო, სახელია და შეურქმეევიათო — გაჯავრებულათ უთხრა, რო გააწყვეტინა. — აი რატო ქვიაო. ამ სოფელშიო შემოესივნენო, და მომეციოთო და აღარავის გაქწყვიტანთო. არ მისცეს და დაერქვა ანდაო ამ სოფელსაო (ან და მომეცით, ან გაგწყვიტამთო).

## ლონდარიძე-ბერიძე სონა, 1935 წ. გოგაშენი (1997).

### ლექსები

საქართველოს დედოფალი,
დედა ქართლის — თამარი.
სიმშვენიერით მოსილი
ამამავალი მზის დარი.
დავით სოსლანის მეუღლე,
რომ უმშვენა მხარმხარი —
დიდუბეში იქორწინა,
სადაც რო საყდარი არი.
ასი სული ცხვარი დაკლა
და ორასი ნიშა ხარი
ლურჯი სუფრა გაუშალა,
იქნებოდა ასი მხარი,
ქვრივ-ობლებსაც უწყალობა
ოქრო-ვერცხლი დიდი ძალი.
(და ბოლონდი არ ვიცი)...

***

მეტეხის ციხე, ლამაზო
ნაგებო ლურჯი ქვისაო
ცუდი გაქ შეხედულობა
ფერი გდევს სიკვდილისაო

— ეგ მეტეხი ციხეში აპატიმრენდნენ წინათ... ისე კარქათ ვიცოდი

და აღარ ვიცი... ვაშკაცების დამღონებელოო და ასე რაღაციები და მეტი აღარ ვიცი.

## თათრობა

...იქიდან თათრები შემოსეულან. კალთით ქვა აუღია, ესე იგი, ცხვარი გაურეკიათ და წაუსხიათ. და ქვით მოუგერიებია და უკან მოუსხია ცხვარი.

— რძალსა?

— ამათ იმასა, მაგათთან გაზდილ ქალსა, კიკილაანთა. ამ იმისი, კეკელ მამიდას მამიდა ყოფილა გონი.

— ქვით მოუგერებია. სათათრიდან გადმოსულა ხალხი და აქაურობა რო აუოხრებიათ და... ქალი ყოფილა ვაქკაცური ძაან და აუღია ლოდი, ქვა, კალთა სამსე დაუშენია და უკან წაურთმევია ცხვარი.

## ანა ბაჯი

მაგალითათ თფილისელი ქალი ყოფილა მუხათში გათხოვილი! მისი მსგამსი ქალი ჯერ არ ყოფილა დაბადებული. ძალიან ლამაზი ქალი ყოფილა. მუხათში გათხოვილი. „დღესაც ეტყობა ნიშნები, ნანგრევებიცა ყრიაო"... ამაღლება არი ახლაცა იქა.

ტეტერას შვილსა გეუას
კაცი ვერ დაუდგებოდა
ვისაც მიწაზე დასცენდა,
გულ-სულ შეუღონენდა. — ის კაცი!

ანაკ გავიდა საქიდაოთ
ანა ბაჯიმ ისე დასცა,
(ეს ისა, კაცი, რო)
დასწყვიტა შიგანი.
მართლა რა მაგრა დაჰხვდება ის ბიჭი ქიზიყელია
ისიც ისე დაახო (დაამხო)
დასწყვიტა შიგა წელია.

— სამი ქალი, ოთხი ქალი წავიდნენ,
შინდსა ჰკრეფდნენ, ხმაურომდნენ
და მასხრომდნენ ერთმანეთში
ეს ქალები, შინდ ჰკრეფდნენ

ამ დროს:
ზაქარმა თოფი დაიჭექა ხელში, გადმოხტა დათუნა და მიაწყდა ამ ქალებ საფარეში (შეეფარა, რო გადარჩეს ეს დათვი)

წამოხტა ანა ქალი,
მოსტეხა შინდის ტოტი
დაუშინა თავში, წელში (ამ დათვსა)
გამოჩნდა ამ დროს ზაქარი: (ის მონადირე, დათვი რო მოკლა)
და ჰკარ, ქალო! ყოჩაღ ქალო!
თან მორბოდა თოფით ხელში.
დაუშინა შინდის კეტი ამ დათვსა მაგრათა...
ანა ქალიმ დათვი მოჰკლა!
ხმა გავარდა თელ სოფელში.
— წინ ქალები იყვნენ, ვაჟკაცური ქალები, — წინ!

ამ დროს სოფელში ჟრიამული გაჩნდა, სოფლებში. ერთი დაიძახეს, რო:
— თამარ ქალი მოქვტაცეს
თექვსმეტი წლისაო
— ტვიტელა ცხენზე მოახტა, გემიეკიდა და:
თამრო თექვსმეტი წლისა
პატრონს მოგვარა მთლიანი.
— მალადეც, რახან მთლიანი მოგვარა!

***

ქალმა უთხრა კაცსა:
მაღლა ახვალ, ბუსა განხარო,
ძირ ჩამოხვალ, გარიანსაო,
შენ ვინ მოქცენს ჩემსა თავსა ლამაზსა და გვარიანსაო.

— გარიანსა — გარეული ფრინველი, ბატი ხარო.

## მაისურაძე-ნათენაძე ფოფალა, დაბ. 1935 წ. გოგაშენი (1997 წ.)

### სიზმარი

ვიყავით ჩვენ ბაგდანოვკაში, კაცი მუშაობდა, მელიციაში იყო და... იყო მათხოვარი ერთი, მოვიდა, სომეხი, — პური უნდოდა, რამე... დაძონძილები ეცვა, ჯოხი ხელში ეჭირა, ობოლ-ოხერი იყო, რა ვიცი

რაღა იყო, არ ვიცი.

ავდექი და ამ ბავშვსა გაუტანე თეფშით, გატეხილ თეფშით ყველი და პური. კიდე არ ვიცი, რამე თუ იყო, აღარ მახსონს, რო გაუტანე, ამან ჭამა პური, რამე და მეც თეფში აღარ მინდა მეთქი.

აღარ ავიღე, ი თეფში იქვე დავაგდე. ეს მათხოვარი წავიდა. დაფწექი, ღამე სიზმარი ვნახე. სამოთხე ვნახე. ამ სამოთხეში ვიყავი მე. მწვანე, გაშლილი მოედანი იყო. ადგა და ერთ კაცმა მამიტანა... კაცი იყო, ანგელოზი იყო, თუ ვინ იყო, — გატეხილ თეფშით, ისევ ჩემ თეფშით პური-ყველი...

— ჭია-ღუა გაყარაო! — ესე იგი, სახლიდან გამოვიდა, ჭია-ღუა გაყარაო — აჰა, გამოვიდა და ზის. — სახში ჩაკეტილი რო გამოვა... (იმაზე ამბობენ, ჭია-ღუა გაყარაო, მ.ბ.)

**ლონდარიძე სონა:**

...ცოტა რძლიდან გულ ნაკრული ქალი ვარ, — გაიგე?
ვიშრომე და ვიამაგე,
მე მარანი გავაშენე,
ბანვრი ღამეს ულოგინოთ,
ულუკმაპუროთ
— ერთ ბოთლა წყლით გავათენე...
დანა ილესებოდა
ძროხა იკლებოდა
შობელ დედის გული ითუთქებოდა,
.... კვდებოდა.
აეს არის დედანთილის რძალიდან გულნაკრულობა.

**მაისურაძე ფოფალა:**

**თათრობა**

— კრუგომ სუ თათრები იყო ჩვენთან. თათრები და ქურთები. მე სადაც ვსწავლონდი, არა, თათრები ცხოვრონდნენ.

— ჩავიდოდით ტოლოში და, ამი მამა ეუბნებოდა, შენაო თათრული ისწავლე ემ გოგუებისგანაო, რო მერე თათრების სკოლაში რო მასწავლებლათ გაგგზავნიანო, მაინც ენა გეცოდინებაო.

— სულ მე ხო არ'ნა მოვიდე სკოლაში, ახლა სხვა მოვიდეს — თათრები! (ასე ამბობდნენ მ. ბ.).

— მერე გვაგინავდნენ ხოლმე, დედას. — „ჩემი დედაო!" — ომიანობის პერიოდში ჟერიშით მოდიოდნენ ეს ბუთხუზა ბიჭები. ჯარში არ მიჰყანდათ

ის თათრები.

— აქედან რო ჩავიდოდით, ხერთვისში... ლამაზ-ლამაზი ქალები, დედა რანაირი ლამაზი ქალები. ჩადრები ჰქონდათ... რო მოვიდოდი და მამაჩემ ვეტყოდი, — აეგენი, შვილო, სულ ქართველების ჩამომავლები არიანო, — ლამაზი, — თამარ-დედოფლებ ჰგანდნენ ის ქალები.

და ზედ ფერიშით მოდიოდნენ (თათრის ბიჭები, მ.ბ.)...და მელიციონერი ვინც იყო, იმასაც ერქვა იასონაჲ, გოგო, ის, ჩუნჩხელი და მამაჩემსაც იასონაჲ ერქვა და აქ ჩვენებური მოგვდევდა და ესაო, იასონას გოგვიები არიანო და იმათ ეგონათ, რო — მელიციონერი! და ცოტა გვერიდებოდნენ. ესე მეშოკი მიქვონდა იმაში, რო მივდიოდით, ქერი, ნათესავთან და ასე ზედ გადგვიჭრეს. ი პური ამოგვაცალეს.

## პური

საჭიპური — საჭიებზე გამოვაცხობდით.

აესე ცილინდრული ფორმისაა, იმას ნაცრით დავქულავდით ხოლმე, ძირ და ზეიდან სუფთა იყო. ამას ცეცხლ ჩავაყრიდით, იმას ზეიდან დავდგენდით. მოვზილენდით ცომსა, იმას აი, ხორცის საკები რო არი, ასეთი მგზავსი იყო, რას ვეძახდით იმას?

— საჭი ფიცარი!

— სწორია! და იმას გადავატრიალენდით, გადმოვატრიალენდით, დავადენდით ამაზე. მერეც ამოვიტანდით ყვითელ ერბოს, დავაერბოიანებდით და შევჭანდით.

მერე რო გამოცხვებოდა, ქვეშა ცალკე ცხვებოდა, ჰოდა, მერე გადმოვაბრუნენდით, ზედაჲც გამოცხვებოდა. იმას ემჩნეოდა, ზედა პირი რომელია და ქვედა პირი რომელია. რომელსაც რო პირველათ დაჭტოვენდით, ის ქვეშა პირი იყო, რომელიც ზეიდან რო იმას შვრებოდა, ის ზედა პირი იყო.

ნათენაძე ნინა:

— საჭი პური რო გამოვაცხე, ეს თენგოს ცოლი, ინგაჲ, თბილისელი ქალი... გამოვაცხე და ახლა ესე იგი... ქვეშა პირი ხო უკუღმა პირია და ზედაჲ კაია. უკუღმა აწყენს ეს ქალი და ამ ბასიკომ უთხრა, რო, თავი მამანთილმა, რო რას აკეთამო ინგაო და — რაო მამაო და: — რა უკუღმა აწყენო და: აპა არ ვიცი, რანაირათ დავაწყოო.

**მაისურაძე ფოფალა:**

ეხლა ჩვენ სადაც ვცხოვრონდით (სოფ. ტოლოშში მოსწავლეობისას, თათრების ოჯახში, მ.ბ.) ასე პოლი იყო იმ ოდაში დაგებული და ტახტი იყო, საქვეს რო ვეძახით და იმ ტახტსა ეს ორი ფიცარი ეხდებოდა. მოვიდოდით, ბიჭო, რო პური შეეშულია.

დაფტოვეთ, მეშვიდე კლაში სწავლონდა ის გოგო და ძაან აჩაინი (îò÷àÿííûé) გოგო იყო, უშიშარი. მე ვერ გავჩერდებოდი იქ, შიშით მოფკვდებოდი. ეს რო დაფტოვე იქა, ჩუმათ დაწოლილია ასე და გასწორებულია, ის... ენნიაგ. ენნიაგ იყო ზედგინიძე და ერთი ნახოო, რო პატარა ბიჭმა, ამაზე ცოტა დიდი იყო, ჩემ სოფიკო ტოლა, ეს ააწვაო და გადაფარებული გვაქ ჩვენა ადიალები.

რო ისა ქნა, ეს ამოდის მაღლა. ერთი ნახო, ამოვიდაო. ტუმბუჩკასთან მივიდაო, გამოიღო, ახალი ჩასულები ვიყავით, პურიო და: — რა შობი ბიჭოო! — ვააიო, დაიყვირაო, — თათრებთან ვცხოვრონდით, აზამა თაფასთან, იმის ბიჭები ახლა თბილისში არიან, აღარავინ არი იმათთა. ხოდა, გოგოჯაან, შვილო, აქეთ-იქით... — როგორ თუ შვილო! ჩვენც მშივრები ვართ, სირცხვილი არ არი? ეგრე იყო საქმე!

## წყევლა

უგვარო, უჯიშო, მეიმუნი, ძაღლიშვილი...
ბოხჩა შეგიკრდეს შენ!
ბოხჩა შეკრილი დარჩიო!
მურადი გაგიშავდეს!

**ნათენაძე ნინა:**

## გათხოვება

მე, ...აი ამათი... შენ ხო იცი ავთანდილაგ. მაგათმა ჩაგვინერგეს ყველაფერი, რო ესე იგი, ჭოოდენ, ეგ ითხვიეთო, გვარიშვილიაო, გამკეთებელიაო, ყოჩაღი გოგოაო და ისინი ხართო... ღარიბები იყვნენ ეგენი, ხო, მე რო მიველი... არაფერი არ ქონდათ (არ ჭქონდათ, ამანი არ ჭქონდათ) მერე რო წავიდა ეს ჯარში, დავჩი მე დედანთილ-მამანთილთან, გაიგე, რაგოც ვაჟიკაცი მაგათთან, ისე ვმუშაონდი, რაგოც ვაჟიკაცი, ისე ვადექი მაგათ მხარში. და ეს ჩემი მამანთილი მეტყოდა ხომე, რო: — გოგოც შენ ხარ, რძალიც შენ ხარ, შვილიც შენ ხარ! — ამ ხალხთან

ეგრე ვიყავი. მერე ეს კაცი რო ჩამოვიდა ჯარიდან, მერე... რამდენი წელი იყო ომიანი... ომი სონა?

— ხუთი.

— ხუთი წელი უცადე! ეგ მაშვე გაიწვიეს, მე როგორც მიმიყვანეს თუარმე, ორი თვე არ ვიყავი მაგათან და კაცი გაიწვიეს ჯარში, ქალო, დავჩი დედანთილ-მამანთილთან მე. მერე მაგათ უვლიდი...

— (დედამთილი) სულ „ბასიკოჯან", „ბასიკოჯან იძახდა... (თავისი შვილის სახელს)

წავიდა ეს კაცი და მაგათთან ვიყავი, შენი ჭირიმენ, ეს ხუთი წელწადი უცადე, კაციც ჩამოვიდა. ოჯაღიც დავუხვედრე, ცხვარიც დაუხვედრე, ძროხაც დაუხვედრე, მინდორშიც ვმუშაონდი, ჩივთიც მეჭირა, აი, ყანას ვხნენდი, ვთიბენდი, ურემი, ცელი, „მალატანკას" უძახდით...

— ცხვარი დადოლიანებაზე რო გამოდიოდა მამანთილი შენ მაგივრათ, გახსონს?

— აპა არა! ცხვარი (ცხვრის) დადოლიანებაზეც ვიყავი და ჩემი მამანთილი გამოდიოდა და შემეცვლებოდა ხოლმე რო: — ეხლა შენ სახში წადი და მე ბატკნებს მივხედავ! აი, იესე იყო ჩვენი ამბავი.

რო ჩამოვიდა, ყველანაირი ყველაფერი დახვდა. უი ცენ! რო ჩამოვიდა იმის ქორწილი იყო, შოთასი, აი ჩვენ ერეკლე ბიძას ძმისა და ის რო ახალად ჩამოვიდა, ეს ქორწილის ხალხი ერთიან იქიდან ითქრიალა რო ვთქვათ და ჩვენთან ჩამოვიდა. მეორე ქორწილი ჩვენ გადვიხადეთ იქა და მერე იქიდან ის ელტო მამიდაჲ ჩამოვიდა და: — კარგი, ხალხო, რაო, იქნაო?! (ასე იქნებაო?) დაქვჩა ყველაფერიო. აქა ეყოფა ამათ ამდენი ხანიო და ეხლა ჩვენთან წამოდით, ქორწილი დარჩაო, პურ-მარილი გაშლილია და ხალხი აღარ ქვეყანსო. ინ დროს ჩამოვიდა ეს კაცი.

აპა რა იყო! მერე მაგათ უვლიდი.

**მიქელაძე-მაღრაძე ხატა სერგოს ასული, დაბ. 1913 წ. ასპინძა, სოფ. ფია (ნაქალაქევი), 1991 წ.**

...გობები გვქონდა, ესე, პატარა გობები, თასები და მოვწველენდით, დავასხენდით. დადგებოდა იქ, ზედ მოვხდიდით, ერთი ჭირდებოდა, თითქმი ზოგჯერ ორი დღეც. მოვხდიდით იმის ნაღებს, იმაჰ ჩავასხენდით, ყველ გავაკეთენდით. ის გადავარდა, აღარ არი. გამოიგონეს ეს სეპარატორები, ეს კარქია, შვილო. სეპარატორიჰ მომგონმა გაიხაროს, კარგია.

ხანულობა იყო. ხანულებ გავუდიდგულდებოდით ზოგჯერ, რო, გვიან რო მიეტანათ რძე, რო გაცივდაო. — გაცივდა, ადრე რატ არ მოიტანე, რო გამამეხადა. ახლა კი ღამეც შემიძლია და დილითაც შემიძლია. აჰა! — ინდღე(ჰ) ვიცინე, ეგეც ვთქვი.

— ეხლა არ არის ხანულობა?

— არა! გადავარდა ყველაფერი, წესი და კანონი აღარ არი.

**მაღრაძე ალექსი, 10 წლის:**

ავდექითო ჩვენცაო და არ შეეუშინდითო, ავიღეთ ქვა-ლოდიო და დავაყარეთო. — დათვი გვეგონაო? — არაო, არ გვეგონაო, მარა რო გავიგეთო, კაცის ხმას მივამგზავსეთო და ვესროლეთ ქვებიო და თავპირის-მტვრევით გამოიქცა იქიდანო. ავდიოდითო იქაო, მერე ვთამაშობდითო, ვინგვრეოდითო ბავშვებიო... ეხლა იჩხეება ტყე თანდათან, საწვავი არა აქს ხალხს და... იქითა უბანი სულ ტრაქტორით ზიდავს...

**მიქელაძე ხატა:**

...მერე გამოვთხოვდი ზედა თმოგში, შვილო. ზედა თმოგიდანაც ჩამოვსახლდი ნაქალაქევში, ნაქალქვევიდანაც ფიაში... რა არ გადამხედია, რა ვიცი.

თათრები ჩვენ გვერდით გვყანდნენ. სამი-ოთხი კვამლი იყო.

— გაქცევამ მოგიწიათ? — არა ჩვენ არსად არ წავსულვართ.

...უელჩენდნენ, მოვიდოდნენ, რო აპა ეს გოგო იქ'ნა გავათხვიოთ. ზოგი ათხოვდენ, ზოგი არ ათხოვდენ, ასე იყო.

მე ძალით გამათხვიეს. იარეს, გამათხვიეს ზედა თმოგ. ზედა თმოგიდანაც აჰა, ვიარე, ჩამოვსახლდით ნაქალაქევ, ნაქალაქევიდანაც ფიას წამოველით. შვიდი წელიწადია ფიას ვართ. შვილიშვილთან ვარ.

იმ დროს, ომში რო წაიყვანეს ჩემი ქმარი, მყანდა ოთხი ბავშვი, სამი ბიჭი და ერთი გოგო. მეხუთეც მამიკვდა, გოგო იყო. ერთი სამი თვისა იყო — ოთხი, მამიკვდა.

— რა ქვიათ შვილებს?

— დიდ ბიჭ ჰქვია ალექსი, მეორეს ესტატე, მესამეს — გურამი, გოგოსაც ელეჲ, მეოთხეს. ოთხი შვილი ავზარდე უმამოთ, დავნიშნე, დავაპატრონე, გავათხვიე. მე რავი, რა არ გადამხდა.

ავდექი და მეც გამუუდექი შვილიშვილ. ეს რო გაჩნდა პირველათ, თორმეტი წლის მოსული ვიყავი... ჰაი, ჰაი, ჰაი, ჰაი — მაგი მამა თორმეტი წლისა იყო, მანამ დავზარდე ეს ოთხი... წინათ კარგი იყო. ბავშვები გიგონენდნენ, დავასხვდენდი. რო ვეტყოდი იექ დაჯექით, საღამიენდი რო არ მივსულიყავი, იქიდან არ ადგებოდნენ. მოვიდოდი, რო ისევ სხედან.

— არ ამდგარხართ?

— შენ ხო გვითხარი, რო აქ დაჯექით, იეხლანდელებ რო უთხრა, გაგიგონებენ? დავზარდე უმამოთ ოთხი შვილი. დავნიშნე, დიდი ბიჭი დავნიშნე...

— დიდი მუშაობა გქონდათ ალბათ.

— წინათ ტანჯვა იყო, აპა რა იყო. კერძვიობა იყო, მერე კოლხოზი გახდა,... არც მახსონს შვილო, რაღა მახსონს, რო!

...დედანთილი მყანდა, მამანთილი არა. დედანთილი მყანდა, ძველი ქალი იყო.

...მე ვიცოდი (წერა-კითხვა). ერთხელ ხელი დავუპირე და ვიცინეთ — დავაწერინე თავი გვარი და სახელი (ქმარს). — ოცდაორი წლისა იყო... არა, ჯარში წასვლანდე? — მეტი იყო. მე რო მამიყვანა ოცდაორი წლისა იყო. თორმეტი წელიწადი ვიყავი.

— ცხრამეტი წლისა ვიყავი და ჯვარ არ მწერენდა მღვდელი. ჩემ კაც დააკლეს წლიანობა, მე დამიმატეს და ისე დამწერეს ჯვარი.

— ქორწილი როგორი იყო, ბაბო, უწინ?

— დაუძახენდნენ თავით ნათესავებ და იმ ღამეს არ ამთავრენდნენ, მეორე დღეს დილით, შუადღით ამთავრენდნენ ქორწილ. მაყრები იყვნენ...

...უმამოთ გავზარდე ეს ოთხი შვილი. დავნიშნე. დიდი ბიჭი დავნიშნე მერე მეორიები. დავაპატრონე. ერთი ბიჭი ნაქალაქევ მყანს, ერთი ბიჭი თბილიში მყანს, ერთი ბიჭი ახალციხეში მყანს — თავეთ ცოლ-შვილით. ერთი გოგო მყანს... გოგოც ნაქალაქევში, გათხოვილი. ტანჯვი მეტი რა გავიარე, — არაფერი.

...ერთი დღე რო არ დავინახო ეგა (შვილიშვილი), გავგიჟდები. ავდექი ახალციხეში, მითამ გავგიჟდი, რო, ნა წავიდე მეთქი, თქვენთან არ მინდა. ორი დღე დავრჩი და გამოვიპარე, გამოვიქეცი იქიდან. რძალ ვუთხარი, მაია, გენაცვალე, გამაცილე.

— მამანთილი განჯვარდებაო.

— უთხარ მეთქი, რო მე მანამ (მაღაზიაში მუშაონს ქალი), მანამ მოველი, მანამ წასულიყო ბაბოი, გენაცვალე.

ვერ დავდექი. ამ ბიჭზე ისეთი სიყვარული მაქ დაყრილი, რო ვერ ვ(ჰ)ცილდები მე მაგას. აი იქნია მაგინოს კიდევაც, მცემოს კიდევაც, მე მაგას არ მოვცილდები. ვერ ფცილდები, მიყვარს ისე. არა, კი არ მაგინანს, ღმერთმა არ ქნას, მარა. ისე სიტყვით ვთქვი მეცა. აგერ ვამონ, რო მე რავი, რა გაგიჟება იყო რო — კინოს ატარანს ნაქალაქევში — მანაანდი სუყველანი დაწვეებიან, დაიძინებენ, მე აქ ვდგავარ მოაჯირზე. დე, ქვევით მეზობელი ძაღლი რო დაიყეფებდა ხოლმე, ვიტყოდი, იეხლა კი მოდის.

იეხლა იეს ერთი წელია აგრე აღარ შვრება და გედეევეჩვიე. ზოგჯერ თუ მოვასწრებდი შემოვიდოდი, ზოგჯერ ვერ ვასწრენდი. გამიჯავრდებოდა, კაცო, რა დგახარ.

რძალი — მაყვალაჲ, კაი ქალია. ასპინძელი ლევანას, ტივაძე ლევანა(ჰ) გოგოა. ისე ძვირფასი ქალია, კარქი. ღმერთმა კარგათ თქვენც გამყოფონთ და ისიც. ხო იცი, კარგობა შენითაც'ნა იყოს და თავისიც. ზოგი დაუნახავი ადამიანია.

ის რძალიც მყანდა, — აგერ ისე დავბერდი, რო აბა-ბა-ბა-ბა ის რო... საწყალი იყო, დედაჲ არ ჰყანდა, ობოლი, ხო იცი... რასაც ვეტყოდი, ისე დამდევდა, ხო ოქროსავით ქალია. არც იმასთან ერთი სიტყვა ურიგო თქმულა, არც იმასთან. აჰა. ზოგი დედანთილი რო ჩივის, ასე მითხრა რძალმა, ისე — არა, მე ოქროსავით რძლიები შემხვდა. მიწა პირ არ მიზანს, ტყვილი როგორ'ნა ვთქვა. მიწა პირ არ მიზანს, რო მე ურიგო მაგაზე ვთქვა.

ეს რძლის რძალია. მიწა დემეყაროს მე ენაზე, თუ ტყვიილი ვთქვა. არცერთისგან ჯერ საწყენი სიტყვა არ გამიგია. აჰ, რაგორ ნა ვთქვა.

— ეგენიც გარიგებით მოიყვანეთ?

— ხო, ორივენი. ის ზათი რო მოვიყვანე, ობოლი იყო, დედაჲ არ ჰყანდა. ჩვენ ნაქალაქევს გვიძახდნენ და თმოგი არი იქით, იქიდან მოვიყვანეთ. აგარელი ქალია, სინამდვილეში. ჩვენ ზედა თმოგელები ვიყავით და ისინი აგარელები. აგარელი ქალი მოვიყვანეთ, ოქროსავით ქალია, შვილო დღესაც მყანს, ღმერთმა კარგათ თქვენც გამყოფოთ, ისიც.

## ძველი ამბავი

...სამადლო ხევ უძახით, მანდ ცხოვრონდნენ ქილდელებიო, თურმე, ეს გაგონილი მაქ. ქილდელი გოგო გამოთხოვდება მანდ, გოგო და ე დედანთილი ყანს. საქმელ აკეთანს. ე გოგო იტყვის, რო, დედანთილი, ასეთი რა არი ამ საცივო სახლში, რო ჭკეტანს. გასაღებ ჯიბეში იდებს, ერთხელაც რაგორღაც მოჰპარანს გასაღებ და შევა და ნახანს. შევა ნახანს, რო — ჩაწათხული სულ ადამიანის'შვილის ხორცი. ე, გოგო ადგება და გაიქცევა. აღარ დადგება. მე იქ არ დავდგები, რო მამკლათ, ადამიანის'შვილი ხორც ჭამენ. დაუკლიათ ადამიანები და ჩაუწათხიათ გობები. — ქურთებ.

...ამხანაგებიც მყამდნენ ორი ქალი. ნინაი და ისა აი, ნინაი, მე და ელიკოს დედა მარუსაი. ტყეში წამოველით თხილი'ნა გვეკრიფა და დათვი დაინახეს.

აი დაწიოკდნენ ე ქალები, გამოვიქცით. ერთი ქალი დავკარქეთ, ვამონთ... ვამონთ რა ვქნათ, ვყვირივართ, ვყვირივართ...

—ჰაი ნინა, ნინა, ნინა, ნინა! ჩამოველით და მერე ამოვიდა:

— ჰაი თქვე გასაწყვეტნოო!

— გიყვირეთ, გიყვირეთ და წამოველით! — ხო ვერ დაუცდიდით! კარგა ბევრი უცადეთ. ვიყვირეთ, ტყეში რა'და გააგონო, რა ვიცი, გაიქცა, შიეშინდა და დაიმალა... ზეიდან გამოვიქეცით, წამოველით, დათვმა ისე დაგვაშხამა თხილი დაკრეფა.

(ბავშვი ეუბნება: თათრულად რო უმღეროდი ამას?

მოხუცი: თათრულად წაიმღერებს).

***

ყველაზე უმფროსი მე ვიყავი, ოთხ და-ძმაში ყველაზე უმფროსი მე ვიყავი. აღარც ერთი არა მყანს. ერთი მე შევიშვნიე თავი, შვილო. ვიტყვი ხომე, — რას გერჩი, ღმერთო, ყველაზე უმფროსი მე ვიყავ, ორთავ ძმიებიც მამიკვდა, დაც მამიკვდა და მე ვარ ცოცხალი.

აი, რა უბედური ვიყავი. რა არი, აპა რა არი! ძმიშვილები მყანს, ახალციხეში. ჩემ დასა არაფერი! ახალგაზდა წავიდა. ახალგაზდა მოკვდა. ქმარი დიეკარგა ცალკე და თითონაც შეჰწირა თავი ქმარ...

***

მეზობელი ქალი მყანდა იქა და... საღამოთი... ახლო ვიყავით, ისე არც ძრიენ შრრ, არც ისე... რო ქათამი-რამე რო მიდიოდა, ერთი-მეორესი, ერეოდა. ქათმებ კარ გაუღენდი, დაუყრიდი, შევიდოდნენ თავით საქათმეში.

იქიდან დამეხმაურა, რო:

— ქათამი ხო არ აგერიაო.

— არა მეთქი! (ბავში ტირის. აწყნარებს: სუ, ჰალა!)

მოვიდა ე ქალი. მოვიდა, შეიხედა საქათმეში. მანდერ-მეთქი, ქათმები, კარიც ისევ ღია არი. ერთი დააღლიავა ერთი ქათამი ასე:

— აჰა, ძუკნა ძაღლო, ჩემი ქათამი.

გადმოვაბრუნე და უთხარ... — რა უთხარი? — ძუკნა ძაღლოო, რო მითხრა, — ძუკნა ძაღლო, აჰა, ჩემი ქათამი! — გადმოვაბრუნე ქათამი და ნიშანი დავანახე:

— ძუკნა ძაღლი მე ვარ თუ შენა-მეთქი. აჰა, ქათამი-მეთქი, წაიყვა მეთქი! — ჩემი ქათამი, დანიშნული. ჩემ ქათმისთუნ მე გამლანძღა, ქალო, ქათამი ჩემი მიჰყანდა, აჰაო, ძუკნა ძაღლო, ქათამიო.

ვისია-მეთქი, დაჰკვირდი და მერე გავაშვებინე ქათამი. ჩემი ქათამი დაიჭირა ქალმა და მიჰყანდა! თანაც აგრე მეუბნება.

***

...შევრეკე, კრავი დამაკლდა, მაინც მეზობლებში მოვიკითხე, არ არი, არ არი... დილით ერთ მეზობელმა მითხრა:

— კრავიო იშოვნეო?

— არა მეთქი, ვერ ვიშოვნე!

— ჰალა მოდი, მოდი, იექ ნახე თავ-ფეხი პარკშია შენი კრავისაო, წუხელიო ღამე გამოიტანა და აქ ჩაყარაო.

ჰო, დავამტკიცეთ, რო მართლა ჩემი კრავი! — ნიშანი ახლავს... ამოველი იქიდან, რა'ნა უთხრა, იქვე ვცხოვრონ... თითონაც.

— არა-მეთქვი, რაღაზე მაძებნინე, რო კრავი შეგიჭამია და თავ-ფეხი დარჩენილა.

— ნახო, რათ იტყვი ძუკნა ძაღლო! ასე დამიძახა და წავიდა.

თავ-ფეხი იქ ეყარა, მეზობელ კაცმა მითხრა.

ეს ფოფალაᲥ ისევ ცოცხალია! ახლა აქ ცხოვრონს ჩემ ზეიდან.

— გოგო! — გადმოდგება იქიდან. — გოგო, ვერ დამინახია აის ვინ არი, აის ვინ არი!

ვიტყვი, შენ დაბრმავდი, კრავი მამპარე, შეჭამე, თავ-ფეხი მიიტანე, სანახვეში ჩამარხე...

***

...ეს სად წავიღო მეთქვი და ავიკრიფე შევიტანე, რო ნა დავმალო... გამოვიტანე, ჩავფალი და მივაყარე მიწა და თან ვეუბნევი ბავშვებ:

— იცოდეთ მეთქვი, რო მოვბრუნდეთ და მოვიდეთ, აი აქ არიან მიწაში ჩაფლილი და ისე ამოვიღოთ.

ავდექით წაველით. რას უძახდით ი ოხერ თათრი სოფელ, იქ გადაველით. ბავშვებიც იქ მყანდა. დაღამდა და:

— არ წავიდეთ, დედა, ახლა, ხო დაღამდა, სახში არ წავიდეთ?

იქიდან მოვბრუნდით, მოველით, ბოთლები მიწაში ჩამარხული დამამიწყდა, მოველით ჰამა, სახლები და სუყველაფერი გიეძარცვათ.

...რო მამივლიდა თავი, ვბეზნდებოდი, ვერ ვრჩებოდი დედამიწაზე. წაველი თბილიში, იქ მიმკურნალეს. ერთი თვე ვიწექი სავანტყოფოში, იქ მიმკურნალეს და მერე რო მოვიდნენ... მოვიდნენ ეს ჩემი პრაფესორები. ერთი ბაბოს მიძახდა და ერთი დეიდას მიძახდა. მოვიდნენ და მალაპარაკეს:

— რაგორა ხარ?

— არა მიშანს! მეც, ნაქალაქევში ვცხოვრონდით და ზედა თმოგში იყო კოლხოზი. იქიდან გამოვიწერე წინა დღით ერთი ათი კილო ყველი ჩამოვიტანე. აღარ მქონდა და, ბავშვ-ბუეშვი... ჩამოვიდა ეს ჩემი ექიმები, მოვიდნენ:

— რაგორა ხარ ბაბო!

ვიპატიჟე სახლში, აღარ წამამყვნენ. წვედი, თითო ჩანა ყველი, თითო ლიტრა ოტკა, თითო თუთი ტყლაპი, თითო ჭანჭური (ვაკეთენდით) ჩაუწყე და გამოუტანე და ისე პატივი ვეცი. სახში არ წამამყვნენ.

— არაო, მადლობთ, მადლობთ! და რო ჩავიდნენ მერე, იქიდან წერილი მამწერეს, რო დიდი მადლობა, ბაბოო, დიდი მადლობაო, რო ჩვენ ასე გამოგვისტუმრეო. დედაჩემის ძმიშვილია იქ, თბილიში, იმათაც გიეგოთ და მეუბნეოდნენ: — მალადეც, მამიდაშვილო, რო ისე მადრიელი იყვნენ ექიმები და გლოცავდნენ.

...ტანჯული ქალი ვარ, და რაღა'ნა მახსონდეს, ტანჯული. თორმეტი

წელწადი ვიყავი ჩემ ქმართან, თორმეტი. იცოცხლე, შენც კარგი განახოს ღმერთმა და ჩემ შვილიშვილებსაც. ვენაცვალე ღმერთს, ამათ ხელით მელირსოს მიწა, ოღონდ ქვეყანაზე... იეს ქვეყანა დამწყნარდებოდეს... იე ქვეყანა რო არეულია, გული მისკდება რო, ბავშვები არასად არ წაიყვანონ. გამწარებული ქალი დავბერდი, არ მეყოფა, შვილო, ერთი თქვენც იყავით კარგათ და ესენიც.

...ჩემი მამიდაშვილი! დაბრუნდა (II მსოფლიო ომის ამბავს ყვება, მ.ბ.) და, აქ იყო, ერთი ორი წელიწადი იცოცხლა, მერე მოკვდა.

რო თქვეს, რო, ძრიენ ავათ არიო, ავედი და ვალაპარაკე. სიძე, მეთქვი, სიმართლე მითხარი-მეთქვი —ჩემი მამიდაშვილი ჰყანდა (ცოლად მ. ბ.) — სიმართლე მითხარ-მეთქვი, ან რათ მიმალან-მეთქი. ...დავაჟინდი: — აჰა, ერთათ იყავით მეთქვი და რაგორ იქნა-მეთქვი, ღმერთი შენ დეგეხმარა...

მერე იშტა მაგამ მითხრა: — გოგოო, აჰა, რაგორ დამაჟინდი და აღარ მეშვებიო, გადმოვიდოდა თვითფრინავიო, გვასხვდენდა, ნაპირზე ვიყავითო ზღვისაო და გადაჰყანდა იქითო. ახლა სულ ერთბაშათ ხო ვერ ვსხდებოდითო, ერთი პირობა რო გადიყვანა, გადვიდაო, მეორეთ მობრუნდაო, დაასხვდინა კიდეო და შუა ზღვაში ამოატრიალაო. აჰა, ეს დანარჩენებიც დავრჩით ზღვი პირასო, დაბომბაზეო.

## ნათენაძე ვასილი, დაბ. 1925 წ. ახალქალაქი, გოგაშენი. 2003 წ. თათრობა

...თვრამეტ წელში შემოსევები ყოფილა იქიდან, თურქეთიდან, ხუჟანი ყოფილა, რავი ხუჟან უძახდნენ. მერე ადგნენ და ეს საჯავახო გაიქცა აქედან. (ხუჟანი — არეული ხალხი, რო იტყვიან, ქურთი, თათარი, იეზიდი... ასეთი ის იყვნენ. უფრო სწორად მუთრუფეგ უძახდნენ აი, ისინი რო არიან, ციგნები, აეგეთი ხალხი, მომთაბრიები. მაგათ სამუდამო ბინა არ ქონდათ).

ჰოდა, ეგ... გაქცევი დროს, ესენი რო შემოსევიან და საჯავახო აუღიათ, ჩვენ ხალხ ვისაც მოუსწრია, ანდგარა და ზოგი ბაკურიანზე წასულა, ზოგი ბაგდანოვკაზე, იმაში... წალკაზე... ბაკურიანზე ჩვეულებრივ შავი გზა იყო და ურმით და ფეხით... სხვა მეტი ვერაფრით ვერ გადვიდოდნენ, გაქცევაზე ასე წასულან.

ახლა რო გზა გადადის მაგ ნარიანზე, ჰოდა... მაგალითათ ჩვენები აქედან რო წასულან, დედაჩემი, მამაჩემი... გაქცევაზე... იქ რო წასულან, დედაჩემი იტყოდა, რო ჟირი გაჩნდაო — მამაჩემიც, დედაჩემიც და —

ხალხი იხოცებოდაო, საკოჰავში...

ბაკურიანზე გადვიდნენ და საკოჰავში ჩავიდნენ, ჰოდა ის არი... ერთ ღამესაო ორი შვილი დამიზიანდაო, ერთი თორმეტი წლისა იყოო, ერთიც — ათისაო, ორი დღე გავიდა — გოგო დამიზიანდაო, მოკლეთ, აქედან...

დედაჩემი არის შვიდი შვილის დედა და ერთი მე ვარ დარჩენილი. დანარჩენები დაიხოცნენ იქა. ერთი ძმა მოჰყოლოდა, ის მახსონს მე, იქიდან, რო წავიდნენ და დაბრუნდნენ. ისაც ოცდათოთხმეტ წელში... საქონელი გარეკა ხრამში საძოვნელად და რავი, ცოცხალი კაცი წავიდა, კვდარი მოიყვანეს, მე მაშინ თორმეტი წლის ვიყავი და მე მარტო დავრჩი.

აჰა, გაქცევის ამბავი ეგრე იყო. მერე რო იქიდან მოსულან, ზოგი სახლი დამწვარი ყოფილა, ზოგი სახლი დანგრეული და ... იქიდან რო მოვიდნენ, მამაჩემ უცხოვრია, ერთი მეგობარი ჰყოლია თათარი ოკამში და ორი-სამი წელი იმასთან უცხოვრია.

მერე რო ცოტა ეს ბაღი-რამე, რაღაც... ეს მტკვარაჲ რო არი, ეგაც ბაღი იყო, მე მახსონს აქავრობა, კაი ბაღი ჰქონებია, აქა, ამ ადგილში. გოგაშნის ძირითადი ბაღებია, მათ შორის, ჩვენი. ამათ სოლოანთ ბაღებ ეძახიან. ჰოდა აეს ის რო არი, მტკვარაჲ, მანდაც ბაღი იყო და სამოცდარვა წელში დაანგრია.

მერე იქიდან რო მოსულან, მამაჩემ თათართან რო უცხოვრია, მერე გადმოსულან, ერთუღელა ხარი უყიდია რა, იქ რო მუშაობდა, ოკამში ყოფილა ეს ამბავი. ეხლა ქილდელები არიან მანდ, თათრი სოფელი ოკამი იყო, სულ თათრები ცხოვრობდნენ მანდა. ეგენი იყვნენ, მაგათ უძახდნენ ჟერლი თათრებ — ადგილობრივი თათრები იყვნენ.

ჰოდა, მერე მამაჩემი იქიდან რო გადმოსულა, აქ სახლი-რაღაცა, როგორღაც უყიდია, რა, რაღაც პატარა თანხა მუუცია, მეზობლიდან. იმ სახლები პატრონი ახლა, ჩვენ რომელშიც ვცხოვრობთ, თბილიში იყო გაქცეული, დარჩენილიყო და აქ გაყიდა სახლები, მამაჩემ უყიდია.

მერე აქ ბევრი კაკლები ჰქონებია, მამაჩემ, ბიძაჩემ და ერთუღელა ხარი ჰყოლებიათ. ეს ხდება, ეს ამბავი, ათას ცხრას ოცდახუთ წელში, ამ თვეში (ოქტომბერში მ. ბ.). მე ვყოფილვარ ექვსი თვისა. აპრილში ვარ დაბადებული. ესე იგი: აპრილი, მაისი, ივნისი, ივლისი, აგვისტო, სექტემბერი, რა. ეს თვეა. და ამათ ეჰ კაკლები რო ურხევიათ, იქ მაღლა ჰქონიათ სახლი, ქოხი, ამ ბაღის ზეით.

ერთი დღე, ორი დღე. ასე კაკლები უკრეფიათ და... მერე უთქვია, რო ერთი ხე დამრჩაო, მამაჩემ — დედაჩემისთუნ, მაშინ ი ჩემი ძმა კლდიდან რო გადავარდა, ის ცოცხალი ყოფილა. ხვალაო დავარხიოთ ეგაცაო და ბარე წავიდეთ სოფელშიო.

ახლა იმასაც ვირით, რაღათი ზიდებდნენ ამ კაკალ. და აქ ბინა

ქონებია წყემსებ ჩვენ სოფლისა. ჩამოსულა და ერთ წყემს უთქვია მამაჩემისთუნ, რო, ეეგენო, ქვაბი მომეციო, ყაურმა'ნა გავაკეთოთო და — მწყემსებმა — და ქვაბ რო ჩამოგიტან, ყაურმასაც ჩამოგიტანო და...

უთქვია ახლა: — მე ყაურმა არ მინდა, ვგეო, აგერ ქვაბი, წაიღეო. ხოლოთ ჩამამიტანეო, რო გეეირდებაო. — იმ დროზე რა, — ერთი ფახირის (სპილენძის) ქვაბი ჰქონებიათ თუ რა ვიცი...

კარგა ღამე რო გასულა, თურმე ზეიდან ვიღაციები მოსულან და ამ... ძაღლი ჰყოლებია და, ხის დაშენა, რაღაც. ერთი-მეორე და... მამაჩემი ანდგარა და ისევ გამოსულა კარებთან.

— რო გამოველიო, ერთი ამ იმაში დამარტყესო, — გუნებაშიო (გულმკერდში). გუნებაშიო და... უთხარიო სახელიო, ვისაც ქვაბი წაუღია: — თედორ, ხო არ გაგიედი, რას შვები, ბაშვები არიან, შიეშინდებათო. და მერე თათრულებ დამიყვირაო, რო ხმა ჩაიკმინდეო.

მამაჩემ ის ეგონა, ვინც ქვაბი წაიღო. სხვა იყო. შევლენ. ეს ჩემი ძმა. იმი ტოლებიც ერთი-ორი იქნებიან სოფლელები, ამხანაგები, თივაში, რაღაშიც (რაღაცაში) წოლილან, რა, იმ დროს, ოცდხუთ წელში რა, ახალი წასული-მოსული ხალხი! — რა იქნებოდა.

მამაჩემი გაუტიტვლებიათ, ხელ-ფეხი შეუკრიათ. და მე კიდე პატარაა ვჰქერებივარ დედაჩემ და დედაჩემი იტყოდა, რო ვთქვიო, რო ბავშვი ხელში არ მამიკლანო და ეგება მე მამკლანო და დაუყვირეო და დაყვირა იყოო და თათრულებ მითხრაო, რო: — ნაბაღრიე სიბ ბელი! — დამარტყა ცხვირზე პრიკლადიო და ეს ცხვირი იესე ეტყობოდა დედაჩემ, გატეხილი ჰქონდა, ჰოდა ეს სისხლი ზედ ჩემზე ჩამოსულა, რა, რო ვეპირე ხელში.

მერეო მეორე შემოვიდაო და უთხრაო, რო: — ცოდოა, დაანებე თავიო. ასე ამბავით და ერთი-მეორეთ, თურმე მამაჩემი გაკოქეს, ეს ხარებიც წაუსხეს და... წაასხეს და წავიდნენ. დააგდეს ისევე შებორკილი კაცი. მერე რო ერთი-მეორე, ცოტა დრო გავა, ეს ბიქები ვინც იქნებიან რა, ათი-თხუთმეტი წლისანი, ადგებიან, მამაჩემ გაუსხნიან, ხელებ, რაღაცა, ფეხებ და ადგება და ამათ წაჰყვება ვითომ, რო დაიპიროს'ნა, დახვდეს'ნა.

ვანი ქვაბებში რო გადავა, მანდ ორმიები იყო ადრე, ეხლა ამომსულა (ამოვსებულა), რაღაცა ხმას გაიგენს. ვგეო, მივა რო, კაცი ორმოშია ჩაგდობილი და ყვირის: — ინდადი! საშველი! ერთი-მეორე და (ინდადი — მიშველეთო თათრულათ იტყვიან).

მივედიო, რო — ქურთი გდიაო რა, — თმოგის ციხის აქედან პატარა ნასახლარებია მანდ ქურთები ცხოვრობდნენ. უთხარიო, რო, რა შვები აქ, რა არიო და:

— ბიეოო, სამი-ოთხნი იყვნენო, ორი ხარი მიჰყანდათო, მეცაო აქაო გამოველიო რო... ალხაჯები (ცხვრის ღამის სათევი) იყო ცხვრისა და... ცხვრის ისა, დასაყრელი ადგილი, ბინა, ღამე. ხუშკი'ნა წიეღო, ნაკელი,

ცხვრისა რო, ბოსტან, რაღასაც აყრიდნენ. ეს ხარი მეც წამართვეს იმ ხარებ გააყოლიესო და მამიყვანეს და ამ ორმოში ჩამაგდესო. თურმე ზეიდანაც ქვა ადევს. ე კაცი ვერ ამოდის.

მერე მამაჩემი ამ ქვას გადააბურუნანს, ამოიყვანს ამ კაცს . მამაჩემიც თურმე საცვლების ამარა იქნება და... ეს წამოიყვანს და ეტყვის, მე ველარ წამოვალო და აგერაო, თავის რაღაც ძველ შარვალ მისცენს, ერთ ცალ სპიჩკას და ეს ისევ აქ, თავი სახში წავა და მამაჩემი წავა აგერ, თმოგი-ნაქალაქევი რო არი, აი აგრე.

თმოგის გზიებიდან ავა დამკალში. ღამე. მანდ, ვერთაყანას რო აფცილდიო, გაშუქდაო და, რო ახალათ ინათლაო, რო აველიო, ყელშიო რო'ნა შევიდეო, სოფელშიო'ნა მივიდეო, სოფელში'ნა ავიდეო, აღმართი რო ავიარეო, აველი პირზე რო ვაკეზე გავიდეო, რაღაცა თბილ იმაზე ფეხი დავადგიო, ვთქვა̄ო, რო ეს ნაკელიაო. სპიჩკა მქონდაო, გავკარიო, რო. — ახალი ისაო (ფუნაო, მ.ბ.). ვთქვა̄ო, რო აქ შერეკეს საქონელი, ალბათ, სოფელშიო. — ფუნა ენახა.

აქ რო ეს ამბავი მოხდა. ყვირილი, ერთი ამბავები ატყდა, იქ თურმე ზეით სხვა კაცი იყო და ამ კაცმა ირბინა და სოფელში უთხრა, რო აჰა, ევგენას ხარები წაართვეს თათრებმა. ეს ხალხიც ადგება და იქიდან დანკალში გადმოვა.

მაგ დანკალ რო გეუბნები, მე მანდ ფოსტალიონათ ვმუშაობდი, თან ბინათ ვიყავი, ორმოცდაორი, ორმოცდასამის დასაწყისში. მაგათ ერთი კარი რო გეგეღო, იქ სამი კარი გადიოდა. ამ კარებიდან გახვიდოდი და იქ, ბოლოდან სხვა კარებში გახვიდოდი. ასე ჰქონდათ. იარეს. ველარც ხარი ნახეს, ვერც ვერაფერი... ოცდახუთ წელში ხდება ეს ამბავი, მე რო გელაპარაკები, ჰო.

***

აქ რა ვიცი, რამდენი რჯული არ იყო, აგერ აგარაში ნახევარი ქართველი იყო, ნახევარი თათარი იყო. იმას იქიდან ლებისში თათარი არ იყო, თარაქამა იყო. ნიალაში იერლი, ადგილობრივ ეძახდნენ, მერე იქით: — გავეთი, ფანქეთი, თათალეთი, ეგ... ფანაქეთი ჩვენია, თათალეთი თათრებისა არი. მანდ ქართველი არ იყო. ხერთვისში იყო ქართველი გვარები: აბაშიძიები, თოთაძიები, მოსიძიები, ღმერთო ჩემო, კიდე რა გვარი იყო... ხარშილაძიები, აი ემ ხერთვიში ეს გვარები იყო.

აქაურობაში ეს ერთი ზედა თმოგი იყო ქართველი, იქ აგარა ნახევარი ქართველი, ნახევარი თათარი და ამ მხარეზე აფნია იყო ქართველი და გოგაშენი. სხვა ქართველი სოფელი აქაურობაში არ ყოფილა. დანარჩენები იქით იყვნენ, წყალგაღმა: კოთელია, ბარალეთი, ხოსპიო... ეგენი.

— საიდან გაასახლეს თათრები?

— თათრები ამ ნიალი ყურიდან დაიწყო და აქედან სუყველა გაუსახლებიათ. მე რო ჯარში წავედი, ყველა იყო. მერე შობულებაში ჩამოვედი, ორმოზდაოთხი წლის კიდევ ეს სექტემბერი იყო თუ ოქტომბერი. ეგენი... მგონია არ ვცდები, გაასახლეს იელისში თუ აგვისტოში. ხო აგვისტოში, იმიტო რო ყანი მუშაობა ყოფილა (ცდება მ. ბ.), რო გაუსახლებიათ აქედან. იმათი ყანა, ჭალა ასაღები დარჩენილა.

მერე ჩვენ აქ ხაშურში ვიყავით, უფრო სწორათ ჩუმათელეთში და (ჯარში მ. ბ.), ეხლა ბავშვთა ბანაკია, მანდა. ჩვენ მანდედან წაგვიყვანეს ორჯონიკიძეში. უფრო სწორად, ბესლანში. იქიდან პირველათ ხო ჩეჩნები და ინგუშები გაასახლეს, ჯერ ისინი გაასახლეს, მერე აქედან. ჩვენ წავედით, იმ ჩეჩნების და ინგუშების მოსავალი ჩვენ ნაწილმა აიღო იქ, ბესლანში. ჩვენ რო ჩავედით იქა, ჩეჩნები და ინგუშები აღარავინ არ იყო.

ბესლანი იყო სადგური, ოცდათხუთმეტი კილომეტრი ფეხით წაველით და იმათ ტერიტორიაზე მიველით, ჩეჩნები და ინგუშების. ეთესათ კარტოფილი, სემიჩკა, სიმინდი, კიტრი, პამიდორი. სიმინდში რო შეხვიდოდი, სიმინდის ყანა იყო, მოსავლიანი, სიმინდში რო შეხვიდოდი შიგ, საზამთროც იყო, კიტრიც იყო, პამიდორიც იყო, ყველანაირი... იქაური არავინ იყო. ოსები იყვნენ, თითო სოფელი დეე ასი, ასოც კილომეტრზე დაშორებული. ისე, იშვიათათ ვხვდებოდით იმ ხალხს.

მერე იმათ დათესილი კარტოფილი, რამე, რაც იყო მოსავალი, ჩვენ ავიღეთ, კარტოფილი, — ტრანშეები გავაკეთეთ, სამხედროები ვიყავით, იქ ჩაფყარეთ, მიწა დავაყარეთ, წამოვედით და აჰა, ეგ იყო. ნაწილმა შეინახა და მერე ალბათ, ისევ ნაწილებში დააგზავნა...

ჩვენ იქ არაფერ შევხვედრივართ, სხვა ქონებას. აქ დარჩენიათ საქონელი, ქონება... იმიტო, რო ამათთვის პერიოდი მიუციათ ოზდაოთხი საათი, აქედან რო გაუსახლებიათ: — ვისაც რა გაქთ... ოჯახში რო ყოფილა აღწერილი, რამდენი სულია, რა აქ და.

ან ერთი მაშინა მიეცემოდა ოჯახ, ან ორიო. მე ამას ნალაპარაკებ გეუბნევი, მე არ შევხვედრივარ. ამ მაშინაზე, — სუდაბეკერები ყოფილან, — რასაც დასტევდი. რასაც არა — ის დარჩებოდა.

გოგაშენთან მეზობელი სოფელი დანკალი იყო თათრებისა. მე იმ ასაკში დიდი არაფერი არ ვიყავი, მარა მეგობრები გვყანდა, როგორ არა, ურთიერთობა ქონდათ. მამაჩემ ძმადნაფიცები ჰყანდა, შვიდი ძმანი იყვნენ ნიალაში. და იქ გადიოდა მამაჩემი — მე ხო არ გავდიოდი (მე კი არ დავდიოდი) — იქიდან ერთი კვირა, ერთი ოთხი-ხუთ დღე არ უშვებდნენ ის ხალხი, პატივ სცემდნენ და იტყოდა, მაგალითათ, სამუშაო დროს რო გადავიდოდიო, მეტყოდნენო, რო შენ ჩვენ არ გვიყურიო, დილით ვჭანდიო: — აგერ ყველი, აგერ კარაქი, აგერ პური. როგორც შენი ოჯახი, ეგრე'ნა მიხვიდე, აიღო და ჭამო. და ისინიც ჩვენთან გამოდიოდნენ, მე მახსომს. იქ მოყვრობა ჰქონდათ ოკამში. ქალი ჰყანდათ

ნათხოვი და იმ ნიალიდან ამ აგარის გზით გოგაშენ ამოდიოდნენ, მერე უკან გადადიოდნენ.

ეგაც, მამაჩემ სიდან დამეგობრილან, მეგობრები სიდან გამხდარან: თურმე ოჯახში იყვნენ, დაუღამდათ. აცივდა და წამოვიდნენ, რო როგორმე გავალთ ნიალაშიო. რო მოვიდნენ გოგაშენში, მანდ ერთი ბასილაჲ ყოფილა, ნიალის ყურში იმ დროზე მამასახლისი. (ნიალა სოფელია და მაგ ადგილ ნიალის ყურ უძახიან. ეგ აგარა, ეგ ნიალა, წეღან რო ვთქვი, ლებისი — ნიალის ყურ ეკუთვნის).

ჰოდა, იქიდან რო წამოსულან, თურმე იქ მამასახლისათ ყოფილა ჩვენებური ერთი კაცი, ბასილაჲ რქმევია და იმასთან მისულან ეს თათრები და, იმ კაც არ მუუღია, უთქვია, რო ადგილი არ მაქო, ორი კაცი და ერთი ქალი იქნებიან. და მამაჩემი მაშინ, ძველი წყალი ჩვენი, დაბლა გექონდა წყალი, რიგი იყო და... ეგ წყალი არ იყო, ეხლა რო გვაქ.

იქიდან რო მოდის, თურმე შეხვედა, რო კაცო, ცხენი, ორი კაცი და ქალი კედლი ძირას წვიმაში იესე ატუზილან და დგანან. ეს მამაჩემი ეტყვის:

— ვინა ხართ, რა ხართ?

— აბა, მოველით ბასილასთან, არ მიგვიშვა და ექ კედლის ძირას ვდგავართ, რა ვიცი, წვიმს და...

მამაჩემი ეტყვის: — წამოდით სახში, კაცო... წამოდით კაცო. დიდი სახ-კარი არ მაქ, მარა რაც მე მაქ, თქვენც მოთავსდებით და მეცაო.

მე მახსომს, რო მოიყვანა მამაჩემა. ქალი დასველებული იყო, ეხლა ორი და სამი ხელი ტანსაცმელი არავის არ ქონდა, დედაჩემა გაიხადა თავი ტანსაცმელი, ამ ქალ გახადა, ჩააცვა, თონეზე დაუშრო, გაიგე. მერე რაღაც ქათამი დაკლეს ერთი, მეორე... და ეს ორიც ძმიები არიან და ეს ქალი ერთ-ერთის ცოლია და.. — რძალი და მაზლი.

ეს ხალხი რო ადგა, მე კარგა მახსომს, ერთ უღელა ხარი გვყანდა იქვე და ე კაცი რო ადგა, ერთი, ეტყობოდა დაფიქრებული, ჭკვიანი კაცი იყო, სახელიც მახსომს, ვირიშანაჲ ერქვა.

— ეეო, ღარიბი ყოფილხარო, მამაჩემ უთხრა, ეეგენო, მარაო გული კეთილი გქონიაო, შენ არ დაიღუპები ქვეყანაზეო და ეხლაო ჩვენ წავალთო და ამ ერთ კვირაში გამოგივლითო შენაო, ჩაი, რაღაციები დალიეს და წავიდნენ. გაამგზავრა, ეს ქალიც შეაჯვდინეს ცხენზე, წაიყვანეს.

რავი, ერთი კვირა გავიდა თუ რამდენიმე დღე, ერთი ნახო, ორი ცხენით მოვიდნენ ჩვენთან. გეეხმაურნენ, მამაჩემი გავიდა — იმას სხვა ძმა წამოუყვანია, ... ხურჯინები იყო გადაკიდული, აბგები მაშინ, ცხენზე ჰკიდებდნენ.

ასწიეს, ამ ორ კაცმა ძლივ ჩამოიღო, ერთში დიდი გუდა ყველი იყო, გუდის ყველი, ერთ ხარეზეც კასრები იყო ესე, ვედრასავით — კარაქი გატენილი. ეს ჩამოიღეს, დადგეს, მეორე ხურჯინი ჩამოიღეს — ნამცხვარი, პური, რაღაც... — აბა რა არი, ერთი-მეორე!.. (მამა ბოდიშობს მ. ბ.).

— არაო, შენაო რო იმ დროზე პატივი გვეციო, ეხლა ჩვენ'ნა გცეთ ყველაფერში პატივიო და დაუტოვეს ეს ყველაფერი სახ'ში და წავიდნენ ოკამში.

იმა მერე მისვლა-მოსვლა ჰქონდათ. მე მახსომს, ზამთარში მოუწია ისევ... ისეთი შემოდგომა მოვიდა, რო მამაჩემ ერთ უღელა ხარი ჰყანდა და ვერ შეინახა ზამთარში, თქვა რო ერთიო იქ ჩემ მეგობრებთან'ნა გავიდეო და ეს ჩემი ამბავი'ნა უთხრაო.

გავიდა და ერთი დღე, ორი დღე, მესამე დღეს ძლივ გამოვიდა: — მითხრესო რო ეგ ხარები გამოიყვა ჩვენთანაო, თუ შენ ვერ გამოიყვან, ჩვენ გამოვალთ და წავასხამთო. მანამ მოხნა არ დაიწყებაო, ჩვენთან იქნებაო, და მოხნა რო დაიწყება, ის საკვები გეყოფა შენ და მერე წაიყვან და მოხნავო. გამოვიდნენ.

დედაჩემი წინააღმდეგ წავიდა, ვაითუ მოგვიკლან, დავრჩეთ უხაროთა — ეშინოდა რა. ერთიც ნახო, მეორე დღეს ეს კაცები გამოვიდნენ, ამ ლაპარაკში ბევრი რო არ გავაგრძელო, გაირეკეს ეს ხარები და წაასხეს. უთხრეს, შენ როდცა გეგეხარდება, როდცა ხელ მოგცენს, გამო და ხარები წამოასხი.

ეხლა დედაჩემი და მამაჩემი სპორობენ სახ'ში.

— ხარები გაურეკე იქ, ამ თათრებმა'ნა დაგვიხოცონ, რა'ნა ვქნათ...

მამაჩემა უთხრა: — ქალო, მაგათ ისეთი რჯული აქთო, რო კაც თუ ფიცი მისცესო, ტყვიაზე რო გასვა, ისინი ფიციდან არ გადავლენო, ყველა ეგრე არ არი, კარგიც არიო.

ასე ამრიგათ, ზამთარი გავიდა. ადგა მამაჩემიც და წავიდა ნიალაში, რო ხარები გამორეკოს. გავიდა, ხარები გამორეკა, კაცო, — რა ხარები! ორის ადგილზე ერთი აღარ ეტევა. გასუქებულები, მოვლილები, გაიგე?

მეზობლებმა გაიგეს, რო ეგეენას ხარები გამოუყვანია ნიალიდან და წამოო, ვნახოთო. ვინც შემოვიდა, გადირია, კაცო ეე ხარები, ასეთები... რა აჭამეს ამათ. მამაჩემა უთხრა, რა ვიცი, რა აჭამესო, ასეთი ხარები მამცესო, ჩემი ხარებიაო. მეგობრობაში ასეთიც იყო.

გოგაშენში უცხოვრია ერთ-ორ კვამლ. მე არ მახსონს, არც იმათი ყოფნა ვიცი, ყოფილან ლაზიშვილები, გოგაშენში. და მანდ ერთი კვამლიც იყო, ლაზიშვილებათ იწერებოდნენ, მარა მერე ისინი ლაზარაშვილათ დაიწერნენ. მე, როგორც თათარი, მაცხოვრებელი გოგაშენში არ მახსომს, არ ყოფილა.

***

გაქცევაზე როგორ არ ჰყვებოდნენ, კაცო. გაქცევი დრო რო მოდიოდნენ ეგენიო, ეგ თათრები, წეღან რო ვთქვი ხუჟანი მეთქი, ამ თურქეთიდან გადმოსულები იყვნენ, მაშინდელი რაღაც გადაბირული ხალხიო და ლამაზ

ქალ, ლამაზ გოგოს თუ შენიშნებდნენო, გადარჩენილი არ იყო, ხოლოთაო, რას შვრებოდნენ ეს ქალებიო — სახეზე მურ და რაღაცას ისმევდნენ, რო დამახინჯებული სახე ჰქონოდათო.

და აეგრე თარეშობდნენო და კუმურდოა სომხი სოფელი, მანდაური სომხები მელაპარაკნენ, რო ჩვენთანაო მოვიდნენ ეგენიო, ეს თურქეთიდან გადმოსულებიო და ქვაბები აადუღეს, დიდრონი ქვაბებიო, წყალიო და ქალებსაო ხელიდან ბავშვებ სტაცებდნენო და ქვაბში აგდენდნენო. სომხის...

— სომხებსაც შეეხნენ?

— სომხებ უფრო მეტათ.

— სომეხებიც იყვნენ გაქცეულები?

— ეგენი ნაწილი, მგონი. იმიტო, რო ეგენი ბევრნი იყვნენ და სძალენდნენ, ისინი რო გადმოდიოდნენ. ჩვენი ქართველი ხალხი ცოტა იყო. მარა ეხლა სომეხ რო თათარი უხსენო, ათი დღის შიერი რო იყოს, შენთან პურ არ შეშჭანს, ეზარებათ ძაან.

***

ეგ კაცი (აჭარელი) გასული კაცი იყო. თითონ ეგ კაცი რა გვარი იყო, არ მახსონს. მაგას მუდმივათ ეკეთა ექ სტალინის პატარა სურათი. მაგ კაცს. მერე გამგებლათ დააყენეს ჩვენთან, მერე კოლექტივი თავჯდომარეთ იყო, ცალკე რო გაიყო აფნია ჩვენგან.

ჰოდა, რაკი ეგრე თქვეს-რო, მოსულაო და ეკლესიაზეო, ბოდიში და ზედ მოუფსიაო. მერე წამოსულა იმ დღით ერთი-მეორე, პარალიჩმა დაარტყა და... მერე ურჩიეს, რო მიდიო, სანთლები დაანთეო, და შეიძლება მორჩეო...

— არაო, მაგას არ ვიზამო. ერთი კვირა იწვა ასე, ათი დღე და კაცი მოკვდა. ეს ახალი ამბავია. აფნიის ეკლესია რო არი, მაგ ეკლესიაზე მისულიყო და ეგრე გიეკეთებიანა, გაიგე და, მე საწყობი გამგე რო ვიყავი, ათი-თორმეტი წელიწადი მაგ ეკლესიაში პურ ვინახენდი, მარა მე დამიჭერო რო, ცხვირიც არ მამიხოცია ეკლესიაში.

... ერთი რამდენიმე დღე კარგა იყო, მერე გაუმეორა და ისეც მოკვდა. ძმა ჰყანდა აქა. უთხარით, რო კაცოო, ჩვენ წესზე, აგე აქ მიწაც არი, ადგილიც არი... ეხლა აქ რო ვინმე მოკვდეს მაგათი, აჭარისა, საღამიენდი უნდა წაიღონ, არ ტოვებენ, არც ასაფლავებენ. მგონი ასეა ყველა სოფელში, პტენაში თქვეს, მარა ტყვიილი გამოდგა (თითქოს აქ დაასაფლავეს გარდაცვლილი აჭარელი მ. ბ.). იმ ძმა (ძმას) უთხარით, კაცო, სირცხვილია, იოსებაჲ ერქვა.

— იოსებ, ჩვენც ხალხი ვართ, შენ ყველგან დადიხარ და ჩვენ რამდენიმე მანეთ დავდენთ, კაცო, ეგრე ხო არ არი.

თქვა რო, მე ამდენი ხანია აქ ვარო, კაცისთვინ არ მიწყენინებიაო და არ გაწყენინამთო, არც მაწყენინოთო. ამოიღო და ვიღასაც ასი ლარი მისცა. ჩვენ'ნა წავიდეთო და ემისაო თითო ჭიქა წაუქციეთ ჩემ ძმასაო.

მერე რო წაიღეს ეს კაცი, არც სასახლე, არც არაფერი, ფიჩვები იყო, რაღაც, შეკოჭეს და წაიღეს აბასთუმნის პერევალზე. თურმე იქ რო წავიდნენ, თოელი იყო დიდი. ყაჩაღები დადგომიან, მერე კვდარი ჩამოვარდნიათ, გზაში დაჰკარგიათ, დაბრუნებულან, ძლივ უშოვნიათ და ასე დიდ დავიდარაბით ჩაუტანიათ და იქ დაუმარხიათ.

აჰა! მაგათ ეგ ჩვევა აქთ. ისე, ჩვენთან ჭირში-ლხინში უძახით, — მოდიან. უარ არ ამბობენ. მშვიდი, ზრდილობიანი... მე ვერაფერ ვერ ვიტყვი. აგერ ერთი აქარელი მეგობარი მყანს, კომპლექსშია, იაშაq ჰქვია და უკეთესი არ შეიძლება, კარგი ბიჭია! გუშინწინ კაკალი მაგამ დამირხია...

ბევრი უკან დაბრუნდა და მაგათი სახლები ბევრი ვერანა გდია. ვერ შიეგვივნენ, წავიდნენ. მაგენიც მოატყვიილეს. წყალი არ იყო. ეხლა ახალი წყალი მოიტანეს, რას იზამდნენ, არ ვიცი...

**ზაზაძე ვლადიმერ სპირიდონის ძე, დაბ. 1912წ, ასპინძა, თმოგვი 2003.**

**თათრობა, გაქცევა**

ფაქტიურათ ...ათას ცხრას ჩვიდმეტიდან დაიწყო თათრების შემოსევა აქა. არმია კი არ იყო, ხუჟანი იყო, რო იტყვიან, აი, ბანდა. ბანდა! თავხედურობა! აი იმათ შამეესივნენ აქა.

ვინც მოასწრო, წავიდა, ნაწილი ამ ქართველებისა. აქ თათრებთან შერეულათ ვცხოვრონდით, კომპაქტურათ, რაც ჩვენ ვიყავით, ისაც თათრები იყვნენ. ვინც დარჩა აქა, ამ თათრებმა შეაგროვეს, მამაკაცები, ვინც დარჩა ქართველები, ვინც არ გაიქცა, ერთ საბძელში, დიდი საბძელი იყო, საბძელი ხო იცი, რა არი? მერე აქაურმა თათარმა ერთმა აქაურმა, ადგილობრივმა, მეზობელმა თათარმა აიღო თოფი და უთხრა:

— დედას გიტირამ თქვენაო, ერთი აქედან ცოცხალი არ წახვალთო, თქვენ რას აკეთემთ აქაო. აქაო სისხლი არ'ნა დაიღვაროსო. შენ ხვალ'ნა წახვიდე, მეო მუდმივათ აქ ვარ... აქ ვარ მუდმივათაო, ეს ტერიტორია საქართველოსია, არა თურქეთისაო.

აქაური თათარი იყო. აქ მეტწილად სუყველა ადგილობრივი ქართველები იყვნენ. გადაგვარებული. აი მაგალთათ, ახალციხის რაიონში, დაიწყე: სვირი, ბოგა, მუგარეთი, ფერსა, საყუნეთი... სულ ქართველი გვარები იყო სუყველა. აქაც, ნიალაში ცამეტი გვარი იყო ჭელიძე, ახლა ჭობარეთი არი იქა... ორი ნასოფლარია იქა. ერთი ვერანა ნიალა,

მაღლა არი, ნიალიდან ცოტა ზევით, იქ რო გავერანებული და დაბრუნებულან თათრები, იქ კი აღარ ასულან, ქვეით გაუშენებიათ, საცა ამჟამათ ნიალა იყო, გასახლებაანდი. აი, ჭობარეთნი (!) — ჩამამავლობაა, ჭობარეთში ვინც ცხოვრობდნენ, ნაწილობრივ ქართველები, დარჩენილიყვნენ აქ, ნიალაში — თათრები იყვნენ, მიეღოთ თათრები სარწმუნოება. ენაც თათრული ქონდათ, თათრული, თათრული! ქართული სულ არ იცოდნენ თათრებმა. ახალციხი თათრებმა იცოდნენ, აემ ჩვენ თათრებმა — არა.

ჩვენ აგარიდან ვართ. თმოგვის ციხის დაბლა, ციხი ძირზე სოფელი იყო, მაგას ქვია თმოგი. ეს სახელი თმოგიდან გადმოიტანეს, თორე ეს მარგასტანია. მარგასტანიც თათრებმა დაარქვეს, მარგილეთი ქვია. ესე იგი, მევენახეობის ამსახველი სახელია — მარგილეთი. ამ ტერიტორიაზე ორასამდე საწნახელია, ყველა ეზო და ყველა ბაღი, კლდე, კარი, ღელე — სულ საწნახელია...

აქაურ თათრები... ოშორლები ქართულებ ლაპარაკობდნენ, მირაშხანი ქართულ ლაპარაკონდა, იდუმალა თითქმი ქართულ ლაპარაკონდა ადრე, თათრები, ყოფილი ქართველები. ბერიძე იყო ოშორაში, ბერიძე ყარა, აღმასკომი თავჯდომარე იყო, ბერიძე ყარა. ეხლა საყუნეთში, ფერსაში.. მახსონს საყუნეთ მთლიანად ლომიძეები იყვნენ. სამხედროში ჩემთან იყო ლომიძე. ლომიძიები იყვნენ საყუნეთში სულ. როგორც აგარაში სულ ზაზაძიები ვიყავით. თელი სოფელი თითქმი ლომიძე იყო.

გაქცევი დროს... აღარ მახსონს, შვილო, ურემზე დამაჟდუნეს წაველით, მოვიარეთ... ჯავახეთზე წაველით. მე მახსონს, აპრილი იყო, აპრილი. ტკვარში ხიდი არ იყო, აღელებული იყო. გადამბული იყო, ხელიხელ დაიჭირა ხალხმა და მე ძალუაჩემ ზურგზე ვეკიდე, ჩემ ბიცოლას, რადგან პატარაა ვიყავი, ხელიხელ ჩაკიდეს და ისე გავიდნენ.

მერე წაველით, აველით... საქონელი სულ დარჩა. ყველაფერი. ოჯახში, უი... ოჯახში თაობიდან (თავიდან) ორმოზდახუთი სული ვიყავით. ორმოზდახუთ სულ ვერ მოვესწარი და ორმოც სულ მოვესწარი მე. ორმოცნი ვიყავით. ორმოცნი ვიყავით ოჯახში. სუყველა გავიქეცით. ჩემი დიები ორი პრიუტში იყო, ერთი გეგეკორთან იყო, ქორდანია-გეგეკორთან, ბიძაშვილთან, ბიძაშვილიც მანდ იყო.

— ეგ თუ იცი პაპა, როგორ ხვდებოდნენ ამ ხალხთან, ჩემი ბებიაც ქორდანიასთან იყო.

— როგორ ხდებოდნენ და... პატარა რო გაიზდნენ გამდიდრდნენ ხალხი, მათ ჭირდებოდათ ხელზე მოსამსახურებათ, ათი-თორმეტი წლის გოგონები. ეს ჩემი დიები და ბიძაშვილი მაგ ასაკისა იყო და მიიღეს მაგათ ხელზე მოსამსახურეთ. ასაკში რო შევიდნენ, გასათხოვარი დახდნენ, წაველით და ამოვიყვანეთ, ჩვენ, უკან რო მოველით. სამტრედიაში იყვნენ. სამტრედიიდან სენაკი, აბაშა... აი მანდ იყვნენ. ქორდანია ხო

იქაურია. ეგ გათხოვილია გორში. იქაურ ცხოვრებაზე რას ყვებოდა? — არაფერი არ უჭირდათ. მეგრული ისე იცოდა ჩემ დამა, ვერ გაარჩევდი მეგრელებისგან. პატარაჲ წავიდა და გასათხოვარი იყო, რო მოვიდა.

— ეხლა ცოცხალია?

— არა, როგორ. ჩემზე ბევრით უფროსი იყო და როგორ. სონაჲ ერქვა. ზაზაძე სონაჲ.

— ურთიერთობა ჰქონდა იმ ოჯახებთან?

— კი, კი! აქაც მოდიოდნენ. აღარ გვაძლევდნენ, წამოგვეყვანა. მარა, ხო იცი, შობლები... დედა ადრე გარდაგვეცვალა, ძალიან პატარა ვიყავი, ესე იგი, ორმოცი დღის არც ვყოფილვარ, დედაჩემი რო გარდაცვლილა, აღზდილი ვარ ბიცოლაჩემისგან, იმაჰ ვეძახდი დედას.

გაქცევის დროს აქედან აველით ბარალეთზე, ჩიხარულაზე... აგარიდან ვარძიის წყალი გამოვიარეთ, ასე გამოველით, აველით ჯავახეთში. ჩუნჩხაზე, ქილდაზე... ჩუნჩხა, პტენა გავიარეთ. გადავიარეთ ბაკურიანზე. ბაკურიანიდან ჩაველით ბორჯომში, ბორჯომიდან... რო დამთავრდა ყველაფერი, გამოვიქეცით, დავბრუნდით.

— სომხებიც გარბოდნენ?

— ნაწილობრივ სომხებიც გარბოდნენ.

— ბაკურიანიდან როგორ ხვდებოდნენ ეს ბავშვები ხელზე მოსამსახურეებად, ვის მიჰყავდა?

— მოდიოდნენ და ვისაც სჭირდებოდა, მიჰყანდათ, ზოგი სამადლოში (თავშესაფარში) მიდიოდნენ, სამადლოდან გაჰყანდათ. სამადლო იყო თბილიში. როგორც ეხლა ინტერნატია. სამადლო იყო, სამადლო. ბაშვები, ვინც იყვნენ გაქცეულები და ტოლვილები, ვინც იყვნენ, სუყველა იქ იყვნენ, სამადლოში. ამ ჩვენა გარიდან დე, ოცდაერთი ბავშვი იყო, ბევრი იყო. გოგოებიც მიჰყანდათ და ბიჭებიც. ბიჭებიც იყვნენ. იქიდან მობრუნებულები ბევრი იყვნენ. ეხლა აღარავინ აღარ არი.

რო დავბრუნდით, აგარაში ისევ დაიწყო მეურნეობი აღდგენა. ზოგი ვერ დაბრუნდა. ჩემი უმფროსი ძმა, მაგალთათ, ბორჯომში გარდაიცვალა, ბოდიში სულ თქვენთან. უმფროსი ძმა. მე არ მახსონს. ბორჯომში სავანტყოფოში იყო. მამაჩემა, რო... ოპერაცია რო გაიკეთა ჩემ ძმამ, სანხედროში იყო, სხალი მუუტანა ფანჯრიდან.

ოპერაციაზე ხო იყო და სხალი ისედაც საშიში საჭმელია მაგ დროს, სხალი მუუტანია და ზოგჯერ ამუუჯდებოდა ხოლმე გული: — ჩემი შვილი მე ჩემ ხელით მოვკალიო, სხალი რო არ მიმეტანაო, ჩემი შვილი კიდევ იქნებოდაო.

ბორჯომში გარდაიცვალა. სამხედრომოვლილი იყო. თექვსმეტი დაძმა ვიყავით, ცხრა და და შვიდი ძმა. ყველაზე უნცროსიც მე ვიყავი.

ერთი ძმა ჭობიხევში მივაბარეთ, ხელზე მოჯამაგირეთ მივაბარეთ და იქ, ჭობიხევში. სიმინდი იყო იქ საჭმელათ, პური-რამე არ იყო და ვერ

აიტანა, აქაურმა კაცმა ვერ აიტანა და გარდაიცვალა ჭობიხევში. დანარჩენები ყველა დაგბრუნდით. აქ ქონებიდან არაფერი არ დაგვხვდა.

ჩემი ბიძაშვილი ერთ-ერთი გადავიდა ნიალაში. უთხრეს ნიალელმა თათრებმა, უთხრეს აჰა, შვილო, ჩვენაო დავაყენანთ აქ ცხვარსაო, უშენოთ არავინ არ გავაო... ცამეტი სული ჩვენი ცხვარი ნიშნით გამოარჩია და მოიყვანა. ზოგი... სუყველა მანდ ხო არ იყო, ზოგი ლებისში იყო, მეტი წილი. გოკიოში თათრები ცხოვრონდნენ, — გოკიელმა თათრებმა ააოხრეს აქაურობა. გოკიოში თათრები იყვნენ მაშინ.

ჩვენ ამ თათრებთან ძალიან კარგი... არ ქვონდა ცუდი განწყობილება, არ ქვონდა.

ბორჯომში ცოტა ხან ვიყავით. გაზაფხულზე გავიქეცით, შემოდგომით ისევ დავბრუნდით. იქ როგორ ვცხოვრონდით, არ მახსონს რო მოველით ჩვენ ტერიტორიაზე, აგარაში, აგარი ტერიტორიაზე რო ჩამოველით, ურმებზე ვიყავით დაწოლილი, გვითხრა, აბა ადექითო თვალი გაახილეთო, — გვეძინა. — ადექითო, აი, ჩვენ ყანაში მოველითო. აგე, ჩვენი ყანაო, მოველითო. შემოდგომით მოველით. გაზაფხულზე წავედით, შემოდგომაზე მოველით.

დამყარდა მერე სახენწიფო საზღვარი და ჩაიკეტა ყველაფერი.

## ჩეჩნების გასახლება, II მსოფლიო ომი

...ამათ გასახლება? მე რო გითხრა, მე ვიყავი სამხედროში, ლიტვაში ვიყავი მე. ომში ვიყავი. ჩვენებური თათარი შემთხვევით ვნახე იქა და თქვა, რო ჩვენებურებიო, ჩვენი სოფელიო გაუსახლებიათო და ისეც გავიგე. — წერილი ხო მოდიოდა, — თათრები გაასახლესო.

...სტალინმა თქვა იქითაც ჩვენი ხალხი გაწყდებაო, აქეთაცაო... თურქეთისა კი არ არი, ჩვენიაო. როგორც მეფე ერეკლემ თქვა, — ბაღ-ვენახებსაო ყურადღება მიაქციეთო, ჩვენი ტერიტორია არი და არ დააზიანოთ, მეურნეობას ზიანი არ მიაყენოთო. — ჩვენ კიდევ წინ გვაქ სასიარულო (სტალინმა), ტაო-კლარჯეთი ჩვენ წინ კიდევ არიო!

...ჩეჩნები გასახლებაზე ვიყავი. ჩეჩენი რო გასახლდა. ჩეჩენ (ჩეჩენს)... ორმოცდაოთხ წელში, ოცდასამ თებერვალ, ჩვენი არმია უკვე შევიდა, გრანიცა გავიდა და რუმინეთში გავიდა, რუმინეთში შევიდა ჩვენი არმია, მარა ბელორუსია კიდე გერმანელებ ეკავათ, ჩეჩნები გავასახლეთ ოცდასამ თებერვალ.

იანვარში წაველით და ოცდასამ თებერვლაანდი ისე ვიყავით. ხალხ ამუშავენდნენ, ვითომ რო გერმანელები დარჩენილა მთაში, ვინც უკან დაბრუნდა, აქ მეურნეობას ზიანი'ნა მიაყენონ და ფთხილათ იყვნენ სუყველა. ერთი კაციც არ გადაუშვია. და მიტინგები გამართეს ოცდასამ თებერვალ, რო აი ვითომ ჩვენი არმია, რუმინეთში შევიდა, თანაც

წითელ არმიის დაბადების დღე იყო, თან საქართველოს გასაბჭოების დღე იყო, მიტინგები გამართეს. მერე უტევდნენ, წინდაწინ უტევდნენ: — არსად არ წახვიდეთ! მოზობელ სოფელშიც არ'ნა წახვიდეთ. არა, ყველა თავი ადგილას იყავით. გარშემორტყმული იყო სულ.

— თქვენ იცოდით?

— ჩვენ, მებრძოლებ ხო არ გვეტყოდნენ. მერე როცა გასახლება დაიწყო, მაშინ კი.

მე მოხლისეთ წავედი, პაგრანატრიადში ვიყავი, ბათუმის ატრიადში ვიყავი და მანდედან შეაგროვეს სპეციალური ატრიადი. ატრიადი შეაგროვეს. ეგენი გავასახლეთ. მერე დავბრუნდი, რვა დღე აქ ვიყავი, საქართველოში.

რვა დღი შემდეგ ისევ ისე შექმნეს ახალი ატრიადი — და გავყევით ფრონტ. გაველით, შვიდ მაის ვიყავით კრიმში. კრიმი (კრიმის) თათრებიც გავასახლეთ. გავყევით მაგ გასახლებას. გავედით მინსკში. სამ ივნის გათავისუფლდა მინსკი, ექვსში ჩვენ შევედით. არ გვითხრეს, რო გერმანელები პადვალში სავსე იყო. აგენტურა ისევ მუშაონდა და არ თქვეს, რო ჩვენ არმიას ეძახდნენ სტალინის არმიას, შინაგანი ჯარი არმიას... იმ საღამოთი ოთხასმა თვითმფრინავმა მიიღო მონაწილეობა დაბომბაში — გერმანიამ. ჩვენი ნაწილი... ქალთა კორპუსი იყო, რომელიც აღზდილი იყო დალნი ვოსტოკში. იქ აღზდილი იყო რო: — ომი რო დამთავრდება, ბერლინი გოგვიებმა'ნა აიღონ! ასეთი რწმენა იყო.

იმათი ეშალონი, ჩვენი ეშალონი იდგა ჩიხებში სუყველა სამოცი პროცენტი გადაწვეს. ხუთ საათზე დაიწყო, ფარნები ჩამოუშვეს პარაშუტებით, განათებული იყო თელი ქუჩა. თელი ქუჩა განათებული იყო. დაბლა დაფრინავდნენ გრანატებ ხელით გვესროდნენ. დილით ავდექით, რო აღარც ნაწილია, აღარც არაფერი.

ჩვენ შევუერთდით ჩერნიაკოვის არმიას — სამოცდაათი კაცი დავრჩით ერთ ნაწილიდან, დანარჩენი გაწყდა. ჩერნიაკოვის არმიას შეუერთდით, წავედით. კაუნაგ! ლიტვი დედაქალაქი იყო მაშინ, კაუნაგ ერქვა. გენერალი ჩერნიაკოვი ბელორუსიი ბრძოლაში დაიღუპა, ის საწყალი. გავედით გრანიცაზე. და დავრჩით გრანიცაზე.

— ჩეჩნეთზე გაიხსენეთ რამე.

— მიტინგები რო ჩატარდა, გამოუცხადეს: — ვინაიდან თელი ომი პერიოდში ეხმარებოდით ფაშისტურ გერმანიას, სწვენდით სამხედრო ეშელონებ, სამხედრო საწყობებ, ამიტომ ბერიის დეკრეტის თანახმათ უნდა გასახლდეთ თქვენ სხვა შორეულ რაიონებში. ხუთი წლიდან ათ წლანდი. თუ ამ წლის გამავლობაში თქვენ თქვენი დგომარეობა გამოასწორეთ, დაბრუნდებით, თუ არა შეიძლება უფრო უარესი მოგვიდეთ.

ამ პირობით გაასახლეს ეგენი. მანქანები, სტუდაბეკერები გამზადებული

იყო ყველგან მოსახლეობის მიხედვით. აღწერა იყო, ხო? ე, თელი თვენახევარი მზადდებოდა, ჩუმათ. ესენი გაასახლეს. არავითარი დრო არ მისცეს. აბა! იმათ ეგონათ, ომი მერე უნდა დაბრუნდნენ. ამ მიზნით ასახლებდნენ, რო — გერმანელები უნდა შემოვიდნენ და რო არ მოხდეს მსხვერპლი

თებში სუდაბეკერებით ჩავიყვანეთ რკინიგზანდე. რკინიგზაზე მატარებელი ჩამომდგარი იყო, მზათ იყო. არავითარი წინააღმდეგობა არ ყოფილა. ერთი თოფი არ გავარდნილა. მე რომელ მანქანაზეც ვიყავი, მოლა იყო თურმი შიგ, ერთი. ამამ დაიწყო ტირილი.

მე არ ვიცოდი, რო ჩეჩნები თათრები არიან: — ყურან ყალი! ყურან ყალი! — იძახდა და ტიროდა, ხელებ ასე შვრებოდა (თავში იცემდა მ. ბ.):

ყურან ყალი! — ესე იგი, ყურანი — სახარება, რაგორც ჩვენი სახარება, დაგვრჩაო.

მე სტუდაბეკერიდან ჩამოუშვი ისა, პალატკა, ჩამოფარებული, უთხარ, წამო-მეთქი. ახლო იყო სახლი, ერთ ოც მეტროზე. მივიყვანე, მაღლა, ზღუდის მაღლა, ზღურბლის მაღლიდან ისე გაკეთებული იყო სპეციალურათ სკივრი და იმაში იყო ეს სახარება. აიღო და ფეხებზე მკოცნიდა, ხელებზე მკოცნიდა. მივიყვანე ის მოლა. არავითარი წინამღდეგობა არ გაუწევიათ!

— რამე დახმარებას გთხოვდნენ, პაპა!

— მაგ დრო რაღა... რაღა დახმარება იქნება, რაღა დახმარება ითხვიოს... ყირიმში... იქ სულ ადვილათ. ჩავიარეთ. ჩვენ წყობილებით მივდივართ, პაგრანიჩნიკები, სამხედრო ფორმა მიგვიღია ახალი, შვიდი მაისია — საზაფხულო ფორმა.

მარშით ჩავიარეთ. სამი კაცი ვენახ ახვევდა. ბერიკაცები იყვნენ. დაგვინახეს თუ არა, თოხები დააწყეს და დაბრუნდნენ სამხრეთისაკენ სალოცავათ და ააპყრეს ხელები მაღლა.

— ჰაი, ქაადირ, ... (თურქული ფრაზა)

ესე იგი, ღმერთ ეევდრებოდნენ ამ ურწმუნოთო რითი არ გამიელიათ ძალაო — ჩვენ, რუსეთ, საბჭოთა კავშირ — რითი არ გამიელია ძალაო.

ათ რიცხვშიც გავასახლეთ ეგენი. სულ თავისუფლათ. აქედან ვასახლებდით, იქიდან რუსები... ვაბრიდით (ვაბარებდით) — სახლებ, გასაღებ ვაძლევდით. მანდა კიდე, ჩეჩნები რო გავასახლეთ, ყველა სახლზე კაცი დავაყენეთ, ყველა ოჯაღზე, დაფკეტე, რა დარჩა აქა! — ათი ცხვარი, ეთქვათ, ან ძროხა, ან ქონება, ან... დაჭწერდნენ სუყველას. სადაც წავლენ, სადაც დაასახლებენ, იქ აუნაზღაუროს'ნა სახენწიფონ. ჩვენებურებიც აგრე ექნათ.

გენერალ არმია კრუჩკოვი, — კაი გენერალი იყო, სახელოვანი გენერალი, ეგ გეხელმძღვანელობდა:

— არავითარი ზიანი არ მიაყენოთ მეურნეობას!

ჩეჩნები და ინგუშები ერთათ გასახლდნენ. ეგენი იყვნენ, ერთი ავტონომია იყო ორივე. დაახლოებით მილიონი ცხოვრობდა. ეხლა მარტო ჩეჩნები არიან მილიონი. მაშინ ორივენი მილიონი იყო.

აქაურ გასახლებაზე, ამოსულან... წინ ნიალის გაღმიდან ორი სოფელი ახლოს არი, ზედ საზღვარზეა, იმათი, შიაბეს ურმები და გაჰწიეს უკან, იმათ ეგონათ, რო ომი'ნა დაიწყოსო, შიგნით წავიდნენ (თურქეთში მ. ბ.), დატოვეს მანდ ყველაფერი და შიგნით წავიდნენ (აქაური გასახლება რომ დაინახეს, შეშინდნენ მ. ბ.), იმათ ეგონათ, რო... თათალეთია სოფელი ქარზამეთთან... ქარზამეთი ჩვენია. თათალეთი და ქარზამეთი, — წყალი ჩამოდის მარტო, ხინგირის წყალი ჩამოდის, საწისქვილე წყალი ჩამოდის (... ისინი სხვა სახენწიფოსი იყვნენ, იმათან რა საქმე ჰქონდათ, რა უფლება გაქ.

ესენი დარწმუნებული იყვნენ, დაარწმუნეს, რო აქედან ომი'ნა დაიწყოს. — ამიტომ უკან, და დასწიოთ, ე საზღვარი'ნა გაანთავისუფლოთ. ამი იმედი ჰქონდათ მაგათ. ორმოცდაათი პროცენტი, ყოფილი ქართველები იყვნენ სულა. განსაკუთრებით ახალციხის რაიონი. აი, ადიგენი რაიონი კი — არა. მანდ ნაკლები იყო ადგილობრივი ხალხი.

სოფლები, საიდანაც გაასახლეს თათრები: აგარის ნახევარი, ნიალა, ქარზამეთი, ვარნეთი, არდაღი, ახჩია, ლებისი, გაევთი — ეს ნიალის საბჭო. ახლა იქით უნდა გადავყვეთ ვანიდან: ვანი, ბუზმარეთი, თაზაქვევი, ყოინდარა, ტაშლიყგშლა, ... ალანძია, ტოლოში (აწყვიტაში და დადეშში არ იყვნენ), ერკოტაში ორი-სამი კვამლი იყო, ხერთვისი: — ხერთვისი სულ თათარი იყო, ოშორა, ოთა... ხიზაბავრაში არ იყო თათარი, ასპინძა თათარი იყო, მეტი წილი თათარი იყო, სულ თათარი იყო. ასპინძაში სულ თათარი იყო. ახალქალაქში სამი სოფელი იყო ქართული. სულ თათარი იყო: ოკამი, კორხი, ალჯვა, ყაურმა, საღამო, ხავეთი, ერინჯა — ეგ სოფლები იყო თათრები. ათი სოფელი იყო ჯავახეთი, მეტი არ იყო.

— როგორი ურთიერთობა იყო ერთმანეთთან?

— ჩვენ, აგარში ვინც ვიყავით, როგორც ერთი სოფელი, ისე ვიყავით, არც სოფელში გამოვარჩევდით და არც... თათრებ საერთოთ ერიდებოდნენ, თათრი რწმენა საერთოთ აგრეა... თათრები კი არა აჭარლები, აჭა, აჭარლები. აჭარის წყალზე ვიყავით კამენდატურაში, ნარიადში მივდიოდით, სამი კაცი მივდიოდით ზეით. გზაში მოდიოდნენ სამი ქალი, ზევიდან მოდიოდნენ ქვეით. ჩვენ ქვეიდან ზეით. და როგო დაუახლოვდით, შეტრიალდნენ და ჩაიქუქეს და მოგვარდეს პირი, — აჭარლებმა! აჭარაში მიზდევენ, თათრულ წყობას მიზდევენ, აჭარა. ენა ქართულია, იმასაც ფლობენ, იმასაც ფლობენ.

— აჭარლები რომელ სოფლებში არიან?

— მირაშხანი, აზმანა, გოგაშნიდან წავიდნენ, აფნიაშიც იყვნენ, გელსუნდა, ივერია, — ეგენი არიან, ოთაშიც არიან. ეხლა რავი, შეეგვიენენ აქაურ ყოფა-ცხოვრებას.

**ზაზაძე ფარნაოზ, 1931 წ. ასპინძა, სოფ. თმოგვი (აგარა), 1991.**

***

...ჩემ ბავშვობაში ღამე რო აედგებოდი მამაჩემს არ ეძინა და ვფიქრონდი — რატომ არ სძინამს. მერე მე რო მშობელი გავხდი, მერე მივხვდი, რო მამაჩემ რატომ არ ეძინა. ესე იგი, იყო პროდუქციის უსაკმარისობა. და მამაჩემ მეუღლე ავანტყოფი ჰყანდა და ე. ი. მარტო რო ვერ ართობდა (ართმევდა) თავ (ხუთი ვაჟი და ერთი ქალიშვილი) მერე მივხვდი მე, რო იმიტომაც არ ეძინა. მაშინდელი ცხოვრება და ეხლანდელ ცხოვრებას ვადარებ მე თითონ. ჩვენ ფეხშველა გუთანს ვხნავდით.

...ეხლა ნიჭი'ნა გქონდეს, რო სწორედ გამოდიოდეს, გოგო, მაგალითად, მეც მინდა, რო კარგათ გამოვიდეს. სირცხვილი არ იყოს, რამე, იმის მიხედვით, თორე, ლაპარაკ რა უნდა. ...ჩვენებურად ...ვიღანც'ნა გყანდეს გვერდით, რო იმასთან საუბარი გქონდეს, და აქ სულაც არ გქონდეს აზრი, რო რა უნდა გელაპარაკო, ან რა უნდა ჩაიწეროს და უფრო აღარ ღელანს კაცი და შენ როგორც გაინტერესანს, ზუსტათ ისე გამოვა.

ხოდა, მერე ეხლანდელ ახალგაზდობას რო ველაპარაკები არა, რო წინათ ასე იყო, მაგალთად ერთ ხელ ლოგინში ხუთნი ვიწექით, ეხლა მარტო წევან. ფანჯრების გაღება... მაშინ ერდვიები იყო. მაგიდაზე მაგალთად, სუფრაზე არ მივიდოდა პატარა ბავშვი, ჯერ მშობლები დასხდებოდნენ, ან სტუმარი თუ ეყოლებოდათ ვინმე. პურს აკმევდნენ. ისინი სხვაგან ისხდნენ. მერე იმათ ცალკე მიართმევდნენ.

ეხლა ისეთი დრო დგას რო მაგიდაზე ჯერ უფროსი არ დანჯდარა, ეს ბავშ-ბუვში ზიან სტოლზე და როგორც უნდათ, ისე გადიან და გამოდიან, ასეთი რამეა. ხოოდა რა ვიცი, აჰა იცოდეს'ნა კაცმა, იმი ნიჭი'ნა ქონდეს, რო ლამაზათ ჩაწერო, გამოიყენო. შენთვისაც კარგი იყვეს და ყველაფერი-კარგი იყვეს. ეხლა მოწინააღმდეგე'ნა გყავდეს რო იმას ელაპარაკო, რო აესე ხო ვმუშაონდით, იესე იყო, იესე იყო და უკვე უფრო ლამაზი გამოდის.

## თათრების გასახლება

...ეხლა თათრების გასახლება რო ვილაპარაკო-მეთქვი, კაი გამოვა?

ღამე მანქანები შემოვიდნენ, სტუდერები. სამხედრო მანქანები შემოვიდნენ. ისე, უფრო სწორედ, ერთი ოცი დღის წინა, კარანტინი გააკეთეს და ხალხს არ უშობდნენ არსად.

ვერავინ ვერ გებულონდა, ისეთი ძალიან დიდი საიდუმლო იყო... ეს ყველაფერი სუფთა აზრია, სწორია. ვილაპარაკამ ასე ჩემებურათ...

ხოოდა ის არის, ვერც ქართველმა, ვერც თათარმა ვერ გაიგო, რო ვინ უნდა გადასახლდეს.

გზები შეკრეს, ქალაქებში შორს აღარ უშვებდნენ. მერე ადგნენ და ამერიკულ სტუდერებს ეძახდნენ და შემოვიდნენ მანქანები და თითო მანქანაზე ორ-ორი კაცი. დილის ექვს საათზე საბჭოში გამოუძახეს ხალხი და გააფრთხილეს, რო ორ საათში მანქანაში ვეში უნდა ჩატვირთოთ თქვენ, რასაც დასძლევთ.

მე პატარა ბოვშვი ვიყავი, ვიქნებოდი ათ-თორმეტი წლისა და ბანიდან ამოვძვერი. ბანიდან ამოვძვერი და ჩვენები არ მიშვენდნენ: — ბიჯო, ჩაგაგდებენ მანქანაში, სად მიდიხარ, ასე — ისე და მთელი ღამე ათენეს და ვერავინ ვერ გაიგო, ასე საიდუმლოთ ასახლენდნენ თათრებ.

მერე დილით გავიქეცი, საბჭოში და სანხედროსთან მივედი. იმას გვარი-სახელი ჰქონდა და თათრებში მივდიოდი და სახლებს ვასწავლიდი, ჰოდა ორ საათში ისე კულტურულათ გადაასახლეს, ისე ლამაზათ გადაასახლეს, რო...

მერე ჩვენ პურით დევეხმარეთ, შიერი ხალხი იყო. იმათ: — მეზობლობა კარქათ იყავითო, ჩვენ დაგვლოცეს, მერე ერთი კაცი იყო და თათრულათ შეგვაგინა ჩვენ. ერთმა სთქვა, — რო მეზობლობა კარქათ იყავით, ჰალბათ დრო დადგება ერთ-მეორეს კიდე შეეხვდებითო და ეს ერთი წამოქანდა და შეიგინა, რო ჰაი, მაგათი ასე-ისეო, მაგათ გააკეთეს ყველაფერი!

— აბა ჩვენ რა შუაში ვიყავით და მერე ერთ მოხუც კაცმა დამიძახა:

— მოდი აქ, ფარნაო.

მიველი და: — რა გინდაო.

— მაგას ასე-ასე თათრულათ შეაგინეო, რო გიჟობაო ოჩერედობით არისო, ესე იგი, რიგით არისო. თქვენაო მანქანით პატივ გცემენ გასახლებენო, და ჩვენ კიდე ფეხით, ღამიებს ვათენენდით და ფეხით გავრბოდითო თქვენი შიშითაო.

აესე უთხარი მე და ის კაცი მანქანიდან გამოექანა, რო ვითომ ჩემი თავი უნდა გაელახა, ეცემა უნდა და პაგრანიჩი ხო არ გამოუშვენდა და მერე ეგრე წაიყვანეს და წავიდა.

აეგრეთი რამე იყო წინანდელი ცხოვრება. სჭირდა ყველაფერი. ხარი, ურემი, ჯილღა, კალო, ბზე, განიავება, ცხრილში გაკეთება, წისქვილში დაფქვა, ამდენი დრო. მერე საქონლი ნაკელს ვიყენებდით, რო ის პური გემეგვეცხო. მაშინ შეშა სად იყო, ქვანახშირი სად იყო.

ჩვენ ის დრო მოგვწონს მაინც. ისეთი სიღარიბე იყო. ისეთი სიძნელეები გადავიტანეთ... ამ ახალგაზდობას სულ სხვანაირი ცხოვრება მოსწონს.

## უწინ კარგი დრო იყო...

...არც ქურდობა იყო, არც მოკვლა იყო, არც ყაჩაღობა იყო, არც ბინის გაქურდვა იყო. ახლა ღამე არა გვძინავს შიშით. აესაც სიმართლე გითხრა. იმიტომ, რო დრო ასე დგას.

მოვიდნენ, მაგალითად, კაცო, გაგვიკვირდა აფნიაში კაცი, ხაშურში სახლები უყიდია, რაღაცა უქნია, ჩვენ ვერაფერი ვერ გავიგეთ. მანქანით კაცი მოვიდა, ლამაზათ... ათასი მანეთი მაქო, ქალმა უთხრა, ლოგინში, აიღეთ წაიღეთ ჩვენ მაგისთვინ არ მოვსულვართო. დილიდანვე იკითხეს, რო ესა და ეს კაცი სად არისო და: სამუშაოთ არისო.

გავიდნენ, ტყეში დააღამეს, საღამოთი რო მოვიდა კაცი, მეზობელმა შიატყო, რაღაც უცხო პირები არიან ესენიო. ხოოდა, — მოდი ამაღან ჩვენთან დარჩიო და: — მე რა დამიშავებიაო, რო უცხო პირებ ჩემთან რა საქმე ჰქონდესო. ღამე ეს კაცი მოკლეს, აკუწეს, ცოლი ფეხებიდან და ხელებიდან დაჰკიდეს!

— როდის ეს?

— აფნიაში, აბა, ერთი თვეც არ გახდა. აკუწეს და ეხლა არ ვიცი, ქალი ცოცხალი გადარჩა, თუ აღარ გადარჩა. აესეთი რამე გააკეთეს და ასეთი რამე წინათ არ ყოფილა.

— რა მიზეზი ჰქონდათ?

— ვითომ სახლები უყიდია ოსისგან, ოს უთქვია, არ იყიდოო თუ იყიდეო და არ თქვაო რო ფული მოგიცია ჩემთვისო. ოსებ ხო უშლიდნენ ასეთ რამეს... ცუდი დრო დგას და ეხლა ნახო, როგორც იქნება საქმე.

...თათრები. არაფერ არ გვავნენდნენ...

იმიტომ რო კანონი იყო ძალიან მტკიცე. ქურდობა, ბაცაცობა, ზეგავლენა, დაშინება, რამე ჩვენთან არ ყოფილა. ადრე ყოფილა მამა-პაპის დროს და ჩვენ დროს არ ყოფილა. იმიტომ არ ყოფილა, რო კანონი იყო ძალიან ძლიერი.

## ასე ვშრომობდით...

ხოო, ვშრომობდით ასე, წეღან როგორც გელაპარაკე, ვშრომობდით ასეთნაირად. დილით ადგებოდი, მეხრეთ წახვიდოდი, საღამოონდის ხარებ ერეკებოდი; მოვხნავდით, დავთესავდით, დავფარცხავდით, ველოდებოდით, მოსავალი როდის მოვა, მერე გავლეწავდით ხარით. მერე ქარში გავანიავებდით, ფიწალს ვეძახდით, რითაც ვანიავებდით. ხოო, მერე იმას მოვცხრილავდით, — პურსა, ხორბალსა. მერე იმას გავახმობდით...

აესეთ ძნელ პირობებში ვიყავით და მაინც არ გვიძნელდებოდა შრომა, მიჩვეულები ვიყავით. ეხლანდელ ახალგაზრდას არ შეუძლია

ამხელა შრომა, ჩვენ რასაც ვშრომობდით, იმიტომ არ შეუძლიათ, რო მიჩვეული არ არი. ჩვენ მიჩვეულები ვიყავით.

ნაბდებში ვათენებდით. ფიჩე რო ვეძახდით: ღამე კვალში ვიწექით. კვალს ვეძახდით — ხარით კვალ გავავლებდით, იქ ვიწექით ღამე. ჯილღას ვეძახდით და ჯილღის კვალში ვიწექით მთელი ღამე და ეხლა რომელი ახალგაზრდა მოვა და იმ კვალში ჩაწვება მიწაში, გაათენოს და გათენებისა(ს) — ხარი აბალახოს და მერე უღელში შიაბას და უღელზე დაჯდეს და ხარი სწორეთ წაიყვანოს, რო მეჯილღემ მოხნას ყანა?! ეხლა ვინ გააკეთებს! არავინ არ გააკეთებს მარა, ჩვენ დროში ჩვენთვის ეს მიზანშეწონილი იყო...

მერე ყანას რო გავთიბენდით, — ბულულებს დავდგევდით, მოვაფოცხავდით. მერე ზვინს დავდგავდით. რაც ბევრი თავთავი დარჩებოდა, გავდგებოდით, ფართუკებ მოვიკრავდით, (ვედრა სად იყო მაშინ) და ფართუკებში ამ თავთავ ვკრეფდით, მერე კალოზე რო დავაყრიდით, მარცვალ გამოვიღენდით იქიდან რო, ესაც არ დაკარგულიყო.

ახლა ჩვენ დროს, ეხლანდელ დროს, კომბაინი რო მიდის, სთიბანს, თვალით მინახანს, რო ფართუკი ჩასხნია ან რეგულირეკა უნდა. კომბაინი პურს აპნევს. კომბაინერს ეუბნები, რო ბიჭო, ამხელა პური ძირ იპნევა!

— აა, მოგცლია!

ეს ქონება საიდან დაგროვდებოდა. აი, მაშინ ასეთი პირობები იყო. იმიტონ რო გლეხ კაც, ყველაფერი ენანებოდა დანაკარგი. ეხლა გამონცხვარი პურიც არ ენანებათ. იმიტონ არ ენანებათ, რო იმაჰ შრომა არ უნახია, რო ეს პური როგორ შეიძინა, როგორ დამუშავდა, როგორ გამოცხვა და როგორ მოვიდა მაგიდაზე. არ იცის, ისე ჰგონია, ჰაერიდან ჩამოსდის და ჩვენ ასეთ პირობებში იმიტომ არაფერი არ გვიძნელდებოდა, არაფერი არ გვიკვირდა, შეგვიებულები ვიყავით, ვიცოდით, რო ეს ასე უნდა მოხდეს, სხვანაირად არ შეიქმნებოდა დოვლათი.

აი, სხვა... როგორ შეიქმნებოდა თუკი პურ მოსთიბამ, ნახევარ მაღლიდან მოსთიბამ. ბჯას გააფუჭამ. წვიმაში თავი დროზე არ მოაფოცხამ, არ დაართითამ, ზნას არ დასდგან, ზვინს, უფრო სწორეთ, ზვინს ვეტყვით. ჰო, ზვინს არ დასდგან და ის ჩალპება, წვიმა მოვა და გაოხრდება. აპა, გლეხი რას მიიღენს?! — არაფერ არ მიიღენს და ჩვენ ასე ვშრომონდით. აი ასე იყო.

საქონელი გვყავდა. ორ უღელაამდის ხარი, ოთხი ძროხა, ოცდაათი სული ცხვარი. ...ყველას ასეთნაირათ არ ჰყანდა. ზოგ უფრო მეტი ჰყანდა, ზოგ უფრო ნაკლები ჰყანდა. ვის როგორ შიეძლო. აი, იესეთი რამიები ხდებოდა, ხოოდა ჩემ მოსწრებაში აესეთ რამეს ვაწყდებოდით ჩვენ და ეხლა დრო ასე დადგა და ამ ახალგაზრდებ ესეთი რამე არ მოსწონს. სხვა რა ვილაპარაკო. სწერანს კიდე?

...წისქვილში რო წავიღენდით საფქვავ, მიგვქონდა ხარით, ურმით. ან

კიდე საკიდით (ვირით) მიგვქონდა პური დასაფქვავათ. ერთი კვირა, ათი დღე უნდოდა, რო რიგი მოსვლოდა. ერთ მტვერ ფქვილ არ გავაფუჭავდით. საფქველიდან ისე ავკრებდით, მოვაგავებდით, რო ერთი მუჭი არ გაფუჭებულიყო. მეშოკს პირ კარგად ჩაუკრენდით. უფრო სწორეთ ჯვალიები იყვნენ ჯვლები. ძველებური ჯვლიები და...

ჯვლიები მოქსოვილი გვქონდა თხის ბალანიდან. თხას გავკნაჭავდით. მერე დედაბერი იყო, თუ მოხუცი იყო, დაართავდა, იმას მოქსოვდა და იმას ვიყენებდით მეშოკის მაგიერ. ჭურჭლათ ვიყენებდით და ძალიან კარქი იყო, დიდხან ძლებდა, იმიტო რო, იმის ბეწვი მაგარია.

ხოოდა ამ წვალებით შეძენილ პროდუქტ, აი. ვთქვათ, მარცვალ, ვინ გააფუჭებდა?! — არავინ არ გააფუჭებდა და ეხლა ჩვენ რო მაგას ვხედავთ, სულ სხვა იყო, ეხლა სულ სხვა არი. და ეხლა ჩვენ ვერ ვეგვიებით, სიმართლე რო გითხრა, ახალგაზდებ ვერ ვეგვიებით. ამათ სხვანაირი ცხოვრება უნდათ და ჩვენ კიდე სხვანაირი ცხოვრება გვინდა.

წისქვილი გვქონდა სამ კილომეტრზე, ოთხ კილომეტრზე გვქონდა. შორს გვქონდა. მტკვრის წყალზე არ იდგა. იქ ჩვენ აგარაში დუმეელებს ვეძახდით, დუმეელებს და იქ მოდიოდა იმდენი წყალი, რო...

დუმეელები ადგილ ჰქვია. ერთ წისქვილს რო აქ დაატრიალებდა, ის წყალი წავიდოდა, ისეთ ადგილ იყო მეორე წისქვილი მოწყობილი, რო ისევ დაქანება მიეცემოდა. ახლა იქ სხვა წისქვილს ატრიალებდა. მაგ ერთ წყალზე ათი წისქვილი თუ ექვსი წისქვილი ზუსტად აღარ მახსოვს... ხოოდა ეს წყალი ამუშავებდა.

ხოოდა თელი წლის ფქვილი უნდა დეგვეფქვა ჩვენ ერთ სიზონზე, რო თელი ზამთარი, თოვლი მოვიდოდა, მოძრაობა აღარ იყო, ჩაკეტილი ვიყავით და აეს პური უნდა დაგვემუშავებინა, ფქვილათ უნდა გვექცია და დანარჩენი ქათამ-ბატისთვის შევინახენდით და სამარცვლეთ შევინახენდით, რო გაზაფხულით დავთესოთ. ხოოდა დანარჩენ ფქვილათ ვაქცევდით და შევინახენდით.

მოვიდოდა თოვლი, მეტრნახევარი, ოთხმოცი სანტი, და ჩავიკეტებოდით, ვერსად ვერ წავიდოდით. აბა, ის ფქვილი რო არ გვქონოდა, ის საწვავი რო არ მოგვეტანა, რო არ გვეშრომა, ვინ იყო ჩვენი პატრონი — ტრანსპორტი არაკითარი არ არსებობდა, მოძრაობა არ შეიძლებოდა მაშინ.

იმიტომ არ შეიძლებოდა, რო თაში ვცხოვრობდით ჩვენა და მერე ორმოცდახუთ წელშიო რო თათრები გადაასახლეს, მერე ჩვენ აქ გადმოგვასახლეს. თმოგში გადმოგვასახლეს. მანანდის ვცხოვრობდით ჩვენ აგარაში, სოფელ აგარაში.

ჩვენ თათრებთან ერთად ვცხოვრობდით. ნახევარი თათრები იყვნენ, ნახევარი ქართველები. ჰო, ბოვშობა მე აგარაში გამიტარებია. აესე იყო ცხოვრება მაშინ. და ეხლანდელი დრო სულ სხვა არი და მაშინაც სულ სხვა იყო.

...ჩემი ძმა ჯარში რო წავიდა, მე პატარაი ვიყავი და ბატი მოუხარშეს და ბალიშის პირში ჩაუტოვეს. ვიცოდი, რო დილით ჯარში მიდიოდა. ადგილ ღგრჯანს ეძახდნენ, ისე აცილებდნენ და ასპინძაში მიჰყავდათ. იქიდან კომისარიატში გამოცხადდებოდნენ და ჯარში ისე მიჰყავდათ.

ხოდა მე ტირილით იქაანდი მივჰყევი. ხალხი, თელი სოფელი ტიროდა. მარტო ჩემი ძმა კი არა, სხვებიც მიდიოდნენ ჯარში. თვრამეტ წლისაც არ იყო, ჯარში რო გაიწვიეს. ხოდა, მთელი სოფელი ტირილით მივდიოდით, მივდევდით და მერე რო ის ქნეს, რო ვერ დამაბრუნა და მივდევდი ტირილით, მერე გასხნა ის იქიდან და კარგად მახსოვს ბავშვობაში, რო ბატს ერთი ბარკალი მოაწყვიტა, მოგლიჯა და მითხრა, რო: — ჰა, შეჭამე და წადი სახშიო.

აესეთნაირათ წამოვედი და მერე წერილი მოდიოდა, კაი სახელიც ქონდა ჩემ ძმასა და ესეიგი, რაზვეტკაში მუშაობდა, იქაანდის კარგად ვიცოდით, რო რაზე მუშაობს და როგორ და... იმის პაროლი ის იყო, რო მამალივით ყიოდა, ჩემი ძმა და კერჩში დაიღუპა.

ჩვენ ვიცით, აქ ჩამოვიდნენ ამხანაგები ოთხი კაცი. ერთი იოკაი არის ასპინძელი, ბერიძე იოკაი, ერთი კიდე დიასამიძე კოლიაი, შენი ძმაო ჩვენ ვნახეთო და არ ადასტურებენ რო სად დაიღუპა მარა. — ვიკითხეთ კომისარიატში, ყველგან და ვერც კვდარი გავიგეთ, ვერც ცოცხალი...

დედაჩემი იმის მოლოდინში და მამაჩემიც იმის მოლოდინში დაიღუპნენ ორნივ, საწყალი და მერე ჩვენ რო წამოვიზარდეთ, დანარჩენი ძმიები, დედაჩემი იმას ფიქრობდა, ჩემზე უმფროს ძმას დანიშნას უპირობდა, რო მალე დავნიშნოო, რო მე ავანტყოფი ვარო და მოვკვდებიო. ხოოდა ის არის, მე ვიძახდი, ნეტა ეს დედაჩემი რას ჩქარონს. ხოოდა დედაჩემი დაიღუპა და რძალ ვერ მიესწრო...

ეხლა ჩვენ სიკვდილი არ ვიცოდით. ამ სოფელში რო ჩამოვსახლდით, ყველაზე წინ მამა მოგვიკვდა ჩვენა. ესე იგი ივნისის თხუთმეტში. ეს მამა დავმარხეთ, მერე გავიდა ოთხი თვე, მერე დედა მოგვიკვდა. დავრჩით ობლები.

ჩემი უმფროსი და ასპინძაში მეცხრე კლასში სწავლონდა სკოლაში და ის გამოვიდა სკოლიდან და ჩვენ, ესე იგი, საჭმელ გვიკეთებდა და ტანსაცმელ გვირეცხავდა. აესეთ წვალებაში ვიზრდებოდით ჩვენა. ხოოდა ახლა დაფიქრდი შენ, რო რამდენა ტანჯვა გადმოგვივლია ჩვენა.

...ჩვენ მერე ისეთი წარმოდგენა გვქონდა რო, არც ექიმი ვიცოდით, არც არაფერი, რო ან ვინ დეგვეხმარება. მე ისე მეგონა ბავშვობაში, რო ჩვენ სუყველა დავიხოცებოდით, მარა სუყველა დავიზარდენით, კმაყოფილი ვართ ჩვენ ცხოვრებისა. მე ცამეტ წლისა ვიყავი. ახლა ცამეტ წლის ბავშვს რა ჭკუა უჭრის...

*იგივე მთქმელი, 2003წ.*

## თათრების გასახლება

...გამიგონია, რაგორ არა. მამაჩემა თქვა, რო თათრებმა გაგვრეკესო და წაველითო. მერე მოვბრუნდითო. ჩაუში მოვიდაო, სცენდა ხალხსაო. ერთი კაცი დარჩაო და იმას უჯერიდა ყველაფერ. ნიკოლოზი გადმოაგდესო, ომი დაფტოვეთო და მოვბრუნდითო...

მამაჩემმა წამიყვანა ლებისში, მოსიმღერე იყო და, საზი (უკანაი განიერი ბაქ, წინა — ვიწრო, საზ ეძახიან)...

მამაჩემა წამიყვანა იქა და ჭვავი-დოლი მისცა, არ ვიცი, რამდენი ფუთი, ალბათ ერთი ოცაანდის, და ერთი ქურა ცხვარი (ყურები ძაან პატარაა რო აქ, ქურა ცხვარ ვეძახით), წითელი ცხვარი და იმასთან მე სიმღერა'ნა მესწავლა. საზი უნდა დემეკრა.

ერთი დღე გადმოვიდა, რამაზანი ჰქონდათ. პურა, ღამე შეანდნენ, დღისით აღარ შეანდნენ არაფერსა. ჰოდა, მამაჩემი გადმოვიდა, ეს კაცი ღარიბი იყო, ბავშვებიც ბევრი ჰყანდა — ეს პური შეეამა. ერთი კვირა ვიყავი თუ ათი დღე და მითხრა: — ფარნაოზიო, მე უნდა წაგიყვანო სახშიო.

— რათა, რა დავაშავე, მე უთხარი, — მე უჯერი ამას, ვისწავლო'ნა.

— გერმანიამ ომი დაიწყო და ესენი შენ მოქკლავენ! — რა'ნა მექნა, მამა იყო და... ხო, ცხვარი წაართვა, თოკი მოამბა და მითხრა, წაიყვა სახშიო და თითონაც წამომყვა სახში. ასეთი რამე. მერე გასახლებაში არცერთ ქართველმა იცოდა, არცერთ თათარმა იცოდა, რო რომელი'ნა გადასახლდეს. არავინ არ იცოდა. ექვი ჰქონდათ, მარა... საბჭოს თავჯდომარე, ეგ მოწინავე ხალხი გაფრთხილებული იყო... ზაზაძე ერეკლეა იყო საბჭოს თავჯდომარე როგორ არ მახსონს, სოსანაა იყო, ზაზაძე, მაიორას მამა, სოსანაა ერქვა, ეგაც კოლმეურნეობის თავჯდომარე იყო. მეშვიდე კლასის მოსწავლე აიყვანეს ბუღალტრათ ხალხმა წერა-კითხა არ იცოდა.

იმ თავჯდომარემ თორმეტი წელი იმუშავა. სტალინის დროსა. მარტო ხელის მოწერა იცოდა, გინდა დაიჯერე, გინდა ნუ დაიჯერამ, მე ტყვიილ არ ვლაპარაკონ. მარტო ხელის მოწერა იცოდა და მუშაონდა თავჯდომრეთ.

...ღამე სუდერები მოვიდნენ საღამო პირზე, აეს დრო იყო ზუსტათ, ბლენდებოდა, ორმოზდახუთი წელი იყო (დროს ურევს, უნდა იყოს ორმოცდაოთხი წელი), შემოდგომა იყო, აეს დრო იყო. იწყობოდა... ისევ კომბოსტო მოპრილი ეყარა, აი, თმოგში რო ჩამოგვასახლეს...

ჩვენთან ნახევარი უბანი თათარი იყო, ნახევარი უბანი ქართველი იყო, აგარაში. სამოცი კვამლი თათრები იყვნენ, ორმოცი კვამლი ჩვენ ვიყავით.

ჩხუბი, რამე არაფერი არ იყო, იმიტო რო, კომინისტური პარტია...

მე რო მივესწარი, უკვე მტკიცე კანონი იყო, რა უფლება ჰქონდა, რო რამე ცუდი ეთქვა ან გოგოსთვის, ან ვისმესთვის, — ესეთი რამე არ ყოფილა! ჰოდა, კრინტი არავინ არ იცოდა. ჩვენ, მამაჩემა და დედაჩემა, ღამე ლოგინი შეკრეს, ერთი ციკანი დაკლეს, რო ბავშვები შიერი არ წავიყვანოთო, — არ იცოდნენ. მანქანები რო მოვიდნენ, სტუდერები რო მოვიდნენ და გაჩერდნენ, დანაწილდნენ სოფლებში, მაშინ მივხვდით, რო...

— ყველა სოფელში ერთდროულად მოვიდნენ?

— არა, ჩვენ ხო ვერ უყურანდით, მოვიდა ნიალაში, წავიდა აგარის ტერიტორიაზე, ლებისში დალაგდა, სოფლი ბოლოში გაჩერდა... სადაც ჩანდა! სადაც არ ჩანდა, ხო ვერ ვხედანდით!

ჰოდა, ორ კვამლზე ერთი მანქანა იყო განსაკუთრებული. ორი სალდათი იყო, ერთი წინ იდგა, კაბინკასთან, ერთი უკანა ბორტთან იდგა, პლაშები გადაფარებული ჰქონდათ.

ჰოდა, ჩვენ განვსაზღვრეთ, რო ესე იგი, ვიღანც'ნა გადასახლდეს, ან ქართველი, ან თათარი, — არავინ არ იცოდა. გზები შეკრილი იყო. ორმოცი დღე გზები შეკრეს, ქალაქში აღარ უშვებდნენ, წინასწარ, წინასწარ გზები გადაკეტეს და ვინ... ვის ჰქონდა იმი უფლება, რო თავი გეეწირა და ვისმეს ეთქვა, რო ან თათარი გადასახლდეს'ნა...

ჰო, გათენება რო მოატანა, სამხედრომ დამიძახა, ამოველი, ბუხარ ეძახდნენ, იქიდან ამოვძვერი, — ამოხვრეტილი, სადაც კვამლი ამოდიოდა, იქიდან ამოვძვერი, პატარა, ცამეტ წლისა ვიყავი ალბათ, ჰო, აგრე ვიყავი... იქიდან ამოვძვერი და ვიცქირები, რო რა ხდება, ის არი, რა ჰქვია... სამხედროები დადიან, სია უჭირანთ ხელში და მითხრა:

— ფაცან, იდი სუდა! — მიველი. ცოტა ვიცოდი რუსული. გვარი, სახელი წაიკითხა:

— იუსუფ ყადირ-ოღლი!

მე უთხარი: — ზნაიუ, სადაც ცხოვრონს — სახლები ხო ვიცოდი, იქ ვცხოვრონდი თათრებთან და არ ვიცოდი სად ცხოვრონს?

ჩავიყვანე, ჯიბის საათი ამოიღო, ჯაჭვიანი, დაჰკვირდა და უთხრა სალდათმა რო: — ორი საათი დრო! რაც შეგიძლიათ, მანქანაში მოთავსდით. ერთ მანქანაში ორი კვამლი თავსდებოდა. ორი საათი ვადა მისცეს.

მერე გავიდნენ გზაზე და წამოიყვანეს და წამოიყვანეს. როგორც წამოიყვანეს, საქონელი უპატრონოთ, უკვე დანაწილებული იყო... წინასწარ შერჩეული იყო, იმ ღამით შეირჩიეს თუ ორ დღის წინ, მაგას ვერ გეტყვი, მაგრამ ადგილობრივი ხალხის ბრიგადა იყო, ვინც საქონელს იბარებდა. ცხვარი დარჩა, ძროხა დარჩა, ფუტკარი დარჩა... სახენწიფოს ანგარიშზე წავიდა ეგ საქონელი.

შარშანწინ, სანამ ეს კომუნისტური პარტია გადატრიალდებოდა,

აქაც მოვიდა ჩემი ამხანაგი, უყუშაჲ ერქვა, ვილაპარაკეთ ერთათ და აქ მოსვლა, დაბრუნება უნდოდათ და ხალხი წინააღმდეგ წავიდა, რო არ დააბრუნონ თათრებიო.

ხოდა, ესენი წინასწარ მოლაპარაკებული იყვნენ, რო, თათრებ რაც საქონელი დარჩება, სახენწიფოს ხარჯებზე'ნა მოინგვრეს და არც დაკლათ, არც მოიპაროთ... ესე იგი, თაზაქვევში, ლებისში, ნიალაში, ქარზამეთში, ეს ყველგან ხო უპატრონოთ რჩება! მაგაში უკვე დანაწილებული იყო...

როგორც თათრები წავიდნენ, ამათ საქონელ ყური უგდეს, აბალახეს, წყალი დაალევინეს... სახენწიფო ხარჯზე წავიდა. თუ ვინმემ მოიპარა და დაკლა, შერჩა. რაც მართალი — მართალი! ესე იგი, მოიპარა, დაკლა — ეს მიაფანიერა, შერჩა. დანარჩენი საქონელი სახენწიფოს მოხმარდა.

აესეთი რამე იყო. მერე ის თათრები რო გადაასახლეს, ჩვენ გვითხრეს რო:

— თმოგში უნდა ჩასახლდეთ!

ზოგ უნდოდა, ზოგ არ უნდოდა.

ერთი ბიძაჩემი ვერთაყანას ავიდა, ვერთაყანა ჰქვია, ქართულათ, იქ ავიდა და მაინც ჩამოიყვანეს აქა. უთხრეს, რო სოფლები უპატრონოთ დარჩა და იქ'ნა იცხოვროთო.

ჩვენ თითონ ბარგი დაუდეთ, ხარები შევამბით და ხარებით ჩამოვედით აქა. მერე ნომრები ამოსწიეს, — აქ არ იყო სახლები, ეს ჩვენ გავაკეთეთ ბოლოს, სათესი ყანები იყვნენ. აი, კაკლებთან ხო გამოიარეთ, იმი ზეით იყო სოფელი და იმი ქვეით, არც გზი ზეიდან, არც გზი ქვეიდან არსად არ ყოფილა. ნომრები ამოსწიეს, კენჭი ყარეს სახლებზე, ვისაც რა შეხვდათ, არავის არაფერი არ უთქვია, ...შესახლდნენ. თათრების აშენებულ სახლში... დაგვინაწილეს ჩვენ, ქართველებ, ორმოც კვამლსა.

იმი მერე ვცხოვრობთ აქა.

— მეზობლობა, შვიდობით იყავითო, კარგათ იყავითო. თუ დრო დადგაო, ერთმანეთ კიდე შევხვდებითო და ერთი რეიზაჲ ერქვა, აი სახელიც მახსონს მე.

— წადიო, შეიგინა, ბოდიში მამიხდია, მაგათ დედაო, რაც ქნეს, ქართველებმა გააკეთეს ყველაფერიო.

ერთ მოხუც კაცმა მითხრა, ფარნაოზ, მოდი, აქაო, მიველი და, ასე მითხრა, რო: — შენ მაგას გაუმეორე ( თათრული ვიცოდი მე, ეხლაც ვიცი), მაგას უთხარიო: — წადი შენი დედაც ვატირე, ცოლიც და შვილიც, გიჟობა რიგ-რიგობით არისო — დალგხ სგრანანდრუ. ეს თათრული სიტყვა არი: — გიჟობა, ესე იგი, რიგ-რიგობით არისო.

ის გამიექანა, რო ჩემი თავი უნდა გიელახა მარა, სამხედრომ, პაგრანიჩმა აღარ გაუშვა... ის კაცი, რაგორ არ მახსოვს, ეს რო მათქმევინა, — ზაზაძე ვლადიმერი. მე მათქმევინა, იმიტო რო მე ბავშვი ვიყავი.

ეგრე დაიძრა მანქანები, წავიდა და ნიალის ყური განთავისუფლდა.

ასპინძის რაიონი, თელი ოშორა... ადიგენი, ესენი — სუყველა გასახლდა. სამხედრო სულ პაგრანიჩი იყო. სტუდერები ამერიკის იყო. პლაშ-პალატკა ჰქონდა გადაფარებული, დიდრონი მანქანები იყო.

...ბრიგადები ცალკე იყო, ქართველი ბრიგადა ცალკე მუშაონდა, ის თათრის ბრიგადა ცალკე მუშაონდა და ერთი ქალი მერე აიძულეს და, საშაᲥ ერქვა, ფრონტავიკის ცოლი იყო, ჯარში რო წაიყვანეს... ის ქალი თათრი ბრიგადაში გადავიდა, ჩვეულებრივ მუშაონდა, არ გვერჩოდნენ, რაც მართალი, მართალი.

— კი, ომში ეგენიც მიჰყანდათ, სანამ გადაასახლენდნენ, ყველა მიჰყანდათ. ომიდან დაბრუნდა ახალგაზდა ბიჭი, მოიცა, რა ერქვა, — ბინალიაᲥ ერქვა, გერმანიიდან რო შვიდობით დაბრუნდა, აგარაში ამოვიდა. მოვიდა — სოფელი აღარ დახვდა. ჩვენ აქ ჩამოსახლებული ვიყავით. რუსი ქალი მოიყვანა, გადასახლდა, წავიდა ისევ.

...ქართველი გოგო თუ ვისმე ჰყავდა ცოლად, თათარს არ ატანდნენ, თუ თითონ მოისურვანდა, გააყოლენდნენ. ეს კარგათ ვიცი! ქალი როგორც იტყოდა... აჰა, ქართველი მიჰყოლია თათარ, — ეუბნებოდნენ, შენ არ გასახლანთ, ქართველი ხარ, თათარი უნდა გადავასახლოთ. — მე ცოლი ვარ, ნა გავჰყვე!

— კი ბატონო, მიბრძანდიო. — წინაღმდეგობა არ იყო.

ბევრი არ იყო ასეთი, ერთეული. იყო ჩვენ სოფელი, ახჩიაში გათხოვილი, თათარ ჰყავდა, ის უნდა ჩემიეშორებინათ და ქართველ უთხრეს, რო — დარჩი! და: არაო, მე ჩემ ქმარ'ნა გავჰყვეო, და: — კი ბატონოო, — მიაყოლიეს, უთხრეს, — წადიო. აჰა, ეგეთი საქმეა გადასახლების ამბავი.

იყო, იყო... თათარი თუ შეიყვარებდა ქართველ გოგოს, თავი ნათესავები არ აძლევდნენ საშუალებას, რო ამას თათარი შეიყვარებინა, უშლიდნენ.

ცოტ-ცოტა ყოფილა შენთხვევა... ადრე ყოფილა, ძირითადათ არ თხოულონდნენ, არც აძლევდნენ. იმათ უფლება ჰქონდათ შვიდი ცოლისა. მარტო ნათლიი შვილ არ თხოულონდნენ და ძმის შვილსა, დანარჩენ სუყველას თხოულონდნენ. ესე იგი, ძმა რო მოუკვდებოდა და ქალი კარქი იყო და მოსწონდათ, იმა თითონ დაიტოვენდა, ასეთი რამე გამიგონია. ჩვენ, მაგალითათ, ისინი გვჯობნიდნენ, იმიტო რო ისინი არ სწავლონდნენ ქართულათ. ჩვენ ლაპარაკ ვსწავლონდით. აი, მაგალთათ მე პირადათ, როგორც ისინი ლაპარაკონდნენ, ვერ გამარჩევდი, რო თათარი ვარ თუ ქართველი ვარ. როგორც ისინი ლაპარაკონდნენ, მეც ისე ვლაპარაკონდი.

— როგორ ფიქრობთ, რატო იყო ასე?

— იმათ არ უნდოდათ, ქართულათ რო ესწავლათ და ჩვენ ვსწავ-

ლონდით იმიტონ, რო გველაპარაკა, გვჭირდებოდა, მეზობლათ მივდიოდით, არ გვერჩოდნენ, არ გვცენდნენ, არფერ გვავნენდნენ, იმიტო რო კომინისტური პარტია შემოსული იყო... ეშინოდათ, თორე შეიძლება (ჩვენი) თავი დიეხოცათ.

ამათ თათრული გვარები ჰქონდათ, თათრებიც იყვნენ, თათრულ წესზე მიდიოდნენ („იერლი" არ იყო მ. ბ.) ყველაფერზე: ჭამა, სმა, რამაზან რო ვლაპარაკონ, მოლა რო ასე შემოიდენდა ხელ და ნებაჰ მისცენდა, იმ დროზე შჰანდნენ. ჩვენ წეს-წყობაზე არ დადიოდნენ. აეგრეთი რამე იყო.

— ეკლესია იყო?

— ეკლესია საბჭოთა კავშირის დროს აკრძალეს, შანდალები, რამე ხო იდგა? — შესულიყავი, გედმეგეყარა — ხმას არავინ არ გცენდა.

სტალინის დროს, კომინისტური პარტიის დროს, მე რო წამეევესწარი, ჩინი რო გქონდა, ჩინი'ნა გეგეხადა, რო შესულიყავი უჩუმით, ფარულათ. ისე ვინ შეგვიშვენდა ეკლესიაში, ვერ ბედენდნენ. ვერ ბედამდნენ...

— ხალხი ხო ინათლებოდა?

— როგორ არა, ინათლებოდნენ კიდეც, ზიაროობდნენ კიდეც... ეკლესიაში მივდიოდით მაგალთათ, გვაზიარენდა ღვდელი...

მე ვზიაროობდი, მარხვაც იცოდნენ. მაგრამ არ მახსონს, ღვდელი რა გვარი იყო... ერთი კაცი ჩვენი, არტოდ ერქვა და, ჩვენებური, — მეზობელი იყო ჩვენი, ზაზაძე იყო და ერთი კაცი... ვიღანც აგარაში მამკვდარიყო და, ეთქვათ, რო: — წადით, — ზედა თმოგი გაგიგია? — ზედა თმოგიდან ღვდელი გადმოიყვანეო, ვაკურთხოთო და ისე დავმარხოთო.

მერე ზაზაძე სამსონაჲ ცხენით ყოფილა ზედა ვარძიაჰ, ხო გაგიგია? — ზედა ვარძიაში, ცხენი გაუშვია, ბალახომს, თითონ იაფუნჯა დაუგდია, დაწოლილა. ამ არტოს უთქვია, რო (ეს მე გამიგონია), ამ არტოს უთქვია, რო: — მამაო, ესაო ყაჩაღია, რა ვქნათ ეხლაო, შვილოო, უკან, — უთქვია, — დაბრუნება აღარ შეიძლებაო, ვიაროთო, რაც იქნება, იქნებაო. რო მივიდნენ ამ კაცთანო, ამ ყაჩახთან რო მივიდნენო, ესენი შეაჩერაო:

— მამაო, ამოიღე ფული რაც გაქო და ეგ, — ის ქონია, ოქროს ჯვარი, — ეგ ოქროს ჯვარიც მომეციო. ეს კაცი გაჩერებულა, რაღა'ნა ქნას, მაშინ თუ ამ ოქროს ჯვარ წამართმევო, მაშინ სიკვდილით დამსაჯეო, — ეგ ნალაპარაკებელ ვლაპარაკომ, — ხოდა, მაშინ უპატიებია. ეჰ, რაც ფული ჰქონია, მუუცია და წამოუყვანია... ხო, მოჰყანდა, რო აკურთხოს'ნა, ჩვენი მიცვალებული ყოფილა აგარაში.

## ბექაური მოსე, დაბ. 1933 წ. ასპინძა, იდუმალა (ჩამოსახლებული დუშეთის რაიონიდან), 2003წ.

### მთიულების გადასახლება ჩეჩნეთში

...ორმოცდახუთი წლის აქეთ ყველაფერი შემიძლია გიამბოთ ჩვენი გადასახლების, აქ ჩამოსახლების. სუყველაფერი მახსოვს, იმიტომ, ჩემ დროში იყო. ორმოცდაოთხ წელში ნაწილი ხალხი...

ორმოცდასამში, ნაწილი ჩვენი მთიულეთ-გუდამაყრის ხეობიდან გადმოასახლეს აქა, ასპინძაში, ნაწილი ხალხი ჩეჩნეთში, ახალჯვის რაიონი შეიქმნა, დუშეთს ექვემდებარებოდა, მაგრამ ჩეჩნეთის ტერიტორიაზე იყო, გროზნიდან მოსაველელი იყო. ეს სოფლებია, დაწყებული, ქვეით ჭართალია იქიდან: ჭართალი, შეყვები მერე — ფასანეური თითონ, ბაჯანი, ლუთხუმი, წინამჭარი, თორელანი, ლაგაბიანი, დიდებანი, გამსი, ჩოხი, დუმაცხო... აეს გუდამაყრის ხეობიდან. აქეთ, მთიულეთიდან: მანასეური, კობანი, მლეთე, სეთურები და ბევრი სოფლებია, აღარ მახსოვს.

მე მოვხვდი... მე და ჩემი ძმა მოჯამაგირეთ ვიყავით, ხევსურებში, როცა დედაჩემი და ჩემი ძმა ქისტებში გადასახლდნენ, მერე წაგვიყვანეს, ჩვენც ქისტებში ჩავედით. იქ ცხოვრება იყო, როგორი აი... თითქოს სამხედრო წესით იყო. ეს ჩეჩნები, ქისტები... ვინც გაასახლეს, — გაასახლეს და ეს ახალგაზრდობა ნაწილი გასული იყო ყაჩაღადა და იქ ისეთი ადგილებია, რომ ერთ კაცს თუკი იარაღი ექნებოდა, ათას კაცს გაუმასპინძლდებოდა.

აი, როგორც ეხლა რუსეთს გაუჭირდა. იქ იყო ოთხი სოფელი, ახალჯვში რო ჩაგვასახლეს: ჭიკაანთი, არღუნი, მერე იტუნკალა იყო, იქ ვიყავით ჩვენა, გუდამაყრელები და ჯანდოველები.

მერე დაგვიყენეს საკითხი, რო რუსეთს უნდა შეერთებიყავით, დუშეთთან მოუხერხებელი იყო, გროზნაზე უნდა მოგვევლო და დაგვიყენეს წინადადება, რო რუსეთს შეერთებიყავით. იქ იყო შატოვი, დიდი დასახლება იყო, ის დაგვათვალიერებინეს, წაგვიყვანეს ხალხი, გვაჩვენეს, რო... სახლები გაწყობილი, ბაღები...

არ მაისურვა ხალხმა რუსეთთან შეერთება და მერე გამოცხადდა, რო ისევ გადმოესახლებინეთ და ორმოცდახუთ წელში წამოგვიყვანეს იქიდან, წამოგვიყვანეს, გამოგვიცხადეს: — ვისაც გინდათ გუდამაყარში დაბრუნდით, ვისაც გინდათ — ასპინძაშია, ახალციხეშია ადგილი. იქ უნდა ჩაგასახლოთ.

ჩამოვსახლდით ხეოთში. ხეოთი ახალციხის რაიონია. ესე იგი, ორმოცდასამში ნაწილი ხალხი ჩამოსახლდა, ორმოცდახუთი წლის ნოემბერში ჩვენ ჩამოგვასახლეს. ჩამოვედით პირადად მე ხეოთში დავიწყე

ცხოვრება. მაშინ ბალღი ვიყავი. ხალხ უჭირდა, სახლები არ იყო.

ჯერ ვერ შეეგუა ხალხი, მაგრამ ხეოთი ისეთი ადგილია, საგლეხო ადგილი და სახლები გავაკეთეთ,.. პირადათ მე მამიხდა აქ ასპინძაში, სპეციალობით ბუღალტერი ვარ და წამამიყვანეს ბუღალტრადა. მოხდა ისე რო დავრჩი აქ.

— მოჯამაგირედ რო იყავით...

— აი, როგორ იყო, გენაცვალე, ვისაც პატრონი ჰყავდა ოჯახში იმას ხო უჭირდა და ვინც... ჩვენ ობლები ვიყავით, მამაჩემი კოლმეურნეობის თავჯდომარე იყო და იმაში, ყიზლარში საკვების დაგროვებაზე ყოფილა წასული ოთხი თავჯდომარე და რო გზაზე წამოსულან, მოზდოკში, მანდ სადღაც მოუწამლიათ დივერსანტებს. თუ ვიღაცას. სამი კაცი გადარჩა და მამაჩემი დაიღუპა.

ხოდა ჩვენ დავრჩით ობლათ. უფროსი ძმა ფრონტზე წაიყვანეს, მერე მოყოლებით პატარები... ყველაზე უმცროსი მე ვიყავი. პური არ იყო, საჭმელი. პური არ იყო! ორი ფუთი სიმინდი მოჭეეეებიდან გადმოჭქონდა და ერთ ჭედილაში აძლევდნენ.

გაგვიჭირდა და იქ, ხევსურეთში, უკვენაფხოა იქა, მამაჩემის მეგობარი კაცი იყო და იმან წამიყვანა იქ, ხევსურებში. ჭინჭარაულებთან ვიყავი მე. მიმიყვანეს, მე იქ დამაყენეს ჭინჭარაულებთან. მიხა ჭინჭარაული იყო, პეტრე, ჩემი ძმა, ერთი კილომეტრი იყო მაღლა, ფანდურაანი ექვივნენ — იმათთან. ორი-სამი კომლი იყო. იქ დავდექით, ესე იგი, მარტო პურის ჭამაზე. პურ გვაჭმევდნენ ოჩერედში, ხან შეშასა ვზიდავდი, ხან ერთი პატარა ბიჭი ჰყავდა ორი-სამი წლის, ხან იმას ვედექი.

ორი წელი ვიყავით. მერე დეებარებინა... ზოგს და დარჩა, ზოგს შვილი გადასახლების დროს. მთავრობას გამოეყო კიდევ ოთხი მანქანა დამატებით ამ ხალხის გადასაყვანათა და ჩვენ შეგავტყობინეს, ერთი ჯევსურისთვის დეებარებინათ, რო: — აბა, გიორგის შვილებია აქა და გადმოვიდნენ, რო იქ უნდა წაიყვანონ, თავი დედასთან.

წამოვედით იქიდან. მე არ მიშვებდა ჩემი ხაზეინი, რო ვინც მოგიყვანაო, ჩემ ძმას უთხრა პეტრეს, ის ჩემზე უფროსი იყო სამი წლით: — ვინც მაიყვანაო, ესე იგი, ჩემი უფროსი ძმა, და ის ქისტებში იყო. არ მიშვებდა. არ უნდოდა გამოშვება ჩემი, იმიტო რო მუქთა მუშა ვიყავი. ემუშაობდი დღე და ღამე.

მერე მაინც მოხდა, რო წამოვედით. ზამთარში, ფხიტური წვერია მთა, ძლივ გადმოედით. გადმოედით — დაგვხვდა მანქანა, ოთხი მანქანა იყო ფასანეურში, წავედით ქისტებში.

...ერთხელ ქისტებმაც დამიჭირეს, ბალღი ვიყავ. ოთხნი იყვნენ, შეიარაღებული, გზაში დამხვდნენ. აბა მე რა... მითხრეს იარეო და ერთმა თოფიც კი დამიღირა. ისე მაგრა შევშინდი, რო ვერაფერი ვერ გავიგე.

თორმეტი კილომეტრი იყო ჩვენიდან რაიონამდე. არღუნიდან იტუნკალამდე და შუაზე იყო წისქვილები, იქ დამხვდნენ ჯვეში. წამოცვივდნენ, რო ჩავედი და იქიდან ისე შეშინებული ვიყავი, ექვსი კილიომეტრი სირბილით ვიარე. სოფელში, რო შემოვსულვარ, კაციშვილისთვის ხმა არ გამიცია, თურმე მეძახიან, რამე. სახლში რო მივედი, დავეცი და ორი-სამი კვირა ავათ ვიყავ. სამხედრო ექიმი იყო, ის მკურნალობდა.

## გადმოსახლება მესხეთში

მერე წამოვედით აქა. ნაწილი დაბრუნდა ისევ მთიულეთ-გუდამაყარში, ნაწილი ჩამოვსახლდით ახალციხის რაიონში.

...ორმოცდაოთხ წელში გამოცხადდა იქ... ჩაატარეს, გუდამაყარში მოიდნენ და კრებები ჩაატარეს, სია შეადგინეს სოფლებში. დიდი დრო არ დასჭირებია ამას, ერთი თვე, რო გამოცხადდა და ...ორგანიზებულად იყო, ხელად მანქანები...

სურვილით იყო, ძალდატანება არ ყოფილა, ვისაც უჭირდა, წავიდნენ, ვისაც არა — ისევ ადგილზე დარჩა. პური არ იყო, იქ მიწა არ არი ისეთი რო დათესო და მაიყვანო მოსავალი, მით უმეტეს, კაცები აღარ იყო, ცხვარში ქალები დადიოდნენ ძირითადად. სამი კაცის ადგილას ერთი კაცი იყო, ისაც მოხუცები, ომიანობი დროს.

...მერე ჩამოგვასახლეს აქ. ჩამოვედით. დიდი ამბები იყო. ახალციხიდან უკვენ ბრუნდებოდნენ. წავიდნენ ხეოთში, — ხეოთია სოფელი, სადაც ეხლა ჩვენები ცხოვრობენ. წავიდნენ. ჩემი ძმაც წასულიყო, მანქანას გაჰყოლიყვნენ და ენახა და არ მოსწონებია. რო ჩამოიდა... ვაგონიდან არ ჩამოვდიოდით, მე მახსოვს, პატარა ვიყავ მაგრამ... დიმიტრა იყო, ბიძა კაცი... რო ჩამოიდნენ, ამ ჩემი ძმისთავი უთქვია, რო როგორი მოგეწონათო?

— მე კი არ წავალ იქაო და... ამან რო თქვა, და ამ კაცმა თქვა, რო: — ჩამიყვანეთ მცხეთაში! — არ მიდიოდა.

მერე რაიკომის მდივანს ეთქვა, რო აეს ბიჭებიო იქიდან მოვიდნენ, კითხეთ, როგორი კაი სოფელიაო. ბუთას უთქვია, ჩემ ძმასა, რო მე იქ არ წავალო და ვისაც უნდა წავიდესო.

სტაცეს ხელი ამათ, ამ ორთა და წაიყვანეს, დაიჭირეს. წაიყვანეს, ალბათ ერთ საათნახევარში მაიყვანეს მერე და, პირველათ ჩვენ დავცალეთ ვაგონი: — როგორ არაო, ჩემმა ძმამ უთხრა დიმიტრასა, არაო, კაცო, კარგია, ეგ ისე ვთქვიო.

— ძირითადად რამ შეაშინა, ყველაზე ძნელი შესაგუებელი რა იყო?

— ძნელი იცი რა იყო, ოც კილომეტრამდეა ახალციხიდან ხეოთი. რო წავიდნენ, ისეთი გზებია... ავიდნენ ტყეში. არ მაეწონათ ამ ახალ-

გაზრდებს... სახლები მიწაში. კრიშიანი არცერთი სახლი, მიწაში სულ სახლები. არც სახლები მეეწონათ და არც ეს ადგილი აქა... მერე რო ავედით, ეს დიმიტრა და უფროსი ხალხი: — აი, ისეთი ადგილი, ჩვენ როგორიც გვინდოდაო, საგლეხო ადგილიო. დავსახლდით. გაჭირვება იყო. შრომა.

მერე მე მამიწივა, როგორც გითხარით, საბუღალტრო დავამთავრე, ბიძამ გამზარდა, ახლა ხერთვისშია ალექსი ბექაური, მამის მაგივრობა მაგან გამიწია.

დავიწყე მუშაობა აქა. ძმები ხეოთში დარჩნენ. ნაწილი მთიულებია ხეოთში, ნაწილი ღრელიდან არიან ჩამოსახლებული. ახალციხეში მარტო ხეოთში ჩამოგვასახლეს იქიდან. აქ ასპინძაში: რუსთავი, ინდუსა (ეხლა აღარ არი), ორგორა, საყუდაბელი, ხერთვისი, ოთა.

— ხერთვისში ჩასახლებულ მთიულებს დასცინოდნენ, თუთები დაჭრესო.

— ხო, ნამდვილათ. რო მოიდნენ, დეკემბერში რო მოიდნენ, შეხედეს რო, გამხმარი ეგონათ, ვინ იყო პატრონი და დაერიენენ და მერე რო გაიგეს, მერე რაღას დაშჭრიდნენ. ეგ მერე გავრცელდა ანეკდოტივით.

ამ სოფელში ოცი გვარის ხალხი ცხოვრობს: მთიულეთი, გუდამაყარი, ჭართალი — დუშეთის რაიონიდან. თვრამეტი სოფლის ოცი გვარის ხალხი ვართ აქა.

აქ თავჯდომარე იყო შაღაშვილი, ძალიან კაი კაცი, ჩვიდმეტი წელი მუშაობდა, იმან წამომიყვანა ბუღალტრად და ეს კაცი მოკლეს. ხანჯალი დაარტყეს, გეხსონება, ხანჯალი დაარტყა მეზობლის ბიჭმა, მიეპარა და დაარტყა.

მე ამირჩიეს თავჯდომარეთ, სამოცდაერთ წელში. სუ მიწური სახლები იყო. ოთხი კრიშიანი სახლი იყო: ერთი სკოლა, ერთი მეჩეთი, ორს კიდევ ახლათ გაეკეთებინა სახლი. ეს მეჩეთი ახლა დანგრეულია, და როგორც ამბობენ, ეს ძველი ქართული სალოცავი ყოფილა. მე რო დამაყენეს თავჯდომარეთ, ხერხი გავაკეთე პირველ რიგში. ხერხი გავაკეთე, რო ხალხს სახლები გაეკეთებინა.

დავადგინეთ, რომ ვინც სახლს გააკეთებდა, უფასოდ ვაძლევდით ტრანსპორტს. მარტო მძღოლის საზღაური უნდა გადაეხადა, იმას ვაწერდით. წავიდა მშენებლობა, ხალხს ხელი რო შეეწყო. მერე ვეხმარებოდით... ცემენტს იაფად ვაძლევდით...

სამოციან წლებში ისევ მიწურში ცხოვრობდა ხალხი. მერე დაიწყო, დაიწყო, აშენდა... აბანო ავაშენე, პირველი კლუბი ავაშენე, კანტორა ავაშენე. გზაზე ბიძაჩემი დამეხმარა, უშოზდორის უფროსი იყო, ერთ კილომეტრზე დავასხი ასვალტი. ხიდი არ იყო — ხიდი ავაშენე და...

თერთმეტი რაიკომის მდივნის ხელში ვიმუშავე, თერთმეტი! ბალღობაში, პირველად რო მოვედი, ძებისაშვილი იყო რაიკომის მდივანი, ასპინძაში. მერე მოიდა, რა გვარი იყო, ვერ ვიხსენებ, მერე კავაძე იყო, კავაძე რო

წავიდა, ლაზარაშვილი, ისაკაძე, ალელიშვილი, მერე პატიაშვილი მოიდა, მოსიაშვილი, წითლანაძე, მარუაშვილი...

რო ჩამოვიდა ხალხი, ავადობა დაიწყო, წყალი არ იყო, ჰაერს ვერ შეეგუვნენ და ბევრი ხალხი წავიდა. ისე, რო ასოცი კვამლიდან ჩვენ სოფელში, მე რო მოედი ორმოცდაჩვიდმეტი კვამლიღა იყო.

მილიცია მიდიოდა, მოჰყავდა ძალით, აბრუნებდნენ, ვინც გაქცეულები იყვნენ, მიდიოდნენ, ოჯახი რჩებოდა, კაცები მიდიოდნენ მიდიოდა მილიცია, იქ, სოფელში ადრესი მიჰქონდათ და იჭერდნენ და ჩამოჰყავდათ. არ უშვებდნენ, აქედან ხალხს აღარ უშვებდნენ. ...იქ ხედებოდა ბიძაშვილობა, ზოგს ძმა ჰყავდა, ზობს ბიძა ჰყავდა...

სამოცდაერთ წელში ვიქორწინე. ოცი წლისა ვიყავ. ჩემი მეუღლე აქ ალავიძეების ქალია, ღრელიდან არის.

პირველად ჭირდა. პური არ იყო საკარმიდამოები მოგვცეს სამოცდათხუთმეტი მეასედი, მერე შეგვიმცირეს, ორმოცდაათზე დაგვიყენეს. სამოც წლებში უკვე გასწორდა საქმე. სამოცდაოთხი წლიდან უფრო გასწორდა...

ფულად ანაზღაურებაზე რო გადავედით, სახლმწიფომ მოუმატა ფასები, სამოცდაოთხ წელში, გაიზარდა ფასები მატყლის, რძის და ხორცის. მერე ამოისუნთქა ხალხმა... მთიულეთ-გუდამაყარშიც დიდი გასაჭირი იყო, და ის ხალხიც იხსნა ფასების მომატებამ. ისე რო გაგ'რძელებულიყო ადრინდელისა, სულმთლად დაიცლებოდა იქაურობა.

***

(ბარგი) ...უნდა გამოგეტანა ურმით, მანქანები ხო არ დადიოდა გუდამაყარში და ფასანაურში. წამოიღო ვეში, ერთი თედოს ეძახდნენ ხეოთში დაიღუპა ის კაცი. ცუდი გზა არი, დიდებათ ეძახიან და, ჩემი ძმა კანტორაში მიბრუნებულა და უთქვია: — ძია თედოო, დამელოდეო. არ დაელოდა ეს თედო. წამოსულა და იქ, დიდებათ ჭევში გადავარდნილა ეს ცხენი და ურემი და ეს ყველიანი ქოთნები სულ დამტვრეულა და დეეწერა ლექსი ჩემ ძმას:

რა ამბავია გამსისა,
რა ცოდვა-ბრალი დგებაო,
ამბობენ გუდამაყარსა
ახალ ამბავი ჯდებაო.
ვის გინდათ თქვენის ნებითა
აქედან გასახლებაო?
ეს რო სოფელში გაიგეს,
სოფელი ფეხზე დგებაო.

გავხედავ თითოულასა
სიაში ეწერებაო
ჭალაში მარხილებითა
ხალხი ბარგს ეზიდებაო
თედუა თავის ურმითა
ყველას წინ გაუძღვებაო.
მარტოკაც კარგად იმგზავრებს,
რათ უნდა დახმარებაო.
დიდებათ ხევში რო გავა,
ალბათ იქ გაჭირდებაო,
თედუა თავის ურმითა
გზი ძირში გადვარდებაო.
გავხედავ ყველიან ქოთანს,
ერთ დიდ ქვას დაეჭლებაო,
რაც შიგ ყველები-რამ იყო,
სუ თლიან დაიშლებაო.
სუ შენ მიყავი თედუავ,
ხმელა ჭადაზე გდებაო.
ხმელაჲ ჭადიც მამწყინდა
გულიც იმიტომ მწყდებაო.
შენ თავს კი აღარ დავეძებ,
ეგ ცხენი მოგიკვდებაო .
ჩავედით ფასანეურში,
იქ იდგა მაშინებია.
შავიყარენით ერთადა
ხანდოვლებ-გამსელებიო
ზოგს ნათესავი ჰყოლია
და ზოგს კი ნაცნობებიო.
(ერთი ბერიკაცი გადმოვარდა მანქანიდან, რო ჯდებოდა, ჰოდა:)
ვერ შაჯდენ მანქანაზედა
ზოგ-ზოგი მოხუცებია.
გავხედე ერთსა მოხუცსა,
სიცილისაგან ვკვდებია —
მანქანით გადმოვარდნილი,
მიწაზე დანარცხებია.
(ცოტა ხანი გავიდა და დაიძრა მანქანა.)
ღუდუშაურის ბრძანებით, დაიძრა მანქანებია
(ღუდუშაური იყო რაიკომის მდივანი დუშეთის)

ჩვენ რო მოვედით, მე და პატარა, მეორეთ რო წაგვიყვანეს, იქ

უთხრეს რო (ღუდუშაურს) ესაო საღანიენთ გიორგის შვილები არიანო, იქიდანო, გადავიდნენ, მოჯამაგირეთაო... მე დამარტყა ხელი (თორმეტ-ცამეტი წლისა ვიყავი), ეს კი ნამდვილი ქისტი გამოვაო! — ღუდუშაურმა, წითელი ტყავი ეცვა!

***

არ ატანდნენ ვეშსა იქიდან. შიფანერკები, კრაოტები... ტრანსპორტის გამო. მანქანებით ჩამოვედით გროზნოში და ჩვენ რო წამოვედით, შატოვში შეგვხვდა ერთი ჩვენ სოფლელი და თქვეს, რო ეგ... კრაოტებს და შიფანერკებს არ ატანენო. მახოვს, რო გაუხსნეს ბორტი და გზაში გადავყარეთ ნიკელის კრაოტები და შიფანერკა გადავაგდეთ გზაში. ჩამოედით და — თურმე შეიძლებოდა კიდა დაწყობა, ტყუილათ ჩამოვყარეთ. ჩაგვსხეს სატვირთო ვაგონებში (გროზნოში), გროზნოდან ასი კილომეტრია, სადაც ჩვენ ვიყავით, ახალჯხევის ისა... ჩაგვსხეს, ჩაგვიკეტეს კარები და წამოგვიყვანეს, ბაქოზე წამოვედით. ახალციხეში მოვედით. ხორცკომბინატი რო არი, იქამდე იყო რკინიგზა. იქ გააჩერეს.

მთიულეთიდან ჩამოიყვანეს მცხეთამდე მანქანებით, იქიდან მატარებლით.

***

პირველად რო ჩამოგვასახლეს, მთიულები და მესხელები ვიყავით და თითქმი თათრებს ვეძახოდით ჩვენ. მეტი წილი თათრულად ლაპარაკობდნენ. მაგრამ ჩქარ, მალედვე შევეჩვიეთ. მალედვე, ორ-სამ წელში. არაფერი დიდი სხვაობა არ იყო. თითქმი, ჩვენი წესი ერთმანეთს ემთხვეოდა. ხელად, ერთ წელიწადში შეეგუა ახალგაზრდობა, — იმან ის ითხოა აქაური, ამან ისა... სკოლა და ჩქარ შეეგუა ხალხი.

***

ორგორა-სახუდაბელი, რო ახვიდე, როგორც მლეთაში, ისე ლაპარაკობენ, ვერ გაარჩევ, იმიტომ, რო უფროსებიდან წამოვიდა...

აქ ბევრი თათრული სიტყვა იყო, ზოგს ჩვენც მივეჩვიეთ: ეს არაბაო და აეგეთი სახელები... ბევრი თათრული წესი ჰქონდათ მაგათ... რაც ჰეგვეწონა, აირია ერთმანეთში... აი, გასვენებაზე იმერლებიც ჩვენ წესზე ყადმოვიდნენ, ჩვენ კიდე მოგვეწონა, რო სიას რო ესწარამენ პატივსაცემად, ჩვენთან ეგრე არ იყო. ადგებოდა ერთი კაცი და აცხადებდა, რო ამან ესა ეცა პატივი, ამან ესა ეცა. ბევრი ჩვენ გადავიღეთ იმათგან, ბევრი იმათ...

ჩვენ მაგალითათ... ჩვენთან კარტოფილს ბარით კი არ ვიღებდით, ქარჩ ვეძახოდით აი, თოხისნაირი იყო, მაგრამ პატარა პირი ჰქონდა, ცულის პირივით, იმითა თხრიდნენ, ბოსტანს იმით ამუშავებდნენ. აქ — ბარით, ხარებით. ჩვენთან ყანას ნამგლითა ვმკიდით და რო ვლეწავდით, ზროხებს გადავაბამდით-კე ერთმანეთზე და კევრიც არ ვიცოდით ჩვენ. რა იყო. ძროხა ფეხით დადიოდა და ასე უნდა გადაგებრუნებინა და მთელი დღე უნდებოდა...

ხეოთში რო ჩამოვედით, კევრი, ჯარები... უკვე კარგად წავიდა საქმე. ჩვენთან ხილი არ იყო. აქ ყველაფერი იყო. არაყის გამოხდა: — ჩვენ ერთხალა ვხდიდით — ეიპიტაურს. ორნაირი არაყი იყო, წინწანაქარს ვეძახოდით, პირველად რო გამოდიოდა, ეს მაგარი იყო, და ნაბოლოარი, ეგენი ორჯერა ხდიდნენ. რო გამოხდიდნენ, დააბრუნებდნენ და ორჯელ გამოდიოდა. ბევრი რამე, ძალიან ბევრი ვისწავლეთ. ჩვენგან ეხლა რა ისწავლეს... რა ვიცი. ჩვენი კულტურა (ძალიან მორიდებით ამბობს) მე მგონი, შედარებით მაღალი იყო. ოდნავ მაღალი იყო.

ქორწილისა, უფრო სხვადასხვა წესი იყო. ჩვენ გარმონზე ვიცოდით, ფანდურზე, ჩონგურზე... ამათ ზურნა და დოლი.

(ხევსურების წესზე ლაპარაკობს. წაწლობაზე) — მე მოვესწარ, რო ჭერხოში ვწვებოდი, მეორე სართულს ჭერხოს ეძახდნენ, მოწნული იყო, გალესილი. კიბე იყო ასასვლელი. მე მახსოვს ჩემ ხაზეინს კუშეტკა ედგა იქ, მაღლა და მე იქ თივაში ვწვებოდი ხოლმე, ერთი ფიჩვი მქონდა იქ და...

ჩემი ხაზეინის ცოლმა ამოიყვანა ერთი ლამაზი ქალი, სტუმარი იყო მოსული, მეზობელთან იყო სტუმრად მოსული და ის ქალი მაიყვანა და ლამფით ამოუძღვა, მე დავინახე, რო თავის ქმრის ლოგინში დააწვინა, ქმარს დაუწვინა ლოგინში. ესე იყო მიღებული, რო როგორც შენიანი, და დაგიწვინონ ან დედა, ეგრე უნდა მოპყრობოდა.

***

ერთმა ხევსურმა... ერთი ცხვარი შემიჭამა მგელმა, მინდორში დამერივა და შემიჭამა და მეც პატრონმა მცემა. რო მოიდა, ნახა ეს ის იყო... მცემა, ბალღი ვიყავ. მერე ჩემი ძმის ხაზეინს მამა მოუკვდა და ქელეხზე, სუფრაზე,.. ხავიწის ადუღება იცოდნენ დიდი ქვაბებით, ერბო-ყველის, სუფრა იყო გაშლილი და ჩემა ხაზეინმა იძრო ხანჯალი და შენ ჩემ მოჯამაგირეს რატო ეს ცემეო. აირივ-დაირივა ეს ერთმანეთში.

ფოცხვერაშვილი თამარი, დაბ. 1922, ასპინძა (თერჯოლა, სკანდე).

## გადმოსახლება

ზესტაფონში ვმუშაობდი სამკერვალოში.

ერთი კაი, გამოკოპიტებული გოგო, გასათხოარი რო არიენ ახლა და იმდენხანსაც ვინ ჩერდება, ვმუშაობდი სამკერვალოში. ახლა ეს როდის იყო: აი, ორმოცდაერთ წელში ხო ომი დაიწყო, მაშინ იქ ვმუშაობდი.

ორმოცდაათი ქალი და კაცი ვიყავით, დიდი ფაბრიკა იყო. მერე მობილიზაცია რო დეიწყო... შეიქნა იმის მოტანა, უწყებებისი ამ ჩვენ სამკერვალოში, ბევრი არიენ ახალგაზრდები, შვილო და ეს ომი რო გამომცხადდა...

წაგვიყვანეს სამხედროში. მე და დემურის და, ჩემი ბიძაშვილი, ჟენია. და ორი გოგოც კიდე სხვა. ესე იგი ვოთხი. წაგვიყვანეს ახლა, ჩვენ გვგონია, ფრონტზე მივყავართ. ჩაგვიყვანეს ქუთაიში. მიგვიყვანეს კაზარმაში. გამევიდა უფროსი: — აპა, რაშია საქმე.

ჩვენ ვტირივართ და ვტირივართ. პანაშვიდზე რო მოვიდეს ვინმე, ისეთნაირათ.

— ნუ ტირიხართ, შვილო, თქვა, ჩვენო გვჭირდება თქვენნაირი ხელოსნებიო.

დაგვაწყებიეს კერვა შუქშენიღბების, სამხედრო ტანსაცლის... ექვსი თვე ვიყავით. ექვსი თვის მერე დავბრუნდით, მეევედით სამკერვალოში ისევე. ეს ამბავი გამომცხადდა, აბა, მამაჩემი მოვიდა: — აბა, გასახლებული ვართ, სადღაც ასპინძა ყოფილა. მამაჩემი ჩამევიდა, ნაქირავებ ბინაში ვიყავი და მითხრა, რო ასეა, მივყავართ იქ. ვოცდაოთხ საათში, ესე იგი, უნდა დაცლილიყო... როგორც აქ დეიცალა, ისეც იქ უნდა დაცლილიყო.

ახლა ამხელა სახლი, კარი, ცხოვრება, ქონება, თუ რამე გვაქ, ხო უნდა მივიტანოთ სადღაც... მერე, იმაში, რუფოთია სოფელი, თერჯოლის რაიონში არის ეგიც, ჩამოვზიდეთ, და გვყავდა გათხოული მადა, ჩემ გათხოულ დასთან და მისი ქმარიც ომში... ჯარში იყო დაკარქული, სამხედროში. ჩამოვზიდეთ მერე, ჩამოზიდა მამაჩემმა, გადამიარა მე მერე ურემმა, ურმით რო წამოვიყვანეთ... ფეხზე ვეღარ დავდექი, დავწექი ჩემ დასთან. ჩვენებიც...

ამ ურმებით მიზიდეს იქა... დანარჩენი დარჩა სკანდეში აბა, ყველაფერს წეიღებ ახლა?! აპა, ერთი უცბათ რაც წასაღებია... ვერც მიხვდები, რა მიგაქ და რა არ მიგაქ. ადგენ და წამეევედით. წამოვიდენ იქიდან ისინი და იმ დროს მე დავრჩი, ფეხი რო მტკივოდა, მარა მეც მალე ჩამევედი მერე, ვერ გავჩერდებოდი უდედოთ და უმათოთ, რა გამაჩერებდა, რო ისინი სა წევიდნენ და სა დეიკარქნენ...

ჩამეველი, გენაცვალე, იქაურობა სულ ბატის ბუმბული იყო, ბოდიშს გიხდი, არეული, დარეული... აქ რო მევეით — გომურები. მიწურ სახლებში შეგვიშვეს. ერთმანეთზე გადამბული და გადაპორწიალებული იყო ეს სახლები. ერთი-მეორეზე გადაკიდებული და ზევიდან ჩამოგვძახებდა და ქვეშ შენ ცხოვრობდი. უიმე დედა, რა იყო, რას მევესწარით იმას, რას მევესწარით!

— რის მიხედვით აარჩიეს გამოსახლებული ხალხი?

— ახლა ჩვენე, კანონით ჩვენი სოფელი არ უნდა გამოსახლებულიყო, ისაკაძე იყო რაიაღმასკომის თავჯდომარე და იმათი სოფელი იყო სულ მთაგორიანი და გასასახლებელი — გოგნი. ამ ისაკაძემ ჩვენ გამოგვიშვა, ჩვენი სოფელი და თავისი სოფელი გადაარჩინა. გამოგვიშვა სკანდელები.

ისე აგიხდეს ყველაფერი კაი, რაც ინატროთ, დაწერა მერე ხალხმა ესე და ადგენ და იმათ სოფელს მოუსვეს ხელი და გოუშვეს იმაში, გულრიფში. გოუშვეს აფხაზეთში, გაასახლეს. ახლა ჩვენი სოფლიდან რო ჩამევიდნენ ეს ხალხი... ზოგმა რა ქნა... ნაწილ-ნაწილათ გეიპარენ მერე და წევიდნენ ზოგი მარა, ბევრი, მეტი ნაწილი დარჩენ. მეტი ნაწილი დარჩენ და...

ოჯახში ვიყავით: ძმა ჩემი, ერთ ეზოში ვცხოვრობდით, ცოლ-შვილიანი იყო, წამოვიდა აქა, აქ თავჯდომარეთ დიდხან მუშაობდა ... მერე წავიდა, მიტო რო მალარია ხო იყო აქა, ამ ციებ-ცხელებაზე ამ ბოვშებმა ვერ ეიტანეს ესე და ამ ქალმა, ადგა და წევიდნენ. სიდედრმა წეიყვანა ეს ბოვშები და თავის შვილი. ამან იყო სამი წელი, არ გოუშვა, ძებისაშვილი იყო რაიკომის მდივანი და: — შალიკო არ წახვიდე და არ წახვიდე და არ წახვიდო და შენისთანას ვერ ვიშოვნი და... გვჭირდება შენი თავი ჩვენ აქა და არ წახვიდო, არ წახვიდო, არა და ოთხი წელი იყო ჩემი ძმაი აქა და მერე მაინც წევიდა.

— პირველი შთაბეჭდილება როგორი იყო აქ მოსვლისას?

— ვაიმე დედა! ვაიმე დედა! — თუ ცოცხალი დავრჩებოდით, არ გვეგონა, სულ ტირილი... ქე რო პანაშვიდზე იქნეს თქვენი მტერი... აზივლებური და ატირებული და გამწარებული... გამწარებულს რო იტყვის კაცი.

სკანდედან გადმოგვასახლეს და ოშორაში, ოთაში და ასპინძაში ჩამოგვასახლეს. ორი სოფელი იყო: თავასა და სკანდე.

— ყველა გადმოასახლეს თუ ნაწილი დატოვეს?

— ყველა გადმოასახლეს, მარა ზოგი დეიმალა და ჩვენი ალალ-მართალი ხალხი... ვისაც პატარა ეშმაკობა ქონდა, ქე მეიხმარა...

მილიცია არ მოსულა ჩვენთან. მომაგრებული იყო, „მომაგრებული" ერქვა — კოწია ბუსკივაძე იყო, როგორ არ მახსოვს, მახსოვს. კოწია ბუსკივაძე იყო და ძალიან ტკბილი სიტყვით და მოფერებითი გამოგვიშვეს, ესე იგი, იქიდან, მარა აქ რო ჩამეველით, ახლა მანდამაინც ის რო ვთქვა,

რო ვინმე გვცემდა და... ასე არ ყოფილა ეს, მარა, ძალიან იმათ ვიყავით, ძალიან დაჟლეტილები ვიყავით დიდხანს, დიდხანს...

— აქ ვინ დაგვხვდათ, ხალხი დაგხვდათ ადგილობრივი?

— არა, არა! პირიქით, ეს ჩემ ძმას... ეწყინა, რო თავჯდომარე რო იყო, ჩემა ხალხმაო არ იცისო... — ეს დატოვებული საქონელი რო იყო, თათრების დატოვებული საქონელი რო იყო, ამას ხო მოვლა ჭირდებოდა და... იმერლებს ახლა ერთი ძროხა ქვყავდა და ორი იქა, მეტი კი არა — ამასო ვერ მოუვლის ჩემი ხალხიო, მეო ციხეში უნდა წავიდეო, — ჩემა ძმამ უთხრა. და: — მეო აუცილებლათ მჭირდება ვოთხი ოჯახი მაინც, რო ჩამომისახლოთ ერკოტლებიო.

ადგენ მერე და ჩამოიყვანეს ოთხი მოსახლე... რაიკომის მდივანი ეუბნებოდა: — არ გინდა და არ გინდაო, ოთხი ოთხმოცი გახდება ერთ წელიწადშიო. აგიხდეს ყოველივე კაი, როგორც ეს ახდა.

— არ გინდათო, იყავითო თქვენი ხალხიო, რო ხართო თქვენ ჩამოსახლებულო, შოუწუხებლათ იქნებით უფროო, რო არ იქნებით არეული ერთმანეთშიო. ჩამეიყვანა მერე: ლევანა ტივაძე, ბერიძე ვასო, კოტო ბერიძე და ვინა კიდე იცი? — ბერიძე ალექსი, — ყაზბეგი. ესენი ჩამოასახლეს და უვლიდნენ მერე საქონელს. მერე ამათმაც კი ისწავლეს რაღაცა და ასეთნაირათ, ასეთნაირათ წევიდნენ იოლათ და დარჩენ ეს ხალხი. ესენი რო დარჩენ, მერე ბევრი და ბევრი შამევიდენ სოფლებიდანი. ასეთნაირათ გავატარეთ. შევეწყეთ ერთიმეორესა და რა ვიცი...

— იმერეთიდან როგორ იმგზავრეთ?

— ზესტაფონამდი ჩამეეედით ურმით და ზესტაფონიდან მატარებლით. ჩემი ძმა მერე გამომიდგა მე და ჩამომიყვანა. თითქოს მაშინ გამეიყვანეს ის მატარებელი...

— როგორ შეეწყვეთ მეზობლებს?

— აქაური და იქაური! — ეს იყო სალაპარაკო. აქაური — იქაური! გვიჭირდა ძალიან, ძალიან, ძალიან... გვიჭირდა.

...გასვენება იყო მარხვით. გასვენებაში არავითარი ხორცი!

— ქორწინება ერთმანეთში მალე დაიწყო?

— ერთხანზე ძაან ძნელად, რომე: — აქაურს არ გავატან, იქაური უნდა იყვეს... მარა, მერე მიეჩვიენ. წასვლას ფიქრობდნენ, წასვლა უნდოდათ. — აქ არ დამმარხოთ, ღმერთმა თათრის მიწაში არ ჩამიტანოს, ასე, ასე, ასენაირათ, რა ვიცი.

...ერთი ვედრა ვაშლისთვის რო დეიჭირეს ციალა, ფაციას გოგო! — ერთი ვედრა ვაშლისთვის ვაშლ რო კრეფდნენ, ბაღეფში, კოლმეურნეობისი, აქა, ერთი ვედრა წამეიღო ვაშლი და დაიჭირეს და მისცეს ციხე. დაასმინეს. შენ თუ გგონია, რო ჩვენ ვინმეს უყვარდით. არავის არ უყვარდით, არა, ეს ჩამოსახლებული რო ვიყავით, მაინც ისე გვიყურებდენ, რო... ვითომ ჩვენ ვინმეს უყვარდით. არავის არ უყვარდით, არა, ეს

ჩამოსახლებული რო ვიყავით, მაინც ისე გვიყურებდენ, რო... ვითომ ჩვენ იქ არაფრის პატრონი არ ვიყავით და მუქთა იმაზე ჩამოვედით მშივრები და რამე, ასეთნაირათ... ძნელი იყო. ძალიან ბევრი ნატანჯი და ძალიან ბევრი ნაწვალები ვართ.

— წინააღმდეგობა თუ იყო გადმოსახლების მომენტში?

— იმერეთში? — რა თქმა უნდა, რავა არ იყო, მანამ ახლა ის კაცი, ის, ვინც იყო მომაგრებული ჩვენ იმაში, თითონაც ძალიან განათლებული კაცი იყო და ისე უდგებოდა ხალხს, რომე ვერ გეიმეტებდი, რო გეცემა და ასეთი რამე და სიტყვას ქე ვეუბნებოდით: — რატო უნდა წევიდოთ, რასი დამნაშავე ვართ?! რისთვის გვასახლებთ, რა დავაშავეთ ჩვენ. იქ თუ ვინმე... სხვა ხალხი არსათ არ არი, რავა დევიჯერო, ყველა ფუფუნებაში ცხოვრობს, ჩამოასახლეთ ისინი-თქვა. არა, არა და არა! არა და ასე წვალება... — დაცარიელდაო და კულტურა უნდა შევიტანოთო. იქო არ არსებობსო კულტურის რამეო. არაფერიო... ასე ვაი-უბედურებითა ვარ ჩამოსულები... ნეტაი ახლა არ მოგვადგებოდნენ კარზე იქიდან.

ვაიმე, ვაიმე... უიმე, უიმე! რა გზით არი წამოსული ხალხი და რა დღე გვაქ გავლილი!

***

რა დროს ჩამოგვასახლეს? — ქეთო, რა დროს ჩამოგვასახლეს? — დეკემბერში! ბარბალობის დღე იყო.

შვილო, ერთი ერდო იყო, მევიყრიდით იქანა საცოდავათ თავს...

**ფოცხვერაშვილი ქეთო, დაბ. 1920 წ. ასპინძა (თერჯოლა, სკანდე), 2003.**

— მე გათხოული ვიყავი. ორი წლის მყავდა რომანი, ვაი, მის დედას დეეყაროს მიწა!

თამარა:

— დავჯდებოდით იმ ერდოზე და რა, იცი? მერე ერთი სასიმინდე გააკეთა მამაჩემა, სასიმინდე და იქითკენ გადევიდოდა მზე — იქით მეეფარებოდით ჩრდილს...

— ხეხილი არ ჰქონდათ?

— საცხოვრებელი ჰქონდათ, დედა, ჭკვიანი ხალხი იყო, აიმ მაღლობზე ჰქონდათ საცხოვრებელი, მშრალი, კარგი... ქვეით ქონდათ ბაღები. ბაღებში საქონელს გაატარებდნენ და ქათამს და რამეს? — არა, აქ

არაფრის ფეხის დადგმა, ქათამი არ შეიძლებოდა, რო ბაღში გეევლო. სულ ბაღები იყო, რა ბაღები იყო, კაი მოვლილი.

— როგორ გაანაწილეს ეს ყველაფერი?

— სახლები, ახლა ეს გომურები იყო... მიგვიყვანეს, თქვენ — აქ, თქვენ — აქ, თქვენ — აქ... საქონელიც ეგერ იყო, იქითკენ იმაში... ერთი ოთახი იყო გაპოლილი და ფანჯარა ქონდა, იქით სათავსოები, საქონლის სადგომი, ხარა-ხურა რაღაცეები... მაღლიდან ჩამოდიოდა სინათლე.

— ადგილობრივი ხელისუფლებიდან ვინ დაგხვდათ?

ქეთო:

— ვასო თამაზაშვილი მახსოვს. ვასო იყო, ეიქ წაგვიყვანეს ციხეს ზეით, იქ იყო ერთი გომური, მაღლა ქონდა პატარა აკოშკა, ასე ამხელა. იმაში შეგვიყვანა: იულია ბერიძე, კოწია ბერიძე, დავითია ფართლაძე, ჩვენ. — აბა, რავალი ის არი ახლა, რო ბოდიში მამითხოვია ჩემ შვილთან, ამ სხვის კაცებთან ახლა, გეიხადე ტანსაცმელი, დაწექი. ერთ ოთახში, პატარა ოთახში.

შამოვიდნენ იქ. ასე რო ევიხედავდით მაღლა, ამხელა ბოწოლიები ეკიდა. ასე ვშობოდი თავს, რო პირში არ ჩამივარდეს-მეთქი.

ბავშვი დატოვებული მყავდა. მე გადმოსახლებაში კი არ ვიყავი მაშინ, მამაჩემი იყო, მე ქუთაიში ვიყავი გათხოვილი. მერე, ავდექი დილაზე და ახლა მტერი წევიდოს ვასოსთან, მივედი, მე უთხარი, რას აკეთებ-მეთქი. ფული თუ გინდა, მე ფული არა მაქ, თუ ადგილი არ გქონდა, რაზე წამოგვიყვანეთ, კარქათ ვცხოვრობდით ძალიან იქ მეთქი, მამაჩემის ქონებითი, აგერ იცის იმან და მამამისის ქონებითი ათი მოსახლე დაკმაყოფილდა იქა და ყიდდნენ ყველაფერს ჩვენსას, ქონებას. დავარიგეთ ქონება. მაგალითათ ახლა, შენ მოგიტანეთ, იმას მიუტანეთ: — შეგვინახეთ! — დაბრუნებას ფიქრობდნენ ისევ. ეს ყველაფერი განიავდა, საქონლიანა სუყველაფრიანა და სახლი მამაჩემისი სკოლად წეიღეს ალისუბანში.

— მოიცა, მოიცა! — არც გლახა არ ვიყავი, ახლა რო ვარ, თუ არა ეიმან მაინც იცის და... — მოიცა, — მითხრა... წამევიყვანე იქიდან, წამამყვა და ის რო არი, ალიოშა მელიქიძე, მის ქვეით იყო ერთი გომური, იქ შეგვიყვანა. იქაც გალას დედა და ისენი იყვნენ შესახლებული. ახლა რა ვქნათ, ამ ხალხს ვერ გადურჩი. (ადგილობრივ მცხოვრებლებს მ. ბ.)

— არ მინდა, მე უთხარი, ერთი ოთახი საცხა მომეცი და ვიყო თავისუფალი! რას ვჭამ და რას ვსვამ და სა ვწვები, გევიგო მეთქი! მამაჩემი ცოტა ხათრიანი კაცი იყო. ირაკლი ერქვა. იქიდანაც გამოგვასახლა, ახლა დაგვაბოდიალებს, ავდექით, შეგვასახლეს მერე ერთ გომურში, ისევე ციხესთან, ზევით.

დაგვირიგეს სამოცდათხუთმეტი მეასედი მიწა. მიწა დიდი მოგვცეს მარა, რომელი ხეხილია ახლა და რა არი აქა, რო ჩვენ არ გვქონდა იქ.

რო შეგვასახლეს იქა, დავრჩით იმ გომურში. ცოტა ხანს. მერე წასვლა გვინდოდა, ვერ შეეგუენ. მერე მიცეს ადგილი ეიქ წყლის პირზე... მერე სატყეოსთან. მერე გადიყვანეს ოთის ვენახებთან. ოთის ვენახები და მეღორეობა სულ მამაჩემის და ჩემი ძმის იყო. ახლა ჩხუბი აქ-ყე ზედ. ასე დააპროწიალებდნენ იქით-აქეთ ხალხს. ეჰ, სიტყვით ნათქვამი როის უკვირს ადამიანს!

გასვენებაში რო წევიდოდით, ასე გვიყურებდნენ: — უი, ლობიოს როგორ ჭამენ! რო დაჯდებოდნენ, ჩვენზე მეტს ჭამდნენ! — ეს ქე უთხარი, ეხლა აღარ არი, იმას...

## **მაისურაძე გიორგი**, დაბ. 1928 წ. ასპინძა (ფია). 1991 წ.

### ძველი დრო

...ხო, ეს ადგილი ეკუთვნის ფიას. ძველთაძველი სოფელი. ქართული სოფელი. იქ მაღლა ორი სოფელი არის. ერთი პირველი გაშენებული, ადგილობრივი ქვით არი გაშენებული, უკვე იმას მუუღია დაშლა ქვასა. ქვას რო დაშლა მუუღია, თავისთავათ დაინგრა.

მერე მეორე პატარა ვიღასაც ბაკურ მუუშენებია შვილისათვის სანახსოვროთა. ეხლა ის პატარაგ, იქ ფრაზებიც გაუკეთებიათ, ნახატები, ხატები, ისინი და ის შემორჩა, იმას გაუკეთეს რესტავრაცია. ძველი გადმოცემა არი, ესე იგი, აზრი ყოფილა ასეთი, რო შვიდას კვამლ უცხოვრია მანდ, მერე რა ამბავი დამართიათ, რაგორ მისულა, რაგორ მოსულა საქმე და, ესე იგი, ნაწილი ასულა ქილდაში აგერ, ქილდა არი ექ სოფელი, იქ ასულა ნაწილი, ნაწილიც სულ წასულა. სითკენ წავიდა, სითკენ გაიქცა-გამოიქცა არ იციან. ხოლოთ ეს ამსელელი ქილდაში, ვინც ავიდა, ვინც რო ავიდა ქილდაში, ამათ ჰქონიათ ეს მიწები სულ თითონ. ეს მიწები ჰქონიათ კარგი დიდი ხანი.

ჰო, მერე დროდადრო რო შემოვიდა და სამასი წელწადი თათარმა იუფლა აქა, მაშინ გაბატონდნენ, ბატონები, ბეგები გაჩნდნენ აქა, ხოდა ერთ მოსახლეს, ერთ გლეხ, ჰყოლია კარგი ცხენი.

მაშინ მანქანა არ იყო და ის არ იყო და ფასონდა და მისდევდნენ ცხენოსნობას. ამას უთხოვია, რო ეს ცხენი მამეცითო და ამ ადგილსაო დაგიმტკიცანთო. ადგილი დამტკიცებული არ ყოფილა. ესე იგი, ალბათ, მაშინაც ყოფილა კანონი... ხოოდა ამათ უფიქრიათ რო, ამ ბეგმა... რაში'ნა მივცეთ ეს ცხენი, თუკი შეიძლება მიწის დანტკიცება, ეს ცხენი რაღათ'ნა მივცეთ?! ჰოდა, რახან ძალა-უფლება ჰქონია ხელში და ოქროჰ

თვითონ ატრიალენდა, ესენი ანდგარან და გაურეკიან და იეხლაც უძახიან, აი ეს ადგილი... რომელიც არი ეს ადგილი მაგათი ადგილია ბერუანთ უძახიან თუ რაღაც გვარს უძახიან თავენთ მოდგმასა.

...თათრების გადასახლებაანდი, ორმოცდაოთხ წლაანდი ხანდიხან ჩამოდიოდნენ აი ექ კაკლებია, კაკლის ხეებია და არხევდნენ. ესენიც პატივ სცენდნენ, ეს აქაური თათრები, რო დიერხიათ. იმის მერე ის ხალხი წავიდა და აგერ ჩვენ ჩამოგვასახლეს აქ. ისევ დაუბრუნდა ქართველ ხალხ თავის საკუთარი მიწა. მარამ ეხლა ჩვენ რა, ოცი კვამლი ვართ აქა. მარა მეტი ტევადობაც არ არის.

მაშინ ის ხალხი იყო, მიწას არავინ არ აფუქენდა, ბაღს არავინ აფუქენდა, სახლი ერთმანეთზე მიდგმული იყო, ამ შიშის ამბავზე და იმაზე სახლები ერთმანეთში ჩატიებული იყო და ეს მიწას და იმას, სახნავ-სათეს იყენენდნენ, რო მოსავალი მიეღოთ, ახლა ჩვენ ჩავდექით. მიწაში სახლები ჩავდგით, ბაღში ბოსლები ჩავდგით, ხოოდა ამითი უკვე დავჭკარგეთ, დავჭკარგეთ, მოსავალიც დავჭკარგეთ და მიწაც დავჭკარგეთ და, ესე იგი, ისე ტევადობა აღარ ჩაეტევა აქა.

მერე გადასულა უკვე საბატონოზე, საბატონოზე გადასულა. ქილდელები რო გადაასახლეს, ბეგი ჩამდგარა. ტყე აუღია ბეგსა. გააქირავენდა ქირით, ვისაც უნდოდა, იმას მიჰყიდანდა, ვინც ბევრ მისცენდა თანხას, რო ცხვარი-ძროხა შიენახა.

ჩვენ ძირითადათ ვცხოვრონდით ზედა თმოგში, ზედა თმოგის წარმოშობაც არის ნაწილი ბალანთიდან, ხოო, შენ ხარ ჩემი ბატონი და ნაწილიც, იმიდანა — მანგლისი? (ჭიათურაო თუ სიდაღანაც) რაქველები? — არა ეგ სინამდვილეს არ ეხება. რაქვის ამბავი ჩვენთანა. აქედან არიან წასული. ჩვენ აიმიდანა ვართ კაცო, ჭიხარულიდან თუ სადაღანაცა ვართ მოსული.

მანდ ყოფილა ეკლესია, ზედა თმოგში. ესე იგი პირველათ რო ყოფილა ეკლესია და გაკეთებულა, ხალხ რო უცხოვრია, ეს ხალხი სულ გადაშენებულა, წასულა. მერე ეგ შეყოლება თმოგის ციხიდან სულ ყოფილა ისა, ტყე.

ასულან ესე იგი, რო ეკლესია არის, ეკლესია და ერთი დიდი დარბაზი. ეს დარბაზი იმ დროიდან ჩემ კაი ხსოვნაში მოჰყვა ეჰ დარბაზი ისევ. ძველი, ადგილზე მოჭრილი ხიებით, ხიებით იყო და ხე ისეთი ძელები იყო, რო ერთი კაცი ასე ვერ შემოუწვდენდა, რაგორი ლუსმანიც'ნა ყოფილიყო და დეგვეკრა, ლუსმანი არ გადიოდა იმაში, ხეში. აესე გამოძვალებული იყო და შიგ რო ცეცხლი ენთოთ, ამ ბრლ, კვამლ, აისე გაეხადა, გაბოლილიყო და გაკვამლილიყო და არ უნდოდა ლუსმანი, როგორც კვარი, ისეთი იყო ეს ხე.

მერე გასახლებულა ის ხალხი. შიგ და შრგ ზოგი ბატონს გამოჰქცევია, შენ ხარ ჩემი ბატონი, ხოო, ზოგი, ესე იგი, მიწა არ ქონია, მოსული.

მანდ რო მთა ყოფილა და უბირი ადგილი, ანდგარა ეს ხალხი და დასახლებულა მანდა. ჰო, დასახლებულა.

ბოლოს გახდა ასოც კვამლამდის ჩვენი სოფელი. მერე, წყალი ჰქონია, წყალი გაკეთებული ყოფილა, ძველათვე ყოფილა გაკეთებული წყალი. ქვა ყოფილა ამოჭრილი, მეტრიანი, მეტრანახევრიანი ქვა, მერე ზეიდან კიდე ქვა დახურებული და თავის ღარი გაკეთებული. ეს ეკლესიის გაკეთები დროს არის.

ორი წყარო გადმოდის. ეკლესიის ძირზე მოდის და იქ ერთდებოდა ეს ორივენი. სულ ქვით და თიხის წვრილი მილით. მილის სიგრძე არ ეღემატებოდა, ესე იგი, ოზდაათ სანტსა. ამ მილითა და ამ ქვის იმითა ეს წყალი ჰქონიათ და ეს წყალი იქაანდი ყოფილა, ოცდარვა წელში მოსულა დიდი სელგები (ნიაღვრები), ეგ ხეობა-რამე სულ გაუსწორებია ეს წყალი სულ დაუგლეჯია, სათავე მოუშლია და წყალი ჩავარდა.

დარჩა სოფელი უწყლოთ, რო არაფერი სახსარი არ ქონდა, გარდა იმ წყლისა. ხო, მერე ზოგი ადგა, გადასახლდა, ზოგი მანგლისში წავიდა, ზოგი გურიაში წავიდა, ზოგი აქეთ-იქით მოიფანტა რა, ვისაც, ...პატრა აქეთ-იქით გამოსული ხალხი იყო და ჰოდა დანარჩენიც დაადგნენ და ამოთხარეს ჭები. თითო ოჯაღ გააჩნდა სამი-ოთხი ჭა. ამ ჭით სარგებლობდნენ, საქონელსაც იმ ჭიდან უღენდნენ წყალ ასმევდნენ, თვითონაც იქიდან სარგებლომდნენ. ნუ, ბოლოს უკვე თანდითან უკვე გასჭირდა.

სახნავ-სათესი კარგი იყო. მაშინ ძირითადათ ვამუშავენდით ხარით. ხარით მუშავდებოდა ყველაფერი, კევრით ილეწებოდა. ბოლოს შემოვიდა ეს მალატინკები, მალატინკებს მერე კომბაინები და მარა მე ისოვ ვამჯობინებდი იმ ხარით მუშაობას. არც მექანიზატორი გინდოდა, არც არავინ არ გინდოდა. თუ მომაგრებული იყო ორი უღელა ხარი, ორ უღელა ხარსა უელიდი, ჰპატრონონდი, მიდიოდი, ხნენდი. დროზე გადიოდი, დროზე მოდიოდი, დიდიც იცოდი და პატარაიც იცოდი. თან ხარისხიანათ.

რო მოსულიყო, ვინც ეპატრონებოდა აიმ ხარებს... აი მაგალითად ადრე კოლმეურნეობა ხო არ იყო. უმფროსი ჰყანდა ოჯახში. აესე გაიყრიდნენ ჯოხს და აქედან ერთ მეტროში ისე'ნა გასულიყო, რო არ'ნა მოსდებოდა არსადა, ისე'ნა მოხვნილიყო. ეხლა აღარც მამხვნელია, აღარც შემმოწმებელია, რო შეამოწმოს, როგორ იხნება და მერე გამოვიდა ეს ტრაქტორები, შენი ჭირიმე, და ეს... ტრაქტორებმა ეს ხარი სულ გადააშენეს, ხარი ჩააბარეს. რახან ერთ კაც მიანდეს, რო ეს არი ტრაქტორისტი, ეს არი ჩვენი მამა-მარჩენელი, ეს დაგვითესანს, მოგვიხნანს, მოგვიტანს... ხოდა დავრჩით შიერები. ახლა აღარც მამხნელია, აღარც მიმხედია, აღარ ის არი და აღარც ის არი.

ხარი რო მყოლოდა, მე, მაგალითათ, ხარი, იმ მიწას, დავდგებოდი, მოვხნენდი წესიერათ, მოვიტანდი, არც მალატინკა მინდოდა, გავშლიდი,

შევაყენენდი, კევრით გავლეწენდი და გამოვიღენდი ხორბალს და ჩემ წვრილშვილ მივსცენდი და მექნებოდა ქათმისთვისაც, ბატისთვისაც და ბოდიში შენთან, ღორისთვისაცა. ეხლა აღარც ის არი და აღარც ის არის.

ხო, არ ვემდურები, მაგალითად, ამ წყობას, წყობა ძალიან კარგია, ხოლოთ სათავე არ დგას ნორმაზე. სათავე რო ნორმაზე იდგეს, ზეით და რო მოჭერა ჰქონდეს, მოთხოვნა ჰქონდეს დიდი, ჩვენ ვიქნებით უმაღლეს წერტილში. ჩვენ, ესე იგი, ორმოცდახუთ წელში რო ომი დამთავრდა, ორმოცდახუთიდან ორმოცდაცამეტ წლაამდის ორჯერ-სამჯერ ჩამოფასება მოხდა, ავიწიეთ. სამოც წლაამდის, დაიჯერე, რო ჩვენ სამოც წლაამდი ოქროჰ ხანაში გადავედით. მართალია, ხრუშჩოვი იყო თუ ვინც იყო... თანდათან ხალხმა მოიმატა. ჩვენ ჯურღმულებში ვცხოვრონდით და ყველამ კრიშიანი სახლები დავიდგით, სახლები გავაფართოვეთ, გავაკეთეთ, ბავშვებ ვასწავლეთ, ეგეც არი საშვალება.

ხოდა ახლა სულ არაფერ გაზს საქციელი. მოკლეთ, ისიც დამავიწყდა, რაც მინახია. სამოცდაოთხი წლის კაცი ვარ და ისიც დამავიწყდა, რაც მინახია. როგორც რო პირველათ დავიბადე და გაჭირება იყო, აეხლა იმ გაჭირებაში ვართ. მე იმ გაჭირებაში ვიყავი, რო, ესე იგი, ჯერ ახალი სახენწიფო იყო, არ ჰქონდა მეტი არაფერი, მერე მეორეთ ომი დაიწყო, ორმოცდაერთ წელში, ვერ გაწვდნენ, გზა არ იყო, კვალი არ იყო, მაგრამ კიდე ჩვენი ძალით, ჩვენი ხარით და ამით ვსუნთქენდით და პურ ვშჭანდით და აეხლა პური, ბილა (ნაწილაკია, თურქ.), არ მოდის, ფქვილი არ მოდის, რო მოვიდეს, რო ხალხი დაკმაყოფილდეს და ბავშვ პური მიაწოდო.

— მოიცა, რატო არ შიეხები. აქ დემოკრატია არი. უნა ვთქვა'ნა.

პური თუ არი, მიეცათ საშვალება, რო მე დემეთესა ორი ექტარი ჩემთვის, რო აქნანდი გემემეღო... მაშინ რო შიერი ვიყავი, რო არ გააჩნდა და სახენწიფო ვერ გაწოდენდა, ინახენდა ორ ძროხას (დედა), ი ყველ მამიხრაკენდა, მოშუშენდა ყველსა, იმას ჩამიდენდა და იმით დავდიოდი ჯილღაზე მეხრეთა. მარამ ეხლა ის მდგომარეობა არ არი. მაშინ მიწა სულ ათვისებული იყო და ეხლა მიწა ნახევარი ჰყრია, აუთვისებელი მიწა ჰყრია.

***

ჩემ მოსწრებაში, მე რო მოვესწარი, მე უკვე კოლხოზში დავიწყე მუშაობა. ამ მოსწრებაში იყო ასეთი თადარიგი. ხარი რო ჰყავდა, ზამთარში ხარს რო უვლიდნენ, უვლიდნენ რიგით, რო შრომადღე იეღო ყველას. შრომადღეზე იყო. სხვა გამოსავალი წყარო არ ჰქონდა არავის. ერთი კვირა თუ მე მოვუვლიდი ერთი კვირა შენ'ნა მეგეევლო. გაზაფხულზე

რო გავიდოდით მარტში, უკვე შეიძლებოდა ძარ-მარხილი. ბოდიში და, ნაკელი დაიტვირთებოდა, ყანაში გადიოდა. ერთი გრამის დაკარგვა არ შეიძლებ

ამას გავიტანდით ყანაში, თავი დროზე თოვლი აშრებოდა და შეიბმებოდა ჯილღები. ჯილღაში ება სამუღელა ხარი. ყველა ბრიგადას (ექვსი ბრიგადა იყო და ექვსი ბრიგადელი იყო), ყველას ჰყავდა თავის ხელოსანი. რო ჯილღას გაუტყდებოდა კბილი, ყურები დინტვრეოდა, ყურები ჰქონდა, რო მიწა გადაეშალა, ყურებ უძახდით. ხმალი იყო, რო მიწა გიეჭრა წინა, მანჭვი იყო, რო ხელით დეგეჭირა ესა და ჯილღა არ გადაგბრუნებოდა და ფეხსადგმელი იყო, ფეხი შეგედგა შიგა. ფეხი გედგა, აწვებოდი ფეხით... გოგრები იყო, პატარა გოგრები, თვლები ხისა გაკეთებული, ზოგ თუ ქონდა შესაძლებლობა, სალტა ჰქონდა რკინის ამოჭერილი, თუ არა, ისევე იყო.

ამით დაახლოებით გექტრაშდის ადიოდა, სამუღელა ხარით რო ეხნა გექტრაშდის ადიოდა, რო დღეში მიეხნა. მაგალითად ჩვენი მეექვსე ბრიგადა იყო და გვემბა რვა ჯილღა. რვა გექტარი მუშვდებოდა თავისუფლათ. ეს დაითესებოდა, ფარცხი ცალკე მუშაობდა, დაფარცხილიყო. მოვრჩებოდით ქერობას, უცბათ დაწურული იყო მთელი ხალხი ამ იმაზე, ქერობას ეუძახდით, ესე იგი, თესვის კამპანიას. დაითესებოდა ეს, მორჩებოდა, ხარ გამოუშვენდით, ხარი დაისვენენდა ორი კვირა, სამი კვირა და დაიწყობოდა თერძვა, ანეული. ამას ჩავატარენდით. თერძვა არი ხვნა, რო დავთესენდით, მერე ახლა სხვა მიწას ვამზადენდით.

ერთ წელწად ერთ მხარეს დავთესენდით და მეორე მხარეს დავამუშავენდით, რო მოვრჩებოდით თერძვას, თერძვის მერე გაოშვას უძახდით, გაოშო'ნა. ამასაც კიდე ჩაუტარენდით, ესეც ჩატარდებოდა და დაიწყებოდა ჭალების თიბვა, ჭალები გაითიბებოდა, მოჰყვებოდა ყანები.

ყანებს მოვიტანდით, ურმები გვქონდა ჩვენ, დიდრონი ურმები, თავღორ ურემ უძახდით — ასე თავი დაშვებული ჰქონდა და წინ საცურავები ქონდა, იმაზე ცურენდა, აი, რაჭაში ეჭთ პატარა ურმები, რომლებიც საცურავებზე ცურავენ, მარა ჩვენი დიდი იყო. შეგვეძლო, რო სამოოთხი ტონა თივა დეგვედო და მოგვეტანა, იმხელა იყო. ხუთუღელა ხარი ამუშავენდა ძლივ იმასა.

დავიწყენდით და ნაწილი მუშაობდა, უკვე ზიდავდა იმასა, ბჯეს, ნაწილი ლეწავდა, კალოზე ღამე-დღე, ქალები და ბავშვები და ხანშიშესულები კალოზე ათენენდნენ, რო გიენიავებინათ, ქარ გიეტანა ეს ბზე და მტვერი და ხორბალი დარჩენილიყო. ბარდებოდა საწყობში, მივდიოდით ჩვეულებრივ და რასაც შევიტანდით, იმას გვინაწილენდნენ, კაცო.

მანდ თუ ბევრი რა... ბევრი რაღაც მოხდებოდა, შეიძლება ერთი ათ ფუთაანდი ვისმე რაღაც ხელი წიეკრა, დანარჩენი გაფლანგა და რამის...

ასეთი არაფერი არ არსებობდა. რაც იყო, შედიოდა საწყობში, საწყობი გვინაწილენდა. იყო მაგალითად, სოფლებიდან სოფელში დიდი განსხვავება იყო. არადა, ჩვენ გვერდით იყო აგარა. აგარა მუდამ ჩვენზე მეტ ინაწილენდა, ვინემ ჩვენ. იმიტო, რო მიწა იმათი მდიდარი იყო. კაი მიწა იყო. ჩვენი მწირი მიწა იყო. ჩვენთან ხალხმრავლობა იყო და ცოტა მიწი(ჰ) ნაკლებლობა იყო.

საქონელ ვინახანდით, ვისაც რა საშვალება ჰქონდა, ეკმაყოფილდებოდით. ომაამდის კარგად ვიყავით. ომის დროზე ზათი (ნაწილაკია, თურქ.)... ომი... ყველას თავზე გადიარა და შიმშილობა და ის არ გვაკლდა. ...ომი არ იყო დანთავრებული, ჩვენ ჩამოგვიყვანეს ნაქალაქევში. თავისთავად ის მიწაც ჩვენ დაგვრჩა, ეს ნაქალაქევის მიწაც ჩვენ მოგვცეს და გავიმართენით წელში.

მერე აქაც ჩამოგვრჩა (შემოგვრჩა) ის ჯილღაც, ჩივთიც (ჩივთი — ერთ უღელა ხარ აუბენდით) არონა იყო, ყურიანი არონა იყო, იმას ორუღელა ხარ აუმბენდით), ბოლოს ეს ტრაქტორები შეგვასყიდეს, გაიხსნა ეს ენტეესები, ენტეესებმა, როცა გაიხსნა, თავიდან კარგად მოუარა. მერე ბოლოს იმათაც ააცვრიეს, აიყარეს გულისყური, ჰოდა სულ ჩაგარა.

რაც ტრაქტორმა დაიწყო მუშაობა, იფრო მეტი შიმშილობა ჩამოვარდა. ხარი და ურემი და ჯილღა რო გადავაგდეთ, ჩვენ იფრო მეტი შიმშილობა ჩამოგვივარდა. ეგ რო არ დეგვეხმაროს და ფქვილი არ მოვიდეს, დავუშვათ და ერთი თვე ფქვილი და პური არ მოვიდეს, მთელი ხალხი შიერი ამოიხოცება. სახსარი არა აქ, ორი დღის მარაგი არა აქ.

გლეხ რატომ არ უნდა ჰქონდეს წლისა ორი წლის მარაგი ხორბალი, რო ამან თქვას: — რაღა ქალაქ მივეჭიდო, კაცო, ქალაქი ქალაქია. მე უნდა მქონდეს ჩემთვისა, რო მე მქონდეს საშვალება, რო დაფქვილი ფქვილი ჩავიტანო და გაფყიდო. ჩავიტანო და ქალაქში გავჰყიდო, ჰოდა, აეხლა დგომარიობა თუ შიეცადნენ და შეცვალეს და რაღაც რეჟიმი გააკეთეს...

მიწა გლეხისთვის საჭიროა, ძაან საჭიროა. ან მიწა, ან კოლხოზ-რეჟიმი მაგარი. რეჟიმი, ძველებური რეჟიმი. იეხლანდელ ახალგაზდობას ვერცერთ მიწაზე ვერ ამუშავან. ჩვენი ხნის ხალხი გადავშენდებით და ახალგაზდობას ვერცერთ მიწაზე ვერ ამუშავან. თავის საკარმიდამოც რო ვქ... მე ამას ვიტყვი, გინდ საწყენათ დარჩეს ვინც გაიგონანს. ეს ახალგაზდობა ისეა, თითქოსდა ერთი კაცის გაკეთებულია. სულ ერთნაირი ხასიათისანი არიან.

***

მესაქონლეობაზეც კიდევ აგრე. მაგალითად, რო იწველებოდა... ცხვარ, კოლმეურნეობაში ვწველენდით, რანდენსაც მოსწველენდი, შრომადღეს იმდენ გიწერდნენ, ახლა გადვიდა მოჭრითი ხელფასი, ან სანახევროთ მოჭრილ ხელფას აძლევენ... და ამ რძეს აღარ უყურანს და აის პროდუქცია დიეცა. ძროხა, ადგნენ და რა გააკეთეს, წაბაძეს, სადღაც რუსეთში წაბაძეს, რო ხბო მოვაცილოთო. ათი-თორმეტი წლის ძროხა არის, ათ-თორმეტი ხბო გაზარდა და ხბო მოაცილეს. ძროხამ აღარ მოიწველა, გაშრა. რძე არ არი. სიდან'ნა იყოს რძე, კაცო. ამას აკეთებდენ როცა რო ახალი უშობელა დაბადენდა ხბოს, ის'ნა მოაცილო, რო ხბო არ ჰყოლია, ხბოს სიყვარული არ იცის და მოაცილო'ნა. დედა ძროხას, შვიდი-რვა წლის ძროხას აცილამ, აქედან პროდუქციას მიიღებ?

აეხლა დააჯდენენ ავტობუსზე, წაიყვანებენ მთაში, რასაც ჩამოსწველანს იმიტო რო გადაჭრილი ხელფასი ვ̄ქ, იმამ შენ რათ'ნა მოგიწველოს, რატო'ნა აიტკიოს ხელები. იმაჰ რო რძეზე ჰქონდეს, რო ამდენი კაპეკი ღირს ეს რძე, არა, აი მაშინ თავსაც მოიკლანს და გაგიკეთანს. მწყემსაც აგრე ვ̄ქ. მწყემსი იყო, იღენდა რძეზე. ახლა მწყემსაც გადაჭრით ხელფასი ვ̄ქ. სუქებაზე'ნა მისცე. შრალ საქონელსა და დედა-საქონელში ვინც არი, იმას უნდა მისცე რძეზე. რამდენი მეტ მოაწველინანს... ავა, დაჰყრის სადაღაც მწყემსი ჰყრია, ჰყრია, ჰყრია. საღამოთი მორეკანს, ადრე შერეკანს ბაკში. ხოოდა, პროდუქცია თავისთავათ არ იქმნება, გენაცვალე. აი იმიტონ ამ გაჭირვებაში ჩავარდით. ახლა იმაზე ავიდა, ყველა და ხორცი ოც მანეთზე ავიდა. რატო'ნა ავიდეს ოც მანეთზე...

***

...ახლა შემოვიდა ცემენტის გაკეთება, იმას იზმონენ, დააგებენ, შეიყვანენ საქონელ. აგრე არ იყო. იყო ქვის ზღვეს ვეძახდით, ქვ̄ა, წავიდოდა ხალხი, დაშეკრიდა, დააგენდნენ ზღვეს იმ ცემენტის მაგიერათა, რამდენი ასეული წლებია რო, მაგალთად, ზედა თმოგის ჩემ ბოსელში აგია. არის და არის. გაკეთებული ქვით ბაგები. ახლა ფიცრით გააკეთანთ, ორ დღეში ან საქონელმა'ნა მიაწვეს, გატეხოს, ან ვიღასაც'ნა მოუხვდეს... და წავიდა... აბა ყველწლიურად რემონტი.

იმაჰ რემონტი რათ უნდა, ქვის ბაგა(ჰ) გავაკეთენდით, ერთ ძელ გავდენდით და მიდოდა... იყო და იყო და იყო თავი სიცოცხლე. არც რემონტი ჭირდებოდა და... ეს რემონტი ხანდიხან ზოგ პიროვნებას ადგება. კაპიტალური რემონტი'ნა ჩატარდეს, სმეტას შეადგენენ, ხარჯთაღრიცხვას შეადგენენ, დააპროექტებენ, წავიდა... ვისი ქონება მიდის? ხალხის ნამუშავარი მიდის, ნაოფლი მიდის. ამას ეკონომია აღარ ეწევა. ეს მარტო ჩვენთან კი არა, საერთოდ ასე შეიქმნა.

***

დიდი დერეფნები იყო, ამ დერეფან რო შეივლიდი, შეხვიდოდი, ბოსელი (ახორი) მომბული იყო ოდაზე, იმიტო, რო ამ საქონლის სითბოდან'ნა მიეღო სითბო ზამთარში. საქონელი ერთ სანთზე იყო, ოდა ცალკე იყო მოწყვეტილი.

მოწყვეტილი იყო ე სახლი ზოგისა ოდა იყო და მეტი წილი დარბაზები იყო. ძველებური დარბაზები, მერცხლიბუდურად დახურული.

ამ ბოსელსა ორივე მხარეს ემბა საქონელი, შუაში გასავალი, რო გაიარო და ამ გვერდზეც სანარწყალი იყო და ამ გვერდზეც სანარწყალი იყო. ეს ხელით ხდებოდა სულ ნაკელის გატანა, დასუფთავება, სუყველაფერი. ორი კაცი თავისთავად იქნებოდა, რო იეწიათ, ჩვენ უძახდით ხერძალსა (ხელძარი), წნელისგან იყო მოქსოვილი, ხერძალში, აივსობოდა, გავიტანდით, დათლილი გვქონდა წმინდა კეტები და ამ კეტებზე ავჰწევდით და გავიტანდით. ვემსახურებოდით იმ საქონელსა.

ხო, ძირითადათ მანდ, თოვლის ამბავზე, როცა რო თოვლი იყო ზამთარში, სათოვლიები ქვონდა ამ ბოსლის შუაში გაკეთებული. მაღლიდან, ბაგიდან ჩამოჭყრიდით თრვლ, გაკეთებული იყო ჩელტები, ამ ჩელტებქვეშ იდო ქურუმი. ქვის დიდრონი ქურუმები ქვონდა გაკეთებული. ეს ამოლესილი იყო, სადაც ჩადიოდა, თიხით, ამოჭრილი ორმოსიებ, ჩადიოდა, წყალი გროვდებოდა, ამ საქონლი სითბოთი თოვლი დნებოდა, ამოვიღენდით, იმ ქურუმში ჩავასხენდით. გაუშვენდი საქონელ, მივიდოდა, დალევდა, წაიყვანდი — დააბენდი.

რაც რო ხელოვნურათ კეთდებოდა, აეხლა რო აკეთებენ იმითა, აი, დაწყურებაო, ეგ ერთ თვეს იმუშავანს თუ არ იმუშავანს: — აბა, რემონტი! აი, საქონლი დაწყურება, ვითომ საქონელი'ნა დააწვეს, დალიოს'ნა — არ კეთდება ისე, რო ეს იყვეს, მუდმივი იყვეს. ერთ ორ სეზონ, სამ სეზონ მაინც გაძლოს, მარა იმ კაცმა, სათოვლე რო გააკეთა, ჰქონდა და ჰქონდა. იმის პაპამ რო გააკეთა, ჩემ მამამდი მოვიდა და ეხლა რო არ წამოვსულიყაით იქიდან, ეგ ჩემ შვილთაშვილაანდი წავიდოდა.

დიდრონი ქურუმები ეწყო, სათოვლეში ჩაჭყრიდით თოვლსა, ზამთარში რა საქმე გვქონდა, საქონლებ ვუარდით

— ადი, ჩამოყა, ჩამოყა! — თოვლი ეტეოდა ერთი ნახევარი ტონა, ერთი ტონა თოვლი. — ჩაყარე თოვლი! — ეს დადნებოდა და წყალი გვქონდა, კაცო... ხალხ, ყველაჰ თავისთუნ ისე შექმნილი ჰქონდა ცხოვრება, რო საათივით ჰქონდა. ყველამ თავი წყარო იცოდა, რო სიდან რა არი...

შემოდგომით წავიდოდა, მიდგმულ დაფქვენდა. მიდგმულ ვუძახდით ფქვილ გავამზადენდით, ოჯაღში რამდენი სული იყავი, იმდენ დაფქვენდი, რო სამი-ოთხი თვე ან ხუთი თვე არსად არ წასულიყავი.

ამბრები გვქონდა, ამბრები ვისაც არ ჰქონდა არ ჰქონდა. — წნელით გვქონდა მოქსოვილი გოდრები, დიდრონი გოდრები, რო ტონა ფქვილი

ჩადიოდა შიგა. ჩაჰყრიდა, ჩაჰქელენდა მაგრათ, ჩაჰქელენდა ისე, რო დატკეპნიდა ამასა და მოსდგებოდა, — სახლში ფურნე ჰქონდა, აანთენდა ფურნეს, გამოაცხენდა პურ და შჭანდა. აღარც მაღაზიას ელოდებოდა და აღარც კოპერატივსა. თავი პური თითონ ჰქონდა. იფრო გემოც ჰქონდა, იფრო მადიანადაც შჭანდი. ერთ თვის პური რო ყოფილიყო, ერთთვის პურ შჭანდი და ამას, მეორე დღით ვერ გიჭამია დროეის პური. პურის ცომით რო გამოცხვება პური, ის მეტი არამატიულია და ნაკლებათ ფაშრდება და ეს მეორე დღეს უკვე დაფაშრებულია, არ იჭმევა.

ჩვენ რო ჩამოგვასახლეს აქ, ფიაში, ჩამოასახლეს ძირითადად ახალგაზდობა. შეუქნეს პირობები, კრედიტები მისცეს, მართალია, მასალა მოდიოდა... ეს რო დააპროექტეს, სინათლის ამბავი, გზის ამბავი, სკოლა, ბიბლიოთეკა, სუყველაფერი, ეს სკოლა უნა აშენებულიყო, კმაყოფილი ვართ მაგალითათ, ხიდი გაგვიკეთეს, სკოლა. ახლა იანგარიშე, რაც რო აქედან, ფიიდან დადის, ბავშვები, იქ იმდენი თელ ას კვამლში იმდენი პატარა ბავშვი არ დადის. ახლა შენ იანგარიშე, რო აეს ბავშვი, ეს ადგეს'ნა რვა საათზე, ოთხი კილომეტრი ფეხით'ნა ავიდეს და ფეხით'ნა ჩამოვიდეს'ნა. არ გავგზავნო, როგორ დაჭტოვო უსწავლელი. წერა-კითხვა ხო'ნა ისწავლოს...

**ტაბატაძე-ინასარიძე შუშანა, დაბ. 1930წ. ახალციხე, ანდრიაწმინდა, 1991.**

**ინასარიძე ელიზბარი, დაბ. 1929წ. წ. ახალციხე, ანდრიაწმინდა, 1991.**

### საეკლესიო ცხოვრება, ელიაობა, ნათელ-მირონობა

ქალი: ...დაჰკლავდნენ, ჩამოვიდოდნენ წყაროზე, გაშლიდნენ სუფრას და ქეიფონდნენ. ჰოდა, ჩემი მამანთილი იტყოდა, რო წმინდა ელიაო, ბრმა არიო.

— რატო მეთქი, რატოა ბრუმა - მეთქი და:

— ჩუსტები უკერებიაო და ეს ნეესი აურტყიაო თვალშიო და იმიტომ ბრმა არიო.

რო წამოვიდოდა, სეტყვა რო წამოვიდოდა არა: — წმინდა ელია, წმინდა ელია! საღი თვალი ჩვენკენ ის ქენეო, ბრმა თვალი იქით, მთისკენ წაიღეო და იმ წუთას შეწყვეტენდა იმასა, სეტყვასა. სეტყვაზე გამოვიტანდით აქ, ლიტონიაზე რო მოუვლიდით, კვერცხ წამოვიღენდით, ერთ წითელ კვერცხ, ჯიბეში გვექნებოდა, რო მოვუვლიდით და მერე ის სანთლები რო გვეჭირა და უვლიდით არა, იმ ნამწვსა, პატარები რო დარჩებოდა, წამოვიღენდით სახში და შევინახენდით.

სახში რო მოვიდოდით, მერე წითელ რამეს გამოვიტანდით და გადავფენდით: — ესაო სეტყვისთუნ კაიაო. ძველათ აგრე იტყოდნენ. სეტყვა რო წამოვიდოდა დიდი ლიახვი და უბედურობა, წითელ გამოვიტანდით, გადავფინანდით. ამ კერცხსაც გამოვიტანდით, დავდენდით ამ სეტყვაში და ტაფას გადმოვაბრუნენდით, აი ძველებური ფახირი (სპილენძის, თურქ.) ტაფები არ იცი! გადმოვაბრუნენდით და ზედ მარილ დაფყრიდით და გადაიღენდა ამ სეტყვას. აგრე გვაქ შემორჩენილი ამ ძველებისგანა. რა ვი, კიდე რა ვთქვა, რა ვიცი.

...ცოტა კომინისტებმა დაგვავიწყეს, მარა მაინც ვასრულენდით. ავიდოდით ადრიან, მოგროვდებოდა ხალხი. როდაცა ღვდელი იყო, ღვდელიც იყო, ზიარება, რამე და მერე რო აღარ იყო, ჩვენ ჩოულობას მაინც არ ვთმენდით.

ავიდოდით და, შიგ არიან ამ ჩვენ ეკლესიაში, ბაირაღები მწვანე, თუ იცი. ამას... ბაირაღებსა... მიცვალებულსაც მაგით ვმარხავთ, დღესანც გამოვიტანთ და ორ კაც უჭირანს, წყვილათ არიან, მანამ მიიყვანონ სამარის კარანდი. და ეს ჩვეულობაც გვაქ, — ზარი უნდა ჩამოვკრათ, არ შეიძლება.

ე, გარედან ხალხი რო მოდის, სხვა ხალხი, სხვა სოფლელები, რა კარგი ჩვევა გაქთ თქვენაო, ძველებური ჩვევა. ზარ ჩამოვკრენდით იქანდი, მანანდი სამარი კარანდი მიეყვანათ ეს მიცვალებული და მერე შეჩერდებოდა. ჰოდა, გამოვიტანთ მაგასა და ლიტონიაზე მივდივართ, უვლით. სამჯერ შემოუვლიდით, რო მივიდოდით ამ ქოშასთან არა, კარებზე შეჩერდებოდნენ, იტყოდნენ სიმღერაჰ. ამ იმასა, ლიტონიისა. მივიდოდნენ, კარებზე გაჩერდებოდნენ, ხალხი მიზდევს, ვაჟები წინ იყვნენ, ქალები უკან მიზდევდნენ, და რაც კი ხატი იყო, გამოვიტანდით და გვეჭირა ხელში, ბავშვ თუ დიდსა. მერე სამჯერ შემოუვლიდით, მერე რო შევიდოდნენ, კიდე დაიწყენდნენ გალობას შიგა.

დღესანც, დღესანც ჩვენ მივდევთ მაგ საქმეს. შემორჩენილი კუთხე ვართ აქა. არავინ გვიშლის ხელსა. ჰოდა, შიგაც რო დაანთავრენდნენ, მერე გამოვიდოდნენ, ვისაც კი ახალი რძალი ჰყანდა, აუცილებლივ'ნა მიეყვანა ლიტონიაზე ამ ეკლესიაში.

ჰოდა ეს მოხუცები დადგებოდნენ ასე და მივიდოდნენ ეს რძლები და ხელზე მოიკითხავდნენ ამ მოხუცებსა, არ შეიძლებოდა ისე წამოსულიყვნენ. ისინი დალოცევდნენ და წავიდოდით, ყველა თავის სახში ქეიფონდნენ, ზოგ სტუმარი ჰყანდა, ზოგ წამსვლელი, ზოგ ნათლიდედა, ნათლიმამა მოზდიოდათ. ასეთნაირი დღეობა ვიცოდით, გენაცვალე.

— ხელზე მოკითხვა ასე იყო: ეს ბერიკაცი რო ხელ მისცენდა, ეს რძალიც აკოცენდა ხელზე-და ერთი ხელი გულზე ედო. ნათლიმამა ყოველთვის ნათლიდედასთან უნდა მისულიყო. ნათლია უნდა ენახა და მაშინა სუნკა არ იყო და ის არ იყო, ბოხჩას, პატარა იმას აი, თავსაფარსა...

შიგ ჩააწყენდნენ ტკბილეულსა — ქადას, რაღაციებსა და შეკრავდნენ და ნუსხასავით ასე ეჭირათ, ბოხჩას უძახდით და მიჰქონდა და მივიდოდა და თან უფერხენდა ამ ნათლიას ეს ნათლიმამა, თან სანახავათ მივიდოდა. ახლა ის გაიპატიჟენდა იმასა, ასეთნაირათ ულოცენდნენ ერთიმეორეს.

## ქორწინება

— ქორწილი დროს რო დანიშნავდნენ, წელიწადი იყო, წელიწადი რძალი იქ დანიშნავდნენ და... ეხლა რო ბეის გაჰცვლიან და ჰაიდე, კარქია, გონჯია, მიარბევინებენ. (მალე მორბინებაც არი, ეგ არაფერი მარა). წელწად დადიოდნენ, გვარ, ჩვარ ყველანაირათ კითხულონდნენ. რა გვარია, სუფთა გვარია, რა არი, მახინჯობა, რაღაცა ხო არა აქვთ გვარში. იმას არ ითხოვდნენ მისდღემში, იმ ქალსა. ანდა ქალ არ მისცენდა ვაჟსა, რო, რაღაც სუფთა გვარი არა გაქთო, ასე ვიტყოდით ძველათა.

— ის დარჩენილი ქალი სად თხოვდებოდა მერე?

— ისიც იმრაინ მიჰყავდა. დარჩენილი ვაჟები ძალიან ბევრი იყო, აი ჩვენი ბიძაშვილი იყო, ის ლაპარაკონდა, მეტი-მეტი დავრჩიო და ეს სამი და ჰყანდა, ამ ჩვენ... ჩვენი მოგვარე იყო, სამი და და სამივე ბლუ იყო. დადიოდა, ქალს არავინ აძლევდა. — აქედან რო გავიხედენდიო, მუსხშიო და ისინიო, ტყემლები რო ყვაოდაო, სულ ქალები მეგონაო, გვაცინენდა ხოლმე. არავინ მაძლევდა ქალსაო. მერე მოვიდაო და ამ დიებსაო ჩხუბი დაუწყოო, თქვენ გულითუნ მე ქალ არ მაძლევენო.

ისიც იმიდაგვარ მოიყვანდა, გენაცვალე. ვაჟ თუ მინკი ქონდა, ქალს არ ქონდა? ფერიფერსაო, მადლი ღმერთსაო, ისიც იმას ითხოვდა და ისე, ძალიან სარჩევში შედიოდნენ, ყველანაირათ. არ შეიძლებოდა, მერე ჩემ შვილიშვილ საცხაც გამიერევაო ეს მინკი რაღაცაო და აგრეც არი, დღესანც არი.

## ხელსაქმე

ფიჩვებ ვქსოვდი, გენაცვალე, დღე და ღამე ვასწორენდი, და ე ხალიჩა რო უკვე მივემზადე, ნა მოვქსვიო, და გადავარდა მოდაში აღარ იყო და აღარ მოვქსვიე... მაშინ არ შეიძლებოდა რო არ მეგექსოვა ან ხალიჩა და ან ფიჩვი. ხანებ გავაკეთენდით და ყველა ოჯაღ ქონდა. იმიტონ, რო მეთხვიებინა შენთუნ რო ჩემი ის წაიღე, — ხანას უძახდით, რო მეთხვიებინა, იმას როდი'ნა მიეტანა, მე აუცილებლივ ეს ფარდაგი უნდა მამექსვია, არ შეიძლებოდა.

ჯერ ქსელ გავაკეთენდით, ქსელსა, ამას ძალიან დავძახენდით, რო ეს, იმას რო ვცენთ, გაუძლოსო, მაგარ იმაჰ, — ქსელ ვშვრებოდით. მერე დავღებენდით ფერებსა, პეციალურად ებრიელი მოდიოდა და დადიოდა სოფელში. ფერებ ვღებენდით, რანთენიც ფერიც გინდოდა შენ. მერე დავიწყენდით, რა ჭრელიც გინდოდა, მოვქსოვდით. ეს ქურთული ჭრელიაო, ეს კაკლის ფოთელიაო, კაკლი ფოთელი ზედ გამოსახილი, შენ გეცოდინება, ნანახი არ გაქ, მერე გამოვიდა ფარშავანგები, მერე წვრილ იმას დააყრიდნენ და სოკოებს უძახდით. ყველანაირ იმასაც... რა სახეც გინდოდა, ის ამეგეღო და მეგექსვია.

ხალიჩა კიდე ისე. ხალიჩა ფასი დიდია, მარა ხალიჩა უფრო ადვილი მოსაქსოვია, ვიდრე ის ფიჩვი. მაშინ არაფერი ფასიც არ ქონდა, ყველა ქსოვდა და ვის რათ უნდოდა.

## ქორწინება

მაგალითად მამეწონა ვიღაცა გოგო, ვიკითხავდი ამბავს, რო ეს ვისია, რა არი, და მერე გავგზავნიდი იმის ნათესავ, ვიღაცასა, წადი, ის გოგო გამირიგე მე რძლათ. მივიდოდით ელჩათ და შევგზავნიდით ელჩსა და ელჩ უძახდით მაშინა. ახლა — მოშუალეო. შევიდოდა ეს ელჩი და თან დავაბრიდით ამასა, რო პური არ ჭამო, თორე საქმე არ გაკეთდებაო. არ შეიძლებოდა, რო პური გეჭამა.

რო გაკეთდებოდა საქმე, მაშინ გააჩაღენდნენ პურ-მარილს და არც ის მოგიტანდა, ვისთანაც მიხვიდოდი. (თუ მიცემა არ უნდოდა, მაშინ გამოიტანდა) რანაირათ გამოგისტუმრენდნენ იქიდან ისინი. თუ მიცემა უნდოდა, არ იმას იზმონდნენ, არ გაჭმევდნენ პურს, მანამ არ გაკეთდებოდა საქმე.

მერე პირობა(ჰ) გამოიტანდნენ, პირობას გამოიტანდნენ, რო აჰაა, დათქვენდნენ ამამავალ დღეს, მოდით და ბეის გავცვლით. იეხლა რო კვირა-შაფათ ცვლიან ბეისა და ნიშანსა, არ იყო, გენაცვალე, არ იყო კაი. შაფათი შავი შაფათიაო, ასე გვეტყოდნენ ძველები. ახლა გინდა არ გინდა კვირა... კაი იყო პარასკეები იყო, სამშაფათი იყო, ხუთშაფათი იყო. ახლა შაფათი-კვირა.

მერე დაიწყენდნენ... დათქვენდნენ დღესა, რო აბა ამამავალ დროს მოდით და ბეი გავცვალოთო. ბეის გაცვლიდნენ, მუუტანდნენ ერთი ბეჭედი იქნებოდა თუ რა იქნებოდა. ვისაც რანაირი შეძლება ჰქონდათ. ეს ქალი წლანდი იქნებოდა სახში, რა ჭკუა იყო, მითხარ. ახლა ვინ გაუშვანს წლანდი.

მერე რო მოვიდოდნენ, ესენიც გაახმაურენდნენ, ეს ოჯახი, რო, აბა, ბეი გავცვალეთ. ასეა-ისე. მივიდოდით, მოულოცენდით ამათა, რო შენ-

ბეი გაგიცვლია იქა. დათქვენდნენ მერე ნიშანსა, ნიშან რო დათქვენდნენ, მოემზადებოდა ეს ოჯახი, ბიჭისა, დაუძახენდნენ ახლობლებ, განაყოფებ. გამოაცხენდნენ პურ-მარილ, ყველანაირათ, იყიდენდნენ ნაჭერსა. ეხლა რო... შენ თუ არ მოიწონე, მე რა'ნა გიყიდო ეხლა. მაშინ ზაკონი იყო ჩვენი, რასაც მოგიტანდნენ, უნდა დაკმაყოფილებულიყავი. ჭრელი იყო თუ სადა იყო ეს კაბა. ახლა ვიღან გეკითხება, შენი ნაყიდი რატ უნდათ.

მერე ამას იზმოდნენ, შეკრიფენდნენ ხალხ და ნიშან წაიღენდნენ. ვინც კი მინდოდა, ჩემ ახლობელ წავიყვანდი. ძმა იქნებოდა, და იქნებოდა, მიიტანდნენ ამ ნიშანსა, ისიც გადაიხდიდა დიდ იმასა... ქორწილში ვინც'ნა დიეძახა, იმ გოგოს პატრონ, ნიშანიც უნდა ეჭმევინა, სუყველა'ნა დიეძახა. მერე ის... — შენ ნიშანში არ დამიძახე და ქორწილში რაზე მოვიდეო, დიდგულონდნენ მაშინ. ძალაუნებურათ სუყველა'ნა დიეძახა, ი გოგოს პატრონ.

ნიშანსაც მიიტანდნენ, ყველანაირათ, მერე ესენი, მეორე დღეს მოყვრები რო წამოვიდოდნენ, ესენი გაახმაურენდნენ, რო ნიშანი მოიტანეს. ეს გოგოს პატრონი, დაუძახენდნენ თავის ახლობლებსა, რო მოდი, ეს ტანთი დავჭრათ, ტანთი დასაჭრელათ უძახდით. — „ტანთი დასაჭრელათ უძახიანო". ი, ტანთს რო წაუღენდნენ, ტანსაცმელსა, ტკბილ ქადას გამოაცხენდნენ, შიგ ტკბილ გულ გაუკეთენდნენ, რო რძალ ტკბილათ შეხვდნენ, კაი იყვეს, შიგ კანფეტ, რაღაცას ჩააწყენდნენ და მერე ი ხალხ რო დაუძახენდნენ ტანსაცმლის დასაჭრელათ, იმას დასჭრიდნენ და ამ ხალხ აჭმევდნენ, რო ნიშნიდან მოტანილია და ეცდებოდი შენც, რო კაი გაგეგზავნა. კაი ქადა გაგეკეთებინა, თეთრი, ლამაზი, ტკბილი.

მერე, გენაცვალე, ქორწილ გადაწყვეტდნენ და მოიყვანდნენ. ზითებიცა: ერთი ფიჩვი იყო და ერთი ხელი ლოგინი. კრაოტი და რამე როდი იყო მაშინ. სულ ფახირი (სპილენძი) მოტანა იყო, ფახირი ტაფებიო, გუგუმიო, თუ გაგიგონია, ეს თანჯარაო, ეს ორყურა ქვაბიო, კუდიანი ქვაბიო — ასე უძახდით. თუ ერთი ფუთი ტოლა ჩავიდოდა, იმას ყურიან ქვაბ უძახდით. თანჯარა უფრო პატარაი, ფახირისა, ყური ასე ჰქონდა. არც დიდი იყო, არც პატარაი, ისე საშმლი ქვაბი ტოლა. ახლა ალუმინი გამოვიდა იმის მაგივრათ. ერთი ხელი ლოგინი, ერთ ჭილობ გამოატანდნენ, ჭილობი არ იცი, ერთი კიდობანი, გარდირობი - რამე არ იყო. ერთ კიდობანში ჩაალაგენდნენ და...

ვისაც ცოტა ჰქონდა, ცხენს გადაჰკიდავდნენ და მოიტანდნენ. — ჰოო, ზითები მოვიდა, უკვე რძალი მოდის, — დავიძახენდით: — ზითები მოვიდა! — რა ზითები იყო... მერე ეს, ვინც რო მოიტანდა, ის წინდებ ჩააცმევდა, ის, მეფის დედა წინდებ ჩააცმევდა ამ მამტანსა. ახლა საროჩკა შემოვიდა. წინდებ სპეციალურათ მოქსოვდნენ. ეს ვერ დავამთავრე, ეს რძალი, წინდაწინ ემზადებოდა, რანთენი კაცით უნდა მოხვიდეთო? — რო იმას წინდები მიექსვია ჭრელ-ჭრელი. ჭრელი წინდები'ნა მოიექსვია

და იმ ხალხისთვის ყველასთვის ნიშანზე'ნა (ნიშნობის დროს) ჩიეცმია. მერე იმას კიდე, რანთენი ბავშვი ჰყანთ ახლობელი, ნათლიას ჰყანს თუ არა ბავშვი, გაიკითხენდა ეს რძალი, რო პატარ-პატარა ჭრელი წინდები'ნა მიექსვია ამას. რო მივიდოდა, მერე კალთაში ჩაუჯვდენდნენ. ჯერ ნათლიის ბავშვსა, ხოლოთ ბიჭი'ნა ყოფილიყო, რო თითონაც ბიჭი ჰყოლოდა. ასე სუყველას ჩააცმევდა და შიგაც კამფეტებს ჩაუწყობდა, რო ბავშვებ გიეხარდეთ, — ეს პატარძალი.

ქორწილი, რა იყო, გენაცვალე, მაშინ წვნიანს აკეთენდნენ, წვნიან სუპსავით, ხორციანი სუპი. ჯამებით, თიხის ჯამები იყო, დავისხენდით ყველა თავითუნ და ვჭამდით, ცალ-ცალკე, ბევრი არ იყო, იეხლა რო, ვისთუნაც სალამი მიგიცია, რო ყველას უძახი, აგრე არ იყო, გენაცვალე. განაყოფები, ახლობლები, ბევრი არ იყო. ას კაცზე მეტი იყო ძველებური ქორწილი.

ერთი ჭიქა იყო უფრო ძველებურათა, იმას ჩამოატარენდნენ, ახლა ყველას თავისთუნ რო უდგია, აგრე არ იყო მაშინ. პატარძალი მოვიდოდა, ხანჯლებით მაყრები დადგებოდნენ ასე და ტარებზე ცენდნენ, ხმლებ ქვეშ გაატარენდნენ ასე, ხანჯლები ქვეშ.

შევიდოდნენ, მერე ის დედანთილი მუუტანდა პატარძალ ქოთან დაუდგენდა ერბოჰ ქოთან და შემოუროვინენდნენ, აბა, ხანჯლებ დაუნსებდნენ, ნახო, ძირანდი ერბოა, თუ არა. ასე იმათ შეხვდებოდა, მდიდრულათ, რა.

დასხდებოდნენ მერე, ამოირჩევდნენ თამადასა, მერე სანიჭარი იყო, დაძახება, სანიჭარ უძახდით. ეხლა ფული ჩუქნა გამოვიდა. ასე არ იყო, გინდა არ გინდა, ძალაუნებურათ ქადები'ნა დეგეცხო, დააწყენდი ტაბაკზე ასე და ზედაც რა საჩუქარი გქონდა, კაბა გქონდა, თუ ნაჭერი გქონდა, რაღაც ხო უნდა მიგეტანა, ზედ დააწყენდი, ვინც რო ახლობელი იყო, ქათამსაც დატოვენდა, მოხარშილ ქათამ, მიაწოდენდნენ და ერთი თანას ამოირჩევდნენ ამაში, რო შენ დაიძახე სანიჭარი. ვინც რო ჩემი ახლობელი იყო, იმას ამოვირჩევდი მე, სანდო პირ. ახლა რო მიიტანდნენ ამას და ეს დაიძახენდა: — „ჰაი, ღმერთმა ასახელოს ამამავალი, მაგალითათ, ელიზბარაი, თუ სოსოი, — ვიღაცა, არა, — მოუტანია და მოურთმევიაო, ამბობს ეს კაციო, რო, რაღა დღისთუნ მინდა, კაცო, ეს საჩუქრათ მოუტანიაო.

მერე ისიც დაუძახენდა: — ვინ, არი, კაცო, ერთი, ჰალა მოვიდეს, გავიცნოთ ის კაციო. მიართმევდნენ ჭიქასა, დალოცენდნენ. ეს იმაჰ დალოცენდა, ისაც ამაჰ დალოცენდა და ამ საჩუქარსა, თუ რაღაც საჩუქარი იყო, თამადის წინ დატოვენდნენ ამასა და ამ სუფრას წაიღენდნენ და თუ კაი, ცოტა კაი იყო, მაყრებისკენ:

— მიაწოდეთ მაყრებ! — აფერენდნენ ამათ.

ის პურ-მარილი ჩამორიგდებოდა ისოვ იქ, ქორწილშივე. ამ დამძახსაცა

წინდებ აცმევდნენ, ვინც რო სანიჭარ იძახდა, ის პატრონი წინდებ ჩააცმევდა, რო ამხელა იმიტონ ხო არ იჯანგა (ტყუილად ხომ არ გაისარჯა). ეგრე იყო.

## თათრობა

**ინასარიძე ელიზბარი:**

როდესაც აქ ცხოვრონდნენ (თათრები), ჩვენ ვცხოვრობდით აქა, დიდი ხნის მაცხოვრებელი ძველი ქართული სოფელია და ძალიან გვავიწროვებდნენ, ესე იგი, მე ბევრი აღარ მახსოვს, მაგრამ მამაჩემი რო ილაპარაკებდა, გვავიწროვემდნენ ძალიან, გვავიწროვემდნენ იმისთვის, რო მოსულიყვნენ, ქართველები გაედევნათ, ოჯაღებიდან და გაეცარცვათ სახლები. ქართველები ადგებოდნენ, გაიქცეოდნენ ახალციხეში, იქ მუსხელოვი იყო და ვიღაცა ბატონები იყვნენ, ორბელიანი და ისინი, ჩავიდოდნენ, შეეხიზნებოდნენ იმ სახლებ.

ხოდა, მოვიდოდნენ ეს საწყალი ქართველები, ნახანდნენ, რო დაცლილი... ბუმბული და (ბალიშის) შიგნიდან მითილები რომ არიან, ისინი წაღებული და ბუმბულები დაცლილი, მთელი ოჯახი სულ ბუმბულია, ყველაფერი ასე გაპარტახებული, პური, ფიჩვი, ხალიჩა, ყველაფერ დატვირთავდნენ...

**ინასარიძე შუშანა:**

ვის ორმოსაც ვერ მიაგნენდნენ, მაგალითად და ვერ იშოვნიდნენ, ის დარჩებოდა მდიდრათა, მოვიდოდნენ, რო: — აი, ორმო დაგვრჩენია და პური გვაქო. და სხვისას შოვნულონდნენ.

**ინასარიძე ელიზბარი:**

წავიდნენ, ჩვენი განაყოფები იყვნენ და გაიცნეს იქა (იცნეს) მეშოკები და ჯვლები, ჯვლიები იყო მაშინ, ჯვალი და ფიჩვები გაიცნეს. ამ ღრომაში გაიცნეს, სოფელია ღრომა. გაიცნეს და უთხრა, რო ესაო ჩვენებიაო და მაშინ თათრები უფლონდნენ, ძალაუფლობა იმათ ხელში იყო და რას დაუბრუნენდნენ იმასა. მაინც, გაიცნეს და არ დაუბრუნეს ეს ვეში, გაიგე. ეს ლოგინი, ეს ფიჩვი, ხალიჩა არ დაუბრუნეს, არ მიცეს. ესაო ჩვენიაო, უთხრეს, მაგრამ არ მიცეს, ჩვენი განაყოფები იყვნენ აქა, ხოოდა, ასე ძარცვავდნენ ქართველებსა, ძალიან ავიწროებდნენ, ხოოდა ეს იყო, თურქეთის თათრები კი არ იყვნენ, ესენი იყვნენ ადგილობრივი ისინი...

**ინასარიძე შუშანა:**

— ტუზუკები, ტუზუკები, უფრო გლახები.

**ინასარიძე ელიზბარი:**

— ადგილობრივი თათრები, აი, ეძახდნენ იმათ, ჩათას ეძახდნენ. შეიკრიფებოდა რამდენიმე კაცი, ამოვიდოდა თავდასასხმელათ სოფელზე, დაესხებოდნენ თავსა, გაძარცვენდნენ წაიღენდნენ. ასე, და უფრო მეტათ ის თათრები, რომელიც ნამდვილათ (სინამდვილეში) ქართველები იყვნენ და ქართულ გვარს ატარენდნენ და ქონდათ კიდევაც ქართული გვარი და უმეტესად ის თათრები, ხელს უწყობდნენ იმათა და მოდიოდნენ და ძარცვავდნენ ხალხსა. ავიწროვებდნენ.

გადმოდგებოდნენ აქა, კისერას ვეძახით, სერი, აქ ეკლესიაში იმალებოდა ხალხი, ხოოდა, შევიდოდნენ, შიეფარებოდნენ ეკლესიაში და იქიდან ტყვიას უშენდნენ, რო როგორმე შემოსულიყვნენ სოფელში. ერთი მოხუცებული კაცი ვეღარ წავიდა ვეღარსად, სად წასულიყო, საფარაში ვერ წავიდა (უფრო ხშირათ საფარაში მიდიოდნენ, ასე ჩავიდოდნენ ღელეზე და გაიქცეოდნენ და წავიდოდნენ საფარაში.

**ცოლი:** უგზო-უკლოთ წავიდოდითო... მამანთილი იტყოდა...

**ქმარი:** იქ ერთი გახეთქილი კლდეა, გაიგე, პაპაჩემი მისულიყო, მამაჩემის მამა, მისულიყო და ამ კლდეში ასე ჩასულიყო, ახლა ამოსვლა უნდა და ვეღარ ამოსულა, ე მოხუცი კაცი, შიერ-წყურვალი, ერთი კვირა იყო რამდენი ხანი იყო.

მერე იქიდან რო მოვიდა მამაჩემი, ი მოხუცმა გაიგო, რო ეს თათრები წავიდნენ. ქართველები უკვე შემოვიდნენ სოფელში, სოფლის ხალხი, ამ პაპაჩემმა დაუძახა: ბიჭო, საბა! საბა! მოდი აქ, გაჭედილი ვარ და ვერ ამოვსულვარ და მიშველეო.

გავიდნენ, ნახეს, კაცი სად არი, კაცო, სადაღაც ყვირის, მივიდნენ, ჩაიხედეს ამ კლდეში, რო კლდეში გაჭედილა ასე. ამოიწიეს, ამოიყვანეს, მშიერი კაცი, ხელით წამოიყვანეს. ერთი მოხუციც აქ დარჩენილიყო სახლში, ხოდა მიეკლათ და აესე კარებზე გადაეხიდათ ასე და დიეგდოთ იმ კარებში და ბუზი დახვეოდა, დაემატლა.

**ცოლი:** მამაჩემი იტყოდა, რო მეეკლათო ჩვენი მეზობელი კაციო და იმ სახლის ძაღლიც მიეკლათო და თავქვეშ დიედოთო.

**ქმარი:** მამაჩემი ძალიან მაგარი კაცი იყო, მოჭიდავე კაცი იყო, და

განთქმული კაცი იყო, ეშინოდათ თათრებსა, რო ეს ძრავლია და შელოცვილი კაციაო, რაღაცაო, შელოცვილიაო, რო ამასაო ხელი არ ეკიდებაო, რო მოვკიდოთ და ან წავაქციოთ, ან დავჩეხოთო და უნდოდათ, დეენიდნენ, მაგრამ ხელთ არ უვარდებოდა ეს მოხუცებული კაცი.

ხოდა მამაჩემის პაპა იყო კიდე ძლიერი კაცი, დიდი კაცი ყოფილა ერთი ასორმოცდაათ კილოიანი კაცი და მეტრონახევარი ბეჭები ქონია ასე, დიდი კაცი ყოფილა ძალიან, იმის ლაპარაკს კიდე ლაპარაკობენ, რო ძაანო მძლეოსანი კაცი იყოო, ძალიან ისაო და იმისიც ძალიან ეშინოდათ. იქიდან წამოსული, მერე მამაჩემმა დაიკავა იმის ადგილი და პაპაჩემი პატარა კაცი ყოფილა.

მაინც გამოყვა, შვილიშვილ მაინც გამოყვა. ჩვენ კიდე ძმა გვყავდა ერთი, დაჭერილი იყო და ის იქვე მოკვდა და ისაც ძალიან მძლეოსანი ბიჭი იყო, მოჭიდავე ბიჭი იყო, პირველობაზე დადიოდა თბილისში.

ცოლი: ე, ტყის ზევით კი ვერ ავიდოდით, არავის არ შიეძლო რო ასულიყო.

ქმარი: მამაჩემი აქ იჯდა, კარებზე, მოხუცებული იყო უკვე, ოთხმოცი წლის კაცი და ქალები მიდიოდნენ თაში, მარტო, ერთი ქალი მიდიოდა მთაში. დედა, დედა, დედა, რას მევესწარიო, რას მევესწარიო, მარტო ქალიო მთაში მიდისო, ერთი ქალიო მთაში მიდისო!

ცოლი: თავი მოუხდია, კოსა გაუკეთებია და მარტო ქალიო მთაში გარბისო. ათი კაცი უნდა წავყოლოდითო, რო აიქნაანდი ერთი ქალი მიგვეყვანაო.

... თათრებს ეცემათ ამის ძმა, უმფროსი, თურმე შვილი არ რჩება მამანთილსა და მზე ზედ ამოზდის. ეემხელა რო გახდა, უთხრეს, რო წადი ამ ბავშვებსაო, წაჰყევიო და ხარი აძვიეო, სამხრის ხარ გამოუშვენდნენ ჯილღიდან და წავიდოდნენ. წავიდნენ და თათრის შვილებმა თურმე ცემეს აქ, ზევითა. ცემეს და ეს ტირილით ჩამოვიდა. მაშინ რა იყო, არაფერი იყო ძველათ, ცულით იმას თლა, რო კვანტათ'ნა დაუდოს სახურავ, ცულით.

— ბიჭო, ვალოდია, რათ მოხვედი, რა არი, რაშია საქმე.

— აბა თათრი შვილებმა მცემეს. — ეს ცული ისევე აიღო და გაიქცა. როგორ თუ შენ თათრი შვილებმა გცემეს! ავიდა, რო ავიდა ზევითა, კარტოფ კრეფავდნენ თურმე ეს ხალხი და ნათლიმამაა ამათი, შიატყო, რო საბა ნათლიო, სად გარბიხარ, რაღაც შენ გლახა იმითი გარბიხარო და ეს კაცი ჩუმათ უკან მიზდევს, რო საცხას არავის ეჩხუბოს, რო ავიდა და ამ თათარს'ნა გადაუღოს ეს ცული'ნა დაარტყას და უკან დაუბრუნა: — რას შვრები ნათლიო, ნათლიმამამ უთხრა, მოიხედა და, ეჰ, პალე ნათლიო, ეს კაცი'ნა მამეკლა შენ რატო დამიჭირეო და ეს კაცი რო არ

აცემინა ამამ, დაიჭირა ეს გუთანი, ხარიანათ, ისევე ჯილღა, გოგორაჲ ისევე მოირეკა და ჩამოიყვანა აქა. ეს ჯილღა-გოგორაჲ ისევე ჩამორეკა თათრისა.

— შიშით ვერ ჩამოდიან ესენი, რო ჩამოვიდნენ და ეს წაასხან, მერე შემოუთვალეს, რო აბა ასეც იქნება საბა - ტაჲაჯან, ისეც იქნება, მოგვეცი ეგ ხარი. — როგორ თუ თქვენ ჩემი შვილი ცემეთო, აბა!

ქმარი: აი, ისპალკომს ეძახდნენ, ის ჩამოგზავნეს, რო ის არიო... ცხრა უღელა ხარი ჩამორეკა და სამი გუთანი ჩამოიტანა. აქ არი, აქ დიდი ადგილი იყო, ასე ეზო არი, ხოდა ჩამოგზავნა, რო გინდა-არ გინდა, — საბა-ქირვას ეძახდნენ, საბა-ქირვაო, გინდა-არ გინდა ეს ხარი და ისა, უნდა წავიყვანოთო, მერე უთხრა, კიდე გაიმეორებენ — მეტი მოუვათო. ხოდა მისცა ეს ხარები, გუთანიც და წაიყვანეს, წავიდნენ.

ცოლი: ეს მამანთილი ავათ იყო და თავის ნათლიმამა გამოვიდა აქა. გამოვიდა სანახავათა. ახლა მე ცალკე ვარ და ამ სახლის რძალი მაშვე დატრიალდა, პურ-მარილი მუუტანა. მუუტანა და ამ მამანთილმა: — ნახევარი კვერცხი შეჭამა და ამ ნათლიმამამ თავი გაიქნია, — ნათლიმამამ, რატო გაიქნიე თავი-მეთქვი და: — თორმეტ ბიშ (ბიში — ცხიმში გამომცხვარი პური) შჭანდა ესაო. თორმეტ ბიშ ერთბაშათ! ჰოდა, ახლაო, კაცოო, ნახევარი კვერცხი ვერ შეჭამაო. მე რო ამის ამბავი მოგიყვეო, რძლიებოო, იტყვითო, რო, ეს სად წავიდა ეს მამანთილი, რო ნახევარ კვერცხ შჭანსო. ისევე ჯამით დაიჭერდა და ერბოს ლევდაო, ისე პატარა კაცი იყო.

ოშორიდანაო, თათრის სოფლიდანაო, მოვიდაო, ის, — ფალევანი, მოჭიდავე. მოვიდაო ამ თეთრ მიწასთან, კისათიბი ხო იცი, კისათიბი იყო თათრის სოფელი და მანდაო.

...ეხლაო შვილოო, რო მიდიხართო თეატრში და კინოში, მაშინ ჩვენი ისა ეგ იყოო, მოჭიდავიები მოვიდოდნენ, რაღაცაო და მაგაზე ვერთობოდითო. ავდექითო და ეს თელი სოფელი წავედითო, რო იქაო მოჭიდავე მოდისო და ხოლოთ ამ კისათიბშიც ერთი ფალევანიაო და ის მოვიდა, რო ამას'ნა ეჭიდაოსო და ეს ცოტა კისათიბელიო ხანში შესულიაო, — ეს კაცი ლაპარაკონს.

ჩვენცაო აველითო, აველითო, დაარტყეს კრუგიო და მაშინ დაუ-ზურნით იყო ჭიდაობა, იეხლაც კი გამოდის ძველებური ამბავი ტელე-ვიზორში. დაარტყეს კრუგიო. ახლა ეს ოშორელი თათარი რო დაინახოო, ერთი დიდი გორა არი ისევეო. არც თავი ეტყობა და არცაო (არც არაფერიო), ისევე შეგეშინდება, რო მიეცქიროო.

ამ კისათიბელსა იწოვს და არ გამოდისო. იწოვს ამ საჭიდაოზე. არ გამოდისო. ამ თქვენ მამანთილმაო დაიწყო ერთი ცოცმანიო.

— მე'ნა გავარდეო! — მოუდა გულიო.

ვეუბნებითო, რო: — საბაჯან, შენ გენაცვალე, დაგვხოცებენ, ე თათრები, ხელი არ გაანძრიო.

— როგორ, ის რო არ გამოვიდეს, მე'ნა გავიდეო!

— ბიჭო, შენ იემხელა ხარო, ის იმხელა, სახლი ტოლა არიო, რა'ნა უყო შენ იმასაო.

ეს თქვენი მამანთილიცაო, დგარ და ჩვენ ვეუბნებითო, საბაჯან, შენ გენაცვალეო, შენაო დედისერთა ხარო და ესენი მოგკლებენო, ჩვენც გვცემენო, და არ გახვიდეო, ე კვდარი როგორ მიგიყვანოთო, — ერთი შვილის პატრონიო.

— არაო, გული მამდისო, რო ის არ გამოდისო.

მარა, გვეშინია თათრებისაო, ისე, იმხელა, რო ისე უყურამთო. ერთიო, გოგოჯან, დაიჭირაო და ი რო გამოიწვია, რო არ გამოვიდაო, ეს ბლუზიო გასწიაო და კი არ გასხნა, ისევე გახიაო, გადაიძრო და რო გავარდაო, არა: — რა'ნა უყოს! — ტირილი დავიწყეთო ანდრიაწშინდელებმაო, ვინც წაჭყევით ამასაო.

გავარდა ერთი, შეუჯდა ამასაო, ამ თათარმა რო მოჰკიდაო ეს ხელი და გააბზრიალაო, დაბზრიალდა, დაბზრიალდა და გავიდა იქით მხარეს და არ წაიქცა, გაუმაგრდა და ფეხზე დადგაო. ფეხზე დადგაო, გამოვიდაო. გამოვიდა ესაო, ვეხვეწებითო, რო, არ გახვიდე, რა იქნება, დაგვხოცებენ ყველასაო. წაგაქციოსო — მოგკლავსო, წააქციოო — მოგკლებენო თათრებიო.

მეორეთ რო გავარდა არაო, რო შეუჯდაო, ჯერ უთხრაო იმ თათარმაო, რო:

— რო წავაქციო, სად გადვისროლოო, თათრულათ უთხრაო.

ეს ფაშა ეუბნებაო, რო — სადაც გინდაო.

ჩვენ ვთქვითო, რო, რა ვქნათ ახლაო, სოფელი რო ასეა, დაბალა იმისკენ, ბაიებს ვეძახით, ისე გადაისროლა. რო გავარდა მეორეთ და მოიკრიფა ძალ-ღონეო ამ პატარა კაცმა და რო შეუჯდა ამხელა კაცსაო და იესე დასცხოო, ეჯო რო ქნაო არაო, (დასცა და) ახლა ამაზე ტირილი დავიწყეთ, რო დაგვხოცო'ნა.

მერეო თათრებ გეეხარდათ, ამ ფაშასაო. მოვიდა და გადამკოცნაო. გადამკოცნაო და დღესანც არ ვიცი, შვილო, იმან სირცხვილით ის ტანსაცმელი აიღოო და სითკენ წავიდა, დღესანც არ ვიცითო.

„იშტა ალავერ აჯახო", თათრულათ იტყოდა ხოლმე, — არ დაგვხოცესო, გამოვიარეთ, წამოვედითო და ის ბლუზიც გახია იქაო და ტვიტელაი დავრჩითო. ასეთნაირი ის იყო და მაინც მოსდევდა ძალ-ღონე.

ამ მამანთილის მამა მიდის მუსხში იმათა, სტუმრათა და მუსხში იესე მოკლეზე, გადასასვლელია, თუ იცით, იე წისქვილებიდანა, ჰო, ამ მოკლეზე

მიდის, მივიდა, რო, რაშია საქმე — ურემი, ძველებური დიდი ურემი, თუ დაგინახიათ, თქვენ არავინ მოსწრებიხართ, დიდი ურემი იყო, ორი ძირი ის ედობოდა, ზვინი, შეუმბიათ ერთი ხარი და ერთი კამეჩიო, ამ ძირში, ურმი ძირში და წინა ხარებიც კიდე სხვიებია. — რაშია საქმეო, რა არიო, რატო დგახართ, რატო არ მიგაქთო და: — რატო და ამ ხარმაო არ გაუწია იმასაო.

— მაშინ ტოლი დაუდეთო. ტოლი, ამ, ტაბიკები რო იყო, იქით იმას გადაიტანდი და ტოლი დადება ასე იყო. ჰოდა, ეგეც ვქენეთ და მაინც ვერ გაუწიაო და ხარი წევს და კამეჩი დგას.

მაშინ, გენაცვალე, არ იყო, ფეხთ უძახდით, ახალ ქალამან ჩაიცვენდა, როდეცა რო სტუმრათ წავიდოდა და სახში თუ იყო, ძველი, გაღვედილ უძახდით. გაღვედენდენ, რაგორც წინდას გამოვნემსამთ, ისე.

ახალ ქალამნებით მიდის სტუმრათა, მაშინ გამუუშვა ეს ხარიო, ამის პაპამ, მამანთილის პაპამ, ხარი გამუუშვა და კამეჩსაო, ტოლდადებულსა, შიემბა თითონ და აიტანა იმი თაზეო. მერე უთხრაო, რო მოდით ახლა, შეუბით ხარი და დაღმა წაიღეთო და დაჰკვირდაო, რო ქალმანის ძირები გაცვეთილი იყო, აღარ ჰქონდაო, ისეთი ღონიერი, მძლავრი კაცი იყოო.

წამოვიდოდა იქიდან სეტყვა, წვიმაო და: — მე ვთქვი და მე ვთქვი! მე ვთქვი და მე ვთქვი! — ეს ბერიკაცი თურმე უძახის. მარტო კისერზე იესე ვერ მოავლენდი ხელსაო, ეს ძველები იტყოდნენ და სხვებიც იტყოდნენ და იმ სეტყვას აბრუნენდა უკანაო, ისეთი კაცი იყოო, და იქ ურემი აიტანა თავზეო და იეხლა არავის ავიწყდება: ამ მამანთილი ნათლია არი და ზველიდან მოჰყანს ამ ჩვენ მეზობელ ქალი, ხოლოთ, ეს ნათლიათ არი.

ეს მამაძაღლი თათარი აუხტა ჭობარეთიდან, აუხტა და ჩაუდგა წინ. ჩაუდგა წინ. მაყრიონი მიდის წინ ცხენებით, მაშინ ცხენებით იყო ქორწილი, ეს შეჩერდა ეს ქორწილიო, ჩვენ უთხარითო, რო რაშია საქმეო, მე ნათლია ვარ, არ'ნა გავინძრეო. ჩამოვიდე ცხენიდანაო, ნათლია ვარ, ძიმეთ'ნა ვიჯდე მეო, არ ჩამოვიდე — რა ვქნაო. უთხარიო, რო: — რაშია საქმე, რატო არ გასწიეთ ცხენებიო და: — თათარი ამოგვიხტა და პატარძალ გვთხრესო. ანა ხვსგმიო — ესე, თათრულათ, ხვსგმიო — ესე იგი, თავისნაირი გამოვიდეს, მოჭიდავე, იმას დიეჭიდოს, ვინც წააქცევს და, თუ არა და პატარძალიო.

— ახლა რა ვქნა, ჩამოვიდეო, მე ნათლია ვარო... რო არ იქნა და არ იქნა, ჩამოვხტი ცხენიდანაო და რო მივედი და მოვკიდე ამ კაცსაო, მაშინდელი ისინი, ერდვიები იყო, გადამბული ერდვიები, რო მოვკიდე ხელი და ასე გავისროლეო, დაბზრიალდა და ერდოს იქით გადავარდაო ეს კაციო. უთხარიო, რო გასწიეთ ახლა ცხენები და წადითო.

***

მე გოგო გავათხვიე იმაში, ჭობარეთში და იქ რო გაველით მოყვრათა ამათ უთხრეს, რო ვისი შვილი ხარ, რა ხარ და მერე ამამ უთხრა, რო მეო საბას შვილი ვარო.

— ოი, საბას ვენაცვალეთო, საბასო. ცოცხალია ისოვო? ბევრი მოკითხვა წაუღეთო, რო ასეო ჩვენი მტერიო (თურმე იმათაც ავიწროვანს ეს თათარი, ჭობარეთში ნახევარი თათარი იყო, ნახევარი — ქართველი) ასე-ასე გააკეთაო და გადაისროლა ერთი, ბოზოს უძახდნენო, ერდოდან გადაისროლა და ჩვენ ვთქვითო, რო შენ აგიყვავდეს ხელები, რა კარგა ქენეო.

ასეთნაირათ ავიწროვენდნენ. ზოგი კიდე მიადგებოდა: — აპა, პატარძალი! მეცხვარე შეუხვდებოდა ვიღაცა, მუუყვანდა იმასა, ვერძსა, ამ პატარძალ ცხენზე რო ზის, თუ ასწევს, ის ვერძი იმისია, თუ ვერ ასწევს, ეხლა პატარძალი იმისია.

...ამის გარე ბიცოლა იყო, თურმე ძრავლი ქალი იყო. უკნიდან ეს ცხენის ის დაიჭირეს, გვერდიდან, რო ქალი არ გადაყირავდეს, უნაგირი. დასწვდა მატყლში და რო წამოავლო, წამოისროლა ცხენზე და მერე ტირილი დაიწყო ამ მამაძაღლმა, ამ თათარმაო.

— ახლა რა ექნარო, ეგ ერთი ვერძი მყანსო. თუარა, თუ ის ვერ ასწევდა, რძალ ართმევდა, ასე ავიწროვენდნენ ყველაფერში ეგ ძაღლები. ახლა აუღიათ თავი და მოდიან აქა.

საფარიდანა შკაპი წაიღეს იმ დროს თალანზე. თალან ვეძახდით. თალანზე და მერე ეს თათრები რო გაასახლეს არა, ცოტა-ბევრი ჩვენც გავაკეთეთ ეს თალანი და აქ ჩამოიტანა მეზობელმა იქიდან წაღებული შკაპი. სანთლების დასანთობი ჰქონდა გვერდზე. მერე მოხუცებმა ყველამ თქვეს, რო ეგ საფარიდან არი წაღებულიო. აქედან წაღებული ფიჩვი გაიცნეს (იცნეს) იქა, ღრომაში. ღრომა, ღრომა იექვე, თეთრ მიწი ქვეშ რო არი.

**ინასარიძე ელიზბარი:** (გაქცევის ამბავს ყვებოდა) მამაჩემიო, რო ჩაველითო, მე რავი, რაღაც სახლები იყოო და, ისევე ისე, როგორც საქონელი შერეკო, ისევე შერეკენდნენ. გაჩნდა ტიფი, უბედურობაო. დავრჩით შიერებიო, რიერთ (რამდენს) წაიღენდნენ.

ასევე გარბოდნენ ტყეზე, კლდეზე, ისე, უგზო-უკლოთ თურმე ერთი ბებერი ჩამორჩა და უძახის. დამიცადეთ, აიო, იმას ვიზამო, დავიყვირამო და ხმაზეო თათრები მიაგნებენ, აქ ქართველები გარბიანო. დავიყვირამ, აიო, დამიცადეთო. ძალაუნებურათ უცდიდნენ ი ბებერ, რა ექნათ.

ჩაველით, დავრჩით შიერებიო, ადგა და მოხუცი მამაჩემიო წამოვიდაო, რო, შვილო, ავალო მალვით, რაღაც მოფარევებითაო და ცოტა ჩამოვიტან

მაინცაო პურსაო. ამოვიდა და რაერთ წაიღენდა ზურგითაო. ორ ფუთ ჩაჰყრის თუ სამ ფუთ, რაღაცასა და ასე წავიდა თურმე და ჭაჭარაქზე გაიარა.

ჭაჭარაქის სომხებიო უჭერენ მხარესაო თათრებსაო. გადმუუხტნენ თურმე გზაში ამას, პური წაართვეს, ისე ცემეს, ისე ცემეს, რო ორ დღეს ველარ გაძლო მამაჩემმაო. მერე მიიყვანესო, მანდ სადაღაც დამარხესო და არ ვიცით იეხლა საფლავიო. გაჭირება იყო, მამა იყო, მარა რა მექნაო. იმხელა, რო ისევე ჩააგდეს თურმე და... აი, ასეთნაირათ გვაწამენდნენო.

***

...ბორჯომი ყოფილა აქა, ძველი, ბორჯომი. საფლავი გათხარეს, ამოიღეს ოქრუები შიგიდანა. დაკრძალული მიცვალებული. ქვები, გათლილი ქვები ჩაწყობილი კოხტად და ზეიდანაც თხელი ფიქალი ედო... ტრაქტორმა რო გაიარა, ის ჩავარდა... ბორჯომში რო გადასულან აქედანა, მერე შეუცვლიათ სახელი... უფრო ბევრი ხალხი ჩასულა, ვიდრე იქ მაცხოვრებელი ყოფილა... ამის სახელი დაურქმევიათ იქ ბორჯომისთუნ. ბორჯმები... ნამდვილი ბორჯომი აქ ყოფილა. ეხლა არის, მიწებს ვეძახით რა, გაუქმებული ყანები, ნაკვეთები (ბორჯმები).

— რა სოფლები იყო აქ.

— აქ იყო ღრომა, — აღარ არი. ოსები ჩაასახლეს და გაიქცნენ, არ გაჩერდნენ. მერე კისათიბი იყო, ოსები ჩაასახლეს — გაიქცნენ. ქურდები იყვნენ ძალიან. იქ არი ქვევით, ბაიებია, იქ არავის არ უცხოვრია, ქართული სოფელია, ეკლესიაც არი. საფლავები ისოვ არის. ეს, თათრების გასახლებამდის ეს სოფელი ყოფილა. ბაიები. აქეთ არი არჯული, ანდა, ჩაკიდულა, ოხომა, ულვა, ძაღლათუბანი.

ცოლი:
...ღმერთსაო, ჭიქა ვიგდე ხელსაო,
ორივე მხარეს გაუმარჯოს სტუმარ-მასპინძელსაო.
შინაურსა, გარეულსა, კარის მეზობლებსაო,
წვრიშვილი ამოუწყდეს, ჯამაათნო, თქვენსა მტერსაო.
თქვენ კი ათ-ათი შვილი მოგცეთ,
ერთი არ გაკლდეთაო.
ზოგი კოსმოსში გაგზავნეთ,
ზოგი შინ დაგრჩესაო.
მრავალ ელიობას დაესწარით, შვიდობით ჯანმრთელობით.

**სუდაძე თამარა, 1927 წ. ახალციხე, სოფ. წყორძა, 1991 წ (გამოთხოვილია ვალედან)**

## თათრობა

ამ გორის უკან არის, ღრომას ეძახიან, თათრის სოფელია. ეხლა ეს ისე იყვნენ ჩვენთანა, რო სანამ თათრები ცხოვრომდნენო აქაო არა, აი, მაღლა ამ სოფლის ზემოდან არის ტყე ხო არის, იყვნენ ტყიები და იქნამდიო ქალს არ შეეძლოო, რო მარტო წასულიყო მთაშიო, თუ არ წაყვებოდნენ თავიანთი ან ქმები (ქმრები, მ.ბ.) ან მამაკაცებიო... ჰოდა იქიდანაცაო, იმ გორიდანაო რო დადგებოდნენო, ისინიო, თათრებიო არა, აქეთკენ სახლებში ჯურღმულებში და რაღაცაში იმალებოდნენო, თავის დასაცავათ, რო არ დაეხოცათ. ზოგი მოხუცი ამბობდა, არაო, ჩვენ დოსტებიც გვყავდაო, ზოგიო კარგები იყვნენო... ყოველ შემოდგომაზე და გაზაფხულზე იძახდნენ: — თათრები მოდიან, თათრები მოდიან... — მაშინაო კაი დღეს გვაყრიდნენო, რო ახლაცაო კაი დღე დაგვაყარონო...

## ოჯახი, მეურნეობა

(ჩემი ვაჟი და) ...მეზობელი ბიჭი, მეოთხეკლასელები... ჰოდა, პაპიროს წევდნენ, შეხვდათ რეზო სუდაძე, აქ თავჯდომარე, იყო მაშინ იმითვის ვერ გაებედა, მე ნათესავი ვარ, იმისი და ჩემი ძმის ცოლია და ჩემზე ეხლა, დიდგულად დაეჭირა ესა და მაგრად ეცემა.

ეხლა, ველაპარაკებოდით, რძალია, ახალმოყვანილი გვყავს და, ველაპარაკებოდი... მერე მოვალო, გავიგე... მითხრა რო შენი ბიჭი დავიჭირე და მაგრათ ვცემეო... მეც რო მოვედი, და ის არის, ეს სახში რო შევედი, ეს სახში იყო, ბერიკაციც მყავდა მაშინ, მამამთილი, რო შევედი სახში არა, იქეთ ფილთაქვაც შემხვდა და ვესროლე, ამას თავში. თავი ესე ოდნავ გვერდზე გაიღო და ფილთაქვა კედელზე მოხვდა და დაიმსხვრა.

მერე ბერიკაცმა დამიწყო ლაპარაკი, ჯავრობა, შვილო, რო მოხვედროდა თავში, ხო მოხვდებოდა და ხო მოკლავდა, ხო ასე იქნებოდა და ხო ისე იქნებოდა. აპა, მე უთხარი, მეოთხე კლასელი რა არი, რო პაპიროს სწევს. მითხრა აპა? დიდი რო იყოს, მეათეკლასელი რო იყოს, კიდე ჯანდაბას, ჰა, მოსწიოს.

...მუშაობდნენ მაგრათ, მაგრათ მუშაობდნენ. დილით რო დედაჩემი მაღვიძებდა ხოლმე, არა და თანაც ფეხზეც არ მეცვა, მაშინ არ იშოვებოდა, ომის პერიოდი... ომის პერიოდი კი არა, ადრე იყო, ომზე ადრე იყო,

ჰოდა, არ იშოვებოდა და მთელი ზაფხული ფეხშველი დავდიოდი, ფეხშიშველი ამ სიცივეში, დილით უთენია ექვს საათზე ადექი, წადი, რო კალოზე იმუშაო. მთელი დღე ეს ბავშვები კვერზე ვიდექით.

დიდები დაჯდებოდნენ ჩრდილში, ან აუქცევდნენ... ჩვენ ბავშვები ვისხედით კვერზე ჩამოლამებულები... როდის დაღამებულიყო ან როდის გალეწილიყო ეს ნამჯა, რო ჩვენ გვშველებოდა და გადმოვსულიყავით. მერეც ხარები უნდა წაგვესხა და გვებალახებინა მინდორში, რო ადრე იყო და დილამდე ხო საქონელი არ გაძლებდა მშიერსა... უნდა წაგვესხა ამ ბავშვებსა და გვეძოვებინა უნდა. ასე წვალებით გავატარე, საშუალო დავამთავრე. მერე მასწავლებლათ დავიწყე მუშაობა ნაოხრებში. შუადღემდის მასწავლებლათ ვმუშაობდი, იქ ვიყავი სოფელში და რო გადმოვიდოდი, კოლმეურნეობაში კიდე მივდიოდი და ვმუშაობდი.

## სარწმუნოება

...ჩვენი ოჯახი ფრანგები ვართ მაგრამ სხვანაირათ ვლაპარაკობთ. ჩვენ ვცხოვრობთ (ვალეში) აესე საზღვარზე ქართველების და ფრანგების (კათოლიკეები) ... ჩვენ უფრო ხშირათ გვიხდებოდა, მამაჩემსაც, დედაჩემსაც, მეც ხშირათ გვიხდებოდა ქართველებთან მეზობლობა, ვიდრე ფრანგებთანა. სულ ქართველებთან ვიზდებოდი. ამხანაგები ქართველები მყავდა, იმათთან ვამხანაგობდი, თელი დღე იმათთან ვიყავი და საერთოთ მე ეხლა ფრანგულათ აღარ ვლაპარაკობ.

იმათ სხვადასხვა რამეების სიტყვების დამატება იციან, რაცაღა იციან და მე არ ვლაპარაკობ იმათებურათა. იმიტომაც, რო მე უფრო ქართველებთან მქონდა მეტი წილი ამხანაგობა. — არაფერი განსხვავება არ არის.

რა განსხვავებაა ეხლა, მეჩვიდმეტე საუკუნეში რო თურქეთი შემოვიდა და შემოვიდა საფრანგეთიც. საფრანგეთიც იყო. ფრანგებმა უთხრეს, ამ ხალხსა, ქართველ ხალხსა, რო ვინცა რო ფრანგულ... კათოლიკურ სარწმუნოებას მიიღებსო, იმას არ გავათათრებთო, და ვინც რო არ მიიღებსო, ის გათათრდეს უნდაო. ეს ვინც ის ქნილა, მიმხრობია კათოლიკეებს არა, საფრანგეთსა, ისინი კათოლიკებად გამხდარა და ეხლა ფრანგებს უძახიან იმიტომ, რო საფრანგეთი იყო მაშინა, თავი და თავი...

ვალელები, მაგალითათ, ისე, ყოფილან ბევრი. სამ-სამი ძმა, და რომ წამოსულან გზაში, გზა და გზა წამოსულან, პატარა ძმა ერთი ვიცი, ჩიტაძეები არიან, ჩიტაშვილები და ყუშიოღლები — თათრები. ჰოდა, რო წამოსულან სამი ძმა არა, პატარა ძმას დასძინებია, მეორე შახტა რომ არის, ვალეში, თუ იცით, იმის მაღლა სერებზე, იქ დასძინებია და

დაუტოვიათ ის იქა, ამ ორ ძმას. თითონ წამოსულან. ერთს კათოლიკური სარწმუნოება მიუღია, ფრანგობა მიუღია, მეორეს — თათრობა — გამაჰმადიანებულა. ეხლა, რომელიც რო ქართველათ დარჩა, ის ჩიტაძეი დარჩა, რომელიც რო დაეძინა ბავშვს იქა, ის ჩიტაძე დარჩა. მეორე ჩიტაშვილი გახდა, ერთი, და ერთი ყუშოტებს ვეძახით, ყუში ჩიტია თათრულათა, ყუში ოღლები იყვნენ ისინი.

— რელიგიური თვალსაზრისით რა განსხვავებაა კიდე?

— აი, ეკლესიას ჩვენ უვლით აი ასე, ფრანგები და ესენი (მართლმადიდებლები) ასე უვლიან (მიმართულებას აჩვენებს). პირჯვარს ასე ვიწერთ. ესენი ასე იწერენ. ლოცვები არ იციან ამათ იმდენი, რაც ჩვენ ფრანგებმა იციან ლოცვები. იციან ნახევარი. „მამაო ჩვენო" ნახევარი იციან, „გიხაროდენ" ნახევარი იციან, „მრწამსი"...

***

...დააპატიმრეს, ღვდლები დააპატიმრეს, ჩვენთან ერთი ქომელი ღვდელი იყო, ახალციხეში ჰყავდა ძმები. ჰოდა ის არის, იმის მერე არა, ფრანგებსა მართალია ეკლესია დაუკეტეს, მაგრამ ერთი დღე ლოცვა არ შეუწყვეტიათ ეკლესიაში.

ეკლესიის გვერდზე სახლები იყო, ეს ისინი, ხატები და რამეები სულ გამოიტანეს, მოიპარეს, გამოიტანეს, არ დატოვეს ეკლესიაში, ჰოდა ის შეიტანეს იმ სახლებში და იქ ლოცულომდნენ, დადიოდნენ და სულ ლოცულომდნენ. ქართველები არა, მარტო დღეობა იციან, ღვთიშობლობა იციან ოცდახუთ სექტემბერს, მარიობას საფარაში მიდიან და ჩვენები არა, ერთი კვირადღე არ გასულა, რომ არ ელოცათ, ეკლესიაში არ წასულიყვნენ.

. თანაც ბევრი წიგნები აქვთ ფრანგებს, ბევრი წიგნები. ქართველებს_ არა აქვთ ამდენი წიგნები. მე აქ წიგნი ვერა ვნახე და არ ვიცი. ვერავისთან ვერ ვნახე. ლუბოი ადამიანს ვალეში ამხელა პარტეზს ვეძახით ჩვენა, პარტეზი აქვს. ლუბოი ადამიანს, ვინც გინდა, ის იყოს დედაჩემსაც ქონდა და მერე ჩვენ ორმოცდათერთმეტ წელში გაგვასახლეს კაზახსტანში და მაშინ დაიკარგა ეს წიგნი, რავი, სად ჩავარდა, სად არ ჩავარდა და დაიკარგა.

ბიცოლაჩემს ჰქონდა მთლიანი წიგნი, მთლიანი. ეხლაცა აქეს ბიცოლაჩემს, ეკლესიაში რო შეხვიდე არა, ყველას წიგნი უპირავს და თუ არ იცის ზეპირათ იმას კითხულობს და ეგრე მიყვება, ხალხი რო ლოცულობენ.

აქ რო მოვედი არა — ფრანგებმა საღვთო არ იციან საერთოთ, არ კლავდნენ ადრე. ეხლა შემოიღეს და კლავენ. ჰოდა, წაველით საფარაში, დედამთილმა წამიყვანა საფარაში. ჩემი მაზლიც არი, ჩემი ქმარიც არი, სუყველანი, ბევრი, — მთელი ამ სოფლის ახალგაზრდობა, კაცები და

რძლები და რავი... ერთი რვა სამღვთო იყო მაინც, სულ ბატკნები.

ეხლა, ხორცი მინდა, აი გაგიჟებით მინდა ხორცი და ვერ მიჭამია. ვერ მიჭამია აი, აი იესე ხელ რო წავიღებ არა, ისოვ ისე უკან მიმაქ, ვიტაცებ, რო, სამღვთო როგორ უნდა ვჭამო. დედაჩემი გვეტყოდა ხოლმე, რო ესაო, სამღვთოო იგივე ადამიანის ხორცია, არ შეიძლება მაგი ჭამაო.

ჰოდა მეც ვერ ვჭამე, მერე რო წამოვედით და რო წავედი ვალეში შემთხვევით მერე, დედაჩემს უთხარ დედა-მეთქი, საფარაში ვიყაი-მეთქი და ხორცი ძალიან მინდოდა-მეთქი და არ ვჭამე, რო ისა-მეთქი, სამღვთო რო იყო-მეთქი, აი, სულითა და გულით მინდოდა-მეთქი, ხელს რო წავიღებდი-მეთქი კლავი ისევ ისე უკან მიტაცებდა-მეთქი, რო — არ აიღო! — შენაო, იცი, რა ქენეო, ჭამეო, ოღონდ არ იფიქროო, რო სამღვთო არიო.

## ივანიძე არჩილ, 1913 წ. ახალციხე, სოფ. მუსხი, 1991 წ. თათრობა

...დედაჩემს, ისა... სამკაული რა, ძველებური, ოქრო, ვერცხლი, რაღიებიც შენახული ჰქონდა, გამოკრილი ქონდა და უცებ რო თათრები შემოვიდნენ, ვეღარ მიმალა უცაბედად და მერე თავში იცემდა, ნანიობდა, რო რატ არ გავფრთხილდი, კაცო, რო თათარი შემოსული იყო, რატ არ გადავმალეო, რატ არ ჩავმარხეო. ეს დაჩხრიკეს ეს ყველაფერი და რაც შეხვდათ თათრებ, ყველაფერი წაიღეს. იმი ჩასაცმელები, ახალი კაბები, სამკაულები, რაც ქონდა, ყველაფერი, ყველაფერი. რა საცოდაობა იყო, კაცო.

...პაპაჩემმა... გარეთ სამგზავროთ ვერ გავიდოდით, წისქვილში ვერ წავიდოდით, სადმე ვერ წავიდოდით. პაპაჩემმა გამორეკა, საბალახოთ ცხვარი გამორეკა. გარეკა და მაღლა მთაზე, ფერდობში საძოვნელათ არეკა, მაღლა, მთაზე, გორაზე. მამაჩემი არ უშვებდა პაპაჩემს რო: — მოჭკლამენ, მამა, მოჭკლამენ (მოჭკლამენ — მოგკლამენ), დიე, ეყაროს ცხვრები, არ დაიხოცებიან მშიერი, როგორც არი, გამოვკვებავთო.

— არა, ვის რას ვერჩი, შვილოო, ცხვრების დატვიება არ შეიძლებაო.

ამან არ მიერიდა, არავისი არ ეშინოდა: — ვისთან რა დამიშავებია, მე არ მამკლებენ მე. პაპაჩემიც კაი მოხუცებული კაცი იქნებოდა იმ დროს ალბათ იქნებოდა ერთი სამოცდაათი წლისა. ჰო, მეც ვიქნებოდი ერთი ექვსი-შვიდი წლის. შვიდი წლის. გარეკა ცხვარი, რო გარეკა ამ თათრებმა მიიპატიჟეს.

— მოდიო, პაპიროზი მოგაწევინოთო, ბერიკაცოო, დაისვენეო, არ გერჩით, ნუ გეშინია, მოდი ჩვენთან ახლოსაო. ჩვენაო შინაური თათრები

ვართო, მოატყვილეს, აქედან — იქიდან, ეს პაპაჩემიც მივიდა, პაპიროზი მოსწიეს, დაიწყეს თათრულათ ლაპარაკი, საუბარი

. ამასობაში კარგა დრო გავიდა და ამათ უთხრეს, რო — თქვენებ გასძახე აქედანაო, (სოფელი ჩამდა იქიდან კარგათ, მაღლობზე არიან, ეს ძველ მუსხში). პაპაჩემმა გამოსძახა პირიქით, რო — შინ შედითო.

— შენ გასძახეო, რო გარეთ გამოდითო! ამამ გასძახა, რო — შინ შედითო. — შებრუნებულათ. ამასობაში დაბრუნდა, რო დამთავრდა ამათი საუბარი, ლაპარაკი და დაბრუნდა, წამოვიდა ცხვრისკენ რო წამოვიდა და უკნიდან დაახალეს თოფი და პაპაჩემი მოკლეს.

უკვე გავიგეთ სოფელში. ყველამ გავიგეთ, ი ვინც გაიგონა თოფის ხმა რო, აჰაო, ბერიკაციო მოკლესო, სხვებმა სთქვეს.

მერე იქიდან მიცვალებულის ჩამოყვანა ვერავინ ვერ გაბედა და ერთი ბებერია ჩვენ გვარიდან, ერთი ივანიძეებიდან არიან, ზედმეტ სახელ ქინქლა-ბებერს უძახოდით, პატარა ბებერი იყო, ვერავინ ვერ გაბედა იქ ასვლა, იმამ გაბედა, გააკეთა სალაჯი, ისა, რას ერქვიან, (— რაზეც გვამი უნდა დაიდოს ხო?). ორი ჯოხი გააკეთა, თოკებით გახლანთა-გამოხლანთა და ეს მიცვალებული, როგორც იყო, ზედ მოათავსა და თრევა-თრევით ამ... თავქვე-თავქვე ღელემდი ჩამოიყვანა. მერე ახალგაზდები... მერე სხვებმა გაბედეს ჩასვლა და ღელიდან ამოიყვანეს. ის მახსოვს, მე მაშინ შვიდი წლისა ვიყავი, რო პაპაჩემი რო მოიყვანეს და დაასვენეს მიცვალებული.

...როგორც ჩვენ, დადეშლიანთ... იმათი ბებერი, წისქვილში ვერავინ... მამაკაცები ვერ მიდიოდნენ, რო არ მოკლანო და ბებრებმა იკისრეს, ქალებმა და საკიდებზე (სახედრებზე) აჰკიდეს ეს ისა, ხორბალი დასაფ-ქველათ და წისქვილში წამოიღეს. ის ბებერი, ორი ბებერი ერთათ მოეკლათ გზაში, იმ თათრებსა აი, (ცოლი: მერე თოვლქვეშ დაჰყვნენ, ხალხი შიშით ვერ მიდიოდა, რო კუდრები წამოეყვანა, გაზაფხულზე იმ ადგილზე ჯეჯილი ამოვიდა...) ზამთარი იყო, თოვლი იყო და ვეღარ მოასწრეს, რო დახოცეს, ვერავინ ვერ გაბედა იმათი მოყვანა გაზაფხუ-ლამდი. მანამ ეს თათრები არ წავიდნენ და მშვიდობა არ დამყარდა, ჩვენი ჯარი მანამ არ მოვიდა. ასეთი... ტროფინეზეც ვიტყვი ახლა მე.

ტროფინეჲ იყო ჩვენი გვარის, ივანიძეებისა, სოფლელი, ჩვენ სოფლელი. ყველა თათრებს უმკლავდებოდა. ჯიბრიანი კაცი იყო, ინტერესიანი, ვერავინ ვერ ჩაგრიდა, თათრებში ვიყაით აქა, კაცო, აგერ თელ საბჭოში, ერთი ანდრიაწმინდა და ერთი მუსხი იყო ქართველები.

ტროფინემ ვერსად ვერ დააღწია თავი და შემთხვევით შერჩა სახში იმ მომენტში და თათრებმა გაიგეს, დაინახეს ტროფინეჲ, დაუქნიეს ხელი, რო... ეკლესიის წინ ტრიალობენ ეს თათრები, შეიარაღებული.

— მოდი აქ, გამოჲარეთ ჩვენკენაო, ტროფინეი დაუძახეს. ტროფინე ხო ვეღარ გიექცეოდა, ვერსად ვერ დაიმალებოდა. — თუ ამათ'ნა მამკლანო. — წავიდა, რას იზმოდა, მივიდა და ჩაბარდა. ჩაბარდა, კლავი

გაუყარეს, ერთი გაიარეს — გამოიარეს და გადმოიღეს თოფი და... მუცელში ესროლეს. გადაბრუნდა, დიეცა კაცი, მოკვდა. რამდენი ამნაირები მოკლეს უდანაშაულოთ.

ერთი ესეც'ნა გელაპარაკო: ქართველები გამოიყვანეს და ეკლესიის წინ დაამწკრივეს, ერთი რატო არ დაამწკრივეს ერთი ორმოცდაათი ქართველი... თათრებმა მოილაპარაკეს, რო აბა, ერთი დავწკიპოთო და ერთ სროლითაო, ნახო რამდენ ქართველ მოვკლანთო, ერთ ტყვიითაო. დაწკიპეს, ამასობაში ის მომენტი იყო რო, უნდა ცეცხლი გიესხნათ, ნა ესროლათ, დაეხოცათ ეს ორმოცდაათი კაცი ერთდროულათ.

ამავე დროს ერთი ხვთისნიერი, ადგილობრივ თათარი, ადგილობრივ, ხეოთელი, ნაჯიფაჲ ეთქვა (!), ნაჯიფაი ერქვა, ასეთი სახელი, მე მგონი, ასე მახსოვს მე კარგი გამოსული კაცი იყო, ავტორიტეტიანი კაცი.

— თქვე უღმერთვიებო, რას აკეთანთ მაგასაო, რას ერჩით, ეს ამოდენა ხალხს უდანაშაულოთ რო ხოცანთო. აეხლა რო ქართველი ჯარი შემოვიდესო, რა დღე დაგადგებათ თქვენაო, რას გერჩით, უდანაშაულო ხალხს რაზე ხოცანთო.

ადგა, ეს თათრები გარეკ-გამორეკა, იმდენად რიდი ჰქონდათ, — ავტორიტეტი ქონდა, დაუჯერეს ამ თათრებმა და ეს თოფები ისევ ისე ჩამოიღეს, აღარ ესროლეს, ჰოდა მისცეს უფლება ამ ხალხს რო, აბა დაიფანტენით, წადით თქვენ სახლებში. გაპატიებთ, აღარ მოკლანთ... (მოკკლანთ).

...მომთაბარე ხალხი ვიყავით ჩვენა, მომთაბარე ხალხ რას გვეტყვიან, იცი, რო გაზაფხულდება, მაისის ბოლოს მივდივართ მთაში. ხუთი თვის განმავლობაში, საქონელი მიჰყავდათ, ქალები მიჰყვებოდნენ და ერბოყველს იქ აკეთებდნენ, თავი პროდუქტით, სურსათით საკმლით, ქოხები ქვონდა მთაში, აქ საქონლის დატვიება არ შეიძლებოდა. აქ რო გვალვაზე წასულიყო ერთი ორი კვირა, გახმებოდა და ყველაფერი. ეხლა რო აღარ მიდიან. ეხლაც მიდიან — ცოტა აღარ კადრულობენ, კულტურაში გავიდა ხალხი. ტელევიზორები გაიჩინეს, უფრო ბაზარზე დადიან სავაჭროთ და თაში აღარ კადრულობენ. საქონელს აქვე ინახამენ.

იქნებოდა პირველი საათი, ღამე. გამოველი, ბებერაჩემ სძინამს, მარტოა, დედაჩემი მთაშია, დედაჩემი. მოდი, მოვილაპარაკეთ, — მოდი ერთი ბებერაჩემ ვერ შევაშინამთ? ბაბუაჩვენს (ბაბუა — ბებია). — ვინ ვეგონებით, ნახო. ავდექით, შეველით, დავაკაკუნეთ, ისოვ ჩუმა შეველით, ზრიზა გადავაგდეთ, კლავი ეტეოდა, ჩუმათა და ხმამაღლა დავიწყეთ ლაპარაკი თათრულათ:

— მოდი აეს მეშოკი გავიტანოთ როგორმე, ბებერ სძინანს, ვერ გაგვიგებს (ლაპარაკობს თურქულად, მ.ბ.) ჩვენი... ბიძაჩემიც მოსაზღვრეთ ცხოვრონდა, შუაში კედელი იყო ჩავლებული და დოლაბი ჰქონდა. ამ ბებიაჩემ შიეშინდა, — ვაიმენ, თათრები შემამესივნენო, ვიღანც არიანო,

ნა გამბოხცონო (გამქურდონო) და დაუძახა ბიძაჩემს, ნიკოი ერქვა, გიგოი ერქვა, — ბიძები მყანდა: — ნიკო! გიგო! ყაჩაღები დამესხნენ, ის თათრები შემამესიენენ, ბიჭო'ნა გამბოხცონ, გამბოხცონ... უნდა წაიღონ ყველაფერი, მიშველეთ, მამეშველენით, ჩქარა (გამბოხცონ-გამქურდონ). ამასობაში გავიტანეთ ფქვილი, ყველაფერი და მერე მე შემებრალა ბებერაჩემი, ჩემ ძმას უთხარი, რო ცოდოა, მოხუცებული, ნუ შევაშინებთ, კაცო. დამშვიდდეს.

გამოვეცხადეთ მერე, ავდექით, — თქვე მამაძაღლებო, თქვენა, ეს რა მიყაით, რათ შემაშინეთ, ბიჭო, დაგვიყვავა მერე, აქედან იქიდან და... მასხრობის დრო არისო?! მე გული გამისკდაო, შემეშინდაო, თათრები მეგონეთო. ხო ხედამ ამ დროშიო, არ ვიგულისხმენდიო, კაცო!? — რა დღეში ვართო.

...თაში როცა სამუშაო აღარ გვქონდა, ხარებს ხოლმე საძოვნელად თაში გავრეკავდით და ჩვენ ვწყემსავდით მთაში. მამაჩემმა დამადევინა (დამადევნა) ნაცნობ თათრებთან, მიმამაგრა, ქურთებთან აქეთ მხარეზე, შხანარათ ვეტყვით. ერთი თვის განმავლობაში ხან იმათან ვიყავით, ხან იმაში გავდიოდი, ჩვენ ეაილაში. ერთხელაც თათრები დაგვედევნენ, იქაური მეხრიები: — აბა უნდა ვიჭიდაოთ! სახლიდან წაღებული პურები გვაქს, დავტოვდით და ვეჭიდაობდით. რო ვეჭიდაობდით და რო დავამთავრენდით ამ ჭიდაობას, მერე ვნახამდით, რო ჩვენ თორბებში პური მოუპარიათ, ამოუღიათ; მშივრები ვრჩებოდით მერე მთელი დღე. იმათ პურის გამოცხობა არ იცოდნენ, კაცო. ბაზლამას ჩააკრავდნენ თითო იმაზე, საჯზე, გამოაცხობდნენ. დილით ცოტას იმას შესჭანდნენ და იმით იყვნენ. საჯები იცოდნენ წინათ, ცეცხლზე დატოვდნენ და ესერთი (!) იყო საჯი, ქვეშ ცეცხლ მიცემდნენ და რო გახურდებოდა საჯი, მერე გადააკრავდნენ გაბტყელებულ ცრშ და გამოცხვებოდა ბტყელათ, ბაზლამას ვეტყოდით.

...მოგვივლიდნენ მაღლა მთიდან, დაგვიშენდნენ ქვებ, ლოდებს. ხან ჩვენ მოვექცეოდით ზევიდან, ერთი უბედურობა იყო. მოუსვენრათ ვიყავით, მოკლეთ, გვავიწროებდნენ თათრები ძალიან.

**მაისურაძე-ზაზაძე პელა,** 1904 წ., ასპინძა, სოფ. თმოგვი, 1991.

## გაქცევა

...თორმეტი წლისა, მეტი არ ვიყავი, წავედით მე და ჩემი მამიდა, რო ცხვარი'ნა... ბატკნები გვყანდა, ბატკნები'ნა გაგვეისგვექნა, გაგვერჩია, რო გაგვერეკა საძოვრათ. გავრეკეთ... ისიც გვყანდა, მოჯამაგირეც გვყანდა, გავრეკეთ ეს ცხვარი, წავიდა, ჩამოველი, სახლში, რო, სახში

არავინ არ არი, ცარიელა სახლი გდია, ერთი ქორფა ბავშვი წევნს იმაში, აკვანში. სუ წასულან, აღარავინ არ არი, — ჩვიდმეტი სული ვიყავით ოჯახში.

მე და მამიდაჩემაც ვსთქვით, ჰაიდე, წავიდეთ ჩვენც, ალბათ ესენი ისე წავიდნენ, ჩვენც წავიდეთ, მივიცქირე, რო ბავშვი აკვანში წევს, წამოვიტაცე ბავშვი და წავყევი. ჩაველით, დეე, დაბლა ჩაველით, რო მამაჩემი მოდის, — ბავშვი დაგვრჩა, გოგო, უთხარ, ბავშვი მომყავს მეთქი, არ წახვიდე, რო მოკლებენ (მოგკლავენ), შვიდი კაცი მოკლეს თათრებმა. ერთი მოკლეს, ჭაში ჩააგდეს, იმ ერთები ისევე დახოცეს. ერთი ჯვართან მოკლეს, ფუტკარი იეკიდა, მიჰყანდა და კრეეს და მოკლეს (აქეთ მაგნიტოფენისკენ ილაპარაკე — შვილი). — აი, სულაც ავდგები, არ გამაბრაზო.

ჰოდა მერე წაველით, გავედით გაღმა. გაღმა, ჯავახეთში გავედით. გაღმა ჯავახეთში რო გაველით, ვინ შეგინახანს. ყველამ გვითხრა, საცა ნათესავი გყანს იქ წადიო. დედაჩემ ვარგავში მშობლები ჰყანდა, ძიები ჰყანდა, ავდექით, ჩვენ იქ გაველით, ბიძაჩემები იქ დარჩნენ მერე წაველით, ვიარეთ, ვიარეთ, ისოვ ბაკურიანში სუყველა ერთათ შევხვდით.

ბაკურიანში შვიდი სული ერთათ მოგვიკვდა, ერთ კვირაში შვიდი სული მოგვიკვდა ტიფით, უპატრონობით, შიმშილით.

ეხლა ამობენ, შიმშილობა არიო. მაშინ რა არ იყო, როცა შემიესივნენ თათრები და უბედურობა და მამაძაღლობა იყო, განა მაშინ არ იყო — მაშინაც იყო.

ჰოდა, მერე ის იყო, მერე ბიძაჩემები ადგნენ, ყარადაში წავიდნენ, ყარადაში თვრამეტი სული წავიდა და სამი სული მოვიდა, სულ გაწყდა იქა, ტიფი შეხვდათ და სულ გაწყდა, ყარადაში, მამაჩემი წავიდა, რო, ჰალა წავიდეო, ნახო, როგორ არიანო და ჩვენც იქ წავიდეთო. მამაჩემი ჩამოვიდა: — სულ დახოცილან, აღარავინ არიანო. ავდექით მერე, ძმა მყანდა ქვაბიხევში. ქვაბიხევში ძმა, ძმა მყანდა, დიაკვანი იყო. მოვიდა და ჩემ ძმამ წაგვასხა და იქ გადავრჩით ჩვენ, იქ აღარ დავიხოცენით, იქ შვიდი სული მოგვიკვდა და იქ გადავრჩით. წამოველით მეეერეთ, ამოველით სოფელში.

ამოველით სოფელში, ერთი კვირა ვიყავით, ერთიც ნახო, რო კიდე შემოგვესივნენ და გადაგვხვეწეს კიდე. გადაგვხვეწეს ალაგობრივათ, თათრებმა შეგვიფარეს ისოვ. შეგვიფარეს, ზოგი დაიხოცა, ზოგი რა იქნა, შეგვიფარეს.

ცხვარი წაგვართვეს, ძროხა წაგვართვეს. სუყველაფერი წაგვართვეს, მეეერე გახვეწაზე. ეს მეეერე ომია. ერთი ომი ხო აიქ წაველით, საქართველოში, ეს მეეერე ომი სოფლებში დავირეკეთ. მერე წაგვართვეს...

მერე ერთი კვირის მერე, ჟორდანია შემოვიდა. ჟორდანია შემოვიდა, და ისოვ ყველა თავი ალაგზე მოველით და... ჩემი ძმაც ჯარში იყო იქა

ერთი, ერთიც დიაკვანი იყო ქვაბიხევში. მერე ეს ჩემი ძმა მოვიდა, ჟორდანიასთან მუშაონდა, მსახურონდა. ჟორდანიაᲂ ბათუმიდან რო გააცილა, ბათუმაანდი გავჰყეო და დავბრუნდი, ისოვ წამოველიო. მოვიდა ჩემი ძმა:

— მცოდნოდაო, დედა არა მყანსო, აღარ მოვიდოდიო, წავჰყვებოდი იმასაო. ადგა და, მოვიდა ჩემი ძმა მერე, ასე იყო. მერე გადაგვხვეწეს, წაგვართვეს ცხვარი, ძროხა, სულ თათრებმა. მერე ჟორდანიაᲂ რო შემოვიდა, ისოვ წაველით და ჩვენი საქონელი ისოვ მოვრეკეთ. ისოვ მოვრეკეთ ჩვენი საქონელი. ...თოთხმეტი კაცი წავიდა ერთ ოჯახიდან. ერთი დააკლდა და ცამეტი მოვიდა, ცამეტი მოვიდა ისოვ. ერთი კაცი დაიკარგა...

## სხვადასხვა

...ხოროსანში გაასახლეს და ი ხოროსნიდან, აი ვარძიობა რო იყო, ასე თქვაა: — აი, ვახ, აიო, ამაღამაო ვარძიობა არიო. მერე ღმერთ შეისქნეს, შესთხოვეს, რო ვარძიაშიო... არა... ვარძიისა ღვთიშობელოო, ხოროსნიდან ტყვის დამსხნელოო.

მერე შეუსხდნენ აი... ანგელოზები არ არიან, მოიცა რა ჰქვიათ მაგათა? — ...

...ნა მონათლულიყო. ორმოცაანდე თუ... ბავშვ თუ ორმოცში არ მონათლენდნენ, იმას არ იზმონდნენ. ჯვარ თუ არ დაიწერენდნენ, იმაჰ ეძახდნენ — ხასაკი, ხასაკიენთ ქალი, ხასაკი ქალი. ჯვარი არ დაუწერიაო და ხასაკიაო, მე რავი, ხასაკ რას ეძახდნენ?

ერთი მასწავლებელი იყო, ცოლი ჰყანდა და ჯვარი არ ჰქონდა დაწერილი და ხასაკ უძახდნენ. ისე კარგა მახსონს, რო შევედი, და... მასწავლებელი იყო და დამაჯვდინა და ბრინჯ მარჩევინენდა, ის კაცი. ბადალაანთ აის იყო, რისოს განაყოფი იყო, ახლობელი იყო რისოსი და ბრინჯ მარჩევინენდა და დედაჩემა მითხრა, სად იყავითო და — ხასაკი ქალთან ვიყავითო.

მერე სულ ნათლენდნენ, ინათლებოდა ბავშვი. მაშინ პატიესა სცენდნენ ნათლიებსა, ყველ კაი დღეში, ახალ წელწად იყო, აღდგომა იყო, ვარძიობა იყო, ნა მისულიყვნენ სუფრითა, ნა ენახათ ნათლიები, რო არ შეიძლებოდა იეხლა წელწადში კი არა, ხუთ წელწადშიც ერთხელ აღარ მიდიან, რო ნათლია არი. სადღა არი, აღარ არი, გენაცვალე. მაშინ ნათლიობა ძალიან ძვირფასი იყო. ნათლიობაც, ნათესაობაც, მოყვრობაც, დაძმობაც, სუყველაფერი ძვირფასი. ყველაფერი გაეფდა, აღარაფერი აღარ არი, სწორია თუ არა? — მართალია.

***

...ქორწილი? ქორწილი იყო, ღამე წავიდოდნენ, სადაც გინდა, აი, ურაველშიც ყოფილიყვნენ, ღამე იქ'ნა დარჩენილიყვნენ, ღამე იქ გაათიენდნენ, აიმ ღამეს დარჩებოდნენ, დილით ადგებოდნენ.

ვაჟის ქორწილი იყო ოთხი დღე, სამი დღე, დაკრა-თამაში, სუყველაფერი კარქათ. მეოთხე დღეს გაიფანტებოდა მაყარიც, მოყვარეც, სუყველა წავიდოდა. იეხლა საღამოს მიდიან, დილით, ჰაიდე, მაყრები გაიფანტებიან, წავლენ, აღარც მაყრობა, აღარც მოყვრობა.

***

...არსად არ მიეწონა, სუყველას დაარქვა წუნია, წუნია... მოვიდა და აქ გააშენა ეკლესია. ეხლა ნაქალაქევი შუა და ჩვენ შუა არი, გინახიათ? არის, ის ეკლესია, მანდ გააშენა და დაარქვა წუნდა, იმის დარქმოული სახელია წუნდა და დაარქვა მანდ წუნდა, რო ეს მოვიწონეო, ეს ალაგი მოვიწონეო და მერე, როდცა რო ის იქნა, ასე ის ქნა, რო, საცაც ვათიეო, იქ ეკლესია ავაშენეო, თამარ დედოფალმა, საცაც ვათიე, იქ ეკლესია ავაშენეო, რო მოვკვდიო, სამი ადლი იარდალი წავიღეო, ამდენი ვიშრომეო, ის ვქენეო და სამი ადლი იარდალი... ადლი რა იყო, აჰა ადლი ეს არი, იემსიგრძე ამერიკა წაიღო. ადლ ამას უძახდნენ, მერე არშინი გახდა, ახლა მეტროს... (უძახიან).

## ქორწინება

...ბრმა-ყრუობა იყო, ეხლა ხო არ არი, რო ბიჭი გოგოს წონულონს, ისე მისდევს. მაშინ ბრმა-ყრუობა იყო, ბრმა-ყრუობა, მაშინ. სხვას იმას შვებოდნენ, სხვას აძლევდნენ, სხვას ასინჯენდნენ — სხვას აძლევდნენ, რო გასაღებულიყო, ის დრო იყო მაშინ.

ჩემი ისტორია სხვა არი, გენაცვალე ორმოცდათხუთმეტი წლიჰ კაც წავყევი ოცი წლი ქალი. ეგ ამბავი მოხდა... რა ვიცი, ი დიდარიაო, დიდრიშვილიაო, დიდრის ის არიო და რათ არ აძლევ შენ ქალსაო, მამაჩემ უთხრეს. მაშინ კაც არ მოიყვანდნენ, არ გაგაშინჯენდნენ, შენ... მოვიდოდნენ ჩუმათ გაგსინჯენდნენ, წავიდოდნენ.

ასე ხო არ იყო რო ეეხლა აუღიათ თავები, ჰაიდე, გარბიან. მერე გამათხვიეს. მერე ჩამოვიდნენ, იმ ღამეჰ დარჩნენ იქა, დილით ავდექით და ცხენებით იყო. ეხლა ხო არ არის, რო მანქანებია. მაშინ ცხენები იყო, მღვდელი იყო, ჯვრიწერა იყო, ნათლობა იყო — ჯვარი სად დაიწერეთ?

— წმინდა გიორგში, ზედა თმოგში.

## თათრობა

(მეზობელი ეკითხება) — ჩემი მაზლი იყო, არა, თურქეთში რო წავიდა? — ჰო.

წავიდნენ თურქეთში და ეს ვაჭრონდა, ვაჭარი იყო, ვაჭრონდა — იყიდეს, ბატკანი იყიდეს, ბატკანი იყიდეს და მოუდით. მე რაც ვიცი, სხვანაირათ არ ვიცი, ჩემი მამანთილი რო წამოვიდა და ჩემი მაზლი, წინაჲ მოუკრეს გზა.

მერე წამოვიდა... ამ მამანთილმა იყიდა ბატკანი, ვაჭარი იყო, რო'ნა გიეყიდა. წამოვიდა, უთხრა — შვილო, შენ იესე წამოასხიო, მე ესეო ახლოზე, მოკლეზე წავალო და ბიჭებ მოგაშველან და ჩამორეკეთო.

მერე ეს რო წამოვიდა და ეს მარტო დარჩა, თათრებმა წინაჲ უყელეს: — სად მიდის ამოდონა...

მერე უთხრა, რო ესაო ბატონისა არიო, ბატონმა იყიდაო და იმისია, მიმიდისო.

— როგორ თუ ბატონისა არიო, ეხლავე ის ქენეო და თურმე ის ჩემი მამანთილიც შორი-ახლო არი, შორი-ახლოა და გაიგონა, მერე ისოვ მიბრუნდა, გამოირეკა და წამოასხა თითონ, იმისაც წამოიყვანა. მეცხვარეც წამოიყვანა და წამოვიდა. გადმოვიდნენ და... სოფელში... მერე წავიდა, ის უყო, რო იესე იესე იყოო, წინაჲ მოგვიკრეს შენ ხალხმაო.

— როგორ თუ წინაჲ მოგიკრეს, რაგორ შეიძლებოდაო, ვინ არიო, ვინ იყოო.

— რა ვიციო, ახალგაზდებიო, ახალგაზდა ბავშვები იყვნენო, რა ვიცი, ვინ იყვნენო. აჰა ესე და გადმორეკეს...

## სასაწაული

ურემს წაიღენს... რო: მოჰქონდა, შიეხვეწა ღმერთსა, რო ამ ზიარეთა, რო — არც მოკოჭა ურემი, არც არა, დაუდო და წამოვიდა: — ზიარეთის მადლოო, (მართლმადიდებლურ ეკლესიას შეეეედრა) საკოჭავი არა მაქო, რო შევჰკოჭოო და შენ იცი, როგორ ჩამიყვანო.

ამ ზიარათმა ისე წამოიყვანა ეს კაცი, ისე წამოიყვანა, რო ერთი თავთავი, ერთი რამე ერთ ალაგ არ ჩამოვარდნია. (თათარი იყო ეს კაცი).

წამოვიდა, ჩამოვიდა, ჩამოვიდა, წამოვიდა, რო არც არსად მარცვალი არ ჩამოვარდნია, რო მოვიდა თავის ალაგზე, ამოვიდა, ეაკეზე ჩამოვიდა, რო დიდი მადლობელი ვარ შენთან ზიარათოო, თქვენ წაბძანდით, წადით ახლა თქვენ დაისვენეთო და მეო ახლა ჩვენი ჯამი დამეხმარებაო, ჩემი ჯამი დამეხმარებაო, ჩვენი ჯამიო. რო წამოვიდა, ჯამი რა'ნა დიეხმაროს,

წამოვიდა და ურემი ამოტრიალდა, ხარი ქვეშ მოჰყვა და ურემი... დაიმტვრა.

მერე იქ დაიგინა, იქ დაიგინა ესა, დაიგინა იქა, რო შენი ჯამიო, შენი დამწესებლისაო შენაო, რო მე იქიდან აქ წამოველიო, იმაზეო არაფერი არ დამემართაო და აი აქ ჩამოვედიო და ხუთ მეტრზეო რა მამივიდაო.

ეს ასწია, შეაბა, ის ქნა და მერე წავიდა. რო მოიტანა ეს კალოზე დაცალა, რამე, ხარები გაიყვანა, დაასვენა, ადგა, მოკრიფა, ისა, წავიდა თავი სახლში აავსო ერთი ცხრილი პური, რაც ძაღლი იყო, დაუძახა. რაც ძაღლი იყო დაუძახა. დაუძახა, შეიყვანა და მეჩეთის კარი გააღო და შერეკა, ისიც იყო, რამაზანიც იყო, დილით ორ საათზე სჭანდნენ, არა — დილის ექვს საათზე, ექვს საათზე სჭანდნენ. ახლა მე არ ვიცი, რამდენჯერ თათრები დამიღვიძებია და უთქვიათ, რო მოდი, პური ვჭამოთო, დამიღვიძებია, ურემზე რო მივლია, ურემი მიზიდია ღამე, ომიანობი დროს, ომიანობი დროსა და მერე ამან უთხრა, რო ის არიო... აჰა დამავიწყდა... ჰო, გაანსო, პური წაიღო და დაუძახა ძაღლებ, ძაღლები შერეკა ამ იმაში, ჯამში და დაუკეტა კარი.

ამათ'ნა... აზარი მისცა მოლამ მოლა თუ არ დაიყვირენდა... მასკულავი ამოვიდა, მარსკულავი ამოვიდა, მოლამ აზარი მისცა, რო ხალხმა პური ჭამოს, იმას'ნა შიეტყობინებინა. იმას'ნა შიეტყობინებინა, რო ხალხ პური შიეჭამა. თუ მოლა არ დაიყვირენდა... — ეხ მალალ ააა, ალააჰ ეხ მარალაა! — ასე'ნა ეთქვა, თათარსა, რო ხალხ პური ეშჭამა (!).

მერე ეს მივიდა, რო კარი'ნა გააღოს და ეს ხალხი'ნა შევიდეს და შიგ ილოცოს. შევიდა, რო ძაღლები შიგ სანსე არიან, ბოდიში შენთან მოუჯვია, ზოგ მოუფსია, ზოგ კიდე დაუგდია, გამოვიდა მოლამ, თქვა, რო ვინ ქნა ეს საქმე, ვინ ქნა.

— არ ვიცით ვინ ქნა!

მერე ერთი თათარი წამოდგა, უთხრა:

— შენი ზიარათი ასეო... მეო ქართველების ზიარათზე'და ვილოცოო, ქართველების იმაზე'ნა ვიყვეო (წესზეო). რო მოვკვდებიო, იმათ ყიბლაზედ'ნა დავიმარხოო, იმათ წესზე'ნა დავიმარხოო. შენი წესი მე არაფერი არ მინდაო.

**ჯინჭველაძე გიორგი ალექსის ძე**, დაბ. 1911 წ. ახალციხე, სოფ. მუსხი, 1991 წ.

## ზღაპარი

...წავიდა, რო ცარელაი ვერ დაბრუნდა სახში, რო რა მიეტანა სახში, ცოლ-შვილი შიერი იყო. მეორე დღეს იარა-იარა და ნახა ერთი კვდარი ირემი. თქვაა:

— ვერაფერი ვერ ვნახე და მაინც ამ კვდარ ირემ ამოვჭრი ხორც და წავიღემ სახშიო და გადაალაჯა ზედ რო'ნა ამოშჭრას და გახდა ქალი.

გახდა ქალი ეს კაცი და თქვა ახლა სად წავიდე, კაცო, სახში, სოფელში როგორ მივიდე, ან ოჯახში როგორ მივიდე, არც მიმიღებენ: — შენ კაცი იყავ და ქალი მოხველიო.

აიღო თავი და წავიდა სხვაგან. იარა, ეხეტიალა აღმა-დაღმა და მივიდა ხენწიფესთან. ხენწიფეს თხოვა, რო: — დიდებულო ხენწიფეო, თუ შეიძლება აექ მიმიღე მოსამსახურეთ, მეგემსახურებიო, პური მაჭამე, სხვა არაფერი მინდა თქვენი.

მიიღო ხენწიფემ. ხენწიფეს შვილი ჰყანდა დასაქორწინებელი, და ამ ხენწიფემ... შვილს მიეწონა ეს ქალი, შვილს ქალი მიეწონა და აიყვანა ცოლათ ერთი წელიწადი ჰყანდა, ერთი ვაჟიშვილი შეეძინა.

გავიდა, ე ბავშვი გაზარდა ერთი წლისა რო გახდა თქვა, რო, კაცო, მე სიდამდი'ნა ვიყვე'ნა! წავალ, ისევე იმ ირემ ვნახამ, იქნია კაცი გავხედე და დავბრუნდე ცოლ-შვილში, კაცო, მე ჩემი ცოლ-შვილი მივატოვე და...

წავიდა, იარა, იარა, ნახა ირემი, გადაალაჯა და ბოდიშ მოვიხდი, გახდა ცხენი. ახლა, ბიჭო, აქნანდი ადამიანი ვიყავი, მიედიოდი, პურ ვჭანდი მაინცა და ეხლა მე ადამიანი არ ვარ. ბზე-თივა'ნა მამცენ და როგორ უნდა ვჭამო მე, კაცო. დაბრუნდა, სხვაგან სად წავიდოდა. იარა, ისევ ამ ხენწიფეთან მივიდა.

ერთი წელიწადი იყო, ერთი კვიცი შეეძინა. გავიდა დრო, ცოტა ხანი და თქვა, მე (ადამიანის ბუნება ქონდა ისოე ისე) ადამიანი ვარ და ეს ბზე-თივა სინამ უნდა ვჭამო, წავალ, ისევ იმ ირემ ვნახან და იქნებ როგორმე ადამიანი გავხდე, კაცი გავხდე და დავბრუნდე ცოლ-შვილში.

წავიდა, იარა, იარა, ნახა ის ირემი, გადილაჯა ზედა და ბოდიშ მოვიხდი, ძაღლი გახდა. დაბრუნდა, ისევ ხენწიფესთან მივიდა, სად წავიდოდა სხვაგან. ერთ წელწად დარჩა იქა, ერთი ლეკვი შეეძინა, ძაღლის ლეკვი.

გავიდა დრო, ეს ხენწიფის შვილი წამოიზდა, ცხენიც გაიზდა, ეს ცხენი თითონ აიყვანა, ეს ძაღლიც წამოიზდა, ხენწიფი შვილმა ნადირობა დაიწყო და ცხენზე შეჯდება, ეს ძაღლიც მიჰყავს, სანადიროთ დადის ასე. ესაც ხო ძაღლია, ეს ადამიანი. ადგა და ესეც წაჰყვა სანადიროთ. იარეს, იარეს, ზუსტათ იმ ალაგზე გაიარეს, სადაც ის ირემი იყო და, ადგილი შენიშნა, რო აქ'ნა იყოს. ირემი და გავიდა ცალკე, მივიდა, გადილაჯა ირემზე და გახდა კაცი.

დაბრუნდა ისოე ხენწიფი შვილთან, მივიდა. ხენწიფი შვილმაც იარა-იარა, მთაზე ავიდა, ერთი შენობა დგას, ხუთი ძმა ცხოვრობს, ერთი და ჰყანთ გასათხოვარი, ხოდა მივიდნენ ამათთან, ესტუმრნენ, სხვაგან სახლი არ იყო, სად წავიდოდნენ.

ესენი თურმე ყაჩაღებია, აქ მაცხოვრებლები და მისულ ადამიანებ თუ რამე აქთ, წაართმევენ, ხოცებენ, გადაჰყრიან და ერთი რამ სანაძლეო აქთ ამათ. მიიღეს ესენი. უთხრეს, რომა:— ცეცხლი ანთია, გობით ხორცი დგას ზედ, შეშა შენთულია, ცეცხლი არ ანთია.

უთხრეს, რომა: — ისეთი სიტყვა'ნა თქვათო, რო დასაჯერი არ იყოსო და მართალი იყოსო, თუ ასეთი სიტყვა თქვითო, იქაო ცეცხლი იენთება თავისითაო, ხენწიფი შვილმა რა იცოდა, რო რა ეთქვა. ბერიკაცმა უხრა, რო თუ შეიძლება, მე ვიტყვიო. — თქვი'ო, შენ თქვი'ო, სულ ერთია ჩვენთვისაო.

ამამ უთხრა, რო თქვენაო დაიჯერამთო, რო ეს ხენწიფი შვილიო ჩემი შვილი იყვესო, დედა მე ვიყვე მაგისიო.

— როგორ, შენი კაცი ხარო, ეს გაჰკვირდა ხენწიფი შვილი, შენ როგორ'ნა შეიძინო, კაცო! მიცქიო (მიეცქირე, შეხედე) — და ცეცხლი იენთო.

— გაჩერდით, მართალიაო, ცეცხლი აინთოო. აბა, მეორე სიტყვა! ცეცხლი აენთოს, სამი დღე რო ცეცხლი ენთოს, წყალი არ ადუღდებაო, კიდე ეგეთი სიტყვა თუ არ თქვითო...

მეორეთ უთხრა, რო თქვენაო დაიჯერანთო, რო ამი ცხენიცაო ჩემი შვილი იყვესო, იმი დედაც მე ვიყვეო. — როგორ შეიძლება ეგაო, ძმები წამოცვივდნენ, რო უნდა მოკლან კაცი. უფროს ძმამ უთხრა ერთი ქვაბი ნახე, დუღსო? მივიდნენ, რო დუღს ქვაბი, კაცო. გაჩერდითო, უთხრა.

მესამე სიტყვა, სამი დღე რო იდუღოს, ხორცი არ მოიხარშებაო, თუ ეგეთი სიტყვა არ თქვითო. მესამე სიტყვაო, უთხრა, დაიჯერანთო, რო ეს ძაღლის ლეკვიც ჩემი შვილი იყვესო, მეც მაგი დედა ვიყვეო?! — კაცო, ეგ როგორ შეიძლება, კაცო, იმის დედა შენ ხარ, იმისიც, იმისიც. უფროს ძმამ უთხრა, ხორცი გასინჯეთო. მივიდნენ, ნახეს, ხორცი მოხარშულა, ძველებიდან გამოლაგდა.

გაანთავისუფლეს ეს კაცი, თავი დაც ამ ხენწიფი შვილ მიათხოვეს, ერთი კარგი ქორწილი გადუხადეს და გამოისტუმრეს წამოვიდნენ, ჟირი იქ იყოს და ლხინი თქვენთან.

## თათრობა

ნიკოლოზი რო ჩამოაგდეს, ხენწიფობიდან, ჟორდანია გამეფდა საქართველოში, მარა ინთენი ძალა არ ჰქონდა, რომ ყველა კუთხეს მისწვდომოდა და ეს ჩვენი კუთხე უპატრონოთ დარჩა. ინდენი ჯარი არ ქონდა, იარაღი არ ქონდა, რით მოეშველებოდა ამ ჩვენ ხალხ და აეს ადგილობრივი თათრები შემოგვესივნენ ჩვენ, დაგვიწყეს...

ყველაფერ გეტაცებდნენ, ხოცენდნენ ჩვენ ხალხ და... ჩვენი სოფელი

იქით არი, ოთხი კილომეტრია აქედან, ძველი მუსხია, დაბალშია და გარშემო გორები აქ და ამ გორებზე რამდენიმე კაცი იყო ჩვენ სოფლიდან და სამი თვე სოფელი შემოკრილი იყო.

ეს თათრები მოდიოდნენ, ვერ შემოდიოდნენ ჩვენ სოფელში, სამი თვე, შემდეგ ახალციხეში იდგა ერთი ლეგიონი ჯარი, მარტო ახალციხეს იცავდა, სად ქონდა იმდენი ძალა რო ყველგან დიეცვა და შესჩივლეს ამ ჩვენებურებმა, წავიდნენ, შესჩივლეს, რო, აბა, გვიშველოთ'ნა რამე, რო აღარ იქნა.

მოვიდა გაზაფხული, საფქვავი შემიელიათ, საქონელ საკვები შემიელიათ, არ იქნა საშველი, შესჩივლეს იქ, გენერალ მაკაჟოვს (ბალო მაყაშვილი), რომა გვიშველე რამეო და გინერალ მაკაჟოვმა, გამოგზავნა ერთი ოცეული, ეს საფარის გორაა აქ, ამოიტანეს, ქვემეხი დადგეს მანდა და მანდედან ესროლეს ქვემეხები ამ თათრებ, გაგვიხსნეს გზა და ავდექით და გავიქეცით სოფლებიდან, დავჰყარეთ ყველაფერი, თითო ურემზე.

რას წაიღენდი, ერთი ურემით, ცხვარ-ძროხა გავირეკეთ, წაიყვანეთ. შვიდი წლისა ვიყავი მე, მეშვიდე წლისა, ცხვარი გვყანდა ბლომათ და საფარის ტყეში დღე და ღამე მარტო ვუდექი ცხვარ, შვიდი წლისა და ჩვენები გავიდნენ, პაპაჩემი... მამაჩემი ავათ იყო, არ შიეძლო და პაპაჩემი იყო და გავიდნენ ანდრიაწმინდაში, მანდ გვყავდა ნათესავები, ანდრიაწმინდაში გავიდნენ და ერთი ურემი დაცალეს და სანამაო გზა გახსნილი გვაქო, ერთი გზა კიდეე მოვასწროთო, კიდე გამოვიტანოთო და დაბრუნდა უკან, პაპაჩემი და ბიცოლაჩემი წამოყვა უკან.

ჩამოვიდნენ და რო... დაბლა წისქვილებია ჩვენთან. მანდ, წისქვილებთან თათრები საცხა იყვნენ ჩასაფრებული ესროლეს ტყვია და პაპაჩემი მანდ მოკლეს. ბიცოლაჩემი დაიჭრა ხელში. დადეს ურემზე, ამოიტანეს და ანდრიაწმინდაში დამარხეს პაპაჩემი. სოფელში ვეღარ გადმოიტანეს, ისეთი დრო იყო. აიქ მარხია პაპაჩემი.

მერე მანდ რო თათარი შემოვიდა, თათრის ჯარი, ოსმალეთისა. ვითომ დასამწყნარებლათ, აქედან ხალხი წაიყვანა ქართველები, თათრებიც ბევრი წაიყვანა ჯავახეთში, ახალქალაქი რაიონი... ათიბინა, გაალეწინა და გავიდა, წაიღო პური, და მერე, ნებით იყო თუ რით იყო, თითონ გავიდა თათარი, ნებით გავიდა და მიჰყვა ჟორდანია და ძველ გგრანიცაზე გავიდა, ძველი გრანიცა სად არი, რავი.

მეორეთ მერე რომა იქიდან სომხებმა ომი დაუწყეს, აჭარამ ომი დაუწყო, აზირბეჯანმა...

რაღაც, აქ ვეღარ მოგვხედა, რაღაც და ისოვ წაიყვანა თავი ჯარი ჟორდანიამ და მეორეთ შემოგვესივნენ ე თათრები, მეორეთ გავიქეცით, მეორეთ გავიქეცით და აქ ამოველით, სოფელი იყო, ლენგიქვევს ეძახდნენ, ახალი სოფელი იყო, მანდ თათრები იყვნენ და იმათთან ის ქვონდა, ნაცნობობა, იმათთან შევაფარეთ თავი, თათრებთან.

მამაჩემი ავათ იყო და თათარმა უთხრა, რო ფოცხოვი შემოდისო, ფოცხოვის ხალხიო და იქაო ვეღარ შეგინახანო და მოდით, აქედანაო წადიო და ქალაქში წადიო, გაგაპარამო და წადიო. გაიყვანა მამაჩემი და გადასავალია პატარა ადგილი, მერე დაბალია უკვე, ღამე, ბლენაში უთხრა, რო, აი, გზაზე დადეგ, გასცილდი სოფლიდან, მამშორდი, წადიო. მამაჩემმა ცოტა გასწია და უკნიდან თითონ ესროლა ამ კაცმა. განა უხაროდათ, რო ჩვენ იმათ შეეფარენით, არ უხაროდათ. ესროლა მაგრამ ღამეში ვერ მოარტყა, მამაჩემი წავიდა.

მერე მეორეთ რო მოვიდა თათრი ჯარი, ახალციხეში ხო ჩავიდა, გამოგზავნა ორი კაცი, ამოვიდა და ე ქვებში ქართველები ვიყავით შეფარებული, მოგვხვეტეს, წაგვიყვანეს ახალციხეში. ჩემი, ძმა მყანდა პატარაა. წლისა არ იყო, ერთი და მყანდა, წლინახევრისა იყო, დედაჩემმა, საწყალმა ზურგით ათრია აქედან იქ და ჩაგვიყვანეს ახალციხეში, ახალციხეშიც ვიყავით სამი დღე-რაღაცა და მერე ისევ შემოვიდა ეორდანიის ჯარი და დავბრუნდით და ჩამოველით, მოველით ახალციხიდან, — დამწვარი, გაუბედურებული, აღარაფერი გვქონდა, რა უბედურობა გამოვიარეთ. ასე გადაგვხდა ეს ამბავი.

...შემიელია... საქონელი მინდორში ვეღარ გავიყვანეთ, და კაცები, მამაკაცები ვერ წავიდნენ წისქვილში, ოთხი კილომეტრი იყო წისქვილებამდე. ბებრები გაგზავნეს, ბებერი ქალები. აქედან გაატარეს თათრებმა, ჩავიდნენ, დაფქვეს და იქიდან რო დაბრუნდნენ. დაიჭირეს ბებრები, დახოცეს, ბოდიშ მოვიხდი, გააუპატიურეს.

**ბერიძე-დიასამიძე ნინო, 1921 წ. ასპინძა, სოფ. ტოლოში (გამოთხოვილია ერკოტიდან), 1991 წ.**

...ერთი მამიდაც მოუკვდათ, უფროსი გოგო, ელენაი იყო რა ერქვა იმას, აღარ ვიცი. — ელიკო.

— ელიკოი... კაი გოგო იყო, ლამაზი გოგო იყო. ...დავდიოდით. მიშასთან დეიდაშვილები მყანდა და ავდიოდით ხოლმე, იქა და ვთამაშობდით, ვერთობოდით იქა, იქიდან ერთად მოვდიოდით, აქედან იქით მივდიოდით და აჰა, ეგრე დავდიოდით. აი, კარგათ ვიცნობ ამათ ოჯახსა, თქვენ ოჯახსა, მამაშენის ოჯახსა, ეგენიც ჩვენ ოჯახსა. ჩემი ძმა, მე დავდიოდით ერთათ სკოლაში

— ხმამაღლა ილაპარაკე, რო იწერს გოგო!

— ჰოო, იწერს?

ჰო, ის დავიწყე, მე რო გავთხოვდი მეთქი, ნაქალაქევში წამიყვანა ჩემ კაცმა. მასწავლებელი იყო, დილექტორი იყო, ხოდა მერე მეც დამაყენა ჰასწავლებლათ, მეცხრე კლასიდან ვიყავი გამოსული. ომიანობის დროს

სად იყო ან ჩაცმა ან... ფეხით დავდიოდით სამ კილომეტრზე ზამთარში, ზაფხულში, დავდიოდით საცოდავათ, ჰოდა მე მერე არ შემეძლო, ძმა, მამაჩემი ჯარში იყვნენ, ველარ წაველი და გამოველი. მერე რო გავთხოვდი, იქ მასწავლებლათ გამიყვანა ჩემ კაცმა. ჰოდა. იქ ვმუშაობდით სამოოთხი წელიწადი, მერე თათრები რო გადაასახლეს, იქ ქურთები იყვნენ ნაქალაქევში. ერთი წელი კიდე ვიყავით და მერე წამოველით აქ ჩამოველით, აქ დავსახლდით, ახალ ადგილ, ტოლოში (ტოლოშში).

აქ მეყოლა შვილები. უმფროსი გოგო იქ მეყოლა. არც სახლი გვქონდა. არც კარი გვქონდა. ერთი დანგრეული სახლი მოგვცეს აი, გაღმა. ისეთ დღეში ვიყავით, რო, რა ვიცი, შვილო, თავბედ ვიწყეველიდი სულა. ახლა თან კოლმეურნეობაში ვმუშაობდით. კოლეურნეობაში არაფერი შემოსავალი არ გვქონდა, მაინც დავდიოდით. ღამე-დღე დავდიოდით ეს ცოლ-ქმარი.

დედამთილი მყანდა. კიდევ კარგი, რო მყანდა დედამთილი, რო ბავშვებ, სახლ, ყურ გდენდა. ჰოდა ეგრე. აჰა, შვიდი შვილი გამიჩნდა ეგრე გაჭირებაში. ეხლა რო არი აღარც კოლმეურნეობაში გზავნიან, აღარც არაფერია. პირ მუცელი მქონდა მინდგარი (ფეხმძიმედ იყო, მ.ბ.), მაინც მთაში, ღამე-დღე აქ ვიყავი, ვინ გაგვიშვენდა.

ორმოცი არ მქონდა გამოსული, ამაზე ვიმშობიარე და... ავანტყოფი იყო ბავშვი, დაიბადა, ორმოცამდე, ის არი, პასუხისგებაში მიმცეს. აპა, ახალი მშობიარე სად ვიმუშავენდი, რას ავიღენდი. სასამართლოში მიმცეს. აპა, ისეთი ის იყო მაშინდელი სტროგობა.

***

...თათრები რო გადაასახლეს ეგ მახსონს და ძველი ის პირველი ისე გადმოცემით ვიცი. ...პაპაჩემი აი, როგორც ცხვარი, ისე დაკლეს. დარბაზ უძახდით, სახლი ქვონდა საცივო სახლათა და რო წასულან, მოსულან მეორეთ, აქ აწყვიტა — ქუნცაში ყოფილან და ვითომ დაწყნარებულა და უთქვია, რო მეო წავალო, სახლს ავალაგებო და ავიყვანო წვრილშვილსაო. ჩემი... მამაჩემიც კიდე იმაში ყოფილა დამალული აი ზევით იმაში, თარაქმებს უძახდნენ აქ ზევითა, ბუზმარეთში. იქ დამალილი ყოფილა თავი ბიძაშვილებით ერთათა და პაპაჩემი ყურადღებას აქცევდა ამ ოჯახსა. დედაჩემი, თავის ცოლი, ბავშვები. კიდე ბიჭი ჰყანდა სხვა პატარაი. ე, ხუთი-ექვსი სული ხიზანი ყოფილა, ექვსიც და მეტიც, — ე, კარგა ათ სულამდე ხიზანი.

წასულა რო, დავალაგოთ სახლიო, მოვუაროო, რო წვრიშვილი ავიყვანოო. ასულა და აბა ინ დროს, დანგრეული. ხალხი შიერი, ისა. თურმის ცხვარი დაუკლია, უხეთქიათ, უკამიათ (თათრებს). და თავ-ფეხია. აუნთია ცეცხლი შუაზე და ის უქნია, რო თავ-ფეხ შევსწვამო და ვეშმო.

კვამლი რო ასულა სახლიდანა და უთქვიათ, აქ ვიღანაც გაჩნდაო. წამოსულან ოთხი ცხენოსანი და სოფელში ვინც შეხვედრიათ, როგორც ცხვარები ისე დაუკლიათ. ერთი ათ სულაამდი ადამიანი დაუკლიათ, დაუხოციათ. მერე რო ეგენი გადაშენებულან, აქედან ჩვენი სოფლის ხალხი წასულან და იქვე ეკლესია გვააქ (ეხლა რაღა არი ეს ეკლესია, მაშინდელი ეკლესია და ეს ერთია?) იმის გარშემო არის დასაფლავებული პაპაჩემიც, აპა.

**დავლაშერიძე სოფიო, 1908 წ. ასპინძა, სოფ. ნაქალაქევი (გამოთხოვილია როკეთიდან). 1991 წ.**

... წაიყვანეს დედისერთა ძეო,
მისი ჩოხა ახალუხი ოხრავს ამაზეო
ძველი დრო და ნიკოლოზი
მიწამ გამოხრაო.

## თათრობა, გაქცევა

...გავიქეცით, შვილო ექვსი თვე ტყიებში ვიყავით. მოქვყვა თათრები... მოქვყვა თათრები ტყვიით... თოფით, ტყვიით და გავიქეცით. გავიქეცით, ვიარეთ, მოქვყვა... გაველით საკოჰავში, მიტარბში, გადაველით ბაკურიანში და მერე დავბინავდით საკოჰავში, ტყეებში. ექვსი თვე იქ ვიყავით, წამოხურული კაწა-კუწით რაღა, ჩხირ-ჩხვურით წამოხურული.

გაჩნდა ტიფი. ისეთი დღე იყო, რო დღეში გადიოდა ერთი ოცი კაცი კვდარი, ადამიანი. დარჩნენ ობლები, ოხრები. ისეთი ოჯახი იყო, რო წავიდა ათი სული, თერთმეტი სული და ერთი სული დარჩა. ექვსი თვე იქ ვიყავით და ექვსი თვი მერე დავბრუნდით და მოველით. მოველით რო, ახალციხე დაშოშმინდა ცოტა. მოვედით ახალ წლიებში, შეველით ცარელა სახლებში, ცარელა სახლებში... კიდე კარგი იყო, რო არ დიეწვათ, არ დიენგრიათ,.. შეველით და ისევ დაგვიბრუნდა (მოგვიბრუნდა) ეს ურჯულო თათარი და ვინც შეხვდა, დახოცა. უბედურობა გააკეთა. ბავშვებ რო ინახდნენ (ხედავდნენ), შტიკზე აცმევდნენ და იყვნენ... უბედურობა! მოკლეთ, ქალი — რძალი მორჩენილი იყო. ტოლოში, ზველი, ჰობარეთი... ასე გაამწარეს მოკლეთ. აღარ დარჩა კაცი, ქალი...

ჩვენ ქვყანდა... მამაჩემ ბიძაშვილი ჰყანდა, ბეგებმა გააქციეს (მოიტაცეს) ადრე. იყო სოფელში გათხოვილი, სოფელში გათხოვილი იყო ქალი, იმი ქმარი იყო აშიღი, თუ გაგიგია — ნიკოი

— აშგღ ნიკოდ!

— ჰო, იმის ცოლი იყო და ეს ქალი გაუქციეს ამ კაცსა. კაც გაუქციეს, წაიყვანეს და ხოლოთ, ბოდიში ამ სიტყვაზე, ორსული წაიყვანეს. ეს ბავშვი ეყოლა იქა. ეყოლა ეს ბავშვი იქა და ეს ბავშვი გაიზდა, კაცი გახდა! და ამ ქალმა უთხრა ბეგსა, რო მეც სამშობლო მყანსო — ეთოს მამიდა იყო, — მეც სამშობლო მყანსო, წავიდეთო, რაო. დაიჭირა ბეგმა და ისევ თავი ძმა მოკლა და ეს ქალი იმამ, ძმამ აიყვანა (შეირთო). ძმამ აიყვანა, შვილო და, გადმოიყვანეს ისოვ აქ, თარაქმებისკენ...

ემ ქალმა ძმიები მოიწვია, რო აღარსად წავალო, იმიდანაც გაუჩნდა შვილი, ეჰ ბავშვიც გაჩენილია, ქართველიდან რო წაიყვანეს. დავაქკაცდა, იტყოდი, რო ციდან მოგიწყვეტიაო, ისეთი ვაქკაცი იყო. დაიჭირა შვილო, ეს რო დაბრუნდა ეს თათარი და შეუყენა შეურაწყოფა ქართველებს, ეს ბიჭი ჩამოვიდა და როგორც აი... უბეში შეინახო, ისე შეგვინახა ჩვენ როკეთი, ამ ბიჭმა, აი... ვინც ორსულად... ისე წაიყვანა.

შეგვინახა ამამ, ერთი დღე ადგა და წამოვიდა, ტოლოში გადვიდეო, ერთი ბიძა მყანსო, ან თავი დავიბანო, ან ტანი დავიბანო. ეჰ კაცი წამოვიდა, ეს ბიჭი და მოცვინდა... კანუზას უძახდნენ, კანუზაჲ იყო, ოი, ქოქი გახმობოდა შვილო, როგორც აი... სისხლ უწურენდა კაც და ქალ... და დაესხა უცბათ სოფელსა.

ქალებია დამწყვდეული, იმაჰ შემწყვდეული ჰყავს იმ ბიჭსა, კარდაკეტილი. დაკეტა და წავიდა. მოვიდა ერთიც, არ მოვიდა... ქალები ტირიან, საცოდაობა უდგიათ, ელოდებიან ამ ბიჭსა. მაგ შენ დედობილის დედა ლამაზი ქალი იყო, პელაჲ, დაიჭირეს, შეახვიეს ნაბადში და ააყუდეს იმაზე (კედელზე მ.ბ.). თუ შემოვიდნენ, ... მალებენ. ახალი რძალია ძალუაჩემიც, რა, ერთი წლი ბავშვი ჰყანს, ერთი თანაჲ. ამამ გაიწია ქალო, ეჰ ნაბადში რო გაახვიეს და დადეს, მამიდაჩემი გამოვიდა, პატარა ვალელი მამიდაჲა, გაიცქირა და... ჩვენ ორი გოგო ვართ, ამხანაკები პატრები. ათი წლისანი ვართ და ვსხედვართ და ვთამაშონთ. ტყვიას ისვრიან აქეთ, იქით... მამიდაჩემი გამოვიდა, ხელი დამიქნია: აქ შემოდით, აქ შემოდით! — ჩვენ ფეხებზე გვკიდია! ათი წლი ბავშვი მიჰყანდათ!

შეველით, რო სუ ტირიან ქალები! სუ ტირიან ქალები. პატრა ხანი მოვიცადეთ და ცხენმა დაიკლიხვინა, ეკლესიას ვენაცვალე! — ეკლესია ხო იცი, სითკენ არი, ტოლოშიდან მოდის ეს კაცი! ეკლესიი თავზე რო მოვიდა, დაიკლიხვინა და დაიკლიხვინა. გაიგონეს და ქალებ შეუდგათ სიმხიარულე. მამიდაჩემმა გამოიხედა:

— ქალებო, შავყიბეგი მოდის, ნუღა გეშინიათ! მოვიდა ეს შავყიბეგი და ეს ამდენი თათრები გადმოდგნენ ასე ერდოდან. ეთოონთსაც შენგვრეულია ქალები. სახლი დიდია, საცხვარე-რამე სულ ერთმანეთზე გადამბულია და ეჰ ქალობა სულ შიგ არი და ვაქები წასულიან, სად არიან ტყეში არიან, კლდიებში არიან... ზამთარია!

რო მოვიდა, ესენი რო გადმოდგნენ, — ეს რა ძაღლები დანგვრეულან

ამ ეზოშიო, — ამამ უთხრა, — რა ძაღლები დანგვრეულანო. თქვენი დედა კი ვატირე, თქვენიო, მარამ ეს თავიო აი ამ ტახტზე არ გაგორდებაო, დედამიწაზეო — თქვენ აქედან ვერაფერ გაიტანთო.

— როგორ თუ ვერაფერ გავიტანთო!

— როგორ'ნა გაიტანთო, ზოგი დეიდა არიო, ზოგი დეიდაშვილიაო, ზოგი მამიდაშვილია, ზოგი ტაადაშვილიაო, ზოგი ბებერაჩემიაო და როგორ'ნა გაიტანოთო.

— ახლა სხვაო, ერთი ათი წლის არავინ გყავსო, გამოგეყვანაო, — ეს თათრები იებნებიან. უთხრა, წადითო, წადითო, მარანდი მე მოვიწადინო თქვენკენა სიკვდილიო. იესენი წავიდნენ. ამამ აიღო თავი, შეეიდა, რას შეხვალ: საცოდავად საწყალი ქალები, ზოგი ბნდება, ზოგი...

— დედიდჯან დაიცა, ჰალა მამიდჯან დაიცა... ნუ გეშინიათ, მოველი,

— დაშოშმინდა. ეს ბიჭი რო წავიდა, ტაადამის უთხრა, ამ ეთოს მამასა, რო აკოფ ტაადაო, — რააო, — ერთი სული ცხვარი დავკლათო და ამათი დედა ვატირეო, ერთი ესენი დაუძახოო და პურ-მარილი ვაჭამოო, თავიდან მამცილდნენო, მე ერთი კაცი ვარ და ამდენი დემეხვაო. მართალია, შეიძლება ვერ მამკლან, მაგრამ მაინც რაღაცას გააკეთებენო. არ მინდაო, — აი ეს კაცი ამონს, ესა — მუცლით რო წაიყვანა.

ამამ დაიჭირა: — რატო არ, შავყიჯანო, — დიშვილია, — რატო არ, ერთი კი არა, ორ დავჭკლამო. დაიჭირეს, დაკლეს, მოამზადეს და მოღამდა. მოღამდა და ეს ქალობა შერეკეს საცხვარეში. საცხვარე დაკეტილი ა'ქთ, სხვაგან არი ცხვარი. ე საცხვარეში შერეკეს ეჰ ქალები და კარი დაუკეტეს. ისე, რო, ხველება არ გამოვიდეს, არ გაიგონ, სუნთქი არ გამოვიდეს, ბავშვია, რამეა... ბავშვები ერთ ალაგ ვ'ართ.

ესენი რო შერეკეს და ესენი დაიძახა... ბიძაჲ ჩავიდა, დაუძახა. აქეიფა, აქამა, ასვა და გაისტუმრა. დაიმედდა, რო წავიდნენ. წავიდნენ კი არა, არსად წასულან. შესულან სახლში... შესულან ერთ სახლში და იქ არიან ესენი დამალული. ხალხ უთხრა, რო ნუღარ გეშინიათ. დაღამდა... ეს შავყიბეგი მივიდა, დაწვა. დაღალული, ნალაპარაკებელი. ხო ადვილი არ არი, მივიდა, დაწვა და ეს მამიდაჩემი... ესენი... დაწვნენ.

ამათ (თათრებმა) დახედეს, რო ლამპა ჩაქრა. შუქი ჩაქრა. ადგნენ და წამოვიდნენ. რაგორ წამოვიდნენ ესენი: ერთი ბერიკაცი არი, გასჭირვებია, კლდიებში შესცივნია, მოკაკვილა. ანდგარა, დაუნტერევია პიწკი რამე და: — მე აქ შეუტან, ბავშვებთან, გავთბები ერთი.

ეს რო შემოვიდა იმ ღამეჰ... ისევ ახლო მოზობელი თათარი ჰყავს რო — როგორც ძმიები და ეს ამი ცოლი იქ არი, იმათთან. — გავთბიო იეხლაო და წავიდე'ნაო. ქალ მაიკოჲ ერქვა, სახლი პატრონ. — მაიკოჯანო, წავიდეო — ბებერი ქალია.

ადგა ეს, რო წავიდა, გასვლა იყო, ჰამა ერთი-ორი გაიარა ნაბიჯი და ამიემართნენ წინა. ეს ურწმუნოები: — უჰ, ცაში გეძებდით და ძირ

გიპოვნეთ! ან სული, ან ცოლი!

რა'ნა ქნას. ეს შავუბეგთან არ არი, შავუბეგთან რო იყვეს, იქ იქნება... — ეს მირსალაანთა იქნება.

— ავდგე, მივიდე, რა ვქნა, რა უყო, მამკლან'და! (ფიქრობს, მ.ბ.)

წაიყვანეს, მიიყვანეს და დაუკაკუნა კარი...

— მირსაალ, კარი გააღე! — თათრულათ ეუბნება.

გამოვიდა, ქალი ჰყანს ერთი თანა ალაშაჲ რო! გამოვიდა ქალი, გაუღო კარი, რო შევიდეს. ქალიც იქ არი. გამოაგდეს კაცი გარეთ, შეცვივდნენ ესენი.

— ჩქარა, ქალი! — ქალი დაიმალა, მაგრამ საღ'ნა გადარჩეს.

ეს ქალი გამოიყვანეს, წაიყვანეს. ესენი კიდე დაბრუნდნენ, რო აქ ქალები კიდევ იქნებიან, ეს რო მოდიოდა ამ სახლიდან. გამოიყვანეს, გენაცვალეთ, მოვიდნენ და დააკაკუნეს კარებზე: — კარი გააღეთ!

ერთი ცოლ-ქმარია, ბებერი ბერიკაცი არის, იესე კარებში წევან, შიგნით ბიძაანთ ცხვარი არი. ამ შიგნით, ამ ცხვარში ერთი დადეშელი კაცი და ქალი არიან, სიდაღანაც გადმოხოწილან, მოსულან შიშით და იმ ღამეს მოგვადგნენ. შევიდნენ და იმ საცხვარეში სხდანან. მოვიდნენ ესენი, დააბრაგუნეს კარები.

— ჩქარა კარი გააღეთ!

ე, ბებერი ებნევა: — რა გავაღოთ, ბიჭოჯან, არავინ არი, რა გინდათ, რა ვქნათ!

— ჩქარა, კარი!

წავლენ, გადიეხვევიან ორი-სამი, წავლენ უკან-უკან, მოვლენ, მოსცხებენ ფეხსა.

— ჩქარა გააღეთ!

ეს ბრაგუნი მოესმა ამ მამიდაჩემს, საბედას. უთხრა ამამაცა, რო, ეთოს დედას, რო, ტასოო, დადეშელი ქალი იყო, ტასოო და: — რაა.

— იმოდენს ამწიეო, მიზურგულეო, რო აქ ჩიალუღზე ავიდე, ფურნის ჩიალუღზეო. ამოვიდა იმ ბუხრიდან და: ბავშვებს დავახოცინამ და რათ მინდა მე სიცოცხლეო, მერეო ჩემ პეტრეს (მამაჩემ პეტრეჲ ერქვა), რაღა პირობა მივცეო ე სამი ბავშვი რო მოვაკლეინოო — ერთი შენი დედობილია და ორიც ჩვენ ვართ, და-ძმანი.

ამოვიდა, გენაცვალე მიშაჯან და გადმოიხედა ბუხრიდან, რო ნამდვილათ იმ კარებ ამტვრევენ. ჩავიდა ქალი, ჩახოხდა ისევ, ჩავიდა და დაეცა და დაბნდა. ეჰ ქალი მივარდა, ეს ტასოდ: — ქალო, ქალო, ქალო!...

მივიდა შავუი ბეგთან და უთხრა: — შავუი ბეგო!

— რა?

— დეიდაშენი მოკვდა, ბიჭო.

— რათა? — აპა, იესე, იესე. ავიდა, ე ბუხრიდან გადიხედა, რო ბავშვები კარი გაუღებინებიათ და ჩამოვიდა და დიეცა და მოკვდა.

მოვიდა რო: უჰ!... ამას აღარ დაუსქნაა და გამოვარდა. გამოვარდა, ადფუნჯა (ნაბადი, მოსასხამი, თურქ.) წამოისხა და... გამოვარდა, შვილო და: ვაი თქვენი დედა კი ავატირეო, ამ თათრებ უთხრა, იმისთვის გაჭამე-გასვიო, რო მოხვედით და ამ დღეში ჩამიყარეთ წვრიშვილიო.

— ბიჭო, შავუი ბეგი მოდის, შავუი ბეგი მოდის! — ამ თათრებმა და გაცვივდნენ. გაცვივდნენ — გაცვივდნენ. ეს რო შემოვიდა და... შუქი დაიწყეს ანთება. მარან შუქი დაიწყეს, მარაანდო შავუი ბეგი მიეშველა.

— რას ეძებდითო, ვეღარ დაინახა ესენი...

ეს ქალი წაიყვანეს, ერთიც ზეით იყო, ზველელი ქლი იყო, ისაც ვერ ჩამოვიდა იმ ღამეს, ერთიც ის ქალი წაიყვანეს. ერთიც ისევ თათრებში იყო, იქვე ახლო(ჰ), ისაც წაიყვანეს. სამი ქალი იგდეს ხელში. სამი ქალი იგდეს ხელში, შვილო, მაგრამ, ე ზველელი ქალი გადავარდა კედლიდან და წავიდა, ირბინა, ირბინა. ერთ კილომეტრზე ერთი სახლი იყო და მივიდა და ორმო იყო, კარტოფი ორმო, იმ ორმოში ჩავარდა, საცვლიანი, მარტო, ტვიტველა ქალი. ეჰ ქალი იქ დარჩა, და ჩვენ შეგვინახა ამ კაცმა. ის სამი ქალი წაიყვანეს.

## ჩვენი ცხოვრება...

...გაგზარდა მამიდამა. დედ-მამა დეგვეხოცა საკოჰავში და მამიდამ აგზარდა. სამი ადამიანი აგზარდა, სამი ბავშვი. ერთი ბიძაშვილი და ორიც და-ძმანი (ამის დედობილთან გაგზარდა). შევღერდი, გავხდი გასათხოვარი.

ჰოდა სოფელში ერთითანად ამიძღვა ეშმაკივით. მე არ მინდოდა, ვამონდი, რო ჯერ ძმა უნდა დავნიშნო. ძმა უმფროსი იყო ორი წლით ჩემზე. არ იქნა და არ იქნა! ჩემ ტადამ გაიგო, ბიძაჩემმა, დედის ძმამა. დედის ძმამ გაიგო და მოვიდა. ესე-ესე დამსმინდა, საბედჯანო, და რაშია საქმეო.

— რა ვიციო, მამიდაჩემმა უთხრა, რა ვიციო, მოყვარეჯანო — ბიძა იყო ჩემი — ესეო ასდგომიაო და რა ვქნაო?!

— მაგი დედა ვატირეო, მაგასაო არ მივცემო.

მერე ჩემ ძმამ უთხრა, რო:

— ბიძაო! და: — რაო?

— მეო მაგით კარზეო ჩემ დას ვერ დავინახამო. მოდიო, გავათხვიოთო.

— ე, რო პატარადაო?

— რა ვქნა, რო პატარადა. პატარადა თუ რა არი, რო ასდგომია ეშმაკი, რა უყოთო. დამიჭირა და გამათხოვა ტადაჩემმა, წავიდა, მოიყვანა ბიჭი და ვნახეთ და გამათხვია, მიმცა.

ადგა ბიჭი, წამოვიდა, ვიღან ხელს მომყონდა. ვიყავი პატარად.

მამანთილმა მამიტანა ნიშანი, სანახავათ მოვიდა. ჩვენ ნიშან ვეძახდით... მამიტანა და უთხრა მამიდაჩემმა: — მოყვარეჯანო, და: — რაო, შვილოო?

— მეო გავათხოვე, მაგრამაო, ძალიან პატარაკაო!

დამკვირდა მამამთილმაც, რო მართლა ბოვში ქალია. — წლანდიო ვერ მოქცენ, შემოდგომანდიო.

— კარგი, შვილოო, ჩემმა მამანთილმა. წავიდა ეს კაცი. ნიშანი მამიტანა, დამთავრდა და წავიდა. წავიდა და ექვსი თვე გათხოვილი ვიყავი. აღდგომი ხანებში გავთხოვდი და შემოდგომით მოველი.

ვერძ რო ურევენ, იმ თვეს რას უძახით, ჰო სექტემბერი. ჩვენ ყოჩაკ ვიცით, ჩვენ უძახით: ყოჩაკ. მოვიდნენ და იმ დროს... მამანთილი მოვიდა და... ვარძიობას თქვენი ჭირი წაიღო (28 აგვისტო, მარიამობა), ადგა და მერე ბიჭი მოგზავნეს სანახავათ, მაზლი, აი ესა.

მოვიდა რთველი და ავდექი და წავედი.

კი არ გვებნევიან, რო მამანთილი მოუკვდაო. ჩემი ძმა უჩუმით წამოვიდა, ნახეს, მუუსამძიმრეს. მოვიდა ქორწილი დრო და მოვიდნენ, წამამიყვანეს. მამანთილის ხსენება არ არი. მერე რო დასხდნენ ქორწილზე, პური-რამე დაიწყეს და მერე სადღეგრძელო დამთავრდა და... მეც ვებნევი, რო, ე როგორი საქმეა, თუ არ მოჭწონდი ამ მამანთილ, როგორი საქმეა! ერთი მოვიდეს და მითხრას, რო შვილო, გამიბედნიერდი!

დეიდაჩემმა მითხრა, სოფელში დეიდა მყანდა: — შვილოო, შენი მამანთილი და ჩემი ქმარი ავათ არიან და წევანო.

— როგორ ისე ძრიენ-მეთქი ავათ არი... მერე რო ადღეგრძელეს და, მაშინ ემევსო გული. აქ მამა არ მყანდა, დედა არ მყანდა. მამანთილის იმედზე ვარ და ესეც არ ყოფილა!

დავიწყე მაშინ იქ ტირილი, მომცვივდნენ მულები, ტაკაჩემის ცოლი: — დაიცა შვილო, ჰალა დაიცა, დედამამის იმას გაუძელი და ამაჰ როგორ ვერ უძლებ, მამანთილ. დაიცა, რაღას იზამ.

ეჰ მამანთილიც ისე დაიღუპა. ოთხი ბიჭია და ერთი გოგო — ხუთი შვილი. მე თვრამეტი წლის ქალი მოვედი, თუ ჩვიდმეტი, არ ვიცი! თექვსმეტი წლისა რო გამათხვიეს, არა, ჩვიდმეტი წელი სახში შევასრულე, მეთვრამეტეში ჩავდექი.

ამაზე ხო უნდა კარგი მიდგომა, რო არც სახელი გაგიფუქდეს, არც შესძულდე და ესენიც ობლები არ დატანჯო. თითონაც ობოლი ვარ! როგორც ნამდვილი შვილები, უფროსები, რაგორც ნამდვილი ძმიები. თელი სოფელი იძახდა, რო ამ ქალმა, ამ ჯიელ ქალმა რაგორ'ნა გაზარდოს ესენიო. ვენაცვალე ჩვენ გვარსა, ჩემ ჯიშსა და ჩემ დამბადებელ ღმერთსა! უფალსა!

ეს დავნიშნე, მერე ერთი ობოლი იყო კიდე, ბიძაშვილი იყო ჩემთან, ესეც დავნიშნე, გოგოც გავათხვიე. ერთი პატარა მაზლი მყანდა, ექვსი წლისა იყო, რო მოვედი, ესაც სამხედროში წამართვეს, გავგზავნე, ესაც

წავიდა. ი ობოლი ვინც იყო, ის მოვიდა და ეს ორი მაზლი წავიდა... ჩემი გაზდილი. ეს ძმა მყანდა, ესაც წავიდა. მე რაგო ვცოცხლონ, რა ვიცი. მოვედი აქა, შვილო, ხუთი ბავშვი მეყოლა. დავზარდე. ქმარიც დამემტვრა. ეს ხუთი ბავშვი ისე გავზარდე, რო როგორც მამა, ისე ვიყავი. ღამეც ერთი იყო ჩემთვის, დღეც ერთი იყო.

## ქორწინება, ოჯახური ურთიერთობანი

...ეხლა წაიყვანებენ და ერთი ვნახო, სამი დღი მერე მიიყვანს ქალს იქა, ისევ მოვა სამშობლოში. აგრე არა! ქალი იყო და გაათხოვდნენ. ბიჭ გასინჯებდნენ, იკითხენდნენ და იწერილენდნენ და გაათხოვდნენ. ექვსი თვე არ მისცენდნენ. გასჭირდებოდა — ხუთი თვე, გასჭირდებოდა თუ ისე უპატრონო იყო — ორი თვე, ახლა კი არა! — წაიყვანს ათი დღე, მერე ისევ მოიყვანს და ორსულ ქალს ამართანს აჯლაზე (აჯლა — მეფე-დედოფლისთვის მომზადებული ამაღლებული ადგილი საქორწინო სუფრასთან).

იყო წინათ ქორწილი. სამი დღე ქორწილი იყო, ვაჟისა, სამი დღე. დილა-საღამო. კარგი პურ-წყალი. ხოლოთ ასე კი არ თვრებოდნენ, თავი ნორმაზე დალევდნენ, ადგებოდნენ, წავიდოდნენ. დილაზე კიდე მოვიდოდნენ. საღამიენდი იქეიფენდნენ საღამოზე კიდე ადგებოდნენ, წავიდოდნენ. მესამე დღეს მაყრებს რო გაისტუმრენდნენ, მაშინ ისინიც ადგებოდნენ, დიდი მადლობით და წავიდოდნენ.

იყო წილ-წილათ ფული იყო, საჩუქრები იყვნენ, დაფასება იყო, შვილოჯან. ახლა არა! ახლა არა!

დაჰდგენნენ, ქოთანი იყო, მაშინ ვედრა არ იყო, დიდრონი ქოთნები იყვნენ, შემოიყვანდნენ, შემოუძღვებოდა მამანთილი და მოუროვინენდა სამჯერ. ეს მაყრები ჩაურჭენდნენ ხანჯალს, რო ნახო, ერბოა, თუ სხვა რამეთი გვატყვიილებენ ამ ქოთნით. დახედენდნენ, რო ერბოა. სამჯერ რო შემოუროვინენდნენ, წაიყვანდნენ. აიყვანდნენ, მაშინ აჯლას ვეძახდით, ტახტი. აიყვანდნენ იქა და ლოცენდნენ და ქეიფონდნენ. სუფრებზე ისხდნენ, ასე (ს)ტოლებზე ხო არა! მოკეცილები, ძირ დაგებული სუფრები და ჯეჯიმები, ფიჩვები და ასე ქეიფონდნენ.

რძალი მამანთილს ეუნძრახებოდა. მარან ბავშვი არ ეყოლებოდა, მარანდი მამანთილი არ დართენდა ნებას, რო: — გეყოფა, შვილოჯან, უმძრახობა. მაშინ მივიდოდა, ხელზე მოიკითხენდა. და გასცენდა ხმას, დიელაპარაკებოდა. მივიდოდნენ, ფეხებ მოხდიდნენ (რძლები მამანთილს), ტანთ გახდიდნენ („ტანთი" — ტანსაცმელი). დილით რო ადგებოდა, მარანდი მამანთილ გაეღვიძა, მარანდი რძალი ფეხზე'ნა ყოფილიყო. მარანდი ხალხი აშლილიყო, რძალ'ნა დეეგავა კარ-მიდამო, რო თქვან,

რო რძალ დაუგვია. მამანთილი ადგებოდა, პირ დააბავინენდა, პირსახოც მიართმევდა. მივიდოდა მამანთილი, შუბლზე აკოცენდა, რო ასეთი მადლობელი რძალი მყანსო, ასეთი კარგი რძალი მყანსო. ასე იყო. ეხლა — აღარ! ეხლა მამანთილი დგება და რძალი წევს.

## საეკლესიო ცხოვრება

ეხლა მარხვა არი, მარიობის მარხვა არი. ეს მარხვა არი შვილების მარხვა, წვრილშვილის მარხვა. დავიჭერდით მარხვას, შვიდი კვირა მარხვა გვექირა, შვიდი კვირა. თვენახევარია შვიდი კვირა? — დიდი მარხვა! ამაჰ დავიჭერდით. დაიწყენდნენ წირვა-ლოცვას — ღვდელი. მივიდოდით, ელოცულონდით. წირვა იყო. მერე დაიჭერდა და ღვდელი გაგვანდონდა. განდობას ვეძახდით (აღსარება). ქონდა წამოსხმული, შეგვაფარენდა ამას, დაგვაფარენდა და გვკითხენდა: — ცოდო რა გიქნია, თქვენ, რო ცოდო მოგეხდებათ.

— მუზობა (სიავე) ხო არ გიქნიათ! — არა!

— ქურდობა ხო არ გიქნიათ! — არა!

— მოზობელთან წაკიდული ხო არა ხარ? — არა

— თქვენ რო ცოდო მოგეხადოთო. ავდგებოდით, კიდე დაიწყებდა წირვა - ლოცვასა და გვაზიარენდა. მივიდოდით და გვაზიარენდა. როგორ გვაზიარენდა: იემხელა პურის ნაწილი დაჭრილი იყო, ის'ნა გემიეცხო ან გოგოს'ნა გემიეცხო. სულ ჩემი მამიდაჲ აცხენდა. ან ქვრივ ქალ'ნა გემიეცხო. ჰოდა, აემაზე პატარა პური და დიაკვან ვეძახდით, ეკლესიის ის იყო, მღვდლიების ისა, მოსამსახურე. მივიდოდით და: „— და ძისათა, მამისათა და სულისა წმიდისათა...ამინ!" და ნაწილ მისცენდა ახლა იმას. ახლა იმას...

ასე იყო ზიარება. მონათლაც ასე იყო. წაიყვანდნენ ბოვშებს, მოანათლინენდნენ, დაპატიჟენდნენ ნათლიას, პატიჟობას გადიხდიდნენ და მერე მიდიოდნენ ხოლმე, ნათლიას ნახენდნენ. ნათლიაც ისე დააფასენდა. დიდი ნათესაობა იყო. ნათლიდედასა ნათლიის ერდოზე არ შიეძლო გადიევლო. ფეხი რო დიედგა, არ შიეძლო. ნათლია რო მოსულიყო და მაგალითათ ნათლიდედა ზის და დეე იქ, ერთ კილომეტრში გაიარა, ის ნათლიდედა ფეხზე'ნა ანდგარიყო. რო შემოსულიყო ნათლია სახში, უნდა მისულიყო, მხარზე მიეკითხა, ხელზე მიეკითხა.

...შენი ქმარი აქაურია?

— არა გურულია.

— შენი ქვეყანა, შენი ერი დაკარგო და გურულებ და მეგრელებ გაჰყვე!

კარგია, მეგრელ არ წაჰყევი. ( მეზობელი ქალი ეკამათება — ქართველი

თუა, ქართული გვარი თუ აქ...)

— ფრანგები და შენ ერთი ხართ? (გაჯავრებული პასუხობს, მ.ბ.)

## კოლექტივიზაცია

...მოდიოდნენ და გვებნეოდნენ, რო, — კოლმეურნეობაში შედით! — რაგორ შეხვიდეთ: — მიწა არ'ნა მოხნათ! გვართმევდნენ თითო უღელა ხარსა. ჩავაბარეთ, რაც ხარები გვყანდა — ზოგ სამუღელა გვყანდა, ზოგ ორუღელა გვყანდა, ზოგ ერთუღელა გვყანდა. — ხარი ჩამოგვართვეს. ძროხაც, — თითო ძროხა ჩამოგვართვეს. ვისაც იმედი ჰქონდათ რო პური ჰქონდათ... ჩვენ ჩამოგვართვეს სამოცი ფუთი პური. ფუთი არ იყო მაშინ, კოდი იყო, ჩამოგვართვეს. შეგვიყვანეს კოლმეურნეობაში. ერთი წელიწადი არ შევიდნენ და გვაჯარიმენდნენ, — კოლმეურნეობა ისეთი'ნა იყოსო, რო — ლენინი იძახდა, ერთი საბანი'ნა შეიკეროს კოლმეურნეობაშიო, ხალხი ერთ საბანქვეშ'ნა იყოსო, ხალხი სულ ერთათ'ნა იყვესო, ერთათ'ნა იმუშაონო, ესეო, მონაზარდიო ისე'ნა იყვესო, რო აი, რაგორც საქონელი ერთიმეორეშიო, — ეხლა ისეც არი! — ბიჭი, გოგო ერთათ'ნა იყვესო, ასე'ნა შევიდეს კოლხოზშიო, დადგენილება ეგრე არიო. ერთი რიჰ კრება არ დარჩებოდა თუ იმაზე არ შიეყვანათ, კრებაზე. კრება! — ეხლა ბავშვი არ არი, კრება რა უნდა! სამოცი ფუთი პური დაუწყო ჩემ ქმარმა კოლმეურნეობას. ეხლა ზოგი გამოვა, ამონს, რო — მე კოლმეურნეობა მიყვარს.

— რა გიყვარს?!

— მიყვარს!

— ჰო, შენ კოლმეურნეობას კისერზე დააწექი, ბავშვი იყავი, შიერი კვდებოდი და კოლმეურნეობას კისერზე დააწექ. მე ამდენი ფუთი პური გადავიხადე. შენ ახლა ჩემზე მეტი მოდიხარ! — ასეა შვილო! სამუდამოთ დადგინდა ნამდვილა რაგორც თქვა ლენინმა, ისე გასტანა!

***

...მრავალჟამიერ... მრვალ, მრავალ ჟამიერ!
მრავალსა წელსა, დახვდი შეწევნითა.
მიველ და ვნახე სამოთხისა ხე,
ერთია — მზეა, გენაცვალე, მეორე მთვარე,
მესამე ჩოქით შემოუარე!
მრავალ, მრავალჟამიერ!
მრავალსა წელსა დახვდი შეწევნითა (მღერის...).

## ნახშირის ვაშლი (ზღაპარი).

...ამ ქალმა ერთი კაცი შეიყვარა, უთხრა ამამ: (ქმარს) — წახვიდე'ნა და მე'ნა მამიტანო ნახშირის ვაშლი. — ქალო, ნახშირიჰ ვაშლი სად მოგიტანო, სიდან მოგიტანო! აჰ, ავათ ვარ! გამოაცხო უხა (თხელი ლავაში) და დააგო აი ამიჰ ქვეშ, პრასტინი ქვეშ და რო ბრუნდება აქეთ-იქით, ეს უხა ქვეშ იმტვრევა და: — კაცო, ინახამ, რო ძვალი-რბილი მემტვრევა, ჩქარა, მე მინდა ნახშირის ვაშლი!

ადგა და წავიდა, წაჰყვა. წავიდა, იარა, იარა და შეხვდა ერთი კაცი. ამ კაცმა უთხრა: — გამარჯობა!

— გაგიმარჯოს!

— სად მიდიხარ, კაცოო, და: — ნახშირის ვაშლი მინდაო, ქალი ესე ესე ავათ მყანსო. ნახშირი ვაშლ ვერ იპოვნიო. შენი თავიო რიღათიცაო მოუტყვილებიაო. ადგა, წამოვიდა და: — წამამყეო! რო მოვიდა სოფლი კიდურზე, ეს კაცი ჩააჯვდინა ერთ მეშოკში, ჯვალში. აიკიდა და მოვიდა. უთხრა რო, ამაღამაო მისტუმრეთო, გზაშიო დამაგვიანდაო და, ამაღამ მისტუმრეთო, რა არისო. — მობრძანდიო. რო მივიდა, ეს ჯვალიც შეიტანა, ასე დადო, ამ მეშოკ მუუჯდა. ნახო, რო შემოვიდა კურო, შეყვარებული. ამამ დაიწყო ლაპარაკი, აქეთ-იქით და მღერობენ და თამაშობენ. ამამ უთხრა, რო: — მეშოკში მაყურებელო თვალებოო, ისმინე ჩემი სიტყვებიო, აიღე თოხი და გაუდექ ამათ განშიო! ეჰ კიდე უკრანს, ეჰ კაცი უკრანს, ქალ ათამაშანს, ქალი უკრანს — ამას ათამაშანს. (ბევრია, მაგრამ მავიწყდება, რა უყო...)

ამამ გამოვიდა ე მეშოკიდან, — აუსხნა პირი და ჩიერია, ორთაევენი, ეს კაციც მოკლა და ქალიც მოკლა!

## ოჯახური ყოფა

...კაცი მყანდა, წისქვილში იყო, რო გადმოგვასახლეს, — ასპინძაში მიხაჲ არ იყო, ტოლოშელი მიხაჲ, — ის კაცი რაზე მუშაონდა — დამზადებაში! — ჰო. — ეს მიხაჲ, ამ ჩემი ქმრისა მამიდაშვილი იყო, მაამისის ბიძაშვილის შვილი იყო, ტოლოშში გათხოვილი ქალისა. აემამ დააყენა, აქ გადმოგვასახლეს და... ვერ მუშაონდა. იმდენი... თათრებს ეცემათ, დიეწვინებინათ, პალუები დეერჭოთ, დიეწვინებინათ, იმდენი ეცემათ, რო აქ სამი ძვალი ჩეემტვრათ, აბა! რო მომიყვანა, იტკიებდა ამას. მომიყვანა ამ კაცმა და უკვე ტკივილი დაიწყო. ობოლი ხალხი!

ესენი წვრილები იყვნენ (შვილები). ესენი, მთაში რო წამოვიდოდი, ძროხას წველიდნენ, ესა და გოგიაჲც. ცალკე წისქვილ ყურ ვგდენდი, ცალკე წისქვილ ვხედენდი, ცალკე ნაქალაქავ ამ ბავშვებ ვხედენდი... ამ

სახლ ყურადღებას ვაქცევდი. ყველ ვაკეთენდი.

ზედა თმოგ — ყველი. აქ ყველი ვერ გაგვიკეთებია, აქ არა, აქ არ კეთდება ყველი! ყველი კეთდებოდა იქა. ისეთ ყველ ვაკეთენდით, რო — როგორც თმა!

ასე ვიყავით. ესენიც შეიღერდნენ. სამხედროში გაიწვიეს, წავიდნენ. ამამ დაამთავრა, მოვიდა. მერე პატარა ბიჭი წავიდა. რვა წელიწადი ამათ ერთიმეორე არ ენახათ, ძმება.

ჩამოვიდნენ! აი მარტო ქალი, და ის კაციც წისქვილში! წვრილშვილის პატრონი — შვიდი სული ვიყავით. ასე ვინახდით წვრილშვილსა და მეც ასე ფტანჯონდი. მადლობა ღმერთ! დაიზდნენ, დაინიშნენ, დავათხვიე — სამი გოგო და ორი ბიჭი მყანდა. ასე დავათხვიე, ასე დავნიშნე უმიზეზოთ და უმინკოთ.

## ხანულობა, რძის პროდუქტები

...მანამ სეპერატორი არ იყო, რძეს გობებში დავფილენდით. ავიღენდით, დავჰკვირდებოდით, რო უკვე ყველის გემო ჰქ. ავიღენდით და გავაკეთენდით ქვაბებში, ნაღებ მოვხდიდით, მერე გავაკეთებდით ყველსა. გავაკეთებდით ყველსა, რო, რო გაგეწია, არ გაწყდებოდა. ავავსენდით დიდრონ ბოჭკებსა. ჩეჩილ ყველ ვეძახდით. ცხვარსაც მოვწველიდით. ცხვრი რძეს დავსწურენდით. ხანული ვიცოდით, ორი ქალი გავხდებოდით, სამი ქალი. დღეს შენ მამიტანე ერთი ათი დღე, ათი დღეც მე მოგიტან. ხუთი დღეც, თუ იმას ცხვარი ცოტა ჰყანს, ახლა იმაჰ მიფცენდით და გავაკეთებდით ბოლათ (ბლომად). ჭდე იყო. ჭდე ეხლაც გვაქ. ჩემ მაზლიშვილმა მომცა, მერე მივეცი, გადავუხადე და ვალი აიღო ერთი სამი დღე, ეხლა ცხვარი წავიდა და ჭდე დარჩა ჩემთან. ვებნევი, ნა აფჭრა, გადავყარო, და: — არა, დიდედო, არაო. მეორენდი შემინახეო და მეორენდი რაგორ შევინახო მე ჭდე. შეახვიე რაშიმეო და ჩადეო ჩამადანშიო.

ასე გავაკეთენდით ყველ. ცხვრის ყველ გავაკეთენდით ხოლმე ჩეჩილ, ამოვიღენდით, რო გაფწურენდით, დავზელდით ყველსა, დანით გავშვრიდით რო თუ ცოტა გაღვიებულა, ჩავასხენდით ცოტა ტაფაში წყალსა, ამას ჩავჭრიდით, დავზელდით. ერთ სამ წყალ გამოუცვლიდით, ეს გახდებოდა როგორც ხასი, კევი, შავი კევი, შავი, არყის კევივით ნაზი და ამას გავაკეთენდით ასე, გავაკეთენდით, გახდებოდა, როგორც ძაფი. ამაჰ დავმარილენდით, მივაწყენდით. ამოვიღენდით მერე და გაშრებოდა. მერე იმ მარილწყალ რო უცვლიდით არა, ის გახდებოდა ნაღები, ის წყალი. უძახდით ნაქაჯ. იმას მერე ავდგებოდით რო გახდებოდა, დავხედენდით, რო ქოთანია თუ ვედრა არი, ამას ავანსენდით. დავიჭერდით იმას და გაფტენენდით კარგათ, — ნაღბიან! ი ნაღები მიეკრებოდა ზედა.

დავიჭერდით, გენაცვალე, გაფტენენდით იმაში, ორი დღე იქნებოდა. ორი დღი მერე ჩაურჭენდით უხლავ, რო, ჩავხვრიტენდით, რო — ნახო, როგორ არი ძირი. დავიჭერდით და მოვამხენდით პირქვე, გატენილ. მოვამხენდით პირქვე და დავადენდით ერთ ქვასა, ზევიდან რო ვედრა არ აისროლოს. არ აღვიებულიყო და გამოწურულიყო. რო გამოიწურებოდა, გადმოვაბრუნენდით, ჩაურჭენდით, რო, — შრალია ძირი. თუ უნდა შეგვენახა, ცოტა ერბოს მოვასხანდით, თუ'ნა გვეჭამა, ისევე დავდგებოდით და ვჭამდით. ეხლა ძროხისას ვაკეთანთ, მაგრამ აქ არ კეთდება.

ალავიძე რომანოზ, 1927 წ. ახალციხე, სოფ. ღრელი, 1991 წ.
შადრაძე-ალავიძე ლიზა 1930 წ. ახალციხე, სოფ. ღრელი, 1991 წ.

## თათრები

ცოლი: ...სანამ გაასახლენდნენ, ჩვენ მოვესწარით, ვცხოვრონდით ერთათ. სამი ოჯახი იყო ჩვენ სოფელში. სუ ქართულ ლაპარაკონდნენ ისინი ისეთი კაი ხალხი იყო, ჩვეულებრივი, ჩვენნაირი ხალხი,.. ერთი მოხუცი იყო, ჩუშუტაკ, ხუშუტ ბებეკ და: აი, ით ოღლით მამაძაღლო".

„— ით ოღლით" არი ძაღლიშვილო, მამაძაღლო რა! — ვაბრაზენდით. მოხუცი იყო და... ბავშვებ ჭკუა როდი ვ'ქ რო? ვაბრაზენდით ხომე. მშვენიერი კაი ხალხი იყო. როგორც ჩვენ... პროსტო თათრები ერქვათ, თორე ჩვენსავით ქართულ ლაპარაკონდნენ. სარწმუნოება მე რავი... სარწმუნოება როგორი ჰქონდათ. კაი დღეშიც... კალოობას მოვესწარი. კალოს რო ვლეწანდით ხოლმე ხარითა, ისინიც ჩვეულებრივ ლეწავდნენ, როგორც ჩვენ, ისეც ისინი.

ქმარი: — თქვენი სახელი გოგო?

— მარინა.

— მარინ, მაშინ ასე დავიწყოთ, აქედან დავიწყოთ:

ჩემი ცოლის წინაპრები იყვნენ თურქები, ესე იგი, მესხელი თურქები, მამადიანი ქართველები. ჰოდა ამის პაპის მამა, მურადაკ მონათლეს. როგორც ქართველი ქალი ითხოვა, მონათლეს. პაპაჩემიც, როგორც საბჭო — დეპუტატი, სოფელში დასწრია. მღვდელი, მამასახლისი... სოფლის თავკაცები (!!!) ხოდა რო მოუნათლიათ: — გვარი მივცეთ, გვარი მივცეთო და იმ მურადას მამას უთქვია, ჩვენ ჩვენი გვარი გვ'ქ შადრაძიები ვ'ართო. მღვდელი გაშრა და დარჩაო, აგერ ა პაპაჩემი. ნამდვილი ამბავი, მოყოლილი, დაწერეს შადრაძე. თავეთი გვარი ჰქონდათ. ხოდა, შადრაძიები დღესაც არავინ არ არი, არსად არ არი ასეთი გვარი.

ახლა ამათ, ამ მურადას, ძმები ჰყავდა, ბიძაშვილები ჰყავდა. თურქებათ იყვნენ, თურქებათ დარჩნენ დღესაც. გაასახლეს, თურქებათ იწერებოდნენ. აესენი, თავეთ გვარი რო იკითხეს, შადრაძიები ვართო და შადრაძიებათ არიან. ამის ბიძაშვილები იყვნენ ბგლატ ჰუსეინ-ოღლი, ჰუსეინ ოსმან-ოღლი, ეთერას არ ჰყანდა არა ვაჟიშვილი,

— მერე რა გინდა რო, ვითომ თათრი ჯიშის ვარ ხო, რათ მიწუნებ?

— არა დაიცა... თათრები ცუდი ხო არ არიან!

უდუნას (?) წავიდნენ ერთი-ორი ოჯაღი და ასე, მერე იწერებოდნენ მამის სახელით, იმათ გვარები არა აქთ თათრებსა...

## ჩვენი ცხოვრება: ოჯახი, მეურნეობა...

ცოლი: — თბილისი გზა არ ვიცი, ასპინძა არ ვიცი. დავიბადე ღრელში, გავიზარდე. ღრელში გავთხოვდი, აგერ ვბერდები და მალეც მოვკვდები და... რვა წლისა ვიყავი, რო დავიწყე შრომა. თავთავ ფკრეფდით. სტალინი დრო იყო არა, რომან! რვა წლიდან დავიწყე მუშაობა, შვილო, და აგერ 62 წლისა... 62 წელში ვდგევარ და ვმუშაონ და ვმუშაონ.

ექვსი ბიჭი და ერთი გოგო მეყოლა, შენ ხარ ჩემი ბატონი, ამ ექვს ბიჭიდან და ერთ გოგოდან მყვნს ეხლა სამი ბიჭი. მაკლია სამი ბიჭი და ერთი გოგო. დიდები მაკლიან, სხვისი მიზეზით დამეღუპნენ. ერთი 17 წლისა, ერთი 10 წლის ბიჭი, მაგრამ შვილათ მაწერია და პენსიაში მაინც დახმარება მაქ. მომიწია რა, მალე გავედი პენსიაში. მე რავი, ვწვალონთ, ვშრომონთ.

კაი დღე მე არ მინახია, სულ ვშრომონ. ქეიფი, გულაობა, კაი ჩაცმა, კაი დახურვა არ ვიცი... ვაშენე, ვაკეთე და... გუთანზეც მივლია, მეხრეთაც მივლია, ფარჩხზეც მივლია, კაბდოზეც. ჯილღა იყო — ხნენდა, ეე... ბორჯღი იყო. მოხნილ მერე დაბორჯღენდა და გაასწორენდა მიწასა, მერე დავთესანდით. პაპაჩემი თესენდა და მეტყოდა, რო თესპირად გამიძეხიო. თესპირი არ ვიცოდი, რა იყო, იმხელა ბოვშვი ვიყავი. — რა არი თესპირი, — აი, ასე რო მოაბნევ. ეს ხო პირდაპირ მიდის, ასე, რო მოაბნევ, სინამდინ ცვივა მარცვალი, ამი პირდაპირ იარო, რო დამთესმა... (არ დაახარიოზოს — კაცი)... გინახდეს (ხედავდეს), რო სიდაანდი გადმოაპნიოს.

— რა არი „დაახარიოზოს?"

ქმარი: — აი, ასეთი სიტყვები გინდა შენა! — დაუთესავი არ გამორჩეს ხარვეზი!

ცოლი: ...და მეტყოდა: შე მამაძაღლიშვილო, შენა, ვერ დაგინახიაო, ბრმა ხარო, ვერ გაგივლიაო? ბრმა ხარო, შე მამაძაღლიშვილოო, ვერ

გაგივლიაო დათესილის პირზეო, რო მეო არ შემეშალოს თესვაო.

თესპირად გაუძღვებოდი და ისიც აბნევდა. დავთესენდით, მერე იმას ჩავახნენდით, მერე გადავბორჯღენდით, მერე გადავფარცხენდით. ფარცხი არი ცოცხივით ასე დაკრილი. ასე დააკრავ ტოტებსა და ასე დაფარცხავს, ხარები გვქონდა და ვფარცხენდით.

ქმარი: — არა, კაცო, კაბდო, კაბდო. კაბდო იგივე ფარცხია.

ცოლი: ფარჩხია, კაბდო რაღა არი, კაბდო არი, ფოჩები რო ჰქონდა დაკრილი. მერე დავთესანდით აგრე, დავფარცხანდით, მოვხნენდით... მერე მოვმკენდით, ცელით მოთიბენდნენ, დავაფოცხენდით, დავაორთითენდით, ზვინებ დავყრიდით და მერე ვლეწანდით ხარით, მოვიტანდით ურმითა და პალოები ქვონდა გაკეთებული იესე, პრიალაი, ლიპი აჰა იემნაირი ლიპი...

— დავაორთითენდით, დავაღვარიელენდით. — ასეთი სიტყვები უნდა. ღვარიელი იცი, რა არი? — მოგროვება — დააღვარიელაო.

— გავლეწენდით მერე ხარითა, მერე ხელით ვანიავენდით, ფიწლები ქვონდა ვანიავენდით... ავისროდით ასე მაღლა და პური წინ ცვიოდა, სუბუქი ბზე მიდიოდა უკან, ქვონდა ჩატოვილი ასე, პურ ამის წინ გადმოფყრიდით... — რა კაი იყო, მართლა, იცი! რა კაი იყო. ახლა რო სულ სანევრიულო რამეა ...დიდ გორას შევაყენენდით და გავიდოდით ამ ხვავზე, ხვავ უძახდით. გავიდოდით და გამოვიდოდით ამ ხვავზე. პური ცალკე გადირჩეოდა, ბზე ცალკე გავიდოდა. მერე ვაცხრილენდით იმას. უი ცენ, ნინა ძალოდ, ბიკო ხო გახსონს? — ხო, მახსონს. წუხელაც გამახსენდა.

ქმარი: — დაკმაზა... (დაკმაზა — პურის გარჩევა)

ცოლი: ბესო ბიძაჲ ის იყო, ღამე ყარაული კალოებისა, მთვარე ამოვიდა, ისევ ვცხრილანთ ცხრილებში ხორბალ, რო საწყობ ჩავაბაროთ. ხუმარა ქალი იყო ნინა ძალოდ, აცხონოს ღმერთმა და ის არი: — კაია, ნინაო ნუ გააჭირვეო, ღამე გავიდაო... — რა გინდა შენ, ბესო ბიძაო, შენ ლულავ, ლულეო მანდაო. ზვინი ძირზე იჯდა, მოტანილი იყო ბზა, რო მეორე დღეს ის'ნა... გაგვეკეთებინა. ისაო, კაიო, ნინაო, მორჩიო, ნუ გააჭირვეო და რა გინდა შენ, ბესო ბიძაო, შენ ლულავ, ლულე მანდაო... — ჩემი ლულაო, შენ რას გარგიაო, შენც ხო უნდა დაიძინოო, ჩემი ლულა შენ რას გარგიაო. — ძაან ბოდიში...

— ეგრე ვაკეთენდით და დეე, შუაღამენდი კალოებზე ვეყრებოდით ხოლმე. ჯამრთელობაც იყო, კარგობაც იყო...

## სიყვარული, ქორწილია

— არც სიყვარული ვიცოდი, არაფერი! ვიყავი თოთხმეტი წლისა. არც სიყვარული ვიცოდი, არც არაფერიც, არა, როგორც აე სტოლბამ არაფერი იცის, ისე — მე! ეს ჩემი კაცი ეშმაკი იყო. ორი წლით უმფროსია ჩემზე. შემიყვარა. არ შორდებოდა ჩემ კარებ. ეგეც მუშაონდა იმაში, ბურაოზე, შახტში.

შახტში მუშაონდა და ვალიდან ადგებოდა, მაშინ მანქანებიც არ იყო ბევრი. რომელი წლიები იყო, აღარ მახსონ, ბიჭო, მე ოცდაათიანი ვარ. ვალიდან ადგებოდა, გამოდიოდა, ჩვენ ბალკონიანი სახლი ქვონდა ღრელში. იქ ათენენდა, ერთიც პაპიროზ გამინათენდა ხოლმე... (— რა არი სასაცილო, სასაცილო გახდებოდი, რო არ წამოგყვებოდი).

მოვიდოდა, იქ ათენენდა, ათენენდა, ერთ სოფლელები ვართ ორნი, ისევ განთიადით დგებოდა, წვიდოდა, ხოლმე. თავი მშობლებმაც არ იცოდნენ. ასე ასე რვა წელი გავიდა ამიესობაში. დედა! ვებნეოდი: — რა გინდა, ადამიანო, ხო, წამოგყვები, დრო რო მოვა, წამოგყვები, რას მამწარამ და მაწუხამ. მერე გავხდი. ოცდაერთ წლამდი მივედი, რა! და მაშინ მითხოვა. გავყევი სანამ მითხოვდა, უჰ! უჰ! ხან თოფით შემომივარდა, ხან ფანჯრები დამინტვრია, ხან კარებიდან გადმოძერა. ეშმაკი! (— როდის დაგიმტვრიე?!), ეშმაკი! ეშმაკი! ისე დავკეტანდი კარებსა, გოგო რო...

ძმიები ჯარში დამეკარგა, მამა ადრე მამკვდომია. პაპა მოხუცი მყანდა. ბებერაჲ კიდევ ისე.

— აი რა ფარშივი ხარ შენა (კაცი!), რატ არ თქვი სიმართლე!

— აი, შენ მოუკვდი შენ პატრონ!

— სანაძლეო გავაკეთეთ, ადგა და ამსიგძე, სტრაფილი ლურსმები დააჭედა...

ორი, სამი, ოთხი ლურსმანი და მართლაც ვერავინ გახსნიდა. თუ შემოვიდე-მეთქი, ჩემ თავ ჰალალი იყოს, თუ არა და შორ და შვიდობითაო! — მეთქვი, შენ ორმოცი ხათილი (ლურსმანი, თურქ.) დააჭედე, შენ. თუ გინდა, ორმოცი ლურსმანი დააჭედე, მე შემოსული ვარ უკვე...

— კარები არ გიეღო, მაგრამ ზეიდან ჩარჩო გემიეღო და გადმოსულიყო.

— აზრზე არ არი, ხრამოკი გამოვიღე და ჩავედი სახში.

კარებ ვკვირდები, რო დაკეტილია კარები. დავკვირდი, რო ზემოდან ხო ისა აქ... — ხრამოკი (კაცი ახსენებს), შუშის. მე რა ვიცი, რა არი, ჩარჩო რო არი, ის გამოუღია, წაუღია, სადღაც დაუმალია. დაუმალია, ადამიანო, ახლა არ ამიღო შიშმა და კანკალმა. სად გადააშენა ამ უპატრონომ, სად წაიღო.

ვეძებ და ვერ მიშოვია. ჩვენ მაღალ სართულზე ვცხოვრონდით, იმის ჩარჩო გემეეღო და წიეღო და დაბალ... ქვედა სართულის... პაპაჩემ ხის ის ქონდა, იესეთი საქვი ქონდა ხისა და ი საქვის ქვეშ ძირში შიედო.

ვეძებე, ერთი კვირი მერე ძლივ ვიშოვნე და ახლა მეშინია, გული მისკდება, რო ამ პაპაჩემმა არ ნახოს, რო ეს ჩარჩო ღია არი. რას იტყვი! ვიშოვე, ვიშოვე! ეხლა არ გინდა, რო გაუკეთო. ბავშვი ქალი ვარ, რაგორ'ნა გაუკეთო, მე რა'ვი. ვიწვალე, ვიწვალე და როგორც იყო, იმდენი, — მივატოვევი (მივადე).

მერე უკვე ელჩი მამიგზავნა. ისევე წამამყეო, მებნეოდა. ბიჭობიდან ნათლიათ წავიდა, მითრევდა რო წამოდიო ნათლიათ, ჩვენც წავიდეთ იქაო. ე, ჩვენ'ნა ვიყვეთ-მეთქი, მეფე-პატარძალი, თუ ისინი-მეთქი. არ წავყე, არ ეუჯერენდი. ისევე წამამყეო, არ წავყე. უთხარი, პაპაჩემ მეთქი პირზე ფეხ არ დავადგან-მეთქი, იმიტონ, რო პაპამ დაგვზარდა, გოგოჯან, ექვსი თვისა ვყოფილვარ, შვილო, რო მე მამა მომკვდომია. მიზეზით, რაღაც მუშაობაზე ყოფილა და, ხარით და... ბოკკა მოხვედრია, დასჩირქებია, გაფუქებულა, კაცი მომკვდარა.

მერე,.. მერე რა... რა ადგილას ვიყავი ბიჭო. ხო, ელჩი შემამიგზავნა, თავეთი სიძე შემოვიდა ჩვენთან ელჩათა, რო აპა, ეს საქმე'ნა გაკეთდეს (ძველებური სიტყვებია). შემოვიდა სიძე. რო აპა, სიმამრმა გამამაგზავნა, ფაშამა, რო თქვენი ქალი უნდა ვითხოვოთ. — რა ერქვა?

ქმარი: — ფაშამ! ფაშაჲ იყო, ფაშაჲ. მამაჩემი იყო ალექსანდრე და თურქებმა დაარქვეს ფაშაჲ.

ცოლი: — ის არი, მერე. რახან უკვე იცოდნენ ჩვენებმა, რო ბიჭი მიდიოდა, მოდიოდა, რა უარის თქმა იყო. პაპაჩემმა მითხრა, შვილოო, იფრო კაი ბიჭ მიქცემო. ისე მოსწონდა, კაი ბიჭი იყო, მაგრამ უფრო კაი ბიჭ მიქცემო. მე ხმა არ გავიღევი. მერე გაკეთდა საქმე. გავაკეთეთ პატარა ქორწილი, ნიშნობა იყო ჯერა, მერე ქორწილი და წამიყვანა და ვიცხოვრეთ ერთ მიწურ ქოხში, ერთი პატარა რუსული... რკინიჭ კროატზე ვეყარენით ორნი. ღარიბობა, ღატაკობა. როდი რა იყო. ეხლა რო...

როგორც იყო, ვიშრომე, ვიშრომე. ჩემი მზითები წამიღია ორი ხელი ლოგინი, ერთი ფიჩვი მქონდა, ჩვენი ხელით მოქსოვილი, დართული გაკეთებული, სოფლური, ეხლანდელი ხალიჩები კი არა...

ვიშრომეთ, იქ ვაშენეთ სახლი, მერე აქ ჩამოვსახლდით და აქ ვაშენეთ. აგერ ეს სახლი ავიშენეთ, მერე შვილ ავუშენეთ. დედანთილი მარტო დარჩა, ჩვენთან შემოგვეხიზნა, მაგას ვუვლი, აჰა, მეც მაგასთან დავბერდი, ჩემზე კარგა შეუძლია იმასა ჰა...

## იოკიმეს ქორწინება

პატარაჲ ვიყავი, როცა ეგ იოკიმეი მოვიდა პაპაჩემთან, რო ერთი კაი გოგო მინდაო, ოჯახის ქალიო, ეხერხებოდესო ოჯახში საქმიებიო, ვაჭრობაც ეხერხებოდესო, რამეო და ჩვენ მოვიწადინეთ ეგ ელეჲ ჩვენი გარიგებულია.

უთხარით, რო კაი, პატიოსანი ქალია, ოჯახის ქალი, გლეხის გოგო. მერე წავიდნენ გოგოს სახლში. ნახა გოგო. პაპაჩემმა დაუძახა, რო გამოდიო, გარეთაო და ნახოთო, ბიჭო, იოკიმეო, როგორ მოგეწონაო, გოგოო. რო გამოვიდა, მხრები შეიჩეჩა ამ იოკიმემა. მეც მაშინ ბოვში ვიყავი, და: — სიძეო, სიძეს უძახდა, ის არიო, ძაან არ მამეწონა, მაგრამ რა ვქნაო, რა უყოო და ხათრიდან ვერ გადავიდა ეს იოკიმეჲ. გაკეთდა, ეს საქმე! გაკეთდა!

კაი ოჯახი იყო. კაი მაცხოვრებელი. სოფელში აგრე ბევრი ჩასაცმელი, დასახური არავის არ მუუტანია, როგორც მაგას მუუტანეს. ჲერთი კიდობანი, ხის კიდობნები იყო, ჭარელი კიდობნები. ეს ასე გატენილი ტანსაცმელი მუუტანეს, კარგი პალტო ბეწვიანი, იმ დროს კაი მაცხოვრებლები იყვნენ. წაიყვანეს ეს გოგო.

მეც წავყეი ქორწილში. ისეთი კარგი ქორწილი გადაიხადეს. მშვენიერი! ჩვენებიდანაც მე გამატანეს, ჩვენც ხო დაპატიჟებული ვიყავით, ნათესავები ვიყავით, — ბებერაჩემი და იმი მამა ბიძაშვილები იყვნენ, ღვიძლი ბიძაშვილები, ნეტაჲ იმ დღიებს.

## ხელსაქმე

...აქედან გადავუსვენდით დანას, გადავჭრიდით და მერე მახათით ჩავუბრუნენით გარშემო. გამოვიდოდა მშვენიერი კარზინკა. აი, რო იყიდებიან ეხლა მაღაზიაში, მაგნაირ კარზინკებ ვქსოვდით. ხანებზე — ფიცრები იყო აჰა, ემ ხელის სიბრტყე ფიცრები, ოთხ კუთხეზე... თუ კანაფი გვეშვიებოდა, კანაფით დავქსელენდით, მოვქსოვდით ჩალის ფუჩეჩითა. თუ კანაფი არ იშვიებოდა, ჩვენ თითონ დავგრეხდით, ესე გადავწნეხდით თმასავითა. აჰა, ეს ხო ჩალა არი, ტაროსი, ამას დაჭლეჩდით აესე და იესე ვგრეხდით, გოგო, აჰა, იესე. წმინდათ დავქსელენდით ასე ემ სიშორეზე, დავქსელენდით და მერე ამ ფუჩეჩ იემ სიბრტყეზე დავხევდით. დავასველენდით თბილ წყალში, დარბილდებოდა, ვქსოვდით გარშემო ასე, თითოს ამოვიღენდით, თითო უკან, თითო — წინ, თითო უკან, თითო — წინ და ვქსოვდით, ვქსოვდით, ვქსოვდით, ვქსოვდით და ავიდოდით ნორმაზე, სიმაღლე, — ნორმა, რაც გვინდოდა. ზემოდან გადავუსვენდით დანას, გადავჭრიდით და იმას ჩავუბრუნენდით შიგ, არც დაირღვეოდა, არც არფერი ჩვენ სულ კარზინკები გვქონდა წინათ. ახლა რო ბატონობაა, დია დაგაქ. პრიალა სუმკა, რაღაც. ხანებზე დავქსოვდით. კუშეტკის საგებებ გავაკეთებდით, — ჭილობი ერქვა იმასაც ჩალით ვქსოვდით. დღე-ღამე დავქსოვდით. ერთ სუტკაში მოვქსოვდით, მეზობლებ მოვიხმარდით, გოგოებ, ახალგაზდებ. თეთრი, ბროლივით ჭილობი გამოდიოდა. დავაფინენდით, გავახმენდით და ზედმეტები თუ გვინდა,

იმაჰ შევინახენდით, თითოც ლოგინის ქვეშ ქვონდა დაგებული, სუფთა და შრალი, კაი რამე იყო. ლოგინი შრალათ ინახებოდა.

## სამეურნეო სამუშაოები

ქმარი: პატრები ვიყავით და წაგვიყვანეს მეხრეთ. და გვერდი ყანა იყო, ისე გვერდი, რო ხარი ვერ დგებოდა, კვალში ვარდებოდა და საგორავი უღელი ედგათ ამ ხარებ. საგორავი უღელი არი მოკლე, ხოდა: — დააზედავე, ბიჭო, დააზედავე ბიჭო! — რა'ნა დააზედავო, ხარი ვეღარ დგება გვერდში, ერთმანეთ ეჯახება, ვარდება ქვევით. გოროხ წამოავლენდნენ, გამოისროდნენ, მომარტყანდნენ მეგუთნეები ხოლმე, — დააზედავე! — რა'ნა დააზედავო.

კვანტუღელი ვიცოდით, ურმი უღელი, ტყის უღელი... სულ სხვადასხვა იყო. „დააზედავე" რა არი — ყანა რო არ დაქელილიყო, თან გოროხებზე ხარი ვერც გაიწევს და გლეხმა უღელი გააკეთა მოკლე, გოგორაჲ — მაღალი კვალშია და დაბალი ველზე მიდის და ეს ხარი და ეს გოგორაჲ ერთათ უნდა იყოს. ყველა ხარი, — გინდა ხუთ უღელი გემბეს. და რო გეტყვიან, რო „დააზედავე", ესე იგი ზეით უნდა მიუშიო, ველზე თუ წავიდა, გუთანი, მაშინ კვალზე გაუჯვარდები.

ყანას რო ვხნავდით წინათ ხოლმე, მეგუთნეები გვეტყოდნენ, ბიჭო, ნაზურგი დააყარე, ნაზურგი... მოვხნენდით, დაუგრეხანდით და წავიდოდით, ისევ ამ კვალზე მივაბრუნენდით და უკლიდა გუთანი გარშემო ამ ყანას და ნაზურგ დააყრიდა, ეს ყანის გასწორებისათვის იყო, მიწა არ წავიდეს, გვერდი არ გახდეს, ეროზია არ მოხდეს. თუ ყანა ზუკიანი იყო, სერიანი, შუაზე მაღალი იყო, მაშინ ნაღარ შემოუკლიდით, ნაღარ ამოვიღენდით. — აპა, ნაღარი ამოვიღოთ, იტყოდნენ მეგუთნეები, ჩვენ ქვეშა პირზე წავიდოდით და გარშემო უკლიდით და მოვიდოდით შუაზე. ამას ერქვა ნაღარი. ესე იგი, ზუკიან ყანას ერქვა ნაღარი და ტაფობ ყანას ერქვა ნაზურგი.

***

— ბიჭო, დალაწნე, დალაწნე ურემიო. ეხლა ლაწანი რა იყო, — წვრილ-წვრილი... ლატანი ხო დიდია, არა სტრაფილათ რო ეხმარონთ, იმაზე კიდე წვრილი „ლატა" და „ლაწანი" — მგზავსი არიან. და გრძელი! წვრილ-წვრილები ასე ამდენზე და ურემზე დავატანდით, ჩავაქსოვდით და ნამჯა არ გაცვიოდა ქვეშა... და ასე: — ურემი დალაწნეო, ესე იგი, დაფიცრეთ, რა!

ეხლა რქიანი ურემი რატო ერქვა, ამაჰ რქები კი არ ქონდა. ეს ურემი იყო განკუთვნილი, განსაკუთრებით გვერდი, ციცაბო

ადგილებისათვის, რო ხარი არ დაშავებულიყო, ან კაცი არ გადავარდნილიყო. საცურავებზე იდგა. ამ რქებ აქეთ-იქიდან საცურავები ჰქონდა და უკან გოგრები. ერთი თავი მაღლა გორენდა, მეორე მიწაზე ცურენდა და ურემი რო მწყობრიდან მალე არ გამოსულიყო, ოცი, ოცდაათ წელი წასულიყო, საცურავი ინახდა. ყოველ ორ-სამ დღეში საცურავ გამოუცვლიდით, ბრუდე ხეს ასე მოვცენდით ქვეშა და ცურენდა. რქიან ურემს ქონდა ლაწნები.

***

კი არ იტყოდნენ: — ნაკელი გაიტანე? ხერძალი იყო სპეციალური ნაკელის გასატანი. ეხლაც ეგრე ვიტყვით: — ანზორ კაჭკა გამოიტანე? — კაჭკა რა'ნა გამოიტანოს, ნაკელი! ჰო, ხერძალი გაიტანე, საქონელ დუყარე, დაუბაგე, გაუახლე, გაუშრალე...

ყაშავი — საქონელი დასაბარცხ'ნი. რკინისა არი, საქონელ დავბარ-ცხნიდით. საურველი. დავაყაშავებდით, დავჩოთქავდით... გაუშრალებდით ძირსა... ნარჩევ ბზესა...

ბაგა ფიცრისაგან იყო გაკეთებული. გოდორი ქვონდა თხილი წნელისგან, არა წკეპლისგან მოქსოვილი. წნელი სხვა არი

***

ცოლი: საქონელი რო დაიკარგებოდა, ვეძებენდით, ვეძებენდით, ვერ ვიშოვნიდით, დედაჩემი იტყოდა: — მოიცაო, ნადირსაო კბილი შეუკარითო. სავარცხელ აიღენდა და მე რავი, ულოცენდა, რას შვებოდა, არ ვიცი დღესანც... კვლანჭენდა, კვლანჭენდა. ზედ ახვევდა და: — ეკენია, მეკენია, ეკენს ხატი სვენებიაო, მეუფეო ჩამოაგდეო. არ გაუშვა გზაშიაო, გადააგდე ზღვაშიაო. — სამჯერ იტყოდა. ეგრე ამონდა. მერე მართლა, დილით გათენდებოდა და ვიშოვიდით საქონელ.

ქმარი: ...ურემ დატვირთას არ ვიტყოდით. — დავადო ურემს! — ურემი დაუდეო! — ურემი რას'ნა დაუდო, ზედ'ნა დატვირთო ურემზე, — ურემი დაუდე!

ურემ დავტვირთანდით: — ააპა, ეხლა დაჭაპნე! დაჭაპნა. სიტყვა ხო იცი დაჭაპნება!

— დატვირთე? (მ.ბ.)

— არა, შეკოპე! „ჭაპანი" ხო იცი? — თოკია ჭაპანი. ...ჭაპან ზეიდან დაზდენდნენ ჯერ, ისევე. გაანაწილანს თოკსა ზეიდან. იცოდა ქვედა კაცმა, რომელი თოკი იყო პირველი და რომელი'ნა გაიწიოს. ესე იგი, თანდათან რიგითობით კოჭავდნენ ურემს. ამას ერქვა დაჭაპნა. — ურემი დაუდეო!

— ურემი გამოგლიჯე! — ურემი რო დაიტვირთებოდა, ჩამოიჩაჩებოდა. აი, „ჩამოჩაჩაც“ არ იცი არა! ჩამოიჩაჩებოდა ძნა, და მიწაზე რო არ ათრიოს, არ გატალახიანდეს, მდინარეში, წყალში ხარისხი არ დაკარგოს, კულტურულათ რო წაიღოს, სუფთათ, იტყოდნენ: — ურემი გამოგლიჯე. ურემ გამოვგლეჯდით და მერე მოვკოპავდით.

## ქორწინება

ცოლი: მოვიდოდა მაშვალი. გასინჯამდა მაგალითათ ჩემ ქალიშვილსა. შეეკითხებოდა: დედა როგორია, მამა როგორია და ზოგიც ასე ნემსებს დაურჭენდნენ, შავ ძაფს ააგენდნენ, რო ნახო, მხედველობა რაგორი აქს. გაიცლიდა ეს საპატარძლო, გასათხოვარი გოგო — თუ წამოკრანდა ფეხსა, ესე იგი, უსინათლო იყო, თუ გადაიცლიდა, ანდა გვერდზე მოუვლიდა, უფრო პატიოსანი იყო. თუ მოკლე კაბა ეცვა, ის არ იყო კაი გოგო, თუ კოჭებამდის ეცვა — კაი გოგო იყო.

ერთხელა ძალით გაიტაცეს, კარგი გოგო იყო ძალიან და ჩვენ ვეტყვით ბუხარსა, ძველათ ანთომდნენ ცეცხლსა და მაღლა ადიოდა კვამლი. — კერია. იქიდან ჩაუკიდეს კაცი. ამოიყვანეს ეს გოგო და რო წაიყვანეს სახში, გოგოს არ უნდოდა ბიჭი. სახში რო მიიყვანეს, დედამთილ უთხრა, კარში გასვლა მინდაო. მერე დედამთილი გაუშვა. ელოდება და აღარ შემოვიდა, — გაიქცა ეს გოგო და წავიდა. იმიტომ, რო არ უნდოდა ის ბიჭი.

## უმძრახობა

უმძრახობა იყო ძალიან. სამი შვილი ყანდათ ხოლმე და მაინც მამანთილებ ხმას არ სცენდნენ. ამით ფასდებოდა უმცროსი და უმფროსი. მამანთილს ფეხებ დაბანდნენ, დედანთალ ფეხ დაბანდნენ. აეგრე დააძინენდნენ. დილით ადრე ადგებოდნენ. გადააგვიდნენ ეზო-კარსა, დედანთილი და მამანთილი მერე ადგებოდა და დაიწყებოდა... ყველა თავი საქმეს აკეთენდა.

**ბერიძე ანდრო ევგენის ძე**, 1901 წ. ასპინძა (ერკოტა), 1982.

## თათრობა

1916 წ. 15 აგვისტოს დაიწყო იმპერიალისტური ომი. ცხრაასჩვიდმეტ წლანდი გასტანა ამ ომმა. ცხრაას ჩვიდმეტში, რევოლუცია რო მოხდა, შემოვიდა აქა თურქეთი. თურქეთი შემოვიდა ათას ცხრას თვრამეტ წელში იყო — ცხრამეტ წელში, კარგათ აღარ მახსონს. შემოვიდა აქა და ამან აგვაწიოკა. აგვაწიოკა აქაური ქართველობა და აქაური ისა სულ გაანადგურა მთლათ.

ესენი, აქედან მთელი მესხეთი, ჯავახეთი გადასხლებული იქნა, გადიხვეწა აქედან. ზოგი ბაკურიანში, ზოგი ბორჯომში, ზოგი წალკაში ზოგი სად და დაიღუპა ეს ხალხი ბევრი. გაჩნდა ტიფა. ამ ტიფამ ბევრი ხალხი იმსხვერპლა. ბევრი, მესხეთ-ჯავახეთის ქართველობა თუ სომხები, ყველა, თითქმი ორმოცდაათ პროცენტზე მეტი იმსხვერპლა.

ერთი სხვერპლის შემდეგ იქიდან ჩონ გადავედით ყარადაში, მაშინ... ეხლა გარდაბანის რაიონია მგონი, გადავედით იქა და იქ ვცხოვრონდით, იქა, ჩემი ბიძაშვილები, ნათესაობა (ცრემლი ერევა) სულ იქ დარჩნენ, დაიხოცნენ, ტიფამ დახოცა.

მერე იქიდან წამოვედით, შენი ბებიაც კიდევ იქ მოკვდა. (მამაჩემის დედა?) — ხო მამაშენის დედა. მერე იქიდან რო მოვედით აქა, ისევ ცხრაას ცხრამეტი წელი იყო, თუ არ ვცდები, შემოვიდნენ ქამალისტები და ეს ქართველი ხალხი და სომხები, ქრისტიანი ხალხი, რომელიც შემოვიდა ისევ მესხეთში, ეს ხალხი ხელათ გაასაფთავეს (!) ამ̣ათ, დახოცეს. ბევრი დახოცეს, რომ აქ არ'ნა ყოფილიყო პირჯვრის მწერელი, მაგრამ ამი შემდეგ, მერე მენშევიკების გადაგვარების შემდეგ შემოვიდა ბოლშევიკები, ცხრაას ოცდაერთ წელში ბოლშევიკები შემოვიდნენ. ეს ბოლშევიკები რო შემოვიდნენ, ამ ბოლშევიკებმა გვიშველეს ჩვენ, გვიშველეს.

## კომუნის მშენებლობა

ეს თათრები და ეს მავნებელი ხალხი ვინც იყვნენ, სუყველა გადევნეს აქედან. გადევნეს და დავიწყეთ აქ ცხოვრება, კოლექტიური ცხოვრება დავიწყეთით... ასე ვცხოვრონდით ყველა თავისთვის. ასე ვცხოვრონდით ოცდექვს წლანდის. ოცდაექვსი წლის დაწყებისთანავე...

ჩვენ ერკოტაში ვცხოვრონდით. მე ერკოტაში ვარ დაბადებული, ჩემი ძმა იყო ერთი, კარგი მომუშავე კაცი იყო, შალვა ბერიძე იყო... იმისი ხელმძღვანელობით წავედით სახელდობრივ ჭურას ვეძახდით, ჩვენი

სახლები სულ დავშალეთ, ჩვენი ცხოვრება სულ დავშალეთ, ერთი ასე, ხუთი-ექვს კვამლმა და წაველით და მთაში გავაკეთეთ სახლები. იქ დავიწყეთ კოლექტიური ცხოვრება, კოლექტიური კი არა, კომუნალური ცხოვრება დავიწყეთ. კომუნალური, სულ... არაფერი ჩვენ განსხვავება არ ქვონდა. სულ ერთათ ვიყავით. ცხვარი, ძროხა, საქონელი სულ გავაერთიანეთ და იქ ვიყავით.

დიდი ხანი, შემოდგომამდის, თითქმი ერთი ექვსი-შვიდი თვე ვიყავით იქა. მერე ეს ამბავი რო მოხდა, სამთავის კომუნა რო იყო, ის სამთავის კომუნა რო დაშალეს, მაშინ, სტალინი იყო ჩამოსული იქა, სტალინმა დააშლევინა, რო ნაადრევი არის აქ კომუნაზე ლაპარაკიო, ამი შემდეგ დავბრუნდით და ჩვენც დაგვშალეს.

აქ კიდოვ იყო, კომუნა იყო ჩუნჩხაში, ახალქალაქის რაიონში, ჩუნჩხაში იყო კომუნა. ისინიც დაშალეს. მერე გადაკეთდა კოლმეურნეობათ.

1930 წლიდან დავიწყეევით კოლმეურნეობაში მუშაობა. გავაერთიანეთ კოლმეურნობა, ის ჩემი ძმა; რომელიც იყო პირველი კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ჯერ ხო კომუნის თავჯდომარე იყო და მერე კოლმეურნეობის თაჯდომარე იყო მანდა.

მაშინ არ ქვონდა ჩვენა არც სასწორი, არც არაფერი, ისევე პრიმიტიული იარაღებით ვმუშაონდით, ჯილღები ქვონდა, გუთნები ქვონდა — ხისა! ეს ხის გუთნებით და იმითი... ვმუშაონდით...

ვანაწილენდით პურსა ოჯახისდა მიხედვით. ფუთით აი, ვედრებით ავიღენდით და ვედრებით... ის რამდენი ოჯახი არი, რამდენი სული ჰყანთ ოჯახში, რამდენი ეყოფა იმას წელწადში ხორბალი. ამას ვანაწილენდით პურ, რამე ამითი.

ასე ცხოვრონდენ. ცხვარი და ძროხა გვყანდა ბევრი, მესაქონლეობასაც მივდევდით, მემინდვრეობასაც მივდევდით, სუყველაფერ ვაკეთენდით და ვმუშაონდით.

მერე ჩამოყალიბდა ფერმები. აქანდი ფერმები არ იყვნენ. იყო ყველის დამზადება, ერბოს დამზადება იყო ხოლმე ხალხში. ბოლოს ჩამოყალიბდა ფერმები. ფერმებში დაიწყეს რძის მიტანა. სეფერატორები არ იყო მაშინ წინათ, სეფერატორი... ხელით აკეთენდნენ და მერე გამოვიდა სეფერატორები.

...ამ ჩემ ძმამაც იყიდა სეფერატორი, მოიყვანა... ჩვენც ქვყანდა... კამეჩები ქვყანდა, ხარები, ძროხები ქვყანდა... სოფელში იყო რძის მიმღები პუნქტი. აქედან ვაწარმოებდით ამ მუშაობას ასე. ხალხი მიჰდევდა ერთიერთმანეთს. ძალიან კარგათ მუშაონდნენ; ბრიგადის ჩამოყალიბება იყო მეზობლებში, მისვლა-მოსვლა იყო, ასე დავიწყეთ მუშაობა, ასე ვცხოვრონდით.

## რძის პროდუქტები

...ამას ცალკე შეინახენდნენ და გააკეთენდნენ ყველს, ჩეჩილს. გააკეთენდნენ ჩეჩილ, გაჰცხენდნენ ჩეჩილ, დაახვევდნენ ხოლმე, აგრე იყო. მერე ცხვარ ვწველენდით ხოლმე.

ცხვრის ყველი კიდევ... ცხვრის ყველიც ასე კეთდება, რო: მოსწველებენ ცხვარსა, დასწურებენ რძესა, მოიტანებენ იმასა, დედას, მისცემენ ამას და შედგება ყველი. შედგება, ამოიღებენ ამას, ჩაასხებენ ასეთ თორბებში და გასწურებენ მაგრა. გაიწურება და გამოვა ეს შვენიერი ცხვრის ყველი, მრგვალი ყველი გამოვა ასეთი.

ხოლოთ ეს ძროხის ყველი, ძროხის ყველ რო ვამონთ ესა, ეს გობებზე რო ასხენდნენ, ცხვრის რძეს არ ასხენდნენ, ისინი ასხენდნენ ძროხისას, კამეჩისას და იმაზე კამეჩისა უფრო კაი იყო, რო სქელი ნაღები ჰქონდა. მოჰდენდნენ ამაჰ, მოანგროვდნენ ნაღებ, მოვიდოდა... მერე მონგროვული ნაღები რო იქნებოდა, ერთ ალაგ ანგროვდენ, ერთი ქვაბი იქნებოდა თუ კასრები, მაშინ კასრები ქვონდა, ხის კასრები იყვნენ! ჩაასხენდნენ ამ კასრებში. მერე ვარია იყო, ვარია, — ასე სადღობელაჲ. ჩაასხენდნენ ამ იმასა და დღობენდნენ ქალები. ჩამოკიდული იყო ესა და ერთი იქიდან დადგებოდა, ერთი აქედან და დღობენდნენ ამასა. გამოვიდოდა, რო შეიდღობებოდა, ამოიღენდნენ შიგნიდან კარაქ. ჩადენდნენ ცივ წყალში. ცივ წყალში ჩადების დროს მერე იმას ცალკე გარეცხენდნენ, რო იმას სიმქავე, — დო, სიმქავე გამოსცილდეს. დანარჩენი გამოვიდოდა დო. დოს გასწურენდნენ, მერე ისევ და გამოვიდოდა, ისა, რას ეძახიან, — ხაჭო.

## თათრები

ქართული სახელები ერქვათ თათრებს: ალეკოს ეძახდნენ, სოსანას ეძახდნენ, ხურშუდას ეძახდნენ, ასკარას ეძახდნენ. ალიკოს პაველაჲ ერქვა სახელწოდება. ხურშუდას — ივანეჲ ერქვა, ასკარას კიდევ ივანეჲ ერქვა. ოსმანას — სულეიმანაჲ ერქვა. რა ვიცი... სოლომონი, სულეიმანას სოლომონი ერქვა.

ასეთი თათრული სახელები იყვნენ. (იმათ) აინტერესებდათ შრატი, აი ყველის ნაწური რო გამოვიდოდა, იმასა, წამოიყუდენდნენ ხომე და დალევდნენ ხომე და ისე საცინლათ ვიგდენდით ხომე-რო, ალიკვიენიო ახლა შრატ დაჰლევეენო, შრატ სვებენო. აიმას ძალიან სვენდნენ. ის რისთვის იყო — კუჭ-ნაწლავისთვის ძალიან კარქი იყო.

***

მაშინ რა იყო, ცხოვრება რა იყო, საპონი არ იყო, ტანთ ჩასაცმელი არ იყო, არაფერი არ იყო. შალის ტანსაცმელი ეცვათ სულა, რო წავიდოდა, მოყვრათ რო წასულიყო, საცვალი მაშინწნა ჩიეცვა კაცსა. თუ არადა, ცარიელა შარვალ ამოიცვენდა...

***

ძალიან ბევრი იყო. მაგალითად აი, თოკში იყო აბაშიძეები იყვნენ სულ, ბეგები იყვნენ. ხერთვისში იყვნენ ვაჩინაძეები. ბეგები იყვნენ ისინი. ჰო, ვაჩინაძეები იყვნენ. ჰო, აგერ ინდუსაში იყვნენ, გელაშვილები იყვნენ. გელაშვილები იყვნენ. ქართველები იყვნენ. შალოშეთში იყვნენ, ბერიძეები იყვნენ, ისინი თათრები იყვნენ, ეს გვარები ქონდათ ამათ. ქართული გვარები ქონდათ. იმაში, მანდა... ინდუსაში ლაპარაკონდნენ ნახევარ ქართულათ, ნახევარ ქართულათ! რო გეთქვა იმითუნ რო... რამე გეთქვა, ნახევარ ქართულ გეტყოდნენ. აი ასეთი იყო მაგათი...

ხო, ყოფილი ქართველები არიან და გათათრებულები არიან ეგენი. ეხლაც ვითომ ქართველათ იწერებიან, მაგრამ ფაქტიურად ეგენი თათრულ წესზე მიდიან. ისინიც აგრე იყვნენ. იყვნენ თათრები!

შუა საუკუნეების ისტორია თქვენ ჩემზე კარგა გეცოდინებათ. ახალციხელი ჯაყელები რო იყვნენ, აი, ახალციხის ჯაყელებმა რამდენი ქართველები აქა მოსპეს. რამდენი ქართველები მოსპეს და გაათათრეს. ჯაყელებმა! ქართველები იყვნენ, თითონ ქართველები იყვნენ. იმას მისცეს, ფაშობა მისცეს: სტამბოლი იყო და იქიდან კარნახობდნენ... და ის ჯაყელები ასახლებდნენ...

აი მუსხში რამდენი ის ქნეს, გაათათრეს. მევრე... მაგათ პირობა მისცეს ჯაყელებსა: ჩვენ აუცილებრივ თათრები ვიქნებითო, მუსხი იყო, ზველი იყო ასეთი, ჰობარეთი იყო კიდევ, — პირობა მისცეს, რო — ჩვენ ვიქნებით თათრებიო, თათრები ვიქნებითო და სახელწოდება მიიღეს. აი, როგორც წელან გითხარი მე რო, ერკოტაში იყვნენ აი: ასკარად იყო, სოსანად იყო, ხურშუდად იყო, ბაღდალად იყო. აი, პირადად პაპაშენ, ბაღდალას ვეძახდით. პირადად პაპაშენს, ილიკოს. ბაღდალად ერქვა...

ასეთი ხალხი ინახენდა, თავის გულში ინახენდა, თავის იმაში... ეროვნებას ინახენდა, მარხვას იჭერდნენ. ყველ დაჰდენდნენ სუფრაზე, მე მოვესწარი ამას აი, ცოცხალი ფაქტი, ზველში, რო ყველი ედო წინა და მარხვა ეჭირათ. თუ შემოვიდოდნენ ვინმე, თათრები რო შემოვიდოდნენ, აი, ყველი უდევს. ყველი უდევთ და აი, ნამდვილათ ესე იგი, თათრები არიანო. ყველი ედოთ და არ შეჭანდნენ, მარხვა ეჭირათ და ინახენდნენ თავიანთ ეროვნებას, თავიანთ რჯულ ინახენდნენ.

მერე ამი შემდეგ უკვე თანდითანობით გადაგვარდა. ...თოკში...

ლეკიშვილი... აგერ ჩვენი მეზობელი არის ლონგოდ, მაგის ძმები, მაგი ბიძები, ბიძაშვილები, ქალები შეინწყვრიეს თათრებმა, რო თათრებ'ნა წიეყვანათ. ლამაზი ქალები ჰყანდათ მაგათ, უნდა წიეყვანათ და ამათა, ამ ლონგოს ძმამ, აეხლა შურაგ არის აქა, მაგი მამამ, ვაქაგ — მაგიჰ მამამ და ერთიც ის იყო, მაქსოი, კიდევ, ლეკიშვილები იყვნენ.

სახლები, კარები ჩაკეტეს და ქალებ უთხრეს, რო მანამდი ჩვენ არ დავიხოცებით... და ესროდნენ სახლიდან, შიგნიდან. იქიდან მოდიოდნენ და ანგრევდნენ ერდვიებ, მაშინ მიწური ცხოვრება იყო. ახლა რო სახლები არიან, აკოშკიანი სახლები, ასეთი ხო არ იყო. მიწური სახლები იყვნენ და შიგნიდან ესროდნენ ტყვიას, მოკლეს კაცები, ამათ, მერე მოვიდნენ, ვერ გატეხეს ეს ხალხი, ვერ გატეხეს,

ისევ თათარი მოვიდა ერთი მაგათი მორჯულე, თათრების მორჯულე და იმამ შეჰფიცა მაგასა, რო მაქსოვო, მაქსოვო! — მაქვსოს შეჰფიცა, რო, მაქვსოვო, მე პურ-მარილზე დაფფიცამო, რო მე გადგიყვან აქედანო. ადგა, მაღალ ღმერთმა!!! და ღამე გამოიყვანა ესენი, ეს ლეკიშვილები, გამოიყვანა... აგერ ცოცხალი ფაქტი, აი, როგორც ძმა, ხო წამოიყვანა ესენი და გადაიყვანა ბაკურიანის მთაზე, და უთხრა, ახლა ამას იქით წადით, რაგორც გინდათ, ისე წადითო და წავიდნენ ისინი. აი, ცოცხალი ფაქტი.

...აბა ახლა რაზე მამყანს ესა... აბაშიძიები იყო იქა, ყოფილა ვითომ ქართველები, აი, სწორედ ისინი ახოცინენდნენ ამ ხალხსა, ისინი ახოცინენდნენ იმ ბეგებ უნდოდათ, იმ აბაშიძიებ უნდოდათ, რო ის ქალები წიეყვანათ. ქალები წიეყვანათ, კაცები დიეხოცათ და დახოცეს კიდევაც.

მანდერ, აგერ ჩემი მეზობელი არ არი, ქართველი იყო, ილარდად. აი, ის აბაშიძე ახოცინენდა როგორც წეღან გითხარი რო ახალციხეში ახოცინა ხალხი სულეიმანმა, ისე ახოცინენდა ეგეც მანდა, ცხრამეტ წელში!

ცხრამეტ წელში გადაამბეს თოთხმეტი კაცი, და: ერთიო ვნახოთ ერთი ტყვია რამდენ კაც გაივლისო. თოთხმეტი კაცი ერთათ დახოცეს. თათრებმა, თავის მეზობლებმა, რომლებიც ერთათ იყვნენ და თელი ლოგინი და რამეები რო წაართვეს და წაიღეს, და ბოლშევიკები რო შემოვიდნენ და მივიდნენ და პატრონმა უთხრა, რო ჩემი ლოგინი რო წაიღე, მაინც ლოგინი მამეციო და ის ეუბნებოდა: — როგორაო, იმდენი შრომა გავწიეო, რო ლოგინი ჩამოვიტანეო, როგორ მოქცეო. ვითომ ეხვეწებოდა იმას, წაიღე ჩემი ლოგინიო და, ეხვეწებოდა... ამოდენა... თათრულათ ეუბნებოდა (აქ თათრული ფრაზაა).

ასეთი იყო, შვილო, ბევრი რამე იყო მაგათი ამბავი. მაგათ მინდობა არაფერში არა აქთ. არა! არა! არა! არა!

თელი აი, ყარსი, არტაანი... ეგენი სულ თათრების მიერ ამოწყვეტილი

თელი ხალხი როგორც ახლა...

...თვითონ თქვას (რძალზე ამბობს, ვაჟიშვილის ცოლზე, რომელიც ბავშვობაში, უკვე საბჭოთა წყობის დროს თათრებმა მოიტაცეს ნიალაში) როგორ მოიპარეს ეგა.

აი, როგორ მოიპარეს, მაგის მამა მასწავლებელი იყო, მასწავლებელი, ქართველი კაცი იყო, მაგრამ თათრულათ დაანთავრა ტეხნიკუმი! თათრულ ენაზე დაანთავრა, ლათინურად დაანთავრა ტეხნიკუმი და ეხლა, ნიალა არის აქა. ნიალაში იყო სკოლა. საშვალო სკოლა იყო, შვიდწლედი იყო. იქ მასწავლებლათ იყო. ესენი, ბავშვები წაიყვანა ამან წავიდა, ცოლ-შვილი ჰყანდათ...

ეს წაიყვანეს (ბავშვი), წაიყვანეს, — დამალეს. თელი დღე დამალეს თათრებმა, თელი დღე ეძება. თელი დღე ეძება, გადააბრუნა იქავრობა, რო როგორმე ეშოვნა. როგორც იყო, ისევ თათრებმა უთხრეს, რო აგერ აქ არის. აგერ, აჰა ცოცხალია, აგერ ჩემი წილი! ...

ჰო! ხიზაბავრა ეხლა აღარ არის იქა ორასი-სამასი მოკვამური აღარ არის. — სად არი, სამასი არა, კაცო!

— აღარ არის.

რა იქნა ეს ხალხი, ეს ხალხი აქედან გადასახლდა... არის აი, ყვარელში, ხიზაბავრა არი სოფელი, ხიზაბავრელები არიან კახეთში. რომელი სოფელი გინდა კახეთში, რო ხიზაბავრელი არ არი... გახვალ ლაგოდახში, ლაგოდახში ორი-სამი სოფელია, ხიზაბავრელები არიან. აგერ წახვალ გურიაში, სულ ხიზაბავრელები არიან, გორში, ხიზაბავრელები არიან.

ზურაბაჲ არი აგერ, მაგის მამა იწვა ავათ. და მოიყვანეს და ეს ზურაბაჲ და ეს ამ გალას მამა, კოტოჲ, კოტოს ვეძახდით, კოსტალაჲ ერქვა და კოტოს ვეძახდით, დააწვინეს ზედა და ნახო, ერთი ტყვია სამივეს გაივლის თუ არაო. და რო ეესროლეს აქედან ტყვია, რო ესროლეს, ამ კაცმა შეიფერთხა და ბავშვები აქეთ-იქით გადაყარა და თითონ მოჰხვდა გულში და თითონ მოკვდა. აი, გალას პაპა!

აი ჩვენი ცხოვრება!

მერე მაგის ბიძა იყო კიდევ. ბიძა იყო, გიორგი ერქვა იმას, ჰოდა, ცოლი მოუკვდა და თათრის ქალი შეირთო ცოლათ, თათრის ქალი და მერე რო მოვიდნენ, კაციც მოკლეს, ქალიც მოკლეს, ბავშვი ეყოლა — ბავშვიც მოკლეს! მოკლეს! — ვინ მოკლა?! — ძმამ მოკლა! — რატო წაჰყევი შენ ქართველსაო, ძმამ მოკლა. ბავშვი ჰყანდა, 3-4 წლის ბავშვი იყო, ისიც მოკლა, დაც მოკლა, რატო წაჰყევი შენაო, ქართველ რატო წაჰყევიო, გაურსაო (გიაურსო) რატო წაჰყევიო, აი მაგაჰ, „გაურს" ეძახდნენ. ჰოდა აეგრე დახოცეს.

აგერ კიდე იყო: აგერ, წავიდოდით ხომე, წავიდოდით მეც კიდე მოწმე ვარ, წავიდოდით აქა დადეშის მაღარვიებს ვეძახდით, კლდიები, გამოქვაბული კლდიები არიან, თან ზანთარში, იანვრის ღამიებში იმ

კლდიებში იმალებოდნენ, რო მოდიოდნენ, აბა, დახოცენდნენ!

ი, ასეთი ამბავი იყო, გენაცვალე, იყო ასეთი ანბავი თათრების მხრიდან! წართმევა! სულ მიჰქონდათ, აღარაფერი აღარ ჰქონდათ, სულ აღარაფერი. წართმევა იყო. ლოგინებს ართმევდნენ. ბებიაშენსა, ბებიაშენსა აი, ბებიაშენსა, დევანოზას დედას, ერთი კაბა ეცვა, ერთი კაბა ეცვა და ერთიც ქაკეტი, ის და თავზე ეხურა ერთი რაღაც... გააძრეს! საცვლების ინაბარა გამოუშვეს. და რა ვიცი, რა უბედურობას აყენენდნენ სხვა ქალებსაცა.

აგერ კიდე მაგალითი: ვარნეთში, ვარნეთში! იანვრის დღეს ქართველი ქალები ჩამოიყვანეს და ტვიტელა ქალები, დედიშობილა ქალები იანვრის დღეს, დაუკრეს, დაუზურნა და ქალებ ფერხული დაამბევინეს და მოვიდოდნენ ხომე და, ბოდიშს ვიხდი შენ წინაშე, შვილო, მამაშვილურათ გეუბნები, ტრაკებზე იმას ცენდნენ, მათრახსა, რო შენ ვერ აჰყოლიხარ ყაიდასაო. აი, ასე, ტვიტელა ქალებ, დედიშობილა ქალებს. აი, ქალებ რას უშრობოდნენ აქა, რა დგომაროობაში იყვნენ.

აგერ, ფაქტი კიდევ, ცოცხალი! მე რასაც გეუბნები, აი, ჩემი თვალით ნანახ გეუბნები!

აბანოზე, აი ექა, ჩვენი აბანუები რო არიან, აქა ტოლოშის ბეგებმა და ოშორის ბეგებმა მოიყვანეს აქა... პარასკებიდან პარასკებაზე მოდიოდნენ და მანდ აჭიდავენდნენ ხალხსა, ცოლები, თავეთი ნათესავებიც მოჰყანდათ და იქიდან ფარდას ჩამოაფარენდნენ ხომე, მარტო თვალები გამოჩნდებოდა, ის ქალები გვიცქერდნენ აქეთ როგორ აჭიდავენდნენ, ვისი ფალევანი გაიმარჯვენდა და ერთმა ქართველმა, ზველელმა, ზედგინიძე იყო გვარათ, რაედენაჲ ერქვა სახელი, ტროფიმეს შვილი იყო, ჰოდა, იმანა, მოჭიდავე კაცი იყო ისა და შიგვეხვეწა, რო მეცაო, მაჭიდავეთო. მაჭიდავეთო და ტოლოშიჰ ბეგმა, ასან ბეგი იყო იქა, იმამ უთხრა, რო გაჭიდავამო, თუ წააქცევო.

— დავეჭიდებიო და რავი, წავაქცევ თუ არაო და გავიდა. რო გავიდა ამანა და ხოლოთ იმ კაცმა უთხრა, იმ ზედგინიძემა, რო, მეო რო გავიდე და მაგათაო რო წავაქციოო, მცემენო. მოკვლა კი არ უთხრა — მცემენო. ამან უთხრა რო, ბეგმა უთხრა: — ნუ გეშინია, მე აქა ვარო, მე აქა ვარ, რაგორ'ნა ქცემონო.

ადგნენ აქედან და რო დიეჭიდა ამან და ოშორელი ფალევანი რო გამოვიდა, ამან მივიდა, ამ პატარა კაცმა, შეუვიდა ასე და ასწია და გადიტრიალა. გადიტრიალა, რო წააქცია ეს და: — ვა, გაურმაო როგორ წააქციაო და ამათ ტაში დაუკრეს, ამ ბეგმა ტაში დაუკრა, რო გაიმარჯვა ამან. იმას გამიეკიდნენ ასე და გამოიქცა და მაშინ ეს აბანვიები ასე არ იყო, გაკეთებული კი არ იყო, გუბიები იყო. გუბიებში ქალები ისხდნენ. ტვიტველა ქალებში ჩავარდა ეს კაცი, ჩაახალეს და ტვიტელა ქალებში მოკლეს კაცი. ტვიტველა ქალებში მოკლეს! რისთვის! — რატო წააქცია

ჩვენი კაციო. რატო წააქციაო. იმ ბეგმა ფეხებზეც არ დაიკიდა: — თუ მოკლა ერთი გაური მოკლაო, რა!

## შრომითი საქმიანობა, ერთათობა

ვიყავით გლეხები, მიწის მუშები. ცხვარი ქვყანდა, ძროხა ქვყანდა და წისქვილი ქვონდა. ორმოცდაორი სული ვიყავით ოჯახში. ორმოცდაორი სული ვიყავით. ხოლოთ ეს ორმოცდაორი სული სულ განაწილებული იყო ყველა თავისდა მიხედვით... ზოგი ცხვართან იყო, ზოგი ძროხასთან იყო, ზოგი ცხენებთან იყო, ზოგი რაღაცა... ყველას თავისი განაწილება ჰქონდა, სამუშაო. ყველამ თავისი სამუშაო იცოდა.

წისქვილი ქვონდა. ერთი პატარა წისქვილი ქვონდა, ისე. რო ჩვენ ძლივ გვასწრონდა ხოლმე პური დაფქვასა. ხო. ის... წისქვილში კიდე სხვა იყო. მერე ქვყანდა ხარები, კამეჩები ქვყანდა, ძროხები ქვყანდა, რაღაცები და ამითი ვხნენდით ყანებსა.

ყანებს ვხნენდით. ყანებ ვხნენდით გუთნით, ჯილღით, კავით. ვთესენდით რასა: ხორბალსაც ვთესენდით, კარტოფილსაც ვთესენდით, ლობიოსაც ვთესენდით... მოგვყანდა ეს პური ბევრი. მთაში წავიდოდა ხომე თხუთმეტი, თხუთმეტი სული წავიდოდა ხომე მთაში საქონელთან. თქვენ ჩვენი იყავით.

— ჩვენც თქვენ ოჯახში ვიყავით? (მ.ბ.)

— დიახ, დიახ! აი, როგორ იყო ახლა: ჩვენ პაპას ეძახდნენ ყგრათლს. თათრებმა შეარქვეს ეს სახელი. (ყგრათლი „თეთრცხენიანს" ნიშნავს).

ყგრათლ ჰყანდა ხუთი შვილი. ხუთი შვილი ჰყანდა. ის თითონ გამაცადი კაცი იყო. მდიდარი კაცი იყო. მდიდარი რა... ახლა, ცხვარი და ძროხა ბევრი ჰყანდა, ხოდა განაწილებული იყო ამათი... ე, შვილებ ჰყანდათ... ეს ორმოცდაორ რო ვამბონ, ეს ორმოცდაორი ამ ხუთი შვილისა იყო. ეხლა ცხრამეტი-ოცი კვამლი ვარ̄თ იმათი ნაშიერი, აი, ერთ კაცის ნაშიერი. ერთ კაცის ნაშიერი ცხრამეტი-ოცი კვამლი ვაართ.

ხოოდა, ...მერე თხუთმეტი სული მიდიოდა ხომე მთაში, ყველაც იქ აკეთენდნენ, ერბოსაც იქ აკეთენდნენ, კარაქსაც იქ აკეთენდნენ... მერე წავიდოდნენ ხომე ურმით, ჩამოიტანდნენ შემოდგომით... ცხვარსაც, ძროხასაც... ასე განაწილებული იყო სუყველაფერი. შენი პაპაც იყო, ჩემი მამაც იყო... ჩემი მამა, შენი პაპა, მათეს მამა, მოსეს მამა, ერთიც ელიზბარაჲ რო გვყანდა, კაკოჲ... თუ იცნებ შენა, თუფალ მარკოზას თუ იცნენდი... ესენი სულ ძმები იყვნენ (გორში რო ცხოვრობს), ძმები იყვნენ და ამათ ნაშიერზე ვლაპარაკონ ორმოცდაორ სულს რო ვამბონ, ამათი ნაშიერი იყო სულ. ხოდა, ასე ვცხოვრონდით, შვილო... მერე წამოვედით, მერე დაიფანტნენ ესენი. ყველა თავისთვინ გავიდა, დაიფანტნენ.

მერე კოლმეურნობა ჩამოყალიბდა. კოლმეურნეობაში ყველა შევიდა და ახლა ვცხოვრობთ კოლმეურნეობითა.

...ხელით ვაბრუნენდით ხომე იმას... დააფქვენდნენ, კორკოტ ვეძახდით. დააყრიდნენ კორკოტსა და... საჭმელ გააკეთენდნენ. ორ-ორ ქვაბით აკეთენდნენ საჭმელ, დიდი ქვაბებით, არაყის ქვაბები რო არიან, იმით აკეთენდნენ საჭმელს. ვინ როგორ გასწვდებოდა ხოლმე. ასეა... სასტუმრო სახლი ქვონდა, პაპაჩემ სასტუმრო სახლი ჰქონდა და იქა... ორი სახლი ჰქონდა სტუმრისთვის, სპეციალურ სტუმრისათვის გამოყოფილი. ერთ ვეძახდით შიგანა ოდას, მეორეს ვეძახდით გარე ოდას. გარე ოდას! გარე ოდაში, აი, შუშან მამიდაჲ რო გვყანდა, ჩვენა, ი შუშან მამიდაჲ გასათხოვარი ქალი იყო, ლამაზი გოგო იყო (ქართველიშვილი), ისა და მე ძმათაშვილები ვარ‌თ, ჰოდა, ის ჩემი ბებეჲ, ჩემი ბებეჲ, ქალებს ხელმძღვანელობდა, პაპა ხელმძღვანელობდა კაცებს, ვაქებს.

ხ‌ოდა, ის შუშანაჲ, ლამაზი ქალი იყო, ძალიან ლამაზი გოგო იყო და სუფთათაც აცმევდნენ ხომე და თუ მოვიდოდა ხომე რაიონიდან (მაშინ რაიონი არ იყო, მაზრა იყო), მაზრიდან რო მოვიდოდნენ ესენი, დიდი ხალხი, პრისტავი იქნებოდა, ნაჩალიკი იქნებოდა თუ ვინმე ასეთი, დიდი კაცი ვინც მოვიდოდა, გარე ოდაში შევიდოდა.

გარე ოდაში დაგებული იყო, სულ ნაბდები იყო, მერე ქვეშ ფიჩვები იყო გაშლილი, ფარდაკები გაშლილი იყო მშვენივრად ეს ფარდაკები. ბალიშები იყო მიწყობილი, საქვები იყო. იმ საქვებზე მიწყობილი იყო, გაშლილი იყო ნაბადი, მერე მიწყობილი იყო ხალიჩები ზედ გადაფარებული, ბალიშები მიწყობილი იყო, როგორც აგერ ეს არი მიწყობილი და რო მოვიდოდა ხომე კაცი, შემოვიდოდა, ფეხ გაიხდიდა ეს კაცი და შევიდოდა იქა. ფეჩი ენთო. იქ სხვა კაცი ვერ შევიდოდა. ის ხალხი'ნა შესულიყო, ჩვენი უფროსი პაპა შევიდოდა, დაჯდებოდა ამ კაცებით და სადილსა და ვახშამ საჭმელ მიუტანდნენ.

მეორე, პატარა ხალხი რო მოვიდოდა, მაგალითათ მაშინ იყო სტრაჟნიკები, მაშინ იყო სოფლის მამასახლისები, კიდევ მოურავები იყვნენ, (კიდევ ბატონებ მოურავები ჰყანდათ) ისინი რო მოვიდოდნენ ხოლმე, შიგნით ოდაში იყვნენ. შიგნით ოდა აი, ეს იყო: იმ ოდაში ბოსელი იყო შიგნით, ძროხები ჰყავდათ, კამეჩები, ცხენები - რაღაცა-და, თბილოდა, იქ თბილოდა. იმ ოდაში შეიყვანდნენ ხომე და იქ ფეჩი არ ენთო. იმ გარე ოდაში ფეჩი ენთო და სუფთათ იყო შენახილი. იქ სხვა ქალები უვლიდნენ, იქ კიდე, მარინე მამიდაჲ რო ქვყანდა, აი, მიშას დედა თუ იცი, ის შიგანა ოთახში იყო, და ეს შუშანაჲ გარე ოთახში იყო. დები იყვნენ ისინი.

## ბერიძე მათე, დაბ. 1894 წ. ასპინძა (ერკოტა), 1982 წ.

### 1905 წლის აჯანყება

აისა, ისე აისა, აისა — აირია, გაჟინიანდა — ხალხი რო აღარ გაუშვა ტყეში... აი სოფლი ზეიდან ხო ტყე არი, ადიოდნენ, ჩეხენდნენ, მოჰქონდათ ხარით თუ იმით...

ამბავი მისცა მთავრობას, რო: აბა, ერკოტის ხალხი უკე აჯანყებულია. აჯანყებულია ერკოტის ხალხი. მთავრობამ ორმოცი ყაზახი ცხენიანი... ორმოცი ყაზახი ცხენიანი ჩაასახლა ერკოტას. აი, კარგა მახსონს. ჩაასახლა ყაზახი ერკოტას და:

— აბა, ვინ არი აქ მოთავე, მოვიდეს აქ. ამ საქმის მოთავე ვინ არი!

ვინ გამოვა, რო! პირდაპირ ის ქნა, კაცო ხალხმა, გამოაცხადა: ძირს ნიკოლოზი! რო ჩასახლდა ყახაზი, დაუძახეს პაპაჩემი, ყგრათლი. ავიდა, შევიდა, ერთი ხო იცი, წინ-წინდელი... მიესალმა, აქეთ, იქით... ილაპარაკეს კარგა. ილაპარაკეს. ეს კარგიო, — უთხრა, პეტრეკ ერქვა პაპაჩემ, ყგრათლი იმაშვრებოდა, ზედმეტი სახელი იყო... ილაპარაკეს.

— კარგიო, პეტრეო, კარგი ეგ აგრეო. ეს ტყეები რამ გაგაჩეხინაო, რათ ჩეხებენ ეჰ ხალხიო.

— ჰე, ბატონო, იცი რა გითხრაო? ჩვენ ვეტყოდითო... ერთი შამიელი ქარი ამოვარდაო.

— შამიელი რა არიო და: — ძრიელი ქარიო, შამიელი ქარი ამოვარდაო და ტყე ზოგი ძირიდან დაგლიჯაო, ზოგი შუადან დაშქრესო, დაანტვრიესო და ხალხმაცაო ჩამოზიდაო. მაგაში ხალხ ბრალი არა აქო. ხალხ ბრალი არა აქო და...

— კარგიო, ყველაფერი კარგიო, დაიცადეო, ამ ჩვენ მოსელასაო იცი, რა უნდაო?

— რა უნდა, ბატონოო.

— 40 ყაზახიო ცხენიან... ცხენებს ქერი უნდაო, ჩვენ საქმელი გვინდაო, სარანდი ე ხალხი არ დაწყნარდებაო, ჩვენ აქედან არ წავალთო.

დადგა, იფიქრა პეტრემ, იფიქრა პაპაჩემმა, გადმოსძახა სოფელ... გიგოლიენს ვეტყოდით, ხო იცი, შკოლასთან იყო იმათი სახლები. გადმოსძახა ზეიდან: — ბიჭო, კოფა, კოფა! — მიხეილაკ რო არი, მაგათი მამა — ერთი მეშოკი ქერი გაანსე და ამოიტა! ახლა როსტომას, ახლა სხვას... ახლა აქ ერთიან რომელსაც შეუძლია, გაიგე, რომელსაც შიეძლო... გამოსძახა აქეთ... ვიღანც დაიძახა, რო:

— ჯერ შენ თვითონ აიტაო და მერე ჩვენ წამოვიღენთო.

— მეო, ავიტანეო, ავიტანეო. — ეგ კაცი დაუძახე აქაო, იმან უთხრა, პრისტავმა, ეგ კაცი დაუძახე აქაო. — ბიჭო აქ ამო, აქ ამო, გითხრა!

აბა, გაიგონა იმან? დაიმალა! გაბედენდა? დაიმალა, ვერ გაბედა.

— ეგ არი მოთავე თქვენიო?

— მოთავე არ არი, ბატონო, ეგ არ უგნური კაციო, მეცხვარე კაცია, უგნური კაციო. ეგ არაფერი, ასწიეს და სუყველამ, ვინც რო დაუძახა, ფოჩვიენთ რო ვეძახით... — ცალქალამანაძიები!

არა, აი, ვალოდიაჲ რო არი, ეგენი... ხაპრიენთ უძახდით ხოლმე: — ბიჭო, საბაო, შენც სახლიდან ამოიტა ერთი მეშოკით ქერიო... აგრე სუყველას... რომელსაც შიეძლო, აიტანა.

ახლა, ცხენებ ეშველათ, ქერი, თივა ქვეშ ეგოთ. მერე ადგა და ამ ყგრათლმა დაუძახა თავი შვილი, მეცხვარე. ვინა იცი? ვინ ჰყანდა მაშინ მეცხვარეთ — მამაჩემი ყანდა რაღაც... — არა! (თექვსმეტი წელწადი მამაჩემმა ცხვარში იარა) — მარკოზ პაპაჲ იქნებოდა!

— მარკოზ პაპაჲ არ იყო! მარკოზ პაპაჲ არ იყო! ცხრასხუთ წელში მარკოზ პაპაჰ რა უნდოდა! — იყო მაგრამ პატარაჲ იყო. ...

— წადი, შვილოო, და ამამავალი კგრტანი ჩამოიყვანეო, ყოჩი. ამამავალი ყოჩი ჩამოიტანეო. წავიდა და ჯერ ჩამოაყვანინა თვითონ, მერე ხალხ უთხრა: — შენც ის ქენე: პური გამოაცხე!.. გამოაცხობინა პური, ჩემო ბატონო. ...მე რავი, ხო იცი მაშინდელი ამბავი! ოთხი დღე იყვნენ თუ სამი დღე... სამი დღე იყვნენ.

ისე გააკეთა მაგ ყგრათლმა საქმე, რო ხალხი არავინ დააჭერინა! არავინ დააჭერინა! ადგა ეს კორკოტიენთია, ცეტ გიორგას უძახდით, აი ვასიკოჲ რო იყო, იმიჰ მამა! ადგა და ზეით მიდიოდა იმათთან, ყაზახებთან. რო ელაპარაკა ვინმე ჩიეგდო, ის იყო კაცო, მუზლი კაცი იყო რაღაც, ჰოდა (მუზლი — შარიანი).

ადგა, გამოვიდა ყაზახებიდან პაპაჩემი, ბერიკაცი და ჩამოვიდა, ქვევით მოდის. ეს გიორგაც მიდის ზეით, ეჰ ცეტი! — სად მიხვალ, ბიჭოო და: — არსად, დიდმამა! — დიდმამას უძახდით — არსად მივდივარ, დიდმამა, არსად.

— დაბრუ უკან, შე მამაძაღლო, ხალხ ჩაჰყრიო. ერთი-ორიც წამოჰკრა... წამოჰკრა და ჩამოიყვანა ქვევით. ერთი სამი დღე იყვნენ ყაზახები და მერე გაისტუმრა და წავიდნენ. მოკრიფეს, ხო იცი, პატრა კული, რამე... გაუნსეს ჯიბე, უბე და ადგა და წავიდა. აი, ეგ არი ბოლო.

## თათრობა

ავიღოთ იე ვარნეთი. ვარნეთელებმა იცი რა ქნეს, დაიპირეს ჩვენი ხალხი, ზოგი შეინახეს, ზოგი დახოცეს, ზოგი რა ქნეს... ადგა და ე როსტომას შვილები. ერთ ერქვა ლევანაჲ, ერთ ერქვა... ჩახალს უძახდნენ. ერთი სტრაჟნიკი იყო ეს ჩახალი. დაიპირეს ვარნეთში, მიშაჯან, და აწამეს ძრიელ. ჯერ ყურები დააჭრეს, მერე ცხვირი მოაჭრეს, მერე ტუჩები დააჭრეს. მერე გახურებულ ფეჩში ხელები შეაყოფინეს და ისე

დახოცეს, ისე მოკლეს. იმათი ქალებიც თათრებმა ითხვიეს, იქვე ჩვენებურ თათრებმა. შენ მე მგონი, გეცოდინება.

— მამუდაჲ, ისინი... როგორ არ მახსოვს!

— ხო მამუდას შვილებმა ითხვიეს, მამუდამ თითონ კი არა. ერთი ძმამ ითხვია, რეშიდამ, ერთი რეშიდამ ითხვია, ერთიც...

— ჰეიდარაი!

— ჰეიდარაჲ არა, თურქეთში გაიქცა ურუშანაჲ ერქვა. ურუშანაჲ ერქვა, თურქეთში გაიქცა მაშვიეთვე. ხოდა მამაჩემსაც დაჰკრეს ყონდახი, თოფის ყონდახი ბეჭებში და ჩაჩეხეს. მერე ის ქნეს... ზურაბაჲ რო არი, ფაროს მამა, ლოგინში მოკლეს, ზურაბას მამა, ფილოჲ.

— გიგოჲ იყო ქურჩიენთი, ეხლა იდუმალას არი გათხოვილი იმის სონაჲ... იმის მამას აღვირი მისცეს პირში, ცხენის აღვირი, ზედ შეჯდნენ და ისე დადიოდნენ: — აი ცხენიო! აი ცხენიო! აი, თათრებმა აგრე ქნეს.

შემდეგ ქალი! დადეშიდან ერთი ქალი გამოიყვანეს. ქალი, ჩვენი ხართ (ბოდიშის მოხდაა, მ.ბ.), ქალი არ დანებდა და დაიჭირეს და მოკლეს. მოკლეს და, ერთი ხუთი-ექვსი თვის ბავშვი ჰყანდა, მოიყვანეს და ზედ დაკლეს, ქალზე ზედ დაკლეს. აი, ჩვენ თათრებმა, ჩვენი პურით გაზდილი, ჩვენი წყლით გაზდილები! მერე გადვიდეთ ზველში: ზველში თვრამეტი კაცი გადააბეს ერთათ, თვრამეტი კაცი, ნახოო, ერთი ტყვიაო რანთენ კაც გაუვლისო. ერთი ტყვია რამტენ კაც გაუვლისო! აი, თუ გინდა, ალაპარაკეთ, ზველელი ერთი გრიშაჲა ზედგინიძე, აბეშჩიკი იყო ხოლმე, ალაპარაკეთ ისა...

...ჩვენი ხალხი რო გარეკეს ვარნეთიდან, უნდა დიეხოცათ ერთიან. რო ავიდნენ იმაში, სოფლის ზეიდან, ზედა კიდურზეევე, იქვე... ავიდნენ, გამოვიდა ერთი კაცი იყო, ყარაჲ ერქვა, — ბიჭო, ლავრენტო, სად მიდიხართო, ედვარდაჲ რო არი იმის მამა, ჭელოჲ. — სად მიდიხართო, და: — რა უყოთ ყარაჯანო, გამოგვრეკესო, ამაღან სულ'ნა დაგვხოცონო.

მისულიყვნენ ყამზელები, ოშორლები, უნდა დიეხოცათ. დააბრუნა იმოდონა ხალხი, სამოცი სული ბავშვი, დიდი, პატარაჲ — იმ კაცმა, დააბრუნა და შერეკა თავი სახში; დედამის უთხრა, რო დედა, ამაღამ ამ ხალხსა ხინკლით დააძღებო. ერთ მხარედან ხინკალი კეთდებოდა, ერთ მხარედან დუღდა ქვაბი და... არ გაუშვა. იმ ღამეს სულ'ნა დიეხოცათ თათრებს ი ჩვენი ხალხი — ბავშვი, დიდი, პატარაი.

მერე, რო გათენდა, დიესივნენ აე ყამზელები ამ ყარასიმს. სოფლი ზედა თავში ქონდა სახლი, ერთი ძმა ერთ მხარეზე დადგა კარებში, მეორე, ის ყარაჲ — მეორე მხარეზე. დე, მოდითო! ვის ხოცანთო, ვინ არიო!

იმან რათ შეინახა ახლა ხალხი, იმას უთხრეს რო... იმას შვილი არ უჩნდებოდა, უკვდებოდა შვილი. გაუჩნდებოდა, უკვდებოდა; გაუჩნდებოდა — მოუკვდებოდა. უთხრეს, რო შენ შვილი რო გაგიჩნდებაო, მოანათლინეო, უჩუმითაო მოანათლინეო. ამ კაცმა დაიჭირა და ბავშვი

რო გაუჩნდა, მოანათლინა, უჩუმით. არავინ არ იცოდა, რო რაგორ ქნეს, რათ მონათლეს, რა ქნეს. — არავინ არ იცოდა. და იმითვის და... შერჩა იმას შვილი და იმიტონ შეინახა იმამ იმოდენი ხალხი, ჩვენი ხალხი. აგრე მიშაჯან.

## კომუნა

...ერთიც (კომუნა) იეხლა, საწყალი ნინოდ რო მოკვდა, ერთიც მაგის მაგის მამამ, ბაგრატამ, ხო, ყობომ, ავიდნენ და ჭურაში დადგეს სახლები, გააკეთეს იმითანა, რო კაზარმები რა არიან იმათთან, შენ არ გახსონს? გააკეთეს, იმამდისინ, შემოდგომამდისინ იქ იყვნენ.

ერთ ოთახში ერთი ოჯახი იდგა, მეორე ოთახში მეორე... ერთათ ხოლოთ ჭანდნენ, ერთათ მუშაონდნენ და ცალ-ცალკე ცხოვრონდნენ, ბავშვებით ცალკე, ცოლ-შვილით წვებოდნენ, მეორეც კიდევ ისრე.

შემოდგომა რო მოვიდა და აღარაფერი აღარ არი ჭურაში, ადგა და ჩამოვიდნენ. ამ მამაჩემა უთხრა, ბიჭო, თიდან ჩამოხვედით, რა ჭქენეთ? რა ვქენეთო და რა'ნა ვქნათო, არაფერი გამოვიდაო. იქნობამდინ, სინანდინ ოცდაათ წელში კოლმეურნეობა დაარსდა.

ოცდაათ წელში კოლმეურნეობა დაარსდა, მერე შალიკოდ იყო თავმჯდომარე რანთენიმე წელწადი, მერე სხვა დადგა, აეჰ ყაროდ დადგა, რა ვიცი, კოლად იყო, ტივაძე კოლად. დღესანც კოლმეურნეობაში ვართ აჰა, კიდევ, მიშაჯან.

***

პატარად ვიყავი, ამკიდენდა (მამა) ერთ დიდ გოდორ. ასორმოცდაათი სული ცხვარი ჰყანდათ ჩვენებ, საერთოთ. ამკიდენდა გოდორსა და თითონაც რო გაჰტენენდა გოდრებსა, თითონაც მიწევდა ხოლმე. ძლივ მიქქვონდა სახში. დაუყრიდა ცხვარ, ძროხას — კარგი იყო, არა უშანდა რა! ხუთი-ექვსი კამეჩი ჰყანდა კაცო, ერთათობი დროს. ხუთი-ექვსი კამეჩი ქვყანდა, ძროხა, ცხვარი, მე რავი — აუარებელი.

ჩემო ბატონო, ერთი საცხვარე ქვონდა ჩვენ, საცხვარეში მამაჩემი და ილიკოს მამა პალედ ჩამოვიდნენ. პალედ ერქვა. ჩამოვიდნენ იქა და ორი საცხვარე იყო, ერთში ერთი დადგა, ერთში მამაჩემი დადგა. მერე, ავანტყოფი კაცი იყო პაპაშენი, ხო იცი, ავანტყოფი კაცი იყო, ძრიელ და ვერ ის ქნა, ადგა და კიდევ შეუერთდა ყგრათლსა, პაპაჩემ შეუერთდა და მამაჩემ დარჩა ის სახლები. ამ მამაჩემა გადააკეთა, ზოგი ოდათ გააკეთა... ზოგი მერე-მერე გააკეთა აკოშკიანი სახლი, მამაჩემა... ურუმი ქალი, ოო, მამალი ქალი იყო. დედაჩემი იყო, ბერძნი ქალი არ იყო,

მარამ ურუმი ქალ უძახდნენ (ურუმი — ბერძენი).

— იმათ წარმომავლობის იყო, ქეშიშოვები, როგორ არ იყო! (რეპლიკა!)

— არა, დედაჩემი მესხიძე იყო, მესხიძე. ეხლა ის რო არი, მესხიძე, შაქროდ, ეგ ჩემი ტაბაშვილია, ბიძაშვილია.

—ხოდა, ქეშიშოვების მამიდა იყო!

## შრომითი საქმიანობა, მეზობლები...

მამაჩემი მუშაონდა კოლექტივში ათას ცხრაში (წელს სრულად არ ასახელებს, კოლმეურნეობა ერკოტაში 1930 წლიდან დაარსდა), სათიბად დადიოდნენ და ხოლოთ მამაჩემ არ შიეძლო და თიბა და ფოცხში დადიოდა. აიღენდა ფოცხსა და აფოცხენდა, აფოცხენდა და ერთი ჩვენებური თათარიც თიბენდა. დაიჭერდა, თავთავებ აწყვიტენდა, იმას... უყურა, უყურა, უყურა მამაჩემა და: — ყარგმან!

— რა არი, ლაზარ ბიძა!

— მე შენი დედაო, — მამაჩემა უთხრა ამ თათარ, აგრე მოჰთიბებენ? წაართვა ცელი და მოუსვა: — აი, იესე მოთიბე, აი, იესე მოთიბე, შენ მიჰყოლიხარ და მაღლიდან შუა წელიდან თიბამ სულ ყანაში დარჩებაო ნამჯაცაო და პურიცაო და სუყველაფერიცაო. წაართვა ცელი და იესე მოჰთიბეო, ასწავლა, ვითონ ასწავლიდა.

— ლაზარ ბიძა, მე ასე ვიცი, მე რა ვი. — თათარი იყო და... საღამოთი ხოლმე ცხენი ქვყანდა, შეჯდებოდა ჩამოვიდოდა, დილით შეჯდებოდა, წავიდოდა სამუშაოთ. მუშაონდა თოთხმეტ წლანდე. მერე თოთხმეტ წელში აქ იყვნენ. ხარი ბევრი ქვყანდა, ძროხა ბევრი ქვყანდა და ჯილღას ვეძახდით. ეს გუთანი კი აღარ იყო, მაშინ — კავები იყო, კავი იყო. წავიდოდით ხიშოს მამა, ეგ იყო ძალიან ძრავლი კაცი. სულ ეგ ხნენდა ყანებს, სულ ყანებ ეგ ხნენდა, ევგენაჲ ერქვა. მეც პატარაჲ რო ვიყავი, უღელზე გამიკეთეს ერთი კალათი მოქსვიეს, ჩამაჯინეს შიგა და ხარებ ვუჯვარდებოდი. ექვსი წლისა გამიყვანეს მეხრეთ, მაგ ხიშო(ჰ) მამამ.

ეეჰ, მოვიდოდა შემოდგომა მოთიბი დროს, მოსთიბენდნენ, მოიტანდნენ კალოზე. ხარით გავლეწენდით, კევრ ვეძახდით, კევრებ აუბენდნენ და... ხარ ურაოვინენდით, პური გასცვიოდა, გაილეწებოდა ლამაზათ, გაანიავენდნენ, პურ ჩაჰყრიდნენ ბეღელში და ბზესაც საბძელში ჩაჰყრიდნენ. მერე... ყველა თავისთუნ იყვნენ, ცალკე გავიდნენ. ერთი უღელი ხარი ჩვენ მოქვცეს, ოთხი-ხუთი უღელი იყო... ერთი უღელი ხარი მამაჩემ მისცეს, დანარჩენები ხიშოჰ მამას, მიშაჰ პაპას, მარკოზ აფას...

***

...რაც რომ თავ გადამხედოდა...
სიმინდი ბევრი შევჭამე ხილად არ გამიხდებოდა
მე ღორის ტყეში გადაველ, იქ ღორი მეგულებოდა,
ერთი ბურვაკი შეჭამე, შხამადა შემერგებოდა
ლამაზ-ლამაზი ბიჭები თოფ-იარაღში სხდებოდნენ
ლამაზ-ლამაზი წევრები თითი ფრჩხილებზე დგებოდნენ
გამიგდეს ისეთ მინდორზე, თვალი არ გადასწვდებოდა,
ჩამაგდეს ისეთ ხევ-ხუვში, ქორი არ ჩაფრინდებოდა
დამაზილეს ბევრი ტყვია, სიკვდილი მომსურდებოდა
იქ დადგა სისხლის მორევი, ზედ ნავი მოსცურდებოდა,
მოვიდა ყვავი-ყორანი, სვამდა და არ ილეოდა.
ორბებმა გამინაწილეს, სვავი ძვალ-ძვულით ძღებოდა.

***

...ბევრით მე ვჯობივარ მზესა
დაჯდა და წიგნი დასწერა,
ზენა ქარი მიათრევსა.
მე და ვარ და ის ძმა არი
რათ ვძულდებით ერთმანეთსა,
ავი ამინდი რო დადგეს,
ის ხომ ვერ გააშრობს გზებსა.
ცივანა კაცს ვერ გაათბობს,
თუ არ დაანთებს ცეცხლსა. — ეს მზე ლაპარაკონს.
თუ ეს სიტყვა ტყვიილია, ჰკითხეთ ღამის მეხრესა,
ღამის მეხრე დაიბარეს, ულვაშებზედ ისვამს ხელსა,
დაჯექ, ბიჭო, წორედა თქვი, თორემ მიქცემ სატანჯველსა.
დასვეს და ალაპარაკეს, მეუფე ყურს დაუგდებსა.
— მე უმზეოთ ვერ გავძლებ, ღამით კი გაფტეხ ბლენსა,
დღისით შევზვერეფ ბალახებ, ღამით მივრეკ საქონელსა —
(ეჰ ღამის მეხრე ელაპარაკება)
ერთი მაზარა უბოძეს ღამით მიმავალი ეს არი,
ღვინოზედ კაცი გაგზავნეს, ორივე შეარიგესა

## II მსოფლიო ომი

ჩემი ტოლები არავინ არ იყო წასული. ჯერ გორში ვიყავით. რანთენიმე თვე გორში ვიყავით. მერე წაველით ფრონტზე კრასნოდარის მიმართულებით. იქიდან რანთენიმე დღე დავრჩით, ერთი კვირა ვიყავით,

რაღაც. ხნიანი ხალხი გამოგვარჩიეს. მოველით კიდე გორში. გორიდან წაველით — სად წაველით. ერთი თვე ვიარეთ, ორი თვე ვიარეთ მატარებლით, ძლივ მივედით იმ ადგილას. იქ ვიყავით ორმოცდახუთ წლანდი, რა. ომი რო დანთავრდა, მაშინ გამოგვიშვეს, წამოველით. რანდენი დღე ვიარეთ იქიდან მატარებლით, ოცდაცხრამეტი დღე ვიარეთ, რაღაც. — თვე და რვა დღე ვიარეთ რა, ასრე. ძლივ მოველით იმაში, თბილიში. ისეთი მოველით, რო მიმკვდარი, მიხოცილი ხალხი.

სიცივეა ისეთი, რო. ჰუ, ჰუ, ჰუ, ჰუ! კარზე ვერ გამოვდიოდით. გვამუშავენდნენ ცეხებში, სადაც რკინეული კეთდება. ჩემო ბატონო, იარაღები. ერთი თვე ვიყავი, რკინა რო დუღდებოდა ფურნეში. დამაჯდინეს იესე სკამზე ერთი და შენ დააწეკ ამ პრობკასო. დავაწვებოდი, გამოდიოდა, რელსა გამოდიოდა, ჩემო ბატონო, რაღაციები გამოდიოდნენ, რა ვიცი, გამოდიოდნენ, ითაკრებოდა იმაზე, დავაწვებოდი პრობკას, წავიდოდა, წავიდოდა, — სადღაც იყრებოდა. ახლა კიდე! ერთი თვე იქ ვიყავი.

კარგა ვიყავი. თავისუფლათ ვიყავი. მერე იქიდან სამუშაოთ გაგვრეკენდნენ. ერთი კლდე იყო. ამ კლდეში სულ კაჟი იყო, სულ. რაგორც ე აბანოს კლდე, სულ კაჟი. იქ ვმუშაონდით, ვანგრევდით და ეზიდენდით. პატარა ვაგონეტები იყო და გავავსენდით, წავიდოდა. აგრე ვიყავი თახ (-მდე, თურქ.) ორმოცდახუთ წლამდე. ორმოცდასამი წელი არ იყო, მაგრამ ახლოვდებოდა.

ომი რო დამთავრდა იქიდან ვიარეთ, ვიარეთ, აკი წეღან გითხარი, ოცდათვრამეტი დღე ვიარეთ, ორი თვე ვიარეთ - რაღაც. თბილიში მოველით.

თბილიში რო მოველით, ერთი ამხანაკი მყავდა. ის იქ დარჩა. იმამ მითხრა, რო, მათეო, წერილ გამოგატანო, თუგინდ თბილიში ჩემი და არისო, იქ მიდითო, თუ გინდა იქაო, იმ სოფელ რა ერქვა, ბიჭო! დამამიწყდა. ტყვიავი თქვა, რაღაც. რა მინდა სოფელში. ერთი ამხანაკი მყანდა, წყალთბილელი იყო. იმას უთხარ, რო, — პეტროს, მეთქი, იქნებ ვიპოვნო-მეთქი ჩემ ამხანაკის და. — ჩააგდე ფოშტაშიო, თითონ იმას იზანსო. — არა-მეთქი, უნდა ვიპოვნო, გიჟი ხო არ ხარ, კაცმა გამამატანა ადრესი, სუყველაფერი დამიწერა. თბილიში ღამე მოვედით და რო გათენდა, ავდექით, გავიარ-გამოვიარეთ. უთხარ: ეს სად არი, ულიცა... ზოგმა თქვა არ ვიცი... ერთი კაცი შემხვდა, მითხრა: — ბიჭოჯან, ეგ ულიცაო, დაადექი ამ ულიცასაო, იარეთ სარანდისინაო, დიდი საათი არის, სანან იქ მიხვალთო, იქ იპოვნანთ მაგ ნომრის სახლსაო, ავდექით, ვიარეთ, ვიარეთ. სომეხიც ორგულათ იყო: — შენ რათ გინდა, რო დადიხარ აქეთ-იქით! — დაიცა! — მიველით, ჩემო ბატონო, დიდ საათ აქეთ მივხედეთ, იქით მივხედეთ. პატარა გავიარეთ თუ არა, აჰა-მეთქი, არუთ, ვიპოვნე! სახლი ვიპოვნე-მეთქი ჩემ ამხანაკისა. ჩემ ამხანაკის დისა. გავაღე კარები, შეველი. ქალი დგას გარეთ ბალკონში დგას.

— შეიძლება-მეთქი, ჩემო დაო, შემოვიდეთ.

— მოდით, ძმაო, მოდითო!

შევედით, ფეჩი ანთია. ნამციენი ხალხი. შიერი ხალხი. პატრა ხანი დავჯექით. სითბო მოგვეპარა! მერე რაგორც იყო ავდექით, გამოვედით კარზე... ხოლოთ, რო მიველი, რო დავინახე ეჰ ქალი, — შენ მეთქი შალიკოჰ და ხარ! ე ქალი გამოსამავდა (სამა — სულელი). დადგა, დადგა და მიიქათმა, მიწვა ერთ ადგილ. დაბნდა სიხარულით. მერე უთხარი, ჩემო დაო, რას შვები... მოდითო, მოდითო, ჩემო ძმაო, მოდითო! მიველით. პატარა ხანი რო დავსხედით. ეს წავიდა. წერილი არ მიმიცია ჯერ. ბიჭის სახელი უთხარი... წავიდა, ერთიც ნახო მოვიდა. ერთი იემხელა ჟულიკი ოტკა მოიტანა: — თითოცახე დალიეთო. ჩემი ქმარი აქ ყოფილიყოო, მივლინებაშია სადაღაცაო, და... მოიტანა ერცახე ჭადი. მოიტანა. თითო ლუკმა შეჭჭამეთ. ცოტა ოტკა დავლიეთ... ამოვიღე და წერილი მაშინ, მივეცით. წაიკითხა, წაიკითხა. ერთიც გადაბრუნდა, დაბნდა ეჰ ქალი. მერე აქეთ ველაპარაკე, იქით ველაპარაკე, მივიდა სტოლის უჯრა გამოსწია და გამოიღო ქაღალდი: — აიო, უგზო-უკლოთ დაიკარგაო ჩემი ძმაო. — და აჰა, ერთათ ვიყავი-მეთქი! ეგ როდიჰ მოგვივიდა! — სამი დღეაო მომივიდაო ის ისაო. ცოცხალი არისო?

— ბჰო, ცოცხალი არი, აჰა წერილი იმის დაწერილია.

— იქნება იმი მოსვლაო? და:

— ერთი თვე გავა-მეთქი და ისაც'ნა მოვიდეს. მერე ავდექით, გამოგვისტუმრა ამ ქალმა და ხუთი თუმანი მოგვცა. ძველი ხუთი თუმანი!

— არ გვინდა მეთქი!

— ჩემი ქმარი აქ ყოფილიყოო...!

ავიღეთ ეს ხუთი თუმანი. ავიღეთ, ავიღეთ. ოცდახუთი მანეთი ამაჰ მივეცი... გამოველით ბაზარში, აი სიმინდის ის არ იყო, ფათაფუთიო, რა ქვია? ის ვიყიდეთ თითო ჭიქა და ის ვჭამეთ. მერე მოველით, ამოველით ბორჯომში. ბორჯომში ამოველით, რო ღამეა, არუთას უთხარი, რო: — არუთ მეთქი, ჩემ დასთან'ნა ავიდეთ მეთქი დგვარში. — ჰაიდეო, საქმე არა გაქო...

## ფილიშვილი ციალა, დაბ. 1931 წ. ასპინძა (ხიზაბავრა), 2003 წ.

### ოჯახი

დედაჩემის დედა წყალში დაიხჩო მცხეთაში. ორნი მეზობლები და ერთი მაზლი წასულან მცხეთაში სათხოვნელათა. რო მოუვლიათ ქარელი, რამე, მცხეთაში რო შესულან, უთქვიათ რო, მანამ ამ ხიდზე ავიდეთო, ამოდენა პური რო ვითხოვეთო და ამოდენა რამე ზურგზე გვკიდიაო,

მოდი ექ წყალში გავალთო და აღარ ავიდეთ ხიდზეო.

გავიდნენ ხიდზე და ორნი დაიხჩნენ, დედას დედა და ის ქალი, იმ ქალს შვილი არ ყავდა, დედაჩემი კიდე ცხრა თვისა დარჩა დედამისს. ერთი გამოღმა დაგდებულა, მეორე გაღმა, თავეთ ვეშითვე. მცხეთაში დამარხეს ბებიაჩემიცა და ის ქალიც ერთათ.

დედაჲ გაზარდა ბებიამისმა. საკუთარ ბებიამისმა — მამის დედამა. დედას მამასაცა ცოლი არ მოუყვანია საკუთრათა, რო ეს ორი შვილი დამრჩაო, ჩახალ-ბიძაჲ ხო გახსოვს შენა, კოქლი, ეგ დედაჩემის ბიძა არი. დედაი ყრუაშვილი იყო. ორივენი გაზარდეს ბებიამა და პაპამა.

მერე პაპამისი წასულა იმაში, ქუთაიში, სამუშაოზე, გადახლართია წელები და ისიც ქუთაიში დაიმარხა, დედაჩემის მამა.

დედაჩემის ბიძა ზესტაფონში მოკვდა და დედაჩემმა მოაყვანინა ბიძაჩემს, რო ეგ გვზრდიდა ჩვენაო, დამარხული ამოაღებინა და მოაყვანინა ხიზაბავრაში და დამარხა დედაჩემმა. ძალიან თოვლში წავიდა ეს დედაჩემი, მარინე, ისეთი თოვლი იყო თურმე პერევალზე კინაღამ გადავარდა მანქანა, ხოდა დედაჩემმა ყველას უთხრა, არ უთხრათ, რო დამარხულიაო ჩემ ძმას, რო ჩამოვაო და რომელ ოჯახშიც დედაჲ და ბიძაჲ დაწვა, იმ კაცმა იცოდა, რო დამარხული იყო და იმ კაცმა უთხრა ბიძაჩემს, რო ჩამოვიდა, დამარხული იყოო, ვერ ჩამოუსწრო კვდარსაო.

რო წამოვიდნენ თურმე და პერევალზე რო გადმოვიდნენ, მოცურებულა მანქანა და დედასთვინ უთქვია: — ეხლაო ამ კვდრის ამოღება გერჩიენაო, რო ჩვენ ორნი დავხოცილიყავითო, — გაელანძღა ჩახალ ბიძასა.

## თათრობა

...თათრებზე რო მოყვებოდნენ ჩემი მეზობლები: — რო შემოდიოდნენო თათრებიო, შვილოო...

მაგალითად, დედაჩემი მოსწრებული იყო, თათრები რო შემოესიენ. თურმე, ერთი ჩვენი ნათესავი, — ვასოი თუ გახსოვს, აი, იქ რო უშვილო ვასოი რო არი, სოსოდ რო იშვილეს, ხო იცი, მაგ ვასოს დედა დედაჩემისა ნათესავი იყო თურმე და მუურბინეს თათრებმა და ორი თათარი პაპაჩემის მოყვარე ყოფილა და ამ სახში არავინ შემოსულა, ყრუ-აშვილებთანა რა!

ვინც შემოვიდოდა თათარი, ეს თათარი კარებში იდგა, რო ამათთან საქმე არ გქონდეთო, სხვა სახლებში შედითო. ამ დროს რო იცოდა, რო მოყვრები ჰყოლია თათრები ამ პაპაჩემსა, ეს ქალი, ვასოს დედა, გამოქცეულა, მოურბენია თათარს უნდა ეხმარა და დედას დაუჭერია ასე, ეს ჩემი ბებია არისო, — დაუღრიალია, და ის თათარი უცემიათ.

დედაი იტყოდა: — ასე შემოვხვიეო ვასოს დედასაო, რო ჩემი ბებია

არიო ესაო, ჩემი ბებია არისო. შემოვეხვიე ამ ბებიასაო და აღარ გააფუჭესო და დატოვეს ჩვენსაო.

ორი შვილი ჰყავდა, ვასოი და როზაი, ორი შვილი ჰყავდა. იქნებოდა ორმოცი წლისა. დედაჩემი ათას ცხრაას თერთმეტში იყო დაბადებული. მერვე წელში ვიყავიო, რო კიდე შემოესივნენ თათრებიო. დედაჩემი არ გაქცეულა, ოჯახი წავიდა და დედაჩემი არ წაუყვანიათ, აქ ყავდათ, რო არავინ არ სცემდნენ ხმასა იმ დედაჩემის ოჯახსა, შვილოჯან, და აქ ჰყავდათ, ბებიაჩემს ჰყავდა ბავშვი.

...ჩემი მეზობელი ამბობდა ერთი, მურადაშვილები იყვნენ, სახელი ერქვა პლაჟიაჲ. თითონ პლაჟიაშვილი იყო. ამ პლაჟიამ თქვა, რო ჩემ სარასაო, სარაჲ ერქვა გოგოსა, ნეხვიო წაუსვიო, ძველი ჯვალი ჩავაცვიო, ბოსლის ნეხვი წავუსვიო და მივიყვანე ბუხარზე და ვაქექინე ცეცხლიო, რო არაფერი უთხრან, არ გააფუჭონო ეს გოგო. თორმეტი წლისა იყოო. მაღალი იყოო. თითონ ქალი იყო დიდი და ის გოგოცა კაი მოსული იყოო, ძალიან ლამაზი გოგო იყოო. კახეთში გათხოვდა. სამი წელია, რაც მოკვდა. ისეთი ქალი იყო რო... ამ კარების სიმაღლე. თითონა პლაჟიაჲც მაღალი ქალი იყო.

კარები ჰქონდათ, მარინე, ისეთი, ამ კარებსა სანამ თითონ არ გააღებდნენ, შენ ვერ გააღებდი, მძიმე იყო კარები. ბავშვები ვერ შევდიოდით, რო შევსულიყავით. თათრების შიშით ისე დიდი კარები ჰქონდათ. ძალიან პურ-მარილიანი ქალი იყო და ჩვენ გვპატრონობდა, დედაჩემი რო სადმე წავიდოდა, მე და ჩემ ძმას გვპატრონობდა ეს პლაჟიაჲ და მოყვებოდა ხოლმე: — ე, შვილოჯან, ეხლა რა კაი დრო გაქთო, სწავლობთო, სკოლაში დადიხართო, გვეტყოდა, არავის, ბიჭს თავი არ გაუყადროო, ამხანაგურათ იარეო, ღამე არავის არ გაყვეო, არ გაფუჭდეო, ობოლი ხარო და სახში თავი დროზე მოდიო...

გაქცევის ამბებს ყვებოდა. გაქცეული ვიყავითო. მერე რო დავბრუნ-დითო, ხაშურში მოვედითო. ხაშურშიო მატარებლის იმაშიო, სადგურში დავწექითო. სადგურში ვწევართ ხიზანიო, ბევრი ქალებიო და წამოვიდა ერთი კაციო, მეეწონეო, სადგურის ყარაული წამოვიდაო და ვითომ'ნა დაწოლილიყო ჩემთანაო. მოვდიოდითო, ბაკურიანიდან ხაშურში გადავედითო. მოვიდაო და ვითომ'ნა მომირბინოსო. რო დავიპირე ყვერებიდანაო ეს კაციო, წავაწვინეო იმ ქალების გვერდზეო და შევდექი წიხლითა და კარგად ვტყეპე: — შენც ხო თათარი არა ხარ, მირბენ აქაო! კარგა ვტყეპე და წამოვედით,

შვილოჯან, ასეთი რამე დამემართაო! ჩვენაო ტყეში ვიყავითო და მამაკაცებ დაგვიტოვდნენ ორ-სამ კაცსაო, ხუთი-ექვსი ქალი ბავშვებით მივწვებოდითო და არავინ ხმას არ გაგვცემდაო და ხაშურშიო ასეთი რამე მომივიდაო. რო მომვარდაო და ვითომ უნდა გაეხადაო, წავავლე, მოვუპირე ყვერებშიო, ავწიე და დავახეთქე და შევდექი წიხლითაო!

— მოროდიორობის ფაქტები თუ იყო, ასეთი რამე გაგიგონია როდისმე?

— არა, არა, შვილოჯან, არავითარ შემთხვევაში!

ერთხელ კიდე ამ პლაჟიამ რა თქვა იცი, მურადაშვილი პაველი იყო, ქმრის ბიძაშვილი იყო. ახალი დანიშნული იყო და ქონდა კარგი კალიცო, სიდედრს აუცმევია, ხოდა თითი დაიჭირეს და უნდა მოაჭრან, თათრებმა. მივიდა და ამ პლაჟიამა, ასე წაავლო კბილები და კბილებით გამოგლიჯა, ხორციანათ გამოგლიჯა, თითი შეუნარჩუნა და რო იჩხუბებდნენ ხოლმე, ასე ეტყოდა ხოლმე: — იმ მამაძაღლ თათრებ თითი რათ არ მოვაჭრევინეო, ეიცინოდით ხოლმე ბავშვები და ვალაპარაკებდით ხოლმე:

— პლაჟი, როგორ იყო, როგორ იყო, შენ გენაცვა, თქვენ.

— ეე, მაგას რო არ მოვაჭრევინე თითი, ეხლა რო ბავშვებს აგინამსო.

...გული მოსდიოდა, ბავშვებს რაგო'ნა შეაგინო ეხლანდელ პერიოდშიო, თათრების დრო ხო აღარ არისო, ხორცი გამოვგლიჯე, შვილოჯანო, და ბეჭედი მიეეცი თათარსაო და არ მოვაჭრევინე თითიო!

## ზედგინიძე დავით, დაბ. 1927 წ. ასპინძა (ჩუნჩხა), 2003 წ.

თურქები... (ჩვენ ვეძახდით თათრებს) გაასახლეს 1944 წლის 15 ნოემბერს. ასპინძის რაიონიდან და საერთოდ სამხრეთ საქართველოდან გასახლებულები სამ ეთნიკურ ჯგუფად იყოფოდნენ, ერთნი იყვნენ, როგორც ეხლა თავის თავს ეძახიან მესხი თურქები თუ თურქი მესხები (როგორც გინდა დაარქვი, ჩვენ მას თათრებს ვეძახდით. ეს ახალი ტერმინია და გაჩნდა ერთი ათი წლის წინ), თარაქამები და ქურთები.

ასპინძის რაიონში იყო სუფთა ქართული სოფლები, იყო შერეული სოფლები და იყო სოფლები, სადაც მხოლოდ თათრები ცხოვრობდნენ. თარაქამები და ქურთები სადაც ცხოვრობდნენ, იქ ქართველობა არ ცხოვრობდა. სამოცდაოთხი სოფელი იყო ასპინძის რაიონში. ამ სამოცდაოთხიდან წმინდა ქართული იყო: სარო, ხიზაბავრა, ვარგავი, დადეში, ზედა თმოგვი... ეს იყო! წმინდა ქართული! შერეული სოფლები იყო, სადაც თათრები და ქართველები ცხოვრობდნენ: ჭობარეთი, ზველი, ერკოტა, ტოლოში, თოკი, მგონი მეტი არ ყოფილა. დამალა სომხური სოფელი იყო, სხვა არავინ არ ცხოვრობდა, მაშინაც სომხური იყო. დამალა არ ერქვა, მაშინ ეძახდნენ ტამალას. გურჯისტან-ვილაიეთშიც ასეა მოხსენიებული (გურჯისტან ვილაიეთის დიდი დავთარი, მ. ბ.) — ტამალა, ასე დაარქვეს გვიან. ისე, როგორც ზველს დაარქვეს ძველი. აძგვიტას — აწყვიტა. შერეული სოფელი იყო აგრეთვე ქუნცა. დანარჩენში თათრები, თარაქამა და ქურთები ცხოვრობდნენ. ქურთები: რუსთავი, მანდ იყო წყალთბილა, ფერიციხე, ქურთები იყვნენ მთელი მტკვრის ხეობა ხერთვისს ზევით. მანდ მხოლოდ ერთი თათრული სოფელი იყო,

ეხლა სადაც თმოგელები ცხოვრობენ, ძველი აგარლები ცხოვრობენ (ბოდიში, აგარაც შერეული სოფელი იყო, თათრები და, ქართველები ცხოვრობდნენ. დანარჩენი სუყველა ქურთი იყო. ეს იყო: ჯოლგა, ნაქალაქევი, ვერთაყანა, თმოგი, ანადეთი, ზედა ვარძია, მირაშხნის პირდაპირ (შირაშხანი ახალქალაქს ეკუთნოდა), მტკვრის გამოღმა მხარეს იყო სოფელი...

ნიალის ველზე მხოლოდ ნიალაში ცხოვრობდნენ თათრები (ადგილობრივი — იერლი, მ.ბ.), დანარჩენები სუყველა თარაქამები იყვნენ. თარაქამები ცხოვრობდნენ, იქიდან რო დავიწყოთ, საზღვრიდან: ქარზამეთი არდაღი, ვარნეთი, ფანაქეთი, გავეთი, და ლებისი. აქ ყველგან თარაქამები ცხოვრობდნენ. ვანი მთლიანად თარაქამა იყო. ვანჩუხურს ეძახდნენ, ჩვენც, ქართველებიც ვანჩუხურს მოვიხსენიებდით ხოლმე, თვითონ ვანი, ბუზმარეთი, თაზაქვევი იყო ასეთი სოფელი, ყოინდარა და ტაშლიყიშლა. რაც შეეხება, სადაც ახლა მოიდოღს ეძახიან, სადაც ახლა თოკელების ფერმა იყო, მანდ მხოლოდ წისქვილები იყო, მოიდოღში და ოჯახები თითქმის არ იყო. რამდენიმე ოჯახი იყო და თაზაქვევს ეკუთვნოდა. ზაფხულობით მოდიოდნენ მანდ ცხოვრობდნენ თათარი... თურქი ბოშებისმაგვარი ხალხი იყო, მუთრუფებს ეძახდნენ. ზაფხულში მოდიოდნენ ზამთარში კი მიდიოდნენ ან თბილისში, ქუთაისში, ბაქოში... ქურდი ხალხი იყო და ყველა ერიდებოდა და ფრთხილობდა. მკითხაობდნენ, ქურდობდნენ და ამით გავდნენ ბოშებს.

ამ ქვევით, თარაქამები ცხოვრობდნენ: ოსკერია თარაქამა იყო მთლიანად, თარაქამა იყო ოთა, მანდ თათრები არ ცხოვრობდნენ. ოშორები — ოშორა, ზემოც და ქვემოც (ეხლა ქვემო ოშორა არი, ზემო ოშორა გაუქმებულია), ინდუსა, ყამზა, ღობიეთი — ეს სუფთა თათრული სოფლები იყო, ახაშენი, ორგორა (ორღორას ეძახდნენ ისინი), საყუდაბელი, ვარნეთი, აეს პირდაპირ რო ჩანს, აწყვიტა — თათრული სოფელი იყო. გარდა ერთი თუ ორი (თუ სამი?) ოჯახისა, — ტოროლოვებისა. ეგენი კიდე არიან, კათოლიკები არიან, თავიანთ თავს პოლონელებს ეძახდნენ. აქ არიან, ეხლაც არიან, მკვიდრი ხალხი არიან. ალბათ იმ დროს არიან შემოსულები, როცა აი... მოქცევი ქვია სოფელს ბორჯომის რაიონში, სულ მარტინენკოები ცხოვრობენ, აი მასკალსკები ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ დღესაც ჭობარეთში. ასეთი პოლონელები ცხოვრობდნენ ახალციხეში, თისელში, ქურთებთან ერთად.

ბნელა — ქართველები ცხოვრობდნენ, ხიზაბავრის განაყოფი ხალხი იყო. ახლაც ბნელა ქვია იმ ტერიტორიას. ხერთვისი — მთლიანად თათრული სოფელი იყო, გელსუნდა — თათრული იყო. ფია — ნანგრევები იყო, არავინ არ ცხოვრობდა, ხერთვისელებს ჰქონდათ ბაღები. მარგასტანი — ქურთები იყვნენ. ვინც ეხლა მანდ ცხოვრობს, ზაზაძეები, — აგარიდან ჩამოასახლეს. ნაქალაქევი — ქურთები იყვნენ, ეხლა ზედა თმოგელები

ცხოვრობდნენ.

— ქართული წარმომავლობის რომლები იყვნენ?

— გეტყვით, ეგ რთული არ არი. მე შალოშეთის საბჭოში ვიმუშავე, ბოდიში, ის სოფელი გამომრჩა, სადაც ვმუშაობდი, დანიეთი იყო სოფელი, ქურთები ცხოვრობდნენ. თოლერთა იყო კიდე. ტოლოშიდან პირდაპირ რო ახვალ, იყო სოფელი ალანძია, 20-25 კომლი ცხოვრობდა, ძალიან გაჭირვებული ხალხი ცხოვრობდა, თარაქამები. შალოშეთი თათარი იყო. თოლერთა — თარაქამა იყო. დანიეთი, თოლერთა და ზედა თმოგი შალოშეთის საბჭოში შედიოდნენ. დანიეთი ქურთი იყო. ბერიძეები ცხოვრობდნენ მანდ, თათრები, სამი ძმანი იყვნენ. ერთი ჩემზე ცოტა უფროსი იქნებოდა, ტექნიკუმი ერთად დავამთავრეთ უფრო სწორად ერთად ჩავაბარეთ, მერე სექტორებად გაიყო, აზერბაიჯანული სექტორი ასპინძაში გადავიდა, წშინდა ქართული — ტოლოშში დარჩა. უმცროსი ძმა რომელიც იყო, გვირა-ახმადაᲲ ერქვა, ბუღალტრობდა დანიეთში, უფროსი ვანის საბჭოს თავჯდომარე იყო, ლატიფაᲲ ერქვა, იმის მომდევნო ძმა შალოშეთის საბჭოს თავჯდომარე იყო, ბერიძე. ჰიკუშაᲲ ერქვა იმას. ბერიძეები, სუფთა ბერიძეები იყვნენ. სხვათა შორის, ძველი ბეგების სოფელიც იყო ეგ, — მაჩაბლების სოფელი იყო. ქართული გვარები იყო ხერთვისში — ვაჩნაძეები იყვნენ მე ვინც მახსოვს, ხვიჩია ცხოვრობდა სხვათა შორის ხერთვისში, თათარი ხვიჩიები, თათრები იყვნენ.

— თვითონ ახსენებდნენ, რომ ქართველები იყვნენ?

— ასეთ რამეს არ ამბობდნენ, ასეთი საუბარი მე პირადად არ მქონია. ერთი ხვიჩია ჩემზე ერთი წლის წინ სწავლობდა. მეორე კურსზე სწავლობდა, ხერთვისელი იყო. თოკელი აბაშიძეები ბეგები იყვნენ. რაც კაი მამული იყო, თოკს ეკავა ყველა. რაც ბაღებია, თოკში სულ აბაშიძეების ბაღებია. ესენი აჭარიდან გადმოსული აბაშიძეები იყვნენ. მოვესწარი მე, ვამხანაგობდით ერთმანეთთან. გელაშვილები ცხოვრობდნენ ინდუსაში. ერთი აღმასკომში მუშაობდა აქ და ქართულს ჩვეულებრივად ლაპარაკობდა, მაგრამ თათარი იყო და ამბობენ, რო რაიკომის მდივანმაო, ადრე, გასახლებამდე... იმან ხო არც იცოდა, გასაიდუმლოებული იყო და რაიკომის მდივნებმაც ერთი სამი თუ ოთხი თვის წინ თუ გაიგეს და ისიც პირველი მდივნების დონეზე, მაგათი გასახლება, შესთავაზაო, — კაცოო, მაინც ქართული გვარი გაქ და გაქართველდიო, და: — არაო, მე რჯულსაო ვერ შევიცვლიო, უარი უთხრა — გადაასახლეს ისიც. — ქართულს ჩვეულებრივად ლაპარაკობდა.

— რჯულში რას გულისხმობდა, განა რაიკომის მდივანი მას ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევას სთავაზობდა?

— მონათლა არა! მხოლოდ დაწერილიყო ქართველად. ეღიარებინა, რომ ქართველია. არ აღიარა! გელაშვილი იყო, მურთაზაი ერქვა. მე პირადად იმ კაცს არ ვიცნობდი. იმ პერიოდში ითქვა ამის შესახებ.

დევრიშოვები იყვნენ, ეტყობა, თათრებათ არ იწერებოდნენ. ეტყობა ქართველად იწერებოდნენ, არ გაუსახლებიათ. ეხლაც არიან ჭობარეთში დევრიშოვები, დევრიშიენთ ეძახიან.

სკოლაში მუშაობდა ჩემთან ერთი ქალი, მაშინ გასათხოვარი ქალი იყო, არც გათხოვილა მერე, ქართული სკოლა ჰქონდა დამთავრებული, ქართული განათლება ჰქონდა, დევრიშიენთ ეძახიან. გასახლებისას როგორც იყო საკომლო წიგნებში ჩაწერილი, მაშინ პასპორტები არ იყო, ათასში ერთ კაცს თუ ჰქონდა მაშინ პასპორტი — ვინც როგორ იყო საკოლმეურნეო წიგნში, ვისაც ეწერა თათარი ან ქურთი, თარაქამა — ისინი გაასახლეს.

— თვითონვე შეეძლოთ თავისი ეროვნული მიკუთვნებულება განესაზღვრათ?

— აი მე გეტყვი ერთ მაგალითს. მესამე მდივანი ასპინძის რაიონში იყო ნოვრუზოვი. წარმოშობით გარდაბნის რაიონიდან იყო, არ გაუსახლებიათ ის კაცი. კარგა ხანს დარჩა აქ. მერე, ენა არ იცოდა, ქართული წარმოება არ იცოდა და წავიდა გარდაბანში. არ გაუსახლებიათ — ვისაც აზერბაიჯანელი ეწერა, არ გაუსახლებიათ. გაასახლეს მხოლოდ თურქები.

— ერთ ენაზე ლაპარაკობდა, ყველა ეს ტომი?

— თურქული ერთი იყო. თათრულს ვეძახდით სუყველას. იყო იქ... მოიცა, რა გამომრჩა სოფლებში, რო ჩამოვთვალე: კვარშა და ალთო ჯავახეთის ზეგანზე. ხერთვისიდან რო ახვიდოდი ჯავახეთის ზეგანზე, ახალქალაქის ვაკეზე, იქ ორი სოფელი იყო, იქ ერთ სოფელში მე მასწავლებლად ვმუშაობდი რო გაასახლეს, ზუსტად იმ დროს. გასახლებამდე. ჩემი სოფლის მეზობელი იყო. დილით მივდიოდით, საღამოს მოვდიოდით. ორნი. ახალგაზრდა ბიჭები ვიყავით. მეც ჩვიდმეტი წლისა ვიყავი და ისიც. ტექნიკუმი ერთად დავამთავრეთ. ორივე ისე პატარები ვიყავით, რო მეათე კლასის მოსწავლეებისგან ფიზიკურად არ ვერჩეოდით. მეორე წელი იყო, ვმუშაობდით.

ეხლა გასახლებაზე:

(...მე ვერ გეტყვი, საკმაოდ გასაიდუმლოებული იყო ყველაფერი).

ქურთები ქართულად სწავლობდნენ, ვერ გეტყვი, როდიდან სწავლობდნენ, მაგრამ ოცდათოთხმეტ-ოცდათხუთმეტ და აქეთ წლებში ქურთებთან ყველგან რეგულარიზებული სკოლები იყო. პირველი კლასიდან ქართული საშუალო სკოლები იყო ხიზაბავრაში და გვიან ერკოტაში გაიხსნა (ასპინძის რაიონში). შვიდწლედები იყო: ნაქალაქევში (ქართული შვიდწლედი იყო, ქურთები ცხოვრობდნენ), რუსთავში.

არასრული საშუალო სკოლები იყო ყველა, ქართულად სწავლობდნენ. ქართულად სწავლობდნენ. არავინ არ დაუფლებია ამ სკოლებში ქართულს, წერა-კითხვა იცოდნენ, მაგრამ სასაუბრო ქართული ენა არ იცოდნენ.

თათრულ სოფლებში (ძირითადად ეს იყო გათურქებული ქართველების სოფლები, მ. ბ.) ორმოცდაოთხი წლის პირველ აპრილს(!!!) შემოიღეს ქართული სწავლება და პირველი — მეოთხე კლასები მთლიანად ქართულად ისწავლებოდა. მე რატომღაც მგონია, რომ აქ უშიშროების რაღაცა ერია, რო მოედუნებინათ ყურადღება და არ ეფიქრათ, რომ ჯარების შემოსვლა რეგიონში რაიმენაირად იყო მათთან დაკავშირებული. პირიქით, ხმის დაყრის სამსახურმა ამ ორგანოებისა, ისიც გაავრცელა, რომ ქართველები უნდა გაასახლონო. ჰქონდათ ასეთი სამსახური, ჭორების დაყრის სამსახური.

სწორედ იმ პირველი აპრილის შემდეგ სხვამ იმუშავა, პირველი სექტემბრიდან კი მე და ის ბიჭი ვმუშაობდით მასწავლებლად, მიქელაძე იყო ჩემთან ერთად. საწყალი, დაიღუპა. ქართულად ვასწავლიდით მთლიანად (სოფ, ალჯვა).

რაც შეეხება გასახლებას, მე ვერაფერს ვერ გეტყვი მაგის შესახებ. მე იმ დღით გავიგე, რომ... არა, წინდღით გავიგე საღამოს. დაახლოებით აი, ამ დროს. ესეც როგორ გავიგე: — მანქანები შემოვიდა სოფელში. მანქანები შემოვიდა. ამ დროს ვარ ჩემ სოფელში და მანქანები შემოვიდა ახალქალაქზე გამოვლით იმ სოფლებში. აქედან სამანქანო გზა არ იყო, ასპინძიდან. ახალქალაქიდან სამანქანო გზა იყო იმ... სადაც მე ვმუშაობდი, ალჯვა იყო და იმის იქით კვარშა იყო აქეთ, ხერთვისის თავზე.

ახალქალაქზე გამოვლით შემოვიდა ეს მანქანები და მანქანები რო შევიდა, რაღაცას მიეხვდით მაშინ, ზუსტად ვერა, მაგრამ მიეხვდით ახლა და... იქით იყო ერთი რამდენიმე კვამლი, ჩვენ სოფელში არ ცხოვრობდნენ, იქით, ქილდაში ცხოვრობდნენ. იქაც შევიდა მანქანები, ერთი ექვსი კვამლი იყო თუ შვიდი, იმათ სხვათა შორის, სუყველას ქართული გვარი ჰქონდა, გოგალაძეები იყვნენ და ხაშილაძეები, ქილდაში. მეორე დილას გადავედით.

სოფელი ალყაშემორტყმული იყო, რამდენიმე მეტრზე თითო სამხედრო იყო. სასაზღვრო ჯარები და შინაგანი ჯარები იდგნენ. თუ ვისმე კინო „ელისო" უნახავს, აი იქ როგორც ჩეჩნებს ასახლებენ და ბადრაგი ჰყავს, ისე იყო სოფელი ბადრაგით შემოკრული და...

გამოეგორებინათ ეს ურმები, ინვენტარი - რაღაც და სწვავდნენ, ცეცხლი დაენთოთ ღამე და ყარაულობდნენ. თითო ოჯახზე თითო მანქანა მისცეს. არ იყო პრობლემა. კარებზე მივიდოდა მანქანა. 2-3 სამხედრო პირი იყო თითოეულ მანქანაზე. ერთი კაბინაში და ორი ოჯახთან ერთად.

დატვირთეს, თითო ოჯახს თითო მანქანა მისცეს და გაასახლეს ბადრაგით. ისევ ახალქალაქზე გამოვლით წამოიყვანეს და ახალციხეში ჩამოიყვანეს. გასახლებამდე ორი თვით ადრე, დაახლოებით ორი თვით ადრე, — მე ზუსტ თარიღს ვერ გეტყვით, ყველა სოფელში, საიდანაც თათარი ჰყავდათ გასასახლებელი, ყველგან ჩამოვიდა უშიშროების

მუშაკები, რომლებიც გადაცმულები იყვნენ.

ხერთვისის სკოლა დახურეს, მანდ შვიდწლედი იყო ეს სკოლა ეხლაც დგას, ძველი შენობა რო არის, თუ იცი, ციხის პირდაპირ დაბლა დგას, გამოლმა. მანდ სამხედრო იდგა მთლიანათა, იმათთან ერთიანი კავშირი ჰქონდათ მაგათ, ეს გადაცმული ხალხი ვინც იყო და სოფლებში დააზუსტეს სია, ყველაფერი დააზუსტეს...

მე რაც ჩემი თვალით მინახავს, იმ სოფელში ვინმე გვაზავა იყო, ვალერიანი, ვალიკო. ჩვენთან ოჯახში მოდიოდა, ჩემი ამხანაგის ოჯახშიც მიდიოდა, ჯავახეთში. ორკილომეტრნახევარი იყო თუ სამი კილომეტრი (ჩემს სოფლამდე) და ოჯახში მოდიოდა, პურის საჭმელადაც... არაყს დაევლევდით ხოლმე. ჩვენ ბავშვები ვიყავით და ის კაცი იყო. იარაღი ჰქონდა ჩვეულებრივად და ჩვენ გვეუბნებოდა, რო... სოფელში ამბობდა და ჩვენც გვეუბნებოდა, არ გატეხილა ის კაცი არაფერში, რო სოფლის მეურნეობის სამინისტროდან ვარო მენო და მოვლინებული ვარ იმაზეო, რო საშემოდგომო ხვნაში ჩამორჩენა არიო და ამ ნიადაგს ამუშავებინებდა და ათესინებდა.

ხუთმეტ ნოემბერს გაასახლეს ისინი და, სხვათა შორის, იმის შემდეგ კიდე დიდხანს, თითქმის ახალ წლამდე სიმშრალე წავიდა, თოვლი არ მოსულა. გაიყინა ნიადაგი და თოვლი არ მოსულა. ჰოდა, ახნევინებდა იმ პერიოდშიც და ათესინებდა... ცხოვრობდა კოლმეურნეობის კანტორაში.

კოლმეურნეობის კანტორა კოლმეურნეობის თავჯდომარის ბინაში იყო. იაზლუღს ვეძახდით, ოთახი იყო. ოთახებს ლამფა და იატაკი რო ჰქონდა ფიცრისა და ფანჯრები რო ჰქონდა, წინათ ეძახდნენ იაზლუღს. „იაზლუღი" თურქულია და ნიშნავს „საზაფხულოს" — საზაფხულო საცხოვრებელი სახლი. ჩვეულებრივ იყო, ოდა, დარბაზი და ბოსელი — მიბმული სახლები იყო ესენი.

შიგნით თავჯდომარე და თავის ცოლი ცხოვრობდნენ. შვილები ყველა კიროვაბადში ჰყავდა, გოგოც იქ ჰყავდათ გათხოვილი და ბიჭიც იქ ცხოვრობდა. ეს ძალიან კარგი კაცი იყო. ის სოფელი ძალიან ჩამრჩა გულში. ისე კარგად ასპინძის რაიონში არცერთი სოფელი არ ცხოვრობდა. ძალიან სუფთად ცხოვრობდნენ, დიდი ნაწილი აღები იყვნენ, ბატონები იყვნენ. აღა — ბატონია! ბეგები არ ცხოვრობდნენ, მაგალითად ეს აბაშიძეები ბეგები იყვნენ, ის მაჩაბლებიც ბეგები იყვნენ. იქ აღები იყვნენ და დიდი ნაწილი სოფლისა, თითქმის ნახევარი. გლეხი — რაᲦას ეძახდნენ თათრები — რაᲦა ძალიან ცოტა იყო, ნახევარიც არ იყო. ძალიან სუფთად ცხოვრობდნენ და ძალიან კარგი ხალხი იყო, მე ტყუილს ვერ ვიტყვი. ჩვენ... მე მომწონდა იმათი ცხოვრებაც, ურთიერთდამოკიდებულებაც, ჰოდა, იმათთან ცხოვრობდა (გვაზავა).

მამაჩემს არ უყვარდა თათრები. მაგრამ ის ვისთანაც ცხოვრობდა (ვალიკო გვაზავა), იმ ოჯახთან გვქონდა ჩვენ ნათლიობა — ქირვას

ეძახდნენ თათრები — ქირვა! ნათლიობა ჰქონდა და გარდა იმათი გვარისა, ისმაილაანთ ეძახდნენ იმ გვარს, ჩამომავლობას, ისმაილაანთ ეძახდნენ. სხვა ჩვენთან არ მოდიოდა. ის თათრები მოდიოდნენ ჩვენ სახლში, ჩვენ ოჯახში, როგორც საკუთარ ოჯახში, ნათესავის ოჯახში.

ის ქალი, ის ცოლ-ქმარი თითქმის კვირაში ორ-სამჯერ მე და იმ მასწავლებელს, ერთად რო ვმუშაობდით (ის გამგე იყო და მე მასწავლებელი ვიყავი), სადილს გვაქმევდა ხოლმე. წაგვიყვანდა სახლში და როგორც თავის შვილებს, ისე გვაქმევდა პურსა და... ერთხელ მითხრა, რო: — წუხელიო, დაახლოებით გასახლებამდე იყო ეს ერთი ათი დღით ადრე, — ამ ურჯულოსაო (იმასაც ის აქმევდა პურს, — პურს, წყალს, უკეთებდა ყველაფერს და კოლმეურნეობიდან აძლევდნენ ყველაფერს, ასე იყო დადგენილი, მითითება მისცა რაიკომმა), ამ ურჯულოსაო, წუხელი არ დაუძინიაო, — მითხრა, — „დის" მაგათი ის არი, რჯული, — არ დაუძინიაო და ჩვენი სოფლის სია´გააკეთაო.

ეტყობა ეს ქალი წერა-კითხვის მცოდნე იყო ლათინურად და ლათინური და რუსული ანბანი გავს ბევრით. შეიძლება რუსულიც იცოდა, მე არ დავინტერესებულვარ. წარმოშობით, ახალციხეში იყო სოფელი წოხტევი, ეხლა რო მუგარეთია, მაგის უკან იყო ეს სოფელი. იქაური ქალი იყო და არაჩვეულებრივად კარგი ადამიანი იყო. მე უთხარი: — ვალიკო-მეთქი, ასე, ჯალა ხანუმმა-მეთქი ასე მითხრა და კი არ დაუხვევია, ჩვეულებრივად გაგრძელა ლაპარაკი, მოფიქრება არ დასჭირებია: — კაცო, დიდიხანიაო სახლიდან გამოსული ვარო და გიე-პოეტა ვარო და წუხელიო ლექსებს ვწერდი, მუზა მომივიდაო და მაგას სია ეგონაო.

პურ-წყალს ის ქალი უკეთებდა და აქმევდა ჩვეულებრივად. მაგათში, თათრებში — არც თარაქამებში, არც აქ... ფურნე და თონე პურის გამოსაცხობად არ არსებობდა. მაგათ ჰქონდათ საქე, სადაც აცხობდნენ, ბაზლამას ეძახდნენ, რკინის, თუჯის დისკი იყო, ცოტა ოვალური იყო, დასდებდნენ, ქვევით წივას შეაყრიდნენ, ცეცხლს... ზეიდან დააკრავდნენ აემსისქე პურებს, დაახლოებით სამი სანტიმეტრის ან ოთხი სანტიმეტრის... თუ გაღვიებული იყო, ბაზლამა ერქვა და თუ უფუარი, უღვიარი იყო — ფათირი ერქვა და იმ სოფელში, იმ ალჯვაში, ბაზლამა´არ არსებობდა. საქე შეიძლება იყო, მაგრამ თითქმის ყველას ჰქონდა თონე. თონის პური იყო მასობრივად იმ სოფელში. ნაეკლესიარი ეხლაც არის. კვარშაში დგას, ეკლესია ახლაც დგას. მოქმედი ეკლესიები მაშინ არ იყო, რასაკვირველია, მაგრამ ეკლესიები იყო.

— მოლები ჰყავდათ?

— მოლები ჰყავდათ, მაგრამ აი, როგორც ჩვენი მღვდლები იყვნენ იმ პერიოდში შეზღუდული, ისე იყვნენ ეს მოლებიც. მოლა, მაგალითად ბოლო სოფელში რომელიც იყო, არაბულად ნასწავლი კაცი იყო, არაბულად წერდნენ. ჩვენ ხო მარცხნიდან მარჯვნივ ფწერთ, ისინი

პირიქით. მე დავინტერესდი და მოლასთან დავდიოდით და წერა გვინდოდა გვესწავლა, მაგრამ ვიდრე ის ხალხი გავიცანი, ორთვენახევარში გაასახლეს. ერთი კვირის თუ ათი დღის დაწყებული გვქონდა. ის კაცი გვასწავლიდა არაბულ წერას. ფეიზულა ერქვა იმ კაცს, ისიც გაასახლეს.

— ქრისტიანისა და თათრების „ნათლიობა" ხშირი იყო, ეს რამე რიტუალი იყო?

— არავითარი რიტუალი არ იყო, ჩვეულებრივად შეასახელებდნენ რო, — შენ იქნები ჩემი ნათლია, სიტყვიერად. არავითარი რიტუალი არ ყოფილა. ცოლს რო მოიყვანდნენ, ნათლიად იყენებდნენ და იმას ერქვა ქირვა. როგორც მეჯვარე.

თარაქამები და ქურთები შიიტები იყვნენ, ყველა დანარჩენი სუნიტი იყო, თათრებს ვისაც ვეძახდით, ისინი სუნიტები იყვნენ, ამ თურქეთთან იყვნენ დაკავშირებული და ისინი ველის ხალხი იყვნენ მოსული, შიიტები იყვნენ და ირანის ხალხი იყო, სპარსეთის ხალხი იყო თარაქმებიც და ქურთებიც. ეს ქურთები მგონი ირანის კი არა, ამ ქურთისტანიდან იყვნენ. გვიან იყვნენ ესენი მოსული.

— ერთმანეთის მიმართ როგორი იდენტიფიკაცია ჰქონდათ?

— ქალს თხოულობდნენ ერთმანეთში, მაგრამ კარგი დამოკიდებულება მაინცდამაინც არ ჰქონდათ. ქართველებთან შედარებით ერთმანეთთან უკეთესი დამოკიდებულება ჰქონდათ, ქურთებმა ჩვეულებრივად იცოდნენ თათრული, თავისიანად თვლიდნენ თათარს, მაგრამ რელიგიური განსხვავება ჰქონდათ.

გასახლებისას მე რო მივედი, გამოცხადებული ჰქონდათ უკვე. ხალხს უკვე სამზადისი ჰქონდა დაჭერილი, მანქანები მიყენებული იყო და ეზიდებოდნენ ბარგს. მერე გამოუცხადეს, რო სამხრეთის საზღვრების გამაგრების მიზნით დროებით უნდა მოვახდინოთ თქვენი ევაკუაცია აქედან. დროებით.

ახალქალაქის რაიონში რამდენიმე სოფელი იყო თათრული, უფრო მეტად თარაქამები იყვნენ, თათრები ცოტა იყვნენ. ნინოწმინდის რაიონში ერთადერთი რაიონი იყო, იქაც თარაქამები ცხოვრობდნენ, საღამო როა ახლა, დანარჩენი სომხები იყვნენ. ის თარაქამებიც გაასახლეს, მაგრამ იმათ მოსაზღვრე სასომხეთის ტერიტორიიდან არ გაუსახლებიათ. ისინი გვიანობამდე იყვნენ და მხოლოდ ყარაბაღის ამბების შემდეგ გადასახლდნენ აზერბაიჯანში, თარაქამები იყვნენ ეგენიც. ოკამიც თარაქამა იყო ახალქალაქის რაიონში, ხავეთი — თარაქმა იყო, ვარევანში იყო რამდენიმე ოჯახი, გოკიოში იყო რამდენიმე კვამლი... დანკალი თარაქამა იყო თუ თურქი, ზუსტად არ ვიცი. თარაქამები ლაპარაკობდნენ, ეხლა რომ თბილისის გარშემო აზერბაიჯანელები ცხოვრობენ იმათ ენაზე... ქურთების ენა სულ განსხვავებული, იყო. აზერბაიჯანული და თათრული კი ერთმანეთს გავდა. თუ ვინმე ჰყავდათ ნასწავლი, ყველას ბაქოში

ჰქონდა განათლება მიღებული, კლასიკური განათლება.

პირველ კურსზე ჩემი დირექტორი იყო, აცხონოს სადაც იყოს, კარგი კაცი იყო, უცოლშვილო... ახალგაზრდა კაცი იყო, ბაქოში ჰქონდა, მათემატიკის სპეციალისტი იყო და ბაქოში ჰქონდა განათლება მიღებული! ისიც არ გაუსახლებიათ, ვინც ჩამოსული აზერბაიჯანელი იყო, არ გაუსახლებიათ.

— ქართველსა და თათარს შორის საურთიერთო ენა რა იყო?

— თათრული ენა ბატონობდა. ქართველი და თათარი თათრულად ილაპარაკებდა. სომეხი და თათარი თათრულად ილაპარაკებდა. ქართველი და სომეხიც თათრულად ლაპარაკობდა. სომხები გვიან იყვნენ ჩამოსახლებული და თან ყველა არზრუმიდან ან თურქეთის სხვა რაიონებიდან და თურქული ყველამ იცოდა თითქმის. ამიტომაც თათრული ბატონობდა.

...ერთ მომენტს აგიღწერ. ერთი დაჭრილი ბიჭი იყო, ბუღალტრად მუშაობდა (გასახლების დროს სოფ. ალჯვაში) სოფელში, განათლება ჰქონდა, ნაფრონტალი კაცი იყო. იმ მოლის შვილი იყო, წეღან რო გესაუბრეთ. საქორწინო კაცი იყო ისიც, თუ დაქორწინებული იყო, ვერ გეტყვი ზუსტად. ჩემი ქუდი ეხურა იმას, სტალინს რო ეხურა, ისეთი ქუდი. ახალქალაქში კერავდნენ, ხოდა, ეხურა იმასა და დამთვრალიყო. მე რო მივედი, მთვრალი იყო უკვე. განიცდიდა, ახალგაზრდა კაცი იყო. მამამისმა გამოიტანა ვენური სკამები... სხვათა შორის, ვენურ სკამს მაშინ ვერსად ვერ ნახავდი და ამ სოფელში არ არსებობდა ოჯახი, რო რაიმე კარადა არ ქონოდათ, ან კამოდი არ ქონოდათ, ან ბუფეტი... მაგიდა. მაშინ მესხეთში მაგიდები ბევრი კი არ იყო, არც ჯავახეთში. ფეხშუმს ეძახდნენ, დაბალი... იმათ ქონდათ. ეს ვენური სკამები გამოიტანა და უნდა დაეწყო მანქანაზე.

მოკიდა ამ ბიჭმა ხელი და უთხრა, საჭმელი ჩაალაგე, ტანსაცმელი და ლოგინიო. რა იცი, სად მიდიხართო, ცოცხალი ჩახვალ თუ არაო. ამოიღო და დიდი ლოდი იყო სახლის წინ, დიდი საკმაოდ, ქვის ლოდი და დაუშინა ზედ, ქვაზე დაარტყა და დაამტვრია და გადაყარა. ცალი ხელიდან დაჭრილი იყო და, ცალი ხელით, ისე კარგად მახსოვს... მერე ქუდი მოიხადა და მომცა. მე უთხარი, ეს ქუდი-მეთქი წაიღე, ჩემ სახსოვრად წაიღე-მეთქი და წაიღო.

მეორე ამბავი მახსოვს, რო სადაც ის კაცი ცხოვრობდა, გვაზავა ვალიკო... ორი დები ძმებს ჰყავდათ ცოლად და ერთის ქმარი ოცდათორმეტ წელში (?), დაპატიმრებული იყო და მეორისა კოლმეურნეობის თავჯდომარე იყო. პატიმარის ცოლი მოვიდა და მითხრა, ბარგი არ მეტევაო მანქანაში (ან სტუდებეკერი იყო, ამერიკული, ან „ზის პიატებს„ რო ვეძახდით), არ მეტევაო და იქნებაო მეორე მანქანა მომცესო. მერე ვალიკომ მითხრა, მე მაგის პურ-წყალს ვჭამდიო და მაგაზეო როგორ ვაწყენინებო, მეო სათადარიგო მანქანები მყავსო. იმ

ორ ოჯახს მესამე მანქანა მისცა.

იმ დღით გაამქღავნა თავი, ჩაიცვა ფორმა, ფორმა ჩაიცვა — პოლკოვნიკი იყო მგონი. ბევრით უფროსი იყო, ის პოლკოვნიკის ჩინში იყო და ჩვენ ჩვიდმეტი წლის ბიჭები ვიყავით. უკანასკნელი მანქანაც რო გაისტუმრა, მობრუნდა და, ადგილობრივი ქართველები, ვინც ეხმარებოდნენ — ჭობარეთიდან იყვნენ, საროდან იყვნენ, ათამდე კაცი იქნებოდა, რომელიც სოფელს დაეპატრონა. დარჩენილი საქონლისთვის, პურისთვის უნდა ეპატრონათ. (ეს ხალხიც მანქანებთან ერთად შემოვიდა სოფელში). გვაზავამ იკითხა, ჩობან-ყაურმის გაკეთება ვინ იცისო, ერთი ივანიძე იყო, მოხუცი კაცი, იმან უთხრა, მე ვიციო, გიგოლა არი, იმ კაცს ვიცნობ... — აბა როგორ აკეთებო. აღუწერა იმან. — გცოდნიაო, უთხრა. — ერთი ცხვარი აარჩიე და გამიკეთეო. მერე შეეკითხნენ, სხვათა შორის, შენ მეგრელი კაცი ხარო და ჩობან ყაურმა რა იციო და: — მეო ჩეჩნებისა და ქისტების გასახლების მონაწილეც ვარო. დაამთავრა პური ჭამა და ხალხთან ერთად. არ დაულევია, ერთი-ორი ჭიქა თუ დალია. წამოვიდა, ცხენი წამოიყვანა და ერთი კაცი გამოიყოლა, ხერთვისში ჩამოვიდა, შტაბი ხერთვისში ჰქონდათ და ცხენი უკან გამოაყოლა ისევ.

ვიდრე წავიდოდა, მე და მიქელაძე იყო ჩემი ამხანაგი, დაგვიძახა და გვითხრა: — მე შემიძლია გითხრათო, ვუთხრა ამათო, რო ესენი აქ ცხოვრობდნენო და საქონელს და სხვა ქონებას დაეპატრონოთო, მაგრამ მე არ გირჩევთო, მეო არ გირჩევთო. ერთი იმიტომო რო, არამი საქონელი არ გინდათო, მეორეო, ახალგაზრდა ბიჭები ხართ, ან პარტიაში შესვლა, ან კომკავშირია და მომავლის გზა არ გაგიფუჭდეთო, როგორც თქვენი უფროსი ძმა, ასე გეუბნებითო.

მართლაც, არაფერი წამოგვიღია. ერთი ველოსიპედი წამოიღო ჩემ ამხანაგმა. ერთი ველოსიპედი. იმ სოფელში მეტი არც იქნებოდა ალბათ და არ წაეღოთ, რა ვიცი...

რო მოვედით... გვიან მოვედით ძალიან. დედაჩემი შეშფოთებული დამხვდა. მე ვუთხარი, ვალიკომ-მეთქი — იცნობდა, მოდიოდა ჩვენთან ჩუნჩხაში — ვალიკომ-მეთქი აესე დაგვარიგა-მეთქი.

— იმის დედის ძუძუებს ვენაცვალეო, მაგათი ქონებაო შეიჭმებოდაო?! ზუსტად ესე მითხრა.

ახლა, რაც შეეხება სხვა სოფლებს. იყო სოფლები, მაგალითად ალანძიაში, ვარნეთში... მანქანები არ მიდიოდა, - ერკოტაში... ეს ხალხი გამოიყვანეს იქიდან ურმებით. გამოიყვანეს ვაკეებში, ბადრაგის ქვეშ და მანქანებამდე მოიყვანეს. მე სადაც ვიყავი, წინააღმდეგობა არავის გაუწევია და არც გაკრცელებულა ხმა, რო ვინმე გაქცეულიყო.

...ანდაღში ყოფილა კოლმეურნეობის თავჯდომარე. მერე იმის ნაყოლ ცხენზე რაიკომის მეორე მდივანი იჯდა-ხოლმე, აბრამა ზაზაძე. ადრე სკოლის დირექტორი იყო, იქიდან გადმოიყვანეს რაიკომში. მაგისი სკოლა

ინტერნაციონალური იყო — შვიდი კლასი ქართული და შვიდი კლასი აზერბაიჯანული — ძველში.

ორი ძმანი იყვნენ — თავჯდომარე და მისი ძმა, ისე იცმევდაო, რაიკომის მდივანს რო დაინახავდაო, რაც ეცვა ის უნდა შეეკერინებინა, ქუდი, კიტელი, რაც იქნებოდაო... უთხრაო, რო ცხენზე მომეცით ნება, ერთი ჩემ ცხენზე გავიარ-გამოვიაროო... მისცეს. ენდობოდნენ, სხვათა შორის, მესაზღვრეები. შეჯდაო, ცოტა გაიარ-გამოიარაო ცხენითო, მერე ჩამოვიდა და წავიდაო. რამდენათ მართლია, არ ვიცი. ასეთი ხმა დადიოდა. ისინი თარაქამები იყვნენ.

ეს თათრები (ნაქართველარი მ. ბ.) უფრო ეშმაკი და უნდობარი ხალხი იყო, ის თარაქამები ქურდი ხალხი იყო, მაგრამ საკმაოდ ჯომარდი ხალხი იყო. აი, იცი, როგორი ხალხი? — გამტანი ხალხი იყო. ოჯახში შეიძლება რამე მოეპარა. გაქცევების დროს თარაქამებს ჩვენი ხალხისთვის ზიანი არ მიუყენებიათ, პირიქით, იცავდნენ.

ჩემი ოჯახიც გაქცეული იყო, მაგრამ მე პატარა ვარ, არ მოვსწრებივარ.

ხო, ყადირაჲ ერქვა იმ თავჯდომარეს, ცხენზე რო შეჯდა, მეორე ძმა იყო, სასოფლო კოპერატივის თავჯდომარე იყო ნიალაში, იმას აშუღაჲ ერქვა.

ჩემი ოჯახი ყოფილა გაქცეული, ბაკურიანზე გადასულან ურმებით. ჩემი უფროსი ბიძა აწყურში მუშაობდა ძველი ჩინოვნიკი იყო, საფოსტო ჩინოვნიკი იყო... გაფანტული ვიყავით სამ ოჯახში, შეფარებული. სხვაგან არ ვყოფილვართ წასული, ღრმა საქართველოში.

— საზღვარი როგორ იყო იმ პერიოდში დაცული?

— გეტყვი, მაგასაც გეტყვი: ოცდათოთხმეტ-ოცდათხუთმეტ წლამდე, უფრო სწორედ, ოცდაჩვიდმეტ წლამდე არ იყო კარგად დაცული და გარბოდნენ აქედან. ბევრი გაიქცა, განსაკუთრებით, შეძლებული ხალხი გარბოდა, მეგზურები იყვნენ, სპეციალური მეგზურები იყვნენ, რომლებიც ფულს იღებდნენ ამაში, ოქროს იღებდნენ. ბევრი გაიქცა. გოკიოდან წავიდნენ ძალიან ბევრი, ხერთვისიდან მიდიოდნენ... წინდაწინ სახლსაც ჰყიდდნენ. დასდევდნენ, ტყვიას ესროდნენ, მილიცია იდგა მაშინ... ძირითადი გასასვლელი იყო მტკვრის ხეობიდან და ხეოთი რო არი ახალციხის რაიონში, მაგრე ადის ხევი. მაგას ჰქვია ყეზღლის ხევი, საყევარზე ადის გზა, შენ არ იქნები ნამყოფი, შვილო, იქა. ხეოთში თუ ხარ ნამყოფი ურავლიდან, ურავლიდან დიდი ხევი შედის, ჭარხალეთის ხევი ქვია იმას, დიდი ხევია. აქ ხეოთის ხევზე, ყეზღლი ჰქვია, მაგ ყეზღლზე გარბოდნენ, მანდედან გადადიოდნენ. ძირითადი გასასვლელები მანდ ჰქონდათ. იპარებოდნენ ღამე. ბავშვებსო, საკუთარ ბავშვებსო პირშიო ქომას, — ტკბილ რაღაცას ჩაუდებდნენ, რო არ ეტირაო, ხურჯინებში ჩასვამდნენ და ცხენზე... ასე გადაყავდათ.

ოცდაჩვიდმეტი წლიდან გამაგრდა. ეს სასაზღვრო ჯარები გაამაგრეს.

გაამაგრეს, მაგრამ მაშინაც დიდი გასვლა-გამოსვლა იყო. ჩვენებსაც ჰყავდა აგენტები, რომლებსაც უშვებდნენ იქით და იმათნიც გამოდიოდნენ.

ოცდაჩვიდმეტ წლამდე პირდაპირ ყაჩაღობა მიმდინარეობდა. ისინი გამოდიოდნენ აქეთა და მინდორში საქონელი ბალახობდა! — ტყვიით დააშინებდნენ. მწყემსსა და გაირეკავდნენ საქონელს, წაასხამდნენ, გადაყავდათ. ასე ყავდათ გადმოყვანილი... ჩვენებსაც გადმოჰყავდათ. ჩვენებიც სტაცავდნენ იმათ.

ხატიძე რო იყო ბასიკო, გუჩურია რო არი, მაგისი მამა, მაგას ის ჰქონდა, მგონია, საქონელი გადმორეკილი იქიდან. მაგ საქონლის ქურდობაზე და გადმორეკაზე, თბილისში გარდაიცვალა ის კაცი, კოთელიიდან იყო, ყავრელიშვილი, ფიზიკურად დიდი კაცი არ იყო, ჯანიანი კაცი იყო, მაგრამ მაღალი კაცი არ იყო და ეგ ტარიელა რო არი შემაზაშვილი, მაგის მამა მოსე, ქურდოსაც ეძახდნენ, ცხენებს იპარავდა და რაღაცა... იმასთან მქონდა მე ერთხელ საუბარი და იმან მითხრა, მეო პატარა ქურდი არ ვყოფილვარო, ასე მიძახიანო... მე იმ კაცის გაზდილი ვარო და თურქეთშიო საქონელი გამოგვიდენიაო. კურნოს ეძახდნენ, კურნოზი სანდრეჲ იყო. იმ სანდრეს, ყავრელიშვილი იყო, იმასთან ერთად გავდიოდითო თურქეთშიო და რამდენიმე კაცი რო გავიდოდითო, ხანდიხანო სოფელი რო გამოგვდგომოდაო, გვეტყოდაო: — თქვენ მარტო საქონელს მიყევით, საქონელი გაირეკეთ და საქონელს მიყევითო, სოფელს მარტო უდგებოდა, ისეთი გული ქონდაო. მარტო! ისეთი გული ქონდაო! და მე იმ კაცის გაზდილი ვარო, პატარა ქურდი არა ვარო, თავს იქებდა ხოლმე.

ის კაცი სანზონაში ცხოვრობდა, სხვათა შორის, იქ მოკვდა ...პოეტი კაცი იყო, ქართულადაც თხზავდა და თურქულადაც. სანდრო ყავრელიშვილი — ცნობილი კაცი იყო. აქ მუშაობდა, ასპინძის რაიონში, აქედან წავიდა მერე თბილისში.

...საქმელი, რაც მესხეთში საქმელი კეთდებოდა, ისინიც იგივე საქმელს აკეთებდნენ (თათრები, მ.ბ.). მხოლოდ ჩვენგან განსხვავებით, ქურთები და თარაქამები ყველს ცხვრის გუდაში ინახავდნენ. მაგრამ ისე კი არა, თუშური ყველი რო არი. ისინი ყველს რო გააკეთებდნენ და დარჩებოდა შრატი — ეძახდნენ ანძლატს, ჩვენც ასე ვეძახდით, იმას მოადუღებდნენ, მერე ცხვრის ყველს ან ძროხის მოხდილ ყველს დაამტვრევდნენ და გუდაში ჩაყრიდნენ, ჩასტენავდნენ მუშტით, ყელის მხრიდან. ერთი ათ სანტიმეტრზე რო ამოვიდოდა, მერე ზედ ნაღებს დაასხამდნენ. მერე კიდევ ასე და საქმელი ყველი ასე ჰქონდათ. მერე ჰაერი რო ხვდებოდა, ობდებოდა. სხვათა შორის, დაობებული ყველი კარგი იყო, ცუდი არ იყო. ზოგი იმხელა გუდა იყო, ექვსი ფუთი ყველი იყო, ასკილოანი გუდაც ქონდათ. მერე გახსნიდნენ. ეს ყველი ფხვიერდებოდა პატარა კრისტალებად.

სასმელს არ მისდევდნენ, მაგრამ ახალგაზდობა სვამდა უკვე. არაყი იყო ძირითადად. სუყველა ოტკას ეძახდა, თათარიც და ქართველიც. დანიეთიდან ზედა თმოგში მიდიოდნენ არყის საყიდლად სტუმარი რო მოუვიდოდათ, შალოშეთიდან — ტოლოშში და ასე.

თხოვა-გათხოვება ერთმანეთში გამონაკლისის სახით ხდებოდა (ქართველსა და თათარს შორის).

აქა, ოცდათექვსმეტ წელში ბარალეთში დამთავრებული (სკოლადამთავრებული) გოგოლაძე იყო ერთი, ოლია. მე რო მასწავლებლობა დავიწყე, ორმოცდასამში დავიწყე, განათლების განყოფილებაში მდივნად მუშაობდა, ინდუსაში იყო გათხოვილი, თათარზე. ოცდათექვსმეტ წელში რო დაემთავრებინა, ინდუსაში გაენაწილებინათ... თათრის ცოლი იყო და ეს არ გაუსახლებიათ. მერე დიმიტრი ობოლაძე დაეხმარა და თბილისში ცხოვრობდა, პიონერთა სასახლეში მუშაობდა.

ქილდაში იყო, მაგალითად, რო ქართველს ყავდა თათრის ქალი, ის ქალი გაასახლეს. ეს თათარს ყავდა, ქართველი იყო და არ გაასახლეს. ის კი გაასახლეს. მისი ქმარი დეზერტირი იყო, მგონი დაიჭირეს, დახვრიტეს... შეიძლება იმიტომ გაასახლეს. ბავშვები თუ ჰყავდა, ვერ გეტყვი.

— ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულება როგორი იყო ამ ფაქტისადმი?

— იცი, მე ცრემლიც მომერია იმ ხალხის გახსენებაზე, დედასავით მივლიდა, ასე ყველას დაენანა, მაგრამ საერთო გაგებითო, მხარეო გასუფთავდაო და სტალინს ლოცავდნენ და ბერიას ლოცავდნენ.

— იმერლების და მთიულების ჩამოსახლება გახსოვთ?

— აქ არ ვყოფილვარ მაშინ. ხერთვისთან ახლოს ვიყავით ურთიერთობა გვქონდა...

...ორმოცდაცხრამეტი წლის ნოემბერში ასპინძის რაიკომის მდივანი კავაძე გადაიყვანეს ცეკაში ორგანიზატორად და აქ ჩამოიყვანეს ლაზარაშვილი ფილოდ. ჩემი ბავშვობის მეგობარი იყო. ერკოტელებთან ნათესაობა ჰქონდა, აი, ალო გრიშა რო იყო, მაგათთან, ამ კაცმა ჩამოასახლა, ასპინძაში მაშინ იმერლები ცხოვრობდნენ. ძირითადი ამ საქმის წამომწყები ის გრიშა ბერიძე იყო, ალო გრიშას რო ეძახიან, ის იყო ინიციატორი (სოფ. ერკოტის მცხოვრებთა ასპინძაში ჩამოსახლების, მ.ბ.).

შეუმცირეს ამ. იმერლებს ნორმა სამოცდათხუთმეტი ჰქონდათ მიწა და ოცდახუთი მეასედი წაართვეს და მაგ ტერიტორიაზე დაასახლეს. უმრავლესობას ჩამოსახლება უნდოდა. თითო-ოროლა მოხუცი კაცი გაჯიუტდა. ყველაზე გვიან ჩამოვიდა ბერიძე სოლო.

ფოცხვერაშვილი დემური, დაბ. 1938წ. ასპინძა (თერჯოლა, სკანდე), 2003 წ.

## იმერლების ჩამოსახლება

მე ბავშვი ვიყავი, ექვსი წლის, როცა გადმოსახლება მოხდა თერჯოლის, ჩხარის რაიონიდან ასპინძის რაიონში. მე მახსოვს, რო სასწრაფოდ ურმებზე დაგვსვეს ბავშვები, ოჯახი და ზესტაფონამდე ჩაგმოგვიყვანეს. ზესტაფონში ჩაგვსვეს სამგზავრო მატარებელში და გვითხრეს, რომ უნდა გაგვასახლონ ასპინძაში.

ჩემი მშობლებისთვის და თანასოფლელებისთვის ასპინძა მაშინ თათრების სამყოფელად იყო ცნობილი, რა თქმა უნდა, იყო წინააღმდეგობა და წამოსვლა არ უნდოდა ხალხს. მიუხედავად იმისა, ჩასვეს ურმებში, ყოველგვარი ქონების და ნივთების გარეშე და ასე ცარიელ-ტარიელი ჩამოგვიყვანეს. ვერ წამოვიღებდით, ურმით რა უნდა წამოგვეღო. ყველაზე აუცილებელი, ჩასაცმელი...

ეს იყო სოფელი სკანდე, უკვე სამოცდახუთი წლის კაცი ვარ და მახსოვს ჩემი სოფელი და იქ ცხოვრების წლები. კარგი სოფელია, იმერული სოფლის კვალობაზე, ყურძენი მოდის, სიმინდი მოდის, ლობიო მოდის, პატარა საძოვარია და ტყეა და, თითო-ოროლა ძროხა ყავდა ხალხს და... შეყვარებული იყო, რა თქმა უნდა, თავის ადგილ-სამყოფელზე ხალხი. არანაირი მიზეზი და სურვილი არ ჰქონდათ სხვაგან წასვლის. გადასახლება იძულებითი იყო, ძალდატანებით იყო. ხალხს ეუბნებოდნენ, მწირნიადაგიანია ეს მიწა და უფრო მოსავლიან და ნოყიერ ნიადაგზე უნდა დაგასახლოთო. ხალხს არ უნდოდა, მაგრამ ვის ეკითხებოდა.

ჩემი ოჯახის რეაქცია როგორ არ მახსოვს. მამაჩემმა სასტიკი უარი განაცხადა და წინააღმდეგობა გაწია და ამისთვის მაშინდელმა მილიციამ აიყვანა და დაიჭირეს ჩხარში. ის იყო დაჭერილი და ჩვენ, მისი ოჯახი ჩამოგვიყვანეს აქ, სპინძაში. ოჯახში ექვსი სული ვიყავით, დედა, მამა და ოთხი შვილი, მეხუთე, უფროსი და, ჟენია მაშინ გათხოვილი იყო და ზესტაფონში იყო. ჩამოგვიყვანეს და მამაჩემი, ჩვენ რო ჩამოვედით ასპინძაში, სამი დღის შემდეგ ჩამოვიდა მამაჩემი, რო უთხრეს, რო შენი ცოლშვილი იქ არი, შენ სოფელში აღარაფერი აღარ არი, მერე ჩამოვიდა და მოგვიყვა მერე მამაჩემი... რო დაბრუნდა იქიდან, რო გამოუშვეს, სახლში მივიდა, სკანდეში და სახლში ქათმები, ბატები, ინდაურები, ძროხა... აზიალებულები. ტიროდა კაცი, რო ჩამოვიდა, პირუტყვმა და წვრილფეხმა მიცნო, მეხვეოდნენ, მხარზე მაჯდებოდნენ, მეფერებოდნენო... მერე სახლი დავშალეთ და გავყიდეთ, წაბლის სახლი იყო, დაბლა პალატი ქვის იყო, ზედა სართული ხის. ნოემბერი იყო 22 თუ 24 ნოემბერი, ზუსტად არ მახოვს. ზამთარი. საშინელი ზამთარი. ეხლაც

მცხვენია ხოლმე ადგილობრივი მესხების, მაშინ იმერლებმა, საცოდავმა ხალხმა, რო დაიწყეს ვაშლების ჭრა შეშად. დაგვცინოდნენ მერე: — იმერლები ჩამოვიდნენ, ვაშლები დაჭრესო.

მერე შეეჩვია ხალხი.

— პირველი შთაბეჭდილება?

— ეხლა რო გადახედავ ასპინძას სულ სხვა იერი აქ. მაშინ სულ სხვა იყო. ასპინძის ციხეს რო ეძახიან, იქ იყო მთელი დასახლება შეფენილი. გომურ ბინებში, მიწურებში.

ადმინისტრაციული შენობა იდგა, ყოფილი მილიციის ადგილზე და ერთი-ორიც ცენტრში. დანარჩენი მიწურები იყო.

საწყალი დედაჩემი რო შეიყვანეს ამ გომურში, დედაჩემს გული წაუვიდა, არ ენახა იმერელ კაცს, რო საქონელს და თითონ ერთად ეცხოვრა. საკმაოდ გაჭირვებაში ცხოვრობდნენ იმერლებიც, იმათ შორის ჩვენც, მაგრამ ძალიან დიდი იყო სხვაობა ცხოვრების პირობებში და წესში. დედაჩემს გული წაუვიდა, ძლივს მოვასულიერეთ, ვინ არ მოგვეხმარა... ერთი თომა იყო, მექოშვილი, თუ მეხსიერება არ მღალატობს და ის მოგვეშველა. დედაჩემი გლურჯიძის ქალი იყო, საწყალი, კაი ქალი იყო, და: — ჩემი შვილები როგორ ვაცხოვრო თათრის ნაცხოვრებ გომურში და თან მიწაშიო. მერე ამ მექოშვილმა წაგვიყვანა სოფლის განაპირას და ენახეთ ოროთახიანი ბინა, ჯერ კიდევ მოუწყობელი, ბურბუშელით სავსე, ფანჯრებში მინები არ ქონდა, მაგრამ ვინ დაეძებდა. დავტრიალდით, გავასუფთავეთ, დავწექით და დავიძინეთ იმ ღამეს იქ. ორ-სამ დღეში მამაც ჩამოვიდა. მერე მამაჩემს სულ ქონდა 5-6 წელიწადი, სულ ქონდათ აკვიატებული გრძნობა, რო უკან დაბრუნებულიყვნენ.

მაშინ საშეი იყო საქირო, ადვილი არ იყო მიმოსვლა, ამიტომ მამაჩემი ფეხით ერთი-ორჯერ გადავიდა ციხისჯვარზე და ასე აცდა აწყურს, საშვების ზონას. ჩავიდოდა სოფელში, ვითომ მერე ჩვენც უნდა წავეყვანეთ მაგრამ სტაცებდნენ ხელს, ისევ უკან ჩამოიყვანდნენ. პირველი 4-5 წელი ყველას უნდოდა წასვლა, მერე შეეჩვია ხალხი. ადგილობრივი მესხები ძაან თბილათ შეგვხვდნენ. რამდენიმე გვარი — ბერიძეები, მელიქიძეები... არავის მინდა ვაწყენინო. ძაან თბილათ შეგვხვდნენ. ასპინძაში ცოტანი იყვნენ. იმათთვის ზეიმი იყო ჩვენი ჩამოსვლა. ბევრი დაბრუნდა. დამარხვას ყველა სკანდეში ითხოვდა. მეც — დედაც და მამაც იქ დავმარხე. აქ გარდაიცვალენ. საწყალ დედაჩემს აკვიატებული ჰქონდა, ორმოცდაშვიდ წელში რვა თვის ორსული და გარდამეცვალა, ჯული ერქვა, ზესტაფონში იყო, როგორც ვხვდები, შუაყურის ანთებით... დედაჩემის ოცნება ის იყო რო თავის შვილთან დასაფლავებულიყო. სამოცდაერთ წელში გარდაიცვალა. ორმოცი გადავუხადე და წავიღე.

მაშინვე ვერ გადავიტანე, იმიტომ რომ ამის უფლებას არ გვაძლევდნენ. — რას ქვია, თქვენ მკვდრებს აქ არ ასაფლავებთ! ამიტომ მოვიპარე,

დედაჩემის გვამი, მოვთხარე და წავიღე, ეხლა ჯვარი აქაურობას, ჩემ მკვდარს სადაც მინდა, იქ ვასაფლავებ, მაშინ ეს ასე არ იყო, სამოცდაერთ წელშიც კი ეს ანტისახელმწიფოებრივ მოქმედებად ითვლებოდა. ორმოცი გადავუხადე, მერე ღამით გავხსენი საფლავი და გადავასვენე. მერე მამაჩემი რო გარდაიცვალა, ასევე მოვიქეცი. უკვე სამოცდათორმეტი წელი იყო, მაგრამ აშკარად რომ მომესურვებინა აქედან წაყვანა მიცვალებულის, რაიკომი გამიწყრებოდა, პარტია გამიწყრებოდა... დამიძახებდნენ ბიუროზე, მეტყოდნენ: — ამხანაგო! რას ქვია, რატო არ დაასაფლავე მამაშენი აქ! ამიტომ ისიც მალულად წავიყვანე ორმოცის შემდეგ.

...ახლა მე რო წამიყვანო იმერეთში. — ვერ ვიცხოვრებ!

## ბერიძე მოსე, დაბ. 1928 წ. ასპინძა (ერკოტა) 1982 წ.

***

...ხუთ ოჯაღ ერთათ ქვონდა ბახჩა. კახებში! — ხო გახსონს შენ? ილიკო ბიძაჲ, პავლოვიჩი მოვიდა და ძალიან უყვარდა გაიგე, ბავშვების წაჩხუბება, — წაეკიდებინა და ეყურებინა. აინტერესენდა, რომელი მოერეოდა.

— ქგსე, მოდი, ჭალა, აქ! — მიველი. პეტაჭ ბუროს უძახდა. — ბურო, შენც მოდი, ჭალა აქ. — აბა, თუ ბიჭი ხარ, იესე თითი დაადე! — მე მეუბნეეა.

— რა - მეთქი, — აჭა!

— მეხი დაგეცა ბურო, რაგორ წასცხო ბიჯო! აჭა დაადე თითი! ახლა პეტამ წამცხო.

— ვაი, მეხი დაგეცა ქგსე, ალა, რა უყო! შენ ბაღჩაში! ვაა, ჩიტი გული არ მოითმენს, ჩიტი გული არ მოითმენს, რა ქნა ალა!

ახლა მე წავარტყი-წამოვარტყი და ამ პეტამ ხელი მკრა, ბიჯო და... ჯინჭრები აი! — ჩემზე მაღალი! ჩემ ძმაჭ, პეტუშას ნაყიდი ჭქონდა მოკლე შარვალი, აესე გადაჭერილი ჭქონდა... მკრა ხელი და სულ ჯინჭრებში არ ჩავარდი. ამოვარდი ტან ვიგლიჯან, მაგრამ პეტაჲ სადღა არი, პეტამ ას-ასი უჩვენა! (გაიქცა, მ.ბ.) რა ვქნა ეხლა ეს კოპლი კაცია, თანაც ბიძაა, კაცო, აჯიღი (ჯინი, ჯავრი) რაგორ ვიყარო ამაზე და გავიქეცი, ორმოსთან ერთი დაბალი ჭანჭური იდგა და შევხტი და დავარხიე. ვითომ ჯავრი ამოვიყარე. ეს კინკილით მოვიდა.

— ჭალა, რაგო შეათხელა, გოგო, ანეტ, ანეტ!

— ვაი, შენ ისე წადი, რაგორც წავიდა დიდმამაჲ და აღარ დაბრუნებულა!

ახლა ჩემი ძმა მოვიდა, გოგიაჲ და: — რა არიო, ილიკო ბიძა, ესო,

ბავშვებიო... დაგიხოცინებია ერთმანეთიო.

— დაიცა, ჰალა, უჩხუბიათ? ჰეჩ არ დამინახია!

***

ომია. ორმოცდაერთი წელი, გაიგე, გაქანებული ომია. ჰოდა... ეს დათიკოდ, დათად ბერიძე, ხრაკულას დათიკოდ. საწყალი, ლაპარაკიც უჭირდა. ჯერ ერთი, ის რაგორ უნდა წიეყვანათ სამხედროში. წავიდა კაცი ჯარში! ერთი წელი, მეორე... მესამე წელს ჩამოვიდა, ჩამოვიდა, ახლა ჩვენი ალალი ბიძაშვილია, ყაზბეგას ვეძახით ზედმეტ სახელს, — პაპაშენი. ეხლა გაჭირებული კაცია, შიერი, მიწყვეტილი კაცი. მისწყვეტია კაცს. ერკოტაში არ გინდა აქედან ასვლა. თქვა, ბიძაშვილი მყანს და მივალ იქ რა, ერთ ლუკმა პურ შევქან... მივიდა ახლა, ეს ალექსი ბიძადც (ყაზბეგი) კარებთან დგას და ტრიალებს, რაღასაც აკეთანს.

— გგგაააამარჯობა ალექსი ბიძაა!

— გაგიმარჯოს. ჰეჩ ვერ გიცანი, რომელი ხარ, ბიჭო ახლო მოდი, ახლო!

— ვერ მიიცანი, დდათიკოდ ვარ, დათიკოიი!

— ბგჭო, სიდან მოდიხარ?

— ფფრონტიდან.

— დაჭრილი ხო არ ხარ დათიკოოჯან!

— აპა, აპა, არ ვარ?

— ჭო, სად ხარ დაჭრილი, სად?

— კკკლავში!

— უ, იმათ... დედა, იექ რატო არ მოგხვდა, იექ! (შუბლზე ანიშნებს) ანა, ერთი გამოიხედო, ჰალა, ერთი ვინ მოვიდა, ვინც ჩამოსასვლელი იყო, ის არ მოვიდა და ვინ მოვიდა! გოგო, გოგო, ერთი ოთხი კვერცხის ერბოკვერცხი შეუწვი, პური ეშიება, ფრონტიდან მოდის. ავიდა ესა და სარას და იმას მოუყვა: — ალექსი ბიძამ ასე მითხრა! ისინიც, — ყაზბეგის ხუმრობა იცოდნენ, გადაბრუნდნენ, დაიხოცნენ სიცილით.

***

მამას ცოტა დალევა უყვარდა და დედამ მითხრა, შავ მიწას დაგაყრი, ადექ ერთი ხუთი-ექვსი ბოთლი არაყი'ნა დავმალო'ნა და არ ეტყვი, თორე შავ მიწი ქვეშ ჩაგდებ! — არა, დედაჯან, მე უთხარი, რას ვიტყვი.

ერთი დღე, ორი დღე, სამი დღე გადის, ვერ იშოვა ესა, ვერ მიაგნო ბერიკაცმა. მძინანს, გამაღვიძა: — ჰალა, გადმობრუ აქეთ!

— რა არი, მამა!

— ჰო, სად დამალა, რო ვერ მიპოვნია, მე მაგი დედა...

— მამა - მეთქვი, — ჯერ უარი ვუთხარ, — არ ვიცი-მეთქი.

— ხვალ ხელფასი'ნა ავიღო, ქეჩა'ნა გიყოდო. ქეჩაო, ქეჩა'ნა გიყიდოო. ქეჩა მიყვარდა, გაიგე!

— დედას-მეთქი, ხო არ ეტყვი?!

— არა, ბიჭო, რას ლაპარაკონ, შენ მითხარი!

— მამა, — მე უთხარი, — ამბარშია, ქერში. დოლი აქეთ არი, ქერი იქით არი, უჯრა ხო არი გაყოფილი ასე. ის, ჯვალიც ესე მიდგმულია ამაზე. ერთი დღე, ორი დღე, სამი დღე ცხენი გამუუბია ამ ფანჯარაზე, ის ხო ეჰ გაყრილი რკინები ესე, ძველი, და მარილი დაუდია, რო არ იხვიხვინოს, მარა გაბეზრდა ცხენი, დაიწყო ხვიხვინი. დედამაც ძროხა გარეკა, დე, სადამდე მიდიოდა, ხო იცი, საბადურში, მაღლა. ჩამოვიდა იქიდან. ხუთი-ექვსი შეშა დაუდია ღლიაში, გაიგე, რო მივიდეს, ის'ნა დაანთოს'ნა — ცეცხლი. ამბართან'ნა გაიარო და მიხვიდე ბუხართან და ბოდიში ამ სიტყვაზე და ის ჩადიოდა კატა, და შიგ ისვრებოდა, ქერში. კატა ჰგონია ამას. — შენ მოგიკლან პატრონ, მოიცა! — ეს შეშა დაყარა და ერთი კაი ნაკოდალი აიღო, ჯვალზე შედგა და: — ფის, შე უპატრონო!

— ქალო, გაჩე, შენი დედა...

— აი, შენ გამეგეყაროს მუხლი, აქაც მიაგენი? ჰალა ამოშავდი, ამოშავდი!

— შენი დედა კი... აი, დამიმალან?

ერთი ბოთლი დარჩენილიყო რვა ბოთლიდან. ეგაცო ჩაუტაო მუსხშიო ზაქასაო — ცოლიმმა იყო და არ სვავდა ის, ჰოდაო, იმასო, ცოტა ბოცას აკლიაო და ჩაასხასო და სანთლები დაანთოსო, სანთლები და ილოცოსო, არ სვანს — არაფერი, რათ უნდაო.

***

...ივანიძე გადმოვიდა. ეხლა ხო იციან, რო დემეტრე (შამაჩემი) აბეშჩიკია (ტყის მცველი) — შეშა უნდათ, საწვავი. კალათიც აქ ხელში დაჭერილი, რო თურმე ქირაზი (ბალი) მოუკრეფია, წამუუღია ცოტა რო, ოჯახში, ხო იცი, მუუტანოს. ერთიც:

— ნინო ძალო! დემეტრე ბიძაი სახშია?

— მეხი შენ დეგეცა, და... რა ვიცი, სად შავდება, არ არი სახში!

— ეი, ნუ ჯავრობ, რა იყო!

— რათ გინდოდა?

— პატრა კიწაწი მინდოდა (კიწაწი — შეშა, რა).

— არ ვიცი, არ ვიცი, მე რა ვიცი!

— ეი, ნუ ჯავრობ, მოდი ეექ კალათი დეეს და პატრა ქირაზი წამოგიღე.

ქირაზი რო გაიგონა: — უუ, მაქსო ბიძალე, მობძანდი, მობძანდი! — ქირაზი რო გაიგო, გაიგე? — რათ არ მოდიხარ, მოდი, მაქსო ბიძალე. აი ეხლა აქ'ნა დავაწერინო ბილეთი, მოდი აი ჩვენ ძველათ ნათესავები ვყოფილვართ, ხო იცი?!

***

(საბედ ძალოს) წყალი უგდია, რო მაგან უნდა მორწყოს ბახჩა რა, ბოსტანი.

— აქა თუ ერკოტაში?

— აქა, აქა. მოხუცი ქალია, კაცო, ძლივ მოიყვანა წყალი, ეჰ კოლამ შენიშნა. ამოა ეს კოლაჲ მოუწყვიტანს, ჩემი სიმამრი — მოვა ეს საბედ ძალოჲ, გადმოუგდენს... ერთხელ, ორჯერ, სამჯერ.

— ჰაი — თქვა, — კოლა, შენ მუხლ გამოგიყრი!

და ჩაუსაფრდა, დაემალა იქ, გაიგე, ჯოხით ხელში. რო ამოვიდა და ზედ პირდაპირ შუბლზე დააჭირა თოხი, თოხის ყუა: — კოლა, წყალი შენია თუ ჩემია!

— სენია, საბედჯან (გამოჯავრებისას ენას უჩლექს მ. ბ.), დაუკაკუნა ეს თოხის ყუა: — გაიმეორეო, წყალი შენია თუ ჩემიაო?

— ხო გითხალი, საბედ ძალოჯან, შენია წყალი!

თოხი რო აიღო შუბლიდან, რო მოსხნა, კოლაჲ ამონს თითონ:

— რო მოსხნა, რაზგონი რო ავიღე და შემოვტრიალდიო, და:

— შე ბოზო მამაძაღლო, ამ შუაღამისას შენ ლას დადიხალ!

— ჰო, იქ რათ არ უთხარი, იქა!

— იქ რა'ნა მეთქვა, თოხის ყუა ზედ შუბლზე იყო მოქერილი. ე, რაც მე შიში ვქამე მაშინ, ორი წელი ფრონტზე ვიყავ. ის შიში იქ არ მიქამია, რაც საბედამ შიში მაქამა.

***

ყანის ჭალა რო არი, ხო იცი, იქ ქვონდა სათიბი. პირველი საათი იქნება თუ რა ვიცი, შუადღეა, სამხარი. სამხრობაა, დასხდნენ, პური'ნა ქამონ და ეხლა სანამ მამამ ქელი ჩაიტანოს, სამსონამ ქელი ჩაიტანა და ამოვიდა და კოქობი, კოქობი! — კოქობ ვეძახდით მაწონი რო არი შიგა, მაწონი. ეს რო მოხსნა სამსონამ და თითით ლოკავს და ცოლმა უთხრა:

— დაიცა, ვერ მოგიცდია, ხალხი მოვიდეს, დაჯდეს და პური ვქამოთ!

— კი არ ვქაშ, ფესე ვეკურკურები!

ახლა მამაიც მოვიდა, შავი ჩარექი დაიდგა, დასხდნენ და ორი ქიქა რო დალიეს, მამამ ერთი კოვზი მაწონი დააყოლა. — დაიცა, რას შვრები, მაწონ ნუ ჰქან, დემეტრე!

— რათა სამსონ!

— არ დაგვიჭერს.

ესე იგი არ დაგვიჭერსო, მაწონიო კაფანსო. რო დაიწყეს უკვე მუშაობა და, ამ დარიკოს ქალამნები ეცვა, ხო იცი, ქალამნები და ეს ცურანს, რო აფოცხანს და:

— დარიკოჯან, ერთი ყაირათი ქენე შომოდგომანდი, ტუფულ-კალოში'ნა გიყიდო, ტუფულ-კალოში.

— ჯერანც არ გითქვია, სამი-ოთხი წელიწადია აგრე მატყუილან!

***

— ალექსი ბიძა!

— რა არი ბიჭო, რომელი ხარ, რა გაჯავრებული მოხვედი!

— კატა გამოიყვა, რო უნდა მოვკლა!

— რათა, ბიჭო, რა დაგიშავა კატამ?

— წიწილები შემიჭამა

— რა იცი ჭალა, ჩვენი კატა იყო?

— თქვენი კატა იყო!

— სერი რამე ჰქონდა, სერი, ნიშანი? მოხვიდე, ნუ მოვკლანთ, მოხვიდე — ჩამოახჩეთ! (მოდი, ნუ მოკლავ, მოდი ჩამოახრჩეთ მ.ბ.).

— შენ დათიკო, მართლა... დათიკო, შენ არა ხარ? სამა იქნები, აპა რა იქნები! ანა, გამოხვიდე, ხო გითხარ, რო ვისაც დათიკოდ ქვია, ყველა სამეგია, აპა სამა არ არი, რისთუნ მოსულა: — წადიო კატა გამოიყვაო, რო'ნა მოვკლაო. — ბიჭო, ეგ წიწილები სიდან გყანს, ინკუბატორისა არი?

— ხო, ინკუბატორიდან არი!

— ხო, ინკუბატორისას მართლა ერჩის, ხო იცი!

***

ილიკო ბიძას... მაგათ ერთი ძაღლი ჰყანდათ, წარბად ერქვა. ავი, ისეთი ავი, კაც ახჩენდა. ამას დაულეკვია იქვე ფაგში. უტრიალე, უტრიალე, ერთი ექვსი ლეკვი ჰყანდა. ვათვალიერენ, რო ძაღლი წავიდა იქით. შეველი უცბათ, ვეცი ერთ ლეკვსა, ღლიაში ამოვიდე და გავარდი. მივიყვანე მაგრამ... ეს რო გაიგო ილიკომ, გაგიჟდა, — შიგ რო მიესწრო დაახჩენდაო. მარა რა ძაღლი გახდა იცი: ისეთი ძაღლი გახდა, მოკლეთ, სხვისას არჩევდა; ქათამი, ღორი, რაც იყო.

ერთხელ მე და ზურაბად, დევანოზასი, წავედით საქურდლათ სხალზე, ჰაგ. იმათ ვეძახდით, კაცო, ოზოტეფანათ რო ვეძახდით, ეს უბე-ჯიბე დავიტენეთ სხლებით და ეს ძაღლიც იქა გვყანს. ...შემოვტრიალდი და ოლიკად იქ არ დამხვდა, ერთი ორი სახრე გადმომიჭირა, — აი, ზალო-

მეთქი, და: რო ეცა ეს ძაღლი არა, აესე წააქცია, დააჯდა ზედა. კი არ კბენს, ასე დააწყო და ზედ აწევს. ახლა ეს ქვეიდან მეხვეწება: — მოსე, შენი ჭირიმე, ოღონდ არ აკბენინო და სხალიც წაიღე, ყველაფერიც. ზურაბას უთხარ: — ჩაყა, ბიჭო, სხალი! დავიტენეთ უბიები, ჩავიყარეთ ეს სხალი. სანამ ავედით ერთი ორმოცი მეტრი, მერე დაუძახე და გაუშვა. ზალუმაჲ ერქვა ძაღლსა. ხოდა მერე მოიგონენდა ხოლმე: — გახსოვსო?

***

ჩემ ძმას, საწყალ, პეტრეს, უყიდია ეს გრაფინკა, თავს ევლება, გაიგე! ჰიდა, მითხრა, რო წადიო, წყალი ამოიტაო და ეს გრაფინკა გამატანა. შენ რო ცხოვრობ, ლამარ. მანდ ვიდექი, ოღონდ მეორე მხრიდან. წყალი ქვევიდან მომაქ, თქვენ რო ცხოვრონდით მიშა, დაბლა. მაშინ ერთი მანდ იყო წყარო, მეტი სად იყო?! თურმე თითონაც დამატყო, ცოტა მობინდებული იყო, გაიგე, შემატყო, რო ეშინიაო. თურმე თითონ უკან წამამყვა, ჩავედი. ამოვიტანე წყალი. — თურმე უკან მამდევს სად დავისვენე, ყველაფერი იცის, უკნიდან მამდევს. აბგონი გამიკეთა, მივიდა სახლში! ესე იგი გადმიკრა გზა რა! შეველი სახში და თითონ აიქ ზიშ. — მეო, იცი, რო ჩახვედიო, როგორ აესე წყალი, სად დაისვენე, ყველაფერ გეტყვი ზუსტათო. მართლა მელაპარაკა: — ამა და ამ ადგილ დაისვენეო, ამ და ამ ადგილ იდექიო? — საიდან იცი? — ვხედავო, ფრჩხილშიო.

ერთხელაც, მეორე დღეს, წავიღე, მეორე ღამეს, ეს გრაფინკა და არ გამიტყდა! — ჰე, შენ გაგქიმე, წყევლა იცოდა ეგეთი, შენ გაგქიმე! მარა ჩემი ბრალიაო, რაზე გაგატანეო!

## ივანიძე ილიკო, დაბ. 1912 წ. ასპინძა, სოფ. აწყვიტა. 1991 წ. გაქცევა

დადეშში ვცხოვრონდით მაშინა, წავედით მაგ ბნელაში ერთი ველიჯანაშვილი ის რო იყო, ვანოჲ იმის მამან ორი ჭანდარი მოშვრა... ხიდი გააკეთა და წვრილფეხი იმ ხიდზე გადაველით, პატარა ვინც ვიყავით. ქალებმა მოგვკიდეს ხელი: დედამა, ბაბუაჩემმა თუ ბებერაჩემმა... ვისაც რაგორ შიეძლო... ზოგიც ურემზე დააკრეს, წყალში გაველით... გაველით ხიზაბავრაში. ხიზაბავრიდან მერე ვარგავში და ვარგავიდანაც ბაკურიანში. ბაკურიანში დავრჩით ასე რო გითხრა, ერთი-ორი კვირა, რაღაც! მერე თქვენს უკვე გზა გაისხნა ისევაო. ერთი კვირა მაგ ვარგავში ვიყაით. ვარგავიდან რო წავედით, აი მოვიდა... გაზაფხული პირივით, დედაჯან, თოვლი, ჭყაპი, სეტყვა... ზოგი ფეხით გარბის, ზოგი ურმით და... უკნიდან ტყვია მოდის, გაიქე თუ გაიქე!

გადავედით ბაკურიანში. ნაძვების ძირზე ქოხები გააკეთეს. ცხვარი ძროხა წავასხით, შემოჰკრეს ხალხმები და იქ შერეკეს. მერე წამოველით იქიდან, ჩამოველით, აგერ იმაზე, ჭობიხევზე გადმოვიარეთ, ...იქიდან ჭობიხევზე წამოველით რო აწყურზე'ნა წამოვიდეთ, ასე უკან ხო ვეღარ წამოვალთ, რო ახალციხიდან ამოვიაროთ, მოვიდეთ! მოვედით ამაში, აწყურში და: — სტოპ! აღარ წახვიდეთ! თურქეთი დგას, პლენები გავცვალოთ და ისეო, დაგვაბრუნეს ისევ უკან, სად წავიდეთ. აპა გზაში ხო არ დავრჩებოდით. დავბრუნდით, ჩამოვედით ზოვრეთ ეძახიან, აი რკინი ხიდი რო არი, მატარებელი რო გადადის, გვერდზე რო რკინი ხიდია, ეგ ადგილია ზოვრეთი, მანდა, ბატონისა იყო ერთის, დიდი საცხვარე იყო, როგორც ეხლა კოლექტივს აქ დიდრვანი საცხვრები, ეგრე დიდი საცხვარე იყო ბატონი(ჰ) და... მწყემსები იყვნენ, მეცხვრები შიგა... ვინც მოასწრო, იქ შელაგდა და ვინც არა კიდე, გავიდა ხეების ძირზე, ზოგმა კაკლის ძირზე, ზოგმა ნაძვის ძირზე კიდე პატარა ქოხები გააკეთეს, ეს ურმები გააკეთეს, იქ ვიყაით... მერე ერთი გენერალი იყო მაკაევს უძახდნენ, შტაბი ჰქონდა ბორჯომში, ამ ბორჯომიდან ეს რო წამოვიდა, აწყვერში ამოვიდა, რო ხალხი ხო უნდა გამოუშვას. შემოუელიდა ახლა... გადაუდგებოდა ხალხი, მარტო ჩვენი სოფელი კი არ იყო, ერკოტაც იყო, დანარჩენი მერე...

— ბატონო გვიშველე!

— ჰო, შვილებო ცოტა მოიცათ, ჰო, შვილებო, ცოტა მოიცათ! — მოხუცებული კაცი იყო, აი წვერი ასე ქონდა, არც მოპარსილი ქონდა არც არაფერი. გენერალი იყო!

მერე გაისხნა იქიდან, შენ გენაცვალე, გზა და წამოველით. ამოველით დადეშში. დადეშში... რო გითხრა, მე და დედაჩემი ჭობარეთში დედაჩემი(ჰ) ძმასთან დავრჩით, მამაჩემი და ბიძაჩემი და ბაბუაჩემი და ძალუაჩემი ამოვიდნენ მანდ დადეშში. მერე და მერე ამოვედით იქიდან.

...აბა თქვენებს... ორმოში ჰქონდათ დამალილი პური. ასე მახსონს. თექვსმეტი კოდი პური იყო იყო ჩაყრილი. ახლა როგორ ჩაყარეს (ისაც რო ამიღოთ, წაიღენდნენ), ამოშერეს ორმო, ჩაყარეს პური, ზეიდან დააზღვიეს და ცხენი ება იმ დაზღვეულზე. რო მიდიოდნენ, სცენდნენ, — ქვა არი, ქვეშ ხმას არ აძლევს, ...ვერ ამიღოთ. აპა, პურები უშოვნია თქვენებსა და წადით, ამოიღეთ! (გვითხრესო).

მოგვირბინეს მეორეთ, იქიდან რაც მოვიტანეთ: ვეში იყო, ცხვარი იყო, ძროხა იყო, სულ მეორეთ წაგვართვეს. აგერ ი ზეით მაღარიები, შენ ხო იცი, სადაც არის? — შენ არ იცი, არ იცი! იქ ავედით. თებერვალია თოვლი, ჭამა არ გინდა, მაღარიებში — კლდეში გამოჭრილი! თოვლია! ღამე წამოვიდოდნენ, ჩამოვიდოდნენ, დადეშში ვერ ჩამოვიდოდნენ — ერკოტას! მიფარებული იყო ერკოტა, იმიტო.

ეჰ ქუნცა-აძგვიტა დარბოდა დადეშში. ერკოტას ჩაიპარებოდნენ,

ჩავიდოდნენ, ბაზლამას გამოაცხენდნენ, თუ მოასწრენდნენ, თუ არა პატარა თხელ-თხელ ფათირს უძახდნენ, მწყემსები რო აცხებენ, გოგო, სიდო, ხო იცი! ამოგვიტანდნენ.

ერთი კვირა ვიყავით მერე მანდ, მერე აქედან ტყვია დაგვიშინეს... მაღარიებში. ჰე მაღარიებში... დედაჩემი აქეთ იწვა, ეს ბარესათ პაპაჲ (იოკასი) იქით იწვა... მე და ვახტანგაჲ კიდე პატარები ვართ, ეჰ კაცები იმალებიან, ვისაც შეუძლია. ტყვია რო წამოვა, ამ მაღაროს მოხვდება: — აგერ აქ მოხვდა, ბიჭო, მოშორდით, ბიჭო მოშორდით! — ერთი კვირა ვიყავით! მერე ერთი კვირი მერე ჩაველით ერკოტაში. ერკოტა(ს) რო ჩაველით, თათრები იყვნენ ერთი სამი-ოთხი კვამლი, ერთი კვამლი იყო, ეხლა ჩვენთან სომხები რო'ნა გამრავლდნენ, ეგრე იქაც... მენახირეთ მივიდა, დადგა და გახდა დე' ათი კომლი. ჩემი ბიძაშვილი მაგ თათრებმა ძალათ წაართვეს. ჩვენ მანდ შეგვინახეს. დედაჩემი ერკოტას დაიღუპა, იქ გარდაიცვალა, თქვენი ჭირიც წაუღია და უჭირომც ყოფილხართ და... ჩვენც კიდე მერე ვარნეთში ჩაგვიყვანეს პატარები. ჩაველით ვარნეთში, კაცებმა რა ქნან (კაცები გაქცეულები იყვნენ და იმალებოდნენ, მ.ბ.)! ერთ ოჯახში შეველით, თითონ ნაცნობი იყო ის კაცი ჩვენი, იმან შეგვიყვანა... სამი დღე და ღამე კაცი კარებში იდგა, შვილები ჰყანდა, ერთი შვილი თავის საკუთარი იყო და ორიც ძმიშვილები იყვნენ. ე, როგორც პატარები იყვნენ (პატარები კი იყვნენ, მაგრამ) თავისი და მეორე, ბუხარში თივა შეტენეს და: თუ წამოვიდნენ ზეიდანო, წაუკიდე ცეცხლიო, ი, რომელიც მოზდილი ბიჭი იყო, იმას უთხრა, რო შენ ამ ერდო (ერდოს) პირდაპირ დადგები ასე, გვერდიდან, ვინც ფეხ შემოჰკიდანს, თოფი მიეცი (ესროლე), მე კარებში დავდგები. მანაანდი მე არ მოვკვდები, აქ არავინ არ შემოვა.

სამი დღე და ღამე ესე იყო, ...მეოთხე ღამე(ჰ) უთხრა, რო: აღარ შემიძლია, თქვე გენაცვალეთ, მოდი აქ მამაკაცები ვინც ხართ, წადითო... და იეხლა ივერია რო გააშენეს· მანდ, მაღლიდან, თოდიებში, მანდ დაიმალენითო — ზამთარში, თებერვალში, — პურ-წყალ ჩამოგიტანო, ერთიო სულმა ამოისუნთქოსო.

გავიდა ორი დღე შუაში და ერთიც დაიძახეს, რო აპა, ქართველი შემოვიდა! მერე გააქცია, ბიჭები უთხრა, ამოდითო, ქართველები შემოვიდნენო. ერთი კაცი ცხენით მორბის ამ საყუდაბელი სანთიდან, მანდ ის ოოა რა, თოდიები არი ხო, გზა? ხოდა მანდ შექუჩებულია ხალხი, ე თათრები ლაპარაკობენ... ჩვენ პატარები ვართ, ბავშვები, რა გვესმის.

მოვარდა ერთი კაცი ცხენით, ისეთი გაუხდია ეს ცხენი, რო — თეთრი ქაფი! მისცვინდნენ: — რა ამბავი, რა ამბავი, რა არი, რაზე მორბიხარ, — ორი სიტყვაო: თქვენი გამარჯვებაო... უძახიან(!).

— ინდუსა რო არი, იქიდანაო დილასაო გადვიხედეო და აწყვრის მინდვრებიო, ხო ჩანს, მანდედან რო გადიხედამ, სერიდან რაგორც ეხლა

ჩვენ უზუნჩაირიდან, რო გადმოიხედან და რო ჩანს... — ცაშიო ვარსკვლავი დაითვლებაო და ქართული ჯარი არ დაითვლებაო, აბნელანს, მოდისო. ეს ორი სიტყვა თქვა არ თქვა და დაჯდა ცხენზე გაიქცა და წავიდა! ჩამოვიდა იმ კაცმა მერე, გვითხრა, რო ქართველი უკვე შემოვიდა. შემოვიდა ქართველი. დავხვდით ცოცხლები მარა ცარიელად, აღარაფერი ერთი დეკეულა, ერთი ვერძი, ერთი თხა! გოგო, შენი დირექტორი რო იყო, დირექტორი, მაგი დედა ჩვენი მამიდა იყო, იმას ეცნო, ჩვენი საქონელი რო წაასხეს, ეცნო, ეს ჩემი მშობლებისა არი, თავზე ნიკორაა ჰქონდა ხბრს და ესეც მოზვერია, კაცო! იმა(ჰ) დიეტოვა. აეხლა იძახიან: თათრები მოვიდნენ, თათრები მოვიდნენ!

— მოვიდნენ! ჩვენ რაც დღე ვნახეთ, თქვენ არცერთმა არ უნდა ნახოთ! აი, ჩემ მოსწრებაში... თქვენ არ'ნა ნახოთ. შიმშილობაც გამოვიარეთ სიტვიტვლეც გამოვიარე... გარეთ ყოფნაცა, შინ ყოფნაც და ყველაფერი.

***

ხიზაბავრა რო არ ყოფილიყო... იქიდან დადგეს ბარბაზანი, ჰოდა ისროლეს აქეთ და ეს ერკოტა და დადეში... იმ წყალში უნდა გაგვევლო თორე იქით თათარი იყო, ქუნცაში თათარი იყო, აწყვიტაში თათარი, იქით ვარნეთში თათარი... ერკოტაში თათრები იყვნენ, ტოლოში თათარი იყო, ასპინძა, იდუმალა ესენი... სულ თათრები იყვნენ, სად'ნა წასულიყვნენ. ორი სოფელი იყო ქართველი. ჩვენ სოფელში დადეშში თათარი სულ არ იყო, ერკოტაში კი იყო, ხო გითხარი ეგრე, მწყემსათ მოვიდა, აბა ნახირში, მეველეთ დაიპირეს, როგორც ახლა ჩვენ ყარაულებს ვეძახით, ერთ კვამლიდან ათი კვამლი გახდა! შვილები, შვილთაშვილები დაიხვია. რო არ გიესახლებინათ, შეიძლება ახლა ოციც ყოფილიყო. ასე იყო, გენაცვალე.

***

...ვარნეთში მოვიდა, ვარნეთიდან გამოგზავნა თათრები, იმათ იცოდნენ, რო ვინ არიან, უთხრა ესა და ეს ხალხი... ზურაბას, დირექტორ ზურაბას პაპა იყო ერთი, ერთი იყო, ვასოდ რო იყო კოქლი, მაგი პაპა იყო. ერთი ელიბარას პაპა იყო, შენ ხარ ჩემი ბატონი, ერთი რომელი იყო, გოგო, აღარ მახსონს, ოთხი იყო. ჰო, ესა, კარლოს ბიძა დათიკოდ ჯზაში მოკლეს... — ფული გულითვინ კი არ მოკლეს და ქალი ყავდა ლამაზი, მაგ კარლო(ჰ) ბიძას, ძალიან ლამაზი ქალი ჰყანდა, ე ქალი'ნა წიერთმიათ, და არ მისცა. სხვა მოსაუბრე: — ცოლს აყურებინეს და ისე ჰოკლეს, ცოლს!

— გამოიყვანეს გარეთ, გაიარეო! — ეხლა ის ცხოვრონდა ქუნცაში, დაროონ-ლოლიები რო ცხოვრობენ, მანდ რო გაარონიეს, ბგზგერას ეძახდნენ თათარს.

— ბგზგერ ბიძაო, ფულსა მთხოვენო.

— ხო, აგერ შვილოო.

მანამ სახლში შეეიდა, ეითომ ფული'ნა გამოიტანოს, დაახალეს თოფი და კაცი მოკლეს იმი სახლის გვერდში. ცოლმა გაიგო ეს ამბავი რო, ბიჭო, ქმარი მოკლეს! ადგა და თავი ჩამოიხჩო, არ დანებდა თათრებს, ლამაზი ქალი ჰყანდა, ძალიან ლამაზი ქალი ჰყანდა.

**ზაზაძე-ივანიძე ანა (ანუსა), დაბ. 1912 წ. ასპინძა, აწყვიტა (გამოთხოვილია აგარიდან), 1991 წ.**

## გაქცევა

...და ის მეფე. ერთი თავისი ძალუა, ერთიც იმ ძალუასაც ერთი ბიჭი და ერთიც გოგო ჰყანდაო. ესენი, ერთ სახლისანი, ეს რძალი, ეს რძალი და ნეფე-დოდოფალი, რა ჭირია, ესენი... ერთ ბებერ ქალთან დარჩენილან, ისე ძალიან ბებერ ქალთან, რო ბებერ ქალთან დარჩენილან და ყეშლაში ჩასულან, ჩვენ ყეშლაში, იქ, აგარი ყეშლაში, იქ რო ყოფილან, გაღმიდან ქურთებს დაუნახიათ, რო იქ ხალხი ქართველები შემალილან და ამ ჩვენ ხალხსა სულ გაუსწვრია და ისინი იქ ვეღარ შეშჩენილან. როგორ ვეღარ შერჩენილან ისინი. იქიდანაც ტყვია უკრიათ და ამ გოგოსა აქედან მოხვედრია, ქამარი ეკრაო ეს თავიანი, ასე გიეკლო და მარტო მუცელი ეეხვეწა იესე და იმ ქალისთვინაც ეს ფეხი იესე, იესე, იესე სულ მიეკრა, ფეხი! ისინი მოსულიყვნენ, მერე, თათრები, ჩასულიყვნენ, ისინი ამიეყვანათ.

— ი ჩვენი ხალხი რო გაისტუმრეს, წავიდნენ.

— თათრები გეხმარებოდნენ?

— ჰო, თათრებმა ქნეს, აბა! ჩვენი ხალხი როგორ სად წავიდოდნენ, რა იცოდნენ, როგორ'ნა გასულიყვნენ წყალში, წვრიშვილი როგორ'ნა გიერეკათ'ნა რას მოასწრენდა, მოვიდა უკვე, შომოხვია თათარმა სულა! ერთი იესე, ერთი პატარა ბავშვი არ მოუკლიათ, ან წყალში ჩააგდონ, ან თქვან, რო რათ გვინდა... ისე გაუსტუმრიათ, რო ისე კარგად ჩვენ სოფელივით არავის მოქცევიან ასე კარგად( ლაპარაკია სოფ. აგარაზე, აქ თარაქმები ცხოვრობდნენ)... ამ ბარი სოფლევში სულ დახოცეს, ისინი რამე ქნეს და იმ ჩვენ სოფელმა არა. და მერე ინ ჩვენ სოფლის იქით თათარი სოფელია, ფანაქეთი? ქარზამეთი — არა! ფანაქეთი! ფანაქეთიდან გადმოსულა, იქ იყო დიდი კაცი. თათრებისა-რაღა, უმფროსი იყო თავეთ სოფელში და ის გადმოსულიყო და იმას ეთქვა, რო აქ

გადმამიყვანეთ! გადმოიყვანა თავის იმაში, სახლსაც მისცემს, იმ ზამთარ პურ, წყალ ყველაფერ ეტყვის, რო არაფერი მოაკლოთ ამათაო. წამალს, ექიმს, ყველაფერ და იმ ზამთარს ისე თბილათ შეინახანს, ერთ ოთახს მისცენს იმ ხალხსა და დააყენანს. გაზაფხული რო მოვა, ეს კაცი დაიპერს და იმათ გადმოიყვანს თავეთ სახლებში, რაღა, მისცენს სუყველაფერ. პურსაც მისცენს, დასთესებენ ამ ხორბალ პურსა, ხარს მისცენს ერთ უღელად იქნება თუ ორი, რა ვიცი! ხარით ვხნენდით მაშინ ჩვენ, წინათა კოლხოზზე წინ. სუყველაფერ ამათა, ჭურჭელსაც, სუყველაფერ, ლოგინი... რაც ექნებოდათ თავიეთი ხო ისევე იქნებოდა და ისინი დარჩნენ იქა და ჩვენი ხალხიც მოვა... ისინიც ბგლა არ დახოცეს... თათრებსა... მეტი არაფერი... ერთი ბავშვი რო თქვა, არა... ერთი მე იეხლა ჩვენი ის რო არი, სიდო,... ერთი გოგვიები წაუყვანიათ, ორი გოგო აქედან. ორი თუ ერთი? ურუმეენთი, ურუმეენთ გოგო, თათრები იქ ისხდნენ და იმათ შოუნახიათ, ისეც ინახენდნენ...

შენი ბაბოდ კი გათხოვილი ყოფილა მაშინ და ორნი არა! ეგ ორნი გოგოები ჰყოლია დედანთილსა...

## გასახლება

თათრების გასახლება ასე იყო... აქ სოფელში კაცი მოვიდა, სამხედროსი, რუსი. ბადრიას ტანის ბიჭი იყო... სამი თვე ისე იყო ის კაცი, თელი ზაფხული, რო თათრებს სწერენდა თურმე სულა, თითო-თითოთ აწერა ამ ქართველმა. რაჟდენად ერქვა სახელი. ისე მიეჩვია ამ ხალხ, ისე მიეჩვია, ისეთი იამანი კაცი იყო, რო კაკალ კაცმა, მინამ საღამოთი ჯარი არ მოვიდა, და არ ის ქნა, მანამ ვერ გაიგო, რო...

ის ერთი თათრის ბიჭი იყო, ის იყო, მესკლადე იყო, და... ომი იყო არა მაშინ? ჰო, ომი იყო და ის არის... გოგო უთხვია, ამ ამბავში ქორწილი აქნევინა, ოტკა გამოახდევინა მისცა ქალის ერთსა, რო: გამოუხადეთ ამ ბიჭსა, რო ქორწილი'ნა ვქნა'ნა. ქორწილი ქნა, ქალო, რო ხალხმა არაფერი ხაბარი ჰეჩ არ ქნას. შევიდოდა იმ სახში, სადაც იდგა, დასწერენდა მერე ღამე-დღე. კაცი ჰყანდა იმას თავისი, თავჯდომარე იქნებოდა, ვინ იქნებოდა! არ გატეხოსო! — ვინ გასტეხამს, ქალო, ვინ გასტეხამს!

ჩემი ძმა ამონდა, რო ერთი კვირაზე წინ... კვირაზე წინ, ათი დღი წინ გავიგეო და მე კაკალ კაცითვინაო არაფერი პირი არ გამინძრევიაო. — გიჟი ხო არა ხარ, რო ადამიანი გენდობა, აღარ შეიძლება.

რა დრო იყო! მერე ამ კაცმა ეს ქორწილიც, რამეც ჩაატარა და მისცა ეს გოგო. ითხვიეს, წაიყვანეს. ხალხს ატყუებენ, რო აპა, სოფელშია მოცემული ეს კაცი. ჩავარდებოდა, კრებებზე გადავიდოდა, რო აჰა, ის

ქენევი, ჩქარა ქენეთ! შევიტანოთ ეს ისა, პური-რამე, იმათ გონიათ, რო სოფელში ის მუუციათ... სოფელში გამოგზავნილი ეგონათ, როგორც მეთვალყურე მეურნეობისა.

ერთი თათრის კაცი იყო, ჩვენ კარებს იქით იქვე იდგნენ. იესე შვრებოდა, ჩვენ კარებზე რო მოვიდოდა, დაჯდებოდა იქ ხალხი, იესე დაჯდებოდა, თავეთ კარებშუა და ჩვენ კარებშუა იქვე ერთი დიდი ფიქალო ქვა იყო, იქ დაჯდებოდა და იესე შვრებოდა (რა ჭკვიანი იყო!). ქართული იცოდა, კარგათ იცოდა, ქართულათ ლაპარაკობდა (ჟესტით აჩვენებს, რომ ის თათარი მხრებს იჩეჩავდა და გაკვირვებას გამოთქვამდა იმ უცნობის გამო). საბითაშვილები იყვნენ, თათრები იყვნენ. ჩვენ იქით იდგნენ, ჩვენი მოზობლები, ისე იყვნენ, რო მეხი დიეცეთ იმათ თავში, გოგოჯან, ისე იყვნენ, რო გაგიკვირდებოდა.

ჰოდა, მერე ერთი საღამოც დაღამდა, ერთი იქავრელი ქალი შალოშეთელი იყო, ბიჭი ჰყანდა და რაღაცნაირ ენაზე ელეპარაკებოდა, (თურქულად ამბობს), რა ვიცოდით, რო რა არი? ის ამღერეს თურმის, კანტორაში, ჩვენ ოთახი ქვონდა ქუნცასა და ის ოთახი კანტორათ ჰქონდათ.

მე ოდაში ვიდექი, ბოსელიც სამსე ქვონდა საქონელით. ეს ქალი მერე იქიდან ააყენეს და ჩაიყვანეს, რო ხალხმა არ გაიგოს არაფერი. ჩაიყვანეს, ჩვენი გრიშაჲ იყო, საწყალი გრიშაჲ, ეხლა იასონაჲ რო არი, ჩვენი განაყოფები ხო არიან ეგენი! და ჩაიყვანეს და იქ დესპინ ბაბოონთსა იქ ის ქნეს... ამღერებენ. იქ შეიყარნენ, ეს ჩვენი... ივანიძე, ისიც მოანგარიშე იყო მაშინა და ამ გოგოსაც გაუშლია ისა... ჩვენ იქ ვიყავით მე და ჩვენი სალომე ძალოჲ, შევიდოდით და ბავშვებითა შუაღამენდი, მანამ დასწველიდნენ, ჩვენც იქ ვიყავით. ამამაც წერა რაღაცეები. ეს დააგდეს, ისევე კანტორა, მე მითხრა, რო მე დესპინ ბაბოონთსა მივდივარო, ის არის ქალი რაღაცო, და იმას ამღერებენო და ჩავიდეო, რო იქ უსმინოო. — ვინ გითხრა ეგა? — ჩვენ იულ ბებემ, ჯერომ, გოგიას და იყო და ბუხალტერი იყო.

**ველიჯანაშვილი საბედა, დაბ. 1905 წ. ასპინძა, სოფ. ხიზაბავრა, 1991.**

## გაქცევა

...თოთხმეტი წლისა ვიყავი თვრამეტ წელში რო ავიყარენით, აქედან რო წავედით, თოთხმეტი წლისა ვიყავი. თვრამეტ წელში, თვრამეტ წელში. აქ იჩხუბეს... მარჯვე ხალხი იყო და ბევრი ჩახოცეს თათრები, ჩვენგან ერთი ოთხი კაცი მოკვდა, ხუთი, — მეტი არა. და, ავდექით მერე და ველარ გაუძელით. აქედან გზა შეკრილი ქვონდა ახალციხიდან

და ბაკურიანიდან წავედით... ერთი ღვდელი გვყანდა და ღვდელსა და ხუციშვილი სანდრეჲ იყო, იმას გადმოქონდა ხომე ტყვია-წამალი.

ბაკურიანიდან ქვონდა გზა, აქედან არ ქვონდა, რო შემეგველია ტყვია-წამალი, აღარ ქვონდა, ავდექით თვრამეტ წელში და წავედით. წავედით თვრამეტ წელში, ბაკურიანში გადავლაგდით. ბაკურიანში რო გადავედით, იქ სახლები-რაღაც ვიქირავეთ. თოთხმეტი კვამლი ვიდექით. ერთი დიდი ბოსელი იყო, გადახეთქილი. ბოსელი ხო იცი შენა, ერკოტელი ხარ და... თოთხმეტი სული ხიზანი წავედით და ოთხნი ჩამოვედით, იქ გამიწყდნენ სულ მამა-ბიძა (ტირის), ობოლი ვიყავი, უპატრონოთ. ჩემა იმამ წამოგვიყვანა, მამაჩემის ბიძამ წამოგვიყვანა. ოთხი თვე იქ ვიყავით, ბაკურიანში, ოთხი თვე! და ხუთიც საგარეჯოში ვიყავით. მერე გვითხრეს, რო თქვენი ადგილები ცარიელებია, ადექით და წადით! კაჭკებში ყრიდნენ ბაკურიანში ხალხს დაწყვეტილს და ისევე ყრიდნენ სულ. გათხრიდნენ დიდ ხანდაკს. წავიდეს და ნუღარ მოვა ისეთი დრო! თვაწლინ მიდგია იეხლა!

კარგი, ჩამოდგა მატარებელი, — თქვენი ის არის, წახვიდეთ'ნა თქვენა: მერე მოარჩიეს, რომლებიც აქ მეთაურები იყვნენ, იქ გაიმარჯვეს თათრებჩი. — თათრები ბევრი ჩაწყვიტეს ჩვენმა ხალხმა! ისინი, რჩეულები აარჩიეს და გამოგზავნეს აქ სოფელჩი. გამოგზავნეს სოფელჩი აქა და ბიძაჩემიც იყო, მამაჩემის ძმა. ის იქ მოკვდა, თბილისში, ვეღარ მოახწია აქ.

ავდექით მერე და შეგვყარეს ერთი იესეთი ვაგონი იყო დიდი, საქონელ რო შეჰყრიან ხომე, აისეთ ვაგონჩი შეგვყარეს და გამოგვრეკეს. მამაჩემი მოკვდა, ჩაასვენეს კუბოჩი და სასახლეჩი, წაიყვანეს, რავი, სად დამარხეს, ჩვენ შეგვყარეს ვაგონჩი. მოვლაგდით, მოვედით, თათრები... ერთი ორმოც-სამოცი კვამლი იქნებოდა, ხუთასი მოკვამური იყო, ექვსასი ჩვენ სოფელში. დიდი სოფელი იყო ჩვენი.

ეჰ თათრები ზოგი წავიდა, ზოგი იყო აქვე, ზოგი წავიდნენ, გალაგდნენ. მოველით, პურის ცომი ხო იცი შენა, ერკოტელი ხარ, ცომი მოსაზელი. ის მოკრიფეთ მე და ჩემ ბიძაშვილმა მიშაჲ ჰქვია, თბილიში ცხოვრომს... მე და იმამა და რკინაზე გამოვაცხვეთ და ის ვშჭამეთ. ნამგზავრი, ბორჯომიდან აქ ფეხით მოველით. ის ვშჭამეეით.

მერე ჩვენ სახში რო გადავედით (იმათთან ვიყავით ჯერ, პაპაჩემის ძმასთან), გადავედით ჩვენ სახში, რო ამოდენა სომინი (გამომცხვარი პურის სახეობაა, მ.ბ.) იყო, ოთხი სომინი იყო, ოთხი სომინი, ფურნეში... წყაროსთან ახლო იყო ჩვენი სახლი და თურმე ჯარს უცხომდნენ იქვე პურს. ეკლესიი ქვეიდან იყო. ე პურები გეგვეხარდა, რო პური'ნა ვჭამოთ, შივრები ·ვართ. გადვიტანეთ. ამ პაპაჩემის ძმამ გვითხრა, რო, შვილოო, არ ჭამოთო, შეიძლებაო მოწამლესო თათრებმაო, ჯერაო ძაღლ დაუგდოთო, ძაღლი თუ არ მოკვდაო, მაშინ ჭამეეითო. გაუგდო ძაღლ... ოცდაოთხი საათი ეგდო ისევე, არ მიგვიყვია ი პურისთუნ ხელი,

შიერები ვიყავით და არ გვიჭამია. მერე ჭადი დავალბეთ და ვჭამეთ.

გავიდა ერთი კვირა და თათრები შემეგვესიენ. შემეგვესიენ თათრები, შვილო, ჯერ მოკრიფეს (თავრობამ დაგვირიგა) ტანსაცმელი, სამხედრო ტანსაცმელი მოგვცეს, ის მოკრიფეს, თოფები მოკრიფეს, ვისაც ქონდა თოფი, წაართვეს ხალხს. საწყალი ხალხი, შიერ-წყურვალი ხალხი რა'ნა გამკლავებოდა, თელი ამ ქვეშა მხრის თათრები იყო სულ (ადგილობრივი თათრები მ. ბ.). მისცეს ეგენი და მერე დაგვიარეს თალანზე. დაგვიარეს თალანზე თუ ვისაც რაც ქვონდა, ლოგინები დაბერტყეს, დააგვრიეს, ისეეე შუაგულზე სახლებჩი, თუ იყო რამე გაზიდეს, წაიღეს, ზოგი მოკლეს...

ხუთი დღე თალანი იყო, ერთი ნაცნობი ქვყავდა ჩვენსა, კოკები მოჰქონდა ხომე, წინუბნელი კაცი იყო, იმამ გვითხრა, რო სალო-ბაჯიო, დედაჩემ სალოდ ერქვა, ნუ გეშინიანო, შენ სახში არავინ შემოვაო. მართლაც, ხუთი დღე არავინ შემოსულა, ეკლესიი ქვეიდან იყო ეს ჩვენი სახლი. მეხუთე დღეს შიერები ვართ, აქედან წაღებული ერთი დიდი ტომარა ის ქვონდა, დიკა წაღებული რო, შეინახეს ჩვენ საწყლებმა, კაცებმა რო მოვმძლავრდებითო, დავთესოთ ისეე. ის მოვიტანეთ, ისეე ი დიკა. ის შედგა დედაჩემმა და...

ოთხი სული მოვედით, ერთიც ბერიკაცის ბიჭი გვყავდა, საქონელ უკლიდით, თათრების საქონელს. და მეზობლი ქალი იყო ჩვენსა. შემოვიდა, კართოფილი შემოიტანა, პური მშია, ერცახელა ვჭამოო. მოვიდა და პურ ვშეჭანთ, ერთი თასი შევშეჭამეთ, მეორე დავიყარეთ ჯაახ! ჯაახ! ჯაახ! — კარზე.

კარები რო გვიბრაგუნეს, იმ პაპაჩემის ძმის ბიჭ უთხრა, რო ადეო, ეფრემჯანო, კარები გაუღეეიო — დედაჩემმა. მე ფყავდი თუთხმეტი წლისა, ერთი ჩემი და — თერთმეტი წლისა იყო და ჩემი ბიძაშვილიც სამი წლისა იყო. აღარც დედა ჰყავდა... მამაც იქ მოუკვდა, დედაც! მეხი დიეცა თავში მაგას! ჩემი გამოვლილი რა არი! თან მაკანკალანს, რო ვლაპარაკობ. ე, შვილო, და... რო არ გაუღო იმ ბიჭმა, არა, მამკლებენ! თუშოჯან — (მეორე სახელით თუშ უძახდნენ) — არა, არა არ გავაღეფო! ადგა ისეე დედაჩემი, გავიდა, ეს ბავშვი ხელში დაიჭირა, ერთი გვერდიდან მე დავუჭირე კაბა, ერთი სანთიდან ჩემა დამ. კარები რო გააღო, ოდის კარები და (კარგი ოდა ქვონდა, ხიზაბავრას არავის არ ქონდა იმნაირი ოდა, კარგა ცხოვრობდნენ ის გასამწარები), კარი რო გააღო, ტყვია გაიშალა. — ვაი, დედაო მოკვდაო და დაეიწივლე და დეევმხე. — ნუ გეშინიან, შვილო, არა ვარ მკვდარი, ოდის უზუმაში მოხდენოდაო, მაღლა.

— რაში მოხვდენოდა? მ.ბ.

— ოდის იმაში, საშუბლეში. ოდები ხო იცი, ერკოტელებ არ ქონდა? პირდაპირ, ოდიდან რო შეხვიდოდი და გაისროდნენ, ტყვია მოხვდა იქ

უზუმაში, უზუმაში მოხვდა. ავდექით, გაველით, რო გვითხრა, რო არ მავმკვდარვარო, გავედი რო გაუღო კარი და ერთი თუთხმეტი კაცი იყო, ოცი იყო — მამდგარიყო კარებზე. — ატ, ანასინი!... — გვიძახიან თათრულათ, გავაღეთ კარი, გამოვიდა დედაჩემი, გადაბრუნდა (ცუდად გახდა, მ.ბ.).

ერთი პატარა, დაბალი კაცი იყო, იმამ წაავლო ხელი და უთხრა, ადე, ჩემო დაო, ადეო. შენმა საცოდაობამ დაგვწვაო. თათრებშიც არი სინდისიერი კაცი და ყველა რჯულშიც არი. წაიღო ხელი, ააყენა და იეს კლიტეო აიღეო და... და საცა თქვენი მეზობლებიაო, იქ წადიო, თქვენ ხალხთანაო. ეს მეზობლიჰ ქალი გაიქცა დიდი ახორი ჰქონდა, ექვს უღელა ხარი ერთ გვერდზე ემბებოდა, ექვს უღელა ერთ გვერდზე. გაიქცა ეჰ ქალი და გემეეკიდნენ ისევ იმას, ამ ქალს. შეიყვანეს ძირი ძირჩი, ახორში, დიესხნენ იმას, ბოდიში, ახალგაზდა გოგო ხარ. ერთი თათარი დედაჩემ დაადგა: — ჩქარა, ნიკალაჰ ფული, ანა სგნი! უძახიან ამ დედაჩემს. — არა მაქ, ჩემო ძმაო, — უძახის დედაჲ.

— ამ ოდის პატრონ, ამ სახლი პატრონს ფული არა გაქ? შენი დედა...

...ვღრიალონთ ჩვენ, ი ბავშვიც ტირის, ვინც ხელში უჭირამს, მეც ვტირივარ, ჩემი დაც ტირის. მერე შემოსხნა... მაშინ, ძველათ ბაღსარტყლები იყო ხოლმე, სარტყლები ეკრათ ხოლმე და... სარტყლები ჯერა და მერე ბაღები, ფეშტამლები, ძველათ აგრე იყო ხოლმე, შემოსხნა თავი ხელით შემოსხნა ამ კაცმა, შემოსხნა, შემოსხნა, სარტყლის ნაკეცში ჰქონდა ასმანათიანი ნიკალაჰ ფული. გამოიღო ის, მისცა და დაანება დედაჩემ თავი, ჩვენ რო ვღრიალენდით, ბავშვები ვისაც ეჭირათ ხელში, ხმას არ ცენდნენ იმათ. ჩვენ ვღრიალონდით, შემევესივენით.

ავდექით და ერთი მეზობლიჰ კარზე მივედით, აქედან რო წახვიდე და იმ სახლთან მიხვიდე. მივედით, ერთი დედა-შვილი დგანან იქა. ერთიც ვნახოთ, რო ერთი კაცი მოუძღვის, ისევ ჩვენებური, ის მამაძაღლი, ისა! სამ კაც თათარს მოუძღვის და მოვიდა, როგორც ეს რადიო გიჭირავს ხელში, ასე დადო ხელი, უთხრა რო: — ჰანიო, მდიდარიო! ქართულათ. — აჰა, მდიდარი! — ამ კაც დაადო ხელი.

წაიყვანეს, შეათრიეს, ექ მანდ ძველი დერეფანი იყო, დერეფანი ხო იცი! ამ დერეფანში შეიყვანეს, ახორში, ბოსელში, გადუდეს ზღვეზე თავი (ზღვე გეცოდინება შენ, როგორ არ გეცოდინება — საქონელ რო ვაბენდით ხომე, ბოსელჩი) ამ ზღვეზე გადუდეს, შვილო, თავი და ხანჯალიც უჭირამთ ასე ყელჩი, დედამისი დარბის, რო: — მე დამკალი და შვილი არ დამიკლა! მე დამკალით, შვილო, შვილი არ დამიკლათო! ღრიალონს, წივის, წიკვინობს. ჩვენც ისევ იქ ვდგავართ. მერე მიხტამოხტა ე ბებერი, აქ საღაც ქონდა შენახული სამასი მანეთი მაშინდელი ნიკოლოზი ფული, სამასი მანეთი. ეხლა რო აღარაფრათ ღირს ფული ის

ხო არ იყო. გამოუტანა, მისცა და დაისხნა თავი, შვილო, ე ბებერმა. ავდექით და ის, ვინც ააყენა დედაჩემი, იჰ კაცი ისევ ჩვენთან დგას. ამამ თქვა რო, ჩემო დაო, თქვენ საცოდაობას ვერ უყურამო, ემოდენა ერბოჰ ქოთანი ქვონდა, ჩაიდგა ჯიბეჩი(?), გაიარა ასე, წაიარა და წავიდა ასპინძისკენ. — მე აქ ვერ დავდგები, წავიდე მე აქედანაო, ამათ საცოდაობამ დამწვაო.

ჩავედით, ი ვინც მოგვიყვანა ჩვენა, იმათ სახში — პაპაჩემი ძმი სახჩი ჩაველით, ერთიც ვნახოთ, რო შემოცვივდნენ იქაც. ეს პაპაჩემი ძმა ღვდელს... ფულს რო იღენდნენ, სანთლიჰ ფული, რამე რო შედიოდა, იმას ებარა ხომე, სანთლებსაც ის ყიდენდა, ი კაცი... და ათურ აკას უძახდნენ, ათურ აკას. ეკლესიის მსახურებელიც იყო, ფულებ ვინც იღენდა ეკლესიისა. სანთლებსაც ის ასხანდა: — ჩხაას (?!) ნიკალას ფული ანა სგნო..., უძახიან ბერიკაცს.

ამ ფიცმა, იმ ფიცმა: — არა მაქ! არა მაქ! — ერთი კაცი იცნო, წაუტუტუნა თავი შვილსა, რო ყამძელი ბეშირაა, შვილო, ამის დედა... ჩუმათ უთხრა. იცნო ი ბერიკაცმა. გაუკრა ხელები, ისინიც ათი-თხუთმეტი სული ხიზანი იყვნენ, გაუკრეს ხელები და წაიყვანეს, გადიყვანეს, ისეთ ხანდოში ჩაასვენეს, რა ვიცი... თოვლი, აი, იმოდენა თოვლი მოვიდა, რო კედლები არ ჩანდა მიწური სახლები... მაშინ ხო ასეთი სახლები არ იყო... მიწური სახლები კედლები არ ჩანდა. ვინც კაციანი იყო, შეინახა ვეში, ჩვენი ვის'ნა შიენახა!

წაჰყვა, მიშაი ერქვა, თბილიში ცხოვრონს ეხლა, წაჰყვა ეს ბიჭი, მიჰყვა შორიახლო, მიჰყვა, მიჰყვა, დაისწავლა, ჰაცა ჩააყენეს. მოვიდა, ამან დაჯდა, აძგვიტელი იყო, ჰეიდარაი ერქვა ერთი კაცი, მაგათი ნაცნობი იყო, კარგი ნაცნობი. მიბრუნ-მობრუნდა და: — ჰანი, ჰაკო ბიძაი სადა არის? ჰაკოი ერქვა. ამან უთხრა, მიშამა, რო წაიყვანესო. ჰეიდარჯანო, ცოლმა უთხრა, ბებერმა. წაიყვანესო და ჰად წაიყვანესო, არ ვიციო. მე ვიციო, ჰეიდარ ბიძაო, მე წამომყეო... ამ იმაზე წინა, (მეშლება, შვილო, 86 წლისა ვარ, პატარაი ხო არ ვარ), იმაზე წინ რო წაიყვანეს, სამი ტყვია ესროლეს, რო დააყენეს, ხელ ფეხი გაუკრეს, ხელებიც გაუკრეს, ფეხებიც გაუკრეს და ჩააყენეს თოვლში, იმაზე დიდ თოვლში. აქანდი ჩაფლეს თოვლში (ყესტით აჩვენებს, წელამდეო, მ.ბ.). სამი ტყვია ესროლეს და არ მოხვდა ამ აკოფას, ამ ბერიკაცს. სამი ტყვია ესროლეს! არ მოხვდა! ფუი! მიაფურთხეს მერე და ეს ბიჭი სეირობს იქიდან, ბაღები იყო და იმ ბაღებიდან სეირობდა, თავისი ბიჭი. მარჯვე ბიჭი იყო, კარქი, ეხლა თბილისში ცხოვრობს. ადგა ამ ბიჭმა, წაიყვანა. თოფი გადიგდო ამ კაცმა და დედას უტირებ იმათაო, მივიდეო, შეიგინა. გადმოიყვანა, რო ხელები ასე აქ, აი! გაუსხნა, ძაფები გაუსხნა, საკოჭავით გიეპირათ, ფეხები, ხელები! იექნანდი, სანამ მოკვდა, ტუჩებსა და ხელებს ასე აკანკალებდა — შიშით!

მერე გადაშენდნენ თათრები, წავიდნენ, ავდექი და დედაჩემის დედის სახლში გადავლაგდით. მოლა იყო ერთი, ბალთიხეველი მოლა. თელი სოფელი იქ იყო შელაგებული სულ. იქ იყო თელი სოფელი შელაგებული სულა და შემოვიდნენ... ღვდელს გადუდეს კარების ანყოლზე თავი. შენ ხო იცი ანყოლი კარების, ანყოლზე გადუდეს თავი, დადეს ხანჯალი, და მოკლან. ეს მოლა მივიდა, თათარი და გედიეფარა. თათრის მოლას იმას უძახდნენ... ღვდელსა, შვილო... გედმიეფარა ეს კაცი, რო მე დამკალით და ეს არ დაკლათო. ღვდელი არ დააკლეინა.

ჩვენ დავიწყეთ ზრიალი ხალხმა. ზეითგან... ზოგ საბანი ასხია ზოგ ძველი ფიჩვი ასხია, ზოგ ჯეჯიმი ასხია... უიმე, ღმერთო, კიდე რაგორ მოჰყანთ თათრები აქა? იმათ მოსპობა იყოს აქა! ჩემი მამა-ბიძანი მაგან გაწყვიტა! თუთხმეტი სული წაველით, ოთხი ჩამოველით.

მერე თქვენს, აპა, ისევ... ხალხი იყო, გამოვლაგდით, დაიყვირეს, რო აპა, ქართველი ჯარი შემოვიდა! გეგვეხარდა, გეგვეხარდა ყველას. გაგვიღეს კარები, რომელიც ლამაზი ქალი იყო და ბავშვი არ ეჭირა, შენ გენაცვალე, ჩემი თორუნის ადგილ ხარ, შვილო და შვილიშვილები მყანს შენხელა, აუწიეს თავი შეიბრუნეს იმ სახში, აუწიეს თავი — შეიბრუნეს შინ. ვისაც ბავშვი ეჭირა, არ ცენდნენ ხმას. რათ მინდა, რაც დამინახია ის'ნა ვთქვა.

ავდექით და წამოვედით, გადმოვედით ჩვენ სახლებჩი. მერე ვითომ ქართველი დადგა. ქართველი რო ვითომ შემოვიდა, ისევ მელიციონერი თათრები დადგნენ მილიციონერები. რომელიც ლამაზი ქალები იყო, შეარჩიეს, უკლეს საქონელი და ატანეს და იგულავეს იმ ქალებთან. შიშით რა'ნა ექნათ!

მერე დაწყნარდა, მერე ქართველი ჯარი შემოვიდა. აჰან, ჩემი ამბავი, რა დღეში ვიყავით! მოუკვდა პატრონი!

ისეთი ურმებით წავედით, ღამე გარეთ გავათიეთ. საქონლი ზრიალი რო გენახა, მთას იყო მინდგარი საქონელი.

რო მოლაგდა საქონელი ნახირით, ყველსაც ვაკეთენდით, ძროხებ რო მოვწველენდით, დიდი ის იყო, ტაშტები, ჩავფილენდით იმაში, ორი დღე იქნებოდა, სამი ეს ამსისქე პირ დაიდენდა. მივსწევდით იქით, გვერდზე ჩაფყენდით ხელ, რო ნახო, თუ მოკიდული ან ნაღები, მოვხდიდით მაშინ, თუ არა — არა. მოვხდიდით, ამ პირ ცალკე შევინახდით. ...ცეცხლზე დავდგენდით და ჩეჩილი ყველი კეთდებოდა. ასე იყო...

## ხიზაბავრელი კატო

...პაპაჩემისა ბებერა იყო. ქმარი რო მოჰკვდომია, ორი ბიჭი დარჩენია იმას. ორი ბიჭი: ერთს აკაკი რქმევია, ერთსა — სოსოდ რქმევია, სიმონად რა! — სინოდ, სინოდ რქმევია. ქერივი ყოფილა ქალი, რო მოჰკვდომია ქმარი ეს ორი ბავშვი ჰყოლია. ველიჯანაშვილი იყო, პაპაჩემის ბებერა იყო ის კატოდ, თითონ კატოი თედორაძე იყო. და... ანდგარა და ამოსულან იქიდან აქა. გამოუგზავნია თათრის იმას, ბეგსა, რო ამამავალი ქალისგან, წადით და ქერი-ბზე ჩამოიტანეთ. ამ კატოსაც, რო მისულან ეს ჩაუშები. მაშინ ჩაუშებ უძახდნენ, ცომ ზელდა თურმე, რო... პური'ნა გამოუცხოს ამ ბავშვებს თონეჩი. ბიჭებს უთხრა, რო შეიყვა, (ეხლაც არი იმი საბძელი, სადაც შეიყვანა), საბძელს ეძახდნენ. ბიჭებს უთხრა, რო წაჰყეთო, შვილოო და ქერი ბზე არ გაატენინოთო, რო ერთი ძროხა გვყანსო და დოლი ბზე გაატენინეთო.

ამ ჩაუშებმა არ გატენეს დოლი ბზე და ქერი ბზე გატენეს... ბიჭმა უთხრა რო, დედაო, ქერი ბზე(ჰ) ტენებენო, არა ქნესო, თანაო წამოგვ-ცხესო ჩვენაო, თქვენი საქმე არ არიო, ეს'ნა გავტენოო. აიღო ამ ქალმა, გაიფშვნიტა ცომიანი ხელები, ამ ქალმა, მაშინ ბაღ-სარტყელი ეკრა ხალხს, ქალებს. ჯოხი აქ ედო ხოლმე თურმე, კომბალა ჯოხი, წელჩი, ამოიღო, შევიდა და ერთმა ჩაუშმა, ამ ქალს (ლამაზი ქალი ყოფილა, კარქი) შოუროწყობა მიაყენა რაღაც, ალბათ ან მოჩქმიტა, ან მიეხვია, რა ვიცი. ამოიღო ჯოხი და გადასაცხო... ერთი დასცხო, ორი დასცხო, გაუტეხა თავი, ამ ქალმა! — გეცოდინება, ეწერებოდა, ალბათ წიგნში. გაუტეხა თავი! ადგა და გარეკა, აღარც ქერი ბზე გაატანა, აღარც დოლი ბზე გაატანა.

მე აქ ორი ობოლი მყანს და თქვენ ვინა ხართ, რო ერთი ძროხა მყანსო და თქვენ ვინა ხართ, რომ ობლებს პირიდან გამოვაცალოო. წავიდნენ ეს ჩაუშები. წავიდნენ, უთხრეს... თავგატეხილი ეჰ კაცები, ჩაუშები!

— რა, არი, რა მოიტანეთო! — ასე გვიყო, ასე გვიყოო! ადგა და მეორე დღეს გამოუძახა ეს ქალი. წაიყვანა ეს ბიჭები და წავიდა. ჩავიდა, უთხრა, შენაო, მე რო ჩაუშები გამოგიგზავნეო, რათ გალანძღე და რათ გაუტეხე თავი და გამოაგზავნე.

— მე მალაპარაკე, ბატონო, მეო, მერე იმჯელეთ ჩემზეო. ამამ უთხრა, რო მეო ცომ ვზელდი, პური'ნა გემემეცხოო, ბავშვები გავაყოლეო, ერთი ძროხა მყანსო, ქერი ბზე არ გაატენინოთო, შვილო, უთხარიო და დოლი ბზე გაატენინევითო. მაგათაო ქერი ბზე გატენესო, ბავშვი შემოვიდა ტირილითაო, მეც მოვიშორე ცომები... შევედიო, შეურაცხობა მომაყენესო. დავცხე და გაუტეხე თავიო.

აიღო, რომელსაც თავი გაუტეხა, იმდენი ცემა, იმდენი ცემაო...

პაპაჩემისგან მაქ გაგონილი. პაპაჩემის ბებერა ყოფილა. აუწევია, მალადეცო, მხარზე დაუკრია ხელი, ერთი ძროხა მიუცია, მოგებული ძროხა და წაიყვანეო და შენ კარზე დღეის იქით არავინ მოვაო. გამოუტანებია ძროხა და წამოუყვანია.

## ძველი დრო

შიმშილი იყო, ტვიტვლები ვიყავით. არ გვეცვა, არ გვეხურა. ძველი რაღანაც გვეცვა... ფეხშველები ჩვენ ვიყაით და ტვიტვლები ეხლა კიდე მაიმუნ ხანაჩი ვართ, მაიმუნ ხანაჩი.

ეს ხანა ხანა არ არი! აი ამაზე წინ რო იყო მაშინ ოქროს ხანაში იყო ქართველი. და ისევ ის დრო თუ მოვიდა, უიმენ, რა დღეში ვიყავით, შვილო: პური ჩვენ არ ქვონდა, ფეხსაცმელი ჩვენ არ ქვონდა. მე პირველი ბიჭი რო შემეძინა, არ ქვონდა ჩვარი, ნაჭარი, რო შემეხვიებინა, მეხი დიეცა, ზუსტათ ეს თვე იყო, რო დეგვეღუპა...

## ქორწილი, ოჯახი, მეურნეობა

ქორწილის ამბავი მახსონს, შვილო, რა ვიცი?!

რო მიიყვანდნენ ქალს, ქორწილს ცდილობდნენ. თუ ქონდათ რამე ტანსაცმელი, მუუტანდნენ, რაგორც იეხლა, რო მილიონ რო ახარჯენენ ერთ პატარძალ (ისე კი არ იყო, მ.ბ.)... ერთ თითო კალთაჭ თუ მუუტანდნენ, თუ იყო, თუ არა, ისევე მიჭყავდათ, ცარელა, თავიანთ ტანსამოსითა. რაგორ'ნა ყოფილიყო. მატერია არ იშოვებოდა. ერთ ნაჭარ საპონზე დილიდან საღამონდი ოჩერედზე ვიყავით. ერთ მეტრა ფართალზე ოჩერედზე ვიყავით. იეხლა ისეთი დრო'ნა მოვიდეს. მოსულია და ეს არი! პური არ იშოვებოდა სამუშაოთ, შვილო, წავიდოდით, ქვას ვკარკლენდით ყანებიდანა, მინდვრებიდანა... მერე ქვაჭ კარკლა მორჩებოდა, კარტოფილებ-რამე ფთესენდით ბალახ ვარჩევდით ყანებიდანა, ჭვავი პური რო არი, იმაჭ გვაჭრევინენდნენ მაკრატლებით... — ქვას რო გამოკარკლავდით, ერთად რო დაყრიდით, რა ერქვა იმას?

— ყორე! ყორეს უძახდით.

...ჯერ იმ ხის, შეშის გუთნები იყო ხომე და რკინისა სახნისი ჭქონდათ ხომე, იმითი ხნენდნენ. ჯერ უნდა მოეხნათ, წასულიყვნენ, თერძვას უძახდნენ, იემ დროს წავიდოდნენ, გარე ყანებში მოხნენდნენ. მერე დაიჭერდნენ... საღოლე რო იქნებოდა ოშას უძახდნენ, ისე წმინდათ მოხნენდნენ, რო დიეთესათ'ნა პური და ისევე'ნა გადიეფარცხათ. აქ,

შემოდგომითა. გაზაფხულითა საქერიებს რო მოხნენდნენ, დაღარენდნენ — დაღარას უძახდნენ, სხვილათ მოხნენდნენ, რო მიწა არ დაიტკეპნოს, თოვლმა არ დატკეპნოს. ჯერ დასთესდნენ ხომე იქ, კართოფილებ დასთესდნენ ხომე, გაზაფხულით, მარტში, აპრილში.

მოსავლის აღებაცა, რავი, ემ თვეზე წინ რომელი თვე იყო ხომე, არ ვიცი ეხლა, იელისი!

— არა!

— მარიობის თვეზე წინ რო არი, დაიცა, რა არი! კათათვე! ძველათ კათათვეს უძახდით, ყანები რო მოიმკობოდა. ათში და თუთხმეტში ცელი არ გეერიდებოდა ყანას. ცელით'ნა მოემკოთ სულ და ქალებიც მივდევდით და ვაფოცხინენდით, ვაბულულავენდით. დიდ ზვინებ დავაყენენდით, ძირებს უძახდით ხომე, ავიდოდით ძირებზე და ორი-სამი ქალი ვაძლევდით და დააყენენდნენ ძირებს. მერეც მოიტანდნენ, ურმები იყო ხომე, მაშინ მანქანები ხო არ იყო, კევრები გვება კალოს... ხარებ შევაბენდით, ლეწენდნენ იმითი. ასე მოვიდოდით.

შემოდგომისაცა... ზამთრისთვინ... ამ პურებ რო გავლეწენდით და შევიტანდით, გავიტანდით, გავაკეთენდით ამ პურებ, წავიღენდით, წისქვილ'ში დავფქვენდით, რამდენიც'ნა ქვეყოფნოდა ზამთარჩი! — მიდგმული, მიდგმული ერქვა, შვილო, შენ ჩემზე კარგა იცი. მერე, სასუფთაოთ ი, ქადა-რამე რო გამოაცხენდნენ, ხინკლისთვინ, რამისთვინ იმას ცალკე გარეცხენდნენ, დაჭბენდნენ და დაჭბენდნენ. მერე, ზამთარი იყო და აღარსად არ წავიდოდა ხალხი. იყვნენ და იყვნენ თავისთვის

ვენახები ჰქონდათ ხომე, იქ, ბაღები რო არი, ქვეით, ბუჩქის ზეიდან, ჩვენ ხიზაბავრის ვენახები იყო, ტერესები რო არი, ქვეით. ყურძენი იყო ხომე, ატამი, შინდი, სამსე იყო ყველაფერი. ყველა ხილი იყო, რაც ენაზე მოგადგება. გაავერნეს, აღარ არი ახლა. სახლჩი ჭანდნენ სულ, არ ყიდენდნენ, — არაფერი. ჭანდნენ.

— როგორ ინახავდით! მ.ბ.

— ცივ სახჩი. მიანგროვდნენ ისევე ცივ სახჩი, თივას გაშლიდნენ, მიანგროვდნენ თივაზე და გადაარჩევდნენ, დამპალ საქონელ ჩაუყრიდნენ, კარგ ჭანდნენ თითონ. ღვინოსაც დაჭწურენდნენ, დიდი საწნახელი იყო ხომე, აქედან და აისე... ჩვენ ქვონდა ხომე. მამაჩემი და ბიძაჩემი დე, აქანდინ (აი, აქამდე) აიწევდნენ, საპნით ფეხებ ლამაზ, სუფთათ დაიბანდნენ, გავიდოდნენ... ასე გადმოსასველელი ჰქონდათ, ღვინისა. იქიდან გამოდიოდა. ჩაასხენდნენ, ხო შაქარს არ უშვრებოდნენ, ისევე, ნატურალურ ღვინოს ინახენდნენ. ორი თეთრი დიდი ჭური გვედგა ხომე, ორმოც-ორმოც ფუთიანი.

საქმე... თუ სარეცხი ქვონდა-რამე — დავრეცხენდით, თუ არა — ხერტალ ვართენდით, ფიჩვებ აკეთენდნენ. მე არ მამიქსოვია, მე არ ვიცი, ვის'ნა ესწავლებინა, ობოლ-ობერი ვეგდე. დედაჩემი გათხოვდა,

სხვის ამარას გაგვყარა და შიმშილით... რა'ნა ექნა იმასაც ჩვენთვინ. ქსოვდნენ... ფიჩვებსა, აქსოვინენდნენ სხვაგან. ხალხი ჯვლიებს აკეთენდნენ, პურებიჰ ტომარას, ეხლა რო მეშოკებია, მაშინ ჯვლიები იყო ხომე, ჯვალ უძახდით.

— როგორ აკეთებდნენ მაგას? მ.ბ.

— ჯვალსა? — დაართენდნენ, დასძახენდნენ და მეჯვლე იყო ერთი, მეჯვლეს უძახდნენ, წაიღენდნენ, დაზგა ჰქონდა და იმაზე ქსოვდა, ამ ჯვალსა, ჯვლიებსა და მოჰქონდათ. ფიჩვებსაც იქ ქსოვდნენ. ტანზეც ეცვათ შალისანი, მოქსოვილები, მატყლისა! დაართენდნენ. წმინდათა და იმას იცვევდნენ კაცები. ქალებიც, რო არ იყო და მატერია არ იშვიებოდა, მოვქსოვდით ყაისნაღებითა იმაჰ ვიცვამდით, რო არ იშვიებოდა.

**მურადაშვილი რიფსიმე, დაბ. 1906 წ. ასპინძა, სოფ. ხიზაბავრა, 1991.**

## ხელსაქმე

...ღებენდნენ წვანეთა... ენდრო იყო, იმაში ღებენდნენ, აემფერი გამოდიოდა (ყავისფერი), ცოტა უფრო მაგაზე მუქი. კაკლის ფოთელ'შიც მწვანე გამოდიოდა, მაგ ფოთლიფერი. შამელას უძახდით, მინდორში ქერში ამოდიოდა ხოლმე, იმით შავ ღებენდნენ ხოლმე. კაკლი წენგოში. აი, დამავიწყდა. მავიწყდება, შვილო, პატარაჲ ხო არ ვარ.

...რო შეღებენდნენ, გაავლენდნენ წყალში და მერე შარდ დაასხენდნენ ხოლმე რო, არ გახუნდეს, ფერი არ წაუვიდეს. საქონლისაც იყო და ადამიანისაც (შარდი), აურევდნენ და იმაში ჩადედენდნენ ხოლმე. ჩადედას უძახდნენ ხოლმე, ერთი დღე იქნებოდა, მეორე დღეს გარეცხენდნენ, გაფინენდნენ ხოლმე. სველი რო ჩადო, აღარ აიღენს ფერს, შრალი'ნა ჩადო. ცივში'ნა ჩადო და დადგა'ნა.

ყაისნაღი მამიქსოვია, შოლგებს (შალის მოსასხამი)უძახდით. ცალპირათ ყაისნაღით მოვქსოვდით და დავიხურენდით, კაბა მოვქსვიე, კალთა, ტანი მოვიქსვიე ყაისნაღითა და მეცვა ხოლმე.

ამას წინდახჩირებ უძახდით. ჭრელებსაც ქსოვდნენ, თეთრებსაც. ფერადი ნართითაც ქსოვდნენ...

## გაქცევა

წავედით. თხუთმეტი სული ხიზანი წაველით და ოთხნი ჩამოველით, სულ იქ გასწყდნენ. ბაკურიანში და საგარეჯოში. ერთი იყო, ასი წლისა იქნებოდა ბერიკაცი, ის არ წამოიყვანეს, დარჩა და მოკლეს და სად

გადააგდეს, არვინ არ იცის. პოსოანთი იყო, პოსოშვილი, წიწილაჲ რო არი კახეთში, იმი პაპა იყო.

## ქორწინება

ჩვენ (კათოლიკეები, მ.ბ.) სხვაგან არც გავათხოვდით, არც მოვიყვანდით. გაიგე, ძველათ, ახლა აღარ ირჩევა, თათარ ბილა მოიყვანებენ (თათარსაც კი). თათარ ბილა მოიყვანებენ! სომეხი ხო საესეა, სომეხი! ასეთი დრო იყო ისა! რო მივიდოდი, მოციქული იყო ძველათ, რო მივიდოდი და: — ეს გოგო მოგვათხვიეთ ჩვენ. თუ მეეწონებოდათ, მიათხოვდნენ იმას. ჰაი ქორწილი, ჰაი ბე... და შეერთდებოდნენ. ახლა საცაღა დაინიშნებიან, ზურიკოჯან, მიჰყანთ და მიდიან.

...ქალი მოჰყავდათ ვარგავიდანა, ბნელიდანა — ვინც რო კათოლიკე იყო, კათოლიკე. ახლა აღარ ირჩევენ.

...ჩემ ძმას ოთხი ბიჭი ჰყავს, ოთხ ბიჭ... სოფლელი არვინ არი (რძალი): ერკოტელი ერთი, შენ იცი, რო მუშაონს, ექთანია. ერთი აწყვიტელია! ერთი სარეველია! — სარეველი კაია, ისე კაი გოგოა, რო. ნარგიზაჲ. შუათანა ბიჭისა, მასწავლებელია ბიჭი, სასწავლო ნაწილია, ახლა დირექტორათ გადუყვანიათ. ტრისტანაჲ.

***

პატარაჲ ვიყავი. თექვსმეტი წლისა. წელიწადი, რვა თვე'ნა ყოფილიყავი მაშინ, რო წაეყვანე. ი წელიწადში შეაგვრევდენ რამესა, საჩუქარ... რი საჩუქარი! — ერთი ქიშმირი, ან აბრეშუმი, რაც იყო, თითო ნაჭარი. დასთქვენდნენ ქორწილსა. შავათ ყოფილიყო ჩემთვის ის ქორწილი და მე ქვეყანაზე არ მოვსწრებოდი. შენ რა იცი, რო მომიკვდა დიდი ბიჭი, ოცი წლისა, სამეფო, საგვირგვინო. რათ მინდოდა ასეთი გათხოვება. კიდე მე გონება მექნება?

...დედოფლი სახშიც აკეთენდნენ ქორწილსა, ვინც თავითიანები იყვნენ, ხო მიიყვანდნენ და მეფისაცა... — ქორწილი თედოთაც გადაიხადეს, — მურადათაც, მე მურადათი ვარ.

— ვიცი!

— შენ იცი, მარა ამ გოგომ ხო არ იცის! მურადათი ვარ მე. რაგორ არ გადვიხადეთ, გადვიხადეთ. ისეთი დრო იყო. ისეთი დრო იყო მაშინა, რო ქორწილი რო გადვიხადეთ, ერთი კვირი უკან პური არ ქვონდა, რო გვეჭამა. ასეთი იყო. ეს ქორწილი გადვიხადეთ ჩვენი ვენახების ღვინოთი. ვენახები ქვონდა. ღვინო ქვონდა — შინაური ღვინო. ერთი ობოლოჲ

იყო ჩემი ქმარი. ერთი დედა ჰყანდა, ბიჭი და გოგო ჰყანდა. იმ დედამ დაზარდა, თხოვნით, რამით, მაშინა. ძალიან ძნელი საშოარი იყო, ზურიკოჯან. შეძლებულ პირებ ცოტა არა უშავდა, იმასაც (იმას კი) რა ეშვებოდა (ეშოვებოდა), გადასაგდები იყო (ქმარზე ამბობს, მ.ბ.).

ისეთი კარგი იყო, კაი ქალი იყო დედამთილი!

...არ გაატნევდნენ ერთიმეორესა მაშინ (ახალდანიშნულებს), არა ისე'ნა ყოფილიყვნენ. თუ გეეხუმრებოდნენ უჩუმრათ ერთი მეორეს, ეგ იყო და მე რა ხუმრობა მინდოდა, თექვსმეტი წლისა ვიყავი, ბავშვები! სამები („სამა" — სულელი). სამა რო არ ვყოფილიყავი...

დიები მყავდა დიდრონი და მასწავლიდნენ, ვიცოდი მოქსოვა, რამე.

დედოფალ'ნა გეეგზავნა საჩუქარი მეფის მაყრისთვის, ვინც მოიყვანა ბეში, იმათთვის თითო წყვილი წინდა'ნა გეეგზავნა საჩუქარი, არ შეიძლებოდა ისე. იმათ ხო მოვიდნენ და აჩუქეს ათი შაური, ოცი კაპეკი, რა ვიცი, რაც იყო მაშინ. ამას წინდები ნა დიექსვია.

— მზითვში რას გატანდნენ?

— მზითვი რა იყო მაშინა, ზურიკოჯან, — არაფერი, ერთი ხელი ლოგინი, ისიც შიგანა პირი. არ იყო არაფერი. ახალი მოლაგებულები ვიყავით, თათრებმა აგვყარეს აქედანა. თათრებმა აგვყარეს, ერთი პატარაჲ ვიყავი, ათი წლისა ვიყავი? — რა ვიცი! აქედან დამიჭირა დედაჩემმა ხელი და ბაკურიანში გადამიყვანა. არ უნდა ი დედაჩემსაც გინება და წყევლა, რათ გამზარდა ასეთი.

— რათა, რა!

— ი ბიჭი რო მამიკვდა, იმას ვიგონენდი, ვეღარ მომინელებია. დამრჩა ერთი ბიჭი.

თითონაც არ ქონდათ ჭურჭელი, არც მე წამიღია მაშინ (გათხოვებისას), ჩვენც არ ქვონდა მაშინ, ახალი მოლაგებულები ვიყავით იმერეთიდან.

— თქვენ იმერეთში იყავით წასულები?

— ჩვენ ბაკურიანში ვიყავით და მერე ცხრამუხას უძახდნენ სოფელს, მამაჩემმა სოფელში მიგვიყვანა. იქირავა იქ ერთი ოთახი, მერე მოვიდა ბრძანება, რო: — აბა, ყველა თავი ადგილ'ნა წავიდეს, ყველა თავის ადგილზე! არაფერი, ურემი ქვყავდა მაშინა, ხარი. ხარით ვმუშაონდით, დენი და ის ხო არ იყო, მანქანა, რო... ვის ენახა მანქანა. მოველით, ერთი თვე ვიყავით და დაგვკრეს თალანი თათრებმა. თათრებმა თალანი დაგვკრეს, რო არავის არ უშვენდნენ ქალებ, ბავშვებ... ავერნენდნენ და აოხრებდნენ, რომელიც პატარა მოზდილი იყო.

## ხელსაქმე

გავრეცხენდით (მატყლს), გავჩეჩენდით და დავართენდით, მოვქსოვდით. მაშინ ფიჩვებ ვქსოვდით, ჯეჯიმებ ვქსოვდით, წინდებსა და ასე. ახლა ფიჩვი მაქ, განახებ. როცა შევიძელით, არა, ზურიკოჯან, ცხვარიც გავიჩინეთ, ყველაფერიცა და მოვაგვრიე და... (არ ასმინება). ფიჩვი მაქ, — ხალიჩა რა არი იმასთან. ათკილოანი, — ათი კილოა! გავჩეჩეთ, ვანორონთა ვიყავი, თორმეტი წელი ღორებს უარე. სულ იქ დავართე. ღამე გავჩეჩენდი, მოვიდოდი, დილით წავიდოდი, — დავართენდი იქა. ...შვიდი თუმანი მივეცით მოქსოვაჩი, შვიდი თუმანი, რაღაც. ჰო, შვიდი თუმანი! — მოქსოვაჩი. ეეხლა ოთხასათ რო მისცე, არ მოქსოვენ იმასა. ასე ვჩეჩენდით. ცხვრის მატყლი ასეთი იყო. გაყიდა არ ვიცოდით მაშინ. სულ სახშინა მეგვეხმარებინა.

...როდი ვღებენდით. თუ დაგვჭირდებოდა საღებაი, ჯვალოს მოვქსოვდით. ჯვლიებ ვქსოვდით — დაღება უნდოდა, ჯვლიებ ვაქსოვინენდით, პური ჩასაყრელი მეშოკები იყო. ვაქსოვინენდით სხვასა — ვარგავსა, საროში, ვაქსოვინენდით, მოგვიტანდნენ. საროველები, აპა, არ ქსოვდნენ! სარველები. ისე მივდი-მოვდიოდით რო. ხიზაბავრაში შალებ ქსოვდნენ. შალებ ქსოვდნენ. ჩოხაჰ კერენდნენ, შარვალ კერენდნენ. საროველები იყვნენ კარგები, საროვლები. ქსოვდნენ, იმათ იცოდნენ, ყველა სოფელმა თავი ხელობა იცოდა.

— შალს როგორ ქსოვდით?

— შალსა? დაზგები ქონდათ, ისეთი დაზგები, რო... მიიტანდნენ და დაახვევდნენ ჩერაზე. რა ვიცი, რო გითხრათ, რა იცით თქვენა.

— გვითხარ, გვითხარ შენა!

ჯარაზე დავახვევდით, დავახვევდით, კაცი იჯდა, ქსოვდა. ... ოცი მეტრო, ორმოცი მეტრო... თუ ბევრი ქონდა მატყლი. ვისაც შვილები ყავდა, ქმრები ყავდა...

...წინდებ ვქსოვდით. ფარდლურს უძახდით, ხარისფსელ უძახდით, ასე რო დავგრეხდით, ზოლებიანსა, ხარიფსელას უძახდით, ასე, როგორც ხარი მიდის და ფსაშს, რო მიდის, ისე გამოვიღენდით თვალსა და ისრე მოვქსოვდით წინდას. იმდენი მამიქსოვია რო.

...კერავდნენ ბაღებსა. ქსოვდნენ და მერე ფეშტამალზე აკერებდნენ ხოლმე, ხო წელზე ეკრათ ხოლმე ხნიერ ქალებს წელზე, ხუთ-ექვს ბაღს მოქსოვდნენ და ფერადიანს, ლამაზსა და წელზე ჰქონდათ ხოლმე, ხნე ქალებსა. ხან ასე ჩაიდენდნენ ხელ, ხან ასე ჩაიდენდნენ...

## ეკლესია, მარხვა

...მარხვას ვიჟერდით... შუდი კვირა უნდა დეგვეჭირა, შუდი კვირა, დიდი მარხვა. ხუთი დღე სულ კარგი და კარგი'ნა გეჭამა, ყველიერ უძახდით, ზურიკოჯან, შენ გეცოდინება, ყველიერ უძახდით. იმ ყველიერჩი ქათამი იქნებოდა, ბატი იქნებოდა, ხორცი იქნებოდა სულ ვაცხენდით და ვჭანდით, რო შუდი კვირა არ'ნა გვეჭამა. მარტო ზეთსა. ზეთ ვხმარომდით. ზეთი მარხვა იყო. ერბო და ყველი მარხვა იყო, რძე, მაწონი — მარხვა იყო. ისეთი ღვდლები გვყანდა, რო კარგები! კარგები! და თელი თოკი და სარო აღდგომათ აქ ამოლაგდებოდნენ ხოლმე. იმათ არ იცოდნენ. ღვდელი, ჩვენი სარწმუნოება (კათოლიკური), იმათ არ იცოდნენ და ძლიენ მოსწონდათ. ამოდიოდნენ სულ. სულ ამოდიოდნენ. ოღონდ შობათა და აღდგომათა, რომელიც ხნე ხალხი იყო.

ერთხელ ერთი ბებერი იძახიდა: — შე გენაცვალე, სიდაური ხარ? — ფაშას ცოლი რო მოკვდა, ფაშას ცოლი! ხო იცი! იქა მივიდა ეს ბებერი, ჩემი ხნის, ეხლა რო მე ვარ, ამ ხნისა იქნებოდა. მე ახალგაზდა ვიყავი. მყამდა შვილები, მაგრამ, რავი, ახალგაზდა ვიყავი, — თქვენი ეკლესია რაგორ არი, გენაცვალე? — რა ვიცი, ბაბოჯან-მეთქი, უთხარ, ჩვენ ეკლესიაში პური ყრია...

— უი, თავი მამიკვდეს მე! — ე, საროველი იყო და ერკოტაში იყო გათხოვილი, ასპინძასა, — უი, თავი მამიკვდეს მე, ეგ თქვენი ეკლესია რო აშენდა და მონათლესო, გენაცვალეო, შვიდმა ღვდელმა მონათლაო, შვიდმა ღვდელმაო. შვიდი ღვდელი იყოო. ექვსი წელიწადიო შენდაო, — იმ ეკლესიაზე და — რაგორ ჩააყრევინეთ, ხალხმაო. — ხალხმა რა, კოლექტივი იყო, ბაბოჯან, აღარც ვენახები გვაქო, ჩვენაო — შევჩიენლე მეცა, და იმ ბებერმა ასე თქვა, თქვენაო ღმერთი გწამდათო, მიზდევდითო და როგორ ჩააყრევინეთ პურიო, საროველი ვარ და ერკოტაში ვარ გათხოვილიო, ერკოტაშიო.

## მეურნეობა

ქალიცა და კაციც. ერთათ'ნა წასულიყვნენ მინდორში სამუშაოთა. ყანებში. ყანები ხო ცალ-ცალკე ქვონდა. ჰო, წაიყვანდა ე კაცი ცოლსა და მუშაონდნენ მოთიბაზე, მოხნაზე, რაღაზეცა და ყველაფერზე ქალი დაჰყავდათ. ქალი. თუ ქალი სხვა არ ჰყანდათ, იმ ქალ არ წაიყვანდნენ, ოჯახ ხო არ დაჰკეტენდნენ. ჰაცა ი ახალი რძალი იყო, ჰაცა ბოგინი ბავშვები იყვნენ, მუშაონდნენ...

კალოცა... ორ კვამლ'ნა შეგვება, სამ კვამლ ერთათ. კევრები იყო დიდები, შეშების კევრები, თაბანიდან ვყიდულონდით,

— სიდან?

— თაბანიდან, თაბანი რო იყო სოფელი. სამ-სამ ფუთ პურ მივცენდით თითო კევრში ზაფხულში და შევამბევდით. ეს ოთხი კვამლი ჯერ ერთისას გავლეწენდით, მერე მეორისას, მერე მესამე და ასევე დავამთავრენდით. ასეთი იყო მაშინ.

...ეს რო წრეულ არ დეგვეთესა და მეორენდე არ დეგვეთესა, ზაფხულში... იმას გაოშებას ვეძახდით. ზაფხულში მოხნენდნენ, რო მომავალზე კაი პური მიეყვანა. სუყველა ყანას სახელი ჰქონდა: გაღმა ყანაო, ქარაფისაგო... რავი, ასე.

მოვმკიდით, მოვთიბენდით ხელით, კაცები მოსთიბენდნენ, ქალები მოვფოცხენდით. ეს კალო იყო, ეს სახლი. აქ კალო ქვონდა, აქ ვლეწენდით ხოლმე. ასე იყო.

***

შემოდგომამდი შეშა, ყველაფერი'ნა დეგვემზადებინა, მეგვეტანა ოთიდანა ან ჭობარეთ უძახოდით, ტყიდანა. ურმით. ხარი იყო. ყველაჭ ჰყანდა ხარი. ფურნე, ყველაჭ ქვონდა ფურნე. ვირები, — ყველასაც ქვყანდა. იმ ვირებით ეზიდენდით შეშას. ზამთარში დავსხდებოდით, ჩემისთანა ხნიერი ქალები კარზე არც გამოვიდოდნენ. ისხდნენ და ართენდნენ, რაღასაც აკეთენდნენ.

ქერს გავაკეთენდით, ქერსა, დოლსაც. ავიღენდით, დავანიავენდით, ცხრილები ქვონდა გასაკეთებელი (ქერის, დოლის გაკეთება — გარჩევა, გასუფთავება), წავიღენდით, დავფქვავდით, ხერთვის იყო წისქვილები, მარგასტანში იყო წისქვილი, ტამალას იყო წისქვილი და აქაც ქვონდა წისქვილები ზაფხულში, სანამ წყალი იყო და წყალი შომოდგომით წყდება ხოლმე. მაშინ აღარ იყო ზაფხულში. აქ ვფქვენდით. ზამთრისთვინ დავფქვენდით შვიდი-რვა ჯვალსა ჭო? — ზამთარში აღარ გავიდოდით კარზე. მოჭყვებოდით, დავფქვენდით. ამას ვეძახდით — მიდგმული დავფქვით! მიდგმული დავფქვით, მიდგმულიო.

სუფთა ფქვილ ვეძახდით, სასუფთაოს (ნამცხვრის ფქვილს), ცალკე ვფქვენდით დოლს. სამტკიცავებ უძახდით, გავმტკიცენდით და მაშინ გამოვაცხენდით, ეხლაც მაქ სამტკიცავი, ვინღა ხმარონს იმას.

ღვინის ჭურები იყო, ღვინოჭ დასწურენდნენ შემოდგომით, ვინც მოუვიდოდა, ქორწილი იქნებოდა, რაღაც იქნებოდა, სტუმარი მოვიდოდა... აჭა, იეხლა აგერა, ცარიელზე მოხველით?!

ფალვერდი მოდუღება ჭანჭურიდან. აჭა, ეგ იყო!

— როგორ აკეთებდით?

— ფალვერდასა? — მოვხარშენდით, გავხრესენდით... სუზგებში, სუზგები ხო იცი, დახვრეტილი. გავხრესენდით, მოვადუღენდით, ტყლაპ

გავაკეთენდით ჭანჭურისას.

იმას გავხრესდით, ორი კრუშკა წყალი'ნა მიგეცა ოთხ ვედრა ჭანჭურზე და მეგეხარშა. იმდენი, ქვაბი არ დაწვილიყო. გავხრესდით, გახდებოდა სქელი. ფაფასიებ. დავასხენდით ფიცრებზე. გახმებოდა. ერთი იმდენი თავს აუღენდით, დანით მივყვებოდით, მივყვებოდით დანითა და აძვრებოდა. გავახმენდით. იეხლაც გვაქ. მოდი, გამოუტა!

## გაქცევა

დედაჩემმა ხელით დაქერილი გადმიყვანა ბაკურიანჩი. ბაკურიანჩი რო გადაველით, ზოგმა ბავშვი გადააგდო, ზოგმა გააშვილა, ზოგმა რა ქნა და ჩვენ შვიდნი ვყავდით ჩვენ დედ-მამას და ერთი არსად არ გაუშვა. ერთი არსად არ გაუშვა! როგორც წაგვიყვანა, ისე მოგვიყვანა. ბაკურიანზე წაველით ასე, ჯავახეთში, ალასტანზე, ხარებით. მაშინ ოთხი ძმა იყო, დედ-მამისა, ოთხი ძმანი იყვნენ და ორი საბარი იყო, საბაროს უძახდით.

— რა არი საბარო?

— ხარებ შევაბევდით, გაკეთებული, როგორც აი მანქანები... შევაბევდით და... ოთხი კამეჩი ქვყავდა, ჩვენები ძალიან მდიდრათ იყვნენ, ოთხი ძმანი.

წაველით ასე ალასტანზე, ალასტანს აველით — დაღამდა. ეთქვით: — არ დეგვეწიონ თათრები! ავდექით, წავედით იქიდანაც ღამე. გადავედით, ბაკურიანი ტყეჰ გაუდექით: გაწვიმდა, გაწვიმდა, გაწვიმდა, რო — ქვეყანა წაიღო, ტყეჩი! ჩაველით, ეს ბიძაჩემი ჩავიდა, მაშვე, იქირავა ერთი ბოსელი. ბოსელი! ბოსელი — შეშა ეყარა შიგ. ოცი სული ხიზანი იქ ვიყავით, იმ ერცახელა ადგილჩი, საცოდავათ. მერე იქნა, ეს ხიზანი არ დადგა, გაიყარნენ, ზურიკო, ჩემი მამა-ბიძა, ყველა თავი თავეთთვის, ზოგი საგარეჯოში წავიდა, ზოგი აქეთ წავიდა, ზოგი — იქითა და ჩვენ წაგვიყვანა ცხრამუხაჩი. ცხრამუხას უძახდნენ, რავი, სოფელი იყო ხაშურთან. ხაშურიდან ჩავდიოდით ხოლმე. მერე იქიდანა ქვიშხეთში გადაგვიყვანეს, იქიდან მერე მოველით აქა. მოველით და თალანიც (დარბევა, მ.ბ.) ვნახეთ.

**ტატურაშვილი-მაზმიშვილი ელე, დაბ. 1910 წ. ასპინძა, სოფ. ხიზაბავრა, 1991.**

## ქორწინება

...ობლები ვიყავით, უპატრონუები. ძველი ამბავი რა არი: გაჭირვება, ობლობა, შიმშილი, სიტვიტლე, — ეს არი, მეტი რა'ნა გითხრათ! გათხუება

როგორ ხდებოდა, გათხუება... ეგეც საჭიროა? — რა ვიცი, გათხუება ხდებოდა, რო უმფროს უნდა შეჰკითხოდით, რო ამას წავყვეთ, ამას გამატან... ასეთი იყო მაშინ გათხუება. შენი ნებით ვერ გათხოვდებოდი, გეტყოდა: — გინდა, არ გინდა, ამას'ნა გაგაყოლოთ, გინდა გინდოდეს შენა, გინდა არა. ეგრე იყო. მოციქული მოვიდოდა, თუ უნდოდა ოჯახის მოციქული არა, თანახმა გაუხდებოდა, რო გავათხვიამთ და თუ არ უნდოდა იმ ოჯახ, ვინც მოვიდოდა: — არაო, არ გავათხვიამთო, იმას იტყოდა. თუ უნდოდათ თანახმა გახდებოდა. თუ გარიგდებოდა საქმე, აბა არ აქმევდნენ? თუ მოდიოდა საქმე მაშინა, გავათხვიამდით არა, მაშინ პურსაც მიუტანდით და პატივსაც ეცენდით, ყველაფერსაც ნიშანსაც ავიღენდით. თუ არ უნდოდა, იმას არც პურ მუუტანდნენ და გააგდებდნენ, წავიდოდა.

...თუ უნდოდა ვისმე ქალი თხოვა არა, ერთი ორი-სამი კაცით'ნა მოსულიყვნენ. თუ გაჰყვებოდა, პურსაც მუუტანდნენ და პატივსაც სცემდნენ, თუ არა, გაივლიდნენ, წავიდოდნენ. ჯერ ბეი'ნა გეეცვალათ და მერე ქორწილი'ნა ექნათ, ერთი წლი მერე. ერთი სამი კაცით მივიდოდნენ, იმათ ერთი სამი კაცი ეყოლებოდა ქალის პატრონსა და გარიგდებოდნენ. იტყოდნენ, რო ამდამდღეს ქორწილი გვაქ. მაშინ იმას იზმოდნენ, წავიდოდნენ... მაშინ ასეთი იყო, ქორწილ რო იზმოდნენ, არა, იმ მეფისთვინა უნდა მიეთხვიათ, გადასაწყვეტ ვეძახდით, ან ცხვარი, ან ხორცი. ან სურსათი-რამე'ნა გემეეგზავნათ იმათა.

მოვიდოდა ქორწილი, ჭამდნენ, სვამდნენ, წავიდოდნენ. თუ გავათხოვდით ასპინძაში, ახალქალაქში — მაშინ მოვიდოდა მახარებელი და სოფელ'ში მახარებელი რათ გვინდოდა, შორიდან კი, მახარებელი მოვიდოდა, წინდები, სარეჩკა... ესენი'ნა გვეჩუქებინა. გზაშიც გადუდგებოდით, პლატოკი'ნა გედეგვეფინა...

...დედოფალი, რა ვი, ტუფლები შეხვდებოდა, კარგი კაბა შეხვდებოდა, უნა წეგვეღო, უნა იქა, რო წავიდოდით, არა შესაკმაზათ დედოფალთან, იქიდან წამოვიდოდა, ასტან წამოიღენდა, ასტან ვეძახდით, — ხურჯინ'ში ჩაალაგენდა. ნამცხვარი იყო, კამფეტი იყო, რაც იყო, დედოფლი სახ'ში რო მივიდოდნენ. მაშინ მოვიდოდნენ, გასხნიდნენ ხურჯინსა და დედოფლი შესაკმაზათ რო შევიდოდნენ... თუ იქიდან მოსულები იყვნენ, მაყრები მოყოლილი, იმათ მაყრები შეკმაზენდნენ, თუ არა, ჩვენ მაყრებ'ნა შიეკმაზათ ნა ჩეგვებარებინა. რო შევკმაზენდით, დაიყვირენდნენ: — ტუფლი არ ჩასდის! — ვითომ ტუფლი არ ჩასდის. შემოვიდოდა, ხუთი მანეთი იყო თუ რა იყო, ჩაფენდა ფეხსაცმელ'ში — მაშინ ჩაუვიდა ტუფლი! მერე ქამარ შემოაკრენდნენ, მაშინ ვერცხლი ქამრები იყო: — ქამარი არ წვდება! — დაიყვირენდნეენ იქიდან, ვინც რო აცმევდა დედოფალ. რა ქნას ამ ნათლიამაც. — შემოვიდოდა, იმასაც აჩუქენდა რამესა. მერე წაიყვანდა ნათლია, ჩააბრიდა მეფეს. ეცქირებოდნენ მეფესა და დედოფალს, გესმის, ნახო ფეხი ვინ მოასწრო, ვინ დასცხო, მეფემ თუ მოასწრო,

კარგია, თუ არა, დოდოფალმა არ'ნა მოასწროს. ასე იყო. რო ჩავაბრით, ერთმანეთ'ნა მოასწრონ, ფეხი დაადგან, მეფემა. თუ არა დედოფალი მოასწრენს. იეხლა არ არი ისეთი ამბავები, გენაცვალე. გოგომ დაჩაგროს, რო ფეხი დასცხოს ბიჭსა?! გეეხარდებოდათ, სიცილი, ერთი ამბავი: — ბიჭმა მოასწრო ფეხი დაცხობა, ბიჭმა, ბიჭმა.

— ნიახთის პასპორტი რა იყო? (ნიახთი — მახარობელი, თურქ.)

— აქედან რო წავიდოდა ჩვენი ნიახთი არა, დედოფლისა, ჩვენი, უნდა გეგვეგზავნა ხურჯინით ქათამიც, რამეც და იმ ქათმი კუჭს თუ არ შეინახენდნენ, არ შეუშვენდნენ ქორწილში. კუჭი, ქათმის კუჭი! პასპორტი იყო ისა... არ შეუშვენდნენ შევიდოდა, დაჯდებოდა. ზრ'ს აესე. — ვინ კითხულომს უპასპორტო კაცსა, არ უშვებენ, არ იცი შენ?! — პასპორტი გვინდა, პასპორტი გვინდა! ყვირიან იქიდან ქორწილი ხალხი, დაძახული. — არა მაქ, არა მაქ! — ეს ნიახტი ამომს — არა მაქ! რის პასპორტი... ამი-ამიობაში ამოიღენს, ქაღალდში ქონდა გახვეული, რო: — აჰა, თქვენი პასპორტი, გენაცვალე, მიირთვით! მაშინ დაუშვენდნენ და მაშინ ამბავი გაგრძელდებოდა. ქორწილი, თამადა-რამე, დალოცა, თამაში — ყველაფერი! ასეთი ქორწილი იყო და ვისაც არ შიეძლო, იმას არც ქორწილი ქონდა და არც... დაუჭერდა ხელსა და წაიყვანდა, ქმარი. ასეთი ამბავი იყო. ძველი ამბავიც ასეთი იყო!

...მაშინ მანქანა არ იყო. აბა, ცხენებით! ცხენით უნა მეგვეყვანა. ახლა ე ცხენიც რო მოიყვანდნენ არა, მიუგდენდნენ ვერძსა, ვერძი'ნა აწიოს დედოფალმა, რო კაი დედოფალი იყვეს. თუ ვერძ დაუყენენდნენ, თუ არაყის ქვაბ დაუგდენდნენ, რო ქვაბი'ნა ასწიოს და აიტანოს ცხენზე. ზოგი რო კაი დედოფალი იყო და სულ ერთდროულათ ზდაროვი იყო, აიტაცემდა ვერძსა და გაისვრიდა ცხენზე. აი ასეთი ამბავი იყო — შორ გზიდან და ახლოდან არაფერი, სოფლიდან არაფერი! (როცა შორიდან მოჰყავდათ პატარძალი, მაშინ იყო ამ წესების დაცვა სავალდებულო მ. ბ.).

...ჩემი ბიძა იყო. ხო გითხარი წეღან, რომა მე რა, რას ვიტყოდი რო ამას წაჭყვე, ეს არ მინდა... — ვერ გავბედენდი, ბიძაჩემ ვერ გავუბედენდი ვინც მოვიდოდა, გააბრუნენდა ეს ბიძაჩემი, არა, ვისთვისაც არ უნდოდა ჩემი გათხვიება იმისთვინ. რო მოვიდოდა, არც „ვინ"-ს ვინმე მეკითხებოდა და არც „რა"-ს — გინდა არ გინდა, ამას'ნა წაჰყვე, გეტყოდნენ. თხუთმეტ წლისა ვიყავი, რა ვიცოდი მე ან ისა და ან ისა. ვბედენდი ახლა რამეს, რო არ მინდა, არ წაჭყვები?! — ვერ გავბედენდი! ასეთი მაშუალი მყავდა. იქიდან მოვიდოდნენ ორი-სამი კაცი, გარიგდებოდა საქმე, სჰამდნენ, სვენდნენ, გაივლიდნენ, წავიდოდნენ. მერე ბეს, ნიშან გაჭცვლიდით. კიდე სამი-ოთხი კაცი მოვიდოდა, აქეთ ოჯახს ხო დაპატიჟებული უნდა ყავდეს! — გაივლიდა, წავიდოდა: ქორწილიც ამადამ დროს'ნა ვქნათ — გადასწყვიტენდნენ. მაშინ მევემზადებოდით ჩვენცა და ის ნეფის პატრონიც: — ქორწილი'ნა ვქნათ!

## ხელსაქმე

რო დავჯდებოდით, არა, სირამ მამალს ეყივლა, თითო-ოროლი კალთა უნდა წემეგვემსო (დართული ძაფით). მაშინ შალებსა ვქსოვდით, რო სად იყო... ხო კასტუმ-შარვალი არ ეცვათ. უნდა დეგვეჩეჩა... ჯერ უნდ გეგვერეცხა ის მატყლები. მერე'ნა დეგვეჩეჩა. გაჩეჩა, საჩეჩარზე! მერე დეგვერთა უნა, დეგვეძახა, მიგვეცა... მეშალეები გვყავდა ვინც ქსოვდა შალებს. იმითვინ'ნა მეგვექსოვინებინა, გადმოვიტანდით. მერე იმ შალებსაც მოუთელავათ არ იზმოდნენ, ი'ნა მიეთელათ. შალი თუ არ მოთელე, ისე არ იზანს. აიმ სკამზე დავადენდით ლოგინსა, ამ სკამზეც ლოგინსა, არა, და შუაში აი ლასტი რო არი აი, თევზების ლასტი, ხო უნდა დააჯდე ზედა, დაწვებიან ზედა, ოჩხებზე რო გამართებენ ლასტსა ისე. ისინი იქიდან, ორი კაცი იქიდან დაწვებოდა, ორი კაცი აქედან. ჩაიდებდნენ ამ შუაში შალსა. ავადუღენდით წყალსა, ცხელ წყალში ამოვავლენდით, დაუდენდით იმაზე. ის იქიდან დასცხენდა ფეხსა, ეს იქიდან, ის იქიდან — ეს იქიდან. ეე, ბრაგა-ბრუგი ატყდებოდა რო! — თუ ფეხი არ დაცხე, რითი'ნა მოითელოს შალი. ასეთი ამბავი იყო. ორჯერ-სამჯერ საქმელი'ნა გვექმევინა, სულ კარგი საქმელი იმ მეშალეებისთვინა, რო სთელენდნენ შალს. რავი, ათას კაი სადილებ გავაკეთენდით. ხინკალ გაუკეთენდით, ქათმებიც უყვარდათ, დავკლენდით. ხორცი-რამე მაშინ ბევრი ქვონდა, აპოხტები. საქონელ ვკლენდით ხოლმე, ბერწ საქონელსა. ...ასე ვშვრებოდით. ხო-დავართენდით ძაფსა, მივცენდი, ვინც შალ ქსოვდა დაზგაზე, რაგორც ეხლა ფარჩას არ ქსოვენ?! იმეებში, დაზგებში არ ქსოვენ?! ისე იქსოვოდა ისიცა, შალები. მოქსოვილი ითელებოდა. ერთი ცხრა-ათ მეტრას, ერთი ოც მეტრას მოვაქსოვინენდით ხომე, ვისაც ოჯახში კაცი ბევრი ჰყანდა, ჩოხა-შარვალ იკერენდნენ, მაშინ ნართი ბევრი ქვონდა, მატყლი, ცხვარი და... მატერია როდი იყო, რო გეყიდა და შეეკერათ შარვლები ან რამე. სულ მოქსოვილი შარვლები ეცვათ კაცებს. ქალებსაც — მოვქსოვდით კასტუმებ, რამეს და იმას ჩავიცმევდით. ასეთი ამბავი იყო!

...ნაბდებს... ნაბდები რო ქვონდა ხომე. დაადგმდნენ მატყლსა და მოსთელენდნენ. ქელენდნენ, ქელენდნენ, ქელენდნენ... გახდებოდა... თბილი ნაბადი, მატყლის.

— როგორ თელენდნენ?

— რავი ქელენდნენ, ზოგი გასცხენდნენ, გატყეპენდნენ. მატყლ როგორ ვრეცხამთ, არ იცი, სატყეპლით. ააგენდნენ იესე შუაგულზე და ქელენდნენ მატყლსა და გაკეთდებოდა მალე ისა. ფერადსაც... თუ შავი ქვონდა, აურევდით, შავ მატყლსა და აჭა, აქ შავი, აქ თეთრი და ჭრელი გამოდიოდა, ლამაზი გამოდიოდა. ასე ვხმარონდით მაშინ შალებსა.

ფიჩვებსაც... ვინც შალ ქსოვდა, ისიც ფიჩვებს ქსოვდა, ფერადებ ვაღებინენდით ყველა ფერათა და თუ ფერადიანი ფიჩვი მინდოდა, ფერადიან ფიჩვებ მოვაქსოვინენდით. ზოგი ენდროს ვეძახდით, ზოგი კოწახურს ფესოს ამოუთხრიდით და ყვითლათ იღებებოდა. ენდრო წითლათ იღებებოდა. კაკალი! კაკალი ხო შავათ იღებებოდა, ამიებს მოანგროვდნენ და ვინც იცოდნენ, შეღებენდნენ. ხო მოვკრიფენდით იმ ენდროსა, არა, დავნაყენდით, დავნაყენდით, ჩავყრიდით ადუღულ წყალში, ავადუღენდით წყალსა, თუ ძმარი უნდოდა ვთქვათ, თუ მარილი უნდოდა, შევაგემემდით, რაგორც საჭმელი შეაგემო. მერე ჩავდენდით იმ ნართ დავხეფენდით იმ ნართსა, ეხლა აქ იყიდება ნართები, დახეფულები სულა. აესე დავხეფემდით და ჩავდენდით წყალში და შევღებენდით. ფერი სხვადასხვა ქვონდა გაკეთებული. წითელი სხვა ქვონდა, ყვითელი სხვა ქვონდა,

— ცხელ წყალში ჩადებდით? მ.ბ.

— ცხელ'ში, ცხელ'ში! — ადუღულ'ში. ადუღულ წყალ'ში ჩავდენდით, რო ხო'ნა, გამოიღოს ფერი იმან და იმანაც'ნა მიიღოს ფერი. პატრა ხან ვადუღენდით, ერთი ნახევარ საათს ვთქვათ იმ ნართსა და მერე გადმოვიღენდით დთ ამოვწურენდით და გავფინენდით.

— მშრალს ჩადებდით?

— შრალ ჩავდენდით, აპა, შრალ ნართ ჩავდენდით, დახეფული ქვონდა, ვთქვათ, რაგორც თავრობაში... (როგორც მთავრობა ყიდის ეხლა, მ.ბ.), აესე დავხეფენდით ჩვენცა და ჩავდენდით. ის ერთი შეიღებებოდა ვთქვათ, წითლათ, იმას ამოვიღენდით, ახლა მეორეს სხვა ქვაბ შევდგენდით, რო: ახლა სხვაფერები'ნა შეიღებოს.

ხახვი ფუჩეჩ არ ღებენდნენ, ამიებ ღებენდნენ მარტო. წყლი პირზეც იყო, რაღაც ბალახი იყო, რავი. იქიდან მოიტანდნენ, ისაც კაი ფერი იყო.

***

წირვა და ლოცვა იყო ხომე... ქალი, კაცი ხო ერთათ არ ისხდნენ! ქალები ცალკე, გვერდებზე ისხდნენ ჩარდახებ'ში, კაცები, სადაც ის არი, ერთიანი. ასეთი ამბავი იყო.

იქიდან გამოვბრუნდებოდით, წამოვიდოდით. წირვას ვეძახდით. — წირვაზე წავიდეთო, — ვეტყოდით, — გევენდოთო.

ვინც რო ჯვარ დაიწერენდა, უნდა განდობილიყო ღვდელთან. უნდა მისულიყავი და ვთქვათ, რაც იცოდი რო, რაც გექნა, რაც არ გექნა, უნდა იმისთვინ გეთქვა. თუ არ ეტყოდი, ცოდვად ჩაგივარდებოდა. — სამა ხალხი! — რა მიქნია, უნდა უთხრა ღვდელს, ასეთი ამბავი იყო მაშინ, ასეთი. ეხლა ვისაც რა უქნია, ღვდელს ეტყვიან, რო ასეთი, ქურდობა ვქენე თუ, უკაცრაული ქართულია, ასეთი კაცი შევიყვარე, თუ... მაშინ უნდა გეთქვა ღვდლისთვინ, აუცილებელი იყო. გეენდობოდი.

ქმარიც'ნა განდობილიყო და დედოფალიც. გაუნდობლათ არ დაგწერენდა ჯვარს. მერე დილიდან ავდგებოდით, მივიდოდით, „წინ" ვეტყოდით: — წინ'ნა მივდგეთ, რო ჯვარი'ნა დაგვწეროს! მივიდოდით, გვაზიარენდა რაღაც, საღამოთი ავიდოდით და ღვდელი იქ იდგა, საყდარში და იმას გვიზმონდა, გვილოცენდა, გვირგვინებს ის დაგვადგმენდა ხომე, ასე გვირგვინი ხო იყო, ნა დეგედგა, ტოტებიანი.

— ეხლაც ეგრეა, მ.ბ.

— არი ეხლაც? ჰო?

**მექოშვილი კირილე, დაბ. 1906 წ. ასპინძა, სოფ. ხიზაბავრა, 1991.**

## ზღაპარი

არჯი — მონადირეს ვეძახდით არჯ. ძველი სიტყვა არი, თათრული. თურმი დადიოდა, მონადირე, გავიდა სანადიროთ. ერთი კურდღელი წამოუხტა ამასა და გადმოიღო თოფი, ესროლა და მოკლა ეს კურდღელი ამ მონადირემ. თქვა რო, ეს პატარა რამეაო და ამით რა გახდებაო. ამას შევსწვამ, აქეე შეეჭამ ამას და სხვა დიდ ნადირ მოეკლან და წავალ მერე სახ'შიო. აანთო ცეცხლი თურმე და შეწვა, გადმოიღოს უნდა ეს კურდღელი'ნა შეეამოს'ნა და გაცოცხლდა ეს კურდღელი თურმე და გაიქცა და წავიდა. გაეკიდა მერე ეს მონადირე. ესვრის თოფ და არ ხვდება. არ ხვდება და მევრე ეს თავითავათ ლაპარაკონს ახლა ეს მონადირე. — ბეჭო, ასეთი რამე რაგორ შეიძლება, კაცო, რო ვესროდე თოფს და არ კვდებოდესო და შემწვარი კურდღელი გაცოცხლდეს და გაიქცესო. მერე მოტრიალდა, კურდღელმა უთხრა, რო ეგაო რა გიკვირსო, დიდი ამბავი თუ გინდაო, რო, ესე იგი, შენ გაიგოო, წადიო და კირაკოზაანთ სარქისას კითხეიო, დიდი ამბავიო, გასაკვირი ამბავიო იმას კითხევიო. ამან დაფიქრდა და, დაფიქრდა, თქვა: — ბეჭო, სად ვიშოვნო, ვინ არი ეს კირაკოზაანთ სარქისაᲘ და რა არი, საიდან... დაანება თავიო ამ კურდღელსაო და წამოვიდა თურმე და დაიწყო კითხვა. კითხვა-კითხვით თურმე მიაგნო სამი თვი მერე ამ კირაკოზაანთ სარქისას. მივიდა, თურმე ამას ცხენები უბია, კალო უბია თურმე ამ კირაკოზაანთ სარქისას. — გამარჯობა შენი, კაცო, კირაკოზაანთ სარქისაᲘ შენა ხარ? — მე ვარო, — უთხრა, — რა გნებანსო.

— ერთი ამბავი მინდა გავიგო შენთანაო იესეთი-იესეთი.

— მოდიო, ჯერაო ეს კალო გაელეწოთო, შეეახვავოთ, გამოვანიავოთ, ბზეო თავი ადგილზე შევიტანოთ, პური თავი ადგილზეო და მერე მოგიყვები ყველაფერსაო, ამამ უთხრა. მართლაც, ამამ უთხრა, რას ლაპარაკონ, სამი თვე მე შენ გეძებ და არ მოგეხმარებიო? მეეხმარა

თურმე და გალეწეს კალო, შეაგვრიეს, გამოანიავეს ხვავი-რამე და შევიდნენ და მაშინ უთხრა, კაცო, მეო შენსავით... შენსავით მონადირე ვიყავი მეო, დავდიოდი, მამქონდა სულ დიდი ნადირის ხორცეო, ირმისაო და რამეო. ეხლა ერთ-ერთი კაცი შემხვდა, მეგობარი კაციო და მითხრაო, შე საწყალოო, სარქისო, რათ გინდა რო წვალომო, შენი ცოლიო სხვას ყვაროფსო, სხვა ყანს კუროო. რას აქმევ, რატო აქმევ, რაზე წვალომო. — ტყვილი კაცოო, ჩემი ცოლი მაგას არ იზანსო.

— თუ ტყვიილია, ესე იგი, უდროოთ მიდი შენაო, შენ საათებში არ მიხვიდეო და მოახელამ იმ კაც ზედაო, შენ ცოლთანაო. მართლაც, მეორე დღეს უდროოთ მოვიდა ეს კაცი და მოახელა ეს თურმე, ეს თავის ცოლის საყვარელი. თავის ცოლი ყოფილა თურმე გაეშმაკინებული ქალი და ქონია თურმე ჯადოსნური ჯოხი, პატარა ჯოხი თურმე და: — შენ რატო ჩემი საყვარელი გაიგდეო და დაარტყა ამას და უთხრა: შენაც გამხდარხარ, ესე იგი, ძაღლიო. გამხდარა ძაღლი. (ეს კირაკოზაანთ სარქისაი ელაპარაკება ახლა ამას).

გავხდი ძაღლი, აიღეს ჯოხი, გამამაგდეს. წკმუილ-წკმუილით გამოვედი კარზეო. დემესნიენ თელი მეზობლი ძაღლები, დამახჩონ'ნაო და გავიქეცი და წავედიო, მინდორშიო. ჩავედი იქ მეცხვარის ზღვარში (სამწყვრეევ ის ხო არი, ზღვარ ვეძახით ჩვენა), იქ დავჯექი, ვიტირე, ვიტირე... გონება მაქ ადამიანისაო და ძაღლი ვარო.

მერე ვიფიქრე, კაცო, სოფელში ვერ მივალ. მოდი, ქალაქში წავალ მე, იქ ხო არი ქალაქში, ძაღლები: — ქაშვეთთანაო, სასადილოს კარებზეო, აქეთური-იქითური, ძვალ გადმოაგდებენ, პურის ნატეხსაო, რამეო და ვიცხოვრამ იქაო. ადგა თურმე და წავიდა ქალაქში. წავედიო. ჩავედი, რო ძაღლები არი იქაცაო, მივედიო ამ ძაღლებთანაო, აქეთური-იქითური...

გავხდი ისე რო, მარტო ძვლიები ვიყავიო დარდითა და რამითაო. ხალხი მიდი-მოდის, მესმის ლაპარაკიო, ხოლოთ ძაღლი ვარო. ზოგი ქვას მესვრისო, ზოგი რასაო.

გავხედე ერთ დღესაო. თაშიო მეცხვარიებსაო ძაღლები დახოციათო, რაღაც ჭირი გაჩენილაო და მეცხვარე ჩამოვიდაო, ერთი გრძელი ჯოხი უჭირანსო, გუდაში პური ვქო. გუდა ჰკიდიაო. მეთქვი, რო ამას აუცილებლივ ძაღლი ჭირდება და მოდი მე ეგები წამიყვანოსო. მაინცო თითო ლუკმა პურ ვჭამო, კაცო, მაქმევენ იქაო. მივედი, მიველაქუცე ამ კაცსაო, ამ მეცხვარესაო. მითხრაო, წადი, შე ოხერო, შენაო, არ გამოდგები შენაო მეცხვარიჰ ძაღლათაო. სადაც წავიდა, იქ გავჰყევიო, სადაც წავიდა, იქ გავჰყევიო და მერე თქვა, მოდი'ნა წავიყვანო ეს მუდრეგი, არ მცილდებაო.

ამოიღო პური მაჭამაო და გამიძღვაო და აველით მთაშიო. აველითო, მეორიებმა შემამხედესო და: ე, რა მოათრიე, რა არი ესაო. — ერთი-ორი თვე შევინახოთო და თუ გაიზარდა, გაიზარდაო, თუ არაო და აი

ჯოხიო, დავცხენ და მოვკლამ ამ ძაღლსაო, ამ მეცხვარემ უთხრა. ამათ სამშობლოდან მოუვიდათ ამხანაგებიო, მოიტანეს პურ-მარილი, დასხდნენ, დაიწყეს ქეიფიო. მეცაო, ცხვარი დაჰკლეს, რამეო და, ამოიღანს ხორცსაო, ცოტას შეშჭანსო და გადმამიგდემს მენო.

გავძეხი კარგაო და თვალში პატრა სინათლე მამივიდაო. ავდექიო და ცხვარი შერეკილია ფარეხშიო. ფარეხის კარი გადავანგრიე და მიველი, ჩავწექი ამ კარებშიო, რო მგელი არ შევიდესო.

ესენი... ამათ იქეიფეს, მიიძინეს ამ მეცხვარიებმაო. გათენდა დილაო და აღარ დგებიან ესენიო. გადავანგრიე კარებიო და გამოვრეკე ეს ცხვარიო, კუდს უქნევო, ვაბენნო და შევრეკეო და მთაში ვაძვიამ მენო, ამ ცხვარსაო. გამოიღვიძესო, მზე მაღლა რო ამოვიდაო და ნახესო, რო ფარეხში ცხვარი არ არიო. — ვაიმე, ყაჩაღებმა წაიყვანეს ცხვარიო, დაიწყესო აქეთ-იქით სირბილიო, რამეო. ამოვიდნენო, რო გარს ვურბენ ცხვარსაო და ისე ვაძვიამ მენო. მგელი ჩამოვარდაო, ერთი მგელი დავახჩე ერთი ცხვარი დამიჭრაო და ეჰ ცხვარი, კუდარი ცხვარი და ეს მგელი ერთათ ყრიანო, ორთანები დავაწყე ერთ ადგილსაო. რო ამოვიდნენ და დამინახეს, რო გარშემო უვლიდი:

— დედა, რა ყოფილა ეს ძაღლიო, კაცო!

წავავლე კალთაშიო სარქალსაო კბილებიო და წამოვიყვანე, დავაყენე თავზე ამ კუდარ ცხვარსა და მგელსაო და გადაირივნენ რო: — აი ძაღლიო! შემარქვეს გულთმისანი ძაღლიო. ყოველდღე მოხრაკულსა და შემწვარ მაპმევდნენ, გავსუქდიო, ისეთი გავხდიო, რო დათვივითაო.

ერთიც, ხენწიფესაო თურმე ბოვშვი უკვდება ცოლსაო. რაღაცაო, არტყანს, ჯადოსნური ჯოხი ვქ ვიღაცასაო და არტყანს და კლაენს ამ ბოვშსაო. უთქვია მკითხავსაო, რო ერთ ადგილას მეცხვარიებ ჰყანთ გულთმისანი ძაღლიო, წადით და წამოიყვანეთ ისაო და ის გაიგენს ამ თქვენ ბავშვ რა კლაენსო, ამ ხენწიფისთუნ უთქვიაო.

ამოსულან და ამოუტანიათ თურმე მოწერილობა ხენწიფისგან, რო აპა, თქვენი გულთმისანი ძაღლი'ნა გამამიგზავნოთ მენო. დაიწყეს მეცხვარიებმა ტირილიო, გულთმისანი ძაღლი ხელიდან გვეცლებაო, მაინც ხენწიფის ბძანება იყო, რა'ნა ექნათო. წამიყვანეს იქაო. (ეს ელაპარაკება ახლა ამას, ეს კირაკოზაანთ სარქისაკ, ამ მონადირეს). რო ჩამიყვანესო, მითხრაო ხენწიფემაო, რო აიო, ჩემ ცოლმაო ამაღამ'ნა ილოგინოს უნაო და შენ დარჩები იქაო და შენ გაიგემო ჩემ ბოვშ რა კლაენსო და რა არაო.

მაჭამეს, მასვესო, დამიგეს ლოგინიო, კრაოტიო, რამეო და ქალი ერთ გვერდზე წევსო თავი ბოვშვითაო და ერთ გვერდზეც მენო დავწექიო. ფხიზლათ ვარ ახლაო, ნეტა რა ჰკლაენს ამ ბავშვსა! გავიხედეო, შუაღამი მერეო ერთი ქალი მოვიდაო, ჯოხი უნდა დიეცხო, მიეკლა უნდაო. ჯოხი გამოვართვეიო და ეს გაიქცაო. მამეციო ჯადოსნური ჯოხიო და მითხრაო,

ბედს გწევო, აუცილებლივ, იეგ ჯოხი მამეციო და ერთ დროს ბედს გწევო. ავწიე და მივეცი ეს ჯოხი ისევაო. გაიქცა და წავიდაო.

...რო შომოვიდნენ ესენი, ცოცხალი დახვდათ ბოვშვიო და მაშინ გაიმართა ქეიფიო, მე დამსვეს სუფრი თავშიო, მაბანეს ოქროს წყალშიო, ...ეს ეხლა იმაჰ გაუმარჯოს, ვინც ჩვენი ბავშვი გადაარჩინაო, ყველამ დამლოცაო და მეც თავ ვუქნევ სუყველას, მადლობას ვუხდიო და საბოლოოთ სამადლობელი გადავიხადეო, პირში ჩამასხეს ღვინოო. ა

სეო, და მერე მითხრაო, რო, ბოვში ხუთი-ექვსი წლისა რო გახდაო, დაფიქრებული ვიყავი ერთ დღესაო და, მითხრაო, შენაო, ჩემო გულთმისანო ძაღლოო, რაღაცაზე ფიქრონ შენაო, მოდიო შენაო, ოქროს შეგაბამ ყელზეო, ტოპსიკითაო და აუტანე შენ მეცხვარიებსაო საჩუქარიო, რო ასეთი ძაღლი გაგზარდეს შენაო.

მეო უთხარო, — მადლობთო, — თავი დაუქნიეო და მე ვიფიქრეიო, მოდიო, ჩემ ცოლ მუუტან ამ ოქროსა, იქნებ ადამიანათ გადამაქციოს ისევ ისევეო. მივედიო, შუაღამეს... მუუხვიე და მიველი ამ ჩემ სახშიო ისევაო. ეს საყვარელი მუუყვანია, თავისთან ჰყანს, ამ ჩემ ცოლსაო. რო შემომხედაო, რო ოქროჰ წყალში დაბანებელი ვარო, ეს ტოპრაკი მკიდიაო, მოვიდაო, ხელი გადამისვაო, ეს ოქვრიები მამხსნა ყველაფერიო და აიღო ჯოხიო და:

— ახლა იქნებ გადამაქციოს ადამიანათო.

დამკრაო და:

— შენაც ქცეულხარ ტრედათაო. გამხადა ტრედიო.

აიღეს ჯოხი ამ ორთავნებმაო და დამცხეს, დამცხეს და გამაგდეს ისევ ისე მინდორშიო. დამესია ქორი, ყვავი და გამგლიჯონო'ნაო რა. ვიფრინე, ვიფრინე და ძნა იდგა ერთ ადგილასაო. ძნა ხო იცი? — ძირი! ძნაში შევძვერიო და მიტრიალეს, ვეღარ დამიჭირესო და გაიქცნენ და წავიდნენო. ერთი საათი არ გასულა, ნახოთ პატრონიც ჩამოადგაო, ამ ძნის პატრონიო, რო წაიღონ'ნა კალოობა არიო.

ერთი რო ამოვიდაო ზედაო და ჰყრაშო ორთითითაო ამ ბჯასაო, მეორე უდამს ამ ურემზეო. და ფერით... გამამიჩნდაო (გამოვჩნდიო მ. ბ.). დამიჭირაო და მითხრაო: ოჰ, რა სუქანი ტრედია, რა სუქანი ტრედია, სადილი გამოგვივაო. მეორემ უთხრა, ბიჭო, არ მოკლა, შე კვდარძაღლოო, ტრედიო, ხო იცი, რა კარგიაო. ეგ წავიყვანოთ სახშიო. გამოართვაო ამამო, გაისხსნა ეს გულიო და ჩამისვა ამ უბეშიო. სანამ დაუდეს, სანამ მე აქეთ-იქით დავრბოდი ამ უბეშიო, რო არ გამქყლიტოს ამ კაცმა!

დაუდეს ურემი, მიმიტანეს კარვამდეო. ხალხი სამსე იყო იქაცაო, ამოიღო ეს ტრედიო უბიდანაო ამანაო და უთხრაო, — აი რა ტრედი დავიჭირეთ, სუქანი ტრედი! გამოვიდა ერთ-ერთი ქალიო. ქალმა უთხრა, ბიჭო, დაიცა არ მოკლა ეგ ტრედიო. მე გამოგიყვანთ ქათამსაო, ერთ დედალსაო, ეგ ტრედი მამეციოთ მეო. — აბა, გამოგვიყვანეო! ამ ქალმა,

გაიქცა, გამოიყვანა ქათამი, დედალი, მისცა, — გამოართვა ჩემი თავი და წამიყვანაო. წამიყვანაო, რო შორ გავცილდითო და მითხრაო, შე საწყალო, რა დღეში ხარო. ბიჭო, გამიხარდაო, კაცო: — ვინ არი ეს ქალიო?! — იციო, მე ვინ ვარო, მე ვარ ჯადოსნური ქალიო, ხენწიფის ბოვშ რო ვკლენდი ხოლმე, მე ვიყაიო და რო დამიჭირე ე ჯოხი წამართვიო და მამეციო, ხო გითხარი, ბედ გწევ ერთ დროსაო, აეხლაო ნუღარ გეშინია, ეხლა გამოგაცოცხლამო. მიმიყვანა თავი სახშიო, დამცხო თავი ჯოხიო და გავხდი ისევ ისე კირაკოზაანთ სარქისაიო. იმ ღამეს მაჭამა, მასვა და მითხრაო, რო, რო დაღამდება და დაბნელდებაო, აგერ შენ ეს ჯოხიო და მიდიო და შენი ცოლი და შენი ცოლის საყვარელი ერთათ ცხოვრობენო. შედიო და შენი კარები ხო იცი, სეკრეტიო, გააღეო და რათაც გინდა იმათ გადააქციეო შენ ახლა ისინიო. ავდექიო, გამეხარდაო, წავიღე ეჰ ჯოხი და მიველი, ჩემი კარები გავაღე, რაგორც რო შეველიო, ორთანებ ერთათ წვანანო. მეთქვი, რომელ დაფცხო, რომელ დაფცხო! აბა, შენ რომელ დასცხან, აბა თქვი, ა!

— ცოლს! მ.ბ.

— რათ'ნა გადააქციო'ნა?

ვთქვრ, რო ვაითუ ქალმა გამოიღვიძოს, ჯერ ცოლ დავარტყიო, — შენაც ქცეულხარ დედალ ცხენათაო! — წამოვარდა, გახდა ცხენიო. დაიჭიხვინაო და შევიყვანე ბოსელში, დავაბი, ავიღე ჯოხი, კარგა ვგვებეო ესაო. მერე შემოველი, საყვარელსაც დავარტყი: — შენაც გამხდარხარ მამალი ცხენიო და ესეც მამალ ცხენათ ვაქციეო. შევიყვანე ახლა ისიცაო, ავიღე დიდი ჯოხიო: — დაგა, დაგა, დაგა! სულ ვახტუნე აქეთ-იქითაო. აგერაო ესენია აგერ წყვილათაო. მერე მეორე დღეს ავდექიო, გამოველიო:

— მკოდავი ვინ არისო? — დავაკოდინე ეს ცხენიო, ამ ჩემი ცოლის საყვარელიო. ახლაო კვირაში ერთხელ ძლივ წყალ ვასმენო (!), ვცემო, ვკვებამო და არ იხოცებიანო.

— ეხლა მითხარი, შენ უფრო დიდი ამბავი მოყევი, კურდღლისაო, თუ მეო.

— არაო, შენი ამბავი დიდი ყოფილა უფროო და გამეემშვიდობა თურმე და გაიარა და წავიდა, — ეს კაცი, ეს მონადირე და კირაკოზაანთ სარქისაჲ დარჩაო. ასეთი ამბავი. ჭირი იქა და ლხინი აქა, ქატო იქა და ქბილი აქაო, სამი ვაშლი მოგორენდაო, ერთი თქმელსაო, ერთი მოლაპარაკეს, ერთი მეო! — სამივე თითონ აიღო.

## ჩვენი ცხოვრება

...წვრილშვილიანი ვიყავი, ამირჩიეს დეპუტატათ, როგორც მოწინავე კაცი, ჰოდა, ახლა ხელი მოწერა არ ვიცი მე̄ რო ზოგს საქონელი უკვდება, ზოგს რაღაც... ერთი-მეორე... ჩემი ძმები სწავლონდნენ, ეხლა ჯარში არიან დაღუპულები ორთავენი, ჩემზე პატარები იყვნენ ისინი!

ჩვენ გავიქეცით... ესე იგი, მე შკოლას ჩამოვრჩი, თათრებმა რო გაგვაქციეს აქედან თვრამეტ წელში, ჰოდა ვეღარ ვისწავლე და დავრჩი უსწავლელი კაცი. მერე დეპუტატი რო ვარ, ბავშვებს შევეხვეწებოდი ხომე, ჩემ ძმებ რო, ბიჟო, ასოები მასწავლეთ მაინც, რო ხელი მოწერა ვისწალო... მერე გავიგე... „ია"- ს, „ა"- ს დაჭწერდი ხომე, დღეს, ხვალ. მერე ასე-ასე ბიბ-შკოლები გამოვიდა, ბიბლ-შკოლას ეძახდნენ, უცოდინარ ხალხის სასწავლებლები თავრობამ დაარსა. ოცდათორმეტწლიებში! მერე ახლა... ვისწავლე ხელის მოწერა, ერთი-მეორე, აქეთური-იქითური და... მერე მოვიდა ტეხნიკის კურსები! ადგნენ და მითხრეს — მოდი და წადი შენაცა, სკოლაში.

ასპინძაში ვსწავლონდი მერე, მანდ. დღისით ნახაზურებს ვაკეთებდით ხიდებისა, რამისა... ღამე ამოვდიოდი, ჩემი უფროსი ძმა ბუღალტერი იყო აქა, ის აღარ არის. შვიდი ძმანი ვიყავით. შვიდი ძმანი! სამი ჯარში დაიღუპა, ერთი ქალაქში ცხოვრონდა, თბილისში, ერთს ელიოზაჲ ერქვა, თბილიში ცხოვრონდა, ერთს იაკოფი ერქვა — რომელიც ცხოვრონდა აქ, მუშაონდა რა! ის... უფროს გაბროჲ, გაბრიელი ერქვა, მეორეს სტეფანეჲ ერქვა, მესამეს პავლეჲ ერქვა, ასე რა... ჰო, ისინი აღარავინ არ არი! ორი და გვყანდა, ცხრანი ვიყავით. ჰო. აღარც და მყანს, აღარც... მარტო მე ვარ ცხრა სულიდან დარჩენილი.

ვისწავლე მერე ასე. დამნიშნეს მერე გზის ოსტატათ. ისე შევისწავლე... ადამიანის მონდომება მითხარ შენ, ადამიანი რო მოინდომამს, რა, ისე შევისწავლე, რო, აი, მერვე კლასისა, საშუალო დამთავრებულების ერთათ გათანაბრებული ვიყავი. თელი... ხიდებზე... თელი დაგობა გზისა... გზა მებარა. ეს გზა ჩემი გაკეთებულია სულ, ამ ხიზაბავრის გზიები, მერე ნიალისკენ... შალოშეთში ვარძიის ხიდი, ეგ ასპინძის ხიდი, ქვეით ჩახვალ, ახაშნის ხიდი, რა ვიცი, რომელი ხიდები არ გინდა

## დალი პავლეს ამბავი

...პავლეჰ, დალი პავლეს ეძახდნენ ესე იგი, თათრები. ეს კაცი ყოფილა, მგონია, ნოსტე რო არის, სააკაძის სოფელი, მაგ მხრიდან, რა... კავთისხევიდან ყოფილა ეს კაცი, მგონია... შენ იცი, არა საბე, ესა?

— პაპაჩემის... ბებერაჩემის პაპა იყო დალი პავლეჲ, ბებერაჩემის

პაპა იყო. ხოდა ეს კაცი ყოფილა ბატონთან (ჩართულია აქ უეე?), ბატონთან ყოფილა თურმე ეს კაცი, როგორც მოურავი. თან ყმა ყოფილა ამისი, ბატონისა, იქაური ბატონისა და შეყვარებია ერთი გოგო, თამარი ჰქმევია ამ გოგოს, ქალიშვილს.

ეესეც ყმა ყოფილა რა, ამ ბატონის. ხოდა, მისულა ამ გოგოს, უთქვია, ისაო, ბატონ უთხარი შენაო, შიეკითხეო, ჯვარი დაგვწეროსო. მიდიო და შეეხვეწევიო. მისულა, დამხობია მუხლის წვერზე და უთქვია, ბატონო, ასეო, ეეს გოგო მიყვარს მეო და, აუცილებლივ ჯვარი დამწერეო. ამას უთქვია, შე ოხერო, შენაო, წადიო მთაშიო, საქონელიო, ცხვარი ნახე, ერთი-მეორე, ყველაფერიო და შემდეგში იქნებაო მაგის საკითხიო. ამდგარა წასულა ეს პავლეი. ცხენით-რამე გამოწყობილი, კაი ხანჯალი, ყველაფერი იარაღით. ასულა, დაუმთვალიერებია, ერთი-მეორე და ამასობაში გასულა ერთ კვირაზე მეტი, ათი დღე.

თურმე ამ ბატონს, ეჰ გოგო ახლა ამას უნდა თურმე, ეს თამარი. ანდგარა, გაუგზავნია თავისი მოურავები, ღამე და გაუკრიათ ხელები და მოუყვანეს ძალით ამ ბატონთან ამ ოხერს გაუუბედურებია თურმე ეხლა... მერე ამ გოგოს უფიქრია, ახლა თურმე, რო პავლეს რაფერ შევხედო ახლა პირზეო და წასულა და დაუხჩია წყალში თავი. ჰოდა, ინდღეს კაკრაზ გასვენება იყო ამ ქალიშვილისა, და ეს პავლეი ჩამოდის თიდან, რო მოდის ერთი მოხუცებული ქალი თურმე. მოდის და ზუზუნონს, ლაპარაკონს თავისთავად, რო ესე იგი: ეს რა გვიყო ამ ბატონმაო, ამ ოხერმაო, ერთი-მეორე — რა არი, ბაბო, რაშია საქმე, ეს ხალხი, რა ამბავია, სიდან მოდისო.

— ეეჰ, (თურმე ვერ ცნობულონს ამ პავლეს ეს ბებერი, ეს მოხუცებული) ჩვენი ბატონის ხელშიო ყველაფერი დაგვემართებაო, რას იზამო, პავლეს ყვარებია ის გოგოო, თამარიო, ლამაზი გოგო იყო ერთიო. ჯვარი'და დიეწერა უნდაო და გაუგზავნია ის მთაშიო და მუუყვანიათო და გაუუბედურებიაო და წყალში დაიხჩო თავი მაგ გოგომაო, რო პავლეს რა პირ(ით) შევხედო ახლა მე სახეზეო. ჰოდა, ის დამარხეს ახლა და იქიდან მოვდივარ სასაფლაოდანო. თამარიო! — ამამ უთხრა.
— კიო, თამარიო.

— უი, შემოირტყა თურმე ამან, ამ პავლემ და გამოვარდა ცხენით, თოფით. ცხენი თავლაში დააბა და შეუვარდა ამ ბატონ ოთახში, იძრო ხანჯალი და მისცა მუცელში და მოკლა ის ბატონი იქა. ადგა და გამოიქცა. ეს მესხეთი თურმე მაშინ თურქებს ეკავათ. გადმოიხოწა აქ, ეს კაცი. დასახლდა აქ, ხიზაბავრაში. ეს იყო თურმე ტატულაშვილი და გადაიკვეთა გვარი ტატურაშვილათ. ე, საროდან ქალი ითხოა ამან, ამ პალემ და ცხოვრონდა აქ, ამ სოფელში.

ამამავალ დროს ხერთვიში (თურმე ლამაზი ცოლი ყოლია ამას, ეს საროელი ქალი) ხერთვიში ფაშა მჯდარა თურმე, თათრის ფაშა. ვიღაცას

მუუტანია ამბავი, რო აბა, ხიზაბავრაში არი ერთი ასეთი კაცი და ასეთი ცოლი ყავს, ლამაზი, რო, ესე-იგი, შენ შიგეფერება. გაგზავნე შენი ჩაუშები და (ჩაუშებ ეძახდნენ ძველ... როგორ მილიცია რა, ეხლა ჩაუშებს ეძახდნენ...) ეს ჩაუშები გაგზანე და ჩამოაყვავინე ის ქალი შენთვისაო. ანდგარან და წამოსულან ეს ჩაუშები აქ, ამოსულან, აქ ყოფილა, უცხოვრია ერთი ფეზლოდ ყოფილა, კაცი, გათათრებული. აქაური კაცი ყოფილა და გათათრებული. აქ ყოფილან ორმოცდარვა კვამლი - რაღაც, თათრები. — გათათრებული ადგილობრივი ხალხი-რა!

და მემრე თურმე აქ ერთ კაცმა შეიყვარა ამ ფეზლოს რძალი და ამ ფეზლომ უთხრა: აქ აღარ შეიძლება ჩვენი დადგომაო, ადგა და თურმე გაიხვეწნენ თურმე. აი, ვანს აქედან ადგილია ერთი, იქ დასახლდნენ, იქვე ცხოვრონდა, მერე ოთაში, იდუმალას, ლაშხევში და მანდ დარიგდნენ. ინდუსას... ხო ეს სოფლები იცით თქვენ. ჰოდა, აქ დარიგდნენ და აქ ცხოვრონდნენ ეს ხალხი, ეს თათრები, ეს ჩვენებური კაცები.

მე... ხადურში წვეულებაში ვიყავი, ერთი ბებერი ქალი იყო, მითხრა, შვილო, საიდანა ხარ, მე უთხარ, ხიზაბავრიდან ვარ-მეთქი. — ვისი შვილი ხარ! - მე უთხარი — გიგოსი! რა იცი, იცნობ-მეთქი! — მითხარი შენაო! — მე უთხარი გიგოსი ვარ-მეთქი, მექოშვილი გიგოსი. — ვაიმეო, ის ჩვენი სახლი არისო, ლომანაათ სახლი ყოფილა ეს თურმე, ლომანაანთი. ჰოდა, გადმეხვია ეს ბებერი ისაო, ჩემ ოჯახში გაზდილი ხარ შენაო.

ჰოდა, ახლა მივიდეთ ამ ჩაუშებთან. მოვიდნენ თურმე ამ ფეზლოსთან და უთხრეს, რო აბა, ეს და ეს ქალი'ნა გავიყვანოთ ჩვენა! ფეზლოდ დაფიქრდა თურმე, ეს ვაქკაცი... თავარი ვაქკაცია თურმე ეს პავლედ და რაფერ დაანებავს თავს ამ ქალს, ან თავს მოიკლავს, ან ამათ დახოცავს. ჰოდა, ამ დროს ამათ ეტყვის, ამ ჩაუშებს, ეს თათარი, ეს ფეზლოდ, რო მოდი ასე ვქნათო, გლეხის ცოლი არიო, დღეს დაიმორცხვეფსო, დაისუფთაოსო, ჰოდე, და ხვალეო, დილაზეო... ამაღამაო კლიტე დავადოთო კარზეო, კლიტე დავადოთო და იყარაულეთ თქვენაო, ჰოდა, დილაზე წაიყვანეთ თქვენ დასუფთავებული, დარეცხილიო.

ესენი ასე დაიმედა, ეს ისინი, ჩაუშები და, თითონ ადგა და თურმე მივიდა ამ პავლესთან და უთხრა: პავლე, შენ თავზე ასეთი და ასეთი ამბავია, ჩაუშებია, შენ ცოლ გართმეკენ! შენ, ვიცი, შენ ცოლ არ გაატან, არ დაანებამ იმათა და სულ დახოცამ იმათ. მერე ამოვა ფაშა და გაიოხრამს სულ, თელ სოფელს გაჰწყვიტამს ამდენ ხალხს. ასე ვქნათ, მოდიო, მეორე მხარიდანაო, მე ყარაულ დავაყენამ კარებზეო, და მეორე მხარიდანაო გაანგრიეო ეს მიწური სახლიო, კედელი ჩამოიღე იქიდანაო, ერთი ცხენი შენა გყამს, ერთსაც მე მოგიმზადამო, ჰოდა, ამაჰ (დარი პავლეს) ყოლია ქალ-ვაჟი, ბიჭი და გოგო — ტეფოდ... სტეფანედ...

ქალი: — ჰო , პაპაჩემი(ჰ) მამა იყო, ბებერაჩემის პაპა იყო ტეფოდ.

— ას ოცდაათი წლისა მოკვდა ეგ სტეფანედ

— ას ოცი წლისა მოკვდა!
— ას ოცდაათის.
— ასე აკანკალენდა სულ!
— მეც მახსონს ის კაცი.

ჰოდა, გაიქეცი და წადი მერე ასე წალკაზეო, ...დილაჰ რო მოვლენ და კარებ რო გააღენენ (!) და შემოვლენ, რო არავინ არ იქნებაო, რას იზმონენო, ადგებიან და წავლენო. მართლა ამ კაც უფიქრია... გაუკეთია... თურმე რკინი კეტი მისცა ამან, ამ ფეზლომ, კირკა-რამე და ჩამოიღო ეს კედელი, თურმე, სახლისა შიგნიდან, უნდა გიეყვანა ცხენი, ცოლი, ეს ბავშვები... გაიარა და წავიდა თურმე, ღამე. გაიქცა.

დილიდან ახლა გათენდა თურმე, ამ ფეზლოს უთხრეს აპა ჩაუშებმა, აპა, გააღე ეჰ კარი... მოდი, გავაღოთ და წავიყვანოთ ის ქალი. გააღეს კარი, შევიდნენ, რო — აღარავინაც არ არის, განგრეულია კარები და გაუვლია — წასულა, ეს კაცი. მაშინ გაიქცნენ ფაშასთან თურმე საჩივ-ლელათ, რო ასე-ასე მოხდა. იმან... დაავლო, გამოგზავნა ჯარი, ხალხი... თელი ეს ჯავახეთი მოიარეს თურმე, ვეღარ იშოვნეს, გაასწრო ამან. ასე ბალანთაზე და ჭიხარულზე, ტაბაწყურზე და გადაიარეს და გადავიდა იქ, წალკაში, წალკიდან მერე თფილისში. გაიქცა და წაიყვანა ამან.

ახლა რა ხდება! იქ რო ჩადის, ცოლი ღედელ დაუყენა მოჯამაგირეთ, მომვლელათ, ღედელ — თფილიში. (მაშინ ხო ეგრე არ იყო გაშვებული, მარტო ავლაბარი და ეგენი იყო, დანარჩენი მინდორი იყო). თითონ გავიდა ნახირში, მენახირეთ. ნახირში დადიოდა თურმე ქალაქის ხალხისა, ძროხები ყავდათ.

მერე პასკევიჩი რო შემოვიდა, რუსეთი, იკითხა, რო: — მე ახალციხის აღება მინდა, ხოლოთ მოკლე გზით მინდა, რო გადავიდე, აწყურში დიდი ჯარი ყავსო თათარსაო, თურქეთსაო მონგროვილი, ასე ვერ წავალ ბორჯომიდან აწყვერზეო. მე მინდაო, სხვა გზით შევიდეო, რო დავეცეო ახალციხე(ჰ) და ავიღოო.

ახლა რა ხდება აქ: სანამ ისინი აქ მოვიდოდა, მე თავჯდომარეთ ვიყავი ვარგავში, ვარგავი იცი სოფელი? სარველი არსენაჲ იყო ერთი, თავჯდომარეთ იყო ისა, მე და ამას ჩაგვაბარეს გამოქცეული ხალხი, ხრამესი კეთდებოდა და წავიყვანეთ 32 კაცი. რო გადვიარეთ ტაბაწყურს იქიდან, სერზე რო აველით და გადავიხედეთ, იქ მენახირე აძვიემდა ხარს, კოლმეურნეობის საქონელ, დავსხედით იქა და იკითხა, ვინა ხართ, საიდან ხართ. მე უთხარი, მე ხიზაბავრიდან, ესეც — საროდან არი და ვარგავში ვარ თავჯდომარეთ, ესეც — საროში.

მერე ამ კაცმა დაიწყო, აი, პავლესაო, დალი პავლესაო, თქვენებურ კაცსაო, იმამ დალი პავლეჲ არ იცოდა, ვინ იყო და ვინ არაო, — თქვენებურ კაცსაო აქაო დაუხოცია ყაჩაღებიო. რო გარბოდა თურმე, გადგომიან ყაჩაღები, ამას. ეჰ შეხედეს: ქალი ლამაზი, ცხენ წავართმევთ,

ამ ქალ წავართმევთ და ამას მოვჰკლამთო.

ჩავიდნენ, ერთი უთხრეს, რო ჩამოდი ცხენიდანაო. თითონ მეორიები იქით გვერდზე არიან ყაჩაღები... მივიდა და: — ჩამოდი ცხენიდან! — უთხრა. — რა გინდა, მივდივარ, მე ჩემ გზაზე მივდივარო — უთხრა. — ჩამოდი, შენი დედაო! — უთხრა, შენ თუ მოგიხდებაო ეგ ცხენიო, მეც კარგა მამიხდებაო, ეჰ ქალიცო! რო მივიდა და ჩამოაგდოს'ნა ხელით და იძრო ხმალი თურმე და გაუქნია, რა რო თავი წააგდებინა ამ ყაჩაღ. გადახტა თურმე ცხენით, გეეკიდა და ხუთნი იყვნენ, ორი გეექცაო, სამი მოკლა აქაო, ამ პავლემაო. გაიარა და წავიდაო. და ეს ქვიები რო არიო, სასაფლაოო, ისაო, ყაჩაღები მარხიაო, დაუხოციაო თქვენებურ კაცსაო, პავლესო.

— დალი — ესე იგი, გიჟი პავლეჲ, — თათრებმა შიარქვეს ასეთი სახელი.

...მერე ამ ნახირიდან დაუძახეს... თქვენს რო იქიდან გამოქცეული კაცი არის აქაც და იმას ეცოდინება ესაო, ამ პასკევიჩ მუუტანეს ამბავი. დაუძახეს ეს პაშკევიჩთან და უთხრეს, შენ იცი გზა ისეთი, რო გაიყვანო ეს ახალციხეში, მოკლე გზითო. ეგ არი, ჩემი საქმე არიო — უთხრა. ადგა თურმე და წამოიყვანა აქ წალკაზე და ამ ტამალის ტყეში კოხტა(ჰ) გზას უძახიან ეხლა და ჯარი ჩაიყვანა აგრე ტამალანდი, პასკევიჩმა, დაესხა ახალციხეს და ახალციხე აიღო და რკინის ჯვარი დასვა აწყვერში.

მერე უთხრეს, რო მოდიო, თავადობას მოქცენთო, პავლეო, უთხრეს. — თავადების დედა ვატირე მეო, თავადების მტერი ვარო და მეო თავადი გავხდებიო და ჩემი შვილი თავადი იყოსო? — არ მინდაო უთხრა. მერე ადგა და ჯვარ-მენდლით დასაჩუქრეს და ეეხლა ახალციხის მუზეუმშია იმის ჯვარ-მენდალი.

— (ქალი) იმის ჯვარ-მენდალი ვიცი, ქუცა-პალენთ ქონდათ ხომე...

— იქ არი ახლა, მუზეუმში. მუზეუმში არის ახლა იმის ჯვარ-მენდალი.

ასეთი ამბავი მოხდა. ეეხლა... ვარგავიც იმამ დაარსა, ამ პავლემ თურმე ავიდა და, რო ეებნეოდნენ მოქცენთო იმასაო... ბატონი გახდიო, — ეს ვარგაო, აქ შეიძლება სოფელიო და მერე მოეყვანა თურმე ხალხი აქედან, იქიდან და ზოგი აქედან ავიდა, ხიზაბავრიდან, დაასახლა. ქალი ჰყავდა გათხოვილი მერე იქა.

ქალი: — ნენეჲ ჰრქმევია, ნენეჲ, იქ გაათხვია.

— ვარგავში ქალი ჰყოლია გათხოვილი!

ქალი: — კანათ ყოლიათ, კანაათსა ყოფილა. ამ ქალსა გასჩენია ბიჭი და თავი მამის სახელი დაურქმევია, პავლეჲ დაურქმევია. ასეთი ამბავი, შენი ჭირიმე.

## „თათრებს სწორი გამოთქმა ჰქონდათ"

თათრების ძველი სიტყვა იყო ხოლმე: „სახნა სამანე სგლი, გალუშამა" — შეინახე ბზეო, მოვა დროო, რო გამოიყენო ის ბზეო. ასეთი ანდაზებიც ბევრი იყო მაგათი, თათრების გამოთქმანი. ისე წორე გამოთქმა ჰქონდათ მაგათ.

## II მსოფლიო ომი

წამიყვანეს ჯარში ორმოცდაორ წელში. დაპრილი ჩამოვედი, მერე გამგზავნეს ვარგავში. თავჯდომარეთ. ჯერ ფერმაში ვიყავი აქ, ცხვრი ფერმაში. არ მოვდიოდი არსად. რაიკომი მდივანი ძებისაშვილი იყო მაშინ. მითხრა, სულ ერთია, ჯარში გაგაგზავნიო. სამი თვით ვიყავი თავისუფალი, რა, სოჩაში ვიწვექ, სოჩიდან გამანთავისუფლეს. ჯერ თბილიში ვიყავი, თბილიში არა, იმაში — მოსკოვში!

დიალოგი შვილიშვილთან: — რ არი?

— წვიმს, წვიმს!

— ჰანი, სად არი, არ არის წვიმა.

— ცინცქლამს, აჰა!

კალუგას ეძახიან, იმ მიდამოებში... ორჯელ დავიჭარი, ერთხელ მუხლში, მეორეთ კლავში. ორივეხელ ერთ ბალინცაში მოვხვედი, მაიორი იყო უფროსი, სავანტყოფოს უფროსი ის იყო და: — ბიჭოო, მექოშვილო, მეორეთ მოხვედიო? მერე კიდე მოსკოვში გამგზავნეს. მერე მოსკოვიდან გამამაგზავნეს კავკასიაში: — წადი, გაგზანითო, მერე მიუხვია მატარებელმა იმისკენ, ელეზნოვოდსკის, კუბანი მხარესა და მანდ მოვრჩი. მერე გამაგზავნეს ქერჩში. მერე მეთაურები: — არა მე'ნა წავიყვანო, არა მე. მე ვიყავი პარტიის წევრი. პარტიაში იქ მიგვიღეს, კალუგაში, პულიმეტჩიკი, პულიმეტზე ვიყავი!

— ძმების ამბავი არ გაგიგია?

— არაფერი სრულობით! დაიკარგნენ უგზო-უკლოთ. მერე იქ უთხარ, კაცო, მე ხელი აღარ მივარგა, ატკიებული მაქ, გამისივდა ეს ხელი, ახალი ჭრილობა მქონდა... მარჯვენა ხელი საღი გაქო, გადაიდე თოფიო და ისროლეიო, ხალხი არა გვყავსო.

ავდექი მერე და კომისიაზე გამგზავნეს. კომისიამ... ხუთი კაცის მერე ამამიკითხეს. მიველ, გამისინჯეს კლავი და თქვეს, რო ეს აუცილებლივ სახში გავგზავნოთ! მე უთხარ, გამგზავნეთ, კაცო. მერე ერთმა თქვა, რო, მოდიო, ამასაო აპერაცია სჭირდებაო, ცოდო არისო და ამას შინა, ამასობაში ამ დროს შემოვიდა პაკეტი: — აპა, ნაჰტუპლენიაზე მივდივართო. აიშალნენ ესენი და აღარც ყური მიგდეს, აღარც კომისია,

აღარც ერთი, მეორე. დავრჩი გზა და გზა შუა. მივედი, ერთ შევეხვეწე, კაცო, მაინც... მომეცი რაღაც საშვალება. ერთი პატარა ქაღალდი დამიწერა ბატალიონ კამანდერზე, რო, ესაო, გამოიყენეთ ზურგშიო. ვერ ვიშოვნე მერე დივიზია, წასულიყო ჩვენი დივიზია. მივიტანე ეს ქაღალდი და დამიყენეს მერე, ყარაულათ ვიყავი კუხნაში. მერე ჩამოვიდა კამანდერ პოლკა. ოცი კაცის შემადგენლობა ვიყავით. უთხრა ჩვენ მეთაურსა, რო, ერევნელი იყო ერთი, სომეხი: — შე კვდარძაღლო, ათი კაცი'ნა გაგზავნო პირველ ხაზზეო. ხალხი აღარა გვყავსო. — ვინ გავგზავნოო, აი ასეთებია სულაო. დამიძახეს იქა. კლავი გამისინჯა. უთხრა, შე მამაძაღლო, შენაო, ასეთი კაცი რათა ქყავს აქაო. ექიმი ქყავს შენაო? — რაგორ არაო! — დამიძახეთ ექიმიო! — მოიყვანეს ექიმი და უტყაპუნა ფეხები, აქ მოქკლან ძაღლივითაო, ეხლავე შეუდგინე ამას აქტიო და ნაპრავლენია და მოიცილე ეს კაცი თავიდან. ახლა ვიყავი წარდგენილი იმაზე, წითელ ვარსკვლავზე, ერთ კვირით ადრე ჩამოვიდნენ იქიდან, დივიზიიდან და პისერმა (მწერალმა) მითხრა, რო ესე იგი, შენ გეკუთნება ისაო, „კრასნი ზვეზდაო".

ჰოდა, ვიცადე, ...ერთი კვირი მერე ჩამოვიდა. მითხრა: — მექოშვილო, შენ ისევ აქ ხარ? მე უთხარ, ესეა-მეთქი, მე უთხარ, წადგენილი ვარ მეთქი წითელ მინდალოზე, ვარსკვლავზე-მეთქი, და იმაჰ უცდი-მეთქი. ბგეკო, მითხრა, შე მამაძაღლო, შენაო, ჭკუა გაქ თავშიო, ყოველ დღესაო ზეიდან გვბომბანსო, ქვეიდან არტილერია გვირტყანსო და რაზე კვდებიო, მიდიო, პერედავოზეო რამდენი ყრიაო დახოცილი ხალხიო, მედლები და რამეო, მიდი მოკრიფე, სულ წაიღე და წადიო. ავდექ, ვთქვი, კაი ჭკუას მეუბნევა.

ავდექ, დავანებე ყველაფერ თავი და მოველი მერე სანჩასტში შემიდგინეს ყველაფერი და მერე მოველი, ჩუსკას ეძახიან, შავი ზღვა და აზოვი ზღვა რო უერთდება, შვიდი კილომეტრია ტოტი, მანდ გაველით, ჩუსკას ეძახიან იმ ადგილ. აღელებული იყო ზღვა და ვერ გამოგვიყვანეს და მერე თვითფრინავი მოიყვანეს იმით გადმოგვიყვანეს ვარდეკოვში, იქიდან კრასნოდარში, იქიდან მერე სოჩაში, გამიკეთეს აპერაცია და მოვაღწიე მერე აქანდი.

წინა ერთი ქალი შემიხვდა, პეტროვა იყო გვარათ. ღმერთის ადამიანი რა, ციდან ჩამოსული! იმან დემეხმარა, იმამ, ყველაფერი შემიდგინა, სამი თვე მამცეს მე შვებულება და ჩამოველ და მერე ვარგავში გამგზავნეს. თავჯდომარეთ ვიყავი და ამდენი შევისწავლე უცხო ენა. კაცმა, რო, თავჯდომარობაც გავაკეთე, ოზდათორმეტი წელიწადი საგზაოში ვიმუშავე და გაველი პენსიაში, თან მაქ პირველი ჯგუფი, იეხლაც პირველი ჯგუფის ინვალიდი ვარ. სამას მანეთ ვღებულობ. სამას ოზდათვრამეტი ავიღე გავლილ თვეში. ასეთი, ჩემო, კარგო, ასეთია ჩემი ამბავი.

## მეურნეობა

ითესებოდა ქერი აქა, თათუხს ეძახდნენ, შაფხას ეძახდნენ პურსა, დიკა იყო, ქერი იყო, ჭვავი. ჭვავს ვეძახდით — დოლი. წითელი დოლი სხვა იყო, ჭვავ ვეძახდით — ის სხვა იყო. ჰოდა კარტოფილს ვთესავდით, — კართოფილი ითესებოდა.

ბაღები. ბაღები ქვონდა დაბლა ჩონ. ჭობარეთის ტყიდან, წყალი იქიდან მოგვყავდა, ნაწილი, ნაწილი ალასტანმა წაიყვანა. იმითი ვრწყენდით იქ. თუთა, ვაზი, ატამი, რავი, ყველა ხილი ქვონდა ბაღებში.

მერე კოლმეურნობა ჩამოყალიბდა. ეს წყალი ველარ მივაწვდინეთ. ეხლა გახმა სულ. გაჩეხეს, მოიპარეს, გაოხრდა სულა და ახლა ტერასები არი მარტო დარჩენილი მანდა. ტერასებიც, ესე იგი, თავრობამ გააკეთა, ჩაყარეს ხეხილი, მარა მანდ ვინ არი ყურმგდები, არავინ არ მუშაობს და არაფერი, ჰოდა ხმება ეხლა ის, დაზდილი ხე-ტყე, ვაშლები და რამიები.

**თოთაძე - ბერიძე მარუსა, დაბ. 1905 წ. ასპინძა, სოფ. სარო, (გამოთხოვილია ჩუნჩხიდან) 1991.**

## თათრობა, გაქცევა

...თათრებმა რო გაგვაქციეს, შვილო? თორმეტი წლისა ვიყავი. - თორმეტი-ცამეტის. მოვიდნენ თათრები, გაგვაქციეს ჩვენ, წაველით! ასე მოვიდნენ, რო გვაშინენდნენ, მოდიოდნენ... იმაში... მეხრეთ უდექი, პატარაა ვიყავი, მეხრე იცი რა არი? იცი მეხრე? მეხრეთ უდექი გემეექეცი იქიდან ჩემ ბიძაშვილ. მეხრეთ ვიყავი და გამოვიქეცით, წამოველი, რო მე მეთქი არ დავდგები, რო თათრებმა'ნა წაგვიყვანონ-მეთქი.

მერე იქიდან ორ-სამ დღი მერე თქვენს, რო თათარი'ნა შემოვიდეს! თათარი'ნა შემოვიდესო და მოვემზადენით ყველა ურმებით, ურემი ხო იცი, რა არი, გენაცვალე! ინდღანდელ გოგოებმა ურემ-ურემი არ იცოდნენ, თბილისელები ვართო! (ადრე სხვები იყვნენ ინტერვიუსთვის და მათზე ამბობს, მ.ბ.) მეევმზადენით ურმებით, დიშვილები მყანდა გოგაშნიდან ჩამოყვანილი, ჩემ დასა, ქმარი მოუკვდა და ბიძებმა შემოგვითვალეს, რო ორი ბავშვი. ჩვენა და ორი ბავშვი თქვენაო. წამოვიყვანეთ ორი ბავშვი, მამაჩემს გადმოუვარდა ბავშვი ურმიდან (თუ გინდა რო გელაპარაკო, იმათთვინ ეს ამბავი არ მილაპარაკია და ეს ყველაზე საინტერესო ჩემთვინ ეს არის).

მერე ბავშვები რო ჩამოვიყვანეთ, ორი-სამი დღე გეყანდა ბავშვები მერე თითონაც რო გამოიქცნენ, ჩვენთან მოვიდნენ ის გოგაშნელები.

მერე მამაჩემმა უთხრია, რო... შომოვიდა... მამაჩემმა თქვა რო... ჩემ ძმას უთხრა, რო ურემზე ალაგი გააკეთე ურემშიო, რო მალაქაჲო და გიოჲ წავიყვანოთო, ჩემ დიშვილებზე. ჩემ ძმამ უთხრა, რო მეო მაგათ ვერ წავიყვანო, საქმელ-სასმელი მიგვაქო, — პროდუქტი მიქვონდა. ფქვილი ბევრი ქვონდა, რამე მიქვქონდა-რამე, მივდიოდით და: — მაგ ბავშვებსაო ვერ გავუკეთამ ალაგსაო, რო ურემში დავაჯვდინოო. ურემშიო ანჯახ პური წავიღოთ, რამე წავიღოთო. მერე რო ჩაალაგეს, პური-რამე ჩაალაგეს, ბავშვების ალაგი არ დაჭტვიეს და მეც მყანდა კიდე... ხუთი წლის და მყანდა.

მერე მოვიდნენ... შომოვიდა დედაჩემი ტირილით, რო დედა, შვილოო (იმახსორვან, გენაცვალე!). შომოვიდა დედაჩემი ტირილით, რო სამსონამო თქვაო, რო მეო ბავშვებსაო ურემზეო ვერ დავაჯვდენო, ალაგი არ არისო. მერე მე უთხარ: — დედაჯან, მალაქას ზურგზე ავიკიდან, გიოსაც ხელი დაუჭიროთ და ელენასაც ხელი დაუჭიროთ, წავიყვანოთ და წავიდეთ.

ღამე ვახშმობთ, პირველი ღამე არი. ფურნე გვინთია, გამოვყარეთ, და მივდივართ... წაველით! ამ ბავშვებ ხელი დაუჭირეთ, ერთი ზურგზე ავიკიდე, დაიძინენდა, ყელში რო წამიჭერდა: — მალაქჯან, აიწიე მაღლა! წამოვახორწიენდი კისერ ბავშვ — აიწევდა მაღლა. ვიარეთ, ვიარეთ, — ჩუნჩხელი ვარ, ჩუნჩხიდან წაველით, ახალქალაქში გაველით, ახალქალაქიდან თოთხამს უძახიან, იქ გაველით. წაველით იქიდან, მოვდივართ და ხელი გვიჭირანს და... ურემ დავანებეთ თავი ჩვენ და წინ წაველით. მე, დედაჲ და ბავშვები და ერთიც, აცამში ბიძაშვილი მყანდა გათხოვილი და არ წავიდა, გადმოსული იყო და ისიც გვეხმარებოდა ბავშვების წაყვანას...

მერე წაველით, თოოხმი მინდორზე რო გაველით, დედამ თქვა, რო, შვილოო, ცოტაო დაგაწვენო ჲექაო და დაგაძინოო და მერე ავდგეთ და წავიდეთო. იქიდან გადგვიყვანა ხნულში, ურემი ურემზე მოდიოდა, ერთი ადამიანი, ერთი ურემი და ორი ურემი ხო არ იყო, თელი ის სოფლობა სულ მივდიოდით.

მერე ცოტა ხანი დაგვაძინა დედაჩემმა, თითონ ხო არ დაიძინენდა, რა ვიცი... დაგვაძინა არ დაგვაძინა არ ვიცი, აგვშალა იქიდან და წაგვიყვანა. გაველით კოთელიაში, კოთელიაში გაველით და დიე, დიდი კაკალი იყო, ხალხი იქ იყო მოგროვილი, ჩვენც იქ მიველით. დავწექით დაღალული, ბავშვი ზურგზე მეკიდა სამი წლის ბავშვი და მეც ხო თორმეტი წლისა ვიყავი, მეც ბავშვი ვიყავი. გამოვიღვიძე, რო — ბავშვები აღარ არიან.

— დედა, — უთხარ — გიოჲ და მალაქაჲ რა უყავი?

— თამარაჲ დაბრუნდა, შვილო, და წაიყვანაო.

კოთელიიიდან ბარალეთში წაიყვანეს, გაიგო რო ჩვენ იქ ვიყავით და გამოვიდა და თავიჰ ბავშვები წაასხა და წაიყვანა.

გამოვიღვიძე, ვტირივარ, ვყვირივარ, ქვეყანა შეფყარე რო, უჩემოთ

რათ მიეცი ბავშვები. დედამ მითხრა: — შვილო, აბა თამარაჲ გამოვიდაო და რა ექნა, წაიყვანაო. წამიყვანა, გამიყვანა იქ, ბარალეთში, მაჩვენა ეს ბავშვები, მივხედე, რო ჩემ დასა, ეხლა შავები აცვიათ, იმ დროს შავი არ იყო, გენაცვალე, — ორპირი რუბაშკები იყვნენ და უკულმა ეცვა, გადმობრუნებული ეცვა, კაბაც, — რუბაშკაც. მერე უთხარ, დედა-მეთქი, დედა-მეთქი, თამარას-მეთქი ასე რათ აცვია ტანთი-მეთქი, უკულმა რაათ აცვია-მეთქი. მერე მითხრა, რო შვილოო, ზაქარაჲ რო მოკვდაო, იმიტონ აცვია აგრეთი ტანთიო.

ის ბავშვებიც, ისინი დაფტკიეთ იქა და წამოველით ჩვენ. წამოველით იქიდან, ბარალეთიდან... ჩვენ იქიდან წაველით კოთელიიდან წაველით, იმაზე... რა ჯანდაბა ხქვია... — წითელ საყდარზე. წიოელ საყდარში წაველით. წაველით, იმ ღამით წითელ საყდარში დავრჩიო. დავრჩით წითელ საყდარში, ისე კაი ხალხი იყო, რო შეგვიყვანეს სახლში, დაგვაწვინეს. სულ სამ-სამი, თოხ-ოთხი ლეიბი...

— ქართველები?

— არა, სომხები იყვნენ!

ერთიც ამბავი შომოიტანეს, რო სომხი კაცი მოკლეს, აბაშაჲ მოკლესო! — რათ მოკლეს?! - შპიონი იყოო და გადადიოდა სათათრეთში და გადმოდიოდა და ისევ სომხებმა თითონ მოკლეს. მოკლეს და გზაში დააგდეს. ახალი ნათხოვნი ცოლი ჰყანდა და ის ქალი, მოვიდა საღამოთი, რო კვდარი'ნა წაიღონ. არ წააღებინეს კვდარი. არ წააღებინეს — უთხრეს, წადითო და მერე იმას ვიზანთო, კვდარსაო მერე გამოვიზაკნითო. მისცეს ცეცხლი ბუხარში, ჩამოჰკიდეს ეს კვდარი, მისცეს ცეცხლი და დასწვეს. ესენი სულ მახსოვს.

მერე იქიდან დილიდან ავდექით და ჩვენც სხვაგან წავედით. ისინი რეხაზე წავიდნენ, ჩვენ კიდე ასე, მიტარბისკენ წაველით. მოვიდა დიდი წვიმა. დედაჩემი გახდა ავათ. თუ ჩაიწერანს — ჩაიწეროს ბარემ (მაგნიტოფონზე ამბობს) დედაჩემი გახდა ძალიან ცუდად. გვითხრეს, რო ადექითო და იქიდანაო წადითო... იმაში ჩადითო, მიტარბში ჩადითო. დედაჩემი იქ დაფტკიეთ! ჩემ დას ვეჩხუბები. — ჩემზე დიდი და ქვეყანს. დედამ უთხრა, რო, შვილოო, ეს რო ტირისო, რატო შენც არ ტირიხარო, — მეხი მაგასაც დიეცაო, ეგაო პირად ტირისო და მე — გულში ფტირივარო. იმან არ იტირა! გვითხრა...

ავდექით და წაველით, საბნები მოვიხვიეთ და წაველით. მივდივართ. ეჰ დედაჩემი აქ დაფტვიეთ, პალატკები გააკეთეს და წევს დედაჩემი იქა. და წამოველით. შიერები ვართ. დიდი წვიმა მოვიდა, გვაქ ფქვილი-რამე და საღ'ნა გამოვაცხოთ! ერთი ვნახოთ, ერთი დაუღლული ხარი მოვიდა (ხო გესმის ქართული, გენაცვალე, იმეებმა არ იცოდნენ ქართული!) ი, უღელზე ჰკიდია ერთი ხურჯინი, პირმოკრული ხურჯინი ჰკიდია და... მოაბრუნეს ამ ბიჭებმა. ბევრი ვართ. ერთი ცხრა-ათი კვამლი ვართ

ერთათ. მოაბრუნეს, ნახეს, რო შიგ ტენილი ყველია, ამ იმაში... ხურჯინში, და ის დაუკლიათ, მოზვერი დაუკლიათ და მარილი არა აქთ, რო ჭამონ. ამ მოზვერ უმარილოთ ჭამენ. ის რო გადმოიღეს, ე ხურჯინი, ლამაზათ გადმოიღეს, ტენილი ყველი იყო, ამოიღეს, ამ ტენილი ყველით ჭამეს ეს. საწყალ ჩემ დასა, საბანი ნახევარი დააკლდა ძილში, გამოიღვიძა, უთხრეს, რო: — გადან, შენი საბანი ნახევარი აღარ არიო.

— რათაო?

რო დაუძინია, საბან ცეცხლი რო მოკიდებია, დამწვარა, საბანი ნახევარზე დამწვარა. ერთიც ვნახოთ, ისინიც მეგვეწივნენ ურმით, ჩვენები. მეგვეწივნენ, ავდექით და მიტარბში ჩაველით. მიტარბში ჩაველით, მიტარბში ოსები იყვნენ. ოსები იყვნენ, მიველით, შიერი ხალხი ვართ, პურ ვერ ვაცხონთ, ვერაფერი. ამ ოსებ... წისქვილი ტრიალენს ოსებთან. შეველით, დავადექით და სიმინდი ფქვილი იფქვის და ვიყრით პირში, ვჭანთ. სუყველა ვჭანთ. ესენიც გვიყურამენ... ვჭანთ არაფერს არ გვეუბნებიან. ერთი ვნახოთ, რო გარეთ დაგვიძახეს. დაგვიძახეს, რო ბავშვი დაუტოვიათ, სომეხის ბავშვი დაუტოვიათ, დაუგდიათ და დახვევია ღორები და წიწკნიან ამ ბავშვსა, ...მერე ის არის... ადგნენ და გემეეკიდნენ, დააბრუნეს მშობლები და მისცეს ბავშვი.

ვიყავით ცოტა ხან იმაში... მიტარბი ტყეში, მერე ავდექით და ამოველით ბაკურიანში. ბაკურიანში ბევრხან ვიყავით. ერთ თვეზე მეტი ვიყავით და მერე გაგვანაწილეს. ზოგი ყარადაში გაგვანაწილეს, ზოგი იმაში... კახეთში გაანაწილეს. ჩემ მამას ბევრი შვილები ჰყანდა, ოთხი ბიჭი ჰყანდა ერთიც ძმიშვილი ჰყანდა, ხუთი! ერთიც თითონ — ექვსი კაცი იყო. ასე უთხრეს რო თამალანთ ევგენასაო შვილებიო ბევრი ჰყანსო და კახეთიო მაგას არ ეყოფაო და არ ჩაგვწერეს კახეთში. და ყარადაში წაველით.

რო ჩაველით, მივდივართ, ნა წავიდეთ ყარადაში და ერთი კაცი მოვიდა. ერთი კაცი მოვიდა და გვითხრა, რო ის არისო, მოსამსახურეები მინდაო, ჩემ ძმამაც თქვა, რო თხუთმეტი სული ხიზანი ვართ და ეს ერთიც მიფცეთ მოსამსახურეთ. წამიყვანეს მე სამეგრელოში, ერთიც კიდე სხვა იყო, გოგო, ვანიჩკაი თუ იცი, წითლანაძე ვანიჩკაძ გაგიგონია, ვანიჩკას სიდედრი და მე. წაგვიყვანეს, სამეგრელოში. ჩემი გულის ტანჯვა მაწუხანს და სულ ჩაიწეროს... სულ თქვას!

ხოდა წაგვიყვანეს და რო წაველით ცხრა დღე პური არ გვაჭამეს. ისე ვიყავით რო... ლეღვით ვიყავით, ლეღვს ვჭანდით. ღამე ლეღვ შევშჭანდით, მივიდოდით, დაფწვებოდით, წავიჩხუბებოდით. ძირ ვიწექით, პოლზე, დეგვეხვეოდა ბაღლინჯო, ვჩხუბონდით, ერთი-ერთმანეთს ვცენდით, რო: — შენ რატო არ თქვი, რო პური მინდა, შენ რატო არ თქვი რო პური მინდა. დილით რო ავდგებოდით, კიდე გვეტყოდნენ! პური გშივათ? — არა! გავიდოდით და ლეღვ ვსჭანდით.

ერთი ცხრა დღე ასე ვიყავით საღამოთი გამოვიდა, მითხრა, რო... ჯერ მე თავისთვინ წამიყვანა და რაკი ეს გოგო ჩემზე დიდი იყო, ვანიჩკას სიდედრი, ის თითონ დაიტვია და მე სხვაგან წამიყვანა. მითხრა, რო ილიამაო სხვაგან'ნა წაგიყვანოსო. სად'ნა წამიყვანოს-მეთქი, — და: ხურჯინი ხქონიაო მოსატანი და მოიტანოს'ნაო, — იმაჰ რიჰ ხურჯინი ჰქონდა, სამეგრელოში ხურჯინი არც იყო, არც იცოდნენ, რა იყო. მერე საღამოთი მითხრა, რო — მარუსაო, სხვაგან'ნა წაგიყვანოო — რისთვინ'ნა წამიყვანო-მეთქი და ხურჯინი მაჴქ მოსატანიო. ავდექით და წაველით. მივდევ ამ კაცსა, ვაგინამ, აღარაფერს არ ვუშვან. სუყველაფერ ვაგინამ, მე ვამონ, სადაღაც'ნა გადამაგდოს. მაროვინა, მაროვინა და ერთ კაი ოჯახში მიმიყვანა. რო ავედით მეორე სართულში, ასე მითხრა, რო მარუსაო, ნელაო, არ წაიქცეო და შიგნიდან ხაზეიკამ რო გაიგო: — უიო, ჩემი სეხნია ყოფილაო, გამოვარდა, მამხვია ხელი და წამიყვანა. წამიყვანა, შემიყვანა იმაში... თითონ რომელ ოთახშიც იწვნენ, ბავშვი სადაც ჰყანდა, აკვანი, მე იქ შემიყვანა და ის კაცი იქ დაჲტვია — იმ კაცმა გაგვყიდა ჩვენ! მე გამყიდა. იჰ გოგო იქ დარჩა, იმასთან დარჩა. ახლა უცდი ამ კაც, რომ ერთი მოშორდეს, მალე წავიდეს, — ძალიან კაი ოჯახში მიველით. სად სულგუნები გააკეთეს, სად ხაჭაპურები გააკეთეს, სად პატრიჯანი შეწვეს. ხაზეიკა თავს მევლება, ისეთი ხაზეიკა მყანდა.

ე კაცმა გაგვყიდა და წავიდა! მე რავი! ხო არ ვიცი, რო იმამ გამყიდა! მერე იმ ღამით...

აზნაურებში ვიყავი, კაი ოჯახში ვიყავი ძალიან, ის ცხრა დღე შიმშილი დამავიწყდა სუყველაფერი. მერე დილით ქალბატონმა მითხრა, რო მარუსაო, ისაო, ნესტორაჲ იქ'ნა წავიდესო, ქუთაიში'ნა წავიდესო, ტანთი'ნა გიყიდოსო. ქალამნები მეცვა, ეხლა სად არი ქალამანი, ქალამნები მეცვა, ძველი ტანთი მეცვა. წავიდა ამ კაცმა, ოთხი-ხუთი ხელის მაგიერ, რა ვიცი, რამდენი ხელი მოგვიტანა, აღარ ვიცი. ისე კაი ოჯახში ვარ, რო მიხარია და ის გოგო კი აღარ ვიცი, რო რანაირ ოჯახშია. ის ძალიან ცუდ ოჯახში დარჩა.

მე ამ ხალხთან ვიყავი ორი წელიწადი. ძროხებ ვწველენდი. ერთი პატარა ბავშვი ჰყანდა, ყურ ვგდებულონდი. უყვარდი ხაზეიკასაც, ხაზეინსაც ისე, რო, რა ვიცი! მერე მითხრეს, გოგვიები დემეკითხნენ, რო ისაო, შენი ძმა რო მოვიდესო ეხლაო, წაჰყვებიო?

— არ წავჰყვები-მეთქი — უთხარი.

—რატო არ წაჰყვებიო და:

— ორი წყვილი დედ-მამა მყანს მეთქი, აქაც მყანს დედ-მამა, იქაც მყანს დედ-მამა, — მე არ ვიცოდი, რო ჩემი დედ-მამა აღარ იყო, ხაზეინმა იცოდა! ის ჰქონდა, ადრესი ჰქონდა ხაზეინს, მოსვლოდა ამბავი, რო ჩემი დედ-მამა აღარ არი.

...ჭიშკარები შომოაღო, შომოვიდა და გოგვიები მელაპარაკებიან, შენი

ძმა რო მოვიდეს, გეგეხარდებაო? — მე უთხარი, გემეხარდება, მაგრამ მაინც არ წავჰყვები-მეთქვი. ჩამოვიდა, ქალბატონმა მითხრა რო შენი ძმა მოვიდაო, მარუსო. მე უთხარ, არ ვეჩვენები! არ წავჰყვები-მეთქვი. ი ქალიც ტიროდა, მეც ვტიროდი, წაყვანა რო მამინდომა, რო წავიყვანო. მერე დამატყვუილა რო... სამი დღე ვიმალებოდი. თონე ჰქონდა, ერთი დიდი თონე და იმ თონეში ვჯდებოდი და ვიმალებოდი, არ წავჰყვები-მეთქი.

მერე ხაზეიკას უთხრა, რო... მე ფანჯარასთან ვზივარ, და... ზალაში ვზივარ და ის გარედან ბალკონში ზის და ჩემ ძმამ უთხრა, რო — აღარც დედა მყანს მე და აღარც მამა, მზე მაგაზე ამოგვდის, ნა წავიყვანოო. ეჰ რო გავიგონე, უფრო უარი უთხარი. მაგრამ არა, მაინც არ დამანება თავი, წამამიყვანა. ძმა და ბიძაშვილი, გპრესაგო და ისაო, იმაში არიანო, ბორჯომშიო და იქ'ნა წაგიყვანოო.

ჩამოველით ძლივ ბორჯომში, ისევ იმ სახში მოველით, ისევ, რომელშიც წინათ ვიყაით, ისევ იმაში მომიყვანა, ადრესი იმათი ჰქონდა. მერე დამიწყო ხვეწნა იმ ქალმა, დამიწყო ხვეწნა, რო ჩემთან დარჩიო. მე უთხარ, ნინუცასნაირ ქალთან არ დავდექი და შენთან დავდგები? — არ დავდგები-მეთქვი შენთან. ხაზეინიც მეხვეწა, — ხაზეიკაც. არ დავდექი იმათთან. ადგა და წამამიყვანა ჩემ ძმამ. ჩამოველით ბორჯომში. მეც უყურამ, რო წავედით, ჩემი ბიძაშვილი და ჩემი ძმა'ნა ვნახოთ.

ამოველით ფეხით ხერთვისში. ხერთვიში კიდე მიველით თათრებთან. თათრებმა გაგვიშალეს, ისეთი ლოგინი გაგვიშალეს რო... იმ ღამით იქ დავრჩით. თათარი შომოსული იყო, მოსული იყო მეორეთ. იმ ღამით იქ დავრჩით, დილით წამამიყვანეს და ამოველი სახში და აურზაური ავტეხე, რო მე აქ არ დავდგები! მე იმისთანა სახლი დაფტვიე და აქ დავდგები!

ამ ჩემ ძმამ მამამზადა, რო ისევ'ნა წამიყვანოს სამეგრელოში. მერე შომოვიდა დედაჩემის ძმა და ასე უთხრა, რო, სამსონო, სად მომზადებულხარო და: (ბიძას ტაგას უძალხით) ტაიო, არ შვრებაო, ისევ'ნა წავიყვანოო თავი ბინაზეო, დედაჩემის ძმას უთხრა. იმან ასე უთხრა, რო ეჰ შე ყურუმსაღო, შენაო, თქვან'ნაო, რო, ერთი დაო ვეღარ შეიფერესო და ჰკრეს და ისევ უკან გააგდესო. ავდექით და ისევ უკან დავჩით, — აღარ წაველით. აღარ წაველი, ისევ დავრჩი, ისევ იქ ვიყავი, ისევ იქ გავიზარდე, იქ მატარეს ისევ ნახირშიც, ხბორშიც, ცხვარშიც ისევ ვიარე, მერე გასათხოვარი გავხდი, გამათხვიეს.

## გათხოვება

ცხრამეტი წლისა გავთხოვდი. არ ვთხოვდებოდი, პატარაგ ვიყავი, დედ-მამა არ მყანდა, არაფრის იმედი არ მქონდა, რო გემეეტანებინათ... ძალით გამათხვიეს. თუ გინდა რო გაიგო, აქ ჩამოვიდა, ოჯალი გასინჯა

დედანთილიც კოკლი მყანდა, მაზლიც კოკლი მყანდა. დამალეს ისინი, ჩამოვიდა... ჩემ ძმას არ აჩვენეს ეს კოკლები. არ აჩვენეს! ამოვიდა, — ჩემ ძმამ რა იცოდა, რო სახში კოკლები ჰყანს. დედანთილიც კოკლი მყანდა, მაზლიც. ოღონდ ისეთი კაი მაზლი მყანდა, რო რა ვიცი. მერე იქიდან წამამიყვანეს აქა, ჩამოველი, არავინ არ არის, მაყრები მომყვნენ... ცხენით მამიყვანეს, შემაჯვდინეს ცხენზე, წამამიყვანეს... თუ გინდა რო სულ ვილაპარაკო... სულ თითო-თითოთ მაგონდება.

რო ჩამოველით ხერთვისში, ერთი მაყარი მყანდა, ეს ალიკოს ისა... მამიდაშვილი იყო. ქამარ-ხანჯალი მოიტანა და შემამაკრა, რო არაფერი დიერთოსო (ავი თვალის, ავადობის ასაცილებლად, მ.ბ.). რო დაღამდა, ამამ ქამარ-ხანჯალი შემამაკრა და, ვენაცვალე ჩემ რძალსა, ვენაცვალე! — ასე ამონს. მერე ამ თავალა რო შემოუდექით და, ასე მითხრა, რო რძალსაო ქამარ-ხანჯალი'ნა მოვხსნაო. რათა, კოლაო, უთხრეს და: მე აღარ'ნა წამოვიდე იქაო. საროს არ წამოვალო, მამხსნა ქამარ-ხანჯალი, დაიკიდა თითონ ქამარ-ხანჯალი და წავიდა იმაში... ტოლოში. აღარ მამყვა ის მაყარი. სამი მაყარი მამყვა, სხვა მაყრები მამყვნენ. ეგ აქაური მაყარი იყო. რავი, დიდი ქეიფი იყო, დიდი ქორწილი იყო. ეხლა რო ფულებ აძლევენ, ასე ხო არ აძლევდნენ, რო ის მისცეს... თითო კოდ პურ აძლევდნენ ოჯახიდანა. ორიც რო ყოფილიყო, ერთი კოდი პური'ნა მიეცა, — ერთიც რო ყოფილიყო, ერთი კოდი პური'ნა მიეცა (ქორწილის საჩუქრად).

ქორწილი სამი დღე იყო. სამი დღე იყო ქორწილი.

— პაპაჲ კი არ ვნახე ლიაჯან, იცი რა ვნახე: რო ჩამოველ და შემიყვანეს ფურნის სახში, — პაპაჲ არ მინახია, მივხდე-მოვხედე და იემ ერდოდან ჩამამაგდეს.

— თავიდან მოყევი ბაბო, ხიდრიელას სიზმარი.

— ხიდრიელას სიზმარი, გენაცვალე, ინდღეს ი გოგოებსაც ჩავაწერინე... ორშაფათიდან პარასკევანდი ხიდრიელას ვიქერდით. დილიდან არ ვშქანდით პურ არაფერ და საღამოთიც, ვინც გაძლენდა, თითო დილიმ (დილიმი — „ნატეხი" თურქ.) იმაჰ შეშქანდა (მარილიან კვერს), მეტ არაფერ, ვინც ვერ გასძლენდა, ის პურსაც სქანდა.

დავიქირე იმ ღამით ხიდრიელაჲ. სიზმარში ვნახე, რო მიმიყვანეს და მაგ ფურნი სახში ჩამამაგდეს. და ეს... იმი მერე ერთი წლი მერე გავთხოვდი, რაღაც რო მოველი და თითონ დარბაზში იყვნენ და მე ფურნი სახში შემიყვანეს. ფურნი სახში რო მივიხედ-მოვიხედე, დაფკვირდი: ეეს სიზმარში რო ვნახე, ის სახლია! — პაპაჲ არ მინახია. მერე ნათქვამი მქონდა, ნალაპარაკებელი მქონდა, რო ესე-მეთქი, ფურნი სახლი მაქ ნანახი-მეთქი. და იმთაც...

მერე ჩემ მაზლის ცოლს უთხარ, ქალბატონო-მეთქი და: — რა არისო, ეეს სახლი ვნახე-მეთქი ხიდრიელაში, ეს სახლი ვნახე-მეთქი, რო

აქ ჩამამაგდეს ერდოდან-მეთქი. ერდო ჰქონდა, დიდი ერდო და ერდოდან ჩამამაგდეს. მერე მითხრა, მანდერო, გინახიაო კარგი სიზმარიო. მე ხოლოთ კაცი არ მინახია! ბევრი კი ნახენდა, მაგრამ მე არ მინახია.

## ხელსაქმე

...ვართენდით კიდეც, ფქსოვდით კიდეც, ისიც გვყანდა, რას უძახიან იმას, რო მორეკებენ... რთველები, მჩეჩველები... ვჩეჩენდით კიდეც, ვართენდით, ვქსოვდით კიდეც. ჩემ ძმამ იცოდა ხოლმე, სინათლეს ჩამიქრებდა ხოლმე და იმაზე ვქსოვდი ხოლმე, ჭრაქ შევდგენდით ბუხარში და იმ ჭრაქზე ვქსოვდი. ჟაკეტებ ვქსოვდით, თავშლევ ვქსოვდით, ინ დროს უქონლობა იყო, არ იყო ჩასაცმელი, არაფერი...

ისე.... სიმღერა-რამე, მე — სინღერ-მინღერა არ ვიცი, არც მინღერია, ვერც ვინღერან სინღერას.

ის ქვყანდა, ოსენთ სონაჲ ქვყანდა იმათ... მორთავათ, ერთიც კიკაანთ სონაჲ. მაგაზე ამონდნენ, რო არავის პურ არ შჭანსო. ისიც მყანდა მოყვანილი, სონაჲც... ორთავ სონაები მყანდნენ. და იმ სონამ გათენებანდი იმდენი ლექსი თქვა, არსენას ლექსი, რო გათენებაანდი მოუნდა იმ არსენას ლექსსა, ინდენი რამე თქვა იმამ და მე არ ვიცი არაფერი. მე არაფერი არ ვიცი. ერთი ეს ვიცი:

ლეკებმა რო დამიჭირეს დანდეგ იყო კათათვისა...
ასი მთა გადამატარეს, მთები კავკაზიონისა,
გავხედე ჩერქეზ — მინდორსა, ნისლი იდგა შავი ზღვისა,
სამი ქალი თივას თიბდა, სამივ ჩერქეზ-ბატონისა.
სამნი იგრე დასძახოდნენ, როგორც ანგელოზი ცისა,
ცელები ეჭირათ ხელში, იმათ მოუძღოდა მარმარილო პირსა".

..ახალქალაქში ღებემდნენ, მოჰქონდათ და ყველა ქსოვდა, აი ის, რო არ წამოვიდა, შუშანაჲ, შუშანაჲ ქსოვდა. — მე ფიჩვი არ მამიქსოვია. ენდროში ისე შინაურულათ წინდა-რამეს ვღებანდით. ახალქალაქში ღებანდნენ ენდროში, ქარაძენძში ღებენდნენ.

ხო გითხარი, ბევრი-მეთქი არაფერი მახსონს მეთქი, გენაცვალე. ...დაჰკიდენდნენ ხალიჩებსა და ერთი თვე გაჰტანდა, ქსოვდნენ და ქსოვდნენ, ორი ქალი ქსოვდა, ხუთი ქალი ქსოვდა... მე არ მამიქსოვია.

## მარხვა

...მარხვა აბა არ ვიცოდით შვილო. დიდი მარხვა, პეტრე-პავლობი მარხვა, მარიობი მარხვა, ეხლა. აი, ორი დღეა, რაც დადგა მარიობი

მარხვა, გახვალ იქ — შობი მარხვა. რაგორ არ ვიცოდით მარხვა! და სულ არ ვშეანდით. არაფერ არ ვშეანდით: ხახვი, ლობიო და ის'ნა გვეჭამა, ზეთიანი საქმელი'ნა გვეჭამა, ისე არ შეიძლებოდა, არაფერ არ ვშეანდით. ეხლა პეტრე-პავლობი მარხვა წავიდა და მარიობი მარხვა არი.

***

...გვყანდა რუსული მასწავლებელი. რუსული მასწავლებელი გვყანდა და რო შემოვიდოდით, ჯერ გარედან დაგვიძახენდა, იეხლა რო დაუძახებენ, ისე კი არა, ჯერ გარედან დაგვიძახენდა:

— კლას! — შომოვიდოდით.

— სტაც! (Âñòàòü) — აგვაყენენდა.

— რუკი ვერხ! — აგვაწევინენდა.

— ვპერიოდ! — გამოგვაწევინენდა.

— ეტო პატალოკ! ეტო პოლ! — სულ რუსულებ გვასწავლიდა. ეტო აკნო, ეტო დვერ! — ამეებ გვასწავლიდა და რო გავიქეცით, ინ დროს ვსწავლონდი მე და რო გავიქეცით, იმი მევრე აღარ მისწავლია. იმ დროს გვყანდა, რუსული მასწავლებელი გვყანდა, საკირელი იყო, სამსონიძე იყო. ორი წილ რუსულებ გვასწავლიდა და ერთი წილ ქართულებ არ გვასწავლიდა. რუსულ უფრო ესწავლონდით, ვიდრე ქართულ.

ლოცვებიც სკოლაში ვისწავლე. ეკლესიაში ღვდელი ქვყანდა და ჩვენ სკოლაში დავდიოდი. გვყანდა ეკლესიაში ღვდელი.

## მეურნეობა

...არონას უძახდნენ, არონით ვხნენდით, ხარით ვხნენდით, ხარები გვემბა, შენ გენაცვალე, დაფთესენდით, მოვიდოდა დრო, მოვთიბენდით, კევრებით ვლეწენდით. კევრი, აი, ინდღეს ი გოგოებ გაუკვირდათ... მიწა აპა არ ქვონდა, დე, ერთი ცხრა-ათი ყანა ქვონდა. როგორ არ ქვქონდა, ყანები მეტი რა ქვქონდა, კოლექტივი რო დადგა მაშინ წაგვართვეს მიწები.

ვლეწენდით, შევახვეტენდით, მოვაგვრიენდით. დედანთილი მყანდა, ყიროთი (ხვავი, თურქ.) როა, იმაზე შედგებოდა, ხვავზე შედგებოდა, დეე, ამაზე დიდი, გრძელი ხვავი, იყო გადიოდა-გამოდიოდა, ანიავენდა. ქარი სარან არ ამოვიდოდა, სარან ქარი არ ამოვიდოდა, ჩვენი ხვავი არ გამოვიდოდა... ქარი რო ამოვიდოდა, ქარს უცდიდნენ, რო ფიწლები იეღოთ და ენიავებინათ. დავანიავენდით, გავასუფთავენდით, მერე ცხავებ ავიღენდით, ცხავებით დავაგროვენდით. მერეც მუუყენენდით ტომრებ, ჩაფყრიდით და ჩამოვიტანდით. ზამთრისთუნ მიდგმულ დავფქვენდით,

ხუთი-ექვს სომარს ეტყოდნენ — თექვსმეტ ფუთში ერთი სომარია, იმაჰ, ერთი ოთხ-ხუთ სომარს დავფქვენდით, წისქვილში წავიღენდით, დავფქვენდით და იმას ჩავყრიდით ამბარში და იმას ვჭანდით.

ფქვილ ვმტკიცენდით, ისეთი სამტკიცავები ქვონდა, რო რა ვიცი, სამტკიცავებში ერთ მეშოკში ერთი ფუთი ძლივ დგებოდა, ისეთი სანტკიცავები გვქონდა. კარგი დიკები იყო, ეხლა დიკა სად არი, გენაცვალე. დიკა იყო, სულ დიკის პურ ვხმარონდით, შვილო, სასტუმროთ და იმათ... დიკი პურები ქვონდა, საქადეთ, საბიშეთ, პასკებ ვაცხენდით.

პასკებ იმისთვინ ვაცხენდით, პასკებ — აღდგომისთვინ. პასკებ როგორ ვაცხენდით... ურევდით იმასა... ქიშმიშსა, რძეში ვზელდით, შენ გენაცვალე, და გავაკეთენდით... ასეთ პასკებ არ მიესწარი? გუნდას ამოვიღენდით, მერე ქარას გაუკეთენდით, მერეც შუაში წაურჭენდით, რა ვიცი, მე რავი, ყველაფერსაც ვაკეთენდით. ქარა — გუნდას იმას ვიზმონდით, გავაწმინდავენდით და ასე გარშემო შემოურგვლენდით. ასე დავაგუნ-დავენდით, შუაში გაუკეთენდით. ვაჭრელენდით. მეტი საქმე არ ქონდა გლეხსა და ამიებ აკეთენდნენ. ახალწლისთვინ ორმიებს ვაკეთენდით. ნითომ გუნდეფ გავაკეთენდით და დიკაჰ ჩაფყრიდით, ამაში ქერ ჩაფყრიდით, ამაში ხორბალ ჩაფყრიდით, რო მეორე წელ კაი წელიწადი მოვიდეს.

## ახალი წელი

...ახალ წელწადს გაანზადენდნენ პურ-მარილსა, დადგენდნენ ცხრილითა, ტაბლაკი იქნებოდა, ცხრილი იქნებოდა. ადგებოდა ჩემი მამა (ისევ იქაური ვილაპარაკო, აქაური-არა), ადგებოდა ჩემი მამა, წავიდოდა, შემოუვლიდა: შომოვდგი ფეხიო, გწყალონდეთ ღმერთიო, ჩემი ფეხი. კვალანგელოზიო და შემოუვლიდა ერდოზე, მაშინ ხო ეს ოთახები არ ქვონდა. შომოუვლიდა მამაჩემი, შომოიტანდა... შუაში თაფლი იდგა ცხრილისა, შომოუვლიდა, შომოვიდოდა, სუყველაჰ დაგვაბერენდა, რო: ასე ტკბილათ დაბერდიო, სუყველ თითო ლუკმაჰ მოგვცენდა, რო ტკბილათ დაბერდითო. დილით ავდგებოდით, გენაცვალე, ადგებოდა, ჰაიტანდა კაკალს, მუუყრიდა ცხვარს ქვეშა, მუუყრიდა საქონელ ფეხებქვეშა, კაკალს, რამე მუუყრიდა, რო დილით გასულიყო, ბავშვებ გახარებოდათ, ჰიეკრიფათ ეჰ კაკალი, ვაშლი, მიეკრიფათ და შემიეტანათ...

## უმძრახობა, ოჯახის წევრებთან ურთიერთობა

— უმძრახობა. ეგეც ვთქვა? როგორ ვეუმძრახებოდით. უბედური ჩესი იყო, ეს წესი კი არ მამწონს. ისე ექვსი წელიწადი ერთათ ვიყავით,

რო ჩემ მაზლს და მე ... (ხმა არ გაგვიცია ერთმანეთისთვის)

მივდიოდით სამუშაოთ, დავჯდებოდით ცალ-ცალკე. ის ცალკე დაჯდებოდა, მე ცალკე დავჯდებოდი და არ ვჭანდი მე ყველსა, ცხვრი ყველ არ ვსჭანდი. ამ ქალმა (დედამთილმა) ცხვრი ყველიც ჩაგვიდო, ძროხი ყველიც ჩაგვიდო. დე, მილის წყაროზე ვჴრთ. ახლა ჩემ მაზლი ჭჴნს ამ ყველსა და ჯავრონს, ძროხი ყველი რატ ჩაუდია, რატო ცხვრი ყველი არ ჩაუდია. მეც ვეუმძრახები; ვეუმძრახები, არ ვეუბნები, რო ან... აი, მეხი დიეცა, მეხი დიეცა იმ დრო(ჴ) მეხი დიეცა, მეხი დიეცა იმ დრო! ი დრო დრო არ იყო. ვჭამეთ ეს... ქოხი იყო ერთი მილის წყაროზე, იქვე ჩვენი ყანა იყო.

ვჭამეთ პური, ავიშალენით, ჩამოველით. ჩამოველით და ცოლს უთხრა, რო: — სონაო, რატომ ცხვრი ყველი არ ჩამიდეო და: ეეო, ვერ დაგანდეო, დაგაბარე აქედანაო რო რძალიო ცხვრი ყველ არ სჭანსო და ძროხი ყველ სჭანსო და მაგითვინაო ძროხი ყველი ჩავდეო და შენთუნ ცხვრი ყველიო.

ვეუნძრახებოდი, რა'ნა მეთქვა! არაწესი იყო ექვსი წელწადი ერთათ ვიყავით და ხმა არ გამიცია. არალი, არაწესია, არ არი კაი წესი. გგონია, კაი წესია! დედანთილსაც ვეუმძრახებოდი, ერთი მაზლიშვილ ველაპარაკებოდი, მაზლის ცოლს ველაპარაკებოდი. დედანთილსაც ვეუნძრახებოდი, მეორე მაზლსაც, შინაურსაც, გარეულსაც. ერთი ქმარ ველაპარაკებოდი, გენაცვალე, დანარჩენებს სუყველას... რო გავივლიდით, რძალი რო ვიყავი, ასე'ნა გვექნა (თავს ხრის და მკერდზე ხელს იდებს). ხმას ხო არ ამოვიღენდით, თავი'ნა გედგვეკრა, ექ ნა დეგვედო ხელი და თავი'ნა გედგვეკრა. ესე ვიზმოდით. ის წესი არ მამწონს მე. ის წესი წავიდა.

კაი დედანთილი მყანდა. ისეთი კარქი ჩამომავალი ყანდა, რო სულ რო დედანთილი კარქი არ ყოფილიყო, იმას ისეთი ძმა ჭყანდა, ექიმბაში იყო, ვარევნელი იყო, ისეთი ძმა ჭყანდა, რო მარტო ის ძმა ღირდა რატმე. ღამე რო დაწვებოდა, სულ აქ ქვყანდა ხომე, თავ დავაბავინემდი, ფეხებ დავბანდი, დედანთილის ძმა იყო. ღამე რო დაწვებოდა, ჯერ თავი კვდრიებ მოიხსენიენდა, მერე ჩვენ კვდრიებ მოიხსენიენდა და ბოლოსაც ასე ეიტყოდა: — მიწა ვარ და მიწათ ვიქცევი, მიწა ვარ და მიწათ ვიქცევი! — დე, ოთხმოცი წლის მოხუცებული იყო, ძალიან კარქი კაცი იყო, ისეთი, რო, რა ვიცი. დედანთილიც იმი ჩამომავალი იყო, დედანთილიც კარქი იყო და ისიცა. კარგები! სამი წელიწადი იყო, მეტი არ უცოცხლია.

## II მსოფლიო ომი

...გაყიდეს ჩემი ქმარი. ეხლა ხო არ მყჴნს ქმარი. თვრამეტი წელიწადი ვიყავი ქმართან და მერე წავიდა, დაიკარქა. ეგაც გელაპარაკო? ოთხი

შვილი გავზარდე. სულ დიდი ათი წლისა მყანდა, იმი მიმტანო შვიდი წლისა მყანდა, იმაზე პატარაჲ სამი წლისა მყანდა და ერთიც სამი თვისა მყანდა (ტირის). ოთხნი გავზარდე. არ ქვონდა იმედი, რო წვიდოდა ჩემი ქმარი სანხედროში, არ ქვონდა იმედი და ბოლო-ბოლოს რო დახედა რო'ნა წავიდეს და, მაშინ მითხრა, რო: — ქალოო, მეო'ნა წავიდეო სანხედროში და ვეღარ მოვალო, მალ-მალ მეტყოდა, — წავალ და ვეღარ მოვალ! და მე იმითვინ ცუდი სიტყვა არ მითქვია და უთხარ, რო რა გამიჭირვე თავი მეთქვი, კლდემ რო თქვააჰ'ნა ჩამოვწვე (ჩამოწვება), — ჩამოწექ და მორჩი-მეთქვი.

ორ-სამ დღი მერე წავიდა. მომივიდა ქაღალდი, რო: — აპა'ნა წამოვიდე(ჰ) და თითონ ტყეში იყო. ტყეში იყვნენ, წასულები იყვნენ ტყეში სუყველანი და მერე იქიდან რო მოვიდნენ, აქ ერთი ქალი იყო კიდე, იმ ქალს უთხარ რო, შუშან ძალო-მეთქი, გიო ბიძაჲ და ჩემი ქმარი-მეთქვი (მე ჩემ ქმრისთვინ, ისე წავიდა რო მე სახელი არ მითქვია), ჩემი ქმარი-მეთქვი და გიო ბიძაიჲ-მეთქვი, სანხედროში'ნა წავიდნენ მეთქვი. იმამ გამიჯვარდა, იმ ქალმა გამიჯვარდა, რო: — არაო, კაცოო, რაღა დროსაო (ორმოზდაექვსი წლისა იყო ჩემი ქმარი, იმ დროს ორმოზდაექვსი წლისა არ მიყანდათ და სხვი ადგილზე წაიყვანეს ჩემი ქმარი)...

ამბავი მოგვივიდა, რო (მე ასპინძი გზა არ ვიცოდი), ამბავი მოგვივიდა, რო აბაო, იქიდანვეო, ურმებიდანვე'ნა წაიყვანონ კაცებიო, იქ ჩავლენო კაცებიო, მიეშველებიანო და ისინიო იქიდანვე'ნა წაიყვანონო. ავდექით, მე და ის ქალი წაველით. წაველით და ჩაველით, ვიარეთ, ვიარეთ. ფეხით წაველით, ასპინძი გზა არ ვიცოდით, არ ვყოფილვარ მე ასპინძას. ისეთი ქმარი არ მყამდა მე, რო, აექ წყლი რიგი იციან და მე არც წყლი რიგი ვიცოდი ჩემ ქმრი ხელში და რო ის ვქენეთ, წაველით, ვეძებეთ, ვეძებეთ იქ და ვერ ვიშოვნეთ.

მერე გვითხრეს, რო ის არიო, წავიდაო, სოფელში წავიდაო, ამოველი და ექ დახთს უძახით, ვყრიდით ხოლმე ნაკელსა, ამოველით რო აქ ქელანდა, მერე მითხრა რო, ქალოო, მეო უნახავიო წავიდოდიო, ტყვია რო ესროლათო, მეო იქიდანაო არ წავიდოდიო.

დილით ავემზადენით სუყველანი, ერთი რამდენი კაცი წავიდა? (ითვლის) გიო ბიძაჲ, სანდრეჲ, პალეი... ერთი შვიდი-რვა კაცი წავიდა. ეს ლევან ძიაჲ, ზაქარაანთი... წაფყევით ქალებიც მივდევთ და მივდივართ, ტირილით, ღრიალით მივდივართ და აქ ერთი ქალი იყო და ამის დედანთილი იყო, ამი დედის დედანთილი, ნინაჲ, ჰოდა იმან ასე თქვა რო, ყველა'ნა დაბრუნდესო და ჩემ ქმარზე მიიშვირა ხელი რო, ეს'ნა წავიდესო.

არ ვიცი, იმ ქალმა რა იცოდა! მერე რო წაველით, ჩაველით და, მე უთხარ, კაცო-მეთქი, არ შეხვიდე-მეთქი (კომისარიატში, მ.ბ.), ამობენ-მეთქი, რო ვინც ბოლო შევა, ის არ ჩავარდება, ის მორჩება და... ერთი

ზედათმოგელი კაცი იყო და ერთიც ჩემი კაცი იყო. სუყველა შევიდა, შევიდა, შევიდა და ი ზედა თმოგელი კაცი შომოვიდა, ამი მამის ბიძაშვილია, ის შომოვიდა და ასე უთხრა, რო ნიკოლოზო, ის არიო, ჯერ ის კაცი ჩავარდა, გამოვიდა, თქვა, რო... (ტირის, ტირის ეს კაცი, რო, წითელი კაცი იყო და ლოყებზე რო გადმოდიოდა ცრემლი, შეგეცოდებოდა, ტირის, ტირის, რო რა ვიცი, გამოვიდა და უთხრა, ნიკოლოზო, ნიკოლოზის ომშიც ერთათ ვიყავითო და ეეხლაც'ნა ერთათ'ნა გვიწიოს მე და შენ ომმაო, მეო ჩავარდიო — ტირის ე კაცი, რო თავს იკლანს.

შევიდა ჩემი ქმარი და ისიც ჩავარდა. სუყველა გადარჩა, სულ წამოვიდნენ ეგ პალე ბიძაჲ, სანდრე ბიძაჲ, რა ვიცი, ლევან ძიაჲ, სულ წამოვიდნენ. ამის მამის ბიძაშვილი და ჩემი ქმარი ჩავარდნენ.

ახლა სად'ნა წავიდეთ იმ ღამით. სად'ნა წავიდეთ ახლა იმ ღამით გამოველით, აქაური ერთი ქალი ცხოვრონდა ასპინძაში, ისევაც ცხოვრონს, თამარაი, ბერძენიძე გოგიას რო ჰყანს. იმ თამარამ მითხრა, რო, მარუსო, რა ქენეთო და (ბერძენიძე გოგიას იმედი ჰქონდა ძალიან, რო ის გადაარჩენდა და ერთიც პანტელაი იყო. არც ერთი იყო აქა, ბაღდანოვკაში — სადაღაც იყვნენ ის ორნი წასულები).

მერე იმ ქალმა მითხრა, თამარამ მითხრა, რო მობრუნდიო და ამაღან ჩვენსა იყავიო, ჩვენსა იყავითო, ორივენი. მიებრუნდი და იმასთან დავრჩი. იმ ღამით, ერთიც მაზლიშვილი მყანს იმაში, მინაძეში, ის გვყანს პატარაი, გოგოა, ბავშვი არი, ისიც გვერდით გვყანდა. იქ დავრჩით ჩვენ იმ ღამეს თელი ღამე ვეღარაფერი ვიგონე, ვეღარაფერი ვთქვი. რა მოვიგონო, რა მოვიგონო და გათენებისას ვუთხარ, რო კაცო-მეთქვი და: — რა არის? და: — მოდი მეთქვი, ეს არჩილ ბიძაი... ის რო გადარჩა, გიო ბიძაი რო გადარჩა, იქნება-მეთქვი შენც გადარჩე და: — რაგორაო? და: — აჰა, გიო ბიძას რო ობლები ყანს-მეთქი, იმით გადარჩა-მეთქვი და შენც ხო გყანს ძმიშვილები-მეთქვი (ჩემი მაზლი კვდარი იყო, შვილებიც ყანდა, ცოლიც ყანდა). — ე რა კაი რამე მოიგონე, ქალო, ავდექით და ღამე ამ ხიდთან ბლენოდა. ისევ რო ხიდთან გამოველით, რა ჰქვია, წითელ ხიდ რო უძახიან, ასპინძი ხიდი. მანდ რო გამოველით და ასევე წამოველით, წვერზე წამოველით, წვერს უძახიან, ეგრე და წვერზე წამოველით. მე და ის გოგო გამოგვგზანა. წამოველით ორნი. რო წამოველით და... არ მენახა მე კანტორა, ისე გაკეთდა, რო არ დამინახია თვალით და რო შეველი და თავჯდომარემ ასე მითხრა, რო:

— მარუსო, და:

— რა არი-მეთქვი და:

— ის არისო, რა გაგიჭირდაო ამ უდროოთ რო მოხველიო და მე უთხარ, რო, არსენ ძია მეთქვი, ჩემი ქმარი ჩავარდა მეთქვი და ერთი

ქაღალდი'ნა დაგვიწერო-მეთქვი, რო ჩავიტანოთ ეს ქაღალდი და მოვრჩეთ-მეთქვი. დავაწერინე ეს ქაღალდი. სირანდი ჩამოველი, სამი თვის ბავშვი მყანდა, მაგათთან მყანდა ბავშვი, მაზლი ცოლთან მყანდა, სირან მიველი, სირან ძუძუ მოვაწვიე, სირან ვითონ ერთი ტყლაპი წავიღე, ერთი ლიტრა არაყი წავიღე, რო ნითომ იქ'ნა მუუტანო კომისარ, იმათ, მივცე, რო მორჩეს. რო ჩაველი და დაინახა ქაღალდი, ისე გიეხარდა, ისე გიეხარდა: — ქალო, ეს ქაღალდი კი მამარჩენსო. რო ის ვქენეთ... ქაღალდი შეუტანა და მითხრა, რომ — ქალო, ეს ქაღალდი კი მამარჩენსო და რო შევიდა, კომისარ ეთქვა რო, ეხლაო რა გიყოო, უქეო წკრივში დგახარო და ერთი ქურთიც არ მინდოდაო, ქურთ ჩავაგდენდი და შენ არ გაგიშვენდიო.

და წავიდა უქე. წავიდა, გაფყევით და დეე, ტირიფები რო არიან, ბოლონდი მივდივართ მე და ონისიმეს ცოლი, ამი მამის ბიძაშვილი. მივდევთ, გვაბრუნებენ და აღარ ვბრუნდებით: — ჩვენც წაგვიყვანეთ! ჩვენც წაგვიყვანეთ! ვინ წაგვიყვანდა. გვკრეს ხელი და გამოგვრეკეს უკან, გენაცვალე.

თეთრმეტი თვე მამდიოდა წერილი, მარიგებდა იქიდან, სუყველაფერ მარიგებდა, მეუბნეოდა, რო ბაბოჰ ყური უგდე, ბაბოჲ გაზარდეო, იმერთებზე არავიზე არაფერს არ მეტყოდა, მარტო მაგას მავალენდა, რო ის გამიზარდეო, მარტო იმას მეტყოდა, დიდი რომელიც მყანდა. თერთმეტი თვე წერილი მამდიოდა. მერე დაიჭრა, გავიდა, იმაში გავიდა... ისიც მიიღო, მადლობაც მიიღო, კაცი დაიჭირა იმაში, წავიდა ყარაულში, წავიდა და... ამის პაპა'ნა წასულიყო საყარაულოთა და ის იმ ღამით არ წავიდა, ჩემი რიგიაო, მაგრამ არ წავალო — თითონ ილაპარაკა პალე ბიძამ — ჩემი რიგიაო, მაგრამ არ წავალო.

ადგა, საყარაულოთ წავიდა და რო წავიდა, ერთი კაცი დაიჭირა (გერმანელი ტყვე, მ.ბ.). დაიჭირა კაცი და მიიყვანა თავითთან. თურმე რო ასე თოფზე არი დაყუდებული, ჩათვლემს, დიეძინება და ის კაცი... თავი ძმა მიეჩვენება, თავისი უფროსი ძმა. მოეჩვენება და ამ კაც გაუშვანს, ალაგზე აღარ მოიყვანს, გაუშვანს იმ კაცსა რო, რაკიო ჩემი ძმა ვნახე სიზმარშიო, — კვდარი ყავდა ძმა, — რაკი ჩემი ძმა ვნახე სიზმარშიო, ვითომც ეს კაცი ჩემი ძმა არიო.

— უი ცეენ! (მეზობელი).

მერე მოვიდა მადლობა. თერთმეტი თვის მევრე ის ქნა, დაიჭრა. და ამი მამი ბიძაშვილი და ისიც ცალ-ცალკე იწვნენ სავადმყოფოში და ამი ბიძაშვილი ჩამოვიდა, მოვიდა აქ ჩვენთან, გვნახა, მელაპარაკა, რო, რო გამოველითო იმიდანაო, სავანტყოფოდან რო გამოვედითო, მაშინ ვნახე, დევეშვიდობეთო ერთი-ერთმანეთსო, არც მინახიაო და აღარცაო... ის კაცი მოვიდა და ჩემი ქმარი კი წავიდა, წავიდა...

— რამდენი წლისა იყავი, პაპაჲ რო წავიდა?

— მე ოცდათექვსმეტი წლისა.

— მამიკოზე წინ რამდენი შვილი დაგელუპა?

— ორი. ნინანი და თამრიკოი. ორი გოგო.

...შეგნებული კაციც იყო. არაფერი ქვეყანაზე იმაჰ სკოლა არ უსწავლია, მაგრამ ბრიგადელათ იყო, ბრიგადელათ იყო და თითონვე შეიგინებოდა ხოლმე, რო ბრიგადელი სარანდი არ ვიყავიო, სარანდიო ყველაფერი მამქონდაო და ბრიგადელი რო იყო, აღარაფერი აღარ მოჰქონდა სახში, აღარაფერი და იტყოდა ხოლმე, ბრიგადელათ ვინ დამაყენაო, რო ერთი წელიწადიც არ უელია სკოლაში. ჩაიყვანეს, ხერთვისში იყო თურმე სკოლა, ჩაიყვანეს მანდ ხერთვისში სკოლაში და აი, წივას უძახით, თურმე წივა მოსთხვიეს, რო ოცი წივა მოიტანეო და სკოლაში აღარ წაიყვანეს. აღარ წაიყვანეს სკოლაში. — წივაო მოითხვიესო და სკოლაშიო რაღა'ნა წაგიყვანოთო და იმი გულითვინა არც სკოლა ენახა, არც არაფერი, მაგრამ აი, „ბიძია თომას ქოხი" იყო, — წიგნები (შვილიშვილი: — ყვარებია ძალიან და ლიზა დაარქვა მამიდაჩემს იმის სიყვარულით). კიდე ბევრი წიგნები და ასე საცოდავათ... რო ჩამოვიდოდა, ბრიგადელი იყო, უღონე კაცი იყო, სუსტი კაცი იყო. ვედრა ესე ეკიდა და ისე სთესენდა, პურსა, შომოდგომის პურ თესენდა და ჩამოვიდოდა და მაინც იმ წიგნ წაიკითხენდა. მერე ვიღაცას ეთქვა, რო ეგ „ბიძია თომას ქოხიო" მავნებელიაო. სამი-ოთხი წიგნი ჰქონდა მოტანილი და სუყველა წიგნი ცეცხლში ჩაწვა, რო ამბობენო, არ ვარგაო, შიეშინდა და... ერთი წიგნი იყო დაწერილი, ბარალელი იყო, დაიცა როგორ სწერენდა: მოსავალიო ვარიაში ჩაფყარეო, სათესლეზე დავაყარე, ნახეკარზე ვერ მოფყარეო — ის ბარალელი კაცი იყო და იმი წიგნი იყო — ის წიგნიც დასწვა. ეშინოდა, აშინენდნენ. ვიღანც რო რაღაცას ეტყოდა, მაშვიეთვე... ეშინოდა და ხოლოთ ეგ უთხრეს, რო, ის არიო, თავჯდომარემ უთხრა, ნიკოლოზო, არსად არ'ნა წახვიდე, შენაო დღესაო ზარი'ნა ჩამოვიღოთო, ამ ეკლესიის ზარიო და ადგა და ერთ „ძაღლი სახრჩობელას" უძახით და ისე აღარ წავიდა ნიჯგორი გზაზე და ძაღლი სახრჩობელაზე ჩაიარა, წავიდა, რო — მეო ეკლესიასაო, იმასაო, ზარსაო ხელს არ მიფყენო. ზარზე ვინც მიჰყო, იმან ილაპარაკა, ულიამ ილაპარაკა, რო მამაჩემიც იქ ყოფილაო, ზარი რო ჩამოუღიათ და ხატებიო ფეხით უსრესიათო და ჩემი ქმარი არ წავიდა. მეორე დღისით თავჯდომარემ დაუძახა, რო რატო არ წამოხველიო და უთხრა, ყველაფერი რო გემეკეთებინა, ზარს არ ჩამოვიღენდიო. ზარი ჩამოიღეს და მერე დაიჭირეს და ხატებ ხევდნენ ფეხით და ფეხით სრისენდნენ.

— მერე რა კაი დღე დაეყარათ?!

ძალიან დიდი მადლიანი კაცი იყო, მაგრამ დაიკარგა, რა ვიცი, მე რავი! ერთ ადამიან ვერ ათქმევინან სოფელში, რო ის ცუდი კაცი იყო...

...ღამე სიზმარი ენახე. ღამე სიზმარი ენახე, რო მოვიდა. თეთრი

ქუდი ეხურა ხომე. რო მოვიდა და ეს თეთრი ქუდით ასე: თავარ ანგელოზოო, ვენაცვალე შენ სახელსაო, აიო, დავბრუნდი ჩემ სახშიო, მოვბრუნდიო. დედა, გემეხარდა ისე, რო, სიზმარი რო ვნახე — აუცილებლათ მოვა, ვთქვი.

## თათრობა, დაკარგული ბავშვები

თვრამეტ წელში დაფკარგეთ დიშვილები. ის ბავშვები რო წავიყვანეთ ჩვენ, რო წავიყვანეთ, ჰოდა, თვრამეტ წელში რო გავიქეცით და მობრუნდნენ, მაშინ ცხრამეტი იქნებოდა ალბათ, რო დაბრუნდა ხალხი, ის ბავშვები, ზურგით რო წავიყვანე, ის ბავშვები დაკარგეს მერე. ჩამოიყვანეს ახალციხეში, რო მობრუნდნენ. ჩამოიყვანეს ახალციხეში და (შეიძლება თავისიანებ რო მოხვდეს ყურში, ეწყინოთ! — არ იციან, ახლა, შენც კიდე!) დავკარგეთ ეს ბავშვები. მივიდა ეს ბავშვი და ერთ კაცსა პური მიაქ. ორი სომინი (სომინი — პური) უპირავს ღლიაში და მიაქ. და შიეხვეწებიან პატარები რო, ძიაო, ერთი ლუკმა პური მოგვეციო და ეტყვის, რო შვილოო, წამოდით ჩემ სახშიო, არ მისცენს იქა. წაიყვანს ამ ბავშვებ. მისცენს პურსა და წაიყვანა და დაყიდა ეს ბავშვები. წაელენ. დიდხან დაკარგილები იყვნენ ეს ბავშვები, დიდხან დაკარგილები და ჩემ ძმას აპერაცია ჰქონდა გაკეთებული ბრმა ნაწლავისა თბილიში დაწვა და იქ ილაპარაკებენ, რო ეს ვის დაკარგული რა ჰყანს, რამე ესე ილაპარაკებენ და ეს ჩემი ძმა იტყვის, რო დიშვილები მყანს დაკარგულებიო.

მერე ერთი ეტყვის იქიდან მოხისელი, რო ჩვენთან არიო ერთიო მოხისელი გოგიაიო, მაგრამაო იმასაო არც არავინ არ ჰყანსო. ისევ უპატრონოთ არი წამოსულიო.

ავიდა ბიძაჩემი მოხისში, შევიდა, ორი გოგო შეხვდა. ორი გოგო შეხვდა ამ გოგოებ უთხრა, ქალიშვილებოო, აქაო რო აბუქაძე გოგიაი არიო, სად ცხოვრონსო? — რისთვინ გინდა ბიძიაო და: ჩემი დიშვილებიაო. — ეეო, ბიძიაო, იმასაო არც და ჰყანსო, არც ძმაო და არავინაო. ეგაო ჯავახეთიდან არიო გადმოსულიო. მერე ეტყვის ჩემი ძმა, რო მიმიყვანეთ, მანახეთო, ნახო სად არიანო.

მიიყვანს. რო მიიყვანს ფანჯრიდან მივა, რო დაუძახანს რო ხმა გამეცითო, შენიო ბიძა მოველიო. ის იქიდან ეტყვის, რო არც ბიძა მყანს, არც არავინ არა მყანსო. — გააღე კარიო, კაცო! რო გააღებინა კარი, შევიდა, უთხრა: — რა გქვიაო და — გიორგაიო. — საიდან ხარ წამოსულიო და: — გოგაშნიდანაო. — შენ ოჯახსაო რა ერქვა, ვინ იყვნენ, რა ოჯახი გქონდაო. — არც გვარი ვიცი, არცაო და აქაო აბუქაძეთ ვიწერებიო.

მერე ეტყვის ჩემი ძმა რო, აბა შენ ჩემი დიშვილი ხარ, მალაქაჲ რო გყანდათ, იცი თუ არა? — როგორ არ ვიცი, — ისიც დაკარგული გვყანსო. მერე ჩაიწერა ჩემ ძმამ რო, ვეძებოთ ისიც, ვნახოთ სად არიო. ეს იშოვნა უქე. ხუთი შვილი ჰყანს, რო იშოვნა. იმაჰ შვილი ჰყანს. ეხლა ეს ბიჭი'ნა ეძებონ, რო მეორე ძმაც იშოვონ. რო წამოვიდა, ესაც ეძება და ესეც იშოვნა. მაგასაც ხუთი შვილი ჰყანს. კითხა-კითხით იპოვნა. ჯავახიშვილათ იწერება. ერთი გოგო იქნება გასათხოვარი, სომხის გოგო, გასათხოვარი იქნება და რო ეტყვიან, ვერა'ნა გაგათხვიოთო, თავის მშობლები რო ეტყვიან. ეტყვის, რო არავის არ მივყვები მეო, აი, ჯავახელი ბიჭი რო არისო, უპატრონო, იმ ბიჭ'ნა წაჭყვეო, ეს ქალი ეტყვის.

ადგება და იმას წაჰყვება. რო წაჰყვება, ქმარი ისეთი გახდება, რო იმაზე დადგება, ვაგონებზე იყო და ვაგონები გადუხსნეს და ციხეში ჩააგდეს ეს ბიჭი, ნა ჩააგდონ ციხეში და ეს მოსამართლე აქედან არის წასული, კახეთში ცხოვრონს და იმის ბიძაშვილია და რო ასამართლანს, არ იცის, რო ეს ვინ არი და ვინ არა!

მერე რო მივიდა მოსამართლე და შეეკითხა რო, ბიჭოო, შენ საიდანა ხარო, რო ჯავახიშვილათ იწერებიო. — რა შენი საქმეაო, შოუტევს. — მითხარიო, მაინცაო, საიდან ხარო. მერე გადმოიწევს და თავს გასინჯანს, (მამაჩემმა რო წამოიყვანა, იმ დროს თავი გაუტყდა თურმე, გადმოვარდა ურმიდან და თავი გაუტყდა. ეს გატეხილი ეტყობოდა), და მერე ეტყვის თავი ბიძაშვილი, მოსამართლე ეტყვის, ნესტორაი ერქვა, ი საწყალი დაიკარქა, მოკვდა. მერე ის ეტყვის, რო ჩემი ბიძაშვილი ხარო, ადგებიან და გადაჰკოცნებენ ერთი-ერთმანეთ, ამას ათი წელწადი მისცეს ციხე, ამ ბიჭსა და უთხრა, რო ეხლაო ვერ გაგასამართლან (გაგამართლებ) მეო და ისე კი დაგიწევ, იმასაო, წლებ დაგიწევო.

მერე წაიყვანეს ეს ბიჭი ციხეში, წავიდა და ცოლს უთხრა, რო ეცადეო, ატრეზები ბევრი ჰქონდა თურმე ცოლსა და ეს სახლიც, კაი სახლები ჰქონდა. სახლები გაყიდა ქალმა და ეს ატრეზებიც გაყიდა, მე არც ვიცი ატრეზი, სიტყვა გამიგონია და ვამბონ, გაყიდა და დაიბარა ამ ბიჭმა, წაიყვანა ამ ბიძაშვილმა და უთხრა, რო ეგაო დიდი ბრალდებული არ არიო, გადუსხნესო ისინიო, ვაგონებიო, არ არისო ძალიან დიდი დამნაშაველი და ქთხოვთო, რო ჩამოაკლოთო ისინიო, წლიებიო. მერე ათ წელიწადიდან ორ წელიწადზე ჩამუუყვანეს და ორ წელიწადში გამოვიდა. ეხლა თბილიში ცხოვრონს. ბაბო, თავიდან იმითი გვარი რა იყო? — ნათენაძე იყო შვილო. ისეთი ოჯახი ჰქონდათ, დიდი ოჯახი ჰქონდათ, ხო უბრალო ოჯახი არ ჰქონდათ.

— ერთი ძმა თურქეთში ჰყანს ბაბოს, მიდი აბა, ეგაც ათქმევინე! ისიც ვილაპარაკო?

ძალიან კარგი ძმა მყანდა. ერთი ქალი იყო და ასე იცოდა ხოლმე, თავის კვეხნა თავის ტეხაო! ისეთი ძმა მყანდა, რო ათ სოფელში

ეგრეთი ვეკაცი არ შეიძლებოდა. ისეთი ვაჟკაცი იყო, ის რო ითამაშენდა, სულ ტკაცა-ტკუცი გაჰქონდა ხელებ და მეტყოდა ხოლმე, რო შენ ქორწილზეო ცხრილით წყალი'ნა მოვიტანოო. ეს ბიჭი დანიშნეს, კოთელიელი ითხვიეს. ამ ჩემ ძმისთვის. მაქსოი ერქვა. და კოთელიელი უთხვიეთ ქალი და ეჰ დიდი ძმა რო დაინიშნა, დიდ ძმას უთხრეს, რო... ახალქალაქ ცხოვრონდა, მელიციაში თუ გვარდიაში მსახურონდა და კოთელელი ქალი უთხვიეს მერე უთხრეს, რო შენ მაგისთანა ვაჟკაცი და ეს კოთელიელი ქალი როგორ ითხვიე, შოუხედავი ქალი იყო. მიატვია ეს ქალი. მიატვია და წავიდა. ასპინძის აბანოზე ჩავიდა და იქ იჭიდავა. იჭიდავა და ვინც გამოვიდა და ვინც იჭიდავა, თქვეს, ამან ჭიდაობა რა იცის. ვინც გამოვიდა, წააქცია, ვინც გამოვიდა — წააქცია. ცხრა-ათი მოჭიდავე წააქცია. მერე აძგვიტაში ის გვყანდა, მამაჩემის ის იყო... მამაჩემ აძგვიტელი დედა ჰყანდა. თედორაჲ ერქვა იმ ბიჭსა. იმ ბიჭმა წაიყვანა და გააპარა, რო შენაო აქაო მოგკლებენო. გააპარა.

ადგა და ავიდა გოგაშენში ეს ჩემი ძმა და იჰ სიძე რო ახალი კვდარი გვყანდა, იმ სიძეს ძალიან ძვირფასი ტანთი დარჩა. ქამარ-ხარჯალი ვერცხლისა, სუყველაფერი ბევრი დარჩა და რო გაიქცნენ (1918 წელში) და რო მოიტანეს, უკან მოიტანეს და ამ ჩემ ძმამ უთხრა, რო თქვენ სანდრემაო, სანდრეი ვანი ქვაბში იყო, ბიძაშვილი. სანდრემაო შომოთვალაო, ზაქარას ტანთი გამოგზავნეთო.

ამან ასწია, ეს ტანთი მისცეს და წაიღო და წავიდა. გავიდა სოფლის კიდურად, ჩაიცვა, წავიდა სათათრეთში. იყო ცოტა ხანი იქა. გადმოვიდა ისევ. ერთ წყვილი წინდი მაგიერათ ხუთი წყვილი ეცვა ხოლმე. დაქარგული, თათრი ქალების დაქსოვილი, დაქარგული, ბეჭდებით სამსე... მეტყოდა ხოლმე, იცი, ეს რანაირი ქალების... ეჰ, თამიაი იყო, ხერთვისელი, რა ვიცი, მაგაჰ გადმოჰქონდა ჩემ ძმასთან ამბავი, ეგ ეუბნებოდა რო მაქსოსაო ისეთი ოჯაღი ჰქო, რო თორმეტი ძაღლი უმბიაო. ეხლა ხო ცოცხალი არ იქნება!

...მერე ამ თათრი გოგოებთან წავიდა და ის კაცი რო გადმოდიოდა, ის ამონდა ხოლმე, მაქსოიო ცოცხალიაო, ისეთი ოჯაღი ჰქო, კარებზე თორმეტი ძაღლი უმბიაო. მერე იქიდან მოჰდიოდა ამბავი, სარამ თათარი წავიდა (1944 წ.), სარამდი მოგვდიოდა ამბავი, იმ თათარ მოჰქონდა ამბავი. თათარი გადადიოდა, მოხუცებული კაცი იყო და გადმოდიოდა, არ უშლიდნენ იმ კაცსა გადასვლასა და გადმოსვლას. მერე აღარ ვიცით, სად არი და სად არა. ამის დიშვილმაც ხო შემკითხა, რო დამაწერინეო გვარი, რამე — რო მიდიოდა თურქეთში. რა ვიცი იმი გვარი, სახელი, იმის გვარზე დაეწერა.

## სარველი ქალი სათათრეთში

...ერთი ქალი გაუტაციათ აქედან თათრებსა და ყოფილან აქედან კაცები წასული, მისულა, ქალსა და ცომი მოუზელია და პირჯვარი დაუწერია ცომისთუნ. ამ კაცებ, ერთი ამ ტატაანთი ყოფილა, ამ კაცებ ერთი-ერთმანეთისთუნ შუუხედიან, რო თათარმა პირ-ჯვარი დაწერა რა იცის ცომისა, ამან ცომ პირჯვარი რათ დაწერა?! მერე ჩუმათ ეტყვიან, რო პირჯვარი რათ დაწერეო, თათარი არ ხარო.

— თქვენაო საიდან ხართო.

ეტყვიან, რო სარველები ვართო, მერე ეტყვის, რო მეც სარველი ვარო, ძალიან ლამაზი ვიყავიო, გამამიტაცესო, წინათ! — ძალიან ლამაზი ვიყავი, გამამიტაცესო, და არ თქვათო, რო სარველები ხართო, თორე დაგხოცებენო. მერე ამ კაცებ შეჰკითხებენო, რო საიდან ხართო, — არ ვიცი, რაღაც სოფელ ეტყვიან. და ი ქალი იტყვის, რო ნეტაი თქვენ, რო საროში მიდიხართო. ე სანდრე ბიძაჲ ილაპარაკენდა ხოლმე, ტატაანთ სანდრე ბიძაი. გათათრებული იყოო მოხუცებული ქალიო და ცომ რო მოჰზელანდა, მაინც პირჯვარ დასწერდაო.

## საოჯახო საქმე

რძეს დავფილენდი გობებზე, მოვხდიდით, ორი-სამი დღე იქნებოდა, — მოვხდიდით. გავაკეთენდით ყველ. საცა ცივი სახლი იყო, იქ'ნა გაგეფილა რძე. აექ მერკელას სახლი იყო, საბძელი იყო იქ ვფილენდით ხოლმე. ცუანა ჭია ჩავარდებოდა, გენაცვალე, აი ჭიები რო არიან, დიდრონი ჭიები, ისაც ჩავარდებოდა, თაგვი ჩავარდებოდა...

ერთ ქალთან, თუ გინდა ვილაპარაკო, ხანულათ ვიყავი, ხანულათ ვიყავი და შეველი, რო ჩემ ფილში ჩავარდნილა თაგვი და ასე თავი მაღლა უჭირანს. უთხარ, ფილდულ-მეთქვი, და: — რა არისო, ჩემ ფილში-მეთქი, თაგვი ჩავარდნილა. აღარც ფილი მინდა, აღარც რძე მინდა — უთხარ იმ ქალს.

მერე მითხრა: — მეხი შენ დეგეცა, დატკეპნით იცოდა ლაპარაკი, ხარიო მოვაო, შუადღის ხარი რო ჩამოვიდოდა, კვირის ხარიო, ამ ხარსა ქედები დასივებული ჰქონდა და რო ჩამოვიდოდა კვირის ხარი, კვირის ხარი მუდამ სახში მოდიოდა, წყემსიც მოდიოდა და წავიღენო ამ ნაღებსაო და ხარებ ქედზე წაუსვამო. აღარც ფილი წამოვიღე, — დაანტკრიე, შენი იყოს მეთქვი და ნაღებიც ხარებ ქედზე წაუსვა.

— კვირის ხარი რა არი? კვირის ხარი ის არი ლიაჯან, რო ექვსი დღე რო იმუშავა, მეშვიდე დღეს, კვირას დაისვენამს. „ვინც კვირა დღეს შეგვაბას, ხელი შეახმეს მხარზედაო", ხო გაგიგია! კვირის ხარი ეს არი.

კვირი ხარი ჩამოვიდოდა. ყველა ჩამოვიდოდა. უხაროდა ყველას, რო სახში ჩამოვიდოდნენ. კვირას იყვნენ იქა და ყველ კვირა ჩამოვიდოდნენ ხომე.

(ახლა აღდგომასაც ვბარანთ, იმიტონ არი ქვეყანა რო მობრუნდა)

არ ჩაწერო!
არი ურო ოსაო,
ჩამომკიდა ქოშაო,
ამოვიჩარი ქვეშაო
დავაწყებინე ხვნეშაო.
არ ჩაწერო!
ოროველა ხარებსაო
მუცლი ჩხვერა ქალებსაო.

ბავშვებ ამღერენდნენ. მეხრეთ რო უჯექით, გვასწავლიდნენ. თერთმეტ-თორმეტი წლისა ვიყავი.

***

ავადმყოფობისას... წამალ გალესენდა, დედაჩემ ხუთოჰ ქვიები ჰქონდა. ხუთოჰ ქვიებ ეძახდნენ, რა ვიცი, რაღაც ჭრელი იმდენი ქვიები ჰქონდა. იმ ხუთოჰ ქვიებ გალესენდნენ, ნითომ წაიღენდნენ, დაალევინენდნენ ბავშვებსა, ნითომ მორჩებოდა. შელოცვა დედაჩემა იცოდა, ღამე ააყენენდნენ ლოგინიდან, წიყვანდნენ, ისეთი ლოცვა იცოდა, კაი ლოცვა იცოდა. მე არ ვიცი.

შაკიკი შომოჩვოულაო
ჩვენსა სათიბი ბოლოსაო
ისე ჭანს რკინასაო,
როგორც ხარი თივასაო.

აქა-იქ ვიცი, მე არ ვიცი ისე. ამ ენიას დედამაც იცოდა.

## ისაკაძე ლევან, დაბ. 1925წ. თბილისი, 2004წ.

1944 წელს ნოემბრის ბოლოს საქართველოს კომუნისტური პარტიის ჩხარის (ამჟამად თერჯოლის) რაიკომში, რაიკომის პირველმა მდივანმა პარმენ ბაქრაძემ და რაიაღმასკომის თავმჯდომარემ პიმენ ისაკაძემ თათბირი ჩაატარეს. ამ თათბირს ვესწრებოდი, როგორც ამ რაიკომის ინსტრუქტორი. აგვიხსნეს, რომ საჭირო იყო რამდენიმე სოფელში კოლმეურნეთა საერთო კრებების ჩატარება.

შეიქმნა ჯგუფები, რომელიც ამ კრებებს უნდა დასწრებოდა, როგორც რაიონის წარმომადგენლები. მე შეყვანილი ვიყავი ჯგუფში, რომელსაც

რაიკომის მეორე მდივანი ვანო მერკვილაძე ხელმძღვანელობდა და ჩვენ უნდა ჩაგვეტარებინა სოფელ თავასის კოლმეურნეობის კრება. ამ კრებაზე უნდა მიგვეღო დადგენილება, რომ, როგორც მცირე მიწიანი კოლმეურნეობა, ითხოვდნენ ჩასახლებას სხვა რაიონში და აგვერჩია დელეგაცია, რომელიც დაათვალიერებდა მომავალი საცხოვრებელი რაიონის — კერძოდ ასპინძის რაიონის სოფლებს, სადაც უნდა მომხდარიყო ჩასახლება.

კრებაზე განხილვისასას მოსახლეობამ აღნიშნული ფაქტი მეტად მტკივნეულად მიიღო. მათ არ სურდათ სხვა რაიონში გადასახლება. განსაკუთრებით წინააღმდეგობას გვიწევდა კოლმეურნე რიეამაძე. დიდი კამათის შემდეგ, როგორც იქნა, მოხერხდა დელეგაციის არჩევა. ეს დელეგაცია გაემგზავრა ასპინძის რაიონში, სადაც დაათვალიერეს მომავალი საცხოვრებელი ადგილები.

დაბრუნების შემდეგ კვლავ შეიკრიბა კოლმეურნეთა კრება, სადაც მოსმენილ იქნა დელეგაციის წევრთა შთაბეჭდილებანი მომავალი საცხოვრებელი ადგილის შესახებ. მოსახლეობა მაინც წინააღმდეგი იყო და ჩასახლებას მათი უმრავლესობა მხარს არ უჭერდა. ამიტომ სამჯერ შეწყდა კრების მსვლელობა. კოლმეურნეობის წევრები დაიშლებოდნენ და ცოტა ხნის შემდეგ ხელმძღვანელთა მოწოდებით ისევ შეიკრიბებოდნენ. შორს წასვლას ვერ ბედავდნენ, ეშინოდათ, მათ გარეშე არ მიეღო კრებას გადაწყვეტილება. კრება დილიდან საღამომდე გაგრძელდა. ბოლოს, როგორც იქნა, მიღებულ იქნა დადგენილება, რომ სოფელი ჩასახლებულიყო ასპინძის რაიონში.

1944 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში მოსახლეობა ჩავიყვანეთ ურმებზე დატვირთული ბარგით ზესტაფონში, ჩავსვით რკინიგზის ვაგონებში და გავგზავნეთ ასპინძის რაიონში. ასე ჩასახლდა 550 კომლი თერჯოლის რაიონიდან ასპინძის რაიონის სოფლებში: ასპინძაში, ოშორაში და ოთაში.

მოსახლეობის დიდი ნაწილი ვერ ეგუებოდა ახალ პირობებს და ძველ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნებას ცდილობდა. ბევრი მათგანი დაბრუნდა უკან, თერჯოლის რაიონში. იქ მათ ხელახლა ვაგროვებდით და ჯგუფ-ჯგუფად უკან ჩაგვყავდა ასპინძაში. პირადად მე ოთხჯერ ვიყავი ამ მისიით 1945 წლის დასაწყისში ასპინძაში — უკან ჩავიყვანე დაბრუნებული მოქალაქეები.

რაიონის ხელმძღვანელობა ყოველმხრივ ხელს უწყობდა ჩამოსახლებული მოსახლეობის პირობების გაუმჯობესებას. რაიკომის პირველ მდივნად მუშაობდა ისაკ ძებისაშვილი, რაიაღმასკომის თავმჯდომარედ — მიხეილ ხუციშვილი, რაიკომის მეორე მდივნად — აბრამ ზაზაძე, რაიკომის მდივნად კადრების დარგში — გრიგოლ ბუცხრიკიძე (ახლად ჩამოსახლებული, მ.ბ.), მიწგანის გამგედ დავით ცქიფურიშვილი. 1945 წლის მაისში მეც ამირჩიეს კომკავშირის ასპინძის რაიკომის პირველ მდივნად.

უპირველესი ამოცანა იყო ჩამოსახლებული მოსახლეობისათვის ყოველგვარი პირობების შექმნა. განსაკუთრებით ვერ ეგუებოდა მოსახლეობა მიწურ ბინებში ცხოვრებას. ამ დროს თითქმის მთელი მოსახლეობა მიწურებში ცხოვრობდა. დაბა ასპინძაში, მაგალითად, მიწის ზევიდან 5-6 სახლი თუ იდგა. ამის გამო, მთავრობის გადაწყვეტილებით რაიონში ფართოდ გაიშალა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. ყველა სოფელს დაუწესდა ბინების მშენებლობის გეგმები. სახელმწიფომ გამოყო სამშენებლო მასალები და ბანკის გრძელვადიანი კრედიტები ცალკეული მოქალაქეებისთვის. შემდეგ ბევრს, ვინც ეკონომიურ გაჭირვებას განიცდიდა, ჩამოეწერა ეს კრედიტები.

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა კოლმეურნეობების ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამ საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის სოფ. ოშორის კოლმეურნეობის მაშინდელ თავმჯდომარეს პლატონ ბუცხრიკიძეს, რომელიც მთელი რიგი წლების განმავლობაში სათავეში ედგა ოშორის კოლმეურნეობას. მან კოლმეურნეობაში გააშენა სანიმუშო ვენახის პლანტაცია, რომელიც მაგალითი იყო მთელი რაიონისათვის. მოსახლეობის დამაგრების საქმეში დიდი წვლილი აქვს შეტანილი გრიგოლ ბუცხრიკიძეს, რომელიც წლების მანძილზე ედგა სათავეში ოთის კოლმეურნეობას.

სოფლის მეურნეობის აღმავლობასა და ვენახების გაშენებაში მოსახლეობას დიდ დახმარებას უწევდა საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეურნეო-კვლევითი ინსტიტუტის მესხეთის დასაყრდენი პუნქტი, რომელსაც წლების განმავლობაში სათავეში ედგა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი შალვა წიქვაძე.

1944 წლის დეკემბერში ასპინძის რაიონის სოფლებში რუსთავში, იდუმალაში, ორგორაში, საყუდაბელსა და ხერთვისში ჩასახლებულ იქნა მოსახლეობა დუშეთის რაიონიდან. მათ ახალ საცხოვრებელ ადგილზე დამაგრებას და გარემოსთან შეგუებას დიდად შეუწყო ხელი საქართველოს საავტომობილო გზების № 38 საგზაო-საექსპლუატაციო უბნის უფროსმა ალექსი ბექაურმა, რომელმაც ბევრი ხიდი და გზა ააშნა ასპინძის რაიონში და სოფელ ხერთვისში დასახლებით პირადი მაგალითი მისცა მოსახლეობას.

1944 წლის ნოემბერში ასპინძის რაიონიდან გასახლებული მაჰმადიანი მოსახლეობა გასახლების პირველ წლებში უკან დაბრუნებას არ მოითხოვდა. ისინი განსაკუთრებით გააქტიურდნენ და დაიწყეს განცხადებებით და პირადი მიმართვებით რაიონში დაბრუნების მოთხოვნა 50-იანი წლების ბოლოსა და 60-იანი წლების დასაწყისში. მათი მეთაურები იყვნენ ოდობაშევი და სარვაროვი.

წელი კარგად არ მახსოვს, მაგრამ 1957 ან 1958 წელში 40 ოჯახზე მეტი თავიანთი ბარგით ჩამოვიდა ასპინძაში და მოითხოვდნენ უკან

დაბრუნებას. ჩვენ მათ განეუმარტეთ, რომ მათი მიღების საშუალება არ გვაქვს, რადგან არ არის არც საცხოვრებელი ბინები და არც მათი დასაქმების შესაძლებლობა. ისნი უკან იქნენ გაბრუნებული.

## მთხრობელები:

1. ასპანიძე ვასო, დაბ. 1925 წ. ასპინძა. სოფ. სარო 1991 წ; 2003 წ. 134 გვ.
2. აბულაძე-ხმალაძე ლოლა, დაბ. 1911 წ. ახალქალაქი. სოფ. კოთელია (1991 წ.). 154 გვ.
3. მურჯიკნელი მალაქია, ახალქალაქი, სოფ. ბარალეთი. დაბ. 1905წ. (1991 წ.). 161 გვ.
4. კაკაჯიშვილი საბედ ფილიპეს ასული, დაბ. 1906წ. ადიგენი. სოფ. არალი. (1991წ.). 188 გვ.
5. აკოფაშვილი არტემ იაკობის ძე, დაბ. 1906წ. ადიგენი. სოფ. არალი (1991წ.). 189 გვ.
6. ქომოშვილი მარგალიტა არტემის ასული, დაბ. 1918წ. ადიგენი. სოფ. არალი, (1991წ.) 211 გვ.
7. ალელიშვილი-ხუციშვილი მაშო, დაბ. 1929წ. ახალქალაქი, სოფ. ოკამი (ქილდა) (1997წ.). 225 გვ.
8. ხუციშვილი ალექსანდრე, დაბ. 1926წ. ახალქალაქი, სოფ. ოკამი. (1997წ.) (ქმარი მაშო ალელიშვილი-ხუციშვილის). 236 გვ.
9. მელიქიძე-ხუციშვილი ლოლა, დაბ. 1936წ. ოკამი, 1997წ. 237 გვ.
10. ივანიძე-მოსიძე ნინა, დაბ. 1922 წ. ახალქალაქი, გოგაშენი, 1997წ. 240 გვ.
11. საუბრობს რამდენიმე მთქმელი, გოგაშენი, 1997წ. 251გვ.
12. ხუციშვილი-ნადირაძე ლოლა, დაბ. 1919წ. 252გვ.
13. ივანიძე-ნათენაძე სალომე, დაბ. 1899წ. ხალქალაქი, სოფ. გოგაშენი (გამოთხოვილია ქუნციდან), 1998წ. 264გვ.
14. ზაზაძე-ნათენაძე მარო, დაბ. 1928, ახალქალაქი, სოფ. გოგაშენი (გამოთხოვილია თმოგვიდან) 1997წ. 270,273,277...გვ.
15. ბერიძე ვაჟა, დაბ. 1935 წ. სოფ. გოგაშენი, 1997წ. 272, 276,281...გვ.
16. ნათენაძე ნინა, დაბ.1925წ. ახალქალაქი, სოფ. გოგაშენი, 1997 წ. 275,278,280... გვ.
17. ზედგენიძე-ნათენაძე სონა, დაბ. 1925წ. სოფ გოგაშენი (ზველი), 1997წ. 284,288...გვ.
18. ლონდარიძე-ბერიძე სონა (გამოთხოვილია ზველიდან), 1935 წ. გოგაშენი (1997წ). 290,292... გვ.
19. მაისურაძე-ნათენაძე ფოფალა, დაბ. 1935წ. გოგაშენი (1997წ.). 292 გვ.
20. მიქელაძე-მაღრაძე ხატა სერგოს ასული, დაბ. 1913წ. ასპინძა, სოფ. ფია (ნაქალაქევი), 1991წ. 296, 297გვ.
21. მაღრაძე ალექსი, დაბ. 1981წ, ასპინძა, სოფ. ფია, 1991წ. (ხატა მაღრაძის შვილიშვილი). 297 გვ.

22. ნათენაძე ვასილი, დაბ. 1925წ. ახალქალაქი, გოგაშენი. 2003წ. (ნინა ნათენაძის მეუღლე). 302 გვ.
23. ზაზაძე ვლადიმერ სპირიდონის ძე, დაბ. 1912წ, ასპინძა, თმოგვი 2003წ. 310 გვ.
24. ზაზაძე ფარნაოზ იორდანეს ძე, დაბ. 1931წ. ასპინძა, თმოგვი, 1991, 2003წ. 316 გვ.
25. ბექაური მოსე, დაბ. 1933წ. ასპინძა, იდუმალა, (ჩამოსახლებული მთიულეთიდან), 2003წ. 328 გვ.
26. ფოცხვერაშვილი თამარი, დაბ. 1922წ, ასპინძა (ჩამოსახლებული იმერეთიდან; თერჯოლა, სკანდე). 336 გვ.
27. ფოცხვერაშვილი ქეთო, დაბ. 1920წ. ასპინძა (ჩამოსახლებული იმერეთიდან, თერჯოლა, სკანდე), 2003წ. 339 გვ.
28. მაისურაძე გიორგი, დაბ. 1928წ. ასპინძა (ფია). 1991წ. 341 გვ.
29. ტაბატაძე-ინასარიძე შუშანა, დაბ. 1930წ. ახალციხე, სოფ. ანდრიაწმინდა, 1991. 349 გვ.
30. ინასარიძე ელიზბარ, დაბ. 1929წ. წ. ახალციხე, სოფ. ანდრიაწმინდა, 1991. (შუშანა ტაბატაძის მეუღლე). 349 გვ.
31. სუდაძე თამარა, 1927 წ. ახალციხე, სოფ. წყორძა, 1991 წ. (გამოთხოვილია ვალედან). 363 გვ.
32. ივანიძე არჩილ, 1913 წ. ახალციხე, სოფ. მუსხი, 1991წ. 366 გვ.
33. მაისურაძე-ზაზაძე პელა, 1904წ., ასპინძა, სოფ. თმოგვი, 1991წ. 369 გვ.
34. ჯინჭველაძე გიორგი ალექსის ძე, დაბ. 1911წ. ახალციხე, სოფ. მუსხი, 1991წ. 374 გვ.
35. ბერიძე-დიასამიძე ნინო, 1921წ. ასპინძა, სოფ. ტოლოში (გამოთხოვილია ერკოტიდან), 1991წ. 378 გვ.
36. დავლაშერიძე სოფიო, 1908წ. ასპინძა, სოფ. ნაქალაქევი (გამოთხოვილია როკეთიდან). 1991წ. 380 გვ.
37. ალავიძე რომანოზ, 1927წ. ახალციხე, სოფ. ღრელი, 1991წ. 391 გვ.
38. შადრაძე-ალავიძე ლიზა 1930წ. ახალციხე, სოფ. ღრელი, 1991წ. 391 გვ.
39. ბერიძე ანდრო ევგენის ძე, 1901 წ. ასპინძა (ერკოტა), 1982. 404 გვ.
40. ბერიძე მათე, დაბ. 1894 წ. ასპინძა (ერკოტა), 1982წ. 409 გვ.
41. ფილიშვილი ციალა, დაბ. 1931წ. ასპინძა (ხიზაბავრა), 2003წ. 416 გვ.
42. ზედგინიძე დავით, დაბ. 1927წ. ასპინძა (ჩუნჩხა), 2003წ. 419 გვ.
43. ფოცხვერაშვილი დემური, დაბ. 1938წ. ასპინძა (თერჯოლა, სკანდე), 2003 წ. 432 გვ.
44. ბერიძე მოსე დიმიტრის ძე, დაბ. 1928წ. ასპინძა (ერკოტა), 1982. 434 გვ.
45. ივანიძე ილიკო, დაბ. 1912წ. ასპინძა, სოფ. აწყვიტა. 1991წ. 439 გვ.
48. ზაზაძე-ივანიძე ანა (ანუსა), დაბ. 1912წ. ასპინძა, აწყვიტა (გამოთხოვილია აგარიდან), 1991 წ. 443 გვ.

49. ველიჯანაშვილი საბედა, დაბ. 1905წ. ასპინძა, სოფ. ხიზაბავრა, 1991წ. 445 გვ.
50. მურადაშვილი რიფსიმე, დაბ. 1906წ. ასპინძა, სოფ. ხიზაბავრა, 1991წ. 454 გვ.
51. ტატურაშვილი-მაზმიშვილი ელე, დაბ. 1910 წ. ასპინძა, სოფ. ხიზაბავრა, 1991წ. 460 გვ.
52. მექოშვილი კირილე, დაბ. 1906 წ. ასპინძა, სოფ. ხიზაბავრა, 1991წ. 465 გვ.
53. ბერიძე-თოთაძე მარუსა, დაბ. 1905წ. ასპინძა, სოფ. სარო, (გამოთხოვილია ჩუნჩხიდან) 1991წ. 477 გვ.
54. ისაკაძე ლევანი, დაბ. 1925წ. თბილისი, 2004. 496 გვ.

**Direct Reporting from the Past**

**By Marine Beridze**

**Summary**

The book is the outcome of the OSGF Women's Program activity Preserving Oral Histories (collection 2003). This is the 4th book published in the *Women's Memory* series.

Interviews presented herewith have been taken throughout the 80-90s of the last century in Samtskhe-Javakheti. These materials have been gathered for dialectological purposes. Their main scientific value has been their uniqueness from linguistic viewpoint, as they fix the language specificities of several generations of inhabitants of the 20th c. Samtskhe-Javakheti. A substantial publication have been prepared containing linguistically reliable dialectic texts, which now find multiple purpose use for scientific research while collecting materials, we did not restrict our respondents in their discussion topic, - generally asking them at the beginning of the interview to narrate about their lives. Hardly anyone of them avoided referring to the theme of "Tartardom and the deportation of Tartars [Meskhetian Turks][1]

When I was attempting to bring into accord the priorities of the competition announced by the Women's Program of the Open Society – Georgia Foundation "Preserving women's oral histories" – and my own research interests, it became clear for me that these "life stories" recorded decades ago have turned into unique historical documents, that the 20th century reflected in these tapes will never repeat itself, and that every single human life reflected in narrations is a very eloquent, vivid page of the modern history of our country. Out of many topics we have singled out the one of migrations in Samtskhe-Javakheti in the first half of the 20th century. It is only too natural that we appeared unable to avoid considering other closely related

[1] Following Georgian tradition, "tatar" was used for different Muslim nationals as well as muslimized Meskhs in Meskheti. We clearly understand the meanings of the terms and historical incompatibility, but still, we do not change terminology of the texts, since we believe, they precisely represent that particular system of national, confessional and tribal identification, the book speaks about.

problems, such as: interethnic relations, nationality and language policies of the state, demographic processes, national and confessional identity of the population in Samtskhe-Javakheti at that time, along with some other issues.

We beliebe that the materials we have at hand, whem activated and presented from the abovementined perspective should be interesting for the reader from many viewpoints. Tragedy, that took place in Samtskhe-Javakheti in 1920s, and forced migration conducted by the Soviet government in 1944 have been under taboo for many years and only in the end of the 20th century it became possible to write about these events. When saying farewell to the 20th century, we had one more reminder that a falsified history needs to be rewritten earlier or later, while the most reliable evidence in search of truth and justice is that by the witnesses of events. Materials presented here are exactly representing the evidence by eyewitnesses about one of the less known to our society but highly interesting period of history, these are unique documental images preserved in the memory of the people. However, the most objective images are of course stamped by a certain degree of subjectivity, particularly when the events are recorded, even by the most sensitive camera, from a single perspective. Our stories represent as a rule a narrative by Christian Georgians, though we were able to discover as well a few "stories" by Muslims preserved in archival documents. We believe our material is just a miniscule portion of what is kept in the memories of each Meskhetian family, whether Georgian or non-Georgian, Christian or Muslim. All these stories could benefit and move forward the important task of documental research of our past. Because of high relevance and specificity of presented materials, we considered as important to introduce into scientific usage the whole of preserved material and not only women's stories. That is why we publish and refer to in our study also narratives by male respondents.

We would like to extend our gratitude to the Open Society Georgia Foundation for financial assistance.

The historic background for the events of our interest was as follows:

The beginning of the 20th c. found Samtskhe-Javakheti, following 300 year long Turkish rule and the subsequent century long consistent Russian policy, disintegrated and in extremely hard social and demographic condition. At this time the population of the region was comprised by: Georgians, Armenians, Tarakama Turks, Kurds, and a little number of Russian Duhobors. The autochthonic Georgian population, in accordance to its confession, was ascribed to different

ethnic groups: by this time only the Greek Orthodox part of the population was considered as "Georgians", the Catholic Georgians depending on which Typicon they relied in their religious rituals were named either as Armenians or as "Frangs" (French), while Muslim Georgians along with other Muslim groups were mentioned as "Tartars". Gregorian Georgians were too considered as Armenians. The official data in ethnic structure of the population therefore undercounted the number of Georgians (by removing Catholic and Muslim Georgian numbers from records)

In the beginning of the 20th century self-identification of the population in the region was as follows: from the village of Atsquri to Artaani the term "Georgian" was used as a synonym for an Eastern Orthodox person whether ethnic Georgian or not; the great majority of Catholic Georgians have not lost their sense of Georgian identity, but a consistently implemented and imposed mix-up of the principles of identifying a person based on genetic or confessional belonging had created a totally unjustified and incomprehensible terminology for defining the Catholic part of the Georgian population in the region. Instead of calling them a logical name of "Georgian Catholics", they were often named as either Armenians or Frangs. Particularly strong this tendency became since 1880s, when on massive scale Georgians in the Catholic villages of Akhaltsikhe and Akhalkalaki "mazras" (districts) where put in official records as Armenians. As a result, after a while Catholics when asked about their identity would respond - either Armenian or Frang! However, at the same time the same person would ethnically identify himself as a Georgian thus distinguishing himself both from the Muslim and the Armenian groups of population. Now, with regard to the Muslim Georgians, in the beginning of the 20th c. they would unite themselves in the same category with other Muslims, and where both named by others and called themselves "Tartars", while in order to distinguish themselves from other Muslim groups who were immigrants – Tarakamas and Turks, they used a special self-denomination – "Yerli" or "Binali", which mean "local". By this time they did not identify themselves as Georgians, either genetically or ethnically any more.

As we can see, at this time the region's indigenous, Georgian population was not ethnically cohesive monolithic society any more. As for the linguistic situation, the domineering language was Turkish; Georgian was spoken by Christian Georgians (both Orthodox and Catholics). A big number of Muslim Georgians knew Georgian

language; however their native language was Turkish. Different ethnic inhabitants of the region communicated with one another in Turkic (Tartar), among them Armenians, who had been resettled from Erzurum and knew the language. Distancing of Muslim Georgians from their homeland had started three centuries ago. The pace and the direction of this process were as follows:

Confessional conversion: after 40 years from the conquest (by Turkey) the head of the ruling Jakeli family adopted Islam, although his family still adhered to Christianity and continued to have a Christian priest at the court. It took another 50 years for the local noble families to change the religion on the stringent demands by Osman Turks. And by the end of the 18th c. the largest part of the peasantry was already officially Muslim. However, starting from 1820s, the peasants began massively to convert to Orthodox Christianity, but this was soon stopped by Russian officials, since they needed free state-owned lands in the region and instead of revive of the national identity they were rather interested in forcing the natives out to Turkey, the policy, they actually implemented. Until 1880s a significant part of the lower social layers of the population was covertly Christian, they would cross themselves, go to churches for communion, ets. They were formally considered as Muslims. By the end of the 19th c. due to the active work of Turkish emissaries and under the strong influence of pan-Turkic ideology Muslim Georgians finally dissociated themselves from their Christian brothers - "ghyaurs" (infidels). Along with the spread of Islam, Georgian language was suppressed. By the end of the 18th c. the spoken language of the Georgian nobility was already Turkish, although they did know Georgian. Peasants mainly spoke Georgian and only by mid-19th c they started to learn Turkish. The representaives of lower social layers still had Georgian as their native language and manage to speak a primitive version of Turkish. Following the loss of the confession and the language, one more aspect of national identity gets lost – the family name. Starting from 1920s, this process acquires a massive character and the significant part of the Islamised population recalls their original sirnames with difficulty. Such was the technology of "massive identity loss", which was being implemented with patience, effort and skill in this "ethno-lingvo-psychological lab" called Samtskhe-Javakheti. The states standing behind the implementation of this technology where in war with each other, but in their effort to change the identity of Georgians they demonstrated great unanimity. And they had enough alies too. The region was fully isolated from its

homeland. The Georgian Christianity of Samtskhe-Javakheti appeared to be alone against great problems. Georgian identity had been almost fully lost among Georgian Muslims. With a right state policy it would not be difficult to apply a common Georgian idea in order to turn their self-identification back to its Georgian origin. However, instead of bringing them together, the polarisation among Georgians along confessional lines got only strengthened. The Russian government did everything in order to avoid self-identification by the Georgian Muslims as Georgians. The Muslims, under the influence of pan-Turkic and pan-Islamic ideology, "adopted" the following principle for defining their national identity – "if you speak Turkish and are Muslim, that means you are a Turk". The period that interests us (1920s) was preceded by large-scale immigration of Muslim Georgians to Turkey. Out of those who had stayed back, only a small proportion had preserved any idea of unity with historic homeland and their kin, while others would fervently struggle for the creation of a "united Turkish state". Particularly active in this struggle were the Muslim "begs" (nobility). The ex-Georgian designers of the Osmanic globalisation fought with the same fanaticism and neglect for their homeland, as did their equally ex-Georgian brothers under the flag of Russian internationalism. A significant part of our "stories" tell us about tragic developments started with the 1st rebellion of Muslims in December 1917, led by Omar Faik Numanzadeh–Qipiani. This was followed by the Turkish expansion of 1918 and the second rebellion of Muslims in 1918 under the leadership of Server-Beg Jaqeli. Parallel to the Georgian-Turkish negotiations in the spring of 1918 in Batumi, Turkey launched military action in South Georgia taking as a formal pretext the repressions carried out by Armenians against the Muslim population, however in reality they aimed at creation of favourable "de facto" situation before the end of negotiations. On June 4, 1918, appalling agreement was signed in Batumi: entire Georgian territory south of Atsquri was passed over to Turkey. In the meantime military action continued. The Turkish army was accompanied by the local "Chat' troops and those "Khuzhan" Tartars. The Georgian population panicked and fled.... According to the witnesses of this mass escape, toddlers were not infrequently left behind in their cradles, or the elderly were left behind, even the candle lights were often left burning in haste... The population of Javakheti-Erusheti zone moved in endless collumns toward the woody mountain passes, the exhausted humans followed the endless line of carriages. They had still more difficulties.

Our respondents were telling us truthfully and in detail about this great refuge. The road was long, difficult and dangerous. The witnesses recall a thunderstorm that added to their sufferings and caused great casualties among the refugees. In the beginning of June tens of thousands of homeless and hungry people filled the woods around Bakuriani. They would arrange a makeshift dwelling under trees, while each day hundreds of people died of hunger. In addition, epidemics started. According to some respondents' accounts, it was typhoid fever; others say it was a "chicken pest". The dead were buried in hastily dug pits. Families would lose four-five members at times. Like always during mass disasters, people were on the brink of a breakdown and naturally, not everyone was capable to defy difficulties. There were cases of abandoning children, or refusals to provide assistance, but, commonly, these were the results of affective psychic conditions. One can see from our interviews that in such circumstances a sort of moral control was in place in such cases. For instance, when an Armenian couple abandoned their small child and ran away, some neighbours of one of our respondents saved the abandoned child attacked by a pig, chased the parents and obliged them to take back the child. Such control and moral censorship to some extent regulated the chaotic, spontaneous movement of people overtaken by panic.

In the narrative by our respondent one can discover the polar expressions of human behaviour: e.g. an uncle refused to allow his orphan nephews on the carriage saying there will not be left enough room for taking food; however a 12 old aunt of the same children would carry a 3-year old toddler on her back for many kilometres but did not abandon the helpless child in a trial. In a few days the same girl would cry over her dying mother in the Sakochavi forest. She had experienced such a share of pain and mischief, after the abovementioned thunderstorm death has become a common image for her. Strange laws of life and death were ruling her behaviour the same way as that of many thousands of other refugees. Staying behind in the woods would mean death for all of them, so they made refuge for the dying woman, and left her alone while they followed the "path of life" downwards to the village of Bakuriani...

From Bakuriani, the refugees were distributed to such places as Gardabani settlement, i.e. Qarayaz (near Azeri border). In Qarayaz, an epidemic erupted among the refugees; the locals demanded they should be taken away. Casualty figures were very high. As a rule no

more than 2-3 persons survived from a family of 10-15 members. During these times a great part of refugees scattered all over Georgia, and spontaneously settled in different regions. That is how the groups of the population of Meskhetian descent appeared in such places as Guria, Imereti, Kartli and Kakheti. On the refugees' accounts more than two thirds of the population perished and did not return home. Supposedly, as a result of Turkish aggression the number of refugees from the region reached 100,000, out of these 20,000 were Georgians. As it becomes evident from the stories and other archival documents, the state did not appear capable of providing even minimum assistance to the refugees. Neither general population showed any compassion or assisted them in any way. Impoverished, hungry, ailing refugees frequently encountered aggressive attitudes rather than help. Soon they gathered again in Borjomi-Bakuriani or around Atsquri, and asked the Turkish government to let them return to their homes. The Turks delayed their return. The only person to provide some hope and encouragement was the then governor-general of Akhaltsikhe and Akhalkalaki districts Balo Maqashvili (Makaev). He would visit the suffering people and try to calm them down, promising sending back to their homes. One of our respondents would describe him this way: "Makaev was an old man, with long beard reaching his chest. We would surround him asking – 'Please, help us, help!' and he would tell us in kind voice – 'wait a little more, wait, my dear children!'. As it often happens in likewise situations some people took advantage and made their fortune on the mischief of the refugees. There were cases of buying certain items cheap or even without any payment at all, taking away the children promising to feed and clothe them, but instead selling them to richer families, mainly in Western Georgia, as homework labourers or servants. Sometimes this took place with the consent of the refugee families, but in other cases children were taken from asylums. Often, these children were much more fortunate than others left behind; they escaped hunger and illness and what's more they often got used to and even love their new families. Sometimes, after things settled down and relatives came after them these children were reluctant to go back. Quite different was the fate of the inhabitants of those villages in Akhaltsikhe district that had no opportunity to flee far. During the Turkish invasion they have not harmed the Catholic villages in Akhaltsikhe, unlike those in Akhalkalaki district. The Orthodox population would escape to Akhaltsikhe, Sapara or hide in forests. As it appeared to be, the Turkish army has not looted the

population. It has not done anything with the cattle or personal belongings of the people, all the looting and robbery was conducted by the local Muslims. The Turks only took away the wheat harvest of that summer and autumn. They mobilised the local population to work in the fields for harvest, and as far as Javakheti has been totally emptied the labour force was taken from Akhaltsikhe. In accordance to the Mudros Peace agreement of 30 October 1918 Turkey was obliged to withdraw from Southern Georgia. It was slow in doing this and attempted to pass over the control not to the Georgian government but to the local Muslim begs, thus preserving their actual influence and control in the region.

On 4 December, 1918, Georgian army entered Akhaltsikhe. Refugees were able to return home, but their situation was extremely vulnerable. In January 1919 a new disaster took place. The Second Muslim rebellion got launched, led by Muslim begs of Georgian descent. If during the first rebellion (November 1917) the main slogan was freeing the region from Armenians while staying loyal to the local (autochthonous) population of historic Meskheti, i.e. to Christisn Georgians, this time another slogan was openly announced –either we or the Georgians should exist up to the South of Atsquri!

Our stories reflect the details of these developments. The troops of local "Chats" attacked villages and harassed them, cutting off the routes for escape. Inhabitants of the villages close to Akhaltsikhe took refuge in the city. The military units started to retreat. Even those parts of the Muslim population who were not supporting the rebels and stayed loyal toward the Christian neighbours, got pulled into the conflict. This was not an ethnic or a confessional conflict, but rather a political one, strengthened the rough methods of "exporting" Socialist ideas to the region. The conflict was created not only due to the strong pro-Turkish orientation of the Muslim population and the effective propaganda by Turkish agents, but also the fear toward the political agenda of the young Georgian state.

Horrendous was the cruelty of rebels. They would not spare children, women or the elderly. The population was brought together and then locked up cowsheds. There were suspicions that a large-scale massacre was being prepared, but for some reason it did not take place. People were locked up for several days, from time to time frightening executions took place, a few would be taken away and killed. Some women, in order to avoid rape and dishonour, would mutilate

themselves. There were many suicides. In one village all women have been ordered to undress and dance naked, while they were beaten by whips and ordered to keep the rhythm. In another place, in-law (a woman and the brother of her husband) couples was singled out, undressed and tied back to back, and then ordered to dance on a merry melody. The couples were stumbling, falling down, while being terribly beaten by whips. Such a torture could be invented only by someone who knew well how much a Meskhetian woman respected her in-law – the brother of her husband. Women would often address their in-laws, even much younger than themselves, with extreme politeness, calling them "master". Even today it is possible to observe Meskhetian women never pronouncing the name of brothers or cousins of their husbands without adding "uncle" as a sign of respect. During these days the threat by insurgents not to leave any single living Christian in South of Atsquri turned into real. In these days the Christians found protection and support among the Muslims. In spite of terrible experience, many of our respondents recall the facts of kindness and compassion demonstrated by their neighbours, "Tartars" with gratitude. In the village of Erkota one family managed to save the entire village. The head of the family and his sons were defending their Christian neighbours. There is a copy of an investigation of this fact preserved in archival documents.

In March of 1918 the Georgian army launched a large-scale offensive against the rebels. The "Tartars" were bravely fighting back. Seemingly, at the end of this predestined campaign the imprisonment of the [Christian] population would have taken place in almost all villages. These would have been taken as hostages and their massacre could be imminent, but the Georgian army was advancing. No order for conducting genocide has been issued. One of our respondents would comment naively: "For three days we were locked, but then there appeared to be a clever man in Batumi who decided it is not good to massacre such a big number of people and we were let go." The war was coming to an end, as the military adventure inspired by foreigners failed. However, the Georgian state was too weak to defend its own victory. Under the pressure from the British representatives the government demanded military action to be stopped. The obstinate general G. Kvinitadze followed the enemy to the end, although the British threat made him abstain from entering Ardahan. Our stories reflect this period as well.

The long awaited peace came in together with poverty and hunger. Georgians too looted the "Tartar" villages, food, cattle and utensils were being taken from the abandoned houses of Muslims. It frequently happened that the looters would find their own cattle and other possessions in Muslim houses.

In Akhaltsikhe, at the victory parade, Baghshi-Beg Machabeli sat in the same car with general Kvinitadze and received applauses – Baghshi was a Muslim Beg of Georgian orientation who did not ally himself with the rebellion by Server Beg Jaqeli. A great part of Muslim Georgians regretted what had happened, and believed they had been cheated by the adventurer and traitor begs. At this moment the Georgian people had a real historic opportunity for achieving a great national reconciliation and turning of Muslims toward Georgians. However, the policy of the Soviet Russia in South Georgia remained the same. Everything was done for turning a century-long crack between Georgian Christians and Muslims into an abyss. The new atheistic ideology would not allow for the effective manipulation with religious factors, therefore linguistic policies have become the major instrument for controlling ethnic processes in Samtskhe-Javakheti. It was decided that the language of education for the Georgian Muslims should become the Azeri language, notwithstanding the fact that many Muslims enjoyed excellent command of Georgian.

The rights of the Christian population in the region remained restricted, it was impossible to freely and safely travel along the long road, women did not dare to move freely without being accompanied by males even on the territory of their own village, Christian Georgians did not have any prospects for selling their harvest, and so on. Our respondents recall stories of harassment, violence, robbery by "Tartars" during the Soviet period. In the pre-war time in the village of Khertvisi there were cases of attacking military personnel, to take away weapons from them. Until late 1930s illegal trespassing of the Turkish border did not cease, and, as some of our respondents tell, information from relatives in Turkey was coming this way until 1944. Emigration process did not stop either, and a number of professional guides would accompany families willing to emigrate along safe routes across the border.

The Georgian population, as said above, continued to live in fear. However, they managed to have excellent relations with some of more friendly representatives of the ethnic and religious majority. The

"formula" for such peaceful cohabitation was simple – in order to overcome mistrust, fear, and cautiousness, almost every family would have a "Tartar" "dost" or "Kirva" - a family friend or a relation through the ceremony of baptism.

The world political climate was rapidly changing. Turkey was considered now as a potential foe in the war against the Soviet Union. This made the government reconsider its attitude toward the population of the border region.

In the census carried out in the end on 1930s, the population was specifically asked about their identity, and according to respondents, Muslim Meskhetians were offered to register as Georgians. By this census, not the ethnic identity but rather political orientation had been checked. At that time the Muslims categorically refused to change identity and sentenced themselves to subsequent terrible fate. It became obvious that behind this refusal was not only self-identification in accordance with national or religious belonging but rather the unhidden desire to exist under the power of the Turkish state. After this, everything was only the "matter of technique": a railroad was deliberately built to Borjomi, internal army troops were brought into the region, security agents were settled in the villages, as if to supervise the agricultural works, while in fact they prepared the lists of future deportees. The special "gossip" service was brought to action, spreading rumours about the possible deportation of Georgians... On 15 November, 1944 army units entered all the villages at the same time. American "Studebecker" trucks took the deported Muslims to Borjomi, where special trains where waiting for them.

Soviet Russia threw firmly imprisoned "demon" into the roaring waves of history!

A month later a part of vacated villages got populated again, as the people brought down from other parts of Georgia started living in their new homes. Our work is a documented description of these historic events, based on the narratives of eye-witnesses. The findings of such a research can be supplemented and checked by adding new stories. Here we have presented a collection of stories gathered by a single person, without any special focus, although it is possible to make one important conclusion based on these materials: the stories narrated by different persons demonstrate astonishing internal coherence. This is a certain sample of "popular historiography". The "range" of such collective memory goes beyond a century, as a story

"by the dad of my grand-dad" is characterised here by the same objectivity, as a story of an own adventure. The period of "Tatroba" (Tartar domination) is one of the central lines and the stories related to this line are of various nature: 1. harassment, repression, humiliation by the Tartars; 2. "Revanchist" stories, relating to the facts of Georgian revenge, their strength, military or sport success, Christian miracles; 3. Stories reflecting the good neighbourhood with Tartars, the facts of friendly and compassionate actions by the Tartars during the reign of terror, etc. The "popular historiography" is compiled in such a way that enables younger generations to remember the dangers, keep the "bitter lessons" of history, assess events realistically, and determine possible and acceptable compromises. Here, in a uniform manner, an objective picture of reality is presented, along with the evaluation of political facts, and the people's version of the resolution of problems. One needs to add that these stories are full of fears, and even the time factor is unable to get rid of this fear.

We hope that our work will be followed by other oral stories preserved in private archives, turning them into the new reliable documents of the "popular historiography".